

ᲣᲘᲐᲠᲘᲐᲚᲝ

(კონდრატე თათარიშვილი)

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲝᲠ ტᲝᲛᲐᲓ



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ



ᲨᲘᲜᲐᲠᲐᲚᲝ

ᲞᲝᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ



1 9 თბილისი 5 7

ტომი შეადგინა, შესავალი წერილი წაუმძღვარა და
შენიშვნები დაურთო ს ო ლ ო მ ო ნ ც ა ი შ ვ ი ლ მ ა-

※

რედაქტორი
გ რ ი გ ო ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი

უიარაღო (კონდრატე თათარიშვილი)

• • •

„უიარაღო“ — ეს უცნაური ფსევდონიმი ორი ათეული წლის განმავლობაში ჰეტეორივით დაჰქროდა ქართული პრესის ფურცლებზე და იმდროინდელ მკითხველისათვის თითქმის უჩვეულო თემატიკას დასტრიალებდა თავს. მისი მოთხრობების შედეგრის — „მამელუკის“ გამოქვეყნებიდან შემჩნეულმა პაუზამ გულისტკივილით ათქმევინა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ საახალწლო (1916 წ.) ჰიმომხილველს, რომ საკმაო ხანია, რაც უიარაღოს არაფერი გამოუქვეყნებია; „მამელუკის“ ავტორისაგან კიდევ უნდა მოველოდეთ საგულისხმო მოთხრობებსა და რომანებსაო.

ცხადია, მიმომხილველი უნებლიეთ ცდებოდა. მან არ იცოდა, რომ „მამელუკის“ ავტორს ჯერ კიდევ „ივერიაში“, „მოამბეში“, „კვალში“, „ჯეჯილსა“ და „დროებაში“, სხვადასხვა ფსევდონიმით * გამოქვეყნებული ჰქონდა მთელი სერია მოთხრობებისა და ნოველებისა და დიდი რომანის გამოსაქვეყნებლადაც ემზადებოდა. ამ მოთხრობების შესახებ ქართულ პრესაშიც მოიპოვებოდა ცალკეული შეფასება და გარკვეული აზრიც, თუმცა მწერლის ვინაობა უცნობი იყო.

უიარაღო ერთი იმათგანი იყო, რომლისაგან გაღებულ წელილს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია ვერ დაივიწყებს. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო „მამელუკი“, „მაძიებელნი“ და ბიბლიურ მოტივებზე დაწერილი ნოველები დიდი შენაძენია მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ქართული ლიტერატურისათვის. ამიტომ უიარაღოს ქართული მწერლობის დიდი კორიფეების გვერდით თავისი მყარი ადგილი უპყრია, რადგან, ილია ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, დიდსა და პატარას თავისი საკუთარი სათქმელი აქვს, რომელშიც მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარულია ჩასახული და განვითარებული.

მკითხველს გაახსენდება ალბათ ილია ჭავჭავაძის სიტყვები, ი. დავითაშვილზე თქმული. დიდმა ილიამ გლეხ პოეტ ი. დავითაშვილს „ერთი ჩვენთაგანი“, „მოკვეული“, „რჩეული“ და „მადლით გაბრწყინვებული“ უწოდა. ამავე დროს იქვე ისიც აღნიშნა, რომ „ერთნაირის უხვებით არ არის ყველა ამ მადლით მიმადლებული. ამაშიც არის დიდი და პატარაობა. მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მქონეა, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით თქვას: „ეს კაცი ჩვენთაგანია“... უიარაღოზეც უნდა გავრცელდეს ეს სიტყვები. ის ხომ მთელი თავისი მომადლებული ნიჭითა და შესაძლებლობით ემსახურა თავის მშობელ ხალხს და ამით შესაფერი ძეგლიც დაიდგა ხალხის გულში.

---

* თ-ლი, კ. თ-ლი, კოდრა პატრია, მისანი, -ო.

I

„უიარაღო“ ლიტერატურული ფსევდონიმია კონდრატე დავითის ძე თათარიშვილისა. ეს გვარი ზუგდიდისა და ხობის რაიონებში გვხვდება და დიდი ხნიდან ადგილობრივ მკვიდრად ითვლება. საოჯახო საბუთებისა და გადმოცემების მიხედვით, მათი შორეული წინაპარი კახეთის მეფის ალექსანდრეს (1574-1605) ასულ ნესტან-დარეჯანს გამოჰყოლია მზითევში, როცა ეს უკანასკნელი სამეგრელოს მთავარ მანუჩარ დადიანზე (1590-1611) გაუთხოვებიათ. დედოფლის მზითევში მონაყოლი ჭაბუკი სასახლის კარზე დარჩენილა და მისი შთამომავლობაც, ვიდრე ბატონყმობა არსებობდა, სამთავრო გლეხებად ითვლებოდნენ. ამ გადმოცემას ზურგს უმაგრებს ის გარემოება, რომ სიტყვა „თათარი“ მეგრული ენისათვის უცნობია. მის შესატყვისად მას გააჩნია „თურქი“. და მართლაც ამ სიტყვიდან წარმოებული გვარი „თურქია“ ამ მხარეში ბევრია. აღმოსავლეთ საქართველოსა და, კერძოდ კახეთში, დღესაც გვხვდება გვარები: თათრიშვილი, თათარაშვილი, ციხითათრიშვილი და ნათათრალიშვილიც. მეგრელი თათარიშვილები კი თათრიშვილიდან უნდა მომდინარეობდნენ, რომელსაც ადგილობრივი კოლორიტის მისაცემად თათარისკუას ეძახიან.

პირველი თათარიშვილი, რომელიც საზოგადო სარბიელზე გამოჩნდა, იყო მარკოზი. იმდროინდელი პირობების კვალობაზე მარკოზ თათარიშვილს იმდენი უმეცადინია, რომ მღვდელი გამხდარა და ისიც — სამხედრო. 1855-56 წ. წ., სამეგრელოში თურქეთის სარდლის ომარ-ფაშის ცნობილი ოპერაციების დროს, მარკოზი მუდმივად თან ახლდა ივანე ბაგრატიონ-მუხრანბატონს, რომელიც მაშინ რუს და ქართველ ჯარს სარდლობდა.

მარკოზის სამსახურს ამაოდ არ ჩაუვლია. იგი სამთავრო კარის მღვდლად ჩაურიცხავთ და ომის დამთავრების შემდეგ აბასთუმნის საზაფხულო სასახლესთან არსებულ ეკლესიაში გაუმწესებიათ.

ამგვარად, მარკოზ მღვდელი თავის სახლისკაცებს ძველ დროიდანვე ეკის მიდამოებსა და ხობში მცხოვრებ თათარიშვილებს გამოჰყოფია; სასულიერო წოდებაში შესულა და მთელი თავისი ოჯახით სოფელ აბასთუმანში დამკვიდრებულა (აბასთუმანი ზუგდიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10-12 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს).

მარკოზი ხალხში საკმაო პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. უიარაღოს უმცროსი ძმის, დამსახურებული პედაგოგის კალისტრატე თათარიშვილის ცნობით „მამელუკში“ გამოყვანილი მღვდელი მარკოზ დაბაძისა და მისი მეუღლის პროტოტიპები პაპა მარკოზი და დიდედა მარიკა ესებუას ქალი ყოფილან. ყველა ის დადებითი ხასიათი, რაც მოთხრობის ამ ეპიზოდურ გმირს გააჩნია, პაპა მარკოზიდან ყოფილა აღებული.

მღვდელ მარკოზ თათარიშვილსა და მის მეუღლეს მარიკა ესებუას შვიდი ვაჟი და სამი ქალი გამოუზრდიათ. ვაჟთაგან: იესე *, ივანე და ტიმოთე ერის-

* ეს იესე ჭაბუკობისას თურქების „ყურსალებს“ გაუტაცნიათ და სტამბოლის ბაზარზე გაუყიდიათ, მაგრამ იმდენი უმარჯვნია, რომ პატრონს გაქცევია, მაშინ სტამბოლში მყოფ რუსეთის საკონსულოში მისულა. საკონსულოც დახმარებია და სამშობლოში დაბრუნებულა. ასე რომ „მამელუკის“ ავტორის ოჯახს თვითონვე განუცდია ეს ტრაგედია (ცნობა მომაწოდა ზინა თათარიშვილი-ნადარაიამ).

კაცებად დარჩენილან, ხოლო ეგნატე, ანდრია და დავითი სასულიერო პირები ყოფილან. დავითი ჯერ კიდევ მთავარდიაკვნად ყოფილა აბაშაში, როცა მის მეუღლეს, აღათი ჩიტაიას ასულს, 1872 წლის 2 სექტემბერს (ძვ. სტ.) სოფელ აბასთუმანში შესძენია პირველი ვაჟი, რომლისთვისაც კონდრატე დაურქმევიათ და სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე დადიანისათვის მოუნათლინებიათ.

1879 წელს ბამამ 7 წლის კონდრატე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიბარა. ეს სასწავლებელი მაშინ მარტვილში იყო, ხოლო 1881-82 სასწავლო წლიდან დაბა ახალსენაკში გადაიტანეს, საღაც კონდრატემ 7-8 წელიწადი დაჰყო. თუ რას წარმოადგენდა სასულიერო სასწავლებელი მაშინ, რას ასწავლიდნენ იქ, როგორ ასწავლიდნენ და ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთაგან ზოგიერთი უსულგულო მოხელე იყო და რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა. მაგრამ მათ შორის იყვნენ აგრეთვე ნათელი პიროვნებანი, როგორც ვასილ ბარნოვი, — ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისიტი, მაშინ ამ სასწავლებლის ზედამხედველად მყოფი, სტეფანე ძიმისტარიშვილი (მწერლობაში „კორტოხა"). ნიკო ჭარაია, — ძმა ცნობილი მწერლისა და პედაგოგის პეტრე ჭარაიასი და თვითონაც სახელოვანი პედაგოგი, ეგგ. მამფორია, კაპ. გაწერელია, ნ. თეთბერიძე, ვიკული, ბოგოლიუბოვი და სხვა. დიდია ამ მასწავლებლების ღვაწლი.

იპ. ვართაგავა გადმოგვცემს, რომ კონდრატე იყო პატარა ტანისა, დაუდგრომელი, მაგრამ არა აბეზარი, თვალჩრელა თეთრი ბიჭი, რომელიც განსაკუთრებულ ბეჯითობასა და ნიჭს არც ერთ საგანში არ იჩენდა. არც რაიმე სახის სპორტით ყოფილა დაინტერესებული, თუმცა ბავშვური ხასიათი და ჩვევები დიდხანს შერჩენია და უკვე დაჭაბუკებამდე მიღწეული, ყაბალახით თავშეკრული, მესტებით და უძიროთი, ის ხანდახან იმასაც არ თაკილობდა, რომ ჯოხზე გადამჯდარიყო და მათრახის ცემით თავისი „ტაიჭით" ეჯირითნა. ამავე მემუარისტის ცნობით, სასწავლებლის ადმინისტრაცია, როცა მთელ რიგ შეგირდებზე დიდ იმედებს ამყარებდა, სემინარიაში თავისი ბეჯითობითა და კარგი სწავლით გვასახელებენო, კონდრატეს მათ რიცხვში არასოდეს არ გულისხმობდა თურმე. მაგრამ ეს საშუალო ნიჭის კონდრატე თათარიშვილი ბოლო წლებში იმდენად ბეჯითად სწავლობს, რომ სასწავლებელს პირველი ხარისხით ამთავრებს და თბილისის სასულიერო სემინარიაში უგამოცდოდ შედის. ეს იყო 1887 წელს, მაშინ კონდრატე 15 წლისა იყო.

მომავალ ბელეტრისტს სემინარიაში არც ისე დამშვიდებული და მყუდრო ვითარება დახვედრია. სემინარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი ჯერ გაულახავთ * და შემდეგ მოსწავლე. ი. ლაღიაშვილმა ხომ ხანჯლით აკუწა, რამაც გამოიწვია მრისხანე ქარიშხალი და რეაქცია. კ. თათარიშვილის სემინარიაში ჩარიცხვის პერიოდში ეს ამბები თითქმის გავლილი იყო, მაგრამ „სანატრელი ხმა ხალხთა ბორკილის მტვრევისა" მთლად მაინც ვერ ჩაეხშოთ. ქართველთა მოძულე ეგზარქოს პაველს მიერ ქართველი ხალხის დაწყევლა და მის წინააღმდეგ გალაშქრებულ დიმ. ყიფიანის გადასახლება სტავროპოლში და მისი იქ საიდუმლო მკვლელობა — სემინარიაში კვლავ მღელვარებას იწვევდა. სტავროპოლის ტრაგედიამ „მეორე დიმიტრი თავდადებული" წარმოშვა, რასაც ეს მოძრაობა ახალ და უფრო მაღალ

* 1885 წ. სცენა მოსწავ. ს. ჯიბლაძემ, თმა და წვერი დააგლეჯა, კონვერტში ჩადო და ეგზარქოსს გაუგზავნა წარწერით: „შენი_ შენთაგან შენდა შემწირველო, ყოველთა და ყოვლისათვის..."

საფეხურზე აჰყავდა. ცხადია, ასეთი წარსულის მქონე სასწავლებელი ამ ფერხულის გარეშე ვერ დარჩებოდა. სემინარიაში ჩამოყალიბებული იყო მრავალი წრე. წრეები ხელნაწერ ჟურნალებს უშვებდნენ. ეს ჟურნალები არალეგალური იყო და მათ ფურცლებზე მოთავსებული სტატიები და მხატვრული თხზულებებიც პირველ რიგში სასწავლებლის ადმინისტრაციისა და მეფის ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ იყო მიმართული. როგორც ია ეკალაძე მოგვითხრობს, სემინარიელები მარტო ამას როდი სჯერდებოდნენ, ისინი ფიზიკურადაც იბრძოდნენ, სცემდნენ და თავდასხმას უწყობდნენ სემინარიას და მის ბურსაში შემოჩენილ ჯაშუშებს და ამგვარად, ეს სასწავლებელი, თითქოს ვულკანზე დგასო, მუდამ ერთგვარ რეკვასა და მღელვარებას განიცდიდა და განსაკუთრებით კი 1886-87 წლებში.

„სწორედ ამ დროს შევედით სასულიერო სემინარიაში მე და კონდრატე და მას შემდეგ ერთმანეთის დიდი მეგობრები ვიყავით," — წერს ერთ თავის სტატიაში ია ეკალაძე. მისივე თქმით, მაშინ კონდრატე იყო ასე 15-16 წლისა, ტანწვრილი, კოხტა, მოხდენილი, ქოჩორა, მშვენიერი ცისფერი თვალები და მაღალი შუბლი ჰქონდა. ისეთი კისკისი იცოდა, რომ მკვდარსაც კი ფეხებს აადგმევინებდა, რისთვისაც ამხანაგებს ძლიერ უყვარდათ. ყოველთვის უბრალოდ, ქამარშემოკრეფილი ხალათ ჩაცმული, ფეხზე მეგრულ უძიროებს ატარებდა და ფრინველივით დაჰქროდა სემინარიის ფართო დერეფნებში.

იგი ამავე დროს მეტად შრომისმოყვარე ყოფილა, უსაქმოდ ვერ დადგებოდა, მუდამ მეცადინეობდა, განუწყვეტლივ ფუსფუსებდა, კითხულობდა, უფრო კი წერდა. „რაღაცას ჩხირკედელაობდა", მაგრამ არავინ იცოდა რას აკეთებდა. იგი ძლიერ მორცხვი, მორიდებული და თავმდაბალი იყო და თავის გამოჩენას ყოველთვის ერიდებოდაო. რამდენიმე წლის შემდეგ სემინარიის დასრულებისას, როცა კონდრატეს თავის პირველი მოთხრობა „მშვიდობითი" ჟურნალ „მოამბეში" გამოუქვეყნებია, იაკობ ცინცაძისათვის (ია ეკალაძე) პირველი შეხვედრისთანავე უთქვამს: გახსოვს, რომ მეკითხებოდი ხოლმე რასა სწერო, აი ეს მოთხრობა იყოო. ასე რომ, წერა კონდრატეს ჯერ კიდევ სემინარიაში დაუწყია.

მოუსვენარ კონდრატეს შრომისმოყვარეობა და ინიციატივა სასწავლებლის ფარგლებსაც სცილდებოდა. საზაფხულო არდადეგების დროს შინ დაბრუნებული გატაცებით მუშაობდა ყანაში, ბოსტანში, მიდიოდა ტყეში შეშის მოსაკრელად, ეხმარებოდა მრავალრიცხოვან ოჯახს.

მხიარული, ენერგიული და მშობლების ერთგული კონდრატე მარტო მინდვრის სამუშაოებითაც არ კმაყოფილდებოდა. მით უფრო, ამგვარი შრომა გარკვეულ პერიოდში ხდებოდა და თავისუფალი დროც საკმაოდ რჩებოდა სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ მოსწავლეს. კონდრატეს ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელიც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ პედაგოგიურ- საქმიანობას შეუდგა. ბავშვებს ამეცადინებდა. ეს იყო მამის ბოსელში და შემდეგ ეკლესიის პატარა სასენაკოში. მაშინ ამ სოფელში და არც სადმე ახლომახლო კონდრატეს „საზაფხულო სკოლის" გარდა სკოლა არ იყო.

ჭაბუკ კონდრატეს ეს პედაგოგიური საქმიანობა დაწვრილებით და მხატვრული სახეებით აღწერილია მისივე ვრცელ რომანში „მაძიებელნი". ამგვარად, საზოგადოებრივ საქმიანობაში ნაადრევად ჩაბმული, სემინარიელთათვის აკრძალული ლიტერატურის კითხვითა და მწერლობით გატაცებული კონდრატე თათარიშვილი, როგორც მისი მეგობრები გადმოგვცემენ, ვერ იყო მაინცდამაინც „თვალსაჩინო სემინარიელი", მათემატიკურ საგნებში იქამდე მოისუსტებდა კიდეც, რომ ხანდახან განმეორებითი გამოცდაც კი გამოჰყვებოდა. მაღალი ნიშნების მიღებით არ ყოფილა

დაინტერესებული, ხუთი მხოლოდ ყოფაქცევაში ჰქონდა და ისიც იმიტომ, რომ სემინარიელთათვის დადგენილ შინაგანაწესს გარეგნულად არ არღვევდა. საუწყებო ბიულეტენი „Духовный Вестник Грузинского Экзархата“, რომელშიც თავსდებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის კლასიდან კლასში გადაყვანისა და სხვა საბუთები, 1891 წლის № 8 იუწყება, რომ სემინარიის მესამე კლასიდან მეოთხე კლასში პირველი თანრიგით გადაუყვანიათ: იპოლიტე ეართაგავა, კონსტ. ინგოროყვა, ვარ. მახარაძე და სხვა. ხოლო , მეორე თანრიგით: ივანე ახალშენიშვილი, დომ. პარკაია, დავ. სუხიშვილი, პრ. ჯუღელი, ს. ალადაშვილი, გ. ჩიქოვანი, კონდრატე თათარიშვილი და სხვ...

მეორე თანრიგიდან პირველში გადანაცვლებისათვის კ. თათარიშვილს არც შემდეგ წლებში შეუწუხებია თავი.

1893 წლის 1-4 დეკემბერს, მაშინ კ. თათარიშვილი მე-5 კლასში იყო. სემინარიელები გაიფიცნენ, გაფიცვის მიზეზებსა და ისტორიაზე ჩვენ აქ არ შეეჩერდებით, რადგან ის სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მწერალმა სემინარიაში გამეფებული რეაქციული რეჟიმი კარგად დაგვიხატა ერთ ნოველაში, რომელსაც ჰქვია „წესდება“.

ამ ნაწარმოებში დაუნდობელი და ღრმა სარკაზმით არის მხილებული სემინარიის რექტორის მიერ შედგენილი შინაგანაწესი, რომელიც გულისხმობდა მოსწავლეთა სასტიკად დასჯას, უმთავრესად აკრძალული წიგნების კითხვისა და მარხვის გატეხისათვის. სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე, ბართლომე ივანიჩი, ღიდ გასაკვირშია ჩავარდნილი. მან იცის, რომ მოსწავლეები ამ წესდებას არ ასრულებენ და გულამოსკვნილი ჩივის: „შარშან რა მშვენიერი თხზულება გამოვიდა ჩემი ნარექტორალის, ყოველად სამღვდელო ისიდორესი. თხზულებაში ნათლად არის დამტკიცებული, რომ მოსემ მართლა გააპო ზღვა და მშრალად გაიყვანა ისრაელი, რომ იქ ზღვის ტალღების არავითარ მოქცევასა და უკუქცევას ადგილი არა ჰქონია. რამდენს მივაწოდე წასაკითხად, მაგრამ არც ერთმა არ წაიკითხა. აბა ერთი კარლ მარქსის ან ენგელსის თხზულება გვეჩვენებინა, ერთმანეთს ცხვირ-პირს ჩაამტვრევდნენ“... ცხადია, ჩვენი ავტორიც ამგვარი წიგნების კითხვით გატაცებულ მოსწავლეთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ეს დასახელებული ნოველიდან გარკვევით ჩანს.

სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ გაფიცვების მიზეზთა „ღრმად და საფუძვლიანად“ შესწავლისა და მის ნამდვილ მოთავეთა და ორგანიზატორთა გამოელინების შემდეგ სრულიად რუსეთის უწმინდეს სინოდს 1894 წლის 31 იანვარს გამოუცია ახალი, სპეციალური ბრძანებულება. ამ ბრძანებულების თანახმად თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა მთლიანად, ყველა კლასში შეწყვეტილა ახალ სასწავლო წლამდე, ე. ი. 1894-95 სასწავლო წლის დაწყებამდე. ის მოსწავლეები, რომელთაც „უწესოებაში“ აქტიური და მაორგანიზებელი მონაწილეობა მიუღიათ (ლადო კეცხოველი, ილ. აგლაძე, ივ. ახალშენიშვილი, იაკობ ცინცაძე, კირ. არველაძე, ლუკა ხუნდაძე, ვასო ალშიბაია, იასონ კაპანაძე, ს. ჯუღელი და პარმენ რურუა), საესებით გაურიცხავთ სასწავლებლიდან ყოველგვარი უფლების წართმეეით და თბილისში ცხოვრების აკრძალვით. დანარჩენთათვის ნება მიუციათ სწავლა განეგრძოთ ერთი წლის შემდეგ „განახლებულ“ თბილისის სემინარიაში თავისი განცხადების საფუძველზე, ზოგისთვისაც —,სხვა ქალაქების სემინარიებში, როგორიც იყო მაშინ კიევის, სტავროპოლის, დონის, ოდესის და სხვ. კონდრატეს, დრო რომ არ გაცდენოდა, თავისი საბუთები გაუტანია თბილისის სემინარიიდან და კიევში გადაუგზავნია. ნათესავთა და კეთილ ადამიანთა დახმარებით მალე

თვითონაც გამგზავრებულა და ამგვარად, კიევის დროებითი მცხოვრები და სემინარიის უკანასკნელი კლასის მოსწავლე გამხდარა.

კიევის სასულიერო სემინარიის კურსი კ. თათარიშვილს იმავე 1894 წლის ივნისს დაუსრულებია, როგორც ბიულეტენი Духовный Вестник, № 15 გვამცნევს, II თანრიგით, რაც სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების უფლებას არ აძლევდა. საერო უმაღლეს სასწავლებლებში კი მაშინ სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებს არ ღებულობდნენ. ამის პირველი მიზეზი ის იყო, რომ სასულიერო უწყებას სურდა ადგილებზე ჰყოლოდა საუკეთესო კადრები, სემინარიაში სწავლამიღებული მღვდლები. ამ გარემოებამ კონდრატეს უმაღლეს სასწავლებლისაკენ გზა გადაუღობა, იძულებული შეიქნა. ჯერხნობით მაინც ბედს დამორჩილებოდა და შინ დაბრუნებულიყო.

სამშობლოში დაბრუნებული კ. თათარიშვილი პირველ რიგში თავის სოფელსა და მშობლების ოჯახს მიაშურებს. ახლა კი მას საშუალება აქვს თავისი „საზაფხულო სკოლა“ ნამდვილ სამრევლო სკოლად აქციოს და თვითონაც მისი შტატის მასწავლებელი და გამგეც იყოს. ამ ინიციატივას სოფლის მოსახლეობა სიხარულით მიეგება, დროებით დაიქირავეს შესაფერი ბინა და სამრევლო სკოლაც გაიმართა. კონდრატეს ორი წლის ენერგიული მუშაობის შედეგად სკოლამ საკმაო ავტორიტეტი და ყურადღება მოიხვეჭა მოსახლეობაში, ისე რომ სკოლისთვის საკუთარი შენობის აგებისათვისაც გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგა. ამით კონდრატემ თავის ერთი სანუკვარი ოცნება განახორციელა. თავის მშობლიურ სოფელს დაწყებითი სკოლა გაუხსნა. ახლა ის ოცნებობდა მეორე, უფრო ფართო სარბიელისათვის, რომელზედაც ფეხი უკვე შედგმული ჰქონდა, მაგრამ ნივთიერი პირობებში და ოჯახური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა მკვიდრად მომაგრებულიყო, მეტი ნაყოფიერება გამოეჩინა. ამისათვის 1894 წლის 27 აგვისტოს მშობლიურ სოფელ აბასთუმნიდან იგი ვრცელ წერილსა სწერდა სოფრომ მგალობლიშვილს, რომელიც მაშინ ფოთში გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსის კანცელარიის მმართველი იყო. ამ წერილში კ. თათარიშვილი თავის ადრესატსა სთხოვდა, თუ სადმე ვაკანტური ადგილი გამოჩნდეს, მე დამნიშნეთო. არც ის დაუმალავს სოფრომ მგალობლიშვილისთვის, რომ მღვდლობა მისთვის ცხოვრების სახსარს წარმოადგენდა, საშუალებას მისცემდა მონაწილეობა მიეღო მშობლიურ ლიტერატურაში. წერა ხომ იმ ხანებში მას უკვე დაწყებული ჰქონდა და პირველი ნაწარმოების—„მშვიდობით“—გამოსაკვეყნებლად ემზადებოდა. წერილის ბოლოს ის დასძენდა: მინდა ამ ჩემი მცირე ცოდნით წერა-კითხვა მაინც დავასწავლო რამდენიმე ათეულ ახალგაზრდასო. კონდრატეს ამ კერძო წერილში გამოთქმული აზრის ცოცხალი დასაბუთებაა ღეთეოდ მისი მეგობრის — ია ეკალაძის მოგონების ეს ადგილი: „კონდრატე არ იყო მორწმუნე მღვდელი, თავისთავს „დაქირავებულ მონას“ ეძახდა და თუ მაინც მსახურობდა მხოლოდ იმიტომ, რომ წვრილშვილი ერჩინა“.

კონდრატეს ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. მაშინ სემინარიელი მღვდლები სოფლად იშვიათი იყო და ასეთ კადრს ეპარქია უყურადღებოდ როგორ დატოვებდა. მაგრამ ამისათვის საეკლესიო კანონის კარნახით აუცილებელი იყო ერთი, არც ისე ძნელად შესასრულებელი პირობა. ჯვარდაუწერელი კაცის მღვდლად ხელდასმა არ შეიძლებოდა. ამიტომ კონდრატეს კვლავ მოუხდა გამგზავრება კიევში, სადაც მას ეგულებოდა თავისი სატრფო, უკვე საცოლედ დანიშნული უკრაინელი ქალი ანა კოტლიარევსკა ასული. 1895 წ. ზაფხულს კიევში ისინი დაქორწინდნენ. ამასობაში ეკლესიაც გამოჩნდა. ზუგდიდის მაზრის სოფ. კირცხში მღვდელი ბერია გარდაცვლილიყო... ს. მგალობლიშვილის თუ სხვათა დახმარებით 1896 წ.

25 ივნისს ამ ადგილზე აკურთხეს 24 წლის კ. თათარიშვილი. სამსახურში გამოცხადებისა და მრევლის ჩაბარებისთანავე კონდრატეს პირველი და მთავარი საზრუნავი იყო სოფელში სამრევლო სკოლის გახსნა, რაც მან მალე განახორციელა. ამგვარად იგი სარბიელზე გამოვიდა როგორც მოქმედი მოღვაწე, მღვდელი და პედაგოგი, რომლის არსებაში ღრმად იყო გამჯდარი მწერლის სტიქია, ხალხის სამსახური სიტყვაკაზმული მწერლობით.

II

უკვე სამწერლო სარბიელზე გამოსული, მოწინავე იდეებით აღტერვილი კონდრატე თათარიშვილი ცხოვრებამ და სხვა ვიწრო ოჯახურმა გარემოებებმა აიძულა სიკაბუკეშივე ჩაეცვა ხუცესის ანაფორა. მაგრამ თავისი მოქმედებით და პრაქტიკული საქმიანობით კონდრატე ჩვეულებრივი სოფლის მოძღვარი — სიცრუისა, სიბნელისა და მშრომელთა ძარცვა-გლეჯის მოციქული არ იყო. იგი ყოველ ნაბიჯზე არღვევდა „ღვთისა და ერის“ დადგენილ წესებს. თავისი მრევლის ჩაბარებისთანავე, იმდენი იმეცადინა, რომ სოფელ კირცხში სამრევლო სკოლა გაახსნევინა და სანამ შტატის მასწავლებლებს გამოუგზავნიდნენ, თვითონვე იყო ამ სკოლის გამგეცა და ყველა საგნის მასწავლებელიც. ღარიბ მოსწავლეებს წიგნებსა და რვეულებს თვითონ აძლევდა უფასოდ. ამასთანავე სულ მუდამ მოსახლეობის ულარიბეს ნაწილში ტრიალებდა. ყოველ გაპირვებაში მათი დამხმარე, მრჩეველი და გზის მაჩვენებელი იყო, რაც მთავარია, კ. თათარიშვილმა ზელი აიღო ე. წ. დრამის ფულზე, რომელსაც მხოლოდ გლეხობა იხდიდა მღვდლის შესანახად. მთავრობის მიერ დანიშნული ჯამაგირიც მეყოფაო, — განაცხადა თურმე. ამ საქციელმა სოფლის ბობოლა ხუცები აამხედრა „მეტიჩარა სოციალისტის“ წინააღმდეგ.

ხმამ კონდრატეს „საქციელის“ შესახებ მშობლიურ სოფელ აბასთუმნამდე და ხეთამდე მიაღწია. საკმაოდ გავლენიანი მღვდელი — ბესარიონ შუშანია შეხვედრია თუ არა სასულიერო აკადემიაში ახალ კურსდამთავრებულ თავის მეზობელ იპოლიტე ვართაგავას, პირველ რიგში, კონდრატეს სამწუხარო და შემარცხვენელი საქციელი უამბნია მისთვის: რომ კონდრატემ კურთხევის შემდეგაც არ დაიშალა თავისი უცნაურობანი; კვირა დღეებში სოფლელებთან ერთად მღერის და ფერხულში ჩაბმული ცეკვავსო, სოფლის ახალგაზრდებთანაც ბურთაობს, სიმინდის გათოხნის დროს თავის ნადთან თოხით ხელში დილიდან საღამომდის პერანგის ამარა, როგორც ყოველი გლეხი, ყანაში მუშაობს, სახალხო დღეობებში დადის, ცრუმორწმუნე სოფლელებთან ღამის თევასაც არ თაკილობს, ნაცვლად იმისა, რომ ხალხს აუხსნას წარმართობის გადანაშთების მავნებლური ხასიათი და მისი გადაგდება მოუწოდოს, ხალხს ეუბნება: საკურთხი, ქელეხი, ალაპი და სხვა ამგვარები მავნე ჩვეულებაა, ხალხს აქვეითებს ეკონომიურად, მღვდლებს ამდიდრებს და მიცვალებულს არაფერს არგებაო. უფრო მეტი: მიცვალებულის წესის აგებისათვის, საორმოცო წირვისათვის და სხვა სახის მღვდელმსახურების შესრულებისათვის გასამრჯელოს არაისაგან არ იღებს, თუ ჯვარიწერისა და ნათლობისათვის მაჩუქეს რაამე, ისიც საკმარისიაო. „ერთი სიტყვით, ეს თქვენი ნაქები კონდრატე, უკაცრავად პასუხია, თავს იგდებს და სამღვდელოებასაც სახელს გვიტეხსო“ (იპ. ვართაგავა, სილუეტები, 128).

ამ სიტყვების მთქმელი აბა რას დაგიდეედა იმას, რომ კონდრატე ბელეტრისტი

იყო. მისთვის აუცილებელი იყო ხალხში ყოფნა ხალხურად, ისე, როგორც ალ. ყაზბეგისათვის — მწყემსობა და მწყემსური ცხოვრება — გარკვეულ პერიოდში ძაინც. გაბღინძულ ბობოლა ხუცებს და ბლაღოჩინებს ის აწუხებდათ, რომ ახალგაზრდა კონდრატეს გათვითცნობიერება შეჰქონდა მოსახლეობაში. ბლაღოჩინთმა გოშუას მოთხოვნით უდისციპლინო და ხალხში არევ-დარევის შემტანი კ. თათარიშვილი სოფ. კირცხიდან გააძევეს. მთიანი სამეგრელოს სოფ. ლიაში გადაიყვანეს, ცხადია, მთელი რიგი უფლებების შეზღუდვით.

კონდრატემ რაკი დაინახა, რომ მშრომელი მასები მის მხარეზე იყო, ამ უსამართლო დატუქსვას და დამარცხებას არც შეუშინდა და ვერც შეურიგდა. საქმე საეგზარქოსოში გადაიტანა, ამხილა სრულიად გაუნათლებელი ბლაღოჩინის უმეცრება, უხამსი საქციელი, მექრთამეობა, ინტრიგანობა და სხვა. ეგზარქოსმა თვითონვე გამოცადა ბლაღოჩინი და რაკი წაყენებული ბრალდებანი დადასტურდა, იგი მაშინათვე მოხსნა თანამდებობიდან, ხოლო გამართლებული კ. თათარიშვილი კვლავ თავის ძველ მრევლსა და სკოლაში დაუბრუნებია. ამას კი გამოუწვევია ნაბლაღოჩინარ გოშუას ნათესავებისა და სხვა ადგილობრივ თავად-აზნაურთა განრისხება კ. თათარიშვილის მიმართ. ამიტომ 1901 წელს ის გადაიყვანეს მასწავლებლად სოფ. ხეთაში ე. წ. „Второклассное церковно-учительское" სასწავლებელში.

უფარაღოს დაწერილი აქვს ერთი შესანიშნავი მოთხრობა. ამ მოთხრობაში აღწერილია სწორედ ის ამბები, რაც ავტორს სოფ. კირცხში გადახდა. ნაწარმოებში ავტორის შეხედულებასა და თავგადასავალს გადმოგვცემს ახალგაზრდა მღვდელი ალექსანდრე ნოზაძე. ხოლო მის მოწინააღმდეგეთა ბანაკის სულისკვეთების გადმომცემია მისივე დიაკონი, მოხუცი დათაია, რომელიც ნოზაძის წინამოადგილეს, აწ განსვენებულ ივანე მღვდელს ასე უხასიათებს თავის ახალ მოძღვარს: „იშვიათი კაცი იყო სწორედ, კაცი კი არა, მამალი მგელი იყო სულგანათლებული, სოფლელების ხერხი იცოდა, მაგრამ იმასაც კბილით ეჭირა მრევლი. ცხვირით მიწას ახვნევინებდა, ვინც უნდა ყოფილიყო და თავის მართებულ უკანასკნელ მარჩილამდე გაღაახდევინებდა, საწყალი და მაგისთანები იმან არ იცოდა".

ახალგაზრდა მღვდელ ნოზაძეს ბარემ არ მოსწონს ყველაფერი ეს, რასაც დათაია უყვება, მაგრამ მაინც გულდასმით უსმენს თავის მასპინძელს, დაწვრილებით იგებს და ეცნობა თავისი წინამოადგილისა და სხვა მეზობელი სოფლის ხუცესთა ანგარებიან მოქმედებასა და საქციელს, სოფლის ჭირ-ვარამსა და მოსახლეობაში დამკვიდრებულ სიდუხჭირეს, განუკითხავ ძარცვა-გლეჯასა და მშრომელ მოსახლეობაში გამეფებულ სიღატაკეს, რასაც მან პირისპირ შეხედა სოფელში გამოვლისას და განსაკუთრებით კი ბევრი რამ ნათელი გახდა მისთვის იმ გლეხთან საუბარში, რომელთანაც გზაზე შეისვენა. ამ გლეხთან და შემდეგ დათაიასთან გამართულ დიალოგში ავტორს გამოვლინებული აქვს იმ პერიოდის ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი სოფლის ცხოვრების შემაძრწუნებელი სურათები. ამ შემთხვევაში ჩვენი ავტორი ქართველი ხალხოსანი მწერლების ტრადიციების გამგრძელებელია.

1902 წელს ს. მგალობლიშვილისა და სხვა გავლენიან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით, კ. თათარიშვილი თბილისში გადადის, მაგრამ იმ პირობით, რომ ანაფორა არ გაეხადა. ასეთი იყო მოთხოვნილება ოჯახისა. ისიც, ხუცობაზე გულაცრუებული, ოჯახშიც ვერ მალავდა, რომ ამ პროფესიისათვის არ იყო გაჩენილი. ეს აღიარება დიდი უსიამოვნებას იწვევდა მის ღრმად მორწმუნე მეუღლესა

და ნათესავებში. მეტი გზა არ იყო. რაკი ლიტერატურული შრომით იმ ხანებში მწერალს, რაც უნდა ნიჭიერი და პროდუქციულიც ყოფილიყო, თავის შენახვა არ შეეძლო, თათარიშვილი მღვდლობას თავს არ ანებებს. თბილისში იოანე ნათლისმცემლის რუსულ პატარა ეკლესიაში ეწყობა მღვდლად. მაგრამ რაკი ეკლესიას ძლიერ მცირე მრევლი ჰყავდა და კონდრატე არ იყო დატვირთული მათი მომსახურებით, მასწავლებლობასაც განაგრძობდა ყუკიის სამისიონერო სკოლაში. მუდამ ინიციატივიანმა კონდრატემ იმდენი იმეცადინა, რომ თავის ეკლესიასთანაც გახსნა ე. წ. второклассное ქალთა სკოლა, რომლის გამგე თვითონვე იყო.

კონდრატე არც ამით დაკმაყოფილებულა. 1902 წ. საქართველოს საეპარქიო სასწავლო საბჭოსათვის უთხოვია ყუკიის სამისიონერო სკოლასთან მოსწავლეებისათვის გაეხსნა წიგნის სამკაზმაო სახელოსნო, რომლის მოწყობა-მომარაგება სათანადო ხელსაწყო იარაღებით თვითონვე უკისრია. აღნიშნულ საბჭოს ეს თხოვნა დაუკმაყოფილებია იმ პირობით, თუ მთელ პასუხისმგებლობას სახელოსნოს მუშაობაზე პირადად კონდრატე აიღებდა თავის თავზე. სამკაზმაო უნდა დამორჩილებოდა იმ საერთო წესებს, რაც მაშინ მთავრობის მიერ იყო დაწესებული თბილისის სტამბებისა და წიგნით მოვაჭრეებისათვის (საქ. ლიტ. მუზეუმი, ხ—10684). ეს პასუხისმგებლობა პირველ რიგში გულისხმობდა იმას, რომ სამკაზმაოში, მით უფრო, სადაც მოსწავლეებს უნდა ემუშავნათ, არ შესულიყო რაიმე აკრძალული და „მავნე“ ლიტერატურა. კონდრატე კი ამგვარ ლიტერატურიდან, როგორც ამას ქვეევითაც დავინახავთ, შორს არ იდგა და ეს მისი სახელოსნოც, ცხადია, ყოველთვის საფრთხის წინაშე იყო.

ამგვარად, დედაქალაქში დაბინავებულმა კონდრატემ საგრძნობად გაიმინდვრა თავისი ბუნებრივი მოწოდებისაკენ. უფრო მეტად სამწერლო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობით დაიტვირთა. სამოქმედო სარბელი გაფართოვა, თავის ძველ მეგობრებთან (ია ეკალაძე, ილ. აგლაძე, ივ. ახალშენიშვილი, გ. და ალ. ყიფშიძეები და სხვ.) და თანამეკალმეებთან ერთად ჩაება მშობლიური მწერლობის სამსახურში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. თათარიშვილი ხელცარიელი არ სტუმრებია თბილისსა და ქართულ მწერლობას. „მოამბეს“, „ჯეჯილსა“ და „კვალში“ მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ოთხი მოთხრობა („მშვიდობით,“ „ჩემი რა ბრალია?“, „მე და ბიძაჩემი“ და „ჩაიზე“), ხოლო დასრულებული ჰქონდა ვრცელი რომანი „მაძიებელნი“, რომლის ცალკე წიგნად გამოცემა უსახსრობის გამო ვერ მოეხერხებია.

უკვე დაწერილშვილებული კონდრატე თბილისში არც მორალურად და არც ეკონომიურად მაინცდამაინც თავს შეეიწროებულად არ გრძნობდა. თავისი პედაგოგიური შრომით და ძირითადი სამსახურით ოჯახს ინახავდა, ხოლო ლიტერატურული მოღვაწეობა ნივთიერად თუ ბევრს ვერაფერს იძლეოდა, სამაგიეროდ მწერალი სულიერ კმაყოფილებას განიცდიდა, შემოქმედებითად იზრდებოდა, მისი ბელეტრისტული ნიჭი თანდათან ვითარდებოდა.

კონდრატემ თავისთავი თვითონვე გამოკვეთა დაუცხრომელი შრომით, უმაწვილობიდანვე სანუკვარ ოცნებას ეწია, მწერალი შეიქნა, მშობლიური ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი მონაწილე, მოწინავე პრესის აქტიური თანამშრომელი — ბელეტრისტი და პუბლიცისტი — ამას ემატებოდა მისი მეორე მხარე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური განწყობილება, რამაც ის მაშინდელ რევოლუციურ და არალეგალურ მოღვაწეებთანაც დააახლოვა, მათი სანდო პირი გახადა.

დაიწყო 1905 წლის რევოლუცია. თბილისში მდგარ მესამე მსროლელთა ბატალიონის ჯარისკაცთა შორის ჩამოყალიბებულ რევოლუციურ ჯგუფში აღმოჩნდა

პროვოკატორი ვინმე ლარიონოვი, რომელმაც გასცა ჯგუფის აქტივისტები და ხელმძღვანელი. ჯგუფისავე დადგენილებით ჯარისკაცმა X-მა ჯაშუში მოჰკლა. ამ ტერორისტული აქტისათვის მას დახვრეტა მოელოდა, თუ კი თავს ვერ უშველიდა გაპარვით. ამ საპასუხისმგებლო საქმის შესრულება ჯგუფის ხელმძღვანელ მ. კვარაცხელიას მიუნდვია ჯგუფთან დაახლოებულ ვასილ გადელიასათვის. მასაც უკისრია ეს მძიმე საქმე კონდრატე თათარიშვილის გამბედაობაზე დამყარებით. ეს ვასო გადელია, რომელიც ამჟამადაც ცოცხალია, მაშინ არალეგალური და რევოლუციური ლიტერატურის გამავრცელებელი და გამომცემელიც იყო. ის იყო აგრეთვე რედაქტორ-გამომცემელი რევოლუციური გაზეთისა „ჩვენი ცხოვრება". დიდი მეგობარი იყო კ. თათარიშვილისა, რომელსაც მიჰგვარა დასახელებული ტერორისტი. დასამალავად. კ. თათარიშვილმა მოხერხებულად ისარგებლა ეკლესიის ხელუხლებლობით, სახიფათო სტუმარი თავის პატარა ეკლესიის საკურთხეველში ამყოფა სამი დღე-ღამის განმავლობაში. მესამე დღეს კი ჯიბეში პასპორტით და სამოქალაქოდ გამოწყობილი ტერორისტი ბაქოსაკენ გაამგზავრეს (საქ. ლიტ. მუზეუმი. ხ — 10708).

მარტო ამგვარი ფათერაკიანი ნაბიჯით როდი ამოიწურება კ. თათარიშვილის მონაწილეობა რევოლუციაში. მას, როგორც პრესის მუშაკს, საკმაოდ გაბედული და მახვილი კალამი ეპირა ხელთ მშრომელთა მტრების სამხილებლად. იგი „ნაცნობი სურათების" საერთო სათაურით გაზეთ „სიტყვაში" სისტემატურად ათავსებდა ცარიზმისა და მისი დამჭაშების წინააღმდეგ მიმართულ სტატიებსა და ფელეტონებს და მზის სინათლეზე გამოჰქონდა რეაქციული ძალების ბნელი საქმიანობა.

„ერთა საპყრობილის" მაშინდელი მესვეურების სტოლიპინისა და ტრეპოვის განკარგულებებით შეპირვებული ქართველი ხალხი ისე, როგორც მისი თანაპყრობილები, შედგარ წინააღმდეგობას უწევდა შავრაზმელთა შემოტევას. შავრაზმელებიც, რა თქმა უნდა, დიდ ერთგულებას იჩენდნენ თავიანთი მაკურთხებლის — ცარიზმისადმი, რომელიც „განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა" (ი. ბ. სტალინი, ტ. 4, გვ. 388). თვითმპყრობელობის ეს ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, შავრაზმელთა აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკანობა უაღრესად გამწვავდა, მაგრამ მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, რომლის სათავეში ჯერ კიდევ იდგნენ ილია, აკაკი, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე და სხვ., ერთმანეთისაგან არჩევდნენ ორ რუსეთს, ებრძოდნენ ცარისტულ რუსეთს, ხოლო ახალი რუსეთის წარმომადგენლებს მეგობრობდნენ და მათთან ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. კ. თათარიშვილის საგაზეთო სტატიების სერია ამგვარი ვითარების აშკარა გამოვლინებაა.

1906 წლის გაზეთ „სიტყვაში" (№ 5) იგი ენერგიულად ილაშქრებს თვითმპყრობელობის და მისი ჩინოსანი და არაჩინოსანი ავაზაკების წინააღმდეგ, რომელნიც ძარცვავდნენ, გლეჯდნენ, ცხრა ტყავს აძრობდნენ ხალხს და შემდეგ კიდევ სცემდნენ, რატომ მეათე ტყავი არ გეზრდებაო. ავტორის აზრით ხალხს მოთმინება გამოელია, იგრიალა და 17 ოქტომბერს თვითმპყრობელობა გააუქმა... მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეს გაუქმება რეალური არ გამოდგა, ტახტი და მისი კანონები არ დაემხო, პირიქით, უფრო გააგიჟა თვითმპყრობელობა და მისი დამჭაშები და რადგანაც „გიეს კანონი არ უწერია", დასძენს ავტორი, — „დღევანდელი თვითმპყრობელობა სრული გიჟური თვითნებობაა, რომელმაც არც კანონი იცის, არც მოქალაქეობრივი გრძნობა და არც უბრალო სირცხვილი".

კ. თათარიშვილი იქვე იძლევა მაშინდელი რუსეთის იმპერიაში და კერძოდ სა-

ქართველოში გამეფებული საალყო წესებისა და რეპრესიების აღწერას, ახასიათებს მეფისა და „ქრისტეს მოყვარე“ გენერლების თავგასულობას: „ვთქვათ, გენერალ-გუბერნატორს ცოლმა გული მოაყვანია, მისი აღმატებულება, როგორც დედა გვამი, ნაზი გრძნობისაა და, როგორც სამხედრო პირი, ზრდილობიანია. ცოლს ვერა სცემს, მაგრამ ვინმეზე კი უნდა იყაროს ჯავრი. „ესროლეთ, ვინც ქუჩაში გაიარეს, არ დაზოგოთ პატრონები!“ — შეუძლიან ბრძანოს მის აღმატებულებას, ბრძანება დაუყოვნებლივ აღსრულებული იქნება და მის აღმატებულებას ამისათვის პასუხს ვერავინ მოსთხოვს. ან კიდევ, ვთქვათ, მის აღმატებულებას როიალი და ბრილიადონები მოყირჭდა, როგორც სამხედროს, ზარბაზნების გრიალის გაგონება მოუნდა. ბრძოლის ველი შორსაც არის და საშიშიც და ან რა საჭიროა, როცა შეუძლია ბრძანოს: დაუშინეთ ამა და ამ სახლს ზარბაზნები — და ნამდვილი ბრძოლის ველი გადაეშლება თვალწინ“. ავტორის აზრით მეტიც არის შესაძლებელი, რადგანაც სულით ავადმყოფი ბიუროკრატია განაგებს ქვეყანას და მოჰყავს ზოგიერთი ასეთი ფაქტიც: „ამას წინეთ ერთმა სალდათმა თავისი ამხანაგი მოჰკლა ვითომდა მეფის ცუდად ხსენებისათვის. მკვლელი არამც თუ არ დასაჯეს, ათი მანეთიც კი იჩუქეს „სიყოჩაღისათვის“, ეფრეიტორის ხარისხი უბოძეს და მეფის მადლობა გამოუცხადეს“.

ამგვარი ფაქტების საკმაო ილუსტრირების შემდეგ ავტორი კვლავ სვამს ასეთ კითხვას: „სად ეცხოვრობთ, მკითხველო, საგიჟეთში თუ გონიერი ადამიანების საზოგადოებაში?“.

კ. თათარიშვილის პუბლიცისტური კალამი მწვავე მათრახად გადაწვდა ბიუროკრატიული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც ერთ-ერთ სხდომაზე გულისამაჩუყებელი სიტყვა უთქვამს. ამ სიტყვაში ის თურმე ცრემლს აფრქვევდა იმის გამო, რომ რეკოლუციონერებთან შეჯახებისას დახოცილ პოლიციელებს უპატრონოდ და უმწეოდ დარჩათ ოჯახები. მაგრამ „ბატონ მინისტრს დავიწყებია, რომ ის შეჯახება, რომლის დროსაც დაიხოცნენ ეს პოლიციელები, შედეგია ბიუროკრატიის ველური თვითნებობისა. და თუ რევოლუციამ რამდენიმე ასი პოლიციელი შეიწირა, სამაგიეროდ იმავე რევოლუციის თავიდან, ასაცილებლად პოლიციურმა ბიუროკრატიამ რუსეთის ასი ათასი საუკეთესო, ძალ-ღონით სავსე მოქალაქეთა სისხლი მანჯურიის ველებზე დაღვარა“.

ავტორი ილაშქრებდა აგრეთვე მეფის ოხრანკის მიერ გაჩაღებულ ებრაელთა რბევასა და სომეხ-თათართა ელეტის წინააღმდეგ. საუკუნეებით დაკავშირებული მეზობლები სომხები და თათრები ერთმანეთს დაერივნენ, ერთმანეთის სისხლით მორწყეს კავკასიის მთა და ბარი, მაგრამ მიზანი და მიზეზი ამ მხეცური ხოცვისა ორივე ერის წარმომადგენლების შეერთებულმა კომისიამაც ვერ გამოარკვიაო... ავტორის მართებული მტკიცებით, ყველა ამ უბედურების მიზეზი და წყარო ბიუროკრატიული მთავრობის ბობოლა მოხელეებისაგან მოხერხებულად მოქსოვილი პროვოკაციული ქსელი იყო.

კ. თათარიშვილის ამგვარი ხასიათის სტატიების მიმოხილვა ძლიერ შორს წაგვიყვანდა. ჩვენ აქ ვერც კი ჩამოვთვლით ყველა იმ საკითხს, რასაც მისი კალამი შეხებია 1905-7 წლების განმავლობაში, მისი მსოფლმხედველობისა და საერთო საზოგადოებრივი აზროვნების გასაცნობად მოყვანილიც კი საკმარისია.

კ. თათარიშვილი მთელი თავისი არსებით რევოლუციის მხარეზე იდგა. რევოლუციას ის სპილოს ეძახდა, რომელიც თავისუფლად განაგრძობდა გზას და ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორი საცოდავი ყეფით და წკმეტუნით მისდევდნენ უკან ბოშიები — თვითმპყრობელობის სატრაპები და დამცველები.

„დიდებულია რევოლუცია და რევოლუციური ხანა, — წერდა ის, — თუნდაიმითაც, რომ ცნებანი და წარმოდგენანი ქვემოთ იბადება, მაღლა ადის და საზოგადო კანონად ხდება“. მწერალი დიდი მოტრფიალე და პატივისმცემელი იყო სიტყვისა და წერის თავისუფლებისა და ბეჭდვითი სიტყვის ზრდილობიანი კილოსი, რომელიც, — აღნიშნავდა ის, — ბოლო დროს ძლიერ ხშირად ილახება ჩვენშიო, და იქვე მოჰყავდა მაგალითი თელავის 21 მუშის წერილისა გაზეთ „შრომიდან“ (№ 63, 1906): „ჩვენ, მუშებს, გვესმის სხვადასხვა პარტიათა შორის გაჩაღებული იდეური ბრძოლა, მხოლოდ ქუჩური ლანძღვა-გინებისა და მუშტი-კრივისა არაფერი გვწამს და არც არავის ნებას არ მივცემთ, ისიც ჩვენი სახელით, ასეუტიფრად და საზიზღრად ილანძღებოდეს“... ვაშა იმ ჯგუფს, რომელსაც ის წერილი ეკუთვნის! ოქროს ასოებით დასაწერი სიტყვებიაო. — დასძენდა იგი („სიტყვა“, 1906 წ. № 6).

კონდრატე თათარიშვილის ხელნაწერებში არის ერთი ავტოგრაფული საგაზეთო სტატია, რომლის მინაწერიდან ჩანს, რომ იგი გაზეთ „ისარში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ცენზურას დაუკავებია, თუმცა რედაქტორ ილ. აგლაძეს. და ავტორსაც ამ სტატიის დასაბეჭდად ცდა არ დაუკლიათ. წერილში მხილებულია 1907 წ. სასულიერო სემინარიაში მომხდარი მცირე ექსცესები და მისი მიზეზები, რასაც მეტად აღუშფოთებია სემინარიის ხელმძღვანელობა და მისი პედაგოგიური საბჭო. პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ათიოდე შეგირდი უნდა გაერიცხათ სემინარიიდან.

ავტორი, რომელსაც თავად განუცდია სასწავლებლის მკაცრი რეჟიმი, წერს: „ვისთვისაც მუხანათ ბედს ურგუნებია სემინარიის ადმინისტრაციისა და ალმზრდელ-მასწავლებლების უმრავლესობის გაცნობა, ეს ამბავი სრულებით ხრ გაუკვირდება, რადგან სემინარიის ხელმძღვანელობას, როგორც ბიუროკრატიული რეჟიმის ხორცს-ხორცთაგანს და ძვალს-ძვალთაგანს რეპრესია, დასჯა-წამების მეტი სხვა არავითარი საშუალება არ სწამს მოზარდი თაობის აღსაზრდელად. თუმცა მრავალი წელია ცდის ამ ღონისძიებას და ანგარიშში ყოველთვის ტყუვდება, მაგრამ მაინც მტკიცედ სწამს თავისი დახავსებული ტიბიკონის ძლევამოსილება...“

შემდეგ ავტორი განმარტავს მოსწავლეთა მღელვარების მიზეზებს, ეხება რიგ მტკივნეულ საკითხებს და ასკვნის, რომ 7 და 10 შეგირდის გარიცხვით საქმე არ გარიგდება, მდგომარეობას არა ეშველება რაო. „რომ შველებოდა, — განაგრძობს იქვე,—ჩვენი ბედნიერი თვალების წინ რამდენი ახალგაზრდა გაირიცხა, რამდენჯერ სულაც დაკეტეს სემინარია, რამდენი და რა სახის რეპრესიები არ იხმარეს, მაგრამ ოდნავ მაინც გამოსწორდა საქმე?.. არც გასწორდება, სანამ უკმაყოფილების მიზეზი დედაბუდიანად არ იქნება აღმოფხვრილი. ეს მიზეზი კი გახლავთ ცხოვრების მიმდინარეობისა და სემინარიაში არსებული მყარალი ტრადიციის შეურიგებლობა. ცხოვრება წინ მიდის, მუდამ დღე ახლდება, სემინარიის ტრადიცია კი აშმორებული ჭაობივით დაგუბებულა, ერთ ადგილას დგას და განძრევის ეშინია...“

როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, კონდრატე თათარიშვილი პრაქტიკულადაც მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრით აქ დასახელების ღირსია ერთი ეპიზოდი, რომელიც ჩვენი მწერლის პრინციპულობას, შეუპოვრობასა და ხასიათის სიმტკიცეს გვიხატავს. სხვათა შორის ამ ეპიზოდმა დიდი გავლენა მოახდინა მის მომავალ ცხოვრებაზე.

1906 წლის ზაფხულზე, თბილისის სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში

(ამჟამად ხელოვნების მუზეუმი) ეგზარქოსის ნებადაურთველად შეკრებილან საქართველოს სამღვდელოების დელეგატები. ასეთი ნებართვა რომც ეთხოვათ, ვერ მიიღებდნენ, რადგანაც შეკრების მთავარი საკითხი იყო საქართველოს ეკლესიის გამოყოფა, მისი ავტოკეფალურობისა და დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც ეგზარქატის გაუქმებას გულისხმობდა. ამ კრებაზე კ. თათარიშვილსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია და მეორე, იმ დღეებში მეტად გამწვავებული საკითხი წამოუყენებია. ეს საკითხი ეხებოდა მინგრელსკის პოლკის იმ 27 ჯარისკაცს, რომელთაც რეეოლუციონერთა მხარეზე გადასვლისათვის მეფის სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. კონდრატე სთხოვდა სამღვდელოების კრებას, გამოიჩინოს გამბედაობა, ჰუმანიურობა და კაცთმოყვარეობა და კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვს პეტიციით სთხოვს, რათა ამ უკანასკნელმა შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილება და 27 ჯარისკაცს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. კრების წევრთაგან მხოლოდ 18 კაცს მოუწერია ხელი კონდრატეს მიერ შედგენილ არზაზე, მეცხრამეტეც ხომ თვითონ იყო. თათარიშვილს არზა დანიშნულებისამებრ წარუდგენია.

მეფისნაცვლის კანცელარიას ეს ამბავი ეგზარქოსისათვის უცნობებია. ამ უკანასკნელს მისგან ნებადაურთველად მოწვეული კრება უკანონოდ, არალეგალურად და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლად გამოუცხადებია და მოუთხოვია კრების მონაწილეთა დასჯა, მაგრამ რა საშუალებით და ღონისძიებით უნდა მიეკვლია მათთვის. ხელში შერჩათ მხოლოდ ის 19 კაცი, რომელნიც ხელს აწერდნენ მეფისნაცვლისადმი მირთმეულ პეტიციას. მთელი რისხვა ისედაც მრისხანე ეგზარქის ნიკონისა ამ 19-ისაკენ მიიმართა. ყველანი მასთან დაიბარეს და მოსთხოვეს მის წინაშე მონანიება და მუხლმოდრეკით ეთხოვათ პატიება, ხოლო ხელმოწერა ოფიციალურადვე უარეყოთ და უკანვე წაეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკრეჭა, ეკლესიიდან განკვეთა, ციხე და ციმბირი მზად იყო. როგორც სხვადასხვა დოკუმენტებიდან ჩანს, ყველას მოუნანიებია გარდა ერთისა. ეს ერთი იყო კონდრატე თათარიშვილი, მან ქედი არ მოიხარა ეგზარქის წინაშე, არც გამოცხადდა მასთან, არ მიიღო მისგან „ბოძებული" უსიტყვო კაპიტულაცია და „პატიება", თავი დამნაშავედ არ ცნო. პირიქით, თავი ამაყად დაიჭირა და საბრძოლველად მოემზადა.

კ. თათარიშვილის ასეთი საქციელისათვის ეგზარქოსს და მის სინოდალურ კანტორას შესაფერი კვალიფიკაცია მიუცია და დაუყენებიათ საკითხი თათარიშვილის ეკლესიიდან განკვეთის, სკოლიდან მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ, და ეს მისთვისაც ოფიციალურადაც უცნობებიათ. კონდრატე ამ მუქარაზე არ შეუშინებია, ვრცელი აპელაციით მიუმართავს რუსეთის უწმინდეს სინოდისათვის, მისთვის უცნობებია საქმის გარემოება, ცდილა დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა. პირიქით, იმასაც ასაბუთებდა, რომ ნამდვილად ასეც უნდა მოქცეულიყო, უნდა დაეცვა ქრისტიანთა სიცოცხლე, ამ შემთხვევაში კი „უდანაშაულო" 27 რუსი ჯარისკაცისა. თავის აპელაციის ერთ ადგილას ის მოხერხებულად წერდა:

„Но разве требование отменить смертную казнь и ходатайство священников Христовой церкви людей не предавать смерти, противно догматам церкви и духу христова учения? Разве этим нашим действием, „без воли епископа", последнему грозит опасность, что он воздаст ответ о душах их?.." (საქ. ლიტ მუზეუმი, ხ—10697)... მაგრამ უწმინდეს სინოდს, რო-

მელმაც ერთ-ერთი მაშინდელი გაზეთის ცნობით სწორედ მაშინ მიითვისა „უწმინდესობა“, როცა მეტისმეტი ხრწნილებისაგან სუნი აუვიდა, — აპელაციის ამ სიტყვებმა და სიმართლის ღაღადმა გული არ აუჩუყა. საქართველოს ეგზარქისა და მით უფრო კავკასიის მეფისნაცვლის ვითომდა შეუვალობა ვერ დაარღვია და საქმე კვლავ უკან დაბრუნა შესასწავლად და გადასაწყვეტად.

ამ ორომტრიალს თათარიშვილმა მეტად ორიგინალური დასასრული მოუძებნა. ერთ-ერთ საპარიკმახეროში შეიარა, თმა და წვერი გაიპარსა, ულვაშები კი, როგორც პატიოსნებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო, დაიტოვა, ანაფორა გაიხადა და თმაწვერი სათანადო წარწერით ეგზარქოს ნიკონს გაუგზავნა ნობათად! * კონდრატეს ამგვარი „კადნიერი“ საქციელი კიდევ უფრო აღმაშფოთებლად მოეჩვენა სულიერ მამათა იერარქს და „ეშმაკეულს“ მოხსნა, დაწყევლა და ეკლესიიდან განკვეთა არ აკმარა. კ. თათარიშვილი „ვითარცა მწვალებელი“, „ღმერთის უარმყოფელი“ და, რაც მთავარი იყო, მტერი მეფისა და მისი მთავრობისა, მეფის ოხრანკის სათანადო ორგანოებს ეცნობა და ამგვარად, სულიერ მამათაგან მოშხამულ ატმოსფეროდან განთავისუფლებული თათარიშვილი ჟანდარმერიის დაზვერვის ყურადღებაში მოექცა და თითქმის არალეგალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ყოველ წუთში დაპატიმრება და გადასახლება მოელოდა. (ლიტ. მუზეუმი, ხ—10695, 10697).

აღნიშნულ გარემოებას კ. თათარიშვილი არ შეუშინებია. პირიქით, უფრო ენერგიულად და ნაყოფიერად განაგრძო თანამშრომლობა ქართულ პერიოდულ პრესაში. „სიტყვა“, „მეგობარი“, „ამირანი“, „ისარი“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“ „გრდემლი“ და სხვ. სიამოვნებით ათავსებდნენ თავიანთ ფურცლებზე კ. თათარიშვილის მოთხრობებსა, ესკიზებსა და ნარკვევებს ფსევდონიმით — „უიარაღო“. ეს ფსევდონიმი სწორედ მას შემდეგ დაიბადა, როცა კონდრატემ ეგზარქოსთან ბრძოლა დაასრულა, ეკლესიიდან და საერთოდ სასულიერო წოდებიდან თავი ამოირიცხა და ასე, რელიგიური ატრიბუტებიდან სრულად განწმენდილ-გაანიარაღებული გარეგნულადაც ნამდვილ ერისკაცობას დაუბრუნდა. როცა მისი ბიბლიურ მოტივზე დაწერილი ნოველების სერიიდან — პირველი, „რაბი იიშუ“ გამოაქვეყნა 1906 წ., ამის შემდეგ ქართველი მკითხველისათვის უიარაღო გახდა ერთი საყვარელი ავტორთაგანი, რომელიც ნამდვილად განიარაღებული და უიარაღო კი არ იყო, არამედ სულ სხვა ახალი საპურველით, მეტად მახვილი იარაღით, ბელეტრისტის ბასრი და მრავალმეტყველი კალმით შეიარაღდა.

ამის შემდეგ უიარაღო — კ. თათარიშვილი მწერალი და რედაქციის მუშაკი 6 წელიწადი თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიც ჰქონდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა. ერთ დროს რკინიგზაზეც უმუშავნია, სადაც თურმე ძლიერ დაუახლოვდა მუშებს და ახლო გაეცნო მათ ცხოვრებას. მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს ერთ თავის კერძო წერილში, ჟანდარმერიამ და საიდუმლო პოლიციამ არ მოასვენა. საიდუმლო პოლიცია და ჟანდარმერია ზედმიწევნით ერკვეოდნენ, თუ როგორი გამოძახილი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებაში კ. თათარიშვილის მიერ ჩადენილ „დანაშაულს“, რომელსაც ემატებოდა ამ თითქმის არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი კაცის მოწინავე პრესაში თანამშრომლობა.

* იხ. სოხუმის „ლიტერატურული ალმანახი“, № 8, პლატონ ბებიას ნარკვევი „გამოჩენილი მწერალი“, გვ. 202.

რამდენად რეაქცია ძლიერდებოდა და ფრთებს ისხამდა, იმდენად კონდრატეს მდგომარეობა უარესდებოდა და მის სურვილებს ფრთები ეკვეცებოდა. ჩხრეკა და ზეერვა თავს აბეზრებდა. მშობლიური ქვეყნის, ცოლ-შვილისა და ნათესავ-მეგობრების მოყვარული თათარიშვილი იძულებული შეიქნა სამშობლოდან წასელაზე ეზრუნა, მეუღლე და თავისი საყვარელი სამი გოგონა დროებით დაეტოვებინა, ან. როგორც თვითონ წერს ერთ კერძო ბარათში, „თავისთავისათვის ეშველნა" და საზღვარგარეთ, ბელგიაში გამგზავრებულიყო.

III

საარქივო დოკუმენტები ადასტურებენ, რომ უიარაღო ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ჩასული 1912 წლის 15 ივნისს. ამ ჩასვლის მიზანი, ცხადია, უმაღლესი განათლების მიღება იყო, რაზედაც ის დიდი ხნიდანვე ოცნებობდა. ბრიუსელის უნივერსიტეტის არჩევაც წინასწარი განზრახვის შედეგი იყო. მას უთუოდ ჰქონდა მიმოწერა იმ ხანებში ბრიუსელში მყოფ ქართველ სტუდენტებთან, რომელთა შორის, როგორც ქვევით დავინახავთ, მეგობრებიც ეგულებოდა.

ამ ქართველთა შორის, გარდა სტუდენტებისა, თვითმპყრობელური მთავრობისაგან დევნილი რევოლუციური მოღვაწეებიც (თედო სახოკია) ყოფილან, რომელთა შესახებ ცნობებს თვითონ უიარაღოს დღიურები იძლევა.

ბრიუსელში ჩასულ კ. თათარიშვილს დღიურების წარმოება 1912 წლის 20 აგვისტოდან (ახ. სტ.) დაუწყია და იმავე წლის 17 ოქტომბრამდე გაუგრძელებია. ამ დღიურებიდან ირკვევა, რომ ეს ორი თვე მან უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებას მოანდომა. ყოველდღიური და ინტენსიური მუშაობის შედეგად, კერძო მასწავლებლის ქ-ნ დელაის გულისხმიერი დახმარებით, იმდენად დაუფლებია ფრანგულ ენას, რომ მოსმენილი ლექციებისა და გაზეთში წაკითხულის გაგება თავისუფლად შეძლებია. ამავე დროს მოუხერხებია ქ. ბრიუსელის მნიშვნელოვან ადგილებსა და სამეცნიერო დაწესებულებებსაც გაცნობოდა. ამ მხრივ მას აღნიშნული აქვს დღიურში: საბუნებისმეტყველო მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, კოლონიის მუზეუმი, ინტერნაციონალური მუზეუმი, მეფის სასახლეები და პარკები, ქალაქის გარეუბნები და განსაკუთრებით კი სოფელ ტეროვიფრენის განთქმული ტყე, წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები და სხვ. ბრიუსელშივე დაუმეგობრდა იგი თედო სახოკიას, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა კ. თათარიშვილს. ხვდებოდა აგრეთვე ბრიუსელში მყოფ სხვა ქართველებს: დავ. კასრაძეს, სანდრო ორჯონიკიძეს და გერონტი ქიქოძეს, რომლის აზრით კ. თათარიშვილი „თავისი ოპტიმიზმით და სიცოცხლის სიყვარულით საუკეთესო წარმოდგენას იძლეოდა ქართველი ხალხის ენერგიაზე" (გ. ქიქოძე, მოგონებანი, გვ. 146).

თედო სახოკიას მეშვეობით კ. თათარიშვილი იმავე ხანებში გაეცნო და დაუახლოვდა პროფ. იოტეიკოს, რომელიც იყო მეგობარი ნიკ. დომ.-ძე ყიფიანისა, ის უმეგობრდება აგრეთვე თვით ნ. ყიფიანის ასულ ნინოს და მაშინ ბრიუსელში მცხოვრებ ჩვენს ლიტერატორს და მთარგმნელს პალიკო ყიფიანს. ყველა ისინი კ. თათარიშვილს გულითადად ეხმარებიან, რომ იგი, რადაც უნდა დაუჯდეს, ჩაერიცხოს ბრიუსელის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე გეოლოგიურ განყოფილებაში. დაბრკოლება არცთუ მცირე იყო. ერთ-ერთ პროფე-

სორ Vuis განუცხადებია, რაკი მისი ატესტატი სემინარიისა გიმნაზიის პროგრამას არ ედრება, უნივერსიტეტში ჩარიცხვა არ შეიძლება, თუ თქვენს საკონსულოდან არ მოიტანთ სათანადო მოწმობას. აკაც თედო სახოკიასა და პალიკო ყიფიანის დახმარებით საქმე გაჩარხულა, საკონსულოს ასეთი მოწმობა გაუცია და ჩვენი 40 წლის აბიტურიენტიც ნამდვილი სტუდენტი ხდება ბრიუსელის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისა — გეოლოგიის განყოფილებაში და, როგორც თვითონვე წერს უკანასკნელ დღიურში, სტუდენტის კუდიც დაუხურავს

ამის შემდეგ დღიურები მას არ უწერია. მხოლოდ 7 წლის შემდეგ, 1919 წლის 11 ნოემპერს მოუძებნია დღიურიხ ეს რვეული, რომ ამ ხნის განმავლობაში განცდილი ასე ლაკონურად მიეწერა: „თითქმის 7 წელიწადია, რაც დღიური არ დამიწერია. სადღიუროდ ვის ეცალა, ცეცხლი მადგა. 1914 წლის 18 ივლისს ჩავაბარე პირველი საკანდიდატო გამოცდა. ორი კვირაც არ გასულა, რომ ომი ატყდა... ბელგია გერმანელებმა დაიპირეს. უნივერსიტეტი დაიკეტა და მთელი ოთხნახევარი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო. ჩვენს ქვეყანასთან მიწერ-მოწერა შეწყდა. ნიეთიერ შეეიწროებას და ზნეობრივ ტანჯვას საზღვარი არ ჰქონდა... მაგრამ ტირილიდანაც არა გამოდიოდა რა. ბევრი მწუხარება გამოვიარე, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. ვიმეცადინე რაც შემეძლო. საბედნიეროდ უნივერსიტეტის წიგნთსაცავის სარგებლობის უფლება მქონდა და კარგადაც ვისარგებლე. მხოლოდ წელს, 1919 წ. იანვრის დამლევს, გაიხსნა უნივერსიტეტი. მარტის დამლევს მიეედი მეორე საკანდიდატო გამოცდაზე და მშვიდობით გადავრჩი. გავაჩაღე ხელახლა მუშაობა და აი მდგომარე 9 გიორგობისთვეს ჩავაბარე პირველი სადოქტორო გამოცდა. შვიდი წლის ჩემი საშინელი შრომა და მწუხარება, ამ ბედზე, მაინც დაგვირგვინდა. სწორედ ახლა მომიეიდა პირველად ამბავი შინიდან, რომ ჩემიანები ცოცხალნი ყოფილან“ (ლიტ. მუზეუმი, ხ — 10723).

გადის კიდეე ორი წელიწადი, კ. თათარიშვილი აღწევს დასახულ მიზანს, ასრულებს უნივერსიტეტის სრულ კურსს და იმავე დღეს, 1921 წლის 12 ივლისს, დღით სამშაბათს, კვლავ მონახავს თავისი დღიურების ძველ რვეულს და უკანასკნელად მიაწერს: „დღეს ჩავაბარე მეორე სადოქტორო გამოცდა. 9 წლის ტანჯვა-წვალება ძვირად დაჯდა, მაგრამ საქმე მაინც ბოლომდე მიეიდა“.

ეს ამონაწერები ცხადად ამტკიცებენ, რა დიდ გაჭირვებას განიცდიდა კ. თათარიშვილი უცხოეთში. მიუხედავად ამ გაჭირვებისა, უიარაღოს სულიერი სიმტკიცე ბოლომდე შეუნარჩუნებია. ინტენსიურ საუნივერსიტეტო მეცადინეობასთან ერთად ცდილა, თავისი შემოქმედებითი სტიქია არ ჩაექრო, შიგადაშიგ მოთხრობები და ნარკვევები ეწერა და მშობლიური პრესისათვის მიეწოდებინა. კავშირი არ გაეწყვეტა მშობლიურ ქვეყანასთან, მწერლობასთან, ნათესავებთან და მეგობრებთან. ჯერ კიდეე 1913 წლის 14 ივლისს, როცა ის მეორე კურსზე გადადიოდა, თავის მეგობარს ვასო გადელიას ერთ-ერთ წერილში სწერდა: „...ვაი ჩემი ცოდვა, როგორ შეუქამივართ უმეცრებას, არა თუ ცოდნა, რამე გამოსადეგი საქმის წარმოდგენაც არა მქონია. მაგ ჩემი ცოდვით დატვირთულებმა 14 წელიწადი აბრაამის და ისაკის ზღაპრები მაზეპირებინეს და ის კი არ დამასწავლეს, თუ წყალი რისგან შედგებოდა. მაგრამ არა უშავს რა. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც წინ, წინ და წინ. ერთადერთი ჩემი ნუგეში ისაა, რომ ენერგია და სწავლის ხალისი კარგი მაქვს“ (ლიტ. მუზ. ხ — 10587).

ამ სტრიქონებიდან ნათლად ჩანს დიდი ოპტიმიზმი, ენთუზიაზმი და დაუცხრომელი ენერგია ადამიანისა, რომელსაც გადაუწყვეტია, რათაც უნდა დაუჯდეს,

ღიპურვოს ცოდნით და მთელი თავისი ძალ-ღონით ეს ცოდნა და შესაძლებლობა მშობლიურ ხალხს მოახმაროს.

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად ხელმოკლეობისა და დატვირთვისა, უიარაღოს ქართულ მწერლობასთან კავშირი არ გაუწყვეტია. ბრიუსელში ყოფნის დროინდელ მის თხზულებათაგან აღსანიშნავია მოთხრობები: „მღვდელი და დიაკვანი", „მოხუცებულები და დეკამერონი" და ნარკვევები „მსოფლიო გამოფენა ქ. განში", „შეშლილთა სამეფოში" და სხვა, რომელნიც იმ პერიოდის ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე გამოაქვეყნეს. ომისა და რევოლუციების შემდეგ კონდრატეს დიდად გაუჭირდა ბრიუსელში ცხოვრება. სამშობლოსთან კავშირის აღდგენა ვერ მოხერხდა. ცალკე ნივთიერი სივიწროე, ცალკე თავისიანების მდგომარეობის უცნობლობა, ისედაც მძიმე პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა. იგი იძულებული იყო ყოველგვარი გზისა და საშუალებისათვის მიემართა, ოღონდ „თავისათვის ეშველა". ამ მხრივ საყურადღებოა და ბევრი საინტერესო ცნობების შემცველი მისი მიმოწერა მაშინ პარიზში მყოფ ქართველებთან.

1921 წლის 12 ივლისს ის უკანასკნელ გამოცდას აბარებს. მიიღებს გეოლოგიის დოქტორის დიპლომს და წამოსასვლელად შეუდგება მზადებას. მაგრამ კვლავ უსახსრობა და სხვა სახის დაბრკოლებები წამოეკრებიან წინ. ამ ხნის განმავლობაში დიდი პოლიტიკური ცვლილებებიც მოხდა. მენშევიკების ბატონობას ბოლო მოეღო და საქართველოში საბჭოთა წესწყობილება დამყარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შესახებ მისი მტრები ათასნაირ ჭორს ავრცელებდნენ, კ. თათარიშვილი წუთითაც არ შეყოყმანებულა. ბტკიცედ გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და მიღებული ცოდნით მშრომელი ხალხის სამსახური.

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად საჭირო სახსრებისათვის კ. თათარიშვილი იძულებული გამხდარა პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილისათვის მიემართნა. ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იმ ხანებში პარიზში ცხოვრობდა და იცავდა მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოდან გატაცებულ ისტორიულ განძეულობას და თანაც ღარიბ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტშიც მუშაობდა. ე. თაყაიშვილს უსახსრობის გამო დახმარება ვერ აღმოუჩენია უიარაღოსათვის, მაგრამ პასუხი არ დაუყოვნებია და ისეთი რჩევა-დარიგება მიუცია და გზაც უჩვენებია, რომ სასურველი შედეგი მოჰყოლია. რადგან თაყაიშვილის ეს პასუხი მეტად დამახასიათებელია და საჭირო ცნობების შემცველი, იგი ღირსია მთლიანად ჰქვე მოვიყვანოთ: „პარიზი. 15 მარტი. 1922 წ. ბ-ნო კონდრატე! თქვენი წერილი 6 მარტის თარიღით ამა წლისა სტუდენტთა დამხმარე კომიტეტმა მიიღო, ძალიან სასიამოვნოა, რომ კურსი დაგისრულებიათ და საქართველოში დაბრუნება დაგისახავთ მიზნად. და ამის გამო თხოულობთ კომიტეტისაგან დახმარებას სამშობლოში დაბრუნებისათვის. სამწუხაროდ, კომიტეტი მოკლებულია ყოველგვარ ღონისძიებას, რომ თქვენ რაიმე მატერიალური დახმარება აღმოგიჩინოს. ამდენ ხანს სტიპენდიანტებს ეძლეოდათ მცირეოდენი დახმარება, უმეტესად ისი ფრანკი თვეში, მაგრამ ჯერაც არ ვიცით, აპრილიდან მიეცემათ თუ არა, ვინაიდან მთავრობას სახსარი სრულიად არ მოეპოვება. რომ რაიმე ღონონ სულ ორ-სამ თვეს თუ გააგრძელეს, ისიც დიდი საქმე იქნება. მერმე კი არავითარი იმედი, არავითარი პერსპექტივა არ არის დახმარებისა. ასეთია მდგომარეობა და ჩვენ ძლიერ ვწუხვართ, რომ თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთ.

ოუმცა ეს ჩვენ არ შეგვეხება, მაგრამ მეტი არ იქნება, რომ მიმართოთ თბილისი „ჩემოს“ საზოგადოებას გაავაში, ჰოლანდიაში. და მათ თხოვოთ საგზაო ფული, თუნდ იმ პირობით, რომ თქვენ პირადი სამსახურით აუნაზღაურებთ მათ საქართველოში. მე მგონია, მათთვის გეოლოგი უაღრესად საჭიროა და სახსარიც აქვთ ხელი გაგიმართონ. ღრმა პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი“ (ლიტ. მუზეუმი, ხ—10561).

ამ გზით თუ სხვა საშუალებით, კონდრატეს სამგზავრო თანხა მოუგროვებია და 1922 წლის 24 აპრილს ბრიუსელიდან წამოსულა.

კონდრატემ გადასერა დასავლეთი ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები (გერმანია, ავსტრია, იუგოსლავია, ბულგარეთი და სხვ.) და კონსტანტინოპოლს ჩავიდა. მოინახულა იქაური ქართველები, ზოგი ნაცნობ-მეგობრები და ამერიკაკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლობაში სამშობლოში წამოსასვლელი ჯეროვანი ვიზა ითხოვა. წარმომადგენლობა, როგორც ჩანს, კონდრატეს განზრახვას პატივისცემით და თანაგრძნობით მოკიდებია და 1922 წლის 16 მაისს მისთვის ამგვარი შინაარსის მოწმობა მიუცია: „**Дано сие гражданину Кондрату Татаришвили, Грузинскому подданному в том, что он отправляется в Грузию и везет с собой книги и геологические инструменты, необходимые ему для научных целей. Просим все Советские власти оказать К. Татаришвили всяческое законное содействие**“... (საქ. ლიტ. მუზეუმი, ხ—10684).

რამდენიმე დღის შემდეგ კონდრატე თავის განახლებულ სამშობლოს ესტუმრა. მოინახულა სოფელი, ქალაქი, ცოლ-შვილი, მშობლიური ოჯახი, თავისი საბუთები განათლების სახალხო კომისარიატს წარუდგინა და თვითონ კელავ სოფელში დაბრუნდა, რომ ზაფხული ძველებურად ყანაში და ბაღ-ვენახში მუშაობით გაეტარებინა. ზოგიერთის ცნობით, სოფელში საკუთარი მეურნეობის აღდგენა და გაჩაღებაც განუზრახავს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი პირობები, როცა ისახებოდა დიდი გეგმები სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ქალაქის ინდუსტრიალიზაციისა, როცა ფართოდ იშლებოდა სოციალისტური მშენებლობა და კულტურული რევოლუცია, როცა თითზე ჩამოითვლებოდა ასეთი დარგის სპეციალისტები და ისიც დოქტორი, კონდრატეს სოფლის იდილიური ცხოვრებისათვის ვინ გაიმეტებდა. ის იმავე წელს გამოწვეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ჩააბარეს გეოლოგიური განყოფილება, ხოლო მეორე წელს მიიწვიეს (შეთავსებით) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის კათედრაზე. ამის შემდეგ კ. თათარიშვილს — გეოლოგსა და წიაღისეული სიმდიდრის დაუცხრომელ მკვლევარსა და მაძიებელს — ეხედავთ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. მის ქაღალდებში დაცული უბის წიგნები, დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ნაშრომები, გეგმები, და ნახაზები წარმოგვიდგენენ საოცარი ენერგიისა და თავისი საქმის დიდი ენთუზიასტი მუშაკის სახეს, რომელსაც მტკიცედ განუზრახავს დაუცხრომელი და უანგარო შრომით სულ მოკლე ხანში შეევსო ის ხარვეზი, რაც ამ დარგში გააჩნდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურას.

გეოლოგი კ. თათარიშვილი ზედიზედ იკვლევს და სწავლობს შიდა ქართლის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელოს, ზემო და ქვემო იმერეთის, გურიის, აფხაზეთის, განსაკუთრებით კი თბილისის მიდამოებს. ამ ძიების შედეგად „უნივერსიტეტის მოამბეში“ აქვეყნებს ნაშრომთა მთელ სერიას, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულე-

ბ». ალაზნის ველის, კოლხიდის ველის დასავლეთი ნაწილის, გობნარის მიდამოების ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვები და თბილისის მიდამოების მოკლე გეოლოგიური და ჰიდროგრაფიული მიმოხილვა გეოლოგიურ მეცნიერებათა თანამედროვე ეტაპზეც მოქმედ შრომებად ითვლება.

გამოჩენილი ქართველი გეოლოგი აკად. ალ. ჯანელიძე კ. თათარიშვილის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა, რომ იმ დროს, როცა განსვენებული უნივერსიტეტში იქნა მიწვეული, გეოლოგიის კათედრა ჩვენს უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ჩანასახს წარმოადგენდა, გეოლოგიის ლაბორატორია ერთიანად შესაქმნელი იყო, სწავლება ჩამოსაყალიბებელი და ამ საორგანიზაციო მუშაობაში კ. თათარიშვილს მეტად საპატიო და პასუხსაგები როლი ხვდა.

კონდრატე თათარიშვილის მეცნიერებისადმი გულმხურვალებისა და უანგარობის სამაგალითო შტრიხია პროფ. გ. ჩიტაიას მოგონება, რომელშიც ის კონდრატეს მეტად მგრძნობიარე ბუნებისა და საქმის სიყვარულით გატაცებულ ადამიანად სახავს. „ერთხელ, — იგონებს გ. ჩიტაია, — არქეოლოგებს, გეოგრაფებსა და გეოლოგებს ერთად მოგვიხდა ექსპედიციაში გამგზავრება. ექსპედიციაში უთარაღოც იღებდა მონაწილეობას. უნდა გენახათ მისი აღტაცება, როცა მან ახალი ქანი აღმოაჩინა. თითქოს დაკარგული შვილი იპოვნაო, მივარდა და კოცნა დაუწყო ქანს, თან იძახდა: შენ გეძებდი, ჩემო ძვირფასო, შენ გეძებდიო. მაშინ დაწერა მან მოთხრობა „მოაზროვნე ტრილობიტი“. *

მოთხრობების წერა, მიუხედავად სამეცნიერო კვლევა-ძიებით გატაცებისა, პედაგოგიური მუშაობით დატვირთვისა და ყოველ პაპანაქება ზაფხულში საველე ექსპედიციებში ყოფნისა, კ. თათარიშვილს არ შეუწყვეტია. ეს მისი სტიქია იყო. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობით დატვირთულ უთარაღოს კალამს ეკუთვნის შემდეგი მოთხრობები და ნარკვევები: „ბედნიერება“, „მოაზროვნე ტრილობიტი“, „ჩემი მომხიბვლელი“, „ქვის ნაამბობი“, „აღსარება“, კინოსცენარი „მამელუკი“, „ბრიუსელიდან საქართველომდე“, „ქართული ენისათვის“, „კრიტიკული შენიშვნები“ და სხვ.

კ. თათარიშვილი დროს პოულობდა აგრეთვე იმისათვისაც, რომ თვითონვე შეედგინა პედაგოგიკის ისტორია, ეთარგმნა პედაგოგიკის კლასიკოსები და ამით შეეტანა ის ხარვეზი, რომელიც მაშინ გვქონდა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. კ. თათარიშვილის ხელნაწერებში თქვენ ნახავთ მისგან გარჩეულ ბეკონის, დეკარტის, კომენსკის, ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს, პესტალოცის და სხვათა პედაგოგიურ იდეებს, მათ შეხედულებებს ადამიანის აღზრდაზე და განათლებაზე, ან კიდევ მათ პედაგოგიურ ტრაქტატებსა და უმთავრეს თხზულებათა თარგმანებს ქართულ ენაზე. 1927 წელს პერნიხ პესტალოცის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად დაწერილ მონოგრაფიულ ნარკვევში იგი დიდი სიყვარულით წერდა გამოჩენილ შვეიცარიელ პედაგოგზე, რომ „მისი სახელი მუდამ იქნება სათაყვანებელი ყველა ეშმარიტი პედაგოგისათვის, მაგრამ განსაკუთრებით — საბჭოთა სკოლის პედაგოგისათვის. პესტალოცი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობით სიმბოლოა იმ დიდი პრინციპებისა, რომლის განხორციელებისაკენ მიისწრაფის საბჭოთა სკოლა“ (ლიტ. მუზეუმი, ხ — 10723). კ. თათარიშვილი ამ ნაშრომში იძლევა პესტალოცის აღზრდის თეორიის ანალიზს, შეფასებას და მის მნიშვნელობას თანამედროვეობისათვის, საბჭოთა სინამდვილისათვის.

---

* იხ. „ლიტერატ. ალმანახი“, № 8, პლ. ბეპიას ნარკვევი, გვ. 206.

დობით, მტაცებლობით და ავაზაკობით ცხოვრება, რომელიც საბოლოოდ განწირულია დასაღუპავად, როგორც კაენა და ბუხუ. უთუოდ დიდი ხელოვნებით, საგნის ცოდნით და მხატვრული სიმართლით აქვს ავტორს დამუშავებული ყანის სცენა, გზაზე გასული გლეხების საუბარი, ღამით ცხენის მოსაპარავად მისულ აბრაგებთან გლეხი უტუნას ბრძოლის სცენა, წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში მდგარი დიდი ცაცხვის ძირას შეკრებილ გლეხთა ბჭობა ცხენის ქურდობის მოსასპობად, სცენა სასოფლო „სასამართლოში" — მამასახლისის კანცელარიაში, სამეგრელოში, ძველ დროიდანვე გავრცელებული ჩვეულების — ძიძა-გაზრდილობის დახასიათება და სხვ. ამ მხატვრობას ამდიდრებს, აცოცხლებს და დამაჯერებელს ხდის დიდი ცოდნა სამეგრელოს ეთნოგრაფიისა, ყოფა-ცხოერებისა და ადათ-ჩვეულებისა.

ცხოერებისაგან გაძარცვულ-გაძვალტყავებული ახალგაზრდა გლეხის ტრაგიკული მდგომარეობა უთუოდ მეტად ძძაფრი და შემაძრწუნებელი ფერებითაა გაღმოცემული პატარა მოთხრობაში „ჩემი რა ბრალია?". კ. თათარიშვილი ნამდვილი გულის მესაიდუმლე და ხმალამოწვდილი ქომაგია „ყოველი მხრიდან" დაჩაგრული და აბუჩად აგდებული გლეხისა, რომელსაც მთელი სახელმწიფო სისტემისა და მისი ავანჩავანის შენახვა დასწოლია კისერზე.

1900-1913 წლებში კ. თათარიშვილი ზედიზედ აქვეყნებს მეტად საგულისხმო და თავის დროისათვის უეჭველად აქტუალურ მოთხრობებს: „მე და ბიძაჩემი", „ჩაიზე", „უსიამოვნო შეხვედრა", „დრუნჩას სიზმარი", „რეაქცია", „პირუთვნელი დაფასება", „წესდება", „მღვდელი და დიაკვანი" და მთელი ციკლი ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებული ნოველებისა. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე თავის დროზე აქტუალური ხასიათისა და თანამედროვე ეტაპზე საგულისხმო ნარკვევები, დოკუმენტური პროზის რამდენიმე ნიმუში „თბილისიდან ჯულფამდე", „შეშლილთა სამეფოში" და სხვ.

ამ მოთხრობებში ასახულია მეტად საინტერესო პერიოდის ცხოვრება, (1905-1907 წ. წ.). საკმაოდ მკვეთრად მხილებული და გაკიცხულია ბურჟუაზიული საზოგადოების ამორალურობა. იქ, სადაც ქადაგებენ უმანკოებას — ყელამდე მანკიერებაში არიან ჩაფლული, იქ, სადაც დიდი პათოსით მსჯელობენ მეგობრობაზე — მხოლოდ ღალატია ერთიმეორისა. ოჯახის შერყვნა და შეურაცხყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია მოთხრობა „ჩაიზე". მხილებული და სასტიკად გამათრახებულია: უსულგულო მოხელეები, მათი სიყალბე, მეპორეობა, თვალთმაქცობა, პროტექციონიზმი („პირუთვნელი დაფასება"), რაზედაც ღამყარებული იყო მათი მოღვაწეობა, ცხოვრება და იმდროინდელ მშრომელ ადამიანთა ბედი („პროტექცია"). ასევე დაუნდობლად აქვს მხილებული მშიშარა, კარიერისტი მღვდლები, მათი ქამელეონური სახე, გაუმაძღრობა („რეაქცია"), ხალხის მოტყუება, მშრომელთა ძარცვა-ყ�eფა („მღვდელი და დიაკვანი"), გონების დაბნელებისათვის ზრუნვა და მეფის მთავრობისადმი ერთგული, თითქმის მონური სამსახური. ყველაფერ ამისათვის ავტორს შერჩეული აქვს შესაფერი მხატვრული ფორმა, ბელეტრისტული ხერხები და მოხდენილი დიალოგები.

რაც შეეხება თათარიშვილის ალეგორიული ხასიათის ნოველებს, რომლებსაც ის აქვეყნებდა საერთო სათაურის ქვეშ „ბიბლიურ ჰანგზე", მეტად საყურადღებოა ლიტერატურული დამუშავების მხრივ. ნოველებში აღწერილი მოქმედება ხდება პალესტინაში, რომელიც რომის იმპერიის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისა და დამონების ობიექტია. რომის სარდლებისა და ცენტურიონთა განუკითხავი თარეში სულს უხუთავს გაძვალტყავებულ ურიასტანს, რომელსაც თა-

ვისი ხსნის იმედი იეღოვასაგან მოვლენილ მესიასათვის მიენდვია. ხალხი, ამ რწმენით დაიმედებული, მესიის მოლოდინში ღატაკდება, ფიზიკურად და მორალურადაც ეცემა, ბრძოლის უნარიანობას ჰკარგავს, მესია კი არსაიდან ჩანს. სამაგიეროდ ხალხის წიაღიდან გამოდიან ახალ-ახალი მასწავლებლები, ხალხის ხელმძღვანელები, რომელნიც მოუწოდებენ ერს ერთიანობისაკენ, საერთო მტერთან ბრძოლისაკენ. უცხოელთა ბატონობის დამბობისაკენ. მაგრამ ხალხის სულიერად დაქვეითებას, მის ეროვნული შეგნების ჩახშობასა და დაშლას ხელს უწყობს მთავრობის ერთგული აღგილობრივი მოხელეები და სამღვდელობა. რომელიც დიდი გავლენით სარგებლობს ფანატიკურად განწყობილ ხალხში. სამღვდელობა, რომლის სათავეში დგას სპეციალურად მოყვანილი უცხო ტომის მღვდელმთავარი, როგორც საქართველოში ეგზარქოსები, ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობს ერთგულება გამოიჩინოს მჩაგვრელის წინაშე და თვითონაც ხელი მოითბოს ერის სამსხვერპლოზე გამართულ კოცონზე. ამ ნოველების მიხედვით ხალხის მტერი მისიეე სამღვდელობა და ეკლესიაა.

ყოველი ნოველა გარკვეულ და დასრულებულ ამბავს გაღმოგვცემს. საქმე ისაა, რომ მათი საერთო და მთავარი მოქმედი პირია რაბი იიშუ (მასწავლებელი იესო), რაც ქრისტეს ნამდვილ სახელად არის მიჩნეული. ამ შემთხვევაში მწერალი-მიმღევარია გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ერნესტ რენანისა (1823-1892), რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ნაშრომი „ცხოვრება იესოსი". ამ ნაშრომში უარყოფილია ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება, მისი ღმერთკაცობა და სასწაულმოქმედება, რაც მის შემდეგ პერიოდში ჩამოყალიბებულმა რელიგიურმა დოგმატიზმმა მიაკუთვნა. აქ იგი აღიარებულია ჩვეულებრივ ადამიანად, რომელიც დურგალი იყო. ამ ხელობის წყალობით მას უხდებოდა ქალაქიდან ქალაქში და სხვადასხვა მხარეში სიარული, ეცნობოდა მშობლიური ხალხის ცხოვრების სიდუხჭირეს და ამავე დროს როგორც ნაკითხსა და განვითარებულ კაცს, გულს უკლავდა თავისი ქვეყნისა და საერთოდ მშრომელთა ჩაგვრა და ექსპლოატაცია. ამ გარემოებამ იიშუ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გამხდარიყო რაბი (მასწავლებელი), გამოეფხიზლებია რელიგიური ბანგით დაძინებული, ფარისევლების და მღვდელ-ლევიტელთაგან დაბრიყვებული და რომაელთაგან დამონებული მშობლიური ისრაელი ერი.

ამგვარი წიგნის დაწერისათვის მისი ავტორი, როგორც „მწვალებელი" და „ღვთის მგმობელი" კათოლიკურმა ეკლესიამ გარიცხა და შეაჩვენა. 900-იან წლებში ამ წიგნის ქართულად მთარგმნელმა ია ეკალაძემაც საკმაო რეპრესიები, საძღვდელობის რისხვა და დევნა განიცადა. უიარაღოს ბიბლიურ მოტივებზე დაწერილ ნოველებსაც ე. რენანის ეს შეხედულება უძევს საფუძვლად. მაშინ, როცა მთელ ქრისტიანულ სამყაროში იესო ქრისტე „ძე ღვთისად" და „ღმერთად" იყო აღიარებული, მის გარშემო შექმნილ რელიგიას ფანატიკურად მისდევდა ხალხი და, რაც მთავარია, ამ რელიგიის დოგმატებზე იყო აგებული სახელმწიფო სისტემა, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით იცავდა მისი თეთრი და შავი ეანდარმერია, ამგვარი ნოველების წერასა და გამოქვეყნებას, სადაც იესო (იიშუ) ჩვეულებრივ კაცად და ისიც მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა მოსარჩლედ იყო აღიარებული, უეჭველია, ერთგვარი რისკი და გამბედაობა უნდა ხლებოდა.

ასეთ გამბედაობას, როგორც ეს ზევით დავინახეთ, უიარაღო მოკლებული არ იყო. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საკითხი დასმული ქრისტეს, როგორც რეალური პიროვნების არ არსებობის შესახებ, მისი მითიურობის შესახებ და ამდენად მწერალს გაბედულად წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაეთვალოს ღმერთად აღია-

რებული იესოს ჩვეულებრივ და უბრალო ადამიანად დახატვა ქართველი მკითხველისათვის. ამავე დროს მთელი ამ ნოველების მანძილზე ავტორი გვევლინება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაჩაღების მქადაგებლად, რომელიც მთელი თავისი შეგნებით დგას რეოლუციურ და დემოკრატიულ პრინციპებზე.

ნოველებში ნაჩვენებია: რომაელების თარეში ურიასტანში, მათ მიერ სოლომონის ტაძრის შერყვნა, სამღვდელოების მიერ ტაძარში გაჩაღებული სპეკულაცია, უცხო ტომიდან მოსული მღვდელმთავრის ანნას განუსაზღვრელი თარეში, ირიდი მეფის უზურპატორობა, სამეფო კარზე დამკვიდრებული გარყვნილება. ჯაშუშობის გავრცელება, მშრომელი ხალხის შეშინება, მათი ძარცვა, გონების დაბნელება, ეკლესიის როლი ხალხის დამონებაში. შეგნების დაბალი დონე ხალხისა, რომელსაც რაბი ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ღატაკო და მშიერო ხალხო! განა შენ უნდა იყო ღატაკი?... განა შენი ოფლით არ აშენდა დიდებული ტაძარი იერუსალიმისა, სადაც ამჟამად თავის გემოზე ნებივრობს ურწმუნო, უცხოეთიდან მოსული ანნა მღვდელთმთავარი?... დროა, ძმანო, შეისმინოთ რამე... ჯაფისაგან ქედმოხრილნო და ხელებგატყავებულნო, უთქვენოდ არც ირიდი იმეფებდა... არც ანნა მღვდელთმთავარი ინებივრებდა და ვერც ლევიტელნი განცხრებოდნენ. მაგრამ თქვენ, თქვე უბედურნო, გაკლიათ შეგნება, არ გაქვთ ერთი პირი, არ იცით ერთმანეთის გატანა. სანამ ამას არ შეიგნებთ", — განაგრძობს იგი, — ძნელია მტერზე გამარჯვება, რომლის შემდეგ „საერთო ოფლით მოპოვებული თანასწორად განაწილდება და მაშინ შიმშილისაგან ასეთი დაუძლურებული არ იქნებით"... („რაბი იიშუ").

ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს ავტორის შეხედულება და თვალსაზრისი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ის ჩაგრული და ექსპლოატირებული კლასის მხარეზეა, მათ მოუწოდებს ერთიანობისაკენ, რადგან ერთობა მთავარი პირობაა გამარჯვებისა. ამ ერთობის შექმნაში ხალხს ხელს უშლის ეკლესია და მისი მუქთახორა მსახურნი, ვაჭარნი და სხვა მრავალი სახის ანგარნი („შოლტი"). ერთ-ერთ ნოველაში მეფე გამოყვანილია როგორც სისხლის მსმელი და ხალხის ჯალათი, რომელიც ცდილობს ყოველგვარი კეთილი აზრის ჩაქრობას, მაგრამ „ერის გულში ანთებული ცეცხლის ჩაქრობა სრულებით უკანასკნელ ნაპერწკლამდე. შეუძლებელია. ეს ნაპერწკალი კი ხშირად გრიგალად იქცევა ხოლმე"... („მეფე"). ამავე ნოველაში ასახულია, თუ როგორ ამხნევებენ ხალხის რისხვისაგან შეშინებულ მეფეს მისი დამქაშები და პირველ რიგში რელიგიის მსახური. „აქ არა ვართ, — ეუბნება მეფეს მღვდელმთავარი, — შენი ერთგული სამღვდელოება! ჩვენს ხელთ არ არის საღმრთო წერილი? საღმრთო წერილი კი ისეთია, როგორც წყალში ნავი. საითაც გინდა, იქითკენ მიაბრუნებ. სულ წმინდა მოშეს და მისი წინასწარმეტყველების სიტყვებით დაუმტკიცებთ მთელ ქვეყანას, რომ მეფეს უფლება აქვს, თუ არსებული წყობილების საწინააღმდეგო აღმოაჩინა, მის მოსასპობად ძალა იხმაროს!.."

ეს სტრიქონები იწერებოდა ჩვენს ქვეყანაში რეაქციის მძვინვარების პირობებში და მაშინდელი მკითხველი მასებისათვის ყველაფერი აშკარა და გასაგები იყო. ავტორს განსაკუთრებით მიზანში ამოღებული ჰქონდა რელიგიისა და მის მსახურთა მხილება, ნიღაბი აეხადა ღმერთის სახელით მოქმედ ეკლესიისათვის, როგორც თვითმპყრობელობის ერთი მძლავრი და საიმედო დასაყრდენისათვის. ერთ-ერთი გმირის პირით იგი ხალხს ეუბნებოდა:

„მღვდელმთავარი და მღვდლები ხომ იგივე ქურუმები არიან, ხალხის გონების დამხშველნი, ხალხის მიერ მიტანილი მსხვერპლით ჩასუქებულნი, კისერმო-

ღერებელნი ხალხსავე რომ დასცინიან, მათს გულებრყვილობას მასხარად იგდებენ“.. („უდაბნოში“). ავტორისავე აზრით ერების შეკავშირება არ შეუძლია „ხელით შეთითხნილ ქვათა გროვას — ტაძრად წოდებულს... ადამიანებს შეაკავშირებს, თუმცა პატარა, მაგრამ მუდამ მტოკავი, გრძნობით აღსავსე მხურვალე გული. მხოლოდ წრფელი სიყვარულით აღსავსე გულს შეუძლია კაცთა ნათესავი მიიყვანოს ერთ ტაძრად, რომლის სიგრძე-სიგანე განუზომელია“ (იქვე).

ამ განუზომელი სივრცის ტაძარში, რომელიც უთუოდ სიმბოლოა თავისუფლებისა და ერთა თანამეგობრობისა, ავტორს გათვალისწინებული აქვს სოციალური უთანასწორობის მოწესრიგებაც. მისი აზრით ქვეყნად „დამყარებული შესაძლებელი ბედნიერებით ყველანი უნდა ტკბებოდეს და არა ერთი და ორი“.

1912 წელს უიარაღომ თავის მოთხრობებსა და ნოველებს ბრწყინვალე გუმბათი დაადგა. ეს იყო ისტორიული მოთხრობა „მამელუკი“, რომელსაც თავის დროზე რევოლუციამდელი ქართული პროზის პატარა შედევრი ეწოდა. აქ შეიძლება ისიც ითქვას: რომ „მამელუკი“ ის ნაწარმოებია, რომელმაც თავისი ავტორი დროთა ვითარებისაგან ჩაძირვას გადაარჩინა. ეს მოხდა ცოტა დაგვიანებით, როცა „მამელუკი“ ცალკე გამოცემად მიეცა მკითხველს.

სხვადასხვა ისტორიული წყაროები და საბუთები გარკვეულად მოგვითხრობენ, რომ ამ კაცთა მოდგმის შემარცხვენელმა „აღებ-მიცემობამ“ საქართველოში ფეხი მოიკიდა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს ბოროტება მძვინვარებდა თითქმის მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამ საუკუნეთა განმავლობაში ვინ მოსთვლის, თუ რამდენი ასეული ათასი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, სყიდვით თუ ძალით მოტაცებული, გაუყვანიათ სხვადასხვა ბაზარზე.

ათი და ასიათასობით გაყიდულ ტყვეთაგან ხდებოდა შერჩევა იმ ჯანსაღი და ჩაუქი ჭაბუკებისა, რომელთაც მეომრებად ზრდიდნენ და წვრთნიდნენ. ყველაზე მეტ უპირატესობას ამ მხრივ კავკასიელებს და მათ შორის ქართველებს, აფხაზებს და ჩერქეზებს აძლევდნენ. სამშობლოსა და მშობლიურ გრძნობას მოწყვეტილნი, თავისი ერისა და ქვეყნისათვის ცოცხლად დამარხულნი, გამოიტირებდნენ რა თავისთავსა და ნათესავებს, სამშობლოს სიყვარულსა და ალერსს, დარწმუნებულნი, რომ მათთვის უკვე აღარ არსებობდა „მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი (რუსთაველი), „მრისხანე მამელუკებად“ იქცეოდნენ. მამელუკების საოცარმა გმირობამ და შემმართებლობამ თავად მრისხანე ნაპოლეონ ბონაპარტეს თავის დღიურში ასეთი სტრიქონები ჩააწერია: „მრისხანე მამელუკები მთელ აღმოსავლეთს შიშის ზარსა სცემდნენ და ამავე დროს სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ. ჩვენს დრამდე მათი ცხენოსანი რაზმები უძლეველად ითვლებოდნენ“... ამ უძლეველთა ქართველი სარდლებიდან სახელგანთქმული მხედართმთავრები იყვნენ 1770 წ. ეგვიპტის სულთანად აღიარებული ალი-ბეი, მამელუკთა ბელადები იბრაჰიმ-ბეი, ისმაილ-ბეი, მურად-ბეი, ოსმან-ბეი, ელფი-ბეი, აბულ ლაილაჰი და სხვ., რომელთა საარაკო გმირობაზე და ზღაპრულ თავგადასავალზე მოგვითხრობენ გამოჩენილი ისტორიკოსები და ევროპელი სარდლები.

აქვე უნდა გავიხსენოთ „ბაბილოვანის ბედნიერი ხელმწიფე“ დაუთფაშა—თბილისის გარეუბნელი ბიკი, ორბელიანთა ყმა დათიკო ბოჩოლაშვილი, რომლის ლეგენდარულ თავგადასავალზე პოეტმა გიორგი ლეონიძემ შესანიშნავი დოკუმენტები გამოაქვეყნა (ჟურნალი „დროშა“ 1954 წ., № 3). აქვე გასახსენებელია მ. ხუხუნის მიერ იმავე ჟურნალში (1955 წ,. №3) გამოქვეყნებული მეტად საინტე-

რესო ბასალები ნაპოლეონ პირველის ერთგული მცველის — მამელუკ როსტომის შესახებ. იგი ტომით თბილისელი ქართველი ყოფილა, რომელიც 6 წლისა მოუტაცნიათ და თავისი გვარი დავიწყებია.

სამეგრელოს 1857 წლის გლეხთა ამბოხების ერთ-ერთი მეთაური ეტუ მიქავა თავის სიტყვაში ამბობდა: „სამშობლოში თავი ვერ შეგვიფარებია, ჩვენზე ნადირობენ, გარეული ნადირივით დაგვდევენ". ამგვარადვე ჩივის „მამელუკის" ერთ-ერთი გმირი ტაია: „რა ცხოვრებაა, ბატონო, ჩვენი ცხოვრება, ქათმებივით გვიჭერენ და ოსმალებში გვყიდიან". ეი ფონი და უდანაშაულო ადამიანთა უმანკო სისხლით გაპოხიერებული ნიადაგი, საიდანაც აღმოცენდა უიარაღოს სოციალური შინაარსითა და ეროვნული შეგრძნებით გაჟღენთილი მოთხრობა „მამელუკი". ეს მოთხრობა ეკუთვნის იმ მსატვრულ ქმნილებათა რიცხვს, რომელიც მუდამ იზიდავენ მკითხველის ყურადღებას და თავიანთი მოტივებითა და მხატვრული შესრულებით დაუბერებელნი არიან.

„მამელუკის" ავტორი შეუდარებელი მხატვრული სურათებით გვიჩვენებს იმ ხანას, როცა შეგრელი გლეხი დღედაღამ იმის ნატვრაში იყო, რომ ისე არ ჩასულიყო საფლავში და მოსწრებოდა ამ დღეს, როცა ყანაში უთოფოდ შეძლებოდა წასვლა, დედაკაცს სადილი მარტოდმარტო მიეტანა და არაფრის შიში არა ჰქონოდა. მაგრამ ვიდრე ფოთის ციხეს ოსმალეთის ფაშა ფლობდა და ირგვლივ მდებარე მიდამოებს უთვალთვალებდა, გლეხის ამგვარი ნატვრა ამაო იყო. იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში არ იყო ძალა, რომელსაც შეძლებოდა, ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „შინაური წუწკების" ალაგმვა.

ეს „შინაური წუწკები" — თურქეთის აგენტები იყვნენ, დამპყრობთა მიერ გაბუნებული და სინდისზე ხელაღებული ყეოდალები და მათი დაძმაშები, რომელთაც შემოსავლის წყაროდ ადამიანებზე ნადირობა გაეხადათ. ეს ყველაფერი იცის „მამელუკის" გმირმა — ავაზაკთაგან გატაცებულ პატარა ხვიჩას მამა ტაგუია აბელიამ. ისიც კი იცის, რომ ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს ბრძანება გაუცია ტყვეების გამყიდველთა წინააღმდეგ და დიდად გახარებულია, ეგებ რაიმე გეშველოს და ნორმალური ცხოვრება დაგვიდგესო, მაგრამ კვლავ გულის ტკივილი შეიპყრობს, როცა გაახსენდება ლ. აბაშიძე და მისი მსგავსი ურჩი ფეოდალები, რომელნიც ამტუტებენ ჩვენს ქვეყანას და ამ აღრეულობით პირადი ანგარებით სარგებლობენ. მან ისიც იცის, რომ განხეთქილებისა და შფოთის მიზეზია „ისევ დადია, მისი კარისკაცები, თავადები, ჭყონდარი და მაგისთანები, თორემ. — ფიცით განაგრძობს ის, — თარ-ანგელოზს გეფიცები, მე და ოკრიბელი, ჩემსავით მხვნელ-მთესველი, თავის დღეში არ ავიშალოთ და ერთმანეთის მოსაკლავად არ მივიწიოთ..."

ამავე დროს ტაგუიას ეროვნული შეგნება საკმაოდ მაღალია. იგი ყოველთვის მზად არის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გავიდეს. იგი არ არის პარტიკულარულად განწყობილი. მაგრამ არც დიდი პროტესტანტია. მას აწუხებს საქართველოს დაყოფა-დაქსაქსვა სამთავროებად და სამეფოებად და ერთმანეთთან მტრობა-შური, ერთიანობის მომხრეა, ქვეყნის გაძლიერებისა და საერთო მტრისაგან თავის დაცვისა. ბატონყმობა მის შეგნებაში კანონზომიერი მოვლენაა, მხოლოდ ის აწუხებს და აღელვებს, რომ ამ ბატონყმობის ფარგლებში გლეხთათვის ორსებულ კანონებსაც არღვევენ, საუკეთესო ახალგაზრდებს, ქალებსა და ვაჟებს სამშობლოს გულიდან წყვეტენ და უცხოეთში ჰყიდიან, ამით ჩვენი ქვეყნის ძლიერებასა და ერის გამრავლებას ძირს უთხრიან.

ეიარაღოს ამ დიდი ოსტატობით შესრულებულ მოთხრობაში მამელუკად გვე-

ვლინება მეგრელი გლეხის ტაგეია აბეჟიას უმცროსი შვილი ხვიჩა, რომელიც ადგილობრივმა „წუწუკებმა“ მოიტაცეს, როცა მამა და ძმები ყანაში იყვნენ და ყმაწვილი იქვე მახლობელ სერებზე თხებს მწყემსავდა. შემდეგ იგი ეგვიპტეში გაჰყიდეს მამელუკთა რიგებში ჩასარიცხავად.

მართლაც, ხვიჩა, რომელსაც მახმუტი დაარქვეს, ჩინებული მამელუკი და შემდეგ ერთი უნიჭიერესი სარდალი გამოდგა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ბრძოლებში გამარჯვებებით წარმატებულს თანდათან დაავიწყდა ყოველივე მშობლიური და შეიქნა ერთი უერთგულესი მამელუკი, რომლის ხმალს ვერავითარი მოწინააღმდეგე წინ ვერ დაუდგებოდა, და აჰა, ნაპოლეონის ძლევამოსილი არტილერია პირისპირ შეება ეგვიპტის სახელგანთქმულ მამელუკთა არმიას, რომლის უბადლო სარდალს მახმუტს გულდაგულ მიეტევება ეიღაც ვენეციელი. მაგრამ ბრძოლებში გამოწრთობილი მახმუტი ხმლის ერთი მოქნევით ძირს დასცემს განგმირულ ვენეციელს, რომელსაც გულიდან აღმოხდება კიდევ უფრო გულგამგმირავი ხმა „ვაი, ნანა“. ამ სიტყვების გაგონებაზე მახმუტი ქანდაკებასავით გაშეშდება. მის გონებაში გრიგალივით გაირბენს მივიწყებული სამშობლო, თავისი მოგზაურობა ქართველ ტყვეებთან და უცებ შისგან მოკლულ ვენეციელში შეიცნობს მასავით გაყიდულ სალომეს და რეზოს შვილს და თვითონაც ამ შეცნობის მსხვერპლი ხდება. „საზარელ ბრძოლის ველზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი ერთმანეთს გადაჯდობილი გვამიც ეგდო. ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს ვენეციელი გვარდიელის მუნდირი.

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“.

აქვე სვამს ავტორი წერტილს და მკითხველი გრძნობს, რომ ასე მარტივად ნათქვამ სიტყვებში რაოდენი შინაარსია ჩადებული, რა სულიერი დრამატიზმით გადმოცემული, რა მონუმენტური შინაგანი მღელვარებაა ეროვნული თვითშემეცნებისა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორის მეტყველება ყოველთვის სადაა, მოხდენილი, გასაგები, მაღალფარდოვანებას მოკლებული, მუდამ გამჭვირვალე, ნაკადულივით მდინარი, რაც მკითხველს ადვილად იტაცებს და მხატვრული სურათების ტევრში აგრძნობინებს თავს.

უიარაღოს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაზე დიდი მხატვრული ტილოა რომანი „მაძიებელნი“, რომელიც მეორე ტომში დაიბეჭდება. ამ სატირულ რომანში მკვეთრი მხატვრული სახეებით მოცემულია იმდროინდელი სამეგრელოს საზოგადოებრივი ცხოვრების დასრულებული სურათები. მწერლის პალიტრა ამ მხრივ მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ამ მხარის მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სოციალურ ფენას, სადაც მეტად რელიეფურად არის გამოკვეთილი ბატონყმობის შემდეგ დეგრადაციის გზით მიმავალი თავადაზნაურთა ყოფა და გლეხთა ეკონომიურად გაძლიერების პროცესი. ამ პროცესში ავტორს შენიშნული აქვს გლეხური წრიდან გამოსული წვრილბურჟუაზიული ელემენტი, რომელიც ახალი ტიპის ექსპლოატატორად ევლინება მშრომელ გლეხობას. ასე რომ, მწერალი ცდილობს გაუზვიადებელი მხატვრული სახეებით, მკვეთრი ფერებითა და ცოცხალი სურათების ექსპონირების საშუალებით მკითხველს დაანახოს ფეოდალურ-მემამულური საზოგადოებრივი წყობილებიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში მომხდარი პროცესები საქართველოს ამ კუთხეში, სადაც ისტორიულად ყველაზე გვიან გაუქმდა ფეოდალური სამთავრო.

სამთავროს ამ ვეიან გაუქმებას დაჰყვა ერთი შესამჩნევი მომენტი. ადგილობრივი თავადაზნაურობის რეგისტრაციის დაგვიანება რუსეთის იმპერიის შესაბამ აქტებში და ამის გამო მათი თავის წოდებაში გვიანამდე დაუმტკიცებლობა. გასულ საუკუნის 80-90 წლებში ამ საკითხმა რამდენადმე მახინჯი ფორმა მიიღო. გამოჩნდნენ ისეთი ყალბის მქნელებიც, რომლებსაც აზნაურის წოდებაში შეჰყავდა ის, ვისაც საკმაოდ მოზრდილი თანხის გადახდა შეეძლო, და ის კი, ვისაც ეს წოდება წინაპრებიდან ჰქონდა გადმოცემული, ჰკარგავდა მას ჯეროვანი საბუთის წარუდგენლობის გამო. ეს საბუთი ზოგს დაჰკარგვია, ზოგისათვის მოუპარავთ და ამის გამო საუკუნეებით მონაღვაწევ წოდებას უნდა გამოთხოვებოდნენ.

უიარაღოს რომანის სიუჟეტის მთავარი ღერძი ამ „კეთილშობილთა წოდებაში“ დამამტკიცებელი საბუთის ძიებაა. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ისედაც გაღატაკებული აზნაურების მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. უდარდელმა ცხოვრებამ ეს პრივილეგიური წოდება შრომას გადააჩვია. ეკონომიურად დაქვეითებული, თითქმის არაფრის მქონე აზნაურობა თავისი ძველი წოდების შენარჩუნებას მაინც ჩაებღაუკა, რადგან იგი ერთგვარი კომპენსაცია იყო მონარქისტულ წყობილებაში. სამეგრელოში „ხმა გავრცელდა: თავადაზნაურობას საბუთი უნდა მოეთხოვოს და ამით მათი ღირსება უნდა დამტკიცდესო. ცალკე კომისიებს აკგენენ და ვისაც სურს დაიმტკიცოს ეს წოდება, საბუთები იქ უნდა წარმოადგინოს“ რომანში თავისი ძველი წოდების დამამტკიცებელი საბუთების მაძიებლები არიან აზნაური ბასილ მძებრაძე და მისი მოგვარენი, რომელთაც ოდესღაც დადიანისაგან მიცემული სიგელი დაჰკარგოდათ და ვერც ერთი თანამოგვარის ოჯახში ვერ აღმოაჩინეს.

თავადაზნაურთა ეს უკანასკნელი გაბრძოლება მწერალმა უაღრესად რეალისტური სურათებით გვიჩვენა. სამეგრელოს ამ წოდების ბედი უიარაღოს რომანის მიხედვით ძლიერ მოგვაგონებს ზემო იმერეთის „შემოდგომის აზნაურების“ ბედს, რომელიც ასე მონუმენტური ხასიათებით, უკვდავი ტიპებითა და გაუხუნარი საღებავებით დაგვიხატა დავით კლდიაშვილმა. დ. კლდიაშვილის მოთხრობების გავლენა და მათთან სიუჟეტური ნათესაობა ამ ნაწარმოებში შესამჩნევად იგრძნობა. აღსანიშნავია ის მომენტიც, რომ 1893-94 წლებში, როცა დ. კლდიაშვილის სადებიუტო მოთხრობები ზედიზედ ქვეყნდებოდა და ამ ნიჭიერი მწერლის გარშემო საზოგადოებრივი აზრი იქმნებოდა, ბურსაში მყოფი კ. თათარიშვილი საშწერლო კალამს იღებდა და „მშვიდობითისა“ და „მაძიებელნის“ სიუჟეტებს ამუშავებდა. პირველი, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, თავის დროზე იყო გამოქვეყნებული, მეორე, მეტად ვრცელი, სამკარიანი რომანი, რომელიც 1902 წელს ჰქონდა დამთავრებული, რიგ ხელისშემშლელ მიზეზთა გამო, თავის სიცოცხლეში ვერ გამოუქვეყნებია. ასე, რომ თავის დროზე ნათქვამი სიტყვა, თავის დროზე მოხდენილად ჩანაფიქრი და შექმნილი მრავალმეტყველი სურათები მეტად დიგვიანებით გაიცნო ქართველმა მკითხველმა.

„მაძიებელნი“ ერთი უტყუარი მხატვრული მატიანეა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ სამეგრელოში, შექმნილი მდგომარეობის გარკვეული პერიოდის ფარგლებში. ამ ნაწარმოების ავტორი დიდი მცოდნეა გლეხის ცხოვრებისა, მისი სულისკვეთებისა და ბუნებისა. ვისაც პირველ რევოლუციამდელ სამეგრელოში უცხოვრია, ან ეინც იქ დაბადებულა და გაზრდილა, მისთვის საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს რომანში დახატული სურათების სიზუსტე, მხატვრის დაკვირვებული თვალი, განცდილის აღქმისა და გადმოცემის უნარი, მისი ბელეტრისტული ხერხები და

დაუნდობელი სატირა გარდასული დროისა' და წოდების მიმართ. ამ მხრივ „მაძიებელნი“ ერთი საუკეთესო ნიმუშია კრიტიკული რეალიზმის თვალსაზრისით შესრულებულ მხატვრულ თხზულებათა შორის, ამავე დროს ის თავისი მხატვრული შესრულებით ნამდვილი გაგრძელებაა ქართული კლასიკური მწერლობის მიერ შექმნილი ტრადიციისა.

ამ თავისებურების წყაროა მწერლის განკარგულებაში არსებული მასალა და თვით ის ეპოქა, რომელიც ნაწარმოებშია ასახული. ავტორი მოხერხებულად ხატავს როგორც თავად-აზნაურთა ეკონომიურად დაცემასა და ზნეობრივად დაკნინებას, ისე გლეხთა მასებში დაწყებულ დიფერენციაციას და ახალი ბურჟუაზიული კლასის წარმოშობის პროცესებს. თუ ერთი მხრივ აზნაური მძებრაძეები და სხვა ამ წოდების წარმომადგენლები ყოველმხრივ ქვეითდებიან და ღღითი ღღე უფსკრულისაკენ მიექანებიან, მეორე მხრივ გლეხი ნიკოია თოხიტარია და მისი შვილები და მათი მსგავსი გამრჯელი გლეხობა ღღითი ღღე ახალ-ახალ წარმატებას ეძლევიან, სიმდიდრესა და ქონებას იხვეჭენ და მთელ სოფელში ავტორიტეტული და გავლენიანი ხდებიან. საქმე იქამდისაც კი მიდის, რომ ნიკოია თოხიტარიას შვილები გლეხურ წრეებს გამოეთიშებიან, ფოთში სახელგანთქმული ნიკიერი ვაჭრები და მოიჯარადრეები ხდებიან და მშრომელ გლეხობას მოეკლინებიან როგორც ახალი ტიპის ექსპლოატატორები. უფრო მეტი, „ქეესლმოქცეული“ ნიკოია თოხიტარიას შვილს ფარნას იმდენი გამბედაობაც აღმოაჩნდება, რომ ცოლად შეირთოს მისი ნაბატონარის ბასილ მძებრაძის ქალი და ამით საუკუნეებით განმტკიცებული ოჯახური და წოდებრივი ტრადიცია დაარღვიოს, რაც ბასილ მძებრაძისა და მისი მეუღლისათვის მორალურად დაცემის მიზეზად და სულიერ ტრაგედიად იქცევა. ნაწარმოებში მოხდენილად არის შენიშნული აზნაურული წოდებისა და მათი ტრადიციული ოჯახების დაშლის მომენტი. მძებრაძის ქალი ტასია მიღებული განათლებისა და პროგრესულად განწყობილი მასწავლებლის გავლენის შედეგად იმდენად მაღლა დგას თავისი შეგნებით, რომ სავსებით უარყოფს და სასაცილოდ იგდებს წოდებრივ უთანასწორობას. პირიქით, იგი ტუქსავს ფარნა თოხიტარიას, რომელსაც უყვარს იგი, მაგრამ მშობლებისა და სხვა მძებრაძეების შიშით ვერ გაუბედნია თავისი ამ წმინდა გრძნობის გამომჟღავნება.

საბოლოოდ, რომანის მიხედვით ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდის გლეხობა, მაგრამ ეს გამარჯვება-დამარცხება, ცხადია, უმტკივნეულოდ არ ხდება და არც ისე, რომ დროოკმული პრივილეგიური წოდების წარმომადგენელნი სრულიად გაჰქრნენ ფიზიკურად და მოედანი მარტო გლეხობას დარჩეს, ან გლეხობის კლასი სრულიად ჯანსაღი და უმანკო იყოს. მწერალი ამჩნევს, რომ შექმნილმა ახალმა ეკონომიურმა პირობებმა თუ როგორ გამოაფხიზლა და ახალ შეგნებამდე მიიყვანა აზნაურული წრიდან გამოსული ახალი თაობის ერთი ნაწილი და ხელი წესიერი შრომისათვის მოაკიდინა. ამ მხრივ აღსანიშნავია რომანის ერთ-ერთი გმირის ტომბაშვილის შემოყვანა ნაწარმოებში. ამავე დროს მწერალი იმასაც ამჩნევს, რომ ყველა გლეხი ისეთი ღატაკი და დაბეჩავებული არაა, როგორც თემა ბოკოკია; ზოგი მათგანი ავაზაკი, მატყუარა და გაუსწორებელი ქურდიც არის (მაძინია რულაია), ზოგიც ცუღლუტი, ზარმაცი და უქნარა, თავზე ხელაღებული აზნაურის ხელისშემწყობი და დამქაში (კუდა) და ზოგიც კეთილსინდისიერი შრომით გამდიდრებული, მაგრამ ბოლოს გაყოყოჩებული, გავაპრებული, მოიჯარადრეებად ქცეული და თავისივე მოძმეების ყვლეფაში დახელოვნებული.

„მაძიებელნი“ მეტად რთული და საინტერესო პერიოდის რეალისტური სი-

ბოლოით ამსახველი ერცელი მხატვრული ტილოა. ამ ნაწარმოებზე ქართულ საბჭოთა კრიტიკას განსაკუთრებული ყურადღებით მართებს შეჩერება.

უიარაღო თვითონ ამბობდა თავმდაბლურად, რომ დიდი მხატვარი არ იყო, მაგრამ უცქეროდა რა ცხოვრების ისეთ სურათებს, რომელთა თვალის არიდება და მიეიწყება გულდასაწყვეტი იყო, რა უნდა ექნა? ხატავდა მათ ისე, როგორც შეეძლო. მისი კალამი და წერის მანერა მარტივია, მაგრამ მოხდენილია, ხშირად კი მომხიბლავი და მონუმენტურობამდე მიღწეული. მისი გამოთქმა უბრალოა, მაგრამ შთამბეჭდავია. მისი ფუნჯი მყვირალა ფერებს არ გამოსცემს, მაგრამ სიმკრეალესაც არ უახლოვდება, იგი ძალზე ზომიერია, მართალია, მხატვრული სიმარტლე მისი კალმის ძირითადი თვისებაა.. და ეფიქრობ, ამიტომაც გაიხსენა, აღადგინა და გამოჩენილ ქართველ ბელეტრისტთა რიგებში ჩააყენა იგი თანამედროვე საზოგადოებრივობამ, საბჭოთა მკითხველმა. უიარაღოს ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი მხატვრული სიტყვა საპატიო ადგილს დაიპყრობს უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სოლომონ ცაიშვილი.



ᲗᲝᲗᲮᲠᲝᲜᲔᲜᲘ





მშვიდობით!

(სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან)

ნაწილი პირველი

I

ხვალ კვირაა. ჩქარა დაკვირაძალდება კიდეც. გაუზომელი ცის ქვაბი შავი ღრუბლებით არის სავსე. ეს ღრუბელნი აქეთ-იქით ვიისწრაფიან, გროვდებიან ზოგან ბლომად, ზოგან იმდენად თხლად, რომ ცის მწვანე ცილაც კი მოჩანს. ეტყობა, ღრუბლებსაც სჭირთ ერთმანეთის ჟინი, რის გამოც ერთიერთმანეთს თავს ატეხენ, ერთიერთმანეთს თავს აჯდებიან, რომ დედამიწას დაანახონ თავიანთი აღმატებულება. განსაკუთრებით ცის შუაგულ ბევრი მოგროვდა ღრუბელი. თანდათან კიდევ უფრო მატულობს, დიდდება და უახლოვდება დედამიწას. აი ცოტა კიდევ და მეტი ამპარტავნობითა და სიხარულით ლამის ტირილი დაიწყონ, ცრემლად იქცნენ და დედამიწისკენ წამოვიდნენ. მაგრამ ამ დროს სიომ დაიწყო ნელი სისინი და შეეთამაშა ღრუბლებს. თავისი ფლიდური ქცევა სულ მათ წინ გამოიჩინა; უამბო სხვა ქვეყნის სიმდიდრე, უთხრა, როგორ არის იქ ცა მუდამ ვარსკვლავებით მოჭედილი და უმეტესი ნაწილი ღრუბლებისა გადაიბირა. გაუძღვა წინ და თოვლიან მთებისკენ გააქციენა. ერთი ნაწილი ღრუბლებისა გაექანა სიოს წინამძღოლობით. აქაც ჯიბრობენ, უნდათ ერთმანეთს გაუსწრონ, რის გამო დათხელდნენ. მაინც მირბიან. ზოგი უკან ჩამორჩა და ისევ უკან დაბრუნდა. ზოგმა, რა დაინახა ამხანაგის სისუსტე, თითქო ფრთები შეისხა, გაალმასდა და სიარულს ერთიორად უმა-

ტა. ამასობაში ღრუბლები აირია. ზოგი იქით მიდის, ზოგი აქეთ, ზოგი დგას და თითქო გაკვირვებულია თავისი ამხანაგის ქცევით. ირგვლივ ცის კამარამდის გაიფანტნენ, ათასნაირად ტრიალებენ, ასე გეგონება, ზღვა ღელავსო და ვაითუ დედამიწას დაეცნენ და ხელმეორედ წარღვნა გააჩინონო. მაგრამ დედამიწა ყურსაც არ იბერტყავს. ბევრჯერ უნახავს მათი არევა. ძირსაც რომ დაეშვნენ, მაშინაც არ შეუშინდება, გაუხარდება კიდეც, რადგან, კარგა ხანია, რაც არ უნახავს მათი ცრემლების გემო. იცის, რომ არ ესტუმრებიან და იმიტომ არ აქცევს ყურადღებას. დედამიწა გულმოსულია ღრუბლებზე, იმიტომ რომ სიო ირჩიეს და მის ქარულ ჭკუას აჰყვნენ. მზესაც სცხვენია დედამიწაზე გამოჩენისა და ღრუბლებს ეფარება. სცხვენია, არ უნდა, რომ გაშოჩნდეს და ღრუბლებისაგან გაწბილებულ დედამიწას არ დასცინოს მაღლიდან და მით უფრო არ გააჯავროს. დაგვიღონდა დედამიწა, რკინისფერი დაედო. ყველგან ბინდი სუფევს. ტყე-ველი გაჩუმებულია, თითქო სამწუხარო ამბავი შეატყობინეს და გაქვავდაო. ფრინველებსაც უკვირთ ამგვარი უხათრობა ბუნებისა. ზოგნი გაჩუმდნენ, ზოგნი კი ხანდაზმით კაჰ, კუჰ-ს გაჰკივიან, რომ მოწყენილი ბუნება სულ სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდონ. სიხარულით მოჩანჩქარე მდინარე ახლა ზლაზნით მიდის, თითქო მხიარულებას მოუწყინდაო. მისი ნაპირები, სამარგლავ სიმინდით გადამწვანებული, ერთადერთი ადგილია, სადაც კიდევ დარჩენილა სიხარულის ნაპერწკალი. თუმცა ნორჩი სიმინდის ყანებიც არ მხიარულობს, მაგრამ თავისი ახალგაზრდული სილამაზით სამი წლის ბავშვივით ძალაუნებურად იქცევს არემარის ყურადღებას. გაჯავრებულ ბორცვებს თვალი ყანებში რჩებათ, რომ მათი ჭვრეტით ღრუბლებზე გულის მოსვლა დაივიწყონ. არის ერთი არსებაც, რომელსაც ბორცვებზე მეტად უყვარს ყანები, რადგან ყანა მისი გაზრდილია. ეს არსებაა ადამიანი. ადამიანი გამზრდელია ამ ამწვანებული ყანებისა. ის უვლის, უმღერის, რომ ბოლოს გაეზარდოს და მისმა ნაკადულივით მდინარმა ოფლმა უქმად არ ჩაიაროს. დიაღ, ადამიანი არ შორდება მწვანე ყანებს. აი გაიხედეთ, პერანგის ამარა როგორ თავგანწირვით ებრძვის სიმინდის მავნებელ სენს—ბალახს. ცდილობს ჩქარა მოაშოროს თავის გაზრდილს და მერე გამზრდელს და მით არ დაამახინჯოს მისი ლამაზი ტანადობა. შეხე! როგორ მანქანასავით სწრაფად სცემს თოხის ტარს. უნდა ბალახის სახსენებელიც ამოაგდოს და მარტო სიმინდი გახადოს მთელი ჭალის მეფედ.

ბინდმა იმატა. საღამოც მოახლოვდა. ბევრმა დაანება მუშაო-

ბას თავი. მუშამ პირჯვარი დაიწერა, თოხი მხარზე გადაიდო და შუაგულ ყანაში, ხშირფოთლებიან ხისკენ გაეშურა. იქ ტანისამოსი ჩაიცვა და შინ წასვლა დააპირა. ზოგი ვერ გაძღა საყვარელი ყანის ყურებით. თავს ვერ ანებებს გაუმარგლავად დარჩენილ ყანას, რომელიც, თითქო უსჯულოსაგან გატაცებული შვილიაო, ტირის და მამას შველას თხოვს. „ვერ ხედავ? როგორ დამიმონავა ამ უნაყოფო ბალახმა, უნდა — არ გავიზარდო, ტარო არ ამოვიღო და მარტო ცხენის საჭმელი ჩალა გავხდე". პატრონს თითქო ესმის ეს და აღშფოთებულს თვალწინ მხოლოდ ერთი აზრი და ფიქრი უდგას. ხედავს ყანას და, რაც ძალი და ღონე აქვს, მუშაობს, უნდა როგორმე ჩქარა მოაშოროს ურგები ღვარძლი თავის მასაზრდოებელს. აღარაფერი აღარ ახსოვს. არ ახსოვს, რომ ხვალ კვირაა და დღეს ჩვეულებრივზე ცოტა ადრე უნდა დაანებოს თავი მუშაობას. არ ხედავს, რომ საღამო მოახლოებულია, არ ესმის ხმაურობა მეზობლებისა, რომელთაც მუშაობისათვის თავი დაუნებებიათ და სათემო გზით შინ მიდიან. ოჰო, ჰო, ჰო... შენი გამჩენის ჭირიმე, შეხედეთ იმ შუა ხნის კაცს, რომელიც ფალაგესთან * თავისი თორმეტი წლის შვილით მარდად თოხს იქნევს. აი დაგელოცა მარჯვენა! შეხედეთ პირისახეზე, როგორი ანკარა წყარო გადმოსდის; მით უნდა იყიდოს წლიური საზრდო. შეხედეთ პატარა ძურგუსაც, რა ჩქარა-ჩქარა სცემს გამხმარ ბელტებზე თავის პატარა თოხს. მამას მხარს უმშვენებს და ანუგეშებს. მამაც ნუგეშცემული მისი ქცევით უზომოდ ისვრის წინ ფართო თოხის პირს და იმ სიმწარით ჰკვეთს მიწას, თითქო მის დაქცევას ლამობსო. ემაგრე, ჩემო უტუნა! არ დაიღალო, დღეს მეტი მოგვიდა. უტუნამ ფალაგესთან ერთი მოზრდილი სუა (ფრთა) გაათავა, მობრუნდა უკან და მაშინ მოვიდა გონს.

— ხედავ, შვილო ძურგუ, დაუქმებაც არის, ხვალ უქმია და ახლა გვეყოფა, შინ წავიდეთ. ოჰ! ჩემო ყანავ, ნუ გეშინია, იმ კვირია ისე გაგხდი, რომ წამლადაც არ იშოვებოდეს შენში ერთი ღერი დოლო-კეტისა. ** ღმერთმა თუ გვაჩუქა, შვილო, საოცარი სიმინდი მოგვივა. შეხე ღეროებს. ჯერ ოცი დღის არ არის, ასე გგონია, მუხის ტოტი არისო. ჰე-ჰე მარჯა, რა დრო იქნება ამათი წყრთაზე უგრძეს ტაროებს მოვესწრო!

— მერე, ბაბა, შენი ჭირიმე, ამ სიახლოვეს ამისთანა შავი სიმინდი ჯერ არ მინახავს.

---

* ფალაგე—მდინარის ან ღელის ნაპირი. ** დოლო-კეტი—ღვარძლა ბალახი.

— ეს იმიტომ არის, შვილო, რომ ჯერ ღმერთი გვწყალობს, ჩვენც თავგადადებით ვმუშაობთ. შენ რომ გაიზრდები, ეცადე სულ მუშაობაში და გამრჯელობაში ატარო დრო და ამაზე უკეთესი ყანა გექნება. ახლა, შვილო, ნაძილახიდან ჯიჯგვა მოიყვანე, დღეს უკეთეს საბალახოზე დავაბით, კარგადაც გაძღებოდა ალბათ. თოკი პირში გაუყარე და ფრთხილად შეჯექი; წკნელი არ მოუქნიო, თორემ შეიძლება უეცრად გავარდეს და ჩამოგაგდოს.

— არა, ბაბა, მე ის ვერ ჩამომაგდებს, — მხიარულად წაიბუტბუტა ყმაწვილმა და ხტუნვით და სიმღერით წავიდა ცხენის მოსაყვანად. უტუნა ფალაგესთან მივიდა, სადაც მისი ტანისამოსი ეწყო, და ჩაცმა დაიწყო. როცა ჩაცმა გაათავა, ყალიონს მოუკიდა, ცალი ფეხი მოიდრიკა და ყანას თვალიერება დაუწყო. მისი მაღალი და მაგარი აგებულება, გრძელი შავი წვერით სავსე პირისახე და ვეებერთელა მოღუნული ცხვირი ზორბა თვალებით, ძველი დროის კერპს მოგაგონებდათ. მის თვალწინ გადაშლილიყო ნორჩი სიმინდი, ეს ერთადერთი მისი ფიქრი და საგონებელი. უტუნა კარგა ხანს იდგა დაფიქრებული და თვალები უაზროდ ჰქონდა გაშტერებული. შრ, შრ, კტვაფ, კტვაფ! — მოესმა უკანიდან. უტუნა უცბად მობრუნდა და დაინახა თავისი შვილი ცხენით.

— ო! შვილო, მოიყვანე! ეტყობა გამაძღარა დღეს, მუცელი იმნაირად დამსხვილებია. ფვიტ! ფვიტ! ჯიჯგვა! — მუჭის გაშლით მიეალერსა პატრონი. ცხენი პატრონის ალერსს მიხვდა, ყურები გაიბერტყა, თავის ქნევა დაიწყო და წინა ფლოქვს ბელტებსა სცემდა. პატრონი მიუახლოვდა და თავსა და ფაფარზე რამდენსამე ხანს ღიმილით ხელს უსვამდა.

— უჰ! შენი გულისა, რა ცხენია. მტრებს ამის ყურებით ლამის თვალები დასცვინდეთ, ან რა ფეხები აქვს, გეგონება ახალი მოჭრილი ლერწამიაო, სირბილი ხომ იმის ხელშია. მკერდის შეჯახება ხომ ახლომახლო ცხენებს ჯერ არ გაუბედნიათ მისთვის, მაგრამ ძალიან კი მეშინია, ეშმაკს თვალი არ უჩანს. ქვეყანა ქურდებითა და ყაჩაღებით სავსეა. ღამდება კიდეც. შენ, შვილო, წადი და კაკლის ხესთან მომიცადე, მე აქ თოხებს ფალაგეში შევინახავ და დღევანდელ მოჭრილ სიმინდსაც მოვაგროვებ ამაღამ ცხენისათვის.

ძურგუმ თოკის აღვირს მოსწია, პატარა ქუსლები წაუცაცუნა ცხენს ფერდებზე და ცხენი ამაყად კისერმოღერებული გაექანა.

— რა ლამაზი ხარ! — გააყოლა თვალი პატრონმა, — როგორ მოთამაშე გოგოსავით ნაზად აცანცარებ გავა-კუდს! მაშინ დაუ-

ბნელდეს იმას მზე, ვინც შენი მოტაცება განიზრახოს ჩემი ხელიდან.

უტუნამ თოხები საჩქაროდ შეინახა და მოპრილი სიმინდის გროვებას მიჰყო ხელი. ცხენის სიყვარულით იმდენი მოაგროვა, რომ წაღებაც გაუჭირდა მის ხარის ტოლა ბეჭებს. გადაიდვა ძლივს ვეებერთელა კონა მწვანე სიმინდისა, ჯოხიც მოიშველა და გასწია შვილის კვალზე. გაიარა რამდენიმე ფალაგე, ერთი-ორი ჭაობიც, სადაც ბაყაყების მხიარული სიმღერა არემარეს აყრუებდა და გამოვიდა სათემო გზაზე. გზის პირად იდგა ერთი კაკლის ხე, რომელიც დაჭანცული მუშების მოსასვენებელი ადგილი იყო. იქ რამდენსამე თოხიან და უთოხო გლეხს მოეყარა თავი. რამდენიმე ცხენი და ძროხა-ხარიც იქვე ბალახს წიწკნიდა.

— გამარჯვება, ძმებო! — მისვლისთანავე თქვა უტუნამ და კონა სიმინდისა მიწაზე დააგდო.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! რაა, მხარით მოგაქვს ღერი? ღვთის იმედით, ბედაური გყავს და განა თავის საზრდოს თვითონ ვერ წამოიღებს? — ჰკითხა რამდენიმემ ერთად.

— ბაღანა ზის, მეშინია, სადმე არ დაფრთხეს. აქ არ გინახავთ ცხენით ჩემი ბიჭი?

— როგორ არა, სხვა ცხენიანი ბიჭებიც ნახა და იმათ ხათრისათვის აღარ მოიცადა. ახლა ფართო ღელეს გასულნი იქნებიან.

— რად არ მომიცადა იმ ოხერმა, ბავშვის გულია, ცხენმა რომ ჩამოაგდოს, რა ვქნა.

— არა უშავს რა, შე კაცო, კინტირიაც იმათთან მიდის და ეშმაკობას როგორ გააბედვინებს. დაჯექი, შე კაცო, ცოტა მოისვენე, არ დაიღალე ამდენი თოხის ქაჩვით? თუთუნს გიქებენ, ერთი მოგვაწევინე, როგორია.

უტუნა ბალახზე დაჯდა, ქისა მოიხსნა თუთუნით სავსე და მეზობელს მიაწოდა.

— ქუთულა! მგონი შენ კარგი აბედი გაქვს, ჩემი დასველებულა და არ ეკიდება, — დაუძახა ერთმა მეორეს.

— შენისთანა გაცნობილ კაცს ასანთი უნდა გქონდეს. ქვეყანა შენ მოგივლია და ასანთი რომ გქონდეს, რა საკვირველია!

— ოი! მას დაეღუპოს მომგონი, — დინჯად შენიშნა მეორემ. — ის ჩვენი საქმე არ არის. ჩინოლიკების საქმეა. შარშან ხობალას *

* დაბა ხობში ყოველი წლის თხუთმეტ აგვისტოს იმართებოდა ბაზრობა, რასაც ხობალას ეძახდნენ.—ს. ც.

ვიყიდე ერთი კოლოფი და ერთ ყალიონის მოკიდებაში გავათავეუსიკეთო რამ არის წასაგებელი!

— მართალს ამბობ, დღევანდელი დღის მადლმა, — დაუმატა მესამემ. — კონსტანტინე დადიანს თავის დღეში არ უხმარია ასანთი, სულ ვეებერთელა ტალკვესი დააქ. შვილო, ჩვენ ეგ არ მოგვიხდება, ეგ რუსების საქმეაო, — მითხრა ერთხელ.

— დაანებეთ მაგისთანეებს თავი. ის არა სჯობია, რამე საქმეზე ილაპარაკოთ, — წარმოთქვა სიმინდის კონაზე წამოწოლილმა ჭაბუკმა. — აი, ხედავთ, ღმერთმა როგორ გაგვწირა. სულ გახმა ქვეყანა.

— საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა! — დაამტკიცა უტუნამ. — ერთ თვეზე მეტია, რაც წვიმა არ გვინახავს. მერე ისეთ უბედურ ადგილზე ვდგევარ, სამჯერ მაინც უნდა დაჰკრა, თითო ბელტი რომ დაამსხვრიო.

— მე სწორედ მეგონა, დღეს წვიმა მოვიდოდა, — შენიშნა ერთმა.—აი ეხლა წამოვა-მეთქი. ტანისამოსისკენ გავექანე კიდეცა ვუყურებ, მაგრამ ნუ გაგიწყრეს ღმერთი!

— სულ მთებისკენ მიაქ ღრუბლები, უბედურება იქნება, თუ წყალი გადავიდა, ერთობ გააფუჭებს სიმინდს.

— ყველაფერი ღვთის ნებაა, — ქშენით წარმოთქვა ერთმა ყველაზე უხნიერესმა. — ახლა დროა შინ წასვლისა, დაღამდა.

ყველანი წამოიშალნენ. უტუნამ ისევ მხარზე გადიდო კონა. ცხენებისა და ძროხების პატრონებმა თავიანთი საქონელი ხელში თოკით დაიჭირეს და სახლისაკენ გასწიეს.

ოდიშში, როგორც მოგეხსენებათ, არ არის განსაკუთრებული ადგილი, მიჩენილი მთელი სოფლის საყანედ. ვისაც, როგორც უნდა, ისე შემოღობავს თავის მიწას და ამუშავებს. რადგან სოფლებში მჭიდროდ არ სახლობენ, ეზოები არეულია და ყანებიც აქა-იქა მოჩანან ხშირი ტყის გულიდან. მაგრამ არის მდინარე, რომელსაც ჭანისწყალს ეძახიან. ეს მდინარე რამდენსამე სოფელს ჩამოუდის და მშვენიერ ვაკეებს აჩენს. სიგანით რამდენიმე ვერსის მანძილი, გაღმა-გამოღმა მდინარისა, ხელისგულივით სწორია. შემდეგ იწყება მაღალი, ტყით დაბურული ბორცვები. ეს ვაკე ყოველ წელს სიმინდის ყანებს უჭირავს, მაგრამ სინოყივრე არა თუ ელევა, ემატება კიდეც. ამის მიზეზია ყოველ წლივ მდინარის მოდიდება და ნაპირიდან გადმოსვლა. მდინარეს თან მოაქვს შავი მიწა და უხვად სტოვებს ნაპირად.

მშვენიერი სანახავია ჭალა შუა აგვისტოში, როცა სიმაღლით

ორ საკენხზე მეტი სიმინდი ტაროებით მშვენდება. არა სჯობია რა მის გადახედვას მაღალი ბორცვიდან. ათასობით დღიურ მიწას, ჭწვანე ფერის სიმინდით დაბურულს, ქარი აღელვებს და აშრიალებს. მის ხმას ვერცხლისფრად ბჟყვიალა და გველივით დაკლაკნული ჭანისწყლის შხუილი ემატება. ამ ჭალის სილამაზით გაკვირვებული მტრედისფერი ცა, რომელზედაც ცხრათვალა მზე ბრწყინავს, ზევით-ზევით მიდის და იკარგება.

კეთილთან ცუდი ჩვეულებაცა აქვს ამ ხალხის ძიძა მდინარეს. ხანდახან ხშირი წვიმებისა გამო ადიდდება მაშინ, როცა სიმინდს ტაროები ამოაქვს; თან ვეებერთელა კუნძებს მოათრევს ნაპირებიდან გადმოსვლის დროს და ყანას აფუჭებს. რას უზამ? მიეტევება. ხან ერთ მოსახლეს აკეთებს, ხან მეორეს. ქვეყანაც აგრე ცხოვრობს: დღეს ერთია, ხვალ მეორე. ერთი მეორის ხარჯით ცხოვრობს, საზრდოობს და ჯიბესაც კი ისქელებს. მაინც ისეთი უბედური წელიწადი არ იქნება, ამ ჭალიდან მილიონი ფუთი სიმინდი არ გაიტანონ.

ამ ჭალაში მუშაობდნენ დღეს ჩვენი უტუნა თავისი შვილით და ურიცხვი სხვა სოფლელნიც, რომელთა შორისაც ზოგნი უკვე შინ წავიდნენ და მხიარულად ვახშამს შეექცევიან, ხოლო ზოგნი ახლა მიდიან. ყანების პირად დატოვებულ ნაღარში მშვენიერი მაღალი ბალახი ამოდის, სადაც პატრონები აბამენ თავიანთ საქონლებს და აძოვებენ.

II

გზაზე უტუნა გამოემშვიდობა მეყანე მეზობლებს და შინისაკენ გასწია. აი პატარა გორაკზე მოჩანს მისი სახლი, რომელიც უფრო დაჩრდილულ ზვინსა ჰგავს, რადგან შიგ სანთელი არ ანთია. აგერ მეორე სახლიც, სამზადე, საიდანაც საძირკვლის ჭვრიტიმალიდან ცეცხლის შუქი გამოდის. აგერ უტუნა მიუახლოვდა ეზოს. ეზო მცირე ტყით არის დაბურული, სადაც აქა-იქ მოჩანს თვალაუწვდენელი მუხები. უტუნა ჩქარა მიდის ვიწრო გზაზე. კონა ღეროებისა ფოთლებსა ხვდება და შრიალი გააქვს. შრიალი ძაღლებს ესმით და ყეფით მორბიან მისკენ.

— პუ, პუ, პუ! განა ვერ მიცანით? — ეუბნება უტუნა. ძაღლებმა იცნეს; ჯერ კუდის ქნევით ეთამაშებიან და მერე კბილების კრეჭით და ღრენით შინ მირბიან, რომ ახარონ შინაურებს პატრონის მოსვლა. რამდენიმე წუთიც და უტუნა შინ მივიდა. კონა სამზარე-

ულოს ყურთან მიაყუდა და სახლობას მიესალმა. ღეროების შრიალზე იქვე ახლო პალოზე მიბმულმა ჯიჯგვამ ხვიხვინი ასტეხა.

— ნუ გეშინია, ცოტა მოითმინე, შენთვის მინდა, — დაუძახა პატრონმა და სამზადეს წინ მდგომ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. კარგა დაღამებული იყო. ცა არეული ღრუბლებით იყო მოცული. გობისტოლა მთვარეს ამოეყო თავი და დამხრჩვალივით ღრუბლებში ფართხალებდა. აქა-იქ, სადაც ტყე ხშირი არ იყო, მოჩანდა მეზობლის სახლიდან მოკამკამე ცეცხლი. ფრინველები ტკბილ ძილს მისცემოდნენ; ტყე-ველად ხმაურობდა კალია და რწომი. *

— უჰ! ძლიერ დავიღალე სწორედ. ვახშამი ჩქარა გექნებათ თუ არა, ადრე მინდა დავიძინო. ცივი წყალი არა გაქვთ, მწყურია, — დაღლილი კაცის კილოთი ჩაილაპარაკა უტუნამ.

— როგორ არა, — მოსძახა უტუნას ქალიშვილმა და მამას პატარა ლამაზი დოქით ცივი წყალი მიაწოდა. — წყურგილიდან ** მოვიტანე ახლა.

უტუნამ მოიყუდა დოქი და ნახევარზე მეტი უსვენებლივ დალია. — ოჰ! დაგელოცა გამჩენი, რა ცივი ხარ! ძლივს მომიყვანა ამ წყალმა გონს. ეს წყალი რომ არ გვქონდეს, რა გვეშველებოდა. მართალი გითხრა, ასეთი ცივი წყალი მთელ დუნიაზე ძვირია.

— ვახშამი მზად არის, — დაიძახა სამზადი სახლიდან ძურგუმ, რომელიც ყანიდან დაბრუნებისთანავე ქათმის შესაწვავად დასვეს კერასთან.

— აჰა, ჰაიტ! — დაიძახა უტუნამ, სახლში შევიდა და ტახტზე დაჯდა. მისი ქალიშვილი თუჯის ქვაბიდან ჩოგანით ღომს იღებდა და გაშლილ ხის ფართო ტაბლაზე აგებდა. მისი ორთქლი შემოეხვია უტუნას. მეორე მხრივ ტახტზე იჯდა უტუნას მეუღლე მაია და ქათამს არიგებდა. ძურგუ დედის ახლო ფეხზე იდგა და შემწვარ ქათამს თვალს არ აშორებდა.

—აქ მოდი, შვილო, შენს თიას *** აქ მოგიტანებენ,—ალერსით უთხრა მამამ ძურგუს, — დღეს დაიღალა, რომ იცოდე, თოლი, რარიგად მეხმარება თავის პატარა თოხით. თუ ღმერთმა გვაჩუქა, ძალიან მუშა იქნება. აი ღმერთი მოგვცემს, შვილო, სიმინდი ბევრი მოგვივა. როცა გავყიდი, ნახე, როგორი სირმით აჭრელებული შესტები, ჭრელი ახალუხი და სირმიანი ბაშლიყი გიყიდო.

ძურგუმ ქების გამო თავი ჩაღუნა, სალოკი თითი პირში ჩაიდო. წამოვიდა და მამას გვერდით მოუჯდა. უტუნას გოგომ, თებ-

* რწომი—ბუ. ** წყურგილი—წყარო. *** თია—კერძი.

რომ ღომის დაგება გაათავა, დოქი ხელში აიღო, ჭრაქს მოუკიდა და ღვინის მოსატანად წავიდა მარანში. მის დაბრუნებამდის მაიამ ქათამი გაარიგა და ვახშმობა დაიწყეს. მამა-შვილს ბოლოში მაია მოუჯდა, თებრო კი კარებთან იდგა ფეხზე და ხელზე ემსახურებოდა.

უტუნა ღონივრად მიაძღა შემწვარ ქათამს და პილპილიან წაწის.* რამდენიმე ჩოგანი ღომიც დაანელა... რა გემრიელია მუშის ლუკმა... ნავახშმევს პატარა კალათით გემრიელი მაქერე** მსხალიც მიართვეს, ესეც ზედ დააყოლა და გავიდა სამზარეულოდან.

— ჰუ, ცხელა, ალბათ წვიმას აპირობს, მაგრამ ღრუბლები თანდათან იფანტება, — გარეთ გამოსვლისთანავე წაილაპარაკა უტუნამ.

—ურთის *** ძირი თუ მოღრუბლულია, სხვაგან თუგინდ ხელისგულივით იყოს მოწმენდილი, მაინც მოვა წვიმა, — გამოსძახა სახლიდან მაიამ.

— ის კი არა, ურთის ძირი სარკეს ჰგავს. დახეთ ამ ქალს, როგორ შეუმჩნევია. სწორედ მართალია, წმინდა გიორგის მადლმა. თუ ურთის ძირი მოიღრუბლა, წვიმა ტარშია.

უტუნა სამზარეულოს წინ იდგა და ცას ათვალიერებდა.

— ხვიიი... — დაბლა დაიხვიხვინა ცხენმა.

— ფთვი, ფთვი, ჯიჯგვა! ახლავე მოგიტან საჭმელს, — უტუნამ გახსნა კონა, აიღო ერთი მოზრდილი გროვა და ცხენს დაუყარა, — დროა ძილისა, — მისძახა სახლობას, — მიალაგეთ სახლი და დაიძინეთ. ზაფხულია, ღამე პატარაა. მე კი ნაბადი გამომიტანე, ამ სკამზე დავიძინებ გარეთ. ცხენს ამაღამ ყური უნდა ვათხოვო.

— მოითმინე, რა დროის ჩვენი ძილია. შენ თუ გინდა, გაგიგებთ. ჩვენ კი ბევრი მისალაგებელ-მოსალაგებელი გვაქვს. აგერ ყველი უნდა ამოვიღოთ, სამაწვნე რძე უნდა ავადუღოთ, — ცოტა ხმამაღლა მიუგო მაიამ. — ის კი არ მახსოვდა, ძღაბო, ხვალ კვირაა, ჭანურით **** ახლავე წყალი ჩამოკიდე და გაათბე. თიხაც თბილ წყალში ჩაყარე. შენც წადი, შვილო ძურგუ, ოდაში დაიძინე, თებრო დაგიგებს, დღეს ნამუშევარი ხარ, ვერ ხედავ, როგორ გერევა ძილი?

მაიას აზრით, ყოველივე გათავდა და რამდენსამე ხნის შემდეგ დედა-შვილი კერასთან ისხდნენ და ჭანურით ჩამოკიდებულ წყლის

---

* წაწი—წვენი, საწებელი. **—მაქერე—საადრიო მსხალი. *** ურთა მთის სახელია. **** სპილენძის ქვაბს ეძახიან.—რედ.

გათბობას ელოდნენ. თუმცა მუდამ ერთად იყვნენ, მაგრამ სამუსაიფოდ ძვირად ეცალათ ხოლმე, განსაკუთრებით ზაფხულში. დილას ადგები, ქათმები უნდა დააძღო, მობრუნდები — პირუტყვი უნდა გაუშვა საბალახოდ, გაიხედავ — ერთი წვეთი წყალი არ არის კოკებში; შეხედავ, მზეც ამოსულა, სირცხვილია, სტუმარი მოვიდეს, ლოგინი უნდა აალაგო, სახლი გაასუფთაო. მზემ თუ აიწია — საღილის კეთებას უნდა შეუდგე. გაკეთებისთანავე ყანაში უნდა წაიღო. ჩვენი ნაცნობი ყანა უტუნას სახლიდან ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე იყო. იქიდან დაბრუნდები, ოჯახში ათასი საქმეა. ორსაც ვერ გააკეთებ, ვახშმისთვის უნდა იზრუნო. თუმცა ლაპარაკი ყოველთვის შეიძლება, მაგრამ ლაპარაკს გემო მაშინა აქვს, როცა მუსაიფის დროს არაფერი გვაწუხებს მისი ყურის გდებისა და სიტყვა-პასუხის მეტი. ქალებს განსაკუთრებით უყვართ მუსაიფი. დასვი ორი ნაცნობი ქალი, მიეცი ნება და დილიდან საღამომდე არ მობეზრდებათ ლაპარაკი. რამდენჯერ მოხდება ხოლმე, დედაკაცი სტუმარ-ამხანაგს აცილებს და კარებთან მუსაიფში რამდენსამე საათს კიდევ აყოვნებს. მაიას და თებროს ახლა მუსაიფის მეტი აღარა დარჩენოდათ, ცოტა ხანს მაინც, წყლის გათბობამდის. მაია ტახტზე ჩამოჯდა. დაწნული წაბლისფერი თმა გაიხსნა და ჩამოშლა დაიწყო, რომ დაბანის დროს არ ასწეწოდა. თებრომ ცეცხლის შეკეთებას და წყლის ჩქარა გათბობას მიჰყო ხელი.

— ხვალ წირვაზე მე წავალ, თუ შენ წახვალ? — ჰკითხა თებროს მაიამ, რომელმაც ხშირი თმის გროვაზე ხელი გადაისვა, ყურებს უკან გადაისწორა და თმისგან დამალული სახე გამოაჩინა.

— როგორც შენ გინდა. სულ ერთია, შენ წადი. ხვალ უბრალო კვირაა, წირვაზე ხალხი ცოტა იქნება, გამოწყობად არა ღირს.

— რატომ არ იქნება ხალხი, კაკაჩიას პატარძალს მოიყვანენ ჩვალ წირვაზე და, ალბათ, ბევრი კაცი წამოყვება. ხომ იცი, რა მდიდარი ნათესავები ყავთ ფოთში. იქიდან სტუმრად მოსულან და ახლა იმათ სახლში არიანო.

— მაშ კარგი, ნანა, შენი ჭირიმე, მე წავალ. იქ ხვალ თემურაზიც იქნება, დიდი მასხარა რამ არის, ყველას თავს მოაბეზრებს.

— რა მარტო თემურაზი გაგახსენდა, გოგო, მოგწონს? — ხუმრობით უთხრა დედამ.

— მომწონს კი არა, ბუკს მიუგავს თავი. იმიტომ ვახსენე, რომ უადგილოდ იცის პრანჭვა და თავის მოწონება, თუ ქალები ნახა, თვალები აერევა, მასრებზე მალ-მალ გადაიხედავს ხოლმე. ხანჯალ-

ზე ხელს დაიდებს და მოყვება ლაპარაკს. ვინ იცის, რას არ წამოროტავს, რა მასხარობას არ ჩაიდენს.

— იმისი ძმა ხახუ იყო კაი ბიჭი, როგორ არის ნეტავ ახლა მისი საქმე. სულ უბრალოდ კი შესწამეს საწყალს ქურდობა.

— მართლა, ნანა, იცი ახალი ამბავი?

— რა? მე არაფერი გამიგია.

— ნინომ მითხრა, ყანიდან რომ მოვდიოდით.

— რაა, რა ამბავია? — დაიდო სავარცხელი თმაზე და გაკვირვებული ხმით დაეკითხა დედა.

— ქვალონში * აბრაგები მოსულან და თორმეტი ცხენი წაუყვანიათო.

— დაილოცა შენი სახელი! როგორ გაძლიერდა ეს ქურდობა! განა ორი-სამი არ ეყოფოდათ, რომ თორმეტი ერთად არ წაეყვანათ. მერე დარჩა რამე ქვალონში?

— იქნება ჩვენსკენ გამოიარონ, ღმერთმა კი დაგვიფაროს, — ენის კვნეტითა და წარბების აწევით შენიშნა თებრომ.

— ნუ ახსენებ! ეშმაკს თვალი დაეხუჭოს. მიქამგარიო, ** შენ უყურებ ჩვენს ოჯახს! შენი იმედი გვაქვს ჩვენ საწყლებს. შენ დაიფარე ჩემი ქმარ-შვილი უბედურებისაგან.

— რაო, რაო? ქურდებიო თუ რაო! — მიაძახა გარეთ მწოლმა უტუნამ.

— დი! ბაბა, შენ გეძინა, გვეგონა და მღვიძარე ყოფილხარ?

—არა, მეძინება, მაგრამ რაღაც ქურდიო რომ თქვით. გამომეღვიძა.

— ისა, რომ ეს გოგო ამბობს: ქვალონში თორმეტი ცხენი მოუპარავთო.

— ქვალონშიო?! — ბოხი ხმით შეეკითხა უტუნა.

— ჰო, ქვალონში.

— ვეი პაჩი! ეს კარგს არ მოასწავებს, საშიშია, ჩვენსკენ არ გამოიარონ. — მიუგო უტუნამ.

— იმდენი თვალი მაგათ დაუდგებათ.

— თვალი დაუდგებათ კი არა, ფხიზლად უნდა იყო. უბედურება ისაა, თოფ-წამალიც არა მაქვს. ჭურაში *** არ არის სრულებით?

— ჭურა რა ხანია საკუჭნაოში გორავს ცარიელი.

— ჰოუ! წადი, ძღაბო, ხმალი მაინც გამომიტანე. მზად ვიყო ყოველთვის, ჯობია, ვინ იცის...

---

* სოფელია. ** მიქამგარი—მიქელ-გაბრიელი. ***ჭურა—ამოხაპული და გამხმარი მწარე გოგრა.

თებრომ მამას ხმალი გამოუტანა ოდიდან. უტუნამ ხმალი მუთაქას ქვეშ ამოიდო და ისევ წამოწვა. ამ ქურდების ამბავმა უტუნას ძილი გაუკრთო, სულ ქურდები ელანდებოდა. დედა-შვილი თავიანთ საქმეს მორჩნენ. სამზარეულოს კარი დაკეტეს და წავიდნენ ოდაში დასაძინებლად.

დიდხანს იწვა უტუნა და შამფურივით ტრიალებდა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. ძილდამფრთხალმა ისევ ყალიონს მიმართა და ისეთი მისწრაფებით სწევდა, რომ ტარის მილს ხრუპ-ხრუპი გაჰქონდა. ჯიჯგვა, ეტყობოდა, მადაზე იყო, სულ ხრამიხრუმი გაჰქონდა იმის პირში სიმინდის ღეროს. ხანდახან კი ჭამას თავს დაანებებდა, ყურებს გაიბღერტავდა და თავს მაღლა აიღებდა, თითქო რაღაც ხიფათი მოახლოებულა და ყურს უგდებსო. მაგრამ მას აშინებდა მხოლოდ ბუს ნელი გადაფრენა ტყეში, ტოტიდან ტოტზე.

— ეს ჩემი უძილობა ამაღამ კარგს არ მოასწავებს, — თქვა უტუნამ და წამოდგა, მივიდა ცხენთან შტვინვით, გავაზე ხელი გადაუსვა, მიიხედ-მოიხედა, ორჯერ-სამჯერ დაიკივლა, დაბრუნდა და ისევ ნაბადზე დაჯდა.

შუაღამე გადასულია. მთვარე ღრუბლებში დაიმალა და დედამიწას სიბნელე დაეცა. თითს თვალებამდე ვერ მიიტანო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი სიბნელე ჩამოვარდა. უტუნა ბურანში შევიდა, ყალიონს კბილები დააჭირა და ძალაუნებურად მიეძინა, ეს ის დრო იყო, როცა ადამიანი ძილში შედის. ამ დროს გამოუთქმელ ნეტარებას გრძნობს სხეული. თავი რაღაც ცუცუნს დაიწყებს, ისრებზე რომ იწვე, მაინც ასე გგონია, ბამბაზე ვწევარო, ძილი ნელ-ნელა გეპარება. მაგრამ იმავე დროს ცხადად ნანახიც გელანდება, მათი ხსოვნა სრულიად არ გეკარგება. თითქმის ხედავ. რაც ამბავია გარშემო და იმავე დროს თითქო სიზმარშიც ხარ. ამნაირ მდგომარეობაში იყო უტუნა, როცა ფოთლების გახშირებული შრიალი და ცხენის ფეხის ბრაგაბრუგი მოესმა. ამ ხმაზე უტუნამ ოდნავ დახუჭული თვალები გააჭყიტა.

— ფუ, ეს ოხერი, დამძინებია! — წაიბუტბუტა და პირჯვარი გადაიწერა. — შრიალებდა რამე, თუ სიზმარში ვიყავი.

თვალები მოიწმინდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ჯიჯგვამ ამ დროს ცოტა ხმამაღლა დაიხვიხვინა და უკანა ფეხებით მიწას დაუწყო ცემა.

— ნწ, ნწ, ნწ! ჯიჯგვა! ფთ, ფთ, ფთ! რა არის, რა დაგემართა? — მიაძახა პატრონმა.

ფოთლებმა შრიალი ისევ დაიწყო იმნაირად, რომ ცხადი იყო ვილაც კაცი ან პირუტყვი მოდიოდა.

— ეი! ვინა ხარ, მანდ რომ ფაჩუნობ? — მიაძახა უტუნამ.

— სუ! ნელა ილაპარაკე, რას ყვირი? — მოესმა ხმა თხმელის ხეებს შუა. უტუნა ამ ხმამ გააკვირვა. „ალბათ, ესენი კეთილი სულისანი არ არიანო!“ — იფიქრა. აიღო ხმალი და ზეზე წამოდგა.

— ვინ ხართ-მეთქი? რა გინდათ ამ შუალამეს მაგ ტყეში? თუ სტუმრები ხართ, ჭიშკარი ვერ მოსძებნეთ, რომ უადგილო ადგილას ხმაურობთ?

— შეხედეთ ამ სულელს, ჩვენ „სუს“ ვეუბნებით და ეს კი ლაპარაკში გაება. სტუმარიო! რას როტავს! — თავდაჭერილი სიცილით მოისმა რამდენსამე კაცის ხმა.

— რა გინდათ-მეთქი ამ შუალამეში? — თამამად გაიმეორა უტუნამ.

— არაფერი, ცხენს გიქებენ და იმიტომ მოვედით. ვნახოთ, აბა, როგორი გამოდგება, როგორი სირბილი ეცოდინება. თუ ერთ თვეს გაგვიძლო, სწორედ ტყუილად რომ გეჩუქებიოს, ისე დაგიმადლებთ.

— რაო, ცხენი გინდათ? მე გასაყიდი ცხენი არა მყავს, მაგრამ ეს მიკვირს, რაღაც სხვანაირად ლაპარაკობთ. — მიუგო, ცოტა არ იყოს, გაბრაზებით უტუნამ.

— გასაყიდი კი არა, გათლილი კიტრი არ გინდა! ხმა არ ამოიღო, თორემ! ამავე წუთს ტყვიით გაგხვრეტთ. შეხედე, როგორ შემოგვაჩვია პირი! შენი მეზობელი გგონივარ თუ? — თქვეს ესა და თანაც ცხენს მიუახლოვდნენ.

ცხენმა ფრტვინვას და ფეხის ცემას მოუხშირა. სიბნელეში უტუნა ოდნავ არჩევდა კაცის ტანს, რომელიც პალოზე მიბმულ თოკს ებღაუჭებოდა.

— თო! როგორ თუ გაჩუმდიო, გიცნობთ ვინცა ხართ, უსიკვდილოდ ღმერთმა ნუ გადამარჩინა ამ ამბავსა! — გულმაგრად დასძახა უტუნამ და ერთი ფეხი წინ წასდგა.

— გაჩუმდი, თორემ აი ერთი წუთიც და მიწაზე გაგორდები. სანამ ერთი ვერსით არ მოგშორდეთ, ყვირილიც არ დაიწყო, თორემ... რა დღეს, რა ხვალ, შენს ეზოს ტიტველ მინდვრად გადავაქცევთ.

უტუნა მეტად აღელდა. ხელებმა კანკალი დაუწყეს. პირისახეზე ალმური აუვიდა. არ გასულა ერთი წუთი, რომ ათასმა სხვადასხვა ფიქრმა გაუელვა თავში. — „როგორ თუ ჩემ თვალწინ ცხენს მპარავენ, — ამბობდა გულში, — მერე როგორ ცხენს?

შვილივით გაზრდილს. მაშ, მე რა კაცი ვარ? დეე, მომკლან, ერთსა და ერთს მაინც როგორ ვერ დავაჩნევ დაღს. ერთ დღეს დაიბადება კაცი და ერთ დღესვე მოკვდება. ქენდურ მის საქმეს!" — მაგრამ ამავე დროს მეორე ფიქრმა გაუელვა: „კარგი, მოკვდები, მაგრამ ვის ტოვებ შინ? თორმეტი წლის ბაღანას? იმას რა შეუძლიან? ცოლ-შვილს რას ეუბნები? იმათ ვინ არჩენს?" მოაგონდა აგრეთვე თავისი ნორჩი ყანა, რომელსაც ამ მოკლე ხანში ღვარძლისაგან განთავისუფლება აღუთქვა. „ყანას ვინ გამარგლავს, ვინ უპატრონებს? უნდა გაყვითლდეს, ბალახი მოერიოს და ჩემი ცოლ-შვილი შიმშილით დაიხოცოს. რას მერჩიან! ვისთვის რა დამიშავებია! დეე, წაიყვანონ, ცხენს ვერ ვიშოვნი? მე რომ მოვკვდე, უარესია". — ამ ფიქრზე ცოტა უკან დაიწია, მაგრამ მალე ისევ წინ წადგა. „კარგი, წაიყვანონ, მაგრამ ამოდენა კაცმა თავი სად გამოვაო, დედაკაცისა მაინც არ უნდა შემრცხვეს? რა ვუამბო დილაზე: „აბრაგებმა ცხენი წამართვეს, მე მეღვიძა, მაგრამ ხმა არ გავეცი-მეთქი?! არა! არ შეიძლება, მომკლან".

— ეი! — დაიყვირა უტუნამ. — მე არავისთვის არაფერი დამიშავებია. ჩემი ცოლ-შვილის ცოდოში ნუ ჩავარდებით. გაიხსენეთ ღმერთი, თორემ ასე ადვილად თავს ვერ დაგანებებთ!

— ხმა გაკმინდე-მეთქი! რა ურჯულოდ მიუსკვნია ეს თოკი, ვერ გავხსენი.

— შე კაცო, ამოიღე ხანჯალი და გასჭერი. რაღა დროს ჯანჯალია.

— არაფერს ვხედავ! — წამოიძახა უტუნამ და გაექანა ცხენისაკენ. პალოს ახლო ხმალი მოიქნია და რაღასაც მოარტყა. ამ დროს გავარდა დამბაჩა, მეორეც თან მოჰყვა და ოდაში მწოლმა მაიამაც მიაკივლა.

მაია თმაგაწეწილი გამოვარდა გარეთ და კივილი მორთო:

— მიშველეთ, მიშველეთ! ვინ ხართ ქრისტიანები, აბრაგებმა მოგვკლეს, მიშველეთ, მიშველეთ!... ა...ვაი!!. აა...

ატყდა ერთი ალიაქოთი. მეზობლები ყვირილით და ხმაურობით გამოექანენ უტუნას ეზოსკენ. თან ძაღლებმა უშველებელი ყეფა ასტეხეს.

— რა მოხდა, რა ამბავია? — ისმოდა აქეთ-იქიდან, მაგრამ საზოგადო არეულობის გამო ვერავინ ვერაფერს იგებდა. საჩქაროდ ჭრაქს მოუკიდეს, გაიხედეს და საშინელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ. მიწაზე პირაღმა ეგდო სისხლით გათხუპნული უტუნა, ცალი ხელი თავისთვის მოეკიდნა და ცალ ხელში ოდნავ სისხლში

გასვრილი ხმალი ეჭირა. გრძნობა სრულებით დაეკარგა. იქვე ახლო ჩოხის კალთის პატარა ნაჭერიც ნახეს. ცხენი გაქვავებული იდგა ერთ ადგილას, ასე გეგონებოდათ, თუჯისაგან არის ჩამოსხმულიო. დაჭრილს ირგვლივ შემოეხვივნენ. მაია მივარდა და ქმრის ახლო ლოყებდაკაწრული და დასისხლიანებული დაეცა. თებრო და ძურგუ ყვირილითა და ტირილით დედას მისცვივდნენ.

— წყალი, წყალი! რას გაჩერებულხართ, ეს ოხერი! — დაიძახა ერთმა ყმაწვილმა, საჩქაროდ კოკა მოიტანა და უტუნას მოსულიერება დაუწყო. წყლის მიკარებაზე უტუნამ თვალები გაახილა, ერთი გაიზმორა და ისევ თვალები დახუჭა.

— არა უშავს რა, მაია! ყვირილით რა გამოვა, მოითმინე! — ეუბნებოდნენ მეზობლები და ცდილობდნენ ნუგეში ეცათ.

უტუნა სახლში შეიყვანეს, სისხლი გადაბანეს, ტანისამოსი გახადეს და ჭრილობა გაუსინჯეს. აღმოჩნდა, რომ ერთი ტყვია ყურში მოხვედროდა, ყური გაეხვრიტა და ცოტაოდნავ კიდევ თავის კანი გადაეყვლიფა. მეორე ტყვია მაჯაში მოხვედროდა და ძვალი სულ დაეფეფა. საჩქაროდ არტაშანი გაუკეთეს. დამწვარი ნაბადი და სხვადასხვა სოფლური წამლები დაადეს და ლოგინზე დააწვინეს. რამდენსამე ხნის შემდეგ უტუნამ თვალები გაახილა და მეზობლებს უამბო, რაც თავს გადახდა. ტკივილს ჯერჯერობით ვერა გრძნობდა.

— ჩემი თვალი დასაბნელებელი! მე მეძინა, — ტირილითა თქვა მაიამ,—სიზმარში ვიყავი. სადღაც ჯარი იყო. ვნახოთ, ჩხუბი ატყდა. გავარდა დამბაჩა. შემეშინდა და გამომეღვიძა. პირჯვარი დავიწერე და ჯერ კიდევ პირისახე შემკრთალი მქონდა, რომ ყურის ძირში ზედიზედ დამბაჩის ხმა მომესმა. ჩემი ცოდვა, ჩემი ცოდვა! კინაღამ დავიღუპე! — დაუმატა ათრთოლებითა და ქვითინით მაიამ.

— შენ კი არა, სულ ყველანი ვიღუპებით, თუ ამ ქურდებს რამე არ მოუხერხეს. მაინც ახლა სულ თმის სიხშირე დაიარებიან გასაწყვეტები. სწორედ თუ რამე არ მოუხერხეს, ცუდად არის ჩვენი საქმე,—ამბობდნენ მეზობლები და ოთახს მაგარი თამბაქოს ბოლით ავსებდნენ.

III

უტუნას ამბავი იმავე ღამეს გაიგო მთელმა სოფელმა. ქურდები ბევრი ეძებეს. სად შეერთებული გზა არ შეკრეს, სად ბილიკები, მაგრამ რა ყაჩაღი იქნებოდა, თუ შარაგზით წავიდოდა საზოგადო ალიაქოთის დროს! მეორე დღეს წირვის წინა და წირვის შემდეგ

დიდს თუ პატარას სალაპარაკოდ უტუნას ამბავი ჰქონდა. ნაწირვებს ხალხი ცაცხვის ჩრდილისაკენ წამოვიდა, იქ ჩამორიგდა უმცროს-უფროსობისამებრ როგორც ხნით, ისე გამოჩენით. ამ დღეს ღრუბლები საკმაოდ გაიფანტა და მზე დროგამოშვებით მწარედ აცხუნებდა ქვეყანას. ხალხი წირვაზე საკმაოდ დაესწრო. კაკაჩიას პატარძალიც მოიყვანეს დიდი ამბითა და მხლებლებით. ყველანი საუკეთესო ტანისამოსით იყვნენ, თავიდან ფეხებამდე ოქროთ დაფერილ იარაღში ბრწყინავდნენ. თამბაქოს გადაპარებული თავმოწონებით ეწეოდნენ, მათრახს ბუზმენტებით აპრელებულ მესტებს უფაჩუნებდნენ ნელ-ნელა და მრავალ სხვადასხვა თავსაჩენ საქმეებში იყვნენ, რომ საზოგადოების ყურადღება მიექციათ. საზოგადოების უმეტეს ნაწილს დღეს პატარძლისა და მის მხლებლების დასაფასებლად არ ეცალა, მხოლოდ ზოგიერთი ცნობისმოყვარე ორისავე სქესისა ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ცალი თვალით სტუმრებს შესცქეროდნენ.

ცაცხვის ძირში უშველებელი ხმაურობა ატყდა. ყველა უთავბოლოდ ყვიროდა, ქურდობას ჰკიცხავდა, ამხანაგს იწვევდა, რომ ამ სამარცხვინო საქმისათვის ჯეროვანი ზღუდე აეგოთ, მაგრამ ხალხი ყვირილით გულს იგდებინებდა, ნაყოფი კი არა რჩებოდა რა.

— მომითმინეთ, მომითმინეთ, თქვენი ჭირიმე, რა ამბავია! თუ ასე ვიხანჩალეთ, ვერაფერს გავარიგებთ. ერთმანეთს ყური უნდა ვათხოვოთ, თორემ, თუ მე ჩემთვის ვიყვირე, შენ შენთვის, მან თავისთვის, მაშინ ათასი წელიწადი აქ იხმაურო, არაფერი არ გამოვა, — თქვა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა, რომელსაც გიორგის ეძახდნენ, და გაცეცხლებულს ხალხს ხელით ანიშნებდა, გაჩერებულიყო.

— მართალს ამბობს, წმინდა გიორგის მადლმა. ყურთა სმენა არ არის! — დაუმატა ცაცხვის ხის ძირას წამოწოლილმა გლეხმა.

— გაჩუმდით, გეთაყვანეთ, ცოტა ხანს დამაცალეთ, დრიმინტი, რაა, შე კაცო, კოდარას ენა ხომ არ გიჭამია! ჯათუ, ჯათუ! კარგი, კარგი გეყოფა, თუ ღმერთი გწამს, ლაპარაკი მაცალე.

ხალხი ცოტ-ცოტათი დაწყნარდა.

— რაც წუხელ ამბავი მოხდა, პირველი არ არის და, იმედია, ჩვენი მხნეობის შემწეობით უკანასკნელიც არ იქნას, — დაიწყო გიორგიმ. — მე ბევრი ლაპარაკით არ შეგაწუხებთ. ყოველი უბედურების თავი და თავი მიზეზი ჩვენა ვართ. სად იყო წუხელ ან ხეისთავების მეუფროსე, ან ხეისთავები?

— თვითონ ქურდია! თვითონ ხეისთავების მეუფროსე აქცევს ქვეყანას, იმან დააქცია ჩემი ოჯახი წმინდად! — ახმაურდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი და გაწითლებული წინ წადგა.

— ცოტა ფრთხილად ილაპარაკე, — წასჩურჩულა ამხანაგმა. — რა გაყვირებს, ვინმემ რომ მიუტანოს ამბავი, ხომ იცი, რას გიზამს.

— რას მიზამს? კიდევ გამჭურდავს! სხვა რა იქნება? ხომ არ გამყიდის? ბატონყმობა ახლა აღარ არის. ის აზნაურია, მაგრამ დადიანის კაცი იყო და მეც მისი ვიყავი. ლევან დადიანს ჩემი პაპა ძმასავით ყვარებია.

— ეხლა ლევან დადიანი ვერ ადგება, ხომ იცი, და ვერ გიშველის. მარტოხელი კაცი ხარ, არ ვარგა იმისთანა კაცის გადამტერება.

— მომითმინეთ, მომითმინეთ, — კვლავ დაიწყო გიორგიმ, — იმას მოგახსენებდით, სულ ჩვენი ბრალია, რაცა გვჭირს. სულ მართალია, რაც ნესტორამ თქვა. სულ ჩვენგან მცველად დაყენებული კაცები გვღუპავენ.

— მართალია! ისე შემეწევა მიქამგაბრიო, რომ მართალს ვამბობ.

— კარგი, ცოტა ხანს მომითმინე. მათი ამორჩევა მაინც ჩვენს ხელშია და ისიც ვერ მოგვიხერხებია, რომ რიგიანი კაცები ავარჩიოთ. მეუფროსეს ვინ იტყვის, ხეისთავები ნახევარზე მეტი ქურდები არიან, რატომ დღეს აქ ერთიც არ მოვიდა. რისთვის მოვა, არ იცი? განა არ იციან, რომ მოსულიყვნენ, რას ვეტყოდით! ან ის ყაჩაღები უმასპინძლოდ არიან გგონიათ თუ? სრულიადაც არა. მათი მასპინძელი ისევ ჩვენი მეზობელია და ლაბე, ჩვენი მეზობელი, რამდენიმე კომლი, მთელ სოფელს, შვიდას კომლს ვერ გაგვისწორებია. სირცხვილი ამაზე მეტი აღარ იქნება, თუ დამიჯერებთ.

— სულ მართალია, სულ სიმართლეა! — თქვა ყველამ ერთად.

— მერე რა წამალი უნდა დავნაყოთ ამ ჭრილობის მოსარჩენად? დღესვე სასამართლოში შევიკრიბოთ და მოვთხოვოთ ხეისთავებს: ან ის ავაზაკები მოსძებნონ, ანდა ავადმყოფი თავიანთი ხარჯით მოარჩინონ და, რაც უტუნას ავადმყოფობით დააკლდება, უზღონ.

— სწორი სიტყვაა! დღესვე, დღესვე სასამართლოში! გესმით? ნასადილევს უსათუოდ სულ ყველა სასამართლოში უნდა მივიდეთ. დროა თავი ვიცნათ. დღეს ერთს დაემართა, ხვალ მეორეს უარესს

უზამენ, — წამოიძახეს ერთბაშად და ხმაურობა-ლაპარაკით ეკლესიის ეზოდან გამოვიდნენ და თავიანთ სახლებისაკენ გაეშურნენ.

— ნეტავი ვინ უნდა იყოს იქიდან ცხენით მომავალი, — დაეკითხა ერთმანეთს ორი ახალგაზრდა კაცი, როცა გზას დაადგნენ და მომავალი ცხენოსნისკენ ყურება დაიწყეს.

— ვინ იქნება, ჩვენი სოფელი არ უნდა იყოს, — დაფიქრებით თქვა ერთმა.

— ჩვენი სოფელი კი არ არის, მაგრამ მაინც მეცნობილება, ე... ეს... უთუოდ კერანდუხუ ყვანიაა, უტუნას ცოლისძმა. მაგრამ არა, იმას თეთრი ცხენი რომ არა ჰყავდა. არა, სწორედ კერანდუხუა, წვერზე ვიცანი.

ამასობაში მგზავრიც მოახლოვდა.

— კინაღამ ვერ გიცანით, ალბათ რამე შეგემატება. კერანდუხუს გაუმარჯოს! — მისცა სალამი ერთმა.

— პავლეს ღმერთმა გაუმარჯოს, მაგრამ სული ძლივს მომაქვს. რა ამბავია უტუნას სახლში? — ძლივს იკითხა მგზავრმა.

— ჰი, ჰი, ჰი, ასე ჩქარა დარჩელში შეიტყვეთ? ამბავი ცუდი იქნებოდა, მაგრამ ღმერთმა უშველა საბრალო უტუნას.

— როგორ? უტუნა არ მომკვდარა? — თითქმის ტირილით დაეკითხა კერანდუხუ.

— არა. თუმცა ორი ტყვია მოხვდა, საშიში არც ერთი არ არის.

— ჰე, დაილოცა შენი სამართალი! რას არ იტყვიან.

— რაო, თქვენში სხვანაირად გააგდეს ხმა?

— ხმა კი არა, უტუნა გაბეჩავას სახლი გადაწვეს აბრაგებმა და თვითონ მოკლესო, გაისმა ჩვენში და ერთი უშველებელი ამბავია, — კერანდუხუს ცრემლები მოერია. ამოიღო ცხვირსახოცი და თვალები მოიწმინდა.

— მერე შენ როდის გაიგე?

— ამ დილას, წირვაზე რო მივდიოდი.

— ჩქარა კი მოსულა ამბავი, შენ არ მომიკვდე.

— მოვკალი საწყალი ცხენი! შენ თვითონ არ გინახავს ჯერე უტუნა?

— მე თვითონ შევუხვიე ჭრილობა. ამ დილას ვიყავი და ახლაც იქ მივდივარ.

— მაშ ჩემთან წამოდი, შენი ჭირი შემეყაროს, — აღტაცებით შეეხვეწა კერანდუხუ, — ჯერ კი არა, მგონი ჩემი გული ერთ თვესაც ვერ დაწყნარდეს. წავიდეთ, გენაცვალე, მაგრამ მე ცხენით და თქვენ ფეხით?

— რა გვიჭირს. შენ შორიდან მოდიხარ, ჩვენ კი ჩვენ სახლში ვართ.

— არა, მაინც არ არის კარგი, მე მარტო ცხენით მივდიოდე, — ჩაილაპარაკა კერანდუხუმ. ფიცხლავ ცხენიდან ჩამოხდა, თუმცა ბევრი ეხვეწეს, ნუ იზამ მაგასო. აღვირი ხელში დაიჭირა და გასწიეს უტუნას სახლისაკენ.

კერანდუხუ იყო ახალგაზრდა, ესე ოცდაათი წლის ვაჟკაცი, მაღალ-მაღალი ტანისა. პირისახეს უმშვენებდა გრძელი შავი წვერი, რომელსაც ყბის ძირში ყურის ახლო რამდენიმე ჭაღარა გამორეოდა ნიშანივით. ამ საათში მისი სახე აღელვებისა გამო ფერმკრთალი იყო; თანდათან ჩვეულებრივი ფერი ეძლეოდა ყმაწვილკაცს. რაც შეეხება ტანისამოსს, თუმცა საზოგადოდ კარგ ტანისამოსს იცვამდა, მაგრამ დღეს სიჩქარისა გამო სადად იყო გამოწყობილი. ჩითის ახალოხი, ცოტა მოძველო შალის ჩოხა, შავი რქის მასრები, თივთიკის ყაბალახი, წუღამესტი და უბრალო რკინის ხანჯალი, — აი ეს იყო მისი გარეგნობა. განსაკუთრებით ყურადღებას მიიქცევდა მისი ტანადობა. მკერდთან შედარებით წელში იმდენად წვრილი იყო, რომ კაცი შეშინდებოდა, არ გადაწყდესო. უტუნას სახლში მშვიდობამ კერანდუხუ, ცოტად თუ ბევრად, დაამშვიდა. როცა კაცი საშიშს, ანუ ხიფათს რასმე აუცილებლად მოელის, მისი გული ათასნაირად იცვლება, ათასნაირად ღელავს. უბედურების პირველ გაგონებაზე გონება და აზრი საშინლად ერევა, ათასნაირი მწუხარება და რაღაც სიმძიმე აწვება გულს. თვალწინ ელანდება ყოველივე უბედურება და თანდათან შიშში ვარდება; მთელი სხეული უთრთოლავს. რაც დრო გადის, იმდენად მშვიდდება გული და ბოლოს გულგრილად დაუწყებს ლოდინს ამ დროს. თუ ასცდა უბედურება, რომელსაც მოელოდა, ანუ გაგონილი სამწუხარო ამბავი ტყული გამოდგა, კაცი ხელმეორედ ღელდება, გული ცემას უწყებს და განუზომელ სიხარულთან სახე ათასნაირად ეცვლება. კერანდუხუსაც ასე დაემართა. საშინელი ამბის პირველ გაგონებაზე არ იცოდა, რა ექნა. წირვაზე მიდიოდა და შუა გზაზე შეიტყო. ამ მოულოდნელმა ამბავმა ისე აურია გონება, რომ სიარულსაც ვერ ახერხებდა. იდგა ერთ ადგილას და აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს გონს მოვიდა და ტირილი დაიწყო, მაგრამ დამშშვიდებულმა იმით, რომ იქნება მგზავრმა სხვისგან გაგონილი ჭორი მითხრაო, ამბის კარგად გამოკითხვაც ვერ მოახერხა. შინ დაბრუნდა, გული შეიმაგრა და გამოსწია, რომ ყოველივე თავისი თვალით ენახა. ნაცნობებისაგან სასიხარულო ამბის გაგო-

ნებამ და მათთან მუსაიფმა სრულიად გამოიყვანა იმ ბურუსიდან, რომელშიაც იყო ამ რამდენსამე საათის წინათ. ბოლოს იმდენად დამშვიდდა, რომ სიცილი და ხუმრობა დაიწყო.

— რა ამბავია, კაცო პავლე, ცოლს რომ არ ირთავ, რას უყურებ, ძალიან მიკვირს! — გაეხუმრა კერანდუხუ გზა-გზა.

— მე რომ მეუბნები, შენ რას უყურებ? არ ხედავ, ჭაღარაც გამოგრევია, — სიცილით მიუგო პავლემ.

— მე დავბერდი, ჩემთვის არც კია საჭირო ცოლი, ან ვინ მომცემს ქალს, მოხუცებული ხარო, მეტყვიან.

— ვიცი, რაც მოხუცებული ხარ. შენ არ იყავი, ნობოდენში რომ ქალებს ეარშიყებოდი?!

— ჰა-ჰა-ჰა! შენც იქ იყავი მაშინ? მე რომ ვერა გნახე!

— ისეთი საქმე მქონდა, ვერ მოვიცალე, შენთან მოვსულიყავი. მეორე კიდევ, ჩიჩიე ლაფშაზე ვიჯექი და, ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა.

— ჩიჩიე ლაფშა რა, ცოლს ხომ არ ნიშნავდი? მე შენი ვყოფილიყავი, არ დავერიდებოდი და მივიდოდა ნაცნობთან, — ჩაერია საუბარში მესამე მგზავრი, რომელიც პავლეს მოჰყვებოდა ეკლესიიდან.

— ეს ჩემი მამიდაშვილია, ბეჟა ინავარდია, ფაცალა ინავარდიას შვილი, სტუმრად მოვიდა ჩემთან ამ დღეებში.

— ამის მამას ვიცნობ! მაგრამ, თუ ამხელა შვილი ჰყავდა, არ მეგონა. შესანიშნავი ზეინკალია ამისი მამა. მისი გაკეთებული ხმალი ყარამან ზვანბაიამ, მარტო პირი, ათ თუმნად იყიდა ზუგდიდში.

— ბეჟა შინ პატარაობიდან არ ყოფილა. ქუთაისში მამამისმა ადრე წაიყვანა და იქ პოვრობა დაუსწავლია. პირველად ახლა მოვიდა. მაგრამ ძლივს ლაპარაკობს, სულ გარუსებულა. იცოცხლე, ამან რუსული იცოდეს. გუშინწინ ზუგდიდში ერთ რუსს ჩხირივით მიაყარა.

— რასაკვირველია, დაისწავლიდა, თუ ქუთაისში იყო. მე ღმერთი გამიწყრა, არც გამზდელი გამომიჩნდა, არც ნათლია, არც კულუხჩის კონკა, რომ სადმე წავეყვანე, პოვრობას ვინ დაეძებს, ხელის მოწერა რომ ვიცოდე.

ბეჟას ამ სიტყვებმა თავმოყვარეობა აღუძრა. რუსული ქუდი თავზე გაისწორა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, წარბი შეიჭმუხნა, თავი ძირს დაჰკიდა და ნელ ხმაზე რაღაც სიმღერა დაიწყო.

— შენი კანჯარი რა უყავი, კერანდუხუ, ის კარგი ცხენი იყო.

— ამაზე გავცვალე, ეს უნაგირიც დამითავეს. ესეც კარგია. ისეთი სირბილი იცის, რომ ჩიტი ვერ მოეწევა. ახლა ძლიერ გალაბულია. ხუთი თვეა ზედიზედ უნაგირი არ მომიხსნია, თორემ უწინ რომ გენახა, კვერცხი არ გადაგორდებოდა გავაზე. მერე! სულ ახალია, შარშანდელი დაკოდილია.

— მოგიგია, შენ არ მომიკვდე. უნაგირი მშვენიერება რამეა. ტას ამბობ, სულ ზანიშია აბჟანდიანად. სანძო-სამკერდეც ლამაზადა აქვს. კეთილი, კეთილი, მოგიგია, ღმერთმანი.

— მაკვირვებს ამ უტუნას ამბავი. მისგან განაწყენებული კაცი, არ ვიცი, თუ ქვეყანაზე მოიძებნება. რაც აქვს, სულ თავისი ხელის ნაშოვარი აქვს და რა ჯინი ჭირდა იმ კაცს, რომ დაეცა, — ცოტა ფიქრის შემდეგ დაიწყო კერანდუხუმ და მათრახი მესტებს დაუპარტყუნა.

— განა იმაზეა, შენი ჭირიმე, კერანდუხუ! სოფელს ძალიან უყვარს უტუნა! მარტოხელი კაციაო, თორემ შარშან კინაღამ კეთილსინდისიერად ამოირჩიეს. სოფელს არ უნდა ცუდი მისთვის. მაგრამ ჭაინც სოფლის ბრალია, რაც იმას დაემართა. კარგი ცხენი ყავს, კარგი ცხენი ყავსო! — გაუგდეს ხმა ქვეყანაზე. არ იცი განა, რა ამბავია ჩვენში? აბრაგები ბატონობენ, ქვეყანა აიკლეს. მიქაბერია* დაბერდა, პრისტავები სულ თავადები არიან და, რასაკვირველია, თავიანთ ხორცს ძაღლს არ აუმევენ. აბრაგები კარგ ცხენებს დაეძებენ. როცა დამეცენ, ცხენს კარგს გიქებენ, მითხრესო, თქვა უტუნამ, — და იმიტომ მოვედითო.

— რა! გიამბოთ, როგორ დაეცნენ? ერთი თქვი, თუ ღმერთი გწამს?

პავლემ ყოველივე დაწვრილებით უამბო.

— დაილოცა შენი სამართალი, ბედი არ არისო, იტყვიან; როგორ არ არის, შენი ჭირიმე. ყველაფერ ბედით არის ქვეყანაზე. მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა. როგორ ატყობ, ვითომ ხელი გაუფუჭდება? ისიც მარჯვენა, თუ გაუფუჭდა, შენი მტერი, დაიღუპება.

— თუმცა საშიში ადგილია, მაგრამ მორჩენილი ბევრი მინაბავს ამისთანა დაშავებისაგან.

ამნაირი ლაპარაკით ისინი მიუახლოვდნენ კიდეც უტუნას ბახლს. კოპწია ოთხთვალიანი, თაღიან-ფანჯრებიანი ოდის დერე-

* ხუგდიდის მაშინდელი მაზრის უფროსი იოსებ მიქაბერიძე.—ს. ც.

ფანი კაცით და ქალით გაჭედილი იყო. ყველამ თვალები მომავალ-მგზავრებისაკენ მიიქცია.

— დია, ნანა, კერა, — წამოიძახა ძურგუმ და გამოექანა. გადა-კოცნის შემდეგ აღვირი ჩამოართვა და ცხენი საბალახოდ წაიყვანა.

კერანდუხუ, პავლე და ბეჟა სტუმრებს თავმდაბლად მიესალმ-ნენ. მაია და თებრო სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ.

—შენი ჭირიმე! შენ გენაცვალე, განა გულმა იგრძნო ჩვენი უბედურება, რომ წამოსულხარ?

კერანდუხუმ უამბო როგორ შეიტყო მომხდარი გარემოება. ყველანი პირღია და თვალებგაშტერებულები ყურს უგდებდნენ.

— სასწაული თუ გინდა ეს არის! ასე ჩქარა დარჩელშიაც მისულა ამბავი, — ისმოდა სტუმრებში.

წინა პატარა ოთახში, ხალდაგებულ ტახტზე, პირაღმა იწვა უტუნა, კბილს კბილზე აცემინებდა ტკივილისაგან, მაგრამ მაინც საკვირველად იმაგრებდა თავს.

— ყოჩაღად გხვდები სწორედ სიძე! აი სიძე ასე უნდა, ზეზე-დაც არ წამოგიდექი, — გაჭირვებული ხუმრობით შესძახა უტუნამ ახალ შემოსულ კერანდუხუს.

—მადლობა ღმერთს, მშვიდობით გხედავ, რა ამბავია, ბეჩა, რა დაგემართა?

— ყაჩაღობა დავიწყე, აბრაგებს ვიჭერდი, მაგრამ ვერ დავიჭი-რე, კიდევ კარგი, რომ ვერ მომკლეს. ჯიჯგვა უნდოდათ წაეყვანათ, მაგრამ ვერ მივართვით შაურიანი პური.

— ბედი, თუ ძალიან არ გტკივა. მერე ამ ივლისში ჯოჯოხეთია სწორედ ჭრილობა.

— როგორ არ მტკივა. სული მიმდის, მაგრამ ქალი არა ვარ. რომ ვიტირო. ვაჟკაცი ვარ, უნდა მოვითმინო. ამათი ჭირი შემეყარა: დღეს ბევრმა მნახა; იცინიან, მუსაიფობენ და თავს იმით ვიქცევ, თორემ ესენი რომ არ მოდიოდნენ, შენი მტერი! რა იქნებოდა კაცი, მეზობლობა-ამხანაგობა რომ არ ყოფილიყო. ახლა, მაგალითად, მეზობლები რომ არ მყოლოდა, ამდენ ხანს მკვდარი ვეგდებოდი.

კერანდუხუს სკამი მოუტანეს. სხვებიც ახლომახლო მოუჯდნენ და დაიწყეს ლაპარაკი.

— მამასახლისს არ შეატყობინე ჯერე ეს ამბავი? — იკითხა კერანდუხუმ.

— რას ამბობ, მთელი სოფელი ფეხზე დგას, დღეს სასამართ-ლოში მოლაპარაკება იქნება. ქაღალდს ნაჩალნიკს გაუგზავნიან. — ჭარბების აწევით მიუგო უტუნამ.

— გაუგზავნიან კი .არა, ხვალვე დაიჭერს აბრაგებს, მისი თავი ნუ მომიკვდება. ქალალდი რომ საქმეს გაარიგებდეს, ქვეყანა ამდენ ხანს ოქროთი იქნებოდა მოჭედილი.

— ჰა, ისე ჰალა-ჰალად საქმეს თავის დღეში ვერ გავუშვებ. ცოლ-შვილი რომ დავაგირაო, მაინც უნდა ამოვიღო ჩემი გალანძღვა.

— ნეტავი ვიცოდეთ, ვინ არიან ის წყეულები და მერე ჩვენ ვიცით! — ერთხმად წამოიძახეს სტუმრებმა. მაია და თებრო კერანდუხუს ახლო მოუჯდნენ და სათითაოდ გამოჰკითხეს სახლობის ამბავი. ბევრიც ეხვეწნენ, რომ იმ ღამეს დარჩენილიყო.

— ამაღამ უსათუოდ უნდა წავიდე შინ. დედაჩემი ჩემ მისვლამდის, მტერი და მოუბადე, სულს დალევს.

— ყველაფერი კარგი, კერა, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, — თავაზიანად მიმართა უტუნამ.

— რა?

— მარგვლა გაათავე?

— ცოტა დამრჩა კიდევ.

— იმას ბაკა გაათავებს და შენ ამ სამ დღეში უსათუოდ უნდა მოხვიდე და მიშველო რამე, ისეთი ყანა დამრჩა გასამარგლავი. მეზობლები მიშველიან. ნადს ვაწვევ და შენ თადარიგი უნდა მიმიცე.

— ბატონი ბრძანდები. ახლა კი დროა, წავალ, რადგანაც ცხენი დაღლილია და ჩქარა ვერ ვივლი.

— რას ჩქარობ, კაცო, სადილი მაინც ჭამე, ჩვენც ახლა ვჭამთ.

კერანდუხუ კარგად ასადილეს. ამ ხანში ცხენმაც დაისვენა. მოაჯდა მერე ზედ და შინისკენ გაეშურა.

— თქვენ, ძმებო, — მიუბრუნდა უტუნა მეზობლებს, — უმეტესობა აქა ხართ. სულ ერთია, როცა გინდა გითხრათ, თითო-თითო დღე ჩემთვის უნდა დაკარგოთ. მეტად გულს მწვავს ის ყანა.

მეზობლებმა სიხარულით შველა აღუთქვეს და თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, გარდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟებისა, რომელნიც თამაშობა-სიმღერაში გაებნენ ავადმყოფის გასართობად.

IV

ნაშუადღევის ორი საათი იქნება. მზე ხანდაზმით დაჰყურებს ქვეყანას, თუმცა ქალალდივით თეთრი ღრუბლები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მზე თავიანთ კალთაში დამალონ და დედამიწას-

თან ყოველივე ქავშირი მოუსპონ. სოფელ ა-ს საგლეხო სასამართლოს განიერი, მაღალი და სუფთად თეთრი კირით გალესილი ხის სახლი, ერთ სერის წვერზე ამართული, ბატონურად გადმოყურებს მიდამოს. მის ახლომახლო ათასნაირ ვაზებით შეხვეული ხეები, თითქო ჩინ-ლენტებ-ორდენებით დაჯილდოებული, მხარს უმშვენებს სოფლის სასამართლოს. სასამართლოს ფერადად შეღებილი მოაჯირი ჯერ ცარიელია. ფანჯრები გაღებულია, რომ ოთახის ჰაერი გაიწმინდოს.

აი, დაიწყო ხალხმა მოგროვება. ზოგი მოდის გაჩქარებით და ოფლში იწურება. ცდილობს მოემზადოს და, როცა დაუძახებენ, რიგიანი პასუხი მისცეს. ზოგი მიდის სეირის საყურებლად, რადგან ჩვეულებად აქვს გადაქცეული, რომ ყოველ კვირა ნასადილევს სასამართლოში წავიდეს და იქ დარჩეს საღამომდე. ესენი ბეჭებზე ჯოხწამოდებულები წყნარად მიდიან. მომეტებული ნაწილი კი წუხელ მომხდარი ამბის გასარჩევად მიეშურება სასამართლოსაკენ. აი აივსო სასამართლო ხალხით. მოვიდნენ მამასახლისი და მოსამართლენი. აგრეთვე მწერალიც გვერდით ახლავთ. ხალხი ზოგი მინდორში ჩამორიგდა ჯგუფ-ჯგუფად და იქ ჩიბუხის წევით მუსაიფს მიეცა. ზოგიც, ვისაც საქმე აქვს, სასამართლოს ოთახს არა შორდება, გულის კანკალით მოელის თავისი საქმის გარჩევას. ზოგიერთი მოპირდაპირენი მინდორშივე ეჩხუბებიან ერთმანეთს და გაცხარებით ლაპარაკობენ.

— სუთ, სუდიები გიბარებენ, — გაისმა ხმა და ასტყდა კიბეზე ამსვლელ-ჩამომსვლელთა ბრაგაბრუგი. ხალხი ჯგუფად შედის სასამართლოში და ოთახის გარშემო ტახტზე მწკრივდება. მოსამართლეები მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას მოუსხდებიან და ჩიბუხებს აბოლებენ. აქვე მწერალი ზის და ქაღალდებს არჩევს.

— რამდენი საქმე გვაქვს დღეს? — ჰკითხა ერთმა მოსამართლემ მწერალს. — თუ ღმერთი გწამს, ჩქარა გავათავოთ. მოსალაპარაკებელი გვაქვს უტუნას თაობაზე.

— რამდენი საქმე გვაქვს და — ასი! — გაჯავრებით მიუგო მწერალმა. — რა ვიცი, ეს ოხერი ქაღალდები სულ ამრევია! კაცო, რა საშინელი ბოლი მოდის მაგ შენი ყალიონიდან, ლამის წამაქციოს. რამდენჯერ მითქვამს, საქმის გარჩევის დროს თუთუნის წევა არ შეიძლება-მეთქი. მიროვი პოსრედნიკიდან ამის გულისათვის ორჯელ მოვიდა მოწერილობა, ანდა ყაბალახით ჯდომა. როგორ შეიძლება, ვერ ხედავ, რომ ხელმწიფის სურათი ჰკიდია!..

— უკაცრაოდ, შენი ჭირიმე, დამავიწყდა. ეგ ოხერი კაი თუთუ-

ნი იყო, ბიჭიამ მომცა! თქვენ მითომ რაო. — გადახედა მოსამართლემ გლეხკაცებს, რომელნიც თამბაქოს ბოლისაგან ძლივს ჩანდნენ, — რად ეწევით, დააგდეთ ახლავე.

— კარგი, კარგი, რა დროს ჯავრობაა, საქმეს შევუდგეთ, — ჩასჩურჩულა მოსამართლეს ამხანაგმა.

საქმე დაიწყო, მაგრამ მაშინვე არეულობა მოჰყვა და შეიქნა ყვირილი მომჩივან-მოპასუხეთა შორის. ყველა თავის სიმართლეს ამტკიცებდა, საბუთები მოჰყავდა, ღმერთსა ჰფიცავდა, თავს იწყევლიდა, მოწმეებს ასახელებდა და სხვა. მოსამართლეები და განსაკუთრებით მწერალი, ძალზე იღლებოდა ხმამაღლა ლაპარაკით, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო არ იყო, რადგან ყველა საქმე ერთგვარად თავდებოდა: „ამან ამას დაუფიცოს, თუ დაუფიცა, თავისუფალია, თუ არა და — გარდაუხადოს“.

— კმარა, კმარა! დანარჩენები პარასკევს მობრძანდით. ახლა კი ადით აქედან, ქაღალდები შკაფში უნდა შევალაგო, — თქვა მწერალმა და მილაგ-მოლაგება დაიწყო იქაურობისა.

— მართალს ამბობს, გვეყოფა, — წაილაპარაკა ერთმა მოსამართლემ, — უთუთუნობით ლამის სული ამომძვრეს, მეტი აღარ შემიძლიან.

სასამართლო დაცარიელდა. ხალხმა სასამართლოს გვერდით მოიყარა თავი, ხეებქვეშ ჩრდილოში, სადაც მათი ხმამაღალი ლაპარაკი და ყაყანი ტყე-ველს აყრუებდა. შუაში ფეხმოკეცით იჯდა მამასახლისი და გაცხარებული ყვიროდა.

— აგერ სუდიებიც მოდიან, — თქვა მან დამშვიდებით, — კარგად მოვილაპარაკოთ, თუ ღმერთი გწამთ. ხეისთვების მეუფროსე არ მოვიდა. ხომ დაიბარე? — ჰკითხა მამასახლისმა იქვე მდგომარე პომოშნიკს.

— ვუთხარი, ბატონო, მაგრამ კინაღამ გამარტყა, წადი შე ასეთისეთო, დღეს სადა მცალია, სენაკში უნდა წავიდეო.

— მაშ ეს ულვაშები არა ყოფილა! — წამოჰარხლდა მამასახლისი და ზეზე წამოდგა.

იგი იყო მაღალი ტანის წარმოსადეგი კაცი. თვალებს ისეც საშინლად აბრიალებდა და ახლოს ხომ სულ ნაპერწკლებსა ჰყრიდა. ტანზე ლამაზად შეკერილი ჩოხა-ახალუხი ეცვა, რომელიც ძლიერ შვენოდა. მხარზე გადაკიდებული ჰქონდა ოქროში დაფერილი ვერცხლის ხმალი.

— ხომ გესმით, ხალხო, ხეისთავების მეუფროსემ რაც შემომითვალა? — ეს სიტყვები ისეთი დაბეჯითებითა თქვა მამასახლისმა,

რომ ნახევარარშინის სიგრძე წვერმა ძალზე ცანცარი დაიწყო. — მე ვიბარებ საქმისათვის, კინაღამ სოფელი დაიქცა, ისეთი ამბავი მოხდა, ასი ვერსის სიშორეზე გაიგეს და ის კი, ხეისთავების მეუფროსე, თითქო არაფერი ამბავიაო, სავაჭროდ მიდის! მაშ მე ოხერი ვიქნები, თუ მაგრა არ გავაბი ამ საქმეში! არ ვიცი, გგონია, რა ქაციც ხარ? ყველაფერს გამოვუჩენ კუდს.

— აბა, როგორ შევუდგეთ საქმეს, მამასახლისო? — დაეკითხა მწერალი, როცა ცოტაოდნად დამშვიდდა.

— წინანდელი განჩინება მომიტანე, წავიკითხოთ, როგორ შევეკარით პირობით ხეისთავებს. ჯერე ის უნდა წავიკითხოთ და მოვთხოვოთ ხეისთავებს მიზეზი, რისთვის დაარღვიეს განჩინება და ერთად აბრაგებს არ გამოედევნენ.

მწერალმა განჩინება საჩქაროდ გამოიტანა და მამასახლისს გადასცა.

— ახლა აქ მობრძანდით სუყველა ხეისთავები, აქ მოგროვდით, — ხმამაღლა დაუძახა მამასახლისმა. — ან იქნება თქვენც იმალებით? შეხედეთ, ამათაც ნახევარი აკლია.

— სუთ, სუთ, რა ხმაურობაა! — აჩუმებდა ერთმანეთს საზოგადოება, მაგრამ ამით უფრო ემატებოდა ხმაურობას. სუყველა თავდარიგის მიმცემი იყო და, აბა, ვინ გაჩუმდებოდა. ხეისთავები მამასახლისის წინ წარდგნენ და განჩინების კითხვას ყურისგდება დაუწყეს.

— რისთვის არ ასრულებთ, რაც აქ წერია, რისთვის არ გამოედევნეთ აბრაგებს, როცა მთელი სოფელი ფეხზე იდგა?

— როგორ თუ არ დავედევნეთ? თავდავიწყებული სირბილით ფეხები ახლაც მტკივა. — გაჯავრებით მიუგო ერთმა წითელწვერა ხეისთავმა.

— ეგ როდის, როცა გათენდა? როცა აბრაგები ენგურს ჯავიდნენ, მაშინ? კარგი ფხიზელი ყოფილხართ, თქვენმა მზემ!

— რას ჰქვია გათენდა! იალონი სად იყო, როცა ჩვენ ჭვილორია გავედით და სირბილით და ყვირილით კვალს ვარკვევდით?

— შეხედეთ, რა ტყუილს ამბობს, — ჩაერია ერთი მოსამართლეთაგანი ლაპარაკში. — ჭვილორია გავედითო, შენ არ იყავი ამ დილას მეზობელს ეკითხებოდი, რა ამბავი მოხდა წუხელიო. მე მაშინ თემშარაზე მივდიოდი.

— რა ვუყოთ მერე, ჩემი ამხანაგები მისდევდნენ, — მიუგო შერცხვენილმა ხეისთავმა, — მეც წავიდოდი, ღმერთმანი, მაგრამ თავი მტკიოდა საშინლად.

— ეს რომ ყოფილიყო, ჩვენზე მეტს რას გაარიგებდა, — ერთხმად აყაყანდნენ დანარჩენი ხეისთავები. — ჩვენ ხალხი არ ვიყავით, რომ კუპი გავიბერეთ?

— შენი ამხანაგები თუ მისდევდნენ, მე მივსდევდიო — რას ლაპარაკობ? — ჩააცივდა ხეისთავს მამასახლისი.

— სულ ერთი არ არის? რა მე და რა ჩემი ამხანაგები! ჩვენ გაყოფილი რა გვაქვს?

— კვალი სანამდი მივიდა მერე?

— კვალი რა! ათასი ადგილით მიდის, ენწერს დასცილდა და მეტე აირია.

— რაო, რაო, — ვეღარ მოითმინა ერთმა ჰაღარა გლეხმა. — ენწერში კვალს რა უნდოდა? დამწყევლოს ღმერთმა, თუ ამათ ყური დაუბერტყავთ აბრაგების დასაჭერად. მე, თიბარმა და უტუნას ახლო მეზობლებმა კვალი ბეგამდი მიუკვლიეთ და იქ დაიკარგა.

— დაილოცა შენი სახელი! სად ბეგი და სად ჭვილორია, სად ღმოსავლეთი და სად დასავლეთი! აბრაგები თუ ბეგით მირბოდნენ, ჭვილორიაში თქვენ ბუზებს ხომ არ მისდევდით. აქ რაღაც სხვა ამბავია! — თქვა მამასახლისმა.

— რა ამბავია? — აბმაურდნენ ხეისთავები. — ჩვენ რა ვიცოდით, სით მირბოდნენ აბრაგები, ჩვენ იქით მირბოდნენ გვეგონა, და იქით მივსდევდით.

— კვალზე მაშ რას ლაპარაკობ, თუ არ იცი სწორედ? ხომ ხედავთ, ძმებო, როგორ არეულ-დარეულია ხეისთავების ჩვენება. აბრაგები აფხაზეთში მირბიან და ესენი სვანეთისკენ მისდევენ. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, ან მოძებნეთ ქურდები, ან ავადმყოფი თქვენი ხარჯით არჩინეთ.

— სწორედ, უთუოდ, — ერთხმად დაიგრიალა საზოგადოებამ.

— მე ამასაც არ დავჯერდები, — განაგრძო მამასახლისმა, — დღესვე ლაპორტი უნდა გავუგზავნო ნაჩალიკს და თქვენი ქცევაც უნდა შევაყოლო.

— ჩვენ რა ბრალი გვაქვს?

— თქვენ არაფერი! ყველაფერი თქვენს მეუფროსეს მოეკითხება. აბა, ვნახოთ, მაშინ, ვინ არის მტყუანი!

ხეისთავებს ფერი თანდათან ეცვლებოდათ, მაგრამ ისინი მაინც არაფრად აგდებდნენ თავიანთ პირის გამტყუნებას და ცდილობდნენ, მათი პირისახის ცვლილება არავის შეემჩნია. ხალხი ბირია. ან ჩვენა და ან ხეისთავებიო! — გაისმოდა დაუსრულებელი

ყვირილი საზოგადოებაში. ამ არეულობასა და ხმაურობაში იდროვეს სირცხვილით დამწვარმა ხეისთავებმა და სათითაოდ გაიპარნენ.

— მე მაშინათვე ვთქვი, ამათ ნუ ავირჩევთ-მეთქი, მაგრამ თქვენ არ დამიჯერეთ, — დამშვიდებით უთხრა მამასახლისმა საზოგადოებას. — ან რა სახეისთავო კაცია ეს უთუთია მახინჯაია. რა ვუყოთ, რომ აზნაურშვილია. ამ სოფელში ქურდების უფროსია და არა ხეისთავებისა. ერთი მითხარით, ქურდმა ქურდი როგორ უნდა დაიჭიროს?

ხალხი თანდათან იშლებოდა, მამასახლისი და დანარჩენი საზოგადოება მინდორში გავიდნენ, მწვანეზე ჩამორიგდნენ და სხვადასხვა მუსაიფი გააბეს.

ამ დროს სასამართლოს მოუახლოვდა ერთი პატარა მეთხე ოციოდე თხითა. ხალხი რომ დაინახა სასამართლოსთან, თხებს თავი დაანება, წამოვიდა და იმათ ლაპარაკს ყურისგდება დაუწყო. თხებიც შორს არ წავიდნენ. იქვე ახლო ფერდობზე ანწლის ბუჩქნარი იყო და იქითკენ გაეშურნენ, რომ საღამოს ჟამს პირი გაეგემრიელებინათ. პატარა მწყემსი იქნებოდა ათი-თორმეტის წლისა; ფეხშიშველა იყო და ტანზე მარტო ცოტა მოძველო ახალუხი ეცვა; შალის კაბალახი კისერზე ჰქონდა მოხვეული. მხარზე ბლის ქერქისაგან დაწნული ჩანთა ეკიდა. ხელში პატარა დანა ეჭირა და თხმელის ტოტის სათამაშოს აკეთებდა. პატარა ბიჭი ყოველ აქ მყოფთა სიტყვას ყურს უგდებდა და ცდილობდა კარგად დაეხსომებინა.

— ვითომ რაო, ის უთუთია სენაკში რომ წავიდა? ამით რა უნდა დაამტკიცოს? რით უნდა გაიმართლოს თავი? — თქვა მამასახლისმა.

უთუთიას სახელის გაგონებაზე პატარამ ყურები აცქვიტა და მამასახლისს შიგ თვალებში დაუწყო ყურება. ბავშვს თვალები გაუდიდდა, ტუჩები აუკანკალდა. ეტყობოდა, თქმა უნდოდა რიღაცისა და თანაც ვერა ბედავდა. ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა:

— ხო, ხო, ხო, შენი ჭირიმე! გუშინ თხებს რომ ვერეკებოდი უთუთიას ეზოსთან, უკან ბახჩა რომაა, იქ ისეთი ლაფშები ძოვდნენ, რომ რა გინდა. იმისთანა ცხენები ჯერედ არ მინახავს. თავადიშვილები მოუვიდნენ სტუმრად და იმათიაო, მითხრა უთუთიას მოჯამაგირემ.

— როგორ, როგორ, ჯიჯი? * — დაეკითხა ალერსიანად მამასახლისი და ბავშვისკენ მიიწია.

* ჯიჯი—ბიძი.

სხვებმაც ამის გაგონებაზე ყურები ცქვიტეს და სმენად გადაიქცნენ. ბავშვმა არ იცოდა, რა დაემართა და ცოტა შეშინდა, მაგრამ მამასახლისმა უფრო ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი და დაამშვიდა.

— შენ, ჯიჯი, ვისი შვილი ხარ?

— მე კიმოთია ვახარიასი ვარ, ბატონო.

— მერე, რა ნახე უთუთიას ეზოში? ცხენებიო, რა იყო, რომ ამბობდი?

— ცხენები ვნახე, როცა თხები გავრეკე, იმის ეზოსკენ. მერე დედაჩემმა რძე გაუგზავნა უთუთიას ცოლს და იქ მოჯამაგირემ მითხრა, ოდაში რომ სხედან, თავადიშვილები არიანო.

— შენ არ გინახავს ის თავადიშვილები?

— როგორ არა, ხელები მე დავაბანინე ვახშმის წინათ.

— ოო! შენ კაი ბიჭი ყოფილხარ. ვერ დაათვალიერე, როგორი კაცები იყვნენ შესახედავად?

— ერთი პო, პო, პო, რა მაღალი იყო! ქიქლილს მიუგავდა ცხვირ-პირი. მერე, როცა შევხედე, შემეშინდა, არ შემჭამოს-მეთქი, ისე აბრიალებდა თვალებს.

— რა ერქვა, ვერ გაიგონე, იმ კაცს?

— ბატონო, ბატონო, სულ უძახდნენ და ნამდვილი სახელი კი არ ვიცი.

— ეს კარგი, სხვები როგორი იყვნენ?

— უი, ჯიჯა, თხები გამექცევიან, შინ გამიჯავრდებიან, — წაიბუტბუტა ყმაწვილმა და წასვლა დააპირა.

— ნუ გეშინია, — უთხრა მამასახლისმა. — შენ ის მიამბე და თხებთან კაცს გავგზავნი, არ დაიკარგებიან. ნოჩო! — დაუძახა მამასახლისმა სასამართლოს ყარაულს. — სად არიან შენი თხები?

— რობუსკენ * იქნებიან.

— წადი, ბიჭო, თხები მოძებნე და ცოტა ხანს იქ იყავი, არსად გაგექცნენ. ნუ გეშინია, — მიუბრუნდა ისევ ბიჭს, — არსად გაიქცევიან. გვიამბე, აბა იმ ბატონის გარდა, სხვები როგორი იყვნენ!

— სხვებიც კაი შესახედავები იყვნენ, მაგრამ იმ ბატონისთანა არავინ არ იყო.

— სხვებს რას უძახდნენ, ვერ გაიგონე?

---

* რობუ—ხევი.

ბიუმა ტუჩებზე ხელი მიიდო და ცოტა ხანს გაჩერდა. მერე ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ერთს კაენაო და მეორეს რას იყო რომ ეძახდნენ. ო... უი! დამავიწყდა, ი... ჰო! კოსთა, კოსთა...

— რას ლაპარაკობდნენ, ყური ვერ მოკარი? — გაკვირვებით ჩაეკითხა მამასახლისი.

— უთუთია სულ იმათთან იჯდა და სულ ლაპარაკობდნენ. ქალბატონიც იქვე იჯდა. სუფრას უსხდნენ და ვახშმობდნენ. ყოველ ჩემს შესვლაზე, როცა ხან წყალი შემქონდა, ხან ვახშამი, ის ბატონი სულ მათვალიერებდა.

— ვერაფერს მოკარი მაინც ყური?

— მე გარეთ გამაგდეს, გული მომივიდა, რატომ მაგდებენ-მეთქი და იქვე გარეთ კარებთან მივიმალე. — შენ ფიქრი ნუ გაქვს, რაღაც გაურია უთუთიამ. ხეისთავები ჩემ ხელში არიანო. საითაც მინდა, იქითკენ გავაქცუნებო. მერე ბევრი იცინეს და სხვა ლაპარაკი კარგად ვერ გავიგონე. მგონია აფხაზურად დაიწყეს ლაპარაკი.

— კარგი, ჯიჯი, ახლა შინ წადი.

— სხვა რა გინდა, ჩემო ძმაო, — ნაღვლიანად მიუბრუნდა მამასახლისი იქ მყოფთ, რომელნიც გაქვავებულებივით იდგნენ. ერთს ყალიონი პირში შერჩენოდა და გადავიწყებოდა, რომ ყალიონსა ვწევო. რიღაცის თქმა დააპირა, ყალიონი გავარდა და ქვაზე დაიმსხვრა. — რად გინდა ყრილობა, განჩინება, საქმე სარკესავით ცხადია. სულ ერთი არ არის ჩვენთვის? ვის რას შესჩივლებ. აბრაგები ხეისთავის უფროსს ესტუმრნენ. უფროსმა შემწეობა მისცა. გლეხს დაეცნენ და, როცა ქვეყანა ფეხზე დადგა, სოფლის თვალის ასახვევად, ვითომდა მდევრად ხეისთავები გამოუყენა აბრაგებს. ვისი ეშინია? ნაჩალიკიდან მოყოლებული იასაულამდე ყველა იცნობს. გამიგზავნია, თუ გინდა, ლაპორტი, მხოლოდ ვამბობ და ჯინს ვიკლავ, თორემ რა გამოვა? არაფერი! ქაღალდს კუთხეში მიაგდებენ ჩვეულებრივ და მორჩა. როდის უნდა ეღირსოს ჩვენს ქვეყანას სამართალი. ჩვენც რომ მოსაკლავები ვართ! ყველაფერი გვხვდება, რაც რომ გვჭირს. მივიდეთ, დავეცნეთ, გადავწვათ მისი სახლ-კარი და გათავდა? ხომ ვიცით, რომ ქურდია, ქვეყანას აწუხებს; მაგრამ დახეთ ჩვენს უჭკუობას, ხეისთავების უფროსად ვნიშნავთ?! ისე გვეშინია მისი, რომ საკვირველია სწორედ. — მამასახლისმა მხრები შეიშმუშნა და ტუჩების შეკუმშვით თავი დაქნია. — დღეს აქ ვინც ენას ალავაშებდა და უთუთიას

ეიცხავდა, ხვალ გზაზე რომ შეხვდეს, მიწამდი თაყვანს სცემს. მოდი ახლა და არიგე საქმე. ღმერთს გეფიცებით, სამი თვე ნაობახთში დავჯდები, თუ ამ თანამდებობას მომაშორებენ. მეტი არა ვარ, ღმერთმანი, ისეთ ამბავს ვხედავ, ჩვენი დაუდევრობისა და ლაჩრობის გამო. თუ გინდ ნაჩალიკმაც მოინდომოს, თუ გინდ შეიტყოს, ვინც იყვნენ, მერე ბევრ რასმე გააკეთებს? ის ბატონიო, რომ თქვა ბაღანამ, უთუოდ ბუხუ იქნებოდა. ბუხუ და კაენა აბრაგები არიან, ერთად დადიან. გაგზავნე პრისთავი. ხვალ დაგიჭერს, აუშენდება ოჯახი. ბათალიონი რომ გამოუდევნო, ფრჩხილით ვერ მიეკარები. ჰ! რა შვილი ხარ, რას უზამ.

— მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე უკუღმა ყოფილა ყოველ მხრივ! — წაიდუდუნეს ნაღვლიანად გლეხებმა და დაიშალნენ.

საღამო მოახლოვდა. კიმოთია ვახარიას ოჯახში საღამოთი მილაგ-მოლაგება დაიწყეს. მისი ცოლი ცირა ციბრუტივით ტრიალებდა. ქათმები საქათმეში თვლით შესხა. ქვაბი გარეცხა და ღომი ჩამოჰკიდა. ცეცხლი გააჩაღა. ძროხა-ხარები აგვარაში* შერეკა. ამ დროს მისმა გოგომ კოკით წყალი მოიტანა. კიმოთია დაბრუნდა თავის უმცროსი ძმით. ცირას რაღაც უსიამოვნობა ეტყობოდა სახეზე.

— რაა, ქალო, რამ მოგაწყინა? — ჰკითხა ქმარმა.

— სად არის ის ბიჭი, თხები უნდა მოვწველო. რად დაიგვიანა, მიკვირს. რა ვიცი, ბაღანას დაემართებოდა რამე? აბა, თოლი, ერთი გაიარე სადმე.

— დავუძახოთ, ალბათ ამხანაგებთან დარჩა, — წაილაპარაკა კიმოთიას ძმამ და ბიჭს ძახილი დაუწყო. — ვო... ლევა უი!..

— უ, უი!

— ე, ეგერ მოდის, რა დაკარგავდა, მაჰაჯირობა ხომ არ არის.

ლევამ ღიმილით თხები მორეკა. ცირა ნიგით** დახვდა და თხებს წველა დაუწყო.

— სად იყავი, ბიჭო, ამდენი ხანი? — ჰკითხა მამამ შვილს.

— ადრე მოვიდოდი, მაგრამ სასამართლოში დავრჩი.

— ჰ, ჰ, ჰ, სასამართლოში, რა მოხელე კაცი იყავი?

— რა ვიცი, მამასახლისმა მკითხა.

— რაო!

— უთუთიას სახლში ვინ იყვენო, რა ერქვათ, რას ლაპარაკობდნენო.

---

* აგვარა—საქონლისათვის შემოკავებული ადგილია. ** ნიგი—რძის ჩასაწველი ხის მაღალი სათილი.

— მერე, შენ რა უთხარი?

— რაც ვნახე!

— უიტ! შე, გლახა, შენა! ვინ გეხვეწებოდა, უთხარიო? შენ ვისი მოლაპარაკე იყავი? სულს ამოგართმევ ახლავე. ღმერთი არ გაგიწყრეს, ხელმეორედ რამე არ გაბედო, თორემ ვაი შენი ბრალი, როგორ კვახივით დაგახეთქებ მიწაზე. უბედურება არ არის ახლა, თუ ღმერთი გწამს, თუ საქმეზე გადავიდა, ხომ დავიღუპეთ.

— გადასცენ, რაა მერე? — ანუგეშა ძმამ. — უთუთიას ნაჩალიკი ხელის გულზე ყავს.

— ჰო, არაფერი, ჩვენ უარს ვიტყვით, თავს გავიმართლებთ, ბაღანას ნათქვამს ვინ დაუჯერებს და ბუხუს თუ უნდა, გამოედევნონ თუნუქის ხმლიანი ყაზახებით. ბევრს რასმე არ ‘დააკლებენ! ნაჩალიკს ბუხუ მამასახლისზე უკეთესად იცნობს. ის კი არა, შეილივით უყვარს.

— რა იქნება, კაცო, ჩვენ, ხეისთავებს თავის დღეში ვერ გაგვამტყუნებენ. მე რა ვიცი, საით წავიდა აბრაგი. მთელი სოფელი ყვირის. მეც ახალი გაღვიძებული მივრბივარ. საით მოვახერხო აბრაგის დაპერა-მეთქი, ვიტყვი, როცა დროი იქნება და რა უნდა მიყონ.

— მაინც მე უთუთიას სახლში წავალ. იქაც მოვილაპარაკებ, როგორ მოვიქცეთ. თუ ვახშმობამდი არ მოვედი, ნუ დამიცდით. კიმოთია წავიდა. შინ ვახშამი დაამზადეს. ნავახშმევსაც საკმაოდ უცადეს, მაგრამ კიმოთია არ მოვიდა. ალბათ, რამე საქმეს შეხვდებოდაო, — იფიქრეს და ტკბილ ძილს მიეცნენ.

V

სოფელ ჯ. მახლობლად, საკმაოდ მაღლობ ადგილზე იდგა ვეებერთელა ფიცრის სახლი, ყავრით დახურული. ამ სახლში სულ ცოტა ათამდე თეალი ოთახი იქნებოდა. სახლს საძირკველი ქვიტკირისა ჰქონდა და ამ ქვიტკირზე დაწყობილი იყო მუხის მსხვილი სარტყელები, რომელზედაც ამოეყვანათ კედლები. შუა ადგილას ამოშენებული იყო დიდი ბუხარი, თუმცა უშნო, უხერხული, მაგრამ იმ დროს ახლომახლო მცხოვრებთათვის დიდად სანატრელი. კედლებში აქა-იქ გამოჭრილი იყო სხვადასხვა ზომის ფანჯრები, რადგან პატრონს ფიცრები დანანებოდა და ფანჯრებისათვის დიდი ადგილი არ გამოეჭრევინებინა. სახლი არ იყო მაინცდა-

მაინც მაღალი, მაგრამ ერთი რომ აშენებული იყო მაღლობზე, მეორე ახლომახლო მისი მსგავსი არ მოიძებნებოდა; შორიდან ხომ ისე ჩანდა, რომ კაცს თვალს მოსტაცებდა.

— ე, ბიჭო! ვისი სახლია, იქ რომ მოჩანს? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს რამდენიმე ვერსის სიშორეზე მიმავალ-მომავალნი, რადგან, რაც უნდა შორს ყოფილიყავ, მაინც კარგად მოჩანდა, უთუოდ მგზავრის თვალს იტაცებდა.

— ეგ თავად ალმასხანის სასახლეა, ახალ პლანზე დაიდგა.

— კარგი საქონელი გაუკეთებია, შენმა მზემ! ამისთანა სახლი ჯერ არ მინახავს სწორედ, მშვენიერება რამე არის.

თავად ალმასხანის ეზოს ეჭირა ასამდე ქცევა მიწა. ოცამდე ქცევა ტყით იყო დაბურული, სადაც უზარმაზარი მუხები, ცაცხვები და სხვადასხვა ხეები ბატონკაცურად გამოჭიმულიყო და არემარეს თავმომწონედ დაჰყურებდა. დანარჩენი ადგილი ეჭირა ეზოს, სადაც მოთავსებული იყო ვენახი, ბაღი, მაღალი ბაღლახი (ყოინდარი) და სხვა. დიდი სასახლის ახლო იდგა მეორე, ძველებური სახლი, რომელიც სიდიდით პირველს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ეს უფრო დაბალი იყო, უბუხრო. უჭერიატაკო და უფრო მოკლე ფიცრებითაც იყო გაკეთებული. ეს სახლი რამდენსამე ნაწილად იყო გაყოფილი და შიგა თავსდებოდნენ მოსამსახურენი, მოჯამაგირენი, ცხენები და სხვა შინაური პირუტყვი. ამ სახლზე ცოტა მოშორებით იდგა სხვადასხვა ზომის სახლები: მარანი, ხულა, საქათმე, საღორე, საკამეჩე და სხვა. ეზო შემოზღუდული იყო მუხის მსხვილი მესრით, რომელზედაც, როგორც იტყვიან, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

ეს ის დრო იყო, როცა 1866 წელს უმაღლესი მანიფესტით მოესპო ბატონყმობა და გლეხები, როგორც სხვაგან, ოდიშშიც განთავისუფლდნენ. თავ. ალმასხანს, როგორც თავადს, ბევრი ყმა ჰყავდა. მის სასახლეში დარბოდნენ უანგარიშო გადიები, დოლმახორები *, მეჯინიბენი. ზოგს ვალად ედო ხელით სიმინდის ფქვა. ზოგს მზარეულობა (გაგესქუა) და სხვა უანგარიშო წვრილმანი სამსახური. ერთი ნაწილი ყმებისა ბეგარას იხდიდა, მეორე პირადად ემსახურებოდა. ეს პირადი მომსახურენი დროგამოშვებით უსათუოდ სასახლეში უნდა ყოფილიყვნენ, თუნდა მამაც რომ მოჰკვდომოდათ. რიგის დროს შინ წასვლას ვერ შესძლებდნენ.

ბატონი და ქალბატონი კი განცხრომაში იყვნენ და იმას ჩიო-

* დოლმახორე—მოჯალაბე გლეხი.

დნენ, რომ ღამე როგორღაც ტკბილად არ გვეძინაო, რწყილები მრავლდებაო, თუმცა ყოველ დღე ასუფთავებინებდნენ საწოლს, ან იმის საუბარში იყვნენ, თუ რა შესანიშნავი კაცები იყვნენ მათ• განსვენებულნი მამა-პაპანი და წინაპარნი.

დროება გამოიცვალა, ბატონყმობის გადავარდნა გამოაცხადეს. თ. ალმასხანს კაცის თავზე ოცდახუთხუთი მანეთი მისცეს და ყმები ყველა ჩამოაცალეს. არ ვიცი, ეს წითელი ქაღალდები სჯობდა, თუ ის კაცებიო, ამბობდა გულში ალმასხანი, როცა ფულები დაუთვალეს. კაცის ფასი არ იქნებაო, გამიგონია. არა, რისთვის არ იქნება. არ ყოფილიყო, არც კი მომცემდნენ კაცის ფასს. თურმე ოცდახუთი მანეთი ყოფილა კაცის ფასი. მაგრამ ამდენად ხომ გლეხი ღირს. რასაკვირველია, თავად-აზნაური მეტ ფასად ეღირება, იმათი ფასი თითქმის არ ითქმის. ის ოჯახდაქცეული თურქები მეტს კი იძლეოდნენ კაცის სულზე. სულგანათლებული პაპა ჩემი იტყოდა, როცა რამდენსამე ქალს დავიჭერდით და მივუყვანდით, ჯერ მტკავლით დაზომავდნენო და თითო მტკაველზე ასას მანეთს მაძლევდნენო. ისე რომ მოეცათ, ახლა ხომ სულ ავშენდებოდი, მაგრამ ესეც უნდა ვთქვათ, იმათ მხოლოდ თავისუფლება მიიღეს, თორემ მიწა ისევ ჩემი აქვთ, ნახევრად ყმები მაინც არიან ჩემი.

კნეინა მაკა, მეუღლე ალმასხანისა, ფულებმა კინაღამ გადარია. ითასნაირი საყიდელი დაუსახელა ქმარს. კარგი სახლის აშენება ურჩია. ალმასხანსაც მოეწონა მეუღლის რჩევა და არ გასულა ორი წელიწადი, რომ ასიგნაციების უმეტესი ნაწილი ყობოსა და ელოს ხელში გადავიდა. კიდევ გაიარა დრომ; ასიგნაციები თითოთითოდ გაიპარა. „ეს რა უბედურებაა, — ფიქრობდა ალმასხანი, — ფულები სულ დამელია, გლეხები გამედიდურდნენ. ის კაცი, რომელიც დღედაღამ ჩემ „საგაგესქუოში“ იჯდა და შეშას ეზიდებოდა, დღეს გამარჯვების თქმასაც არ კადრულობს. ღვთის წყრომაა, ბბა სხვა რა უბედურებაა! ეს გლეხის ქალებიც რომ გაამპარტავდნენ. ჩემთვინ სიმინდის ღერღვას კი არა, თავისთვისაც მინდის წისქვილებში მიაქვთ საფქვავი“. ფულიც გაუთავდა, ყმებიც ჩამოეცალნენ თ. ალმასხანს და იძულებული შეიქნა ქირით დაეჭირა თავისი ძველი ნაყმევები. ფული კი ხელში შემოადნა, მაგრამ ერთი გულის დამამშვიდებელი კიდევ დარჩა ალმასხანს. ეს გახლდათ ჯინჯილები მხარზედა.

— რა უჭირს, შენი ჭირიმე, — გაიძახოდნენ ახლომახლო წვრილი აზნაურშვილები, — ფული ბევრი აიღო, მშვენიერი ქარვასლა

ვაიკეთა, რა და რა ავეჯეულობა არ იყიდა, ტრაპორჩიკობაც ომას მიაკრეს, სხვა რაღა უნდა. კიდევ რას ნაღვლობს.

კარგა ხანია, რაც ალმასხანმა ქალბატონი მაკა შეირთო, მაგრამ ერთი ვაჟის მეტი არ გასჩენოდათ ჯერ. ვაჟი კი, სწორედ ზღაპარში რომ იტყვიან, ნახევარი ოქრო იყო და ნახევარი ვერცხლი. ალმასხანიც კარგი თვალტანადი კაცი იყო: მაღალ-მაღალი, მკერდმაგარი, პირმსუქანი, მოკლე წვერ-ულვაშიანი. იმის პირისახეს სულ წითლად გაჰქონდა ქინქღილი. თვალები დიდრონი ჰქონდა გარშემო ლურჯი სალტაშემოვლებული, რის გამოც პირველ დანახვაზე კაცი ვერ იტყოდა, რომ მრისხანეაო. პატარა ბავშვი, ჩვეულებისაშებრ, ერთმა შორეულ სოფლის გლეხმა აიყვანა გასაზრდელად.

— მოგვილოცავს, ძმაო უტა, — ულოცავდნენ მეზობლები, — შენ არ მომიკვდე ბედნიერი კაცი ყოფილხარ. კურთხეული ოჯახის შვილი ყოფილა შენი მეუღლე, სადაც რომ ამისთანა ბედი ერგო. რას ამბობ! ალმასხანის შვილი? ნწ, ნწ, ნწ! მართალი გითხრა...

ბატონყმობის გადავარდნამ და ყმების ჩამოცლამ, ალმასხანი ცოტა უკან წასწია ხალხის ფიქრით, ხოლო ამის გამო უტას ბედნიერება მიიჩრდილა მცირეოდნად, თუმცა ეს შეცდომა ისევ ჩქარა სირმის აპელატებმა და ურიის ყანთარივით ხმალზე ჩამოკიდებულმა ბუშთმა გაასწორა.

— უტას ახლა უფრო ერგება, — გაიძახოდნენ მეზობლები: — თუმცა ძველებური ბატონი აღარ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ უნდა პირდაპირ ხელმწიფესთან მივა და თავის გამზრდელიხთვის რას არ იზამს. ჩილენია,* შენი ჭირიმე, ალმასხანი, ტრაპორჩიკია, ბედნიერია, ვისაც ისეთი ვაჟიცა ყავს..

თუმცა ჩინ-აპელატები იმდენად მოსწონდა ხალხს, მაგრამ ალმასხანმა ოთხი-ხუთი წლის შემდეგ თავი მიანება რიღასთვისაც და ძვირად თუ როდისმე გაიკეთებდა.

ძიძა-გამზრდელის ოჯახი და თითქმის ყველა ახლომახლო მეზობლები პატარა თავადს ძვირფას ჩიტივით ინახავდნენ და ეპყრობოდნენ. ხან ჰკოცნიდნენ და გულში იკრავდნენ, ხან მეტი სიყვარულით კბენდნენ კიდეც, რის გამოც ბავშვი საშინელ ღრიალს ასტეხდა ხოლმე. რაც დრო გადიოდა, პატარა თავადსაც თანდათან შეუყვარდა თავისი ძიძა-გამზრდელი და მათი ნათესავები. პატარა თავადი ძიძას ნანას ეძახდა და გამზრდელს — ბაბას, მისთვის სხვა პშობლები მაშინ არ არსებობდნენ. საკვირველია ეს ჩვეულება და

* ჩილენია — ჩინიანია.

საკვირველია ის სიყვარულიც, რომელიც ძიძა-გაზრდილს შუა არსებობს. საცა მზად იყო, თუ საჭიროება მოითხოვდა, თავისი თავი პატარა ბუხუს სანაცვლოდ გაეწირა. ბუხუც აფასებდა ძიძის სიყვარულს და იმგვარისავე გრძნობით იყო გამსჭვალული.

დიდი მოყვრობა გაიმართა უტასა და თ. ალმასხანს შუა. ყოველ შობას უტა ვეებერთელა ღვეძელით და წყვილ ოქროსფერ ბიბილოვან ყვერულებით მოიკითხავდა ბატონ ალმასხანს და აღდგომას — ლამაზად შეღებილ წითელ კვერცხ-პასქით და ახალ სულგუნებით. სხვა დიდ დღესასწაულებსაც არ გამოსტოვებდა ისე, რომ მცირე ძღვენი რამ მაინც არ მიეტანა ალმასხანისათვის სასახლეში.

ალმასხანიც ხელცარიელს არ ისტუმრებდა თავის ერთადერთი შვილის გამზრდელს. პირველ შემთხვევაში, როცა ჩვილი ბავშვი აიყვანა უტამ, ძიძას ერთი ლისტინის და ერთიც ჩითის კაბა შეუკერა და უტას თავისი ნაბადი აჩუქა. არ გასულა სამი თვე, რომ ერთი ხბოიანი ფური გაუგზავნა, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში თორმეტ სულად იქცა. ალმასხანმა გაიგო, რომ უტა უცხენობასა ჩივისო და ამისათვის ერთი თოხარიკი ჭაკი ცხენი უბოძა, რომელიც, საუბედუროდ, ნაქურდალი გამოდგა. პატრონმა თავისი ცხენი ხობის იარმუკაში იცნო და საბრალო უტა კინაღამ სისხლის სამართალში არ ჩააბა. ალმასხანი ამ გაჭირვებაშიაც განს არ გაუდგა. მაზრის უფროსს თვითონ მოელაპარაკა და საქმე მშვიდობიანად გაათავა, ცხენის პატრონს ცხენიც დაუბრუნდა და ქრთამიც მიეცა, ხოლო უტას ალმასხანმა მეორე კვირას უკეთესი ცხენი გაუგზავნა. უტა დადიოდა ალმასხანის სასახლეში და მიჰქონდა ძღვენი და მოსაკითხები, ხოლო ალმასხანი და მისი მეუღლე დროგამოშვებით წავიდოდნენ ბავშვის სანახავად და თან მიუტანდნენ ხოლმე საჩუქრებს როგორც პატარა თავადს, ისე უტას ოჯახობას, დიდიდან დაწყებული პატარამდე.

ასე ცხოვრობდნენ ამ ორი ოჯახის შვილნი და ერთი ერთმანეთის განუსაზღვრელი ნდობა-სიყვარული ჰქონდათ. თუმცა უტას ალმასხანი ძლიერ უყვარდა და იმის სასახლეში ხშირად დადიოდა, მაგრამ ყოველთვის ერიდებოდა იმისთანა საქმეებს, რასაც თავადის სასახლეში ადგენენ. და როცა კი თხოვდნენ, შენც ჩვენი თანამოზიარე იყავო, უტა მუდამ უარს აცხადებდა თავმდაბლობითა და მოწიწებით.

ბატონყმობის გადავარდნამ მალე გამოულია სიჩხინტე თავად ალმასხანს. გლეხებში აღებული ფული ხელიდან მალე გამოეცალა. გლეხები უფასოდ ნაბიჯს არა დგამდნენ მისთვის. თვითონ,

როგორც უქმობას მიჩვეულმა, მუშაობა ვერ მოახერხა და ვერც თადარიგიანი სარისტა გამოიჩინა, რომ მამული დაემუშავებინა და ესარგებლა. გრამატა დარიგებული გლეხები ფლიდობაში გაიჩალხნენ. ოდესმე მეხივით საშიში ბატონის მოტყუება ახლა დიდ გმირობად აღარ მიაჩნდათ. შევიწროვდა თავადი ალმასხანი... დასჭირდა ფული. „ეს რა სირცხვილია, — იფიქრა თავადმა, — როგორ თუ დაწევა დამაჩნდეს. თვალი სად გავაღო, რას მეტყვიან მეზობლები? არა, რამე წამალი უნდა მოვძებნო, რამე მადანი უნდა აღმოვაჩინო ფულის შოვნისა“. ამ აზრის თანამოზიარე ბევრი იშოვნა მოძმეთა შორის, რადგანაც უფულობის სენი ბევრს სჭირდა. მთელი დასი იყო ასეთი თავად-აზნაურებისა. მაგრამ იყო მეორე დასიც. ამ მეორე დასმა, როცა დაინახა, რომ უქმობას ვადა გაუვიდაო, ყოველნაირ სირცხვილსა და დაძრახვა-დაცინვას ყური არ უგდო, თვითონ დაადგა თავის მამულის წესისამებრ შემუშავებას და უფრო გემრიელისა და მსუქანი ლუკმის ჭამა დაიწყო, ვიდრე მაშინ სჭამდა, როცა უანგარიშო ყმები დაფუსფუსობდნენ მის ეზოში და მხოლოდ მზის ჩასვლა-ამოსვლას ყარაულობდნენ. პირველმა დასმა კი, რომელსაც ალმასხანიც ეკუთვნოდა, სულ სხვანაირად დაიწყო საქმე, აზრად გაიხადა ცხოვრება ისე, რომ არც მუშაობით შეეწუხებინა თავი და ფულიც მუდამ ჰქონოდა, თუ პატიოსნად ცხოვრება გინდა, ფულს, ბევრიც რომ იშრომო, გადამეტებით ვერ იშოვნი და, თუ უმუშაოდ და გაუსჯელად ფულის შოვნა დააპირე, სინიდისსა და პატიოსნებაზე ხელი უნდა აიღო. სხვა გზა არ იყო, ამნაირად უნდა მოქცეულიყო თ. ალმასხანიც, რომ თავისი აზრი შეესრულებინა. მართლაც, დაჯდა მთავრად, გაიჩინა შეგირდები, განსაკუთრებით მარჯვე გლეხნი და დაიწყეს მარგამა, ცხენების ყიდვა-გაყიდვა. გაჩაღდა ქურდობა, თუმცა ცოტ-ცოტათი მუდამ იყო, მაგრამ ახლა კი წრეს გადავიდა. ყოველლამ სოფლებში იყო ერთი ვაი-უი, „დავიღუპეთ“, მაგრამ ყურს ვინ იბერტყავდა? ყურადღებაც რომ მიექცია ვისმე, ვინ რას გახდებოდა. დაიჭერდი ქურდ გლეხს, შეგირდს, გაასამართლებდი, თუგინდ დაჰკარგავდი, წიწილები მაინც დარჩებოდნენ და კრუხი მაინც ახლა იმას აღზრდიდა. საქმე კრუხის დაჭერა იყო, მაგრამ სად იყო პატრონი? გაიარა დრო და ხანმა და ალმასხანი ისე მიეჩვია თავის ხელობას, რომ თითქმის უსინიდისობად არც კი მიაჩნდა ნაქურდალი ცხენების ყიდვა-გაყიდვა.

VI

ქალბატონი მაკა იყო ასული აფხაზეთის ერთ-ერთი თავადისა. მისი შშობლები და ნათესავები წარჩინებული გვარისანი იყვნენ. თუმცა ალმასხანიც გვარიშვილობით დასაწუნი სასიძო არ იყო, მაგრამ მაინც უარი განუცხადეს, მაკას ვერ მივათხოვებთო. სხვა ღონე არ იყო, უნდა ხერხი რამ მოეგონებინა. ალმასხანმა მოაგროვა მარჯვე და გამოცდილი ბიჭები, იდროვა და ქალი მოიტაცა. ჯერ დიდი შური ჩამოვარდა არა თუ თავადებს შორის, არამედ მათ ყმებს შორისაც კი. ორი დიდი გვარი ერთმანეთს აეშალა და გაჩნდა ორი ბანაკი ერთმანეთის გადამტერებულთა. ალმასხანის ნათესავს, თუგინდ თანამეგვარეს, ან ყმას დიდი სიფრთხილე მართებდა ინგურს გაღმა, აგრეთვე მოპირდაპირე ჩავარდებოდა საფთხეში, თუ გამოღმა გამოვიდოდა. ბევრი უდანაშაულო ადამიანი დაიჩეხა და კიდეც გამოეთხოვა წუთისოფელს ამ ორ მტერ-მოყვარის დავიდარაბის დროს. ბოლოს საქმე გარიგდა. თ. ხალიბი და ალმასხანი შუაკაცთა შემწეობით მორიგდნენ. გაიმართა დაუსრულებელი დიარა (ლხინი). ბევრი მსუქანი ხარის თავი გაგორდა მწვანე მდელოზე. გააკეთეს ვეებერთელა წკნელის სეფა, სადაც ათასამდე მოლხინე ძლივს ეტეოდა. გაუშვეს ოცამდე მარულე და რამდენსამე ასობით ცხენებს ერთმანეთს აჯიბრებდნენ, აბა რომელი რომელს გაასწრებსო. რამდენიმე მხედარი გახდა სიჩქარისა და საზოგადო ალიაქოთის მსხვერპლი. ჩვეულებრივ გაჯიბრებულ სმაში ბევრი დაიჭრა, მაგრამ ყოველივე უსიამოვნება არა რა იყო იმ სიხარულთან შედარებით, რომელსაც მიეცა შერიგების გამო ორი მტრად გადაკიდებული გვარი.

ქეიფი და ლხინი თითქმის ერთ კვირას არ შეწყვეტილა.

— არ მოკვდეთ, ბიჭებო, აბეუებმა არ გვაჯობონ, თორე რას გვეტყვიან, ენგურს რომ გასცილდებიან. მთელ აფხაზეთს მოსდებენ ჩვენი ლაჩრობის ამბავს. აგრვები * აბა როგორ გაგვიძლებდნენო, იტყვიან. მერე ხომ თავს ვეღარ გამოვყოფთ კარში. — აქეზებდნენ მეგრელი მოხუცი და გამოცდილი თავადიშვილები ახალგაზრდებს, რომელნიც ხმალზე ხელდაბჯენილები სუფრის ახლო იდგნენ და ბეჭებში ნელ-ნელა ირხეოდნენ, თითქო ლერწამთ გროვას ქარმა შემოუბერა და შეარხიაო.

---

* აგრვ—აფხახურად მეგრელს ნიშნავს.

— აჰა-ჰაიტ მარჯა, — თავისის მხრივ ამხნევებდნენ ერთმანეთს აფხაზნიცა. — უცხო არ იქნება, რომ აგრვებმა დაგვათრონ. ვალლაჰა! ბილლაჰა! ისინი კაი ბიჭები არიან. მაგრამ არც ჩვენ ვართ მათზე უარესები.

ბევრი სიმღერა, სმა-თამაშობის შემდეგ მაყრები ერთმანეთს ცხენების მკერდთა შეჯახებითაც შეეჯიბრნენ, ერთმანეთი დალოცეს და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ამნაირად შერიგდნენ ორი მოწინააღმდეგე მტერ-მოყვარენი და ორი დასის მტრობა მოყვრობად გადაიქცა. დიდ მოყვრობასა და ლხინს დიდი ხარჯიც მოსდევდა და სახსარი კი არსად იყო. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ერთნაირად გაუჭირდათ ჩვენ თავადებს. ამ ჭირს წამალიც ერთნაირი მოუხერხეს. მეტადრე ალმასხანისათვის იყო საჭირო, ერთგული მეგობარი ჰყოლოდა ენგურს გაღმა. ოდიშსა და იმერეთში მობოჭილ ცხენების მოსარეკად და მოსაფანიერებლად აფხაზეთისთანა ქვეყანა მეორე არ მოიძებნებოდა. ამისათვის ალმასხანის საქონლის საწყობად ხალიბის არემარე შეიქნა. სამაგიეროდ, ხალიბიც თავის საქონელს შესანახავად ან გასასყიდად ალმასხანს უგზავნიდა. ამნაირად მიჰყვეს ხელი ორივემ ცხოვრებისათვის საჭირო ღონისძიების მოპოებას.

როგორც გავიხსენეთ, თავად ალმასხანის შვილი უტამ აიყვანა გასაზრდელად. დღეს დროებით ვალდებული გლეხი, ოდესმე ვინმე ჯუმური აზნაურის ყმა, უტა გაბეჩაა, იყო შვილი ერთი დიდი ძველებური ოჯახისა, რომლის მსგავსი, ჩვენდა სამარცხვინოდ, თანდათან ჩიბუხის ბოლივით ქრება: ახლა იშვიათად შეხვდება კაცი ისეთ ოჯახს, სადაც მისი წევრნი ჯარივით ცხოვრობენ. ამისთანა ოჯახი ჭირსაცა და ლხინსაც ადვილად უძღვებოდა. ზამთრის გრძელ ღამეებში რძალ-ჟულნი თითო საჩოხე შალს დაართავდნენ, ვაქკაცნი კიდევ ორაგვარ ხის იარაღს აკეთებდნენ. ასევე იყო ზაფხულის დიდ დღეებში, როცა კაცმა უნდა სარჩო იზრუნოს ზამთრისათვის. აი ასეთი ოჯახის შვილი იყო უტა. მისი მამა ბერუკა, თუმცა აზნაურის ყმა იყო, მაინც თავისი სიმართლითა და ჭკუიანობით საქმე ისე მიჰყავდა და ისე ლამაზად ცხოვრობდა, რომ დადიანსაც კი შურდა მისი თავი აზნაურისათვის. ბევრჯერ კიდეც მოინდომა ბატონმა ამ ცოცხალი საქონლის მისაკუთრება, მაგრამ სინიდისმა თუ კაცთმოყვარეობამ დაუშალა, თუ მსუქანმა უშობელმა და მსხვილდუმიანმა ცხვარმა, რომელიც მის უგანათლებულესობას მიუვიდა მისი კეთილშობილებისაგან, ისევ თავი დაანება და ბერუკა ბოლომდე აზნაურის ყმად დარჩა.

ბერუკას ჰყავდა ხუთი ვაჟიშვილი, ყველა ცოლშვილიანი და შვიდი გათხოვილი ქალიშვილი. უტა ყველაზე უმცროსი იყო. ცოლი დიდი ხანი არ იყო, რაც შეირთო. ამხანად ერთი გოგოს მეტი ჯერ არა ჰყავს, რომელიც გამზრდელს მისცა და სამაგიეროდ ალმასხანის შვილი აიყვანა, უტას უფროს ძმას ქაქუჩას აგერ რამდენიმე გასათხოვარი ქალი და საცოლო ვაჟი ჰყავს. ბერუკას მეუღლე მარუკა, კარგა ხანია, რაც გამოეთხოვა წუთისოფელს. მისი სიკვდილის შემდეგ ბერუკა ხეირიანად ვერა ცხოვრობს, ხშირად ჩხუბი მოსდის რძალ-შვილებთან. მათი ნაკერი არ მოსწონს. საცვლებს დროზე არ მიმზადებენო, ჩივის. საჭმელიც ‘როგორღაც მარუკას გაკეთებულივით გემრიელი არ ეჩვენება. მიუხედავად ამისა, ყველანი იმას უჯერებენ, ბატონს ეძახიან. ხშირად რჩევას აძლევს შვილებს და როცა მისი რჩევით იქცევიან, ძვირად თუ წააგებენ ხოლმე ჭკუას. სიბერემ ცოტა წელში მოხარა, თმაწვერი გაუთეთრა და თანდათან აგრძნობინა, რომ შენი სიცოცხლის ზამთარი ახლოვდებაო, მაგრამ მაინც ყოჩაღად მუშაობს. დილით თითქმის ყველაზე ადრე დგება და შვილებს სამუშაოდ იწვევს. ახალი დროებისა მადლობელი არ არის მაინცადამაინც, თუმცა ბატონყმობის გადავარდნის გახსენებაზე ყაბალახს მოიხდის, პირჯვარს იწერს და ხელმწიფეს ლოცავს. ახლანდელი უღვინობა ყველაზე მეტად აწუხებს; ყოველ მდარე ღვინის დალევაზე „აპა. პა, ია“-ს გაიძახის მწუხარებით. საყვარელი მეუღლის სიკვდილია თავი მიზეზი ბერუკას ბუზღუნისა და ცხოვრების უკმაყოფილებისა. მუდამ მის სამსახურს ჩვეულს, სხვისი სამსახური თვალში არ მოსდის, უიმისოდაც მოხუცებულობით გაწვრილებული გული უფრო უწვრილდება.

ბერუკა პატარაობითვე სიმართლის მიმდევარი იყო. მუდამ ერთს და იმავე დარიგებას აძლევდა თავის ჩამომავლობას: ღმერთი გიყვარდეთ, სხვისი ნურაფერი გინდათ და თავმდაბალი იყავით, შრომის მოყვარეო. კვირა-უქმე დღეებში ბერუკა გათენებისთანავე ცაცხვის ძირშია. პატარა თავადი ძლიერ უყვარს. როცა ახალგაზრდა ძიძას ‘სხვა რამ’ საქმე აქვს, აკვანს თვითონ არწევს; პატარას ეთამაშება, უმღერის და ისიც პასუხად შესცინის, უღიმის, აჩენს მარგალიტივით პატარა კბილებს. ხანდახან კი, როცა ძიძა, ჩვილის სიყვარულით გაგიჟებული, თავდავიწყებით ჰკოცნის ვარდისფერ პატარა ტუჩებსა და ლოყებზე, ბერუკა სიცილით ეუბნება:

— რას ევლები თავს, რასა, ამ უკუღმართის შვილს. არ იცი განა,

ვისი შვილია? სამი წლის შემდეგ, გზაზე რომ შეგხვდეს, თავს არ დაგიკრავს. უიტ, შე ქურდის შვილო, — ხუმრობით შეუტევს ბავშვს, რომელიც ხელების ცემით ძიძის კალთაში და „ამუ, ბაბუ"-ს ძახილით აგრეთვე ხუმრობაში ატარებს მოხუცის შეტევაჯავრობას.

— უცხო არ იქნება, იმ მამალმა მგლებმა ამასაც ასწავლონ!— ტყოდა ხანდახან ბერუკა და დაიწყებდა გაჯავრებით ფურთხებას.

ბავშვი წამოიზარდა. აგერ .ორი თვეც არის, რაც პატარა ბუხუმ ნელ-ნელა ფეხის ადგმაც დაიწყო. გახარებულმა სადამ ყველით სავსე რამდენიმე ხაჭაპური გამოუცხო. ერთი მსუქანი ჩიხუ * დააკვლევინა, ერთი გუდა უკეთესი ღვინო და სხვადასხვა წვრილმანი ზედ დაუმატა, ხურჯინში ჩააწყო და ქმრის ხელით ბატონ ალმასხანის სასახლეში გაგზავნა ბუხუს ფეხადგმის სახარებლად.

უტა გამოეწყო, ხანჯალი დაიკიდა, დამბაჩა სარტყელს უკან ჩაირჭო, მას წელზე ძველი, პაპისაგან დანატოვარი, ბუზმენტი ება, რომელსაც, როგორც საგვარეულო ძვირფას სამკაულს, თვალის ჩინივით ინახავდა. ყაბალახი, როგორც ადათია, ისე შემოიკრა თავზე, მათრახის ყურს გაუყარა სამი თითი და ცხენს მოაჯდა. ხურჯინის თან წაღება, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნებოდა ახალგაზრდობაში თავისუფლად ცხენზე ჯდომას მიჩვეულს.

— როგორ შეიძლება, — წაიბუტბუტა მან, როცა ცხენზე შეჯდა და ჩოხა-ახალუხის კალთების შემოსწორება დაიწყო. — წმინდად მეფართლე ურიას ვგავარ, მზის მადლმა, ან ეს ბალაგარი ღორის ფეხები რა უშნოდ აშვერილა ამ ხურჯინიდან. უფრო დიდი ხურჯინი არ იყო? ან კარგად ვერ მოუკრავდით თავს, რომ არ ამოჩენილიყო? ოხრობა ამისა, სად ვინ შემხვდება, რა ვიცი.

— ჰო, ვითომ რაო! — ხმამაღლა უპასუხა ბერუკამ. — შენ არ მომიკვდე, გიორგი დადიანის შვილი ხარ! შეგრცხვება, ერთი მუჭა ხურჯინი ცხენით რომ მიგქონდეს. სირცხვილი ქურდობაა, თორემ მოყვარესთან მოსაკითხი მიგქონდეს, ვინ რას გეტყვის, ან ვინ გაგცინებს. თუ გაგცინა ვინმემ, ისიც შენისთანა სულელი ვინმე იქნება, თორემ პატიოსანი კაცი თავის დღეში არ იკადრებს. რაღა დროის შენი მეტიჩრობაა! არ ხედავ. ცოლ-შვილი გყავს? ღმერთს ის თხოვე, არა თუ ცხენით, მხრით წასაღები საჭმელი მოგცეს და შენც მაგრა მოუჭირე ტორი. ორი დღეა, რაც ქვეყანა განათლდა, თორემ უწინ ბატონს ცხენზე მჯდომი რომ ენახე, ტყავს გაგაძრობდა.

უტამ იცოდა ბერუკას ამბავი, რომ მისი ქადაგება საზოგადოდ

* ჩიხუ—ბურვაკი.

დაუსრულებელი იყო და ამისათვის აღარ მოიცადა, ვიდრე მოხუცი თავის სიტყვას ანუ, უკეთ ვთქვათ, ლანძღვას გაათავებდა, და გაუდგა გზასა. ბერუკას მოუცდა ხმამაღლა ლაპარაკი და სამაგიეროდ ქალებს მიუბრუნდა და იმათ დაუწყო დაბალი ხმით ლაპარაკი. ისინი ჯგუფად დამდგარიყვნენ სახლის წინ მწვანეზე და მიმავალს უტას უყურებდნენ.

— თქვენ ვითომ რაო? არ გინახავთ დღემდი ცხენიანი კაცი? ჭინკა ხომ არ არის, გამოსულხართ და შეჰყურებთ.

ქალები დაიშალნენ და თავთავის საქმეს შეუდგნენ. რასაკვირველია, დიდებმა საქმეს მიაშურეს და ბავშვები სათამაშოდ გაიქცნენ. სადას ეტყობოდა მალამოსავით ხვდებოდა გულზე მამამთილის სიტყვები, ისეთი ღიმილით გაეშურა სამზარეულოსაკენ და მარჯვედ დაიწყო კეთება სადილისა. ბერუკა სამუშაოდ წავიდა. ქალები სამზარეულოში ისხდნენ. ზოგი სადილს ამზადებდა, ზოგი სასაბნე ფერად-ფერადად შეღებილ აბრეშუმს ქსოვდა, ზოგი საჩოხე შალს ქსოვდა და ამნაირად ყველას თითო რამ საქმე ეპირა ხელში.

— არც კი მახსოვს როგორ გავისტუმრე ის კაცი დღეს, მოკითხვაც არ შემითვლია ქალბატონისათვის, — წაილაპარაკა სადამ, ღომი ჩამოხსნა ჯაჭვიდან, ჩართზე * დადგა და სუთით ზელა დაუწყო.

— საიდან გაგახსენდებოდა ბეჩა, ბაბა უბრალოზე გაჯავრდა. ვეც მქონდა რამდენიმე ლანდი ** აბრეშუმი გასაგზავნი ქალბატონთან, მაგრამ ავირიე დია! ახლა ძლიეს გამახსენდა, — მიუგო უფროსმა რძალმა ფეიქარმა.

— ბაბა სრულებით მტყუანი არ იყო, ბუხუ არ მომიკვდეს. იმან სულ ასე იცის, უბრალო ბოხჩა მისცე, მაინც ეჯავრება წაღება. იქ თუ წაღება ეზარება, სხვა ვის სახლში უნდა წაიღოს?

ბუხუ ამ დროს სამზარეულოს წინა კარის ახლო ხბოს კვახჩაზე *** იჯდა, წითელი ჩითის განიერ საყელოიანი პერანგით, ხელში პატარა ჯოხი ეჭირა, კვახჩაზე სცემდა და „აღი, ტატი, აღი, დი, დი“ ბურდღულობდა, ხან დაწვებოდა, ასადგომად წამოიწევდა და ისევ დაეცემოდა. სადამ ვერ მოითმინა ყრმის ტიკტიკი და ქცევა, რომელსაც ეტყობოდა, რომ იმასთან უნდოდა მიახლოვება. საჩქაროდ ღომი ჩამოჭკიდა, ზუთხის სიგრძე დაწნული თმები გადის-

* ჩართი—სპეციალურად საღომე ქვაბის დასადგმელად ღვლეჭისაგან დაგრეხილი რგოლი. ** ლანდი—დახვევა, ამოღების დროს ერთ სამუხლზე დახვეული *** კვახჩა—გამხმარი ტყავი.

წორა, ჩვილი ბამბასავით ჰაერში აიტაცა და გულში ჩაიკრა. ჩვილსაც ეს უნდოდა. გახარებულმა ბურდღულს და ღიმილს მოუხშირა, ფეხებსა და ტანს ტანტალი დაუწყო და პაწია ხელებით ძიძის ძუძუებსა სცემდა. ძიძა ჩვილს ძალზე ჰკოცნიდა, გულში იკრავდა, ლოყაზე კბენდა და თანაც დასძახოდა: შენ გენაც...ვა...ლო...ს შენი ძიძა უ...უ... — და ბურთივით ისროდა მაღლა და ისევ იჭერდა.

— შენ, ქალო, მეტი სიყვარულით დრომდი შემოგაკვდება ბავშვი, — სიცილით ეუბნებოდნენ რძლები.

— მეც ის მინდა! მაინც ხომ უნდა სხვამ წაიყვანოს ჩემი ამდენი ხნის ნაშრომ-ნადაგი. არავის არ მივცემ ამის თავს. სწორედ ალა, ალა, ალ მივცემ პაწია ბუხუს, ეს ჩემია, ჩემთან უნდა დარჩეს მუდამ. უი! მე სულელი, იქნება ისეთი დროებაც ვნახო, არც კი შემომხედოს ამ გორდოყუა* ბაღანამ, რომლის სიცოცხლე ახლა ამ ჩემ ძუძუებშია.

ბუხუ მეტი თამაშობით მოიღალა და თვლემა დაიწყო. სადაც ეკვანში გაშალა ბავშვის ლოგინი, ბუხუ ჩააწვინა, მაგრა ჩააკრა და მღერა დაუწყო:

—ლოლოლოია... სისა ტურა, ბლოლოლოლი სისა ტურა, იხუტუნე, ჩქიმი ბუხუ, ბდუა, ბდუა!

ცოტა ხნის შემდეგ ბუხუს მიეძინა და სადა სხვა საქმეს შეუდგა.

უტას მისვლა ალმასხანის სახლში ძალიან იამათ. თავადმა რამდენჯერმე აკოცა კიდეც თავის ერთადერთი შვილის გამზრდელს. ქალბატონიც გაახარა უტას მისვლამ. სიხარულით თავის შვილზე უფრო ხშირად უტას შინაურების ამბავს კითხულობდა. უტას ამდენი რამ ჰკითხეს ზედიზედ და ისეთი დაჟინებით თხოვდნენ ყველაფრის პასუხს, რომ იძულებული შეიქნა მორიდება დაევიწყებინა და თავისი ნიჭი მეტყველებისა სავსებით გამოეჩინა. თავადის მოჯამაგირეებიც აღტაცებაში მოდიოდნენ უტას სტუმრობით და ღიმილით შესცქეროდნენ თვალებში.

— ცოტად ფეხი მოიდგა, ა! ნეტავი მაჩვენა მისი ბანცალი, — მალ-მალ იმეორებდა ქალბატონი მაკა და სიამოვნების ნიშნად ხელს თმებზე მალ-მალ ისვამდა, ან თვალებგაბრწყინვებული მარჯვედ და სიხარულით უამბობდა სხვადასხვა ამბავს, თუმცა ბევრი მათ შორის უსაგნო იყო და უადგილოც.

* გორდოყუა—გომბიო.

ყველანი სახლის აივანზე ისხდნენ. ალმასხანი წითელი ქიშმირის ახალუხით, უქამროდ, შავი ყარამანდულის კოხტად შეკერილ მეგრული შარვლით და ჩაკეცილი წუღით სელზე იჯდა. ცალი ხელი იქვე პატარა მრგვალ მაგიდაზე დაედო, თითებს ათამაშებდა და თანაც დაბლა აბხაზურად გუშაგეს მღეროდა. იმის ახლო იჯდა შაკა, თავშიშველი, ქოშით და ალანურად შეკერილი თალხი ჩითის კაბით. მათი მოშორებით მორიდებით იჯდა სელზე უტა და კრძალვით ბატონს შეჰყურებდა.

უტა თანდათან მიეჩვია თავის დაჭერას და რამდენსამე ხნის შემდეგ თვითონ დაუწყო კითხვა ბატონებს ხან რისა და ხან რისა. უწინ ბატონები კითხულობდნენ ამბებს და უტა უგებდა პასუხს, ახლა კი უტამ დაუწყო ბატონებს სხვადასხვა ამბის გამოკითხვა. ბოლოს იმდენად მიეჩვია, რომ აივანზე სიარულიც დაიწყო. ამასაც არ დასჯერდა. ბატონებს დროებით თავი დაანება, რადგან თ. ალმასხანი რაღაც ფიქრებში გაერთო, თავი ჩაღუნა და ხელის თამაშობას მოუხშირა მაგიდაზე. ქალბატონსაც ეტყობოდა დაღლა, ხუჭავდა თვალებს და მოაჯირის მრგვალ სვეტს ეკონებოდა. უტა წავიდა სამზარეულოსაკენ მოსამსახურეებთან. ბატონები ფიქრში იყვნენ გართულნი და ხან დადიოდნენ კიდეცა. გაჩნდა აივანზე ერთი ლამაზად გამოწყობილი, შუატანის, ჩასქელებული, სახე გაყინულებული, ახალ წვერ ამწვანებული ახალგაზრდა ყმაწვილი. ცალი ხელი ხანჯალზე ედო და ისე მისცა სალამი მასპინძლებს. მისმა მოსვლამ თავადი თითქო ღრმა ძილიდან გამოიყვანა.

— აა! კაენა, — მხიარულად მიაძახა ცოლ-ქმარმა. ფიცხლავ წამოხტნენ და ხელი გაუწოდეს. კაენამ ორივეს ხელი ჩამოართვა, ის სელი, რომელზედაც უტა იჯდა ბატონებისაკენ ახლო მიიწია და ჩამოჯდა.

ახალომოსულს ეტყობოდა ჩქარა ევლო, რადგანაც ძლივს ითქვამდა სულს და ოფლიც საკმაოდ ჩამოსდიოდა პირისახეზე. კაენამ ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა, ულვაშები გადაიგრიხა, წვერებზე ხელი გადაისვ-გადმოისვა და ელოდა, აბა რასა მკითხავენ მასპინძლებიო.

თ. ალმასხანი კაენას მოსვლამ წელში გაასწორა; მან კაენას ყურადღებით თვალიერება დაუწყო.

— სად ყოფილხარ, ბიჟო? — ჰკითხა მან. — როგორ დაგმტვერვია წუღები, ოფლიც მოგდის. სად იყავი, მართლა, ასეთ გასარჯელ ადგილში.

— ჰ! არსად! როსთოს სახლში ვიყავი.

— მერე იქიდან ფეხით მოდიხარ?

— დიაღ, გიკვირს?

— საკვირველი არ არის? ოთხი ვერსი ფეხით წამოსულხარ ამ ხიცხეში. ცხენები სად იყვნენ?

— ცხენები სხვას ვათხოვე. უცბად მომივიდა როსთოსგან კაცი, უსათუოდ მნახეო. რა უნდა მექნა, წავედი.

— რაო! რაზე მიგიხმო? — აქ ალმასხანმა ყურები აცქვიტა, ტუჩები გამოაწინაურა და შიგ თვალებში დაუწყო კაენას ყურება.

— რა არისო და,—ღიმილით და თავის დახრით მიუგო კაენამ,— ამაღამვე წადითო ქვეითკენ, მითხრა, თორემ საშიშია, თუ დაგვიგვიანდა. იქნება ამ მოკლე დროში ცხენები მთაში წაასხანო, მერე კი დამრჩებით ხელცარიელებიო. მე კი ვერ წამოვალო, საქმე მაქვსო.

— წავიდეთ, რა გვიშავს, მერე ბევრიაო ვითომ?

— სულ გამორჩეული ლაფშებიაო, აგერ თორმეტამდე.

— თორმეტიო! ვის ყოლია ნეტავი!

— ერთს კი არა ყოლია, მაგრამ ახლო-ახლო კი არიანო, ცოტა მოუხერხებელი ადგილი კი არისო, ჩიოდა როსთო. მეზობლები ერთი ერთმანეთზე ძლიერ ახლო სახლობენო, უმეტეს მხრივ მინდვრები და სოფლებიაო და ცხენებიც, რაც შეიძლება, მაგრა უჭირავთო.

— ე! ეს არაფერი, ფიქრი არ არის. შენ იმას ნუ კი ამბობ, საქმე ისაა, ყავდეთ მხოლოდ და სხვა რა გინდა.

— თუ მართლა კარგი გამოერია, მე მინდა,—სიცილით შენიშნა ქალბატონმა.

— ფეშქაში, ბატონო! — მიუგო კაენამ და ზეზე ადგა, — რომ ჭვიცნონ და ბანძლში * გაგვაბან!

— რისთვის, განა დაღს ვერ გამოვაცვლევინებ! აი დაუძახებ ბაბა მჭედელს და ისე გადაასხვაფერებს, რომ სულ არა ჰგავდეს.

— ეს კი, ბატონო, მაგრამ მარტო დაღი ვერ გვიშველის.

—რას ლაპარაკობთ, კაცო, — ჩაერია ალმასხანი, — ჯერ მოვიყვანოთ და მერე ყველაფერს მოვასწრებთ.

— როცა როსთოს სახლიდან მოვდიოდი, გზაზე, დიდ შუკასთან, ერთი უშობელი შემხვდა. მართალი გითხრა, ცხენი ცხენია, მაგრამ ისიც არ ვიცი, — ტანზე გადაწევით წაიბუტბუტა კაენამ.

— კარგი იყო? — დაეკითხა ქალბატონი.

---

* ბანძლი—აყალმაყალი, დავიდარაბა.

— იმისთანა მსუქანი უშობელი ამ არემარეში არ მინახავს.

— ოჰ! რო მოიყვანდე ნეტავი, ვისი იყო ვითომ!

— ვისიც გინდა იყოს, იქაური ყაზახის იქნებოდა, არაფერია, ეს მოიძებნება, შენ ისა თქვი მერე, რომ დაგვიგვიანდეს.

— რაღა დროის დაგვიანებაა, იმისთანა შორს სად მივდივართ, რომ გათენებამ მოგვისწროს? — მიუგო ალმასხანმა.

— მეხილება ოხერი ახალი ხო... მა, სუთ! რა ამბავია?..

— წვილია თუ? — სახეშეცვლით შენიშნა ქალბატონმა და ყური იქითკენ აცქვიტა, საიდანაც ხმაურობა მოისმოდა. სამივენ ლაპარაკი შესწყვიტეს და სმენად გადაიქცნენ. ხმაურობა უფრო გაძლიერდა. მოისმოდა არეული ხმამაღლა ლაპარაკი, მამაკაცების კიჟინი და ვაი-ვაგლახი. აღმოჩნდა, რომ ცოფიანი ძაღლი შემოვარდნილიყო სოფელში. ხმაურობა ალმასხანის ეზოს უფრო უახლოვდებოდა. ალმასხანმა საჩქაროდ თოფი გამოარბენინა და კაეშურა. იმას მიჰყვა კაენაც და ქალბატონმაც კი გოგოებს ძახილი დაუწყო. ოდის კარების ყურს არ იყო მოშორებული ალმასხანი, რომ ეზოში დიდი მუხის ახლო თოფი გავარდა. ორივემ სიარულს უმატეს. დიდი მუხის ახლო ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ოცამდე სოფლელები და მათ შორის ალმასხანის მოსამსახურეები. იმათ ცოტა მოშორებით უტას დამბაჩა ეჭირა და მჩვრით ჩახმახს უწმენდდა...

— რა ამბავია, რა იყო, ბიჭებო! — შესძახა ალმასხანმა ხალხის გროვას.

— ცოფიანი ძაღლი იყო, ბატონო, თქვენმა მორდუმ * მოკლა,— მიუგეს გლეხებმა.

— ჩემმა მორდუმ! მა, რა გგონიათ თქვენ ჩემი მორდუ?

— კინაღამ შეჭამა ერთი პატარა გოგო მარკოზის წიფელასთან. იქიდან გამოვედევნეთ, მაგრამ ვერ მოვასწარით, აქ კი თქვენი მორდუ დახვდა მარჯვედ; შიგ შუბლში მოახვედრა ტყვია და სულიც ფიცხლავ გააფრთხობინა.

ალმასხანი და კაენა მკვდარ ძაღლს მიუახლოვდნენ. მოჯამაგირეებმა ბატონი რომ დაინახეს, თითო-თითოდ გაიპარნენ და თავიანთ საქმეს დაადგნენ.

—უჰ, რჯულძაღლი, რა პარეხი ყოფილა, ან რამდენი სისხლი წამოსულა. საშიშია, არავის მიეცხოს, კარგს იზამთ, თუ ამ სისხლიან მიწას წააფლავთ.

* მორდუ—გამხრდელი.

— ბატონი ბრძანდებით, — მიუგო ყველამ.

— ჰო, თქვენი ჭირიმე, არ შეგაწუხებდით, მაგრამ ამდენი კაცი უსაქმოდ დგეხართ მაინც, სამ-სამ წუთი მუშაობა არ შეგხვდებათ.

— ნიჩბები რომ არა გვაქვს, ბატონო!

— ნიჩბებს მე გათხოვებთ! ბიჭო, ან ბიჭი რად გვინდა; სოსრან, ბეჟუკია, თქვენ წადით, გეთაყვათ, და მოიტანეთ.

ამასობაში უტამ დამბაჩა ისევ ჩაირჭო ქამარში და შინისკენ მიმავალ ბატონებს გამოჰყვა.

— კარგი კი იყო, ბატონო, რომ მეც მივშველებოდი იმათ თხრაში, თორემ, ვინ იცის, თუ დაიზარეს და სადმე სისხლიანი მიწა დაარჩინეს, შენი მტერი.

— არა უშავს რა, თვითონ მოთხრიან. შენ ის არ გეყოფა, რომ მოკალი? თხრაც შენ უნდა დაგამადლონ? — ღიმილით უპასუხა ალმასხანმა. — აბა, ბიჭებო, ძალიან დაუკვირდით, სადმე სისხლიანი მიწა არ დაარჩინოთ.

— იმ წყეულმა კინაღამ თქვენი აფანი * ძროხას უკბინა. დროზე კი მივასწარი. საგაგესქუოს კარებთან ვისხედით, როცა ყვირილი მოგვესმა. გამოვიხედე, მორბის. იმ შეჩვენებულს რამსიფართე ენა გადმოეშვირა, საპნის წყალივით მოდიოდა ქაფი პირიდან. მე რომ წინ შევეჩეხე, თითქო ფრთები შეისხა. პირი საშინლად გაღო, თვალები გაამტერა და ბედაურივით კიშმიშზე დადგა, მაგრამ მოუსწრო ტუცერის ტყვიამ.

— ბედზე მოსულხარ, თორემ ის ძროხა იმ ძაღლის იქნებოდა, ამიტომ, როგორც შენი ბედი, შინ წაიყვანე.

უტამ მძიმედ თავი დაუკრა წყალობისათვის.

— რამდენი ცოფიანი ძაღლი მომიკლავს, ბატონო, — მხიარულად მისძახა უტამ, — ჩემთვის თითო ძროხა რომ მოეცათ, ცხუცხუტამდე ** აშენებული ვიქნებოდი.

— ეს სწორედ ივარგებს, — ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში კაჟნამ ალმასხანს, რომელიც ლაპარაკის დროს უტას განუწყვეტლივ თვალებში უყურებდა და ყოველ მის მიხვრა-მოხვრას აკვირდებოდა.

— ოჰ, კაი ბიჭია სწორედ!

— გამოდგები აი შენ! ჰო, როგორ აშენდები, თუ ჭკუა იხმარე.

— ჭკუა რომ მომცა, ბატონო, რა მიჭირს. უბედურობა იხაა,

---

* როცა მხოლოდ პირისახე თეთრი აქვს ძროხას, მაშინ ეძახიან აფანის
** ე. ი. თავამდე.

ჭკუა რომ არა მაქვს, მაგრამ მე ხომ მარტო არა ვარ, ბატონო, უჭკუო, ჭკუიანი ქვეყანაზე სამი ვერ მოიძებნება.

— ჩვენს საქმეს, შენ რომ ჰფიქრობ, იმდენი ბევრი არაფერი უნდა. ჭკუა ეს არის, ჩვენ დაგვყევი, როგორც გიჩვენოთ, ისე მოიქეცი და საქმე უზურს იქნება.

უტას ვერ გაეგო კაენას სიტყვების მნიშვნელობა. გაკვირვებული სახით შეჰყურებდა ხან კაენას და ხან ალმასხანს.

— რაა! ვერ მიხვდი, რას გეუბნება კაენა? — ღიმილით გამოელაპარაკა ალმასხანი.

— ოფლში რომ იწურები, — განაგრძო კაენამ, — ხელისგული აბედს რომ მიგიგავს, მაგას ის არა სჯობს, მოსვენებულად იცხოვრო? კარგი სვა, კარგი ჭამო, კაი ცხენი გყავდეს, კაი უნაგირი გედგას და კაი კაცებთანა გქონდეს ამხანაგობა?!

— თქვენს პირს შაქარი, მაგრამ ამაებს მე ვინ მომაშავებს. თქვენ რომ გაქვთ, თქვენი ჭირიმე, ბატონის ჩამომავლობანი ხართ და მე კი, ჰ! მამაჩემი გუშინწინამდინ უკან ხვარჩინით * აზნაურის საგაგესჭუოში, თვალები ბოლისაგან გამსჭვალული, ღომს ზელავდა.

— შენ რას დაეძებ, ჩვენ გაგხდით ისე, — უთხრა გულდამშვიდებით კაენამ, — შენი სიმარჯვე მომწონს და სახეც ცქვიტი გაქვს, თორემ კაცების მეტი რა არის, ერთი რომ დაუძახო, ათასი შემოგვეხვეწება. ახლა ოცამდე ცხენს რომ გავიყვანთ გაღმა, თუ დარი დაგვიდგა, სწორედ მოვიგებთ, ანუ შეიძლება უკეთეს ცხენებზე გადავცვალოთ, მერე იმერეთში, ხომ იცი, რა ხვავიანად გავყიდით. ისინი ცხენის სილამაზეს დაეძებენ და მოყვანილობას, თორემ რად უნდათ, როგორი სირბილი იცის, ან შეჯახება. იმათ უნდათ მხოლოდ ცხენი ძიგძიგით წავიდეს, კურტანი დატვირთონ და ადი-დადით წაიღოს საქონელი.

ცხენების გახსენებისთანავე მიხვდა უტა რისთვისაც ელაპარაკებოდნენ ასე ტკბილად. ჯერ მისი მამის შვილისათვის ასეთი სიტყვა კაცს არ ეთქვა და, ცოტა არ იყოს, შეკრთა.

„როგორ თუ? — ამბობდა უტა გულში. — ჩემს ცაღას ** უნდა ქურდობა მასწავლოს! ეს ჩემი მამის სახლში ჭორადაც არავის გაუგონია. რა მიჭირს ისეთი, რომ სხვის მზამზარეული არ ვიტაცო? ღვთის იმედით, ჩემი ნაოფლარი საკმაო მაქვს, ცხენი მყავს, ძროხა, კამეჩი, სახლი გვარიანი მიდგია, სიმინდი და ღომი ყოველ

* ხვარჩინი—ღომის ამოსარიგებელი ჩოგანი. ** ცაღა—გაზრდილის მამა.

ზელიწადს ულეველი აქვს, ოჯახობაში აყალმაყალი არაფერი მომდის. მაშ, რომელი გაჭირვებისათვის ჩავიგდო თავი იმისთანა საცოდაობაში, რომელიც სხვისთვის მიზრახავს. მამიჩემის სახლს კადრეს ასეთი შეურაცხყოფა? რისთვის? რა ნახა იმ კაცმა ჩემში ისეთი, რომ ამისთანა საუცხოვოზე მიმიპატიჟა?"

უტას გულმა ვერ მოუთმინა და უკანასკნელი სიტყვები კინაღამ ხმამაღლა წარმოთქვა, მაგრამ ენას დროზე დააჭირა კბილები.

— თქვენი წყალობა ვინ უნდა დაიწუნოს, ბატონო, მაგრამ რა ვიცი, მე მარტოხელი კაცი არა ვარ, დედ-მამა მყავს, ცოლ-შვილი. ღვთის იმედით, სავსე ოჯახი მაქვს და ახლა, რა ვიცი, როგორ მომიხდება.

— ბებრებს რა ხელი აქვთ შენთან, იმათ თუ ყური უგდე, ფიუ!! რას არ გეტყვიან. ცოლ-შვილი რა, უფრო ბედნიერი არ იქნება, როცა ყველაფერი მუქთად და ბლომად გექნება.

ამასობაში ისინი სახლს მიუახლოვდნენ. ქალბატონი მოცინარი სახით მოეგება და დიდი მადლობა გადაუხადა უტას ცოფიანი ძაღლის მოკვლისათვის.

— ხედავთ, მზეს სამი-ოთხი ორგიას * მეტი არც კი უკლია. რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა ის აქა გვყავდეს. საღამომდე გავაკეთებინებდი კიდეც და მერე, გზას რამდენიც ადრე გაუდგებოდით, იმდენად უკეთესი იქნებოდა, — დამშვიდებით თქვა კაუნამ, როცა ივანზე ავიდნენ და სელებზე ჩამოსხდნენ.

— კარგი კი იყო, მაგრამ, აბა როგორ იქნება, შუა დღეს მინდორში საქონელი დაიკარგო... ჰო! რისთვის არა, თუ ტყის ახლო ძოვს, შეიყვან ტყეში და მერე ტყედატყე ადვილია ეზომდი მოპარება. ძალიან სიფრთხილე კია საჭირო, თორემ სირცხვილია, თუ ვინმემ გნახა, ჯერ ამისთანა უბრალო საქმეში ხელი არ გაგვისვრია, ვინმე გაღმელი თავადიშვილის, ან ზემომხარელის იყოს, კიდევ სხვა საქმეა, და აქ კი, ყურძირში, გლეხის საქონლის წართმევა რა ვაჟკაცობაა?! ბედაური რომ იყოს, კიდევ რასმე ვიფიქრებდი. ნეტავ სულაც დავანებებდეთ თავს, სირცხვილად არა ღირს.

კნეინას სახე ცოტათი შეეცვალა.

— როგორ თუ თავი დავანებო, — ცოტა არ იყოს, მოანჩხლებით შეუტია ქმარს. — აგერ ხუთი დღეა, რაც ქათმის და სულგუნის მეტი არა მიჭამია რა. თუ რჩენა არ შეგეძლო ჩემი, თავს რად მატეხდი. ამ მდგომარეობაში ვყავდი განა მამაჩემს?

* ორგია—მხარი.

— ხმა გაკმინდე-მეთქი! ბევრი ლაპარაკი რა დიაცის საქმეა. აუშენდება ოჯახი მამაშენს, ყოველდღე უშობლებსა კლავს, აა! — დაიყვირა თავადმა. — სახელი ჰქონდა ბიძია, თორემ თორმეტი ბიჯგით დამაგრებულ ფაცხაში ცხოვრობდა. როგორ ჯობია, მე უკეთ არ ვიცი?

კნეინას სახე უფრო შეეცვალა. ჯერ გაუწითლდა, მერე გაუთეთრდა, ტუჩი ტუჩს მიაწყო, ცალი თვალის დახუჭვას ლამობდა და თითქმის სატირლად იყო მომზადებული. აქ უცბად თავი შეიმაგრა, უცბად წამოვარდა და თავის ოთახისაკენ გაექანა. ალმასხანიც გაჯავრდა და გაბუტული დაეშვა სელზე. კაუნამ არ იცოდა რა ექნა. ხან წითლდებოდა, რადგან მიზეზი ამ აყალმაყალისა თვითონ იყო, ხან ყვითლდებოდა... ვაითუ ალმასხანმა ამ ამბავს გული გადააყოლოს, ამეღამ არ წამოვიდეს და გემრიელი ლუკმა დავკარგოთო. უტამ იდროვა, სამზარეულოში წავიდა, იქ მზარეულმა დედაკაცმა ლამაზად ასადილა, გუდა-ხურჯინი გაუძალიერა. ჭამის გათავებისთანავე უტამ ცხენი მოიყვანა და საჩქაროდ მზადება დაიწყო. „ღმერთო, ამ ჭირს გადამარჩინე საჩქაროდ! — ამბობდა გულში. — ამაღამ აქ რომ დავრჩე, შეიძლება შემაცდინონ და რამე უბედურებაში ხელი გამარევინონ. აპა-პა, ღმერთმა დამიფაროს!“ — გადაწყვიტა გულში და ხელში მათრახით ალმასხანის წინ წარსდგა გამოსამშვიდობებლად.

— რა არი, მორდუ! ამაღამ მიდიხარ? რა გეჩქარება, შე კაცო.

— ისეთი საქმე მაქვს, ბატონო, უნდა წავიდე.

— რა საქმე გაქვს ისეთი?

— მაქვს ისე, — თავჩაღუნვით უპასუხა უტამ.

— ნება შენია, მაგრამ მე მერჩივნა ამაღამ აქ დარჩენილიყავი, მგონი სადილიც არ გიჭამია. სად არიან ისინი? — ალმასხანმა მიიხედა სამზარეულოსაკენ.

— გიახელით თქვენი წყალობა ბევრი.

— მაშ, ძროხა თან წაიყვანე. ბუხუს ჩემ მაგიერ უანგარიშო აკოცე. ერთი კვირის განმავლობაში ლამაზ ახალუხს და მესტებს გამოუგზავნი... შენ იცი და შენმა...

ამ დროს გოგო მოვიდა ქალბატონისაგან, რომელიც უტას თავისთან იხმობდა. უტა საჩქაროდ წავიდა. კნეინა თავის ოთახში ფეხმოკეცით იჯდა ძვირფას ხალდაგებულ ტახტზე, საკმაოდ სახეშემკრთალი. ხელში ეჭირა ცხვირსახოცის ბოხჩა და ეტყობოდა ვიღაცას ელოდა. უტას შესვლისთანავე ეს ბოხჩა მოაწოდა და ცეცხლივით აენთო პირისახე. ბოხჩაში ბავშვისთვის ტკბილე-

ულობა იყო გამოხვეული. ქალბატონმა შეუთვალა მოკითხვა ძიძას და ყველას სათითაოდ მის სახლობაში. ერთი თავისი მდარე ჯაბათაგანი გაუგზავნა ძიძას და გაისტუმრა მორდუ. უტაც გრძნობდა ქალბატონის სულიერ მდგომარეობას და ამისათვის ცდილობდა როგორმე ჩქარა გასცლოდა ამ ადგილს. ცოტა ხნის შემდეგ მძიმედ თავი დაუკრა ქალბატონს და გავიდა ოთახიდან. იქ ერთხელ კიდევ გამოეშვიდობა ალმასხანსა და კაენას და გაუდგა გზას. კაენამ თვალები დააბრიალა და უტას ნაღვლიანად დაუწყო ყურება. რამდენიმე წუთი კიდევ და უტა მოშორდა თავადის ეზოს.

VII

თავად ალმასხანისა და მისი მეუღლის გაგულისებამ რამდენსამე ხანს გასტანა. ბოლოს კაენამ მზეს შეხედა და აჩქარებით უთხრა ალმასხანს:

— ბატონო, შეხედეთ მზეს, ცოტა დროღა დაგვრჩენია, საქმეს დავადგეთ, თუ გიყვარდე. რაა! უბრალო საქმეზე როგორ შეგშვენის ჯავრობა. ჯერ ცოტა მობნელდეს და ქვიშის თოკად რომ გახდეს, მაინც აქ მოგგვრით ნახევარ საათის განმავლობაში.

ალმასხანმა ერთი ლაზათიანად გაიზმორა, თვალებზე ხელი მოისვა და თანხმობის ნიშნად კაენას თავი დაუქნია.

— აბა, მე ახლა წავალ და შენ, იცოდე, მზად დამიხვდი.

ამ სიტყვების თქმის უმალ კაენა სამზარეულოსაკენ გაიქცა. ბიჭს უბრძანა ცხენი შეეკაზმა საჩქაროდ, ზედ მოაჯდა და ხტუნვა-ხტუნვით ეზო გაითამაშა. თავადმა მარტო ყოფნა ვერ მოითმინა აივანზე, გაიხედა აქეთ-იქით და მერე ქალბატონის ოთახისაკენ წავიდა ნელი ნაბიჯით. ქალბატონი თავჩაღუნული ტახტზე იჯდა და აბრეშუმის ქისას ქსოვდა ყაისნაღით.

— ქისას მიქსოვ? ემაგრე, შენი ჭირიმე, სხვამ ვინ უნდა მომიქსოვოს, თუ არ შენ, — მიეალერსა ალმასხანი.

— იქით, იქით, კიდევ მელაპარაკები, — თან გაჯავრებითა და თან სიცილით მიუგო კნეინამ.

— რაა, გენაცვალე, ცოტა რამეზე არ უნდა გაჯავრდე. ტყუილად არ არის ნათქვამი: ქალს მოკლე ჭკუა აქვსო, ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმე, ცხონებული. აბა, შენ თითონ იფიქრე, შუა დღეს მეზობლის საქონელი შემოგვეყვანა და დაგვეკლა და ვისმე ვენახეთ, ბომ სირცხვილით თვალს ქვეყანაზე ვერ გავახელდით?

ქალბატონი ცოტად დაფიქრდა. საქსოვი ტახტზე დააგდო და ალმასხანს დაუწყო ყურება შიგ თვალებში.

— მე ის როდი მითქვამს, უსათუოდ ახლავე მოიყვანეთ-მეთქი, — გულუბრყვილობით მიუგო კნეინამ.

— არ გითქვამს, მაგრამ ღამე უფრო შეგხვდება კაცი, ვინემ დღისით, ახლაც უარი მინდოდა მეთქვა კაუნასათვის, მაგრამ კიდევ თავი დავანებე, რომ რამე აყალმაყალი ისევ არ ამეტეხა, რადგან ამაღამ გვარიანი კაი საშოვარზე ვაპირებდით წასვლას.

ქალბატონს თან სუკები ენატრებოდა, მაგრამ თან ქმრის შენიშვნა, რომ გვნახონ, სირცხვილიაო, ძლიერ აშფოთებდა. „ნეტავ არ წასულიყო“ — იფიქრა, მარცხენა წარბი მოიფხანა, თავიც საეპვოდ დაიქნია და ისევ ქისა აიღო ხელში.

— ახლა ხომ შევრიგდით. თუ კაცი ვარ, უკეთესი ცხენი, ახლა რომ მოვიყვანთ, შენთვის მინდა. ახალი ადათის უნაგირიც შემოუღიათ ქალისათვის, სედლოს * ეძახიან, იმასაც გიყიდი, თუ თავადიშვილი ვარ.

— ჰო, კარგი! — ღიმილით უთხრა ქალბატონმა და ზეზე ადგომას აპირებდა. ამ დროს გოგო შემოვიდა და მოახსენა: ვიღაც სასთაული გამოწყობილი კაცი მოვიდაო, ცალი ხელი სულ არა აქვსო და რაღაცას ქართულად გვეუბნებაო. ალმასხანმა ბრძანა შემოეყვანათ. რამდენსამე წამის შემდეგ ალმასხანის წინ იდგა მათხოვარი: წვერდაუვარცხნელი, გულგადაღეღილი, უხელო, ადამის დროინდებურად შეკერილი ქალამნებით. თავადმა მათხოვარს მისვლისთანავე თეთრი აბაზიანი მისცა.

— უი საწყალი! — ნაღვლიანად წარმოთქვა ქალბატონმა და მოსამსახურეს უბრძანა თავადის ძველი ტანისამოსი მოეძებნა მათხოვარისათვის.

— სად დაკარგე, ბეჩავ, ეს ხელი? — შებრალებით შეეკითხა ალმასხანი.

— ომიანობაში, შენი ჭირიმე. ახლა მუშაობა არ შემიძლია, მამისაგან არაფერი დამრჩენია და დავდივარ ღვთის ანაბარაზე, სანამ ძალლურად სადმე არ მოვკვდები.

— შე კაცო, მერე ომში თუ დაგჭრეს, პოლკონიკს ვერა თხოვე, რომ პენსია დაენიშნათ, ან სადაურ ომში დაგემართა ეს?

— ეს, ბატონო, ლეკებთან რომ ომობდა ხელმწიფე, მაშინ დამემართა. ჩემი თხოვნა რად უნდოდა, თვითონ არ მხედავდა, რაც

* სედლოს ქალის უნაგირს ეძახდნენ.

დამემართა, მაგრამ ხომ იცი, ვისაც აქვს იმას მიემატოსო, ნათქვამია. იმდენი იცოცხლე შენ და შენმა ოჯახმა, რამდენიც კარავში არხეინად იწვა და იქ იშოვა ჩინი და რამდენი ჩემსავით დაჭრილ-დამახინჯებული დაეთრევა ულუკმაპურად.

ცოლსაც და ქმარსაც ეწყინათ მათხოვარას გაჭირვების გაგონება და თანაგრძნობით შეჰყურებდნენ უბედურს, რომელიც ბრალდებულივით მათ წინ იდგა და თითქო კანონიერად გასამართლებას თხოულობდა.

მათხოვარმა საჩუქარი მიიღო და გზას გაუდგა. ბატონები ისევ აივანზე გამოვიდნენ. მზე ჩასულიყო და დედამიწას მობნელო ჩრდილი გადაფენოდა. ზღვის ქარი სიამოვნებით დასისინებდა ტყე-ველს და სიცხისაგან შეწუხებულთ გულს უგრილებდა.

— უჰ! უჰ! რა კარგია ეს ზღვაური საღამ-საღამოობით! ეს რომ არ ქროდეს, კაცი ცოცხალი მოიხარშებოდა. — შენიშნა ბატონმა და პირი და მკერდი ქარს მიუშვირა.

— საწყალი ის მათხოვარი, ვინ იცის, სად მოკვდება. ვინ უნდა იტიროს, ღვთის გულისათვის უნდა გაუთხარონ სადმე საფლავი. აჰა, ჰაი! რამდენი გაჭირვებული დადის ქვეყანაზე!— შებრალებითა და გულმტკივნეულობით ჩაილაპარაკა კნეინა მაკამ.

— აბა, საწყალი! პირის სახეზე ეტყობოდა, ოდესმე კაი ვაჟკაცი ყოფილა, მაგრამ ახლა გროშად აღარა ღირს. მაინც ამ ზოგიერთებმა სასწაული იციან, თუ დამახინჯდა, მაშინათვე სოფელ-სოფელ დაიწყებენ სიარულს.

— უჰ! ის კი არა, ნეტავ კაჟნა მალე მოვიდოდეს.

— მოვა რა, მზამზარეულის მოსატანად კი არ წასულა, ვინ იცის, ეგებ ხელცარიელიც დაგვიბრუნდეს.

ამნაირად, ადამიანის ბუნების რაღაც გაუკუღმართების გამო, ამ უცნაურ ცოლ-ქმარს ხორცით დამახინჯებული კი ებრალებოდათ და თავისი სულის სიმახინჯეს კი ვერ ხედავდნენ, თავის უკუღმართობას ვერ გრძნობდნენ. გლახა საპყარი შეეცოდათ და იმათი საცოდაობა კი არა ჰქონდათ, ვისაც ან ძალით ართმევდნენ, ან ჩუმად პარავდნენ თავის ნაოფლსა და ნაამაგარს...

დაბნელდა და კაჟნაც გაჩნდა სამი წლის უშობელით. სასახლეში ჩურჩული დაიწყეს; მოსამსახურეებმა ჩვეულებისამებრ ყურება დაიწყეს ეზოს აქეთ-იქით, რომ ვისმე არ მოესწრო. ყოველი ფრინველის გადაფრენა შტოდან შტოზე, ან სიოს შემობერვა საქონლის პატრონად მიაჩნდათ და ტანში აზრიალებდათ. სამზარეუ-

ლოში უშველებელი ცეცხლი გაჩაღდა და ნახევარი საათის შემდეგ პირუტყვის ხორცი ზედ შიშხინებდა.

— ხომ არავის უნახავხარ, ძალიან ჩქარა კი მოდი, — ჰკითხა ალმასხანმა კაენას ისე, თითქო აქ არაფერი ამბავიაო, როცა ხორცი საჩქაროდ მოსახარშავად ჩააწყვეს. მაშინვე მოსამსახურეები დაარიგეს და ოდაში შევიდნენ. ქალბატონი დარბაზში იჯდა და კვლავ ქისას დაუწყო ქსოვა. ლამაზად გაკეთებულ კაკლის ხის მაგიდაზე ვერცხლის შანდალი იდგა კართოფილის სანთელით და დარბაზს საკმაოდ ანათებდა. კედელზე ეკიდა მდიდრულად შევერცხლილ-შეჭედილი სხვადასხვა იარაღი: დამბაჩები ოქროს და სპილოს ძვლის დუმა-კონდახიანი, ოქრო-ვერცხლში დაფერილი ყირიმ-სტამბოლის თოფები, ძვირფასი ხმლები, ძვირფასი თუ პირით, თუ ქარქაშის შემკულობით. იქვე ეკიდა სხვადასხვა ტანისამოსი მამაკაცისა. ფართო ტახტები გადაფენილი იყო ძვირფასი ხალიჩებით. მაგიდის გარშემო ჩამორიგებული იყო სელები. ერთი ტახტის თავზე იდგა ვეებერთელა ყუთი, რომელსაც ედო რამდენიმე ბოქლომი. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებდა, რომ შიგ ძვირფასი განძეულობა და ოქრო-ვერცხლი უნდა ყოფილიყო.

ალმასხანის კითხვაზე კაენამ სალოკი თითი დაისველა, ულვაშები გადაიგრიხა და თავმომწონედ უპასუხა:

— რაო მერე, რომ ვენახეთ, ვინ რას გაიტანდა. საკვირველია, კაცო! ისეთ ადგილას ჯერ არ წავსულვარ, რომ ვინმე არ შემხვედროდეს. შენ როგორც თქვი ისე, ტყის პირად ვნახე. გავქუსლე ცხენი, გამოვეკიდე დასაჭერად. ღმერთი ნუ გაგიწყრეს, არ გაჩერდა ახლოს. იმდენი ვიტრიალე, რომ გზა არ ჰქონდა არ გაჩერებულიყო, რადგან სამ მხრივ ბარდი ეხვია და მეოთხე მხრივ მე ვიდექ ხმალამოღებული, აბა სად გამექცეოდა? საქმე იქამდი მივიყვანე, რომ მხოლოდ ხელის გაწვდენა იყო საჭირო, მაგრამ ამ დროს ცოტა მოშორებით „ეი“! — მომესმა. — ეი! — მიუგე მეც. ვინა ხარ მანდ, ძროხას რომ დასდევო? — შენ ვინა ხარ-მეთქი? — მე ესა და ესა ვარო. არ მიცნოს დაღუპულმა-მეთქი და რაც შეიძლებოდა ხმა გამოვიცვალე. — შენ ვინა ხარო? — მკითხა.—თენგიზ დგებუაძე ვარ, ჯანსუხ ანჩაბაძის სასახლეში მივდივარ-მეთქი. — რა უზრდელი საქონელი გყოლიათ ამ სოფელში. ეს ძროხა გზაზე შემხვდა და ისეთი ჩამაბღავლა, კინაღამ გული შემიღონდა. რა ვიცი, თუ ღმერთი გრწამს, მკითხავს ათასჯერ უთქვამს, საყოლის ჩაბღავლა გვნებსო და იმიტომ ბანლის მოსაგლეჯად გამოვედევნე. შინაყმებიც წინ გამცილდნენ-მეთქი, თამამად მიუგე. არ ვიცი, რაშ

შეაშინა ჩემი დამხვდური და იმ წამსვე კი სადღაც დაიკარგა. ცოტა ხანი უყურე, არაფერი ამბავი მომესმა. მივიწიე საქონლისაკენ, რომელიც დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა. ერთი თვალის დახამხამებაში თოკი რქაზე გადავაგდე და, ეს არის, აქ მოვედი.

— ხა, ხა, ხა! რა სასთაულად მოგიხერხებია, ღმერთმანი, ჩემი ბატონი რომ ყოფილიყო, ვერ მოახერხებდა ასე. ძალიან ჩქარა გაიჩარხე შენ, კაენა! ძალიან მიკვირს სწორედ, — შენიშნა ქალბატონმა.

— ის წყეული უტა რომ დარჩენილიყო, საქმეს სულ სხვანაირად მოვახერხებდი. ერთი მხრივ ის დახვდებოდა, მეორე მხრივ მე და ერთ წუთს დავიჭერდით.

— რაა! უტა მორდუ? არც კი მახსოვს, როგორ წავიდა დღეს,— გაწითლებით თქვა ქალბატონმა.

— რა და ისაა, რომ ბევრი ვეხვეწეთ, მაგრამ არ დაგვეთანხმა. მარჯვე ბიჭია, მასეთი ყოველთვის საჭიროა.

— შეაჩვენა ღმერთმა; ღმერთო შეგცოდე, გამზრდელია, ამაღამაც დიდი საფერი იყო ჩვენთვის.

— მერე მე რატომ არ მითხარით, როგორ შეეძლო ძაღლისშვილს უარი ეთქვა! გაგიგონია? ურიას ქრისტიანობას აძლევდნენ და ნეკით უარს ამბობდაო.—კნეინა მაკამ ეს სიტყვები კი თქვა, მაგრამ ეტყობოდა დიდ სინანულში იყო, ეს რა წამოვროშეო.

— მიკვირს, ვინ გაგირიგათ ისა. კაცი ვერ მოსძებნეთ? თქვენ შვილს ვინ არ აიყვანდა. ვის გაუგონია კუბაკს * თავადმა შვილი მისცეს გასაზრდელად.

— რა ვქნათ! — მიუგო ქალბატონმა. — კარგი ოჯახიაო, გვიქეს.

— კარგი ოჯახიაო? ნახავ, თუ შინ ყველაფერი არა თქვას, რაც ჩვენ უთხარით. მერე იმის მამას უყურე სასამართლოში, ყალიონს რომ ააბოლებს და ქვეყანას მოსდებს: ალმასხანს ქურდობა უნდოდა დაესწავლებინა ჩემი შვილისათვის, მაგრამ ბედზე გადარჩაო.

— ვაი უბედურს, რას უზამ მერე! მეორე დღესვე წავართმევ ბოვშს, — თვალის ბრიალით შეყვირა ალმასხანმა.

— აჰ, ეგ თავის დღეში არა თქვა, გენაცვალე! ძუძუებზე ფეხების დადგმა როგორ შეიძლება, რას გვეტყვის ან ღმერთი, ან კაცი?

— აი, ვნახოთ, ბატონო, — სიცილით ჩაილაპარაკა კაენამ და მუთაქაზე წამოწვა. ხორცის მოხარშვისთანავე ივახშმეს, თუმცა

* ყველაზე დაბალი წოდების გლეხს, მოჯალაბეს ასე ეძახდნენ.

არავის არ ეგემა ვახშამი. მალე ცხენები მოამზადეს, ბაწრები, ტყვია, წამალი, ტალკვესი გაიხვიეს, იარაღით აღიჭურვნენ და გასწიეს საშოვარზე.

VIII

ორი საათის ჩქარი მოგზაურობის შემდეგ ისინი მიუახლოვდნენ იმ ეზოს, სადაც ცხენები ეგულებოდათ. ჯერ კიდევ გზაზე გაუარეს ერთ მარჯვე და ამისთანა საქმეში დახელოვნებულ გლეხს, რომელიც, — გაუხსენეს თუ არა, ასე და ასე გვწადიანო,—მაშინვე გამოეწყო და იმათ შეუერთდა. სოფელ უ-ს საზღვარზე სამხრეთით შესანიშნავი მუხისა და წაბლის ტყეა. ამ ტყის ბოლოში, ერთ პაწაწინა გორაკზე, რომელზედაც სწორი ადგილი ორმოცამდე დღიური იქნება, მჭიდროდ ესახლა რამდენიმე მეკომური. მჭიდროდ იმიტომ დაესახლნენ, რომ მათი წინაპარი, პაპის მამა, განსვენებული კუჭუია სოლემორთია ამ ბორცვზე დაასახლა მთავარმა. კუჭუიას დიდი ოჯახი ჰყავდა. არა თუ შვილიშვილები, ძმისწულები და ბიძაშვილებიც იმასთან ცხოვრობდნენ. კუჭუიას ოჯახში მუდამ ოცდაათამდე სული სადილობდა. ჭირსა და ლხინს საერთოდ უძღვებოდნენ და მშვენივრადაც ცხოვრობდნენ. კუჭუიას დამარხვის მესამე დღესვე პირველად წაიჩხუბნენ უფროსი რძლები. იმათ წაგულისებას მამაკაცების აყალმაყალი მოჰყვა და ორი წლის შემდეგ ერთი მოსახლე კუჭუიას ადგილას რვა მოსახლე მოჩანდა. კუჭუია დიდი შეძლების პატრონი არ იყო და აბა სად უნდა წასულიყვნენ მისგან მოშენებულნი! ადგნენ ყველანი და იქვე ახლომახლო დასახლდნენ. ძველი დარბაზი გაჰყიდეს და იმ ადგილას კუჭუიას უფროსი შვილი დასახლდა, როგორც სალოცავების უფროსი. გაიყარნენ, თითქმის მაინც უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ეს სიყვარული მარტო გარეგნული იყო, მოსაჩვენებელი. სალოცავები ჯერ გაყოფილი არ ჰქონდათ. ყოველ აღდგომას, საღმრთოს ლოცვაზე და ყოველ მაისს სამიქელ-გაბრიელოს ლოცვაზე ყველანი საერთო ჭურთან იკრიბებოდნენ და იქ თავახდილი სავსე ჭურის წინ, ქუდმოხდილნი და მუხლმოდრეკილნი კუჭუიას უფროსი შვილიშვილის ბახუიას წინამძღოლობით ღმერთს სიავის მოშორებასა და სიკეთის მოცემასა თხოვდნენ.

კუჭუიას შვილები კარგად სახლობდნენ. იმ დროს, რომელსაც შეეხება ჩვენი ამბავი, იმათ, თითქმის სულ ყველას, ყავრით დახურული სახლები ედგათ, თუმცა უფანჯრო და უბუხრო. ამ უფანჯრობისა და უბუხრობის მიზეზად აი რა მოჰქონდათ. რა მოგებაო,

ამბობდნენ, გამორჩეული წაბლის ფიცრები შუა-შუა გავხერხოთ ფანჯრებისათვის და გავაფუჭოთო, ან ბუხარი რა საჭიროა, ტყუილად ბავშვები გაფხაჭნიანო. ახალგაზრდები კარგი ცხენებისათვის გიჟდებოდნენ. მუდამ კარგი ცხენების ყიდვაში და გამოზრდაში იყვნენ და შესანიშნავი ცხენებიც ჰყავდათ. განსაკუთრებით ბახუიას შვილს თადას საუცხოვო რამ მოჯირითე, მაგარმკერდიანი, ფეხებწვრილი და ლამაზი ცხენი ჰყავდა. თადა სულ იმის მოვლასა და ფარეზობაში იყო. ყოველ ზაფხულს მთაში ჰგზავნიდა და ჩამოყვანამდე გული უსკდებოდა: ვაითუ ან ახრაში * გადამივარდეს, ან რამ სხვა უბედურება შეემთხვას და მაშინ ხომ თავს მოვიკლავო, — ფიქრობდა ხშირად თადა, საყვარელ ცხენს დროებით მოშორებული. სადმე მთის ამბის მოლაპარაკეს თუ შეხვდებოდა, ფიცით გამოჰკითხავდა თავის საღარის ამბავს. ერთი სიტყვით, ციმბირში გაგზავნილ შვილზე რომ დედა სწუხს, იმაზე ნაკლებ არა სწუხდა. ერთხელ ხმა გავარდა, მთაში ორმოცამდე ცხენს ნისლი დასცემია და ახრაში გადაუყრიაო.

— ვაითუ ჩემი საღარიაც გადაჰყვა! — გულში მუშტის ცემით ჩაილაპარაკა თადამ ამ ამბის პირველ გაგონებაზე. რომელ მთაში მოხდა ეს ამბავი, ის ვერ გაიგო. მისი ცხენი ხობის ** სათავეში იყო. „უსათუოდ იქ მოხდებოდა. იქნება სადმე სხვაგან მოხდა, ან ახრაში, ან თეთრ მთაში. შეიძლება ხობის სათავეში დაეცა ის წყეული ნისლი... შეიძლება ჩემი ცხენი გადარჩა... თუ გადაჰყვა?! ვაი, ვაი, საღარია, აჰა, ჰა!“ — ქვითინებდა თადა. დღისით ხომ ინაღვლა და ღამეც სულ არ დაეძინა, როცა ჩაეძინა, მაშინაც სულ ახრა, მთა, ცხენები, ნისლი, სისხლი და ამისთანები ესიზმრებოდა.

ბედზე თადას ცხენი დაბრუნდა. გახარებული თადა მივარდა და გაგიჟებით დაუწყო კოცნა საღარიას თვალებში. ორ-სამ კვირას არც დღისით და არც ღამით თვალიდან არ იშორებდა. ღამე საბალახოში თოკით ება და თვითონაც იქვე პალოსთან ეძინა ნაბადში გახვეულს. ზამთარში შინა ჰყავდა თბილ სადგომში, სადაც ყოველ დილა-საღამოს წმენდდა, წყალს ასმევდა, სიმინდს აჭმევდა და ჩალას დილით წვრილად უჭრიდა. ახლაც მოვიდა ცხენების მთაში გარეკვის დრო. თადა უკვე მოელაპარაკა ერთს ცხენების მთაში წაყვანას. ფასს გაურიგდა და ბეც მისცა. აი, ის-ის იყო იმ კვირაშივე უნდა წაეყვანათ მთაში საღარია და სხვა მეზობლების ცხე-

* ახრა—ხრამი. ** ხობი, ხობის წყალი—მდინარეა.

ნებიც, რომ ალმასხანი და კაენა მიადგნენ მის ეზოს. ბახუიას ეზოს ერთის მხრივ ხშირი ტყე ეკრა, მეორეს მხრივ გრძელი ორღობე, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მისი ძმები და ნათესავები სახლობდნენ. ცხენი საღამოს თადამ წყალში გაბანა და ტყის ახლო შემოღობილ ძველ ნაბოსტნარში გაუშვა, სადაც ცხენი თავისუფლად ნება-ნებაზე ბალახობდა. ეჭვი თადას ყოველთვის ჰქონდა და ამისათვის მალ-მალ ინახულებდა ხოლმე.

— აბა, ახლა როგორ ვქნათ, გური-კოჩი? — ჰკითხა ალმასხანმა თანამგზავრ გლეხს, როცა ბახუიას სახლს მიუახლოვდნენ და ტყის პირად გაჩერდნენ.

— თქვენ უკეთესად არ იცით, ბატონო? მაგრამ, ჩემი ფიქრით, ჯერ ცხენები აქ მურყნარში დავაბათ, ჯობია, თორემ ამ შუა სათემო გზაში ვინმემ რომ გაიაროს, ცხადია, ეჭვს აიღებს. აი აქვე ტყეში ვეფაროთ ცხენები და მერე მოვილაპარაკოთ.

— კარგად ამბობს, დღევანდელი დღის მადლმა, — შენიშნა კაენამ. ცხენები დამალეს და თვითონ სამივენი ცხენების ახლო გაჩერდნენ ჩუმად და თათბირი დაიწყეს.

— რომელ ცხენს მოვკიდოთ ხელი? — დაიწყო კაენამ და მუხის ძირში ჩამოჯდა. ალმასხანიც დაჯდა, ხოლო გური-კოჩიმ ზრდილობისა, ანუ უკეთ ვთქვათ, მორჩილების ნიშნად ფეხზე დგომა ირჩია.

— მე, ბატონო, ამ კაცის ცხენს ჯერ არ გირჩევთ ხელი ვახლოთ, რადგანაც სულ მუდამ თვალყურს ადევნებენ. ჯერ მეზობლების ცხენები ვიგდოთ ხელში და მერე ამას ვუდარაჯოთ. როცა დაათვალიერებენ და წავლენ, უცბად მოვიტაცოთ და მერე ფჰვიიტ!!

— ესეც კანონიერად თქვა.. ყოჩაღია ეს გური-კოჩი, სწორედ.

— ვაი, ბატონო, ყოჩაღობა სად არის, მაგრამ თქვენისთანებთან სამსახური თუ მეღირსება, მეტი რა მინდა.

— სავალალო ისაა, — განაგრძო ალმასხანმა, — ძაღლებიც ჭიჭყინა ეყოლებათ.

— ფიქრი არ არის, ბატონო, ძაღლებს, თუ გინდა, ამ წუთში ფეხებს გავაჭიმინებ.

— რაა, ჯირჩე * გაქვს?

— მერე როგორი! ერთი დღე ვაკეთებდი. გამოსაცდელად შინ ერთ ავადმყოფ ლეკს ვაჭამე და იქვე სული გააფრთხობინა.

* საგანგებოდ ძაღლების საწამლავი, ცხენის ქურდები იყენებდნენ.

— მაშ ჩვენ ცხენებისაკენ წავალთ და შენ ძაღლებს გაუსწორდი როგორმე.

— წაბრძანდით, ბატონო, და მე და გური-კოჩი ვიზამთ ყველაფერს. მართლაც, თქვენ რომ ხელი არ გაგასვრევინოთ, არ იქნება? — მედიდურად თქვა კაენამ.

— შენ, შენი ჭირიმე, მხოლოდ გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ და სხვა ჩვენ ვიცით.

ალმასხანი ცხენებთან დაბრუნდა, ნაბადი დაიგო, რცხილის ძირში წამოწვა და პაპიროსს დაუწყო წევა.

კაენა და გური-კოჩი, მარტო ახალუხიანი, კალთებამოკეცილები, თავზე ყაბალახშემოხვეულები, ხელში ღომის ნატეხით, რომელშიაც ჯირჩე იყო გამოხვეული, სახლს მიუახლოვდნენ, სახლი დაკეტილი იყო. ცეცხლი სამზარეულოში ოდნავ ბეუტავდა და ეს ამტკიცებდა, რომ სახლის პატრონებს ის-ის იყო ჩასძინებოდათ.

— სად უნდა ჰყავდეთ ცხენი? — წასჩურჩულა კაენამ ამხანაგს.

— შემოღობილში ეყოლებათ. ჯერ როგორმე ძაღლები გადავიბიროთ. მე ამ ხის შტოს დავაქნევ, შენც ისე ჰქენი. ძაღლებს ალბათ ახლა მიეძინათ, აქ სახლის გვერდით ეყრებიან. თუ გამოეღვიძათ, ყეფას ასტეხენ. ჩვენ ფოთლები კიდევ ფრთხილად დავარხიოთ და გავიქცეთ. ძაღლები გამოგვედევნებიან. ღობეს რომ გავცილდებით, ფეხების ბრახუნიც დავიწყოთ, მაშინ უფრო გამოგვეკიდებიან. თუ ხშირ ტყეში ჩავითრიეთ, იქ მივეფეროთ, ღომი გადაუგდოთ და ეს იქნება...

გური-კოჩის სიტყვამ გასჭრა. სამზარეულოს მარჯვენა კედელს მიუახლოვდნენ. იქ ახლო ერთი ნორჩი თხმელა იდგა. გური-კოჩიმ მახლობელი შტო დააშრიალა, კაენაც ასევე მოიქცა. ძაღლები იქვე წოლილიყვნენ. შრიალზე მოისმა ღრენა ახალგაღვიძებული ძაღლისა. შრიალს უმატეს, ძაღლებსაც გამოეღვიძათ და ყეფა დაიწყეს. კაენა და გური-კოჩი ოსტატურად მოიქცნენ. უცბად რომ გაქცეულიყვნენ, ძაღლები აჩქარებული ყეფით და სირბილით დაედევნებოდნენ უკან. ვინიცობაა, გაეღვიძებოდა ვისმე, ძაღლების ყეფაზე ეჭვს აიღებდა. ჩვენი ოსტატები კი არც დაემალნენ ძაღლებს და არც გაიქცნენ, ისე ნელ-ნელა უკან-უკან დაიწიეს, თანაც ფოთლებიც აშრიალეს, სანამ ღობეს არ მიუახლოვდნენ. ღობე სახლიდან კარგა შორს იყო. ღობეს იქით იწყებოდა ფერდობი მაღალი გვიმრით, ეკლებითა და თხილის ხით დაბურული. ეზოს რომ გასცილ-

დნენ. ორივემ ფეხების ბრაგუნი დაიწყეს და მიიქცნენ; ძაღლები გაბრაზდნენ და ერთი უშველებელი ღაღავით უკან დაედევნენ. ქურდები გაიქცნენ და ორი წუთის განმავლობაში ძაღლები დიდ ტყეში ჩაითრიეს. აქ გაჩერდნენ იმ რცხილის ახლო, სადაც ალმასხანი ნაბადზე იწვა. კაენა და გური-კოჩი პატარა ღელეს პირად იყვნენ ამ დროს მწვანეზე. ძაღლებიც აქ დაიბადნენ კბილების კრაჭუნით და გაგულისებული ყეფით. გაისმა, ფვიტ, ფვიტ! და გადავარდა ღომი. მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და რამდენსამე წუთის შემდეგ ხმაურობა შესწყდა.

— ეს კარგად მოგვიიდა, შენ არ მომიკვდე, — წაილაპარაკა კაენამ, როცა ძაღლებმა ფეხები გასჭიმეს. ალმასხანიც წამოდგა და სამთავენი მკვდარ ძაღლებს დაჰყურებდნენ. ბნელოდა ისე, რომ ერთ ნაბიჯზე აღარა ჩანდა რა.

— ღამემაც შეგვიწყო ხელი. სწორედ საჩვენო ღამეა. სწავლულები, ადვოკატები და ჩილენები შეღებილ იატაკზე და მაგიდასთან, თბილ ტანისამოსში გამოწყობილნი გემრიელ საჭმელს რომ მოუსხდებიან, მაშინ არიან კარგი კაცები, თორემ აბა დედის შვილია ამისთანა ბნელ ღამეში გამობრძანდნენ ამ ეკლიან და უდაბურ ტყეში. ჭინკა არ არის, ტყის მეფე არ არის, ხატის ბრალი არ არის, ქუხილი მტვერიაო, ამბობენ, მაგრამ თვითონ კი უფრო ეშინიათ, — ქადილით შენიშნა ალმასხანმა.

— იმათი ოჯახი ამოაგდოს ღმერთმა, ტყის მეფე თუ არ არის, ნეტავ ერთი ორი შეუგდო სახლში, მაშინ კი ნახავენ!..

— საქმეს შეუდგეთ, ჯობია, — თქვა კაენამ.

— კი, ბატონო, — წამოიძახა გური-კოჩიმ, რომელმაც ყალიონი ხელისგულზე დაიბერტყა და ქამარში ჩაირჭო.

კაენა და გური-კოჩი ბახუიას მეზობლებისაკენ გაექანენ. შევიდნენ ერთი კაცის ეზოში. იქ ძაღლების დახოცვა საჭირო არ იყო, რადგან ცხენები სახლზე კარგა მოშორებით შემოღობილში ბალახობდნენ. კაენამ თვალის დახამხამებაში დაიჭირა ერთი ცხენი. დანარჩენი ორიც იმასთან მივიდა. გური-კოჩიმ იმათაც სტაცა ხელი, ცხენები მახლობელ ტყეში დააბეს და ეცნენ სხვა ეზოებს, მაგრამ სხვაგან ვერაფერი ნახეს. ერთ ოჯახში კინაღამ უბედურებაც შეემთხვათ.

— იქნება, კაცო, სახლის წინ იყოს დაბმული ცხენი, — თქვა კაენამ, როცა ერთი ეზოს კუთხეში დაქანცულები გაჩერდნენ და ოფლი მოიწმინდეს.

— შეიძლება სრულიად არა ჰყავს, — მიუგო გური-კოჩიმ.

— რას ამბობ! თადას ცხენის მერე იმის ცხენი სულ ყველას ჯობიაო, მანიშნეს.

— მაშ ან ათხოვებდა ვისმე, ან სადმე სახლს ახლო ეყოლებათ დაბმული.

— წავიდეთ, ვნახოთ, მაგრამ ძაღლები?

— რას უზამ, რამეფრად არ უნდა გავაღვიძოთ. ესეც არ გიკვირს, ამაღამ ძაღლებს როგორ ძინავთ! ძვირად მინახავს ასეთი სიჩუმე. ალბათ, ღრუბლების ბრალია, წვიმაა მოახლოვებული.

— აბა, რაც შეიძლება ფრთხილად, შენი ჭირიმე, გური-კოჩი,— წასჩურჩულა კაენამ და გასწიეს. ორივენი ისეთნაირად დგამდნენ ფეხებს, რომ არც თვითონ ესმოდათ თავიანთი ფეხების ხმა. წყლში მოხრილები, თვალებდაჭყეტილები, ტუჩებმოკუმულები ხელის ნელი ქნევით მიიპარებოდნენ სახლისაკენ. აი მშვიდობით გასცილდნენ სახლის ერთ კედელს, მოუარეს დერეფნისაკენ. სიჩუმე სუფევდა ყველგან. გაიხედეს წინ: იქნება რამ შევამჩნიოთო, მაგრამ ვერაფერი გაარჩიეს, „ალბათ, მეორე მხრივ ეყოლებათ დაბმული“, იფიქრა კაენამ და იქითკენ გასწია. ორივენი ხელიხელ გაყრილნი მიდიოდნენ, ხმას არ იღებდნენ, კაენა წინ მიდიოდა და გური-კოჩიც იმას მისდევდა უკან, გული ორივეს საშინლად უცემდათ. „რაც იქნება — იქნება“, — იმეორებდა მალმალ გულში კაენა და ცალ ხელს ხანჯალზე იდებდა. „დერეფანს ჩქარა გავივლი“, — იფიქრა კაენამ და სიარულს უმატა. სახლის მეორე კუთხის მოსახვევთან სიჩქარით, სრულიად შეუმჩნეველად მოკალათებულ ძაღლს ორივემ ფეხი დაადგა. ძაღლს გამოეღვიძა და საშინელი ყეფა-წკმუტუნი მორთო. სახლის პატრონი თურმე გარეთ მოაჯირზე წოლილიყო. ძაღლის ყეფაზე იმანაც გააბილა თვალი და წამოვარდა „აიტ! რა ამბავიას“ ძახილით. ორივემ მოკუურცხლა, მაგრამ საით უნდა წასულიყვნენ? ამ გაჭირვებულს ყოფაში ათასნაირმა ფიქრმა გაურბინათ თავში. ისევ დერეფანში გაეარნათ, მაშინ სახლის პატრონს, რომელიც ამდგარიყო და ეზოში მოდიოდა, ზედ შეეჯახებოდნენ. განეგრძოთ გზა კიდევ და რა იცოდნენ სად ჩაიხეჩებოდნენ. გუშინ არ ყოფილიყვნენ აქ და გუშინ წინ. სავალალო მათთვის კიდევ ის იყო, რომ სხვადასხვა ზომის შენობანი სახლის გარშემო არევით იდგა. რაც იყო, იყო; წუთის დაკარგვა არ შეიძლებოდა. კაენა გაიქცა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. იმას მიჰყვა გური-კოჩიც, მაგრამ აი მეორე გაჭირვებაც- სახლსა და სახლს შუა მოზვერი წოლილიყო. სირბილის დროს გური-კოჩი ცოტა განზე დარჩა და კაენა კი მოზვერს გადააწყდა ზედ.

მოზვერი შეფრთხა. კაჟნამ ათრთოლებული ტანი ველარ დაიმაგრა, გური-კოჩს ხელი გაუშვა და იქვე გაგორდა. თვალის ერთ დახამ-ხამებაში ისევ წამოხტა და განაგრძო სირბილი. აქ კიდევ ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა, რომელიც პირველზე უარესი იყო. სამ-ზარეულოს უკან თხმელის ხეზე ვაზი იყო გამოშვერილი. გაჩქა-რებულმა კაჟნამ ამასაც ატაკა ცხვირი, საშინლად იტკინა, თან სისხლიც თქრიალით წამოუვიდა. კაჟნას საბედნიეროდ ეს უკანას-კნელი განსაცდელი იყო. მან განაგრძო სირბილი ტყისაკენ. ბედზე გური-კოჩიც შეხვდა, რომელიც მოზვრის დატაკების შემდეგ უგზო-უკვლოდ გარბოდა. ვაზს კი ასცდა, როგორც იყო. ამ სახით ეზო გადაირბინეს და ტყეში შევიდნენ.

— ავაი, ვავაია, დობღური, დობღური!. * — ჩურჩულით ამბობ-და ცხვირის ტკივილით გამწარებული კაჟნა და მალ-მალ იწმენდდა სისხლს ცხვირიდან.

— ფუი ეშმაკს! — იძახდა გური-კოჩიც, — რა ცუდ ილბალ-ბედზე გადასული ვყოფილვართ, შენი ჭირიმე. ძალიან გტკივა, ბატონო კაჟნა, ა? უიმე, უბედური, ის ოხერი, ის მოზვერიც რომ წაგვეფეთა, თითქო უიმისოდ არა რა მოგვსლოდეს.

— მტკივა კი არა, მეტიცაა, კაცო, აბა რა იქნება, არ ჰხე-დავ, ცხვირი მოვიტეხე. მე მოტეხილი მგონია ნამდვილად. უჰ! მართლა დაწყევლა ღმერთმა ეშმაკი! ეს ბნელი ღამე ერთი მხრივ კარგია ჩვენთვის, მაგრამ მეორე მხრივ კი ცუდია, ძმაო, როგორც გინდა, ისე თქვი. უბედურება კიდევ ისაა, თუ ახლა იმ სახლში ეჭვი აიღეს. მეზობლებს შეატყობინეს, ძებნა დაგვიწყეს და ნაშოვნი კი არა, საკუთარიც თუ წაგვართვეს.

ისინი ეზოს ისევე დაუახლოვდნენ და ყურება დაიწყეს სახლი-საკენ, სადაც მართლა ლაპარაკი იყო ატეხილი.

— ალბათ ქურდი იქნებოდა! — ამბობდა გამოცდილი სახლის პატრონი.

— რას ამბობ, ქურდი კი არა, არ ხედავ, მოზვერი ყოფილა. იქიდან წამოვიდოდა, აი სადა დგას, — მიუგო ცოლმა. სახლის პატ-რონმა თავი დააქნია. აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა დაფიქრებით, მერე ერთი-ორი გადაიყვირა ფერდობზე და ისევ დასაძინებლად წავიდა.

— მადლობა ღმერთს, ეს ამბავი მშვიდობით გათავდა, — თქვა

* მოკვდი, მოკვდი.

აღტაცებით კაენამ, როცა დაინახა, რომ სახლის პატრონი ისევ დასაძინებლად მიდის. ცხვირის ტკივილმაც უკლო.

— აბა, ახლა დროს დაკარგვა არ ვარგა, როგორმე ის ცხენიც ვიგდოთ ხელში. მოუტყუებიხარ იმ მამაწაწყმედილს, თორმეტი ცხენიაო, მაგრამ რა გაეწყობა, ესეც გვეყოფა. — ნაღვლიანად შენიშნა გური-კოჩიმ.

ჩქარა გამობრუნდნენ. მოპარული ცხენები წამოიყვანეს და ალმასხანთან წამოვიდნენ. ალმასხანი სიცილს ვერ იმაგრებდა, როცა ცხვირის გატეხის ამბავი უთხრეს.

— გათენებამდე დიდი ხანი აღარ დარჩენილა და თან საშიშიც არის, არავინ მოგვასწროს. აი ის ცხენიც, როგორმე!.. — ჩაიბუტბუტა ალმასხანმა სიცილის შემდეგ.

— კი, ბატონო, — მიუგო გური-კოჩიმ და ორივენი საჩქაროდ წავიდნენ. დაუგდეს ყური იქით-აქეთ, ჩქამი არსაიდან ისმოდა.

— ფიქრი არ არის! — თამამადა თქვა კაენამ, — მაგრამ ვაითუ დაჭერა გაგვიჭირდეს.

ფრთხილად გადახტნენ წკნელის ღობეზე, დაათვალიერეს ნაბოსტნარი და ცხენიც დაიჭირეს. საღარიას ფეხებზე აბდანი* ჰქონდა.

—ვაი, ამას რა ვუყოთ, კაენა!—თქვა ჩუმად გური-კოჩიმ, როცა ჯაჭვს ხელი მოავლო.

— ნუ გეშინია, — მიუგო კაენამ, ამოიღო ქლიბი და ერთ წუთს გაქლიბა ჯაჭვი. ჰკრა ფეხი ღობეს, წააქცია. ცხენი გადაიყვანა და გასწია.

ყოველივე ეს ისეთი სისწრაფით გაათავა, რომ წარმოდგენაც კი ძნელია. ამ დროს კაენას თავისი თავი სწორედ გადადებული ჰქონდა. მისთვის სულ ერთი იყო, ან გამარჯვება უნდა ენახა, ან დამარცხებულიყო. აღარც ქლიბის ფხაჭუნს უფრთხილდებოდა, არც ღობის წაქცევის ტაკატაკუცსა. ალმასხანს მოეწონა მათი სიმარჯვე და ორივეს დიდი მადლობა გადაუხადა. მერე მოახტნენ ცხენებს, ჯერ ტყე-ტყე იარეს, მერე ღელე-ღელე, მერე ისევ ტყეში შევიდნენ. ახლა ისევ უკან წამოვიდნენ, სათემო გზაზე გამოვიდნენ. ჯერ თითოეული სხვადასხვა გზას დაადგა, მერე ისევ შეერთდნენ და ამნაირად კვალი არიეს.

— ჰააიტ! ჰააიტ! ჩქარა, ჩქარა, — ხანდაზმით შეეხმიანებოდა ალმასხანი და ამხანაგებითურთ ცხენებს მიარბენინებდა.

---

* აბდანი — ცხენის ბორკილი,

— რომელი გზით სჯობია? — დაეკითხა კაენა.

— ზემოთ ვითომ? როგორ იტყვი?

— იქ ცუდი ფონია. საყარაულოც არის.

— ქვემოთ უარესია, პირდაპირ ნაჩალიკისგან დაყენებული კაცები დგანან.

— მაშ ისევ ზევით?

— მე ასე ვფიქრობ, უკე...

— ბატონო, — ჩაერია გური-კოჩი, — მერე რაა, რომ ნაჩალიკმა დააყენა, ისინი რამეს ყარაულობენ გგონიათ? იქ თუ მეტყვით, ძილის ყარაულობაა. ერთი თვე არ იქნება გაღმიდან ცხენი მომყავდა. მაგიყებდნენ, უმოწმობოთ არ გაგიშვებენო, გავიარე საყარაულოები, სიმსიმი არ არის. ძინავთ და ძინავთ.

— ეგ არაფერია, — დინჯად თქვა კაენამ, — ორ-სამ ლივერს წინ ვისვრი და, თუ გინდ მღვიძარეც იყოს, დაიმალება. განა არ შეგვხვედრია მაგისთანები? ყარაულად ბუგები* და ჩანჩალაკები არიან, განა ვაკაცი ყარაულად დადგება? ვაკაცი ახლანდელ დროში ყველა ჩვენს ხელობაშია. რისთვის არ დადგება, ჩემო ძმაო, აი სასმელი, აი საკმელი, აი ფული და ყველაფერი მუქთად. მართალია, ხანდახან შიშს ვხედავთ, მაგრამ სიხარული უშიშოთ უპილ-პილო წვენია. სიყოჩაღე! გამბედაობა! რა უნდა დაიტრაბახო მეზობელთან, თუ ლაპარაკი შეგხვდა: ქათმების და კვერცხების ყიდვა იაფად და მამასისხლად გაყიდვა ვიცი, ეტყვი? ან მეჩალანდრობა! ჰა, ჰა, ჰა, წავიდეთ, წავიდეთ, ქვეითური ფონი ჯობია. ეჰეჰე ჰვიტ! — ამ სიტყვებთან ერთად მოისმა ორჯერ-სამჯერ მაგრად შემოკრული მათრახის ტკაცუნი და ცხენების თქარათქურის ხმა.

— ნელა, ბიჭო! — მისძახა ალმასხანმა. — ჯერ ხელში რა გვაქვს. ახლა უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს, სანამ ენგური წინ გვიძევს გასასვლელი.

რამდენსამე ხანს კიდევ იარეს ეკლიან გზაზე და ტალახებში და შემდეგ მოესმათ ენგურის გაჯავრებული შუილი და ხმაურობა.

— ის რა უნდა იყოს, ბატონო, იქ რომ ბზინავს? — იკითხა გური-კოჩიმ და თითი წინ გაიშვირა.

— აბა, სადა? — დაეკითხა კაენა. გური-კოჩიმ ხშირ ფოთლებისკენ გაიწოდა ხელი და ოდნავ ბეუტავი სინათლე ანიშნა.

— ეს უთუოდ საყარაულია, — წამოიძახა კაენამ და ცხენს შემოჰკრა კიდევ. ნაშოვნი ცხენები გური-კოჩს მიჰყავდა. ალმასხანი

* ბუგები—ყეყეჩები.

ამ ბოლო დროს არაფერს ამბობდა გური-ყოჩის გაკვირვებაზე — ეს რა არისო! ალმასხანმა თავი მაღლა აიღო და დაფიქრებულმა შეხედა ამხანაგებს. მერე განზე გადაიწია, დაამთქნარა, ფეხებით აბჯანდებს მაგრა ჩასწია ძირს, უნაგირზე მაგრად დაჯდა და ცხენს მათრახი შემოკრა.

— კაცო, ძლიერ არ აცივდა! — თითქმის ჩურჩულითა თქვა ალმასხანმა.

— რას ამბობ, კაცო, სიცივე კი არა, ქვეყანას ეკიდება. როგორ ამთქნარებ, ავად ხომ არა ხარ?

— ეს, ბატონო, ტყეში სულ მაგრე იცის, ალბათ, ნაჩვევი არ იქნებით. არ ხედავ, შენი ჭირიმე, უბრალო გზაზე მტვერია და აქ კი ტალახია.

— დიახ, ამის ბრალია. გური-ყოჩიმ მართალი თქვა, — დაამტკიცა კაენამ.

— არ ვიცი სწორედ, ლამის ამაკანკალოს. ალბათ, რამე სიკეთე ამ მომელის, — ძალდატანებული სიცილით თქვა ალმასხანმა.

— რას ამბობ! შენგან მესმის ესა! ჯერ სიბერე ხომ არ შეგბერვია. რა დროის ხუმრობაა.

— მეც მიკვირს, რად მცივა, სად არ გადავსულვარ, რა გაჭირვება არ შემხვედრია, მაგრამ ასე ცუდად ჯერ არ ვყოფილვარ. რაღაც გულზე მაწევს, მაგრამ ვერ გამიგია, რა მაწევს.

ასე ჩუმად მილაპარაკობდნენ. მალე სათემო გზაზე გავიდნენ. აქ უცბად კერაში ცეცხლგაჩაღებულ საყარაულოს წააწყდნენ. ალმასხანი ახლა თითქო გაცოცხლდა, შემოკრა ცხენს მათრახი და გაესწია წინ. იმას დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ.

— ეი! — მოისმა ყარაულის ხმა.

ხამიევმ ცხენები გააჩერა. ცეცხლის სინათლეზე დაინახეს საყარაულო ფაცხის წინ ყარაული. ტანმაღალი კაცი იყო, გრძელი და შავი წვერი ჰქონდა. თავზე მოძველო შალის ყაბალახი ჰქონდა წაკრული და გრძელ, ინძგილის * ტარიან ლამაზ ყალიონს სწევდა. ყარაულს ტანთ ეცვა ჩითის ახალუხი უქამროდ. ხელში ეჭირა მაგარი გათლილი ჯოხი. მისი პირისახე მის აღუშფოთებლობას ამტკიცებდა. ეტყობოდა, სრულებითაც არ მოელოდა აქ ვინმე საშიშ კაცს, რომ იმის გულისთვის თოფით ხელში წამდაუწუმ მზად კარებში მდგარიყო. თუმცა ყარაულს გატენილი თოფიც ჰქონდა, მაგრამ ფაცხის კუთხეში იყო მიყუდებული. თითქო თავის სახლში

* ინძგილი—შინდის მსგავსი ჯიშის ხეა.

არისო, ცხენების თქარათქურის ხმაზე ნელა ადგა, ყალიონი გა-ბოლა და კარებთან აიტუზა მდევივით.

— ეი! — დაიძახა მან და მოსწია თან ყალიონი. ყარაულს ხმა ძალიან ბოხი ჰქონდა და ახლა კი მისი ძახილი მკაფიოდ გაისმა.

— ეი და ეი! — დაუძახა ალმასხანმა.

— ბა კაცები ხართ თქვენ? — დინჯად იკითხა ყარაულმა.

— შენ ვინ გეკითხება? — გააწყვეტინა სიტყვა კაენამ და წინ წაიწია.

— როგორ? — აქ ყარაულს გაახსენდა თავისი თანამდებობა. — როგორ თუ ვინ მეკითხება? მაშ მე ვირის მკოდავი ვყოფილვარ აქა?

— იქნება უარესიც იყო, ჩვენ რაში გვეკითხება, — მიუგო ალ-მასხანმა.

— აბა, ვნახოთ, თუ უარესი ვარ. ბიჭო, მოიტა აქ თოფი! — გასძახა ფაცხაში მყოფ მეზობლის შვილს, რომელიც შიშით ჭუჭ-რუტანიდან იყურებოდა. ბიჭმა თოფი კანკალით მიაწოდა. ყარა-ულმა ჯოხი გადააგდო. თოფი მომართა, ფალია უნახა და ჩახმახს მოსწია. ერთი წუთის განმავლობაში რამდენჯერმე დაათვალიერა ქურდები და მათი ცხენები.

— აქ დროს კარგვა არ შეიძლება, — წაიჩურჩულა ალმასხან-მა. — ეტყობა, ამხანაგები ბევრი არა ჰყავს და... ერთი კაცის გუ-ლისთვის... ბევრ... ხანს... გაჩერება...

— მაშ, გავწიოთ წინ! — დაიძახა კაენამ. — შენ, გური-კოჩი, ჩვენ მოგვეფარე და ეცადე, ცხენები არ გაგექცეს. — თქვა ესა და გავარდნენ წინ. ყარაულს ტვინი ათასნაირად აერია.

— გაჩერდით, თორემ ღმერთმანი გესვრით! — დაუყვირა ყარა-ულმა უცხო სტუმრებს, როცა საყარაულოს წინ ძალით გავლა და-აპირეს.

— შე, მამა ძ... შენ კიდევ ვის უბედავ, სუ!

— მე არ ვხუმრობ, — გაცეცხლებით დაიყვირა ყარაულმა.

— სალაპარაკოდ სადა გვცალია, ჩემო კაენა, — გაუსწორო ალ-მასხანმა, ამოიღო დამბაჩა, დაუმიზნა ყარაულს და ჩახმახის ფეხს მოსწია. ჩახმახი დაეცა, მაგრამ დამბაჩა კი არ გავარდა. იგრიალა თოფმაც და მის ხმასთან შეერთდა ცხენების თქარათქურის ხმა. ყარაულმა თოფი დააგდო და მორთო ყვირილი: — არიქა, მიშველეთ, ქურდები აუ.... უ...ი!

ამის ხმაზე საჩქაროდ წამოვარდნენ ახლომახლო მოსახლენი

და ყარაულის მიერ ნაჩვენები გზით ერთი კიეინითა და ვაი-ვაგლახით დაედევნენ ქურდებს.

ალმასხანი მიაჭენებდა ცხენს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ბაბ უკან მისდევდნენ კაენა და გური-კოჩი:

— არიქა, გური-კოჩი, შენი ჭირიმე, ცხენებს ხელი არ გაუშვა! — უძახდა კაენა და უბელო ცხენებს მათრახს სცემდა, რომ ფეხი აეჩქარებინათ. მდევარნიც ყვირილით მისდევდნენ ქურდებს, ამიტომ მიუახლოვდნენ თუ არა ენგურს, აღარც ფონი არჩიეს, აღარც გზა, ეცნენ და შევარდნენ შიგ. ალმასხანის ცხენი გმირულად მიაპობდა ადიდებულ ენგურის მრისხანე ტალღებს. კაენა ცალი ხელით გური-კოჩის ცხენებს ეზიდებოდა. როცა შუა მდინარეში შევიდნენ და ცხენები გაგიჟებული ცურვით შეებრძოლნენ გაოსავრებულ აქაფებულ წყალს, გური-კოჩიმ თავი ვერ დაიჭაგრა, რადგან წყალი მკერდამდე მოადგა.

— ვაიმე! — დაიყვირა გური-კოჩიმ და გადავარდა. თვალის დახამხამების უმალ მობრუნდა ალმასხანი, სტაცა ხელი გური-კოჩს და თავის ცხენზე შემოისვა.

— აჰა-ჰაი, ძაბუ! ამისთანა ადგილას უნდა გამოიჩინო თავი, თორემ მინდორში ჭიანჭველაც დაღოღავს. აი, შენი ჭირიმე კაენა, ცხენები.

კაენაც მზად ყოფილიყო და როცა გური-კოჩი გადავარდა, მარდად ეცა თოკებს და გასწია.

ბევრი წვალების შემდეგ გაღმა გავიდნენ. შემოკრეს ცხენებს მათრახები და მიეცნენ უგზო-უკვლო გაუვალ ტყეს. კარგა ხნის შემდეგ შევიდნენ ისეთ ადგილას, სადაც მათი მოძებნა შეუძლებელი იყო, ტყის სიხშირისა და მცხოვრებლების სიშორის გამო. ვათენებაც მოახლოვდა, ცას მოთეთრო ფერი გადაეკრა, ღრუბლები გაიფანტნენ. ვარსკვლავებს თითქო შერცხვათო, მიიმალ-შოიმალნენ. აღმოსავლეთისაკენ ცის კამარას ცეცხლი მოეკიდა, ჰაერში რაღაც გამაცოცხლებელი სუნი იდგა. გმირები ჩამოსხდნენ შუბის დამპალ როკზე, დასასვენებლად მოემზადნენ. ალმასხანი გამბმარ ტოტზე ჩამოჯდა და გაოფლიანებული პირისახის მოსაწმენდად გულის ჯიბეში ცხვირსახოცს ეძებდა, რომ უეცრად ძირს ვადმოვარდა და დედამიწაზე გაიშხლართა.

— ვაიმე, მოვკვდი! — დაიძახა მან, კაენა და გური-კოჩი მისცვივდნენ.

— რა დაგემართა, კაცო? — ეკითხებოდა კაენა და სინჯავდა

ალმასხანის ტანს. გადასწია ჩოხა, ჩოხა გასისხლიანებული იყო. მიიხედა აქეთ-იქით, მინდორზე სისხლის კვალი ჩანდა.

— ეს რა დაგემართა? ვაი ჩემ თავს, ყარაულის ტყვია მოგხვდა? — ათრთოლებით ეკითხებოდა კაენა. — აბა გური-კოჩი, ნახე უნაგირი.

ალმასხანის ცხენი გასინჯეს და ისიც უნაგირიანად გასისხლიანებული იყო. კაენამ ფიცხლავ გახადა ალმასხანს ტანისამოსი და ჭრილობას სინჯვა დაუწყო. ჭრილობა მძიმე აღმოჩნდა. ტყვია მკერდში ჩარჩენილიყო. ალმასხანს გრძნობა წამდაუწუმ ეკარგებოდა.

— ბეჩა, გური-კოჩი, მიშველე, სადმე წყალი! — თვალცრემლმორეული მიუბრუნდა კაენა,—ანდა, შენ აქ იყავი და მე ერთ წუთას მოვარბენინებ.

კაენამ გაიხადა მესტები და გაიქცა წყლის მოსატანად. გური-კოჩი იმის სირბილს თვალყურს ადევნებდა. კაენა თანდათან იმალებოდა ტყეში და ბოლოს ფოთლების შრიალიც შესწყდა.

ალმასხანი იწვა პირაღმა, თვალებს ხანდახან ახელდა და მერე ისევ ხუჭავდა. ტუჩებსაც მომაკვდავ თევზივით ოდნავ აღებდა. სახე თანდათან უფითრდებოდა. გური-კოჩიმ გაიხედა აქეთ-იქით, თეთრი ფერი გადაედო, მერე გაწითლდა, გულმა ძგერა დაუწყო. ერთი ფეხი წინ წასდგა, ისევ უკან დაიხია. მერე ისევ წინ წაიწია, ეცა მოპარულ ცხენებს, თოკები ხელში დაიჭირა, თვითონ თავის ცხენზე შეჯდა და მოკურცხლა. რამდენსამე ხნის შემდეგ წელამდე ლაფში ამოსვრილი, წყლით სავსე მესტით ხელში დაბრუნდა კაენაც.

— აბა, გური-კოჩი! — დაიძახა, როცა მოუახლოვდა მუხახ, მაგრამ სად იყო გური-კოჩი, ან ცხენები, ორს გარდა. კაენა იმავე წამს ყოველსავე მიხვდა.

— ჰაიტ, გიაური, მართლა უსისხლო კუბაკი! ეს მიქნა ახლა ამ უსინდისომ? ეთქვა და, თუ უნდოდა, ჩემ ცხენებსაც ვაჩუქებდი, მართლა უჯიშო ყოფილა სწორედ!—კაენა საშინლად გაბრაზდა. ჯერ დაჭრილის თავის დანებება და გური-კოჩის დადევნება იფიქრა. მაგრამ რაღა დროის ეს იყო, ალმასხანი სისხლში ცურავდა. კაენამ დაჭრილი სუფთა ადგილზე გადაათრია, სისხლი გადაუბანა. ახალუხს კალთა მოხია და იმით შეუხვია. მერე დაჭრილს წყალი პირისახეზე ასხურა. ალმასხანმა თვალები გაახილა.

— კაენა, — წასჩურჩულა ნელი ხმით.

— რა არი, შენი ჭირიმე?

— გური-კოჩი სად არის?

— თავსლაფი დაისხა. მე რომ წყლის მოსატანად წავედი, ცხენიანად წასულიყო.

— უჰ, ჰ, ხომ ხედავ, კაენა, ვკვდები; ბევრი-ბევრი კიდევ რამდენსამე წუთს ვიცოცხლო. გური-კოჩს რომ არ ეღალატა, კარგი იყო, გიშველიდა, მაგრამ რა უყოთ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ვაი ჩემი ცოდვა, როგორ ვკვდები, უზიაროდ, უმოწყალოდ. ყველაფერი მხვდება! აი! ეჰ, უ... ეცადე როგორმე, ჩქარა წამიღე აქედან, თორემ მოგასწრებენ, რადგან სისხლი, ალბათ, ბევრი ხანია, რაც მდის, თუმცა ვერა შეამჩნიეთ რა. ეცადე როგორმე შინ შიმიტანო. უბედური მაკა! იმას რა უშავს, საწყალი პატარა ბუხუ, ისიც გამოიზრდება. მე დავიკარგე, მე უბე...დუ...რი! მშვიდობით, კაენა. აბა, შენ იცი...

კაენა ნუგეშს აპირებდა, მაგრამ თვალებზე ცრემლი მოერია და ქვითინი დაიწყო, როცა დარწმუნდა, ეს არის მოუახლოვდა ალმასხანს უკანასკნელი წამიო. ალმასხანმა ფეხები გაქიმა, ხელები გულზე დაიწყო, თვალები დახუჭა, ერთი რაღაც გაუგებრად ჩაიბუტბუტა და გაშეშდა. კაენა გაქვავებული დაჰყურებდა მიცვალებულს. თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა შეუყენებლივ.

— უაჰ! ეს რა ქალობაა! — თქვა იმან, — ტირილით რას გავაკეთებ. ეს კი არა, წამი ას მანეთად მიღირს.

კაენამ თვალები მოიწმინდა, დატრიალდა, მკვდარი ტანისამოსში გაახვია. პატარა ბაწრებით შეჰკრა და ცხენზე გადაჰკიდა. მეორე ცხენზე თვითონ შეჯდა და გასწია. ბევრი ეცადა, თუ ვინიცობაა, ვინმე გამოედევნებოდა, კვალი აერია, მაგრამ ტყის ჭაობიან ნიადაგზე ცხენის ფეხები კოჭებამდის იფლეთდა.

„არა, ასე არ ვარგა", — იფიქრა კაენამ. ერთ პატარა ღელეს პირად ტყეში მოსძებნა მშრალი ადგილი და ჩამოხდა. ცხენიდან ჩკვდარი ჩამოიღო, გახსნა, გასჭრა ხმლით შუაზე და ისევ ცხენს უკან ცალ-ცალკე შემოაკრა საქონელივით. ალმასხანის ცხენს უნაგირი მოხადა, კარგად გარეცხა, თვითონაც, სადმე თუ სისხლის წვეთები მიეკარა, გაიწმინდა. ყოველივე დაითვალიერა, რომ სადმე სისხლი არ დარჩენილიყო. მერე ისევ ცხენზე შეჯდა და სათემო გზაზე გამოვიდა.

მზე უკვე ამოსული იყო და ქვეყანას პირველ სხივებისაგან ბრწყინვალე ფერი დასდებოდა. გაიხედა იქით-აქეთ, ბედზე არავინ მოდიოდა ირსაიდან. შემოჰკრა ცხენს მათრახი და გასწია წინ.

გაიარა რამდენიმე ვერსი კიდევ, არავინ შეხვდა. მერე ისევ ტყეში შევიდა, აქ ბედზე იმდენი ტალახი არ იყო. მოსძებნა დაბურული ადგილი და იქ ჩამოხდა. მიცვალებული ცხენიდან ჩამოიღო და ცხენები საბალახოდ გაუშვა. სიმშილისაგან გამწარებული ცხენები ეცნენ ბალახს და ხრამიხრუმი დააწყებინეს. კაჟნასაც გამოუთქმელი სიმშილი აწუხებდა და დაღალვაც დაეტყო. თავი უნაგირზე მიდო და იმავე წუთს მიეძინა. როცა გამოეღვიძა, მზე უკვე ჩასულიყო. ცხენები შორს არ წასულიყვნენ. „ხალიბის სახლში წავალო, — იფიქრა. — მაგრამ, არა, ჭირზე ჭირს არ გადავიკიდებ, ვინ იცის, ვინ შემხვდება“, — დაუმატა მან საჩქაროდვე. მალე ისევ გამოეწყო და იმავე ღამეს შინ მივიდა.

ყარაულის ხმაზე მოგროვებულები მარჯვედ გამოედევნენ ქურდებს, მაგრამ მანამ ისინი ენგურს მიუახლოვდებოდნენ, მინამ ქურდები გაღმა გავიდნენ და ტყეში მიიმალნენ. მდევარმა მერე ველარა მოახერხა რა და ყველანი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

— რა იცი, რომ ქურდები იყვნენ? — ჰკითხა ერთმა ბოხხმიანმა ბლეხმა ყარაულს.

— როგორ არ ვიცი, უბელო ცხენები მიჰყავდათ.

— სუ, სუ, ჩემო ძმაო, — ჩასძახა მეორემ. — შენ იქნება დაგესიზმრა რამე. ცხენები კი არა, არ გინდა სქელი მჭადი?!

ყარაულმა სული განაბა, ან რას იტყოდა, როცა ყველა მისი ჩვენების წინააღმდეგი იყო. იმ ღამეს არაფერი, დაიშალნენ, მაგრამ მეორე დღეს გამოცხადდნენ. სისხლის პირველი წვეთებიც ნახეს. ნახეს ადგილიც, სადაც მოკვდა ალმასხანი. შეიტყეს ალმასხანის უეცარი სიკვდილიც, მისი წინა ღამის სამგზავროდ მზადება, მაგრამ გაიარა დღემ, დღეს დღე მოჰყვა, კვირას—კვირა. გური-კოჩს ცხენები შერჩა. იმავე დღეს გაჰყიდა არგამად * ოქუმში. ალმასხანს გულში ტყვია ჩარჩა საჩუქრად, კაჟნას შრომამ მუქთად ჩაუარა, მხოლოდ თავი გადაირჩინა. ყოველივე მიჩუმდა, ყოველივე მიყუჩდა. დაზარალებული ტიროდა. გამარჯვებული იცინოდა. თადა ცხენის დაკარგვამ კინაღამ დააჭლექა. კაჟნას უკვირდა თავისი გადარჩენა... მიჩუმდა, მიჩუმდა ყოველივე. კნეინა, თუმცა ქმრის სიკვდილის პირველ დღეებში თავს იკლავდა, მაგრამ ბოლოს ისიც მიეჩვია ჩვეულებრივ ცხოვრებას. ასეთია წუთისოფელი. — რაც ყოფილა, ის იქნება.

* არგამად—საჯაროდ, აშკარად.

ნაწილი მეორე

IX

თ. ალმასხანის სიკვდილის შემდეგ მისმა ოჯახმა რამდენსამე ხნით გამოიცვალა ცხოვრება. რამდენიმე წელი გავიდა და ქერდობა აღარ უკადრნია მის ოჯახს. ან ვის უნდა ექურდნა? არა თუ ქურდობისათვის ზრუნვის თავი არა ჰქონდა კნეინა მაკას, პირიქით, დიდი მეცადინეობა დასჭირდა, რომ თავი გაეთავისუფლებინა როგორმე იმ ხათაბალისაგან, რომელშიაც ქმრის სიკვდილის შემდეგ ჩავარდა. უკვე ნაცნობი თადა თავის ცხენის ქურდობას განსვენებულ ალმასხანს და კაენას აბრალებდა და დღედაღამ ზუგდიდის ბაზრის უფროსის კარწინ იყო. არზას არზაზე აწერინებდა და ამის მირთმევაში იყო. მოწმენიც ჩნდებოდნენ, რომელნიც ცხადად ამტკიცებდნენ ენგურის პირად ტყეში გამოღმა ყარაულის ტყვიით ალმასხანის სიკვდილს. ეს უფრო საშიში იმიტომ იყო, რომ გური-კოჩისაგან გაღმა გაყიდული საღარია პატრონმა ბევრი ძებნის შემდეგ იპოვა სოხუმში. აფხაზს, რომლის ხელშიაც ნახა. მაგრამ ჩაჰკიდა ხელი. სამართალში მიცემას დაემუქრა, თუ გამყიდველს არ მაჩვენებო. აფხაზმა ერთი მეზობელი თავადიშვილი დაასახელა, მან კიდევ სხვაზე გაუშვირა ხელი და ასე, რამდენსაც ჩვენების შემდეგ, გური-კოჩზე შედგნენ. გური-კოჩის საქმე ცუდად იყო. მან უკანასკნელად გადაირეცხა სინიდისი და ალმასხანს გადააბრალა ყოველივე. მაზრის უფროსმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა. ბოქაულს გაუგზავნა ბრძანება, კაენა შეიპყარი და გამომძიებელს გადაეცით. თუმცა ალმასხანს საფლავიდან ვერ ამოიღებდნენ და, შეიძლება, მაკას არაფერი დამართნოდა, მაინც მან თავისი ოჯახის პატიოსნების დასაცავად ყოველივე ღონე იღონა. შეუჩინა მაზრის უფროსს თავადიშვილები, გავლენიანი კაცები და ერთ დღესასწაულ დღეს დაპატიჟა კიდეც. გაიმართა უშველებელი ლხინი. ღვინის ძალამ და მაკას წერწეტა წელმა, ტანში გამაზრიალებელმა ტანადობამ და მომხიბლავმა შავ თვალწარბმა მოხუცებულ მაზრის უფროსს თავრეტი დაასხა. საცოდავ ბებერ არშიყს სულ გადაავიწყდა თავისი მოვალეობა და ვერ შესძლო გაწბილება ამდენ კეთილშობილთა, რადგან თითქმის ყველანი მათ შორის მისი მეგობრები და დაახლოებულები იყვნენ. არზები და ოქმები დიდხანს ეწყო შკაფებში. მერე მათი შტა-

ტი იქაც გაუქმდა და საქმე არქივში მოექცა... საქმე ამით გათავდა. მაზრის უფროსმა ამ დაპატიჟების შემდეგ კნ. მაკასთან ნათესაობაც აღმოაჩინა თავისი.

— აკი გამახსენდა, ქალბატონო, — უთხრა ერთხელ მაზრის უფროსმა კნეინას, როცა საღამოთი ზღვის სიოს ნელი სისინით გულდამტკბარნი ჭადრის ძირში სამხარს შეექცეოდნენ:—არ იცი, განა, ქალბატონო, რომ განსვენებული ჩემი დედის დის მაზლი უჩანა თქვენს მამიდაშვილს შვილს უნათლავდა?

— როგორ არა, ბატონო. აბა რას ჰქვია სისხლი და ხორცი. ძერე რა პატიოსანი კაცი იყო ის უჩანა. ჩვენი სიძის სახლში რომ მოვიდოდა, უჩემოდ ერთ წუთს ვერ გასძლებდა. მაკა შინ ან არისო? იკითხავდა ცხენიდან ჩამოსვლის უმალ და, თუ ჩემს შორს ყოფნას შეიტყობდა, ეწყინებოდა, ასე რომ, ძვირად თუ მეორე ღამე იქ ყოფნას დააპირებდა.

ახალი ნათესავნი ხშირად იყვნენ ხოლმე ასეთ სასიამოვნო მუსაიფში და ბოლოს ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ კაცს ეგონებოდა, ღვიძლი ნათესავები არიანო. უფროსი ხანდახან, როცა მაკას ესტუმრებოდა, კეთილ რჩევასაც აძლევდა. ხშირად ურჩევდა მაკას, შვილი გამოართვი ძიძასა და ქუთაისში გაგზავნეო.

— ახლანდელ დროებაში, თუ კაცი უსწავლელია, გროშად არ ღირს, — ეუბნებოდა უფროსი. — ჯობია ახლავე შეუდგე საქმეს, თორემ თუ დრო გადასცილდა, იცოდე, სიცოცხლეს გაგიძაღლებს. შენთან რა უნდა ისწავლოს? რაც მამას უსწავლია? ა! ხო იცი, მამას რა დაემართა.

ამის თქმაზე მაკას თვალები გაუწითლდებოდა, სახე გაუფითრდებოდა და თან ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე.

— ვიცი, შენი ჭირიმე, ვიცი, — მიუგებდა დამშვიდების შემდეგ, — მაგრამ რა ვქნა, ჯერ ბავშვი ძიძას რომ გამოვართვა, ხომ იცი, საუკუნოდ დამეკარგება მათი ოჯახი და, რომ იცოდე, რა პატიოსანი ოჯახია, ან რა პატივისმცემელი და მოყვარულია ჩვენი ოჯახისა! ჩვენმა უბედურებამ ჩვენზე უფრო შეაწუხა ისინი; დღემდი თვალებიდან ცრემლი არ შეშრობიათ უბედურებს.

— ეს არაფერია, ბატონო. იმათ უფრო არ გაუხარდებათ, თუ თვითონ პატიოსანნი არიან, პატიოსანი და ნასწავლი გაზრდილიც ნახონ? ხუთი-ექვსი წლის რომ შეიქნება, მერე რა ძიძის საქმე. ბავშვი! ჯობია ამ თავიდანვე შინ გყავდეს და შენს სიყვარულს შეაჩვიო. თორემ თუ ქურდი გამოვიდა, აპა, პა, პა!.... რა ვქნა, განა მე ქურდები მიყვარს? ამდენი ქურდობაა და ერთიც არ გამისამართ-

ლებია რიგიანად. მეც არ მინდა, ქრისტეს ვფიცავ, ცუდკაცობა იყოს. ყველანი, როგორც თქვენ, ნათესავები და მეგობრები არიან ზოგი ჩემი მამისა, ზოგი ჩემი, ზოგი ნათელ-მირონია, ყველანი თაყვანს მცემენ, ცაში ავყავართ და რა ვქნა, ვერ ვუღალატებ. ხომ იცი, კნეინა, ჩემი გვარი არაფერი შესანიშნავი გვარი ყოფილა ძველად. ახლა ოდიშის გამორჩეული თავადიშვილები ქედს იხრიან ჩემ წინა და იძულებული ვარ დავემორჩილო. კარგი არ არის? რომ არავინ ქურდობდეს, მაშინ მეც მოსვენებული ვიქნები და საზოგადოებაც.

— კეთილი, ჩემო ბატონო, — მიუგებდა ხოლმე კნეინა მაკა, — ვეცდები, თქვენი რჩევა ავასრულო, იმედი მაქვს თქვენც შემწეობას მომცემთ, დარწმუნებული, რომ დიდად გეწვით გული ჩემ დაობლებული ოჯახისათვის.

ექვსი წლის ბუხუ დიდი ტირილითა და ვაებით მოაშორეს ახალგაზრდა ძიძას და მორდეს. მაკამ ყოველი ღონე მიიღო, რომ ხვიგან გაზრდილ შვილს დედა შეეყვარებინა. პირველად ყოველივე ცდა ამაო შეიქნა. ბავშვი სულ ტიროდა, ჯინიანობდა, საკმელს იწუნებდა და ტანისამოსს იგლეჯდა. ბოლოს ესეც მოეწყინა, წამოიზარდა, შეეჩვია დედის სიყვარულს, თუმცა გამზრდელის სიყვარულიც მუდამ დიდი ჰქონდა. დედა ყოველ სადღესასწაულოდ ხვადასხვა ფერად აბრეშუმის ახალუხს უკერავდა შვილს. გამორჩეულ საკმელებს ამზადებინებდა მისთვის. ბავშვის გასახალისებლად მეორე წელსვე მშვენიერი ტანადი კვიცი უყიდა და ლამაზი, ბატარა, ვერცხლით შეკედილი უნაგირი შეუკვეთა. პატარაობისას ყმაწვილს ნიჭი, პატიოსნება და ღვთისმოყვარეობა ეტყობოდა. კვირა-უქმე დღეებში დედას მოსვენებას არ მისცემდა, ეკლესიაში რომ არ წაეყვანა. იქ ნახულსა და გაგონილს საუცხოოდ ასუხათებდა მერე შინ. მის ქორფა ტვინს შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა, რომ ერთს კარგად ეცვა და მეორეს კონკები ძლივს უფარავდა შიშველ ტანს. ვერ წარმოედგინა, რა იყო მიზეზი, რომ ზოგიერთ მის ტოლ და მეზობელ გლეხის შვილებს პერანგის მეტი არაფერი ეცვათ, როცა თვითონ ყოველ კვირა ახალ-ახალ ახალუხსა და წუღა-მესტებს იცვამდა.

— რატომ არის, დედა, გენაცვალე, იმ საბაიას მაჟარიას ხულ დახეული რომ აცვია და მე კი კარგი? — დაეკითხა ერთხელ დედას ბუხუ.

— შენ ბატონის შვილი ხარ, შვილო, — სიცილით უთხრა დე-

დამ, დაუჭირა ვარდისფერი ლოყები და დაუწყო გაგიჟებით კოცნა.

— მერე რატომ იმათაც არ აცვიათ ასეთი, შენი ჭირიმე? — თვალებგაბრწყინვებით ჩააცივდა შვილი, — თუ გიყვარდე, იმათაც ჩემისთანა ჭრელი ახალუხი შეუკერე, — ეხვეწებოდა ყელზე ორი თითის მიდებით და ტუჩების წინ წაშვერით, თითქო იბუტებაო.

ცხენი და უნაგირი ძლიერ ადრე შეუყვარდა პატარა ბუხუს. როცა პირველად შესვა კაუნამ ცხენზე, ბავშვი აღტაცებაში მოვიდა. „აუტ, აჩუს“! — იძახდა ყმაწვილი. და ფეხებს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უცაცუნებდა ფერდებზე. შვიდი წელიწადი რომ შეუსრულდა, ბუხუ მაზრის უფროსმა წაიყვანა ზუგდიდში დედითურთ, რადგან ბავშვი უდედობას ვერ მოითმენდა, და იქ სწავლა დააწყებინა. ბუხუს პირველად წიგნის სწავლა არ ეჭაშნიკი, ასე რომ დაწერილი ანბანი სამზარეულოს ბუხარში შეაგდო. უფროსთან რამდენსამე თვეს იყო და გვარიანი წერა-კითხვა ისწავლა. შემდეგ უფროსისავე რჩევით კნეინა მაკამ ბუხუ ქუთაისში გაგზავნა. იმის სწავლის საქმე ორ წელიწადს კარგა ბიდიოდა, მაგრამ ბოლოს ყმაწვილმა უკლო და მალე მთლად დაანება თავი სწავლას. რა იყო მიზეზი ბუხუსაგან ასე სწავლაზე გულის აცრუებისა? სხვადასხვა მისი მახლობელნი სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. საზოგადოდ კი ამ აზრს ადგენენ, მიზეზი ცხენი, უნაგირი, ხმალი და ჩოხა იყოო. ბუხუ ხედავდა, რომ მისი ტოლ-ამხანაგნი, თავადიშვილების ყმაწვილები იცვამდნენ კოხტად შეკერილ ჩოხა-ახალუხს, ირტყამდნენ ვერცხლის ქამრებს და აბრეშუმის ყაბალახით, ბუზმენტით მორთულ მესტებით ისხდნენ ცხენზე და თავისუფლად დანავარდობდნენ. ბუხუსაც გული შეექნა, ვეღარ მოითმინა მათი ყურება და თვითონაც მოინდომა ტოლ-ამხანაგებში გარევა.

უბედურმა დედამ ბევრი ინაღვლა, ბევრს ეფერა შვილს, რომ სწავლისათვის თავი არ დაენებებინა. რა არ აღუთქვა, ოღონდ სან წელიწადს კიდევ დარჩი სკოლაშიო, მაგრამ ვერაფერი ეშველა. მაზრის უფროსს ძალიან ეწყინა თურმე ეს ამბავი და ამბობენ. მიიხმო კიდეც ბუხუ, მაგრამ ის იმასთან არ წავიდაო. მას უკან ახალმა ნათესავებმა, კნეინა მაკამ და მაზრის უფროსმაც, რაღაც მიზეზით, გული აიცრუეს ერთმანეთზე და იშვიათადღა ნახულობდნენ ერთმანეთს.

იტყვიან, დაჩვეულს დადებული სჯობიაო, და სწორედ ეს მოუვიდა კაუნას. ალმასხანის სიკვდილის შემდეგ ფიცი-სალავათი

თავი სამარეში ჩაიწვინა, შემდეგ ქურდობას გულში ალარ გავიღებო. დასამტკიცებლად კინაღამ უფროსის იასაულად დადგა.

— ისე როგორ გამიწყრება, ბატონო, ღმერთი, რომ ქურდობა დავიწყო! არც უწინ მიქურდნია ბევრი და მხოლოდ იმ უკანასკნელ დროს უბედურმა გადამიბირა, — ეფიცებოდა კაენა უფროსს.

მაგრამ გაიარა დრომ, კაენა თანდათან ისევ დაუახლოვდა თავის ძველ ნაცნობებს. ჯერ ძალიან ფრთხილად მოეკიდა საქმეს. ერთხელ ერთმა ნაცნობმა აფხაზმა ერთი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ხმალი მოუტანა და ერთ თუმნად აძლია. კაენამ ხმალი დაათვალიერა, პირი გაუსინჯა, მშვენიერება რამ იყო, წკნელივით ოგრიხებოდა. კაენას გულმა ვეღარ მოუთმინა. „ნუთუ ვიყიდო, — ამბობდა გულში. — ვიცი, რომ ნამდვილად ნაქურდალია, თორემ თუმნად როგორ მომცემს, ამისი ფასი უკანასკნელი თბუთმეტ-თუმანია“. ბოლოს გაბედა და იყიდა. გული კი ასე დაიმშვიდა: „რაო მერე! მე ხომ არ მომიპარავს? სხვამ მომიტანა. ქვეყანას მე ვერ გავასწორებ!“. მეორედ კიდევ მეორე ნაცნობმა გამყარებული* ლაფშა ცხენი მოუყვანა და ხუთ მანეთად აძლია. კაენა მეორედაც შესცდა. ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ასე ივარჯიშა, მერე, პირიქით, თხოვნა დაუწყო ნაცნობებს, თუ სადმე ეშოვნოთ რამე, ძე მომიყვანეთ, ვიყიდიო. ბოლოს კაენას ფულის ხარჯვაც მოეწყინა და გააჩაღა ძველი ხელობა.

ბუხუს თვალტანადობას რომ უყურებდა, გულში ამბობდა, ეს ხწორედ ეს გამოდგება ამ ხელობისათვისო.

— შეხედე, მაკა, თუ ღმერთი გრწამს! — ეტყოდა ხოლმე ხანდახან მაკას, — სულ მამამისს არ მიუგავს აგებულობა? რა მიხი ხაქმეა წიგნის კითხვა! სულ სწავლულები აქცევენ ქვეყანას. სწავლა კოკლისა და დიაკონის საქმეა, თორემ ამისთანა ალმასივით ყმაწვილი აჩუზე უნდა იჯდეს და მათრახს აშრიალებდეს.

— სუ, სუ, თუ ღმერთი გრწამს, კაენა! ჩემთან მაინც ნუ იტყვ ამისთანებს! — მიუგებდა მაკა, — ჯერე შენ შეგრჩეს შენი პირიხ და სალავათის გატეხა, თორემ მეც გინდა დამღუპო? — მაკას შიშისაგან გული უძაგძაგებდა, ვაითუ ბაღანა გადამიბიროს ამ ოხერმაო, რადგან ატყობდა, რომ ბუხუს კაენას რჩევა უფრო ჭკუაში უჯდებოდა, ვიდრე დედის დარიგება.

ბუხუ, დაანება თუ არა სწავლას თავი, მშვენივრად გამოეწყო. ხაბრალო დედა, შვილის სიყვარულით გატაცებული, ვერაფერს

* გამყარებული—გაწვრთნილი და საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

ამიგებდა. ბოლოს იმანაც ამით დაიმშვიდა გული: მართალია, სწავლას თავი დაანება, მაგრამ ადგილ-მამული გვარიანად მაქვს, გვარიშვილობა არ მაკლია, ქურდობას და ცუდკაცობას არ დავაწყებინებ და გემოზე ვიცხოვრებო. მაკამ კარგად იცოდა ვინ იყო მისი შვილის გადამბირებელი, მაგრამ რა ექნა, მისი მოძულებაც და სახლში შემოუშვებლობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც კაენა, ოგორც უწინ, ახლაც თავს დასდებდა მაკას ოჯახისათვის. კაენა ალმასხანის ღვიძლი ძმისწული იყო. მამა ადრე მოუკვდა და პატარაობიდანვე ალმასხანმა გაზარდა. ჭირსა და ლხინში მუდამ ერთად იყვნენ და, რასაკვირველია, ალმასხანის სიკვდილის შემდეგ ის შეიქნა უპირატესი მფარველი ობოლი ოჯახისა.

მეტად კოხტა შესახედავი იყო ბუხუ, როცა ჩოხა ჩაიცვა, ნაშვებივრი იარაღი აისხა და რჩეულ ცხენზე დაიწყო ჯდომა. ოცამანარად გამოწყობილი პირველად გაჩნდა დღეობაში, თითქმის ყველა იმას შეაჩერდა, დიდი და პატარა.

— ვინ არის, ვინ, ის ლამაზ-ლამაზი უწვერო ბიჭი, კარგი ცხენით რომ მოდის? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს ქალები და ყაცება, ოცა ბუხუ, კაენა და სხვა თავადიშვილები ერთად შევიდნენ ჯარში შეიარაღებულნი ცხენდაცხენ.

— არ ვიცი სწორედ, ვინ არის, — ამბობდა ზოგიერთი, — კაკი ბიჭი კი არის!

— იმ ერთს კი ვიცნობ. ის კაენა არ არის, ნააბრაგი? — იკითხა ვინმა.

— ის ყმაწვილი? ის ალმასხანის შვილი უნდა იყოს.

— ჰაა! ალმასხანის შვილი? უტას გაზრდილი? ჰაი, დაილოცა ღმერთო შენი სახელი! ასე ის ჯერ რამ გახადა, — უკვირდა ზოგიერთს. — აკი ამ სამი წლის წინათ სანაჩალიკოში პატარა მინახავს, ოცა სუნთას ხარის დაკარგვის თაობაზე ვიყავით იქ.

— შეხედეთ მერე, როგორ მიმინოსავით აღებს თვალებს და ბადაკრულ-გადმოკრულად გადმოჰყურებს ლამაზ გოგოებს, ეტყობა ბრშიყია, აი! — შენიშნა ერთმა ხუმარა ჭაბუკმა, როცა ბუხუ და მისი ამხანაგები ცხენებიდან ჩამოხდნენ და საზოგადოებას მიეხალმნენ. დღეობაში, ან, როგორც აქ ამბობენ, ჯარში ქალებისა, ყაცებისა და ცხენების ტევა არ იყო.

მუშაობით დაღლილი და გაჯერებული გლეხი ჯარში ივსებს თითქმის იმ სულისა და ხორცის ზარალს, რომელიც მოსდის სახლში გამუდმებული ოფლის ღვრითა და ჯაფით. ამ დღეს იხდის გლეხი მოკლე სამუშაო ჩოხა-ახალუხს და, შეძლებისადაგვარად,

ცვამს უკეთესს, საგარეო ტანისამოსს. ამ დღისთვის ცდილობს ცოტაოდნად მაინც მოლამაზდეს, იბანს ხელ-პირს, წვერ-ულვაშს ივარცხნის, ფეხთ სუფთა წუღებს იცვამს და მიდის ჯარში. იქ ლაპარაკობს ნაცნობებთან, ხუმრობს, იცინის, მღერის, თუ იცის ნიმღერა, და ასე დროს გატარებით ნასიამოვნები, ჯან-ღონე მოკრებილი ბრუნდება შინ. ჭაბუკი და ახალგაზრდა გლეხი ერთი თვით წინათ იწყებს მზადებას ამ დღისთვის. ყოველ თოხის დატყმაზე ან სხვა რამ მუშაობაში ჯარი ახსენდება. თუ ცხენი ჰყავს, ერთი კვირით წინ ახამებს, უვლის, რომ იმ დღეს კარგი სირბილითა და ჯირითით ასახელოს. ახალგაზრდა ქალების კოხტაობას ხოხ ნაზღვარი არა აქვს იმ დღეს. ყველანი, შეძლებისდაგვარად გამოწყობილნი, მიეშურებიან ჯარში, უმეტესობა სედლოთი და კავალებით. ზოგს მამაპაპური ლეჩაქი დაუწუნებია და ფრანგული შლიაპა დაუხურავს, ხელქმნილი ვარდებით მორთული, იქნება ვიხმე თვალი დაუბნელდეს და ანკესიკით მომებასო; ზოგს ჩითის კაბისათვის აქა-იქ ფერადი ზოლი ჩაუყოლებია, რადგან ჭრელი ტანისამოსი უფრო ეჩხირება ადამიანს თვალებში და მალე მომაქცევენ ყურადღებასო; ზოგს კიდევ ღილები ზედატანისა უკან გადაუყოლებია; ზოგის კარსეტზე კი რა მოგახსენოთ, ისე გაკანკლულა ნიგა, რომ გეგონებათ, ცერის სისხო წელი აქვს და საცაა ლერწამივით გადაიმტვრევაო.

ვაჟებიც არ ჩამოუვარდებიან ქალებს გამოწყობაში. ზოგი გამოსაჩენად სამასროებს და მკერდის პირებს ბუზმენტებით ირთავს. ყველა ცდილობს, რომ ისეთი რამ ან მოირტყას, ან ჩაიცვას, ან დაიხუროს, როგორიც სხვას არა ჰქონდეს. ჯარი აჭრელებულ და ნასიამოვნო სურათს წარმოადგენდა. ქალნი და კაცნი ერთმანეთის ნთვალიერებასა და დაფასებაში იყვნენ გართულნი. რამდენსამე ადგილას მოისმოდა შეწყობილი ფეხის ხმა, სადაც ოცი, ორმოცი კაცი ვოხოხოიას * აწკრიალებდა. ზოგან ფერხული დაიშლებოდა და სათამაშო სიმღერას იწყებდნენ. გაიმართებოდა სიმღერა, ტაშისკვრა და დაირის გრიალი; უცბად გამოვარდებოდა ისარივით ხხარტი ბიჭი, წელის ნელ-ნელა რხევით და იწყებდა თამაშობას. ბიჭს გოგოც გამოჰყვებოდა და ორივენი ეტლის თვალივითა ტრიალებდნენ. თავდაღუნულ გოგოს თვალები ბიჭის ფეხებისაკენ იყო მიქცეული, აგრეთვე ვაჟის გაბრწყინვებული თვალები გოგოს ან შორდებოდა და იმის მიხრა-მოხრას შეჰყურებდა. გოგოს ბრო-

* ვოხოხოია—საფერხულო სიმღერაა.

ლივით თეთრი და ისარივით სწორი მოგრძო თითები ჰაერში იყო ალწვდილი და ზედ მზის სხივი თამაშობდა. როცა ერთნი მოიღლეობდნენ ცეკვითა, ახლა სხვები გამოვიდოდნენ და ასე ამგვარად. ზოგს მღერა-თამაშობა მოსწყენოდა და ისევ თავის საყვარელ ცხენისათვის მიემართნა. იყო ერთი უშველებელი თარჩიობა გამართული; თარჩიობა ის არის, რომ ერთი ცხენოსანი დაიჭერს ხელით ან კბილით ცხვირსახოცს და გაიქცევა, სხვები უკან დაედევნებიან დასაჭერად და ვინც მოეწევა და დაიჭერს, იმისია, მერე წინ ის გაიქცევა და ასე ამნაირად. მეთარჩიეს დიდი გამოცდილება, ცოდნა და ხერხი უნდა ჰქონდეს, რომ არ დაიჭირონ. უცბად უნდა მოაბრუნო ცხენი, რომ მოულოდნელ გადახვევით მდევარი აიცდინო. უნდა მიუხვ-მოუხვიო, სწრაფად გაირბინო ხეებ შუა, ხან თხრილიც უნდა გადალახო, დაღმართი ჩაირბინო, აღმართზე შეაგდო ცხენი და იმავე დროს მალ-მალ უკან უნდა იყურო, ახლო ბომ არ მოგდევენ დასაჭერად.

ჩვენმა ბუხუმაც ბევრი აქენა თავისი ცხენი და სახელიც მოიხვეჭა მარდი ცხენოსნისა. შეჯახებაშიაც ბევრ ცხენს დაახვევინა უკან. კარგი ის იყო იმ დღეს, რომ ჩხუბი არ მომხდარა, რაიც ძალიან ხშირია ხოლმე ოდიშის ჯარიანობაში. ვისაც ვისთვის უწყენებია რამ, ამ დღეს გაახსენდება. დაამარაგებს ძმა-ბიჭებს, თვითონაც კარგად დამარაგდება. რასაკვირველია, მოწინააღმდეგე დასიც შეუტყობს და თვითონაც ფრთხილად დაიჭერს თავს. ჯერ მცირე აყალმაყალი ატყდება, მერე უფრო მომეტებული ხმაურობა. ხმაურობას გინება მოჰყვება, გინებას მათრახი ან ჯოხი, ჯოხს ხმალ-ბანჯალი და დაიწყებს სისხლი დენას.

— ჩვენი ხატი, აბა, რა გეგონათ, შენი ჭირიმე, ჩხუბს მის წინ ჯინ გაბედავს? — ხარხარით ეუბნებოდა ერთი სედლოიანი ქალი თავის სტუმარ კავალერს, როცა ჯარი დაიშალა და შინ მათრახებიან ტაცუნით დაბრუნდნენ. სტუმარი მეორე სოფლიდან იყო მოსული და უკვირდა, მადლობა ღმერთს, დღეს ჩხუბი არ მოხდაო.

— როგორ, ბატონო, თქვენი ხატი გამოცვალეთ? თუ ისევ ისაა, რომელიც ამ შვიდი წლის წინათ იყო?

— რას ამბობ, გენაცვალე, შვიდი წელი კი არა, ლევან დადიანის უწინაც ყოფილა ეს ხატი ჩვენში.

— მაშ იმისი ბრალი თუ არის უჩხუბობა, რატომ მაშინ არ დააშოშმინა ხალხი, როცა აქ... არ გახსოვს? ერთ წელიწადს კაცი მოჰკლეს და ორი გვარეულობა კინაღამ ამოწყდა, ისე ამოხოცეს ერთმანეთი.

— ჰმ... მაშინ, ალბათ, გაჯავრებული იქნებოდა ჩვენზე. დაიდლოცა მისი სახელი! — და ქალმა პირჯვარი დაიწერა. ამ დროს უკან მათრახების შუილი მოისმა. ცხენოსნები იყვნენ ბუხუ და მისი ამბანაგები. წინ მიმავალთ ბუხუს გზა დაუთმეს. ყმაწვილი იხარივით იჯდა ცხენზე. აღვირი დაეკრიფა და ცხენის თავი მხედრის თავს უსწორდებოდა თითქმის. მისი ოქროთი დაფერილი ხმლის ტარი ამ საღამო ჟამზე საამურად ბრწყინავდა. მისი ამხანაგებიც რჩეულ ცხენებზე ისხდნენ. გაუტიეს ცხენებს და რამდენსამე წუთის განმავლობაში კარგა მოშორდნენ დანარჩენ მგზავრთა. ამ დღემ დიდად ასიამოვნა ბუხუ. მასუკან უფრო შეუყვარდა ცხენი და ჯირითი და თავისი მასწავლებელი კაენა. კაენა იმდენად შეუყვარდა ბუხუს, რომ უიმისოდ ერთ წუთსაც ვერ გასძლებდა. რადგან კაენა ხშირად დადიოდა საშოვარზე, უნდა ვიფიქროთ, ბუხუსაც თან ატარებდა. დიაღ, საუბედუროდ, ბუხუმაც ისწავლა კაენახ ხელობა, სისხლმა თავისი გაიტანა და შვილიც მამის გზახ დაადგა. გაცრუვდა საბრალო დედის მოლოდინი. ეგონა შვილი ჩინოვნიკი გამომივაო და ის კი არა, მან სხვა მოხელეობას ჰიაშუტა.

X

ჭაბუკ ბუხუს თუმცა ძლიერ უყვარდა თავისი საყვარელი დედა, მაგრამ მაინც ყოველი მისი რჩევა, ხვეწნა და მუდარა, საუბედუროდ, ამაოდ დარჩა, რა ღონე არ იხმარა კნეინა მაკამ, რომ შვილი ამ სამარცხეინო საქმისათვის მოეშორებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. კაენას საუკუნოდ გამოესალმა, სახლში მოსვლა მოუსპო და გუბერნატორთანაც დასმენას უპირებდა. ამ დროს კაენამ მეზობლის პირით ისეთი მუქარა შეუთვალა კნეინას, რომ იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავის განზრახვაზე. კაენა სხვათა შორის უთვლიდა, რომ თუ ინებებთ დასმენას, მეც მზადა ვარ შენი ქმრის ხაქციელი გამოვამჟღავნოვო; ვუამბობ მთავრობას, რომ შენი სახლი დღესაც სავსეა სხვადასხვა განძეულობით, რომელიც დამალული გაქვს და რომელიც შენმა ქმარმა იშოვა ხელმრუდობითაო. თუმცა მაკას ბევრი არაფერი განძეულობა ჰქონდა, მაგრამ მაინც ქადილი გულს მოხვდა. ქმრისგან დატოვებული ოჯახის გაუპატიურებას ისევ შვილის გაუბედურება ირჩია. მეტი ღონე არ იყო,

მწუხარება გულში უნდა ჩაეკლა და ბუხუს ბედი კაენას ამაზედ დაეტოვებინა.

ბუხუ ხანდახან მთელი კვირაობით შინ არ მოვიდოდა. თუ მოვიდოდა, ისიც რამდენიმე საათით და ძვირად თუ ღამე შინ დარჩებოდა. ყოველ მის წასვლა-მოსვლას უბედური დედა ტირილით ეგებებოდა. ბუხუს გული თითქო ქვაააო, დედის გლოვა-გოდებას გულგრილად ეკიდებოდა. წარბშეუმუხვნით შეხედავდა ხოლმე დედას, როცა მაკა ცრემლმორეული ქვითინით მოთქვამდა თავის უბედურ ბედს, თავის ქმრის უბედურ ბოლოს და უკანასკნელად თავისი ერთადერთი შვილის საფათერაკო გზაზე დადგომას. ევედრებოდა შვილს, დაანებე თავი ამნაირ უაზრო და სამარცხვინო ცხოვრებასაო; ნუ მიკლავ გულს, ნუ გამიმწარებ უიმისოდაც გამწარებულს სიცოცხლესაო.

ნუთუ ბუხუს მართლა გულს არა ხვდებოდა დედის ტირილი? ნუთუ მისი გული მართლა ქვა იყო? არა. ბუხუს უყვარდა დედა, უყვარდა იმდენად, რომ მეტი სიყვარული ძნელიც იყო. დედის ხიტყვები სწამლავდა მის გულს, აწუხებდა ჭაბუკს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლიდა, ისევ კაენასთან დადიოდა. რა არის კაცის გული! ბუხუ ნათლად გრძნობდა, რომ ყოველი მისი მოქმედება წინააღმდეგი იყო როგორც ბუნებრივი კანონებისა და ხინიდისისა, ისე დედის სურვილისა და ნებისა. ნათლად გრძნობდა თავის დანაშაულს დედის წინაშე, წუხდა, რომ დედას სიცოცხლეს უშბამავდა, მაგრამ გასწორებას ვერ ახერხებდა, უფრო ეტანებოდა ცუდკაცობას, თითქო იმ სამარცხვინო საქმეში უნდა მისცეს თავი დავიწყებასაო. უნდოდა დავარდნილიყო დედის წინაშე, ეთხოვა შენდობა, მოხვეოდა მის მუხლებს, დაეღვარა მის წინაშე ცრემლი სინანულისა, გაეწყვიტა სამუდამოდ კავშირი თავის ამხანაგებთან, მაგრამ ყოველივე ეს იმდენად აშფოთებდა, იმდენად ურევდა აზრებს, რომ თითქო თავის თავს უწევს ჯიბრსაო, უფრო და უფრო უმატებდა ცუდკაცობას. გარეგნობით კაცი ძვირად თუ შეამჩნევდა ამ სულის მდგომარეობას. მღეროდა კიდეც ამხანაგებთან, იცინოდა, მასხარაობდა, მხოლოდ დროგამოშვებით მოულოდნელად სახე ეცვლებოდა, გული ცახცახს უწყებდა და ძალაუნებურად ამოიოხრებდა ხოლმე. ეს წუთი იმდენად უაზრო და ბუნდოვანი იყო მისთვის, რომ თვალწინ რა ედგა, იმასაც ვეღარ არჩევდა. ერთხელ, დიდი ხნის წოწიალის შემდეგ, ერთ სამიკიტნოში ღვინოხა სვამდა თავის ამხანაგებითურთ. ბუხუმ პაპიროსი გააკეთა და

ასანთის მაგივრად ღვინის ჭიქით უნდოდა მოეკიდებინა. ღვინო დაიქცა. ჰა, ჰა, ჰა! ატყდა ხარხარი ამხანაგებში.

— ბიჭო, ხომ არ გეძინება? — ეკითხება ერთი.

— საკვირველია, ილორის მადლმა! — უკვირდა მეორეს.

ბუხუ ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა, კვლავ სიცილი დაიწყო და ბოჰყვა უდარდელ ლაპარაკს.

კაენასა და ბუხუს სიმდიდრე ცხენები იყო. ცხენებს, თუ უნდოდათ, დღეში რამდენჯერმე გამოიცვლიდნენ. კაენას სხვადასხვა ფერის ცხენი უყვარდა. ამიტომ დღეს თეთრ ცხენზე იჯდა, ხვალ შავზე, ზეგ ღვინის ფერზე და ასე... ბუხუს კი უფრო შავი ცხენი ეოსდიოდა თვალში და არც ხშირ-ხშირად ცვლა უყვარდა. ხელობის დაწყების შემდეგ ორი წელიწადი ისე გავიდა, ხუთი ცხენი არ გამოუცვლია, როცა კაენამ იმავე დროის განმავლობაში ასზე მეტი გამოიცვალა.

კნეინა მაკამ ვერ გაუძლო ამდენ სევდას და თანთადან ავადმყოფობა დაიწყო. ვარდისფერი ლოყები დაუჭკნა, სახე გაუყვითლდა, დიდრონი თვალები თითქო დაუპატარავდა და ჩაუქრა, თვალების გარშემო ღვინისფერი კანი გამოუჩნდა. ამასთანავე ნაცნობებმაცა და ნათესავებმაც თითქო დაივიწყეს. უფრო იმიტომ, რომ ხელმოკლედ იყო და სტუმრებისათვის ძველებური პატივისცემა არ შეეძლო. ხელმოკლეობას გარდა მისი მუდმივი სევდიანობაც იყო მიზეზი, რომ ნაცნობნი ერიდებოდნენ, რადგან კნეინა სულ ასე ნაღვლობდა და არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, მისი ქონებაც ნელ-ნელა შემცირდა, გაიბნა. მოსამსახურეებმა დრო იპოვნეს. ყველა თავისთვის ზრუნავდა და, რაც შეეძლო, გაჰქონდა ბატონის სახლიდან. როცა ასე თუ ისე გაივსნენ, ნელ-ნელა სულ მოშორდნენ სასახლეს. ბოლოს ერთი პატარა გოგოღა შერჩა, რომელიც კნეინას ნათლული იყო და კნეინასაც ძლიერ უყვარდა, რადგან პატარაობიდანვე მის ხელში იყო გაზრდილი. უფროსმაც ხომ სულ ამოიკვეთა თითქმის ფეხი მაკას სახლიდან. ვიზიტებს თავი დაანება და ბოდიშს იხდიდა, საქმეები ბევრი შემიგროვდა და ვეღარ ვიცლიო.

ბუხუ და მისი ამხანაგები გაჩაღებულ ვაჭრობაში იყვნენ გართულნი. ოდიშიდან აფხაზეთში და იქიდან უკან ერთი კვიცი არ გადავიდ-გადმოვიდოდა ისე, რომ მათ არ სცოდნოდათ. ხან ისეთი დღე გამოერეოდა, რომ ათობით გაჰყიდდნენ ცხენებს სამ-სამ, ოთხ-ოთხ მანეთად, ხშირად გზაზე გაუვლიდნენ ტყის ახლო მოსახლე გლეხს, ისადილებდნენ და ნასადილევს ბედაურ ცხენს აჩუ-

ქებდნენ ორიოდე ლაფერა ღომისა და ქათმისათვის. მათი ამბავი ქვეყანამ შეიტყო. არზა არზაზე მიდიოდა სადაც ჯერ იყო. იყო ძებნა, დადიოდნენ ბოქაულები ყაზახ რუსებით და აიდევაც ბევრი დაიჭირეს, მაგრამ უფრო უდანაშაულონი. რჩეული ამხანაგებთანდათან შემოეცალნენ ქაენასა და ბუხუს. ზოგმა თავი დაანებეთავის საქციელს, ზოგმა ცალკე დაიწყო მოქმედება. ყველაზე უფრო ერთგულად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, რასაკვირველია, ქაენა და ბუხუ. ბოქაულები თავგადადებული იყვნენ, რომ დაეჭერათ როგორმე, მაგრამ ყოველივე მათი შრომა ამაო იყო. ასე ამბობდნენ თვითონ, თორემ ძალიანაც თავს არ იცხელებდნენ ამათი დაჭერისათვის. ან ვინ იყო მართლა მათ შორის ისეთი, რომ თავგაეწირა და მოენდომებინა მათი დაჭერა? ბოქაულები მხოლოდ ოქმებსა წერდნენ, მართავდნენ სოფლებში ყრილობას ყრილობაზე, არჩევდნენ ხეისთავების მეუფროსეებს—ხშირად ისევე ქურდებს. ამით ქურდობა არამცთუ ისპობოდა, პირიქით, უფრო ძლიერდებოდა.

კნეინა მაკამ ბოლოს ყველაფერს თავი დაანება, შავები ჩაიცვა და ხშირ-ხშირად დაიწყო ეკლესიაში სიარული. იყო დრო, როცა მაკა რამდენსამე ცხენოსნით გარშემორტყმული, აბრეშუმის ტანსაამოსით, სურნელოვანი ნელსაცხებელშეფრქვეული, შრიალით მიდიოდა ეკლესიის კარზე. მის დანახვაზე ერთი ალიაქოთი შეიქმნებოდა ხოლმე. გზას უთმობდნენ და მაკა ანგელოზივით გამოწყობილი ყველა ქალებზე წინ დადგებოდა ხოლმე ეკლესიაში. მისი ვარდისფერი ლოყები მაშინ თითქოს სინათლეს ჰფენდა არემარეს

ხულ სხვა იყო ახლა. მაკა შავებში ჩაცმული, პატარა გოგონანაბარა, ფეხით, ჯოხზე ხელდაბჯენილი, ნელ-ნელა მიდიოდა ხაყდრისაკენ. ძალიან ძვირად შევიდოდა ხოლმე შიგ, თუმცა ახლაც პატივსა სცემდნენ. უფრო ხშირად გარეთ დადგებოდა, დერეფანში და იქ ხშირ-ხშირი მეტანიით და პირჯვრის წერით ანუგეშებდა თავის მოშხამულ გულს. ნაწირვებს, როცა სხვები სიმღერითა და სიცილით სახლებისაკენ ეშურებოდნენ, მაკა ალმასხანის საფლავზე მიდიოდა და იქ აფრქვევდა ცრემლებს.

ერთ კვირა დღეს კნეინა მაკა ჩვეულებრივ ეკლესიაში წავიდა. ნაწირვებს ალმასხანის საფლავზე არ უტირნია, მხოლოდ მოწყენილი გაიხედა იქითკენ, თავი დაიქნია მწუხარედ და შინ წავიდა. ხვა დროს ერთ-ორ სიტყვას მაინც ეტყოდა ქალებს, ახლა ხმა არავისთვის არ გაუცია და არც არავისთვის შეუხედავს. ყველაზე ადრე წამოვიდა. გზაშიაც ხმა არ ამოიღო და მხლებელ გოგოსაც კი არა-

ფერი უთხრა. მოვიდა თუ არა, მაშინათვე ლოგინში ჩაწვა და რამ-დენსამე ხნის შემდეგ თვალების ბრიალი და არეული ლაპარაკი დაიწყო. გოგო მაშინათვე მოჯამაგირესთან გაიქცა, რომელიც ის ყოფ წასვლას აპირებდა და წამდაუწუმ კნეინას ანგარიშის გასწორებას თხოვდა. მოჯამაგირე მეზობლებისაკენ გაფრინდა და რამ-დენსამე ხნის შემდეგ მოგროვდა ქალი და კაცი.

კნეინა იწვა დარბაზში, რომლის ერთ კუთხეში დაგებული იყო ლეღლის* ბუმბული. ავადმყოფი საშინლად მოუსვენრობდა. გარ-შემო მდგომნი ხელს აწვდიდნენ, ეკითხებოდნენ, ანუგეშებდნენ, მაგრამ ის პასუხს არავის აძლევდა. ამ დღიდან დაწყებული კნეი-ნის არც უსვამს, არც უჭამია და არც არავისთვის არაფერი უთქვამს. ხან ჩუმად იწვა, ხან წამოვარდებოდა და ბოდავდა. მე-ზობლები და ნათესავები აღარა შორდებოდნენ. ამნაირად გაატა-ნა კნეინამ რამდენიმე დღე. ერთ საღამოს, თითქო რაღაცა მოა-გონდაო, ლოგინზე წამოჯდა და იატაკს გაუშტერა თვალები.

— ბაა, გენაცვა, ქალბატონო? — დაეკითხა ახლო მდგომი ნე-ზობლის ცოლი. კნეინამ იმისკენ მიიხედა, იმასაც თვალი გაუშ-ტენა და მერე ისევ აარიდა თვალები.

— უ! უ!... — კრიჭაშეკრულმა დაილაპარაკა კნეინა ბაკამ, — დაი...ჭი...რეთ. არ გა...უ...შვათ...ა...ა...

— არაფერი, შენი ჭირიმე! — ეალერსებოდნენ ქალები, მაგრამ ის ყრავის ყურადღებას არ აქცევდა. ამნაირად გაატარა მთელი ღამე. ხან წამოვარდებოდა, თვალებს სხვადასხვა საგანს უშტერებ-და, ხან არეულ ლაპარაკს დაიწყებდა, ხან ფეხზე წამოდგომას და გაქცევასაც დაუპირებდა. გათენებისას ავადმყოფმა ცოტაოდ-ნად მოისვენა. — ყველას იმედი მიეცა და დაღალვისა გამო აქეთ-იქით მიწვნენ. შუა აპრილი იყო და ამიტომ ბევრს გარეთ ეძინა. დილით კნეინა ცოცხალი აღარ დახვდათ. საწყალი იმ ღამეს გარ-დაცვლილიყო. რასაკვირველია, იტირეს მეზობლებმა და ნათესა-ვებმა, თუმცა კანონიერი ტირილი არა ყოფილა, ჩვეულების მსგავ-სად. გაგზავნეს კაცი აქეთ-იქით ბუხუს საძებნელად, მაგრამ ვერა-ვითარი ამბავი ვერ შეიტყეს; მხოლოდ ერთ მგზავრს ეთქვა, რომ ზუგდიდში ამბობდნენ, ვითომ ბუხუ და კაენა წებელდისკენ გა-ემგზავრნენო. ყოველივე ქონება ჯერჯერობით ხელუხლებელი იყო. ქონებას მცველად დროებით ერთი სინიდისიერი კეთილშობილი

* ღეღლი—რბილი ბურტყლი.

კაცი დაუყენეს და დაავალეს, რომ შეძლებისდაგვარად ჯეროვანი ყურადღება მიექცია ყოველ უძრავ-მოძრავისთვის.

კნეინის დასაფლავების მეორე თვეს ბუხუ და კაჟნა დაბრუნდნენ თავიანთი მგზავრობიდან, თითქმის ხელცარიელები. თავადიშვილი, რომელიც დაპირდა დიდ საშოვარს, სამხედრო უფროსს დაეჭირა და დაეპატიმრებინა. რა უნდა ექნათ? ამდგარიყვნენ და ხელცარიელები ისევ უკან წამოსულიყვნენ. გზაზე კი გასტეხეს მაინც ორიოდე დუქანი, მოიპარეს რამდენიმე ცხენი, მაგრამ სამსამ მანეთზე ზევით არავინ მისცა იმ ცხენებში.

— დაწყევლა ღმერთმა, ეს მოგზაურობა ცუდი შეგვექნა! — ნაღვლიანად ამბობდა კაჟნა, როცა ენგურს მოატანეს.

— რა ვუყოთ, მოსავალია! — მიუგო ბუხუმ. — სამაგიეროთ, იმერეთისაკენ რომ წავალთ, მოვიგებთ.

— როცა იქნება მოვიგებთ, მაგრამ ამ მოკლე დროში კი საქმე ცუდად გვქავს. იცი? ყოველდღე ჩვენზე სანაჩალნიკოში ათზე მეტი თხოვნა შედის თურმე. ბედი, რომ ნაჩალიკი ცოტა სხვანაირად გვიყურებს.

— გვიყურებს კი არა, მისი თავი არ მომიკვდება! — ალმურმოკიდებით მიუგო ბუხუმ. — იმას ჩვენგან სიკვდილისა არ ეშინოდეს, ჩვენი პატივისცემა ბევრი ხანია დავიწყებული აქვს. პატივისცემის მიზეზით?.. ამდენ ხანს, ჩვენ რომ ცუდი ჩაგვიდენია, ხუთჯერ დაგვკარგავდა კატორღაში.

— არა! არ იფიქრო, ბუხუ! არ შეიძლება დედიშენის პატივისცემა დაივიწყოს.

ბუხუ ამის თქმაზე გაწითლდა, გული აუკანკალდა და კინაღამ თვალებიდან ცრემლები არ წამოუვიდა. უცბად გული მოუვიდა, მერე ისევ ლმობიერი სახე შეექნა. კაჟნამ შეატყო ეს ცვლილება და ხმა გაკმინდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ბუხუმ შემოკრა ცხენს მათრახი, დაკრიფა აღვირი და დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— უჰ! რა ხანია შინ არა ვყოფილვარ; ნეტავ თუ მშვიდობაა.

— რა ეჭირვებათ? — მიუგო კაჟნამ, ცოტა არ იყოს, მხიარულად. შინაურების ამბების ლაპარაკი ბუხუს არ უყვარდა, თუმცა სულ დედა აგონდებოდა და გულში წუხდა მისთვის. კაჟნა კი, რაკი მაკასთან შემომწყრალი იყო, მის ამბის ჩამოგდებას ძალიან უფრთხოდა.

შუადღე იყო. ბიძაშვილები მიდიოდნენ ვიწრო გზითა და ბილიკ-ბილიკ, რადგან ფართო გზაზე გამოსვლისა ეშინოდათ. უფრო ტყე-ტყე რჩეობდნენ სიარულს. კარგა ხნის სიარულის შემდეგ

ომათაცა და ცხენებსაც შიმშილი და დაღლილობა დაეტყოთ, ამიტომ ერთი მუხის ძირას ჩამოსხდნენ. ცხენებს აღვირი წახსნეს პირიდან და საბალახოდ გაუშვეს. თვითონ კი ჩრდილში წამოწვნენ.

— ცხენებს კი უშოვეთ ცოტა რამ, მაგრამ ჩვენ რაღაი, — ნაღვლიანად თქვა ბუხუმ.

— მოითმინე, აქ ახლოს თაფლი ვიცი, — მიუგო კაუნამ.

მართლაც, ნახევარ საათის განმავლობაში კაუნამ მშვენიერი ფარაჯები* მოიტანა. ჩვენი მგზავრები მადიანად მიაძღნენ, მერე ძილი მოუნდათ და ორივემ იქვე ჩრდილში ხვრინვა ამოუშვეს.

ბუხუს საზოგადოდ პირალმა უყვარდა წოლა და ამიტომ სწორი და მწვანე ბალახით აბიბინებული ადგილი ამოირჩია. კაუნამ ნაბადი დაკეცა, მუხის ერთ ამოწეულ ფესვზე დასდო და ცალ გვერდზე დაწვა. ბუხუსაც ჰქონდა ნაბადი, მაგრამ არ გახსნა. თავქვეშ მხოლოდ დაკეცილი ყაბალახი დაიდო. ტანთ არც ერთს არ გაუხდია, თუმცა ცხელოდა, არც იარაღი აუხსნიათ, მხოლოდ ბუხუმ დამბაჩა ამოიღო ქამრიდან, რადგან პირალმა წოლის დროს შეაწუხებდა. მუხას ჩრდილი საკმაო ჰქონდა. მუხის გარშემო კი რამდენსამე საჟენის სიახლოვეზე არც ერთი ხე არ იდგა. ცა მოწმენდილი იყო, მხოლოდ სვანეთის მთის წვერზე, რომელიც აქედან საუცხოოდ ჩანდა, ერთი ბეწო, თანდათან გამომქრალი ლურჯი ღრუბელი დარჩენილიყო. მზემ თითქო იდროვა, უღრუბლოოა და ცაშინლად დაუწყო წვა ქვეყანას. ყველა ფრინველი მიჩუმებულიყო. თითქო ყველას მაგიერობის გაწევა უნდაო, კალია დაუღალავად ჭრიალებდა და არემარეს აყრუებდა. მზე თანდათან გადაიწია დასავლეთისაკენ და მოეფარა მუხას. ჩრდილმა იმატა, ხოლო მძინარე მგზავრებს მზემ დაუწყო ცხუნება. ბევრნაირად ეთამაშა ტზე, მაგრამ ძალზე დაღლილნი მაინც ვერ გააღვიძა. ძინავს პირალმა ბუხუს, თვალები დაუხუჭავს, სახე შესცვლია და მშვიდობიანად ხვრინავს. ისე შეხედვით თითქო არაფერი არ აწუხებს, მაგრამ მისი სულიერი არსება კი ამ დროს ათასნაირად ღელავს. პირალმა მწოლ ბუხუს ცოტ-ცოტათი დაავიწყდა ცხადი საგნები და ოცნებები. ჯერ მხედველობა დაეკარგა, მოეფარა თვალთაგან მუხა, დანარჩენი ხეები, მოწმენდილი ცა და სხვა. შემდეგ შმუშვნა დაიწყო, მერე ამასაც თავი დაანება. ტანს არ არხევდა, თვალით არაფერს ხედავდა, მაგრამ ყურში მაინც რაღაც არეული შუილი

* ფარაჯები—ფიჩეები.

ჩაესმოდა. ბოლოს ბუხუ გუნებიერ ძილში ჩავარდა. სიზმრები ჰ-ინც თავს არ ანებებდა. აი ვითომ სულ სხვა ადგილას არის, თვალებახილული, ჩაცმული. ბუხუმ ნახა, ვითომ შეკაზმული ცხენით მიუახლოვდა თავის ეზოს. ეზოში მთლად სიმინდი დაეთესათ დ-გიშერივით შავი სამარგლავი სიმინდი სიოს სისინისაგან მშვენივრად ბიბინებდა. სახლის სახურავი მთლად დაძველებულიყო. რომ ყავარზე მწვანე ხავსი ამოსულიყო. სახლის ერთ გვერდი-მშვენიერი ბოსტანი იყო. რომელშიაც მაკა შავებჩაცმული, შემკრთალი და გამხდარი მწვანილს თოხით მარგლავდა. იმავე დროს სახლის მეორე მხარეს თითქო ქუთაისის ქალაქი იყო და ერთი ქუჩის თავში მოჩანდა სწორედ ის სახლი, სადაც ბუხუ იდგ-ქუთაისში ყოფნის დროს. აი იქვე იმ სახლიდან რამდენიმე საჟენის მანძილზე მოზრდილი შენობა, რომელზედაც ეწერა მსხვილის ასოებით „Окружной суд“. აი ის დუქანიც, სადაც ბუხუს რამდენჯერმე უყიდნია ქაღალდი, ხილი და სხვ. გაარჩია აგრეთვ; ქუჩის იქით თავზე ვეებერთელა საყდარი, რომლის ახლო იდგ-ერთი ნაბდიანი ცხენოსანი, მისკენ მომავალი.

„ეს რა ამბავია? — იფიქრა ბუხუმ, — ეს რა ამბავია, ედ-ჩემი რომ თავის ხელით თოხნის, განა ბიჭები არ არიან? ან რ-გორ გამხდარა! ეს სულ ჩემი ბრალია, თითქო უჯავრდებიო, ან-უყურებ. ის კი არ იცის, რომ იმის გულისთვის ახლავე თავს მ-ვიკლავ, თუ საჭიროება მოითხოვს“.

ახლა შეხედა ქუთაისს, მაგრამ არ გაკვირვებია თავის სახლთან ქუთაისი, მხოლოდ გაუხარდა თავისი ძველი ბინისა და ნაცნობ არემარის დანახვა. ქალაქი თითქო ისევ გაჰქრა და მის მაგივრად ფართო მინდორი გამოჩნდა, რომლის ბოლო სქელი ნისლით დაიბურა. ამ ნისლში ოდნავ მოჩანდა ის ცხენოსანი, რომელიც უწინ ქუჩის თავზე გაარჩია. ნისლი თანდათან მატულობდა და მინდორი კი კლებულობდა. ბუხუს ეს არ ეეაშნიკა. „ვაითუ ნისლმ-ამატოს და დედა დამალოსო“. მოუჭირა ცხენს ბაყვები, დაამოკლ-ალვირი და მოუქნია მათრახი; ცხენი თითქო ცდილობდა გავლას, მაგრამ ნაბიჯი წინ ვერ წარდგა. ბუხუს გული შეუწუხდა, თითქო მთელ სხეულში გახურებული რკინის მავთული გაუყარესო, ისე დაეწვა ტანი, ხელმეორედ სინჯა წინ წასვლა, მაგრამ ამაოდ. ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში კნეინა მაკამაც მოიხედა. ჯერ თითქ-პირი აარიდა, მერე უცბად ისევ მისკენ მოიხედა. თმა გაწეწილმ, გაყვითლებულმა, ნახევრობით კბილებჩაცვენილმა, რაიც ერთობ საშიშს სახეს აძლევდა, თოხი დააგდო, მაღლა აიწია, თითქო რამ-

ღენსამე საკენით დედამიწას მოშორდაო, ხელები გაშალა და ბუ-ბუსაკენ წავიდა ყვირილით:

— მამაშენი, შვილო ბუხუ! მამაშენი, აი, აი, შეხედე! — თან თავს ატრიალებდა და თან უთითებდა იმ ცხენოსანზე, რომელიც ახლს უკვე დაახლოვებოდა. ამ დროს ნისლი უცბად ცეცხლი-ლად გადაიქცა და მთლად მოედო მინდორს, მიაწია მაკამდის. განთლდა მის გარშემო ჰაერიც და იმისი შავი ტანისამოსიც. ი-ერთი წუთიც და მაკაც ცეცხლში ჩავარდება. ბუხუს სული შეუ-ტკბებდა. „ნუთუ დედა იწვის და ვერ უნდა მივეშველოვო!“ ფიქრა მან. ძალზე მოუქნია ცხენს მათრახი, გადაიწია უნაგირი-დან. დაუზრიალა ტანმა და თვალებიც გაახილა.

რამდენსამე წუთს თვალებგახელილი უძრავად იწვა. მთელ-ი ტანს ცახცახი გაჰქონდა და აურაცხელი სევდა და ნაღველი მოსწოლოდა გულზე. ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რა მდგომა-რეობაში იყო. ნუთუ მეძინაო, დაეკითხა თავს და თავისი აწმყო მდგომარეობის თითო-თითოდ გამოკვლევას შეუდგა. „სადა ვარ? ეჰ, მუხის ძირს მოვისვენეთ მე და კაენამ. ფუი ეშმაკს!“ — პირ-ველის წერით წაიბუტბუტა და ზეზე წამოდგა, თვალები მოიწმინ-და, დაამთქნარა, წელზე გადაიწია, დამბაჩა ქამარში ჩაირჭო და ექით-იქით გაიხედა. მზე დასავლეთს მიახლოვებოდა. ქვეყანას რა-ღაც მოწყენილი სახე დასდებოდა. ზღვიდან ნელი სიო მოჰქროდა. გაიხედა, კაენას ნაბადი დაკეცილი იდო, თვითონ კი ცხენებითურთ-ერა ჩანდა. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა კაენაც ცხენებიანად.

— ამ მგლის გასატყავებლებმა ეს რა შემოიღეს?! — გაჯავრე-ბით მოლაპარაკობდა კაენა.

— საით წასულან, კაცო? — დაუძახა ბუხუმ.

— ამათი გატყავება! წასულიყვნენ ტყეში აი ამ ბილიკით.

— ბედი კიდევ, რომ შორს არ წავიდნენ.

— იმდენი ხანი არ დამიცალებია, ჩქარა გამომელვიძა. შე კაცო, რამ მოგაწყინა? — ათვალიერებით დაეკითხა კაენა. — ნამძინარევი ვ ბარ, მაგრამ მაინც... რა კარგად გეძინა, მე რომ ავდექი. ძილში ცხენის ჭიხვინი მომესმა და გამომელვიძა. გავიხედე, ცხენები არ ეყვნენ. ჰაიპაჩი! გამოვედევნე. ცოტა ხანი რომ დამგვიანებოდა, ენგურს მიუახლოვდებოდნენ. მართლა, რამ მოგაწყინა? — ჰკითხა კვლავ და შიგ თვალებში ყურება დაუწყო.

— ეჰ! დასწყევლა ღმერთმა! ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე, რომ ჯერე კიდევ არ მოვსულვარ გონს, — ნაღვლიანად მიუგო ბუბუმ და თითო-თითოდ უამბო ყოველივე.

— კარგზე, სიკეთეზე ანიშნოს ღმერთმა! — მიუგო კაენამ და ცოტა დაფიქრდა. მერე ცხენები შეკაზმეს და ისევ ტყე-ტყე დაადგნენ გზას.

— ამაღამ ჩემი ნათლიდედასთან გავიაროთ და საჭმელი გავაკეთებინოთ, თორემ მეტი არა ვარ, — თქვა კაენამ, როცა კარგა ნანძილი გაიარეს.

— მე კი ვერ წამოვალ, მეშინია, ვინ იცის, ვის არ შევხვდებადა შენ კი, როგორც მოყვარე, უფრო თამამად მიხვალ და კარგს იზამ, თუ ჩემთვისაც წამოიღებ საჭმელს. მე იმ ცაცხვთან მოგიცდი, — მიუთითა გორაკის წვერზე, სადაც ლამაზი ხშირტოტიანი ცაცხვი იდგა. კაენა გამოემშვიდობა ბუხუს და გასწია მოყვრის სახლისაკენ.

ბუხუ ჯერ ცხენიდან ჩამოხდა დაფიქრებული. პაპიროსი გააკეთა, ტალკვესით ცეცხლი გააჩაღა, პაპიროსს მოუკიდა, ისევ ცხენზე შეჯდა და გასწია ცაცხვისაკენ.

„ნეტავ ვიცოდე, შინ რა ამბავია? — ფიქრობდა ბუხუ. — სულ ჩემი ბრალია ყველაფერი. დედას ჰგონია, ვითომ მე ის მძულდეს, ან როგორ არ ეგონება, აგერ სამი წელიწადია, ხეირიანად ხმაც არ გამიცია. მინდა დაველაპარაკო, ბოდიში მოვითხოვო. მაგრამ ისევ რაღაც ძალა ნებას არ მაძლევს, დედა ვერ შესძლებს ჩემ გულს ჩახედოს, თორემ... ნწ! ჩემი ბრალია, ჩემი, მე ვარ დამნაშავე“.

XI

გორაკზე, სადაც იდგა დიდი ცაცხვი, ძველისძველად თურმე ეკლესია ყოფილიყო, მაგრამ ყამთა ვითარებისაგან მბოლოდ საძირკველის ნანგრევის მეტი არაფერი მოიძებნებოდა. ძველი, კირით გათხუპნილი თლილი ქვები და ზედ გამოჩუქურთმებული ჯვრები ამტკიცებდა, რომ ამ დაბურულ ტყეშიაც ოდესმე სდუღდა სიცოცხლე, რომ აქ ოდესმე ცისა და ქვეყნის შუამავალნი გამჩენს ევედრებოდნენ და წრფელი გულით შესთხოვდნენ ჯვარცმულს ერის ცოდვის მიტევებას. ახლა რაღა იყო აქ? დახავსებული ქვები, ჯაგები და ტყე. მხოლოდ ის ერთი ვეებერთელა კარავივით გაშლილი ცაცხვიღა იყო ძველი დროების მოწმე; ამ ცაცხვს, ან ამ დახავსებულ ქვებს რომ ენა ჰქონდეთ, ვინ იცის, რამდენი რამ მოგვითხრონ საგულისხმიერო ჩვენთა ძველთა შესახები. ვინ იცის, იქნება. ეს ტრამლად ქმნილი არემარე ოდესმე მრავლად შე-

მოიკრებდა ხოლმე გარშემო დასახლებულ მკვიდრთ სალოცავად და ქრისტიანობისა და ქვეყნის მტერთან თავგანწირული ბრძოლისათვის. შესაძლოა, რომ ვიდრე ეს ტაძარი ასე უწყალოდ დაინგრეოდა მტრის ხელით, მამულისათვის თავგანწირულნი გაშმაგებით იბრძოდნენ, დასდეს თავი მტრის ვერ მძლეველთა და თვალნიც თვისნი აქ მიაბარეს შავს მიწას. განვლო დრომ და აღარავის ახსოვს, რომ შესაძლოა ეს ადგილი მოწიწებით მოსაგონი ჩვენთვის და იქნება ერთიანად პატივსაცემი და ძვირფასი, ვიდრე იყო მაშინ, როცა ისევ ხელუხლები იდგა აქ ეკლესია. ახლა ამისთანა ფიქრი აზრად აღარავის მოსდის.

ეი ჩვენი ცხენოსანი ბუხუც უახლოვდება ამ ნანგრევს, ძაგრამ მისი გონება ამჟამად სულ სხვასა ფიქრობს. იმის თვალწინ მარტო დიდი ცაცხვი დგას. არც კი იცის, რომ ის ნაეკლესიარი ადგილია. ან სადა აქვს დრო ნანგრევი ათვალიეროს? მისი გული ათასნაირად ღელავს. ცალკე დღევანდელი სიზმარი აწუხებს, ცალკე თავისი ცხოვრება და არზები, რომელიც მის ავკაცობის გამო მრავლად მისდის მთავრობას. ეს ფიქრები ერთიმეორეს აცვლის და ონავარი ფუტკარივით ესევა მის ტვინს.

ბუხუ ავიდა მაღლობზე, მაგრამ პირდაპირ ცაცხვამდე ცხენით ასვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩამოხდა ცხენიდან, აღვირი ხელში დაიჭირა, გაუძღვა წინ ფრთხილად და ისე ავიდა ბილიკ-ბილიკ.

— ეჰ! რა კარგი ადგილი ყოფილა აქა! — წაიბუტბუტა ბუხუმ, როცა დაათვალიერა იქაურობა. ცაცხვის გარშემო რამდენიმე საჟენის მანძილზე ხელისგულივით სწორი ადგილი გადაეშალა თვალწინ, რომელიც შემოზღუდული იყო ჯაგებითა და სხვადასხვა ყვავილ-ბალახით. ცაცხვი შუა ადგილას იდგა. აღმოსავლეთით, თითქმის ზედ ფერდობის კიდესთან, ჩანდა თვით ნანგრევის საძირკველი და აქეთ-იქით ქვა ეყარა. ბუხუმ ცხენი ერთ ჩირგვზე მიაბა, უნაგირი მოხსნა და ცაცხვის ძირში დასდო. მერე ცხენს აღვირი ფეხებზე მოაბა და გაუშვა საბალახოდ, თვითონ კი თავი უნაგირზე მისდო და მოისვენა ფიქრებში გართულმა.

„რისთვის ვცხოვრობ ახლა მე, რომ კაცმა მკითხოს? — ამბობდა გულში. — რა მჭირდა გადასაკარგავი? განა მამაჩემს არ ჰქონდა საკმაო მიწა, მამული, რომ თავისუფლად მეცხოვრა, გემრიელი და ალალი ლუკმა მეჭამა? ან რად არ ვისწავლე? რა კარგად ვცხოვრობდი ქუთაისში! ან რა ბედნიერი ვიყავ! დღესაც დამესიზმრა ქუთაისი, სულ ერთად ვხედავდი ყველაფერს. მამაჩემიც

ოქ იყო ვითომ ნაბადწამოსხმული. მამაჩემი, ამბობენ, კაი ვაჟკაცი იყო. დედაჩემი თავის ხელით თოხნიდა. ეს რაღაც უბედურების ნიშანია. მერე ცეცხლი გაჩნდა. ფუი ეშმაკს!“ — ბუხუმ პირჯვარი გადაიწერა. სახლ-კარის გახსენებამ ნათესავები მოაგონა, ძიძა, მორდუ.

„საწყალი ჩემი ძიძა და მორდუ! სადაც კი მნახავენ (თუმცა ძლიერ იშვიათად), ჩემი ჭკუის სწავლებაში არიან და თანაც თავს მევლებიან. მართლა, იმათ რა რიგად სწყენიათ ჩემი ასე სიარული და წოწიალი სოფელ-სოფელ! სწორედ მართალი იყო, როცა მითხრა: შვილო, დედას ნუ აწყენინებ, ოჯახში მოდექი. მიწა-წყალი ბლომად გაქვს და ბატონურად იცხოვრეო. მე კი შენი არაფერი მინდა, გენაცვალეო. ჩემი ბედნიერება ის იქნება, რომ შენ კარგად იქნები, მტრების სასაცილოდ არ დავარდებიო. სწორედ, სწორედ, წრფელი გულით მეუბნებოდა იმას საწყალი ჩემი მორდუ. რა მივეცით ჩვენ იმას? ერთი ცხენი, ერთი ძროხა და რაღაცეები პიჭე-პაჭე. თავის დღეში კი არ უთხოვნია, ან ეს მონეცით, ან ესაო. ჩემმა მეზობელმა სპირიდონმა შვილი რომ გააზრდევინა ვილაც ოხანტელ გლეხს, ყოველდღე მორდუ კარებში ბუზს ან უყენებდა: აი ეს მაკლია, აი ისაო. სპირიდონი ყოველსფერს აძლევდა თხოვნისამებრ, მაგრამ მორდუ მაინც კმაყოფილი არ იყო და ამ უკმაყოფილებაში წაიჩხუბნენ კიდეც. მართლა, მართალი ყაცია ჩემი მორდუ“.

ძიძა-მორდუს ფიქრს თავი დაანება ბუხუმ და ისევ თავის დედის ფიქრს მიეცა. საშინლად აწუხებდა დღევანდელი სიზმარი. ყოველ მის გახსენებაზე ტანში ერუანტელი უვლიდა. ამასობაში ზეზეც ჩავიდა და ქვეყანას სიბნელე ეპარებოდა. ჩრდილოეთიდან შავი ზღვის პირებს ვიწრო ზოლად ჯერ კიდევ შერჩენოდა ოქროს ფერი, მოციმციმე სინათლე. განუზომელი ცა ვარსკვლავებით ჭოიჭედა. სიო ტყეს ნელ-ნელა უბერავდა და ისიც თითქო ზმაურობდა, თითქო სამძიმარს ბუტბუტებდა. ნანგრევს ახლოს ბუმ, თითქო დრო იპოვაო, თავისებური კივილი მორთო და აურაცხელმა ღამურებმა ფრთხიალი დაიწყეს გუნდ-გუნდად. ბუხუ ზეზე წამოდგა, თვალები მოიწმინდა. გარშემო სიბნელე ეხვია; არჩევდა მხოლოდ თეთრ-თეთრ ქვებს და ხეებს.

— ფთ, ფთ! — დაუძახა ბუხუმ ცხენს.

— ხეჰჰჰ! — დაიხვიხვინა ცხენმა.

„ოოჰ, აქა ყოფილხარ? როგორ იქნება მისი გაქცევა, — განაგრძო გულში თავისი ლაპარაკი. — არ გამიკვირდა! დღეს ტონ

ქაენამ თქვა, ცხენები გაქცეულიყვნენო, საშიშია, არსად წავიდეს ესეც“.

— ფთ, ფთ! — გაისმა კიდევ ბუხუს ხმა. ცხენმა კვლავ პა-ხუხი მისცა და პატრონისაკენ წამოვიდა ნელ-ნელა. პატრონიც მი-ეგება, გავაზე ხელი გადაუსვა, შუარჯვალზე ერთი-ორჯერ ხელი წაუცაცუნა და ისევ საბალახოდ წასვლა ანიშნა. ცხენი, თითქო მე-ტყველიაო, ფიცხლავ დამორჩილდა პატრონის ბრძანებას. ბუხუმ ხაპიროსს მოუკიდა და ერთ ადგილს გაჩერდა.

„კარგი იყო შინ ცხოვრება, — დაიწყო ისევ მან ფიქრი, — ბაჯრამ ეს ჩემი ახლანდელი ცხოვრებაც იზიდავს კაცს. საკვირველია, სხვის სახლს ეპარები! ზოგიერთ ადგილს ბუთი-ექვსი ბოქ-ლომი უნდა გასტეხო. ძაღლი ცალკე გდარაჯობს, კაცი ცალკე, ხე იფიქრე, ქორის გასაწყვეტი ქათმებიც. ერთი ტკრცალი შეუ-დგებათ, თუ კაცის ფეხის ხმა მოესმათ. ამას ყველას უნდა ასცდე-ბოეპარო. და შენი საქმე გააკეთო. ერთხელ გადარჩები, გაგეპარ-ება, მეორედ მოგინდება ამნაირად თავის გამოცდა. თუ დაგი-ჭირეს, ფიქრობ, ვაი ჩემს თავს. თუ გამოძვერი, აქაც ამბობ, მოდი ესცადო კიდევაო და ამ იმედით გატაცებული ვეღარ ისვენებ დ-ხცდები. გეშინია ცუდკაცობისა და ამ შიშში პოულობ კმაყოფ-ლებას. მერე კიდევ ეს კაენა თავგადადებულია ჩემთვის, თავის თავს მე დამაკლავს. კინაღამ მამაჩემისთვის დაუკვლია თავი. რო-ორც ამბობს. მოდი ახლა და გაუტეხე ხათრი. სწორედ კი რომ ვთქვა, რა მოგებაა ჩვენს ამგვარ ცხოვრებაში! ამდენს ვწვალობ და თუმანი არ არის მოგროვებული ჩვენ ჯიბაში. ეს მანეთს ეშოვ-ი, ორასი ზედ უნდა დახარჯო. თავი და თავი ის არის, რომ ერთ-ბელ დავჩვეულვართ და ვერ გადავჩვეულვართ. ძალიან ცდაში ვ-არის მთავრობა, რომ დაგვიჭიროს. მაგ...“

ამ დროს გაისმა ხმა: — ვო, ბუხუ, უი!

— ჰა უი, ივაზე ვარა! არეხ ვაი! — მარჯვედ მიუგო ბუხუმ.

— რა ცუდი გზა ყოფილა, შენი ჭირიმე! — განიმეორა ჰიტ-ველმა. ეს იყო კაენა. სიბნელისა გამო ქვიან და დაკლაკნილ ვიწ-ro ბილიკებს ვერ არჩევდა, თუმცა ცხენიდან ჩამომხდარიყო. ბუხუ მიეგება, აჩვენა გზა და ამოიყვანა კაენა.

— რა ამბავი, კაენა? — მოსვლის უმალ ჰკითხა ცნობისმოყვა-რეობით ბუხუმ.

— მშვიდობა, შენი ჭირიმე! — მიუგო კაენამ, თუმცა ჩქარ-და მხიარულად, მაგრამ ძალდატანებით, რაიც ბუხუს შეუმჩნ-ველი არ დარჩა.

— რაა, კაცო, როგორ ეკვიანად ლაპარაკობ? ცუდი ამბავი ხომ არაფერი გაგიგია. სახლის ამბავი რა ეცოდინებოდათ?

— არაფერი, მშვიდობაა!

— არა, შენ რაღაც იცი და თუ გიყვარდე, მითხარი.

— არაფერი, ბუხუ არ მოკვდეს, იმისი მეტი, რომ ჩემს ნათლიდედას დაი მოკვდომია და იმან მომაწყინა.

— დაი! უჰ! საწყალი, რით? როდის? ჭალადიდელ კაცს რომ ყავდა, ის? იქაური მძიმე ჰაერი კი მოკლავდა.

— ის, ის, ჰო, — მოკლედ დაუმატა კაენამ.

„მადლობა ღმერთს, შინ თუ მშვიდობით ყოფილან“, — იფიქრა ბუხუმ, უნდოდა ერთი კიდევ ეკითხა რამე. სიტყვა სათქმელად ენაზე უტრიალებდა და ვერ კი ბედავდა. რაღაც უცნაური ძალა ეჭერებდა. ამასობაში ცხენი საბალახოდ გაუშვა, ცეცხლი გააჩაღა და ორივენი გარშემო შემოუსხდნენ. კაენამ გახსნა ხელსახოცი, ამოიღო შემწვარი ქათამი, ღომი, ტიკჭორით ღვინო და ბუხუს ჩასთავაზა.

— შენც ჭამე, კაენა, თუ ძმა ხარ!

— მე, ხომ იცი, დღეს გავიგე სიკვდილის ამბავი და დღესვე სინიდისი ნებას არ მომცემს ვჭამო. ჩვეულებაა მაინც. ჩვეულებაჯულთ უმტკიცესიაო! ხომ გაგიგონია?

— ნება შენია. მეც არ ვჭამდი, მაგრამ, რა ვქნა, სამარხო არაფერი გვაქვს, მშია კიდეც ძლიერ. თაფლმა მომამშია.

— ჭამე, ღმერთმა შეგარგოს! — უპასუხა კაენამ, პაპიროსს ამოუკიდა, უნაგირზე თავი მისდო და ცეცხლაპირას წამოწვა. ბუხუ მადიანად შეექცეოდა ქათამს. ძვალს ძვალზე მტკვრიალ-მტკვრიალი გაჰქონდა.

— აჰა, კაცო, ეს ღვინო მაინც მიირთვი! — მიაწოდა ბუხუ ტიკჭორის რიკი კაენას.

— მადლობელი ვარ, იცოცხლე, გაბედნიეროს ღმერთმა!

ღვინის დალევის შემდეგ კაენა ისევ წამოწვა. „საკვირველია,— ფიქრობდა ბუხუ. — ნათლიდედის დის სიკვდილმა ეს კაცი ასე როგორ დააღონა“. უნდოდა კიდევ ეკითხა კარგად ამბავი, სხვა უარესობა ხომ არა მომხდარა რაო, მაგრამ შიმშილი და ქათმის ბორცის გემო ნებას არ აძლევდა.

კაენასაც თავის მხრივ ბევრი საფიქრებელი ჰქონდა. „როგორ ვქნა, როგორ ვუთხრა? — ფიქრობდა გულში. — მოითმინოს, ჯერ ჭამოს პური. უბედური მაკა! ჩემზედაც მწყრალად იყო. მეც არ მინდა, მე და ბუხუ ასე დავდიოდეთ, მაგრამ რა ვქნათ. ვერ მოვის-

ვენებთ. ვაითუ რომ ვეთხრა, ძლიერ ეწყინოს. რასაკვირველია. ეწყინება. დედა იყო. ფუ! რა არის კაცი? განსვენებული ალმასხანი მის შერთვაზე რამდენს ეწვალა! ბარე ხუთჯერ მაშამეს ხმლის ჯემო მაგის გამოისობით აფხაზებმა, როგორ გაგვიბედა აგრვან, ქალი მოგვტაცაო; იმას კი არ ხედავდა მამაცხონებული მისი პატრონი, წასაქცევი ფაცხები რომ ედგა და ყოველდღე სხვის სამზარეულოსაკენ ჰქონდა თვალი. მერე რა ვიქეიფეთ, როცა ბალიბი და ალმასხანი შერიგდნენ. სად წავიდა, რა იქნა უბედური ალმასხანი? შავს მიწაში ჩავმარხეთ ჩუმად, უარარაოდ. ხალიბიც წავიდა ამ ქვეყნით, მაკაც, თავადიშვილები ვართო, ვიძახით. არაფერი არა ვართ. როგორ დაიქცა ის დიდი ოჯახი! ჩვენ აგერ ტყეტყე დავდივართ. რა დღეს, რა ხვალ! დაგვიჭერენ და ის იქნება. ჰა ბა, ჰა! მაგრამ სანამ ეს მაზრის უფროსია, ბევრს არაფერს გაეიჭირებთ. ბევრი პატივი გვიცია მისთვის. თუკი ახალი ვინმე მოვიდა და ისიც უბედური ხასიათის კაცი, მაშინ ნახე? არც მაშინ დავანებებთ თავს ასე ახირებულად. ერთ დღეს დაიბადება კაცი და ერთ დღეს მოკვდება. თუ ბუხუ ამ მწუხარებას მშვიდობით გადაურჩა და არ მიღალატა, მინდა ხელში ვიგდო ზოგიერთი ცხენი, რომელთა მოხმარებაც გემოზე პატრონებს არა ცოდნიათ; დღედაღამ აშმევენ და ბანენ, ცხენები ლამის გასქდნენ ქონისაგან, სარჯელი კი არაფერი აქვთ. აქ ვიგდო ხელში! ორი დღის განმავლობაში ისე ავაქაფო, რომ წურბელივით იგრიხებოდეს, ფულიც დაგვჭირდება ცოტა. ცოტა კი არა, თუ ბლომადაც ვიშოვნეთ, უკეთესია. ცხაკუნია ურიის შვილს აქვს ბევრი ფულებიო, ამბობენ, უბედურს თურმე ფული უშოვნია და ჭამა ვერ მოუხერხებია, შნო არ ჰქონია ფულების ჭამისა და ის არის! დადის სოფელ-სოფელ, დააქვს ფართალი. კვერცხების და მჭადის მეტს ჩვენსას არაფერს ჭამს. გემო მაინც რამ დაუკარგა სახლ-კარ ამოკეტილს! ცხრაფრად დამტვრეული კეხი უდგია ერთ წოლია ცხენზე. აბჟანდების მაგივრად დამპალი თოკი ჩამოუბია. ტანზე დაფლეთილი ტანისამოსი აცვია. ჰl რად უნდა უბედურს ფული ამ წუთისოფელში? ის რომ მოკვდება, მის ფულს ვინ შეჭამს, ვინ იცის. თუ შემხვდა ცოტა საიდუმლო ადგილას, მე ვიცი და... მერე უცა აჭარისაკენ. მდიოს უკან. რამდენიც უნდა, ბოქაულმა. თუ ჭოროხი მშვიდობით გავედით, მერე თუ გინდა ენგურმა ყარაჩისკენ იდინოს“. ამ უკანასკნელმა ფიქრმა იმდენად გაიტაცა კაენა, რომ თითქო მართლა სათათრეთში ერისო, თავი მაღლა აიღო და შავი ზღვისკენ დაიწყო ყურება.

— რას უყურებ, ბიჭო? ის ცის კიდის ახლო ვარსკვლავივით

რომ ჩანს, ფოთის მაიაკრია, — შენიშნა ბუხუმ, რომელმაც უკანასკნელი ლუკმა დალეკა და სუფრას ალაგება დაუწყო.

— მე ავალაგებ, — მოუსწრო კაენამ. ნამუსრევი მოაგროვა, ხელსახოცში გაახვია და საგზაო პატარა ხურჯინში ჩააგდო.

— უჰ! რა გემრიელად გიახელი! — გაზმორებითა თქვა ბუხუმ და ზეზე წამოდგა. — ნავრად* დასარჩენი დღევანდელი სიზმრის შენდეგ რაღაც შიში ჩამივარდა გულში, თავის დღეში არ დამმარ-თია ამისი მსგავსი.

— შიში კი არა, გულის შეღონება არ გინდა! გეშინია რა, ქალი ხომ არა ხარ! ცხად ამბებს ვერ შეეშინებიხარ და სიზმარი გაშინებს? — ბეჯითად უთხრა კაენამ და თან ანთებული მუგუზლები ფეხზე-გამოსწია. შორიდან არავინ დაგვინახოს და ეპვი არ აიღოსო.

— ბეჯითად კი არ მეშინია, მაგრამ გული რაღაც სხვანაირად ქქვს.

— კიდევ თქვა! რა სხვანაირად გაქვს? განა სიზმრებმა უნდა შეგაშინოს? ეს კი არა, ახლა სულ იმას ვფიქრობდი, მაინც ხომ დაგვსდევენ და დაგვსდევენ. ჩვენი სოფლისათვისაც, მგონია, ჩვენ ფანაგერად გზირები დაუყენებიათ, ვინიცობაა, მივიდეთ შინ, ბოლოს შეატყობინონ. ჰო, იმას ვფიქრობდი, როგორმე ვეცადოთ, ერგი ცხენები ვიშოვოთ, ორი-სამი მანეთიც სადმე და გავქუსლოთ ოთურქოში. მერე ჩვენ კუპულს ვეღარ ნახავენ.

— მერე სათურქოში თურქობა არ უნდა მივიღოთ?

— ვინ გატანს ძალას, თუ არ მიიღებ? თუ გინდ გარეგნობაც ვალო, რა უშავს. ეი, ჩემო ძმაო, მე ნამდვილი მორწმუნე ბერებზეაც ავარად ბინახავს. იმათ, თუ მეტყვი, სულ დააქციეს ქვეყანა. ბა, ნახე სადაც დიდი ეკლესიებია, ბერები ცხოვრობენ, გარეშემოხალხი გაბარია, პირმოთნე და ხასიათით გაფუჭებული არ არის? ჯერ გინდ კერკეცია აიღე, ყოველ დღე ვაი-უის ძახილია ბერებისაკენ გასაგონ, მე კაცო! ერთი კაცი მაინც ვერ მოაქციეს სჯულზე? ხომ გ-გიბერდეს, კერკეცელი კაცი წყალს არ დაგალევინებს ეგზეთ აშენებულ ეკლესიას, ცამდი მიუწვეს გუმბათი, მაგრამ ქვაა რა ქვეა აქვს? ჭკუა და სარწმუნოება კაცს უნდა ჰქონდეს. ბალბალებს ხომ თითრებს და ურჯულოს ეძახიან; ამა მიდი, სულ ეგენია, ეს კიდევ სხვა სჯულის კაცმა, როგორი პატივი გვცეს ეს გაიგეთ, ჩემო ძმაო, მარტო ხელის ქნევამ პირისახეზე, გულიდან ეშვაგის არის. ხელი თუ სულ წისქვილის ბორბალივით ატრი-

* ნავრად — იძულებულ.

ალო მთელი დღე, არაფერი გამოვა. შენ ის გგონია, რომ ჩვენ თუ ბითურქოში დავიმალოთ და გარეგნობით თათრის სკუელი მივიღოთ, ჯოჯობეთში ვიქნებით და ბრგეერთი ბერები სამოთხეში? ფიქრი ნუ გაქვს, ისინიც ჩემთან ჩამობრძანდებიან.

— ნუ, კაენა, თუ ღმერთი გრწამს, რა გალაპარაკებს ამნაირებ ბა გჯის ბერების ამბავი, ძირიანად ამოაგდოს ღმერთმა. თუკი ოჯული არ გამოგვაცვლევინეს, კარგი აზრია შენი აზრი სწორედ. მაგრამ დედა აქ დავტოვო?

— ჰე. კაცო! დედა კი არა, თავს ვერ ვშველით. მაგრამ... — შესწყვიტა ლაპარაკი კაენამ, — ჯობია მოვისვენოთ, რადგან ბევლ ადრე უნდა ავდგეთ.

მეორე დილას, რიჟრაჟის წინათ ორივენი ფეხზე იდგნენ. შეკაზმული ცხენები, ახლო ხეზე აღვირით მიბმულები, ფლოქვებს ბიწას სცემდნენ, თითქო ჩქარა აქედან წასვლას თხოვენ პატრონებსაო. კაენას სახეზე აღელვება ეტყობოდა. სახე გაუფითრდა. რამდენჯერმე დააცმაცუნა ტუჩები რაღაცას სათქმელად, მაგრამ ისევ თავი შეიმაგრა. ბუხუ შიგ თვალებში შეჰყურებდა, მიწისფერ დაედო, თითქო იმის პირისახეზე მის ფიქრებს კითხულობსო

— ეხ, ძმაო ბუხუ! — ბოლოს, როგორც იყო, გაბედა კაენამ და ცრემლები წამოუვიდა. თქმა საჭირო არ იყო. პირისახემ დაამტკიცა ყოველივე.

ბუხუ, თითქო ტყვია მოხვდაო, დაკრილ ირემივით ძირს დაეცა. კაენამ სიმხნევე არ დაკარგა, ხელი მოჰკიდა და ზეზე წამოაყენა. ბუხუმ კარგა ხანს ვერაფრის თქმა ვერ შესძლო და ვერც ატირა. ბოლოს, თითქო დაგუბებული ჰქონდაო, ისე წამოსკდა ცრემლები და პირდაღმა ბალახზე დაეშვა. მერე რეტიანივით ზეზე წამოხტა, ცწყალოდ შუბლზე ცემა დაიწყო და ქვითინი მორთო

— ოს შვრები, გენაცვალე, ვინმემ რომ გვნახოს, ხომ დავიღუპებით. მაღლობა ღმერთს, კიდევ ვაქაცურად უნდა გავუძლოთ უბედურებას.

— ნუ მეტყვი, ნუ მეტყვი ბაგას, შენი ჭირიმე. ვაი, ვაი! — ტიროდა გულანოსკვნით ბუხუ და მკერდს იმტვრევდა. რამდენსაც ბნის შემდეგ ბუხუმ უეცრად შესწყვიტა ტირილი, ცრემლები მოიწმინდა და ცხენისაკენ გაეშურა. კაენაც თან გაჰყვა, რომელიც თავჩალუნული დადგა ამხანაგის შორიახლოს და ნელ-ნელა ტიროდა ისიც.

— წავიდეთ, გენაცვალე, კაენა, — დაღონებით შესთხოვა ბუბუმ, როცა ცხენს მიუახლოვდა. — არ ყოფილა ტყუილი სიზმარი,

ცეცხლი მომეკიდა მართლა. სულ ჩემი ბრალია, რაც დამემართა. დღესვე წავიდეთ სათათრეთში. არ მინდა არაფერი. ჩემი სოფლიბ სიახლოვეს ვერ გავიარ. ოხრად დარჩეს ყველაფერი. გულით მინდა ყველაფერი გკითხო, როგორ მომხდარა უბედურება, მაგრამ აბ გკითხავ. დავღუპულვარ, დედა მომკვდომია, სხვა რა ამბავი მინდა?

— არ მომხდარა კარგი ამბავი, ბუხუ. ნათლიდედამ მიაბარა..

— მერე, შე უბედურო, რატომ წაიწყმიდე სული, თუ ეს იცოდი, რატომ არ მითხარი, რომ ხორცი მაჭამე. მე გულმა კარგანია მიგრძნო. თურმე ეს ყოფილა, რომ ტანზე მაწრიალებდა, ყურადღებას არ ვაქცევდი და თურმე ეს ყოფილა. — ბუხუმ ცრემლები მოიწმინდა, აღვირი დაიჭირა და ცხენს გაუძღვა. კაენაც თან გაჰყვა.

— კაცის სიცოცხლე და ჭიანჭველისა სულ ერთია, — იმეორებდა გზა-გზა ბუხუ. — ფუ! ახლა რომ ისეთი კაცი მომცა, უეცრად მომკლავდეს, ღმერთმა დამწყეველოს, თუ ვინაღვლო. რა ვქნა, მეც ჩქარა მოვკვდები, ალბათ. იქ მაინც ვნახავდე მე უბედურის! — თქვა ესა და დიდრონი ცრემლები გადმოაფრქვია თვალებიდან.

— ოჰ, ჩემო ძმაო! მწუხარება ბევრ არაფერს გაგვიკეთებს, — ნაღვლიანად შენიშნა კაენამ, როცა სწორ გზაზე ჩამოვიდნენ და ცხენებზე შესხდნენ. — ჯობია ახლავე ჩვენ საქმეს შევუდგეთ და დაჩქარებით გავიქცეთ აქიდან, თორემ რა დღეს და რა ხვალ... ახლა კი წავიდეთ და ვისადილოთ ჩვენი ნაცნობი გლეხის სახლში. ხომ იცი, ხობის წყლის ახლო სახლობს, ჩქარა ვიაროთ, თორემ დაგვაგვიანდება. კარგი იქნება, თუ შუადღემდის მიუსწრებთ..

ორივემ მწარედ გაქუსლეს ცხენები და გაეშურნენ გლეხის სახლისაკენ.

მართლაც, შუადღემდის მიაღწიეს დანიშნულ ადგილამდის. დღე ცხელი დადგა; ცხენები აქაფდნენ. გზა-გზა ბუხუს ცოტათი მოუტრიალდა გული, თუმცა არ გამხიარულებულა, მაგრამ ოხვრას და ვაი-ვუის თავი დაანება. მხოლოდ ათასში ერთხელ ამოიოხრებდა და გულს ამოატანდა ხოლმე თან. მიუახლოვდნენ გლეხის სახლს. ეზოს ერთი მხრივ ხშირი ტყე ერტყა, ტყის პირას ბაღჩა იყო გაშენებული, რომელსაც გარშემო ხშირი ალვის ხე ეხვია და ალვის ხეებშუა ეკლიანი გარეული ვარდი იყო დარგული. ეს ბაღჩა ისეთი საიდუმლო ადგილი იყო, რომ ჩიტის მეტი უკაროდ ვერ შევიდოდა. ბუხუ და კაენა ტყესთან მივიდნენ ჩუმად. ცხენები იქ დატოვეს და თვითონ ფეხაკრეფით ბაღჩას მიუახლოვდნენ. ბაღჩის

გვერდით მასპინძელი თხილის წკნელს სჭრიდა. სტუმრების დანახვაზე საჩქაროდ წალდი დააგდო და გამოიქცა.

— კოჩობას გაუმარჯოს ღმერთმა! — მისძახეს სტუმრებმა.

— ოჰ! თქვენი ჭირიმე, თქვენ გელოდებოდით, ეს ყოფილა, დღეს რომ ცხვირის წვერი მეფხანებოდა; მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, — გლეხი მიუახლოვდა სტუმრებს და კრძალვით ხელი ჩამოართვა ორივე ხელით.

— აბა, ახლა საით, კოჩო ჩემო? — ჰკითხა ბუხუმ.

— ცხენები სადა გყავთ, ბატონებო!

— აი იქ, რცხილის ძირში მივაბით, — მიუგო კაენამ.

— ჯერ, თქვენი ჭირიმე, იმათ მოვიყვან და მერე გაგიძღვებით. — კოჩობამ ცხენები საჩქაროდ მოიყვანა, სტუმრებს გაუძღვა წინ და ბაღჩაში შეიყვანა. იქ ერთ ტალავერის ქვეშ ნაბადი დაიგეს მგზავრებმა და წამოწვნენ. კოჩობა კი სახლში გაიქცა. ჩუმად ცოლს საჩქაროდ საკარხო საკმელები გააკეთებინა (იცოდა, რომ ბუხუ სახსნილოს არ ჭამდა, იმასაც გაეგო კნეინას სიკვდილი), დოქით ღვინო ხელში აიღო და სტუმრებს მიუტანა. ყოველივე ეს ისე საიდუმლოდ მოახერხა, რომ არავის გაუგია. კაენა და ბუხუ კოჩობას კარგად იცნობდნენ. იმედიც ჰქონდათ მისი, რომ დამალავდა კიდეც და არც გასცემდა. ამიტომ ხშირად გაუვლიდნენ ხოლმე კოჩობას გზა-გზა. თავიანთ მხრივაც კოჩობას პატივისმცემელნი იყვნენ. რამდენჯერმე აჩუქეს: ცხენი, ხმალი, ქამარი და სხვ. თვითონ კოჩობას ქურდობის თავი არა ჰქონდა, მაგრამ ქურდების ხელის შეწყობას კი არ იწუნებდა. ჩუმ-ჩუმად. როცა მგზავრებმა გული იჯერეს საკმელ-სასმელითა, პირაღმა ნაბადზე წამოწვნენ და მიეძინათ. ცხენებს ასეთი მეხი დიდი ხანია არ დასცემოდათ. მუხლამდე ნორჩ-მწვანე ყოინდარში ნავარდობდნენ. მათ პირში სასიამოვნოდ გაჰქონდა ბალახს ხრამახრუში.

XII

როცა ჩვენმა მგზავრებმა ძილით გული იჯერეს, კოჩომ ცივი წყალი მოუტანა, ხელ-პირი დააბანინა და სამხარი მოართვა. საკმელები ისევ სამარხო იყო.

— უი! დაეხუჭა თვალი სიკვდილს, განა ამას უნდა გიბედავდეთ, თქვენი თავი თუ ღმერთმა მაღირსა ჩემ კარავში? — ნაღვლობდა მასპინძელი. ამის თქმაზე ბუხუს გული საშინლად აუჩუყდა და კინაღამ ცრემლები არ წამოსცვინდა.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე, ყველაფერი ღვთის ნებაა, — ამბობდა პასუხად კაენა.

— იცი, რას გეტყვი, კოჩობა? — უთხრა ბუხუმ, როცა სამხარს მორჩნენ, თავისი მეტყველი სახე, რაც შეიძლებოდა, დააშტერა, თვალები დააბრიალა, ნორჩ ულვაშებზე ხელი გადაისვა, აქეთ-იქით გვერდებზე ხელით დაისვა და მასპინძელს შიგ თვალებში დაუწყო ყურება.

— რაა, შენი ჭირიმე, ბრძანეთ?

— რაა, ჩემო კოჩობა, და ხომ იცი, რა მდგომარეობაში ვართ, ახლა ახალი უბედურებაცა მომადგა კარზე. არ შეიძლება ჩვენი ამ ქვეყანაში ცხოვრება, უნდა გადავვარდეთ საზღვარგარეთ. ამიტომ ცოტა რამე გვინდა. საით გეგულება ვითომ რამე?

— უი შენს კოჩობას! თქვენ რომ წახვალთ, მე რა გამაძლებინებს უთქვენოდ.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე. ჩვენ განა გვიხარია თქვენისთანა ერთგულის მოშორება, მაგრამ რომ არ შეიძლება ჩვენი გაჩერება. ან ვინ დაგვაყენებს?

— ეხ იბირ ხვაცი! — მუხლზე ხელის დაკვრით ჩაილაპარაკა კოჩობამ.

— აა! კოჩობა, გვითხარი, გვასწავლე რამე!

— მე რაც ვიცი, ბატონიშვილო, თქვენ არ დაგემალებათ. ხორგას ორი ცხენი ამ დროებით ისეთები ყავთ, ხელი მოკიდო, დააჩნდება, კიდევ რამდენიმე ჯაღრაშიაც ვიცი. ოქროულობას რაც შეეხება, ვიცი კიდევ ერთ ადგილას, სახელდობრ, ყულისკარში. ახლა მოიყვანა იქაურმა ერთმა გლეხმა ვიღაც ქორთუს ქალი. ამბობენ, აუარებელი ოქროულობა აქვსო. ერთი ისეთი სულომანი აქვსო, ერთ სოფლად ღირსო. — კოჩობამ ასწავლა მათი სახელი, გვარი და ადგილი, სადაც ესახლნენ. აუხსნა აგრეთვე გზა, საიდან შეიძლებოდა იმათ სახლში მისვლა, სად ჰყავდათ ღამე ცხენები და სხვ. როცა მზე ჩაესვენა, ბუხუ და კაენა გამოემშვიდობნენ მასპინძელს, მადლობა გარდაუხადეს პატივისცემისათვის და გზას გაუდგნენ.

— სწორედ საჩვენო ღამეა ამაღამ, მთვარე ძალიან გვიან ამოდის, — ხუმრობით შენიშნა კაენამ, როცა გაიარეს კარგა მანძილი.

— მეც გემოწმები, — მიუგო ბუხუმ. — არც დრო უნდა დავკარგოთ. ჯერ ჯაღრაში წავიდეთ. იქ თუ რამე ვიშოვეთ, წამოვიყვანოთ და ჩვენს მეგობარს უთუთიას მოუყვანოთ. ხომ იცი რა მოხერხებულად ცხოვრობს. მერე კიდევ ხეისთავებიხ უფროსად

ამოურჩევიათ, არვინ აიღებს ეჭვს! იქიდან ხორგაში ჩავიდეთ, იქაც თუ მშვიდობა იქნა, ყულისკარში — და გაიჩარხება საქმე.

— ჯერ რა გვაქვს ხელში? ეშმაკებს ღვინო არა ჰქონდათ და გუდას ბერავდნენო, ისე გვემართება. ამაღამ ჯობია, ჩემი ფიქრით, უთუთიას გაუაროთ, შევატყობინოთ როგორაა საქმე და მერე წავიდეთ, საითკენაც გვირჩიოს, — თქვა კაენამ.

მართლაც, გაუარეს უთუთიას. უთუთია შინ დახვდათ, მაგრამ მან არ ურჩია ისე მოქცევა, როგორც ჩვენს რაინდებსა ჰქონდათ ნაფიქრი. ვიდრე ოცი, ოცდახუთი დღე არ გავიდეს, იქით ნუ წავბვალთო. მეტი ღონე არ იყო, ადგნენ და გაემგზავრნენ იქით, საითაც უთუთიამ ურჩია და რამდენსამე დღის შემდეგ ხუთიოდე ბედაური ცხენი მის გოპოფილში* ნავარდობდა ჯაჭვმობმულები. ორი დღის შესვენების შემდეგ, ერთ საღამოს დაკაზმეს ცხენები და გაემგზავრნენ ახლა ყულისკარისაკენ. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ბნელით მოცულ ქვეყანას ზენა ქარი, ცოტა არ იყოს, რაღაც ეგულდიდებოდა. ისეთი შუილი გაჰქონდა ტყეში... როცა მიუახლოვდნენ მიზანში ამოღებულ სახლს, ჩვენმა მგზავრებმა, ტყეში დააბეს ცხენები და თვითონ ფეხით ფრთხილად გასწიეს სახლისაკენ. სახლის პატრონთ ჯერ არ ეძინათ. სახლიდან ხმაურობა მოისმოდა. უფრო ქალების სიცილი და ხარხარი ამხიარულებდა არემარეს.

— როგორ ვქნათ, ბიჭო, როგორ შევიტყუოთ თავი? — ჰკითხა ბუხუმ კაენას, — ხედავ, ხალხით სავსეა.

— რა ვიცი, უნდა მოვახერხოთ რამე.

— რა უნდა მოვახერხოთ!..

ამ დროს იმათ ბედზე კატამ დაიკნავლა მათ ახლოს.

— ე ბიჭო! არ გაუშვა ისა! — აჩქარებით წამოიძახა კაენამ და აშინვე ბუხუმ დასტაცა ხელი და აიყვანა.

— ახლა კი ნუ გეშინია, — ანუგეშა კაენამ. — ამას საქათმეში შევაგდებ, ქათმები კრიახს ატეხენ. ეს რა ამბავიაო! ყველანი გამოცვინდებიან. მაშინ ჩვენ ვიდროვოთ, შინ შევიდეთ და ტახტს ქვეშ გავიშალოთ. ხვალ უქმია და, ამაღამ ხმაურობა რომ არის, შეზობლები იქნებიან და ალბათ ისევ ჩქარა თავთავიანთ სახლში წავლენ. როცა მასპინძლები დაიძინებენ, გამოვიდეთ და თუ რამე ვიპოვოთ, წავიღოთ. თუ დამიჯერებ, ჯობია, ყუთი, რომელიც კოჭობამ გვითხრა, არ გავტეხოთ, ისე წავიღოთ, თუ ქარი ხერხიანად

* გოპოფილი—შემოკავებული.

ჩამოვხსენით. კარგა რომ მოვშორდებით აქაურობას, მერე გავტეხოთ; რაც კარგი ვნახოთ, წავიღოთ და რაც არა, იქვე დავტოვოთ.

სახლი დაბალ ადგილას იდგა, ერთ მოზრდილ ღელის პირად. სამ მხრივ ეზოს ეს ღელე ესაზღვრებოდა, ერთ მხრივ კი ვაზ-ხეხილით იყო დაბურული. წინ სახლს დერეფანი ჰქონდა, ლამაზად დახერხილი ფიცრებისა, უკან ერთი პატარა ოთახი, სადაც ინახებოდა პატარძლის მზითევი. ყუთი კი სახლში იდგა ტახტზე, რადგან გაქურდვისა ეშინოდათ. სახლს იატაკი და ჭერი არა ჰქონდა, მაგრამ ქვეშ მიწას იმნაირი სწორი და მაგარი პირი დაეჭირა, რომ ასე გეგონებოდათ, ცემენტმოსხმულიაო.

სახლის პატრონი ჯამლეთ აფხაზავა ერთი ღარიბი დედ-მამის შვილი იყო. მშობლები ადრევე დაეხოცა. თუ რამ დარჩა დედ-მამას, მალე გაინაწილეს მოყვარე-ნათესავებმა და ჯამლეთი დარჩა ღვთის ანაბარა. ხან ერთი ნათესავის სახლში შევიდოდა და ატარებდა რამდენსამე დღეს, ხან მეორეში. არსად არ აყრიდნენ ხერხს. ზოგან წყალს ეზიდებოდა, ზოგან შეშას და ზოგან წისქვილში სიმინდი მიჰქონდა. ბოლოს, როცა კარგა მოიზარდა, მოსძულდა სიცოცხლე და ფოთში გაიქცა. იქ ჯერ რამდენიმე წელიწადი ერთ მიკიტანს ემსახურა. მერე მესანდლესთან დადგა და ჩინებულად ისწავლა მატროსობა. მესანდლეს იმდენად მოეწონა მისი სიმარჯვე, რომ რამდენსამე წლის შემდეგ ამხანაგად გაიხადა. ჯამლეთმა ფულს გვარიანად მოუყარა თავი, ტანისამოსიც კარგი შეიკერა და ქალებსაც ყურება დაუწყო. მეანკესეს თუ მოთმინებამ არ უღალატა, თევზს დაიჭერს. ჯამლეთმაც ითმინა, აირჩია ქალები და ბოლოს ერთ იმერელ ვაჭარ კაცს ქალი თხოვა ცოლად. ვაჭარი დათანხმდა, ფულიც მისცა კარგა, მზითევიც, ოქროულობაც და წარჩინებულ ზნე-ხასიათის ქალიც. შემდეგ ჯამლეთმა ფოთში ცხოვრება რაღაც ვერ მოახერხა და წამოვიდა სოფელში. აქ ჯერ ერთი სახლი ააშენა და კარგი ოდის შენების მოსაზრებაშიც იყო. ნათესავ-მოყვარეებმა ახლა, პირიქით, ჯამლეთთან დაიწყეს სიარული. ყველანი იმას ცდილობდნენ, რომ დაემტკიცებინათ, წინათ ჩვენ უფრო მეტი პატივისცემა გაგიწიეთო. თუმცა პატივი მისთვის არც ერთს არ უცია. თვით ისინიც, რომელნიც პატარაობისას ყველაზე უდიერად ეკიდებოდნენ, ახლა აღტაცებით ეგებებოდნენ და თითქმის სულში ისვამდნენ. ჯამლეთი კეთილი გულის კაცი იყო, სუყველას უცინოდა და მადლობას სწირავდა, თუმცა კი ყოველივე წარსული ამბავი კარგად ახსოვდა. ახსოვდა ის დღეც, როცა იანვ–

რის ყინვიანსა და თოვლიან დღეში ყველასაგან და ყოველთაგან უპატრონოდ დატოვებული ფეხშიშველა გაიქცა ფოთში.

მის სახლში თითქმის ყოველ ღამე გროვდებოდნენ. მეზობლების ქალ-ვაჟნი, მღეროდნენ, ჩონგურს უკრავდნენ, ლაზღანდარაობდნენ კარგა ხანი და მერე ისევ დაიშლებოდნენ. ხსენებულ ღამეს მეორე დღის უქმისა გამო ორჯერ მეტნი მოგროვდნენ.

კაჟნამ დაათვალიერა ფრთხილად სახლი. ყველანი შინ იყვნენ. გაიქცა საქათმისაკენ, რომელიც ღელეს პირად იდგა, კარი გააღო, კატა შიგ შესვა და თვითონ საჩქაროდ ბუხუსთან დაიბადა, რომელიც იქვე მდგომ სამზარეულოს გვერდით დამალულიყო. ქათმებმა ერთი უშველებელი კრიახი ასტეხეს. განსაკუთრებით მამალი გაფიცხდა მეტად ამ უადგილო და უდროვო ხუმრობის მიზეზით. ძაღლები, რომლებიც ადამიანთა მხიარულებას თანაუგრძნობდნენ და სახლის კარებთან კუდის ქნევით და ღრეჭით თავიანთ სიხარულს აცხადებდნენ, თითქო მდევებად გადაიქცნენო, საშინელი ყეფით გამოიქცნენ საქათმისაკენ. ქათმების მოულოდნელ კრიახზე ყველანი გამოცვივდნენ სახლიდან. რაინდებმა იდროვეს მოხერხებული წუთი, შინ შევარდნენ ქარივით და ტახტქვეშ შეძვრნენ. სტუმარმასპინძელმა ზოგმა მუგუზალი დაიჭირა ხელში, ზოგმა სანთელი და დაუწყეს თვალიერება, რა ამბავი იყოო. საბრალო ციცა თვითონაც გაკვირვებული იყო, აქ სად გავჩნდიო. ქათმები გარეთ გამოცვინულიყვნენ და ჰქონდათ ერთი ზრიალი. პატარა ხანს შემდეგ ყველანი სიცილით ბრუნდებოდნენ შინ.

— სასაცილო კი არა, საკვირველია! — ამბობდა სახლის პატრონი. — ჩვენი კატა თუ ქათმებს დაეჩვია, ხუმრობა არ არის. შეხედეთ წყეულს, როგორ კაცივით გაუღია კარი. თვითონ კი თითქო სულაც ბრალი არ ჰქონდესო, ტუჩებს ილოკავს.

— ხა, ხა, ხა! გამოკვირდა, კაცო, სანამ ასანთს არ მოუსვამდი. ბელა, ტურა ან მაჩვი მეგონა! — იცინოდა ერთი.

— მე კი. — დაიწყო მეორემ. — ქათმებს ქორის წიწილის სიკვდილი შეატყობინეს და ის შეიწამეს მეგონა.

— კარგი! თუ ღმერთი გწამდეს, თავთავის ადგილას დავსხდეთ და ჩონგურის კვრა გავაგრძელოთ, კატამ ისე იცის, მამა ნუ წამიწყდება! — ეფიცებოდა ყველას ერთი ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც პირში ყალიონი ჰქონდა და ტანზე წითელი ჩოხა ეცვა.

ქალები ტახტზე ჩამორიგდნენ, ბიჭები ახლო მოუსხდნენ. წითელჩოხიანი უკანა კარებს ქვევით კამარაზე ჩამოჯდა და არხეი-

ნად თამბაქოს შეექცეოდა. პატარძალი წესისამებრ ფეხზე იდგა კარებს ახლო. მაგიდასთან. კაენასა და ბუხუს ქალებით დატვირთულ ტახტქვეშ ერგოთ ყოფნა. ცუდი ადგილი კი იყო. ჯერ მტვერი და შეკუმშული ჰაერი, მერე წყეული რწყილი საშინლად აწუხებდა უბედურებს.

— აბა, დაუკარ, მაკრინე, თუ ღმერთი გწამს, — შეევედრა ერთ თეთრკაბიან და გრძელთმიან გოგოს მასპინძელი.

— ჯერ სხვამ დაუკრას, ბატონო.

— სხვამ რა! ერთხელ ხო დაუკრა ბარბალემ, ბეგარა არავის არ აძევს იმისი.

— შენ თუ შეგეხვეწე! შენ დაუკარი, — გაეხუმრა წითელ-ჩოხიანი, რომელმაც ის იყო ჩიბუხი ხელზე დაიბერტყა და უკან წაიღო ხელი ქამრისაკენ.

გოგო ცოტად გაწითლდა.

— ბატონი ბრძანდებით! — მორცხვად ჩაილაპარაკა. ლამაზი ტუჩები სასიამოვნოდ დააცმაცუნა. — ბატონი ბრძანდებით, თუ კი შეეძლებ თქვენს გამხიარულებას ჩემი უხერხული „დარდლაფით“.

ჩონგური ხელში აიღო და მომართვა დაუწყო. ტმ, ტმ, ტმ, ბმ, ბმ, ტმ, ტმ... მოისმა ჯერ და მერე შეწყობილი ბაიათურიც. მისი ხელის თითები სისწრაფით დანავარდობდა სიმებსა და სიმებს შუა. დროგამოშვებით მგოსანი რამდენსამე წამით ხელს მოაშორებდა სიმს და მერე ისევ ნაზად შეეხებოდა ლერწამივით სწორი და ბროლივით თეთრი თითებით. ჯერ გაისმა ჰაერში ხმა ჩონგურისა და შემდეგ ხმა ზედ დამღერებისაც:

ვო დონწყვირი ობიშხას
ვადიიფშქვიდიო წყარს,
წყარიშ შქვიდა ყოფე ვარი.
ჩქიმცალ ვაღოლამუ შხვას..
ჩქიმ თოფი დო იარაღი
მეურე შქათაბანი ხღვას,
წიარი დო მეძებარე
მენჩურუდენს ემერ ძგას.
ჩექმაქ მიღალატუ ვარა
ქეკნოფჩურუნდი მათ ძგას..
ძელი ჩხომქ ოქკომუდო
ძვალი ეკოხორგუ ძგას,
კვარია ყვიანს, ყვიანს დო
ქაჯი ურაგადუ ხარს.

მუში მუმაქ შიიტყვას
ჩხოვიშ ხორცი ვაკკომას,
— მუში დიდაქ შიიტყვას
ღვაშა ხეე მიისვას,
მუში ჩილქ შიიტყვას
საკუმელი ტეუდვას,
ეი ბორიაქ დიირქუას
სამოთხეშა მეუღას. *

მგოსანი გაჩუმდა და მარტო სიმთა ხმაღა ისმოდა. გოგომ რამდენიმე სხვადასხვა სიმღერა კიდევ დაუკრა, დაამღერა და მერე სხვას გადასცა ჩონგური.

— კარგი ბედი მოგცეს ღმერთმა ჩვენი გამბიარულებისათვის! — სიცილით უთხრა წითელჩოხიანმა მაკრინეს, როცა უკანასკნელმა ამხანაგს მიაწოდა ჩონგური.

— დალოცოს ღმერთმა, კარგად უკრავს, — განიმეორეს სხვებმაც.

ჩონგურის დაკვრა ახლა სხვებმა დაიწყეს რიგ-რიგით. კაცის გულს ერთი და იგივე მალე მოსწყინდება. მართალია, პირველად ყველას ესიამოვნა, მაგრამ ახლა მოსწყინდათ და ჩონგური კუთხეში შეინახეს. დაიწყეს სხვადასხვა შესაქცევი თამაშობა ახალგაზრდებმა; უფრო ხნიერები, მათ შორის სახლის პატრონიც, ჰუსაიფში გაებნენ. რადგან მუსაიფის დროს თამბაქო კარგია. თითქმის ყველამ ჩიბუხის წევა დაიწყო. ერთ შუახნის ცოტა ქოსა კაცს სველი თამბაქო ჰქონდა. გააჭირა საქმე მისმა ყალიონმა. არ იქნა მისი ცეცხლის მოკიდება. ჯერ რამდენიმე ღერი ასანთი დაბარჯა, მერე, რომ ვერა ეშველა რა, მუგუზალი მოუტანეს სამზარეულოდან. არც იმან უშველა. არ იქნა, არ მოეკიდა ხეირიანად. ჯერ

* იმ დასაქცევ პარასკევს წყალში არ დავიხრჩვი!
რა ყოფილა ეს დახრჩობა, ასეთი არ დამართნია სხვას.
ჩემი თოფი-იარაღი შუა ხღვაში დაცურავს.
მწეველი და მეძებარი ნაპირისკენ მიცურავს.
ხეკმამ მილალატა თორემ, გავცურავდი ნაპირად...
რბილი თევზმა შემიჭამა, ძვლები დახვავებულა კიდესთან.
ყვავი ჩხავის, ყრანტალებს, ქაჯი ეუბნება ხარს:
მისმა მამამ შეიტყოს—თევზის ხორცი არ ჭამოს;
მისმა დედამ შეიტყოს—ხელით ღაწვი იკაწროს;
მისმა ცოლმა თუ შეიტყო—საკმეველი უკმიოს,
თუ კი ქარმა დაუბერა, სამოთხეში მიუტანს.

თითქო მოეკიდაო, გლეხი მუგუზალს ჩიბუხს მოაშორებდა, მაგრამ ჩაკი გაერთობოდა მუსაიფში, ცეცხლი ისევ გაუქრებოდა.

— აბა, რას ამბობთ, თქვენი პირიმე! — წამოიძახა მან და მუგუზალი ახლო დაიდო. — ნაჩალიკი? იმისთანა ნაჩალიკი გინდ იყოს და გინდ არა. თუ გინდ თავი დაატეხო მისი სადგომის წინ, საიდან მოდიხარო, კაცი არ გეტყვის. კაენა და ბუხუ ვითომ შენა ბგონია ნაჩალიკის უდასტუროდ ჩადიან რასმე? ის კი არა, ლაპარაკობდნენ, თვითონ ნაჩალიკი ღებულობს მათგან ფულებს და ქურდობის ნებას აძლევსო. როგორც დღევანდელი დღე, ისე ვიცი, ჩემი ძმის ცხენი კაენამ მოიპარა, სანაჩალიკოში მივედით, მამასახლისის ატკი მივიტანეთ, დაუწყეთ ვედრება, გვიშველეთ, მოგვეხმარეთ რამე, დავიღუპეთ-მეთქი. თვითონ ნაჩალიკი არ გამობრძანებულა. შე მამაძაღლოვ,—მწერალმა გვითხრა, — რა იცი, რომ იმან მოიპარაო!

— ა, ბატონო, ატკი-მეთქი.

— იმდენი ღმერთი ააშენებს თქვენ მამასახლისს, იმან რომ რამე ნამდვილი იცისო. აიტ. თქვე ცუღლუტებო, თვითონ თქვენ იპარავთ და ტყუილად პატიოსან ხალხს აწუხებთო. ჩვენ სადა გვცალია, რამდენი მყრალი გდია სოფელში, მისი ცხენები ვძებნოთო. აგერ სურდო მჭირს, არ მაყენებს, თბილად უნდა ვიწვეო და თქვენი სულელური მოქმედების წყალობით აქ მტვერი უნდა ვყლაპოვო. ავარდა და დავარდა, შენი პირიმე! — თქვენ კი გულს ნუ გაიხეთქთ, ბატონო, და იმას თქვენი პირი წაუღია-მეთქი, მიუგე მე და აქეთ წამოვედი. მოდი და გაარიგე ახლა საქმე. თვითონ პოლიცია ქურდია და ვის თხოვ სამართალს. ტყუილი არ იყო, ცხენებული მამაჩემი იტყოდა, მეფემ ცოლი წაგართვას, ვის შესჩივლებო?

— მართალია! — მოწმობდნენ სხვები და დასამტკიცებლად მოჰყავდათ თითოეულს თითო-ოროლა მაგალითი მთავრობის დაუდევრობისა. ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ ცარიელი ენის ტრიალით არაფერი გარიგდა და დაღლილები ლაპარაკით და სიამოვნებით დაიშალნენ.

შუა ღამეა. რა ხანია სანთელი გაჰქრა ჯამლეთის სახლში. ცოლ-ქმარს ტკბილად მიეძინა. სახლში სიბნელეა. ძაღლები რგოლვ-თ მოიკუნძნენ სახლის გვერდით და ტკბილ ძილს მიეცნენ. ყველგან სიჩუმეა, მხოლოდ ტახტს ქვეშ არ ძინავთ კაენასა და ბუხუს.

— ე, ბიჭო! — ჩასჩურჩულეს ჩუმად ერთმანეთს ამხანაგებმა.— ახლა ახალი მიძინებულები არიან და ვერას გაიგებენ.

ორივენი ნელა გამოძვრნენ ტახტქვეშიდან და ჩუმად გასწიეს ყუთისაკენ.

— ოჰ! როგორ დავმტვრეულვარ ეს რჯულძაღლი, ძლივსლა ვდგევარ ფეხზე! — დაიჩურჩულა ბუხუმ.

— აბა, რა დროის ეგენია, დამბაჩა მარჯვედ გქონდეს! მე ერთი კარი ჩამოვხსნა ჯერე და შენ ძალიან ყური უგდე, თუ ვინმემ გაღვიძება გააპიროს...ს...უ...! — კაუნა მივიდა კარებთან, შიგნიდან ურდული ნელა ამოიტანა რკინის რგოლიდან, მერე ორივე ხელით ასწია კარი, ნელა ჩამოხსნა და იქვე შიგნით მიაყუდა. დაბერებული მთვარე ამოსულიყო და მკრთალად შემოიყურებოდა სახლში. მთვარის სხივები პირდაპირ ეცემოდა მძინარე ცოლ-ქმარს პირისახეზე. — ამას რაღა ეშველება, ბიჭო, — ჩასჩურჩულა კაუნამ, — სინათლემ. რომ გააღვიძოს ეს ხალხი, მერე?

— მოითმინე, მოითმინე! — აუჩქარა ბუხუმ, იქვე ახლო სახლის პატრონის ნაბადი მოსძებნა და კარს ფარდასავით ჩამოაფარა, სახლი ისევ დაბნელდა. მერე ორივემ ყუთი აიღო, ნაბადი ფრთხილად ასწიეს და გარეთ გაიტანეს.

— აბა, ახლა კარი! — თქვა ბუხუმ.

— იყოს, სულ ერთია.

— რას ამბობ! რომ გაიღვიძონ, ყვირილს ატეხენ, გზებს შეკრავენ და საფრთხილოა. ნაბადი მხოლოდ მათ პირისახეს ფარავს კარგად, თორემ ქვევითი ნაწილი კარისა ღიაა.

— მაშ კარგი, ჩამოვკიდოთ კარი და ნაბადიც წავიღოთ, დაგვჭირდება.

— აბა, ჩქარა.

კაუნამ საჩქაროდ ნაბადი ჩამოხსნა და კარი ისევ ჩამოკიდა. დაავლეს ორივემ ხელი ყუთს, ჯერ ნელა იარეს, მერე უფრო ჩქარა და განშორდნენ ეზოს, თითქმის სირბილით გასწიეს ცხენებამდე და ყუთი გასტეხეს. თუ რამ იყო ოქროულობა, ამოიღეს, თუმცა იმდენი არაფერი ყოფილიყო, რამდენადაც აზვიადებდნენ. სულომანი ტყუილი გამოდგა. კარგად იქნებოდნენ გაცილებული სახლს, რომ ჯამლეთს გამოელვიძა. რაღაც უაზრო სიზმარი ნახა, ჭახუნი მოესმა და შეშინებულმა გააჭყიტა თვალები. ადგა ლოგინიდან, დაახველა, გარეთ გამოვიდა, მთვარეს შეხედა, როგორ დაპატარავებულხარო, მიანაღვლა და ისევ დაწვა.

გათენებისას ბუხუმა და კაუნამ მიაღწიეს უთუთიას სახლამდე.

გზაზე ერთ ახალგაზრდა ნაცნობს, მარჯვე ბიჭს გაუარეს და თან წაიყვანეს, რომ მიშველებოდა ცხენების გაღმა გაყვანის დროს. მისვლისთანავე უთუთიამ სტუმრებს კარგი ბურვაკი დაუკლა, მოახრაკვინა ინდაურები, ქათმები, დააჭრევინა სქელ-სქელი ნედლი სულგუნები, მოხადა ოჯალეშის ღვინოს თავი, რომელიც, როგორც საუცხოვო რამ, ისე ჰქონდა შენახული უცხო სტუმრებისათვის. დასხდნენ სადილად. სადღეგრძელო სადღეგრძელოზე ილეოდა. ისე ჩუმად კი იყვნენ, რომ უთუთიას ახლო მეზობელმაც არ იცოდა, რა ამბავი იყო მის სახლში.

ეზოს ერთი ნაწილი უთუთიას დაბეჯითებით გამაგრებული და საიდუმლოდ დაცული ჰქონდა. ჯერ გარშემო თითქმის საკენი სიღრმე თხრილი ერტყა. ზევით, თხრილის პირად, ისევ გარშემოვე სქლად დარგული იყო ეკალი და ალვის ხე, ასე რომ გარედან კაცისათვის ძნელი დასანახი იყო, რა ამბავი ხდებოდა ზღუდეს შიგნით. თვით ამ შემოზღუდულ არემარეს გარშემო უდაბური ტყე ერტყა, რომელიც უთუთიასივე იყო. შიგ შესვლისა და რისამე მოჭრის ნებას არავის აძლევდა. მოპარვაც ხეებისა არავის შეეძლო, რადგან ტყე დიდი არ იყო და ხის მოჭრას უთუთიას სახლში გაიგებდნენ. გარდა ამისა, უთუთიას ბაღნები, პატარ-პატარა წალდებით ხელში, დღისით სულ ამ ტყეში დადიოდნენ და ძველ დამპალ მუხის კუნძებს უკაკუნებდნენ, მეზობლებმა იცოდნენ უთუთიას ხასიათი, რა მოუსვენარი კაციც იყო, რარიგად უყვარდა სასამართლოში სიარული და იქ ჩალიჩობა. რამეფრად შაირი არ მოგვდვასო, ამბობდნენ და მის საკუთრებას სიახლოვეზედაც არ ეკარებოდნენ ხოლმე. თვითონ უთუთიასაც ენანებოდა ხეების ჭრა. ხანდახან, როცა დასჭირდებოდა რამე, შევიდოდა ტყეში ნაჯახით ხელში: არჩევდა ხეებს, არჩევდა და ისევ ხელცარიელი დაბრუნდებოდა შინ. მისი სიფრთხილის შემწეობით ტყე, თუმცა პატარა იყო, მაგრამ მშვენივრად ჰქონდა დაცული. ზაფხულის პაპანაქების დროს სიცოცხლე იქ იყო. ამ ტყის შემწეობით უთუთიას მყუდრო შემოღობილი არემარე მიუვალ და თითქო გალავანშემორტყმულ ციხე-დარბაზსა ჰგავდა. ძვირად თუ როდისმე გაივლიდა აქ ვინმე; მხოლოდ თხები, ეს მოუსვენარი ოთხფეხნი გზა-ტყეს არ არჩევდნენ და მეთხეებსაც მათი დევნის გამო ხშირად უხდებოდათ იქ შესვლა, რადგან კვიმატი თხა აღარ ისვენებდა და შიგ უთუთიას ეზოში ხშირად გადაეშვებოდა ხოლმე.

უთუთია იყო შეძლებული აზნაურიშვილი. მამამისი, ცხონებუ-

ლი ხახუ, მთავრის დადიანის მხლებელი ყოფილიყო და, საბუთიც ჰქონდა აზნაურობისა, რომელსაც სჯულის ათ მცნებასავით ინახავდა. ვინ იცის, ეგებ დამჭირდესო! — ამბობდა ეს ჭკვიანი კაცი. ხახუ მოხერხებული და მარჯვე კაცი იყო, რის გამოც ჰთავარს ძლიერ უყვარდა. მიწა-მამული ბლომად მისცა. ხახუ უფრო წინდახედული იყო, ვიდრე ზოგიერთი თავად-აზნაური. როცა ზოგჯერ მთავარი ჰკითხავდა: რა მოგცე ჩემი პატივისცემისათვისაო, ის არ ეტყოდა, შენი კეთილი გული, ბატონო, სხვა რა მინდაო. — არა, ის სხვაფრივ მოახერხებდა ხოლმე პასუხს: თქვენგან მოწყალება ურიცხვი მაქვს, ბატონო! — ეტყოდა ცბიერებით: — თქვენი იმედი რომ არა მქონდეს, ამდენ ხანს ცხრაჯერ დავიღუპებოდი. თქვენ რომ არ მყავდეთ, რა გვეშველებაო! თქვენ ყველასათვის თაფლი ბართ, ჩემო ხელმწიფეო, მაგრამ ზოგიერთები კი ცუდად გეპყრობიან, შენი თავი ნუ მოუკვდება ხახუს! — კრძალვით დაუმატებდა ხოლმე. მთავარს ცნობისმოყვარეობა გაეღვიძებოდა, დაუწყებდა კითხვას და ამოიკითხავდა, ვის როგორი გული ჰქონდა იმაზე. ხახუ დროს არ ჰკარგავდა და, თუ ვისიმე ჯავრი სჭირდა, ფლასით შემოსავდა და გამოიყვანდა მთავრის წინ ბრალდებულად. მისი ჩაგონებით დარწმუნებული მთავარი უთხოვნელად აღუთქვამდა ან ჭიწას, ან იარაღს, ან ცხენს და სხვ. ამნაირად, ხახუმ გვარიანი ქონება დაუტოვა თავის ერთადერთ შვილს უთუთიას. უთუთიაც უანგარიშო კაცი არ გამოდგა. მამის დანატოვარი არათუ არ გაფანტა, პირიქით, გააბევრა კიდეც. ცალკე მეზობლებს ეჩხუბა საზღვრის თაობაზე, ცალკე ნაბატონარს, იმ ნაბატონარს, რომლის მამა-პაპისაგან ჰქონდა რაც ჰქონდა. ცალკე საჩივარით, ცალკე ძალით თავისი მამული გააფართოვა. უთუთია მუქთად რისამე შოვნასაც არ თაკილობდა. ოდიშის ყველა „რაინდნი“ დაახლოვებული და დამეგობრებული ჰყავდა. განსაკუთრებით დაახლოვებული ჰყავდა ბუხუ და კაენა. ისინი უთუთიას დაუკითხავად ერთ თვალსაჩინო ნადირობასაც არ გაივლებდნენ გულში. უთუთიას საიღუმლო ბაღჩა მათი ცხენების უუმყუდროესი თავშესაფარი იყო.

უთუთიას სასამართლოც ძლიერ უყვარდა. დღე ისე ძვირად გავიდოდა, რომ მომრიგებელ მოსამართლესთან საქმე არ ჰქონოდა. მომრიგებელ მსაჯულს მისი ნახვა ყამივით ეჯავრებოდა. სულ იმის ცდაში იყო, როგორმე „ამ მოუსვენარ კაცის“ საქმეები ჩქარა გაეთავებინა, მაგრამ არ მიეცა ბოლო უთუთიას საჩივრებს. მოთმინებადაკარგულმა მოსამართლემ, სხვა რომ ვერა მოახერხა რა, გადადება დაუწყო უთუთიას საქმეებს. ახლა უთუთიამ ერთიორად

უმატა ცრუ მოწმეების შოვნას, რომლებიც უწინაც არ ჰყავდა ნაკლებად და დღედაღამ სასამართლოს წინ დახეტიალობდა. საკუთარი საქმე თუ ჩამოელეოდა, ვექილობას მიჰყოფდა ხელს. ბევრი ბუშტარიც უჩნდებოდა გამოცდილ ადვოკატს, როგორც ეძახდნენ სოფლელები. მართლაც. ხშირი სიარულით სასამართლოში, იქ საქმეების ჩხრეკითა და ყურისგდებით ადვოკატობა ისწავლა. ფრაკი და დიპლომი აკლდა, თორემ სხვაფრივ ძვირად თუ გაზრდილი იურისტიც მოუგებდა საქმეში. ამ ხელობის შემწეობით მან დიდი სახელი მოიხვეჭა სოფელში. ყველა ძალაუნებურად თავს უკრავდა. სიბნელეში ჩავარდნილ და ამის გამო ყოველთვის და ყველასაგან სამართალს მოკლებულ გლეხს საშველად ერთადერთი სასამართლო მიაჩნდა და, რასაკვირველია, ვინც ამ საქმეში გამოადგება, თაყვანსაცემადაც ის ეგულება. ამას შემდეგ საკვირველი არ არის, რომ უთუთია სოფლის ყრილობაზე ხეისთავების უფროსად ამოირჩიეს. ამ უფროსობის დროს ქურდობამ არათუ იკლო, იმატა საშინლად. უთუთია კი ამ უბედურებას სოფელს აბრალებდა. საწინდარიც მიჰქონდა ხშირ-ხშირად მშვიდობისმოყვარე გლეხებისაგან, რატომ ქურდს არ გამოედევნეთ, წუხელ რომ კივილი იყო. ხალხი აღელვებაში იყო, მაგრამ ვის რას შესჩივლებდა. ყოველ შეკრებულობაში თუ უთუთია არ იყო, ათასი თავი აყაყანდებოდა. ქადილი ქადილზე იხარჯებოდა მის წინააღმდეგ. მაგრამ როცა პირისპირ შეხვდებოდნენ, ყველა ულიმოდა, თავს უკრავდნენ მას და სიკვდილამდე ერთგულებას ეფიცებოდნენ. აბა! ასეთია შიში, მეტადრე მაშინ, როცა შველას არავისაგან მოელის კაცი.

ღვინით გამხიარულებულმა მასპინძელმა ალმასხანიც გაიხსენა. სავსე ჭიქას გადასწია და თავი წაუქცია ოდნავ.

—ვაი სიკვდილს! განა ასე უდროვოდ დასაკარგი კაცი იყო? ამის ზიარებას გეფიცები, იმისთანა გამბედავი და მაგარი კაცი მთელ ოდიშში მეორე არ იყო! რარიგად უყვარდა ცხონებულს მამაჩემი და მერე მე. არაფერ საქმეს უჩემოდ არ იზამდა. ცოლის შერთვა პირველად მე და კაენას დაგვეკითხა. ასე არ იყო, თუ ღმერთი გწამს? შენ მაშინ უწვერულვაშო იყავი, მამათქვენი თავადი ოტია ახალგარდაცვლილი იყო. ალმასხანს ძმის სიკვდილი მეტად ეწყინა და ძმის ჯავრის გადასაქარვებლად შეირთო ცოლი. ასე არ იყო? — წარბების აწევით და კაკაპის შეკუმშვით შეეკითხა კაენას. კაენა წელში გასწორდა და აღტაცებით დაამტკიცა მასპინძლის სიმართლე. — ეს ხომ, — შეხედა უთუთიამ ბუხუს, — მამის კალაპო-

ტია. აი, ჯერ მხარ-ბეჭებს შეხედეთ, დაილოცა ღმერთო შენი სახელი, ალმასხანი წინ მიდგას, მგონია.

ბუხუ გაწითლდა, თავი დაღუნა და ცალი თვალით შეხედა დარცხვენით დიასახლისს, რომელიც ქმარსა თხოვდა, დაეთხოვე ლაპარაკს და სტუმრებს მოსვენება მიეცეო.

— მოითმინე, მოითმინე, ქალო! რა დაგემართა? ჯერ ხეირიანად არ დალამებულა, ძილს ვერ მოესწრებიან? — შეუტია ცოლს.

— ვერ მოესწრებიან კი არა, ერთი წუთაა ახლანდელი ლამე. ყველგან ეძინებათ ახლა მეზობლებში.

უთუთია წამოდგა და ყურება დაიწყო გარეთ, ჰიიხედ-მოიხედა, ოითქო ცოლის გამტყუნება უნდაო. უკანა კარებთან პატარა ბიჭი შეამჩნია.

— ეს ბიჭი ვისია? — ჰკითხა ცოლს.

— აი, ღმერთო. თუ დაბრმავდი, კიმოთიას ბიჭი ვერ იცანი. რძე მოგვიტანა.

— მერე შინ ვერ წავიდა?

— აქ გვემსახურებოდა. შე კაცო. აქამდი არ შეგიმჩნევია?

— ბავშვი ჭკვიანზე უფრო საფრთხილოა. სიტყვის მიტანა ხომ არ იცის? — ლმობიერად დაეკითხა ბუხუ დიასახლისს.

— არა, შენი ჭირიმე. ჩვენი საინვედო მეზობლის შვილია. საშიში არ არის.

— ჰო, კარგი, ახლა, თუ ღმერთი გწამდეს, — ცოტა დაშვებულებით ჩაილაპარაკა უთუთიამ. — ამ ქალმა ხანდახან სიმართლის თქმა იცის. დროა მოვისვენოთ, მაგრამ აქ ერთი ცხენიც ვიცოდი სათქვენო. წრეულს ხუთჯერ ვთხოვე და არ მათხოვა. ცხენი ჰუმპუს ჰგავს. მერე რა სირბილი. ან რა მაგარი მკერდი აქვს. არ მათხოვა, არ მათხოვა, ამას თავი შენც დაანებე. უთუთიაა რომ გვეუპავს, კაი მაგას, იმას ხვდება საჩივარიო, უთქვამს სოფლის ყრილობაში და ბევრიც მიუმხრია, როგორც გადმომცეს საიმედო პირებმა. არ ვიყავი იმ დღეს, გაეწყრა ღმერთი, თორემ ვნახავდი, როგორი მებუნტე იყო.

— სად სახლობს ნეტავი? — იკითხა კაენამ.

— აი, ფართო ღელეს გაღმა, სუკზე ოდა რომ დგას, იმისია.

— რა ჰქვია ნეტავი სახელი?

— უტუნა, გოგოც ყავს ლამაზი.

— გოგო თვითონ ყავდეს, რა დროის გოგოა.

— რატომ, ბიჭო, — სიცილით შენიშნა ბუხუმ.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ უცხო სტუმარს ამაღამ, არც

დღეს, ორი ლუკმა არ უჭამია, ღმერთო მომკალი. თქვენი სახელი? შეხედეთ, სახელიც არ გვიკითხავს! — თქვა ქალბატონმა.

— მე, ბატონო, კოსთა, — მორცხვად მიუგო მესამე სტუმარმა.

— მე უბედური, რად არ ჭამე რამე, იქნება არ მოგეწონა.

— არა, არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ყველაფერი მშვენიერება იყო, მხოლოდ მე მაძღარი ვიყავი და არ მინდოდა.

— აბა, მართლა, თუ გინდათ, დროს ნუ დაკარგავთ. — გაიმეორა უთუმ, ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— წავიდეთ, ბიპო, მაგრამ აქაური ამბავი ბევრი არ ვიცი და მეშინია, — უთხრა ბუხუმ კაენას.

— ე! რას ამბობ, კაცო, — მიუგო მასპინძელმა. — ხეისთავები ჩემ ხელში არ არის, რის გეშინიათ? თქვენ თუ გინდათ, აქეთ წადით, — გაიშვირა თან ხელი ერთი მხრისაკენ, — ხეისთავებს აქეთ გავაქცევნებ. ცხენი მას ახლა შინ ეყოლება, გარეთ პალოზე მიბმული.

სამივენი მოემზადნენ და გასწიეს, რის შემდეგაც მოხდა ის, რაც უკვე ვიცით და რაც ამ მოთხრობის დასაწყისშივე გიამბეთ. ძალიან ფრთხილად მიეპარნენ, მაგრამ უტუნამ მაინც გაიგო. ჩუმად რომ ვერა მოახერხეს რა, ძალა იხმარეს და რევოლვერი ესროლეს. ამისთანა მოუაზრებლობა თავის დღეში არ მოსვლიათ იმათ: ბუხუმაც იგრძნო ეს, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღას არგებდა ბოლოსღა თითზე კბენანი.

XIII

ამნაირად საქმის დატრიალებამ უთუთია და მისი ოჯახი მეტად შეაწუხა. უთუთია თავს კიდევ არ იმტყუნებდა და კაენას აბრალებდა ყველაფერს.

— როგორ დავიჯერო, კაცო, — ხელის ქნევით ეუბნებოდა კაენას, — როგორ დავიჯერო, რომ თქვენ იქიდან ცხენის გამოყვანა ვერ შესძელით, თუკი მოიქეცით, როგორც რიგი და წესი იყო?

— რას ამბობ, — მიუგო ცოტა გულმოსულმა კაენამ, — ახლა მასწავლი იმ ოხერს? დავბერდი კიდეც ამ საქმეში! იმნაირ ფხიზელს და გულმაგარ კაცს ჯერ არ შევხვედრივარ. ასე იფიქრეთ, ხმალიც მოგვიქნია და კოსთას უკანა კალთა მოაჭრა ჩოხისა.

ბუხუ არაფერს ამბობდა; გაწითლებული ოთახში იქით-აქეთ დადიოდა და პაპიროსს ეწეოდა გაცხარებით. კაენა სელზე იჯდა ხმალზე დაყუდებული და აღშფოთებული სახით მასპინძელს ება-

ასებოდა. კოსთა კი კუთხეში იდგა, ქამრის ენა ძირს დაეწია ხელით და თავდაღუნული ულვაშებს იგრეხდა.

— შენი ჭირიმე, უთუ, ხმაურობა არაფერს მოგვიტანს, ერთი წუთი ჩვენი გაჩერება აქ არ შეიძლება. რაც გვყავს, იმით თუ მშვიდობით გავედით აქედან, სხვას ვინ მამაძაღლი დაეძებს. ნეტავი შენი სიმრთელით, სულ არ ჩამოგვეგდო სიტყვა იმ ტიელ ცხენზე. უბედურება კიდევ ისაა, თუ ის ყაზახი მოვკალი ამაღამ! — ჩაერია კაენას და უთუთიას ლაპარაკში ბუხუ.

— როგორ ატყობთ, მოკალით ვითომ? — შუბლზე ხელის გადასმით იკითხა მასპინძელმა.

— რა ვიცი! მოხვდა კი ვიცი და რამდენად საშიშია ჭრილობა. დაბეჯითებით რა მოგახსენო.

— მომიტევეთ, ჩავარდი უბრალო კაცის ცოდვაში, შენ მართალს ამბობ, ახლავე წახვიდეთ ჯობია. უყურეთ, რა ყვირილი და კივილია ამაღამ? ხეისთავებს არევენ, გზებს შეკრავენ. მეც ახლავე უნდა წავიდე და ჩუმად ხეისთავები სხვა გზას გავუყენო და თქვენ აგაცდინოთ. ოჰ! ის ოჯახდაქცეული! ნეტავ არ მოკვდებოდეს, ცოლ-შვილის პატრონია მერე!

დამალული ცხენები საჩქაროდ მოიყვანეს და სამივენი გაუდგნენ გზას გულის ფანცქალით. გათენებისას ენგურს მიუახლოვდნენ, მაგრამ ყარაულები დახვდათ. კაენამ, რა დაინახა შორიდან ცეცხლი, მაშინათვე ენაზე იკბინა, გაახსენდა ამნაირივე შემთხვევა ალმასხანის დროისა და არჩია უკან დაბრუნებულიყვნენ. ბუხუც დათანხმდა. შევიდნენ უდაბურ ტყეში. დღე იქ გაატარეს. დაღამებისთანავე მიადგნენ მეორე ფონს, მაგრამ აქაც ყარაულები იდგნენ. რანაირ არ ეხვეწა ბუხუ, მაგრამ კაენამ მაინც თავისი გაიტანა. ახლაც დაბრუნდნენ და პირდაპირ კოჩობას სახლისაკენ გაემგზავრნენ. აქ, ნაცნობ ბაღჩაში, დაჰყვეს რამდენიმე დღე. ბუნებამაც ხელი შეუწყო. დაუშვა წვიმა. თითქმის ჩაშრობილი ღელეები ნავთსავლელ მდინარეებად გადაიქცა. ენგური კი, უიმისოდაც აშფოთებული, ახლა სულ გადაირია.

— აბა, ბიჭო, დროს ნუ დავკარგავთ, მოხერხებული. დროა. მამა ნუ წამიწყდება, — ურჩია კაენამ ბუხუს და ერთ წვიმიან, მეხიან, ქარიან ღამეს გაემგზავრნენ ცხენებით ენგურისაკენ.

— სად ჯობია გასვლა? — იკითხა ბუხუმ, როცა მიუახლოვდნენ ლომივით გაონავრებულ მდინარეს.

— რასაკვირველია, ჩელტიხ ხიდზე, — მიუგო კოსთამ.

— კარგი, მაგრამ, თუ წყალმა იმდენი იმატა, რომ ზეღ გადავიდა?

— არშინზე მეტი თუ არის გადასული, რა მოგახსენო, და თუ ნაკლებია, თვალდახუჭული გავალ, — თქვა კოსთამ.

— მაშინ ჩვენც გავალთ, ნუ გეშინია, — იმედი მიეცა ბუხუს.

აი, მიუახლოვდნენ კიდეც ენგურს. საშინელი ღრიალი გაჰქონდა ადიდებულ მდინარეს. თითქო ესეც ზევიდან შხუილით წამოსულ წვიმას ბანს ეუბნებაო, ჰქუხდა და ვეებერთელა ქვებს ახეთქებდა ტალღას ტალღაზე.

— სად უნდა იყოს, კაცო, ხიდის თავი? — იკითხა კაენამ.

— ნახავ, თუ იმის მოძებნა არ გაგვიჭირდეს! მე შენ გეტყვი, სანთელს მოიხმარ. მაინც რარიგ განუწყვეტლივ აშხაპუნებს ეს ბედნიერი, თითქო რაც წვიმაა ჰაერში, ამაღამ უნდა დაილიოს და ქვეყანა წარღვნასო, — თქვა ბუხუმ.

— მაინც რა ადგილას იყო პალო დასობილი? არ გახსოვს, ბიჭო? — მიუბრუნდა კაენა კოსთას.

— აი, იმ ნაძვის პირდაპირ იყო, — უპასუხა კოსთამ.

— ჩამოხდით, ჩამოხდით, რაღა დროს დაგვიანებაა. ყარაულებს გონიათ, ამაღამ ვინ გაბედავს ენგურში გასვლასაო. — ლაპარაკობდა კაენა და თან ფაცაფუცით ეძებდა პალოს. დანარჩენებიც ჩამოხდნენ და ერთად დაიწყეს ძებნა.

— აი, პალო! — დაიძახა ბუხუმ. — ეტყობა წყალი დიდია. შეხედე ჯერ რიყეზე, ჩელტს ზევით, მუხლამდე მოდის წყალი.

— რაც არის, ის არის. აბა, გახდა უნდა ტანთ! — დაიძახა თამამად კაენამ და თვალის დახამხამებაში ქამრით შეკრა თავისი ტანისამოსი და იარაღი. სხვებმაც იმას მიბაძეს. ტანისამოსი თავზე დაიკრეს და გასასვლელად მოემზადნენ.

ძნელი წარმოსადგენია ეს ხიდი იმისთვის, ვისაც თვალით არ უნახავს. წარმოიდგინეთ მდინარე იმდენად სწრაფი, რომ ხუთ ფუთიან ქვებს ბუმბულივით აგორებს. მერე იმ დროს, როცა ნაპირიდან არის გადმოვარდნილი ადიდებისა გამო. ამ მდინარეზეა გადებული, ანუ უკეთ ვთქვათ, გაბმული ერთი ადლის სიგანით ვაზისაგან დაწნული ხიდი, რომელიც მხოლოდ კიდეებზეა მიბმული პალოთი. სხვაგან არც დანი აქვს, არც ბიჯგი. რასაკვირველია, ამისთანა ხიდი, როცა სიმძიე რამე დააწვება, ვერ გაჩერდება. ხან დაღმა დაიწევს, ხან ალმა აიწევს და თან ცოტაოდენი სიო როგორც უნდა ისე აქანებს. ამნაირ ხიდზე გასვლა მაშინ, როცა წყალი ზედ მიდის, ისიც წვიმიანსა, ქარიანსა და ჯოჯოხეთ ბნელა ღამეში! აი

ნსეთ ხიდზე უნდა გასულიყვნენ იმ ღამეს ჩვენი თავზე ხელაღებული მგზავრები.

— ჯერ მე წავალ, — დაიძახა ხმამაღლა კოსთამ, რადგან ქარის გამო დაბლა ლაპარაკით ვერაფერს გააგონებდა ამხანაგებს ცხენები გაინაწილეს, ვის რამდენი უნდა გაეყვანა.

— არა, ჯერ მე წავალ, — თქვა კაუნამ.

— ბატონი ბრძანდებით.

კაუნა შედგა საქანელასავით ამავალ-დამავალ ხიდზე და მოსწია ცხენებს. ერთმა წინა ფეხები გაჭიმა, თავს ასწია და წასვლას არ ნებულობდა.

— დაარტყით მაგ მგლის კერძს! — მიაყვირა კაუნამ.

ბუხუმ დასცხო მათრახი. ცხენმა დააცანცარა ტანი, ცოტას შეჩერდა, თითქო ჭოქმანშიაო, და რაკი მათრახის შიშიცა ჰქონდა, ჩქაფუნით ჩავარდა წყალში.

— ეჰე, ჰეიტ! — გაჰკიოდა კაუნა და თან ფეხით ხიდის ნერჩს * ვძებდა.

— არიქა, მაგრა თოკი, კაუნა! — უკიოდა ბუხუ ნაპირიდან.

— აბა, ახლა თქვენ გამოდით, — რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუყვირა კაუნამ ამხანაგებს, როცა დიდი წვალებით გავიდა გალმა, მაგრამ მისი ხმა წვიმისა და მდინარის შუილისაგან ძლივს ისმოდა.

— ჯერ მე წავალ, — თქვა ბუხუმ.

— ბატონი ბრძანდებით. მე კი გავცურო, მირჩევნია. თოკებით ბელში.

— მერე წყალმა ქვევით რომ წაგიღოს, ან ქვა მოგხვდეს, ხომ იცი, ცოტა ძირს თუ ჩაგითრია, მერე შენი ნაკუჭულუს ** ვერა ვნახავთ, თუ გინდ პატრიარქიც მოგიყვანოთ.

— ფიქრი ნუ გაქვთ, მხოლოდ თქვენ მშვიდობით გაბრძანდით.

შეეხია ბუხუ მდინარეში. ხიდს ქარი რუსულ აკვანივით აქანავებდა, ცხენები გახელებულ ზვირთებს გამწარებული ხვიხვინით ებრძოდნენ. როცა ბუხუმ კარგა წაიწია, კოსთაც შეერია მდინარეში და ორივენი დიდი ტანჯვის შემდეგ გავიდნენ გალმა.

— ძლივს გამოვედი, კინაღამ ფეხი გადამიცდა, — უთხრა ბუხუს კაუნამ.

—მეც, ძმაო, თმაში თეთრი გამერია, მგონია, ეს ყვაპუს *** შე-

* ნერჩი—ნიადაგი, ამ შემთხვევაში ჩელტი. ** ნაკუჭულუ—ნატამალი.
*** ყვაპუ—ერთგვარი ჭირია საქონლისა.

საჭილი ხორგული ცხენი სულ ქვევით იწევდა, შუა მდინარეში რომ ვიქნებოდი, ცალი ფეხი გადამივარდა ჩელტიდან. თავი ძლივს შევიმაგრე, თორემ შენი მტერი!..

რაც შემდეგ გზაში უსიამოვნება ნახეს ან წვიმისაგან, ან ტალახებისაგან და ან სხვა წვრილ მდინარეებში გასვლით, ის მათთვის სულ არაფერიღა იყო.

XIV

დანიშნულ დღეს მოვიდა უტუნას ცოლისძმა კერანდუხუ. მეზობლებმაც აღთქმა აღასრულეს და მოეხმარნენ უტუნას სიმინდის მარგვლაში. ძურგუმ ამ დღეს გათენებისას გაიღვიძა. იმ ღამეს თითქმის არ ეძინა. სულ მეორე დღის ნადობის სურათი ეხატებოდა თვალწინ. დილით ცხენი ადრე წაიყვანა და დააბა ჩინებულ საბალახოზე. აიღო თავისი პატარა თოხი და პირველმა დაიწყო მუშაობა ცოტა ხნის შემდეგ კერანდუხუც მოვიდა ურმით და თან მოიტანა მუშებისათვის საჭირო სასმელ-საჭმელი: ტომრით ფქვილი, გუდებით ღვინო, გასუქებული ბურვაკი, რომელიც გუშინ საღამოს მოამზადა, ქათმები, ინდაურები, ყველი და სხვ. კერანდუხუს თებროც მოჰყვა.

— შენ როგორ გამომექეცი ამ დილას, შე კიკო, შენა? — მიეალერსა პატარა ძურგუს ბიძა.

ძურგუმ ჩაიცინა და თოხის ქნევას ცოტ-ცოტათი უკლო. კერანდუხუმ ურემი გააჩერა და კარგა ხანს დაკვირვებით უყურებდა დისწულის მუშაობას. მისმა მზისაგან გაშავებულმა ლამაზმა პირისახემ, რომლიდანაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ააგულჩვილა კერანდუხუ და თვალთაგან ძალაუნებურად ცრემლები წამოუვიდა. თითქო სულ გადაავიწყდა თავისი თავი, ერთ ადგილას იდგა და ძურგუს შესჩერებოდა.

— დია, ჯიჯი, ხარებმა სულ შეჭამეს სიმინდი. რანაირ ადგილს გააჩერე ურემი, ფალაგისკენ არ წავიდეთ? — მიაძახა თებრომ.

კერანდუხუ გამოაფხიზლა თებროს სიტყვებმა.

— ახლავე, ახლავე! — იყო პასუხი. — აში! — დაუძახა ხარებს და გასწია ფალაგისაკენ.

— დაანებე, შენი ჯირიმე, ძურგუ, მარგვლას თავი, — უთხრა მან დისწულს. — დღეს, ღვთის მადლით, მაგას კი მოერევიან, ინდენი მოვლენ. შენი საქმე დღეს მხოლოდ წყურგილიდან წყლის მოტანა იქნება. ჯერ აქ მოდი და ცეცხლის გაჩაღება მიშველე.

წვეული ნადი მოგროვდა და დაადგა მუშაობას. გაჩაღდა საქმე. თოხის პირების არეული მარჯვე ქნევა, სხაპასხუპით ბალახის ჭრა და ბელტების დაფხვიერება, თითქო ჰაერსაც უკვირსო, სიოც კი არსაიდან სცემდა, ფრინველნი სიმღერა-ჭიკჭიკით აქეზებდნენ მუშაკთა. სათოხნი ახალმოსული წვიმის გამო საკმაოდ მჩატე სამუშაო იყო. მოწმენდილი ცა დაჰყურებდა ზურმუხტისფერ სიმინდს და გამხიარულებული მზე თითქო ულოცავდა სიმინდს მავნე ბალახისაგან განთავისუფლებას.

— აჰა, აჰა-ჰაა, ბიჭებო! — შესძახებდა ხოლმე მუშებს გრძელ, თეთრწვერა, მაღალი და მხიარული სახის გლეხი, რომელიც ნადის ერთ კიდეზე იდგა, გამწარებით მუშაობდა, მალ-მალ იფურთხებოდა ხელისგულზე და იმარჯვებდა თოხის ტარს. ყველანი ბეჯითად ეკიდებოდნენ თავიანთ საქმეს. მალე ოფლი წამოადგათ შუბლზე და ზოლ-ზოლებად დაიწყო დენა მათ ლოყებზე. როცა მუშები, ასე თუ ისე, მოიღალნენ, შეტეულ მუშაობას თავი დაანებეს და ნება-ნებად დაიწყო თოხმა ჩერკნა. მუსაიფი გახშირდა. ზოგმა ცოტა ხნით დაანება თავი თოხს და ყალიონს დაუწყო წევა.

— წვიმა რომ არ მოსულიყო ამ რამდენიმე დღის წინათ, მე შენ გეტყვი, გაფუჭდებოდა ჭირნახული, — დინჯად შენიშნა ერთმა შავწვერა გლეხმა, რომელსაც ჭვავის ღეროს ქუდი ეხურა ფართო ყალთებიანი.

— მართალია, ძმაო, — მიუგო ერთად რამდენიმემ,—ერთი კვირა კიდევ არ მოსულიყო წვიმა, მერე აქ მოსვლა არაფრად ეღირებოდა.

— გლეხის შველა მაინც არ არის, თუგინდ ბევრიც მოგვიდეს მოსავალი. სიმინდს ფასი არა აქვს და გაჭირვება კი აი ამოტელაა, აი,—გადაისვა თმაზე ხელი ერთმა, ასე ოცდახუთი წლის პირხმელმა კაცმა.

— რა ვქნათ, ძმაო, — მიუგო. გვერდში მდგომმა პირმოპარსულმა, — ალბათ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. ერი, ბერი — სულ ყველა ჩვენი საჭიროა და ჩვენი მშველელი კი არავინ არ არის.

— როგორ თუ რა ვქნათ? განა ჩვენ სხვებივით ადამიანები არა ვართ? — შეჰყვირა პირხმელმა.

— ვისი ბრალია, ნეტავი, ამდენი გადასახადის მოგროვება? ეს სულ ხელმწიფის ყარისკაცების საქმე უნდა იყოს. ეშმაკობაა, თვითონ ჭამენ და მერე ხალხს ახდევინებენ. — თქვა დინჯად პირმოპარსულმა.

— რაღა შორს მიდიხარ, ოთხი წლის ფოშთა ჩვენ მამასახლისს შეუჭამია და ახლა ნედოიმკად უნდა დააწერონ სოფელსაო, ამბობენ, — ჩაურთო სიტყვა ჩალისქუდიანმა.

— ჰე! — გაიკვირა ყველამ.

— გაუწყრა ღმერთი, ვინც არის, ჩვენ კი ლამის სული ამოგვაცალოს და, — თქვა გულისტკივილით ერთმა მოხუცმა.

— ჩვენი გაჭირვება სულ ჩვენი ნაჩალიკის ბრალია, — წამოიძახა ჭილოფისქუდიანმა, — ქურდობას ვერ სპობს და იმიტომაა, რაც უბედურება გვჭირს. დაიკარგება რამე, მივრბივართ საძებნელად, ვცდებით შვიდ-რვა დღეს და გლეხისთვის საათის გაცდენა ხომ ზარალია.

— მაინც როგორ გახშირდა ეს ქურდობა, შენი ჭირიმე! — უკვირდა პირმოპარსულსა. — უტუნას რას ერჩოდა ის კაცი? ამბობენ, კაენა და ბუხუ იყვნენო, ხორგაში სამი ცხენი ისეთი მოუპარავთ, ჩემი სიძის ძმამ მომიტანა ამ წინა კვირას ამბავი, რომ თითო ოც-ოც თუმნად ღირდაო.

— ყულისკარშიაც სახლი გაუტეხიათო, — დაუმატა ერთმა პირტიტველა ახალგაზრდამ.

— ვისი, ნეტავი? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— რა ვიცი! ვიღაც ახალდასახლებული ნავაჭრალი კაცისაო, ამბობდენ ზუგდიდში. ის კაციც დღეს ნაჩალიკთან არისო, მე კი არ მინახავს, მართალი უნდა მოგახსენოთ.

— ალბათ რამე ძვირფასი საქონელი ექნებოდა, — ჩაილაპარაკა ზოგმა.

— ქონდაო, ამბობდენ, სულომანი და ბევრი ოქროულობაო.

— ჰააიტ! მერე არ იციან, ვინ იყვნენ? — იკითხა პირმოპარსულმა.

— არ ვიცი სწორედ, ყოყმანობდნენ, ზოგი კაენას ისახელებდა, ზოგიც სხვას.

— სულ სისხლი გამიშრო ამ უჩიტელის და კლასის ამბავმა, — გაბრაზებით გაერია ლაპარაკში ერთი ჭაღარამორეული გლეხი, რომელიც ამ დრომდე გაჩუმებული და ჩაფიქრებული იყო. — თუმანი მივეცი, სამი მანეთი კიდევ უნდა მოგვცეთ, კლასი უნდა შევღებოთო. მეტი არა ვარ, ღმერთმანი! — თქვა და მარგველ დროებით შეაჩერა. — ნეტავი მოგება მაინც რამე გამოდიოდეს. ოთხი წელიწადია ჩემი ბიჭი სწავლობს და ჯერ არაფერი არ იცის. მე რა ვიცი ცოდნის, მაგრამ ცხენის მოწმობას ვერ დაწერს, თამასუქს ვერ წაიკითხავს, დაწერას შენც დაანებე თავი, კვიტანციას

ვერ დაწერს, მაშ, რად მინდა სწავლა. პრაშტი-პრუშტიო რაღაცას ამბობს. აბა რას ამბობ, ბიჭო-მეთქი? ბავშვები ყინულზე მარხილით სრიალობენო, მითხრა, თავის დღეში არ მინახავს, დამიფარე, ღმერთო, მიწაში კომბოსტო ამოდისო, ესენი რად მინდა, მიწაში ამოვა კომბოსტო, მაშ ცაში ხომ არ ამოვიდოდა. ცაში ვარსკვლავები ამოდიან. საწყალ კაჭუიას კლასში არ უსწავლია, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ სოფელს შველა არა ჰქონდა, რამე საწერი რომ გვექნებოდა, სულ იმასთან მივრბოდით, აცხოვნოს ღმერთმა. მაშ რა მასალაა შენი კლასი, ფულები კიდევ იმაზე ხომ ვხარჯო უბრალოდ?

— სიმართლეა, თამკოჩი, შენი სიტყვები, მაგრამ ნამეტანი კი მოგვივიდა მუსაიფით. შეხედეთ, შუადღეა და ჩვენ სამი ფრთა ხეირიანად ვერ გაგვიტანია. სირცხვილია, ბიჭებო, ხედავთ, მასპინძელი როგორ ცეცხლში იწვის სადილისთვის, აბა, ბიჭებო, ჰა, — დასძახა ჭილობისქუდიანმა.

ელვის უმალ დატრიალდა თოხები და ისევ გაცხარდა მუშაობა.

— არიქა, ბიჭებო, არიქა! ოდოია, ჩემო ძმაო, ოდოია შემოვძახოთ, თორემ ცუდად არის საქმე! — ჩქარა ოდოიაც მოისმა. ატყდა გრიალი მუშების სიმღერისა ჭალაში. მათი შეწყობილი ხმა ირემარეს ატკბობდა და შორს, შორს, ბორცვების კიდეს მახლობლად წყდებოდა ხმა გუგუნისა.

— კარგი, ბიჭებო. ახლა რამე ვჭამოთ. — მორიდებულად, ჩიბუხით პირში მიითავაზა ნადები კერანხუდუმ, როცა მზემაც კარგა აიწია და მუშების პერანგიც გაირეცხა ალალი ოფლით.

დიდი მუხის ძირში გრძლად დაგებულ ხის ფოთლიან შტოებს მოუსხდნენ ხელდაბანილი ნადები და გემრიელად შეექცნენ ცხელ ღომს და შემწვარ ბურაკს. ისე მადიანად ილუკმებოდნენ, რომ კაცს ძალაუნებურად ჭამის მადა გაეხსნებოდა. ნასადილევს ზოგმა დაიძინა, ზოგმა მდინარეში იბანავა და მერე ისევ ახალი ძალით შეუდგნენ მუშაობას. ყანა საღამომდე გამოიყვანეს ღვარძლისაგან. კერანდუხუმ სტუმრებს ვახშამიც კარგი გაუმართა. ღვინო უფრო ორჯერ მეტი დაალევინა. ნავახშმევს შეზარხოშებულები, მხრებზე თოხდაწყობილები სიმღერით და მხიარულებით წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ სახლებში.

მაიას მეცადინეობით და მეზობლებ-მოყვარე-ნათესავების შემწეობით უტუნა ორი კვირის შემდეგ ფეხზე წამოდგა, თუმცა ჯერჯერობით ხელს ძველებურად ვერა ხმარობდა. მამასახლისმა დროზე მოახდინა ჯეროვანი განკარგულება, მესამე დღესვე ოქმი

შეადგინა, დაწვრილებით აღწერა მომხდარი გარემოება და მაზრის უფროსს გაუგზავნა. ოქმში, სხვათა შორის, მოიხსენია ხეისთავების მეუფროსის უთუთიას იმღამინდელი ქცევა და აგრეთვე პატარა ბიჭის ჩვენებაც შიგ ჩასწერა. მაზრის უფროსი ვითომდა ბეჯითად მოეკიდა საქმეს. ოქმის მიღებისთანავე მიუწერა ხეისთავების მეუფროსეს, დაუყოვნებლივ გამოცხადდი ჩემთანაო, უთუთია არ ეურჩა უფროსის ბრძანებას და გამოცხადდა მაზრის სამმართველოში.

მაზრის უფროსი თავის საკუთარ ოთახში იჯდა დივანზე, როცა უთუთია შევიდა. ოთახი შესაფერად იყო მოწყობილი. კედელს ვარაყიანი შპალიერი ეკრა. კედლის ერთ კუთხის ზემო ნაწილში ეკიდა მაცხოვრის ხატი. მის ახლო ეკიდა კედლის საათი. უფროსს წინ ედგა მწვანე მაუდგადაკრული ლამაზი მაგიდა და კუთხეში იდგა ვეებერთელა შკაფი, ცალ-კარ ნახევრად გაღებული, საიდანაც წიგნები და ქაღალდები მოჩანდა. თვითონ უფროსი წვერ-ულვაწ გათეთრებული იყო, მომრგვალო პირისახისა. არც გამხდარი, მაგრამ მსუქანიც არ დაერქმეოდა. ტანთ ეცვა სამხედრო მუნდირი, ხელში ნახევრად მოწეული პაპიროსი ეჭირა. უთუთიამ შესვლისთანავე მძიმედ თავი დაუკრა და გაჩერდა.

— უთუთიას გაუმარჯოს! დაბრძანდი, კაცო, — მიუთითა უფროსმა სელზე.

— ვიყო, ბატონო, სულ ერთია, თქვენთან ფეხზე დგომა თუ გვეღირსება, სხვა რა მინდა.

— არა, კაცო, დაბრძანდეთ. მირჩევნია.

უთუთია ფრთხილად დაეშვა სელზე.

— რა ამბავს იწერება, კაცო, თქვენი მამასახლისი? ბუხუ დი კაენა უთუთიას სახლში იყვენონ, უთუთიამ გლეხის ცხენის მოპარვა ურჩიაო, ქურდებმა ცხენის წაყვანა რომ ვერ მოახერხეს, პატრონს რევოლვერი ესროლეს და სასიკვდილოდ დაჭრესო, — მდაბიურად მოუყვა უფროსი, ისეთი კილოთი, თითქო არაფერი საიმისო არა მომხდარა რაო.

— უჰ, უჰ! ბატონო! მერე როგორ მოიგონებენ ამნაირ საკვირველებას ეგ ოჯახდაქცეულები. მე რა ღმერთი მიწყრება, რომ ვერაფერს მოვიგონებ, — მუხლზე ხელის დაკვრით და თავის ქნევით მიუგო უთუთიამ. — მერე, ბატონო, ისიც ჩვენი მამასახლისი, ჰე! იმისთანა კაცი არათუ მამასახლისად, მოსამსახურედაც არ ვარგა. ვინ უთხრა ნეტავ ესენი? ჩემი მეზობლის პატარა ჩვილი მეთხე ბიჭი დაუჭერია და ჩამოკიდებია, უთუთიას სახლში რა ნახეო.

ბიჭს, რასაკვირველია, შეშინებია. აბა, რა უნდა ეთქვა. თქვენი წყალობა თითო-ოროლა ცხენი ყოველთვინ მყავს. ცხენები ვნახეო, უთქვამს ბიჭს. ისიც მიუქარავს, უთუთია სოფელში ყვირილის დროს არ ადგაო. შენ არ მომიკვდე, მაშინათვე ავდექი, შევიტყვე, რავარც იყო საქმე, და ქურდებს გამოვედევნე, დაჭრილის სახლში რომ მივსულიყავი, აბა, რა ექიმი ვიყავი? მართალია, მეორე დღეს ეკლესიაში მოლაპარაკება ჰქონდათ, მერე სასამართლოში, მე არ დავსწრებივარ. ბავშვი უკანასკნელ მდგომარეობაში მყავდა და სენაკში წამლისათვის წავედი.

— რა ვიცი, შენ კი გაბრალებენ და! თუმცა პატივისმცემელი კაცი ხარ, მაგრამ საქმე გამომძიებელს უნდა გადავცე, — ცალი თვალით შეხედა უფროსმა და ფლიდურად ჩაიღიმა ულვაშებში.

— ისე, შენ არ გწყევლი და ჩემმა ცოლ-შვილმა იხარა, როგორც მართალი მე იქიდან გამოვიდე, მაგრამ გაცდენა და საქმის ყიორი მეზარება, ცოლშვილიანი კაცი ვარ. არ მაყენებენ. თორემ შეჩვენებული ვიყო, თუ სუდის სადგომში თავის დღეში შევდგა ფეხი...

უფროსი გავიდა მეორე ოთახში. უთუთია გაშეშებული წამოდგა და ფერწასული იყურებოდა აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიდა უფროსის მწერალი, გრძელწვერა, ლამაზად თმაშეკრეჭილი. მწერალს ყვითელი შალის ჩოხა ეცვა; მისი ფეხსაცმელები ძალზე ჭრიჭინებდა. შემოსვლისთანავე მოცინარი სახით მისძახა უთუთიას:

— როგორ იზამ შენ საქმეზე. დღესვე გადავცეთ გამომძიებელს? — მწერალი, თითქო რაღაცას ელისო, შიგ თვალებში ყურებით შორიახლო დაუდგა უთუთიას.

— რა ვქნა, ბაცო, მირჩია რამე, — ხვეწნითა და ვედრებით მიმართა უთუთიამ.

მწერალს გაეცინა და თავი დააქნია. სახე ათასნაირად დაეღრიჯა და ბოლოდაღუნული ულვაშების გრეხით დადიოდა ოთახში. რამდენსამე საათის შემდეგ უთუთია სიხარულით მიდიოდა შინ. მწერალი და უფროსი რაღაც წითელ ქაღალდებს ერთიერთმანეთზე აწყობდნენ.

— საქმის ასე ჰალა-ჰალად აგდებაც არ შეიძლება, — ბრძნულად შენიშნა უფროსმა, როცა ქაღალდები შეინახეს. — უნდა დავამტკიცოთ, რომ მამასახლისი მტყუანია.

— დავამტკიცოთ, მერე ვერ დავამტკიცებთ? გაგონილა! ხუთი წლის ბავშვის ნათქვამი კაცმა საბუთად მიიღო. თვითონ უთუთიას

შემოვატანინოთ საჩივარი, რომ მამასახლისმა უბრალოდ გალანძღა კეთილშობილი კაცი. ქურდობა და ავკაცების მასპინძლობა დააბრალა.

მართლაც ასე მოიქცნენ და ერთი კვირის შემდეგ მამასახლისი უჯაქვოდ და უთუთია მხიარულად მიდიოდნენ შინ. „დამეხარჯა კია, მაგრამ, — გულს იკეთებდა უთუთია, — კაი მაგარ საქმეს ავცდი. გამომძიებელთან რომ გადასულიყო, ტყავს გამაძრობდნენ და ვინ იცის, რას არ მიზამდნენ კიდევ“.

რა არზები არ აწერინა უტუნამ, ვის არ თხოვა სამართალი, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ყოველმა მისმა ცდამ.

— რა გიყო, შე დაქცეულო, — შეუტია ერთხელ უფროსის მწერალმა, როცა უტუნა არ ეშვებოდა და გულსაწვავი სიტყვებით თავის თავგადასავალს უხატავდა, — კარგი, კაენა და ბუხუ იყვნენ, თუ გინდა; წადი, შენ დაიჭირე და ჩვენ ჭირას მოგცემთ. რაც შეეხება უთუთიას, მან კანონის ძალით გაიმართლა თავი და ახლა როგორ ვქნათ. ჩორთოზნაი, ამისთანა არეულ საქმეებს!

— მე რისთვის უნდა დავიჭირო? — გულმაგრად მიუგო უტუნამ. — მე რომ ავაზაკების დაჭერა შემძლებოდა, ნაჩალიკი ვიქნებოდი. ნაჩალიკს იმიტომ აყენებენ, რომ იმან უნდა გვმწყესოს ავკაცობისაგან.

— შენ, მგონია, ბიძია, ლაპარაკის მადაზე ხარ დღეს.

— მაშ რა ვქნა, რომ არ ვილაპარაკო, ჩემი გაჭირვება მალაპარაკებს.

— გადი აქედან-მეთქი, თორემ სალდათებს დავუძახებ ახლავე! — შეჰყვირა მწერალმა.

აბა რას იზამდა საწყალი დაუსამართლებული გლეხი, რომელიც ძლივს სუნთქავდა ავადმყოფობის გამო? გამობრუნდა და შინ წამოვიდა, უსკდებოდა გული უბედურს, მაგრამ ვის რას შესჩივლებდა! უფრო ის კლავდა, რომ ზოგიერთმა მეზობელმაც საყვედური დაუწყო.

— რა ცხენი გაგიჩნდა, შე კაცო, შენც აიშალე იმის გამოისობით. მამასახლისიც გააუბედურე, აგერ უთუთია, ხომ იცი, რა უბედური კაცია, უბრალოდ გადაიმტერე. ახლა მე ვიცი, უთქვამს, ჩემს გალანძღვას დაუჯდენ სოფელს ფასადაო. ხომ იცი, რა გავლენიანი კაცია! — ეუბნებოდნენ უიმისოდაც გულდაწყვეტილი უტუნას მეზობლები.

გაიარა სამმა-ოთხმა თვემ ამის შემდეგ და ახალი ამბავი მოეფინა მთელ მაზრას. ეს იყო გამოცვლა მაზრის უფროსისა. წარსუ-

ლით დაზარალებული, მომავლაში მოელის შველას და სიამოვნებით ეგებება მომავალს და კალთაგაშვერილი შეყურებს: ეგებ რამე მოწყალება მოიღოსო; წარსულით მოგებული კი ეჭვშია, ვაითუ მომავალმა მიმტყუნოს და ხიდი უდროოდ და უალაგოდ ჩამიტყდესო.

ახალი მაზრის უფროსის დანიშვნას ზოგი აღტაცებით მოელოდა, ზოგს კი არ ეჭაშნიკა ეს ახალი ამბავი. ვინ იცის, რა კაცია! — გაკვირვებით ამბობდა მეორე დასი. — რუსიაო, ამბობენ, ეგებ უბედური ვინმე გამოდგეს და ნემსის ყუნწში გაგვაძვრინოს, მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება ტყუილიც იყოს, ხმები დადის, თორემ ნამდვილად მოწერილობა ხომ არავის მოსვლია ჯერე, — ინუგეშებდა თავს იგივე დასი. — ღმერთო! მოგვხედე, გვიშველეო! — ლოცულობდა მომავლის იმედით მეორე დასი.

ხმა ტყუილი არ გამოდგა. მაზრის უფროსი ერთ დღეს აიბარგა, ყოველივე საქმე თანაშემწეს ჩააბარა და მოშორდა ზუგდიდს. არ გასულა ერთი კვირა, ახალი უფროსიც მოვიდა. მისი მობრძანების მეორე დღესვე სხვადასხვა ჯურის ხალხი შემოეხვია მის სადგომს: ვაჭრები, მოხელეები, თავადაზნაურობა, დაბალი ჩინოვნიკობა და გლეხები ერთმანეთს ეჯარებოდნენ მაზრის უფროსის პატარა ეზოში. აი, გამოვიდა კიდეც აივანზე უფროსი და წარდგა საზოგადოების წინაშე. ყველანი ახლო მივიდნენ. თავადიშვილები და გამოჩენილი კაცები აივანზე ავიდნენ და თითო-თითოდ გააცნეს თავი. უფროსმა ყველას სიამოვნებით ხელი ჩამოართვა. ის იყო დაბალი ტანის კაცი, ქერა წვერულვაშიანი. მისი პატარა, მაგრამ გამჭრიახი მოთეთრო თვალები ნემსივით ებნეოდა შემჩნეულ საგანს. უფროსი ყველას თამამად მიესალმა და მოკლედ, მაგრამ მტკიცედ განმარტა თავისი მოვალეობა იმ თანამდებობაზე, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ ჩააბარა. გაახსენა აგრეთვე საზოგადოებას, რა ტვირთია მაზრის უფროსის ტვირთი და როგორ უნდა იქცეოდეს მისი ხელქვეითი საზოგადოება, რომ მშვიდობიანი ცხოვრება დაიმკვიდროსო. თქვენი ქვეყანაო, — დასძინა უფროსმა, — როგორც მცენარეულობა ამტკიცებს, სამოთხე უნდა იყოს. ხალხიც, რაც შეგეხებათ გარეგნობით, სწორედ ღირსია, ედემის ცხოვრება ჰქონდესო. მაგრამ, საუბედუროდ, განათლების მხრივ ძალიან უკან ყოფილხართ ჯერა; მიზეზი ის სამარცხვინო ზნეა, რომელიც შეგპარვიათ და ქურდობაში გამოცხადებულაო. ამიტომ თავს არ დავზოგავ, რომ რამდენადაც შეიძლება, ეს ცუდი ჩვეულება მოვსპო

თქვენ შორის და მით დავიცვა თქვენი ქვეყნის მყუდროება, ხელი შევუწყო მრეწველობას და ზნეობის ამაღლებასაო.

უფროსის სიტყვებმა ზოგი ცას დასწია სიხარულით: აი გვეშველა, ეს რაღაც სხვა ამბავიაო, იფიქრეს ალალმართლებმა. ზოგი კი მოაწყინა, მაგრამ ჯერ კიდევ მომავალს მიანდეს თავისი ბედი და უბედობა.

რა გავრცელდა სოფლებში ხმა ახალი უფროსის დანიშვნისა, მოაწყდა ხალხი ზუგდიდს, თითქმის ყველანი ქურდობისაგან იყვნენ დაზარალებულნი და უფროსსა თოხვდნენ ამ უბედურებისაგან დაგვიფარეო. ახალი უფროსი, ტომით უცხოელი, სლავიანთა მოდგმისა, მოსვლისთანავე და არზების განხილვისთანავე ბეჯითად შეუდგა საქმეს. არ გასულა სამი დღე, რომ მის კანცელარიაში შვიდასამდე არზა მოგროვდა. ამ არზების განხილვამ დაარწმუნა უფროსი, რომ მათი დაკმაყოფილება ზუგდიდში ჯდომით შეუძლებელი იყო. საჭირო იყო, ყველა სოფელი დაეარა და პირად შეეტყო ხალხის გაჭირვება, გამოეკვლია ყოველივე თავთავის ადგილას და მერე შეძლებისდაგვარად ღონისძიება აღმოეჩინა დაზარალებულთათვის ქვეყნის შემაწუხებელთ მოშორებით. არზებში სულ ბუხუსა და კაენას სახელი იხსენიებოდა.

— ეს რა უბედურებაა, — დაეკითხა თავის საქმისმწარმოებელს, — სულ კაენა და ბუხუზეა საჩივარი, ვინ არიან ეს კაენა და ბუხუ?

— უჰ! გავარდნილი ყაჩაღები არიან, — წარბების აწევით მიუგო საქმისმწარმოებელმა, — მათი დაჭერა ბატალიონსაც არ შეუძლია.

— როგორ თუ ბატალიონსაც არ შეუძლია. კარგად ვერ მოგიკიდიათ ხელი საქმისათვის, თორემ ორი კაცი რა გახდა ისეთი, რომ ვერ დაიჭირეთ და ქვეყანას აწიოკებინებთ?

— რას ბრძანებ, ბატონო? რამდენჯერ დაედევნა ბოქაულისად გზა არ შეუკრა, სად არ დახვდა ყაზახებით, მაგრამ მათი დაჭერა არ იქნა. ტყვიის იმდენი ეშინიათ, რამდენიც ფოთლისა, თავს სასიკვდილოდ არა ზოგავენ და რას გახდება კაცი?!.

— როგორ დავიჯერო, რომ მათი მორჯულება ვერ შესძლო აქაურმა მართებლობამ, თუკი მოიქცა ისე, როგორც რიგი და წესი იყო. მათი ამგვარად გათამამება თქვენს დაუდევრობას უნდა მივაწერო. მერე თავადიშვილებიც არიან და! — გაოცებით გადახედა უფროსმა არზებს და მხარაწევით წარმოთქვა: — უჰ! უჰ! მეცხრამეტე საუკუნეა ვითომ აქაცა?!

როცა უფროსმა გადაათვალიერა არზები, მოემზადა სოფლებში სამოგზაუროდ. სხვათა შორის, იმ სოფლებშიაც მივიდა. სადაც უტუნა და უთუთია მოსახლეობდნენ.

მამასახლისის თანაშემწემ წინადღითვე შეატყობინა საზოგადოებას ახალი მაზრის უფროსის მობრძანება და დააავალა, რომ ყველანი საგლეხო სამმართველოში მოგროვილიყვნენ. დანიშნულ დღეს იწყო ხალხმა გროვება სასამართლოს წინ. ყველას თვალები ზუგდიდის გზისკენ ეჭირა, საიდანაც უნდა მოსულიყო უფროსი. აი გამოჩნდნენ კიდეც შორიდან ცხენოსნები. ხალხი აირია. ცხენოსნები სასამართლოს შენობის ახლო ჩამოხდნენ; მათ ხალხი მიეგება ცხენის ჩამოსართმევად. უფროსი აივანზე ავიდა, ხალხი ძირს შემოეხვია იქაურობას. ერთიერთმანეთს თავს ატეხდნენ. ვინც უკან მოხვდა, ფეხის თითებზე დგებოდა, რომ სახე მაინც დაენახა ახალი უფროსისა. უფროსს მოჰყავდა, ან უკეთ ვთქვათ, ახლდნენ თარჯიმანი, გადამწერთაგანი და რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი. სოფლის მამასახლისი (უთუთიასაგან დაყენებული) მოკრძალებით დადგა შორიახლოს. უფროსი მიუბრუნდა საზოგადოებას და თხოვა გაჩუმებულიყვნენ. მერე თითო-თითოდ იკითხა საზოგადოების გაჭირვება. გლეხთაგან სულ ის ისმოდა, რომ ქურდობისაგან დაეცვა ფარეთო. ახალ მირთმეულ არზებშიაც ქურდობის მეტი არა იყო რა. აქაც კაენას და ბუხუს სახელი ისმოდა. უფროსი რამდენსამე ხანს შეჩერდა და თავი გააქნია აქეთ-იქით. ამ დროს მოისმა რაღაც არეულობის ხმა. ვიღაც კაცი მოიწევდა ჯგუფად მდგომარე ხალხში და ყვიროდა: — გამიშვით, გამიშვითო.

— რა უნდა, გამოუშვით! — დაიძახა უფროსმა. ყველამ გზა დაუთმო და წარმოდგა უფროსის წინ ჯოხზე დაბჯენილი უტუნა. ერთ გვერდით ედგა ჩასქელებული მხარბეჭიანი კაცი.—ეს იყო ნამამასახლისარი, მეორე მხრივ დადგა წაბლისფერი წვერულვაშიანი ვაუკაცი,—ეს იყო კერანდუხუ. ამათ წინ წამოდგომისთანავე მოისმა ხმა მოაჯირის კიბესთან: ამათ კიდევ რა უნდათ ნეტავი. რას ეჩხირებიანო, — ეს იყო უთუთია.

— რა გნებავთ? — ალერსიანად დაეკითხა უფროსი უტუნას და თვალიერება დაუწყო, როცა წინ წამდგარებმა მძიმედ დაუკრეს თავი და ყაბალახმოხდილები უფროსის წინ გაჩერდნენ.

— მე, ბატონო, — დაიწყო უტუნამ, — ერთი მუშა, ცოლ-შვილის პატრონი კაცი ვარ. რაც გავჩენილვარ, მას აქეთ არაფერი ცუდი საქმე არ ჩამიდენია. შეიძლება თავს გაბეზრებდე ამ ჩემ-

უზრდელი ლაპარაკით, მაგრამ იმედია, თქვენი მფარველი თავი ყოველისფერს მომიტევებს.

— ნუ გეშინია, თქვი, რაც გინდოდეს! — დაკვირვებით და ოდნავ მოცინარი სახით მიუგო უფროსმა. თარჯიმანს უბრძანა, რომ ყოველი მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით და სწორად გადაეთარგმნა ჭისლვის. საზოგადოება სმენად გადაიქცა.

— მოგახსენებთ, ბატონო. ჩემი არ იყოს, მამაჩემიც ცუდი კაცი არ იყო. რაც ბატონყმობა გადავარდა და განთავისუფლდა (დოლმაბორუ იყო საწყალი), მაშინათვე ცალკე დაესახლა. მას შემდეგ სასახლეში ფეხი არ შეუდგამს. მუშაობდა საქმის დღეებში, დადიოდა ეკლესიაში უქმ დღეებში. არავის არაფერს ართმევდა, უკანასკნელ ბუზსაც არ აწუხებდა. შვილები ბევრი გაუჩნდნენ, მაგრამ ღმერთმა არ ინება მათი სიცოცხლე: ჩემ გარდა ყველამ თქვენი ჭირი წაიღო. სანამ ცოცხალი იყო, სულ სიმართლით და პატიოსნებით ცხოვრებას მისახელებდა. თავისი შრომა-ღვაწლით გვარიანი ოჯახი დამიტოვა. ცოლი მაშინ ახალშერთული მყავდა ერთ ქარიან დღეს გამიწყრა ღმერთი, მოეკიდა ჩემ ოჯახს ცეცხლი და მტვრად იქცა. ასე გასინჯეთ, უკანასკნელი ქათამიც არ გადარჩენილა. ვიშრომეთ მე და ჩემმა საწყალმა ცოლმა და, როგორც იყო, ღვთის და კეთილი მეზობლების წყალობით, ისევ სული მოვიდგით. გარდასახადი ფულების ნედოიმკა ერთი გროში არ მემართა, გზის გასაკეთებლად ყველაზე ადრე მივდიოდი. ჩემი ერთი ბეწო ცუდი გული არავის ახსოვდა. რა ნახეს ჩემთან შესაშურებელი? ერთ ღამეს დამეცენ ავაზაკები და, აი ბატონო. რა მოყვეს,—გაიწოდა უტუნამ დაარტაშნებული მკლავი,—უმარგლავი ყანა პირალმა დამირჩინეს. ჩემი წვრილი ცოლ-შვილი მაინც არ ენაღვლებოდა დაქცეულს? ცხენი მომეციო! ერთი გლახა ცხენი პატარაობიდან გაზდილი მყავს, აბა, შენი ჭირიმე, რატომ მივცემდი? ვისი რა მემართა? მესროლეს ლივერი და, ა, ბატონო. — უტუნამ თავი ვეღარ შეიმაგრა და ცრემლები გადმოაფრქვია თვალებიდან. მერე ისევ შეიმაგრა თავი, თვალები მოიწმინდა და ალმური მოეკიდა პირისახეზე. — რა ვქნა, ბატონო, ქვეყანაზე სამართალი ვერ მოვძებნე. ზღაპარისა არ იყოს: რომ ვთქვა, მამა მომიკვდებაო, არა ვთქვა — დედა მომიკვდებაო! ვთქვი რამე — უარესი დამემართა, გავჩუმდი — შემჭამეს. ახლა კი არავისი არ მეშინია. რაც დამემართება, დამემართოს, მომკლა ამდენმა შიშმა. აი, შეხედეთ, ბატონო, — მიუთითა უთუთიაზე, — ის არის ჩემი დამოუპველი, ჩემი კი არა, მთელი სოფლისა. იმან შემიჩინა ავა-

ზაკები, თვითონ მის სახლში დადიან ისინი. ვის არ ვთხოვე, ვეხვეწე; მაზრის უფროსს ბუზი არ დავუყენე კარზე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ჩემი გულისათვის... აი ეს კაცი მამასახლისი იყო, როგორ გაბედე, ლაპორტი წარუდგინე ნაჩალიკსაო, გადაუყენებია და ისეთივე ქურდი დააყენეს, როგორიც თვითონ არის. მე სულ სიმართლეს გეუბნებით, ბატონო, და ჩემ სიტყვას, ვისაც ბულ-ღვიძლი აქვს, ყველა გაიმეორებს, რადგან ყველასთან მიუძღვის ამას ცუდკაცობა.

უთუთიას მიწისფერი დაედო. ტუჩები ძალაუნებურად ოდნავ-როდ აუბუტბუტდა. წვერებზე ხელი მოისვა, თვალები გააჭყიტა და აქეთ-იქით მორცხვად და გაბრაზებით დაიწყო ყურება. უნდოდა ეთქვა რაღაც, როცა უფროსმა მისკენ მიიხედა, მაგრამ ენა არ დაემორჩილა.

— შენ მამასახლისად იყავი? — ჰკითხა უფროსმა უტუნს გვერდით მდგომ ნამამასახლისარს.

— დიაღ, ბატონო, გთხოვთ, ერთი-ორი სიტყვა მათქმევინოთ.

— თქვი.

— ჩვენ გაუნათლებელ ქვეყანას სხვა უბედურებასთან ერთი უბედურებაც დაემართა. ეს ის გახლავთ, რომ თვალწინ ვხედავთ, რაც არის ჩვენი მავნებელი, შეგვიძლია მოვიშოროთ და ვერ მოგვიშორებია, რაღაც შიშისა გამო. ნეტა ვისი გვეშინია? ისევ ჩვენი თავისა. ჩვენში, მოგეხსენებათ, ქურდობაა. მისგან თავის დასაფარად საზოგადოება ხეისთავებს ირჩევს და მათ მეუფროსეს. თუ უნდათ იმათ დაიფარონ საზოგადოება ქურდობისაგან, თვითონ მართალი და პატიოსანი ხალხი უნდა იყვნენ. ნამდვილად კი ასე არ არის. ეს მაინც საზოგადოების სრული ნებაა, და ქურდობისაგან მფარველობის მაგივრად ხეისთავებად და მათ უფროსებად ისევ ქურდებს ირჩევენ. მაგალითად, აი ის აზნაურიშვილი, რომელიც ახლა ამან დაასახელა, სულ ყველამ იცის, როგორც დღევანდელი დღე, რომ მართალი კაცი არ არის და მაინც იმას აყენებენ ხეისთავების უფროსად და ხეისთავებად იმის შეგირდებს. რასაკვირველია, საითაც ის ხელს დაუქნევს, ყველანი იქითკენ მიდიან, ამით არათუ არ ისპობა ეს საძაგელი ჩვეულება, თანდათან მატულობს კიდეცა. ლამის ქვეყანა გაღატაკდეს. ამის სახლს რომ დაეცენ ის ავაზაკები, ცხადად შევიტყვეთ, რომ უთუთიას სახლში იყვნენ. მე, რასაკვირველია, ოქმი შევადგინე და მაზრის უფროსს გავუგზავნე. ეს რომ გაეგო, წასულიყო, თავი გაემართ-

ლებინა ქრთამით, მე დავებეზღებინე; მამასახლისობა ჩამომართვეს, ან კი ვის უნდოდა?! ახლა კიდევ ყველგან იქადის, დამაცათ ჯერე, მე თქვენ გიჩვენებთო.

ხალხში გრიალი გაისმა, უმეტესობა მამასახლისის სიტყვებს ამოწმებდა.

— კარგი, ახლა თქვენ ჩუმად იყავით, — უთხრა უფროსმა უტუნას და ნამამასახლისარს, რომელსაც გუსარიას ეძახდნენ. — მობრძანდით ახლა თქვენ, — მიუბრუნდა უფროსი უთუთიას.

უთუთია წარდგა უფროსის წინაშე და რაღაცის თქმა დააპირა.

— არა, მომითმინე, — დაიძახა აჭარხლებულმა უფროსმა: — ამ კაცის სახე ამტკიცებს მის სიმართლეს და თქვენი სახე თქვენს სიმტყუნეს. აი საზოგადოებაც. თქვენგან არავითარს თავის გამართლებას არ მივიღებ. მე სხვადასხვა არა ვარ, თუ სხვასთან გითამაშნია, ის გეყოფა და ჩემთან თამაშობისა რა მოგახსენო. მოკლედ გეუბნები და მტკიცედ: თუ ამ ორი კვირის განმავლობაში ამ ორ ავაზაკს, რომელთაც მთელი ქვეყანა შეუწუხებიათ, არ მოვიყვან, იცოდე, როგორც პატიოსანი კაცი, ისე გეუბნები, სამშობლოს საუკუნოდ გამოგასალმებ.

— მომითმინეთ, ბატონო! — ხვეწნით და გულზე ხელის დადებით შეევედრა უთუთია.

— აპა-პა, სუ! რაც ვთქვი, ვთქვი, ან შენვე გაასწორე შენი შეცდომა, ან მიბრძანდი, სადაც შენისთანების ადგილია. აბა, თუ სინიდისი შეგრჩენია, შეხედე ამ ფერმიხდილ და ხელაკრულ კაცს. ამას ჭამა არ უნდა? ცხოვრება არ უნდა? ცოლ-შვილის რჩენა არ უნდა? შენ ხომ გესიამოვნება უდარდელი ცხოვრება? განა ისიც შენისთანა კაცი არ არის? შენისთანა გული და სული არა აქვს? შენ კი, — მიუბრუნდა უფროსი უტუნას, — ამის შემდეგ თუ ვინმემ შეგაწუხოს, პირდაპირ ჩემთან მოდი. არზა არავის დააწერინო, როგორც დღეს, ისე პირად მელაპარაკე, რაც გინდოდეს. ახლა შენ მოდი აქ, — მიუბრუნდა უფროსი გუსარიას, — გსურთ ეს ისევ მამასახლისად? — დაეკითხა ხალხს.

საზოგადოებამ ერთბაშად თანხმობა გამოუცხადა. უფროსმა ჯაკვი თავის ხელით გადაჰკიდა გუსარიას. მერე მიუბრუნდა საზოგადოებას, ბევრი უქადაგა, განსაკუთრებით ქურდობის წინააღმდეგ, განიხილა სხვა საქმეებიც და დაბრუნდა უკან.

XV

ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა. უთუთია შინ. ცოლი შეეკითხა: — რა მიზეზია, რომ აგრე აღშფოთებული ხარო. იმას ეგონა დღეს უფროსი მობრძანდება, ჩემი ქმარი ხეისთავების მეუფროსეა, ქებას მიიღებს და გახარებული დამიბრუნდებაო. უთუთიამ პასუხის მაგივრად დაღრეჯით დაუჭნია ხელი. მაშინათვე ცხენი გამოიყვანა, მოადგა უნაგირი და უძრახად გავიდა ეზოდან. რანაირ არ ეხვეწა ცოლი, ხმა ამოიღეო, მაგრამ უთუთიამ ყურადღება არ მიაქცია.

დაღამდა კიდეც, უთუთია მიდიოდა უგზო-უკვლოდ. „ვაი დასწყევლა ღმერთმა, — ფიქრობდა, — როგორ გვიმტყუნა ბედმა. როცა შევიტყვე ამ ძაღლის დანიშვნის ამბავი, მაშინათვე ეკალივით მეცა გულში. ტანმა მიგრძნო, რაც იქნებოდა მისგან. იმნაირად მითხრა, ტყუილი და პირის გამტყუნება არ იქნება, არც სხვა რამე ხერხი გამივა. ნამდვილად გამომასალმებს აქაურ არემარეს, თუ არ ავასრულე, რაც მითხრა. ეს მუდრეგი ვინმე იქნება ვადმოვარდნილი. სხვა გზა არ არის, უნდა ვუღალატო ბიჭებს. ძნელი კია. მერე ვის? ალმასხანის შვილს. ვაი უბედურებავ, დაიღუპა ჩვენი ქვეყანა. დაგვეკარგა პატივისცემა. თავად-აზნაური ბლეხს გაუსწორეს. უტენა ნადოლმახორუ ამას მიშობა, სხვა რას მიზამს. ჯანი გავარდეს, მეც კაენა და ბუხუს შევუერთდები და წავალ სათათრეთში, მაგრამ ცოლ-შვილი? რა ცუდ მდგომარეობაში ვარ! ქემაინც მერე არაფერს მიზამდეს ოჯახდაქცეული!“

ამნაირი ფიქრები ესეოდა უთუთიას გონებას. დროგამოშვებით როცა გონს მოვიდოდა, ჯავრს ალალმართალ ცხენზე ჰყრილობდა: მწარე მათრახის ცემით. უგზო-უკვლოდ ტყეში სიარულით ცხენი ქაფში ცურავდა. უთუთიამ თითქო გამოიღვიძა. ცხენიდან ჩამოხდა, დაბა და თვითონ ხის ძირში ჩამოჯდა. დაღლილი ცხენი მწარედ ჯიჯგნიდა ხის ტოტებს. უთუთიამ პაპიროსს მოუკიდა, თავი ხეზე მისდვა და მიეძინა. როცა თვალები გააჭყიტა, გათენებულიყო კიდეცა. ხის ფოთლები ანკარა ნამს გადაერეცხა. ნისლი ალაგ-ალაგ სქლად მოგროვილიყო. ცხენს აღვირისთვის მოეშვა და შორიახლო გვიმრას ჭამდა ხარბად. უთუთიამ საჩქაროდ თვალები მოიწმინდა, თავზე ხელი გადაისვა და ცხენისაკენ გაექანა. დაადგა გზას. ცოტა თავის ტკივილიც იგრძნო. თავის ტკივილმა თანდათან უმატა. ალბათ, წუხელ გავცივდი და ეს არის მიზეზი თავის ტკივილისაო, — ფიქრობდა უთუთია გზადაგზა, — მაგრამ ხად

მივდივარ ახლა!.. თუ გინდა გამიფუქებია სინიდისი და მიღალატნია ბიჭებისათვის, როგორ უნდა მოვახერხო საქმე, განა ისინი თავიანთი ნებით წამომყვებიან ნაჩალიკთან?“ ბევრი იფიქრა უთუთიამ და ბოლოს შემდეგი დაასკვნა: „ჯობია ისევ უფროსთან მივიდე და ვთხოვო, რომ ბოქაული მაინც დამიმარაგოს ჩუმად, რომელიმე ღელეს პირად, რომ ისინი იქ გავიყვანო და ხელში მივცე“. მცირე სადილობას რომ იტყვიან, სწორედ ის დრო იქნებოდა, როცა უთუთია ზუგდიდს მიუახლოვდა. პარასკევი დღე იყო. ამიტომ მრავალი ქალი და კაცი მოდიოდა ზუგდიდში სავაჭროდ. ზოგს სხვადასხვა ხელნაქსოვი შალისა და აბრეშუმისა მოჰქონდა გასაყიდად, ზოგს სხვადასხვა სანოვაგე, ზოგს ხილი და სხვ. ზოგი ამაყად ცხენზე შემჯდარიყო და თავმომწონედ მოათოხარიკებდა. უთუთია შევიდა შუა ბაზარში, ანუ, როგორც ეძახიან, საბერაღოში. საბერაღო ხალხით იყო სავსე. ფოთლებით დაბურული, მწკრივად დარგული ჭადრის და აკაციის ხეები და მათი მოლიანდაგე მოჩანჩქარე ანკარა წყარო და იქავე მოვაჭრე ქალ-ვაჟების გროვა, მოწმენდილ ცასთან შეერთებით, მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. ფხკ, ფხკ, ფხკ, გაჰქონდა ფხაკუნი თიხის ჭურჭელს, რომელსაც მეჭურჭლე წკნელს სცემდა, რომ ჭურჭლის სიმაგრე ეჩვენებინა მუშტრისათვის. „რა ღირს, დაია, შენი ყველი?“ — ეკითხებოდნენ სხვადასხვანი ლამაზად ჩაცმულ გოგოებს, რომლებიც ბამბასავით თეთრ სულგუნებს, წმინდა ხელსახოცზე დაწყობილს, გვერდით უსხდნენ.

— აბაზი, ბატონო!

— ო! ძვირია.

— ბიჭო, მსხალი და კიტრი რომ მოგიტანია, ქინაქინა მოგაქვს თუ არა? — ეხუმრებოდნენ დაბელი ბიჭები სოფლელ ბიჭებს.

— აბა, ბატკანი, ბატკანი იაფად! გაიყიდა, აღარ დარჩა! — გაისმოდა ერთ მხრივ.

— სიმინდი აქეთ, ძმობილო, მოყვარეო, გამზრდელო, ძმაო! ძმაო, აქეთ სიმინდი, მართალი სასწორი მაქვს! — უძახდა მეორე ხიმინდით დატვირთულ ცხენიან გლეხს.

— არა, გატყუებს, მაზანდა ჩემთან მეტია ორი კაპეიკით.

— არა, ძმობილო, არ დაუჯერო.

მაგრამ გლეხი არც ერთს არ აქცევდა ყურადღებას, იმისი ფიქრი მხოლოდ ის იყო, რომ ცხენი დაფრთხა ხალხის დანახვით და სიარულს უკლო, გლეხი აღვირს ძალად ეზიდებოდა და ცხენს უჯავრდებოდა. რაც შეეხება სიმინდის გაყიდვას, მან იქაური ამბავი კარგად იცოდა. ადრევე იყო გარიგებული ნაცნობ მესიმინ-

დესთან, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ არ მოატყუებდა. შლიაპა-ტურნურებსაც არ იყო მოკლებული ეს ბედნიერი დღე. ვრილ საამო შუქიან ბულვარზე ჭრელ-ჭრელ ახალ მოდის ქოლგებით მოჩანდნენ განათლებული კაცების შვილები. იქვე ნახავდით სერთუკიან კავალრებს, გახამებული პერანგებით და ლამაზი ჯოხებით ხელში.

მედუქნეების, განსაკუთრებით მეფართლეების ბენეფისი იყო იმ დღეს. ისეთ მეფართლეს ვერ ნახავდი, რომ რამდენიმე მოვაჭრე ქალი არ გაგერჩია მის დუქანში.

— ღმერთი, რჯული! ნაკლებად არ მოვა, მოსკოვიდან მოგვიტანია! — კბილის ღრეჭით და თავის დახრით ეფიცებოდნენ ჯოხტა ჩოხებში გამოჭიმული დახლიდრები ახალგაზრდა მუშტრებს. — გაბუნება როგორ შეიძლება, განა ურჯულოები ვართ, რომ წუნი საქონელი ვყიდოთ? სხვაგან ნაკლებათ ვერ იშოვნით. პატიოსნებას ეფიცებით. თქვენი ხათრი, ჰა, ორი შაურიც დამიკლია. ეს მოგიკვდეს, თუ ნაკლებად გავყიდო, აქ რომ დალპეს მაინც. დადა! ჭობრძანდით. შვიდი სახარება გამიწყრეს, თუ შვიდ შაურად აქეთ არ იყოს ნაყიდი! — მოვაჭრე ქალები, დახლიდრის ამდენი ჩიჩინით გაოგნებულები, მხოლოდ ხანდახან ტუჩებს კუმავდნენ. ეტყობოდა გამოცდილნი და მიჩვეულნი იყვნენ ვაჭრების ფიცს. თუ ბევრი ვაი-ვუის შემდეგ დაეთანხმებოდნენ ერთმანეთს, თვალებგაბრწყინვებული დახლიდრები აიღებდნენ ხელში არშინს, მშვიდობაში, ბედნიერებაშიო დასძახებდნენ და სწრაფად გაზომავდნენ რამდენსამე არშინს. „ჰა, ესეც მომიმატებია“. გადახევის დროს პირს ათასნაირად დაღრეჯდნენ, თითქო ძლიერ მაგარია და გაგვიჭირდა გადახევაო.

უთუთია ისე შევიდა ბაზარში, რომ არაფერს ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. მხოლოდ უფროსი და იმისი კანცელარია ელანდებოდა თვალწინ. მხოლოდ უფროსის სახელი ეხატებოდა. უთუთია უფროსის ეზოში შესვლისთანავე ცხენიდან ჩამოხდა, ეზოს მესერზე გადაუგდო აღვირი და შიგ შევიდა. ბედზე, შესვლისთანავე უფროსი შეხვდა. უფროსმა იცნო უთუთია და თავის დაკვრის უმალ შეეკითხა: — რა ჰქენიო. უთუთია მოწიწებით დადგა უფროსის წინაშე და მოახსენა: — ბატონო, თქვენი ნების აღმსრულებელი ვარ, მაგრამ თქვენც უნდა მომცეთ რამე შემწეობა. ბოქაული უნდა გამომაყოლოთ.

უფროსს პირისახეზე ღიმმა გადაჰკრა, თვალები გაუბრწყინდა.

— მე ნურაფერს მკითხავ მაგ საქმეში. მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. სწორედ ორი კვირის განმავლობაში ორივე ავაზაკი ხელში უნდა მყავდეს. წადი, თუ გინდა, ბოქაულთან და როგორც გინდათ, ისე მოიქეცით.

უთუთიამ მოწიწებით თავი დაუკრა უფროსს და გასწია ბოქაულისაკენ. ბოქაულს გაეხარდა, ავაზაკების დაჭერას მე მომაწევენ და ჯილდოს მომცემენო. უთუთიამა და ბოქაულმა ბევრი ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ბოქაული ერთ ტყიან ველეს პირად დადარაჯებულიყო ყაზახებით. უთუთია გამოატარებდა ამ გზით ავაზაკებს. თვითონ მე წინ წამოვალ და განიშნებ ნით, რომ ცხენს მათრახს შემოვკრავო. მისთვის ხელი არ უნდა ებლოთ, ვითომ გაგექეცითო, და ორი დანარჩენი კი უნდა გაეთოვნათ.

ყაჟუამ და ბუხუმ ცხენები კარგ ფასად გაყიდეს. ორი რჩეული ცხენი კი თითონ დაინარჩუნეს. მერე ნათესავების და ნაცნობების ნახვას მიჰყვეს ხელი. არავის უცხადებდნენ თავიანთ სურვილს რომ ენ მიეჩვევნენ ნათესავებთან ლხინ-ქეიფს, რომ თავიანთი მოსაზრება თოქო გადაავიწყდათო. ასე გასტანა დრომ ახალ უფროსის მოსვლამდე... რა შეიტყეს ახალი უფროსის მოსვლა და ჯერ კიდევ ვითომ ქორები მისი სასტიკობის შესახებ, ორივენი საჩქაროდ შეუდგნენ მზადებას. საუბედუროდ, ნაშოვარი ფული დაეხარჯოდათ. საჭირო იყო მაგიერის მოპოება. მაგრამ როგორ? ჯერ ის უწინდელის შოვნაზე რამდენი უბედურება გამოიარეს და ახლა ფული არავისთან ეგულებოდათ. სესხადაც აიღებდნენ, თუ ვინმე მისცემდა, მაგრამ აფხაზეთში, სადაც „ურიობას“ სუსტად აქვს ფესვი გამდგარი, ფულს ვინ მისცემდა? საჭირო იყო ჩვეულებრივი ხერხი, მაგრამ იმდენი დრო არა ჰქონდათ. ახალი უფროსის ეშინოდათ. უთუთიას ბედზე მისი ამბავი არ იყო ჯერ მათ ყურამდის მისული. დიდს გაჭირვებაში კი იყვნენ იმხანად. ყოველ საათს. ყოველ წუთს ანგარიშობდნენ, თათბირობდნენ, რომ როგორმე გაელწიათ საზღვარგარეთ. ამ ჯავრით ჩანთქმულნი მიდიოდნენ ლხინი უგზო-უკვლოდ და მოულოდნელად უთუთიას კი შეხვდნენ ბნელი წარმოსადგენია ის სიხარული, რომელიც იგრძნეს მის დანახვაზე. ბუხუს თავისი მამა რომ ენახა, ისე არ გაუხარდებოდა უთუთიას კი მათ დანახვაზე და მათ ალერსზე სისხლი გაუშრა. გულმა ცემა დაუწყო. ყოველ მათ მიალერსებაზე თავში დაჰკრავდა ზარს და ფეხებამდე გავიდოდა. თუმცა პირით იცინოდა, ძველებურად სიამოვნებით ხუმრობდა, მაგრამ მაინც ამ ძალაუნე-

ბურად დაღუშულ პირმოთნეობაში ყოველივე ნათლად ჩანდა, თუ კაცი დააკვირდებოდა უთუთიას პირისახეს და მისი თვალების მეტყველებას. კაენა და ბუხუ უთუთიას ნახვით გახარებულები ვერაფერს არჩევდნენ მის პირისახეზე, გარდა სიხარულისა და მეგობრობისა, რადგან თვითონ ამნაირი გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი.

კაენამ და ბუხუმ ყოველივე უამბეს უთუთიას.

— შეეცდით, უთუთია, რომ მაშინათვე არ წავედით სათათრეთში. ვერ მოვშორდით ნათესავებსა და მეგობრებს. შენმა ნახვამ კი ახლა გული ცოტად შეგვიმაგრა. უნდა მოგვეხმარო რამე. შევიტყვეთ, რომ უანგარიშო არზებია ჩვენზე მისული. უფროსიც მეტსასტიკიაო. ვინც გინდა იყოს, ადვილად თავს არ დავანებებთ. მაგრამ ღალატის გვეშინია, ხომ იცი, ქვეყანაზე ნდობა არ არის.

ამის გაგონებაზე უთუთიას ერთ წუთს თვალები დაუბნელდა. ხახე გაულურჯდა. კაენამ შეამჩნია ამნაირი ცვლილება და ეცა ცხენიდან უკვე ჩამოსავარდნად გადმოშვებულ უთუთიას.

— რაა, შენი ჭირიმე, უთუ? რა დაგემართა, შე კაცო! — ბუხუ აიჩქაროდ წყალი მოარბენინა მათარით და შეასხა პირისახეზე ბევრს ეცადნენ ორივენი და, როგორც იყო, მოაბრუნეს. უთუთიამ თვალები გაახილა, თავი შეიმაგრა და ზეზე წამოდგა.

— უჰ! რა დამემართა, ეს რჯულძაღლი!

— რა იყო, შე კაცო? — შეეკითხნენ ორივენი.

— კაცო, წუხელ მინდორში მეძინა, ცხენს ვმწყესავდი და იქ ალბათ გავციოდი. დღეს დილით საშინელი თავის ტკივილი ამყვა. ახლა თითქო ტყვია მომხვდაო, უცბად გული წამივიდა.

— აი, შეხედე, გაციებულხარ! რამდენჯერ მითქვამს, — მიეალერსა კაენა: — კაცო, ღვთით არაფერი გიშავს, მოჯამაგირე გყავს და რა ჯინია, შენ შენი ხელით არ გააკეთო ყველაფერი.

უთუთია სრულებით მოსულიერდა. მზე ჩასულიყო კიდეც.

— სოხუმში უნდა წავსულიყავი, — უთხრა უთუთიამ, — მაგრამ ბევენმა მდგომარეობამ შემაცვლევინა აზრი. აქეთ, ანაკლიის ახლო, ერთი ბერძენი სიმინდს ჰყიდის. ფული სწორედ ექნება და არა უშავს რა, თუ იდროებთ. მერე სათურქოში წასვლა გადავდილდებათ. ახალი უფროსი, რომ ამბობენ, იმდენი არაფერია. მაგრამ მაინც ჯობია თქვენთვის, თუ დროებით თავს დაანებებთ ამათ. მერე როცა დაავიწყდება ყველას თქვენი ამბავი, როცა გული ცოტად თუ ბევრად მოურბილდებათ, შეგიძლიათ დაბრუნდეთ. ცოლი შეირთოთ და იცხოვროთ. სულ მარტოხელობა ხომ არ

იქნება... იმ ბერძნის სახლში ამაღამ არ გირჩევთ წასვლას. ამალან ვერ მივალთ, შინ არის, ხვალ დილით, როგორც შევიტყვე, სტამბოლში წასვლას აპირობს და შინ საშიშს არავის ტოვებს. თქვენ ამაღამ სადმე აქ ღამე გაათენეთ და მე ხვალ ამავე დროს, აი იმ მუხასთან მოვალ, თან უფრო კარგად შევიტყობ საქმეს.

კაენა და ბუხუ მხიარულად შევიდნენ ტყეში, უფრო საიდუმლო ადგილას და იქ დააპირეს ღამის გათენება. ვახშმად კაენამ ერთი მოზვერი მოიყვანა მინდვრიდან და მისი მსუქანი სუკები რამდენსამე ხნის შემდეგ ლამაზად შიშხინებდა გაჩაღებულ ცეცხლზე.

უთუთია ცოცხალ ტყუილებს ამბობდა და გულში დაუშრეტელ ცეცხლი უგურგურებდა. ბოლოს დაფიქრდა, შუბლზე ხელი გადაისვა, ერთი სამიოდეჯერ გადააფურთხა, თავი დაიქნია და თქვა: „მადლობა ღმერთს, ჩემი ბედი ასეთი ყოფილა“ და გაუდგა გზას. იმ ღამესვე მოელაპარაკა ბოქაულს და მეორე ღამეს შინ არ წასულა, ისე წამოვიდა დანიშნულ მუხისაკენ.

დაღამდა. გობისტოლა მთვარემ ზლაზნით ამოჰყო თავი და ნელ-ნელ გაჰფანტა მოცინარი სახით თავისი მკრთალი სხივები ვარსკვლავები თავიანთ მღვდელმთავარს საგარეო ტანისამოსით მიესალმნენ და თავთავის საქმეს დაადგნენ. აქა-იქ გაფანტულ ღრუბლებს თითქო შერცხვათ ცის ბრწყინვალებისაო, მიიმალ-მოიმალნენ, მხოლოდ ცოტაოდენი თხელი ჯინიანი ღრუბელი უბოდიშოდ დაეცა ბრწყინვალე მთვარეს და რამდენსამე წამს სრული სინათლე დაუკარგა. დარბაისელი მთვარე არ გაფიცხდა ლირფი ღრუბელის შეურაცხყოფით. ნელ-ნელა მოიშორა ღრუბელი და ბოლოს მისი კვალიც გააქრო. მთვარემ ზევით აიწია, განათლდა მინდვრები. სამაგიეროდ, ტყისა და მთების ცალი გვერდი ჯოჯოხეთივით დაბნელდა. სოფლებში ივახშმეს კიდეც და დღისით მუშაობისაგან დაღლილები მოსვენებას მიეცნენ. მხოლოდ ოჯახის ერთგულ ყარაულ ძაღლებს არ შეუწყვეტიათ მოუსვენარი ყეფა. საწყალ ძაღლები უბრალო ფოთლის დაშრიალებაზედაც ერთ ვაი-ვუის ასტეხენ ხოლმე და ყვირილით მირბიან უგზო-უკვლოდ. ადამიანისთვის თავს არა ზოგავენ. სოფლელები კი ორიოდე ნაცრიან ლუკმას გადუგდებენ ნასადილ-ნავახშმევს და შაბაშ. ასე უმასპინძლდებიან სოფლელები ერთგულ დარაჯებს. ქალაქელები კი ორგულ, ზანტ და მუქთახორა ძაღლებს საპნით ბანენ და ხავერდის ბალიშებზე აწვენენ. ორივენი ცდებიან, როგორც სოფლელები, ისე ქალაქელები. პირველები გამრჯელს უპატიურად ეკიდებიან, მეორენი უქმ-მცონარეებს პატივსა სცემენ. ეს ასეა, მაგრამ სოფლელი

ძაღლები მაინც არ იტეხენ გულს, სულგრძელობენ. მათი სულგრძელობა ხანდახან სულგრძელობის მოღალადეთა სულგრძელობას ჭარბობს. აი ამ მთვარიან ღამესაც ერთი უშველებელი ყეფა გაისმის ძაღლებისა. ძაღლების ყეფას მოჩანჩქარე ღელე ზილს ეუბნება, რომ მიძინებულ ბუნებას ტკბილი ნანა უმღეროს. მიდის დრო ამნაირად. უეცრად მოისმა არეული ფეხის ხმა ცხენებისა, ჩუმი ლაპარაკი და მათრახის ნელი ტკაცუნი. ეს გახლდათ ბოქაული ყაზახებით.

— აქ სწორედ მოხერხებული ადგილია! — მოისმა ბოქაულის ხმა. — აქედან სოფელიც ახლოა. უყურეთ, ძაღლების ყეფა რარიგად მოისმის. ვინიცობაა. გაგვექცნენ, სოფელსაც მოვიშველიებთ. კარგია კიდევ ეს ადგილი იმით, რომ აქ ღელეს პირად ხშირი ბზის ჩირგვებისა გამო ბნელა. მინდორში კი აქედან ნემსსაც იპოვნი. როცა ისინი მინდვრის თავში გაჩნდებიან, აქედან მაშინათვე დავინახავთ, თითქმის სახესაც გავარჩევთ.

— სულ მართალია თქვენი ბრძანება, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — მიუგეს ყაზახებმა. ყაზახების პასუხი მორიდებითა და მორჩილებით იყო სავსე, მაგრამ ბოქაულს მაინც არ ესიამოვნა ასეთი პასუხი. როგორ თუ მაღალკეთილშობილებას მიბედავენ! თუმცა ჩინით ტიტულიარნი ვარ, მაგრამ ჩამომავლობა თქვენა! — ფიქრობდა ბოქაული. — პაპაჩემი დადიანის პირველი ვეზირი ყოფილა და ესენი კი მაღალკეთილშობილებას გაიძახიანო.

— Ну! Смирна!— დაიყვირა ცოტა გაჯავრებით ბოქაულმა.

— Как прикажете, ваше высокоблагородие.— საფეთქელთან ხელის მიდებით დაილაპარაკეს ყაზახებმა. ბოქაულმა ცხენებიდან ჩამოხდომა ბრძანა. ყველანი ჩამოხდნენ და ცხენები მოშორებით დააბეს ბზის ბუჩქებში. თვითონ კი ყველანი ღელეს გაღმა-გამოღმა ჩასაფრდნენ თოფებით ხელში.

შუა ღამეა. მინდვრის თავზე მართლაც გამოჩნდა სამი ცხენოსანი. ბოქაულმა მართალი თქვა. აქედან მათი გარჩევა ადვილი იყო. ისინი კი ჩასაფრებულთ სიბნელისა გამო ვერა ხედავდნენ. როცა უთუთია მიუახლოვდა დანიშნულ ღელეს და შემოჰკრა ცხენს მათრახი, კაენა და ბუხუმაც მათრახები გაჰკრეს თავიანთ ცხენებს. უთუთიამ უსწრო წინ რამდენსამე ნაბიჯით და ღელეში შხაპუნით გადააგდო ცხენი. ამ დროს გავარდა თოფი. თოფი გასროლა თვით ბოქაულმა შესაშინებლად. უთუთია თვალის დახამხამებაში გავარდა გაღმა და გაუდგა გზას. კაენა და ბუხუ

ერთ წუთს თითქო გონს ვერ მოვიდნენ. მერე ამათაც ჰკრეს ცხენს ქუსლი და ჩააგდეს ღელეში. მოისმა რამდენიმე თოფის ხმა.

— აჰა-ჰაიტ, უთუთია! სადა ხარ? ვიცი ახლა ყველაფერი! — მიაყვირა კაენამ, იძრო დამბაჩა, შეაყენა ფეხზე და გაისროლა იქითკენ, საიდანაც თოფების ხმა ისმოდა.

— უ, უ... — მოისმა ხმა წუხილისა და ისევ მისწყდა სიბნელეში. ბუხუსაც უნდოდა დამბაჩა დაეცალა, მაგრამ კაენამ დაუშალა.

— მაშ როგორ ვქნათ, ბიჭო? — დაეკითხა ბუხუ.

— რას იზამ? ვცადოთ გაქცევა, — ჩუმად ჩაილაპარაკა კაენმა.

ამ დროს ისევ იგრიალა თოფმა. მოუქნია მათრახები ორივენ ცხენებს, ბუხუ ღელეში გავიდა, მაგრამ კაენას ცხენმა ადგილიდან ფეხი არ დასძრა.

— რამ გაგაჩერა, ბიჭო? — მოსძახა ბუხუმ.

— ცხენი წინ ნაბიჯს არ დგამს. — ამის თქმაზე ჩაწვა კიდეც ცხენი ღელეში.

— წაიქცა კიდეც ეს ყორნის კერძი. უთუ, შენ ქენი ესა, ეს! — ბუხუ ისევ მობრუნდა. კაენაც სწრაფად გადახტა წაქცეულ ცხენიდან და მიეგება. ის იყო კაენა ბუხუს ცხენზე შეჯდომას აპირებდა, ახტა კიდეც, რომ რამდენიმე ხელმა ძირს ჩამოაგდო. კაენმა იშიშვლა ხმალი. იელვა რკინამ ბნელ ღამეში. ხელები მოაშორეს.

— გამაგრდი, ბიჭო! — მიაძახა ბუხუმ და ჩამოხდა ცხენიდან. ამანაც ამოიწოდა ხმალი და გვერდით ამოუდგა ამხანაგს.

— აბა მობრძანდით! რას დგეხართ? — მიაძახა ბუხუმ. — გიცნობთ, ვინცა ბრძანდებით! დიდი ხანია ჩვენს დაჭერას ნდომობ. ვითომ დაგიჭერია ჩვენი თავი. აშენდები, ჩინს მოგცემენ!

— Ну, вперед! — მოისმა ხმა. — მე გახლავარ, მაშ!

გაიმართა ბრძოლა. მებრძოლნი დაერივნენ ერთმანეთს: კაენა და ბუხუ დაუღალავად იფარავდნენ თავს და თან იმის ფიქრში იყვნენ, როგორმე ბუჩქნარებში თავი მიეშალათ; ამიტომ სულ უკან-უკან იწევდნენ. გაცხარებულ ყაზახებს სრულიად არ შეუმჩნევიათ ეს ხერხი. ავაზაკები გაჰქრნენ. ყაზახებმა დაიწყეს ძებნა ბუჩქებში. უცბად შეკრეს გზები, ფეხზე დააყენეს სოფელი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

კაენა და ბუხუ, რაკი ერთხელ დაიმალნენ ხშირს ბუჩქნარებში, სული განაბეს და ჩუმ-ჩუმად, ჩოქით დაიწყეს ცოცვა. ბედზე, ერთი ისეთი ვეებერთელა ბზის ბუჩქნარი შეხვდათ. რომ იქ თავისუფლად დაიმალნენ. ყაზახები თანდათან განშორდნენ ამ ბუჩქნარს

და ლანძღვა-გინებით და ერთმანეთის ბრალდებით შორს ეძებდნენ ბიმალულებს. ავაზაკებმა იდროვეს და გზას გაუდგნენ. როცა ტყეში გავიდნენ, დაიწყეს სირბილი ტყისაკენ. მალე ტყეში დაბალნენ. სირბილის განგრძობა უნდოდათ, მაგრამ ბეტად დაიღალნენ. ამოირჩიეს ერთი ბყუდრო ადგილი და იქ დაეყარნენ ჩკვდრებივით. გამოუთქმელი ნეტარება იგრძნეს. როცა ბწვანე დანამულ ბდელოზე გაიშბლართნენ. დაღლილნი იყვნენ, ბალე მიეძინათ. საშინელმა ტკივილმა ორივე გამოაღვიძა. გათენება მოახლოებული იყო, როცა თვალები აბყიტეს. ბდელო გარშემო წითლად იყო შეღებილი სისხლითა. მოინდომეს ადგომა. მაგრამ ნუ ბაგიწყოეს ღმერთო! ვერც კი შეინძრნენ. გათენდა კიდეც. მოისმა ხმაურობა. სისხლზე მოაგნეს ყაზახებმა და შეიპყრეს. ყაზახებს უნდოდათ თოფის კონდახით უიმისოდაც დაეყენებინათ ბეკებზე ეცემათ დაჭრილთათვის, მაგრამ ბოქაულმა დაუშალა.

— მეტი სინიდისი არც კი გაქვს! — როგორც იყო დამტვრეული რუსულით უთხრა ბუხუმ ერთ ყაზახს. რომელიც ლანძღვა-გინებით მზად იყო მათ საცემრად. — კაცმა რომ მიგიშვაა. არაფერს დაზოგავ ჩვენთვის. ასეთი მამაკი თუ იყავი. წუხილ რა ბაგემართათ, ოცმა კაცმა ორი რომ ვერ დაგვიჭირეთ!

იმ ღამეს კაენასა და ბუხუს ემსხვერპლათ ორიოდე ყაზახი. კაენას დამბაჩა ერთს შუბლში ბოხვედროდა და აქვე სული გაეფრთხო. რამდენიმე კიდევ ხმლით ძძიმედ დაეშავებინათ. შეიპყრეს თუ არა, იარაღი ჰყარეს. მოიყვანეს ურემი, რადგან ფეხით სიარული არ შეეძლოთ. დააწვინეს ზედ და ზუგდიდში წაიყვანეს. ექექიმმა ჭრილობა გასინჯა, მაგრამ ძაინცდამაინც საშიში არ აღმოჩნდა. ექიმმა წყლული ბოჰბანა ორივეს. წამალი დაადო. ბაგრად შეუხვია და შეპყრობილნი საპატიმროში გაგზავნეს. უფროსი თითქმის მთელ საათს დაკვირვებით ათვალიერებდა იმათ ახოვან ბოყვანილობას და მეტყველ სახეს.

— აფსუსი არ არის! — უთხრა ვიღაც ერთ საათვალიანს. რომელიც უფროსს გვერდით ედგა. — ამისთანა ვაჟკაცნი გაუნათლებლობის წყალობით ამნაირ საპარცხვინო საქმეს მისდევდნენ და ბოლოს ასეთ ყოფაში ცვივოდნენ?!

XVI

გავარდა თუ არა ხმა კაენასა და ბუხუს დაჭერისა, ერთი ორად იმატა მათ შესახებმა არზებმა და საჩივრებმა. უფროსმა საქმეები გამომძიებელს გადასცა, მთელი დაბა აალაპარაკა მათი დაჭერის

ამბავმა. დიდიდან პატარამდე ყველას ენაზე კაენა და ბუხუ ეკერა

— ჰაიტ. დაუკერიათ! ყოჩაღი ყოფილა ის პრისტავი. აი უბედურები. როგორ ვერ გაექცნენ, — იტყოდა ხოლმე ერთი.

— აბა, როგორ გაიქცეოდნენ, თუ დაჭრეს, — მიუგებდა მეორე.

— ულალატაო უბუთიამ, თორემ მათი დაჭერა ძნელი იყო, — დაუმატებდა მესამე და სხვ. ზოგან ლექსებიც გამოთქვეს მათი დაჭერისა. ზოგს უხაროდა ეს ამბავი, ზოგს წყინდა, ზოგი, ცნობისმოყვარეობით გატაცებული, მათი დაჭერის საუბარს სიამოვნებით ყურს უგდებდა.

ბუხუსა და კაენას დაჭერა უხაროდა, რასაკვირველია, ყველ ძისგან დაზარალებულს. ცოტაოდნად საწყენად ჰქონდათ მედუქნეებს და იმათ, ვისთვისაც ყაჩაღებს ცუდი არაფერი დაუშავებიათ. გულს უკლავდა და სულს უხუთავდა ბუხუს დაჭერა მის საბრალო ძიძას. ავკაცობის დაწყების შემდეგ ბუხუ ძიძის სახლში აღარ დადიოდა. ბუხუს მორდუ და მისი ძმები, როგორც ვიცით, ალალმართალი ხალხი იყო. ჯერ ბევრს ეხვეწნენ ბუხუს, რომ ამისთანა შეუსაბამო საქმისათვის თავი დაენებებინა. მაგრამ როცა ვერაფერს გახდნენ. თხოვეს, რომ ჩვენ სახლს მაინც მოშორდიო. ეს თუმცა ძნელი იყო საწყალი ძიძისათვის, მაგრამ რა ექნა. ბევრი მდუღარე ცრემლი დაღვარა უბედურმა, ბევრი იტირ-იგლოვა, მაგრამ ვინ იყო მშველელი. თვითონაც ხედავდა სიკვდილამდე დაუვიწყარი გაზრდილის სიარული მის სახლში ეჭვს დაბადებდა მეზობლებში და უმანკო ოჯახს შეუფერებელ ჭუჭყს მოსცხებდა. სანამ ბუხუ თავისუფალი იყო, ძიძას კიდევ იმედი ჰქონდა: იქნება მორჯულდეს და მოიტეხინოსო. დღედაღამ ლოცვა-ვედრებაში იყო და ღმერთს იმას ეხვეწებოდა, გადამირჩინე ხიფათს ჩემი ბუხუო. როცა გავარდა ხმა ბუხუს დაჭერისა, საბრალო ძიძას შავი დღე გაუთენდა. ტირილსა და ვაებას ნუღარ ვიტყვით, ყოველნაირ ოჯახის საქმეზე ხელი აიღო. თითქმის თავის პატარა აკვნის ბავშვსაც მიანება თავი. შეუჩნდა ქმარს და დღე და ღამე მოსვენება არ მისცა, წავიდეთ ზუგდიდში და ტუსაღი ვნახოთო.

აი, მოამზადა სხვადასხვა გემრიელი საჭმელები, იახლა ქმარი და გაემგზავრა ზუგდიდისკენ. მაშინ კაენა და ბუხუ ორი კვირის დაჭერილები იქნებოდნენ. სატუსაღოს ზედამხედველმა საჭმელები, ბეჯითად გასინჯვის შემდეგ, შეუგზავნა ტუსაღებს. მათ ჩვენებაზე კი უფროსის ნებადაურთველად უარი უთხრა. უტამ, რასაკვირველია, უფროსთან მისვლა ვერ გაბედა, ვაითუ მეც ავი რამ საქმე

დამმართოს, რაკი შეიტყობს, რომ ასე გული მტკივა პატიმრებისათვის.

პირველი დღე ბუხუმა და კაენამ, ვითომც აქ არაფერიაო, ისე გაატარეს. მეორე-მესამესა და მეოთხე დღეს კი შეეტყოთ შეწუხება. იმდენად შეწუხდნენ, რომ არშინიან ქვიტკირის კედელს ხელით დაუწყეს მტვრევა. დარაჯმა შენიშნა ესა და მოახსენა, ვისაც ჯერ იყო. ამას ის მოჰყვა, რომ მანამდე თავისუფლებს. ახლა ვეებერთელა ბოქლომი დაადვეს ხელებზე. ამან უფრო ააღელვა პატიმარნი. ერთი წუთი მათთვის საუკუნე იყო. კაენა, როგორც უფრო ხნიერი და უფრო გამოცდილი, კიდევ უძლებდა ასე თუ ისე, მაგრამ ახალგაზრდა ბუხუ კი მოთმინებიდან გამოდიოდა. ხანდახან გამწარებული თავის მკლავს დაუწყებდა ხოლმე კბენას. ძიძის მოსვლამა და მის უნახაობამ კიდევ უფრო ააშფოთა. ყველაზე მეტად უფრო ის აწუხებდა, რომ გარეთ არ უშვებდნენ, ყოველ მათ განძრევას დაკვირვებით ათვალიერებდა მორიგი ყარაული, რომელიც მუდამ ოთახის კარებთან იდგა და პატარა ფანჯრიდან იყურებოდა. ერთადერთი ნუგეში ამ ორი პატიმარისა ის იყო, რომ ერთმანეთს არ მოაშორეს.

— კიდევ კარგი, რომ ერთად ვართ, თორემ, რომ გაგვაშორონ, მაშინ ხომ თავს მოვიკლავ, — შესჩივლებდა ბუხუ კაენას, — თავის მოსაკლავიც არაფერი გვაქვს, რომ მოინდომოს კაცმა, — მწუხარებითვე დაუმატებდა ახალგაზრდა პატიმარი.

— ოჰ, ძმაო, — ამოოხვრით ეტყოდა კაენა. — ნაღვლიანობა არაფერს გვიკეთებს. მოდი დამიწყე რამე. ერთი გულის გასართობად დავკიკინოთ.

ბუხუც არ ეურჩებოდა და ორივენი ნაღვლიანი სიმღერით გულს იქარვებდნენ. ზოგი სიმღერა და ლექსი თვითონ გამოთქვეს. ამ ლექსებსა და სიმღერაში თავიანთ გაჭირვებასა და ბედს მოთქვამდნენ.

სატუსაღო ოთახი სავსე იყო ახალი და ძველი ტუსაღებით. აქ ნახავდით ჰაღარაშერთულს, რომელიც წამდაუწუმ თავის ალალმართლობას ფიცავდა და წყევლიდა იმ უღმერთო მტრებს, რომელთაც ჩამაგდეს ამ უბედურებაშიო. თანაც საშინელ მწარე თამბაქოს სწევდა და სწამლავდა სატუსაღოს უიმისოდაც მძიმე ჰაერს. ნახავდით აგრეთვე ჩასქელებულ, სიცოცხლით სავსე ჭაბუკთ, რომელნიც უფრო მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ვიდრე ნაღვლობდნენ, თუმცა სახეზე ეტყობოდათ, რომ მათი სიმღერა სიხარულისა კი არა, უფრო მწუხარებისა იყო. ბუხუსა და კაენას შეპყრობამ ძირი-

ანად შესცვალა ტუსაღების მდგომარეობა. მათ დანახვაზე ყველანი მიჩუმდნენ. ბუხუ და კაენაც რამდენსამე დღეს ჩუმად იყნენ, მერე სიმღერა დაიწყეს. მათ სიმღერებში ჩარევას ვერავინ ბედავდა. ბოლოს, დრომ თავისი გაიტანა. ტუსაღნი მიეჩვივნენ ერთმანეთს. ჯერ იმღერეს ერთად, თუმცა ცოტა მორცხვად, მერე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს და შემდეგ მასხრობა და ხუმრობაც დაიწყეს ურთიერთშორის.

ტუსაღებში ერთი უცნაური კაციც ერია, რომელიც ხმას არავისა სცემდა, იყო თავისთვის და რაღაც გაქონილ წიგნებში იკვირებოდა მუდამ. იმისი ვინაობა არავინ იცოდა. პირხმელი იყო და შავი წვერ-ულვაში ჰქონდა. კაენა და ბუხუ გამოელაპარაკნენ ერთხელ, როგორც იყო. იმანაც დაუწყო მუსაიფი, წაუკითხა წიგნი და ბევრი რამ უამბო ორივეს, ზოგი წიგნებში წაკითხული და ზოგი გაგონილი. საზოგადოდ, საპატიმროში რიგიანი და ალალმართალი კაცი, რისამე მცოდნე და გაგებული იშვიათად არის ხოლმე; ეს კაცი სწორედ ასეთი იყო. იმისმა ლაპარაკმა სულ გამოსცვალა ჩვენი ნაცნობი ყაჩაღები და შეანანია კიდეც თავიანთი ურიგო საქციელი. კაენამა და ბუხუმ სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ღმერთო, ეს რა მადლიანი კაცი მოგვეევლინაო. ამისთანა რამ, რასაც ეს გვეუბნება, წინათ რომ გაგვეგონა, ხომ თავის დღეში იმ სამარცხვინო საქმეებს აღარ მოვიქმედებდით, რაც ჩვენ მოვიქმედეთო. მაგრამ ის მადლიანი კაცი მალე წაიყვანეს საპატიმროდან და კაენასა და ბუხუს ოდნავ გაშუქებული გული ისევ დაბნელდა; მისმა მუსაიფმა და ლაპარაკმა მხოლოდ ცოტა ხანს გაათბო ამ ორი ყაჩაღის გული.

XVII

გავიდა დრო და ჟამი. კაენასა და ბუხუს დაპატიმრებას და მათ მომავალ გაპირვებას მათმა ნათესავებმა გულგრილად არ შებედეს. ცალკე ალმასხანის თვისმა და ტომმა, ცალკე მაკას ნათესაობამ თავი გადასდეს გაპირვებულების საშველად. ამისათვის წავიდნენ ქუთაისში და იქ დაიქირავეს ნაფიცი ვექილი, რომელსაც ყოველივე უამბეს, როგორც მოძღვარს. ვექილმა თავზე ხელი გადაისვა, პაწია ოქროს საათი ამოიღო და დახედა. მერე გაიარ-გამოიარა და რაღაც წაიდუდუნა. თავადები გაქვავებულები ისხდნენ სელებზე და ისე შეჰყურებდნენ ვექილს, თითქო მის ხელშია მათი დაღუპვა და დარჩენაო. ბოლოს ვექილი გაურიგდა შრომის ფასში და აღუთქვა შეძლებისამებრ ეშველა პატიმრებისათვის.

შვიდი თვე შესრულდა ბუხუსა და კაენას დაპატიმრების შემდეგ. ოლქის სასამართლოს დღე დღეზე ელოდნენ ზუგდიდში. დამიტომ დიდ მზადებასა და გამოწყობაში იყო ზუგდიდის [illegible]რო მომრიგებელი სასამართლო.

ეი დანიშნეს ბუხუსა და კაენას საქმის გარჩევაც. სხდომა დაიწყო საღამოს ექვს საათზე. დიდძალი ხალხი მოაწყდა დარბაზს. მოვიდა ნაფიცი ვექილიც, მაღალი, წამოსაადეგი კაცი, დაბცვალა ვაზაკებისა. კაენა და ბუხუც მოიყვანეს დიდი სიფრთხილით ბორკილებდადებულები. თან ყარაულები მოსდევდნენ. წაიკითხეს ოქმი და დაუწყეს მოწმეებს ჩვენების ჩამორთმევა. ეტეენან თბუთმეტამდე ერმად მოხუცებული, მოიყვანა, რომელიც ფიცქვეშ ცხადად ამტყუნებდნენ კაენასა და ბუხუს. აგრეთვე ჯამლეთმა, ოთმელსაც ხახლი გაუტეხეს. თადამ ოცდახუთი კაცით დაამტკიცა, რომ კაენამ და ალმასხანმა მოიპარეს მისი ცხენი, რომ ნამდვილად იმავე ღამეს სასიკვდილოდ დასჭრა ყარაულმა ეგგურის ბრალად ალმასხანი, რომ კაენამ მისი გვამი ჩეტად გააპარა. მერე ეფრონი მოიყვანეს და საქმე მიაჩუმეს. აგრეთვე სხვებმაც მრავალი მოწმენი მოიყვანეს. მოწმენი არათუ აჩვენებდნენ, რომ ესა და ეს დანაშაული მოიქმედეს ბრალდებულთაო, უმატებდნენ კიდეც. ოქნებ. საქართველი მოგვეცეს და ამოდენა ჭეკიდობაინ შოლიბისმოყვარეს ალ-ბისათვის მრე შორებინათ ეს რამდენიმე მოესვენარი ადამიანი. რომელთაც შეაძრწუნეს ეთელი ბაზრა, და არათუ ბაზრა, ეთელი დაბაც.

კაენა და ბუხუ გაჩუმებულები იდგნენ. ბირისაგე ათასნაირად ეცვლებოდათ. კარგად რომ დაკვირვებოდით. ეითეო ამას ეკითხავდით მათ სახეზე: „ტყუილად გვლუპავთ. ახლა ჩვენ ისეთები არა ვართ, სრულებით გადავინათლეთ“. როცა მსაჯულებმა დაუწყეს გამოკითხვა, იმათ მოკლედ და თამამად მისცეს პასუხი. ვექილმა ბევრი ილაპარაკა. ბანაირად არ ატრიალა სიტყვები. კანონები სულ ბეირივით დააყარა. მისი ჭეკვრმეტყველება წყალივით მოდინარეობდა. მსაჯულებმა მოისმინეს ყოველივე და მოსალაპარაკებლად და სათათბიროდ მეორე ოთახში შევიდნენ. ერთ-საათის შემდეგ გამოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ ორსავე ბრალდებულს ღირსება აეხადოს და ათ-ათი წლით კატორღაში გააგზავნონ. ათი წლის შემდეგ ნება აქვთ დასახლებისა. ამიერკავკასიის გარდა, სადაც ისურვებენო.

• • •

მაისის დილაა. ნისლი ცოტ-ცოტად გაიფანტა, გაანთავისუფლა ტყე-მინდორი თავისი ბატონობისაგან და ჩადგა მდინარე-ღელეების ნაპირებად. მზემაც ამოაშუქა ისარივით თავისი სხივები. ჩიტებმაც ვორთეს ყივილ-ხივილი და ამ მხიარულებას ადამიანის ხმაურობა და პირუტყვთა ბღავილიც ზედ მიემატა. ზუგდიდში მჭედლებმა გაიღვიძეს და მხნედ აათამაშეს ჩაქუჩები. საშინელი ხმაურობაა... დუქნები ზოგან გაულიათ, ზოგან აღებენ თვალების ფშვნეტით ჭედუქნის ბიჭები. სოფლებიდან გასაყიდად სანოვაგის შემოტანაც იწყეს. ბაზრის თავში საპატიმროსთან ხალხი მოჯგუფდა, ორიოდე ერებიც დგას ხაბაკხუბაკით დატვირთული. შეჯგუფულ ხალხის შუაგულ ოცამდე შუბიანი თოფებით დაიარაღებულნი დგანან და მათ შორის ათი-თორმეტი ტუსაღია. ესენი ქუთაისში არიან წასაყვანი. კაღნა და ბუხუც მათ შორის არიან. სრულებით არ ეტყობათ აღშფოთება. ჩანს უკვე გამოიგლოვეს საპატიმროს ჭუჭყიან კედლებ შორის თავიანთი თავი. დანარჩენი პატიმრებიც ბევრს არ ნაღვლობენ. მხოლოდ გაკვირვებულებივით შეჰყურებდნენ არემარეს. ხალხს პოლიცია უჯავრდება: შორს დადექითო, ახლო ნუ მიეკარებით ტუსაღებსაო. ხალხი მაინც თავისას არ იშლის და უფრო და უფრო წინ იწევს.

დაიძრნენ მხედრები. გაისმა შემაძრწუნებელი ყღარუნი ჯაჭვებისა. მთელი დაბა სმენად და ყურებად გადაიქცა. მჭედლების ჩაქუჩთა კაკუნის ხმა შესწყდა. ტუსაღების ჯაჭვებს დაუთმეს რიგი

— მშვიდობით, ძმებო! — გაისმა ხმა ტუსაღებისა. ეს იყო ბუხუ. — მშვიდობით, ძმებო. შეიძლება ბევრი თქვენგანი შემეწუხებიოს. მაგრამ ყველაფერი უმეცრებით მომდიოდა, ახლა კი გთხოვთ მაპატიოთ და შემინდოთ ჩემი დიდი შეცოდება. საპატიმრომ გონს მომიყვანა. იცოდეთ, რომ ჩვენი უბედურება უმეცრების ბრალია არ გეგონოთ, ღამის ყარაულებმა, ხეისთავებმა და ანგარების მოყვარე ბოქაულებმა მოსპონ ჩვენში ავკაცობა. ეცადეთ, თქვენი შვილები დაზარდოთ სკოლაში და მაშინ ყოველი ავკაცობა უბოქაულო-უხეისთაოდ თავისით მოისპობა. მე თუ გინდ დავიკარგო, დეე. თქვენი ჭირი წამიღია. მხოლოდ ღმერთსა ვთხოვ, რომ სხვები მაინც არ ჩავარდეთ ამნაირ განსაცდელში.

— აბა, რა დროს ეგ ლაპარაკია! — იდაყვწაკვრით ჩაელაპარაკა ერთი ტუსაღი. — არ ჯობია რამე დამიწყო, რომ ამ ქუჩებს მოშუენილი პირი არ ვაჩვენოთ? — ბუხუმ ხათრი არ გაუტეხა და

დაიწყო სიმღერა. სხვებმა მიაყოლეს და გრიალ-გრიალით გაიარეს ბულვარი.

— ნეტავ რა გემღერებათო! — ისმოდა ხმა. ზოგან დედაკაცები მწარედ ქვითინებდნენ.

გასცილდნენ ქალაქს და დაადგნენ გზატკეცილს. გაიარეს რამდენიმე ვერსი. კაენა თავჩაღუნული მიდიოდა, სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც გამოუთქმელი მწუხარება აწვა გულზე. უცებ წაჰკრა ბუხუს ხელი და წასჩურჩულა:

— რას შობი, დაგავიწყდა?

ბუხუ თითქო გამოაღვიძესო. სახე ერთობ შეუთამაშდა. თვალები ცქვიტად გააჩილა და შეხედა:

— არც კი მახსოვდა. ვითომ?

ორივეს ათასნაირად ეცვალათ ფერი, ერთ წუთს ათასმა ფიქრმა გაირბინა მათ გონებაში. დატრიალდნენ უცბად ორივენი და თვალის დახამხამებაში გაუსხლტნენ ხელიდან მხედრებს. ხელფეხი ჯაჭვით ჰქონდათ დაბორკილი და წელზე შემორტყმული გრძელი ბაწრები, რომლის თავები უკან მხედრებს ეჭირათ ხელში. მხედრებმა მაშინ იგრძნეს ბაწრის მოშორება ხელისგულისაგან, როცა ორივენი ეკლით დაბურულ ტყეში შეცვივდნენ. მხედრები საშინელ მდგომარეობაში იყვნენ. გაქცეულთ, რომ გამოდევნებოდნენ, დანარჩენებისა ეშინოდათ. თავი დაენებებინათ — ეგ კიდევ უარესი. სხვა რომ ვერა მოახერხეს რა, დაუშინეს თოფები. ზუგდიდს ბევრი არ იყვნენ მოშორებულნი და თოფის ხმა იქამდეც მივიდა. უფროსმა საჩქაროდ ბოქაული დაადევნა ცხენოსანი ყაზახებით. შორსმჭვრეტელი უფროსი ადრევე ყოფილიყო მზად. ბოქაულმა გადაუსვია ტყეში, გავიდა დიდ მინდორზე და იქ, მინდვრის ბოლოს, მოჰკრა თვალი ორივეს. ჯაჭვები გაეტეხათ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მირბოდნენ. პატიმრობით დასუსტებულთ ჩქარა შეეტყოთ დაღლა და თანდათან უკლეს სირბილს. ბოქაულმა უმატა დევნას. აი დაუახლოვდა კიდეც ასიოდე საჟენზე. გაციმბირებულებმა მოიხედეს უკან. ნახეს, რომ საქმე ცუდად არის. იმათ ბედზე, იქვე მინდვრად, ბალახობდნენ ცხენები. მიუახლოვდნენ. მაგრამ დახეთ იმათ უბედურებას! ცხენები თოკით იყვნენ დაბმულები. სცადეს თოკის გახსნა, მაგრამ ნამის გამო ულმრთოდ მიჰკროდა ერთმანეთს ნასკვები. აი მოახლოვდა ბოქაული ამალით. გაქცეულებმა კვლავ ფეხის სიმარდეს მიმართეს. აგერ მიუახლოვდნენ კიდეც ტყეს.

— Стрелять?— დაიძახეს ყაზახებმა.

— Нет. ბიჭებო, დამნებდით, ჯობია! — დაუძახა ყაჩაღებს ბოქაულმა.

— ცოცხალი თავით არ დაგნებდებით. — ორივემ დაავლეს ხელი თითო-თითო პრტყელ ქვას და ესროლეს პირდაპირ ბოქაულს. ბოქაულმა აიცდინა; ერთი ქვა მოხვდა ერთ ყაზახს საფეთქელში და ფიცხლად ჩამოეშვა ცხენიდან. კაენამა და ბუხუმ თითქოს ერთები შეისხეს. უმატეს სირბილს. ცოტაღა უკლდათ ედაბურ ტყეშდის.

— Стрелять! — დაიყვირა გაბრაზებით ბოქაულმა. გაისმა თოფების გრიალი. ერთხელ, მეორედ, მესამედ. დაეცა ბუხუ ტყვია მოხვდა მარცხენა კანჭში, მაგრამ ისევ. უცბად წამოხტა და განაგრძო სირბილი. დაეცა ახლა კაენა: ტყვია მოხვდა მკერდში.

— ეჰა, ჰა, ჰაიტ! მომკლეს ურჯულოებმა. — გაჩერდა ბუხუ ქოინდრმა ამხანაგის ზურგზე წამოკიდება, მაგრამ თვითონაც ტანვეიხდილი დაეცა.

— ტყეილად წვალობ, ბუხუ. — თავაწევით თქვა კაენამ და ფეხვალები დახუჯა. დაიგრიალა თოფმა. კაენამ რეტიანივით გააბილ ფეხვალები, მოიკრიბა ძალა და ცოტათი წამოიწია,—მშვიდობით, ბუხუ. — მიმართა ამხანაგს, მაგრამ ის უკვე გათავებულიყო. მეორე ტყვია შიგ გულში მოხვედროდა. კაენამ ისევ მიდვა თავი და ისევ განუტევა სული.

ჩემი რა ბრალია?

ამბავი

— მადლობა ღმერთს, გვარიანად გადავრჩი ამ დღესასწაულებს. შენი ძმა რომ მეუბნებოდა, საახალწლოდ ძმა-ბიჭებიანად მოვალო, ბრომ მოსულიყო. ხომ დავიღუპებოდი კაცი, — უთხრა ზურაბა დინაფავამ თავის მეუღლე დარიას და ჩიბუხის ტარი მოსაწევად პირში ჩაიდო.

— არც კი გრცხვენია მაგისთანეების ლაპარაკის. ცოლისძმა ახალწელიწადს რომ გესტუმროს, მაშინაც ვერ გაუმასპინძლდებიო ესეც სასიქადულოდ მიგაჩნია. — იყო პასუხი დარიასაგან.

— ჩემი რა ბრალია, ქალო, სიღარიბე მალაპარაკებს, თორემ რო მქონდეს რამე, მოგეცა ღვთის წყალობა. ცოლისძმას კი არა, ბოროკონიკის ძმასაც კი გაუმასპინძლდე...

— მაშ ჩემი ბრალია შენი სიღარიბეც? შენი ოჯახისთვის არაფერი წამირთმევია, პირიქით, ბევრი შევმატე. თუ მართალს მალაპარაკებ, სრულებით არა გქონდა ოჯახი. ჩემი მზითევის შეწყობით აინთე ცეცხლი, თორემ არ გახსოვს, როგორ ჰარიალალე-თარიალალეს დამღეროდი ეზო-ეზო.

— ეჰ! ქალზე რასაც იტყვიან, არც ერთი არ არის ტყუილი. ვიდევ იმ ჰარიალალე-თარიალალემ არ გადაგრია? იმან არ შეგაყვარა ჩემი თავი?

— დაიქცეს, მართლა. ის წამი და ის დღეც! მე ჩამოსახრჩობს, ახლა ხომ დამიჯდა ოთისპირზე მამიჩემის სიტყვები. ბაბაო, შვილო, ჯერ ახალგაზრდა ხარო, ცეკვა-თამაში, ლაბაში პირისახე გატყუებს. ბიჭებს ჩქარა გადუვლის მაზანდაო და მერე თუ ღარიბად დარჩი, საუკუნე სატანჯველში იქნებიო, ჯერ კარგად გამოვიძიოთ საქმეო.

მაშინ რომ მისი სიტყვები დამეჯერებია, ახლა ამ ყოფაში არ ჩავარდებოდი. — წყენით მიუგო დარიამ, ადგა და თუჯის ქვაბიდან მიმხმარ ღომის ქერქს ჩლუნგი დანით მოცილება დაუწყო. დანის ფხაჭუნზე ბოდორია და მურა ჩვეულებრივ კარებთან გაჩნდნენ, იქიდანაც ისკუპეს, დიასახლისს მიუახლოვდნენ და კუღის ქნევით კინალამ ქვაბში თავი ჩაჰყვეს.

— ესენიც რომ მოსვენებას არ მოგცემენ! — წყენით, თითქმის მიაყვირა ზურაბამ და კაი ლაზათიანი ქუსლი უთავაზა ბოდორიას. მურასკენაც მიიწია, მგრამ ამასობაში ყეფა-წკმუილით ორივემ თავს უშველა.

— რად სცემ უიმისოდაც ღონემიხდილ ძაღლებს, ესენი რომ არა ყარაულობდნენ, შენც მოგიპარავდა ვინმე. — შენიშნა დარიამ. ქვაბში წყალი ჩაასხა, გარეთ გაიტანა, გარეცხა და ქერქიანად გადაუსხა იქვე მდგომ ფერდიფერდ მიკრულ ძაღლებს.

ძაღლები ხარბად დაეწაფნენ ქერქს, თან უღრენდნენ ერთმანეთს და თანაც სვლეპავდნენ პაწაწინა ქერქებს.

დარიამ მსხვილად დაღერღილი სიმინდი ჩაყარა ქვაბში, წყლით გაავსო და კერის ჯაჭვზე ჩამოჰკიდა. ბოდორია და მურა ახლაც გაჩნდნენ და თითქო რაღასაც მოელიან დიასახლისისაგანო, თვალებს არ აშორებდნენ. ზურაბამ ქუსლის მაგივრად იქვე მიყუდებულ ჯოხს მიმართა და დროზე რომ არ გაქცეოდნენ, ერთ-ერთს წელს მოსწყვეტდა.

— ვეი, დაილოცა შენი სამართალი, — პირჯვრის წერით ჩაილაპარაკა დარიამ. — ამ კაცს დღეს სიგიჟემ ხომ არ მოუარა! საწყალ ძაღლებს რას ერჩის! წუხელ ე მაგდენი იყეფეს საწყლებმა. ისათით გვიდგია სული.

— სული გვიდგია კი არა... მართლა მე. რომ არ მომიტაცეს, ის გიკვირს! კიდევაც იმიტომ დაიჭირეს ქურდები, როცა ერთადერთ ძროხა ხბოიანად მომტაცეს და ჩემს ბაღნებს თავისი ხელით ყელი გამოსჭრეს.

— შენ სად იყავი? გადახურულიც არა გედგა რა, რომ დაგებ ძროხა; მინდორში, რასაკვირველია, მოგვპარავდნენ... ეი! გული ყელში მეჭირება, მაგრამ რა ვქნა.

— მეც ლამის საგულედან ამომვარდეს, მაგრამ რა ვქნა, კიდევ უნდა როგორმე გამოვძვრე ამ გაჭირვებიდან.

ამ დროს აკვანში მწოლარე შვიდი-რვა თვის ბავშვმა შესტკივა ლა და არტახებისაგან ხელ-ფეხის განთავისუფლებას ნდომობდა. დედა საჩქაროდ მიეშველა ბავშვს, არტახებიდან გამოხსნა და

ხელში აიყვანა, ამასობაში ზურაბას ორი ვაჟიც მოვიდა. ორივენი თითქმის ტიტლიკანები: უფროსს, ხუთი წლისას, ხელში პატარა წნელი ეჭირა და მათრახის მაგივრად ხანდახან ჯოხსა სცემდა, რომელზედაც ცხენივით იჯდა. მეორეს, სამი წლისას, კატა დაეჭირა და ათამაშებდა.

— რას დადიხართ ამ ქარიან დღეში, აკი გითხარით ცეცხლიბ პირას იჯექით-მეთქი!... როგორ აბურძგნულან სიცივისაგან. — ცოტა წყრომით მიაძახა მამამ.

— ალა, ბაბა, ჩვენ ალა გვცივა, — მიუგო უფროსმა ვაჟმა და ჯოხი ლაჯებიდან გამოიცალა. ორივენი სახლში შევიდნენ და შეხვლისთანავე დედას კალთაში ჩაეყარნენ.

— ნანა, მშია, — ეუბნებოდა ერთი.

— ნანა, მშია, — ეუბნებოდა მეორე.

— უ... უ... — ზმუოდა ძუძუმწოვარა გოგო, რომელიც დედას გჭირა; თან ძუძუსა სწოვდა და თანაც პაწაწა ხელს ძმებისაკენ იქნევდა, თითქო ძუძუს წართმევის ეშინიან და იგერიებსო.

— მოითმინეთ, შვილებო, აი ღომი იხარშება, გავაკეთებ და გაქმევთ, — უთხრა დედამ. — მანამდი ა იმ კველაზე * დაჯედით. თქვე უბედურებო, არ გეცოდებით, ძლივსღა ვარ, თქვენი სისხო ბავშვები კალთაში როგორ დავიმაგრო?

ბავშვები, როგორც იყო, მოიშორა დარიამ. ერთმა ისევ კატა დაიჭირა და მეორემ პატარა ჩხირით კერაში ნაცარს ჩხრეკა დაიწყო.

ზურაბა დაფიქრებული ტახტზე იჯდა. რაღაც განუსაზღვრელი დარდი იხატებოდა მის პირისახეზე. იმდენად მოწყენილი იყო, რომ აგერ-აგერ იტირებსო, იტყოდით, რომ შეგეხედნათ. შეიძლება ფიქრობდა თავის ახლანდელ გაჭირვებაზე, თავის ჭაბუკობაზე, როცა ამ შვიდი-რვა წლის წინათ არაფერი დარდი არ აწუხებდა; ცხოვრობდა ბიძის სახლში, რადგან დედ-მამა ადრე დაეხოცა. სვამდა, ხჭამდა, ხანდახან მუშაობდა, მაგრამ უსაქმოდ კაცი ხომ პირუტყვზე უარესია. მუშაობდა ბიძის სახლში უფრო ბიძის სასარგებლოდ (ზურაბა ერთგული კაცი იყო), მაგრამ თავისუფალი დროც ბევრი ჰქონდა. ცეკვა-თამაშობა, ჩონგურ-დაირა, მღერა-ოხუნჯობა, არშიყობა მეტად უყვარდა და ამაში ბადალი არა ჰყავდა მთელ არემარეში. ქალებსაც ხომ ეს უყვართ და ზურაბაც ქალების თაიგული იყო. ყოველ დღეობა-ჯარში, ქორწილში, და ასე გასინჯეთ

* კველა—ჯორკო.

ტირილშიაც, ხალხის გამრთობი ზურაბა იყო. ქორწილ-ტირილში მერიქიფობას ზურაბა არავის არ დაანებებდა, რაც უნდა მოსვლოდა, იმ მხარეს, საითკენაც ქალები დასხდებოდნენ; ოხუნჯობდა, მასხარაობდა და იყო ერთი უშველებელი სიცილ-კისკისი ქალებისა. გარეგნობითაც ზურაბა კაი შესახედავი იყო: მხარბეჭიანი, წელწვრილი, პირისახე ლამაზი და მხიარული ჰქონდა, ტანისამოსსაც კოხტად იცვამდა და ყველა ეს ხომ ბადეა ახალგაზრდა ქალების დასაჭერად. ამ არშიყობა-დაირობაში გაიცნო მეორე ხოფელში ნორჩი, ლამაზი დარია, ოთარის შვილი, და ძალიანაც მოეწონა. ერთხელ შეურჩია დრო და საიდუმლოდ მოელაპარაკა. პირველად, როგორც რიგია, წინასიტყვაობით დაიწყო; მერე და მერე, როგორც იყო, თანდათან გამოირკვა და ბოლოს უთხრა: მიყვარხარო! ქალმაც, რასაკვირველია, თავი ძირს დახარა, სიყვარულის გაგონებაზე ცოტა წამოწითლდა და ზურაბას ცალი თვალით გამოხედა. ზურაბა კი გულხელდაკრეფილი იდგა და ერთგულებას ეფიცებოდა, სულის კლიტე უწოდა, თვალის სინათლე, გულის გული, ხაცოცხლე, მზე, მთვარე და ბევრი სხვა ამგვარი სასიყვარულო სიტყვები. შემომხედეო, ხვეწნით ემუდარებოდა, თუ ჩემს, შენ მონის ხვეწნას არ მიიღებ, უეჭველად თავს მოვიკლავ და ცოდო შენ მოგეკიდებაო. ქალმა ორივე თვალებით შემოხედა, ზურაბამაც შეხედა... თვალები ერთმანეთს მოელაპარაკნენ და ზურაბამ გაიმარჯვა.

რამდენსამე ხნის შემდეგ დარიამ ზურაბა ერთ ჯარში ნახა და იმდენად მოეწონა მისი ცეკვა-თამაში და ოხუნჯობა, რომ კინაღამ საჯაროდ ყელზე არ მოეხვია. გავიდა რამდენიმე ხანი და ხმა გავრცელდა: ზურაბა ოთარიას დარიას ირთავსო. ეს ხმა გამართლდა და დარია ზურაბას ცოლი შეიქნა. ოთარია ჯერ უარზე იდგა, მაგრამ დახელოვნებულმა მაშვალმა დააჯერა: ბიძას რაც აქვს, ნახევარი ზურაბასიაო. ზურაბას ბიძა კი ქონებით არ დაიწუნებოდა. ოთარიამ, რაც შეიძლო, მზითევი მისცა, ჭინჭი-პუნჭების გარდა. ერთი ცხენი, ძროხა და ერთი ღორიც გამოატანა.

გავიდა კიდევ დრო და ჟამი და ზურაბა ბიძას გაეყო, ესე იგი ზურაბა ბიძის სახლიდან გავიდა, ანუ, უკეთ ვთქვათ, გააგდეს. ზურაბას არაფერი ხვდა მიწის მეტი. უსტავნი ღრამოტის მიწა, როცა გაიყვეს ბიძებმა და ბიძაშვილებმა, ზურაბას ორი ქცევა შეხვდა. ზურაბა გულხელდაკრეფილი არ დარჩენილა, ბიძას პასუხი მოთხოვა, მამიჩემის ქონება სად წავიდაო.

— ჩემი რა ბრალია, შვილო, — მიუგო ბიძამ, — მამაშენს არა-

ფერი დარჩენია; რაც დარჩა, იმის სულს მოვახმარე, — და ამით გათავდა საქმე.

ზურაბა ცალკე დასახლდა. გააკეთა თხმელის ძელებისაგან ერთი პატარა რაღაც სახლის მსგავსი, რომელიც არც ფაცხაზე უკეთესი იყო და ფიცრულ უბრალო სახლზე, რასაკვირველია, უარესი, უდერეფნო, უპერიატაკო. შიგ ერთ მხარეს ოთხი ბარჯგი დაასო, ზეები გადაადვა, ფიცრები დააწყო და ზედ ცოლის ნამზითევი ქეჩა გადააფარა. ეს იყო ტახტი. ტახტის გარდა იმის ავეჯეულობა-ქოწყობილობას შეადგენდა: ორი კველა, ესე იგი ხის უბრალო ოთხკუთხი კუნძი, ერთი სამფეხა პატარა სკამი, ერთი ტაბაკი, ერთი თუჯის ქვაბი, ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, ერთი ჭიქა წყლის დასალევი (ხანდახან ღვინისაც), როდინი ქვით, ორი საინი, სამი ბის ჯამი, ერთი კოკა და დოქი და ერთი ძველი კალათი. ეს იყო ზურაბას ავლადიდება. მიუმატეთ ამას ცოლის მზითევი: ერთი ბკივრი ქალის ტანისამოსით, ორი-სამი ხელი ლოგინი და მორჩა და გათავდა. ზურაბა მაინც არ უშინდებოდა ამ სიმწარეს, სანამ ცხენი და ძროხა ჰყავდა. ძროხამ ხბო მოიგო. ზურაბასაც შვილები ეყოლა და მათი ძიძა-გამზრდელი ეს ძროხა შეიქნა. მუშაობდა და მუშაობდა საბრალო ზურაბა, მაგრამ რას გახდებოდა ორი ქცევა ქიწით. რასაკვირველია, იმნაირად შემუშავებული მიწა, როგორც ზურაბა მუშაობდა, მოსავალს ბევრს არას მისცემდა; მიჰყო ხელი სხვის მიწების შემუშავებასაც სანახევროდ, მაგრამ ამ აუტანელმა ჯაფამაც ვერა უშველა რა, რადგან ერთი კაცი, ლომ-ტარიელიც ხომ იყოს, იმ ადამის ჟამის გუთნით, რომლითაც ზურაბა მუშაობდა, ბევრს ვერას გახდება და ისიც თუ ნახევარი სხვისია; აბა ჯასინჯეთ, რა უნდა დარჩენოდა. ცალკე რომ დასახლდა, თითქო ახლა გაახსენდათო, მეორე დღესვე კარს მოადგა მამასახლისის პროპოშნიკი, ეს ფოსტაო, ეს მღვდლის ფულიაო, ეს იასაულისაო და სხვადასხვა... მაგრამ მაინც ქედი არ მოიდრიკა საწყალმა ზურაბამ და როგორც იყო გვარიანად თავს ახწევდა...

დაუნდობელმა ქვეყანამ მაინც არ მისცა საშველი და ჭირზე ჭირი გადაჰკიდა. ერთ მშვენიერ ღამეს ცხენი მოჰპარეს, მეორეს — ძროხა და გულიც მოუშხამეს საბრალო უდროოდ ცოლ-შვილის ზრუნვის მორევში ჩავარდნილ ახლგაზრდა კაცს. მაინც, როგორც იყო, უძლებდა გაჭირვებას წლევანდლამდე. წრეულს კი, მოგეხსენებათ, რა გაჭირვებაში ჩავარდა ხალხი. სიმინდის ფასი ხომ აღარა აქვს და არა, მაგრამ ქვეყანაც კინაღამ დააქცია დალოცვილმა წყალდიდობამ: ხევი წყაროდ გარდაიქცა, წყარო მდინარედ, მდი-

ნარე ზღვად, მილეწ-მოლეწა ყველაფერი, წისქვილები წალეკა, სასიმინდეებს ბევრგან სიმინდიანად შავი ზღვა უჩვენა; არც ხე დაინდო, არც მინდორი, არც პირუტყვი, არც ადამიანი. ბევრი იმსხვერპლა, ბევრი ატირა... გაჭირვება იქნება მა რა? დღესასწაულებს როგორც იყო გაუძლო ზურაბამ; უკანასკნელი ღორი გამოასალმა წუთისოფელს, შობის წინა დღეს. ზურაბას ბავშვები ტერენტი და პართენი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, როცა მათი მამა ხორცსა ხარშავდა. ნახევარი ღორი დღესასწაულებში შეჭამეს, ნახევარს მარილი მოაყარეს და დღესასწაულის შემდეგ ხსნილისთვის შეინახეს. ეს იყო და ეს. წრეულს ქათმები ხომ გაწყდა. ზურაბას სახლში ერთიც არ დასტოვა ულმობელმა ჭირმა. ღვინო ხომ, მტევანი არ უნახავს წრეულს ზურაბას. შობა დღეს ნათლიას ღვეძელი და ყველრულიც ვერ გაუგზავნა, ბაიც თავის დღეში არ მოსვლია. ვერც ვალად აიღო სადმე ფული. ეს კიდევ არაფერი. აგერ თორმეტჯერ მოვიდა პროპოშიკი, ფოსტის ფული ესათუოდ წარსადგენიაო. ამან ნათლიაც დაავიწყა ზურაბას და თავისი თავიც, მაგრამ რა ქნას, ვერას გახდა. სანამ დღესასწაულები იყო, ბედზე, არავინ სტუმრებია; ამაზე ღმერთს მადლობაც შეხწირა. აგერ დღეს წყალკურთხევის მესამე დღეა, დღესასწაული წავიდა. მაგრამ პროპოშიკმა ახალწლის მესამე დღეს უკანასკნელ ვადა გადაუჭრა რვა იანვარი, თუ მაშინაც არ გექნა, საწინდარს გამოვიტანო. სად არის დაირა-ჩონგური, ოხუნჯობა-თამაში, არშიყობა. ბავშვებს და თვითონაც საჭმელი უნდა, გადასახადი, მტერი, მოყვარე უნდა, მაგრამ არა აქვს რა და რა ქნას. ცოლიც, იმ ცოლი, რომელიც სიყვარულს ეფიცებოდა, ახლა წყევლის ამ სიყვარულს, იმ დღესაც და იმ წამსაც. ალბათ აგონდება ეს ყველაფერი იმ საწყალ ზურაბას და ეს არის მიზეზი, რომ იმის პირისახე დაღვრემილა და დაბეჩავებულა და ლამის თვალებიდან ცრემლები გადმოფრქვიოს.

დარიამ დროებით ბალღი ლოგინზე დააწვინა და ქვაბს ცეცხლი შეუკეთა, მერე ქმარს მიუბრუნდა.

— კაცო, რამ დაგაფიქრა ამ სიმწარედ. ფიქრი ადრე უნდოდა, სანამ ამ ყოფაში ჩავვარდებოდით, ჩვენ ორივენი შევცდით. ახლა ადექ ერთი, ფიჩხი შემოიტანე, ეს ღომი როგორმე დროით გავაკეთოთ და მოვრჩეთ, შეიძლება ვინმე შემოვიდეს.

ზურაბამ ჩიბუხს ახლად ჩააყარა თუთუნი, ფიჩხის მუგუზალი აიღო, აჩქარებით ჩიბუხზე აგორებდა და თანაც სქელ ბოლს პი-

რიდან უშვებდა, ეტყობოდა ჩქარობდა. ცოლის ნათქვამი აესრულებინა. ამ დროს ძაღლებმა დაიწყეს ყეფა.

— ე, ვინ მოდის დაქცეული, — ჩაილაპარაკა დიასახლისმა.

ბავშვები კარებთან აიტუზნენ. ზურაბას თითქო ტანმა უგრძნოვო (ან რა ტანის გრძნობა უნდოდა), სახეზე ალმური მოეკიდა, ჯულმა საშინლად ცემა დაუწყო, მაინც ჩქარა ადგა, კარი გააღო და სტუმრებს მიეგება. ამასობაში გამოჩნდნენ პროპოშიკი საკვა და „კეთილსინიდისიერი“ საბა.

— ეს ძაღლები თავის დღეში რომ ვერ შევიჩვიე, — ხუმრობით ჭიაძახა საკვამ.

— ჭირმა წაიღო მაგათი თავი, — მოწყენით მიუგო ზურაბამ, — მობრძანდით, ბატონებო.

დარია კველაზე იჯდა, ბავშვი ხელში ეჭირა, წამოიწია, აბა ვინ მოდისო. „ფუი, დაგეკარგა კვალი“—ჩაიბუტბუტა და ზეზე ადგა.

— ღმერთო, სიკეთე შემოიყვანე ამ ოჯახში, — წარმოთქვეს ახალმოსულებმა და ტახტისკენ მიიწიეს.

— აქეთ, აქეთ, — ეპატიჟებოდა ზურაბა, — საკვა, აქეთ, კერას ახლო მობრძანდი, დღეს სიცივეა.

— არა უშავს რა, არა მცივა.

— საბა, საბა, შენ უნაბდო ხარ, აქეთ, აქეთ ცეცხლთან, შენი ჭირიმე.

— დღეს არა ცივა, რაცხა ბედია; ეს ორი დღეა გადიღო, ორემ წლევანდელი წელიწადი ჯერ ხომ არ გახარებულა.

— ჩვენ ბევრი ხნის გასაჩერებლად არა გვცალია, მახარია ზურაბა, აბა ხომ იცი, მეხუთეჯერ არის მოწერილობა მოსული, დღეს ხალამოს უსათუოდ უნდა ჩავაბაროთ ფულები მამასახლისს. თუ არ ჩამაბარეთ, ვაი თქვენი ბრალიო, დაგვემუქრა, თქვენ გაზღვევინებთო, — ცივად წარმოთქვა საკვამ.

საწყალ ზურაბას ტანში შიშის ჟრუანტელმა დაურბინა. ბავშვები ჩუმად ისხდნენ, ერთიმეორის გვერდით კველაზე, ტიტველი კანჭები ცეცხლისაგან დახალული ჰქონდათ, ტუჩი ტუჩზე მიეწებათ და ახალმოსულებს შეჰყურებდნენ. ერთის პერანგს (სხვა არაფერი ეცვა–ეხურათ), ღორის ქონისაგან გაშავებულს, ცალი სახელო სრულიად არა ჰქონდა, მეორე სახელო მაჯასთან გახეულიყო და მკლავის ძირას ცხრაფრად დაწეწილი ფარფაშობდა. მეორეს პერანგის მხოლოდ გულთან დარჩენოდა რამდენიმე დაფლეთილი ჭინჭი, სხვაგან კი ტიტლიკანა იყო და ცეცხლისაგან, შემწვარ გოჯს ჰგავდა. ამ წუთში პატარა ბალლიც ჩვეულებრივ დედას არ ეთამა-

შებოდა, ერთი ყური დედის მკერდზე მიედო და სულგანაბული ხტუმრებს შეჰყურებდა.

— განა მეც არ ვიცი! — ძლივს მიუგო ზურაბამ, — მაგრამ რა ვქნა, სინიდისი მაწუხებს, ღმერთმა უკეთ იცოდეს, რომ ამდენჯერ გაგსარჯეთ, ხომ იცით, ღმერთი ამოაგდებს და ამ ჩემი ბაყაყების ცოდვა, (ზურაბამ მიუთითა ბალღებზე), ვინც მე ცხენი და ძროხა მომპარა. თითო მუჭას იწველიდა, თან ამ ბალღებს მიტყუებდა და თან ერთი ორი გროშისას ვყიდდი. მე როგორ შევჭამდი, როგორ ღმერთი გამიწყრებოდა. ქათამი ამოვარდა, ამოაგდებს ჩემი გამჩენი, ცხენზე ხელი დამაბანია, ხელგაბანილმაც და ამოწყვეტილმაც მოგიძებნიო, იმ კაცმა მითხრა, ხუთი მანეთი მივეცი, ის ვალი ახლაც კისერზე მაწევს. ისე აშენდა მისი ოჯახი, როგორც მე იმან მომიძებნა. რა ვქნა, მოზვერი რომ დამრჩა, ჩემმა სიმამრმა წაიყვანა, ამასაც მოგპარავენო. ცხენი რომ მყავდეს, სიმინდს მაინც წავიღებდი ან ხობში, ან სენაკში და გავყიდდი. ჩემ ბედზე ისიც ნაკლები მოვიდა წრეულს, მაგრამ სულზე მოვიკლებდი, ბატონო. და თქვენ მაინც როგორმე გაგისტუმრებდით. აქაც გავყიდდი, მუშტარი რომ იყოს, მაგრამ არავის უნდა. ხუთი შაური მაძლია იმ კაცმა. ხუთ შაურად ფუთი სიმინდი, ღმერთი არ არის?

პროპოშიკმა მოისმინა ზურაბას სიტყვები — ყური მიჩვეული ჰქონდა ამგვარებზე — სახლს თვალი მოავლო და დაეკითხა:

— მაშ ვერ იშოვე ფულები, ზურაბა? კაცო, შენ რაც შეიძლები ცოტა დაგაწერეს, უნდა გეშოვნა სადმე.

— უნდა მეშოვნა, უნდა მეშოვნა, რასაკვირველია, უნდა მეშოვნა, რა თქმა უნდა, უნდა მეშოვნა დი....ა...ხ, — და რაღაც უნდოდა ეთქვა ზურაბას, მაგრამ ყელში თითქო რაღაც გაებჯინაო. სიტყვის თქმასაც ვეღარ ახერხებდა.

— რა არი, რა დაგემართათ, თქვე ღვთის კაცებო, ქვეყანა ხომ არ იქცევა, გვაცალეთ ცოტა ხანი, იქნება რამე ვისაშველოთ სადმე, — ჩაერია ლაპარაკში დარია.

— ამდენ ხანს რად არ ისაშველეთ, თქვე დალოცვილებო, აგერ ასჯერ კი ვიქნები თქვენთან მოსული და სულ ამით მისტუმრებთ: ვისაშველებთ, ვისაშველებთო; რად არ ისაშველეთ აქამდინ, მერცის, ვითომ, ციდან ხომ არ ჩამოჩხრიალდება ბაჯაღლოები. ჩემ ჯიბეში ხომ არ მიდის ის სატიელო. მამასახლისმა იქითა კვირას მათრახით კინაღამ ზურგი ამიჭრელა. — წყენით და ხელის ქნევით წარმოთქვა საკვამ და ზეზე წამოდგა. ისევ მოავლო თვალი სახლს, ერთ კუთხეში ოდნავ შუაზე გატეხილი პატარა გობი ეყუდა და

ქედელზე ზურაბას უბრალო რკინის ხანჯალი ეკიდა. ესენი კი დაგვავიწყდა ზურაბას ავლადიდების აწერის დროს.

საკვამ ხანჯალი ჩამოხსნა კედლიდან და ხელში დაიჭირა.

— შენი ნამზითვი სპილენძის ქვაბი და თუნგი რა უყავი? — დაეკითხა დარიას.

— იმდენი აგიშენდათ სახლ-კარი, მე რომ ის მოგცეთ, — წყენით მიუგო დარიამ, ბალღი ლოგინზე დასვა, ფიცხლავ ტახტქვეშ შეყო თავი, თუნგი და ქვაბი გამოიტანა, ცალ ხელში მაგრად დაიჭირა, მეორე ხელით ბალღი აიყვანა და გაჩერდა (ესეც მათი ავლადიდება). — უსიკვდილოდ არ შეიძლება ეს ვისმე მივცე, — ხმამაღლა კაპასობდა დარია.

— რომ მეგულდიდები, შე დალოცვილო, ჩემი ცოლ-შვილისათვის ხომ არ მინდა, — დინჯად მიუგო საკვამ და გაიწია ქვაბჩამოკიდებულ ჯაჭვისაკენ. ჯაჭვის ჩამოხსნის დროს ქვაბი მოეშვა და ადუღებული ღომი კერას გადაესხა.

ბრ....ბრ...ბრრ..... დაიგრიალა ცეცხლთან ერთად შერეულმა ორთქლმა, ნაცარმა და კვამლმა. რამდენსამე წამს იქაურობა დაბნელა.

აქ კი ვერ მოითმინა საბრალო ზურაბამ, უნდოდა სცემოდა საკვას, მაგრამ საბამ მოუსწრო და ზურაბა გააჩერა. ამის დანახვაზე ბავშვებს შეეშინდათ, დედას მისცვივდნენ, კაბის კალთაში ჩაავლეს ხელები და ბღავილი დაიწყეს. პატარა ბალღმაც უშველებელი ჩხავილი მორთო.

ხანჯალი, თუჯის ქვაბი და ჯაჭვი ხელში დაიჭირა საკვამ და გზას გაუდგა.

— ეს კიდევ რას გიშველის, ბეჩა. ამას სამ მანეთად არავინ იყიდის ტროგზე და შენ კი ექვსი მანეთი გაწერია, — ჩაილაპარაკა საკვამ.

— ეს ბოვშები მაინც არ გეცოდება, შე ღვთის კაცო, — ბაცოდავად მისძახა ზურაბამ.

— ჩემი რა ბრალია, ძმაო, მე ნაბრძანები მაქვს, ასე არ ვქნა, ტყავს გამაძრობენ.

ისინი წავიდნენ, ბავშვებმაც ტირილს თავი დაანებეს. ფერწახული ზურაბა ერთ ადგილას იდგა გაჩუმებული, თვალები ძირს დაეხარა და მიწას დაჰყურებდა.

— ნანა, მშია! — გაიმეორა პართენმაც.

— უჰ, ესენიც! — გულჩათუთქულად წარმოთქვა დედამ, რო-

მელიც ქმარს შეჰყურებდა და თითქო ეუბნებოდა: აი, ჩვენი სიყვარულიო.

ზურაბამ არ იცოდა სად იყო ამ წუთში. ქოჩორიდან ფეხებამდე ყველაფერი უზრიალებდა, ამ წუთში ყველაფერი არეულად ეჩვენებოდა. მოაგონდა, ერთხელ ქორწილში, დაირის დაკვრაში როგორ აჯობა ყველას. მოაგონდა ბიძის ნათქვამიც: — ჩემი რა ბრალია, შვილო, მამაშენს არაფერი დარჩენიაო; მოაგონდა აგრეთვე პროპოშიკიც: — ჩემი რა ბრალია, ძმაო, მე ნაბრძანები მაქვსო. „ჩემი რაღა ბრალია, მე რომ ღარიბი ვარ?“

— მაშ ვისი ბრალია. — ხმამაღლა წარმოთქვა ეს ბოლო სიტყვები და ცრემლმორეული ტახტზე დაეშვა.

მე და ბიძაჩემი

(გადმოკეთებული ფრანგულიდან)

სოფელი და სოფლის ცხოვრება ბიძია ლევანმა შემაყვარა. მან მასწავლა ბუნების სხვადასხვა მოვლენის თვალყურის დევნება და შეგნება.

ბიძია სოფლის ექიმი იყო და ერთ პატარა სოფელში ცხოვრობდა; დედ-მამა რომ მომიკვდა, ბიძიამ მიშვილა.

ბიძია ტანადი და სქელ-სქელი, შავთმიანი, შავწარბებიანი, ჭრელთვალა კაცი იყო; მისი კეთილი და მშვიდი სახე კაცს ხიბლავდა.

ხშირად გამიგონია ღარიბებისაგან: მისი კეთილი სახის დანახვა სწორედ რომ დიდი ნუგეშია ჩვენთვისაო.

განათლებულ კაცებს მეტად ეხალისებოდათ მასთან ბაასი, ხადგან ბიძია ყოველთვის ახალ რასმე ეტყოდა მათ.

საექიმოდ ბიძია მუდამ დიდი ეტლით დადიოდა; ეს ეტლი ახლაც თვალწინ მიდგია: გრძელი და განიერი; უკანა მხარე პატარა ოთახს ჰგავდა, ორივე მხრივ თიდო ლიფლიფა ჰქონდა; პირველად სწავლა მე ამ ეტლში დავიწყე.

ყოველდღე ბიძიას სოფლად მივყავდი. როცა მას ღარიბებთან მოუხდებოდა წასვლა, მზარეულს საგზალს დაამზადებინებდა თან წასაღებად და ეტყოდა ხოლმე: ისეთ ადგილს მივდივართ, სადაც საჭმელს ვერ ვიშოვითო, და თუ ვინიცობაა შეძლებულებთან მიდიოდა, მაშინ ეტყოდა: ჩვენი ფიქრი ნუ გექნება, ჩვენ კარგად დაგვიხვდებიანო.

ღარიბებს ბიძია უსასყიდლოდ წამლობდა, ამას გარდა ბევრ დარიბ ავადმყოფს ეხმარებოდა კიდეც; საჭმელ-სასმელს აძლევდა,

ხშირად დაუძლურებულს ორიოდ ბოთლ მაგარ ღვინოსაც დაუტოვებდა ხოლმე.

ბიძია ლევანი ყოველთვის მხიარულად იყო; ყველასთან ხუმრობდა, ჩემთანაც და ავადმყოფებთანაც.

როდესაც ღვინო უნდა წაგვეღო ავადმყოფებისათვის, მაშინ მეტყოდა: აბა, მეაფთიაქესთან გაიქეც და თხოვე, ყურძნის გამონაწური წამალი გამომიგზავნოსო.

მეაფთიაქე ჩვენი ბებერი მზარეული იყო, ყურძნის წამალი — ღვინო, აფთიაქი კი — მარანი.

ძალიან მეხალისებოდა ამ აფთიაქში მზარეულთან ერთად ჩასვლა, რადგანაც ამ ჩასვლაზე ყოველთვის ცოტაოდენი ნიგოზი ან ქლიავი მერგებოდა.

ჩვენი მზარეული გაიანე თავის ხელით მომცემდა და მეტყოდა: აგერ ესეც შენი გასამრჯელო.

ჩემი გარჯა, ან უკეთ რომ ვთქვათ — ჩემი სიამოვნება იყო, რომ ჯერ ბოთლების ჩასაწყობი კალათი უნდა ჩამეტანა მარანში და იქიდან რომ წამოიღებდა ბოთლებს, სანთლით გზა უნდა გამენათებინა.

ცალიერ კალათს გაიანე მე წამომაღებინებდა, მაგრამ რაკი ჩააწყობდა შიგ ბოთლებს, აღარ დამანებებდა, რადგან კალათი მეტად მძიმე შეიქნებოდა.

მაგრამ ხელცალიერი რომ არ წამოვსულიყავი, სანთელს წამომაღებინებდა და მეტყოდა: სწორე დაიკავე სანთელი, თორემ ხელზე და ტანისამოსზე დაგეღვენთება და ვაშლს აღარ მოგცემო.

ჩავაწყობდით თუ არა ყველაფერს ეტლში, ბიძია წინ დაჯდებოდა და ჭიმ-აღვირს ხელში დაიკავებდა; გაიანე ეტლის უკანა კარს გამიღებდა, ეტლში ჩაჯდომას მომეხმარებოდა; მეც წიგნებ-ქაღალდებიანა შიგ ჩავჯდებოდი.

ასე რომ მოვეწყობოდით, მაშინვე თვალებს დავხუჭავდი და ვიცდიდი, სანამ ჩვენი ეტლი დაიძროდა.

ბიძია შოლტს რომ მოუქნევდა, ცხენი უცებ წაიწევდა წინ და ყველას შეგვანჯღრევდა, ამ დროს მოგზაურობის სიამოვნებას წინდაწინვე ვგრძნობდი.

ბიძია ჰაერში შოლტს გაატკაცუნებდა, ცხენს შეუტევდა დ ლურჯა ნელ-ნელა, აუჩქარებლივ გზას გაუდგებოდა.

მაშინ ჩემ პატარა გაკვეთილების სწავლას დავიწყებდი, რიგრიგად; დავისწავლიდი თუ არა რამეს, მაშინვე ბიძაჩემს მოუყვებოდი.

ბიძია ყურს მიგდებდა და თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა; როდესაც კარგა მოუყვებოდი, სიამოვნების ნიშნად თავს დამიქნევდა და არაფერს არ მეტყოდა, მაგრამ თუ შევჩერდებოდი ხოლმე, ცოტა ხანს დამაცლიდა, რომ მომეფიქრებინა და გამხსენებოდა. საზეპიროში ერთი სიტყვის მაგიერ მეორე რომ მეთქვა, ბიძია მომაძახებდა: „როგორ? ჰა?“.

ამ ჰას თქმაზე ჩვენი ცხენი ყოველთვის ყურებს აცქვეტდა და თითქოს გაჩერებას აპირებდა.

— ერთი უყურეთ ამას, — სიცილით მიაძახებდა ბიძია და ცხენიც ისევ გზას გაუდგებოდა.

ამასობაში დავიწყებულ სიტყვას გავიხსენებდი; თუ მივხვდებოდი და ვიტყოდი, ბიძია მომიწონებდა; და თუ ვინიცობაა ვერ მოვიგონებდი, ბიძია მომეხმარებოდა და ამიხსნიდა, რომ ყველაფერი კარგად გამეგო. ხშირად ძალიან უგულისყუროდ ვიყავი, ადვილად ვერ გავიგებდი ხოლმე, მაგრამ ბიძია თავის დღეში ამაზე არ ჯავრობდა.

ზოგჯერ ბიძია სიტყვას გამაწყვეტინებდა და მეტყოდა: „ბ ერთი ამას შეხედეო, მეც თითს დავადებდი წიგნის იმ ადგილას, სადაც ვკითხულობდი, რომ არ შემშლოდა. ბიძიასაკენ გადავხტებოდი; ბიძიაც მიჩვენებდა, რა ნათელი და ლამაზი სანახავია ცა მზის ამოსვლაზე და ჩასვლაზე, ანდა მეტყოდა: — აი, უყურე, ეს ჩცენარე სამყურა არის, ის კი ირონჯა; აბა დაიმახსოვრე. რა განსხვავებაა მათში.

გზაში გლეხები ბიძიას დიდი მოწიწებით მოესალმებოდნენ: ბიძიაც იმათ სახელებს მეტყოდა, თანაც ამიხსნიდა, თუ რისთვის იყო საჭირო ის იარაღები, რომლებიც გლეხებს მხარზე გადებული მიჰქონდათ.

ამნაირად ბევრი ისეთი რამ შევიტყე, რასაც ვერასოდეს ვერ გისწავლიდი ოთახში. ცოტ-ცოტად შევისწავლე ყველა, ვიცოდ რას აკეთებდნენ სოფლელები მთელი წლის განმავლობაში.

ხანდახან ბიძია დამიძახებდა:

— აბა აქ მოდი,

— რა გნებავს, ბიძია?

— რას აკეთებენ კაცები, აგერ ჯანაში რომ მოჩანან?

— პურსა მკიან.

— ამას ჰქვიან მკა?

— დიახ, ბიძია.

— რომ მომკიან პურს, მერე რას უზამენ?

— მერე გალეწენ, მარცვალს ღეროებს მოაშორებენ, ამ მარცვალს ბაზარში გაჰყიდიან; მეწისქვილე დაფქვავს და მერე მეპურე პურს გამოაცხობს. ხომ ხედავ, ბიძია, შარშან მეგონა, ვითომ გამომცხვარი პური ყანაში მოდიოდა, ახლა კი ვიცი, რომ ეს შეცდომა იყო.

ბიძიამ და მეც, ორივემ სიცილი დავიწყეთ.

— აბა, ესეც მითხარი, თუ იცი: წლის მოსავალი პური სულ დაიფქვება თუ არა?

— არა, ბიძია, ზოგი სამერმისოდ, სათესლედ შეინახება.

— ხომ არ გახსოვს, შენთვის ამაზე მითქვამს რამე თუ არა?

— ჰო, გამახსენდა, ჩემი თვალითაც მინახავს, — შარშან არ იყო, ბიძია პეტრიასთან რომ მივდიოდით, — მაშინ, „ნინოს ვარდს“ ვსწავლობდი; ბიძიას ყანაში გიგო მიწას ხნავდა; გუთანში ორი უღელი ხარი ება. ახლო მივედით და ვნახეთ, რომ სახნისი ბროლივით ბრჭყვიალებდა. გათხრილ მიწას შავი ფერი გადაჰკროდა, შიგ ჭიები ირეოდენ და ჩიტები მათ დასეოდა. გოგია კი გიგოს უკან მისდევდა და დახნულ მიწაში პურის მარცვლებს პეშვით აბნევდა. აი, ხომ ხედავ, ყველაფერი დამხსომებია!..

— მერე?

— მერე, შენ აკი მითხარი, ამ ჩიტებს დიდი სარგებლობა მოაქვთო, რადგანაც ბევრ ჭიას და მწერს ჭამენო. მაშინ პირობა დავდევი, ამიერიდან ამათ არაფერს ვავნებ-მეთქი და კიდეც ავასრულე ეს პირობა.

— მერე?

— მერე, რამდენსამე ხანს შემდეგ დავბრუნდით ისევ იმ ყანებში და პურის მარცვალი აღარ ჩანდა მიწაში; მეგონა, ალბათ ჩიტებმა შეჭამეს-მეთქი.

— მერე?

— მერე შენ მითხარი ცოტა ხანს მომეცადა და მართლაც რამდენსამე კვირის შემდეგ იმ ყანაში მშვენიერი ჯეჯილი ამომწვანდა, გაიზარდა, თავთავი გაიკეთა, დაპურდა და აი ახლა . მას მკიან კიდეც.

ბიძიამ კმაყოფილების ნიშნად თავზე შოლტის წვერი დამადო და მეც ჩემ გაკვეთილებს შევუდექი.

ერთხელ კიდევ გაზაფხულის დღე იყო; ეტლში თავჩაქინდრუ-

ლი ვიჯექი და გულმოდგინედ რალაც გაკვეთილს ვსწავლობდი უცებ ბიძიამ დამიძახა.

თვალუწვდენელ მინდორზე აუარებელი ძროხა და ხარ-კამეჩი გამოერეკათ; მწყემსად პატარა პავლია, მისი და და კიდევ ორი ძალლი იყო, — ქიცა და მურია. პავლია ხესთან ატუზული სალამურს ბლიდა; მისი და მარო ბალახზე იჯდა და ყვავილების თაიგულს ჭრავდა. ქიცა ამაყად შესცქეროდა ცხვრებს, მურია კი დამშვიდებული ბალახზე იწვა.

— იცი, ბიძია, — ვუთხარი მე, — ერთხელ მე და პავლია ბაყაყების დასაჭერად წავედით. ბაყაყებისთანა ბრიყვი პირუტყვი ჩემს დღეში არ მენახა; თითქო განგებ თავს აჭერინებს ადამიანსაო. წითელი მაუდის ნაჭერი ბაწარს უნდა მიაბა და წყალში გადაუგდო. ბაყაყები მაშინვე ერთმანეთში ჩხუბს დაიწყებენ, არა ჩემი იყოს ეს ჭინჭი და არა ჩემიო; ვინც უფრო მსუნაგია, იმას შერჩება. მაშინ უცებ უნდა გამოსწიო ბაწარს და ბაყაყი ნაპირზე გადმოგარდება, მერე კიდევ ისიც ვნახეთ, მარია ქათმებს და იხვებს სიმინდს რომ უყრიდა. ესენიც ხომ ბაყაყებსავით მსუნაგები ყოფილან! ყველა ყვირის, ქაქანებს, ფრთებს აფართხუნებს, ერთმანეთს კორტნის, მატცვალს სიჩქარით ჰყლაპავს; ჰო, რა სანახავია! მე და პავლიამ ვუყვირეთ: „ჯურრრ... ჯურრრ... ჯურრრ“... და „კვატი, კვატი“. დიდი ყვირილი, ქაქანი და ხმაურობა ატყდა. ანტონი თივას ზადავდა იმ დროს და ყიყლიყოს ყვირილს მოჰყვა, სიმონამ ვირივით ჰიოს ყროყინი დაიწყო. ნეტავი გენახა, ბიძია. სწორედ რომ ხიცილით მოკვდებოდი!

— მართლა? — მკითხა ღიმილით ბიძიამ.

პატარა ბავშვებს ჰგონიათ, დიდებსაც მათსავით უკვირთ ყველაფერი.

შემოდგომის დამდეგს ქალაქიდან ერთი ნათესავი გვეწვია, თან ხემი ხნის შვილიც ჩამოიყვანა; ერთხელ ბიძიას ზვარში ჩავედით: რთველი იყო და ყურძენი უნდა გვეჭამა. ჩემი სტუმარი ძალიან თამამად იყო, ბევრ ყურძენს შევჭამო, მე კი სოფლის ამბავი მეტი ვიცოდი და ვაფრთხილებდი: ნუ ჭამ, თორემ გაწყენს-მეთქი, მაგრამ მაინც არ დამიჯერა. მართლაც ბლომად შეჭამა ყურძენი დაშუადღის ჟამს შემომჩივლა: თავი დამიმძიმდაო, გული მიხურსო, მეც გავახსენე ჩემი გაფრთხილება და ვურჩიე პური და ხორცის ცხელი წვენი ეჭამა. ამ წამალმა კარგ გუნებაზე დააყენა.

ამაში და ბევრ სხვა რამეშიც ჩემი ტოლი სტუმარი სულ შე-

ვარცხვინე, რადგანაც მან სოფლისა არაფერი არ იცოდა და მე კი ბიძიისაგან ბევრი რამ მქონდა გაგონილ-ნასწავლი.

ახლა დიდი ვარ, მაგრამ ბიძიას ნალაპარაკევი სულ მახსოვს, დიდი მადლობელი ვარ მისი, რადგან მან მასწავლა პირველად, რომ ადამიანს თუ უნდა ბევრი რასმე შესწავლა, შეუძლია თავისთავადაც შეისწავლოს, თუ დააკვირდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებაო.



ჩ ა ი ზ ე...

I

— კიდევ ერთი ჭიქა, გრიგოლ! — ეპატიჟებოდა მახპინძელი.

— გმადლობთ, საკმარისია.

— კი, კი, კიდევ ერთი, აი ამ კომშის მურაბით. ხაგინგებოდ ღიმზადებულია, — ამბობდა დიასახლისი.

— ლაპარაკი რა საჭიროა, ანეტაჯან, დაასხი, გეთაყვა, — ალეგ-ხით უთხრა მასპინძელმა მეუღლეს და პაპიროსს კბილი დაეჭირა.

— ნება თქვენია, — დანებდა სტუმარი და თითონაც პაპიროსის ბაძებნელად პიჯაკის ჯიბეში ხელი ჩაიყო.

დიასახლისმა ჩაი დაასხა და თავაზიანად სტუმარს გაუწოდა.

— გმადლობთ, ბატონო ანეტა, ნუ სწუხდებით, — ზრდილობი-ანად უთხრა გრიგოლმა და პირში დაგუბებული თამბაქოს ბოლი ერთბაშად გამოუშვა და თანაც დაუბერა, რომ ჰაერში ჩქარა გამქ-ხალიყო.

— ჰო, იმას მოგახსენებდი, ბ-ნო ვასილი, — მიუბრუნდა სტუმარი მასპინძელს. — მე, სწორე გითხრა, სრულებით თანავუგრ-ძნობ გუშინწინ გაზეთში ამოკითხულ ახალ აზრს, მე... საზოგადოდ პროგრესისტი ვარ, ან რათ არ უნდა ვიყო, რაც საუკეთესოა, ისაც უნდა მივსდიოთ. ქვეყნიერება, ჩემო ძმაო, წინ მიდის და მეც თან მივყევარ, აღარ მინდა ჩამოვშორდე... ვერ გამიგია ზოგიერთების ხასიათი... ხასიათი თუ... უვიცობა... თუ გაუგებრობა... თუ... ერთი სიტყვით, როგორც გინდა დაარქვი და საანბანო ჭეშმარიტებასაც ხშირად დამტკიცება და ახსნა რომ სჭირია?.. საზოგადოებაში აქ-ხიომასაც რომ ფეხი ვერ მოუკიდნია?! ძმობას გეფიცები, მიკვირს!

რა საზოგადოება გინდა... აი, თუ გინდ ავიღოთ, კაცი განათლებული, უმაღლეს სწავლა დამთავრებული, გამოცდილი, აგერ ნადვორნი ხოვეტნიკი, ნათლად მოაზრე... რაც გინდა, ყოველისფერი, მაგრამ წარმოიდგინე, როცა გაზეთში წავიკითხე და ვუჩვენე... სწორედ, ამას წინათ მეც მაგ საგანზე ვფიქრობდი და როცა წავიკითხე ჩემი აზრის თანახმა, თან გამიკვირდა, თან გამიხარდა და მაშინათვე მივურბენინე... და წარმოიდგინეთ! არაფრად ჩააგდო, ეჰ! საქმე შემოლევიათ, რას ბოდავენ, არ იციანო! მოდი და ჰკითხე ახლა.

— ეს რომელი ყოფილა? — ჰკითხა დიასახლისმა და ეშმაკუნად ცალი წარბი აიბზიკა.

ვასილი კი ოდნავ დაფიქრებული ძირს იყურებოდა.

— აი ჩემი ამხანაგი ლუკა პართენის ძე! — მიუგო სტუმარმა, — ვერაფერი გზით ვერ დავიჯერე! მე ვეუბნები, კაცო, აი, ძმაო ლუკა, განვსაჯოთ! ქვეყნიერება, ჩემო ბატონო, ქალი და კაცისაგან შედგება. ხაცა გინდა მიხვიდე, თუ საზოგადოება არის, თუ ხალხია, უსათუოდ ქალი და კაცი იგულისხმება. მათი ინტერესები ერთმანეთთან მჭიდროდ გადახლართულია... ამიტომ ქალი და კაცი რაც შეიძლება დაახლოებით უნდა იცნობდნენ ერთმანეთს. ერთმანეთის აზრი, მისწრაფება, სული და გული... ერთი სიტყვით მთლად ერთმანეთის ღირსება-ნაკლულევანება ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი. მაშასადამე, საჭიროა ისინი პატარაობითვე ერთად იზრდებოდნენ, ერთმანეთს მიეჩვიონ, ერთმანეთის ბუნება, ღირსება-ნაკლულევანება ასწონ-დასწონონ და როცა გაიზრდებიან, რიგზე და წესზე დამყარებულ კანონიერ ცხოვრებას დაიწყებენ, მაშინ მათ შორის ყოველგვარ უსიამოვნებას, თუ სულ აღ მოისპო, ნაკლები ადგილი მაინც ექნება. ეს ისეთი აშკარაა, როგორც მე გრიგოლი ვარ და თქვენ ვასილი ბრძანდებით. ამაზე მე... როგორც კაცი, ისე თავისთავად ვფიქრობდი და, წარმოიდგინე, საუკეთესო პედაგოგებიც ამასვე ამბობენ და ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით საზოგადოებას გაუზიარეს.

— რასაკვირველია... დიახ, — დინჯად მიუგო ვასილმა.

— მაგრამ რა ვიცი... მე პედაგოგიკის, მართალი გითხრა, იმდენი გამეგება, რამდენიც ღორს ფორთოხლისა... მაინც მე ვფიქრობ. რომ პატარაობისას, ე. ი. ასე შვიდი-რვა წლის ბავშვები ერთად, მესმის და თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალ-ვაჟი ერთად, თუ ერთ ხახლში მოათავსე აღსაზრდელად, ნება თქვენია და მგონი მარტო ხულის და გულის გაცნობას და ხასიათის აწონ-დაწონვას არ დახ-

ჯერდებიან, მგონია... ქალი ხომ იცით, ჯოჯოხეთის ალია... ხი, ხი, ხი, ხი, — ჩაიკისკისა მასპინძელმა და ცოლს შეხედა.

— ქალი ვითომ რა? — იწყინა დიასახლისმა, — რატომ მარტო ქალი გელანდება თვალწინ. თუ ქალი ჯოჯოხეთის ალია, მაშინ...

— მაშინ კაცი ხომ მისი საწვავი ხმელი შეშაა, — სიცილით დასძინა გრიგოლმა. — არა, нет, Василий Васильевич! ეს ახალი აზრია და იმიტომ ასე გეჩვენებათ, თორემ...

— არა, მე ის მინდოდა მეთქვა, — გააწყვეტინა დიასახლისმა, — მე ის მინდოდა მეთქვა, რომ საზოგადოდ მამაკაცებს ჩვეულება გაქვთ ხოლმე: ყოველი სიბოროტე-სიავის მიზეზად ქალი მიგაჩნიათ და სამართლიანად საქმეს თუ დავუკვირდით, სულ წინააღმდეგი უნდა მივიღოთ, იმდენ სისაძაგლეს, რამდენსაც მამაკაცი ჩაიდენს, ქალი, რაც გინდა დაცემული იყოს იგი, ვერც კი მოიფიქრებს...

— უკაცრაოდ, მომითმინეთ, ბატონო, — დინჯად დაიწყო სტუმარმა, ერთიც ჩაი შეხვრიპა. — სიავკარგეში თუ რომელი სჯობიან — ქალი თუ კაცი საზოგადოდ, მაგაზე გადაჭრილად რა მოგახსენო, მე მხოლოთ ერთი-ორი სიტყვა მინდა შევნიშნო ამ საგანზე. საზოგადოებას, ბატონო, ვთქვათ ხალხს, — რაც შეიძლებოდა მოუმარილა სიტყვას სტუმარმა, — სხვა მრავალ ნაკლულევანებათა შორის ერთი ნაკლულევანებაც სჭირს. რამე გაგონილ აზრს საზოგადოება ჩქარა ითვისებს და იმეორებს. რომ დაუკვირდეს. რამდენად მართალი და ჭეშმარიტია, კრიტიკაში გაატაროს, არ შეიძლება... მიღებულია, მაგალითად: ქალებმა დააქცია ქვეყანაო და მორჩა და გათავდა — დიდი და პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, უხდება თუ არ უხდება, უნდა თუ არ უნდა, აკერებს და აკერებს ლაპარაკში. აგრეთვე მამაკაცებზედაც ამბობენ: მამაკაცები საზიზღრებიაო და გათავდა, ამასაც იმეორებენ და იმეორებენ.

— მე ყველა კაცზე კი არ მითქვამს, — შენიშნა დიასახლისმა.

— არა, ბატონო, თქვენზე კი არ ვამბობ. პირადად თქვენზე, ან ვასილ ვასილის ძეზე, ღმერთმა დამიფაროს. ეს საზოგადო კილოა ჩვენი,—დაბეჯითებით თქვა სტუმარმა და პაპიროსს ნეკით ნაზად ფერფლი მოაშორა და საფერფლეზე დაბერტყა. — ერთიც და მეორეც შემცდარი აზრია, ბატონო, პატიოსანი და სინიდისიანი კაცებშიაც არის და ქალებშიაც, ჩემო ბატონო. დამერწმუნეთ, ბატონებო, რომ ეს შემცდარი აზრი ერთმანეთზე ქალთა და კაცთა შორის მჭევრმეტყველი მღაღადებელია იმისა, რომ ქალი და კაცი ნაკლებად იცნობენ ერთმანეთს და საჭიროა პატარაობიდანვე შე-

ეთვისონ ერთმანეთს. მე, სწორე გითხრათ, ძლიერ მაინტერესებს ეს კითხვა და ძლიერაც ვუკვირდები ამ საგანს, — ღირსეულად ხმა-აუმატა სტუმარმა და ოდნავ თავჩაქინდრულ მასპინძელს გადა-ხედა... — ქალებს იმოდენად არ ვიცნობ და მამაკაცებზე კი გე-ტყვით. რომ, მათდა სასახელოდ, არა ერთი და ორი ყოვლად პა-ტიოსანი ადამიანი ვიცი... მაგალითისათვის შორს არ წავალ, პირ-ფერობით არ ვიტყვი და... — შეხედა სტუმარმა დიასახლისს... — აი თუგინდ ავიღოთ თქვენი მეუღლე! დიდად პატივცემული ბ. ვასილი. დიდი ხანი არ არის, რაც ვიცნობ, მაგრამ ეს მცირე დროც სრულებით საკმარისია, დაბეჯითებით ვთქვა, რომ... ერთ-სიტყვით, თუ კაცი სანდოა, უნდა იყოს მისი სითავმდაბლე, შრო-მისმოყვარეობა, პატიოსნება, ზნეობა... მეც ვხედავ და არა ერთი და ორისაგან გამიგონია. ამიტომაცაა კიდეც ისე შევეთვისე, რომ...

მასპინძელმა თავი კიდევ უფრო ჩაქინდრა და მორცხვად ახედ-ხან ცოლს და ხან სტუმარს.

— აი თუგინდ ავიღოთ კიდევ ჩვენი ოჯახი, — რიხიანად გა-აგრძელა სტუმარმა და მურაბიანი ჩაი კიდევ შეხვრიპა. — ტრაბა-ხობით არ ვიტყვი და... მამაჩემი რომ გარდაიცვალა, შვიდი სულ-ობლები დავრჩით დედის ხელში, სულ ერთი ერთმანეთზე მიმდევ-რები. უფროსი, მგონია, თერთმეტი წლისა იყო. რა გაჭირვება, რა დავიდარაბა არ გამოვიარეთ, მაგრამ ზნეობა მაინც არ შეგვი-ლახავს. ერთ რასმე ჭორს, ან რამე ცუდს კაცი იტყვის ჩვენ ოჯახ-ზე? არ გაგონილა, აპა, პა, პა! ერთი უბრალო ჩირქი არ მოგვცხე-ბია. ჩვენ, შვილებიც, ისეთ მაღალ ზნეობიან საფუძველზე აღგვ-ზარდა, რომ დღე ყოველი მისი მადლობელი და მლოცველი ვარ. განა ქალაქში არა ვცხოვრობდით? საცა ყოველ ნაბიჯზე ათასგვა-რი საფრთხეა... მაგრამ წესიერმა აღზრდამ ყოველ ალიან-ჩალიანი-საგან დაგვიფარა. ოხ, რამდენი ვიცი ცუდი აღზრდის მეოხებით გარყვნილების მორევში გადავარდნილი! — ეს ბოლო სიტყვები ზიზღით წარმოთქვა სტუმარმა და ჩაი კიდევ რამდენჯერმე შეხვ-რიპა. — ნ...და... ასეა, ბატონო, დამერწმუნეთ, — ამოოხვრით და-უმატა, — მამაკაცებშიაც ურევია რიგიანი და ურიგო პირი...

— რასაკვირველია, — შენიშნა მასპინძელმა, — მეც ერთი და ორი არ ვიცი რიგიანი და პატიოსანი... აი თუგინდ გაბრიელ პეტ-რეს ძე! გულკეთილი და ღვთის მორწმუნე, ექვს წელიწადს ეკლე-სიის მნათედ იყო. ყველასაგან მადლობა და პატივი დაიმსახურა; ქების ფურცელი და ლოცვა-კურთხევაც მიიღო. ღმერთიც ეწევა; სამი სახლი ააშენა იმ კაცმა...

— დამერწმუნეთ, დამერწმუნეთ, — ხალისიანად შეხედა სტუმარმა მასპინძელს და მარჯვენა ხელი გულზე მიიდვა, — დამერწმუნეთ, რომ თუ ახალი აზრის თანახმად გავრცელდა განათლება. უზნეობას და უპატიოსნებას ადამიანთა შორის ადგილი არ ექნება. ჩვენ თითო-ოროლა მაგალითი მოგვყავს პატიოსან კაცებისა და მაშინ წინააღმდეგ, უპატიოსნო კაცები შეგვექნება. თითზე ჩამოსათვლელი.

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, — გაუბედავად ამბობდა მასპინძელი, თითქო ნაკლებად დარწმუნებულია სტუმრის სიტყვების ძალაში.

— მერწმუნეთ, მერწმუნეთ, — ულვაშების გრეხით ამბობდა სტუმარი...

— კი, კი, მეც თანახმა ვარ, მეც, — გულუბრყვილოდ წარმოთქვა დიასახლისმა.

— მეც მოტრფიალე ვარ კაცობრიობის ზნეობის განსპეტაკებისა. საჭირო კი არის სწორედ, რამე წამალი მოიძებნოს, თორემ შენი მტერი, სულ დაეცა ნამუსი. განსაკუთრებით ამ ქალაქ ალაგას. ხადაც მთელი მილეთის ხალხი შეჯგუფულია, რა და რა ხდება, ღმერთო ჩემო! ქუჩაში რომ გავიხედავ ხანდახან, პატიოსნებას გეფიცები, გული მერევა! ისეთ საზიზღარ სცენებს წავაწყდები, ეს ქუჩაში, კედლების გარეთ და კედლების შიგნით კი ვინ იცის რა ხდება. ალბათ, გულზე ამდენად იმიტომ მხვდებოდა, რომ, — შეჩერდა დიასახლისი, თითქო ქმრისა რცხვენიაო და ცოტა შეწითლდა. — მეც, ბატონო, თქვენი არ იყოს, ცოტა სასტიკ ზნეობიან ოჯახში ვარ აღზრდილი. დედაჩემი, აცხოვნოს ღმერთმა, მამა ნუ წამიწყდება, ისეთი მაღალი ზნეობის ქალი იყო, რომ ახლაც, როცა წარმოვიდგენ, გაოცებული ვარ... ღმერთო ჩემო! ოცდა ერთი წლისა ვიყავი, როცა გამათხოვეს და რას ერქვა გათხოვება, ბინდბუნდად მქონდა წარმოდგენილი. ვითომ გგონიათ ყარჩაკეტილად ვცხოვრობდით? სრულებით არა! თუმცა ძველი დროის ქალი იყო, მაგრამ, თქვენ რომ ბრძანეთ, იმ ახალი აზრისა იყო ისიც. ეტყობა ბუნებით დიდი ნიჭის მქონი უნდა ყოფილიყო. პატარაობითვე, რაც თავი მახსოვს, სულ სტუმრები მოდიოდნენ ჩვენსა. ვინ გინდა, ვინ გინდა, ბატონო: გიმნაზიელები, აფიცრები, თითქმის სემინარიელებიც. ერთი ჩვენი ნაცნობი სემინარიელი ახლა ბლაღოჩინია, თურმე ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, ხი, ხი, ხი,—ჩაიკისკისა დიასახლისმა და ქმარს გადახედა. — მაგრამ თურმე ბაბრალომ წინადადების მოცემა ვერ გაბედა, ახლახან შემხვდა.

გაძეცინა, რომ ვნახე. კინაღამ ვერ ვიცანი, ვასოჯან, — მიუბრუნდა ქმარს. — ვზივარ კონკაში და შევხედე ვიღაც მღვდელი თავს მიკრავს, შევაჩერდი, ის, ანდრო, ღმერთო, გამეცინა. სალაპარაკოდ რომ შემხვედროდა, ყავაზე მოვიწვევდი, შენ ხომ არ გეწყინებოდა, ვასოჯან! — და ქმრისაკენ გადიხარა დიასახლისი.

— ეჰ! — ზანტად ხელი დაიქნია ვასილმა და დაღლილი თვალებით სტუმარს შეხედა და უშნოდ ჩაიცინა, თითქო უნდა თქვასო: რას ბოდავს ეს დედაკაცი, ჩემგან იქვიანობა ვის გაუგონიაო.

— ხა, ხა, ხა, — გულიანად ხარხარებდა სტუმარი და თან ჩაის ხვრეპავდა.

— იმას მოგახსენებდით, რამდენი უცხო პირები მოდიოდნენ ჩვენსა, — გააგრძელა დიასახლისმა,—მაგრამ ერთი ბეწო რამე ჩვენ ოჯახში? ღმერთმა დაგიფაროს. პრინცის შვილიც რომ ყოფილიყო, ვერ გაბედავდა ერთ რასმე უდიერ და უწესო სიტყვასაც კი დედაჩემთან? მაგისთანები რამე? ოი, ოი, ოი! ერთხელ, მახსოვს, ერთმა ოფიცერმა, ნასვამი უნდა ყოფილიყო, რაღაც გაიხუმრა, ცუდი რამე ეთქვას არა, ისე... და დედაჩემმა მაშინათვე სახლიდან დაითხოვა და ის იყო და ის, მას შემდეგ არ მიუღია ჩვენ კი ისე გვზრდიდა, რომ... აი ვასოსაც კითხეთ, ახლაც მარტო რომ დავრჩები მასთან, თითქო რაღაც მრცხვენია...

— რა სათქმელია, ბატონო, განა არ ვიცი, — რწმენით მიუგო სტუმარმა. — ცხადია, ბატონო! მე ერთობ მოხარული ვარ! როგორც გეტყობათ, თქვენც თანაუგრძნობთ ახალ აზრს და ცოცხალ მაგალითითაც გვიმტკიცებთ, დროა, დროა, ბატონებო! — აღტაცებით წარმოთქვა გრიგოლმა,—დროა, რომ ვისაც ცოტა რამ განათლება მიუღია და ზნეობაც შეულახავი შერჩენია, დაეხმაროს ამ საზოგადო, თითქმის მსოფლიო უსაქმიროესს და კეთილ საქმეს... მიკვირს, ვასილ, — ტკბილად მიუბრუნდა მასპინძელს, — კაცო! ზოგიერთს, რა ზოგიერთი გინდა, თითქმის უმეტესობას დღემდე დაუჩემებია ის დახავსებული აზრი, ვითომ, თუ ქალი და კაცი ერთად არიან, უსათუოდ რასმე უზნეოს გაივლებენ გულშიო. დალახვრა ღმერთმა, მე ვითომ კაცი არ ვიყავი? ცოლის შერთვამდე რამდენ ქალს ვიცნობდი, ანგარიშიც არ ვიცი, ზოგიერთთან მარტოც შემხვედრია დარჩენა, სეირნობა, მაგრამ, უბრალო მეგობრობის გარდა, რომ არაფერს ვგრძნობდი? მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, ახალი განათლება გაფანტავს ველურ შეხედულებას ქალ-ვაჟთა დამოკიდებულებაზე და მოვა დრო, როცა უცხო ქალი და კაცი ათას ვერსსაც გაივლიან ისე, როგორც და-ძმა, მე ეს მტკი-

ცედ მწამს, ბატონებო, მტკიცედ, მომავალი დროის ყურებაც საჭირო არაა. ნამდვილი განათლებული, მე აქ ნამდვილ განათლებულ ვგულისხმობ, ახლაც ისე იქცევა, როგორც სასურველია. მხოლოდ ცრუ სოფელი და თათრები ფიქრობენ, რომ უცხო ქალის ან კაცის გულგრილად ერთად ყოფნა შეუძლებელიაო და ამიტომაცაა იშვნეულობენ და იმალებიან.

მასპინძელმა თავი ისევ ჩაქინდრა. ეტყობოდა მას თავისი კერძო საქმეები უფრო აწუხებდა, ვინემ მსჯელობა იმაზე, თუ ვინ სჯობია, ქალები თუ კაცები, ან მათი ერთად თუ განცალკევებულად აღზრდა სჯობდა. ის მაგგვარ ფიქრებით თავს არ იწუხებდა. პრაქტიკის კაცი იყო. აკეთებდა თავის საქმეს რიგიანად და გულმოდგინედ და დაუღალავადაც, თუ გნებავთ. თვეში სამი მანეთიდან დაიწყო თუთხმეტის წლისამ რკინის გზის დეპოში და ახლა, ოცდაშეცხრამეტე წელში, თუთხმეტ თუმანზე მეტს იღებდა ერთს მდიდარ კერძო ქარხანაში. ხანდისხან სმაც უყვარდა და თამაშობაც და თუ თავისუფალი დროც გადარჩებოდა, უმეტეს ნაწილად, ეძინა.

II

— ასე რამ დაგაფიქრათ, ვასილ ვასილიჩ! — დაეკითხა სტუმარი მასპინძელს.

— ო! — თითქო გამოერკვაო, მიუგო მასპინძელმა. — საფიქრებელი ბევრი მაქვს, მაგრამ ახლა ერთი რამ მიტრიალებს თავში. მგონი ამ მოკლე დროში ბაქოსკენ შემექნეს წასვლა.

— ეხ, ერთი შენცა! რაღა დროის ბაქოში წასვლაა ამ დღესასწაულებში, მერე წადით იანვარში. უქმეები კი აქ გემოზე ვატაროთ. ახალ წელიწადს რაღა!

— ეხ! უქმეები უქმეებია, მაგრამ საქმეც საქმეა და, არა, წასვლა კი არ მეზარება, — ცოტა-ცოტად გამოცოცხლდა მასპინძელი.— მეშინია, ვაითუ რაზედაც მგზავნიან. ის რიგიანად ვერ შევასრულო.

— მაინც რა ყოფილა ისეთი.

— საქმე იმაშია, ბატონო, რომ ახლა ჩვენს ქარხანაში ახალი მანქანა გვინდა შევიძინოთ. ჩვენ რომ გვინდა, მაგის მზგავსი აქ არსად არ არის. ბაქოში მოუტანიათ ერთ ადგილას და იმის დასათვალიერებლად და რამდენად გამოსადეგი და ხელსაყრელი იქნება ჩვენი საქმისათვის, იმის შესატყობად მგზავნიან. პატრონი,

თითქმის ინჟინერს არ ენდო და მე გამომირჩია, და თუ ღმერთმა ინება და რიგიანად შეასრულე, თვეში ორი თუმანი ზედმეტი თუ გინდ ახლაც ხელში მქონდეს!

— თქმა არ უნდა შეასრულებ, რა სალაპარაკოა. ნუ! შეასრულებ, შეასრულებ, — ტუჩებგაბუტვით მიუგო გრიგოლ მიხეილის ძემ. — მხოლოდ ამ დღესასწაულებში კი ნუ წახვალ. ახლა კი ერთი დარდის გასაქარვებლად ცოტა ვიბანქოოთ, ვითომ რას იტყვი?

— არაფერს, — ოდნავ სიცილით მიუგო მასპინძელმა.

ბანქოს თამაშობა დაიწყეს. დიასახლისი სამზარეულოსაკენ წავიდა.

ვიღაცამ კარები დააკაკუნა.

— მობრძანდით, — დაუძახა ვასილმა.

კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ასე შუა ხნის კაცი. ტანსამოსზე ეტყობოდა, რომ მოსამსახურე უნდა ყოფილიყო.

— ა... ვანო! რა ამბავია, — მიეხმაურა მასპინძელი.

— ბატონი გიბარებთ.

— ქარხანაშია?

— არა, შინაა.

— ახლავე...

— ჰერიჰა, ჩემო ძმაო, შენ რა სულმოკლე კაცი ყოფილხარ, — მიუბრუნდა გრიგოლი ახალმოსულს. — მე ახლა, ძმაო, მოგეგების გზას ვადექი, აი ხედავ, რამდენი კოზირები მყავს და შენ კი სადღაც ეძახი ჩემს მოპირდაპირეს.

— მე რა შუაში ვარ, ბატონო, — იმართლა თავი მოსამსახურემ.

— შენ ხარ შუაში, შენ ხარ შუაში! — გაფანტულად მიუგო გრიგოლმა.

— ალბათ, მე რომ ახლახან გეუბნებოდი, იმაზე მიბარებს, — წამოიძახა ვასილმა, ბანქო საჩქაროდ დააგდო და დაფაცურდა. პაპიროსიც პირში ჩაიდო და ჯიბაში წუმწუმის კოლოფს ძებნა დაუწყო. — უკაცრავად, გრიგორი მიხაილიჩ, — თან ეუბნებოდა სტუმარს. — ჩემ მოსვლამდი არ მოსწყინდე როგორმე. მე ახლავე მოვალ, დიდი, დიდი, ოცი წუთი ან ნახევარი საათი დამაგვიანდეს.

— რა ამბავია, ვასო, — გამოილაპარაკა ანეტამ.

— არაფერი, ჩემო ძვირფასო, რაღაც ქარხნის პატრონი საჩქაროდ მიბარებს. მე ახლავე მოვალ, სტუმარი ჩემ მოსვლამდი ან მოაწყინო. მე ახლავე, მე ახლავე, — თან ამბობდა ვასილი და თან ჭედს ეძებდა.

— არა, ჩემო ძმაო. — ნაღვლიანად წარმოთქვა სტუმარმა, ისე-

თი ხმით, თითქო მამის სიკვდილი შეატყობინესო, — მეც ჯობიან ჩემს გზას გავუდგე. შენ როდის მოხვალ, ღმერთმა იცის. მე ვიცი იმ ახალ მანქანაზე გექნებათ სჯა-ბაასი და ხვალ დილამდი ღმერთმა მშვიდობით გაგათავებინოთ.

— არა, არა, ნუ ჩქარობ, გრიგორი მიხაილიჩ! მე ახლავე, ღმერთმანი, თამაშობა გავაგრძელოთ.

— ძაშ ჩქარა თუ არ მოხვედი? — თითქო განჩინებას უცხადებსო, მიუგო სტუმარმა, — იცოდე გავიქცევი, ქალებთან ჯდომა, მართალი გითხრა, ჩემო ძმაო, ბევრი არა მჩვევია. ჩემ ცოლთანაც მომეწყინება ხოლმე...

მასპინძელი საჩქაროდ გავიდა, სტუმარი სავარძელში იჯდა, ხელში ბანქოს გროვა ეჭირა და ურევდა. დიასახლისი გულხელდაკრეფილი კუთხეში იდგა. ის იყო ასე ოცდა ხუთი წლის, საშუალოზე ცოტა მაღალი, კარგი შეთქვირებული ლამაზი ქალი.

ორივეს სახე ეფითრებოდათ. სტუმარი ოდნავ აძაგძაგდა და დაკვირვებით შეაჩერდა ქალს.

— ანეტა, — ჩუმად წარმოთქვა მან.

— რა იყო? — მიუგო ქალმა.

— რავა რა იყო, ყოველთვის ასახსნელია? ვერა მხედავ? კაცი ლამის დავდნე.

ქალმა იქვიანად შეიმოხედა. დამდნარს არაფერი მიუგავდა, კარგა შეტოცორებული, ასე, ოცდა ათის წლის მამაკაცი იყო.

— ენას ძვალი არა აქვს, — მიუგო ქალმა, — თქვენ სულ მასე იცით! ქალს აედევნებით ცოფიან ძაღლივით, გულს აუძგერებთ, სიყვარულს გაუღვიძებთ და თუ როგორმე პირუტყვული მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოასწარით, უკან მოუხედავად გაიქცევით...

— ღმერთი, რჯული...

— სუთ, სუთ, კმარა! ყურები გამომეჭედა მაგნაირი სიტყვებით, იმ დღეს რად არ მოხვედით?!.

—შენ თავს ვფიცავ, ჩემო ანგელოზო, — ათრთოლებულად წარმოთქვა გრიგოლმა და ქალისაკენ გაექანა.

— სუთ-მეთქი, იქით დაიწიეთ, ფანჯარაში ვინმე შემოიხედავს.

გრიგორი მიხაილიჩმა შეშინებულ ირემივით ფანჯრები აათვალიერა. ფანჯრებზე ყველგან ფარდები იყო ჩამოფარებული და ვიხიმე გარედან შემოხედვა საშიში არ იყო.

— ჩემო თვალის სინათლევ, ჩემო ანგელოზო! განა ისე ძიყუარებ? ჩემო ძვირფასო, შენს ნახვას და შენს სიახლოვეს ყოფნას განა

რამე ბორჩევნია ამ ქვეყნად?! მაგრამ ხო იცი, შიში... შიში... და ქვეყნის შურიანი და ბოროტი თვალი. განა არ იცი, ჩემო ღვთაებავ. რომ გარეშე მაყურებლების ხარბ და შურიან თვალებს აღარაფერი გამოეპარება... მეშინიან... მეშინიან, ჩემო გულის კლიტეავ. — ამ სიტყვებით ნელა კისერზე ხელი მოხვია ქალს. ქალი არ ეწინააღმდეგა და ორივენი ერთმანეთს გადაეკონენ.

— ოჰ, ვითომ მეალერსები, ვითომ გიყვარვარ? — მომდურავი კილოთი ეუბნებოდა ქალი. — გუშინწინ არ დაგინახე, ბგონია, ვამომეპარე? ვიღაც სქელ-სქელ ქალს მიყვებოდი და ისე ეკუნტრუშებოდი ამ ჩემ ფანჯრის წინ, თითქო მე მაჯავრებდი.

— აბა რაებს მეუბნები, გენაცვალე, ხომ არ მოგჩვენებია, რას ამბობ!! უიმისოდაც ეს არის კაცი გადავირიო და შენ კიდევ რანაირ სიტყვებს მეუბნები. რატომ არ დაიქცა ის დღე, მე შენ როცა პირველად დაგინახე... ღამე არა მძინავს, სმა-ჭამა ჩემთვის გემრიელი არაა... უბრალო კაცის შებრალებაც არა გაქვს? გულში ქვა გიძევს? — გულაჩვილებულად დაუმატა ბრიგოლმა.

ქალმა არა მიუგო რა, მხოლოდ კაცის მკერდს მიეხუტა.

— ჩემო ოქროვ, ჩემო ალმასო, — წაბლისფერ ხშირ თმაზე ხელ გადასმით გააგრძელა სტუმარმა. — განა არ იცი, განა არ იცი ქვეყნის შურიანი და ხარბი თვალი... განა არ იცი, სულიკო? ჯერ ერთი, ჩემი ცოლი. უჰ! რა ეპვიანია. რა ეპვიანია, ისეთი ეპვიანია! პროკურორია რაღა, პროკურორი, ყოველი ფეხის გადადგმის ანგარიშს თხოულობს... მგონი კიდეც შეეპარა ცოტა ეპვი... რაღაც საეშმაკოდ. გენაცვალე, ამ დღეებში შენი, გენაცვალე, შენობით ვილაპარაკოთ!

ქალმა ამღვრეული თვალებით ახედა და ოდნავ დაუდასტურა, კაცი დაეწაფა და ცხელ-ცხელი კოცნით დაუფარა ლამაზი ლოყატუჩები.

— დიახ. გენაცვალე. რაღაც საეშმაკოდ შენი ქება შემცდა, ეს რომელი ანეტა ყოფილაო, ოდნავ მაღლა ცხვირის აწევით, ცივად შენიშნა ჩემმა ცოლმა. — ჰო, ჰო, ვიცი, ვიცი, მე მაგას ვიცნობო. ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ შენი მტერი, სახეზე შევატყვე, რომ ინსტინქტმა რაღაც უსიამოვნო და საეჭვო გულში ჩასძახა. მისი ქმარი და მე გულითადი მეგობრები ვართ-მეთქი, ვუთხარი. იმან კი საორქოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მეც, რა თქმა უნდა, ავიბნიე და თუმცა საჩქაროდ სულის სიმხნევე მოვიკრიბე და თამამი გამოძეტყველება მივიღე, მაგრამ ერთ წამს სახეზე შეცვლა და ფრთხილად აქეთ-იქით მიხედვა საკმარისი იყო, მის გულს ეპვის ბურუსი

გარდაფენოდა. ბედზე, ამ დროს, ჩემმა ბიჭუნამ, ჩემმა პაწია გიგომ ისეთი ბღავილი მორთო აკვანში, რომ, მგონია, ჩვენი მეეზოვე, გულქვა არსენაც დააფრთხო. დედა მაშინათვე შვილისაკენ გაექანა და მე ისე ოსტატურად გავაბი ლაპარაკი სულ სხვა საგანზე და ისე მივეალერსე, რომ შენი ამ ქვეყნად არსებობაც დავავიწყე... საშიშია, ჩემო სულიკო... მეშინიან... აგრეთვე ვასო! ვასო! ვაიმე, რამე ეჭვი თუ აიღო, ხუმრობა როდია, გენაცვალე, საცოდაობა დატრიალდება. სიფრთხილეს თავი არა ტკივა, ჩემო სიცოცხლევ, სიფრთხილეს!..

— ვასოს მაგისთანებისათვის არა ცხელა. მაგი არავითარ ეჭვს არ აიღებს. ის ძილშიაც მანქანებით ბოდავს.

— სიფრთხილე მაინც, გენაცვალე, სიფრთხილე! — ცოტა გაჭიანურებულად ამბობდა სტუმარი და ქალს გულში იკრავდა.

— ჩემო გვრიტიკო, ჩემო გვრიტიკო, — ლუღლუღებდა ქალიც.

— ოხ! რომ იცოდე, გენაცვალე, რარიგად გული მიღელავს, ოცა ამ ეზოში შემოვდივარ, როგორ მოვდივარ. არც კი ვიცი. ძედელ. ქვა. ხე სულ მე მიყურებს. მგონია თქვენმა მეეზოვემაც, ვილაც კრუამაც. დღეს რომ მოვდიოდი, რაღაც ეჭვნეულად შემომხედა. თუმცა თავდაბლა ქუდი მომიხადა და ცოცხიც ძირს დაუშვა.

— შენ, ალბათ, გელანდება, ხომ გაგიგონია: ქურდს ქუდი ეწვიხო, — სიცილით მიუგო ქალმა.

— შეიძლება. შეიძლება, ჩემო მტრედუნავ, ჩემო, — თქვა გრიგოლმა და.

— არა, სუ! — უცბად წამოიძახა ქალმა და შეიკუმშა. — ეს არ შეიძლება... არა... არა...

— ჩემო თვალის ჩინო! ჩე...

— არა, არა!

— მაშ შენი ხელით მომკალი...

— ისე გვიყვარდეს ერთმანეთი, გრიგოლ, ეს არა. აი თუ გინდა, მაკოცე!

— მე თავი ცოცხალი არ მინდა! მე... იცოდე, რომ... თავს მოვიკლავ... მე შენ გაღმერთებ... მე შენთვის ყველაფერი დავივიწყე. ღმერთო ჩემო, არ ვიცი რა ამბავია ჩემს თავზე... მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი... იცოდე, რომ სინიდისის წინაშე პასუხისმგებელი იქნები. მაშ კარგი, — შეწუხებული სახით თქვა სტუმარმა და ქალის ხელებისაგან განთავისუფლება მოინდომა.

— ჯერ კიდევ კარგად გავიცნოთ ერთმანეთი, გენაცვალე. —

ტკბილად ეუბნებოდა ქალი და არ უშვებდა. — მერე, მერე ჩემო ბიჭიკო, ახლა ან ვინმე მოვიდეს, ან რამე...

— თქვენი მოსამსახურე გოგო სადღაა, რომ ტღეს სრულებით არ ვხედავ, — ათრთოლებით დაეკითხა გრიგოლი.

— სხვაგანაა.

— მაშ ვინ მოვა, მაშ ვინ მოვა,—თრთოლვით ამბობდა სტუმარი და ქალს გულში იკრავდა...

III

— ძლიერ მოგეწყინა? ბევრი დამაგვიანდა? — შემოილაპარაკა ვახილმა და ქუდი დივანისაკენ გაისროლა. — უჰ! დავოფლიანდი, დავოფლიანდი, მაინც რა მიყრუებულ ქუჩაზე ვცხოვრობთ, კონკ: ახლოს არ უვლის, სადმე წასვლა რომ გინდოდეს. ეტლი დაიჭირო, მაგრამ სად არის ეტლი! ერთი ვერსის სიახლოვეს იმასაც არ შეხვდები, თუ არ შემთხვევით. უჰ! უჰ! — ქშინავდა მასპინძელი და ცხვირსახოცით გაოფლიანებულ თმა-პირისახეს და ჩასქელებულ კისერს იწმენდდა. — ვიჩქარე, ვიჩქარე, მაგრამ, მაინც...

— ეს არის, ძმაო, რაღა, ახლა ვაპირობდი წასვლას, აი ვემზადებოდი კიდეც, ოცი წუთიო და საათი კი გავიდა, — მხიარულად მიეალერსა გრიგოლი და თვითონაც ცხვირსახოცი პირისახეზე წაისვ-წამოისვა და ერთიც ტანისამოსზე დაიხედა. — ჰო, მართლა, რა ამბავია, რაზე მოგიხმეს ასე საჩქაროდ. რას ამბობს თქვენი ქარხნის პატრონი! მთაწმინდაში ქვანახშირი ხომ არ აღმოჩენილა, ან სოლოლაკში ნავთი, — გაიოხუნჯა სტუმარმა.

მათ ლაპარაკზე ანეტაც გამოვიდა.

— რა იყო, ვასოჯან? — ტკბილად დაეკითხა ცოლი.

—ბევრი არაფერი, სულიკო, მომიმზადე რაღა სამგზავრო აბგა, ხვალვე ბაქოში უნდა წავიდე.

— ხვალ დილითა? — უსიამოვნოდ განიმეორა ქალმა და ძირს დაიხედა.

— ეხ! ბაქო კი არა, მაგათი დაქცევა... ამ დღესასწაულებში რაღად გინდათ, კაცო, მანქანა... აგერ ჩვენ თვითონ მანქანა არა ვართ?! — გულნატკენად შენიშნა სტუმარმა. — შობას მინდოდა ანეტა და ჩემი ოჯახობა ერთმანეთისათვის გამეცნო, ჩემ ცოლს ძლიერ სწყურია ანეტას გაცნობა. პატარაობის დროს იცნობდნენ თურმე ერთმანეთს... მაინც, შვილოსა, რა უბედურებაა ამ ექსპლუატატორების საქმე! სწორე გითხრა, მიკვირს; ერთი დღე მოს-

ვენებული ვინ გაიგონა, სულ მხოლოდ შეძენის სურვილი კლავთ
დღე და ღამე...

— რა ვუყოთ, — გულდამშვიდებით მიუგო ვასილმა. — საქმემ, ჩემო კეთილო, დღესასწაული არ იცის... მარტო შეძენის სურვილით ნუ სჯით! თქვენ, სამსახურის კაცებმა, ე. ი. მოხელეებმა, არ იცით რას ჰქვია დიდი მრეწველობა. თქვენ ზიხართ ლამაზად, შენ ხარ ჩემი ბატონი, თბილად ოთახში, ან წერთ, ან ანგარიშობთ. იღებთ გადაჭრილ ჯამაგირს და გათავდა. შიში არაფრის გაქვთ. თქვენი ლუკმა უზრუნველყოფილია... მრეწველობაში კი ნამდვილი ბრძოლაა! მარტო შენ როდი ხარ; აი მეორეც შენსავით შრომობს. შენ, ვთქვათ, პროტოკოლი შეადგინე, მოსკოვში შენმა თანამოხელემ კიდევ პროტოკოლი შეადგინა. ნუ გეშინია, დავას არ გაგიწევს, ჩემი პროტოკოლი უკეთესადაა დაწერილიო. ორივეს უკრავენ შკაფში თავს და მორჩა... ჩვენთან კი სასტიკი კონკურენციაა გამართული! შენ აკეთებ შენს ქარხანაში რამე საქონელს, მეორეც აკეთებს და ცდილობს შენზე უკეთესი და უფრო იაფი გამოუვიდეს. შენც უნდა ეცადო, უკან არ ჩამორჩე! თუ ცოტა უკან დაიხიე, შაბაშ! დაიღუპები. დღედაღამ უნდა ფიქრობდე. შენ მოპირდაპირეს წინ გაუსწრო... შობა კი არა, მგონი აღდგომაც დაგავიწყდება. აი ჩვენს პატრონს, ცოტა რამეზე, შარშანწინ, სულ უბრალო მიზეზზე კინაღამ ფირმა დასაკეტი შეექმნა. ეჰ! ჩემო მეგობარო. რომ იცოდე, რა მქისეა მილიონების საქმე, რა ბამბის ძაფზე კიდია მისი ბედ-იღბალი? თუ მოიგო, ერთად იგებს, თუ წააგო, ქვით! ეს არაფერი, — ვითომდა თავისთვის ჩუმად დაუმატა ვახომ, — მე როგორმე რიგიანად შევასრულებდე ჩემ დანიშნულებას, ოორემ... იქაც ხერხი უნდა და? აშკარად რომ მიხვიდე მაგათ ქარხანაში და ეს და ეს მანქანა მინდა დავათვალიეროვო, რომ უთხრა.. პანღურის ცემით გამოგაგდებენ. ფულიანებს ერთმანეთის ვინი კლავს, ახალს რასმე ერთიმეორეს არ გაუმჟღავნებენ. ხერხი უნდა ეიხმარო და ისე მივიდე, თითქო აქ არაფერიაო, წვრილფეხობასაც აქა-იქ პირი უნდა გაუტკბარუნო საახალწლოდ, ისე უნდა მოვიქცე. რომ არავითარი ეჭვი არ აიღონ. ეს უნდა ქარხნის პატრონს. შობა დღეა ნამდვილად ხელსაყრელი მაგისთანა საქმისათვის, — მხიარულად დაუმატა მასპინძელმა იმნაირ კილოთი, თითქო ახალი რაღაც აღმოაჩინაო.

— უი! როგორ იქნება, ღმერთო ჩემო, ესეც სამსახურია. უქმი არ გააჩნია და საქმე, — ბუზღუნით წარმოთქვა ანეტამ და მტირა-

ლი სახე მიიღო. — არ მინდა, არა... შენ ხვალ წახვიდე... მინდა აქ დარჩე, არ მინდა, არა... ნუ წახვალ.

— კი, გენაცვალე, რა ვქნათ, ბეჩა აბა, ცხოვრება გვინდა, რაც შეიძლება ადრე ჩამოვალ, საახალწლოდ მაინც, უსათუოდ, — მიეალერსა ქმარი.

— შენ ეს მითხარი, კაცო, და,...ო... რა უნდა მეკითხა, — თითქო ძალიერ ეინტერესება ეს კითხვაო, წარმოთქვა ცოტად შეწითლებულმა სტუმარმა და ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა, მერე მაგარი ხველა აუტყდა. — ჰო, ჰო! ეგ ოხერი, მგონია, სურავანდ, დამმართნია... ჰო... ის უნდა მეკითხა, როგორა ბრძანდება თქვენი ქარხნის პატრონი?

— მაგას რა უპირს! ჯერჯერობით სალი კლდესავით არის საქმე...ო... მართლა, ის კი არა. ისეთი გულმოსული დამხვდა. რომ შეგეშინდა. კაცი არ გადაირიოს-მეთქი.

— რა მოსვლია?

— ჰმ! საკვირველია დღეს, რაღაც მაგნაირზე ვლაპარაკობდი ჩაიზე. გიმნაზიაში სწავლობს მისი ასე ცხრა-ათი წლის გოგო. თურმე ნუ მეტყვით. წერილების გზავნა დაუწყია ერთ ბიჭთან, მამას რაღაცნაირად ხელში ჩავარდნია ეს წერილები, მგონია, იმ ბიჭის მამას გამოუგზავნია და, შენი მტერი, ისე გაჭირვებული იყო თურმე, სულ ცოფსა ჰყრიდა. მე რომ მივედი, ცოტა დამშვიდებულიყო, მაგრამ მაინც...

— ეჰე! ათი წლის ბავშვმა მიწერ-მოწერა გამართა ვაჟთან? ეჰე? — დაფიქრდა სტუმარი.

— აბა, შე კაცო! დაიკარგოს მაგათი წერა-კითხვაც, მათმა ჯღაბნამ მე ცოტა ხელი შემიშალა?.. ის არა, შეიძლება მეტი ფულები მოეცა ჩემთვის სამგზავროდ...

— მერე, მერე, თქვენ გგონიათ, რომ ეს ამბავი ჩემს აზრს არ ღვევს? — საქმიანად წარმოთქვა სტუმარმა, — პირიქით, ვასილ, დამერწმუნე. ამტკიცებს!

— ჩემთვის სულ ერთია. — გულგრილად მიუგო მასპინძელმა. — მე ხომ მოგახსენე, პედაგოგიკის არა გამეგება რა-მეთქი

— არა. მაინც, არა, მაინც, — ცხარობდა სტუმარი, — ეს ისეთი საზოგადო კითხვაა, რომ გარკვევა უნდა. ხომ მოგახსენე, რიგიან აღზრდას რიგიანი საფუძველი უნდა-მეთქი, ე. ი. ზნეობრივი კანვაა საჭირო, თუ შეიძლება ასე ითქვას. შენი ქარხნის პატრონზე კი, შენ რად გეწყინება, და ამბობენ, დიდი გარყვნილი ოჯახის პატრონიაო და რა გამიკვირდება, როცა... ჰა, ჰა, ჰა! — უგულოდ ჩაი-

ცინა სტუმარმა, — რა გამიკვირდება, როცა ბავშვი ყოველდღე უზნეობას ხედავს დედ-მამისაგან, რომ თვითონაც არ...ში...ყობა დაიწყოს, — ბოლო სიტყვები ძლივს გასაგონად წარმოთქვა სტუმარმა და მორიდებულად თვალები აქეთ-იქით დააბრიცა, თითქო ეშინიან, დიასახლისმა უშვერი სიტყვა არ გაიგონოს. პატარაობითვე მაღალ ზნეობიან საფუძველზე აღზრდილ განათლებულ კაცისგანო. ტყუილად შეეშინდა! დიასახლისი ოთახში არ იყო. — სრული ჭეშმარიტებაა, — ხალისიანად განაგრძო სტუმარმა, — მართალია, რაც ნათქვამია: ეკლის ადგილას ეკალი ამოვა... და... მაშ ასე, ამ შობას აქ არ იქნები? Жаль, жаль. მწყენია, როგორც კაცი, ძლიერ შეგეთვისე, ერთი კაცი ძლივს გიპოვე, ვისთანაც ამ აუტანელ შრომის შემდეგ ცოტა გულს გადავაყოლებ ხოლმე...

— ეხ! რომ იცოდე, მეც რამდენი ჯაფა მაწევს თავზე. დამერწმუნე, მთელი კანცელარია მე მაბარია. ყველაფერზე თუ შენი ხელი არ მივიღა... მართლა, დაგვავიწყდა! ბანქო? არ ვითამაშოთ? ლაპარაკს გადავყევით.

— როგორც გენებოთ, მე წინააღმდეგი არა ვარ.

— მაშ კარგი. აბა ვნახოთ რომელი საათია! — ორივენ ხაათს დახედა!

— ოჰო! — წამოიძახა სტუმარმა, — უკვე ოთხი საათი ყოფილა!

— ჩემსაში კი შვიდი წუთი აკლია, ზარბაზანთან * შევასწორე დღეს.

— და წარმოიდგინე თითქმის ბნელა. რა ჩქარა ღამდება ეს დეკემბერში.

— ბნელა, ბნელა, — მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა სტუმარმა. — მე კი ხუთ საათზე გოლოვინის პროსპექტზე უნდა ავიარო. ერთი ნაფიცი ვექილი უნდა ვნახო, ექსტრენი საქმე მაქვს. ერთი ნახევარი საათი მაინც წავითამაშოთ.

— მაშ კარგი.

და ორივენი სათამაშოდ მაგიდას მოუსხდენ.

— ოხ! შენ ხვალ არ მიდიოდე, ეშმაკს წაუღია მანქანაც და ჩანქანაც, — ამოიოხრა სტუმარმა. — თქვენ დაარიგებთ?

— ვისაც ნაკლები მოუვიდეს.

— მაშ კარგი. — სტუმარმა ორი თითით ნაზად აიღო ბანქოს რამდენიმე ფურცელი. — ეხ! ექვსიანი შემხვდა.

— მე კიდევ ქალი...

---

* ქალაქში ყოველ 12 საათზე ზარბაზნებს გაისროდნენ ხოლმე

— ქალებზე ბედი გექნება! ჰმ! — ენა წაიკვნიტა სტუმარმა და ფრთხილად კისერი მხრებში ჩაიძვრინა, თითქო ეშინია, დიასახლისს არ გააგონოსო.

— ერთი ლამპა, გენაცვალე, ანეტაჯან, — დაიძახა ქმარმა.

— ახლავე, გენაცვალე, სანთელსაც მოგიტან.

ბანქოს თამაშობას შეუდგნენ.

— ო!.. ჩემო სულიკო, ეს ჭკუიანად ქენი, სანთელიც რომ მოგვიტანე. ახლა სრულ სინათლეზე ვიღაღადებთ რაღა... შობაკი შენ მარტო იღაღადებ არა, გეთაყვა? — ბავშვური კილოთი დაეკითხა ქმარი.

— უი, არ მინდა, არა, — აბუზღუნდა ცოლი. — აქ დარჩი... ირა... მერე ნაშობევს წადი, — და ქმარს მხარზე დაეყრდნო.

— კი, გენაცვალე, ჩქარა ჩამოვალ, — მიეალერსა ქმარი, ხელი დაუჭირა და ფუნთუშა და ბროლივით თეთრ ხელის ზურგზე აკოცა.

— ო... შენი ჭირიმე, — ნახევარი ხმით ბუტბუტებდა სტუმარი და რომ არ გადაეხარხარა, ტუჩებს იკვნეტდა და გულმოდგინედ ბანქოს ჩასჩერებოდა... — ო... მომითმინე, შენი ჭირიმე, ეს კოზირი, კარგი, მაგრამ ჰო, სულ ერთია; არა, არა, რატომ? კოზირი ხელიდან არ უნდა გაუშვა... (არც ერთი კოზირი არ მოეძევებოდა)... არა, არა, ეს... მაგრამ სულ ერთია...

— აბა მოდი, მოდი რაღა, — ეუბნებოდა უკმაყოფილო მოპირდაპირე. ეტყობოდა ქარხნის პატრონისაგან ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო. ჯიბეში ფული, გვერდით ლამაზი ცოლი, ოხ ნეტარებავ! — მოდი, მოდი, ნუ ძუნწობ კოზირებზე... თუ ღმერთმა მშვიდობა ქნა და რიგიანად შევასრულე მინდობილობა, მაშინ ნახე და... ეჰე! სამი ერთად მოხვედი? კოზირიც მოსულიყავი, არ შეგიშინდებოდი... არ მოგიკვდეს იმის მეტი ვასილი ვასილიჩი, ეს ამახ, ეს ამას...

ბანქო ორმოც წუთამდე ითამაშეს.

სტუმარი ვითომდა გულმოდგინედ თამაშობდა — სულ რაღაცებს თვლიდა, ანგარიშობდა, ბუტბუტებდა, ბჭობდა... ადრე სჯიდა რა და რა ჩამოსულიყო. მოსული ქაღალდები როგორ გაეჭრა. ნამდვილად კი ბანქოზე სრულებით აღარ ფიქრობდა. მას დღეს გამოვლილი წუთები ედგა თვალწინ და იმაზე ფიქრობდა. ფიქრობდა ახალგაზრდა დიასახლისზე, რომელიც ამას წინათ გულში ჩახუტებული ყავდა და იგივე ქალი ამ რამდენიმე წუთის წინათ ქმრის მხარზე ეყრდნო და იმას ეალერსებოდა, წარმოიდგინა თავისი ბა-

ვიც ცოლთან ალერსის დროს. — „ოი, დასწყევლა ეშმაკმა,—ფიქრობდა გულში. — რა არის კაცი, რა პირმოთნე არსებაა?! პირუტყვიაო, იტყვიან. პირუტყვი ხომ პირმოთნედ არ იქცევა, ოი, ოი, ოი, რამდენი სიყალბე იმალება ამ კურთხეულ ქვეყანაზე?!.. დღეს მაინც რა მორალში გავები, რა ზნეობის ქადაგება დამჩემდა, საკვირველებაა... რა ანგელოზად დავსახე ჩემი თავი, მაშოს ან სოფიოს ჯაეგონათ დღევანდელი ჩემი ქადაგება, წარმომიდგენია, რას იტყოდნენ... ხა, ხა, ნუ? პედაგოგობაც რომ დავიწყე, ფუი ეშმაკს! ხად გაგაძვრენს გრძნობა? პედაგოგობა? რაც სიყრმიდანვე მძულდა. რას მივედ-მოვედებოდი, შენი ჭირიმე! ქალ-ვაჟის ერთად აღზრდა-მეთქი: ჰმ! ეს მაინც რა ეშმაკმა გამახსენა, ან რა მაღალი ზნეობის კაცად დავსახე ჩემი თავი? აი, აი, Чорт его поберри

თორმეტი წლისა ვიყავი, ვერის ხიდთან გოგო რომ გავიცანი...ე... რა ყალბია ცხოვრება! მაგრამ ასე არ მოვქცეულიყავი, არ ვარგოდა. საქმე უამისოდ არ გაკეთდებოდა. მაინც არ მოველოდი დღეს ამ ზომამდი... მოვედი რაღა, ისე, დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. ანკესი რომ ცოტა ქე მოხვდა, ვიცოდი, მაგრამ ასე ჩქარა... ო! ღმერთო, ამრავლე ქარხნები და მათი კონკურენცია, დიდად ხელი შემიწყვეს!.. მაინც გააჭირა საქმე, მაგრამ არა იმდენი, მე უფრო მეტ წინააღმდეგობას მოველოდი. მაინც იოლად გამოვედი. გიმნაზიაში ყოფნის დროს გაზეპირებული ფრაზების მეტი ირ დამჭირვებია.... მაინც გასჭრა. ეხ, შვილო! გიცნობთ, რაცა ბრძანდებით, თუმცა ჩვენც არ ჩამოგვიარდებით! რა კარგი სიტყვაა: თავს მოვიკლავ, სიცოცხლე აღარ მინდა, ღამე აღარა მძინავსო. ელვასავით მოქმედებს რაღა, დენია, დენი, ელექტრონის დენი! ღამე არა მძინავს-მეთქი და ისიც დარწმუნებულია. კი მეტყობა სახეზე უძილობა. აი ათ საათზე რომ გავგორდები, დილის რვა საათზე ზეიმით და ზარით მაღვიძებენ ხოლმე... შეხედე, ახლავე ეპვიანობაც დამიწყო! რა ვუყო ამდენ ეპვსა! სქელ ქალს მიყვებოდიო. ვა! მაშ უჩინმაჩინის ქუდი დავიხურო?! მოიცა! ვის მივყვებოდი მაშინ? ჰოი, დასწყევლა ეშმაკმა! იმ ქვრივთან რომ გამოვიარე! წარმოიდგინეთ, ეს შიში მაშინაც ჩამესახა და აქეთკენ არ მინდოდა წამოვსულიყავით და საყასბო დუქანთან შეუხვიე. -აქეთ უფრო ახლოა-მეთქი, მაგრამ გაუხმეს თავი, დაიყინა: აქეთ, აქეთო! დაუნახივარ წყეულს! ი... დალახვრა ღმერთმა“...

ვასილი კი იგებდა და იგებდა, რაც თვითონაც აკვირვებდა, რადგან ბევრი ვერაფერი მოთამაშე ბრძანდებოდა.

მასპინძელმა ოთხი მანეთი და ექვსი შაური მოიგო. რაც სტუ-

. მარს ძლიერ უხაროდა და თვითონაც რაც შეეძლო, შველოდა. ამით ცოტათი ვითომ და სინიდისს იწმენდდა.

— ეხ! მაშინ მქონდა იმედი! — გონებით თქვა სტუმარმა, — ეშმაკებს წაუღია შენი მანქანაც და მისი პატრონიც და მისი ქოსა მოსამსახურეც. ქოსა კაცმა გიფერხოს და გაიგო სადაურია?! ჩორთ, ჩორთ მათ საქმეს! მაგრამ დამაცა, ჯერ ერთი დაბრუნდი ბაქოდან! მე შენ გიჩვენებ, დამაცა, თუ არ გაგიცარიელო ქისა.

— ხი, ხი, ხი, — ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი და სიხარულისაგან თვალებაწყალებული სტუმარს შეჰყურებდა.

დარწმუნებული იყო, რომ მინდობილობას რიგიანად შეასრულებდა, ჯამაგირს მოუმატებდნენ, გზის ფულებიც საკმაო ბლომად მისცეს. ოჯახი რიგიანი, მხიარულობდა, მხიარულობდა მასპინძელი, — ხი, ხი, ხი, მართალია, იმ ქოსა კაცმა შეგიშალა ხელი, იმის მოსვლამდე, მართლა შენ იგებდი, ხი, ხი, ხი...

— იმან, იმან, მაგას ორივე ფეხები მოტყდეს, — ჯავრობდა გრიგორი მიხაილიჩი.

— ხი, ხი, ხი, ხი, — ხითხითებდა მასპინძელი.

სტუმარმა საათს დახედა.

— ეხ! ჩემო ძმაო, გადავყოლილვართ... ხუთ საათზე მეტიცაა. მაინც რა ხანი დავრჩი დღეს თქვენთან. მხიარულ მუსაიფში დრო მირბის... ნ...და... — ჩაამღერა რაღაცა და გააზმორა — აა... ჩემი ცოდვა! მგონი ცოტა უქეიფოთაც ქე ვარ, ე... ამდენი საქმეები ვის არ გახდის ავად... პურის საჭმელად რიგიანად არა მცალია. აპა, პა, თუ ავად გავხდი, შენი მტერი, ტა, ტა, ტა, — ისევ გააზმორა სტუმარმა და ჯიბეში ჩხრეკა დაიწყო. — ეჰე! ეს სულ არ ვარგა, პაპიროსიც გამომლეულია?

— მე მოგართმევთ, — მიუგო მასპინძელმა.

— სულ ერთია, გავიღლი და ვიყიდი!

— არა, რატომ, მე მაქვს, შენახული მაქვს, მიბრძანეთ ვის თამბაქოს უფრო ეწევით!

— სულ ერთია.

— არა მაინც!

— როგორც მომხთება „მირ“, „ბალეტ-პაიაც“, „სიმპატია“!

— აი სწორედ მეც „სიმპატია“ მაქვს. ახლავე მოგართმევთ. მე თითო შაურობით ყიდვა არ მიყვარს, ყოველ შემთხვევისათვის მომეტებული მაქვს, — დაილაპარაკა მასპინძელმა და საწოლი ოთახისაკენ გაეშურა.

— „სიმპატია“. „სიმპატია“, — გაიმეორა სტუმარმაც და იქვე

მდგომ დიასახლისს შეაცქერდა, ტუჩები შეუთამაშა და შორეული კოცნა გაუგზავნა. ქალი აენთო და მღელვარე თვალებით გადმოანათა.

— ხვალ საღამოს, ექვს საათზე მოვალ. მოსამსახურე გოგო კიდევ სადმე გაგზავნე, გესმის! — საჩქაროდ წასჩურჩულა სტუმარმა, საქმიანი სახე მიიღო და ზურგზე ხელები მოიწყო და ოთახში გაიარა.

— აჰა, მთელი კოლოფი, მე მიყვარს „სიმპატია", მართლაც რაღაც თაეისებური გემო აქვს.

— ამით გინდა დამწვარი გული გამიმრთელო? — ბოროტი ღიმილით უთხრა სტუმარმა და კოლოფი გამოართვა.

— ხი, ხი, ხი. — ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი.

სტუმარი გამოეწყო. ჯერ ზრდილობიანად დიასახლისს ხელი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა. მურაბაც შეაქო. რაღაც განსაკუთრებული გემო მურაბაშიაც იპოვა, რაც დიასახლისის ხელოვნებას მიაწერა, მერე მასპინძელსაც ხელი მაგრა ჩამოართვა, საზოგადოდ თავი ორივეს დაუკრა, როგორც წესია კულტურულ წრეში, და გასწია.

— კიბეზე სანთელი მიუნათე. ვასოჯან, — დინჯად უთხრა ცოლმა.

— ჰო, მართლა, ახლავე, — დაფაცურდა ქმარი.

— ნუ სწუხდებით, ნუ სწუხდებით, ბნელაშიაც კატასავით ვხედავ, სხვა თქვი, თორემ, ე! თუმცა ძლიერ მობზეკილი კიბე კი ჰქონია ამ სახლს. ალბათ, ძველი გაკეთებული იქნება. ნუ სწუხდებით. ბატონო!

— არა, რა შეწუხებაა...

— დიდად გმადლობთ, დიდად, კეთილი მგზავრობა! — ამბობდა სტუმარი და კიბის საფეხურს თითო-თითოდ ჩადიოდა და თან ჩელთათმანებს იცვამდა.

— მადლობელი ვარ, რომ გვნახეთ, მადლობელი, შემოივლიდეთ ხოლმე, გამიხარდება. — მიაძახა მასპინძელმა.

— ჰო! გინდა კიდევ ფულები მომიგო? დამაცა მე შენა, ერთხელ ბედი ჩემსკენაც გამოაყოლებს.

— ხი, ხი, ხი, ხი. — ხითხითებდა კმაყოფილი მასპინძელი.



უსიამოვნო შეხვედრა

ამბავი

შუა ზამთარი იყო. სასტიკ ქარს თან ისეთი სიცივე ახლდა, ბოზ ორათუ ტანისამოსზე, ძვლებში ლურსმანივით გადიოდა... თუნუქის სახურავებს ისე ძლიერ აწვებოდა ქარი და ისეთი ბრაგუნი მოისმოდა, რომ გეგონებოდათ, ზარბაზნებს ისვრიანო.

ამ ყოვლად საძაგელ დღეს თბილისის „უსახელო საზოგადოებაც“ გამოეფხიზლებინა, რადგან ტრამვაის გზაზე შუშაბანდიანი ვაგონები გაეშვათ, რაც იშვიათად შემიმჩნევია ხოლმე; თუმცა კი, ამ შემთხვევაში თავისებური ლოღიკით ეხელმძღვანელათ: ვერის ხიდზე გამავალი და პროსპექტზე მიმავალი ვაგონების მომეტებული ნაწილი შუშაბანდიანი იყო და ბაზარ-რიყისაკენ მიმავალი კი— ათში ერთი. ალბათ, უფიქრნიათ: დაბალი ხალხი მაინც ჩვეულია ყინვა-სიცივეს, ღია ვაგონებითაც იოლად წავა და ვიზრუნოთ, როგორმე პროსპექტისკენ მიმავალ მსუქან ბურჟუას არ შეგვიცივდესო. მე მიხეილის ქუჩაზე ვიდექი, ხელში სავსე ხურჯინი მეჭირა და ვაგონს ვუცდიდი.

მოახლოვდა ერთი უშუშაბანდო ტრამვაი, კუკიის ხიდისკენ მიმავალი. — შიგ ათიოდე, მართლა უბრალო, კაცი იჯდა. ერთ ვიღაცას, — არ ვიცი სომხის თუ თათრის ქალს, — შავი, უშნო ტუჩთვალები ოდნავ გამოეყო გახუნებულ, ოდესღაც შავი თავსახვევისაგან, ცხვირის წვერი შაბიამანივით გალურჯებოდა და დაგლეჯილ ფარატინებში გამოხვეული ძალზე ძაგძაგებდა.

სხვებიც არ იყვნენ უკეთეს ყოფაში. თვით კონდუქტორიც, თუმცა სქელი შალის ხელთათმანი ეცვა და თავი ყურებთან ყაბალახით მაგრა შეეხვია, მაინც მოკუზულიყო და პალტოს ვიწრო სახელოებში ხელების დამალვას ცდილობდა.

მე ვერისკენ უნდა წავსულიყავი და ეს ვაგონი გავატარე. რამდენიმე წუთიც და ვერისკენ მიმავალი შუშაბანდიანი ვაგონი გამოჩნდა. შორიდანვე შევამჩნიე, რომ შიგ მარტო ორი კაცი იჯდა.

კონდუქტორმა ერთი უკმაყოფილოდ შეხედა ჩემს ხურჯინს. უნდა გამოგიტყდეთ, ძველიც გახლდათ და ჭუჭყიანიც, ჩემი ძველი ნაბადიც ბევრად არ ესიამოვნა და ერთიც საორჭოფოდ ამათვალიერა, თითქოს ფიქრობს, ეს ხურჯინიანი შეუშვა თუ არაო. ერთიც აქეთ-იქით გაიხედა, ალბათ, გაიფიქრა: საძაგელი დარია, ბაიმისო არავინ შემოვა, დაჯდეს, რას დავეძებო.

მე ბევრი არ დავაყოვნე და გავსწიე.

ბილეთი გამოვართვი და ვაგონის ერთ კუთხეში მივიმალე.

თანამგზავრებს ეტყობოდათ, საშუალო მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. ასე, ათას-ათას, ათას-ორას მანეთიანები, ორივეს ქუდზე ორ-ორი და ერთს კი მგონი სამი რაღაც სხვადასხვა სახის ნიშანი ეკრა.

ერთი მათგანი ოცდათუთხმეტ-თექვსმეტის წლისა იქნებოდა, ზორბა ტანისა, შავ ულვაშებიანი, წვერმოპარსული, წინა კბილები, შგონია, ჩასმული ჰქონდა.

მეორე ხნით პირველზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ხახე მოტეხილი ჰქონდა. ქერა იყო, შუა ტანისა, მოკლე წვერულვაშიანი, აქა-იქ ჭაღარაც გამოკრთოდა, და ისეთი ამღვრეული თვალებით იყურებოდა, რომ ერთ წამს ვიფიქრე: გადარეული არ იყოს-მეთქი. მაგრამ, როცა კარგად დავაკვირდი, შევნიშნე, რომ კაცი სრულს ჭკუაზე იყო. მხოლოდ რაღაც მოწყენილობა და სამუდამოდ გაუმრთელებელი გულნატკენობა ეხატებოდა პირის სახეზე. მისი უდროოდ დანაოჭებული, საკმაოდ განიერი შუბლი ამტკიცებდა, რომ დიდი სულისკვეთება, მწუხარება და, თუ გნებავთ, უბედურებაც უნდა გამოევლო. სასოწარკვეთილება მაინც არ ეტყობოდა. ხანდახან ისეთი თვალებით გამოანათებდა, თითქო ვისიმე შთანთქმას ლამობსო. მგზავრები მე რაღა ყურადღებას მომაქცევდნენ. როგორც შევიტყე, ეგონათ, რომ მათი ლაპარაკი არ მესმოდა და მოურიდებლად გააგრძელეს დაწყებული საუბარი.

— მე იმთავითვე ვიცოდი, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო, — თქვა ქერა კაცმა, — ძმობას გეფიცები, ვიცოდი! მე მწამს წინასწარი გრძნობა, სიკეთეს იმდენად არა, — და თუ რა უბედურება ან უსიამოვნება მოახლოებულია, უსათუოდ, რამენაირად წინდაწინვე იგრძნობს ხოლმე კაცი. მე კი ამ შემთხვევაში ერთი შეცდომაც არ მომსვლია; გული წინდაწინვე მიგრძნობს ხოლმე; იმ უბე-

დურ შეხვედრაშიაც, რომელმაც ჩემი სიცოცხლე შუაზე გაჰყო, ისე მომივიდა.

წვერმოპარსული გულდადებით უსმენდა.

— ძმობას გეფიცები, რომ გავიხსენებ ყველა წინდაწინ გამოვლილ გრძნობას, სახტად დავრჩები. საკვირველიცაა, წარმოიდგინეთ, ყმაწვილო, მაშინ მე ცოლის შერთვაზე სრულებით არც კი ვფიქრობდი. ვიყავ ჩემთვის ერთი თავისუფალი ახალგაზრდა კაცი. ვმსახურობდი; ვალი არ მაწუხებდა და ვახში. ჯამაგირი საკმარისი, ოთოქმის მეტიც მქონდა. გული და სინიდისი ჩემი, შედარებით, წმინდა იყო, საყოველთაო შურიანობას და პირმოთნეობას სრულებით დაბუდება ჩემში ჯერ ვერ მოესწრო. ერთხელ, არ მახსოვს, აპრილი იყო თუ მაისი, — ქერა კაცმა შუბლზე ხელი მოისვა და მერე მუხლებზე დაიცაცუნა, — დავდივარ ჩემთვის რკინიგზის სადგურის წინ ქვაფენილზე და გავიხედე. ერთი კაცი წინ შემეფეთა. ერთმანეთს შევხედეთ, თვალი თვალს გაუყარეთ და, მართალი გითხრა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. გულმა ცემას მოუხშირა, სულიც ოდნავ შეშიგუბდა, სახეზედაც წამოვწითლდი. თან მრცხვენოდა, თან მეშინოდა. მერე რაო? რისთვის? რა მიზეზით? ვერ მივხვედრილიყავი და ეს უფრო მაბრაზებდა.

ამ კაცს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი. არ ვიცოდი, ვინ იყო, სადაური, რა ჯურის, გვარის, თანამდებობის, რჯულის, მიმართულების. გარეგანი შეხედულება ურიგო არა ჰქონდა. კაცი მაღალი, ლამაზი პირისახისა, გემოვნებაზე ჩაცმულ-დახურული ჩემთან მას არავითარი კავშირი არ აერთებდა. მაინც პირველ დანახვისთანავე არ მომეწონა. ბინდბუნდად ვიგრძენ, რომ ამ კაცს ჩემთან ოდესმე უსიამოვნება მოუვიდოდა. გული მითხრობდა: ფლეს ან ხვალ ერთმანეთს ანგარიში უნდა გაუსწოროთ.

ის კაცი თამამად დადიოდა. კმაყოფილად იყურებოდა. აქა-იქ ნაცნობებსაც სალამს აძლევდა ხოლმე. ერთ-ორ ქალს ხელიც ჩამოართვა. ბოლოს ერთი ნაცნობი სასამართლოს მოხელე შეხვდა, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი, ლურჯსათვალებიანი, მკლავი მკლავს გაუყარა და ნაზად გადახრილი, რადგან დაბალი კაცი ვერ სწვდებოდა, ქვაფენილზე სეირნობდა. თან ცოტად, განზრახ მოიკოპლებდა ხოლმე.

მეც ვსეირნობდი. ჩაცმა-დახურვით მას არ ჩამოუვარდებოდი. ფონებით და სწავლა-განათლებით, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჩემზე უკეთესი არა ყოფილიყო. მე კი რაღაც დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი ჩემს თავს მის დანახვაზე.

ვაგონი ვეტცელის სასტუმროს მიუახლოვდა და შეჩერდა. ერთმა ახალგაზრდა, უფერულმა, წვრილ-წვრილმა, გვარიან კარგად ჩაცმულმა ქალმა ვაგონის კარი შემოაღო. ქერა კაცმა ერთი ალმაცერად შეხედა თავისი ამღვრეული თვალებით და ლაპარაკი შესწყვიტა.

ქალმა დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ კონდუქტორი ზე დაადგა.

— გადასაჯდომი რიყისკენ. — ჩუმად უთხრა სიცივისაგან გათოშილმა ქალმა.

— ეს რიყისკენ არ მიდის, ქალბატონო, — მიუგო კონდუქტორმა და ვაგონის ბერქვეშ გასწვრივ გაბმულ ბაწარს ხელი მოავლო. ზარმა დაიწკრიალა. ვაგონი შეჩერდა.

ქალმა უკმაყოფილო სახე მიიღო და საჩქაროდ გავიდა. ქერა კაცმა თვალი გააყოლა.

— ნ...და... — გაჭიანურებულად და მაგრა ამოქშენით წარმოთქვა პირმოპარსულმა.

— მერე ის იყო და ის, — გულდამშვიდებულად გააგრძელა ქერა კაცმა. — ძლიერ მაკვირვებდა, რად მომივიდა ასე იმ უცნობ კაცის დანახვაზე, მაგრამ ბევრი ყურადღება არ მიმიქცევია. მერე ჩქარად არ შემხვედრია ის კაცი და, თუკი შემხვდებოდა სადმე, მისი შეხვედრა ყოველთვის უსიამოვნებას მგვრიდა ხოლმე.

რამდენიმე წელიწადი გავიდა და ცოლიც შევირთე. ეს კია, რომ ცოლის შერთვა აჩქარებულად მომიხდა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამნაირი საქმე. ჯვარი დავიწერე. ეკლესიიდან პირდაპირ სიმამრის, უკაცრავად, სიდედრის სახლში (სიმამრს არ მოვსწრებივარ) წავედით. იქ ბევრი სტუმრები დაგვხვდნენ. ყველანი მილოცავდნენ, ხელს ბართმევდნენ, მკოცნიდნენ, მეცნაურებოდნენ. სხვათა შორის შევხედე... — აქ მწარედ ჩაიცინა ქერა კაცმა და მრისხანე თვალები გადაატრიალა. — შევხედე და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება. — ის კაცი წინ არ გამომეჭიმა!.. სახელი, მამის სახელი და გვარი მითხრა. დიდად სასიამოვნოა-მეთქი. მივუგე და ხელი გავუწოდე. ნამდვილად უარესი უსიამოვნება მაშინაც არ გამომიცდია, როცა ამ კაცის მეოხებით ნამდვილი უბედურება შემემთხვა.

პირმოპარსულ კაცს პირზე ღიმი მოადგა.

— გიკვირს, ასე მშვიდად რომ ელაპარაკობ? — სიცილით დაეკითხა ქერა კაცი. — დრო, ეტყობა, ჩემო ძმაო, ყველაფერს გაასწორებს. მე ახლა სრულიად დამშვიდებული გახლავარ და შემიძლია ობიექტურად შევხედო საქმეს. ყველანი მხიარულობდნენ:

მეც, ისიც, სხვებიც. ამ მხიარულობა-მუსაიფში შევიტყე, რომ ხშირი ხტუმარი ყოფილიყო ის კაცი ჩემი სიდედრის სახლში. ვითომ ენა-ᲒᲔᲡᲐᲕᲔᲑᲝᲓᲐ კიდეც. რაღაც მიბოგ-მობოგილს ჩმახავდნენ: მამის დეიდაშვილის შვილს თუ დედის მამიდაშვილის შვილს, რაღაც ამის მაგვარს. ჩემს ცოლთან იმ ღამეს თამამად ეჭირა თავი, მასხრობდა, ოხუნჯობდა. ჩემს ცოლისდებს შენობით და საალერსო შემოკლებული სახელებით იხსენიებდა. ერთი სიტყვით, შინაური კაცი ყოფილიყო...

გაბედნიერებას მილოცავდნენ. მრავალჟამიერს მიმღერდნენ. ურას ყვიროდნენ, მეც ვიცინოდი, თავს ვუკრავდი, გულში კი ცეცხლი მენთებოდა. ეგრძნობდი, ალი როგორ ძლიერდებოდა და მთელ ჩემს სხეულს ედებოდა. ჩემში იმ ღამესვე ეჭვი დაიბადა და ამ ეჭვს უტყუარი საბუთი იმ ღამესვე დაედო. როგორღაც გადავხედე ჩემს მეტოქეს. იმან ჩემს ახალ ჯვარდაწერილ ცოლს შეხედა. მათი თვალები შეიყარნენ და ამ შეხედვამ მეც თვალი ამიხილა. აი, შენი გაბედნიერებაც! ამ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა, რომელიც...

ვაგონი ვერის ხიდისაკენ მოსახვევში შეჩერდა.

ერთი მდიდრულად ჩაცმული სქელ-სქელი ქალი ქშენით შემოვიდა. კარებში ძლივს შემოეტია. უკან გრძელ ქურქში გახვეული უფერული შავ-შავი კაცი მოსდევდა და ისეთი თავმდაბალი და მორჩილი კილოთი ელაპარაკებოდა, — ქმარი უნდა ყოფილიყო.

ქალბატონი მძიმედ დაეშვა სკამზე. ვაგონი კეთილ სუნნელებით აივსო. ეტყობოდა ქალბატონი ძვირფას ნელსაცხებელს ჭარბად ხმარობდა.

ერთიც ზანტად ჩემსკენ მოიხედა. მერე ქერა კაცს ისეთი გამომეტყველებით დააცქერდა, რომ გეგონებოდათ დიდი ხნის ნაცნობია და უკვირს, სალამს რად არ მაძლევსო.

ქერა კაცმა მის შემოსვლისთანავე ლაპარაკი შეწყვიტა და გზიდან დაიწყო ყურება. წვერმოპარსული ძირს იყურებოდა.

ქალბატონს ორივე ხელები მშვენივრად ქუროში დაემალა და ყელზე რაღაც მოწითალო მხეცის ბეწვი ჰქონდა შემოხვეული. მარჯვენა ხელი ქუროდან გამოიღო და ბეწვიანი საყელო გაისწორა. ნეკზე და არათითზე რამდენიმე ბრილიანტის თვლებიანი ბეჭედი ჰამოეცო.

ვაგონი ერთ ადგილას შეჩერდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, არ გაცივდეთ, ჩქარა გასწრეთ შინ, არ შეგცივდეთ! ყველანი მომიკითხეთ... ხვალ საღამოთი შემოვე-

ლ. — მოისმა ქალის ნაზი ხმა და ვაგონის უკანა კარებში ერთი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. იმასაც ორივე ხელები ქუროში დაეშალა და კისერზე შავი ბეწვი გადაეგდო.

მის ხმაზე ქერა კაცი შეკრთა, თვალები საშინლად დააბრიალა. სახეზე ზიზღი და შურისძიება გამოიხატა. უმისოდაც მოყვითალო სახე წმინდა სანთელივით გაუყვითლდა და კარებში მდგომ ლამაზ ქალს მრისხანედ შეაცქერდა. ტანი სიბრაზისაგან უცახცახებდა, საჩქაროდ ზეზე წამოვარდა. ფუო, ერთი გააფურთხა და ვაგონიდან გავარდა.

წვერმოპარსულმაც რაღაც მწყრალად წაიდუდუნა და უკან დაედევნა.

ქუჩაში თვალი გავაყოლე. ქერა კაცი უკანმოუხედავად, თითქმის გარბოდა და პირმოპარსული უხათროდ უკან მისდევდა და ხელს უქნევდა, თითქო ეუბნებოდა, მოითმინე, რას გარბიხარ, აქ მო, რა გითხრა... ღმერთმა შენც და ისიც, ორივე ერთად ამოგაგდოსო!

თავზარდაცემული ქალი კარებში იდგა. სრულიად მოულოდნელი შეხვედრა იყო მისთვის. ქალი დაიბნა, არც იცოდა, რა ექნა, ხაით წასულიყო, მის გვერდით გაოცებულსავე კონდუქტორს ცალ ხელში ხაბილეთო ყუთი ეჭირა და მეორე ხელის ორი თითით ნახევრად მოხეული ბილეთი.

სქელმა ქალბატონმა თავი ძირს დახარა, მარჯვენა ხელი ისევ ქუროდან გამოიღო და მკერდზე ჩამოშვებულ ბეწვს წაუსვ-წამოუსვა. ბრილიანტი საუცხოოდ ბრწყინავდა. კარებში მდგომმა ქალმა დააპირა, წინ წაედგა ფეხი, მაგრამ ქალბატონს გადახედა, ხაჩქაროდ უკან გაბრუნდა და საუცხოო სიმარჯვით ვაგონიდან გადახტა.

— ვერ გამიგია, რა ამბავია? — ჩუმად და აუჩქარებლად წატმოთქვა ქურქიანმა და გაკვირვებით ქალბატონს შეხედა, — იმ კაცმა ის ქალი რად გალანძღა, ჩვენც თავზე რად გადაგვაფურთხა! ეს სრულებით პატიოსნება არაა, ბატონებო, რაც უნდა იყოს, ხაზოგ...

— შენც ერთი გააბამ ახლა! — უკმაყოფილოდ მიუგო ქალბატონმა და შუშაბანდში ცნობისმოყვარეობით გაიხედა, მაგრამ ამ დროს ხიდზე შევსულიყავით და აბა რას დაინახავდა, — განა ვეტ იცანი ის ქერა კაცი! — დაეკითხა ქმარს.

— ვერა, — გაკვირვებით მიუგო ქურქიანმა.

— ეს ის მოხელეა, არ გახსოვს? სამი წლის წინათ ცოლი რომ

გაექცა... ეს მისი ცოლია, მე ვიცნობდი ერთ დროს ორივეს. ვი-ღაც ნაცნობს იყო, თუ სათესავს რომ გაჰყვა, თავის დროზე ძლიერ საინტერესო აბბავი იყო. გაზეთებშიაც ეწერა. საუცხოვო შეხვედ-რაა. მე შენ მოგახსენებ.

— ჰო! — წარმოთქვა ქურქიანმა და, ცოტა არ იყოს, შეშინე-ბული სახით შეხედა ქალბატონს, მერე ვაგონს თვალები მიმოავ-ლო. კონდუქტორი უკან კარებთან გარეთ იდგა და სიცივისაგან თვალებს ხუჭავდა. მე ერთ კუთხეში მიკრუნჩხული ვიყავი.

ქალბატონმა ისევ გამოაჩინა ბრილიანტიანი ხელი და გულ-გრილად ჩაიტიტინა: — მარია ივანოვნას ახალ ამბავს. მაინც ვეტყვი. უსიამოვნო შეხვედრაა, უსიამოვნო!



რაბი იიშუ

I

გათენდა. ხმელთაშუა ზღვიდან დილის ნიავმა დაბერა და ზეთისხილის ბუჩქებით დაბურულ ბორცვებიდან სქელი ბურუსი გენესარეთის ტბისკენ მოაგროვა.

ქალაქ კაპერნაუმის მახლობლად, ორ სერშუა, ვაკეზე პატარა სოფელი იყო გაშენებული, რომელსაც სულ ქვა-ტალახისაგან შეთითხნილი ორიოდე ქოხი შეადგენდა. სოფელს ჩრდილოეთით კარგა მოზრდილი, ტიტველი მთა ეფარა, რომლის აღმოსავლეთით დავაკებაზე, ბუჩქებშუა, მშვენიერი ანკარა წყარო გამოჩუხჩუხებდა. მზემაც აღმოსავლეთის მწვავე სხივები ისროლა და დღიურ შრომის შემდეგ მოსვენებას მიცემული სოფელი გამოაღვიძა.

განაპირას მდგომ ქოხის კარები გაიღო, და ახალგაზრდა ახოვანი ქალი, კოკით ხელში, დინჯად გამოვიდა. თუმცა ქალს ბერანგზე მსოლოდ დახეული ლურჯი ჩადრი ეცვა და ფეხებიც შიშველი ჰქონდა, მაგრამ ტანმაღალი, გულმკერდშერგვალებული ასული ისრაელისა ამ ღარიბულ ტანისამოსშიაც მიმზიდველ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ქალი წყაროსკენ გაუდგა. და ჯერ ორასიოდ ნაბიჯი კიდევ უკლდა, რომ მხიარულად შეჰკივლა და კისკისით გაექანა.

— სალომე? ჩემო ძვირფასო დობილო! განა ასე ჩქარა დაბრუნდი იერუსალიმიდან? — შორიდანვე მიაძახა ქალმა დობილს, რომელსაც უკვე კოკა გაევსო და წყაროსთან იდგა.

— ელისაბედ, საყვარელო დაო! — იყო პასუხი. — გათენებული არც კი იყო, როცა აქ მოვედი. რაღაც ოთხიოდე დღეა არ მინახავ-

ხარ და რა დაგიმალო, უშენოდ ვეღარ გავძელი. გწყალობდეს იეღოვა და მადლი იერუსალიმის დიდებული ტაძრისა! მოდი, ჩქარა ერთი გაკოცო, ჩემო ძვირფასო ელისაბედ.

ქალები სიყვარულით ერთმანეთს ჩაეკონენ.

— რა ჩქარა დაბრუნებულხარ, სალომე, მე ჯერ არ მოგელოდი, — განუმეორა ელისაბედმა და კოკა ღარქვეშ მოამარჯვა.

ქალები მწვანეზე ჩამოსხდნენ.

— დიახ, ჩქარა დავბრუნდი, ან რისთვის უნდა მომეცადა, შენი ჭირიმე, იერუსალიმში, — მიუგო სალომემ, — ხომ იცი, წვრილშვილის პატრონი ვარ. პასექობა დღეს წმინდა იერუსალიმის ტაძარში წასვლა დიდი მადლია, დიდი! მაგრამ ჩვენისთანა ღატაკ, გაჭირვებულს აბა სადა აქვს თავი, რომ იმ სიშორეზე იმოგზაუროს და მთელი კვირა გააცდინოს. მე შეთქმული მქონდა ხომ, გენაცვა, შეთქმული! შარშან, ჩემი პატარა ენუქ რომ ავად გამიხდა, მაშინ შევუთქვი.

— ალბათ, დაო, მლოცველები ბლომად იქნებოდნენ, დიდ ამბებს ნაბავდი!

— რა სათქმელია, გენაცვა, ხალხი, ხალხი! თმის ხისქე, საიდან გინდა, რომ ძენი ისრაილისანი არ მოსულიყვნენ... აი დიდედა ხანნაც მოდის, — სიტყვა გასწყვიტა სალომემ და მხარზე კოკით ნელნელა მომავალ, დაბალ-დაბალ, გამხდარ მოხუცისაკენ ხელი გაიშვირა. აბლომაბლო სოფლებიდან წყალს ამ წყაროდან ეზიდებოდნენ და ყოველ დილით ოცდაათამდე ქალი მოიყრიდა ხოლმე იქ თავს, თან კოკებს გაავსებდნენ, თან ჭირ-ვარამს და ახალ ამბებს ერთმანეთს გაუზიარებდნენ.

სალომემ ამ დილით ბევრი ახალ-ახალი ამბები უამბო ქალებს იერუსალიმზე, დიდებული ტაძრის სიდიდე-სიმშვენიერეზე, მგალობელთა და დამკვრელთა გუნდზე, შესაწირავთა და მღვდელლევიტელთა სიმრავლეზე, მღვდელმთავრის ძვირფას შესამოსელზე, მაგრამ

— უუჰ! — მწუხარედ დაუმატა მან, — ჩემი სამაჯური, ჩემი ოქროს სამაჯური, ჩემი ქალწულობის სიამაყე კი იქ დავტოვე და...

— როგორ თუ დატოვე? დაგეკარგა, განა? — დაეკითხნენ ქალები.

— რომაელთა მხედართაგანმა ხომ არ მოგტაცა? ამბობენ, სოლომონის სტოვაშიაც ფარ-შუბით აღჭურვილნი ადიან ის საძაგლებიო? — მწარედ შენიშნა ერთმა მოხუცმა დედაკაცმა.

— არა, არა, დაკარგვით არ დამიკარგია, არც არავის მოუტაცნია. შესაწირავ მტრედებზე გავცვალე.

— რას ამბობ, ქა? მტრედი აქედან ვერ წაიყვანე? — წამოიძახა მოხუცმა ხანნამ.

— განა არ წავიყვანე? მაგრამ იქ არ გამომადგა. ახლა მღვდელმთავარს ანნას ბრძანება გამოუცია: ყოველმან ძემან და ასულმან ეხრაელისაგან შესაწირავი მტრედი უსათუოდ ტაძარშივე უნდა ყიდოსო, — მოწყენით მიუგო სალომემ.

— ეგ რა გვესმის! — წამოიძახეს ქალებმა.

— ვთქვათ, მტრედები ტაძარში გაყიდონ, მაგრამ სად ერთიორი მტრედი და სად ოქროს სამაჯური! მტრედის ფასი დიდი-დიდ ნახევარი დრაკანი...

— აი, ნეტავი თქვენ, რა ადვილად ლაპარაკობთ, — ნაღვლიანად გააწყვეტინა სალომემ. — ნეტავ ერთი იქ ყოფილიყავით, რა ამბავი იყო. ნახევარი დრაკანი კი არა, შვიდ-რვა დრაკანზე ნაკლებ ფელსაც არ გახლებიებდნენ. განა მე მარტო ვიყავი მყიდველი? მთელი იუდეა იქ მოგროვილიყო და არც ერთის შინიდან მოყვანილი მტრედები არ მიიღეს მღვდელ-ლევიტელებმა. ყველას ასე ეუბნებოდნენ. მღვდელმთავრის ბრძანებაა, მტრედი აქვე უნდა იყიდოთო...

— რა მესმის, ქა! — კვირობდა ერთი შუახნის ქალი. — ექვსი შვილის დედა ვარ და ჯერ ეს არ გამიგონია.

— საკვირველია! უსამართლობაა! — აყაყანდნენ ქალები.

— იქ ვითომ ამაზე არ სწუხდნენ, გგონიათ? ისეთი ამბავი იყო, ჩომ ქორესა და დაძნის აჯანყების დღეს მოგაგონებდა, — განაგრძო სალომემ. — დიდი აყალმაყალი ატყდა. ერთი ვიღაც, შალომო ბრისო, ამბობდნენ, ძე იეფთაისი ბეთლემიდან, ყველაზე მეტად ცხარობდა. ეს უკანონობაა, ეს ღვთის გმობაა, მტრედებიხ გასასყიდი დუქანი გაგიმართავთ ღვთის ტაძარშიო და თითო მტრედიც ოქროს ფასად გაგიზდიათ. უიმისოდაც ცალკე რომაელებიხ ხარკის და ცალკე თქვენი, მღვდელ-ლევიტელთათვის გადახდით, ლამის არის, მიწასთან გავსწორდეთო და ეს კიდევ რა უკანონო, შეუსაბამო ხარკი დაგიწესებიათო; თითქმის ყვიროდა შალომო ძე იეფთაისი ბეთლემით.

— უი, მართლა! ნეტავი მზე დამიბნელდეს! რაღა ამ ახალი ხარკის დამატება გვესაჭიროებოდა. ვფიცავ დაკარგულ სჯულის კიდობნის ოქროთ მოჭედილ ფიცრებს, გუშინწინ მატათან მეზვერეს უკანასკნელი თიკანი მომტაცა. შესაწირავი მტრედიც თუ მამასისხ-

ლად სასყიდელი გაგვიხდა, მგონი, ეგვიპტეში მონობაზე უარესი დღეები დაგვიდგეს!

— ბევრნი. ძლიერ ბევრნი იყვნენ აღშფოთებულნი, — ამბობდა სალომე, — ზოგნი თითქმის მღვდელმთავარზე ძვირის თქმასაც არ ერიდებოდნენ. ისიც კი თქვეს, რომ მას სრულებით არა სწამს ელოვარი. ის მხოლოდ მეფე ეროდის იდუმეველისაგან განგებ მოყვანილია ძეთა ისრაილსათა გასატყავებლად და გასალატაკებლადაო. დრტვინვა ხალხში თანდათან ძლიერდებოდა. შეიძლება საქმეც გაეწვავებულიყო, მაგრამ მღვდელმთავარს ანნას იღემონ პილატესათვის ეთხოვნა და ტაძრის ახლო შუბებით დაიარაღებული ჯარისკაცების მხედრები გაჩნდნენ და ხალხიც ცოტ-ცოტად დაშოშმინდა. ამბობდენ, ბევრი და, მათ შორის შალომო ძე იეფთაისი პალესტინიდან, დაატუსაღეს და ციხეში ჩასვესო.

— შესაწირავი მტრედის ყიდვა ტაძარში და ისიც შვიდ დრაკანად? ღმერთო, მშვიდობა ჰყავ ისრაილსა ზედა! — კვირობდნენ ქალები.

II

ბზეს კარგა აიწია. დრო იყო, რომ ქალები შინისკენ წასულიყვნენ, მაგრამ იერუსალიმის ამბების მოსმენას რამდენიმე წუთი მეტიც შესწირეს. მაინც ზოგიერთები შინ წასასვლელად მზად იყვნენ, რომ ფერდობის ძირს მიმავალ სათემო გზაზე ადამიანთა ხმა მოისმა.

— ქა, ამ დილაადრიან ამოდენა ხალხი? ნეტავ საითკენ მიდიან? შეხედე, ქალებიც ურევია? შეხე, შეხე? ერთი დედაკაცი ძუძუმწოვარა ბავშვსაც თან მიათრევს! — შარა გზისკენ გაიხედა და გაოცებულად წარმოთქვა მოხუცმა ხანნამ.

ხვებმაც ყურები აიქვიტეს. მართლაც, სათემო გზაზე მთელი გროვა ხალხისა საითკენღაც მიეჩქარებოდა.

— იაკობ. — დაუძახა ამხანაგს ერთმა მგზავრმა, — აქ მშვენიერი ადგილია წყაროა. მოდი ერთი გულიც გავიგრილოთ და სამგზავრო დოქებიც გავავსოთ.

ბგზავრმა წყაროსკენ შეუხვია. მას ზოგიერთებიც მიჰყვნენ. ძუძუმწოვარა ბავშვებიანი ქალიც მათ შეუერთდა.

— გიხაროდენ, ასულნო ისრაელისანო! — მიესალმნენ ქალებს ახალმოსულები. ქალებმაც შესაფერი პასუხი გასცეს.

— არა, ზარა, დამერწმუნე, მეგობარო, — განაგრძო დაწყებული მუსაიფი ერთმა მგზავრთაგანმა, — გალილიაშიაც ბევრი უსამართლობაა. თუ გიწდ ირროდი ანტიპა აიღე. ის რომ მეფობს, იმ ქვეყანაში სიკეთე განა დაითესება? ახლა ამბობენ, თურმე თავის ძმის ფილიპესთვის ცოლი, ირროდიადა, წაურთმევიაო. გაუმაძღარი კაცის გული თორემ, განა ცოტა ცოლები ჰყავდა? ერთი ახალი გესლიანი გველიც აუჩენია რაღა. ამოდენა დედოფლებს ხომ რჩენა უნდა. ამოდენა მუქთახორა ძალად-დედოფლებიც სარჩო ხომ უმისოდაც გაძვალტყავებული ხალხის ოფლმა უნდა ზღოს. ეს ირროდი, და ახლა რომაელებს და მათ მეზვერეებს რაღას ეუბნები. მაგათი ხარკი? ეჰ, ჩემო მეგობარო ზარა, სად არის ნეტავი ელოვნელ-ღმერთი ისრაელისა, რომელმაც უწვიმა ზეცით მანანა მამათა ბევრთა უდაბნოსა შინა. ერთი ახლა გვიწვიმოს ეპერი ზეგარდმოდ მაგ კურთხეულმა! სადა არს ელოვა იგი, რომელთან შთანთქა ფარაო და მხედრობა მისი ზღვასა მას მეწამულსა, ერთი ახლაც შთანთქას ზღვასა სიკვდილისასა მტერვალი ირროდი და მხედრობა რომაელთა.

— მეგობარო იონათან, ფრთხილად ილაპარაკე, — ჩუმად შენიშნა მეორემ.

— როდემდის გავჩუმდეთ, ძმაო, როდემდის! თუ საქმით არა შეგვიძლია რა, ვილაპარაკოთ მაინც და გული ამით მოვიკურნოთ. ძეთა ისრაელისათა თავისუფალი სიტყვა მუდამ ჰქონდა.

— მე მაინც ჩემსას გეტყვი. მეგობარო იონათან. — [illegible] ერთმა ჭაღარა კაცმა, — რომ გალილეა იუდეასთან შედარებით [illegible] მოთხეა. მღვდელმთავრის ანნას ბატონობას, მღვდელ-ლევიტელთა სიმსუნაგეს, მათგან აურაცხელ წართმევა-მოტყუებას, ერთი მითხარი, რომელი რომაელთა სისასტიკე შეედრება? ირროდი ხომ ირროდია, მაგრამ იღემონ პონტოელ პილატესთან რა შესადარებელია! იმის თავხედობა იქამდე მივიდა, რომ რამდენიმე ჩვენი გალილეველიც კი შიგ ტაძარში მოაკვლევინა. თუ თავი მოსაკვეთად მიუშვირე, რა თქმა უნდა, არ დაგინდობს.

მგზავრებმა დოქები გაავსეს, ზოგიერთებმა გულიც გაიგრილეს. ქალმა ცოტა შეისვენა და ბავშვს ძუძუც მოაწოვა.

— ნეტავ სად მიეჩქარებით ასე დილაადრიან. — ვერ მოითმინა ელისაბედმა, როცა მგზავრებმა წასვლა დააპირეს.

— ჩვენ კაპერნაუმის გორაკისაკენ მივდიოართ. განა თქვენ [illegible] გაგიგონიათ? ამბობენ, ღვთის იქ რაბი იესუ. ნაზარეველი, ძე იოსებისა უნდა მოვიდეს და ხალხს ასწავლოსო, — მიუგეს ზოგიერთებმა, დოქებს ხელი დაავლეს და გზას გაუდგნენ.

— მართლა, სალომე, — ტკბილად უთხრა ელისაბედმა, — ახალი რაბი ეიშუ გამოჩენილა ნაზარეთიდან, საუცხოო ვინმეაო, ამბობენ. ჩემი და სარა, შენც კი იცნობ, ბეთსაიდელ მეჭედლის ცოლი, ამ დღეებში ჩვენსას იყო და გაგვაკვირვა, ისეთი სასწაულები გვიამბო. მაგათ დაბაში შემოუვლია ერთხელ რაბი ეიშუს ნაზარეთიდან. ჩემს დას სარას თვითონ თავის თვალით ენახა და ისეთი რამეები გვიამბო, რომ გაგვაოცა, გაგვაოცა, დაო!

— გიჟებსა და კეთროვანებს არჩენსო, ქა, რაბი ეიშუ, დიდებული ეღოვას, ღმერთსა ისრაელისასა, თუ მართალია!

— რაბი ეიშუზე ცოტა რამ მეც მსმენია, დაო, — მიუგო სალომემ, — იერუსალიმშიაც აქა-იქ ყური მოვკარი მაგაზე ლაპარაკს. ერთი ლევიტელი ჯავრობდა: ძენო ისრაილისანო, რად ხართ ასგ მჩატე ჰკუისა, რომ ყოველი მაწანწალა მქადაგებელი მაშინვე გადაგრეეთო, წმინდა ტაძრის გარეშე შეუძლებელია სასწაულიო. აი თქვენი მამა-პაპათა მიერ აშენებული დიდებული ტაძარი. აი ხამხვერპლო, აი დიდებული მღვდელმთავარი. შესწირეთ მსხვერპლი და ილოცეთ ეღოვა ღმერთი ისრაილისა და სოფელ-სოფელ მოპიარული რაბინებს ნუ აყვებითო. მე ვფიქრობ, რომ მაწანწალა რაბინს ის ეიშუ რაბინს ეძახდა. ეეჰ, დაო, რა დაგიმალო! — ამოიოხრა სალომემ. — ნეტავ სულ არ წავსულიყავ იერუსალიმში. ტაც ხისაძაგლე მე იქ ვნახე! ატყავებენ წმინდად საწყალ ხალხს, ატყავებენ. არა მაქვს, ღარიბი ვარო, ვინ გაგიგონებდა! მტრედის ხაყიდელი თუ არა გქონდა, წმინდა ტაძარში რისთვის მოეთრეოდეო: სიცილი დამაყარეს ლევიტელებმა. რა უნდა მექნა, ჩემი ოქროს სამაჯური მივეცი. სხვა რაღა გინდა, დაო, ქალთ, თუ სულ მახინჯი არ იყო, ტაძრის სიახლოვეს ვერ გაევლებოდა... ღმერთო ჩემო, რამდენი სისაძაგლისა და ძალმომრეობის მოწმე გავხდი.

—სულ სხვაა რაბი ეიშუ,—სიტყვა ჩამოართვა ელისაბედმა,—იმის მოძღვრება მღვდელ-ლევიტელთა და ფარისეველთა მოძღვრებას სულ არა ჰგავს. ამოდენა ხალხი მიდის მის მოძღვრების მოსასმენად. მოდი, ერთი ჩვენც წავიდეთ, გენაცვა სალომე! მე წყალს შინ მივარბენინებ, ოჯახს მივალაგებ, საჭმელს დღეს ჩემი რძალი ტებეკა მოამზადებს, და შენთან გამოვიქცევი, — აღტაცებით დაათავა ელისაბედმა და კოკას ხელი დაავლო.

— კარგი, — ცოტა ყოყმანის შემდეგ მიუგო სალომემ და ნახშირივით შავი თვალებით საამურად მჩქეფარე წყაროს შეაჩერდა, — დაღლილი კი ვარ მგზავრობისაგან, მაგრამ მაინც ხათრს არ გაგიტეხ.

III

კაპერნაუმის გორაკზე ხალხი თანდათან გროვდებოდა. აქ იყვნენ გალილეველნი, იერუსალიმელნი, იორდანის გაღმა მხარელნი, ათ ქალაქელნი...

მოზრდილი მწვანე ბორცვი ხალხით თითქმის დაიფარა, ქალებიც და ბავშვებიც ბლომად იყვნენ. უმრავლესობა ღარიბად იყო ჩაცმული. პერანგი და სქელი შალის წამოსასხამი, აი მთელი მათი მორთულობა. ზოგს თასმიანი ქალამნები ეცვა და ზოგიც ფეხშიშველი იყო.

სახეზე ყველას მოუთმენლობა ეხატებოდა, ყველას უნდოდა ჩქარა ენახა რაბი იიშუ, მისი ახალი მოძღვრება მოესმინა და უსამართლობა, სიღატაკით მოკლული გული ცოტად მაინც ენუგეშებინა და დაემშვიდებინა.

ზოგი ფერდობზე წამოწოლილიყო, ზოგი სწორ ადგილზე ფეხმოკეცით იჯდა, ზოგი ზეზე იდგა. სხვადასხვა საგანზე და სხვადასხვა ხმაზე ლაპარაკის რაღაც გამოურკვეველი ერიამული მოეხმოდა. აქა-იქ ბავშვებიც ატირდნენ.

შუადღეზე ხალხში რაღაც ჩოჩქოლი გაისმა.

— რაბი იიშუ მოვიდა, მოვიდა! — გაისმა ხმა.

— საიდან მოვიდა? მოსვლა ხომ არ გვინახავს? — კვირობდა ზეორე.

— შეიძლება აქ იყო კიდეც. ისე გარეგნობით ჩვენგან არაფრით განსხვავდება, — თქვა ერთმა.

— ადვილად შესაძლებელია, — მიუგო მეორემ, — ირიდი ანტიპა ხომ არ არის, რომ ტახტრევანით ამოეყვანათ!

ჩოჩქოლი თანდათან მატულობდა.

— სუთ, სუთ, დაჩუმდით, — ისმოდა აქა-იქ.

— დასხედით, დასხედით... სჯობია.

— ვისაც როგორ სურს! თუ უნდა იდგეს.

— იდგეს რომელია, მეც მინდა დავინახო, ამ სიმაღლე კაცი თუ წინ გამომეჭიმა, აბა რას დავინახავ! — ჯავრობდა ერთი დაბალი კაცი.

— დასხედით, დასხედით... ყველანი უკეთ მოისმენთ.

როგორც იყო წესრიგი თანდათან ჩამოვარდა. ხალხი მიჩუმდა და სერის ფერდობებზე ზოგი წამოწვა და ზოგიც ჩამოჯდა.

მაღლობზე, მწვანეზე იჯდა რაბი იიშუ, ძე იოსების ნაზარეთით.

ტანჩაცმულობით დანარჩენებისაგან არაფრად განირჩეოდა: იგივე პერანგი, იგივე შალის წამოსასხამი, იგივე თასმიანი ქალამანი და სამგზავრო ჯოხი ხელში.

იქნებოდა ასე ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის ვაჟკაცი, ლამაზი პირისახისა. მოკლე წვერ-ულვაშზე ოდნავ მოწითალო ფერი გადაჰკრავდა. დიდრონი, მუდამ დაფიქრებული თვალები დროგამოშვებით ცეცხლს აფრქვევდა. საზოგადოდ, მისი აღუშფოთებელი, დინჯი და უსაზღვრო გულკეთილი გამომეტყველება ქვის გულის კაცსაც კი მიიზიდავდა. არავითარ თავმომწონეობას, არავითარ შურიანობას მის მშვიდობისმოყვარე გარეგნობასთან ადგილი არა ჰქონდა.

და აღარ ბაგე რაბი იიშუმ.

ხალხი მიჩუმდა, ბავშვებმაც ხმა გაიკმინდეს და რაბი იიშუს მიაჩერდნენ, ყველა მის სიტყვაში სიმტკიცე, რწმენა და ღირსება იხატებოდა. ლაპარაკის დროს დაკვირვებით თვალებში არავის აჩერდებოდა. ხალხისკენ ხანდახან მიიხედავდა, უფრო ძირს იყურებოდა და თან სამგზავრო ჯოხს ბალახზე აკაკუნებდა.

— ბედნიერია კაცი, ხულით გლახაკი, — დაიწყო რაბი იიშუმ. — ბედნიერია, ვინც მშვიდია, ის ქვეყანას დაიპყრობს. ბედნიერია, ვისაც შია და სწყურია სიმართლის გაგება, უსათუოდ გაიგებს და დაკმაყოფილდება. ბედნიერია კეთილისმოქმედი, კეთილი დაემართება. ვისაც გული წმინდა აქვს, ის ღმერთს დაინახავს. მშვიდობისმყოფელი იგივე ღვთის შვილია... მაგრამ შენ, შენ რა უნდა გითხრა, შე უბედურო, ლატაკო და მშიერო ხალხო?! განა შენ უნდა იყო ლატაკი? განა შენ უნდა იყო მშიერი? განა შენი ოფლით არ აშენდა დიდებული ტაძარი იერუსალიმისა, სადაც ამჟამად თავის ტახტზე ნებიერობს ურწმუნო, უცხოეთიდან მოსული ანნა მღვდელმთავარი? განა შენი შესაწირავით არა ტკბებიან მღვდელ-ლევიტელნი? დროა, ძმანო, შეისმინოთ რამე! თქვენ ხართ მარილნი სოფლისანი: უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რითამე დაიმარილოს. როგორც უმარილო საჭმელს არავითარი გემო არა აქვს, უმარილოდ საჭმელი ჩქარა დალპება და გადასაყრელი გახდება. ისე უთქვენოდ, ჯაფისაგან ქედმოხრილნო და ხელებგატყაველებულნო, უთქვენოდ არც იროდი იმეფებდა, ასს საყვარელს კი არა, ორსაც ვერ გაიჩენდა, არც ანნა მღვდელმთავარი ინებივრებდა და ვერც ლევიტელნი განსცხრებოდნენ. მაგრამ თქვენ, თქვენ უბედურებო, გაკლია შეგნება, არა გაქვთ ერთი პირი, არ იცით ერთმანეთის

გატანა. სანამ ამას არ შეიგნებთ, მუდამ ლატაკები, მუდამ მშიერნი იქნებით, გიყვარდეთ სიმართლე, მაგრამ მარტო სიტყვით კი არა. ფარისეველ წიგნობარნიც სულ სიმართლეზე გაიძახიან. თუ თქვენი სიმართლე მათ სიმართლეს არ აღემატება, ტყუილია თქვენი საქმე! თქვენი ხსნა შეუძლებელია.

გიყვარდეთ ერთმანეთი. შენ თუ შენი მოძმე-ამხანაგი შენსავით გაჭირვებული დაუსამართლებული გიყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ შენი თავი გიყვარს, რადგან, რაკი ურთიერთ სიყვარულია, ისიც მოვალეა შენ შეგიყვაროს. საერთო ოფლით მოპოვებული თანასწორად განაწილდება და მაშინ შიმშილისაგან ასეთი დაუძლურებულნი როდი იქნებით, როგორნიც ხართ ახლა.

გული თუ გერჩის სალოცავად, ილოცე, მაგრამ ისე კი არა. როგორც ფარისეველები ლოცულობენ ხოლმე: წამოიპიმენიან ქუჩის მოსახვევში, ფართოდ გაშლიან ხელებს და უშველებელ მეტანიებს გადადიან, თან მუშტებით ცხვირ-პირს იმტვრევენ, რომ სხვებმა დაინახონ და მოუწონონ. აბა თქვენით გასინჯეთ: ლოცვის დროს რა საჭიროა ესენი! როცა ლოცვა გინდა, შედი ოთახში, კარები დაკეტე და გულწრფელად თხოვე ღმერთს, რაც გინდოდეს.

ნუ იცით ხოლმე სხვისი გაჭორვა და განკითხვა, პირიქით, მუდამ შენი თავის ნაკლოვანებებზე და მის გასწორებაზე უნდა ფიქრობდე. ჯერ შენი ნაკლულოვანება გაისწორე და სხვაზე მერე მიუთითე.

მე ვლაპარაკობ და თქვენ ყურს მიგდებთ. ეს მარტო არა კმარა, ძმებო! საქმე ისაა, რასაც ვლაპარაკობ, იმის შეგნებას და ცხოვრებაში გატარებას შეეცადოთ. ვინც ჩემ სიტყვებს გულში მტკიცედ შთაიბეჭდავს და ეცდება ცხოვრებაშიაც გაატაროს, ვამსგავსებ იმ კაცს, რომელმაც სახლი ააშენა კლდეზე. მოვიდა წვიმა, ადიდდა მდინარე, ეცა ზვირთებით კლდეზე აშენებულ სახლს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო, რადგან საძირკველი მაგარი ჰქონდა. ვინც კი ჩემ სიტყვებს ისმენს, მაგრამ გულში კი ვერ შთაიბეჭდავს, იმას ვამსგავსებ იმ კაცს, რომელმაც თავისი სახლი ქვიშაზე ააშენა. მოვიდა წვიმა, ადიდდა მდინარე, ქვიშაზე აშენებულ სახლისაკენ აბობოქრებული ზვირთი ზვირთზე გააგორა და სახლიც ლუკმა-ლუკმა აქცია.

ვისაც ყური გაქვთ, გაიგონეთ...

ქადაგება გათავდა. ხალხი ერთხანად ჩუმად იყო, მერე ერთბაშად აჩოჩქოლდა. უკანანი ფეხზე წამოდგნენ და მქადაგებლისაკენ

გაემართნენ. წინანიც წამოიშალნენ. გაისმა ჟრიამული, ხმამაღალი ლაპარაკი, ყველას უნდოდა მიჰკარებოდა მქადაგებელს, ხელი შეეხო, ან კიდევ გაეგონა რამ, მაგრამ მან ლმობიერი ღიმილით გაარღვია ხალხის ზღვა და ათიოდე კაცთან ერთად ტბისაკენ დაეშვა.

მზე ძალზე დახრილიყო. საღამოს გრილ სიოს სამხრეთის ბუღი გაეფანტა და საამოდ აგრილებდა არემარეს. ხალხი დიდხანს გასცქეროდა ტბისაკენ მიმავალს. ბოლოს ჟრიამულით და ხმამაღალი ლაპარაკით დაიშალა.

ერთი მრავალთაგანი

ესკიზი

(ეუძღვნი უდროოდ დაღუპული მეგობრის ხსოვნას).

მაისის საღამო იყო, კვირაძალი, თბილი, სურნელოვანი. ზარეში დააწკარუნეს, სემინარიელებიც საყდრისაკენ გაემართენ და თავიანთ ადგილზე ჯარისკაცებივით დამწკრივდენ.

აღსავლის კარები გაიღო და ცოტა არ იყოს, კახურით შექეიფიანებული მთავარი ამბიონზე გამოვიდა და ნაძალადევი ბოხი ხმით: „Воспаните, владыко. благослови"-ო დაიძახა. ნუნუას არანაკლებ შეთვისებულმა ხუცესმაც საკურთხevლიდან შესაფერი ასამაღლებელი წკრიალა ხმით გადმოსძახა, მგალობლებმაც იგრიალეს და საღამოს ლოცვაც გაჩაღდა.

ინსპექტორის თანაშემწენიც შემოვიდნენ და თავიანთი პოზიციები დაიკავეს: ერთი წინა რიგებში ჩადგა, მეორე შუა ალაგან გამაგრდა და მესამემ გასასვლელი კარები შეკრა.

თვით მ. ინსპექტორი, შავკუნკულა, ანაფორიანი, მეწამულ გრძელწვერიანი, რომლის ქვეშ საყელოს ღილზე პატარა თეთრი ჯვარი მორცხვად ეკონწიალა, ყველაზე ბოლოს დინჯად და ღირსებით შემოვიდა. ჯერ აუჩქარებლად მრავალჯერ პირჯვარი გარდაიწერა და შესაფერი მეტანიები მიაყოლა, კუნკულაც მოიხადა და ზატებს სასოებით ემთხვია, მერე კუნკულა ისევ დაიხურა და თანამდეობის აღსრულებას შეუდგა.

ოთხივენი სათვალიანი იყვნენ, მ. ინსპექტორს კი ლორნეტიც ზელში ეპირა. კარებში გამაგრებულ თანაშემწეს პატარა უბის

წიგნი გაეშალა, წვერწათლილი ფანქარიც მოემარჯვა და პოლიციის ჯაშუშის ერთგულებით წამდაუწუმ შეგირდებს ათვალიერებდ.. და თუ ვინმე ან უკან მოიხედავდა, ან ჩაიცინებდა, ან ამხანაგს დაელაპარაკებოდა, ან შეიძლება ხშირად პირჯვარს არ იწერდა, საჩქაროდ წიგნაკში აღნიშნავდა, რომ მერე უფრო ვრცლად და დასაბუთებით შავ წიგნაკში — კონდუიტში შეეტანა და დისციპლინის დამრღვევ შეგირდისთვის შესაფერი სასჯელი მოეხადა.

საღამოს ლოცვა ხან ხუთი, ხშირად ოთხი და ჩვეულებრივ საძინ საათი მაინც გრძელდებოდა.

დაუსრულებელ ერთფეროვან და გაუგებელ საკითხავებს და საგალობლებს ხშირად მ. რექტორის მეტად გრძელი, უსიცოცხლო, განყენებული და ფრიად მოსაწყენი, რუტინაში მოხარშული და ტენდენციით დატვირთული ქადაგებაც გადაებმოდა ხოლმე.

შეგირდები თავჩაქინდრული იდგნენ. მათ სახეზე მხოლოდ მოწყენა, უკმაყოფილება, თითქმის დრტვინვა იხატებოდა. ზოგი დაფიქრებული იატაკს დასჩერებოდა, ზოგიც პირჯვარს ხშირ-ხშირად იწერდა და თან აღელვებული ინსპექტორ-თანაშემწისაკენ დროგამოშვებით იხედებოდა: აბა მიყურებენ თუ არაო.

მ. ინსპექტორმა ლორნეტი მოიმარჯვა და გაბუტულმა და წარბშეკრულმა შეგირდები დაათვალიერა, თითქო სარდალია და ბრძოლის წინ პოზიციებს ათვალიერებსო. ყველაფერი რიგზე და წესზე იყო. შეგირდები მწკრივად და სწორად იდგენ; ბევრმა ინსპექტორის ლორნეტის დანახვაზე სასოებით პირჯვარიც გარდაისახა და გულში, ალბათ, მხურვალე ლოცვაც მიაყოლა: ღმერთო, დღეს კონდიუტში ჩაუწერლად გადამარჩინეო.

მ. ინსპექტორი ერთ ალაგას ბევრ ხანს არ ჩერდებოდა. ის ხან წინ იდგა, ხან უკან, ხან გარეთ გავიდოდა და ლორნეტით აღჭურვილი შეგირდებისაკენ იხედებოდა.

აი კიდევ კარებთან გაჩნდა, ლორნეტი მოიმარჯვა და წინა რიგებს გადახედა. საჩქაროდ თანაშემწესთან მიიჭრა და რაღაც დინჯად ყურში ჩასჩურჩულა. წინა რიგის შეგირდები შეშფოთდნენ. ალბათ ჩვენ რიგში მოხდა რამე უბედურებაო, იფიქრეს, ლერწამივით გამოიჭიმენ და გულდასმით პირჯვარი გამოისახეს. მ. ინსპექტორმა ახლა უკანა რიგებისკენ მოაბრუნა ლორნეტი და კარგა ხანი ათვალიერა, რადგან იქითკენ სინათლეც ნაკლები იყო და რიგიანად ვეღარ არჩევდა. ერთ წერტილს დაკვირვებით დააჩერდა და კიდევაც იპოვა, რაც უნდოდა.

— ეს რა თავხედობაა, это просто безобразие. это просто дерзко, нахально. ეკლესიაში ხართ თუ სადმე საცეკვაო სალამოზე. ყურს აღარ უგდებ, რომ კანონს გალობენ, კანონს, და შენ კი არხეინად სვეტს მიყრდობილხარ, — ფეტვივით მიაყარა ერთ ახლად ულვაშამწვანებულ შეგირდს, რომელიც მართლა სვეტს მიყრდნობოდა.

— მ. ინსპექტორო! — დაეღრიჯა შეგირდი და ფეხზე მიუთითა. — ფეხები მტკივა, თქვენც ხედავთ ცალ ფეხზე ფოსთალი მაცვია, წაღა ვერ ჩამიცვამს... თუ რასმე არ მიეყრდენ, ისე სწორედ დგომა მეძნელება.

ინსპექტორმა უშნოდ ძირს დაიხედა და თუმცა ცოტა რბილად, მაგრამ მაინც მკვახედ მიუგო:

— ავადმყოფი, მოწყალეო ხელმწიფევ, საავადმყოფოში უნდა იყოს. აქ თუ ერთხელ შემოხვედით, ბოლომდე უნდა გაჩერდეთ ისე, როგორც რიგი და წესია. უსტავს უნდა დაემორჩილოთ. ხომ წაიკითხეთ, მეთოთხმეტე მუხლში რაც წერია. სხვა ამხანაგებს ცუდ მაგალითს აძლევთ, ბატონო! გაიგეთ თუ არა, აქ საქმე პრინციპზეა.

— მუხლი — როგორც მუხლი, მ. ინსპექტორო, მაგრამ მე კი ფეხი მტკივა.

— როგორ! — აენთო ბერი. — უსტავის მუხლსაც არაფრად აგდებთ? მეც მაიძულებთ ღვთის მსახურების დროს შენთან ვილაპარაკო და სულიერი კმაყოფილება დავიკლო, ხომ გესმის, ახლა კანონს გალობენ. რა მშვენიერი სძლისპირებია! თქვენებური ველური კი არ გეგონოს, ზნამენის კილოზეა. მაგრამ ჰო, მესმის, თქვენ შეიძლება ურწმუნოთაგანი იყვეთ. მე ეს. უკაცრაო სიტყვაა, ფეხებზე მკიდია. მე ინსპექტორი ვარ, რიგი და წესი უნდა დავიცვა. დისციპლინა სავსებით უნდა დაცულ იქნას...

— მაშ ნება მომეცით, მამაო, ცოტა ხნით მაინც გარეთ გავიდე. — შეეხვეწა შეგირდი, — თუ არ დავისვენე, ძლიერ შეეწუხდები და ამნაირი ლოცვით რაღა გამოვა.

ინსპექტორმა მრისხანედ გადახედა. უიმისოდაც წითელ სახეზე სულ ალმური აედინა და საჩქაროდ გააწყვეტინა.

—კარგი, კარგი. ვიცი, ვიცი, თუ რის თქმა გინდათ. გიცნობთ, თუ რა მინდვრის ხილიც ბრძანდებით. კარგსაც იზამთ, თუ გარეთ გახვალთ. სხვებს მაინც განსაცდელში არ შეიყვანთ. სწორედ, სვეტზე მიყრდნობით დგომას გარეთ გასვლა სჯობია. — ზიზღით ჩაილაპარაკა ღვთისმმსახავმა და ლორნეტს ხელი წაავლო, რომ პოზი-

ცია დაეთვალიერებინა. შეგირდები თვალის დახამხამებაში გასწორდნენ და, როგორც ერთი კაცი, სამი თითი შუბლზე მიიდვეს.

თუმცა სძლისპირს გალობდენ და ისიც ზნამენის კილოზე, მაგრამ შეგირდები ამხანაგის და ინსპექტორის მოლაპარაკებამ უფრო დააინტერესა, ვინემ ჩინებულმა კილომ; ახლომახლო მდგომნი სმენად გადაიქცნენ და დანარჩენების ყურადღებაც სულ მათკენ იყო მოქცეული. ინსპექტორი სხვა პოზიციების დათვალიერებაში გაერთო და შეგირდი კი კარებისკენ გაემართა. გაშლილ წიგნაკით აღჭურვილმა თანაშემწემ გოცებულმა სათვალე გაისწორა და გარეთ მიმავალ შეგირდს კაპუეტ ქორივით დააშტერდა, თითქო თავის თვალს არ უჯერებსო. მაგრამ რაღაც მოსაზრებით არ შეაჩერა და შეგირდიც გარეთ გავიდა, მაგრამ ოციოდე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა, საჩქაროდ მოიხედა და გოცებული შეჩერდა.

— გაჩერდით, გაჩერდით. მოითმინეთ. გარეთ გამოსვლა როგორ გაბედეთ! — ყვიროდა მ. ინსპექტორი და მისკენ მოქროდა. ბარტყულა ჰაერში ბაირაღივით ფრიალებდა და ანაფორა იალქანივით იბერებოდა.

შეგირდს შეეშინდა, რადგან ჭკუიდან შეშლილი ეგონა. მაგრამ ინსპექტორი თამამად მიუახლოვდა და ბრძანების კილოთი გააგრძელა:

— წინადადებას გაძლევთ, ახლავე ეკლესიაში მიბრუნდეთ...

შეგირდი გამოერკვა.

— აკი თქვენ დამითხოვეთ, მ. ინსპექტორო, — გულნატკენად მიუგო შეგირდმა.

— რას მეუბნები! სძლისპირის გალობის დროს შეგირდს ეკლესიიდან გასვლის ნებას მივცემდი? გადარეული ხომ არ ვიყავი. მე მხოლოდ ჩემი გულისწყრომა გამოგიცხადეთ, რომ თავში ასეთი ცოდვილი სურვილი მოგვიდათ...

— მე კი დამითხოვეთ მეგონა, — გააწყვეტინა შეგირდმა.

— თავის დღეშიაც არა. ეს შეუძლებელია. ახლავე უკან გაბრუნდით, საცაა მეცხრე გალობას დაიწყებენ. — მაინც იჯინებდა ინსპექტორი.

— ცოტას მოვისვენებ, წყალსაც დავლევ. ძლიერ მწყურია დ: მერე შევალ, — მტკიცედ მიუგო შეგირდმა და ოდნავ გაფითრდა. ინსპექტორის საქციელი საშინლად სწყინდა, მაგრამ ჯერ კიდევ თავს იმაგრებდა.

— ამ წამში, ამ ტერციაში უკან უნდა გაბრუნდეთ. ინსპექტორი

გიბრძანებს, ინსპექტორი. მე თქვენ ყველას გიცნობთ, რაც შვილები ბრძანდებით. ჩემი სიძულვილი გაქვთ და მოკვლასაც მიპირებთ. მე ამის დარდი სრულებით არ მაწუხებს, მე ინსპექტორი ვარ, ინსპექტორი, სხვა არაფერი. თუ ნებით არ შეხვალთ, იძულებული ვიქნები მოსამსახურეს დავუძახო! ეი შენ, человек! – მართლაც დაიძახა ინსპექტორმა, თავი ინდაურივით აიღო და სისხლივით წითელ წვერებზედაც ხელი მოისვა.

— აბა მოვიდეს ვინმე და ხელი მახლოს, — მიუგო შეგირდმა და ოდნავ გალურჯებულმა ბერს ზურგი აქცია და გზა გააგრძელა.

ინსპექტორი ერთ ხანს გამოედევნა, მაგრამ შეგირდმა ისეთი თვალებით მოიხედა, რომ მყისვე შეაჩერა. მისდა საუბედუროდ ეზოში ერთი მოსამსახურე არა ჩანდა. ხან აქეთ იტრიალა, ხან იქით, მაგრამ ვერა გააწყო რა და რაღაც გაუგებარი ბუტბუტით ისევ ეკლესიაში შევიდა.

იმავ საღამოს ოთხივენი, ინსპექტორი და მისი თანაშემწენი სათათბიროდ შეიკრიბნენ და კონდუიტში აღნიშნეს, რომ მაისის 21, როცა სემინარიის ეკლესიაში ლმობიერად სძლისპირს გალობდენ და სემინარიელებიც გულწრფელად ლოცულობდნენ, მეოთხე კლასის შეგირდი ა. დემონსტრაციულად ეკლესიიდგან გავიდა. მ. ინსპექტორის მამობრივი დარიგება შეგირდმა არათუ უკუაგდო, პირიქით, სიტყვითაც შეურაცხყო მისი მაღალი ღირსება.

თვის დამლევს შეგირდს ყოფაქცევაში ორი გამოუყვანეს და სექტემბერში სემინარიიდგან სულ დაითხოვეს, როგორც მავნე და არასაიმედო პირი.

ᲓᲠᲣᲜᲩᲐᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

(ᲡᲐᲐᲮᲐᲦᲜᲦᲝ)

ზამთარია, შუალამე გადასულია, ტიტველ ტოტებს ტყეში ქარი ნელ-ნელა არხევს და ერთმანეთს აჯახებს. რაღაცა უსიამოვნო ტკაცუნ-შხუილი მოისმის.

ბაკურას ეზოს გვერდით, ტყის პირად, ღორებს საღორეში ტკბილად სძინავთ. შუაგულში ჩალა-ბულაზე ტახი გაწოლილა, ორმოცი დღეა, რაც საგანგებოდ კვებავენ: ყოველ დილით მოზრდილ ჯამ სიმინდს აძლევენ და ზედმეტ ქონისაგან მძიმედ სუნთქავს. გვერდზე დრუნჩა უწევს.

— ღრტ!... ღრტ!.. ღრტ! — მძიმედ დაიღრუტუნა დრუნჩამ დგამოიღვიძა. — ტახო, ტახო, ცოცხალი ხარ?! ღმერთო ჩემო! როგორ შემეშინდა?! — წამოიძახა დრუნჩამ და ერთი ორჯელ თავისი დინგი წაჰკრა ტახს.

— ხრ... ხრრ! — დაიხრიხინა ტახმა და არეულად ჩაიღრუტუნა: — რა დაგ...მართნია ამ შუა...ღამისას... ძილს ნუ... ხრრ... ხრრ..

— ძილს ნუ... რომელია, შე ცეცხლმოკიდებულო! ისეთი საშინელი სიზმარი ვნახე, რომ ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ, გინდა მოგიყვე!

ტახმა კიდევ წაიღრუტუნა, მაგრამ დრუნჩამ ყურადღება აღარ მიაქცია და თავის სიზმარს მოჰყვა.

— ვითომ განთიადის სინათლემ ამ ჩვენი საღორეს ჭუჭრუტანაშიც შემოიჭყიტა, ჩვენ გამოვიღვიძეთ და საუზმის მოლოდინში მხიარულად ავღრუტუნდით. ამ დროს ღელეს გაღმა კოჩას საღორესთან... ხომ გესმის, ტახო?.. ჩვენების საშინელი ხარხარი ატყდა. გამწარებული კივილიც მოისმა. ცხადი იყო, რომ ჩვენ

საძმოში რაღაც უბედურება დატრიალებულიყო. ბევრ ხანს არ გაუვლია, რომ ჯაგარწითელა ბურვაკი მოძუნძულდა, თვალებიდან ლაპალუპით ცრემლები დიოდა, ჭუჭრუტანაში დინგი შემოჰყო და საშინელი ამბავი შეგვატყობინა: კოჩას ვაჟიშვილები მოუცვივდნენ, სრულიად უმიზეზოდ სტაცეს ხელი ტახ ეშვას, გადმოატრიალეს და ყელი გამოსჭრეს. ჯაგარწითურას ამ შემაძრწუნებელი ამბის თქმა ვერ გაეთავებინა, რომ მათეიას საღორესთანაც ერთი აურზაური ატყდა. არემარე შეინძრა. „მაგრად, ჰო, არ გაგექცეს, წააქციე, რას უყურებ!“ ისმოდა გახას ჩვეულებრივი ბოხი ხმა. ვიგრძენ, რომ ხეირი არც ჩვენ დაგვეყრებოდა. რაღაც განკითხვის დღე დგებოდა: კარები ჩავამტვრიეთ და ყველანი გარეთ გამოვცვივდით.

—ჰერი, ჰა, გაბოსულანო.—მომესმა ჩვენი პატრონის ბაკურას ხმა.

—არიქა, ჩემო ტახიკო! ტყის შუაგულისაკენ მიეაშუროთ-მეთქი, გითხარი. მაგრამ ამ დროს ბაკურას ქალიშვილის, ფეხმოსატეხი მაიკოს ხმა მოისმა: „ჩეინწ, ნეინწ... ტახო, ტახიკო!“ ხელში სიმინდით სავსე ჯამი ეჭირა და შენ გეძახდა. „შორს, შორს, არ მიეკარო-მეთქი“, მაგრამ, შე მდუღარე გადასასხმელო, შენა, სიმინდის დანახვაზე თვალები აგიჭრელდა. ალრუტუნდი, კუდი რკალივით მოკაკვდინგი აიშვირე, იმისაკენ გაექანე ცა შენებურად ხარბად ჩაახრამუნე სიმინდი. მაგრამ ოციოდე მარცვალიც არ გექნებოდა დამტვრეული, რომ... ნეტავ მზეც დამიბნელდეს იმის მნახველს!.. თითქო მიწიდან ამოხტა, გამოიქროლა ბაკურას უფროსმა შვილმა მალაქიამ და უკანა კანჭზე ხელი გტაცა. შენც წიხლი მაგრა გააქნიე. მაგრამ გვიანღა იყო... ტახო! გესმის?

— ღრუტ...

— მალაქიამ თვალია დახამხამებაზე მეორე კანჭიც დაგიჭირა. ბაკურამაც მოირბინა და ყურში ხელი ჩაგჭიდა; მაიკომაც, არც კი შერცხვა შენს მეგობარ პატივისმცემელს, ქეჩო დაგიჭირა და სხვებთან ერთად გეწეოდა. იქვე მსხვილი ჭანდრის ძირამდე მიგათრიეს და სულის მოთქმაც ვერ მოასწარი, რომ ყელიდან ალისფერმა სისხლმა ოქრიალით გადმოხეთქა. ჩვენ ყველანი ფუღურო მუხასთან მოვგროვდით და მწარე ღრუტუნით, ამ უსამართლობის მხილველნი, ცრემლის ღვარში ვირეცხებოდით. მოვინდომე შენთან მიმერბინა, რომ მეც სული დამელია. მაგრამ ერთი, რომ გოჭები შემეცოდა და მეორე, აბა რა დაგიშალო, ტახო! სული ტკბილი ყოფილა. ჩვენი ბაღლებიც მოცვივდნენ და კუდის ქნევით და კბილების კაწკაწით შენ სისხლს შეეჭიდნენ. თანაც ერთმანეთს უღრენდნენ ის სა-

ბაგლები! მაგათ დაუნდობლობაში სრულიად დავრწმუნდი, თუმცა ჩვენი მეგობრები ისინი თავის დღეშიაც არ ყოფილან. ხომ გახსოვს, ტახო, როცა ბოსტანში კომბოსტოთი პირის ჩასატკბარუნებლად შევიდოდით, ბაკურას ან იმის შვილების ერთ დასისინებაზე კანრისხებული ყეფით და კბილების კრაჭუნით როგორ მოგვესეოდნენ ხოლმე, მაგრამ რას გადავყევი! მერე, ტახო, შე ცეცხლ-ჰოკიდებულო, ცხელი წყალი მოიტანეს და ტანზე გადაგასხეს. მალაქიამ სახელოები წაიკაპიწა და ისეთი ტყლაშატყლუშუნი გაგადინა გავა-ფერდებზე, რომ მგონი, ასხის მთაშიაც გაიგონებდნენ, მერე შენ ლამაზ, ქოჩორა ჯაგარს რომ მაგრა მოსწია, სულ ბღუჯა-ბღუჯა აგაგლიჯა და იქვე რიგზე დაალაგა. ვერ მოვითმინე და შენსკენ გამოქცევა მოვინდომე, რომ კიდეც გამომეღვიძა. მადლობა ღმერთს, რომ სიზმარი იყო, არა, ტახო!

— ღრუტტ... — ჩაიღრუტუნა ისევ ტახმა და უდარდელად ჩლიქით იღლია მოიფხანა.

ირიჟრაჟა.

— ღმერთო, შენ შემიწყალე! ღმერთო, მრავალი ახალი წელიწადი გაუთენე ჩემ ცოლ-შვილს, ყოველი ალიანი და ჩალიანი აშორე, ისეთი ტახი მყავს დღეს შენს სალოცავად, რომ სწორედ მოგეწონება. ორმოცი დღეა, შვილებს ვფიცავ, რაც საგანგებოდ ვასუქებ. ოთხი თითის სისქე ქონი მაინც ექნება. განა ახირებულ მქლე ძოკუნას გაგიბედავთ? ოღონდ კი შენ შემწე იყავი ჩემი, მტრებს ჩემზე ნუ გაახარებ და თითო მსუქანი ტახი ყოველ ახალწელიწად დღეს თუგინდ ხელში გყავდეს! — ლოცულობდა ბაკურა და თან გალესილ დანას სალესავზე პირს უწყობდა.

ეს სიზმარი კი არა, ცხადი იყო.

რ ე ა ქ ც ი ა

მღვდელ იოანე ბინადრიძეს ფოსტალიონმა „საეკლესიო უწყების“ ახალი ნომერი მოუტანა.

— ოო! ამაში ახალი ჯილდოები იქნება გამოცხადებული, — ჩაილაპარაკა იოანემ, საწერ მაგიდას მიუჯდა და ქურნალს თვალიერება დაუწყო, — მართლა ყოფილა! აი, არხანგელსკის გუბერნია, დაჯილდოებულ იქნენ მე-4 ხარისხის ორდენით... ეს რალად მინდა. კნახო, ჩვენიანებს აბა ვის მოუვიდა! — ბუტბუტებდა იოანე და ქურნალს ფურცლავდა, — აი ჩვენიანებიც. „საქართველოს საეჭვარხოსოში“, ეჰ! წრეულს ჩვენიანები ძლიერ ნაკლებად იყვნენ წარდგენილნი. ვინც არიან, მათგანიც უმეტესობა რუსობაა.... ჰმ... ჰმ... აი ქართველი გვარიც ურევია: „მღვდელს სოფრომ ადილაშვილს დეკანოზობის ხარისხი“. ოჰო? ეს რა მესმის, თუმცა გასაკვირველიც არაფერია. იყო ის კაცი თავისთვის ჩუმად, არც ავტოკეფალია მოუთხოვნია და არც კონსტიტუცია. მთავრობასაც დაუფასებია, წარუდგენია და დეკანოზობაც მოსვლია. აი, დალახვრა ღმერთმა! მე ხომ სოფრომაზე ექვსი წლით ადრე ვარ ხელდასხმული. შეიძლება მეც წარვედგინეთ, მოძრაობაში რომ არ გავრეულიყავი. დასწყევლის ღმერთი, რა ეუთხრა მაგ ოხრებს, მაგათა, ვინც ჩვენ მაგ საქმეში ჩაგვითრია. აიკვიატეს ავტოკეფალია უნდა აღვადგინოთ, არც არა გამოვიდა რა და ტყუილად მთავრობის წინაშეც სახელი გაგვიტეხეს. ღმერთო ჩემო, როგორ გადაირევა კაცი. წარმოიდგინეთ, მეც, რომელსაც ეპისკოპოსის დანახვაზე მუხლები მეკეცებოდა და შიშით „მამაო ჩვენოც“ მეშლებოდა. ისე გავკადნიერდი, რომ ერთი ორჯერ რეჩის თქმაც განვიზრახე. თითქოს ორატორი ვიყო...

— ᲛᲐᲨᲐᲝ, ᲨᲘᲜᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ, — ᲛᲝᲘᲡᲛᲐ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲡ ᲮᲛᲐ.

— ᲨᲔᲛᲝᲓᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐ. ᲠᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲒᲠᲝᲕᲓᲐ?

— ᲒᲠᲝᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲐᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘᲪ ᲙᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ, — ᲗᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲓᲝ ᲓᲘᲐᲙᲕᲐᲜᲛᲐ ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ: — ᲬᲛ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲙᲜᲔᲘᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲚᲐᲓᲐᲝ.

— ᲰᲝ, ᲙᲐᲠᲒᲘ. — ᲛᲘᲣᲒᲝ ᲛᲚᲕᲓᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲘᲜᲯᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ.

— ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲘᲡ ᲙᲜᲘᲐᲖᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ; ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲜᲐᲮᲕᲐ ᲡᲣᲠ!.

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘ-ᲗᲥᲝ! — ᲛᲘᲣᲒᲝ ᲘᲝᲐᲜᲔᲛ, ᲖᲔᲖᲔ ᲬᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲬᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

— ᲐᲰ! ᲙᲜᲘᲐᲖᲔ ᲕᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠ, ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲓᲐᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘᲗ!

— ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ. ᲛᲐᲛᲐᲝ! ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲝᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲪᲝᲢᲐᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ.

— ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲗ. ᲑᲐᲢᲝᲜᲝ!

— ᲛᲔ, ᲛᲐᲛᲐᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲛᲐ. ᲨᲐᲠᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲙᲜᲔᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲒᲖᲘᲕᲘᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜ. ᲐᲘ ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲪ ᲛᲔ ᲨᲔᲛᲔᲰᲕᲓᲐ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲑᲐ.

— ᲠᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ! ᲜᲔᲢᲐᲕ ᲠᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ? — ᲒᲐᲙᲕᲘᲠᲕᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲘᲝᲐᲜᲔᲛ.

— ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲘᲛᲘᲡᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ! ᲐᲛ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛᲓᲘᲡᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡᲗᲐᲜᲐ ᲓᲐᲥᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. ᲛᲔ, ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲢᲘᲑᲘᲙᲝᲜᲘᲡᲐ ᲐᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ ᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲠᲥᲘᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲖᲔ ᲗᲐᲕᲐᲓᲡ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲓ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲓᲐᲘᲭᲘᲜᲐ — ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲢᲘᲑᲘᲙᲝᲜᲨᲘ ᲠᲐ ᲬᲔᲠᲘᲐᲝ: ᲘᲥ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲕᲐᲚᲘ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲬᲔᲠᲘᲐᲝ. ᲠᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲕᲔᲬᲔᲗ, ᲠᲐ ᲐᲠ ᲕᲔᲙᲐᲛᲐᲗᲔᲗ, ᲐᲠ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲘ. ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲔᲑᲘ. ᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲣᲒᲝ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲜᲔᲘᲜᲝᲑᲘᲗ ᲠᲝᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲐ. ᲛᲔ ᲗᲣ ᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲙᲝᲜᲔᲩᲜᲝ ᲞᲚᲔᲕᲐᲗᲬ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲘᲗ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲣᲔᲛᲕᲔᲚᲐᲓ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲜᲔᲘᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲝᲡᲐ.

— ტიბიკონში მართლა არა წერია, კნიაზ...—თავმდაბლა მიუგო იოანემ.

— ეხ, მამაო, ახლა თქვენც არ დამიწყოთ ერთი რამე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი წინამოადგილე უფრო ახალი თაობის გავლენის ქვეშ იქცეოდა, თორემ ტიბიკონის შესრულება რა ჰარტო იმას მოუნდა, როცა მთელი სამღვდელოება, ერი და ბერი თავადს თავადად იხსენიებს ხოლმე.

— არა, კნიაზ, მე მხოლოდ ტიბიკონზე მოგახსენე, თორემ ჰოხსენებით კი მოვიხსენიებთ. აბა თქვენ ამაზე როგორ გაგაწბილებთ.

— აბა რა სალაპარაკოა, თქვენგან არ მიკვირს? ასეთ წვრილმანებში თუ ერთმანეთს პატივი არ ვეცით, მსხვილმანებში ხომ სულ არ გამოვდგებით... ჰო, იმ თქვენმა წინამოადგილემ ისიც კი თქვა... თქვა კი არა, სამღვდელოება გალანძღა, თუ ვინმე იხსენიებს ლოცვაში თავადს და აზნაურს, სულ თვალთმაქცობითა და ანგარებისმოყვარეობით ჩადისო.

— ეჰ, იმასაც გადაუჭარბებია და! — იწყინა იოანემ.—მართლაც და ის ერთი რა წითელი კოჭი გამოვიდა!..

— ის არ მაკვირვებს, მამაო, მაშ ასე, მამაო, პატივისცემა ჩვენზე დარჩეს. იმედი მაქვს განმეორება არ დასჭირდება.

— რა ბრძანებაა, ბატონო! რა თქვენი საკადრისია! თქვენი გულისთვის თუ გინდა...

— ვა! — ჩაილაპარაკა იოანემ, როცა თავადი გავიდა: — თვალთმაქცობითა და ანგარების მოყვარეობით ჩადიანო?! დიახ, მამა გიცხონდა, შენ კი ჰაერით იკვებები აი! გიჟი ხარ? შიმშილით გინდა ათი სული ბავშვი ამომიხოცო? მართლაცა და ტიბიკონს თუ არ გადაუხვიე და კიდით კიდემდე ვსდიე, მე, შვილოსან, კაცი არ მომეკარება და მაშინ ქვას ხომ არ ვაჭმევ ამოდენა ხალხს. არ გაიგე, შვილო, რას ამბობდა კნიაზი? არქიეელიც იხსენიებს, ეპისკოპოსიცო? თუ ისინი კნიაზობით იხსენიებენ, მაშ საშიშიც კია, რომ მე არ მოვიხსენიო. რა ბევრი უნდა, ბუნტოვჩიკად რომ ჩაგრიცხონ. არ გაგიგონია, წყლის შეშინებული ნამმა შეაშინაო? ახლა ერთობის დრო ხომ არა გგონია, მიტინგები რომ იკრიბებოდა; გაჩაღებული რეაქციაა, შვილო, რეაქცია, ჩვენც რა გზა გვაქვს, იძულებული ვართ ქარი საითკენ ჰქრის, იალქანიც იქითკენ მივაბრუნოთ.

— მამაო, მოვიდნენ. დროა! — შემოილაპარაკა დიაკვანმა.

— ახლავე, ახლავე, გრიგოლა! ეჰ, უფალო, ღმერთო ჩემო,

„განსვენებისათვის სულისა მიცვალებულისა მხევლისა ღვთისა კნეინა მართასი“... — გალობით ჩაილაპარაკა იოანემ. — მართლა, გრიგოლა! მოდი აქ, გესმის? „წმიდათათანაში“ „კნეინა მართა“ ჩაურიე. „სულთათანაშიაც“ ასევე მოიქეცი. იცოდე, არ დაგავიწყდეს და გალობაც ეცადე ლამაზად გამოგივიდეს. მაინცდამაინც ნუ გააგრძელებ, ჩვენს კნიაზებს გრძელი წირვა-ლოცვა არ უყვართ. შენ როგორ ფიქრობ, გაიმეტებენ ვითომ რასმე?

— თავადებმა მიცემა კი კარგად იციან, მამაო, — მიუგო დიაკვანმა, — მ. მალაქიას რომ არ დაეკინა და „კნეინობით“ მოეხსენებია კნეინა მართა, ბლომა ფულს მოგვცემდნენ. ათ თუმანზე მეტი მაინც ავიღეთ მათგან.

— რა ძვირად გვიღირს, კაცო, მოვიხსენიოთ. შენ იცოდე, „კნეინა“ გარკვეულად ჩაურთე ხოლმე, აი! ახლა კი წავიდეთ...



ᲨᲝᲚᲢᲘ

იერუსალიმის ტაძარში ხმაურობა და ფაცაფუცი ადრიდანვე დაიწყო. ლევიტელნი და სხვა დაბალი მოსამსახურენი აქეთ-იქით დარბოდნენ და ტაძრის შიგნით თუ ეზოში საჭირო ნივთებს აწყობ-ალაგებდნენ. დიდ-დიდი შანდლები, სამსხვერპლო, საბანელი და სხვა საღმრთო ჭურჭლეულობა დაწმენდილ-დაფერილი ვარვა-რებდა.

დღეს დიდი დღესასწაული იყო ებრაელებისა. ხალხი ყოველ კუთხიდან ბლომად აწყდებოდა იერუსალიმს, მოჰქონდათ შესაწი-რავი ფული, მოჰყავდათ სამსხვერპლოდ დასაკლავი საქონელი. ბუარებელი ქალი და კაცი, დიდი და პატარა მიეშურებოდა ტაძ-რისაკენ სალოცავად, თითქო ღმერთი — შემოქმედი ცისა და ქვეყ-ნისა — მხოლოდ აქ, მხოლოდ ამ კედრონის აყროლებულ ღელის პირად მოისმენს მისდამი გულწრფელად მიმართულ ლოცვა-ვედ-რებასაო.

მღვდლებიც ადრევე გაეშურნენ ტაძრისაკენ. დღეს ბევრი საქ-მე ედოთ წინ და კაი მოგების მოლოდინშიაც იყვნენ.

— კურთხეულ არს ღმერთი ისრაილისა, რომელმან მოსცა მად-ლი ესე მღვდელთა მისთა, — გაისმა ტაძარში ახლად შემოსულ მღვდლის ილიას ხმა. იგი ძვირფას აბრეშუმის სამოსელში იყო გახვეული, ხელში კვერთხი ეჭირა და თავზე სამღვდელო აჭრელე-ბული ქუდი ეხურა.

— ვითარცა ნელსაცხებელი გარდამომავალი წვერთა ზედა, წვერთა ზედა აარონისთა! — გამოეხმაურა ახლად მოსულს მღვდე-ლი რუბენი, რომელიც ადრევე მოსულიყო და ერთს კუთხეში ჩამომჯდარიყო.

— რომელი გარდამოვალს საშხართა ზედა დიდებისა შამოხა-

სა, — შემოილაპარაკა მესამე მღვდელმა იუდამ. რომელიც ილიას ფეხდაფეხ მოდენილიყო.

სამივემ ჩვეულებისამებრ ერთპანეთი გადაკოცნეს და მოიკითხეს.

— მომილოცავს, მამანო, დღესასწაული! — თქვა რუბენმა. — და სასუმელმან შენმან დამათროს მე, ვითარცა ურწყულმან.

— ვითარცა ცრემლითა და საპოხითა განძღეს სული ჩემი! — ყვერი დაუკრა იუდამ.

— მოითმინეთ საღამომდე. ჯერ ძილი, მერე სიზმარი. ნუ იცით ხოლმე წინდაწინ აღტაცება, წმინდანო მამანო, — შენიშნა ილიამ.—ჯერ დღევანდელი შემოსავალი დავთვალოთ და გავიყოთ და მერე მივულოცოთ ერთმანეთს დღესასწაული...

— შენ სულ მაგ შიშში ხარ! — გააწყვეტინა იუდამ.

— კარვობის დღესასწაულშიაც სულ კბილს კბილზე გაცემინებდა: აი, დავიღუპეთ, დღეს მგონი შემოსავალი ნაკლები იქნება და რომიდან ახალ ტანისამოსს ვერ დავიბარებო, მაგრამ ხომ გახსოვს, რამდენი ასი დრაკანი ჩაიჩხრიალე ჯიბეში.

— გვყავდესცა მშვიდობით ჩვენი მღვდელთმთავარი ანნა, ჩვენ ვან შიმშილით არ დაგვხოცოს და ტიტველა არ გვატაროს. გაიგეთ ახალი დადგენილება? შესაწირავ ცხოველების ტყავები და ბეჭები მღვდელების საკუთრება გაუხდია, — თქვა რუბენმა.

— კურთხეულ არს ღმერთი სიონით გამო, რომელი დამკვიდრებულ არს იერუსალიმს და ადღეგრძელოს ჩვენი მღვდელთმთავარი ანნა! — სასოებით ხელების ზეაპყრობით წარმოთქვა ილიამ.

— ისიც გაიხსენეთ, ღირსნო რაბუნნო, — შენიშნა იუდამ, — რა შფოთი და ალიაქოთი ავუტეხეთ, როცა იგი პირველად გადმოიყვანა იერუსალიმში უცხოეთიდან (ალექსანდრიიდან) იროდი მეფემ; როგორ აღვიძარით ყველანი და ვიძახოდით: არ გვინდა უცხო მღვდელმთავარი, აქაური, ჩვენებური მოგვეცესო.

— რა უყოთ მერე, თუმცა მღვდლები კი ვართ, მდგომარენი წინაშე პირისა იეღოვა ღვთისა ისრაილისასა, მაგრამ გულთმისნები მაინც არა ვართ. მაშინ კი ასე იყო, მაგრამ ახლა, სამაგიეროდ, ხომ ვხედავთ, რა ჩინებული კაცი გამოდგა, რა კარგად მიჰყავს საქმე. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, თითონაც ზორბად ხვეტავს, მაგრამ მღვდლებსაც არ ივიწყებს. ცდილობს მათ უზრუნველყოფას. მტრედებით ვაჭრობა როგორ ასწია! საერთოდ ტაძრის შემოსავალი წინანდელთან შედარებით ერთი ხუთად გახადა... სხვა რა ჩვენი საქმეა.

— სჯული მოსესი, ღირსო რაბინო, სჯული? — მწარედ შენიშ-

ნა იუდამ, — განმტკიცება სჯულისა ისრაილსა შორის, დაახლო-ება ისრაილისა იეღოვასთან!..

მღვდელმა რუბენმა მოკრძალებით აქეთ-იქეთ მიმოიხედა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო, და როცა დარწმუნდა, რომ სიახ-ლოვეს არავინ იყო, მაინც ცოტა თავშეკავებულად მიუგო:

— შენც, საყვარელო რაბუნო, მაგ მოუწვდომელ ოცნებებს თავს რომ არ ანებებ, თითქო პირად შენ ყოფილიყო იეღოვასთან და გუშინწინ დაბრუნებულიყო იმისაგან... შე დალოცვილო, რამ-დენიმე კაცი, აი თუგინდ ჩვენ, პატიოსანნი მღვდელნი, ვერ დავ-ახლოვებივართ რიგიანად ერთმანეთს, ხომ კარგად იცი, ტყავები-სა ან ფულის გაყოფის დროს, რა უთანხმოება მოგვდის: ხშირად ერთმანეთის ნაკურთხ წვერებსაც ვწვდებით ხოლმე და შენ გინდა, რომ იეღოვა, ვიღაც უხილავი ღმერთი და ისრაილი, იაკობიდან მოყოლებული მუდამ შფოთისმოყვარე ხალხი, ერთმანეთს დავუახ-ლოვოთ! მაგეებს თავი დაანებე, ღირსო რაბუნო! ჩვენი საქმეა ვა-სრულოთ მოსეს წესი. აი, იმის ჭკუით სავსე შუბლს კი ვენაცვალე! ისე, როგორც წერია საღმრთო წერილში, შევსწიროთ მსხვერპ-ლი, დავაკვრევინოთ წინწილ-ებანი, ვაყვიროთ საყვირი, ვატრი-ტინოთ კეთილხმოვანი ორღანო, ვისიამოვნოთ და ვასიამოვნოთ ის-რაელი. ხალხს თავისთავად მტკიცედ სწამს მსხვერპლი, გაიგე ვსხვერპლი, ცხოვარი, ძროხა და მტრედი. თუ ცხოვარი დაკლა და იმისი ცმელი სამსხვერპლოში დაწვა, გონია — იეღოვას დიდი სამ-სახური გაუწია და დიდად ასიამოვნა. შენც, აბა მითხარ, რას დაე-ძებ? ჰო, ასეა, დიახ, იეღოვამ მე პირად მიბრძანა-თქო, რა ძვირად გიღირს? ბრიყვ ხალხს ბევრი კი არ უნდა. მართალი თუ უთხარი, ტყუილუბრალოდ გადიკიდებ, მტრად გაიხდი; ტყუილი თუ უთხა-რი — შენია და შენი იმისი ხორცი და კანი. აგერ მე ჯიბეში ჩემ ბაღში მონაწყვეტი ხურმა მიდევს. ხალხს რომ გამოუცხადო, ეს ხურმა თვით იეღოვამ ანგელოზის ხელით ზეციდან გამომიგზავნა, როცა იმის ტაძარში კრძალვით საკმეველს ვაკმევდი-მეთქი, მაშინ-ვე პირქვე დაემხობა და ერთ უშველებელ ლოცვა-ვედრებას ასტე-ხავს... აი თუ გინდა ამ ჩვენი ქერუბიმ-სერაფიმით მოქარგულ კრეტსაბმელის იქით, ხომ იცით, ისეთივე სიცარიელეა, როგორც სინედრიონის ზოგიერთი წევრის გოგრაში, მაგრამ ბრიყვი ხალხი მაინც დარწმუნებულია, რომ მოსეს მიერ მოცემული სჯულის კი-დობანი ახლაც იქა ძევს, მიდი და გადაარწმუნე!..

— წმინდანო რაბუნნო, — შემოილაპარაკა ლევიტელმა: — აჰა ესერა ძენი და ასულნი ისრაილისანი მოსულ არიან გალილიით და

ორდანით კერძო, ტვიროსით და სიდონით, ზვარაკები ჭამებული თან მოუყვანიათ, ეზოთ გარე ტაძრისა დგანან და მოელიან კურთხევასა თქვენგან და შეწირვად ღვთისა მიმართ.

რაბინი რუბენი ერთ წუთს შეკრთა, მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, ხელები ზეცას აღაპყრო, თვალები გადმოატრიალა და სასოებით შესძახა:

— შესწირვიდეთ უფალსა შვილნი ვერძთანი!..

— შესწირვიდეთ უფალსა შვილთა ვერძთასა! — ბანი მისცა ილიამ.

— რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი! — დაუმატა იუდამ

მღვდლები შეიმოსნენ. დამკვრელთა და მგალობელთა გუნდმა თავიანთი ადგილი დაიკირა. სამსხვერპლო პირუტყვები თავის ადგილას დაამწკრიეს. ჩამოჰკრეს წინწილ-ებანი. „აქებდით, აქებდით, აქებდით უფალსა, — გალობდა გუნდი, — რომელმან განიყვანა ერი თავისი ზღვასა მას მეწამულსა... შთაანთქა ფარაო და მხედრობა მისი...“

აპრიალდა სამსხვერპლოზე ალი. მღვდელ-ლევიტელნი დაფაცურდნენ. მსხვერპლი მსხვერპლზე მოდიოდა. ლევიტელნი გატყავებას ვერ ასწრებდნენ. სოლომონის სტოვაში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ მტრედთა და ხბოთა გამყიდველნი საქმეს ვერ ასდიოდნენ. ზარაფები ფულის დახურდავებას ვერ ასწრებდნენ. ციკანთა კიკინი, მტრედთა ღუღუნი, ხბოთა ბღავილი, ფულის ჩხრიალი, მყიდველ-გამყიდველთა ხმაურობა, სამსხვერპლოზე მოპრიალე ცმელის ტკაცატკუცი, საკრავთ ხმა და გუნდთა გალობა საერთო გუგუნით ეფინებოდა არემარეს.

— ჩინებული ხბოა, ათ დრაკნისათვის საქმეს ნუ ჩაშლი, იყიდე და შესწირე უფალს! — რჩევას აძლევდა ერთ ადგილას ხბოს გამყიდველი შორი სოფლიდან მოსულ, ჯაფისა და მზისაგან პირის ყანგათუთქულ გლეხს.

— მტრედები, მტრედები! — იწვევდა ხალხს მემტრედე. — იეღოვასა ღმერთსა ისრაილისასა ისე არაფერი არ უყვარს, როგორც მსხვერპლად შეწირული მტრედი. აბა, თუ ასე არ არის, კითხეთ წმინდა მღვდელმთავარსა ჩვენსა.

უცბად ტაძრის ეზოს სპილენძის დიდი ალაყაფის კარებისაკენ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა.

— არა, გაგვიშვით, შეუძლებელია! — ყვიროდა ვიღაცა.

— გაგვიშვით, დროა ბოლო მოეღოს ამდენ საძაგლობას!

— შენ ვითომ რა დიდ კაცად...

— რისთვის?!

— მღვდელმთავარიც ისეთი მსუნაგია, რომ!..

— ღმერთიც გასწყრომია!..

ისმოდა ასეთი გამოურკვეველი ხმები და კიჟინა მჭიდროდ მოგროვილ ხალხში, რომელიც თანდათან სოლომონის სტოვასაკენ მიემართებოდა.

ჯოხით შეიარაღებულ ასამდე რჩეულ ვაჟკაცს წინ მიუძღოდა ლამაზ-ლამაზი, მოკლე და მოწითალო წვერიანი ვაჟკაცი და ხელში ვეებერთელა თოკისაგან გაკეთებული შოლტი ეჭირა. ცხადი იყო, რომ ის ასიოდე კაცი იმ შოლტიან ვაჟკაცს მხარს უჭერდა.

შოლტიანი მიუახლოვდა მღვდელ ილიას, რომელიც ტაძრის ეზოს შუა აღმართულ სამსხვერპლოსთან ახლად გატყავებულ ხბოს ფარს მოდგომოდა და რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა.

— ვითომ ლოცულობ განა! მაგ თვალთმაქცობით იბრიყვებ ამ დაბეჩავებულ ხალხს, — დაუძახა შოლტიანმა და მღვდლის თავზე ჰაერში შოლტი გაატყლაშუნა.

ახლო ერთი ლევიტი ცხვარს ატყავებდა. მან ცხვარი იქ მიაგდო და მოღერებული დანით გაექანა, მაგრამ მარჯვედ მოქნეული ჯოხი მოხვდა მაჯაზე და დანა დააგდებინა. ვიღამაც მაგრა ჰკრა მუჯლუგუნი, წააჩოთირა და თავის მიერ ნახევრად გატყავებული ცხვრის ბეერდით ქვაფენილზე გაშხლართა.

მიწყნარდა წინწილ-ებანი. ბავშვები და ქალები დაფრთხნენ. შოლტიანის გარშემო კი თანამგრძნობთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ალიაქოთის შიშით ზარაფებმა დასტა-დასტად დალაგებულ ფულს საჩქაროდ ვეებერთელა ქისებში დაუწყეს ყრა.

— გეყოფათ მაგდენი, ისედაც გაძვალტყავებულ და რომაელების ბრჭყალებქვეშ დაწნახული ხალხის თვალის ახვევა და უკანასკნელი სისხლის გამოწოვა. — ხმამაღლა იძახდა შოლტიანი და სოლომონის სტოვას უახლოვდებოდა: — ეს რა არის? განა ტაძარი ღვთის ზარაფხანაა? — დაუყვირა ერთ გრძელწვერა და ცხვრისოკაუჭებულ ზარაფს, რომელიც გამალებული ქისაში ფულს აჩხრიალებდა, მაგრამ სულ ჩალაგება ვერ მოესწრო და ჯერ კიდევ მაგიდაზე ფული ბლომად ელაგა. ჰკრა შოლტიანმა ხელი მაგიდას. წააქცია და რომის კეისრის გამოხატულებიანი დრაკან-ქანქარი ქვის იატაკზე მოეფინა.

— ღმერთო მომკალი! ვაააიმე, ფული დაიბნა, დავიღუპე! ვინ ოხერი და თავმოძულებულია ეს კაცი! — ერთი ზარაფის ყვირილს ბეორის და მესამისაც მიემატა:

— ამას რას ვხედავ! — კვლავ გაისმა შოლტიანის მტკიცე ხმა. — განა ტაძარი ღვთისა ბაზარია? მტრედები და ხბორები აქ მოგიყვანიათ, ამით გინდათ დაიბრიყვოთ უბედური ისრაელი! — კვლავ გაისმა ჰაერში შოლტის ხმა, — თქვენ დააქციეთ სჯული მამა-პაპათა. თქვენ ღორმუცელობას ანაცვალეთ მოსე და წინასწარმეტყველი! — ქუხდა შოლტიანი.

— მართალია, მართალია! — გუგუნებდა შოლტიანის სითამამით წაქეზებული ხალხი. — მართალია, ამ ტაძრის ბატონ-პატრონთა ყოველ წრეს გადასულმა მსუნაგობამ მიწასთან გაასწორა ძე ისრაილისა.

როცა ნახეს აღელვებული და სამტროდ გამზადებული ხალხი, მღვდელ-ლევიტელნი საჩქაროდ აქეთ-იქით ტაძრის კუნჭულში ჰიიმალნენ.

— შენ ვინა ხარ, კაცო? შენ ვინ მოგცა უფლება ასე იქცეოდე? — ყვიროდნენ თავის მხრივ ზარაფ-ვაჭარნი. — ეს რა ღვთის რისხვა მოგვევლინა! ეს ვინ ეშმაკის შემოჩენილია!

— დააქციეთ ტაძარი ეგე და მე მესამესა დღესა აღვადგინო იგი. — მიუგო შოლტიანმა და ტაძრიდან ერეკებოდა ვაჭრებს, შოლტსაც თავაზობდა.

—ისედამც ამდგარა შენი გვერდი ხვალ დილით სარეცელიდან. შენ ეს სამ დღეს ააგო! — ყვიროდნენ ზარაფები, — ორმოცი წელიწადი გვიშენებია, მთელი ხალხი მაგის აშენებამ გააღარიბა და შენ სამ დღეს გინდა ააშენო!

— უბედურნო, თქვენი ახალი აშენებული რაღა უნდა იყოს, როცა ძველის დაქცევის უნარი არ შეგწევთ. აქაც მე მოგეშველებით. მევე დავაქცევ, მევე ავაშენებ.

კვლავ ატყდა რაღაც ახალი ჩოჩქოლი ალაყაფის კარებთან. რომაელების მხედრობის ასისთავი ამაყად იჯდა ცხენზე, გრძელი შუბი ხელში ეჭირა და ტაძრის ეზოში შემოდიოდა, უკან შუბებითვე შეიარაღებული ჯარისკაცები მოსდევდნენ. წინ მიუძღოდა თავგადაგლეჯილი რაბუნი რუბენი.

— აბა, თქვენი განათლებული თვალითაც ნახეთ, ღირსეულო რომის მხედარო! — ქაქანით ამბობდა რუბენი: — დიდებული კეისრის ერთგულო ქვეშევრდომო! ეს არათუ ჩვენი წმინდა რჯულის შეურაცხყოფაა, თვით დიდებული კეისრის აბუჩად აგდებაა. შემოგვივარდა, ბატონო, გადარეული კაცი. აი აქ, ბატონო, პატიოსანნი მღვდელ-ლევიტელნი ღმერთს მსხვერპლს სწირავდენ, რა თქმა უნდა, კეისარს, იმის სახლობას და მთლად რომის ძლევამოსილ-

მხედრობასაც გულწრფელად უფალს ავედრებდნენ. შოლტით ყველას თავპირი დაამტვრია. პატიოსან ვაჭარ-ზარაფებსაც — აქ ვაჭრობა, ბატონო, თვით წმინდა მღვდელმთავრის მიერ დაკანონებულია — ფული სულ გაუბნია და მათაც უწყალოდ სცემა.

— აი, ბატონო, — დაიძახა ერთმა ცეცხლივით წითელწვერა კაცმა, რომელსაც ხბოსთვის ყურში დაევლო ხელი და ეზიდებოდა, — ძლივს ვიპოვნე, ხბორები სულ დამიფანტა.

— კეისრის საბრძანებელში ასეთ უკანონობას, ბატონო, ადგილი არ უნდა ჰქონდეს! — თქვა მღვდელმა ილიამ, რომელიც სხვა მღვდელ-ლევიტელებთან ერთად რომაელების იმედით საფარიდან გამოსულიყო.

— მე ვუჩვენებ, მე მას ვუჩვენებ, ღირსეულნო რაბუნნო!—ანუგეშა ასისთავმა, ფეხებით უზანგები დააჟღრიალა და ხელით შუბი დააზანზარა. — ვინ იყო ის წესრიგის დამრღვევი, მომგვარეთ აქა.

მღვდელ-ლევიტელნი და ვაჭარ-ზარაფნი დაფაცურდნენ.

— მოგახსენებთ, ბატონო! — სულის ძლივს მობრუნებით ამბობდა მღვდელი რუბენი. — მე ვიცნობ. ის იიშუ ნაზარეველია. დურგლის იოსების შვილი.

— ბიიშუ?

— არა, ბატონო, იიშუ, იიშუ ნაზარეველი. მაწანწალა რაბუნია. პატიოსან დურგლობას თავი დაანება, თავისთანა არამზადა ხალხი აიყოლია და დაბა-სოფლებს მოედო რაღაც ახალი, ღვთისა და კეისრის წინააღმდეგი ქადაგებით. წმინდა მოსეს წვერებს ვფიცავ, ბატონო, ხალხს აღელვებს. ღმერთი არა სწამს, არც ტაძარი წმინდა. მსხვერპლი საჭირო არ არისო ამბობს, ბატონო. მოსემ კი პირდაპირ დააკანონა, ცხვარი, ძროხა და მტრედები შესწირეთო. კეისარს ხარკი არ აძლიოთო, ის ხალხის მყვლეფელიაო, ამბობს. ჯარისკაცები და ომიანობაც არა სწამს, ერთი სიტყვით, აწინდელ დიდებულ, რომის სკიპტრის ქვეშ ჩინებულად მოქმედ წესწყობილების დაუძინებელი მტერია...

— იცით ნამდვილად რომ ის იყო?

— ნამდვილად, ბატონო, აი პატიოსანი მოწმენი, რამდენიც ჯნებავთ.

— იიშუ იყო, ბატონო, იიშუ. შოლტი იმას ეჭირა, — თქვა ერთმა კაცმა.

— ის იიშუ ხომ არ იყო, რომელზედაც ამბობენ, უდაბნოში ბალხი გააძღოო? — დაიძახა ვიღაცამ.

— არა, ბატონო, — მოთმინებიდან გამოსული კილოთი მოუსწ-

რო მღვდელმა რუბენმა. — სულ მოჭორილია. არავინაც არ გაუქ-ღია. სხვისი გაძღომა კი არა, თითონაც ნახევრად მშიერი დაეხე-ტება. ხალხის გაძღომა და ქველმოქმედება აქ ჩვენთან უნდა იკით-ხო, ბატონო, ღვთივ კურთხეულ ტაძართან. აი ამოდენა უამრავი მსხვერპლის წელებს და ფეხებს სულ საწყალ ხალხს ვურიგებთ ბუქთად. ეს ალბათ, ღირსეულო მხედარო, თქვენც კარგად მოგეხ-სენებათ, რადგან წყლის პირად წელების გარეცხვისთვის ცოტა-ოდენი ბაკიცაა დადებული და იქ მუდამ ჯარისკაცია მიჩენილი წეს-რიგის დასაცველად.

— მე იმას ვუჩვენებ, მე ვუჩვენებ, როგორ უნდა წესრიგის დარღვევა! — მტკიცედ ამბობდა ასისთავი.

— ჩაგვიშალა, ბატონო, ჩინებული დღესასწაული. ამდენი ლოცვა-ვედრების მადლი გააქარწყლა.

— აბა სად გაიპარა ის არამზადა, — მოიკრა აოფლიანებული და გაცეცხლებული მღვდელი ილია.

— ვერა ნახეთ? — ჩუმად დაეკითხა რუბენი.

— ხალხით გაჭედილი მთელი ეს ვეებერთელა ეზო შემოვიარე, ვის არა ვკითხე, კანონსაც გადავაცილე, შუბიანი, ურწმუნო ჯა-რისკაცი სტოვაშიაც ავიყვანე, ყველა კუნჭული მივქექ-მოვქექე, მაგრამ სულ ამაოდ.

— სად არის რაბუნი იუდა? — წყენით თქვა მღვდელმა რუ-ბენმა.

— შე კაცო, აკი გითხარი ჯაშუში მიუჩინე, არსად არ გაგექცეს-მეთქი.

— შენ მამაო, ისიც მითხარი, ლოცვას თავი არ დაანებო, ხე-ლები მაღლა აღაპყრე და ხალხს მხურვალე ლოცვა და თავი მოა-ჩვენეო, მაგრამ როცა გამწვავდა საქმე, ჯაშუში კი არა, თავი ცოც-ხალი ძლივს დავაღწიე.

— მომგვარეთ აქა, მე ვუჩვენებ იმას! — რიხიანად ამბობდა ასისთავი და შუბს აზანზარებდა.

იიშუ კი არსად იყო.



მ ე ფ ე

I

ძვირფას ხალიჩებით და ოქრო-ვერცხლის სამკაულით მორთულ-ნოკაზმულ დარბაზში, სპილოს ძვლის სავარძელში განისვენებდა ძოწეულით მოსილი, ღრმად დაფიქრებული მეფე იროდი. თუმცა სამოცდაათ წელს მისთვის თავისი კვალი დაემჩნია და შუბლდანაოჭებული და წელში მოხრილი თავს სუსტად გრძნობდა, მაგრამ მისი გული მაინც ძველებურად ტოკავდა. გაუმაძღარი მისი თვალები სივრცეში ისე იცქირებოდა, თითქო მზადაა, მთელი ქვეყანა გასრისოს და ჯადაყლაპოსო. სისხლით და უანგარიშო მსხვერპლით მოიპოვა მან მეფობა. ბევრი წარჩინებული ისრაელი გამოასალმა წუთისოფელს, რომ უფრო მტკიცედ და უშიშრად დასკუპებულიყო სამეფო ტახტზე. მისი ეჭვიანობა იქამდე მივიდა, რომ არ დაინდო თავისი მეუღლე მარიამნა და მისი შვილები ალექსანდრე და არისტოული: სამივე მოაკვლევინა. მაინც ვერ იქნა, გული ვერ დაიმშვიდა და თავისი ხანგრძლივი ცხოვრება სულ შიშში გაატარა, — ვინმე მეტოქე არ გამომიჩნდეს და ტახტი არ წამართვასო. ახლად მოსულმა ქალდეველმა სწავლულებმა ხომ სულ დაუბნიეს დავთარი... თვალზე ძილი არ ეკარებოდა. საჭმლის მადა დაეკარგა.

— გეახლათ, დიდო ხელმწიფევ, მონა თქვენი მღვდელმთავარი ანნა, — გულზე ხელებდაკრეფით და მუხლმოყრით მოახსენა მსახურმა.

ფიქრებში გართულმა მეფემ თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დააქნია.

— ჩემს მწყალობელს, მეფეთ მეფეს, ურიასტანის მბრძანებელს

გიხაროდენ! — შეილაპარაკა მღვდელმთავარმა ანნამ, პურპურით შეღებილ მეწამულ ტანისამოსში გამოწყობილმა, ოქროთი მოჭედილ ყავარჯნით ხელში.

— გმადლობ. მღვდელმთავარო, რომ საჩქაროდ მნახე. აი აქ ჩამოჯექ, ა იმ ბალიშზე. ორმოცი წელიწადი ვმეფობ და ასეთი სულიერი აღშფოთება ჯერ არ გამომიცდია. ხომ შეიტყე? — მოწყენილად და აუჩქარებლად ჰკითხა ირودმა.

— მხოლოდ ჭორი, მეფეო, — მზაკვრული ჩაცინვით მიუგო ანნამ. — სინამდვილეს მეფის პირიდან მოვისმენ.

— ეჰ, მღვდელმთავარო, საქმეც მაგაშია, რომ უფრო მეტი ვნება მაგ ჭორს მოაქვს, ვიდრე სინამდვილეს. მე ჭორისა უფრო მეშინია, რადგან ბრბო მას უფრო აფასებს, ვიდრე სიცხადეს. ჭორში ოცნება ლამაზად და მომხიბლავადაა ჩაქსოვილი და ადამიანს ხომ ისე არაფერი არ უყვარს, როგორც ოცნება.

— დამშვიდდით, მეფეო, შენ გვერდით შენი ერთგული ანნაა...

— მეც იმიტომ მოგიხმე, მღვდელმთავარო. საიმედო ხარ ჩემი. შენ კარგად მიცნობ, რომ ოცნებისა არა მჯერა რა და მხოლოდ სინამდვილის მოტრფიალე ვარ. ეს საქმითაც დამიმტკიცებია. არავითარი მსხვერპლისა და დაბრკოლების წინ არ შევჩერებულვარ, როცა ამას საქმის ცხადი ვითარება მოითხოვდა... მეოცნებე ხალხი, როგორც ქალდეველები, იმთავითვე მძულდა და, შენც კარგად იცი, რომ ჩემ სასახლეში ერთი მოგვი არ გამიჭაჭანებია. ზამთარზაფხულ მინდორში დროსტარებამ და მუდამ ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ყურებამ ქალდეველები ვარსკვლავთმრიცხველობას შეაჩვია და იმდენად გაიტაცა ამ საქმემ, რომ ქვეყანა და მისი სინამდვილე თითქმის გადაავიწყდათ. დედამიწაზე აღმოცენებულს და აქვე გაზრდილ განხორციელებულ საქმეს, ცის ვნათობით ხსნიან და აკანონებენ. საკვირველიც არ არის, რომ ამ ოცნების მეოხებით, ერთ დროს მდიდარი ქვეყანა ბერძენ-რომაელების სათარეშოდ გახდა. მაგრამ მე რას დავეძებ, იქ თუგინდ ეფრატს უკუღმა უდენია. მე ჩემი დარდი მაწუხებს. საქმე ის არის, რომ მათი ოცნება მეც გადამწვდა. მე, ᲮᲘᲝᲜᲘᲡ ტახტზე მჯდომსაც, არ მასვენებენ და სულიერ სიმშვიდეს მიკარგავენ. რაღა გავაგრძელო, მღვდელმთავარო, გუშინ სამი ქალდეველი მოგვი თავზე დამადგა. „სადა არს მეუფე იგი, — მომახსენეს, — რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი და მოვედით თაყვანისცემად მისდა“. გაიგე, მღვდელმთავარო? აბა ერთი დაფიქრდი, წმინდა მოშეს

ეზემ! კაცო, მე, ირიდი მეფეს, ურიასტანის მბრძანებელს, მეკითხებიან: მეუფე ურიათა სად დაიბადაო. პირველად ბუზიკით გასრესა განვიზრახე ჩემ თვალწინვე, მაგრამ შენც კარგად იცნობ მეფე ირიდის, შორსმჭვრეტელობაც არ აკლია. თავი შევიმაგრე, ისე მოვაჩვენე, თითქო ძლიერ გამხარებოდეს მათ მიერ მოძღვნილი ამბავი. „მომითმინეთ, ხვალ მოგახსენებთ პასუხს-მეთქი“ და მოგვები ქალაქგარეთის სასახლეში გავისტუმრე. ბრძანება გავეც, საგანგებო პატივით მოეპყრან. ახლა, მღვდელმთავარო, ფიცხლავ უნდა შეკრიბო სინედრიონი და უნდა დაადასტუროთ, რომ არავითარი მეფე ურიათა ამ დროებით არ დაბადებულა და არც საჭიროა მისი დაბადება, რადგან ურიათა უკვე ჰყავთ დიდებული მეფე ირიდი.

— ჩემს მწყალობელს, მეფეთ მეფეს, არ ეწყინოს, მისი მონის მღვდელმთავრის ნათქვამი, — წყნარად, მაგრამ მტკიცედ შენიშნა ანნამ.

— მითხარ, მითხარ, სიმართლე მითხარ...

— ოცნება ოცნებაა, დიდებულო მეფევ, მაგრამ ვაი რომ წუთისოფლის სინამდვილეც მაგ ოცნებაზეა დამყარებული. სუ, მეფევ, მე და შენა ვართ მარტონი, ყურში გეტყვი, — თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ანნამ, — თვით მოშე და წინასწარმეტყველები სხვა რაღანი არიან, თუ არ ლამაზი ოცნება... კრება რაღად გინდა, ხელმწიფევ. სინედრიონი რას გეტყვის ანნა მთავრის გარეშე, რადგან ჩვენ ყველანი საღმრთო წერილს უნდა დავემყაროთ. „და შენ ბეთლემთ ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმრწემეს ხარ მთავართა შორის იუდათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმან დაამწესოს ერი ჩემი ისრაილი“. აი რას ამბობს, მეფევ, წინასწარმეტყველი და სინედრიონიც იძულებული იქნება, შენ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაგცეს...

— როგორ? ბეთლემში, იმ ნახევრად გადაზნექილ-გადმოზნექილ ქოხმახებში, იმ ღატაკთა შორის უნდა დაიბადოს მხსნელი ისრაილისა? მაშ ეს, როგორც ვატყობ, მარტო ქალდეველების ოცნება არა ყოფილა?!..

— ასე ამბობს, მეფევ, წინასწარმეტყველი ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ასეთია მთელი ერის სულიერი მისწრაფების გამოხატულება. ისრაილის წარმოდგენით, მეფე უნდა დაიბადოს იქ, სადაც დაიბადა მისი დიდება დავით. ეს სასოება ჩაქსოვილია ისრაილის გულში იმ დღიდან, რა დღესაც ნაბუქოდონოსორმა დასწვა სო-

ლომონის ტაძარი და სამშობლოს ძალით მოწყვეტილი ერი ჩრდილოეთისკენ ეფრატის გზას გაუყენა.

— მაგრამ, — ხმას აუმაღლა მეფე იროდიმ, — ახლა ხომ ჰყავს მეფე ურიასტანსა. მაშ იროდი ვინღაა? ვინ გაამშვენიერა იერუსალიმის ტაძარი?..

— ნუ მიწყენ, მეფეო. გაამშვენო კი არა, ათი ტაძარი საძირკვლიანად რომ აღუშენო, მაინც ვერ გასწევ დავით-სოლომონობას. ნუ დაგავიწყდება, რომ შენ იდუმეველი ხარ. ისავი და იაკობი თუმცა ძმები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთის მტრები იყვნენ...

— კმარა, მღვდელმთავარო, მეტი მოთმენა არ შემიძლია! შენ მაინც შეჰკრიბე სინედრიონი... აქ უსათუოდ რაღაც შეთქმულობაა. კაი ხანია არ უნახავს ურჩ ხალხს ცეცხლი და მახვილი. გადაავიწყდათ ჯვარისა და სახრჩობელას გემო. მე მათ გავახსენებ, მე მათ გავახსენებ, — ბრაზით წარმოთქვა მეფემ და მუშტების მოღერით სავარძელიდან წამოიწია.

II

ძვირფას ძოწეულით მოსილი მეფე იროდი მარგალიტებით მოქარგულ ქოშებს ნება-ნებაზე აბარტყუნებდა ლამაზ ფერადებით აჭრელებულ ხალიჩაზე. მის მუდამ დაღვრემილ სახეს დროგამოშვებით კმაყოფილების და იმედიანობის ელფერიც გადაურბენდა ხოლმე. მის წინ იდგა იგივე პურპუროსანი ანნა.

— რას ამბობს შენი სინედრიონი, მღვდელმთავარო? სანამ ის ძველ ქარტიებს გადაქექავდეს, მე უკვე მივიღე ჩემი ზომები.

— მე ამას წინათაც მოგახსენე, დიდო ხელმწიფევ, რომ სინედრიონი ემყარება...

— ვიცი, ვიცი, რაზედაც ემყარება, — გააწყვეტინა იროდიმ. — ერთი მეც მკითხე, შენმა ლოცვა-კურთხევამ, ვემყარები რამეზე თუ არა? ჩემმა ერთგულმა ჯაშუშებმა ბევრი რამ საგულხმიერო ამბავი მომიტანეს. შენ მართალი ხარ, მღვდელმთავარო. მთელი იერუსალიმი და, რა თქმა უნდა, ურიასტანიც ამაზე მსჯელობს თურმე ჩუმ-ჩუმად. ერთ ქოხში მედაბღე ისახარს და მეხამლე ზაბულონს დანით კინაღამ ერთმანეთი გამოუწელავთ. შეცილებულან — ბეთლემში დაიბადება მეფე ურიათა, თუ სადმე სხვაგანაო. ორივე სახრჩობელით მინდოდა შემერიგებინა, მაგრამ რა მაჩქარებს, ჯერჯერობით ჯურღმულში დავამწყვდევინე. მინდა ვაწამო,

იქნებ გამოვტეხო და ტახტის საწინააღმდეგო შეთქმულება აღმოვაჩინო.

— ჭკუიანი მოსაზრებაა, — შენიშნა ანნამ.

— ესეც ცოტაა, მღვდელმთავარო, — წახალისდა მეფე ირო-დი, — მოგვებიც ჩუმად გავისტუმრე ბეთლემში. არიქათ, მიჰყევით თქვენს ვარსკვლავს და თუ იპოვნოთ ახლად დაბადებული მეფე, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ, რომ მეც მივიდე და თაყვანი ვცე, როგორც რიგი და წესია-მეთქი. ხა, ხა, ხა! — ჩაიცინა მეფე ირო-დიმ.

— სამივენი გაისტუმრე? — შეეკითხა ანნა.

— სამივენი გავგზავნე, მაშ?

— ჩემს მწყალობელს კი ნუ ეწყინება და აქ ცოტა შეცდომა მოსვლია: კარები დაუკეტია, მაგრამ გასაღებიც შიგ დაუნარჩუნებია — გასაღები ჯიბეში უნდა ჰქონოდა.

— რა?

— ერთ-ერთი მოგვი მძევლად უნდა დაგეტოვებინა. იმ მოგვებს ჭეტად ვერ იხილავ. ვინ იცის, იქნებ დაბადების დღეს სწყევლიან, რომ შენთან მოვიდნენ და ესოდენ წინდაუხედველობა ჩაიდინეს.

— როგორ?

— ძლიერ ადვილად, ჩემო მბრძანებელო. ამას წინათაც მოგაბ-სენეთ, აქ უფრო ღრმა მიზეზებია, ვიდრე ჩვენა გვგონია. ის წყლუ-ლი, ის იარა, რომელიც იუდას დაამჩნია ნაბუქოდონოსორმა, იქნებ შენ გამთელებული გგონია? არასოდეს, დიდო მეფევ. „მდინარე-თა ზედა ბაბილონისათა მუნ ვისხედით ჩვენ, ჩვენ, ოდეს მოგიხსენეთ შენ, სიონ“. აი სიტყვები, რომელიც სისხლის ზოლებით აღბეჭდი-ლია ყოველი ებრაელის გულზე. და აღბეჭდილიც იქნება, სანამ არ იხილავს სიონს ისე ამაღლებულს, როგორც გმირის გოლიათის დამთრგუნველის იესეს ძის დროს. შენ ნუ გეწყინება, მეფევ, და ხალხის გული ძნელი მოსაგებია. „ეფუცა უფალი დავითს და არა შეურაცხყოს იგი“, — აწერია ებრაელის დროშაზე და ვერავითარი ცეცხლი და სახრჩობელა ვერ გადაარწმუნებს იმას, რომ უფალმა თავისი მეფური ფიცი გასტეხოს და შეურაცხყოს. ამ აზრით გამს-ჭვალულია არა მარტო ის, ვინც აქა ცხოვრობს, სიონის ირგვლივ. ესევე უღვივის გულში იმათაც, ვინც ეფრატის გაღმა დარჩნენ, ან კიდევ უფრო შორს გოგი-მაგოგის ქვეყანაში გადიხვეწნენ. თუმცა მართალია, მოგვები ოცნების ხალხია, მაგრამ მათი ოცნება აღმოცე-ნებულია იმ ნიადაგზე, რომელსაც ყოველი ებრაელი გულით თან

ატარებს, საკა გინდა იყოს იგი. თქმა არ უნდა, შენთან მოსული მოგვები ისრაილის ტომის ჩამომავალნი უნდა იყვნენ.

— მაშ ესღა დამრჩენია, მღვდელმთავარო, რომ მართლა და ბეთლემში გავემგზავრო და სათაყვანოდ ვეძიო ის, ვისაც მეფედ სახავს ურიათა ოცნება? — გულნატკენად წარმოთქვა მეფე იროდიმ.

— დამშვიდდი, მეფევ! მე მხოლოდ მოგახსენე საქმის ნამდვილი ვითარება. მე მხოლოდ აღვნიშნე ის, რომ ერის გულში ანთებულ ცეცხლის ჩაქრობა სრულებით, უკანასკნელ ნაპერწკლამდე შეუძლებელია. ნაპერწკალი კი ხშირად გრიგალად იქცევა ხოლმე. გრიგალის დანულება მეფეს შეუძლია, მაგრამ ნაპერწკლის აღმოფხვრა კი ვერა. ახლაც, როგორც ეტყობა, ნაპერწკალი გაღვივებულია და საგრიგალოდ ემზადება. შენი თანხმობით, მეფევ, გადავასხათ წყალი. ჯერჯერობით ცეცხლი ბეთლემში ჩავაქროთ, იმდენად რომ ჩვენ სიცოცხლეში მაინც საშიში არ იყოს და მერე...

— ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა, — შენიშნა მეფე იროდიმ. — გმადლობთ, მღვდელმთავარო. მესმის შენი, სიტყვები. ახლავე შესაფერ ზომებს მივიღებ.

— სამი რამ უნდა მოგახსენო კიდევ, მეფევ, — შენიშნა ანნამ:— პირველი, ერთი წამი დრო არ უნდა დაკარგო. ნათქვამია: საბამ თონე ცხელია, პური დააკარიო. მეორე, ზომას არ უნდა გადააჭარბო. დღეს შენთვის, ასე თუ ისე, საშიშია ბეთლემი. შენი რისხვაც ბეთლემს და მის მიდამოს არ უნდა გადასცილდეს. მართალია, ესეც მითქმა-მოთქმას გამოიწვევს და ახალი მწვალებლები, იესეები, ამას ათასგვარ კუდს გამოაბამენ, მაგრამ აქ არა ვართ, მეფევ, შენი ერთგული სამღვდელოება? ჩვენ ხელთ არ არის საღმრთო წერილი? საღმრთო წერილი კი ისეთია, როგორც წყალზე ნავი: საითაც გინდა, იქითკენ მიაბრუნებ. სული წმინდა მოშეს და წინასწარმეტყველების სიტყვებით დაუმტკიცებთ მთელ ქვეყანას, რომ მეფეს უფლება აქვს, თუ არსებული წყობილების საწინააღმდეგო აღმოაჩინა, მის მოსასპობად ძალა იხმაროს. ფიქრი ნუ გაქვს, მეფევ; ბრბო ისეთია, როგორც ნიაღვარი. ერთ წამს აბობოქრდება, ასე ჰგონია, ქვეყანა წალეკაო, მაგრამ მზის ორი-სამი სხივი რომ მოხვდება, ისე ჩანელდება, რომ ვერც კი შეამჩნევ. მაგრამ თუ ზომას გადააცილე და ბრბო სასოწარკვეთილებამდე მიიყვანე, მაშინ საშიშია, თვითონაც დაიღუპება და შენც თან ჩაგითრევს. მესამე, მეფევ, სისხლმა, ცრემლმა და კვნესა-გოდებამ არ უნდა შეგაშინოს.

— ოოჰ! მღვდელმთავარო, შენც კარგად იცი, რომ ამაში მეფე ეროდის თვით რომის კეისარიც ვერ შეედრება, — თქვა მეფე ეროდიმ.

III

შუა ღამეა. ტკბილად ძინავს ურიასტანის ქალაქ ბეთლემს. მისი უსწორმასწორო, ჭუჭყიან ქუჩებში ჭაჭანება არ არის. ცა ვარსკვლავებით მოჭედილი საიდუმლო ციმციმით დაჰყურებს ბეთლემის მოტვლეპილ-მოხრიოკებულ არემარეს. მილეული მთვარე ძლივს ანათებს. ირგვლივ სიჩუმეა. მხოლოდ იერუსალიმის გზისკენ რაღაც ჩუმი ჩოჩქოლი და ხმაურობა ისმის.

— სუთ, ჩუმად, ნუ ხმაურობთ! სანამ ბრძანება არ მიიღოთ, თავდაჭერით იყავით, თორემ ხალხი დაფრთხება! ასისთავებო, მომიახლოვდით! — ხმადაბლა ბრძანებას სცემდა ვიღაცა. ეს იყო ეროდი მეფის ჯაშუშთ უსტაბაში ოსია.

— გახლავარ, ბატონო ოსია უსტაბაშო! — მიუგეს ასისთავებმა.

— ერთხელ კიდევ გაგიმეორებთ მეფისა ეროდის ბრძანებას ჩვენ წინ ბეთლემია, აქ უნდა იყოს ახლად დაბადებული, ურიათა მეფედ დასახული, მოსისხლე მტერი მეფის ეროდის სახლისა. რომელ სახლში ცხოვრობს, არავინ იცის, ამიტომ მეფემ მღვდელმთავრის მოწონებით გადასწყვიტა, რაც ბავშვია ბეთლემში და მის არემარეში თხუთმეტ უტევანის* სივრცეზე, ყველა ამოსწყვიტოს იმ მოსაზრებით, რომ ურიათა მეფედ დასახულიც შიგ ჩაიღუპოს. მეფე იმედოვნებს, რომ მისი ძლევამოსილი ჯარი პირნალთად შეასრულებს ამ დავალებას და ღირსეულად დაიმსახურებს იმ მოწყალებას, რაც მეფემ კეთილინება და ბრძანა: ვინც ოცი ბავშვის თავს წარმოადგენს, ასისთაობას მივცემო, ისე კი თითო თავში ათ-ათ დრაკანს მიიღებენო. თქვენ კი, ასისთავებო, ათას-ათასი დრაკანი საჩუქარი მოგეცემათ.

— მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ დიდებული მეფე ეროდი! — მიუგეს ასისთავებმა.

— მაშ მზად იყავით. თქვენ თქვენ ხელქვეითებს შესაფერისი დარიგება მიეცით. მზვერავი ჯაშუში უკვე გავგზავნე. როცა ის ნიშანს მოგვცემს, მაშინ თქვენ იცით!

აი გაისმა საყვირის ხმა. ერთი წამიც და ბეთლემის უსწორ-

* უტევანი—ზომაა, ას საჟენამდე.

მასწორო ქუჩები გრძელტარიანი შუბებით შეიარაღებულ ჯარისკაცებით გაივსო. მეჩირაღდნეებმა კვარებს მოუკიდეს და გზას იმით ინათებდნენ. ატყდა გულის შემზარავი წივილ-კივილი ქალებისა. მამაკაცებიც არა ნაკლებ ხმაურობდნენ. გამგელებული ჯარისკაცები იჭრებოდნენ სახლებში, ეძებდნენ ბავშვებს. თუ უპოვნიდნენ, დედებს უბოდიშოდ სტაცებდნენ ხელიდან, თავს ჭრიდნენ და პარკში იდებდნენ, ტანს იქვე აგდებდნენ და სხვაგან გარბოდნენ მათი ფოლადის შუბის წვერი მოურიდებლად სინჯავდა სახლის ყოველ კუნჭულს, ანგრევდა და ამტვრევდა, რაც მოხვდებოდა. ბევრი ძებნაც საჭირო არ იყო. მოულოდნელი ალიაქოთით ძილგატეხილი ბავშვები საშინლად ტიროდნენ და თავიანთ არსებობას ადვილად ამცნევდნენ ჯარისკაცებს.

ქალაქის შუაგულში მოთავსებული იყო ოსია, ჯაშუშთ უსტაბაში და თადარიგს იძლეოდა.

— რაო? კარს არ აღებენო? ხომ არ მეხუმრები! რა დროს ბოდიშია! შეამტვრიეთ კარები! შეამტვრიეთ-მეთქი! რას ჰქვიან, შეამტვრიეთ, ერთ წამს თუ ვინმე გაგიძალიანდეთ, სახლი ცეცხლს მიეცით! აბა, დატრიალდით. გათენებამდის სულ უნდა მოვრჩეთ. დღის სინათლემ აქ ერთი ჯარისკაციც არ უნდა იხილოს. თავები აქვე უნდა დაითვალოს და მერე გადაიყაროს. მაშ ჩქარა! — ყვიროდა ოსია ჯაშუშთ უსტაბაში.

წივილ-კივილი ცამდე ადიოდა. ზოგი ქალი სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობას უწევდა ჯარისკაცსა და შვილთან ერთად მჭრელი შუბით განგმირული გმირულად მიწაზე ეცემოდა. ზოგი ჭკუაზე შეშლილი, პერანგის ამარა სიცილ-ხარხარით გარბოდა. ზოგი სასოწარკვეთილი სახით ზევით თვალებაპყრობილი, ცისკენ ხელს იშვერდა და შველას იქიდან ითხოვდა. მაგრამ ამაო იყო ყოველი. უბედური ბეთლემი გაეწირა მიწასაც და ცასაც. წივილ-კივილი და ცეცხლის ალი თანდათან მატულობდა, ვარსკვლავები კი ჩვეულებრივ უდარდელად ციმციმებდნენ.

— ბატონო უსტაბაშო! ცხრამეტი თავი მაქვს, არ იქნა მეოცე ვერ ვიშოვნე, — მწუხარებით მოახსენა ერთმა ჯარისკაცმა.

— ეცადე, როგორმე იშოვნო, ისე ასისთავობას ვერ მიიღებ.

— დასწყევლა ღმერთმა... ღმერთო! ერთი თავი, კიდევ ერთი და ასისთავი შეეიქნები! — ბუტბუტებდა ჯარისკაცი და შუბმოღერებული კიდევ ერთ უმანკო მსხვერპლს ეძებდა.

— ეს მეექვსე, ეს მეექვსე, ბატონო ოსია! — აღტაცებით იძახდა მეორე ჯარისკაცი.

— სამოც დრაკანს მიიღებ!

— ღმერთო, ოთხსაც რომ მიუმატებდე, ეს დრაკანს მომცემენ, — ამბობდა ჯარისკაცი და ისიც საშოვრისაკენ გარბოდა.

— რომ მოვკვდე არა სჯობია? ეს რა მომივიდა, ბატონო უსტაბაშო! — მოახსენა მაღალ-მაღალმა ჯარისკაცმა და ცარიელ პარკზე მიუთითა.

— ეს მართლა რა დაგმართნია? ჰა, ზორობაბელ, შენა? ამას არ მოველოდი.

— დამმართნია რომელია, ბარემ მომკლას ვინმემ, ის მირჩევნია... ეშმაკს ავედევნე, ვიღაც თავმოძულებულს და ხელცარიელი კი დავრჩი. — სულის ძლივ მობრუნებით ამბობდა ჯარისკაცი.

— ეშმაკსაო? როგორ თუ აედევნე?

— ეჰ, ნეტავ ყელი გამომჭრას ვინმემ! მე ელკანა ასისთავის რაზმში ვერიე. ჩვენი რაზმი პირველად აღმოსავლეთისაკენ დაეცა ქალაქს. მე განაპირა სახლის საიერიშოდ მოვემზადე. საუბედუროდ, რაღაც მაგარს, არ ვიცი ქვა იყო თუ ბელტი, ფეხი წავკარ და წავიფორხილე. ამ დროს ვიღამაც ქარივით გვერდით გამექროლა. მე ერთ წუთს ვინმე ჩვენგანი მეგონა და ბევრი ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ როცა ბავშვის ტირილი შემომესმა, მივხვდი თუ რაში იყო საქმე და დაუძახე ბიჭებს. სამი კაცი გამოვეკიდეთ. ჩვენ წინ თავგანწირვით მირბოდა ვიღაც ახალგაზრდა ახოვანი დედაკაცი და თან გულში ჩახუტულ მტირალ ბავშვს ეფერებოდა. ჩემო შვილო, ჩემო ნუგეშო, ჩემო პაწიავ, ეს რა რისხვა მოგვევლინა, შენ თავს უსიკვდილოდ არავის არ დავანებებო...

— მერე ვერ დაიჭირეთ?

— უბედურებაც მაგაშია და! კედრონის გაღმელი აბრამა იქვე ახლო კლდეს დაეტაკა და მგონი ცალი ფეხი კიდეც დაიშავა. მე და თარა გაალადელმა ორი უტევანი ვსდიეთ, მაგრამ შუბის სიახლოვეს ვერ დავეწიეთ. მირბოდა კი არა, მიფრინავდა ის ოჯახქორი. თარაც დაიღალა და იქვე ჩაჯდა. მე კიდევ ვსდიე, ერთი უტევანი და მეტი ვერ შევძელ. რკინის ჩაჩქანით ტანზე, ჩაფხუტით თავზე, შუბი ხელში, მახვილით წელზე სამი უტევანი მაინც გავირბინე. მეც იქვე ჩავჯექ და მთელი საათი სული ძლივს მოვიბრუნე. ისე მოვიქანცე, რომ იქვე გავთავდებოდი, მეგონა. დედაკაცი კი ბავშვიანად გამექცა და ხელცარიელი კი დავრჩი. თუ ასისთაობას არა, ათ-თორმეტ თავს მაინც მოვაგროვებდი. ჩემი მკლავის იმედი კი

მაქვს. ღმერთო, მომკალი, ეს რა მომივიდა! — მწუხარებით დაუ-მატა მან.

— იცი, რა გითხრა, ზორობაბელ, შენ ამ ამბავს ნუ გაახმაურებ და აი ასი დრაკანი შენი საჩუქარი იყოს.—ჩუმად უთხრა ჯარისკაცს ჯაშუშთა უსტაბაშმა.

გათენდა. უმანკო სისხლით მოსვრილი, გაკერანებული და მინ-გრეულ-მონგრეული ბეთლემი აუწერელ სურათს წარმოადგენდა. ჯარისკაცები არსადა ჩანდნენ.

IV

ძვირფას ძოწეულით მოსილი, მაგრამ საშინლად დაღვრემილი იჯდა მეფე იროდი თავის ტახტზე. მის წინ იდგა გაფითრებული და აკანკალებული ჯაშუშთ უსტაბაში ოსია.

— მაშ ასე ასრულებთ ჩემს ბრძანებას? — გულისწყრომით წარმოთქვა მეფემ: — ერთი გაიგონე, აბა რასა მწერენ მოგვები: პატივისცემისათვის მადლობას გწირავთ, ვიხილეთ მეუფე ურია-თა. უფალმა ყოველივე ხიფათს გადაარჩინაო. ეს რა არის, თუ არ ჩემი მასხარად აგდება, თუ არ ჩემი პირში ჩაფურთხება?!. თქვენ კი, თქვენ არამზადებო, კვეხნით ყურები გამომიჭედეთ: პირ-ნათლად შევასრულეთ თქვენი ბრძანებაო!

— შევასრულეთ, მზის სადარო! ხუთი ათასი თავი...

— მაგ ლათაიებს მაინც ნუღა მაგონებ! — მრისხანედ გააწყვეტინა მეფემ. — რად მინდა ხუთი ათასი ბავშვის თავი, მე ერთის თავი მინდოდა! ხუთი ათასი თავი შენა გქონდეს! დიდი გმირობა კი გამოიჩინეთ, თქვენმა მზემ! ბავშვებს მახვილით თავები წარკვეთეთ. ვითომ ბაბილონის კედლები დაგინგრევიათ, ან ტვიროსი და იდონსი აგიღიათ!

— ცდა არ დაგვიკლია, დიდო ხელმწიფევ! ის მხოლოდ ერთი დედაკაცი გაიქცა ბავშვიან... — ვერ დაამთავრა ოსიამ.

— რაო?! — ისე მძლავრად დაიჭექა იროდმ, რომ მთელი სა-სახლე ააზანზარა. — როგორ? ერთი გაიქცაო. განა ურიათა ოცნება რომ გაღვივდეს, ერთი მუგუზალი არ ეყოფა? ხუთი ათასი მეფის მეტოქე ვის გაუგონია?.. ერთიო? — ყვიროდა მეფე. — ჩემი ხაზი-ნის ნახევარი მარტო ჯაშუშებს უნდება და ეს საქმეც რიგიანად

ᲯᲔᲠ ᲛᲝᲛᲘᲬᲧᲕᲘᲐ. ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲨᲔᲜᲖᲔᲓᲐᲪ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲘ ᲛᲘᲩᲜᲔᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲧᲠᲘ ᲯᲐᲕᲠᲡ! — ᲑᲠᲘᲜᲬᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲘᲮᲠᲘᲐᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲦᲝᲜᲔᲛᲘᲚᲔᲣᲚᲛᲘᲗᲮᲣᲪᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲛᲘᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚ ᲝᲥᲠᲝᲡᲢᲐᲠᲘᲐᲜ ᲨᲣᲑᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲐᲢᲐᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲑᲠᲐᲖᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲡᲙᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲔ ᲛᲙᲒᲓᲐᲠᲘ ᲓᲔᲪᲐ.



ქრისტე აღსდგა!

I

— ყრება გახსნილია, პატიოსანნო და ღვთივშემოსილნო რაბუნნო, — ყრუდ წარმოთქვა თავმჯდომარემ, მღვდელმთავარმა ანნამ, თვალი მიმოაელო ვეებერთელა, გრძელ, ძვირფას ხალიჩაგადაფენილ ტახტს, რომელზედაც ორ რიგად ფეხმოკეცით ჩამწკრივებულიყო სამოცამდე მწიგნობარ-ფარისეველი, და დინჯად გააგრძელა: — გუშინწინ მომხდარ შემაძრწუნებელ საქმეს, მე ვგონებ, ბევრი განმარტება არ ესაჭიროება. წმინდა სოლომონის სტოვაში მოხდა ისრაილთა ცხოვრებაში უმაგალითო საქციელი. ვიღაც მაწანწალა რაბუნმა, იიშუ ნაზარეველმა, შოლტით ხელში მღვდელ-ლევიტელთა, შეურაცხყო წმინდა ადგილი, აშკარად დაჰგმო და აბუჩად აიგდო წმინდა დაწესებულება — მსხვერპლის შეწირვა, გაჰკიცხა და ფეხქვეშ გათელა ის, რითაც ამაყობს ისრაილი, რასაც შურის თვალით უყურებენ ავგურნი რომისანი და ქურუმნი მეგვიპტელნი. გალატაკებულნი შორიდან პირ ნერწყვმორეულნი ჯავრით სკდებიან. მაგრამ, წმინდანო რაბუნნო, თავი და თავი უბედურება ის არის, რომ გუშინწინდელმა ამბავმა გამოააშკარავა მეტად სამწუხარო მოვლენა. ნათლად დავინახეთ, რომ იიშუს წელს უმაგრებდნენ ძენი ისრაილისანი, სალოცავად მოსულნი იერუსალიმს. ხომ დავინახეთ, რომ შთამომავალნი იმ ისრაილისა, რომელთაც გამოთქვეს: „მდინარეთა ზედა ბაბილონელთასა მუნ ვისხედით ჩვენ, ოდეს მოგიხსენეთ შენ, სიონო“, სიონისავე ეზოში შეიკრნენ და მსხვერპლის მწირველს მღვდელ-ლევიტელთ ჯოხებით დაერივნენ. თუ ასე გაგრძელდა, ე. ი. თუ იიშუ ნაზარეველმა ძველებურად თავისუფლად იპარპაშა, ადვილი საქმეა სამწუხარო მომავლის გათვალისწინება: ორ გაივლის ბევრი ხანი, რომ ხამ-

სხვერპლო ჩაჰქრება, ტაძრის კარები გამოიკეტება და გაღატაკებული მღვდელ-ლევიტელნი დაბა-სოფლებში გაიფანტებიან. გულდასმით გააჩრიეთ ეს საქმე, წმინდანო რაბუნნო, ძლიერი საფრთხე წინააღლოებულია...

ამ წინადადებამ ერთი ალიაქოთი ასტეხა. აგრიალდნენ ყველანი. პირველ ხუთ-ექვს წუთს კაცი ვერაფერს გაიგებდა. ყველ. ცდილობდა სხვებზე მეტად დაეყვირა.

—ახლაც მტკივა, შოლტი რომ დამარტყა,—იძახდა ერთი მღვდელ. და ბეჭზე ხელს ისვამდა.

— მთელი სარჩო-საბადებელი შუაზე გამეყო. მე, როგორც მოგეხსენებათ, საზარაფო მქონდა, იიშუმ ფული დამიბნია, — ჩვენსოდა მეორე.

— უნდა მოვიშოროთ, უნდა მოვიშოროთ! ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან ის! — გაჰკიოდა ერთი წითელწვერა რაბუნი.

როცა ყვირილით გული იჯერეს, თანდათან დაწყნარდნენ და ბოცა, ასე თუ ისე, სიჩუმე ჩამოვარდა, ერთმა შუახნის ლამაზმა და, ეტყობოდა, ნაპატიებმა კაცმა ხმამაღლა წამოიძახა:

— წმინდანო რაბუნნო, მომისმინეთ! აჩქარება და აპილპილება ერ შვენის ძეთა ისრაილისათა. ბევრია ნაკლულევანება ჩვენ ცხოვრებაში და თუ მოსალოდნელია სიონის ეზოში სამსხვერპლო ჩაჰქრეს, ამის მიზეზი მარტო იიშუ ნაზარეველში არ უნდა ვეძიოთ. სტოვას ამაგრებს არა თლილი ფიქალი, არამედ მტკიცე რწმენა და ამ რწმენის ალი თავდაპირველად უნდა ღუოდეს იმის გულში. ვინც ბუნებრივი ალით ხელში სტოვას გუნდრუკს უკმევს...

— თქვი ბარეღამ, შე დალოცვილო, იიშუ ნაზარეველის მოწაფე ვარ-თქო და გათავდება! — მიაძახეს რაბუნებმა აქეთ-იქით.

— მომითმინეთ, მამანო, ჯერ მათქმევინეთ ბოლომდე...

— რაღა მოთმენა გინდა! ვიცით რასაც იტყვი: ჩვენ რაბუნები ურწმუნონი ვართ, იიშუ ნაზარეველი და მისი მოწაფენი და ნათ შორის შენ და თითო-ოროლა წარჩინებულთაგანიც, მორწმუნენი ბართ... ასე არ არის განა? — კვლავ იგრიალეს რაბუნებმა.

— მომითმინეთ! — დაიყვირა ორატორმა. — ამ შესაკრებელში თითო-ოროლას გარდა ყველანი რაბუნები ხართ. თუ ასე სბვახ ორაფერი ათქმევინეთ, რა გამოვა! ჯერ მომისმინეთ.

— მოვისმინეთ, გავიგეთ... მადლობას მოგახსენებთ, — დაცინვით ამბობდა ერთი მღვდელი.

— მაშ, მე აქ ადგილი არა მქონია! — წყენით წარმოთქვა ორატორმა და შესაკრებელიდან გავიდა.

ეს იყო იოსებ არიმათიელი, მშვენიერი.

— სხვას რა უნდა დავაბრალოთ, როცა ჩვენ თვითონ ჩვენივე ხელით საფლავს ვითხრით! — ისევ ყრუდ წარმოთქვა მღვდელმთავარმა და მიმავალ იოსებს ზიზღით სავსე თვალები გააყოლა.

კვლავ ატყდა ალიაქოთი და გაუგებარი ყვირილ-ყიჟინი. ჯგუფ-ჯგუფადაც მოლაპარაკება გამართეს და ბოლოს თავიანთი ხაერთო მოსაზრება მღვდელმთავარს მოახსენეს: რა ფასადაც დაგვიჯდეს, იიშუ ნაზარეველი წუთისოფელს უნდა გამოვასალმოთ, თორემ ჩვენი ცხოვრება შეუძლებელიაო.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — თქვა მღვდელმთავარმა. — სჯობია ერთი კაცი მოკვდეს, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს. მაგრამ ახლა მეორე საქმეა: როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს... არც ისე ადვილია, როგორც კაცს ერთის შეხედვით ეგონება. დაბალ, ბრიყვ ხალხის ერთი ნაწილი იიშუს მომხრეა, რაბუნს ეძახის და უკან დასდევს. აშკარად დავაპატიმროთ, ხალხი აგვიჯანყდება. რომაელებს საბაბს მივცემთ, ერთხელ კიდევ ავარჯიშონ ცხენები წმინდა სტოვას ფლაქანზე. ამიტომ იმდენი უნდა ვეცადნეთ, როგორმე იიშუ ჩუმად ხელში ჩავიგდოთ და მერე საშიში აღარ იქნება. მისი მომხრენი ისე დაიფანტებიან, როგორც დამასკელი ცხვრები.

— ვენაცვალე შენს ჭკუას და მოსაზრებას, — მიაძახა ერთმა რაბუნმა.

— ესეც არა კმარა, — ისევ საქმიანი კილოთი განაგრძო მღვდელმთავარმა. — ჩვენ მას წმინდა მოშეს სჯულით გავასამართლებთ, დაუმტკიცებთ, რომ შაბათს არ იცავს, ღვთისმგმობელია, მაგრამ კაცი რომ სიკვდილით დაისაჯოს, რომაელთა პრეტორის თანხმობაა საჭირო და რომაელებისთვის კი ეს დანაშაული კაცის მოსაკლავად არა კმარა. საჭიროა დავუმტკიცოთ, რომ იიშუ ნაზარეველი კეისრის წინააღმდეგია, ხალხს აჯანყებს და ხარკის გადახდაზე უარს ამბობს.

— ვენაცვალე შენს ჭკუას, იცოცხლე, წმინდაო მამაო! — იძახდნენ აღტაცებული რაბუნები.

როცა კრება იშლებოდა, ერთი რაბუნი მივიდა მღვდელმთავართან და ჩუმად მოახსენა:

— წმინდაო მამაო, ჩვენს საქმეს უეჭველია თვით იეღოვა უმართავს ხელს... მე ვიცნობ ერთს იიშუს მოწაფეთაგანს. წუხელიც ჩემთან იყო. როგორც ვატყობ, იიშუსა და მის მოწაფეებთან ცოტა რაღაც უთანხმოება მოსვლია, ფული დაგვჭირდება, თორემ ჩემი

ხათრი დიდი აქვს და მიგვასწავლის, თუ სად იმალება იიშუ ნაზარეველი.

— ეცადე, რაბუნო, ეცადე, ფული რამდენიც გინდა, თუგინდ ხალაროს ნახევარი წაიღე, — მიუგო მღვდელმთავარმა.

II

ბინდმა მოიცვა იერუსალიმი. მუდამ ამწვანებული ზეთისხილის მთა შავად ატუზულიყო დასავლეთის მხრივ. ნელი სიო ჰაერის ტალღას ტალღაზე აგორებდა და წალკოტ ველ-მინდვრებს ზღვის ამბავს შხუილით ეუბნებოდა. ბეთანიისკენ მიმავალი მიკიბულ-მოკიბული გზა, საითკენაც ამ ბრიოდე დღის წინათ ხალხი მოზღვავდა და კიცვსა ზედა მჯდომარე რაბი იიშუ „ოსანას“ სიმღერით ჩამოატარა, ახლა გაცარიელებულიყო.

მაგრამ, აი, გამოჩნდა ვიღაც მგზავრი. ყავარჯენს ნელ-ნელა უხაკუნებდა ქვებს და ბნელში სწორ გზას ეძებდა, რომ ან ქვისათვის ფეხი არ წამოეკრა, ან ციცაბოდან არ გადაჩეხილიყო. მგზავრი გაუსწორდა იმ ადგილს, საიდანაც იერუსალიმი ხელისგულივით ჩანს. ჰაერში მქრალად იხატებოდა ტაძრის მაღალი ზემო სართული. აქა-იქ მდიდართა სახლებიდან ლამპარის სინათლეც გამოსჭვრეტდა. მოახლოვებულ იყო პასექი — დღესასწაული ურიათა და თუმცა ძილის დრო იყო, მაგრამ სადღესასწაულოდ მზადების გამო ბევრგან ფაცაფუცი და ხმაურობა მოისმოდა.

— ოჰ! — წამოიძახა მგზავრმა, — ძლივს მოვაღწიე. აი ორიოდე უტევანი და დიდებული წალკოტიც. სული მოვითქვა მაინც, თორემ ცალკე შიმშილით და ცალკე სულიერი შეწუხებით ლამის არის გადვირიო. განა ასეთი შეურაცხყოფის ღირსი ვიყავი მე? რა დავაშავე, რა დიდი ცოდო ჩავიდინე! დასაძრახი და ყბად ასაღები რა ვთქვი? ჩინებული სადილი გაგვიმართა იმ კაცმა, სიმონ ფარისეველმა, მაგრამ სადაც ლაზარეს დები მართა და მარიკა ჩაერევიან, იქ მშვიდობით სადილი კი არა, საუზმეც არ გათავდება! მოწერწეტდა მარიკა ალაბასტრით ხელში პურის ჭამის წინ და ინახით მჯდომ რაბუნს იიშუს ფეხზე ძვირფასი ნელსაცხებელი დაასხა. ვერ წარმომიდგენია, რა შუაში იყო, რა კიდეში იყო ასეთი უადგილო მოქმედება! მე სწორედ გავიკვირე. რად წაწყმიდეთ ამდენი ნელსაცხებელი-მეთქი. ეს დიდ ფულად გაიყიდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ რაბი იიშუც ამ აზრისა იქნებოდა. როგორც არა ერთხელ მსმენია მისგან, მაგრამ ჩემდა გასაოცებლად

ამ შემთხვევაში სულ სხვა პასუხი მივიღე იმისაგან: „რისთვის შეტ-
ბასა შეამთხვევ დედაკაცსა მას, რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემ-
და მიმართ“. თავდაპირველად ყველანი მხარს მე მიჭერდნენ. ი-
ორპირა სიმონ-პეტრე დამეღრიჯა კიდეც... აბა, კაცო, ერთი უყურ-
და, რა ნელსაცხებელი დაღუპესო და მარიკასკენაც საორქოფოდ
თვალები გადააბრიალა. მაგრამ როცა რაბუნისაგან სხვანაირი ხი-
ტყვა გაიგონეს, ყველანი მაშინვე იმას მიემხრნენ. პეტრემაც
კილო შეიცვალა და უტიფრად მომაყოლა: შენ ხომ ჩვენი მეგვა-
დრუცე ხარ, ფული ძლიერ გიყვარს და მუდამ მაგაზე ფიქრობ.
ღმერთო ჩემო, რა გავიგონე! ღმერთო მომკალი! ჩემ გვადრუცა-
არა ერთხელ გადურჩენია ღატაკი გალილიელნი შიმშილით სულის
ამოხდომისაგან და ახლა ასე? თვით ის სიმონ-პეტრე არა ბრძან-
დებოდა, რომ იორდანის გაღმა მხარეს ერთხელ ძლიერ მოშივდ-
და რაბუნი საყვედურებით აავსო: სანამ შენ ისრაელების მეფ-
გახდები და მე ათასისთაობას მომცემ, ჩვენ შიმშილით დავიხოცე-
ბით და მერე რა ჯანდაბათ მინდა რამეო. სხვებმაც ყურები ჩამო-
ყარეს. თვით რაბუნიც არ იყო კარგ გუნებაზე. აი მაშინ ჩემ-
ყბად აღებულმა გვადრუცმა დაიხსნა ისინი. გვადრუცში ქანქარ-
აღმოჩნდა. წავედი დაბაში, პური ვიყიდე და თავჩაქინდრული აბ-
ხანაგები ავახმაურე. პეტრე პურის დანახვაზე ბებერი ყოჩივით
კიშმიშზე დგებოდა, გენესარეთულ ლავაშებს ტუჩების ცმაკუნით
ახრამუნებდა და აღტაცებული, მელოტ თავზე ხელებს იცაცუნებ-
და. მაშინ არ იყო დასაცინი არც იუდა და არც მისი გვადრუცი
ახლა კი გამკიცხეს, ქალებმა და კაცებმა ერთად დამცინეს, ანგა-
რებისმოყვარე ხარ, ნელსაცხებელი შეგშურდაო. აბა იქ რა გბ-
მაჩერებდა! ჩუმად გამოვიპარე და აქეთ წამოვედი. ახლ იყოს...
ამ შეურაცხყოფას არავის არ შევარჩენ. მე იუდა არ ვიქნები, თ
იმათ ჭკუა არ ვასწავლე. ეტყობა, ისინი ჯერ არ მიცნობენ. მე გ-
ლილეველი ბრიყვი კი არა ვარ, კარიოტელი ვარ... მაგრამ ჯერ
ერთი დავისვენო და მერე რაბინ იოსიასთან შევივლი და დაენაყრ-
ლები, თორემ მეტი აღარ შემიძლია. — ბუტბუტებდა მგზავრი დ-
წალკოტისაკენ მიეჩქარებოდა.

III

ბოვიდა პასექის დღესასწაული. მღვდელმთავარ ანნას ხახაბ-
ლეში გრძელი სუფრა იყო გაშლილი. ჩინებული ვახშამი ჭამეთ-
თათ. ინახით ისხდნენ ანნას თანამოაზრე რაბუნნი და ფარისეველნ.

ევიპროსის ღვინო თავზე სასხამი ჰქონდათ. სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა. ყველანი ამკობდნენ და ადიდებდნენ ანნას შორსმჭვრეტელობას, გამოცდილებას და ჭკუას. მართლაც ბან იმ დღეებში ფრიად ღირსშესანიშნავი საქმე მოაგვარა.

როგორც კრებაზე გადაწყდა, ისე ჩუმად, ღამე დააპატიჭრა იიშუ ბაზარეველი; იმ ღამესვე ხელდახელ შეჰკრიბა სინედრიონის წევრები და იიშუ გაასამართლა. მეორე დილით, ადრე, რომის პრეტორიც აიძულა განაჩენზე ხელი მოეწერა და შუადღისას იიშუ ჯვარზე გააკრა.

ამნაირად ამ გამოცდილმა კაცმა ერთი დაკვრით თავიდან მოიშორა ხაშიში მტერი იერუსალიმის ძირგამომპალ ტაძრისა და ეჭვამეფებულ მღვდელ-ლევიტელთა უბოდიშო ბატონობისა.

იერუსალიმის ტაძარი წარმოადგენდა უძირო ორმოს, სადაც ბუდობდნენ მღვდელ-ლევიტელნი. მოდიოდა ებრაელი ხალხი ყოველი კუთხიდან, მოჰყავდა ცხვარი და ძროხა, მოჰქონდა ღვინო და ფული და ჰყრიდა ამ ორმოში იმ იმედით, რომ იეღოვა, ღმერთი ისრაილისა, ცოდვათა პატიებას მომმადლებს და სასუფეველს დამიმკვიდრებსო. მღვდელ-ლევიტელნი კი გალობა-ღიღინით თლიდნენ მსუქან ბეჭებს და პირს იმტკბარუნებდნენ; სრულიად არა აჩუამდათ არც სასუფეველი და არც იეღოვა; სასაცილოდაც არა ყოფნიდათ ბრიყვი ხალხის ეგეთი მოქმედება. მაგრამ აი მათ ჭირად გაჩნდა რაბი იიშუ, ძე იოსებისა ნაზარეთით, მან აშკარად გაილაშქრა მუქთამჭამელთა წინააღმდეგ. მისმა გულწრფელმა ქადაგებამ შეარყია ხალხის გაყინულ-მილულებული გონება. ჩაგრულისა და დამონებული ხალხის თავშიაც შეინძრა ტვინის ძაფები. იიშუმ თამამად აღიარა, რომ თხის დაკვლა კი არ აცხოვნებს კაცს და არც იერუსალიმის ტაძრის სქელი კედლები; რომ ფიქალ ქვაზ თავისთავად არავითარი მადლი არა აქვს, — მადლი აქვს მხოლოდ ჯულს, წრფელს და წმინდა სიყვარულისათვის ატოკებულსაო...

ახალი მოძღვრება ელვასავით მოედო ებრაელთა ქვეყანას. იიშუს მიმდევართა რიცხვმა დღითი დღე იმატა. მართლაც და იერუსალიმის ტაძარს და მღვდელ-ლევიტელთა კასტას იიშუს მოძღვრებისაგან საშინელი საფრთხე მოელოდა.

და აი, ეს საფრთხე, ერთი დაკვრით, ერთი დღისა და ღამის განმავლობაში მოსპო შეუპოვარმა მღვდელმთავარმა, და ახლა პაპექის დღეს გამარჯვებას დღესასწაულობდა.

ხადღესასწაულო არ იყო თუ?

— აბ შემიძლია, ვერ მომითმენია, ერთხელ კიდევ არ დავლიო

ამ თასით, ამ რომიდან მოტანილი ძვირფასი თასით ეს კვიპროსის ვაზის ლალისფერი წვენი და ჩემი უნიკო პირით ერთხელ კიდევ მადლობა არ გადაუხადო წმინდა მამას, მღვდელმთავარ ანნას! — წარმოთქვა თამადამ—რაბუნმა მატათამ და სავსე თასი ხელში აიღო.

— ააა-მიიინ! — დაიგრიალეს სხვებმა.

— აღსდეგინ ღმერთი და განიბნიეთ ყოველნი მტერნი მისნი, — დაუკრეს ფსალმუნი მემუსიკეთა.

— ააა-მიიინ! — იძახდნენ შეზარხოშებული სტუმრები.

ღმერთმან აბრაამისამან, ისააკისამან და იაკობისამან კვლავ და კვლავ მრავალჟამიერ ჰყოს ძვირფასი სიცოცხლე შენი. — განაგრძო თამადამ, — სანამ ნაძვნი ლიბანისანი არ დასჭკნებიან და ტალღანი იორდანისანი უკუ არ იქცევიან; იყოსმცა ჯანმრთელი მარჯვენა შენი. ვიდრემდის სპეტაკი მთები არარატისა ბაბილონის ვაკეს არ დათანასწორებია და ჯავრით მოდუდუნე — ისრაელის ძეთათვის საზიზღარი — ეფრატის მყრალი ძირი არ აღმოჩენილა. არხოისცა ქარმან თეთრი თმა-წვერი შენი!

„მთანი ლიბანისანი, გვერდნი ჩრდილოსანნი, საყდარი მეუფისა დიდისა“, — მწყობრად შეაყოლა მგალობელთა გუნდმა.

— ააა-მიიინ! — გრიალებდნენ სტუმრები.

— მადლობელი ვარ! — ჩვეულებრივად ცივად და მტკიცედ წარმოთქვა მღვდელმთავარმა. — მეც მიხარია, რომ საქმე კეთილად დავაბოლოვეთ, მხოლოდ ნიკოდიმოსის და იოსების საქციელი ძლიერ მაღონებს... ეჰ! ნიკოდიმოსი და იოსები ღვედივით გამოქნილნი არიან. ჯაშუშებმა ამბავი მომიტანეს, მართლაც მათ თავის ხელით ჩამოუხსნიათ ჯვრიდან იიშუს გვამი.

— შენ ნუ შეწუხდები, წმინდაო მამაო, იმათ ჩვენ ვნახავთ. იმაღამ რომ აქ არ გეახლნენ, ეს ცხადი საბუთია იმისა, რომ ისინი იიშუს მიმდევარნი არიან. — კრძალვით მიუგო თამადამ. — ახლა, წმინდაო მამაო, მხიარულების დროა, მაგისთანა მოსაწყენი საქმეგონებიდან გადვიგდოთ, თქვენ გვყავდეთ ცოცხალი და ვისი უნდა გვეშინოდეს! თქვენ, ეი, დაგეძინათ!—დაუქნია ხელი თამადამ მემუსიკეთ.

„ცანი უთხრობენ დიდებისა ღვთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მიუთხრობს სამყარო“.

იგრიალა მუსიკამ.

„დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა“, — შეაწყო მგალობელთა გუნდმაც.

— შენ, რომელმან სვეტი გაუმაგრე სიონს; შენ, რომელმან კვლავ დიდად აალაპლაპე უკვე ჩასანელებლად გამზადებული სამ-

სხვერპლო; შენ, რომელმან სძლიე საშიში მტერი, რომლის წინაშე ეღონო იქმნენ მეფეთმეტყველებანი და მოხერხებანი ფარისეველ-სადუკეველთანი; შენ, რომელმან ჯვარს აცვი იიშუ, ჩვენი დაუძინებელი მტერი, როგორ არ გშვენის ქება-დიდება! აბა, კაცო! — ხმას აუმაღლა თამადამ და გადიხარხარა: — როგორ იყო, რომ იიშუ ჯვარზე მიკრული ამბობდა: „ილი, ილი, ლამა... საბახთანი", ჰა, ჰა, ჰა, ჰა! კაცო, ილიას ეძახდა.

— ჰა, ჰა, ჰა, — ხითხითებდნენ სხვებიც, — რატომ ელისეს და ისაიასაც არ დაუძახა, რომ მოშველებოდნენ...

— აბა, კაცო, აბა! ქალებიც რომ ამოდიოდნენ და ტიროდნენ... ერთი ისეთი ერია იმათში, რომ... სჯულის მადლმა... ჰა, ჰა, ჰა...

— ის ტუტუცი კაციც, ფული რომ უკან მოიტანა და ტაძარში გააბნია: მე შევცდი, არ მეგონა, რომ მოჰკლავდით, თორემ მოძღვარს როგორ გავცემდიო. მაშ თავზე ხელს გადუსვამდით, არა?! ჰა, ჰა, ჰა... მე მეგონა ცოტად დასჯიდითო, ჰა, ჰა, ჰა! — ხითხითებდნენ ყველანი.

— პილატეც ჩქარა დავაშინეთ. ჯერ იხაზებოდა, ახალთაობას კაცობდა, მაგრამ როცა კეისარი გავახსენეთ, გწყალობდეს იეღოვა, იმან ყუდი ამოიძუა და საჩქაროდ განაჩენს ხელი მოაწერა!—დაიძახა ერთმა.

— ოი, დედავ, რამდენი ვიცინე? — მუცელზე ცალი ხელი დაედო და თქვა თამადამ. მეორე ხელით თასი მოიმარჯვა და მღვდელმთავრის ქება-დიდება უნდა განეგრძო. ამ დროს დარბაზში მღვდელმთავრის გაფითრებული მსახური შემოიჭრა.

— წმინდაო მამაო, წმინდაო მამაო! — სულწასულად მიმართა მღვდელმთავარს, — აი ეს არის, ჩვენ ბიერ დარაჯად დაყენებული მხედრები მოიჭრნენ და ამბობდნენ: იიშუ, ქრისტედ წოდებული, მკვდრეთით აღსდგაო!..

— რაო? — დაიძახა მღვდელმთავარმა და გულშეღონებული მუთაქაზე მიესვენა.

—აა... — უაზროდ წარმოთქვა თამადამაც. სავსე თასი ხელიდან გაუვარდა და იმის წინ ვერცხლის ხონჩაზე დაგებული, თოვლივით თეთრი საპასექო ლავაში წითლად შეიღება.

პროტექცია

— პირველი დარეკე! დაღმართ-ფერდის სადგურიდან ბატარეელი გამოვიდა! — ბრძანება გასცა სადგურის უფროსის თანაშემწემ ივანემ და გაშლილ დავთრებით გადაფენილ მაგიდას მოეჯდა.— ე...ეხ, დალახვრა ღმერთმა! — ფიქრობდა ივანე და თან დახეულ უჯრედებში სხვადასხვა რიცხვებს და ერთსა და იმავე საყოველდღეო ჩასაწერს, შაბლონურს სიტყვებს წერდა ტკინიგზის სადგურის დავთარში. „მატარებელი № 336. გუშინაც ათი წუთით დავაგვიანე. ერთი ნახე და, მოძრაობის რევიზორმა აურზაური ატეხა. გააჩაღებს ერთ მიწერ-მოწერას, თითქო რკინიგზის სვეტედი ამ ათ წუთში იყოს ჩაკერებული. მომთხოვს პასუხს ამ, მოთხოვს პასუხს სადგურის უფროსსაც, ჩვენ კიდევ მეისრეს გადავაბრალებთ. ახლა იმას მოდგებიან. ის კიდევ პასუხის დამწერის ძებნას შეუდგება და ერთი-ორი აბაზი მაინც დაეხარჯება. ბოლოს კი ხაქნე ამით გათავდება, რომ მოძრაობის უფროსი მე შემომითვლის, ხახეში გქონდეს ეს შემთხვევაო, და მეისრეს შენიშვნას მისცემს“.

ამგვარ ფიქრებში გართული ივანე თანაშემწე მხოლოდ მატარებლის ქშენა-ბრიგინმა გამოარკვია. საჩქაროდ წითელ ქუდს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა. ყინავდა, საშინელი ცივი ქარი უბერავდა. სადგურის ირგვლივ ბუნებით მოტვლეპილი, დამადონებელი ერთფეროვანი ველი თოვლით იყო დაფენილი.

ივანე თანაშემწემ სადგურის წინ ქვაფენილზე გაიარ-გაჯოიარა. სადგური მეოთხეხარისხოვანი იყო. მატარებელი ერთი წუთით ხერდებოდა. თავისთავად სადგური არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენდა და ამიტომ მგზავრებს ვაგონებიდან თავიც არ გამოუყვიათ, მხოლოდ რკინიგზის ფორმაში გამოწყობილი, მხიარული ხახის ვაჟკაცი მეორე კლასის ვაგონიდან მარდად გადმოხტა.

— ვასო, შენა? — მხიარულად შესძახა ივანემ.

— დიახ, მე ვარ. მოგატყუე გეგონა? ე, სად გადაუხვეწიხარ, კაცო, ძლივს მოვაღწიე!

— გმადლობ, გმადლობ, რომ სიტყვა აასრულე. სწორედ ხუმრობდი მეგონა და არ მოველოდი.

— ეხ, ძმაო, თავი მომაბეზრა ქალაქის ალიაქოთმა, მინდა ახალწელიწადს მყუდროდ მივეგებო.

მეგობრებმა ერთმანეთს ხელი მაგრა ჩამოართვეს. მატარებელი წავიდა.

ხალამოს ათ საათზე ივანე თანაშემწემ მორიგეობა უფროსს ბარბარა და თავი გაითავისუფლა. აღუთქვა, მეორე დღეს ისევ მაგივრად იმორიგეებდა. მერე თავის ოთახის ბუხარში ცეცხლი გააჩალა, ხასმელ-საჭელი მაგიდაზე დააწყო და მეგობრები ახალ წლის პოლოდინში ტკბილ მუსაიფში გაერთნენ.

— ხუთი წელიწადია, რაც ახალ წელს მარტოდმარტო ვეგებები,—თქვა ივანემ:—ჩამაგდეს ამ ჯურღმულში და ყველას მივავიწყდი. ზოგი უკეთეს ადგილზე გადაჰყავთ, ზოგს სადგურის უფროსობას აძლევენ, მე კი გავიყინე ერთ ადგილას და ვარ ისე, არც წინ მწევენ და არც უკან. მერე რა ეზედური ადგილია ეს ლახაკევის ტკინიგზის მოსამსახურეების გარდა, სოფელი არ არის ახლო და დაბა-ქალაქი, ტყე არ არის და ბალი. სასმელი წყალი ან არის, იხიც ან იშოვება, ოცდაათი ვერსის სიშორიდან მატარებლით ეზიდებიან. შენ რა გიჭირს, ქალაქის მახლობელ საალებმიცემო სადგურში ხარ: ხალხს მაინც ხედავ?

— მერე, შენ როგორა გგონია, — ძიუგო ვასომ. — ეე ბანზიათვე ვიშოვნე ადგილი? შენ ჯერ ჯვილი ბიჭი ხარ, რაც გინდა იყოს, ხუთი წელიწადია, რაც სადგურის უფროსის თანამემწედ ხარ. ჩემი უნდა იკითხო! რვა წელიწადი უბრალო კანტორშჩიკი ვიყავი. ან ჭომეცა ხაშველი. ჩემი წინ წაწევა არ იქნა და არა. ტაბიფეები შეკისწავლე, გამომცადეს, მოწმობა მომცეს, ადგილი კი ანა. ან ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ჩემი ასეთი მდგომარეობა, ბომ ერთ მოულოდნელ შემთხვევას ხელი არ შეეწყო. ხა, ხა, ხა, ხა, რომ გამახსენდება, გიყივით გამეცინება ხოლმე.

— მითხარ, კაცო, რა შემთხვევა იყო, იქნებ მეც შემეხვდეს ბამე ჩაგისთანა, — შეეხვეწა ივანე თანაშემწე.

— შენი არ ვიცი და მე კი მიშველა. ხა, ხა, ხა! გეტყვი, გეტყვი, ბოგორ იყო საქმე, მხოლოდ ახალი წელიწადი კი არ გაგვეპარეს. ჭიქები ავავსოთ, თორმეტს ათი წუთი აკლია.

მეგობრებმა ჭიქები ღვინით გაავსეს და კედელზე ჩამოკიდებულ საათს ერთ ხანს დაეჩერდნენ.

— მერე, მერე! — არ ასვენებდა ივანე თანაშემწე.

— მერე გვყავდა მოძრაობის უფროსი. მოხუცი იყო, მაგრამ ქალების მოყვარული. ქალების მოყვარული აბა როგორ გითხრა... ქალის დანახვაზე ფითრდებოდა. კიდევაც, ძმაო, იმის ბატონობის დროს ბევრმა უშველა თავს. ვისაც ლამაზი ცოლი ან და ჰყავდა, აშენდნენ, უღვთოდ აშენდნენ. მაშინ ბევრმა აიკრა კაი ადგილი, მე კი არც ერთი მომეძეოდა და არც მეორე. არც ლამაზი მყავდა და არც ულამაზო.

— ხა, ხა, ხა, — გამხიარულდა ივანე თანაშემწე. — მერე, მერე!

— მერე და როგორც იყო დიდი ჭაპანწყვეტით მოვახერხე პირადი მოლაპარაკება.

— მოძრაობის უფროსთან?

— დიახ, დავეღრიჯე ასე, ისე-მეთქი. არაო, ცივად მითხრა. შენზე უფრო დამსახურებულები არიანო. რვა წელიწადია სულ ერთ ალაგას ვარ-მეთქი. აბა რა უნდა გელაპარაკო, უკაცრაოდ, დრო არა მაქვსო. აბა, რა უნდა მექნა. გამოვედი და ქალაქის ქუჩებში ხეტიალი დავიწყე. ისე გაბრაზებული და გონებაარეული ვიყავი, რომ არც კი მახსოვს, სად და რომელ ქუჩაში გავიარე. როცა გამოვერკვიე, მთავარი ქუჩის ქვაფენილზე ამომეყო თურმე თავი. მოსეირნე ხალხი ბლომად დადიოდა. მაშინაც რაღაც დღესასწაული იყო მოახლოებული და მაღაზიების ყაფაზებში მრავალი ლამაზი ნივთები იყო გამოფენილი. ერთმა მაღაზიამ მიიპყრო ჩემი ყურადღება, მივუახლოვდი და ნივთებს თვალიერება დავუწყე.

— რა მშვენიერი ალბომია! — მომესმა უცბად ქალის ნაზი ხმა. ოვიხედე, ჩემ გვერდით ერთი ახალგაზრდა, მაღალ-მაღალი, შეიმკერებული ქალი იდგა და მართლაც ლამაზ მიხაკისფერ ყდაში ჩასმულ ალბომს თვალს არ აშორებდა. ერთ წუთს დავიბენი, მინდოდა მეც რამე მეთქვა, მაგრამ ვერ გავბედე. როგორც იყო მოვახერხე: — ალბომიც კარგია და სხვა ნივთებიც-მეთქი.—არა, მე ალბომი ყველაზე უფრო მომეწონაო, — მითხრა. შემდეგ ვიუბნეთ ამ მთისა, იმ მთისა და ნახევარი საათის შემდეგ მე და ის ქალი უკვე ველი მეგობრებივით ვსეირნობდით ქვაფენილზე. რა თქმა უნდა, ალ-მალ სიამოვნებით გადავხედავდი ხოლმე მის სავსე გულკერდს, ახოვან ტანადობას და ლამაზ პირის სახეს. ისიც თვალს თვალში გამიყრიდა და, ვითომდა უმანკოდ, ჩაიცინებდა ხოლმე.

უცბად რაღაც აზრმა თავში გამირბინა და ქალს საგანგებოდ დავუ-
ბუყე თვალიერება.

— რა გითხრა-მეთქი, — ვუთხარი.

— ჰოო! რა უნდა მითხრაო, — ორაზროვნად მომიგო და ნაზად
შემომხედა.

— არ შეიძლება, რომ ერთი ორი დღით ჩემი დობა იკისრო?

— რაო? — უცბად გამებუტა ჩემი ანგელოზი. — მე არავინ-
ს ამასხარაო არა ვარო. მე ვიგინდარა კი არ გეგონოთ, მე... — კა-
ნაღამ გამექცა. დიდი ხვეწნა-მუდარა დამჭირდა, რომ დამეჯერე-
ბინა და გამეგებინებინა, თუ რაც მსურდა. როცა ასე თუ ისე
დავიყოლიე, წავიყვანე და თავდაპირველად ის ალბომი ვუყიდე
სულის ქვეშ დანაკონკი ერთი-ორი თუმანი კი აღმომაჩნდა ჯიბეში-
და აბა რას დავზოგავდი. ავუხსენი როგორ მოქცეულიყო. ვთბოვ-
სადა. ტანისამოსი ჩაეცვა და მოძრაობის უფროსთან წასულიყო.
როგორც ჩემი და, ჩემი ხარჯით მცხოვრები. ღმერთო, შენ აკურთ-
ხე მისი შემქნელ-მშობელი. კაცო, ვერ წარმოიდგენ, რა ჩინებულ-
ად შეასრულა თავისი როლი. სარა ბერნარი ღმერთმა შეარცხ-
ვინოს იმასთან. მივიდა თურმე, კაცო, ეს ქალი, ისეთი მშვიდი და
უმანკო სახე მიიღო, რომ ყოველმხრივ გარყვნილ-გათახსირებულ
მოძრაობის უფროსსაც ვითომ და გული მოულბო. იტირა თურმე.
ჩემი ძმაო ასე, ისეო, ვერ მარჩენსო, წარმატება არავითარი მისცე-
სო. დაფაცურდა თურმე გარყვნილი მოხუცი. დამშვიდდით, და-
შვიდდით, ქალბატონო, ყოველივე ზომას მივიღებ, რომ თქვენი
თხოვნა შეეასრულოო. ამ დღეებში კიდევ შემოიარეთო!.. ხა, ხა, ხა!

— ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა ივანეც.

— ეჰ! კაცო, ახალი წელიწადი არ გაგვეპაროს, ორი წუთი უ-
ლია!—სულის ძლივს მობრუნებით თქვა ვასომ და ჭიქას ხელი მოავლო.

— მერე, მერე, ბოლოს რით გათავდა საქმე? — ან ისვენებდა
ივანე თანაშემწე.

— რით უნდა გათავებულიყო! თხუთმეტი მანეთი დამეხარჯა,
ბაგრამ ორ კვირაში სადგურის უფროსის თანაშემწეობა მივიღე.

—ხა, ხა, ხა!—იცინოდა ივანე:—ჰა, მრავალ ახალ წელს დაესწარა-
ს ქალიც ღმერთმა აცოცხლოს! — მხიარულად წარმოთქვა ივანე.

მეგობრებმა ჭიქები დასცალეს.

პირუთვნელი დაფასება

XX-ის დიდი კანტორის ზედამხედველ ალექსი ალექსის ძე გოგრაულს ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე სადილის შემდეგ. ბანდენინე საათი ქუჩის ქვაფენილზე ესეირნა. მისი აზრით, ეს დიდად ხასარგებლო იყო იმის სუსტ ჯანმრთელობისათვის, თუმცა ეს მოსაზრება თვითონაც არა სჯეროდა. ქუჩა კი, როგორც ყველა ქუჩა ამ ქალაქში, განთქმული იყო მოუწესრიგებლობით; ალაგ-ალაგ ჩამტვრეულ ქვაფენილზე წვიმის წყალი ხშირად გუბდებოდა, ყროლდებოდა და ჰაერს აფუჭებდა. ამიტომ, ცხადია, აქ სეირნობა ჯანმრთელობისათვის მაინცადამაინც არ იყო ხელსაყრელი. ნამდვილად სულ სხვა იყო გოგრაულის სეირნობის მიზეზი. ამ ქუჩაზე ბევრი ქარგი სავაჭრო მაღაზია იყო მოთავსებული და ამიტომ ქალები აქ დღედაღამ გამოულევლად მიდი-მოდიოდნენ. გოგრაული კი დიდი თაყვანისმცემელი იყო ქალის სიმშვენიერისა. არც ერთს, ახე თუ ისე, გვარიან თვალტანად ქალს, არც ახალგაზრდას და არც ხანში შესულს არ გაატარებდა, რომ მუშტრის თვალით არ შეეხედნა. გარეგნობისადაგვარად ყველა ქალი რამდენსამე ჯგუფებად ჰყავდა დაყოფილი: საუცხოვო, ძლიერ ლამაზი, გვარიანი და სხვ.

ქვაფენილზე სეირნობის დროს გოგრაული თუ ნაცნობ ქალს შეხვდებოდა, ხომ ცას ეწეოდა; შორიდანვე ქუდს მოუხდიდა და რომ გასცილდებოდა, მერეც ერთი სამჯერ მაინც თვალს გააყოლებდა.

ერთხელ, ჩვეულებრივ სეირნობის დროს, თვალი მოავლო ერთ დაბალ-დაბალ, ჩასუქებულ, საკმაოდ ხნიერ, თუმცა ქარგად შენახულ ქალს, რომელიც იმისკენ მიდიოდა. გოგრაულმა, ჩვეულებრივ, ერთ წამს ასწონ-დასწონა ქალის გარეგანი ღირსება-ნაკლოვანება და გვარიან ქარგთა სიაში ჩარიცხა. ქალმა კი პირველ

წამსვე რაღაც სხვანაირი თვალით შეხედა გოგრაულს. გოგრაული ცოტა წამოწითლდა, აღელდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ხომ სრულიად მოულოდნელად ქალი შეჩერდა და თავაზიანად შეეკითხა:

— უკაცრაოდ, ბ-ნი გოგრაული არა ბრძანდებით?

— დიახ, ბატონო, მე გახლავართ, — მიუგო გაოცებულმა გოგრაულმა.

— არ შევმცდარვარ, მაშინვე გიცანით... ხომ გახსოვთ, ნათლობაში რომ გავიცანით ერთმანეთი?—მიუგო ქალმა, თანაც ცდილობდა, ხაც შეიძლებოდა, სიტყვები ნაზად და ტკბილად გამოეთქვა.

— დიახ, დიახ, დიდად სასიამოვნოა... მახსოვს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა გოგრაული, თუმცა არც ნათლობა ახსოვდა და არც ამ ქალის სახე.

შეყვნენ ლაპარაკს. თქვეს ამ მთისა, იმ მთისა, თუმცა ორივენი ფრთხილად იქცეოდნენ, რადგან ეშინოდათ, ისეთი რამ ან ეთქვათ, ხომ ერთმანეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ, რადგან ცხადი იყო, რომ ნათლობაში გაცნობა შემთხვევისთვის იყო შეთხზული.

— დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან, ბ-ნო გოგრაულო, — შეურია ლაპარაკში ქალმა.

ალექსი ალექსის ძე ცოტად გაოცდა, ოდნავ თავი დაუკრა და, ხაც შეეძლო, თავმდაბლად მოახსენა:

— მიბრძანეთ, ქ-ნო, მზადა ვარ სამსახურისათვის.

— საქმე ის არის, რომ თქვენ კანტორაში მუშაობს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი. რომ იცოდეთ, რა კარგი ბიჭია, რა ბახიათისა, რა მეცადინე! ჯერ ჯამაგირი არ ეძლევა, ისე თვალის გასატეხად მუშაობს, სამსახურს ეჩვევა. გთხოვთ, როცა შესაძლებლად ცნობთ, შტატში ჩარიცხოთ და ჯამაგირი დაუნიშნოთ.

— ეგ რომელი ყმაწვილია, ქ-ნო? — შუბლზე თითის მიდებით მიუგო გოგრაულმა.

— მისი გვარია, ბატონო... — ქალი ერთ წამს შეჩერდა. ეტყობოდა, მისთვისაც სხვა ვილაცას ეთხოვა და გვარი დავიწყებოდა. ბედზე ჩქარა გაახსენდა. — მისი გვარია, ბატონო, ფხალუამაძე, — ხაჩქაროდ წაილუღლუღა ქალმა. თითქო ეშინია, ხელახლა არ დამავიწყდესო.

„ფხალუამაძე? რომელია ნეტავი?“ დაფიქრდა გოგრაული. — ბალალ-ბალალი, ქერა ყმაწვილი ხომ არ არის?

— ჰო, ჰო, ბატონო, თქვენ უკეთ გეცოდინებათ, ძლიერ კარგი

ყმაწვილია. ერთი სიტყვით, დიდად დამავალებთ, — ემუდარებოდა ქალი.

— აბა რა სათქმელია. ქ-ნო, თქვენი გულისთვის... ნაცნობიც ხომ არ იყოთ, თორემ...

— იმედი მაქვს, იმედი მაქვს. სწორედ ჩინებული ყმაწვილია. იცოდეთ, არ ინანებთ.

— კარგად ვიცნობ... აბა, ჩემი კანტორის მოსამსახურეს ან ვიცნობდე?! თუმცა მოსამსახურე ბევრი მყავს, მაგრამ ყველას ვიცნობ. ვიცნობ რომელია, ისიც ვიცი, ვინ რა ბასიათისაა, რა მიმართულებისა და ჭკუისა, რა გონების პატრონია, — დაიკვეხა გოგრაულმა.

— რა ხაეჭვოა, ბატონო, უფროსობას არც კი მოგცემდნენ ახლანდელ დროში, ღირსი რომ არ ყოფილიყავით. მაშ იმედი მექნება!

— ნა თქმა უნდა! თქვენი გულისთვის... — და გოგრაულმა ქალს ალერსიანად შეხედა.

— დიდად გმადლობთ. ვიცოდი თქვენი კეთილი ბუნების ამბავი... უკაცრაოდ კი ვარ, ქუჩაში გაგაჩერეთ.

— რის უკაცრაოდ, ქ-ნო, პირიქით, დიდად მესიამოვნა თქვენი ნახვა. მე, თუ გნებავთ, გაგაცილებთ კიდეც.

— აბა, როგორ შეგაწუხოთ...

გოგრაულმა ნაცნობი გააცილა.

— ხომ იცოდეთ, ბატონო, — გულნატკენად ეუბნებოდა ქალი გზა-გზა. — რა გაფუჭებულია ახლანდელი ახალგაზრდობა. პატიოსან ქალს ქუჩაში არ გაევლება... ერთი სიტყვით...

— ოჰ! ქ-ნო, როგორ გაირყვნა ქვეყანა. პატიოსნებას გეფიცებით, ისეთი ამბები ხდება და შევესწრები ხოლმე კიდეც ხანდახან, ხომ ქუჩაში გასვლა მეზარება...

— დიაღ, დიაღ! — კვერს უკრავდა ქალი.

მეორე დილას გოგრაული ჩვეულებრივზე ადრე მივიდა კანტორაში. კმაყოფილი და მხიარული იყო. არაჩვეულებრივ გულმოდგინეობას და საქმიანობას იჩენდა. მოსამსახურე დარაჯს რამდენიმე შენიშვნა მისცა: ფანჯრები უსუფთაო გაქვს, იატაკიც რიგიანად არ გაგიწმენდიაო. როცა დარაჯმა თავი იმართლა და ჩვრების უქონლობა დაიხვია ხელზე, გოგრაული არ გაჯავრდა, ონდავ შეკრთა: ჩვრებს რამდენსაც გინდა გიყიდიო, აღუთქვა და თავის კაბინეტისკენ გაეშურა.

ცხრა საათისთვის ყველა მოსამსახურე მოგროვდა და მუშაობ-

გაჩაღდა. ზოგი წერდა, ზოგი ანგარიშობდა, ზოგი მსურველთ ბაჭიჭო ცნობებს აწვდიდა.

გოგრაული კაბინეტიდან მძიმედ გამოვიდა და ამაგ ყმაწვილის ბახით მომუშავეთა მაგიდებს შუა გაიარ-გამოიარა, თან ხაქ-ზეან თვალებით აქეთ-იქით ყველას ათვალიერებდა.

ერთ კუთხეში ფართო მაგიდას ეჯდა მაღალ-მაღალი ქერა ყმაწვილი და დაკვირვებით საქმეს აკეთებდა. თვალსაჩინო და ცნობილ კაცთაგან ნაცნობი არავინა ჰყავდა და ამიტომ ცდილობდა გზა ბა-კუთარი მეუყაითობითა და შრომით გაეკაფა. ხუთი თვე გავიდა, ბაც ბუშაობდა, მაგრამ ჯერჯერობით ჯამაგირი არ ეძლეოდა. გოგრაუ-ლი, ხხვათა შორის, ქერა ყმაწვილს მიუახლოვდა და თითქო შემ-ოხვევით ამის წინ შეჩერდა. ყმაწვილი უფროსის მიახლოვებაზე ცოტათ აირია, ზეზე წამოიწია და თან ქაღალდებსაც თვალს ან ამორბენდა.

— ამეცადინეთ, იმეცადინეთ, — ტკბილად უთხრა გოგრაულ-ნა. — მე ყოველოვის ეაფასებ ხოლმე ადამიანის პირად ღირსებახ. ეხედავ, ბომ თქვენ კეთილსინდისიერად იქცევით, სამსახურში დროზე მოდიხართ. მინდა თქვენც დაგაფასოთ და შტატში ჩაგხიც-ხოთ, — აუჩქარებლად და ღირსებით დაუმატა გოგრაულმა.

— დიდად გმადლობთ, — აღელვებისა გამო ძლივს წარმოთქვა ყმაწვილმა. — ვეცდები გავამართლო თქვენი ჩემდამი ნდობა.

— იმედი მაქვს, დარწმუნებული ვარ... მართლა, თქვენ ფხალ-ჭამაძე არა ხართ? — შეეკითხა ალექსი ალექსის ძე.

— არა, ბატონო, მე გვარტომაძე ვარ, ისიც აქ მუშაობს, მაგრამ ჯერ ან მოსულა, — გულუბრყვილოდ მიუგო ქერა ყმაწვილმა.

გოგრაულს თითქო ცივი წყალი გადაასხესო. ერთ წამს ხაშინ-ლად გაფითრდა.

— მაშ...ჰო...არა... ფხალჭამაძე მეგონეთ... მე... ეი... — ანჩეუ-ლად ბუტბუტებდა უფროსი და ყურებამდე გაწითლებული თავის კაბინეტისაკენ მიეჩქარებოდა.



ფარისევლები

გაზაფხულის დილა იყო. ქალაქ იერუსალიმის ერთი ქუჩის მოსახვევში ვიღაც მაღალ-მაღალი, ძვირფას და გრძელ ტანისამოსში გამოწყობილი და დოლბანდით თავშეხვეული კაცი დინჯად მიდიოდა. ქუჩის ბოლოს რამდენიმე კაცი გამოჩნდა, ეტყობოდათ, უბრალო მოქალაქენი იყვნენ და სამუშაოდ მიეჩქარებოდნენ. მათ დანახვაზე გრძელ ტანისამოსიანი შეჩერდა. ერთი ხმამაღლა ამოიოხრა, ხელები ზე აღაპყრო და ხმამაღლა წამოიძახა:

— უფალო ღმერთო ჩემო! შემიწყალე მე, მონა შენი! მადლობა უნდა შეგწირო, რომ სხვა ვიგინდარასავით არ გამაჩინე და განსაკუთრებულ კარგ პირობაში ჩააყენე ჩემი ცხოვრება. არა ვარ მტაცებელი, არა ვარ ქურდი, არა ვარ ავაზაკი. არც შთამომავალი ვარ უღირს-ცოდვილებისა, პირდაპირ შენი საყვარელი და ჩჩეული აბრაამის შვილი ვარ.

მგზავრების მოახლოვებაზე გრძელტანისამოსიანმა კიდევ უფრო აუმაღლა ხმას, ცალი თვალი კი მათკენ ჰქონდა, აბა მიყურებენ თუ არაო. ამ დროს ვიღაც კოჭლმა მათხოვარმაც გამოიარა. ხელებაპყრობილმა საჩქაროდ ხელები ძირს დაუშვა, ზედა ტანისამოსს მარჯვედ გადასწია, ჯიბეში იკრა ხელი, ნახევარ დრაჯნიანი ფული ამოიღო და გლახაკს შესთავაზა. თან ალმაცერად ახლო მიმავალ მგზავრებს გადახედა, შეამჩნიეს თუ არაო.

ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა რიცხვმა იმატა. ზოგს საავჭრო რამ მიჰქონდა, ზოგი დატვირთულ სახედარს ერეკებოდა, ზოგი სამგზავროდ მიეშურებოდა.

— ვმარხულობ ორგზის შაბათსა შინა, — გააგრძელა მლოცველმა. — ყოველ დილით ეკლესიაში ლოცვას მთელი ხაათი ვუნდები ხოლმე. აი, ახლაც იქიდან მოვდივარ, მაგრამ შენმა სიყვარულმა არ მომასვენა, რომ აქაც არ შეგასხა ერთი-ორი ქება-დი-

დება. მაგ შემდეგ, რაც მღვდელი გავხდი, შენი წმინდა ტაძრიდან შემოსავალი ღიან, კარგა ბლომადა მაქვს, მაგრამ კეთილ საქმესაც ვ ვივიწყებ: ათისთავი შემოსავლიდან ღარიბებისათვის მაქვს გადადებული...

— ოჰ, შენა, ღირსო რაბი იერემია! — მოესმა უცბად მლოცველს. — გიხაროდენ წყალობა უფლისა შენზედ! მეც ახლა მივდივარ ხალოცავად.

ახალმოსულიც ისევე ეყო გამოწყობილი. ერთმანეთი გადაკოცნეს.

— რაბუნს ამბავს, ჩემს მოძღვარს და გულითად მეგობარს! რა გამიხარდა შენი ნახვა! — აღტაცებით ამბობდა ამას წინათ მაღლა ნელებაპყრობილი.

— რას მეტყვი ახალს, პატივცემულო რაბუნო? — ჰკითხა ეფრემიან ამბავს.

— ეეგ, მამაო, რა ენდა გითხრა, ყოველ დღეს სულ ახალ-ახალი საშეუბარო ამბავი მოაქვს. პონტოელი პილატე ხომ თავზე დაგვისვეს, ეს არ გვეყოფოდა, რომ ვიღაც ახალი ჭირიც გაგვჩენია ორდანის უდაბნოში! ვიღაც მქადაგებელი!

— შენი ჭირიმე, მოძღვარო, რას მეუბნები?!

— შენს მადლს ეფიცავ! განა არ გაგიგონია? მთელი ბაღმა ბანერ იმასთან მიდის თურმე მოძღვრების მოსასმენად.

— ვინ არის, რა კაცია... ღმერთო!

—საკვალალოც ისაა, რაბუნო, რომ რაბუნის შვილიაო, ამბობენ. ეოანე, ზაქარიას შვილიო, მოგახსენებენ.

— მერე რა ღმერთი გასწყრომია. რაბუნობას და ტკბილ ცხოვრებას თავი დაანება და უდაბნოში შიშველ-წყურვილს მისცა თავი? გადარეულა საწყალი...

— ასეა, ჩემო იერემია, ჩვენიანე შვილები აფუჭებენ ჩვენ საქმეს, აბა, როგორ მოველოდი, რომ რაბუნის შვილი ასე გაგიჟდებოდა! ქადაგებს და ქადაგებს თურმე. ყველაზე მომეტებულად კ რაბუნების წინააღმდეგ არის თურმე ამხედრებული. მათ გარყვნაზ, ფალათაბსირეს მოშეს სჯულიო, ამბობს თურმე. კისერიც მოუტეხია. ჭარტალოს ენა, რამდენიც მოესურვება, მაგრამ ვაგლახი ისაა, რომ თანამოაზრე ბევრი ჰყავს თურმე. ამას წინათ დღესასწაულზე, ტაძარში რომ მორიგე ვიყავ, გაღმა მხარიდან მხოლოდ ორმოცი ეხვარი მოვიდა, როცა წინათ ხუთას-ექვსასი მოდიოდა. ტაძრის წმინდა კედლებს გეფიცები, მხოლოდ ორი ტყავი შემხვდა!

— ღმერთო, მომკალი! რა ზარალი მოგხვლია. ამით რა უნდა

ᲒᲐᲮᲓᲔ? — ᲧᲐᲚᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐᲛ. — ᲮᲔᲒᲔ ᲛᲔ ᲒᲘᲠᲜᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲠᲩᲘ.

— ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲜ ᲒᲐᲨᲝᲠᲝᲡ, ᲦᲘᲠᲡᲝ ᲠᲐᲑᲣᲜᲝ!—ᲛᲘᲣᲒᲝ ᲐᲑᲘᲐᲛ. — ᲘᲪᲘᲪᲮᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲝ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲝ: ᲡᲘᲜᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲐᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲤᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲔᲥᲪᲔᲡ ᲐᲛ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ. ᲕᲘᲡᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝ, ᲮᲐᲓᲐᲣᲤᲐᲚᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝ! ᲕᲘᲜ ᲘᲝᲐᲜᲔ, ᲕᲘᲜ ᲖᲐᲭᲐᲠᲘᲐ?! ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛᲖᲐᲓᲐᲡ, ᲠᲐᲡ ᲓᲐᲫᲠᲬᲘᲡ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ? ᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲐᲥ ᲘᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲠᲗᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ᲮᲔᲢᲝᲕᲜᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝ ᲨᲔᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ, ᲐᲝ ᲙᲐᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲗᲘᲡ, ᲐᲘ ᲛᲡᲣᲥᲐᲜᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ. ᲣᲙᲛᲘᲔ ᲓᲐ ᲣᲙᲛᲘᲔ ᲡᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲜᲓᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲡᲫᲐᲮᲔᲑᲡ ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲜᲪ ᲒᲐᲜᲘ ᲛᲘᲔᲪ, ᲐᲛᲐᲮ ᲮᲐᲮᲯᲝᲑᲘᲐ! ᲛᲔᲠᲔ ᲛᲝᲨᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲬᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲗᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ. ᲐᲛᲐᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ? ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲮᲘᲜᲯᲕᲐᲠᲪᲚᲘᲗ ᲮᲝᲠᲪᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲥᲪᲘᲪ. ᲡᲣᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲡᲐᲪ. ᲘᲮ ᲓᲐᲒᲐᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘ, ᲢᲐᲜᲗ, ᲤᲔᲮᲗ ᲘᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲓᲘᲮ. ᲓᲐᲪᲝ, ᲮᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲨᲔᲡ ᲡᲯᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲕᲜᲘᲡ. ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲛᲝᲗᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲓᲔᲓᲔ ᲓᲐᲮᲐᲓᲔᲡᲝ.

— ᲜᲣ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲭᲘᲠᲘᲛᲔ, ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲝ ᲠᲐᲑᲣᲜᲝ! — ᲓᲐᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲐ ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐᲛ. — ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲕᲐᲠ ᲨᲔᲜᲘ. ᲣᲡᲐᲗᲣᲚᲝᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲮᲐᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲯᲐ-ᲑᲐᲐᲡᲨᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲗᲕᲜᲘᲚ-ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲔᲜᲐᲛᲝᲥᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲠᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲘᲦᲩᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲕᲔ, ᲘᲛ ᲓᲝᲜᲔᲑᲐᲐᲑᲜᲔᲣᲚ, ᲤᲔᲮᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲐᲛᲧᲝᲚ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲨᲔᲕᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲭᲐᲓᲐᲒᲔᲑᲔᲚᲘ.

— ᲮᲐᲚᲮᲡᲐᲪ ᲜᲐᲗᲚᲐᲕᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲦᲘᲠᲡᲝ ᲛᲐᲛᲐᲝ. ᲪᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲞᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲡᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲮᲐᲓᲔᲡ! ᲒᲐᲜᲐ ᲪᲝᲓᲕᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐ, ᲤᲔᲮᲨᲘᲨᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲙᲣᲙᲛᲨᲘᲔᲠ ᲙᲐᲪᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ? ᲔᲔᲕᲜᲔᲑᲘᲗᲝ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲣᲠᲗᲮᲘ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ? ᲡᲐᲪᲔᲪᲚᲣᲠᲘ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲣᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲓ, ᲣᲡᲐᲙᲛᲔᲕᲚᲝᲓ, ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?!

— ᲔᲑ, ᲠᲐᲑᲣᲜᲝ, ᲐᲛᲐᲡ ᲗᲣ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲕᲘᲗ, ᲔᲔᲕᲜᲘᲜᲔ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲡᲘᲡᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲒᲝᲜᲘ ᲤᲔᲠᲮᲘᲗ ᲮᲐᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲒᲔᲔᲑᲐᲓᲝᲗ, — ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐᲛ.

ᲛᲦᲕᲓᲚᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲰᲙᲝᲪᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲓᲜᲔᲜ.

— ᲔᲡ ᲙᲘ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ, — ᲑᲣᲢᲑᲣᲢᲔᲑᲓᲐ ᲒᲖᲐ-ᲒᲖᲐ ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐ. — ᲠᲐᲑᲣᲜᲡ ᲐᲑᲘᲐᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲝᲠᲘ ᲢᲧᲐᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ. ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲜᲗᲗ, ᲔᲠᲗᲡᲐᲪ ᲜᲣ ᲨᲔᲕᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑ. ᲮᲕᲓᲔᲑᲐ, ᲙᲐᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲒᲔᲝᲓᲐ. ᲔᲡ

ამ ნაზიზღალი ბუნი ამოსდის პირიდან. ქონის ჭარბად ჭამა რომ ეყვარს, იმიტომ მოსდის ალბათ, ფუ, ჭირივით მძულს!

— ღმერთო, შენ ისმინე ჩემი ლოცვა! მყრალ რაბუნს იერემიას ოდ ტყავსაც ნუ შეახვედრებ. ვიცი, რომ ესიამოვნა ჩემი ზარალი ანუ იმის მორგეობიდან ხელცარიელს შინ გააბრუნებ, ერთ ცხვარს შენ შემოგწირავ! — ალთქმას სდებდა რაბუნი ებიაც და ხაყდრის. ენ ხალოცავად მიეჩქარებოდა.



უდაბნოში

ნელ-ნელა მიაქანებს ზვირთებს მკვდარ ზღვისაკენ პატარა მდინარე იორდანე. ლიბანის მთების კვიპაროზით დაფარულ ალთიანდან გადმომჩუხჩუხეს და გენისარეთის ტბის ანკარა წყალში დაფერილ-განსპეტაკებულ იორდანეს თითქო არა ხურს ვაერთიანებენ ვითით და ფისით აყროლებულ მკვდარი ზღვის ტალღებში. მაგრამ სხვა გზა არ არის, ბუნებას იმისათვის ეს ბედი ურგუნებია და იორდანეც იძულებულია მკვდარ-უსიცოცხლო ზღვას გაერთიანდეს და იმის ძალზე მლაშე წყალში გაიხსნას.

იორდანეს შესართავთან მოტვლეპილ-მოხრიოკებული ადგილებია. ზემოთ კი, მდინარის გაყოლებაზე, სურათი იცვლება და ალაგ-ალაგ მშვენიერი ჭალა-ბუჩქნარია ატეხილი, თუმცა უდაბნოც ბევრია. უდაბნო, ხრიოკი, მთა-გორაკებით დაფარული ადგილი მეტად ბევრია იორდანის მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე, ე. ი. აღმოსავლეთით. ზოგი ადგილი თითქმის წვდება ქვიშითა და ქვით დაფარულ არაბეთის თვალუწვდენელ უდაბნოებს.

შუა გაზაფხული იდგა. სამხრეთის მზე საგრძნობლად ახურებდა წვიმა-ქარისაგან ათასფრად დასერილ და დაღარულ კლდეებს ორგვლივ ერთფეროვანი, მოშავო, უსწორმასწორო ლოდთა გროვა ხვდებოდა თვალს. ეტყობოდა, ადამიანი ხშირი სტუმარი ამ უნდაბლოფილიყო ამ გავერანებულ ადგილებისა, რადგან ქაცის ხელით გაკეთებული ახლომახლო არაფერი ჩანდა. არც ოთხფეების ჭაპანებიყო. მხოლოდ ცქვიტი და მშიშარა ხვლიკები დარბოდნენ ნაპრალებს შორის და მაღლა ჰაერში ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებოდა ზანტად მოცურავე ძერა ან ყორანი.

ამ უსიცოცხლო კუთხის ერთ კლდის ძირში ლოდზე იჯდა ახალგაზრდა ქაცი, ძლიერ დაფიქრებული. ტანზე ეცვა გრძელი, შინა

ნოქსოვილი, შალის ხალათი, ფეხზე ქალამნები, თავზე ჩაბალახი ჰქონდა შემოკრული და ხელში ყავარჯენი ეჭირა, რომლითაც ნელ-ნელა ჩიჩქნიდა ნაპრალებს შორის მოგროვილ თიხა-ქვიშას.

„არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია, — გასაგონად წამოილაპარაკა ახალგაზრდამ და ისევ ღრმა ფიქრს მიეცა: — უსათუოდ საჭიროა, რაიმე ახალ გზას დაადგეს ტანჯული ისრაილი. მაგრამ რომელი გზა უნდა აირჩიოს? სად არის ეს ახალი გზა? ვინ უნდა უჩვენოს ეს გზა? აი კითხვები, რომელთაც გადაწყვეტა უნდა და გადამწყვეტი კი ჯერჯერობით არავინა ჩანს. თუმცა ზაქარიას ძემ იოანემ დაიწყო ახალი ქადაგება, მეც მოუსმინე ორჯერ-სამჯერ და ზოგიერთ მის აზრს სავსებითაც ვეთანხმები, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იგი უკიდურესობამდე ცალმხრივი კაცია. სურვილი და მისწრაფება მისი ნათელი და სპეტაკია, როგორც ეს მზის სხივები, მაგრამ იოანეს რიგიანად აწონ-დაწონილი არა აქვს ადამიანის ბუნება. ავიწყდება, რომ ბრბო გმირი არ არის. ყოველ ადამიანს თავის სასწორ-საზომით ფარგლავს და ეს ხომ შეუძლებელია. ყოველი მომაკვდავი იოანობას ვერ გასწევს, მას ვერ მისწვდება. ის კი უდაბნოს არა შორდება, მკალით და ველური თაფლით იკვებება. ჩემი აზრით კი, ხალხი რომ ახალ გზაზე დააყენო, არ უნდა განშორდე მას. პირიქით, თვითონ უნდა მიხვიდე მასთან, დაუახლოვდე, ჭირში და ლხინში მასთან იყო, მის ზნე-ჩვეულებას ანგარიში გაუწიო. ბუნებაში ხომ მკაცრი თანდათანობაა. ესეოდა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. საუკუნოებით შესისხლხორცებულს ხალხი ერთი მოსმით ვერ გადააგდებს. ძველიდან ახალზე ნელ-ნელა უნდა გადასვლა. ჯერ უნდა მოიძებნოს რამე მტკიცე საძირკველი, რომელზედაც უნდა დაშენდეს ახალი ცხოვრების კედლები..... მაგრამ მე ვინა ვარ, რომ ამისთანა ფიქრები მომდის თავში?“ — კვლავ გასაგონად წარმოთქვა ახალგაზრდამ და გოცებით მიმოიხედა. ირგვლივ ყველგან ოღროჩოღროები და კლდის ნაპრალები ხვდებოდა თვალს. სალი კლდის მონაწყვეტ ლოდის ჩრდილი ელავს იფარავდა ახალგაზრდას მზის მწველე სხივებისაგან.

„ჰო, მე ვინა ვარ? მე, იოსების ძემ ნაზარეველმა, უბრალო დურგალმა, შესაძლებელია ვიფიქრო.... ვუქადაგო ხალხს ახალი მოძღვრება? ვავბედო, გამოვამჟღავნო ის, რაც პატარაობითვე მოსვენებას არ მაძლევდა და აი ახლა, სახლ-კარს მოშორებული, რამდენიმე დღეა უსმელ-უჭმელი ამ უდაბნოში სულ ამაზე ვფიქრობ და ვოცნებობ? რას იტყვის ქვეყანა? მიიღებს თუ არა ახალ მოძღვრებას? როგორ შევუფარდო ყველა ჩემი ნაფიქრ-ნააზრი მოშეს

ვოძღვრებას, იმის სჯულს, იმის კანონს? ოოპ! დიდებულო მოშე, დიდია შენი ღვაწლი ისრაილის შთამომავლისათვის! სანამ ეს ლაქვარდი ცის კამარა ახურია იორდანის მიდამოებს, შენი სახელის ხსენებაც მარად იქნება. თუმცა რა დაგიმალო: შენი მოძღვრების ზოგიერთმა ნაწილმა დრო უკვე მოიკამა. ცხოვრება ხომ ერთ წერტილზე არ არის გაჩერებული და ის, რაც აუცილებლად საჭირო იყო და ხელსაყრელიც ამ ათასი წლის წინათ, დღეს უკვე დაძველებულია და გამოუსადეგარი. შენ შემდეგ ბევრი რამ გამოსცადა საერთოდ კაცობრიობამ და კერძოდ ისრაილმა. ახლა ისრაილი ის აღარ არის, მონობიდან გამოქცეული შენის წინამძღოლობით მეწამულ ზღვას რომ მიადგა. მაგრამ ისრაილი არც ის არის, შენ რომ ფიქრობდი და გინდოდა ყოფილიყო! შფოთისმოყვარემ, შურიანმა და ერთობის მოძულე ისრაილმა ჯერ შენსავე სიცოცხლეში ვერ გაამართლა შენი იმედები. კბილქვეშ მოიყვანე იგი ქანაანის ქვეყნამდე. თუმცა დაიპყრო და დაესახლა აღთქმის ქვეყანაში, მაგრამ ვერ ისარგებლა ისე, როგორც შენ გინდოდა. ვერ შექმნა ძლიერი და პირველ შემთხვევისთანავე განხეთქილება და დაქუცმაცება დაეტყო. არათუ სხვები ვერ დაიმორჩილა შენ მიერ ნაყურთხმა ისრაილმა, პირველსავე მძლავრ შეტაკებაში სხვისი საკბილო შეიქნა. სხვაფრივადაც ვერ გაგიმართლა იმედები, დიდებულო მოშე! შენ უსახავდი მას ტკბილ ცხოვრებას ლეღვისა და ვაზის ჩრდილქვეშ, მან კი ხელში ადლი და სასწორი აიღო და ფინიკელთა ადათი უფრო შეითვისა, ვიდრე შენ მიერ ნაანდერძევი. ყანა და ვენახი.

ვერც შენმა სჯულმა მიაღწია მიზანს, დიდებულო ადამიანო! ვერ გასჭრა შენმა ხერხმაც და ისრაილს კერპის თაყვანისცემა ვერ მოაშლევინე. მეგვიპტელთა მონობაში და კერპთმსახურების ზეგავლენით აღზრდილი ხალხი მაინც მიისწრაფოდა რაიმე ხელთქმნილ კერპისადმი, და თუმცა შენ ნახევრად დააკმაყოფილე მისი ხურვილი: სჯულის ფიცრები ოქროთი მოპედილ ყუთში ჩააწყე და ბნელ კუთხეში დაუსვენე, რათა, ერთი მხრივ, სცოდნოდა, რომ მასაც აქვს სათაყვანებელი კერპი და, მეორე მხრივ, ეს კერპი დამალული ყოფილიყო იმისაგან, მაგრამ არ დასჯერდა ამას ისრაილი და პირველ მარჯვე დროსვე ხბოს თავი ჩამოასხა და მას დაუწყო თაყვანისცემა, მეგვიპტელთა ნაყმევი ხხვაფრივ ვერც მოიქცეოდა. და დღეს კი... მთლად შენი სჯული, მქადაგებელი უხილავი ღვთიხა, ხომ კერპთთაყვანისცემადაა გადაქცეული.

აბა რას წარმოადგენს იერუსალიმის ტაძარი? ეს ხომ აგივე

ბაქურუმია, როგორიც არა ერთი და ორი აქვთ რომაელთ, ბერძენთ, მეგვიპტელთ და ასურელთ. მღვდელმთავარი და მღვდლები ზომ იგივე ქურუმები არიან, ხალხის გონების დამხშველნი, ხალხის ძიერ მიტანილი მსხვერპლით ჩასუქებულნი, კისერმოღერებულნი ხალხსავე დასცინიან, მათ გულუბრყვილობას მასხარად ეგდებენ ზმამაღლა გასძახიან დიდებული მეფის ფსალმუნებს, რომ ეპული და სიპობე უკეთესად მოინელონ. რას წარმოადგენს ფარიზეველთა ეროვა? მათი ყოყოჩობა, მათი ამპარტავნობა? განა ამაებში დახუტავდა შენი სული? განა ამისათვის იძროდა სინას მთა და უკუ ექცა მეწამული ზღვა? მაგრამ ოცნება სხვაა, სინამდვილე კიდევ ეულ სხვა. განვლილი ათასი წელი გვიმტკიცებს, რომ „რჩეული ეხალი“ მტკნარი ოცნებაა. ეს ტურფა დედამიწა გამჩენს მარტო აბრაამ და ისააკის ძეთათვის არ გაუჩენია, ეს ლაჟვარდი ცა ყამაბა, მთა და ბარი, თვალუწვდენელი ზღვები და მდინარეები ხაერთოა ყველასი, ვინც მეტყველებს, ვინც ხან ტირის და ხან იცინის, ვისაც ხან უყვარს და ხან სძულს, ვინც ხან წუხს და ხან მხიარულობს. ეს დიდებული სხივმომფინარე, მაცოცხლებელი მნათობი ხაერთოა ყველა ადამიანისათვის, მაშრიყით ცხოვრობს იგი თუ ბაღრიბით, აბრაამის შთამომავალია იგი თუ ზანგთა ნათესავი...

მაშ ხაჭიროა ახალი ისრაილი, არა აბრაამის შთამომავალი, ეტაშედ ადამის შთამომავალი. ვერ შეაკავშირებს ახალ ისრაილს ხინახ ეთაზე მიცემული ორი ქვის ფიცარი? ვიწროა მისთვის იერუხალიმის ტაძარი? მან ხომ ერთი მუჯა ისრაილიც ვერ შეუკავშირა ერთმანეთს და ვერც შეაკავშირებს ადამიანის ხელით შეთითხნილი ქვა-ია გროვა, ტაძრად წოდებული. პირიქით, ხელთქმნილი ტაძარი ეუდევ განხეთქილებისა, მტრობისა, ეჭვისა და პირმოთნეობისა. ადამიანს შეაკავშირებს, თუმცა პატარა, მაგრამ მუდამ მტოკავი, ეტძნობით აღსავსე მხურვალე გული. მხოლოდ წრფელი ხიყვარულით აღსავსე გულს შეუძლია კაცთა ნათესავი მიიყვანოს ერთ ტაძრად, ტომლის სიგრძე-სიგანე განუზომელია, რომელსაც არც კედლები ეხეთქება, არც სახურავი უცვდება, მის შესაკეთებლად ძოგროვილ ვერცხლს ვერ მიისაკუთრებენ მღვდელმთავრები და მღვდლები, რადგან იმ ტაძარს შეკეთება არა სჭირია... აი დიდებული ხაერთო ტაძარი!“

წამოიძახა ეს ახალგაზრდამ და ზეზე წამოიჭრა. იმის დიდრონ, შავგვრემან თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა.

„აი დიდებული ტაძარი, — გაიშვირა ხელი ირგვლივ, — რომელი ხელი შეჰქმნის შენზე უკეთეს სახლს, რომელი ხელოხანი მო-

ᲗᲐᲜᲓᲐᲕᲣᲡ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲡ, — ᲐᲘᲨᲕᲘᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲦᲚᲐ. — ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲙᲗᲘᲡᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲡᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲡ, ᲐᲜ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲔᲓᲘᲚ ᲪᲘᲡ ᲙᲐᲛᲐᲠᲐᲡ! ᲨᲔ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲝ! ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲝᲠᲝᲑ ᲨᲔᲜᲡᲐᲕᲔ ᲛᲝᲛᲫᲛᲔᲡ, ᲠᲐᲓ ᲔᲫᲚᲔᲕᲘ ᲨᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔᲑᲘᲡᲐ? ᲨᲔᲕᲘᲧᲕᲐᲠᲔᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ... ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠ? ᲛᲔ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠ?“ — ᲒᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲔᲙᲘᲗᲮᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ.

— ᲨᲔᲜᲘ ᲮᲐᲠ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲣᲪᲔᲛᲐ ᲬᲠᲤᲔᲚᲘᲧᲕᲐᲝᲚᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ ᲒᲣᲚᲘ, — ᲩᲐᲡᲩᲣᲠᲩᲣᲚᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲓᲣᲜᲐᲚᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

— ᲛᲔᲠᲔ?

— ᲨᲔᲜᲨᲘᲐ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲗᲣᲥᲛᲜᲔᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲫᲘᲯᲙᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲝᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲐᲕᲡᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲐᲗᲐ ᲤᲠᲝᲕᲐ, ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

— ᲓᲘᲓᲔᲕ?

— ᲓᲠᲝᲐ ᲨᲔᲡᲬᲧᲓᲔᲡ ᲕᲔᲠᲫᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲑᲝᲗᲐ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲑᲚᲐᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲠᲔᲜᲚᲗᲐ ᲛᲐᲗᲗᲐ ᲢᲙᲐᲪᲐᲢᲙᲣᲪᲘ ᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲖᲔ! ᲮᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ! ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲔᲡ ᲜᲐᲨᲗᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲘᲡᲐ!

— ᲡᲮᲕᲐ?

— ᲓᲠᲝᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲣᲨᲠᲔᲢᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.

— ᲒᲔ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ?

— ᲰᲥᲐᲓᲐᲒᲔ ᲔᲒᲔ! ᲓᲐᲰᲒᲛᲔ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲝᲠᲞᲘᲠᲝᲑᲐ, ᲑᲚᲦᲕᲓᲔᲚᲘᲡᲐᲪᲘᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ! — ᲐᲠ ᲐᲑᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲔᲣᲜᲐᲚᲘ ᲮᲛᲐ.

— ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠ? ᲛᲔ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲐᲠ. — ᲛᲐᲘᲜᲪ ᲔᲪᲕᲜᲔᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ.

— ᲕᲘᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝ, ᲫᲔ ᲮᲐᲠ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ, — ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲔᲣᲜᲐᲚᲘ ᲮᲛᲐ. — ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲔ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲐᲓ ᲒᲐᲡᲬᲘᲔ ᲬᲘᲜ, ᲣᲫᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ.

— ᲨᲔᲕᲫᲚᲔᲑ ᲙᲘ?

— ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐᲓᲔ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲜᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲚᲝᲓᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ ᲓᲐ, ᲦᲠᲛᲐᲓ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲘᲠᲡ ᲓᲐᲰᲙᲘᲓᲐ...

„ᲔᲡ ᲠᲐᲡᲐ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ?... ᲛᲨᲘᲐ?... ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲚᲣᲥᲛᲐᲞᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲐᲛᲘᲐ, ᲐᲜ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲪᲐᲛᲐ ᲐᲛ ᲮᲠᲘᲝᲙᲘ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲑᲘᲡ?!.“

ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲐ ᲑᲐᲦ-ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲜᲐᲣᲛᲘ ᲒᲔᲜᲘᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ. ᲐᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲘᲝᲜᲐᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ. ᲚᲐ-

ლისფერ, ერთი ერთმანეთზე ჩაკირკიტებულ, მტევნების სიმძიმით ბიგო ფანზე გადაზნექილა. დამწიფებულ მსხალსა და ვაშლზე ტოტები ძლივს იმაგრებენ. ნოყიერი და საუცხოოდ შეზავებული ლეღვი ფანში ვერ დატეულა, გამსკდარა და გამვლელ-გამომვლელთა ნოსახიბლავად ვარდისფერი გული გამოუჩენია. აი, ბოლოს სტუდრისმოყვარე და პურ-ღვინით ქებული ოჯახი სუფრას მოუსხდა ვაზის ტალავრის ქვეშ. ჩამოარიგეს ახლად გამომცხვარი ლავაშები, მამფურზე აგებული შემწვარი თევზები. მოიტანეს ბელადიანი ღვინო. ყველანი მხიარულად შეექცევიან.

„აქ კი რა არის? ლოდები და ლოდები, ქვიშა და ფიხა და ისევ ლოდები! — გაიფიქრა და პირს ნერწყვი მოადგა. — ბაგრატ-ბა, მე ვერ შემაშინებს შიმშილი. ვერ მომხიბლავს მწვანე წალკოტი. ადამიანში ჩაქსოვილი უნდა იყოს სხვა, რაღაც უცაღლესი გრძნობა, რომელიც ხანდახან ნივთიერ პურსაც დაავიწყებს ხან. ხენი გული არ დრკება. მე შიმშილისა არ მეშინია, არა ამბობთ ერთითა ცხოველ იქნების კაცი!“ — მტკიცედ წამოიძახა და ზეზე წამოდგა.

ქმაყოფილებით თვალი გადაავლო მიდამოს. შიმშილს ბოლებით არა გრძნობდა. მისი ყურადღება მიიქცია ერთმა წოწოლაკინ-ოთის მწვერვალმა, რომელიც შორიახლო ამართულიყო. ეს მწვერვალისაკენ გაემართა და რამდენიმე ხნის შემდეგ ზედ მოეკცა.

მშვენიერი გადასახედავი კი იყო იქედან. აღმოსავლეთით ფავალუწვდენელი ველი მოჩანდა, დასავლეთით — გველივით დაკლაკნილი ირორდანე და მის ნაპირებზე აქა-იქ ატეხილი ბალი. ბატრეთით, მტრედისფერ ბურუსში გახვეული, მკრთალად მოჩანდა ამომწვარი მიდამო და იმის შუა გულში, ჩაღრმავებული მკვდარი ზღვა. მწვერვალის ერთი მხარე პირდაპირ იყო ძირს დაშვებული. ამის ძირს თვალი ძლივსა წვდებოდა. ძირში მიმდინარე პატარა წყალი მზის სხივებზე ვერცხლის ზოლსა ჰგავდა.

„უკ, რა საშინელი უფსკრულია! — გაიფიქრა, ოღონ ქვეით ჩაიხედა. — რა საშინელებაა! აქ რომ კაცი გადავარდეს, ხომ შეუძლია ვერ მიაღწევს ცოცხალი. რა უძლურია თავისთავად ადამიანი! ქნება კი ისეთი ვინმე, რომ აქედან გადავარდეს და უვნებელი დარჩეს?“

— ვაეკაციც ის იქნება და, — ჩასჩურჩულა რაღაც ხმამ. — ნეტ ხომ ამას შესძლებდე, მაშინ დანამდვილებით შეგეძლება თქვა, რომ ყველა შენი სურვილიც განხორციელდება. თუ მართლა ამსებობს იეღოვა ღმერთი, რატომაც არ უნდა შეგაძლებინოს ეს?

აკი დაწერილიც არის: „ანგელოზთა მისთა ევედრებიეს დაცვა შენთა ყოველთა გზათა. ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ დაუ ოდეს წარსცდე ქვათა ფერხნი შენნი“. თუ ბარ რჩეული და ეფ ალიხა, ანა ბცადე! გადავარდი, — ჩურჩულებდა იდუმალი ხმა.

— შორს, მაცდურო! — უპასუხა მეორე ხმამ. — ვეხთვის ან რიბთვის ანის საჭირო ამ უფსკრულში გადავარდნა? განა რაც ბასწაული ხელს შეუწყობს ადამიანთა შორის სიყვარულის განტკიცებაზ? რამდენი სასწაულია ჩამოთვლილი ძველთ, მაგრამ ბადღა ბითი ნაყოფი? მთა იძროდა, ისრაილი კანკალებდა და ხაუკუნო ეტთგულების ფიცსა სდებდა, მაგრამ მეორე დღეს, იგივე ბაასწაულის მხილველი ისრაილი ოქროს ხბოს ჩამოსასხმელად ეზადებოდა. ბასწაულის სურვილი უბრალო მსოფლიო ამპარტავნებაა. ეხეც ერთი მიზეზთაგანი კაცთა შორის შურისა და მტრობის გაჩენისა. არა და არა, ამპარტავნობა ვერ დანერგავს სიყვარულს.

„მაბთალია, შორს ჩემგან უშინაარსო, ყალბი თავმოყვარეობა და ბმპარტავნობა!“ — გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და უფსკრულს თვალი მოარიდა.

მზე გადიბარა, ბნომაც დაჰბერა და დასიცხული არემარე ცოტათი გაგრილა. ახალგაზრდას ესიამოვნა და შუბლზე ხელი გადიბვ-გადმოიხვა.

„ეი ბეთ, ამ მთებს იქით იუდელთა ქვეყანაა, — ფიქრობდა ეგი და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ხელს იშვერდა. — იქით კიდევ უდაბნოა, კიდევ იქით სინას მთა, მერე მეწამული ზღვა და შემდეგ ბედადარი ეგვიპტე დიდი ნილოსით და უზარმაზარი შენობებით. აქეთ კი, — გაიშვირა ხელი დასავლეთით, — დიდი ზღვაა. ვინ მოსთვლის რამდენი ჭალა და ქვეყანაა გაბნეული მის წიაღთა შორის. შორს, შორს აქედან კი დიდებული რომია, თავისი სიმდიდრით. ბაუცხოო მოხატულ-მოვარაყებული შენობებით, კეისრით, თვალთბაქც კარიბკაცებით, უსამართლობით და საზიზღარი ცირკით. ფუფუნებაში გაზრდილ-განებივრებულთ ეინის დასაკმაყოფილებლად ერთმანეთს დანით ჩხვლეტენ და სისხლისაგან დაცლილნი ეცემიან უგუნურები და შეუგნებლები. კეისარი და მისი ამალა კი იციხის დარხარბებ. რომის გარეგნილი დიდკაცობას თან უკვირს და თან ბარობს, რომ გონებით დაბნელებულ უმრავლესობას ერთი მუქბატონები როგორა სწოვენ სისხლს, ამცირებენ და მათ გახართობად ერთმანეთს...“

— მეტე ამით რა გინდა თქვა? — ჩურჩულებდა იდუმალი ხმა. — რას ყარგავს ან კეისარი, ან მისი ამალა? ამ ქვეყნის ყოველ-

ყველა ბედნიერება იმათ ხელშია. მხოლოდ ბრიყვები იტანჯებიან, ორივე რომი რად გინდა. ვინც ჭკუიანია, იერუსალიმშიაც ბედნიერად ცხოვრობს. ბევრი კი არ არის საჭირო ბედნიერი ცხოვრების მოსახვეჭად. ცოტა რამ უნდა, სულ ცოტა! — ისე ნაზად ჩურჩულებდა იდუმალი ხმა, რომ ახალგაზრდას სახეზე ღიმმა გადაურბინა. — საჭიროა მხოლოდ ძლიერთა ამა სოფლისათა ქედი მოეხსნა... მათ მოქმედებას მხარი დაუჭირო... საერთო გემრიელი ბაჭაურის ერთი ნაჭერი შენგანაც შორს არ იქნება. ვერწმუნე, ეს ახია, თუ გინდა სცადე!

— ფუ! შორს ჩემგან, მაცდურო! — წამოიძახა ახალგაზრდა კაცმა. — ქვეყნად შესაძლებელი ბედნიერებით ყველანი უნდა უკბებოდნენ და არა ერთი და ორი. შორს ჩემგან, ასეთი ფიქრები! ნუ იქნება, რომ მცირენი ტკბებოდნენ და ბევრნი კი ატანჯებოდნენ. მე არა მსურს სხვის უმეცრებაზე ავაშენო ჩემი ბედნიერება. მე მსურს, პირიქით, თავი შევწირო უმეცარ-დაჩაგრულთა თვალების ახილვას... თუნდ მომკლან და მაწამონ, ვინ დამაბრმავებს ფუფუნებით ცხოვრება. მე შეურიგებელი მტერი ვარ ბისი.

მტკიცედ წარმოთქვა ეს და ლოდზე ჩამოჯდა. თავი ალბა დაჭკიდა და პირისახეზე ხელები მიიფარა. ერთ ხანს ამ მდგომარეობაში იყო. მერე ნელა წამოდგა. სახე სრულებით დამშვიდებული ქონდა. იმის თვალებში დაუბრეტელი რწმენა და ხელის ბიძგი ანთებდა. გაბოკრთოდა.

— ალაბ! ღლეიდან მე ეიშუ დურგალი არა ვარ, მე ვარ ალბა ეიშუ! — მტკიცედ წარმოთქვა მან და იორდანისაკენ გზა გაუდგა.

გეთსამანია

შუადამეს ცოტა აკლდა. სხვა დროს ქალაქი იერუსალიმი მანინებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღეს, პასექის დღესასწაულის დაწყების გამო, ბევრგან ცეცხლი ბეუტავდა და ხმაურობაც მოისმოდა. ქალაქის მიკიტნები დიდ ფაცაფუცში იყვნენ, რადგან ამ დღისთვის მართლმორწმუნე ებრაელები უცხო ქვეყნებიდანაც ბლომად მოდიოდნენ და სამიკიტნოებში კაი ძალ ფულს ტოვებდნენ.

იერუსალიმის ვიწრო და მოუკირწყლავ ქუჩებში საკმაოდ ბნელოდა, ასე რომ ათიოდე ადლის მანძილზე პირუტყვისა და კაცის გარჩევა ძნელი იყო. ერთი ქუჩის მოსახვევიდან ჩუმი ხმაურობა მოისმა და კაცთა რამდენიმე აჩრდილი გამოჩნდა. ეტყობოდათ, ეს ადგილები გაცნობილი ჰქონდათ, რადგან, მიუხედავად სიბნელისა, უშიშრად მიაბიჯებდნენ და ქუჩიდან ქუჩაში თამამად უხვევდნენ.

მგზავრები აყვნენ ზემო უბანს და ზეთისხილის მთის ფალთებზე გაშენებული გეთსამანიის ბაღის კარებს მიადგნენ.

— აქ შევიდეთ, — დინჯად თქვა ერთმა, რომელსაც ხმაზე ეტყობოდა, დანარჩენთა მეთაური უნდა ყოფილიყო.

ბაღში კი უკუნეთი სიბნელე იყო. ხშირფოთლიანმა წალკოტმა ადამიანთა აჩრდილიც ღამის წყვდიადში თითქო გახსნა, მხოლოდ ანტიკუნტად ისმოდა მათი ჩუმი ლაპარაკი.

— ისევ ჩვენი გეთსამანია! ჩვენი მუქთი სასტუმრო, — თქვა ერთმა. — რამდენჯერ გაგვითენებია აქ ღამე. ეს წალკოტი რომ ვინ იყოს, ჩვენისთანა ხელმოკლე ხალხს რა ეშველებოდა! ნაცნობთან კი ამდენი კაცის სტუმრობა ხუმრობა საქმეა? ღმერთმან აკურთხოს ამ წალკოტის დამსხმელის მარჯვენა!

— მოძღვარო, დღეს გვიამბობ რასმე? — იკითხა მეორემ, — გუშინდელი შენი ნაამბობი სამარადისოდ აღბეჭდილია ჩემ გულზე.

— ღმერთო, შენით, ეს მეოთხე პასექს ვატარებთ მოძღვართან ერთად. — ჩაილაპარაკა მესამემ.

— მოძღვარო, რისთვის ხარ მოწყენილი და დაფიქრებული? — ფაქვირვებით ჰკითხა მეოთხემ.

— რაბი, აი იმ წალკოტის ქვიან-ლოდებიან კუთხისკენ წავალთ? შენ რომ გიყვარს ხოლმე სუროთ შექარგულ ლოდზე ჩამოჯდომა და ქადაგება.

— ჰო, იქ მარტო მე წავალ, თქვენ აქ მოითმინეთ. — წარმოთქვა მოძღვარმაც. ეს იყო რაბი იიშუ. — მინდა რამდენიმე ხნით მარტოდმარტო დავყო. ძმებო, ჩემი სიჩუმე და მოწყენა სხვაფრივ არ ჩამომართვათ. გული ჩემი საშინლად ღელავს. გამოუთქმელ ხულიერ აღშფოთებას ვგრძნობ, სანამ ცოტად დავმშვიდდებოდე, განმარტოვება მესაჭიროება. თქვენც იფხიზლეთ... ვინ იცის, იქნებ უკანასკნელია ჩვენი ერთად ყოფნა...

თუმცა რაბი იიშუს განმარტოებით ყოფნა ბანდიტან ჩვეულებად ჰქონდა, მაგრამ დღეს მაინც იმის კილოსა და ქცევაში ბევრი რამ არაჩვეულებრივი, მათთვის გაუგებარი იყო. ყველა რაღაც შიშმა ეიცვა. რაღაც საბედისწერო შემთხვევის მოლოდინი მოსვენებას არ აძლევდა მათ, თუმცა ამაზე ერთმანეთთან ლაპარაკსაც ვერ ბედავდნენ.

ბუნებამ თავისი გაიტანა. ისინი ჩვეულებრივად გაგორდნენ ბუჩქვანე მდელოზე და სიამოვნებით შეიყნოსეს გაზაფხულის ნორჩი ბალახის კეთილსურნელება.

რაბი იიშუ მართლაც ბაღის იმ კუთხისაკენ გაეშურა, ხადაც ხეებსა და ბუჩქებს შორის აქა-იქ ეჭარა სხვადასხვა ზომის და სახის ლოდის ნატეხები და ერთ-ერთზე ჩამოჯდა მეტად დაფიქრებული-ღაძმარებული.

„შეუძლებელია, მე რომ შევცდე, — გაიფიქრა რაბი იიშუ, — ჩემ მიერ აღებული აღლო მუდამ გამართლებელა და, უეჭველად, ახლაც გამართლდება... ნამდვილად უკანასკნელი ღამეა ჩემი ცხოვრებისა, უკანასკნელი წუთებია ჩემი თავისუფლებისა...“

იიშუს მთელ ტანში გააჟრჟოლა, ხელები აუკანკალდა. ოფლმა დაასხა.

„ბრიყვი ხალხის ზურგზე მობუქნავე სამღვდელოება არაფრად ჭეზით არ მაპატიებს იმის წინააღმდეგ ჩემ მიერ ესოდენ მკაცრად და პირდაპირ გალაშქრებას. ჩემი წუთები დათვლილია, ამას ნათლად ვგრძნობ. ღმერთო, მომეც ძალი, თამამად გადავიტანო ეს საშინელი წუთები! ღმერთო, შემაძლებინე, ბოლომდე ვიყო მშვიდი

და მტკიცე, მგრძნობიერი, მაგრამ სასტიკი ორგულთა მიმართ, ხელგრძელი, მაგრამ შეურყეველი ჩემს რწმენაში. ღმერთო, ჩამანერგე ხიმხნე, თამამად შევსვა ჩემთვის გამზადებული ასმელი"

პირველში მძლავრმა მღელვარებამ გაუარა. ოფლი მოიწმინდა, ზეზე წამოდგა და მოწაფეებისაკენ გაემართა.

— მეგობრებო! ხომ ფხიზლობთ? ხომ მაგრად ხართ? — ტკბილად, მაგრამ, რაღაც სასოწარკვეთილის ქილოთი წარმოთქვა იაშუმ, როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც მოწაფენი დატოვა.

პასუხი არავინ არ გასცა.

მძინარეთა ხვრინვა არღვევდა წყვდიადით მოცულ ეზოს ხიხუმეს.

— უკვე გძინავთ? — გულნატკენად წარმოთქვა მოიღვაწეა. — ვაიღვიძეთ, მეგობრებო! შეიძლება ხვალ ამ დროს ყველასაგან თავმინებებული უსულოდ ეგდოს ჩემი გვამი. პეტრე, შენ ხაინც ნ. მოგვიდეთ! მღვიძარე იყავ, განსაცდელი მოახლოვებული.

იაშუმ კვლავ მიაშურა საყვარელ ლოდს. ჯერ კიდევ ღელავდა, ოფლიც წურწურით ჩამოსდიოდა, ლოდზე ჩამოჯდა, იდაყვზე დაყრდნო და დაფიქრდა.

ელვის სისწრაფით გაირბინა იმის წინ მისმა ცხოვრებამ.

ეახსენდა ბავშვობა, ხელმოკლე დედ-მამა, რომელთაც თავიანთ ძალ-ღონით ადრევე მიეშველა. პირველი მისი შთაბეჭდილება იერუსალიმის ტაძარში, სადაც მშობლებმა ჯერ კიდევ ნორჩი ეაბუკი ხალოცავად წაიყვანეს. მისმა ზეგარდმო ნიჭით უხვად დაჯილდოვებულმა გრძნობა-გონებამ ერთი თვალის მოვლებით გაითვალისწინა და შესაფერად ასწონ-დასწონა ყოველივე, რაც ამ ტაძარში ხდებოდა. იქ ნანახ-გაგონილისაგან ერთი უცვლელი ბეჭედი დასკვნა გამოიყვანა. თვალწინ დაეხატა ორი ბანაკი. ერთი მხრივ ეიერუსალიმის სამღვდელოება, ურწმუნო, გარყვნილი და ანგარებიანი ოყვარე. მისი დამქაში ლევიტელები, მუქთახორობას ჩვეულნი, ხალხთაგან ათისთავის აღებით ხახა გმაყოფილნი. მათივე მოხარულნ ფარისევლები, ეს ებრაელების ყალბი პატრიოტ-ნაციონალისტები. მეორე მხრით ხალხი, მრავალტანჯული ებრაელი ხალხი, მორწმუნე და შრომისმოყვარე, მაგრამ დაუსამართლებელი, დამონებულ-დამცირებული. პირველი ბანაკი ითვლიდა თავის წევრთა ათობით და ასობით, მეორე—ათასობით და ათიათასობით. პირველი მაძღარი იყო, მეორე ნახევარმშიერი, პირველი განცხრომაში იყო, მეორე — ტანჯვაში.

ეიშუ შეიქნა დაუძინებელი მტერი პირველი ბანაკისა და აშკა-

რად დაიწყო პირველის გაკიცხვა, მეორის ქომაგობა. იცოდა, რომ ასეთ უსწორმასწორობის მიზეზი უმრავლესობის შეუგნებლობა, უმეცრება იყო და ამიტომ იიშუმაც უმთავრესი ყურადღება ხალხის გაწვრთნას მიაქცია, მის სულიერად ამაღლებას, მის განვითარებას. იიშუს წარმოუდგა ყველა თავისი მოგზაურობა სამშობლო ქვეყნის კიდით კიდე. თუ როგორი აღტაცებით უსმენდა ხალხი, თუ როგორ წყუროდა მას, დაჩაგრულ-დაუძლურებულს, უკეთესი პირობების შექმნა... „მაგრამ ხალხი? უპირო ხალხი, დაჩაგრული ხალხი?—მწუხარედ გააქნია თავი იიშუმ და ორივე ხელით თავი დაიმაგრა, — ერთმანეთის შურიფ და მტრობით გამსჭვალული ხალხი? როდის ეღირსება ხსნას!“

წარმოუდგა გენისარეთის ტბის პირად ქადაგების სასმენად მოზღვავებული ხალხი, მისი აღტაცება, როცა იიშუს ქადაგებით აღფრთოვანებულმა მას მეფედ არჩევა მოუნდომა. წარმოუდგა ოსანას მომღერალი ხალხი, როცა მან იიშუ „კიცვსა ზედა კარაულისასა“ მჯდომარე ბზა-ბაიას ქვეშფენით ჩამოატარა იერუსალიმში. წარმოუდგა რჩეული ბიჭებიც, რომელთაც მარჯვე იერიში მიიტანეს ტაძრის ეზოში დაბუდებულ სიყალბეზე და... იიშუს გული ერთ წამს სიხარულმა მოიცვა.

„არა, ცოცხალ არს ერი! შეისისხლხორცებს საერთო ძალის საჭიროებას. შეიგნებს, თუ რამდენად დამღუპველია მისთვის ერთმანეთთან შური და მტრობა. ერთხელაც იქნება მათ გზას გაუნათებს, მათ სხივს მოჰფენს დაუშრეტელი სიყვარული...“

„მაგრამ როდის“? — წასჩურჩულა იიშუს იდუმალმა ხმამ. გაახსენდა, თუ როგორ დაფრთხა აღფრთოვანებული ხალხი ჯარისკაცთა მოახლოვებაზე, თუ როგორ მიიმალნენ, გულგახეთქილები გარბოდნენ, დედაკაცთა შორის ერეოდნენ, ვითომ ჩვენ არავითარ საწინააღმდეგო საქმეში არა ვრეულვართო.

რაბი იიშუ ისევ მწუხარებით აღივსო.

— უბედური ადამიანი! როდის... როდის შეიგნებს იგი...—ნაღვლიანად წარმოთქვა მან და ისევ მოწაფეებისაკენ წავიდა.

— ძმებო! იაკობ, იოანე, ხმა გამეცით! მეგობრებო! — ხმის კანკალით ამბობდა იიშუ. — ძვირფასნო, დღის სინათლეზე იქნებ ვერც კი ვნახოთ ერთმანეთი.

ხმა არავინ გასცა. ყველას ეძინა.

— იაკობ, ძმაო! პეტრე! — უფრო აიმაღლა ხმა რაბი იიშუმ.

— უ...უ...ა...უ! — ნელ-ნელა წამოიკრუსუნა ვიღამაც და ტანი-

სამოსის შრიალზე ეტყობოდა, რომ მეორე გვერდზე გადაბრუნდა. — ა...აჰა...ჰა!.. — ერთიც დაამთქნარა და ისევ ძილმა შეიპყრო.

— ის...ის...ია, ბედსაიდის კარებთან... შენ ესროლე ბადე, შენ ესროლე! — ბოდავდა მეორე.

— თქვე უბედურებო. არა გრცხვენიანთ, რომ ერთი ღამეც ვერ იფხიზლეთ ჩემთან?! ერთი, ერთი, ისიც უკანასკნელი ღამე... აგერ საცაა ჩემი გამცემელიც გაჩნდება. ძმებო, თქვენთან უკანასკნელი ამბორის ყოფასაც ვერ მოვასწრებ მგონია, მშვიდო...ბით, ძმებო! — მწუხარედ წარმოთქვა იიშუმ და კვლავ განშორდა.

მწარედ ქვითინებდა და თან უბედური ხალხიო იმეორებდა.

რაბი იიშუ. ისევ ლოდზე ჩამოჯდა.

„იქნება ამშორდეს განსაცდელი? — გაიფიქრა მან. — არა! ყოვლად შეუძლებელია! სანამ ვაჭრები არ გადამემტერებოდნენ, ასე თუ ისე შეიძლებოდა ხიფათის თავიდან აცდენა. ახლა კი სულ ერთია! რა დღეს, რა ხვალ. დაე შესრულდეს! მოვიდეს, რაც მოსასვლელია. მე უკვე მოვიხადე ჩემი ვალი... უეჭველია, გამცა უბედურმა იუდამ. ვერცხლისმოყვარეობამ დააბნელა. ცოტა გულნატკენიც იყო ჩემზე. სვიმონ ფარისევლის სახლში ჩემი ნათქვამისა გამო გული დასწყდა... სწორედ აქ მოიყვანს შემპყრობლებს, უკეთეს დროს და ადგილს ვერ იშოვნის. უბედური ჩემი მოწაფეები, რა გულუბრყვილოები არიან! მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რა უნდა მოხდეს ამ მოკლე ხანში...“

იიშუ ღრმად დაფიქრდა. ისევ ოფლმა გადაასხა.

„შემდეგ რა იქნება, რა იქნება? — დაეკითხა თავის თავს. — უმნიშვნელოდ ჩაიელის ყოველივე, თუ ფესვს გაიდგამს, გაიხარებს, გაიზრდება, აღუვავდება და ნაყოფს გამოიტანს რაბი იშუს მოძღვრება?! არა ვგონებ, რომ უკვალოდ გაჰქრეს ჩემი შრომა და ღვაწლი. არა ვგონებ, რომ კეთილი თესლი ერთი მაინც არ დავარდნილიყოს საღმე კეთილ ნიადაგზე. ყველა ხომ არ გაითელებოდა, ყველა ხომ არ დაიღუპებოდა. ყველა ხომ არ გამოიშთებოდა. არა ვგონებ, რომ ხალხმა, რომელიც მიუხედავად ათასგვარი გასაჭირისა, ათასობით უკან დამდევდა, ჩქარა დაივიწყოს რაბი იიშუ და მის მიერ ნამოძღვრევი ურთიერთსიყვარული, არ უნდა გაჰქრეს ის რწმენა...“

„...ეს რა ფიქრი მომივიდა! — გაოცებით წარმოთქვა რაბი იიშუმ და ზეზე წამოიჭრა. ვითომ ჩემზედაც განმეორდება ის?..“

მაგრამ იიშუს ამისი ფიქრიც არა სურდა. ამ ფიქრის თავიდან მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. იდუმალი ხმა, რომელიც ხშირი სტუმარი იყო მისი, ახლა აშკარად და გარკვევით ჩასჩურჩულებდა:

„გაიხსენე ილია, ისაია და სხვა დიდებული მოღვაწენი, ხალხის საბედნიეროდ თავგანწირულნი. მათ თანამედროვე სამღვდელოება და მთავრობა სდევნიდა... დიდებული ისაია ხომ ხერხით შუაზე გადახერხეს მეფე მანასიას ბრძანებით და მღვდელთა ნება დართვით. რა იყო მიზეზი? მხოლოდ ის, რომ ჩაგრულთა ქომაგი იყო. ხოლო ახლანდელი სამღვდელოება კი, შთამომავალი იმ ძველისა, სისხლი და ხორცი მისი, ისაიას აქებს და ადიდებს წმინდანათ ხდის, მისი ნაწერი კი, საღმრთო წიგნად აქვს აღიარებული. ის ნაწერი, სადაც დიდებული წინასწარმეტყველი უშიშრად ჰქუხს: მძულს თქვენ მიერ შეწირული მსხვერპლი; ზვარაკები და ჭამებული თქვენი ეზიზღება ჩემ სულსაო. ვითომ შესაძლებელია, რომ ჩემზედაც განმეორდეს იგივე? შეიძლება, რომ წამებულ იიშუს (მე რომ მაწამებენ უეჭველია და ამისი სრულებით არ მეშინია) სახელიც გაიხადონ ოდესმე მღვდელთა ხალხის საწუწნელ იარაღად, როგორც ახლა მოშეს და მათ წინაპართა მიერ წამებულ წინასწარმეტყველთა სახელი? მათ სახელს გუნდრუკს უკმევენ, რომ ამით ხალხის საუკეთესო ხბორები და ვაცები თავიანთი სუფრის დამამშვენებელი გაიხადონ. ნუ, ნუ იქნება ასე! ცაო, ჩემი უკანასკნელი სათხოვარია ეს. უკეთესია რაბი იიშუს ხსენება სრულებით გაჰქრეს, ვიდრე იმის სახელს ამოეფარნენ ხალხის საყვლეფავად, იმათი შთამომავალნი, ვინც დღეს მზად არს რაბი იიშუს სისხლი სიამოვნებით მაჰარივით შესვას“.

„დედამიწაზე ერთი კანონია ყველასათვის, არა ვგონებ, რომ შენც აგცდეს სხვათა ბედი!“ — თავისას არ იშლიდა იდუმალი ხმა.

„ჰო, ნუ იქნება ასე! თუ ეს აუცილებელია, მაშინ ჰოი, ცაო, განრისხდი, ეორდანე, უკუიქეც, ვაზო, ნუ მოსცემ მტევანსა, ნაძვო ლიბანისავ, გახმი!

იიშუ უცბად გამოირკვა ფიქრისაგან. მისი ყურადღება მიიქცია ბაღის კარებისაკენ რაღაც ხმაურობამ და სინათლემ.

— ერთი შენცა, სად მიდიხარ? — მოისმა ვიღაცას უხეში ხმა.

— მან უკეთ იცის, ხელს ნუ უშლით! — თქვა მეორემ.

— აბ ჯოჯოხეთურ სიბნელეში ერთი უმართლოს ვისმე არა ვტაცოთ ხელი, კაცო?

— ვაიმე, ვაიმე, ეს რა ამბავია! — აღრიალდნენ იიშუს მოწაფეები. — მე აქ მხოლოდ მეძინა... მე... არა, იეღოვას ვფიცავ!...

— ჯერ ნურავის გაუშვებთ! — ისმოდა აგრეთვე ბრძანების ქილო.

რაბი იიშუ საჩქაროდ მათკენ გაეშურა.

გასამართლება

I

ქალაქ სვიქუმის და ბეთაბარის შუა, ერთ ვაკეზე, მდ. იორდანიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით, ახლაც მოჩანს რაღაც ნანგრევი. აქა-იქ ბლომადა ჰყრია ქვები, ზოგან საძირკველიც მოჩანს. ახლომახლო ბუნება მწირია, არც ტყე, არც ხეირიანი ბალახი არსად არის, ამიტომ მახლობლად არც სოფელია. შარაგზაც არ უვლის ახლა ამ არემარეს, მხოლოდ ათასში ერთხელ იქნება იორდანის ჭალებისკენ მიმავალმა მეცხვარემ გაიაროს. ცხვრებს აინტერესებთ ნანგრევები, მიცვივდებიან ხოლმე ქვათა გროვას, დასუნავენ და როცა საკბილოს ვერა ნახავენ, საჩქაროდვე მოშორდებიან. ახლა ეს ადგილი მივიწყებულ-თავმინებებულია.

მაგრამ იმავ მეცხვარეს რომ დაეკითხო, რა ნანგრევია ესაო, ერთ წამსაც არ დაფიქრდება და გიპასუხებს: ო... ეს ენიმას ნადარბაზევიაო.

მართლაც, ამ ორი ათასიოდ წლის წინათ ამ ალაგას სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. აქ გამოკიმული იყო დიდი ქარვასლა ან. ახლანდებურად რომ ვთქვათ, სასტუმრო. დატვირთული აქლემსახედრების ქარავნები ზედიზედ შედიოდნენ დასასვენებლად სასტუმროს ფართო ეზოში და უდაბნოში მგზავრობით დამაშვრალნი იქ ღრმა ჭის ცივი წყლით იგრილებდნენ გულს.

ეს ადგილი ჯვარედინ გზაზე მდებარეობდა. აქედან აღმოსავლეთით გზა ქალაქ პალმირაში მიდიოდა. იქიდან თაფსაკის ფონით მდ. ეფრატს გადიოდა და ძველი ნინევიით პერსეპოლისამდე გრძელდებოდა. სამხრეთის გზა ეგვიპტისკენ მიდიოდა, დასავლეთით კი ხმელთაშუა ზღვის პირას გაშენებულ ქალაქ კესარიას ჯვდებოდა და იქიდან ჩრდილოეთით ტვიროსს და სიდონს უერთდებოდა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას აქეთ. ბევრი რამ გამოიცვალა ქვეყა-

ნაზე, მხოლოდ ადამიანი დარჩა ისეთივე შურიანი და მტრობით სავსე, ვნებათა ღელვის მონა-მორჩილი, როგორიც მაშინ იყო.

მაშინ ამ სასტუმროს პატრონობდა ერთი დედაკაცი, სახელად ენიმა. დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ენიმას და იმის სასტუმროს. რომში, სუზაში, ანტიოქიაში ვაჭრებს პირზე ეკერათ ენიმა. სვაჭდნენ იმის სადღეგრძელოს და მოუთმენლად მოელოდნენ იმ დროს, როცა შემთხვევა მიეცემოდათ სავაჭროდ გამგზავრებულიყვნენ, რომ ენიმას სასტუმროში დროს გატარებით დამტკბარიყვნენ.

მზე დასავლეთისკენ გადაიხარა, შეალისფერებული სხივებით თითქოს ჩაეშვა ხმელთაშუა ზღვაშიო. სიომ დაჰბერა და პაპანაქებისაგან სულშეხუთულ და დაძმარებულ პირუტყვსაც და მეტყველსაც ისევ სასიცოცხლოდ გული აუძგერა. სასტუმროს ახლო აქლემების ბღავილი გაისმა. დაღლილმა პირუტყვმა შორითვე იგრძნო ცივი წყლის და ნოყიერი ბზის სიახლოვე. ქარავანი ეზოში შემოვიდა. წინ მოუძღოდა დარახტული აქლემი, რომელზედაც თავმომწონედ წამოსკუპებულიყო ერთი შესახედად უშნო, დიდცხვირა ჭაღარა კაცი.

— მოდის, მოდის ჩემი ნაასონ. სიუხვე და ბარაქა შენს ადლს და სასწორს! — მოისმა ხმა და ერთი უზარმაზარი შავ-შავი დედაკაცი სასტუმროს ეზოში გამოჩნდა. ეს იყო თვით ენიმა.

— ო...ო, ჩემს ენიმას ვახლავარ! ჩემ მამა-პაპათა ღმერთები ასტარტა და თანითა იყვნენ შენი მფარველნი! — შორიდანვე მოაძახა დარახტულ აქლემზე მჯდომმა. ეს იყო ნაასონ, ფინიკიელი სოვდაგარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქარავანი უკვე დაბინავებული იყო. სოვდაგარი ნაასონ და ენიმა ძვირფას ხალიჩებზე ფეხმოკეცით ისხდნენ, ბროწეულის მარცვალივით წითელ ღვინოს შეექცეოდნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ.

— ენიმ, ნუ მაწვალებ, ჩქარა მაჩვენე შენ ცოცხალ წალკოტში ახლად ამოსული და გაფურჩქვნილი ვარდი... არ მინდა არც წითელი ღვინო, არც შემწვარი ბატკანი, არც ახალი კიტრი... ენიმ, არ გესმის? — ეხვეწებოდა სოვდაგარი.

— შენ ჯერ ეს მითხარი, ფული ბლომადა გაქვს თუ არა?

— აი, სულელი დედაკაცი! მარტო ჩემი მოოქრული რახტი ნახევარ ტალანტად ღირს, ორმოცდაათი აქლემი საქონლით დატვირთული და ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი თან მახლავს და ეს კი მეკითხება, ფული გაქვს თუ არაო!

— აქლემი და სავაჭრო საქონელი შენა გქონდეს, მე ნაღდ დრაკნებს ვარ ჩვეული, — დინჯად მიუგო ენიმამ.

— შენმა მზემ, კოლხიდის ქსოვილი რომ მომაქვს ერთი საპალნე, იმას დაიწუნებ, არა? — უთხრა ნაასონმა.

— სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, კოლხიდის ქსოვილს რად დავიწუნებ, მაგრამ ნაღდი მაინც საჭიროა.

— ერთი შენც, ჩერჩეტობ რაღა! იმდენი რისხვა შენ, რამდენი ფულიც შენთვის მომეცეს! აბა, ვერ მომითმენია, ჩქარა მაჩვენე შენგან ნაქები ახალი ვარდი!

— ჯერ სამოცი დრაკანი ჩამოდი.

— რისთვის?

— ახალი ვარდის საჩვენებელი.

— ეჰე, რას როტავ, დედაკაცო! სამოც დრაკნად დანახვა კი არა, მხევალს სულ მთლად ვიყიდი. მართლაც და ხამი ნუ გგონივარ! რომიდან ინდოეთამდე ქალაქი არ დამიტოვებია, რომ არ მევაჭროს.

— მე კი თუ ქანაანის ქვეყანას არ გავცილებულვარ, გამაცურებ რაღა? ეს შენ ტვიროსელებთან დაიქადე! — მოუჭრა ენიმამ.

— კარგი ერთი, შენი სჯულის მადლსა! აი ათი დრაკანი, ათსაც, რომ დავუნოსავ, მაშინ მოგცემ. ჯერ ვნახო, რა არის, წყალში თევზი ვის დაუფასებია!

— არც ორმოცდაათი! — მშრალად ამბობდა ქალი.

— ერიჰა! მართლაც და თქვენ წიგნებში რომ გიწერიათ, ღმერთი უდაბნოში ფქვილს ზეციდან ჰყრიდაო, ისე ნუკი გგონია ფულის საქმე. ვინ იცის, რა ტანჯვის და ათასგვარ ხიფათის ქვეშ არის ნაშოვნი ფული, რამდენი კაცი მომიტყუილებია, რა დავიდარაბა არ გამომიცდია.

— მე ზღაპრებისა არა მრწამს რა, ეგეთი ქადაგება ფინიკიაში გაასალე.

— ქალბატონო, ქალბატონო! — ალტაცებით შემოილაპარაკა მოსამსახურემ. — ენუქას ქარავანი მოდის პალმირიდან.

— ოჰოჰო, ჩემი ენუქია! — მხიარულად წარმოთქვა ენიმამ. — ახლავე, ახლავე მივეგებები. აი, ხომ გესმის, კაბადოკელი სოვდაგარიც ჯარს მომადგა, შენსავით დრაკნობით კი არ ივაჭრებს...

— ვიცნობ, რაც შვილია, მაგრამ განა მე იმაზე ნაკლები ვარ! — წამოიძახა ნაასონმა და ჯიბეს ხელი იტაცა. — აი, სამოცი დრაკანი, თუ მომეწონა, მაშინ მე ვიცი.

— დიახ, არ მოგეწონება, დამასკელი ვომბიო კი არ გეგონოს

რჩეული ისრაელის ასული. ჩემ საქონელს სინჯვა და ვაჭრობა არა სჭირია, მაზანდა თავის დღეში არ ეკარგება! — ჩაილაპარაკა ენიმამ და კარებისკენ გაეჩქარა. — სალომე, ნაასონს ვარდი აჩვენე, იცოდე, შორიდან იყნოსოს, ახლოს არ მიეკაროს.

II

ენიმას სასტუმროს ეზოს რამდენიმე დღიური ადგილი ეჭირა. ეზოს ირგვლივ ქვიტკირის მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავნის შუა ადგილას ვეებერთელა ალაყაფის კარები იყო ჩატანებული და ინის აქეთ-იქით შიგნიდან გამართული იყო თავლა ქარავნებისათვის. ეზოს შიგნით ერთ-ერთ კუთხეში ციხე-დარბაზი იყო აშენებული, მრავალი სხვადასხვა ზომის საწოლ ოთახით, სამზარეულოთი და საწყობით. დარბაზის ერთ ნაწილს ენიმა ცოცხალ წალკოტს ეძახდა. აქ რამდენიმე ოთახი ძვირფას ხალიჩებით და ბალიშებით საუცხოოდ ჰქონდა მორთულ-მოკაზმული. ცოცხალი წალკოტი სამკლიტულში იყო მოქცეული. იქ შესვლა ენიმას დაუკითხავად არავის შეეძლო. ამ ოთახებში ენიმას ჰყავდა ლამაზი ქალები და ეს იყო უმთავრესი ანდამანტი, რომელიც იზიდავდა იმის სასტუმროსკენ ყოველ მხრიდან ყველას, ვისაც კი ჯიბეში დრაკნები ბლომად მოეძეოდა.

ცოცხალ წალკოტის ერთ-ერთ საარაკოდ მორთულ ოთახში ოქროქსოვილით მოქარგულ ბალიშებზე წამოწოლილიყო ერთი იშვიათად ლამაზი ქალი და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. მისი დიდრონი შავი თვალები სადღაც შორს, შორს უიმედოდ გაიყურებოდნენ. ცალი ხელი ვარდისფერ მსუქან ლოყაზე მიედო, მეორე ბალიშს მობღაუჭებოდა. ხუთი დიდი ნაწნავი არეულად ეყარა წინ და უკან. მაჯებს დიდრონი ოქროს სამაჯურები უმშვენებდა, ყურებზედაც ოქროსივე, კავლის ტოლა ბუშტები ეკიდა.

„რისთვის გავჩნდი, ან ამ ყოფაში რად ჩავვარდი? — ფიქრობდა ქალი. — განა ჩემთვის ვერ შეელია ღმერთი მზესა და ჰაერს? რად მინდა ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი ღვინო და ტკბილი საჭმელი? რად მინდა ესენი გალიაში დამწყვდეულს, თუ ჩემი ნებით მზეს ვერ შევხედავ, თუ თავისუფლად ჰაერს ვერ ვისუნთქავ! ღმერთო, რად გაჭირდა ჩემთვის ადამიანური ცხოვრება? ღმერთი გულთამხილავიაო, ამბობენ. ჰა, ღმერთო, თუ ეს მართალია, ნუთუ არ ჩაიხედე ამ ჩემ გულში და არ დაინახე, თუ რა ალი გიზგიზებს იქ. რამდენი ღარიბ-ღატაკია ისრაილთა შორის, ბევრი დედაკაცი

მთელი წლის განმავლობაში ერთი პერანგის ამარა დადის, მაგრამ ჩემზე ათასწილად ბედნიერია: მზეს თავისუფლად შეჰყურებს, თავის ქოხის სრული ბატონია, საკუთარ შვილებს კოცნის და ეალერსება. უბედურება თუ ეწია, ტირის, მაგრამ ტირის თავისუფლად, აშკარად, ესეც ხომ ერთგვარი ბედნიერებაა. მე კი, გულში რომ ვტირი, პირით უნდა ვიცინო, და თუ ვერ მოვახერხე და ცრემლებმა დამძლიეს, სადმე უნდა დავიმალო, რომ ჩუმად ამოვიგლოვო ჩემი უმწეო მდგომარეობა. ჩემთვის არც მამაა, არც დედა, არც ძმები და არც დები. უღვთო ეროდი მეფეს მთელი ბეთლემის და მის არემარის ბავშვები დაუხოცია და ჩემი ახლად დაბადებული ძმაც იმათთვის მიუყოლებია. იმ ალიაქოთში მამაჩემიც მოუკლავთ, ხოლო დედაჩემი ჭკუიდან შეშლილა და ჩქარა ისიც დაღუპულა. მე მაშინ ორი წლისა ვყოფილვარ და აღარაფერი მახსოვს. დედის ტკბილი კოცნა მე აღარ მიგრძვნია, მისი ტკბილი ალერსი ჩემ ყურს არა სმენია. ხუთი წლისა ვიქნებოდი, როცა გონს მოვედი. ვიზრდებოდი ერთ შორეულ ნათესავ ქალის სახლში. ვეზიდებოდი წყალს. ვმწყესდი თიკნებს, გამდლობას ვუწევდი ბავშვებს. ერთი წუთი მოსვენება არა მქონდა. ნახევარ დროს მშიერ-მწყურვალი ვიყავი. არსაით ჩემი მანუგეშებელი არ მოიძებნებოდა. მაშინაც ჩუმად ვტიროდი, რადგან აშკარა ტირილისა მეშინოდა. რაც ვიზრდებოდი, საქმეც მემატებოდა, მაგრამ მადლობა და თანაგრძნობა არავისაგან მესმოდა. პირიქით, მუდამ მაყვედრიდნენ: ობოლი, ოხერი მოგიყვანეთ, გამოგზარდეთ, გარჩენთო. მაშინაც რამდენჯერ მიწყევლია ჩემი დაბადების დღე. თორმეტი წლისა არც კი ვიქნებოდი, როცა სოფლის ბიჭები ამიხირდნენ. თუ ვინმე დამიმარტოხელებდა, მაშინვე ჩემ საკმაოდ აბორცვებულ გულ-მკერდს წაეტანებოდა. გავიდა დრო და სახლის პატრონმაც სხვანაირად დამიწყო ყურება, ეს დიასახლისმა იწყინა და სახლიდან გამაგდო... არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი! გავიდა კიდევ ხანი და, ცოტაოდენ ხეტიალის შემდეგ, აქ, ამ ამოსაგდებ ოჯახში ამოვყავი თავი. აქ ყველაფერი უხვადა მაქვს, მაგრამ რა გამოვიდა!` ყოველ ვიგინდარას ჟინი მე უნდა დავაკმაყოფილო. ვინ გინდა: ელინი, კაბადოკიელი, სპარსი, რომაელი, ფინიკიელი, ეგვიპტელი, ყოველი პირმყრალი და საზიზღარი არსება თავს შემოჰყოფს, თამამად ხელს მომხვევს, მკოცნის... არც კი მკითხავს, მესიამოვნება თუ არა...“

— ხანნა? სადა ხარ? დაგეძინა? — მოისმა ენიმას ხმა და სასტუმროს პატრონი მწოლარე ქალს ზედ თავზე წაადგა.

ქალს, თითქო ჭრელი გველი დაინახაო, გააჟრჟოლა, მაგრამ საჩქაროდ ზეზე წამოხტა და ნაძალადევი ღიმილით ენიმას წინ გამოეჭიმა.

— აქა ვარ, ჩემო მბრძანებელო!

— მე კი საჩუქარი მოგიტანე. აი ეს სახალათე, კოლხიდური ქსოვილია, ნაასონ ფინიკიელმა გიფეშქაშა. სწორედ რომ თავბრუ დასხმულია შენგან დიდცხვირა სოვდაგარი. მეტისმეტად მოსწონხარ. ღმერთმან ააყვავოს შენი ვარდისფერი ღაწვები! ასი დრაკანი ავაგლიჯე. თუ მეორედ ჩამივარდა ხელში, შენ მყავდე მშვიდობით და იქნებ ორასიც ავაფცქვნა... საჩქაროდ უნდა შეგიკერო ეს კოლხიდური ქსოვილი, ამ დღეებში ეგვიპტიდან მდიდარ სოვდაგარს მოველი, — საქმიანად დაუმატა ენიმამ.

III

გავიდა რამდენიმე წელიწადი და ბუნებამაც თავისი გაიტანა. ხანნა ამ ხნის განმავლობაში ძლიერ გამოიცვალა. ულმობელმა ცხოვრებამ თავისი მწარე ბეჭედი დაასო. იგი უკვე აღარ იყო წალკოტის დამამშვენებელი ვარდი. იმის დიდრონ თვალებს ირგვლივ ლურჯი რგოლი შემოევლო, ფუნთუშა ლოყა ჩაეკეცა.

ენიმაც გამოიცვალა. წინათ თვალის ჩინივით უვლიდა, საუკეთესო საჭმელები და საჩუქრები მოჰქონდა, ახლა კი წინათ მოტანილ ოქროულობას და საჩუქრებს ცოტ-ცოტად უკანვე ეზიდებოდა.

ხანნა მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა საჩუქრების უკანვე წაღებას. ენიმას ალერსი კი მუდამ ჭირივითა სძულდა. პირიქით, ახლა უფრო მოსვენებულად გრძნობდა თავს. მამაკაცები წინანდებურად ხშირად არ აწუხებდნენ.

გავიდა კიდევ დრო და ჟამი და ერთ მშვენიერ დღეს ხანნას ოთახში ენიმა შემოვიდა. კარგა ხანი იყო, რაც ენიმა არ სტუმრებია და ხანნას მისი შემოსვლა გაუკვირდა კიდეც. ენიმას სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც საჭირო საქმეზე იყო მოსული. გამოიჭიმა ტახტზე, ხანნაც გვერდით მოისვა და მუსაიფი გააბა.

— ხომ იცი, ჩემო ხანნა, — გაურია ლაპარაკში ენიმამ. — ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, საუკუნო არა არის რა, ერთი დრო არავის შერჩება. შენც ერთ დროს შვენება იყავ ჩემი ცოცხალი წალკოტისა. იყო დრო, როცა ვარდის კოკორი იყავ, მერე ვარდი გაფურჩქვნილი, ახლა კი...

— დამშკნარი ვარ არა? — მწუხარედ თქვა ხანნამ და წამოწითლდა.

— არა, რათა... ჯერ კიდევ არა. ერთი და ორი მამაკაცი შემოგაჩერდება და ნერწყვმორეული უკან გამოგედევნება, მაგრამ ჩემთვის კი საჭირო აღარა ხარ.

ხანნას ალმური აედინა და ღაპაღუპით ცრემლები გადმოსკდა.

— ჰო, შვილო, რა გატირებს. მე ძლიერ კარგად ვიცი, შენ ჩემთან ყოფნა მაინცადამაინც არ მოგწონდა.

— ან რა იყო მოსაწონი ამ ჯურღმულში, ამ შეურაცხყოფის და დამცირების სახლში?! — გულამომჯდარი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მტირალი ქალი.

— რაც არის ის არის, შვილო, — დამშვიდებული ამბობდა ენიმა. — მე კი კმაყოფილი ვარ ამ სახლისა. ოცდაათი წლის წინათ ხეირიანი პერანგიც არ მეცვა და ახლა ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება ორმოცდაათ ტალანტს უდრის...

— ჩემისთანა... უბედურთა სისხლითა და ხორცით შეძენილი,— ქვითინებდა ქალი.

— არა, შვილო, მეც ბევრი ვიშრომე... ესეც არ იყოს, რომის კეისრიდან მოყოლებული უკანასკნელ ლევიტამდე ყველა ასე აწესრიგებს თავის საქმეს და მეც მათ კვალს მივდევ. შენც მეცოდები, მაგრამ ჩემი თავი უფრო მეცოდება. მდიდარ ხალხს ახლანდელ დროში ხასიათი გაფუჭებული აქვს, სულ ახალ-ახალი უნდათ. ამ ხუთი წლის წინათ როგორც ბუზი თაფლს, ისე გვეხვეოდნენ, ახლა კი... ახლებს მთხოვენ... მეც უნდა ვიშოვნო.

— მე თუგინდ ახლავე წავალ, — თავშეკავებით, მაგრამ მაინც ბრაზმორეული კილოთი წარმოთქვა ხანნამ. — მოვშორდები ამ სახლს, სადაც ამდენი დამცირება და ტანჯვა გამომიცდია, მხოლოდ მომქცი ჩემი ოქროულობა და ფული, რასაც საჩუქრად მაძლევდნენ.

— ოქროულობა და ფული? — უშნო ღრეჭით დაეკითხა ენიმა. — სად იყო, შვილო, შენი ფული და ოქროულობა. ის ჩემი იყო, შენი კი არა, მე გინახავდი, გაკმევდი, გასმევდი.

ხანნამ თვალები დააშტერა:

— მაშ მაწანწალად უნდა ვიარო... ღმერთი არ არის შენში? ჩემი სისხლ-ხორცით ჯიბე აივსე და ახლა ტიტველი გარეთ უნდა გამაგდო?

— რათა, შვილო, ცოტა რამეს მოგცემ... მეც გული შემტკივა შენთვის.

— რა უსამართლობაა, რა უსინდისობაა, რა უღვთობაა! — ამბობდა ხანნა და თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, როდესაც ენიმა ოთახიდან გავიდა.

IV

კარვობის დღესასწაული იყო. იერუსალიმის ტაძრის ერთ კუთხეში რამდენიმე მღვდელი შემოწირულ ფულს ანგარიშობდა.

— ალილუია, ალილუია! — თქვა ერთმა მღვდელმა. — თუ იეღოვამ მოწყალე თვალით მოგვხედა, მგონი წრევანდელმა შემოსავალმა შარშანდელს გადააჭარბოს.

— თუ უკანასკნელი არ იქნება წრევანდელი ჩვენი შემოსავალი! — დაიძახა ვიღამაც გულგახეთქილ კილოთი.

— ზორობაბელ, შენა! რა დაგმართნია?—წამოიძახეს მღვდლებმა, ახლადმოსულიც მღვდელი იყო.

— თქვე დალოცვილებო, აქ არხეინად ფულსა სთვლით, ერთი გარეთ გაიხედეთ, რა ამბავია და?

— რა ამბავია?! — შეშფოთდნენ მოძღვრები.

— ცეცხლი ხომ არ წაეკიდა ვისიმე კარავს, არ გადვიბუგოთ?— თქვა ერთმა.

— ჩვეულებრივი ცეცხლი კიდევ არაფერია. ხელით აშენებულს განადგურებს, მხოლოდ ხელით შენებულს ისევ ხელი ააშენებს. ნაგრამ ვაი მაშინ, თუ დაიწვა ის, რის აშენებაც ქვითა და კირით არ შეიძლება.

— გაგვაგებინე, რაბუნო, რა ამბავია?—წამოიძახეს მღვდლებმა.

— ისე ლაპარაკობთ, თითქო ეკბატანიდან ახლა მოსულიყოთ! ვერ გაიგეთ, რას ქადაგებს ის ჩვენი მამა-პაპათა სჯულის დამხობი, ჩვენი მოსისხლე მტერი. მთელი დაბალი ხალხი აგვიჯანყა და აგვირია! ახლა არხეინად მობრძანებულა აქ და წმინდა ტაძრის გვერდით თავისი უღვთო ქადაგება გაუმართავს.

— ვინ? რაბი იიშუ ხომ არ მოსულა? — თქვეს მღვდლებმა და თოფნაკრავივით ზეზე წამოიჭრნენ.

— თუ გინდა მართლა უბედურება ეს არის! — თქვა ერთმა.

— ქადაგებდა, წმინდანო მამანო, მაგრამ რას ქადაგებდა? მთლად ჩვენ წესწყობილებას ნაცარტუტას ადენდა. მღვდლები და მთლად ბრწყინვალე ფარისევლობა ხომ მიწასთან გაასწორა და ბოლოს თამამად და ხმამაღლა დაუმატა: ვინც მშიერია, მოვიდეს ჩემთან და სვას წყალი ცხოველიო. გულუბრყვილო ხალხმაც, რო-

მელიც გარს ეხვია, დაიგრიალა: ესე არს ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი, ესე არს ქრისტეო. ამის გამგონეს, რა თქმა უნდა, სული ყელში მომებჯინა, ველარ მოვითმინე, მივედი და გამოვედავე.

— არიქა, მამაო, სიტყვების რახარუხი კარგი იცი და, ალბათ, ხმაც ჩააწყვეტინე! — უთხრა ერთმა მღვდელმა, სახელად ფარეზმა.

— იმდენი სიცოცხლე პილატეს! — მიუგო ზორობაბელმა. — ისეთები მითხრა, ისეთები, რომ, აბა რა დავმალო, კუდამოძუებული გამოვეჩქარე აქეთ.

— მართლა რომ ცუდი ამბავია! — ნელა წარმოთქვა რაბუნმა რუბენმა. — თუ ასე გაგრძელდა, დავიღუპებით. მთელ ურიასტანს ააჯანყებს ჩვენს წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც მტრედის ფასმა იმატა და ჩვენ მიერ გამოზრდილ მტრედების ყიდვა მღვდელმთავარმა სავალდებულოდ გახადა, მე ხალხს ვერა ვცნობ, მამანო. ხალხი ისეა აღელვებული, რომ ცოტა რამე უნდა, იფეთქოს. ცეცხლი სახლს ადვილად მოედება, მაგრამ ჩაქრობა ძნელია.

— არა, საკვირველი კია, საიდან შემოგვიჩნდა ეს ჭირი! — თქვა რაბუნმა რუბენმა. — იყო, ბატონო, ხალხი თავისთვის. ბევრი აზროვნებით თავს არ იწუხებდა. მოჰქონდა ჩვენთან შესაწირავი. ჩვენც უზრუნველად ვიყავით, ისინიც უშფოთველად ცხოვრობდნენ. ახლა გამოვიდა ის კაცი და ხალხს ეუბნება: მოვედით ჩემდა, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენებთ თქვენაო, და მართლაც ბევრმა ტაძარს გზა აუქცია და მასთან მიდის.

— კაცო, სად დურგალი, სად რაბუნი, სად ნაზარეველი, სად მქადაგებელი? — ჰკვირვობდა რაბუნი იონა.

— ათასიც ვიწუხოთ, ვერას გავარიგებთ, — დინჯად წარმოთქვა მღვდელმა ანანიამ, რომელიც ამდენ ხანს თავჩაღუნული იყო. — ერთადერთი ხსნა ჩვენი მისი თავიდან მოშორებაა. რამდენადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიშოროთ. ეს კარგად გახსოვდეთ. მაგრამ დღეს რომ მაგას ხელი წაავლო, გაბოროტებულმა ბრბომ, შეიძლება, მართლაც ცეცხლი წაუკიდოს ტაძარს წმიდას და სამუდამოდ მშრალზე დაგვსვას. ხერხით უნდა, მამანო, მოქმედება. ივ იარაღით უნდა ვებრძოლოთ, რა იარაღითაც ჩვენ გვებრძვის.

— უსათუოდ საჭიროა, მამანო, მისი რამე სიტყვაში დაჭერა, საჭიროა, როგორმე ბრბოს წინ გავაწბილოთ, სირცხვილი ვაჭამოთ. ბრბო, იცოდეთ, ცვალებადია. დღეს რომ მისია, ერთი თუ წააბორძიკე, შენკენ მობრუნდება და იმას ქვა-ტალახით გაუმასპინძლდება, — თქვა მეორემ.

— მართალია, მართალი! — წამოიძახეს მღვდლებმა.

— აბა მოვიფიქროთ, მამანო. ისეთი რამ მოვიფიქროთ, რომ ვერც „ჰო“ გვითხრას და ვერც „არა“. თუ ეს მოვახერხეთ როგორმე, ჩვენი საქმე ნახევრად მაინც მოგებული იქნება,— დაათავა მღვდელმა ანანიამ.

მღვდლები ჩაფიქრდნენ.

— შაბათს არ ინახავს, მამანო, შაბათს. ამაზე დიდი დანაშაული რა იქნება! — წამოიძახა რაბი იონამ.

— გაცვეთილია შენი აზრი. რამდენჯერ მოგვიგო: შაბათი კაცისთვის და არა კაცი შაბათისათვისაო, — მიუგო ანანიამ.

— ხელდაუბანელად პურსა ჭამს, — ფრთხილად თქვა რაბუნმა რუბენმა.

— მაგით რაბი იიშუს შენ ვერ გააწითლებ, — სიცილით წარმოთქვა ზორობაბელმა.

სხვებსაც გაეცინათ.

— მეზვერეებთან მეგობრობა აქვს, — თქვა ფარეზმა.

— კიდევ უკეთესს გეტყვით: ცოდვილებთან სვამს და ჭამს, — მოუსწრო რუბენმა.

— მეძავი ქალების დიდი ქომაგია თურმე, — დაუმატა იონამ.

— ოო, ახლა ვიცი, რა უნდა ვქნათ! — გააწყვეტინა რაბუნმა ანანიამ, თავი მაღლა აიღო და ამხანაგებს ჩუმად მიმართა. — ახლა ვიცი. მოფიქრებულია. მე როგორც გითხრათ, ისე მოიქეცით. მე მღვდელი ანანია არ ვიქნები, თუ რაბი იიშუ ხალხის წინაშე არ გავაწბილო!

— ამინ, ამინ! — წამოიძახეს მღვდლებმა და კვლავ ფულის თვლა განაგრძეს.

V

იერუსალიმის ტაძრის ვრცელ ეზოს ერთ კუთხეში ქვაზე იჯდა რაბი იიშუ. ჩაცმა-დახურვით უბრალო სოფლელისაგან არაფრით არ განირჩეოდა. ხელში მოკლე, სამგზავრო კომბალს ათამაშებდა. ირგვლივ მოზღვავებულიყო ქალი და კაცი, დიდი და პატარა. რაბი იიშუ მოძღვრებდა:

— ვინც ფარეხის კარს გზას უქცევს და ღობეს ებღაუჭება ფარეხში გადასასვლელად, თქმა არ უნდა, ქურდი და ავაზაკია. მწყემ-

სი კი თამამად მიდის კარებისკენ. იმას მეკარე მაშინვე კარს გაუღებს და ცხვრებიც მხიარული კიკინით და ფეხების ბაკუნით მიეგებებიან, რადგან იცნობენ მას. მწყემსი სალამურის საამო სტვენით ცხვარს წინ გაუძღვება, ცხვრები უშიშრად უკან დაედევნებიან, რადგან იციან, რომ სალამურის ხმას ნოყიერ საბალახოსკენ მიჰყავს ისინი და არა მგლის სოროსაკენ...

ხალხი სულგანაბული უსმენდა.

უეცრად რაღაც ჩოჩქოლი ატყდა ტაძრის გვერდით. ქალის გამწარებული კივილიც გაისმა.

— რას გარეტიანდი, მაგრა მოჰკიდე ხელი!

— რათა, კაცო, ასე თმას სულ შემოაგლეჯთ!

— მეორე ხელი შენ დაუჭირე!

—შენც მიეშველე! დაიწით, დაიწით, ნუ შემოეხვევით! — ისმოდა კანტიკუნტად ხმამაღლა ყვირილი.

ქალი გამწარებული გაჰკიოდა. რაბი იიშუ ნელა წამოდგა. იმის ირგვლივ მდგომი ხალხი იქითკენ გაეჩქარა, საიდანაც ჩოჩქოლი მოისმოდა, მაგრამ საჩქაროდ ისევ უკან დაბრუნდა, რადგან ეს აურზაური სწორედ რაბი იიშუსაკენ მიემართებოდა.

ოთხიოდ ზორბა ბიჭს მაგრა დაევლო მკლავებში ხელი თმაგაწეწილ მაღალ-მაღალ ქალისათვის და ძალით ეზიდებოდა. უკან ბრეულად მოსდევდნენ მღვდლები, ლევიტელები, მამაკაცები, ბავშვები, ქალები. ზოგი ხმამაღლა ხარხარებდა, ზოგი რაღაცას გაჰკიოდა, ზოგი უსტვენდა, ზოგიც სეირს უყურებდა.

ქალი რაბი იიშუს ახლო გააჩერეს. თავი დაღუნული ჰქონდა, ხშირი თმა წინ გადმოჰყროდა და სახე ხეირიანად არ უჩანდა.

— რა ამბავია, ბიჭო?

— იცი ვინ არის? — ისმოდა ხალხში.

— ერიჰა, ეს ხომ ხანნაა! ოჰ, რა ლამაზი ქალი იყო ერთ დროს! — მუხლზე ხელის დაკვრით თქვა ერთმა ჭაღარა კაცმა.

— მეც ვიცნობდი, პატარაობისას ვიცნობდი! — წამოიძახა მეორემ.

— ეს მღვდლები რად დასდევენ?

— სუთ, დაწყნარდით, ნუ ღრიალებთ, სმენა იყოს, სმენა! — თადარიგს იძლეოდა ერთი მაღალ-მაღალი გრძელწვერა მღვდელი და ხელებ მაღლა აშვერილი აქეთ-იქით ტრიალებდა.

როგორც იყო, ხალხი დაწყნარდა.

— მოძღვარო! — მიმართა გრძელწვერა მღვდელმა რაბი იიშუს. — ხალხი დიდ პატივსა გცემს, ალბათ ღირსიცა ხარ... აი, ეს ქალი მოვიყვანეთ, უნდა გაასამართლო. დარწმუნებული ვარ, მიუკერძოებლად განსჯი.

რაბი იიშუ ჩვეულებრივ მშვიდად იყურებოდა.

— აი, დღეს დიდებული დღეა ყოველ ისრაელისათვის. დღევანდელ დღეს ძე ისრაელისა იგონებს ორმოცი წლის მოგზაურობას უდაბნოში. ამ დიდებულ დღეს ყოველი ისრაელი, განურჩევლად სქესისა, ჰასაკისა, ღმერთს მადლობას უნდა სწირავდეს, რომ მან უდაბნოდან აღთქმის ქვეყანა დაუმკვიდრა და წრფელი გულით უნდა შეთხოვდეს შემდეგშიაც არ დაივიწყოს მან მის მიერ რჩეული ისრაელი. არვითარი სიბინძურე, არავითარი ცოდვა დღეს ისრაელმა გულშიაც არ უნდა გაიტაროს. მაგრამ ხედავთ, ამ დედაკაცს თავისი მაინც არ დაუშლია და აქ წმინდა ადგილშიაც მეძაობას სჩადის... წმინდა მოშემ ამისთანა დედაკაცს ქვით ჩაქოლვა დაუწერა. შენ რას იტყვი, მოძღვარო?

რაბი იიშუმ თავი ძირს დაჰკიდა და ჯოხის წვერით მტვერზე წერა დაიწყო.

— წმინდა მოშეს მცნება უნდა აღსრულდეს! ქვით უნდა ჩაიქოლოს მეძავი ქალი! — ხმაურობდნენ მღვდლები და ლევიტელები. მათში ერივნენ იონა, ფარეზ, ზორობაბელ, რომლებიც ყველაზე მაღლა გაჰკიოდნენ და შურით სავსე თვალებით რაბი იიშუსაკენ იყურებოდნენ.

— ჩაიქოლოს, ჩაიქოლოს! — ბანს აძლევდა ირგვლივ მდგომი ბრბოც.

— აბა თქვენც განსაჯეთ, ძმებო! — თითქმის ტირილით შიუბრუნდა მღვდელი ზორობაბელი ხალხს, წათამამებული მისი თანაგრძნობით. — განა ეს მოსათმენია, განა მთელი ისრაელის შეურაცხყოფა არ არის ესა?

რაბი იიშუ სდუმდა. ის კვლავ წერდა ჯოხის წვერით მტვერზე. მღვდლები, ლევიტელები და მათი ამყოლი ბრბო განუწყვეტლივ გაიძახოდნენ: ჩაიქოლოს, ჩაიქოლოსო. თვით ქალს, ბრძოლისა და კივილისაგან ღონემიხდილს, არც კი გაეგებოდა, რა ამბავი იყო. იმის თავს. კაცებს მაგრა რომ არ სჭეროდათ, ალბათ, გულშემოყრილი ძირს დაეცემოდა.

მღვდლები არა ცხრებოდნენ, რაბი იიშუს სამართალს თხოვდნენ. რაბი იიშუმ თავი მაღლა აიღო, იმწამსვე სიჩუმე ჩამოვარდა.

— დაისაჯოს, — მტკიცედ წარმოთქვა მან. — მაგრამ პირველად ქვა იმან ესროლოს, ვისაც თავისი თავი უცოდველ კაცად მიაჩნია, — თქვა ესა და თავის მწვავე თვალებით მღვდელთა გროვას შეაჩერდა. მღვდლები შეშფოთდნენ, სახეზე ალმური აედინათ და უკან-უკან დაიხიეს. რაბი იიშუმ თავი ისევ ძირს დაჰკიდა და ჯოხის წვერით წერა განაგრძო. ირგვლივ სიჩუმე იყო. მღვდლები სათითაოდ ტაძრისაკენ მიიპარებოდნენ.

შ ი შ ი

— ღმერთო აბრაამისაო, ისააკისაო და იაკობ მონისა შენისაო! შენ გადამარჩინე ამაღამ უვნებლად. ოოჰ! დედაჩემო, რა მაგრა წამოვკარი ფეხი იმ ძირგასახმობ ხის ფესვს და რა მწარედ დავეცი. უჰ, უჰ, რა მტკივა თეძოები! — ჩუმად კვნესოდა ვიღაცა და ხელების ფათურით, უგზო-უკვლოდ მიეხეტებოდა გეთსამანიის წალკოტის ერთ-ერთ ხშირ, ტყესავით დაბურულ კუთხეში.

შაუღამე გადასული იყო. ირგვლივ უკუნეთი სიბნელე გამეფებულიყო. მოშორებით, წალკოტის პირას, ქალაქის მხრივ ჩუმი ჩოჩქოლი მოისმოდა და რამდენიმე ჩირაღდანიც მკრთალად ანათებდა. ხმაურობა თანდათან წყდებოდა, ჩირაღდანთა მკრთალი შუქიც ნელ-ნელა ილეოდა.

— ვინა ხარ? კაცი ხარ, თუ ქაჯი ვინმე? — მოისმა მახლობლადვე შეფეთიანებულად ამონათქვამი ხმა.

— მე კაცი ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ? — თითქმის ძაგძაგით მიუგო პირველმა.

— იეღოვავ, შენ შემეწიე! ხმა კი მიუგავს. ნათანაილ, ბიჭო, შენ ხომ არა ხარ?

— აი, დიდება შენდა, იაკობ, შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ, ნუ გეშინია!

— რა ნუ გეშინია, შვილო, კაცი ძლივსღა ვდგევარ ფეხზე... აბა სადა ხარ, აქეთ მოიწი, ერთი ხელი შეგახო. ასე მგონია, თითქო ჯერ კიდევ სიზმარში ვარ-მეთქი.

— შენ თვითონ მოიწი აქეთ. მე თხრილში ვწევარ. არც კი მახსოვს, როგორ მოვალწიე აქამდის. აქ კი მუხლები ჩამეკეცა. ჯერ ფეხის განძრევასაც ვერ ვახერხებ ხეირიანად.

— ა...ა... ჩემი ცოდო, — კრუსუნებდა ნათანაილ, ხელებს ფოთოლ-ბალახებში ფრთხილად აფათურებდა და იაკობისკენ მიიწევდა.

— თქვენა ხართ? თქვენა ხართ? მადლობა უფალს! — ჩუმად, ხმის კანკალით წარმოთქვა ვიღამაც იქვე მახლობლად. — შიშით ყინალამ სული ამომხდა.

— იაკობ, ნუ გეშინია, თომაც აქვე ყოფილა, ჩვენა ვართ, თომა, აქეთ მოიწი.

— თადეოზიც ჩემთან არის, მაგრამ ისე დაშინებულია უბედური, რომ ენა ჩავარდნილი აქვს, ხმასაც ვერ იღებს. — ახლა უფრო თამამად მოსძახა თომამ. — თუმცა არც მე ვარ უკეთეს ყოფაში. ჩემს სიცოცხლეში ასეთი შიში არ გამომიცდია. ხამლის თასმაც საუბედუროდ ეკლიან ბუჩქნარს მოედო, როცა მოვრბოდი, წავიბოთირე და ძალზე დავეცი.

— ჩვენიანთ ხმაა სწორედ! — გაისმა ხშირ ფოთლებში ნაცნობი ხმა.

— ანდრეა! — იმედიანად წამოიძახეს დანარჩენებმა.

— იაკობ, აქა ხარ?

— აქა ვარ?

— შიმონ-კეფა მანდ არი?

— არა, აქა ვართ მე, ნათანაილ, თომა და თადეოზ.

— ფილიპე, ფილიპე, აქეთკენ გამოეჩქარე, ჩვენები აქა ყოფილან! — ჩუმად ძახდა ანდრეა. — ძმებო! ვაი ჩვენი ბრალი! — ნწარე დაღონებით წარმოთქვა, როცა დანარჩენებთან მივიდა, — დავიღუპეთ, მოძღვარი წაგვართვეს. ჩვენი სასოება რაბი იიშუ დაგვიპატიმრეს.

— კაცნო, ჯერეთაც გონს არ მოვსულვარ, რა მოხდა, რა ამბავი იყო? სიზმარში მგონია ჩემი თავი, — ამბობდა ნათანაილ. — რაც ბეთანიაში შიმონ ფარისეველი გაგვიმასპინძლდა, მას აქეთ უქეიფოთა ვარ, ტკბილ ღვინოს დაეძალე და მაწყინა. ბოლო დროს სულ უარესად ვგრძნობდი თავს. ამ საღამოს, მოძღვარს ზათრი არ გაუტეხე, თორემ სერობაში ინახით ჯდომის თავი სრულებით არა მქონდა. კარგად არც კი მახსოვს, როგორ ვისერობეთ. მგონი ფეხებიც მოძღვარმა დაგვბანა. წალკოტში თავი შემოვყავით თუ არა, მე მაშინვე მდელოზე გავგორდი და მკვდარივით დამეძინა... რაღაც სიზმარში ვიყავი და უცბად, აი, ღმერთო ჩემო! თვალებში შემომანათა ჩირაღდანმა, რაღაც ჭახაჭუხიც მომესმა... ის არა,ის არაო, ყვიროდა ვიღაცა. მოძღვარსაც თვალი მოვკარ იმ

აურზაურში, ვიღაცა მოეკიდა, თუ მისკენ საცემად მიიწევდა, კარ-გად ვერ გავარჩიე. ხოცავენ, ხოცავენო, მომესმა, თავს უშველეთ, თავს უშველეთო, და მეც ახალმა ნამძინარევმა არ ვიცოდი, საით გავრბოდი. გული ჯერაც არ დამმშვიდებია.

— არა, რაღაც კარგი რომ არ მოგველოდა, ვიცოდი, — სიტყვა ჩამოართვა იაკობმა. — ამ ორი თვის წინათ ისეთი ცუდი სიზმარი ვნახე, რომ მას შემდეგ ჩემ კალაპოტში არა ვარ. შენ კი გიამბე, მგონი, ანდრეა? მივდივართ, კაცნო, ვითომ ნავით გენისარეთის ტბაზე. ამოვარდა ქარიშხალი, აღელდა ზღვა საშინლად; აქაფებული ტალღა ტალღაზე მოგორავს და შხუილით ეხეთქება ჩვენ საცოდავ ნავს. ანძას ღრიჭინი გააქვს და ეს არის შუაში უნდა გადატყდეს. კეფა კი საჭეს ტართან არხეინად ზის და გაიძახის: ფიქრი ნუ გაქვთ, მოძღვარი უბრძანებს და ქარიშხალი მყისვე ჩადგებაო. მოძღვარი კი ჩვენ შორის არა ჩანდა. „სად არის მოძღვარი, მოძღვარი", — ავწუწუნდით ყველანი. ამ დროს წამოვიდა საშინელი გრიალით ერთი უშველებელი ტალღა, ეცა ჩვენს ნავს და ვარცლივით თავქვე მოაქცია. მე ვითომ თავით ძირს წყალში გადვიჩეხე, ძლიერ გამაჟრჟოლა და კიდეც გამომეღვიძა. ან სიზმარი რაღად გინდა — ცხადადაც აშკარა იყო, რომ ხიფათი კარზე გვედგა. რაც მოძღვარმა შარშანწინ ვაჭრები ტაძრიდან იფრინა, იმ დღიდან ამ დასაქცევ იერუსალიმში ფეხის შედგმისა მეშინოდა. რაც მოძღვარმა რაბუნობა დაიწყო, იმთავიდან უკმაყოფილო იყო ხომ სამღვდელოება მისი, მაგრამ ვაჭრების ფულის დაბნევამ და მტრედების ტაძარში გაყიდვის წინააღმდეგობამ მეტად გააჯავრა თურმე მღვდელ-ლევიტელნი. თურმე მტრედებისაგან დიდი შემოსავალი ჰქონიათ. მოხუც მღვდელმთავარს ეთქვა თურმე: დამაცადოს რაბი იიშუმ, ხალხის ამბოხებას ეწევა, მაგრამ მე ანნა — მღვდელმთავარი არ ვიქნები, თუ ხელთ არ ჩავიგდე და არ დავღუპეო. მას აქეთაა, ყოველ მარჯვე დროს სულ იმას ჩავჩიჩინებდი: მოძღვარო, რა გინდა ამ დასაქცევ და გახრიოკებულ იუდეაში, გალილეას მივაშუროთ. იქ არიან ყველა ჩვენები, იქ ვუყვარვართ, იქ გვისმენენ, იქ გვიმასპინძლდებიან. აქ ყოველ ფეხის გადადგმაზე ფარისეველობა და სამღვდელოებაა, დაუსრულებელი კამათი და მუქარაა, თავი დავანებოთ, გავშორდეთ-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებდა. მტერს არ დავემალები, სამღვდელოებამ გარყვნა ტაძარი ღვთისა, იმათ კრიჭაში უნდა უდგეო და აი, აღსრულდა კიდეც.

— ეს ყველა კარგი ვიცით, გვსმენია, — გააწყვეტინა თომამ, — მე ხეირიანად ჯერეც არა მაქვს წარმოდგენილი, თუ რა. მოხდა

ეაცო. მართალი გითხრათ, რაც აქ შემოვედით, მას აქეთ მეც მეძინა. რა იყო, ვინ დაგვესხა თავს? ვინ ან რისთვის დაიპირეს მოძღვარი? მერე ამ წალკოტში ვინ მოასწავლა? თუ ბრალსა სდებდნენ რასმე, რატომ დღისით არ დააპატიმრეს, მთელი დღე ტაძარში არ იყო? მოძღვარი ხომ არ იმალებოდა? ახლახან არ იყო, რომ ორი დამსახურებული დეკანოზ-ფარისეველი შეეკითხა: „მოძღვარო, ვიცით რომ ღვთისაგან ხარო, ერთი აგვიხსენი, კეისარს ხარკი უნდა ვაძლიოთ თუ არა...“

— აქა ხართ, სული გიდგიათ, თქვე უბედურებო? — გაისმა ახლად მოსულის მწუხარე ხმა.

— შიმონ, კეფა-შიმონ! — რაღაც იმედიანად წამოიძახა ყველამ. — შიმონ, გვითხარ რამე სანუგეშო, გაგვაგებინე, სად არის მოძღვარი, რა მოხდა, ვინ წაიყვანა, ან სად წაიყვანეს? — ეკითხებოდნენ აქეთ-იქით.

— რა მოხდა, როგორ მოხდა? განა მოსალოდნელი არ იყო? განა მოძღვარი თვითონ არა გრძნობდა? გინახავთ როდისმე ისე დაფიქრებული, როგორც დღეს იყო? სულ ადვილად მოხდა ყველაფერი. ძმებო, იცოდეთ, ყელი გამოგვეჭრა, შეერცხვით! — ბოღმით ამბობდა კეფა, — კარიოტელმა გვიღალატა, იმან გასცა მოძღვარი.

— იუდამ, იუდამ? რას ამბობ, შიმონ!..

— ცხადია, იუდამ ყველას ყელი გამოგვჭრა. ჩემი თვალით ვნახე, მღვდელმთავრის ბიჭებს წინ მოუძღოდა. ახლა ყველაფერს მივხვდი. თუ შეამჩნიეთ, სერობაზედაც მოძღვარმა რაღაც ეჭვიანი თვალით გადახედა, იუდაც ადრე წავიდა. მე მეგონა, დროით სანოვაგის სასყიდლად წავიდა-მეთქი. აკი მეგვადრუცე იყო. თურმე სასახლეში წასულა შეჩვენებული. მე უბედურს რამდენჯერმე მითხრა მოძღვარმა, კეფა, მღვიძარე იყავი, განსაცდელი მოახლოებულიაო. მე მაინც ღმერთი გამიწყრა და ჩამთვლიმა. ჩირაღდნის დანახვა და მაშინათვე გამომეღვიძა კი. კარიოტელი უსირცხვილოდ მოძღვართან მივიდა და მიესალმა, უკან ზორობაბელ მღვდელი მოსდევდა, ძველი ტანისამოსი ჩაეცო, ვითომ არ მიცნონო. ზოროზაბელმა მოძღვარს კალთაში ხელი წაავლო, სასახლის ბიჭებიც მიეშველნენ და მოძღვარს ხელებში სწვდნენ. მოძღვარი სრულებით დამშვიდებული იყო. ერთი ბეწო რამ თავსაშველად არ მოუმოქმედნია. ტუკები და მახვილ-შუბები რაღა საჭირო იყო, მე ქურდი და ავაზაკი ხომ არა ვარ, როდის იყო იარაღს ვატარებდიო, მშვიდად უთხრა ზორობაბელს. ის ჩვენ ვიცითო, გეყოფა, რაც შენ

ჩვენი სისხლი სწოვე, ახლა ჯერი ჩვენიაო. არიქათ, ბიჭებო, მოდით, ხელები შეუკარითო. მე ერთ ხანს დავიბენი, მაგრამ ჩქარა გამოვერკვიე და დანითა და მუშტით დავერიე მტრებს, მზად ვიყავ, თავი შემეწირა, მაგრამ რაბიმ ჩვეულებრივი ტკბილი ხმით ჩამჩურჩულა: შიმონ, რას ჩადიხარ, უაზრობაა შენი საქციელი, ამდენ შეიარაღებულ ხალხთან აბა რას უნდა გახდეო. მერე რა მოხდა, აღარა მახსოვს რა. როცა გონს მოვედი, წალკოტში უგზოუკვლოდ დავეხეტებოდი და ამ ხეტიალში თქვენ წაგაწყდით.

ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ.

— ყველანი აქ ზართ?

— შიმონ კანანელი არა ჩანს; მგონია მათე მეზვერეც გვაკლია. — თქვა ერთმა.

— მე აგერა ვარ! — გაისმა მკრთალი ხმა. — მე სულ არაფერი არ გამიგია. დიდი ზეთისხილის ხის ქვეშ მეძინა. ფილიპემ, როცა მორბოდა, ფეხი დამადგა და გამომაღვიძა.

— ნეტავ ვიცოდე, იოანე სადღა დაიკარგა? — ნაღვლობდა შიმონ-კეფა.

— შეიძლება ისიც დააპატიმრეს, — თქვა ნათანაილმა.

— არა მგონია, ისინი მხოლოდ საგანგებოდ რაბი იიშუსთან მოვიდნენ. იოანე უსათუოდ ფეხდაფეხ გაჰყვა მათ. ის მოძღვარს შორით მაინც არ მოშორდებოდა.

— ვითომ სად წაიყვანდნენ მოძღვარს? — იკითხა იაკობმა.

— უეჭველია, მღვდელმთავრის სასახლეში. ჯერ მოსულნი არცკი იქნებიან — მიუგო შიმონმა, — ძმებო, ასე გულხელდაკრეფილნი უნდა ვიყვნეთ? მოძღვარს არ მივეშველნეთ?

— მოულოდნელმა შემთხვევამ გზა-კვალი აგვიბნია, — თქვა იაკობმა.

— კაცნო, მართლაც და რამ დაგვაშინა ამ ზომამდე? — წარმოთქვა ანდრეამ. — მოვკალით ვინმე? მოვიპარეთ რამე? თავს დავესხით ვისმე და გავცარცვეთ? ერთი მითხარით, ან რაბი იიშუა, ან ჩვენ ვისმესთან რა დანაშაული მიგვიძღვის? ცოლი წავართვით ვისმე თუ ასული; ყანა მივითვისეთ სხვისი, თუ ვენახი? ვისი უნდა გვეშინოდეს! ეთიოპთა ქვეყანაში ხომ არა ვართ. სჯულით და კანონით ყოველ ნათესავთა შორის ქებულია სახელი ისრაელისა და თუ უკანონობა მხოლოდ ჩვენ მოძღვარზე მოვა, იმ რაბი იიშუზე, რომელსაც აღმერთებს მთელი გალილეა, იუდეა და იორდანის გაღმა მხარე. ტვიროსით და სიდონით განთქმულია მისი ქება და აი იერუსალიმში, ამ ჩვენ მამა-პაპათა სალოცავში, განა წარმოსადგე-

ნია, რომ იიშუს უკანონოდ შეეხოს ვისიმე ბოროტი ხელი? მთელი ხალხი ხომ ჩვენ მხარეზეა. ის ხალხი, რომელიც გუშინწინ ბაია და დანაკის კუდით გზას უფენდა და „ოსანას“ ძახილით მოაცილებდა კიცვსა ზედა კარაულისასა მჯდომარე მოძღვარს, უეჭველია, დღესაც თავს გამოიდებს იმისთვის. ამიტომ ჩვენ ამაღამვე შეგვიძლია მღვდელმთავრის სასახლეში მივიდეთ და კანონის ძალით მოვითხოვოთ, რომ რაბი იიშუ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ. ის ხომ ბარიანთა შთამომავალი არ არის, რომ განუსჯელად წარწყმიდონ. მეწამული ზღვის ტალღებით და ცეცხლით განსწმინდა უფალმან მამანი ჩვენნი. ზეცით გამო მანანა უწვიმა და მით გამოზარდა ორმოც წელ, უკუ აქცია იორდანე და დაუმორჩილა სოფლითი-სოფლად ამშონი და მოაბი...

— მართალია, მართალია! — ახმაურდნენ ყველანი.

— რაბი იიშუს ვინ რა უნდა გაუბედოს! ჩვენც თავი უნდა გამოვიდოთ!

— მართლაც და იმდენად როგორ შევშინდით, კაცნო, რომ ერთმანეთის ცნობაც დავკარგეთ!

— უნდა მივეშველნეთ!

— ჩვენც კაცები არა ვართ?!

— შერცხვენილი იყოს, ვინც უკან დაიხიოს!

ამ დროს მახლობლად რაღაც ფრინველმა მძლავრად შეიფრთხიალა და ერთიც საზარლად დაიჩხავლა.

ყველამ სული განაბა.

— ალბათ, ჰოტია... გასაქვავებელი!. — მორცხვად დაარღვია ხიჩუმე იაკობმა.

— კაჭკაჭი უნდა იყოს! — მიუგო თომამ.

— ა...ა, — მძიმედ ამოიოხრა შიმონმა.

სხვები ისევ სდუმდნენ.

— კაცნო, სანამდის უნდა ვიყვნეთ ასე? — თქვა შიმონმა.

— მართლაც და რამე უნდა ვიღონოთ, — გამოეხმაურნენ სხვებიც.

— აი, რა გითხრათ, ძმებო, — დინჯად წარმოთქვა ნათანაილმა. — არა ერთხელ გსმენიათ, რომ მოძღვარი მართლის მთქმელს მეძახდა. ნუკი მიწყენთ, თუ ახლაც გულახდილად ზოგიერთისთვის არასასიამოვნოს ვიტყვი. კაცმა ცოტა უნდა თქვას და ბევრი მოიმოქმედოს. ჩვენ კი ვლაპარაკობთ ბევრს და ცოტას ვაკეთებთ. ეი ამ წუთში ჩიტმა ბუჩქებში შეიფრთხიალა და ყველას შიშით მუხლები ჩაგვეკეცა. როგორ დამაჯერებს ვინმე, რომ იმდენი გამბე-

დაობა გამოვიჩინოთ, ამ წყვდიად შუაღამეში მღვდელმთავრის სასახლეში მივიდეთ და დაპატიმრებულის განთავისუფლება მოვითხოვოთ. ჯერ დავიცადოთ, ხვალინდელი დღე გათენდეს. შეიკრიბოს ხალხი ტაძარში. პასექია, გალილეველნიც ბევრნი მოვლენ. დავტრიალდეთ ხალხში, გავაგებინოთ რაშია საქმე და შეიძლება მღვდელ-ლევიტელებს შარშანწინდელზე უარესი დღე დავაყენოთ,

— მართალია, მართალია! — მოსძახეს აქეთ-იქიდან.

— მე, თუ გნებავთ, ამაღამვე ბეთანიაში წავალ და ლაზარიანთ შევატყობინებ. იქნება იქაურებმაც თავი გამოიდონ. მოძღვარი ბეთანელებს ძლიერ უყვართ. — თქვა მათემ.

— წასვლა თუ არის საჭირო სადმე, ნუ დამზოგავთ, თუ გინდა ორ დღეში დამასკოში ჩავირბენ, — შენიშნა თომამ, — სხვაფრივ ნუკი მიწყენთ და, ხომ იცით, მორცხვი და გაუბედავი კაცი ვარ. ამაღამ კი არა, ვეჭობ, რომ ხვალაც მივიდე აშკარად მღვდელმთავრის სასახლეში. საცა გინდათ, მგზავნეთ... მღვდელმთავრის და ფარისევლების მოკამათეთ აბა მე რას გამოვდგები!

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სევდამ და მწუხარებამ მოიცვა ყველას გული.

— ყოვლად შეუძლებელია, ამაღამვე უნდა შევიტყო, რა მოუვიდა მოძღვარს. იოანე უეჭველია სადმე იქვე შორიახლო იქნება და უნდა მოვძებნო, — ატირებული ხმით წარმოთქვა შიმონ-კეფამ, — აბა ჩემთან ვინ მოდიხართ?

— შეჩვენებული იუდა! უსინიდისო, გამცემი! — მიუგეს პასუხად.

— მე იუდას ამბავს არ გეკითხებით, ის ჩვენთვის უკვე მკვდარია. ჩემთან ვინ მოდიხართ-მეთქი? — ხმას აუმაღლა შიმონმა.

ყველა სდუმდა.

— ანდრეა, ძმაო, შენ ხომ წამოხვალ!

ანდრეაც სდუმდა.

— არ გესმის, ანდრეა?

— ჩვენ მარტო რა უნდა გავაკეთოთ, თუ სხვებიც არ წამოვლენ? — ძლივს გასაგონად მიუგო ანდრეამ.

— რას ამბობ, ძმაო, აკი შენმა სიტყვებმა ყველას კინაღამ ფრთები შეგვასხა, ასე ჩქარა რამ დაგაშინა? შენგან არ მოველოდი მაგას! — ბრაზობდა შიმონ-კეფა.

— ეი, მანდ ვინ ხმაურობს? ღვთის გულისათვის ძროხა ხომ არ გინახავთ ამ საღამოს? — მოისმა ვიღაც უცნობის ხმა წალკოტის მახლობელ მინდვრიდან.

უცნობს სიტყვის დამთავრება არ დასცალდა. წალკოტში რაღაც გაურკვეველი ხმაურობა და ფოთლების შრიალი მოისმა.

— ეს რა ამბავია, მეუფეო ზეცათაო?! თუ კაცები იყვნენ, რატომ ხმა არ ამოიღეს? სად გაიქცნენ!... სწორედ მაცდური მომეულინა კაცის სახედ... ტყუილად კი არ ამბობენ, გეთსამენია ქაჯთა ბუდეაო. ნავახშმევს აქეთკენ ცეცხლის შუქიც ლაპლაპებდა. სწორედ ქაჯები იქნებოდნენ!.. — ბუტბუტებდა უცნობი და გულგახეთქილი შინისაკენ მიეჩქარებოდა.





გაცრუებული იმედი

I

შორიდანვე მოჩანს მთა სიონი და მაზე თავმომწონედ ამართული ციხე დიდებული დავით ისრაელთა მეფისა. სიონს ირგვლივ ქალაქი იერუსალიმი არტყია. აჰა, აღმოსავლეთით, ზეთისხილის მთის მახლობლად, ტაძარი, უთვალავი სტოვებით, ეზოებით და სხვადასხვა ზომის და სახის შენობებით. ამ ტაძრის აშენებას უთვალავი ფული, ბევრი დრო და უზომო შრომა მოანდომეს ძეთა ისრაელისათა. სამოცდაათი წლის მონობით დამცირებულთ, ქონებით გაღატაკებულთ და ეფრატის გაღმა ცხოვრებით ნახევრად გადაგვარებულთ წელზე ფეხი დაიდგეს და კვლავ აალაპლაპეს მტრისაგან აოხრებული და დროებით მიმქრალი სამსხვერპლო. მეფე იროდ დიდმა ტაძარი მაღალ კოშკებით და გუმბათებით შეამკო. თავის დროში იგი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უმშვენიერეს ნაშთს წარმოადგენდა. ციხის გვერდით სიონისავე გორაკზე რამდენიმე სასახლე გამოჭიმულა. სიონის სამხრეთით კი, თითქის ქალაქის ზღუდესთან მოჩანს ეულად საფლავი დიდებული გოლიათის მძლის დავითისა. თუმცა დავითი ათას წელზე მეტია, რაც მიწას მიებარა, მაგრამ მაინც დუღს და გადმოდის სიცოცხლე ქალაქ იერუსალიმში. გარეგნობით უკეთ გამოიყურება, ვიდრე მაშინ, როცა ბრძანებლობდა ბრძენი სოლომონი. ახლაც ხომ იგივე ლაჟვარდოვანი ცა დაჰყურებს და იგივ თბილი, იგივ მოელვარე მზე დანათის, რომელიც ოქროს სხივებით ეგებებოდა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ძლევამოსილ მეფეთ მეფეს.

მაგრამ თუ დააკვირდებით, განსხვავებაც დიდია აწინდელ და მაშინდელ დროს შუა.

ტაძრის გვერდით თლილი ქვისაგან ნაშენ კოპწია სასახლეში პონტოელი პილატე დამკვიდრებულა. ნებივრობის და ქეიფობის

ახლადმოვლენილი ბატონი ურიასტანისა. ოქროს სასმისით შეეგ-
ცევა ტკბილ ღვინოს და რომის კეისრის დღეგრძელობას ღმერ-
თებს ავედრებს.

ტაძარი უფლისა მძარცველთა შესაკრებელი გამხდარა. იქ
ბრძანებულობს უცხოეთიდან საგანგებოდ მოწოდებული მღვდელ-
მთავარი ანნა, კაცი ჭკვიანი, გონებამახვილი, მაგრამ ფლიდი, ურ-
წმუნო და ანგარებით აღვსილი.

თუმცა მაღალი და სქელი ციხის კედლები ამაყად დაჰყურებს
მიდამოს, მაგრამ შიგ რომაელთა ლეგიონი გაბატონებულა. ციხის
გალავანზე ნებანებაზე ფრიალებს გამარჯვებას ჩვეული კეისრის
დროშა. ისრაილი დამცირებულა. თუმცა ისმის დავითის ქნარზე
დანამღერი ფსალმუნთ გალობა, მაგრამ ეს ისე არა ჰგავს დავი-
თის გალობას, როგორც ყვავის ჩხავილი ბულბულის სტვენას. აღარ
არის სპეტაკი დრო, დრო ისრაილთა თავისუფლად და ბედნიერად
ცხოვრებისა.

ძენი ისრაილისანი უკიდურეს შევიწროებას და უსამართლო-
ბას განიცდიან: მეათედს ეზიდებიან მღვდელ-ლევიტელნი, ხარკს
თხოულობს კეისარი; ნიადაგი კი ძველებურ მოსავალს არ იძლევა.
ქვეყანა, სადაც სდიოდა რძე და თაფლი, უდაბნოს დამსგავსებია.
წვიმა ნაკლებ მოდის, სეტყვა-მეხი კი გახშირდა, კარგა ხანია აღარ
ჰკურნავს სულოამის საბანელი. მეზვერეთაგან აწიოკებულ ქვრივ-
ობლების წივილ-კივილი აყრუებს. სამართალი ბნელში მომწყვ-
დეულია, უსამართლობა თამამად მზის სხივებზე ხარობს. ყველა
დაშინებულა, ხმას ვერავინ იღებს. ყველა უფრთხის, თავის ქერას,
თავის ცოლ-შვილს, ცოტა რამ ეჭვი საკმაოა, რომ სამსჯავროში
დაიბარონ და თუ ერთხელ ჩავარდა რომაელთა ხელში, საქმე მორჩო-
მილია; ადრე ვერ ნახავს ლეღვის ხეს, რომელიც მისი ქოხის წინ
ქოლგასავით გაშლილა და რომლის ფართო და სქელი ფოთოლი
მზის მწვავე სხივებისაგან იფარავს მის კარ-მიდამოს და ვერც იგე-
მებს მის ტკბილ ნაყოფს თითო-თითოდ. ყველა უმწეოა, პატივ-
აყრილი, საერთო ძალის შემქმნელი არავინ მოიძებნება. ბრბო შე-
უგნებელი, დაჩაგრული, ბრბო უვიცი ვერ მიმხვდარა მის ამ ზო-
მამდე დაქვეითების მიზეზს. მას ყოველგვარი უბედურების მიზეზი
თავისი ცოდვები ჰგონია. დამშეული, უკანასკნელ ლუკმას იკლებს,
შესაწირავი მიაქვს და იერუსალიმის ტაძრისკენ მიეშურება. მას
ყველგან თავის ცოდვები აგონდება. თვეში ერთხელ არის თუ კარ-
გად გამოძღა, ესეც დიდი ცოდო ჰგონია, ტაძარში მირბის და
ხელებაპყრობილი ზეცას პატიებას თხოვს. ზეცა კი სდუმს. გაჭირ-

ვებულ-დაჩაგრულ და უსამართლებულთა მწარე ამონაკვნესი მის ყურამდე ვერ აღწევს...

მხოლოდ ტაძარი იერუსალიმისა ახმაურებულა მღვდელ-ლევიტელთა ღაღადისით... ალილუიას გალობენ და უხვ შესაწირავისათვის იეღოვას გუნდრუკს უკმევენ, მადლობას სწირავენ.

II

დღესასწაულია, დიდებული დღესასწაული. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა იერუსალიმისაკენ მიეშურება. სავსეა ხალხით ვეებერთელა ეზო ტაძრისა. სოფლის კიდით კიდემდე გაფანტული ისრაელი მოსულა აქ დღეს. ბევრს ზღვა და ხმელეთი გადაულახავს, ათასგვარი ფათერაკი გამოუცდია, რამდენჯერმე სიკვდილს ერთი ბეწო გადარჩენია, მაგრამ მაინც მოუღწევია მამაპაპათა სალოცავამდის. იქნებ ცოცხალი ვერც კი დაბრუნდეს შინ, კვლავ ვერ ეღირსოს, გულში ჩაიხუტოს თავისი თმახუჭუჭა გოგონა. იქნებ მის სასამაროდ განმზადებულ გვამს ვერც კი დაეცეს მდუღარე ცრემლები ცოლისა, მაგრამ ის მაინც ბედნიერად გრძნობს თავს, რომ მოაღწია იერუსალიმამდე, რომ თავისი თვალით იხილა „გვერდი ჩრდილოსანი" მთა სიონისა და ეულად მიგდებული საფლავი დავითისა.

— ენუქ, კაცო, რა ხანია შენ დაგეძებ. მთელი ეს უშველებელი ეზო ბარემ ხუთჯერ შემოვირბინე. მერე ასეთ დროს! ერთი წუთი ასრ დრაკანი ღირს. განა საქმის მოცდენის დროა, მადლობა უფალს! ორმოცდაათი მორიგე მღვდელი და ორას-ოცი ლევიტელი ციბრუტივით ვტრიალებთ და ვერ აუდივართ, იმდენი შესაწირავი მოგვაწვა. მოდის, რაღა, ღვთის წყალობა, — აღტაცებით უთხრა ერთმა გრძელწვერამ და გრძელ ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა მეორეს, ტანით მომცრო, ქოსა და პირდანაოჭებულ, ოდნავ აპაღარებულ კაცს და ხელი მხარზე დაუცაცუნა.

— მე რაღა ძებნა მჭირია. ყველგან ვარ და არსად არა ვარ. აქაც ვარ და იქაც ვარ.

— მე კი იქ ვერა განახე და აქ კი გხედავ. მაგრამ ლათაიებს თავი დავანებოთ. პატივცემულო ენუქ, მღვდელმთავარმა დამაბარა.

— ღმერთმა ნუ მოაკლოს მისი მადლი არაბეთის უდაბნოს!

— შენ კი არ გინდა?

— მადლი შენთვის დამითმია, ღირსო რაბუნო ილია, მე კი

ოქროებით გაკენჭილი ქისა მიბოძოს, — ცბიერად უთხრა ენუქამ, — ნეტავ რას მიბრძანებს მისი უწმინდესობა.

— აბა, შენ იცი, დღეს უეჭველად მოვა აქაო და თუ ამას რამე საწინააღმდეგო სიტყვებში დაიჭერ და საიმედო მოწმეებსაც დაისწრებ, მაშინ შენი საჩუქარი მე ვიცი. ხომ იცი ვიზე გელაპარაკები, რაბი იიშუზე, — თითქვის ყურში ჩასჩურჩულა მღვდელმა ილიამ.

— მესმის, მოძღვარო, მესმის.

— თუ მაგას საქმეს ისე მოუწყობ, რომ მაგის თავს დააჭერინებ და საპატიმროში ჩაასმევინებ, ორას დრაკანს მარტო ჩვენ მღვდლები დაგითვლით. მაშ ასე?

— მე ორჯერ თქმა არ მინდა.

რაბუნი ილია საჩქაროდ სამსხვერპლოსკენ გაეშურა, ენუქამ კი ხალხში უგზო-უკვლოდ ხეტიალი გააგრძელა.

ის მიდიოდა აუჩქარებლად, დინჯად. სახეზე სრული სიმშვიდე ეხატებოდა. თითქო საგანგებოდ არავის არ ათვალიერებდა, მაგრამ იმავე დროს ყველას და ყოველფერს ხედავდა. ენუქ მიუახლოვდა ტაძრის გალავნის ერთ-ერთ დიდ, სპილენძით შეკედილ ალაყაფის კარებს და იქ ქვაზე ჩამოჯდა. ალაყაფის კარები კედრონის წყაროს ხრამს გადაჰყურებდა. ფერდობზე გველივით დაკლაკნილი მიხვეულ-მოხვეული გზა მოჩანდა. დღეს ამ გზაზე უთვალავი ხალხი მიდი-მოდიოდა და ერთი შეხედვით მთელი გზაც კაცს რალაც ცოცხალ არსებად მოეჩვენებოდა.

„რაბი იიშუ? — ფიქრობდა ენუქა, — ჯერ არ მოსულა, ეტყობა. არა მგონია, რომ გამომპაროდეს. ყველა საეჭვო და არაკეთილსაიმედო პირი, ვინც მოვიდა დღეს აქ, ხომ ანი და ბანივით ხელზე მიწერია. სვიქემელი ოსიაც შევამჩნიე. თუმცა ჩემი თვალსახვევი ქსელიც ბევრი გაუბამს: სხვანაირად მორთულ-მოკაზმული, წვერულვაშიც შეუკრეჭია, ლოყები დაუმურავს, წარბები ბროწეულის შემწვარი კანით შეუღებავს, მაგრამ, უკაცრაოდ, ჩემ დახელოვნებულ თვალებს აბა რა გამოეპარება. მომითმინოს, იმასაც უკან მივაყოლებ ახლახან შორს ქვეყნებში გაგზავნილ, რჯულის ამრევ-დამრევ და მთავრობის ურჩ მწიგნობრებს: ზაქარია, ზაქე, ზოროზაბელ და გედეონს. მასაც ვაჩვენებ კირენაიკის უდაბნოს, ან კართაგენის ნანგრევებს, ან ნილოსის ჭაობებს. მე ენუქ ჯაშუშთა უხუცესი არა ვყოფილვარ, თუ იგი დღესვე არ დავაჭერინე და მახერონის ციხეში არ ჩავასმევინე. ას დრაკანს ხომ მაინც მომცემენ. მომითმინონ, მე მათ ვაჩვენებ, თუ როგორ უნდა დიდებული კეი-

სრის მიერ დამყარებული წესწყობილების დაწუნება. რაბი იიშუ? ამ ბოლო ხანებში ხომ მთელი იუდეა და გალილეა მაზე ლაპარაკობს. საუცხოო რაბუნიაო, მისი მოძღვრების სმენით კაცი ვერ გაძღებაო. საცა მივა, ქალი და კაცი ბუზივით დაესევა ხოლმეო, სამღვდელოების დიდი მტერია თურმე და კიდეც იმიტომაა, რომ კისერს მოსაჭრელად სდებენ ჩვენი წმინდა მამები, ოღონდ ციხეში უკრან თავი, ან სადმე შორს გადაასახლონ. ამასთანავე ფრთხილი და წინდახედულია თურმე. ერთი ორჯერ მეც ვნახე ბეთანიაში და სანამ მე იქ ვიყავი, სიტყვა არ დაუძრავს. აქ კი ისე ადვილად ვერ მომიშორებს. ხშირ საზოგადოებაში შეუძლებელია არ იმოძღვროს და მეც ხომ ჩემი ყურით და მზერით იქ ვიქნები. თუ ღმერთმა ინება და ან კეისრის, ან პილატეს ძვირი წამოცდა, ხომ ულვთოდ ავშენდი? ორთავ ჯიბეს ამოვკენჭავ თეთრი დრაკნებით. პილატეც დამასაჩუქრებს და მღვდელმთავარიც. ღვთის წყალობა, ორი ვენახი კი მაქვს ქერბონში, მესამესაც მივაყიდი. ამბობენ, საძაგელი ხელობაა ჯაშუშობაო, უსინიდისო სამსახურიაო, რატომ არის უსინიდისო სამსახური? წმინდა მღვდელმთავარი საუზმეზე მპატიჟობს. სხვებს რომ პილატეს ნახვა უნდოდეთ, სამი თვე მაინც უნდა იხეტიალონ და ათას კაცს ეხვეწონ და ქრთამი ხარჯონ. მე კი თუ მინდა შუაღამეს მოვიდე, შემიშვებენ. ფულს მაძლევენ და მასაჩუქრებენ. ბევრს ვეზიზღები მართალია... მოიცა, ეგ რაღაც სხვა კილოზე მომესმა ლაპარაკი", — ოდნავ გასაგონად წაიბუტბუტა ენუქამ და საჩქაროდ ზეზე წამოიჭრა.

III

— აი, საყვარელო შვილო, — ეუბნებოდა ერთი მაღალი ტანის და მკვიდრი აგებულების კაცი მის გვერდით მიმავალ საულვაშე ოდნავ ამწვანებულ ვაჟს, — აი, შვილო, ტაძარი, ადგილსამკვიდრებელი ღვთისა მამისა ჩვენისა. ხუთი ერგასი უკვე გავიდა, რაც ჩვენ ირმაზი დავტოვეთ. ნეტავ როგორ არიან ჩვენიანები? დიდ შიშში იქნებიან, ალბათ დავიღუპენით ჰგონიათ. ახ! რომ იცოდნენ, ჩვენ ახლა სადა ვართ? ხომ ჩვენი თვალით ვნახეთ, შვილო, მთა სიონი.

—სანამ მოვიდოდით, მამავ, მოთმენა მეკარგებოდა, ისე ვეტრფოდი აქაურობის ნახვას, — მიუგო ვაჟმა. — ახლა კი, მართალი გითხრა, ჩვენი სამშობლოს ნახვა მენატრება. აქ ბევრი გადამწვარი და ხრიოკი მთებია, ჩვენში კი ტყით დაბურული, ნადირით სავსე. სად

ეს დამპალი რუ, რომელიც ძლივს მიღოღავს და სად „მოდუდუნე მტკვარი“ ან ანკარა არაგვი, სადაც მე ძლიერ მიყვარს კალმახების ჭერა...

— გიხაროდენ, ძენო ისრაელისანო, — მიესალმა უცხოეთიდან მოსულ კაცს ენუქა, — ლაპარაკის კილოში გატყობ, რომ შორი ქვეყნიდან უნდა ბრძანდებოდე.

— მართალია, შორიდან გახლავარ, მცხეთიდან, არმაზიდან.

— ეს კიდევ რა ქვეყანაა, ეთიოპთა მხარეზე იქნება.

— არა, კეთილო ადამიანო, არმაზი აქედან ჩრდილოეთ კერძოა. პონტოსა და გილანის ზღვათა შუა. მუდამ თოვლით შეგლესილი ბუმბერაზი მყინვარი დაჰყურებს ჩვენს ქალაქს.

— იეღოვა, შენ შემეწიე, — სასოებით წარმოთქვა ენუქამ, — მერე როგორ სძლებთ ისეთ ქვეყანაში. განა აქამდი უწევს ძე ისრაილისა?

— რათა, ჩვენში მშვენიერი საცხოვრებელია. ჩვენი მინდვრები იფქლით, ვაზით, ჭერმით და ატმით გადაბურულია, ტყე ბევრია და იალაღი. მთაში ცხვარი ბლომად არის და ბარში ხარ-კამეჩი.

— ღმერთო, ღმერთო, — გაიძახოდა ენუქა. — იქაც კეისრის ხაბრძანებელი იქნება?

— არა, ჩვენში ადერკია მეფედ, კეთილო ადამიანო, — დაიწყო არმაზელმა, მაგრამ ამ დროს ენუქამ საჩქაროდ ყური მოიმახვილა, ცალი თვალი ალმაცერად განზე გააცეცა, ერთი წუთიც და მცხეთელ კაცს თვალიდან მიეფარა.

უცხოელი ერთ ხანს გაოცებული იდგა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— მეგობარო, შენ რომ გელაპარაკებოდა, იმ კაცს უფრთხილდი, რამე არ წამოგცდეს, საშიში კაცია, — თითქმის ყურში ნელა ჩაალაპარაკა ვიღაც ზოლებიან ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა და თვალებში არც კი შეხედა, ისიც ხალხში გაერია.

უცხოელი კიდევ უფრო გაოცდა. როგორც იყო გამოერკვა, შვილს ხელი წააკლო და სამსხვერპლოსკენ გზას გაუდგა.

— კაი ხბო მე მყავს, აგერ, გასაყიდი, თუ მსხვერპლისთვის გჭირია, — გზა გადაუღობა ვიღაცა წითელწვერა, ცხვირბრუნდე კაცმა, — მე ხელსაყრელ ფასად მოგყიდი, მღვდლებიც ჰყიდიან, მაგრამ ისინი მამასისხლად დაგისვამენ.

—რას ჩერჩეტობ, მღვდლების საეკლესიოში ნაყიდი ხბო მღვდელმთავრის ნაკურთხია. არა, მეგობარო, ამ საძაგელმა არ მოგატყუოს, — გამოეკამათა ვიღაც უცნობი წითელწვერას.

— იმდენად ჯანმრთელად ადგა შენი გვერდები ხვალ დილით, რაც შენ ვისიმე მადლი გრწამდეს, შე გაიძვერავ, შენა, — ამკობდა თავის მხრივ წითელწვერა უცნობს.

უცხოელი როგორც იყო მაგათაც გაბშორდა, ტაძრის სტოვას მიუახლოვდა და მოწიწებით თაყვანი სცა. მის ყურს წინწილ-ებნის ხმა მოესმა, ხანდაზმით მგალობელთა გუნდიც ტკბილი ხმით აყოლებდა. „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა, ალილუია“.

არმაზელმა კაცმა ტაძარი მოილოცა. ხბოც იყიდა, მტრედიც, მსხვერპლი შესწირა, ყულაბებშიაც თავისი წვლილი ჩააგდო. ყველა არმაზელი ებრაელი უფალს შეავედრა და შვილითურთ ისევ ტაძრის ეზოში გამოვიდა.

ერთ-ერთ კუნჭულში ხალხი შეჯგუფულიყო.

მცხეთელი კაციც იქითკენ გაეშურა.

გალავნის მახლობლად უბრალო სიპ ქვაზე იჯდა ერთი ლამაზი სახის, ტან მომცრო კაცი, ღარიბად ჩაცმული, გიშრისფერ თვალებიანი და მოძღვრობდა. ირგვლივ ქალი და კაცი სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ.

ეს იყო რაბი იიშუ.

— ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, ორგულნო,— ამბობდა იიშუ, — რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქვრივთასა. ვაი თქვენდა, რომელნიც ამბობთ: ვინც ტაძარი დაიფიცოს არაფერი, ვინც დაიფიცოს ოქრო ტაძარსა შინა მდებარე, ის დამნაშავეაო. ცოფნო და ბრმანო, რომელს აქვს მეტი ფასი, ოქროს თუ ტაძარსა, წმინდა მყოფელსა მისსა. ვაი თქვენდა, ფარისეველნო! თქვენ ჰგავხართ კუბოს, რომელიც გარედან დახატულ-მოვარაყებულია, შიგნით კი აყროლებული გვამით სავსეა. თქვენც გარედან ჩანხართ მართალი, ხოლო შიგნით სავსე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა. გველნო მატყუარნო, ნაშობნო იქედნეთანო! ვაი თქვენდა, ფარისეველნო, ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ციცეროსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი სჯულისა, სამართალი, წყალობა და სარწმუნოება. თქვენგან ისმის მხოლოდ სიტყვა. აღარა ჩანს მცირედ მაინც საქმე. ვაი თქვენდა, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინასწარმეტყველთასა და შეამკობთ სამარეებსა მართალთასა და უტიფრად გაიძახით: ჩვენ მამა-პაპათა დროში რომ ვყოფილიყავით, წინასწარმეტყველთ არას დავუშავებდით, მათ სისხლში ხელს არ გავისვრიდითო. ღმერთო ჩემო, მაგაზე სიყალბე, მაგაზე უსირცხვილო გადალახვა სიმართლისა განა შესა-

ძლებელია? წინასწარმეტყველი ისაია მღვდელმთავართა დასმენით ხის ხერხით შუა გასჭრეს. იგივე ისაია ახლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენი მღვდელ-ლევიტელნი ნაკუწ-ნაკუწ დასჭრიდნენ და ცეცხლში დასწვავდნენ. განა რისთვის მოჰკლეს ისაია? რას ამხელდა იგი? — ტაძარში და გაბატონებულთ შორის გამეფებულ პირმოთნეობას, უსამართლობას, ანგარებას. რისთვის სძულდათ იგი? სიმართლისათვის. ის ვერ მოისყიდეს. ვერცხლმა მას თვალი ვერ დაუბნელა, ის არავის წინაშე არ შედრკა. ახლა რომ აქ იყოს დიდებული ისაია, განა ის გულგრილად დაუწყებს ყურებას იმ სისაძაგლეს, რაც დღეს აქა ხდება? ტაძარი ღვთისა სავაჭრო სახლად არის გადაქცეული. მღვდლები უიმისოდაც გატყავებულ ხალხს კიდევ სამპირ ტყავს აძრობენ. ნახევრად მშიერ ისრაელს უკანასკნელი თიკანი და მტრედი აქ მოჰყავს შესაწირავად. მღვდლები კი ეუბნებიან: აქ ჩვენთან ნაყიდს უფრო სიამოვნებით იწირავს ღმერთიო. გაუმართავთ აქ სამტრედე და ბაკი და ერთს ხუთად ჰყიდიან. შესაწირავიც თეითონ რჩებათ და აუარებელი ფულიც. ძმანო და დანო, ისაია განა ამას მოითმენდა? ელვასავით გაანათებდა მისი თვალები. ჭექა-ქუხილით გაისმოდა მისი მართალი ხმა ამ შუქთაზორათა წინააღმდეგ. — იიშუმ ხელი ტაძრისკენ გაიშვირა.

მუდამ მშვიდს რაბი იიშუს აღელვება დაეტყო. ხალენის კალთით ოდნავ აოფლებული სახე მოიწმინდა და განაგრძო: — ძმანო და დანო, ძენო და ასულნო ისრაილისანო, აქ რომ მოვდიოდი და სიონის აღმართს ავყევით, საიდანაც ისე ლამაზად მოსჩანს ეს ჩვენი ტაძარი, ვიღამაც მითხრა: „მოძღვარ, ერთი შეხედე, რა ქვაბია, რა დიდებული ნაშენიაო. მაგრამ რა, ძმებო, განა სოლომონის ტაძარი ამაზე ნაკლები იყო? მას რა მოუვიდა. რამ დაანგრია იგი, ნაბუქოდონოსორმა? არა, ძმანო, შურობამ და მტრობამ ისრაელთა შორის და შიგ ტაძარშივე გამეფებულმა უსამართლობამ. უიმისოდაც ერთი ბეწო ისრაელი განა ორ სამეფოდ უნდა დაყოფილიყო? იუდა და რუბენ, განა ორივენი იაკობის ძენი არ იყვნენ? მაგრამ ვაი ჩვენდა. შური და მტრობა დღესაც არ ჩამქრალა ჩვენ შორის. უსამართლობა და ანგარება დღესაც გაბატონებულია ტაძარში. უეჭველია, ამასაც ვერ იხსნის ვერავითარი ზედნაშენი გუმბათი, ჩუქურთმა და ვარაყი. ამასაც სოლომონის ტაძრის ბედი მოელის, დაინგრევა, ქვა ქვაზე აღარ დარჩება. ქვა უსულო საგანია, უჭკუოა, მას კაცის არც გაბედნიერება შეუძლია და არც გაუბედურება. თვით ადამიანმა შრომით და სიყვარულით...

— კმარა, კმარა. ეს წმიდა სჯულის შეურაცხყოფაა, — დაიყვი-

რა ვიღამაც. — ორმოცი წელიწადი ვაშენებდით ამ ტაძარს, ისრაელმა ნახევარი ქონება მას შეალია და ახლა ეს ტაძარი უნდა დაინგრეს? ქვა ქვაზე არ უნდა დარჩეს? ეს ხომ ღვთის გმობაა.

— მართალია, მართალი, — გაისმა აქა-იქ ხმები.

— მართალი კი არა, მეტიცაა, — გაჰკიოდა პირველი ხმა, — ქვა მაგას, ღვთის მგმობს. ისრაილ, იცან ღმერთი შენი!

— ჩვენი სამღვდელოება, რომ...

— ქვა მაგას...

— არა, მოიცათ...

— თქვენ თვითონ ხართ ჩასაქოლი.

— ჯობია დავიჭიროთ, პილატეს მივგვაროთ...

— ჯერ ჩვენებმა უნდა გაასამართლონ...

— არა, არა... აქ მოდი... აბა ახლა აქ იყო, — ამგვარი გაუგებარი ხმები კანტიკუნტად გაისმოდა საერთო უთავბოლო ჩოჩქოლში. აუარებელმა ხალხმა თავი მოიყარა, ყველა ყვირიოდა, ყველა ბჭობდა, ზოგი ილანძღებოდა, ზოგი საერთო დაშოშმინებას და წესრიგის ჩამოგდებას ლამობდა.

IV

ტაძრის ერთ-ერთ ბნელ კუთხეში ჩვენი ნაცნობი ენუქა ვიღაც მდიდრულად ჩაცმულ კაცს შეტად აღშფოთებული ეკამათებოდა.

— ამას სიკვდილი მირჩევნია. რა ხალხი ხართ, რა მოუხეშავი და ბოტი ხალხი ხართ, სულ ყველა მღვდელ-ლევიტელნი! არავითარი მიხვედრა თქვენთან არ არის. ხბოს გატყავება და მოხარშული ბეჭის მოთლა იცით მხოლოდ და სხვა არაფერი. მართლა რომ ამოსაგდები ხართ. კაცო, ღმერთო მომკალი! მაგისთანა შეძთხვევა ხელიდან გამაშვებინეს. ასე თამამად რაბი იიშუს ჯერ არ უმოძღვრნია. ვინ მოსთვლის, რამდენი თქვა სჯულის და კანონის წინააღმდეგი. ოციოდ ჩემი დამქაში აქა-იქ ჩასაფრებული მყავდა, რომ დროით შესაფერი ყვირილი გაებათ. გააბეს კიდეც, ხალხთაგან ბევრი აიყოლიეს, მაგრამ თქვენ კი დაგეკარგოთ თვალები! ხუთჯერ ხომ გითხარი შენ, შენ, უფროს რაბუნს, ტიტეს; ახლავე კაცი აფრინე მღვდელმთავართან: — ციხის ათასის თავს მისწეროს და ოციოდ ჯარისკაცი მზად გყავდეთ აქ სადმე ტაძრის ოლროჩოლროში ჩასაფრებული-მეთქი. ათი ჯარისკაციც რომ მყოლოდა, იიშუ ახლა დატუსაღებული იქნებოდა. კეისრის ძვირის ხსენებაშიაც გავამტყუ-

ნებდი; ხუთი მოწმე ფიცქვეშ იტყოდა, ოც-ოც დრაკნად მყავდა მისყიდული, მაგრამ რად მინდა, თქვენმა უთავობამ და...

— პატივცემულო, ენუქ, ჩვენ მივწერეთ...

— კარგია, მაინც ნუღარ ამბობ, როდის მისწერეთ? როცა იიშუ თავიანთებმა იერიქოს გააცილეს, მაშინ? მადლობა მომიხსენებია... სამასი დრაკანი დავკარგე... არ ვიცნობ მღვდელმთავარსა, რა შვილია, ორ გროშს არ მომცემს... ღმერთო, მომკალი, რა შემთხვევა გაუშვი ხელიდან.

• •

ასოც აქლემისაგან შემდგარი ქარავანი ქალაქ სიდონის გალავანს უახლოვდებოდა. დღეს გემი უნდა წასულიყო როდოსისაკენ და მექარავნენი აქლემებს აჩქარებდნენ, რომ გემისათვის მოესწროთ.

— ეხ, საყვარელო შვილო, — დაღონებულად უთხრა ერთ-ერთ აქლემზე მჯდომმა მეორე ახალგაზრდა კაცს, — დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, რომ იერუსალიმში შემოვიარეთ. წავსულიყავით პირდაპირ ჩვენ საყვარელ სამშობლო არმაზში. შორიდან იერუსალიმი, ეს ჩვენი მამა-პაპათა სალოცავი, რაღაც საუცხოო რამედ, შარავანდედით შემოსილად მეჩვენებოდა, ჩემი გული სიმდაბლით და მოწიწებით იყო აღვსილი ტაძრისადმი, მღვდელთადმი და ისრაელთა ერისადმი. ჩვენ თაუაჟომეთ ქართლოსიანების ქურუმებს დავცინოდი, არმაზობას რომ შეიკრიბებიან ხოლმე. თქვენ კერპთაყვანისმცემლები ხართ. აი ჰეშმარიტი ღვთის თაყვანისცემა იქაა, სიონის მთაზე. თქვენში შური და მტრობაა მუდამ, შესაწირავის გაყოფის დროს ჩხუბობთ-მეთქი. უსამართლო ყვედრებაა, შვილო, აქ სიონის მღვდელთა შორის იგივეა, თუ არა უარესი. ყოველ მღვდელს დალალი ჰყოლია, დალალს კიდევ ხელის შემწყობი. ისე ფეხს ვერ გადადგამ ტაძრის ეზოში, რომ არ მოგატყუონ, რამე არ წაგცინცლონ და გულის დამწველი ისაა, რომ ყოველივე ეს ხდება მეწამული ზღვის გამყოფი იეღოვას სახელით. ერთადერთი სასიამოვნო რაბი იიშუს მოძღვრება იყო და ისიც კინაღამ ჩემ თვალწინ ქვით არ ჩაქოლეს მაგ უსინდისოებმა!

— მამა, მე მისვლისთანავე არ მომეწონა იქაურობა, — მიუგო უმაწვილმა კაცმა, — ყველას რაღაც შიში ეხატება სახეზე. ყველა ცბიერობს. შენ რომ გელაპარაკება, ცალი თვალი განზე უჭირავს, თითქო ფრთხილობს, ყურს ხომ არავინ მიგდებსო. იმ ერთმა კაცმა მეტისმეტად გამაოცა, ტაძრის ეზოში შესვლისთანავე რომ შეგვხვდა. რანაირად იღმიჭებოდა. მერე რაღაც აურზაური რომ ატყ-

და, იქაც ვნახე. დედა, დედა, რას ჩადიოდა. ხან ერთთან მივიდოდ: და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ხან მეორესთან, აქეთაც იყურებოდა და იქითაც...

— იმედები გამიცრუვდა, შვილო, — ამოოხვრით უთხრა შვილს: ერმაზელმა კაცმა. — სამაგიეროდ კარგად ვივაჭრეთ. კოლხიდის ქსოვილი კაი ფასში გავასაღეთ. მეორე გზობას თუ დაგვცალდა, ეფესოდან პირდაპირ ალექსანდრიაში წავიღოთ საქონელი, სანამ ცოცხალი ვარ, შვილო, მინდა გაგაცნო სავაჭრო ადგილები. ახლა კი ღმერთს ვთხოვოთ შინ მშვიდობით მიგვიყვანოს. ღმერთო, კვლავ მაჩვენე ჩემი ვენახი არაგვის პირას, ღმერთო, დამასწარ: დიდი კაკლის ხის ძირში ტკბილად პურის ჭამას!

ქარავანმა ალმართი ავლო, მგზავრების თვალწინ ჯერ ხელისგულივით სწორი ქვიშნარი გაიშალა, მის იქით ფირუზის ფერი ზღვა ტალღას ტალღაზე აგორებდა.



წ ე ს დ ე ბ ა

I

სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი აგათანგელი, ახალი ნაცადილევი თავის კაბინეტში იჯდა და სტამბიდან ახალგამოსულ პატარა წიგნაკს ათვალიერებდა. ასეთივე წიგნაკები, დას-დასად შეკრული, იქვე ახლო მაგიდაზედაც ბლომად ეწყო. წიგნაკში ორმოცდა ათიოდ გვერდი თუ იქნებოდა. სიგრძით წიგნაკი სამი გოჯი იყო, სიგანით უფრო ნაკლები.

— მამაო რექტორო, მამა ინსპექტორი გეახლათ! — მოახსენა ეოსამსახურემ, რომელიც სახით ძალიან წააგავდა რექტორს და იმიტომ სემინარიელები მეტ სახელად „ყალბ რექტორს“ ეძახდნენ.

— მობრძანდეს! — მიუგო მამა რექტორმა და ზეზე წამოდგა.

ინსპექტორი ბერმონაზონი იყო. ბერები ერთმანეთს მიესალმენ და თუმცა ორი საათის წინათ ერთმანეთს ხედავდნენ, მაინც ადათისამებრ ერთმანეთი გადაკოცნეს.

— აი, მამაო ინსპექტორო, — მისალმებას ზედ მიაყოლა მამა რექტორმა: — ჩემ მიერ დაწერილი ახალი წესდება სემინარიელებისათვის, ეს არის სტამბიდან მივიღე. გთხოვთ, თქვენი თანაშემწეების საშუალებით დაურიგოთ მოწაფეებს. ვთხოვ თანაშემწეებს ზომები მიიღონ, რომ მოწაფეებმა კარგად შეითვისონ წესდების შინაარსი და მით იხელმძღვანელონ. მაღალ კლასელებს, მეხუთე და მეექვსელებს, ყველას სათითაოდ დაურიგეთ, ხოლო დანარჩენებს სამ კაცში ერთი. ერთს მიეცით, ხელი კი მოაწერინეთ, რომ წიგნაკი არ დაიკარგოს, ორ სხვა ამხანაგსაც წასაკითხად მისცეს და მოთხოვნის დროს უეჭველად ხელთა ჰქონდეს.

— მესმის, ახლავე განკარგულებას მოვახდენ, რომ თქვენი ბრძანება უკლებლად შეასრულონ, — თავმდაბლად მიუგო ინსპექტორმა.

— ეს ასე... ჰო, რა მინდოდა მეთქვა... მაგრამ უკაცრაოდ, მობრძანდით, მამაო ინსპექტორო, — მოიპატიჟა მამა რექტორმა და საკარძელზე მიუთითა. ორივენი ჩამოსხდნენ. — ჰო, ის მინდოდა მეთქვა, — განაგრძო მამა რექტორმა: — ჩემი წინამოადგილის, რექტორ ათანასეს დროის წესდება თუ ვისმე აქვს, უბრძანეთ, უსათუოდ უკანვე დააბრუნონ. რანაირი წესდებაა, ღმერთო ჩემო! თქვენ მაკურთხეველს ვფიცავ, წავიკითხე და სახტად დავრჩი. როგორც ვატყობ, კიდეც იმ წესდებას გაურყვნია ეს ხალხი, თორემ ეკლესიაში ყველა ჭაღები ენთოს, ოთხი შემოსილი მღვდელი სასოებით დაუჯდომელს კითხულობდეს, სამპირი გუნდი გალობდეს და მოსწავლენი კი გარეთ გარბოდნენ და კუნჭულებში იმალებოდნენ. ეს ვერ წარმომიდგენია! წესდებაში რომ ისეთი მუხლები ჩამერთო, როგორიც ძველშია, მაგალითად: მოსწავლეთ ნება აქვთ თეატრში იარონ და ესთეტიური გრძნობა დაიკმაყოფილონო, სუსტებს და ნერვიანებს ოთხშაბათ-პარასკეობით სახსნილო ეჭმევათ და სხვა, არაფერი სიკეთე არ გამოვიდოდა. ერთი გრძნობის დაკმაყოფილების სურვილს მეორე უფრო მწვავე გრძნობის დაკმაყოფილების სურვილი მოსდევს. ახლანდელ დროში თითქმის ყველა სისხლნაკლები და ნერვებიანია და ასე თუ მივყევით, ტაძრები თეატრებად უნდა გადავაკეთოთ, წმინდა მამათა დაკანონებული მარხვები მოვსპოთ და შემდეგ ანაფორებიც გავიხადოთ! — პათეტიურად დაათავა რექტორმა.

— მამა ათანასემ, ან უკვე ყ-დ სამღვდელომ, მართლაც და, ცოტა არ იყოს, აუშვა მოსწავლენი. ეხ, ჩემი მდგომარეობა უნდა გენახათ მაშინ! — თავმდაბლა და ზრდილობიანი პირმოფერებით შენიშნა მ. ინსპექტორმა.

— იცით, რას გეტყვით, მამაო ინსპექტორო, მე იმედი მაქვს, საქმეს გამოვაკეთებ. ხუთშაბათობით მინდა ნასადილევს დაუჯდომელები და საუბრები შემოვიღო, უფრო წმინდათა ცხოვრებიდან. წმინდათა ცხოვრებას სრულებით არ იცნობს, როგორც დავრწმუნდი, სემინარიის ახალგაზრდობა. მერე რა დიდი განძი გვაქ ამ მხრივ. მარტო კიევო-პეჩერის ლავრის პატერიკები რომ აიღო, დიდი, დიდი ზნეობრივი მოძღვრებაა გაბნეული შიგ. ნათლადაა გამოყვანილი, რამდენად ძლიერია საფრთხე ეშმაკისა, მაგრამ იმავე დროს ისიც არ არის დამალული, თუ რამდენად შესაძლებელია კაცმა, სარწმუნოებით გულმხურვალემ, წინააღმდეგობა გაუწიოს მას. ოთხი-ხუთი ფურცელიც რომ წავიკითხოთ ყოველ ხუთშაბათობით, წლის განმავლობაში დიდ ნაბიჯს წარვდგამთ წინ. თქვენ

იმედი მაქვს, არ დაიზარებთ, მამა მოძღვარიც ხომ იქნება, მამა გერონტიც მივიმხროთ, ხმა ჩინებული აქვს, დაუჯდომელს კარგად კითხულობს... ეს არის ცუდი ზნე სჭირს, — ხმას დაუმდაბლა და ვითომ და სხვათა შორის ჩაალაპარაკა მამა რექტორმა:—მამაო ინსპექტორო, თხოვე ჩემ მაგივრად გერონტის, დამავალოს და ხუთშაბათობით... ერთი სიტყვით, ნუ დაითვრება, ფხიზლად იყოს. როგორც თქვენს თანაშემწეს, მოთხოვეთ კიდეც. მე, მართალი გითხრათ, ბევრი მოთმენაც არ შემიძლია. ბოლოს იძულებული ვიქნები მათ მეუფებას მოვახსენო, — ცოტა არ იყოს ცხარედ დააბოლოვა მამა რექტორმა.

სემინარიელებს იმავ საღამოთი ახალი წესდების. წიგნაკები დაურიგეს.

II

წიგნაკის ერთი ცალი მამა ინსპექტორმაც წაიღო. შინ რომ მოვიდა საღამოთი, ცხრა საათის ლოცვის შემდეგ, წიგნაკი საწერ მაგიდაზე დააგდო და დაფიქრებული სკამზე ჩამოჯდა. „დაწერა წესდება რაღაც წიგნაკი და ჰგონია, ციდან ვარსკვლავები მოსწყვიტა! — ფიქრობდა მამა ინსპექტორი, — მაგისთანა წესდებას ვითომ მე ვერ დავწერდი? ან რა დიდი ნიჭი უნდა წესდების დაწერას? ყოველნაირი წესდება ერთ შაბლონზე იწერება და ესეც იმნაირი იქნება“. მამა ინსპექტორმა წიგნაკი ხელში აიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა, გახსნა, ერთი ჩაიხედა, მერე დაკეცა და ისევ მაგიდაზე დააგდო. მერე წავიკითხავო, გაიფიქრა.

„ახ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — ამოოხვრით წარმოთქვა მამა ინსპექტორმა, საკმაოდ კარგად განათებულ ოთახში გაიარ-გამოიარა. — ხუთი წელიწადია ინსპექტორად ვარ, სხვები სამ წელსაც არა მსახურობენ, შეხედავ, არქიმანდრიტობას და რექტორობას აძლევენ. მე კი გულზე საკიდი ოქროს ჯვარი ძლივძლივობით მხოლოდ წლეულს მივიღე. კიდევ ვინ იცის, რამდენი ხანი დამარჩენებენ ასე. მამა აგათანგელი კი უკვე ეპისკოპოსობას ეთამაშება...“

წესდების ერთი ცალი ინსპექტორის თანაშემწეს ბართლომე ივანიჩსაც ერგო. ბართლომე ივანიჩი ცნობილი იყო, როგორც სემინარიის წესწყობილების თავგამოდებული დამცველი, კაცი სასტიკი და წვრილმანი, სწორედ ტიპიური თანაშემწე. მოსწავლეებს არ უყვარდათ, მისი ჩაწერით თუ დაბეზღებით ბევრი მოსწავლე

დაითხოვეს სემინარიიდან. სიარულის დროს სულ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქო პოლიციის მაძებარი აგენტიაო. მოსწავლეებმაც მეტ სახელად „კვარტალნი“ დაარქვეს, ივანიჩს ხშირად ესმოდა ეს სახელი სასადილო ოთახში, ეკლესიაში თუ ეზოში, ისიც იცოდა, რომ ეს სახელწოდება მას ეკუთნოდა და ერთი ორად უფრო ბრაზობდა და ცდილობდა, ჯავრი ვისმეზე ეყარა.

ბართლომე ივანიჩს მამა ინსპექტორმა დაავალა, რომ ახალი წესდება გულმოდგინედ წაეკითხა და თვალყურიც ედევნებინა, რომ მოსწავლენი წესდების მოთხოვნილებისდაგვარად მოქცეულიყვნენ. წესდების წასაკითხად „კვარტალნიმ“ დაწოლის შემდეგი დრო გადადო და მართლაც, როცა ნავახშმევს ტანთ გაიხადა და თბილ ლოგინში ჩაესვენა, წესდების წიგნაკი მოიმარჯვა და კითხვა დაიწყო.

- „თანახმად სემინარიელების მომავალ მაღალ სამსახურის მოთხოვნილებისა, ყველა მოსწავლე მოვალეა, იაროს ეკლესიაში ყოველგვარი ღვთის მსახურების მოსასმენად, როგორც საღამოთი, ისე დღისით“, ეწერა პირველ მუხლში. შემდეგ დაწვრილებით იყო აღნიშნული, თუ როგორ უნდა იდგნენ მოსწავლენი ეკლესიაში, როგორ უნდა იღებდნენ მონაწილეობას საეკლესიო კითხვა-გალობაში, როგორ უნდა ემბხვეოდნენ სახარებას, ჯვარს და სხვა და სხვა...

ბართლომე ივანიჩმა ორი-სამი მუხლის წაკითხვაც ვერ მოასწრო, რომ თვალებში სიმძიმე იგრძნო, თანაც რაღაც ერთი მეორეზე გადახლართული რგოლები ელანდებოდა. რგოლები ხან დიდდებოდნენ, ხან პატარავდებოდნენ, ხან იმ რგოლებთან ერთად ივანიჩიც სადღაც უძირო სივრცეში მისცურავდა. კვარტალნის თანდათან ძილი მოერია, წიგნაკი ხელიდან გაუვარდა და ტახტის ქვეშ ნელი შრიალით შეავარდა.

მეორე დღეს ივანიჩი მორიგე იყო და ხუთ საათზე წამოხტა, საჩქაროდ პირი დაიბანა და მოსწავლეების გასაღვიძებლად გაიქცა. შემდეგ, ჩაის სმის დროს, სასადილო ოთახებში თვალყურს ადევნებდა, საერთო ლოცვაზედაც იყო და უბის წიგნში ათიოდე მოსწავლე ჩაინიშნა. ოთხს მათგანს რაღაცაზე გაეცინა, ორი ჩუმად მუსაიფობდა, სამს ორი წუთით დააგვიანდა, ხოლო ერთი სარივით იდგა ეკლესიაში, ერთხელაც პირჯვარი არ გადაუწერია.

ნალოცვებს გაკვეთილები დაიწყო და ივანიჩიც ჩვეულებრივ მოსწავლეთა საერთო თვალყურის დევნაში გაერთო. მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენება თხუთმეტი წუთით გრძელდებოდა და

ამიტომ დარეკეს თუ არა ზარი, მოწაფენი ეზოში გამოიშალნენ. ვარტის პირველი რიცხვები იყო, მზე საკმაოდ ათბობდა და ძალაუნებურად გარეთ ეზიდებოდა ახალგაზრდებს. ზოგს პალტო წამოესხა, ზოგი მარტო ხალათით მირბოდა, ზოგი ხტუნაობდა, ზოგი გაშლილ წიგნს ჩაჩერებული ნელ-ნელა მოაბიჯებდა, ზოგიც დაფიქრებული და თავჩაღუნული მიდიოდა.

III

ბართლომე ,ივანიჩს ბინა მესამე სართულში ჰქონდა. აქ ერთი ოთახი ისეთ ადგილას იყო მოწყობილი, რომ ამ ოთახის ფანჯრიდან სემინარიის ეზო ხელისგულივით ჩანდა. აქედან მოსეირნე მოწაფეთა დათვლა თითო-თითოდ შეიძლებოდა. ნათლად დაინახავდით ვინ რას აკეთებდა, ცელქობდა თუ მეცადინეობდა, ჩხუბობდა თუ მუსაიფობდა. ეს ადგილი კვარტალნის ჩვეულებრივი საკვრეტური იყო. ის აქედან ყველასა ხედავდა, იმას კი არავინ არ ამჩნევდა.

დღესაც, დარეკეს თუ არა მესამე გაკვეთილიდან გამოსასვლელი, ივანიჩი წინდაწინ გაიქცა და ოთახში ჩასაფრდა.

„ოჰ, ეს პირველკლასელები მეტად ცელქები არიან, — სწონავდა გულში თვალით ნახულთ ჩასაფრებული. — ერთი უყურეთ, ეს ორნი როგორ მამლაყინწებივით ჭიდაობენ. ეს, ეს ჭრიღა ხომ სულ მუდამ ჭიდაობაშია! აი მეექვსელი გძელოვიც. ზორბა ბიჭია, უკვე დავაკაცებული. ხელიდან წიგნს არ იშორებს. იმდენი ნიჭით არ გააქვს, რამდენიც მუყაითობით. თანაც ამაყი, ქედმაღალი და თავმოყვარე კაცია. ერთხელაც არ გამიგონია იმისგან რამე საპირფერო სიტყვა. საღამოთი, ერთხელ საათ-ნახევარი რომ დაიგვიანა, მეგონა მოვა და ბოდიშს მოიხდის-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე! მეც ავდექი და ლაზათიანად „კონდუიტში" გამოვქიმე. თვის ბოლოს ყოფაქცევაში კაი ოთხი მიარტყეს. არც კი შემკითხებია. მაგისთანა კაცი მტერს ბევრს გაიჩენს, მუდამ ბრძოლაში იქნება, მაგრამ ცხოვრებაში ბედნიერ წუთებსაც უეჭველად ბევრჯერ განიცდის... აი შავლიევიც, პალტო უშნოდ გადაუგდია მხრებზე და დაფარფაშობს, ხან ერთთან მივა, ხან მეორესთან. უდარდელი კაცია. წიგნი იმის ხელში თავის დღეში არ მინახავს. ეკლესიაში კი კარგად დგა'ს, პირჯვარსაც იწერს, თავის დროზე მეტანიასაც არ აკლებს. იქნება თვალთმაქცობს კიდეც, მაგრამ მე რას დავეძებ, ამის მსაჯულად ვინ დამაყენა! მე მხოლოდ ინსპექტორის თანაშემწე ვარ. ვხედავ

კაცი კარგად იქცევა, გულში კი რა უდევს, რა ვიცი, გულთმისანი ხომ არა ვარ, ამას არც კი დავეძებ, კაცი საკონდუიტოდ საქმეს არ იფუჭებს. ყოფაქცევაში ხუთი აქვს, მორჩა და გათავდა.

ჰე, ესეც შენი სატაცური. ეს ხომ სულ მუდამ სჯა-ბაასშია, უნიჭო კაცი არ უნდა იყოს, თუმცა საგნებს ძლივძლივობით სწავლობს. რამდენჯერმე ხელში გაზეთი შევამჩნიე, მაგრამ სანამ მივიდოდი, ყოველთვის სადღაც დამალა. საეჭვო კაცი უნდა იყოს. უთუოდ სადმე წრე აქვთ შემდგარი და იქ მეთაურობს. მაგრამ სად მართავენ კრებას, ჯერ ვერ მივაკვლიე. ისეთები წამოსცდა ერთიორჯერ, რომ უსათუოდ სოციალისტური წიგნები აქვს წაკითხული. თუმცა ფრთხილი კაციც კია, მაგრამ თუ როდისმე ჩამივარდა ხელში, მე მართლა მაგათი კვარტალნი ვყოფილვარ, თუ არ ვაჩვენებ, როგორ უნდა წრის დაარსება და სოციალისტობა?!

ჰა, ესეც ზებედევი. როგორ დაფიქრებული მოდის. ამ კაცის კი ვერა გავიგე რა. იმისი არ გამიგონია არც ხუმრობა, არც სიცილი, არც სჯა-ბაასი. ჩვენ ხომ სიახლოვეს არ გვეკარება. სწავლობს კარგად. ეკლესიაში მუდამ დადის და სწორედ დგას, თუმცა პირჯვარს ხშირად არ იწერს. იშვიათად თუ გამოისახავს, მაშინაც ისეთ სახეს მიიღებს, თითქო აუცილებელი მოთხოვნილება შეასრულაო. კერპი ხასიათის კაცი უნდა იყოს. გაუგებარი კაცია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კეთილსაიმედო არ არის. ეს იქიდანაცა ჩანს, რომ ბიბლიოთეკაში სულ ტურგენევის და ტოლსტოის ნაწერებს თხოულობს. ერთხელ ისე გაკადნიერდა თურმე, რომ ბელინსკის თხზულებაც მოიკითხა. დიაღ, პისარევი არ ნებავს? მიკვირს. როცა ბიბლიოთეკის გამგემ ეს ამბავი გადმომცა, მაშინათვე რექტორს არ მოვახსენე. საერთოდ, — განაგრძო ფიქრი ივანიჩმა: — კეთილსაიმედო ამოდენა ხალხში ძლიერ ნაკლებად ურევია. სასულიერო შინაარსის წიგნებს ნაკლებად ეტანებიან. ჩუმად კითხულობენ რაღაც სხვა წიგნებს. ნეტავ სად შოულობენ, ან სად კითხულობენ?.. მაგრამ მოიცა, ეს ზებედევი სად დამეკარგა", — გასაგონად ჩაილაპარაკა კვარტალნიმ და ეზოში გაფანტულ მოწაფეებს გულდადებით თვალიერება დაუწყო.

ზებედევი პალტოს ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დინჯად ჩადიოდა სასადილო ოთახისაკენ მიმავალ კიბეზე. ივანიჩმა თვალი შეასწრო.

„ნეტავ სად მიდის? ჯერ რა უნდა იქ? იქნებ წაჰკრას ფეხი რაშეში", — გაიფიქრა ივანიჩმა, საათს დახედა და საჩქაროდ იქითკენ გაეშურა.

IV

მამა ინსპექტორი საინსპექციო ოთახში იჯდა. წინ ედო გაშლილი რუსულ-სლავიანური სახარება. მეხუთე კლასში მეოთხე გაკვეთილი უნდა მიეცა საღმრთო წერილიდან და ემზადებოდა. წინა დღეს თავისუფალი დრო საღმრთო წერილთან დაშორებულ სხვადასხვა საქმეს მოანდომა, ახლა კი დრო ცოტა რჩებოდა, თავის თავს რიგიანად მომზადებულად ვერა გრძნობდა და, ცოტა არ იყოს, გაჯავრებული იყო.

— აი, მამაო ინსპექტორო, დამნაშავე, — მშრალად შემოილაპარაკა ბართლომე ივანიჩმა. კარებთან, მოშორებით, მეოთხე კლასის მოსწავლე ზებედევი გაჩერდა. მოსწავლე ჩვეულებრივ დაფიქრებული, ოდნავ თავდაღუნული იდგა.

— რაშია საქმე? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ინსპექტორმა და სახარებას თვალი მოაშორა.

— აი, მივდიოდი სამზარეულოსაკენ, მინდოდა დამეთვალიერებინა, მზარეული კარგად აკეთებს საჭმელებს თუ არა. ჩავედი ძირს, შევიხედე და ჩაის წყლის ასადუღებელ ქვაბებთან დგას ჩვენი ზებედევი. სახეზედვე შევამჩნიე, რომ რაღაცას ცუღლუტობდა. მივედი და გამოველაპარაკე. ორი-სამი სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, რომ ისეთი იგრიალა, ისეთი...

— რას ამბობ, გაისროლა? — აღშფოთებით წამოიძახა ინსპექტორმა და ზეზე წამოიჭრა.

— არა, დამშვიდდით, მამაო ინსპექტორო, — საჩქაროდ მიუგო, თვითონაც ჭარხალივით გაწითლებულმა კვარტალნიმ: — იარაღი კი არ უსროლნია, თურმე ნაღვერდალში კვერცხი ჩაეფლო და ის გასკდა.. ისეთი გასკდა, რომ ნაცარი თვალებში შემომაყარა. ესეც შენი სამღვდელო კაცი, შუა დიდმარხვაში კვერცხის საჭმელად ემზადებოდა...

მამა ინსპექტორს, აღელვებისა გამო ფერწასულს, კინაღამ გაეცინა, მაგრამ თავი შეიმაგრა. დინჯი სახე მიიღო და საქმიანი კილოთი წარმოთქვა:

— კვერცხსა სწვავდა, უნდა ეჭამა შუა დიდმარხვაში? მკაცრად უნდა დავსაჯოთ ახალი წესდების ძალით.

მამა ინსპექტორმა აქეთ-იქით გაფაციცებით ხელის ფათურით დაიწყო.

— ეხ! რა ვუყავი, აქ რომ ახალი წესდება მქონდა! — ამბობდა იგი და ხან სახარებას გადმოშლიდა, ხან მაგიდის უჯრაში იხედებოდა, ხან წიგნებით და დავთრებით სავსე თაროს სინჯავდა. წესდების წიგნაკი კი არსად ჩანდა. — ჰო, მართლა, ჯიბეში მაქვს, — ჯავრით წარმოთქვა მან და წესდების წიგნაკი მაგიდაზე დააგდო.

წიგნაკის ფურცლები გაჭრილი არ აღმოჩნდა. მამა ინსპექტორმა თითით სცადა გაჭრა, მაგრამ ქაღალდი სწორად არ გაიხა, ცალმხრივ ჩაიხა და დაბეჭდილ ასოებამდე მიატანა. თანაშემწემ კალმისტარი მიაშველა და, როგორც იყო, წიგნაკის ნაკეცები გასჭრეს. მამა ინსპექტორი, რაც შეეძლო, ჩქარობდა.

— ბართლომე ივანიჩ, თქვენ ხომ წაკითხული გაქვთ ეს წესდება, შეიძლება გახსოვთ, რომელი მუხლი შეესაბამება ამის საქციელს? — ჩუმად თქვა მამა ინსპექტორმა.

ბართლომე ივანიჩს კი, როცა ზებედეევი დაიჭირა, ახალი წესდება სულ არ გახსენებია.

— დიახ, დიახ, წავიკითხე, — გაუბედავად მიუგო მან. — ცოტა ბოლოში დამრჩა წაუკითხავი, ვერ მოვასწარი, ამ საღამოს ვაპირობ გულდადებით შევისწავლო, — ჩუმად დაუმატა ივანიჩმაც.

ამ დროს მეოთხე გაკვეთილის დასაწყისი დარეკეს კიდეც.

—ოი, ოი, — წამოიძახა მამა ინსპექტორმა. — გაკვეთილი მაქვს. ათამდე კაცს ნიშანი არ უზის.

— ასე მახსოვს, იქ უნდა იყოს, სადაც მარხვაზეა საზოგადოდ ლაპარაკი, — ივარაუდა თანაშემწემ.

მამა ინსპექტორმა მოსაყვედურე თვალებით გადახედა.

— აბა სადა? სჯობია თავიდან მივყვეთ, ერთ წამს გადავხედავთ, — თქვა ინსპექტორმა და წიგნაკის მუხლ-მუხლ თვალიერებას შეუდგა.

„მოწაფენი უნდა ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას... მშვიდად... პარჯვრის... წყნარად... სასტიკად აღკრძალულია... სახარების მიხვევის შემდეგ...“ — ბუტბუტებდა ინსპექტორი და თან წიგნაკს ფურცლავდა.

— ხომ ვერ წავწყდით ჯერ? — ნაღვლობდა ინსპექტორი.

— რა არის, რომ ასე გულმოდგინედ ეძებთ, მამაო ინსპექტორო? — შემოილაპარაკა მაღალ-მაღალმა, ოდნავ ჭაღარაშერეულმა კაცმა და პატარა ოთახში თავი შემოჰყო.

ახლად მოსულს ხელში საკლასო დავთარი ეჭირა და ეტყობოდა, გაკვეთილის მიბაცემად ემზადებოდა.

— აი, ამ ვაჟბატონს სასჯელი მინდა მოუძებნო, — მიუთითა

კუთხეში მდგომ ზებედევზე, რომელმაც მასწავლებლის დანახვაზე გაწითლებულმა, კიდევ უფრო ძირს დაღუნა თავი.

— ნეტავ რა ჩაუდენია ისეთი? — გაიკვირა მასწავლებელმა.

— ეს არის ახლა მიუსწრია ბართლომე ივანიჩს, მარხვა გაუტეხია, კვერცხი უჭამია.

— ჩაის წყლის სადუღებელ ფეჩთან ნაღვერდალში კვერცხსა სწვავდა, — დაუმატა ივანიჩმა.

— სწვავდა? ეს კიდევ არა ნიშნავს, რომ სჭამდა, — შენიშნა მასწავლებელმა და ჩაეცინა, სამივეს მომცინარე სახე გადაავლო, უსურვა გამარჯვება და თავის გზას გაუდგა.

თანაშემწემ მუქარით სავსე თვალები გააყოლა.

— როცა ჩქარობ, მაშინ ხომ სულ ვერაფერს იპოვნი, — თავშეკავებული გაჯავრებით წარმოთქვა მამა ინსპექტორმა და წიგნაკი გადაფურცლა.

„მ. მ. მ... სასტიკად აღკრძალულია თეატრში ან ცირკში სიარული... ბანქოს ან ჭადრაკის თამაში", — ჩვეულებრივ ბუტბუტებდა მამა ინსპექტორი და ფურცელს ფურცელზე შლიდა. — „სასმელ-საჭმელი სემინარიელებს ეძლევათ. თანახმად წინდაწინ შედგენილი ნუსხისა..."

— აქ უნდა იყოს! — სიხარულით შენიშნა ივანიჩმა.

„რესტორანიდან, ან სხვა საიდანმე საჭმლის მოტანა აღკრძალულია... შაქარი ეძლევათ..."

— არაფერიც არ არის მგონი, რაც ჩვენ გვინდა, აქ აღნუსხული, — დაღონებით ჩაილაპარაკა მამა ინსპექტორმა.

მასწავლებლები ყველანი კლასებში შევიდნენ. ყველგან სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ მეხუთე კლასიდან, სადაც ინსპექტორს გაკვეთილი ჰქონდა, ჩოჩქოლი მოისმოდა.

მამა ინსპექტორმა წესდების წიგნაკი თითქმის სულ გადაათვალიერა, მაგრამ ზებედევის შესაფერ სასჯელს მაინც ვერ წააწყდა.

— წადი კლასში, — ცივად უთხრა მოსწავლეს და გაისტუმრა, მერე თანაშემწეს მიუბრუნდა: — იცი რა გითხრა, ბართლომე ივანიჩ: სიჩქარისა გამო ვერ ვიპოვნეთ, თორემ საიმისო რამე უსათუოდ იქნება, მერე ვნახოთ. თუმცა უნდა შეგნიშნო, რომ თქვენი ბრალდება დაუსაბუთებელია! მაკარ მაკარიჩმა რომ თქვა, იმისი არ იყოს, ხელში ხომ არ ეჭირა კვერცხი, ხომ არა ჭამდა?

— მამაო ინსპექტორო, აქ ეჭვი და ორაზროვნება ყოვლად შეუძლებელია, მაშ რა უნდოდა იმ დროს იქ. სიცივე არ იყო და ქარი. ყველა იმისი ამხანაგი გარეთ მზეზე თბებოდა. კვერცხი რომ

ვასკდა, რად გაწითლდა, თუ მისი ნამოქმედარი არ იყო? ლამაზად შესწვავდა, პურს იქვე მზარეულს გამოართმევდა და არხეინად შეექცეოდა. მე ცოტა ავჩქარდი, თორემ სამი წუთი რომ დამეგვიანებინა, ზედ ჭამის დროს თავზე დავადგებოდი.

— ეგ სულ სხვა იქნებოდა, ბართლომე ივანიჩ, მაგრამ ახლა რაც არის, ის არის. რაკი მოიყვანე, პრინციპის გულისთვის, რამენაირად უნდა უსათუოდ დავსაჯოთ, მაგრამ შემდეგში კი უფრო ფრთხილად მოიქეცით. თუ აშკარა საბუთი არა გაქვთ გასამტყუნებელი, ვარაუდით ხელს ნურავის ნუ წაავლებთ. ხომ იცით, რა შფოთიანი ხალხია. უიმისოდაც ათასნაირი ცუდი ხმა მოგვდის და ცეცხლში ნავთის ჩასხმას უნდა ვერიდნეთ.

მეხუთე კლასში ისევ ჩოჩქოლი ისმოდა.

— მოდის... მოდის! — გაისმა ამ კლასში.

მამა ინსპექტორი მართლა მიდიოდა.

„ფუ! რამდენი დრო დავკარგე ტყუილა უბრალოდ, — ფიქრობდა გზა-გზა მამა ინსპექტორი და მეხუთე კლასისაკენ მიეჩქარებოდა. — გუშინ და წუხელ ვერაფერი წავიკითხე, სულ ვერ მოვემზადე. დღეს, თუ გინდა, არაფერს არ ავხსნი, სულ ვკითხავ, მაგრამ ადგება რომელიმე მოუსვენარი მოსწავლე და გკითხავს, ეს და ეს ადგილი სახარებიდან ამიხსენით და შენც მოვალე ხარ, აუხსნა... ასე არ იყო, ჩამაცივდნენ ერთხელ მოუმზადებელს და რა არ ვილაყბე, ოდესღაც პროფესორისაგან გაგონილიც მოვიგონე, სხვაც ზოგი აქეთ, ზოგი იქით, მაგრამ არ იქნა, ვერ დავაკმაყოფილე ცნობისმოყვარენი. სახეებზე ეტყობოდათ, რომ ბევრი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ახსნა-განმარტებამ“.

„დალოცვილები, თვითონ არაფერს ყურადღებას არ აქცევენ, სადარბაზოდ დაბრძანდებიან და შენ კი სწიე ჭაპანი! — ფიქრობდა თავის მხრივ ბართლომე ივანიჩი. — მე საქმეს კეთილსინდისიერად ვასრულებ და მადლობის ნაცვლად მეუბნებიან, თუ უტყუარი საბუთი არა გაქვს, ხელს ნურავის დაადებო. უტყუარ საბუთს დამნაშავე მოსწავლეში სამს ვერ უპოვნი. აი, გუშინწინ საწოლ ოთახებში რომ გავიარე, ღამის ორ საათზე, სტვენა დამიწყეს. ნამდვილად საიდან უნდა მცოდნოდა ვინ უსტვენდა.. მეც ავდექი და იმ ადგილიდან სამი, ოთხი ავარჩიე, ნაკლებ კეთილსაიმედო და „კონდუიტში“ ამოვაყოფინე თავი. სხვა რა უნდა მექნა, უტყუარი საბუთი საიდან მომეტანა? არავინ ჩამეწერა? უკაცრაოდ, ჩემს აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებ!“.

V

საღამოს შვიდ საათზე ბართლომე ივანიჩმა მორიგეობა მეორე თანაშეწეს ჩააბარა და თვითონ მთავარ ქუჩისაკენ სასეირნოდ წავიდა. ღვთის წინაშე, მორიგეობის შემდეგ თავისუფალი გავლა-გამოვლა და სრულიად დამშვიდება ეპირვებოდა. დაღლილი იყო. საღილიც ხეირიანად ვერ ეჭამა.

მთავარი ქუჩა მოსეირნე ქალით და კაცით იყო გაჭედილი. ამინდიც ხელს უწყობდა: მარტის თბილი დარი იდგა. ახალი გაზაფხულის სუნი უკვე ტრიალებდა ჰაერში და ზამთრის სუსხისა გამო მიმქრალ-მინელებულ გულს კვლავ სასიყვარულოდ იწვევდა.

ბართლომე ივანიჩიც გაერია მოსეირნეთა შორის. ქვაფენილზე აქა-იქ ქალების კისკისიც მოისმოდა. ქალები, თითქო რაღაც დაუკარგავთო, აქეთ-იქით გაფაციცებით დარბოდნენ. მაგრამ ამ წუთში ივანიჩს ქალები არ აინტერესებდა. მიდიოდა ოდნავ თავჩაღუნული, რაც პატარაობიდანვე ჩვეულებად ჰქონდა გადაქცეული და თავის მომავალზე ჰფიქრობდა.

„საძაგელი ხელობაა, უხეირო სამსახურია, — ამბობდა გულში. — მთავრობას ასიამოვნებ, მოსწავლენი უნდა მოიმდურო, მოსწავლეებს ასიამოვნებ, მთავრობა დაგემდურება. თვით ის მამა ინსპექტორი, რომელიც მე დღეს საყვედურს მეუბნებოდა, უსაბუთოდ ნურავის წაავლებ ხელსაო, ერთი კვირა რომ ვინმე არ ჩავწერო, უფრო მეტ საყვედურებს მომაყრის: ეგ რა ამბავია, ალბათ თვალყური კარგად არ გიდევნებია, თორემ როგორ დავიჯერებო, მთელი კვირა ოთხას კაცში არც ერთმა არაფერი დააშავაო. მოდი და ჰკითხე მაგათ სამართალი? მაგრამ უკაცრაოდ! ბართლომე ივანიჩი უსუსური ბავშვი არ არის, რომ არ იცოდეს რასა შერება ჩემი ინსტრუქცია. ინსპექტორზე ნაკლებ არ ვიცი. ინსპექტორი ან რექტორი ვითომ რა წითელი კოჭები არიან. მაგათაც აკადემია გაათავეს, მეც. ჩემი დისერტაცია, თუმცა მშრალ თემაზე იყო, მაგრამ ერთი კარგთაგანად იყო აღიარებული პროფესორი მილიტინისაგან. სამსახურში მტკიცედა ვარ, არავისი არ მეშინია, თუმცა ვიცი, რომ მოსწავლეებს არ ვუყვარვარ. ზოგი აშკარადაც მემტერება, რადგან ისინი ჩემი დასმენით სახელმწიფო ხარჯიდან დაითხოვეს. მაგათი ბრალია: მე ფილოსოფიის ბევრი არა მრწამს რა, ნაბძანებია, ასე, ასე უნდა მოიქცეო, მორჩა და გათავდა! თვით მამა რექტორმა გამოუცხადა ყველას: გაზეთების კითხვა აკრძალულიაო. მოკლეა

და გასაგები. ყველას უნდა გაეგონა. იმათ კი ათიოდე ნომერი გაზეთისა ერთად ვუპოვნე. აკრძალულია აგრეთვე საერო-სამეცნიერო ჟურნალების კითხვა, ხელოვს კი არხეინად გაეშალა შიგ საკლასო ოთახში დიდი ჟურნალი და ახალ ნასადილევს ტკბილეულის ნაცვლად შეექცეოდა. ზედ დავიჭირე, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო. რა საშინელი ცნობისმოყვარე ხალხია, ღმერთო? რისთვის ატეხენ თავს საერო ლიტერატურას? აბა სასულიერო რამე შეაძლიე, თუ ხელი მიაკარონ. შარშან რა მშვენიერი თხზულება გამოვიდა ჩემი ნარეექტორალის ყოვლად სამღვდელო ისიდორესი. თხზულებაში ნათლად არის დამტკიცებული, რომ მოსემ მართლა გააპო ზღვა და მშრალად განიყვანა ისრაელი, რომ იქ ზღვის ტალღების არავითარ მოქცევასა და უკუქცევას ადგილი არა ჰქონდა. რამდენს მივაწოდე წასაკითხად, მაგრამ არც ერთმა არ წაიკითხა. აბა კარლ მარქსის ან ენგელსის თხზულება გვეჩვენებინა, ერთმანეთს ცხვირ-პირს ჩაამტვრევდნენ".

ივანიჩი იმდენად გაერთო ფიქრებში, რომ ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ დაეტაკა ერთ მაღალ-მაღალ ჩასქელებულ კაცს.

კვარტალნი გამოერკვა. მიიხედ-მოიხედა. კარგა მანძილი გაევლო. უკან გამობრუნდა და მაღაზიების გაყოლება გაიარა.

ცხრა საათს კარგა გადაცილებული იყო, როცა ბართლომე ივანიჩი სემინარიის შენობას მიუახლოვდა. მიდიოდა ნელა, თან რაღაც სიმღერას ღიღინებდა ჩუმად. პალტოს ღილზე მოწითალო ქაღალდში გახვეული რაღაც ნავაჭრი ეკიდა.

„ეხ! მოდი ერთი ბერად აღვიკვეცები, — გაიფიქრა ივანიჩმა. — მაშინ ხომ ამდენი ლოდინი არ დამჭირდება. ადვილად შესაძლებელია პირდაპირ ინსპექტორობა მომცენ სადმე. არ გაივლის სამოოთხი წელიწადი, რექტორი ვიქნები, სამი-ოთხი კიდევ და ეპისკოპოსი. ჩემი ნაამხანაგარი ბარემ ორი მეგულება რექტორი. ერთს საცაა ეპისკოპოსობას მისცემენ და რომ შემხვდეს, ხელზე უნდა ვემთხვიო. ერთად კი ბევრი გვიქეიფნია... მოდი ერთი მართლა ბერად შევალ!"

ამ დროს იქვე მახლობლად ქვაფენილზე ვიღაც მაღალი, ახოვანი ქალი შეამჩნია. ქალი თავმომწონედ მიდიოდა. კაბის ბოლო კოხტად ეჭირა ხელში, რომ მისი ჩამრგვალებული ტანი უფრო ნათლად და მიმზიდველად გამოჩენილიყო. ქალს გვერდზე კოხტადვე გამოწყობილი პატარა ტანის კაცი მისდევდა.

ივანიჩი შეჩერდა, ერთ ხანს უყურა და მერე ისევ სემინარიისაკენ განაგრძო გზა.

VI

შინ რომ მივიდა, ადუღებული სამოვარი დახვდა. მოსამსახურე ბიჭი დაითხოვა, შეხვეული ქაღალდი გახსნა, შიგ შემწვარი გოჭის ნაჭერი აღმოჩნდა. გოჭის ხორცი დასჭრა, თეფშზე დაალაგა, ერთი ბოთლი ღვინო საიდანღაც გამოაძრო, მოსძებნა ყველი, კარაქი და მადიანად შეექცა.

„შევიდე ბერად? — მოდიოდა ფიქრი. — არა. დაიღუპოს მაგათი სახსენებელი! ერთი მხრივ მართლა კარგია, მაგრამ მეორე მხრით არ მომწონს. სჯობია ცოლი შევირთო. — ცოლის გახსენებაზე ქუჩაში ნანახი ახოვანი ქალი მოაგონდა.—იმ ქონდრის კაცს ისეთი ზორბა ქალი თუ აეკვიატა, მე ვითომ რა იმაზე ნაკლები ვარ? უმაღლესი სწავლა ვიმიღია. მზითევსაც კარგს ავიღებ... არა, ბერობა არ მინდა. ღმერთმა განუსვენოს ბერებს!“ — წარმოთქვა ივანიჩმა, გაღიმა და მეოთხე ჭიქა ღვინო გადაჰკრა.

„ეს ღვინო კი მშვენიერებაა სწორედ აქ. პირველად რომ დავლიე, ძლიერ მეჭარა, შემეზიზღა კიდეც, მაგრამ ახლა უამისოდ ვეღარ ვძლებ... ეპისკოპოსობა დიდი პატივია... დაუქნიე ხელი და „ის პოლა“-ს იგალობებენ. შენც აკურთხე, შრეში არ დაგეხარჯება და ნიშადური... გუბერნატორიც ბოწიწებით მოვა და ხელზე გეკოცნება. ახლა კი, ნათლისღება დღეს უბრალო პოლიციელმა, წყალკურთხევის ამბავს რომ ვუყურებდი, კინაღამ ზურგი ამიკრელა... არა... დაიკარგოს. ახლა სასულიერო უწყების მოხელეთაც აქვთ უფლება ფორმის ტანისამოსის ჩაცმისა, სტატსკი სოვეტნიკის ღილებს რომ გავიკეთებ, უბრალო პოლიციელი კი არა, პოლიცმეისტერიც პატივით მომეპყრობა. არა, ჯობია ცოლი შევირთო. ურა... გაუმარჯოს ახოვან ქალებს!“ გასაგონად წამოიძახა კვარტალნიჰ და კვლავ გადაჰკრა ჭიქა ღვინო.

ბართლომე ივანიჩმა გოჭის შემწვარ კანს დაავლო ჩანგალი და პირში ჩაიდო. „უჰ! უჰ! რა გემრიელია კანი. ან რა სუფთად და კარგად არის გაკეთებული: ცოტა ძვირი კია, ნახევარ გირვანქაში აბაზი მივეცი“, — ფიქრობდა ივანიჩი და სიამოვნებით ახრამუნებდა.

ჭიქა ისევ გაავსო. უნდოდა ამ სასიამოვნო გუნებაზე რამე კაი სადღეგრძელო დაელია და თითქმის ჭიქასაც ხელი წაავლო, რომ ვიღაც საჩქაროდ შემოიჭრა ოთახში.

— ბართლომე ივანიჩ, ბართლომე ივანიჩ, შინა ხართ? მოვძებნე, მოვძებნე წესდებაში საჭირო მუხლი! აი, ორმოცდამესამე! — იძახდა მამა ინსპექტორი და გაშლილ წიგნაკზე უთითებდა.

— ვ...ვ! — რაღაც გაუგებარი წამოიძახა ბართლომე ივანიჩმა, ზეზე წამოიჭრა და ყურებამდე გაწითლებულმა გემრიელად დაღეპილი ლუკმა უგემურად გადაყლაპა.



ერთგული

I

გათენება მოახლოებულ იყო. აღმოსავლეთის მხრით ცის კიდეს ოდნავ მოწითალო ფერი გადაჰკროდა. ქალაქ იერუსალიმის განაპირა უბნის ერთ-ერთ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში ჯერ შუქანება არ იყო. პასექის დღესასწაულისა გამო ღამენაქეიფარ ხალხს, ეტყობოდა, ტკბილად ეძინა. მოღრუბლული ცა საწვიმრად ემზადებოდა. ქალაქს რაღაც რუხი, უსიამოვნო ფერი გადასცემდა და გარეთუბნის დაბალი მიზნექილ-მოზნექილი, მიწური ქოხები ამ ულაზათო დილას ერთიორად უფრო საცოდავად და გულსაკლავად გამოიყურებოდა.

ქუჩის ბოლოს ხმაურობა მოისმა. ხუთიოდ თხა წინ გაერეკა ვიღაც მწყემსს და ქალაქგარეთ საძოვრისაკენ მიეჩქარებოდა. მწყემსი ფეხშიშველი იყო, ჭინჭის ნაგლეჯით თავი შეეხვია და ერთმანეთს მიკონკილი ქეჩის ნაგლეჯები ტიტველ მუხლებამდე ძლივს წვდებოდა. ეტყობოდა, იმასაც რგებოდა თავის ბატონისაგან, დღესასწაულისა გამო, ერთი-ორი ჯამი წითელი ღვინო. ამაყად თავი აეღო, კომბალი მხარზე გაედო და ნელ-ნელა მიღიღინებდა.

ერთ-ერთ მოსახვევში თხები ცოტად დაფრთხნენ, მათ წინ ვიღაც შეეჩეხა.

— მანდ ვინ არის? — დაიძახა მწყემსმა, კომბალი მოიმარჯვა და ცალი ხელი შუბლზე ჩამოიფარა, რომ ბურუსში უფრო კარგად გაერჩია და დაკვირვებით წინ გაიხედა.

მისგან რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე ვიღაც ახოვანი, მკერდ-ჩამრგვალებული, ჩადრწამოსხმული ქალი იდგა.

— უფალი შენთანა, ძეო ისრაელისაო, — დაღონებულად მიესალმა ქალი და მიწურის კედელს მიეკრა, რომ თხებისთვის გზა მიეცა.

— მე კი ვერ გიცანი, ასულო სიონისა, — მიუგო მწყემსმა, კომ-

ბალს დაეყრდნო და ქალის წინ გაჩერდა. ტანში რაღაცა მჯიარულ-მა ერუანტელმა გაურბინა.

— არც საკვირველია, რომ არა მცნობდე: მე თქვენი უბნელი არა ვარ, არც იერუსალიმელი ვარ.

— ლაპარაკშივე შეგატყე, გალილეველი უნდა იყო, — ნელი ღიმილით გაანუკეტინა მწყემსმა, — ასე დილა ადრიან საით, სადაო? — ცოტა არ იყოს შეღიზინებული კილოთი უთხრა მწყემსმა.

ქალმა მწარედ ამოიოხრა. ეტყობოდა, მის გულში რაღაც ცეცხლი ტრიალებდა და სახუმაროდ არ ეცალა.

— აგრეთვე შეგეწევა იეღოვა, ღმერთი ისრაელისა, კეთილო ადამიანო, მითხარ, ხომ აქვე ახლოა ელკანა ქვრივის ქოხი. — შეეხვეწა ქალი.

— ბებია დედაკაცისა? ზემო ტუჩსა და ცხვირს შუა დიდი ხალი რომ აქვს, იმისა? ამ ქუჩას დაყევი, რუ რომ გაიარო, მარცხნივ აუხვიე. პირველი ქოხი ელკანა ქვრივისაა, — მიუგო მწყემსმა, ერთიც აათვალიერ-ჩაათვალიერა შეთქვირებული ქალი და თავის თხებს დაედევნა.

ქალმა რუ გაიარა, მარცხნივ მოუხვია და ერთი დაბალი მიწურის კარები დააკაკუნა.

ქოხის შიგნით სამარისებური სიჩუმე იყო. ქალმა ხელმეორედ დააკაკუნა და სმენად გადაიქცა. გულმა ცემას მოუხშირა. ქოხის შიგნით ვიღაცა მძიმედ წამოდგა და კარებისკენ გამოეშურა.

— ვინ ვინ არის? — მოისმა სახლის შიგნიდან მოხუცი დედაკაცის ხმა.

— ეშვიდობა შენთანა! ელკანა ქვრივი აქა ცხოვრობს? — მიუგო ახალმოსულმა.

ქალის ხმაზე მოხუცმა კარები გააღო და უცნობი შიგ შეიპატიჟა.

— რა გაგვირვებია, მშვენიერო ასულო? — თანაგრძნობით ეკითხებოდა მოხუცი ელკანა და თან კერაზე ნაღვერდალს ჩხრეკდა, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა. ელკანას ახალმოსული ორსული ეგონა.

— მსხვილიმცა იყოს შენი უფალი ყოველი გაჭირვებისაგან, — თავმდაბლად მიუგო ქალმა. — მითხარ ღვთის გულისთვის, შიმონ გალილეველი აქ ხომ არ არის?

— ღმერთო ჩემო! სიზმარში ხომ არა ვარ, ვისი ხმა მესმის, მარიამ, შენა ხარ? — მოისმა სახლის ერთ-ერთ ბნელი კუთხიდან მამაკაცის ხმა.

— მე ვარ, შიმონ, — ძლივს წარმოთქვა ახალმოსულმა და მწარედ აქვითინდა.

მოხუცმა ელკანამ კერას საჩქაროდ ფიჩხი დააყარა და ცეცხლი გააჩაღა, რომ სახლში სინათლე ყოფილიყო. მტირალ ქალს მიუალერსა და ტახტზე მიიპატიჟა. შიმონ წამოიჭრა, ხალხი მხარზე გადაიგდო და გარეტიანებულივით შუა დარბაზში იდგა. ღრმად შეწუხებულს თვალები აცრემლებული ჰქონდა. პირველად ისევ მარიამი გამოერკვა, ჩადრის კალთით თვალები მოიწმინდა, ტანში გასწორდა და საყვედურის კილოთი შიმონს მიმართა:

— შიმონ! ხომ იცი ყოვლისფერი, რაც მოხდა?

— მითხრეს, შევიტყვე, მოგიკვდეს შენი შიმონ, ვაიმე რაბი! — დაიღრიალა შიმონმა.

მარიამმა ცოტა დააცადა და მტკიცე კილოთი განაგრძო:

— მე კი ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ზომამდე სულმდაბალი და დაცემული იყო ჩვენი ერი. ვერ ვიფიქრებდი, ამ ზომამდე მხდალი და ლაჩარი იყო ის ერი, რომელმაც ეგვიპტელთა და ბაბილონელთა მონობას თავი დააღწია. განა, სხვას ვისმე რომ ეთქვა, დავიჯერებდი, რომ იმ ზომამდე გარყვნილნი და უსამართლონი იყვნენ ის მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი, რომელთ ხელთ უპყრიათ სჯული მოშესი, ნაანდერძევი თვით პირისაგან ღვთისა იაკობისა? მორჩა და გათავდა. აღარ სუფევს ერი ისრაელისა. მთავარნი ერისანი, საუკეთესო მამულიშვილნი, მოძღვრის, რაბი იიშუს მტრობით დაბრმავებულნი, საჯაროდ ყვიროდნენ პილატეს წინ: „გაუმარჯოს კეისარს“, „არა გეყოს ჩვენ მთავარი, გარნა კეისარიო“. ამას ყვიროდნენ ისინი, ვინაც თავის თავი აბრაამის ძედ მიაჩნია და ცათა სასუფეველს ეტრფის. იეღოვა, ცის და ქვეყნის გამჩენი ღმერთი, განა მარმარილოს ქანდაკების თაყვანისმცემელ კეისარზე დახურდავდა? შურმან და მტრობამ ერთი კაცისადმი ამ ზომამდე როგორ უნდა დაამციროს განსწავლულნი ერის უფალნი? ან მითხარ, სადაა ის ხალხი, რომელიც ოსანას გალობდა და ბაიასა და დანაკის კუდს უფენდა კიცვსა ზედა მჯდომარე რაბი იიშუს? სად იყო ის ხალხი, რატომ არ გამოესარჩლა მოძღვარს, როცა იგი ცემულ-გვემული ჯვარზე ჩამოსაკიდებლად მიჰყავდათ უსჯულოთ?!.

— მოგიკვდეს შენი შიმონ. — ტირილით ამბობდა შიმონი და მკერდზე ხელს იცემდა. — მითხარ, დაო მარიამ, პირდაპირ მითხარ: შიმონ, შენ სად იყავი-თქო... აი აქ ვეგდე, დაო... მას აქვთაა, მზის სინათლე არ მინახავს... სულ აქ ვეგდე. მითხარ, ნუ მერიდები, შენ რად უარჰყავ, რატომ იმასთან ჯვარზე არ ჩამოეკიდე-თქო...

შიმონმა თავი ვერ შეიმაგრა და იქვე ჩაიკეცა.

— მე რაღა უნდა გითხრა, აკი შენ თვითონ იძახი. აღტაცება წუთიერი იცი, შიმონ, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გაკლია... კმარა, მე შენი სამხილებლად არ მოვსულვარ, — რბილად გააგრძელა მარიამმა, — გამომყე, შიმონ. უკანასკნელი პატივი მაინც ვსცეთ მოძღვარს, ნელსაცხებელით შევმუროთ მისი გვამი. მე ვიცი ადგილი, სადაც დასდვეს იგი. იოსებ არიმათიელის წალკოტშია და მარტოდ აქ ჩემი მისვლა უხერხულია. წამო, გავეჩქაროთ, სანამ ხალხსა ძინავს. ბითსაგიიდან წამოვსულვარ, იცოდე, მარტოდმარტო, შენი აქ ყოფნა ლუკა მქედლისას შევიტყე, წამო, დაგვიანდება.

შიმონ საჩქაროდ ფეხზე წამოიჭრა.

— წავიდეთ, მარიამ, თუნდაც მომკლან, თავს არ დავზოგავ, — ათრთოლებით ამბობდა შიმონ, — მაგრამ ნელსაცხებელი სად უნდა ვიშოვნოთ.

— მე უკვე მზათა მაქვს, — მიუგო მარიამმა და ჩადრ ქვეშიდან რაღაც მრგვალი ნივთი უჩვენა.

II

ორივენი ქუჩაში გამოვიდნენ. თითქმის გათენებულიყო. ოდნავ საგრძნობელი ცვარი მოდიოდა. შიმონ და მარიამ ფეხაკრეფით მიდიოდნენ.

— სჯობია კაიაფას სასახლისკენ მოვჭრათ გზა, ვიწრო ქუჩით შეუხვიოთ და რამდენიმე წუთის შემდეგ იოსების მტილის კარებთან ვიქნებით.—თქვა მარიამმა. შიმონს სახეზე აღშფოთება დაეტყო.

— კაიაფას სასახლისაკენ რა გვინდა, ნეტავ ახლა ცეცხლი წაუკიდა, — უკმაყოფილოდ მიუგო შიმონმა, — სულ ერთი არ არის, გზას აქედანაც მოვჭრით, ბაზრის ქუჩით რომ ჩავუხვიოთ.

— ბაზრის ქუჩა იერიქოს გზაზე გაგვიყვანს, და მოვჭრით კი არა, გზას გავიორკეცებთ!

შიმონი დაყაბულდა.

ვიწრო ქუჩა გაიარეს. აი აგერ კაიაფას სასახლე თლილი ქვით ნაშენი. გარს გალავანი არტყია. სასახლის ირგვლივ მშვენიერი წალკოტია გაშენებული. იქაური ხილის და განსაკუთრებით ლეღვის ქენას დამასკოშიაც გაიგონებ. სასახლის შიგნით და გარეთ სიჩუმეა, არავინა ჩანს. წუხელ დღესასწაულისა გამო დიდი წვეულება ჰქონდა წმინდა მღვდელმთავარს. ამბობდნენ, მთელი სინედრიონი მიიპატიჟაო. მაგრამ დღესასწაული იმდენად არ ახარებდა, რამდენად რაბი იიშუს დამარცხება. აუსრულდათ ფარისეველ-მწიგნობ-

რებს გულის წადილი. რაბი იიშუ ჯვარს აცვეს. სწორედ რომ დიდი სიხარული მართებთ. ამიერიდან მათ უკანონო მოქმედებას არავინ არ ამხილებს. თავისუფლად შეეძლებათ ცხვარივით კრიჭონ შეუგნებელი და გულუბრყვილო ხალხი. იქნება ჯერ კიდევ არ გაუთავებიათ ნადიმი და ძვირფასი ხალებით მორთულ, ცხრაკლიტულ დარბაზში წითელი ღვინით სავსე ყანწს ყანწზე სცლიან და რაბი იიშუზე გამარჯვებას ერთმანეთს ულოცავენ.

სასახლის კარი გაიარეს და ზემო ქუჩას აყვნენ. შორიდან უკვე მოჩანდა არიმათიელის ბაღის დიდრონი ხეები.

უცბად რაღაც ხმაურობა მოესმათ. ქუჩის ერთ-ერთ მოსახვევიდან რომაელთა ცხენოსანი რაზმი გამოვიდა. ოციოდე მხედარი იქნებოდა. წინ ასისთავი მოუძღოდა. ყველანი გრძელტარიანი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი.

მათ დანახვაზე შიმონი შეკრთა და უკან მოიხედა. უკან კაიაფას სასახლე იყო, წინ რომაელთა რაზმი.

— ამ ბილიკში რომ შევუხვიოთ, ერთიორად უფრო ადრე მიკალთ, — ხელი გაიშვირა შიმონმა ერთი სახლის გვერდით მიმავალ საცალფეხო გზისკენ.

— იქით რა გვინდა, გზა პირდაპირ გვიძევს, — მიუგო მარიამმა და შიმონს შეაჩერდა.

უკანასკნელი გაფითრებული იყო.

— შიმონ, რა მოგვიდა? რომაელების ხომ არ გერიდება, მე მგონია, არას დაგვიშავებენ. შენ ხომ არ გიცნობენ?

— სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა. რომ გამაჩერონ, ვინაობა მკითხონ, ასე დილაადრიან სად მიხვალო, რომ მკითხონ? — ამბობდა შიმონ და თან თავშესაფარ ბილიკისკენ მიიწევდა.

— ნუ, შიმონ, — ამაგრებდა ქალი. — მე ერთი უმწეო, მაგდალელმა დედაკაცმა შუაღამე ქალაქში შემოსვლა გავბედე და შენ კი დღისით შუა ქალაქში შიშობ?

— არა, არ ვშიშობ, ამ მხრივ გავიაროთ სჯობია.

— შიმონ, ხომ იცი სად მივდივართ...

— მივალ, მივალ, უსათუოდ მივალ, ნახავ თუ არ მივიდე, — ამბობდა შიმონ და ბილიკზე თითქმის გარბოდა.

ამასობაში რაზმიც მოახლოვდა. ლამაზი ქალის დანახვაზე ასისთავმა უნაგირზე გაიწ-გამოიწია და შუბის ტარი ხელში კოხტად შეატრიალა.

— კარგი ქალი არ არის? — უთხრა ერთმა მხედარმა მეორეს.

— მართალი უნდა თქვას კაცმა, ამ ისრაელებში ბევრი ურევია ლამაზი.

— ფო, ფო, რა კარგია! — ამბობდა მესამე, — კეისრის სასახლესაც დაამშვენებდა.

— კეისრის სასახლეს ქარცეცხლი, ნეტავ ორი-სამი ამგვარით ჩემი სახლი დაამშვენა, — წასჩურჩულა ამხანაგმა.

მარიამი კედლის პირას გაჩერდა, თავი ძირს დახარა და რაზმის გავლას მოთმინებით ელოდა. რაზმმა რომ გაიარა, გაბრაზებული თვალები მიმოავლო ოღროჩოღრო ქუჩას, აჩქარებით გზა გააგრძელა.

— ნამაკაცები? ლაჩრები, გარყვნილები, უპირონი, გაუტანელნი, — ბუტბუტებდა ქალი და ფეხაკრეფით მიდიოდა.

„რომაელები ხომ დაუნდობელნი არიან, მაგრამ არც ჩვენები ჩამოუვარდებიან. უსირცხვილო იუდამ ხომ რომაელს კი არა, ეთიოპელსაც გადააჭარბა. ჩემი ჯავრი მოძღვარზე იყარა. მე რომ ვერ დამიმორჩილა, მოძღვარი გაყიდა. მე მაშინვე ვიცანი, რაც შვილი ბრძანდებოდა და პირველ დღიდანვე თავი შორს დავიჭირე, ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. სხვებიც შემომიჩინა, მაგრამ ვერც ამით მოაგვარა რა. უგუნურები, მათ დედაკაცი ძროხა ჰგონიათ. მათ ვერ შეუგნიათ, თუ რა არის ქალის გული. წმინდა სიყვარულით აღგზნებული. მათ ატყუებდათ ჩემი წარსული, მართალია, ცნობილი და გზაკვალ აბნეული, მაგრამ რაბი იიშუს მოძღვრებამ გაანათლა ჩემი გული, მე უარვყავ ძველი გზა, ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყე იგი და დავადექ ახალ ცხოვრებას. ახალმა სიყვარულმა, სპეტაკმა, ვით შემოდგომის თოვლმა, დაიბუდა ჩემ გულში; გაღვივდა იგი და ვერ წაშლის მას ვერავითარი ძალა უკუნითი უკუნისამდე“.

ქალი არიმათიელის წალკოტის კარებს მიუახლოვდა.

— მოძღვარო, ძვირფასო მოძღვარო, — მწუხარებით წარმოთქვა მან და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით წამოუვიდა. — ნუთუ პარტო მე მოვდივარ, შემურვად გვამისა შენისა? მარტო მე, მე ცოდვილი და თითით საჩვენებელი. სადღა არიან ტომნი და ნათესავნი შენნი; სადა არს იაკობ, სადა არს იოანე?.. შიშმან ურიათამან შეიპყრო იგინი? მოძღვარო, ვიცი, სიმართლისათვის არ გამიჯავრდები. ვისაც შენ კლდე უწოდე, მეტად რბილი გამოდგა. უმწეო დედაკაცი მარტოდმარტო ქუჩაში დამტოვა და შორიდან მომავალი რომაელთა შიშით, განზე გაიქცა. რომაელთ რას სჯით ურიათ შორის უთანხმოება, მათ პირიქით უხარიათ ძლიერ, რომ არ არის ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული, რადგან მაშინ უფრო ადვი-

ლად შთანთქავენ გალილეასაც და იერუსალიმსაც... კეფა გაიქცა, მე მარტო დამტოვა.

მოძღვარო, ნუთუ მეტად არ ვისმინო იგავნი შენნი, არა დავბანო ფერხნი შენნი და არა წარვხოცო თმითა ჩემითა? მოძღვარო, ხომ კარგად იცი, რა თვალით მიყურებდნენ, რა ბოროტი ღიმი გადურბენდათ ხოლმე ბაგეზე, როცა მხედავდნენ ფერხთა შენთა ქვეშე მჯდომარეს და გულმოდგინედ მსმენელს, როცა შენ მოძღვრებდი. მე მაშინ არ ვშიშობდი, არავისი არ მერიდებოდა, რადგან გრძნობა ჩემი იყო სპეტაკი, სიყვარული წმინდა. მე ახლაც თამამად მივდივარ, ვეამბორო გვამსა შენსა, მხოლოდ ვინ გადამიგოროს ლოდი იგი, რომლითაც დაფარეს საფლავი შენი.

ქალი საფლავს უახლოვდებოდა, თანდათან უფრო მწარედ ტიროდა. ცრემლისაგან თვალარეული თითქმის უგზო-უკვლოდ მიდიოდა. ხან ბუჩქნარს მოედებოდა, ხან ხეს დაეტაკებოდა.

„მოძღვარო, ჩემო სასოებავ, გამაგონე შენი ხმა, — მოთქვამდა ქალი, — არცხვინე მხდალთა, ბოროტთ ენა დაუხშე, ამხილე ცრუთა და ამპარტავანთა, ანუგეშე მხევალი შენი ეგზომ შენზე მსახებელი და შენი მოყვარული“.

აგერ, აი იმ მაღალი ნუშის პირდაპირ გამოქვაბული, სადაც გუშინ საღამოთი დაასაფლავეს გვამი რაბი იიშუსი. მარიამი ძლიერ კარგად ხედავდა, რომ გამოქვაბულის კარებში დიდი ლოდი მიადვეს. ახლა კი გამოქვაბული პირღია იყო. ვეებერთელა ლოდი განზე ეგდო. ქალი შეჩერდა. ტანთ გააჟრჟოლა, ფეხის გადადგმას ვერ ახერხებდა. ეს ვინ არის მისკენ მომავალი? „სევატილე იქნება“, — გაუელვა თავში.

მისკენ, მართლა, ვიღაც მოდიოდა.

— კეთილო ადა...მია...ნო, — კბილის კბილზე ცემით, ძლივს წარმოთქვა ქალმა. — მით...ხარ... სადა...და...ს...დვეს?.. — ქალი შეკრთა, ფერი ეცვალა, მთელი ტანი აუკანკალდა, მის წინ მდგომ სახეს გაშტერებით ჩააცქერდა.

— მოძღვარო! — დაიკივლა, ხელები გაშალა და გულშემოყრილი მდელოზე დაეცა.

სამჭედლოში

I

ქალაქ ბეთსამისის ახლო, პატარა ღელეს პირად, ოსტატს სალათიელს სამჭედლო ჰქონდა გამართული. ალიონიდანვე გააჩაღა მან ცეცხლი ქურაში და თავის მძიმე, მაგრამ ძლიერ საჭირო და სასარგებლო შრომას შეუდგა. ბეთსამისის ახლომახლო სოფლებისა და დაბების მცხოვრებლები, ვისაც რამე რკინეული გასაკეთებელი ჰქონდა, უმეტესობა მასთან მოდიოდა. მჭედლები განა სხვები არ იყვნენ, მაგრამ ოსტატობაში სალათიელს ვერ შეედრებოდნენ. სალათიელის გაკეთებული ნაჯახი ტვიროსშიაც იხსენიებოდა. სამუშაო მართლაც ძალიან ბევრი ჰქონდა. თვითონ სალათიელი და ორი მისი ვაჟი, მათანი და იობედი გარიჟრაჟიდან მიმწუხრამდე გამუდმებით სცემდენ ჩაქუჩს გახურებულ რკინას და საქმეს მაინც ვერ აუდიოდენ.

ოსტატი სალათიელი ხასიათით იყო თავმდაბალი, შესახედავად უშნო, ტანად დაბალი და ხმელ-ხმელი, მაგრამ ჭკვიან კაცად და სჯულის წიგნებში განსწავლულად ითვლებოდა. ცოლი ჰყავდა ახოვანი და ძალიან ლამაზი ქალი სალომე, ნაგე მეჭურჭლის ასული, ნაზარეთიდან, შვილები ჯედას ჰგავდნენ: მაღალნი, წარმოსადეგნი. უფროსი მათანი ოცდარვა წლისა იქნებოდა. შავწვერა, თმახუჭუჭა, უმცროსი, იობედი კი მეცხრამეტეში იყო, სიმაღლით და ძალ-ღონით ძმას თითქმის ჯობნიდა. საულვაშე ახლად ემწვანებოდა.

— დაჰკათ, დაჰკათ, ბიჭებო, — გადასძახა შვილებს ოსტატმა სალათიელმა, მაგრამ რა მამის წაქეზება უნდოდათ; ორი ლომივით ბიჭი მარჯვედ უშენდა ვეებერთელა ჩაქუჩს გახურებულ რკინას.

ოსტატს კი მარწუხით რკინა ეპირა და პატარა ჩაქუჩით საქმეს მიმართულებას აძლევდა, მძლავრად მოქნეულ ჩაქუჩთა დაგადუგისაგან სამჭედლოს კედლებს ზანზარი გაჰქონდა.

— პურის ჭამად არ დავჯდები, სანამ ხუთივე ნიჩაბს არ გამოვჭედავ, — არ ცხრებოდა ოსტატი. — ჩემმა ცოლისძმამ და თქვენმა ბიძამ მელქამ შემიკვეთა. ბეთსაიდაში ადგილი შეუძენია და ვენახი დაუსხამს. უსათუოდ ამ დღეებში უნდა გავუგზავნო ნიჩბები. წიგნსა მწერს, გვეპატიჟება. წრეულს არ გვაქვს იმისი თავი, შვილებო, და გაისად, თუ ღმერთმა მშვიდობა ქმნა, ვეწვიოთ, ტკბილი ბაჭრით და ქიშმიშა ყურძნით გული გავიხაროთ. ისე ჰო, ისე ჰო, მაგრა, მაგრა, ოჰო... ეყოფა.

— დაუცხრომელი მუშა ხარ, მამა, — სიცილით შენიშნა იობედმა, როცა კაი ხნის განუწყვეტელ რაკუნ-ხაკუნისაგან ცოტათი შეისვენეს.

— ახლა გაიგე, ბიჭო; მამიჩვენის ხასიათი, — მიუგო მათანმა, — მამას საშმელი არც ეგემება, თუ დაწყებული საქმე ცოტად მაინც არ შეაკეთ-შეალამაზა. სამი სანიჩბე შემოკალაპოტებულია, ორიღა დაგვრჩა, ჯერ დრო ბევრია, მოვასწრებთ.

— მე მეშინია, ჩამოყალიბებას არ დასჯერდეს და გასალესადაც არ წაგვაკეციოს ხელები, მაშინ ვახშამი და სადილი ერთად გვექნება...

— ტყუილად არ ამბობენ: სალათიელი მჭედელი და იოსები დურგალიო; მათ გაჭედილ-განათალსა მაღლით მადლს ფენს უფალიო, — მხიარულად შემოილაპარაკა ვიღაც ქოსა, წითურმა კაცმა და კარებში გაჩერდა.

— ო...ო, ჩვენს შლომოს, ჩვენს მომღერალს, ჩვენს გამამხიარულებელს, — შესძახეს მათანმა და იობედმა. — შლომო, შიგ შემობრძანდი.

— მბრძანებელი ნუ მოგიშალოთ, შვილო, ღმერთმა, — დინჯად წარმოთქვა ახალმოსულმა და ისეთი დაღმეჭილი სახე მიიღო, რომ მუდამ დინჯ და დაფიქრებულ ოსტატ სალათიელსაც გაეცინა.

— მბრძანებელი ბევრი გვყავს, შენ სხვა გვითხარი თორემ, ჩემო შლომო, — ამოოხვრით უთხრა სალათიელმა.

— ამ ჩემს მარჯვენას და იმ შენ ბრუნდეს გამასწორებელს და ჩლუნგის გამაალმასებელ ჩაქუჩს გეფიცები, ოსტატო, მე მბრძანებელი არავინა მყავდეს, რომ არა მაბადია რა, ვინ უნდა მიბრძანოს?

— განა ქონებაა მბრძანებელი?

— მაშ არქელაოს ირიდის ძე, ან კეისარი გეგონა? შენი მბრძა-

ნებელი, ოსტატო, ეს შენი სამჭედლოა, შენი აგარაკია, შენი ოჯახია. იციან, რომ მათ ვერსად წაუხვალ და ამიტომ აქეთ-იქით გწევენ ხან ლევიტელნი, ხან მეფის მოხელენი. შლომოს კი არა აბადია რა და სიტყვასაც ვერავინ ეუბნება. აბა მკადროს ვინმეს! დღეს აქა ვარ, ხვალ იქა ვარ. მაგრამ, ოსტატო, ამას თავი დავანებოთ, ხუთი წელიწადი შესრულდა, რაც შენი გაჭედილი დანა მქონდა, გუშინწინ, დავიღუპე კაცი, იორდანეს პირას დავკარგე, გამიჭედე, ოსტატო, თავს შემოგევლე. ახალი დანა გამიჭედე, და თუ შლომო ვარ, აი ახლა ზღვისკენ მივდივარ და ერთ კაი მოზრდილ კობრს ვოგიტან. ხომ იცი, თევზის ჭერაში გალილეველი ზებედე ვერ შემედრება. გამიჭედავ?

— გაგიჭედავ, — მიუგო სალათიელმა.

— მაშ ნახვამდის.

— ე... სად მიეჩქარები! — დაიძახეს ძმებმა. — ჯერ რამე გვიამბე.

— თევზს მოვიტან, დანა დამახვედრეთ, მაშინ ვილაპარაკოთ! — მოსძახა სამჭედლოს უკვე მოშორებულმა შლომომ.

— აი უდარდელი კაცი, — თქვა მათანმა.

— და ბედნიერი, თუ გინდა, — დაუმატა სალათიელმა.

II

— ადე, ბიჭო, დაბერე საბერველი, — თავი დაუქნია სალათიელმა იობედს, — გვეყოფა დასვენება.

— შლომოს დანას მე გამოვჭედავ, — თქვა იობედმა და საბერველს მიატანა.

— დაუბერე, დაუბერე, თუგინდ ხუთიც სხვა გამოჭედე, — უთხრა მამამ, სანიჩბედ მიჩნეული რკინის შანთს მარწუხი მოუჭირა, ქურაში ჩასდო და ზედ ნახშირი დააყარა.

ნელ-ნელა სწევდა საბერველის ტარს იობედი. მიმქრალი ქურა აშაშინდა. ნაპერწკალი ნაპერწკალს მოსდევდა და ტკაცუნტკაცუნით ზევით ადიოდა, ჩქარა ალიც ავარდა; ფუ, ფუ, ფუ, ფუუ... ფუუ... ფუთფუთებდა საბერველი და სქელი ალი თანდათან მაღლა, მაღლა იწევდა. შანთი რკინა ჯერ გაწითლდა, შემდეგ მეტისმეტი სიმხურვალისაგან მოთეთრო ფერი გადაედო და აქეთ-იქით მაშხალებივით ნაპერწკლებს ისროდა. ოსტატმა ზედ ქვიშაც დააყარა, რომ რკინას ცეცხლი უფრო მხურვალედ მოსდებოდა. რკინა

შერბილდა, მოელვარე ნაპერწკალი უანგარიშოდ სცვიოდა. ზოგი თითქმის სამჭედლოს კარებამდე უწევდა.

— ჰე! — დაიძახა ოსტატმა, მარწუხს ხელი მოავლო და შეთეთრებული რკინა გრდემლზე დაანარცხა. მათანმა დიდი ჩაქუჩი მოიმარჯვა და შანთს დაუშინა. იობედმა საბერველს ხელი უშვა, თავის ჩაქუჩის ტარს მოავლო ხელი და გრდემლისაკენ გაეშურა. ალბათ, ტარს მაგრა ვერ ჩაებღუჯა, რკინის სიმძიმემ სძლია და ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა, ცოტას დააკლდა, ფეხში არ მოიხვედრა.

— ჰოპ! ვიღაც მოეჩქარება! — წამოიძახა მან, ორივე ხელი საჩქაროდ ჩაქუჩს დაავლო, ძმის პირდაპირ დადგა და იმანაც გახურებულ შანთს დაუშინა.

დი, დი, დი, დი, დი! გაისმა ერთგვარი თავისებური ხმაურობა, ძლიერ ხშირი და ჩვეულებრივი სალათიელის სამჭედლოში.

— კურთხევა უფლისა თქვენზედა, — შემოილაპარაკა ვიღამაც.

— ეე, თურმე ვინ მოეჩქარებოდა! — მიაძახა იობედმა.

— ერთი ამას უყურე, ნაჯახი ისევ მოაქვს, — თქვა მათანმა.

— კოსიმ, შენა? ალბათ გამოგტეხია ნაჯახი... უეჭველია, ქვას მოახვედრებდი, მეგობარო, — მშვიდად წარმოთქვა სალათიელმა და შებრტყელებული შანთი ხელახლა გასახურებლად ისევ ნაღვერდალში ჩაფლო.

— აბა რა დაგიმალო, ოსტატო, გული გერჩის და თვალი გიჭრის, ვიცი, რომ ტყუილით შენთან ფონს ვერ გავალ, ბარეღამ ახლავე სიმართლეს ვიტყვი, — მიუგო ახალმოსულმა, იღლიიდან მოკლე ტარიანი პატარა ნაჯახი გამოიღო და მჭედელს გადასცა. — სარის წვერი მინდოდა წამეთალა, ოსტატო, ნახევარ როკზე დავდე, საიდანღაც პატარა კენჭი ყოფილიყო ზედ, თუმცა ფრთხილად ვიქნევდი, მაგრამ მაინც მოვახვედრე.

სალათიელმა ნაჯახი დაკვირვებით გასინჯა.

— ოოჰ! სამ ალაგას გამოგიტეხია. შევაკეთებთ, მაგრამ ცოტა რამ სიმაგრეს მოხვდეს, ისევ თავისი დაემართება. თუ გახსოვს მე მაშინაც გითხარი, ფოლადი დალეული აქვს-მეთქი. პირზე ფოლადი უნდა დაედოს. უამისოდ, სულ ერთია, რაც გინდ ფრთხილად იხმარო, მაინც გამოტყდება.

— რა გაეწყობა, ოსტატო, დაუდე ფოლადი, თეთრს ვერ გიშოვნი. და ერთ კარგ გოდორ ნახშირს მოგიტან.

— კარგი, გაგიკეთებ, მხოლოდ, კოსიმ, იცოდე, ამ სამ დღეში ვერ მოვიცლი.

— შაბათისთვის ხომ იქნება!

— უეჭველია.

— შენი პირიმე, ოსტატო, როგორც შენი იმედი მქონდეს, ნაჯახი, ბაბაია, ხომ იცი, ჩემი შარჯვენა ხელია.

— კარგი. გავაკეთებთ, ისეთს გაგიკეთებთ, რომ თავისით სჭრიდეს, — უთხრა მათანმა, — სხვა, კოსიმ, ახალი რა იცი?

— რა უნდა ვიცოდე, შვილო, მეფე არქელაოსს არა ვწვევივარ იერუსალიმში და მასთან პური არ გამიტეხია, სიდონში სავაჭროთ არ წავსულვარ და რომის კეისარს არ დავუბარებივარ! ვარ ერთი საწყალი კაცი, მუდმივ შრომა-ტანჯვაში. გუშინწინ იოსია ლევიტელმა ჩამოიარა და ათის თავში ერთი გუდა თაფლი წამართვა. ის თაფლი იყო ჩემი ავლადიდება. რა ვქნა, ასე ხელცარიელი კი დამტოვა.

— კაცო, ათის თავში რატომ ხორბალი არ მიეცი? — დაეკითხა იობედი, რომელიც ისევ საბერველს უბერავდა.

— ცოლ-შვილს რა ვუყო, ყმაწვილო, ცოლ-შვილს. ბაღნებს სიმშილით ხომ ვერ ამოვწყვეტ. თაფლი თაფლია, სასიამოვნოა, მაგრამ ჯანდაბას მისი თავი, უთაფლოდ, როგორც არის, კიდევ გაუძლებს კაცი და უპუროდ ხომ ყოვლად შეუძლებელია... მოსავალი წრეულს, ოსტატო სალათიელ, ძლიერ ნაკლები იყო. იეღოვას გეფიცები, რასაც მოველოდი, იმის ნახევარი არ მიმიღია. ძნა თითქოს ბევრი ჩანდა, ყმაწვილო, მაგრამ როცა გავლეწე, მარცვალი ძლიერ ცოტა დარჩა. რაც არის ისიც, რაღაც ნაბიჭვარივითაა. ეხ! მადლობა უფალს, ყველაფერში, ეტყობა, დაივიწყა მან თავისი რჩეული ისრაელი, პურის მოსავალში ჩვენს კუთხეს ეგვიპტე არ შეედრებოდა და ახლა ამ ჩვენ ახლომახლოს ორი კაცი ვერა ვნახე წრევანდელი მოსავლით კმაყოფილი. ალბათ, დიდი ცოდვები მიგვიძღვის მის წინაშე, კურთხეულიმც იყოს მისი სახელი.

— ეხ! კოსიმ! კოსიმ! — მიუგო ოსტატმა და ჩაქუჩი გახურებულ რკინაზე კვლავ აახმაურა, — ღმერთს იეღოვას... ჩვე...ნი ცოდვებისაგან არც შესცივა და არც დასცხება... ჩვენი ცოდვები ჩვენვე გვიმტვრევს ცხვირ-პირს... და... დაჰკარ პირს. და... დაჰკარ, დაჰკარ, შვილო, აი აქ, — ჩაქუჩით უჩვენებდა ოსტატი, — დედავ, კიდევ ოოჰ, ეჯოფა. აბა ახლა, შვილო იობედ, ერთი კარგად დაუბერე, — მიუბრუნდა უმცროს შვილს ოსტატი და უკვე ნიჩბის სახე მიცემული რკინა ისევ ქურაში შედვა. — ჩვენი ცოდვები, კოსიმ, — განიმეორა ოსტატმა, — ჩვენვე გვილეწავს ცხვირ-პირს და გონს თუ არ მოვედით, შეიძლება სულ მიწასთან გაგვასწოროს... ჯერ ერთი ეს მითხარი, ცოდვა რა არის? შაბათს თხები

საძოვარში გაირეკო, ან გამონგრეული ღობე შეაკეთო? შენი ნკვლელი ვიყო, თუ ეს ცოდო იყოს! ან იქნებ მარხვა არ შეინახო, ყველი, ან ხორცი ჭამო? ამათი საფალავი მენახოს,—მიუთითა შვილებზე,—თუ ეს ცოდო იყოს! ამგვარები სულ წვრილმანი რამეებია, ამათი გაზვიადებული მნიშვნელობის მიცემა, სჯულის წიგნების გაუგებრობაა. ჩვენი დამღუპველი ცოდო ჩვენი ხასიათის სიმჩატეა, ერთმანეთ შორის შური და მტრობაა. თავი და თავი ცოდო კი ჩვენი შეუგნებლობაა, ჩვენი უვიცობაა. აი რა უცარავდა სულს მუდამ ისრაელის სიძლიერეს და კეთილდღეობას. კაცო, მოსავლის სიმცირეს ჩივი და ის კი გავიწყდება, გქონდა კი საშუალება დროით მოგეხნა? დროზე დაგეფარცხა, დროზე მოგემკო, დროზე გაგელეწა? რამდენი ხანია ჩვენი ქვეყანა შფოთავს, რაც ირ0დიმ ბეთლემს უმანკო ბავშვთა სისხლის ზღვა დააყენა, მას აქეთ ყანა და ბოსტანი ვის ახსოვს. საცა მშვიდობიანი ცხოვრება არ არის, იქ ხეირიანად ნაყოფს მიწაც ვერ მოსცემს. ჩვენში რომ იმთავითვე შურსა და მტრობას არ ეჩინა თავი, ისრაელთა შორის ერთობა რომ ყოფილიყო, ახლა სულ სხვა პირობებში ვიქნებოდით. მითხარ, კოსიმ, სულის ქვეშ მითხარ, ვინ ხძლია ისრაელი? ნაბუქოდონოსორმა? არა, ისკანდერ მაკედონელმა? არა, ანტიოქ ეპიფანემ? არა, ისრაელი სძლია თვით ისრაელმა, შინაურმა ურთიერთმტრობამ და განხეთქილებამ. კაცო, იუდას რა ჰქონდა სამტრო რუბენთან, ორივენი იაკობის შვილები არ იყვნენ? ყოფილიყვნენ ერთად მტკიცედ. სიძლიერე ხომ ერთობაშია...

— მამა, მეტი მოუა, კოსიმს მაინც ვერას შეასმენ, — მოსძახა იობედმა და საბერველი შეაჩერა.

— ოი, მართლა, — შესძახა სალათიელმა და აპრიალებული რკინა საჩქაროდ ქურას მოაშორა.

გაიმართა ისევ ჩაქუჩების დაგადუგი. პრიალა ნაპერწკალი ირგვლივ ათასობით სცვიოდა.

— შორს, შორს, კოსიმ, დაგწვავს, — იძახოდა ხუმრობით მათანი.

კოსიმ მართლაც შეშინებული კედელს ეკვროდა და ნაპერწკლის ყოველ მოხვედრაზე, სასაცილოდ ცალ ფეხს მაღლა იშვერდა.

III

— გიხაროდენ, ოსტატო სალათიელ, მრავალ ჟამს განახე მშვიდობით, — მოისმა ხმა და ერთი მაღალ-მაღალი, გრძელწვერა, მთლად გათეთრებული და კარგად ჩაცმულ-დახურული კაცი სამჭელდოს კარებში გამოჩნდა.

— მანასე! — შესძახეს სამთავე მამა-შვილებმა, ჩაქუჩები დაყარეს და ახალმოსულს საკოცნელად მოეხვიენ.

— საით, როდის, როგორ? — მიაყარეს კითხვები.

— აი დღეს მოვედი იოპედან, ნამგზავრევს ჯერ არც კი გამოშიძინია ხეირიანად... თქვენი ნახვა მომწყურდა, მეგობრებო. ერთი შეხედეთ იობედს, საულვაშე ამწვანებია. პატარა ნეემანი როგორა გყავს, ოსტატო, სალომე ხომ მშვიდობით ბრძანდება.

— ღმერთმა მშვიდობაში გიკითხოთ. ვართ ყველანი...

— ჰაი, ჰაი, ეს ხომ ჩვენი კოსიმაა, მუდამ ახალგაზრდა, დაუბერებელი, — მიეალერსა ახალმოსული კოსიმას.

— შენი მტერი, ბატონო მანასე, მე რომ ვარ. დრომ თავისი გაიტანა, ბატონო, არც ხელშია ძალა, არც მუხლებშია ღონე.

— გული ხომ ჯერ კიდევ მხიარულია?

— გული კი, ბატონო. სიკვდილამდე ასე იქნება.

საერთო ხარხარი ატყდა.

— სხვა, მანასე, ბევრი ქვეყნები მოიარე, რომშიაც იყავ? — დაეკითხა სალათიელი.

— ვერა, ოსტატო, რომამდე ვერ მივაწიე. ანტიოქიაში ვიყავ, ეფესოში, სირაკუზაში. არ იყო წრეულს მაინც ხეირიანი ვაჭრობა, ყველგან ქესატობას მოგახსენებენ, მეგობარო.

— მაინც ბევრი გიმოგზაურნია. როგორ ცხოვრობენ ჩვენი საბრალო გადახვეწილი ძმები.

— ზოგან ძლიერ კარგად, ზოგან ასე, ისე. მაინც ისეთ დაბაქალაქს ვერ იპოვნი, რომ ჩვენები არ ცხოვრობდენ. მერე რა ვაჭრობის უნარი აქვთ, რომ იცოდე. ეფესოში, მაგალითად, საუკეთესო ვაჭრები ჩვენები არიან. ზოგს საკუთარი გემებიცა აქვს.

— აი, უფალო, მოიხსენე ჭაბუკი შენი იაკობი, — სასოებით წარმოთქვა სალათიელმა.

— მაგრამ რაღათ გინდა, ოსტატო, მაგათი სიმდიდრე. მაგათი გემ-ხომალდები. ჩვენთვის, ჩვენი სამშობლოსათვის ჩვენი გადახვეწილი ძმები — ბევრნი გამოსადეგნი არ არიან.

— რატომ, შე კაცო, პირიქით, მე მაგათი დიდი იმედი მაქვს.

— შემცდარი ხარ, მეგობარო!

— ვე?!

— დამერწმუნე!

— ჩვენთვის, ოსტატო, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, იცოდე, უსარგებლოა ყველა, ვინც ჩვენ გვერდით არ გვიდგას, ვისაც ჩვენი ენა დავიწყებული აქვს, ვისაც ჩვენი ზნე-ჩვეულება არა სწამს. ჩვენია ის, ვინც ჩვენთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანწყვეტას. მერწმუნე, ჩვენთვის გამოუსადეგარია ვინმე მდიდარი, ან მიღებული კაცი, თუმცა შთამომავლობით ჩვენი სისხლ-ხორცი, მაგრამ შორს გადახვეწილი; ვისაც დავიწყებული აქვს სამშობლო ენა, ზნე-ჩვეულება. თუ მდიდარია, მისი ყოველდღიური საზრუნავია, როგორმე დრაკანი დრაკანს მიაწებოს, თუ რომის კეისრის მოხელეა, სულ იმის ცდაში იქნება, როგორმე მთავრობას თავი შეაყვაროს. ამისათვის კი თავდაპირველად საჭიროა თავისი ეროვნება დაივიწყოს, რომის მოქალაქედ ჩაეწეროს და რომის განდიდება-გაძლიერების საკურთხეველზე თავისი თავი ზვარაკად შესწიროს. რომაელებს სხვა ხალხი არა სწამთ, სხვა ერის არსებობა ვერც კი წარმოუდგენიათ. ისინი ხომ სხვებს ბარბაროსებს ეძახიან.

— მე კი მათი იმედი მქონდა, ცოტათი მაინც, — ჩუმ-ჩუმად ჩაილაპარაკა ოსტატმა სალათიელმა და თავი ძირს დაჰკიდა.

— მაგათ იმედზე თუ მიდგა საქმე, შენი მტერი! ჩვენი ხსნა, ოსტატო, ისევ ჩვენ ხელშია.

— ამაში კი სავსებით გეთანხმები, ძვირფასო მანასე! ამას წინათ კოსამსაც ვეუბნებოდი: ისრაელის ხსნა ისრაელის შეერთებაში და საზოგადო კეთილდღეობისათვის თანხმობით მოქმედებაშია.

— და სწორედ ყოველი ჩვენი უბედურების თავი ის არის, რომ ძეთა ისრაელისათა. არ სჩვევიათ ეს თანხმობა, ეს შეერთებული ძალით მოქმედება. ოსტატო, მოიგონე ისტორიული წარსული დავით დიდებულზე, უკეთესი დრო ურიასტანს ხომ არ განუცდია, მაგრამ აბა გადაშალე მეფეთა წიგნი? რა ტანჯვა, რა ღალატი, რა გაუტანლობა, თავისივე ოჯახში, ღვიძლი შვილისაგანაც კი განიცადა დიდებულმა მეფემ. საუბედუროდ, იმთავითვე რაღაც შუღლი დაითესა იუდასა და ისრაელს შორის, მოტაბიკე ხარებივით უბღვერდნენ ერთმანეთს და ერთმანეთის დაწიხლვა-დამცირებით დაბნელებულნი ვერა ხედავდენ მათ შთანსათქავად განმზადებულ მოსეულ, ურიცხვ მტრებს, ჩრდილოეთ ასურეთს, მაშრიყით ბაბილონს, მაღრი-

ბით ბერძნებს. რა ჰქონდათ, ოსტატო, სამტრო, განა იაკობი „თვისად არ გამოირჩია უფალმან?“ ყველასათვის არ გააპო ზღვა მეწამული? ყველას არ უწვიმა ზეცით მანანა? იორდანეც უკუ აქცია, რომ მათ მეხსიერებაში ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდილიყო ის მარტივი სინამდვილე, რომ იეღოვა არ არჩევს ამიერს და იმიერს, რომ მისთვის ყველა ძვირფასია, ეფრემი და მანასე, სვიმეონ და ლები. ჩვენ კი, ჩვენდა სამარცხვინოდ, პირველ წვრილმან უკმაყოფილების დროს გავიზარდენით: „აღარ გვინდა, არ გვიდევს წილი იესეს ოჯახთან, ისრაელ, გასწი შენ კარავშიო“.

— ოჰ! შენ კი გენაცვალე, მანასე, მაღალმა ღმერთმა არ მოშალოს შენი ენის მეტყველება, მრავალჟამიერ. რასაც მე მუდამ ვფიქრობ, რაც ჩემ გულში გახურებულ ქურასავით გუგუნებს, შენც მაგას ამბობ. ეს ყოველივე ასეა, მანასე, მაგრამ ნუთუ სამუდამოდ უნდა გაწყდეს დავითის ქნარი? — ცხადად წარმოთქვა მჭედელმა და ჩაქუჩი გრდემლზე ძალზე დააკაკუნა.

— ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა მანასემ და გრძელ წვერზე ხელი მოისვა. — ვერა გცნობ, მეგობარო, შენ მუდამ მშვიდი, მუშაობას გადალეული კაცი, არ მეგონა, რომ ამ ზომამდე აღიტაცებოდი. ეს ერთ მხრივ ძლიერ სასიამოვნოა... აბა რა გითხრა, ოსტატო, შენ შეკითხვას რა პასუხი გავცე? სულ უიმედობა ხომ საფლავის თანასწორია; მე კი ჯერ საფლავში არა ვწევარ და სრულებით არა მსურს იმედი ამოვიკვეთო. ვსასოებ, ოსტატო, რომ ისრაელის პატარა ნაპერწკალი მაინც სადღაც ღვივის, სულ არ ჩამქრალა. აი შენი ქურაც ახლა ერთი შეხედვით მიმქრალია, მაგრამ საჭიროა, რომ იობედმა საბერველის ტარს ხელი დაავლოს და ჩვეულებრივ გასწი-გამოსწიოს, რომ ჩამქრალი ცეცხლი კვლავ გაღვივდეს.

— ღმერთო შენით, უფალო ადონაი, მოგვხედე, — ზევით ხელებაპყრობით წარმოთქვა სალათიელმა.

— მაგრამ, ოსტატო, თუ აღტაცება უკუ ვაგდეთ და საქმის ვითარებას სალი თვალით შევხედეთ, სანუგეშოს ცოტას ვიპოვნით. ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყანა ერთობ პატარაა. მთელი ქანაანის ქვეყნის სიგრძე-სიგანე ქადესიდან აბელ-ბეთ-ამაქამდე და ზღვიდან უდაბნომდე ახლანდელ რომის საბრძანებელთან შედარებით ისე გამოჩნდება, როგორც ქათამი ძროხასთან და ეს ერთი ბეწო ადგილი სამ სამეფოდ არის გაყოფილი, ეს დაყოფა რომისაგან ხელოვნურად არის გამოწვეული, რადგან ეს საუკეთესო ხერხია მძლავრი ერისაგან წვრილი ერის დასაქსაქსავად. ამიტომაც არქელაოს იერუსალიმში გაამეფეს, ანტიპა გალილეაში და ფილიპე ტრაქონიტ-

თა მხარეში. მეორედ, ოსტატო, თვითეული ამ მეფეთაგანი მეფური თავმომწონეობით არის გატაცებული. მიუხედავად ამისა, რომ ძმები არიან, მათ შორის, როგორც ამბობენ, მეტოქეობამ უკვე იჩინა თავი. მეტოქეობას შური მოჰყვება, შურს მტრობა. ეჰ, მერწმუნე, ოსტატო, მე ბევრი მივლია, ბევრი მინახავს და ბევრიც გამიგონია, ვიცოცხლოთ, ვნახავთ. სამწუხარო ის არის, რომ ყველა ამ დავიდარაბის დროს ყველაზე უფრო ძე ისრაელისა დაისჯება, სულ ერთია სვიქემელი იქნება ის, თუ იერუსალიმელი, ქებრონელი, თუ გალილეველი. მაგრამ, ოსტატო, — წვერზე ხელი მოიკიდა მანასემ და ისეთი სახე შიიღო, რომ უნდოდა რაღაც საგულისხმიერო ეთქვა, მაგრამ ამ დროს სამჭედლოს კარებს ხტუნვა-როკვით და „მამა, მამას“ ძახილით მოადგა სალათიელის შვიდი-რვა წლის უმცროსი ვაჟი ნეემანი.

— რა იყო, შვილო, რა ამბავია...

— ჰა, ეს შენი პატარა ნეემანია, — მიეალერსა მანასე.

— ეს გახლავს, ამას ჩაქუჩს არ მივცემ ხელში. ეს შენ უნდა გაგატანო, ისწავლოს ვაჭრობა, ნახოს ქვეყნები.

— ბატონი ბრძანდები, მეც ამოდენა ვიყავი, პირველად გემში რომ ჩამსვეს და ალექსანდრიაში წამიყვანეს.

— მამა, მამა, — განიმეორა ბავშვმა, — ძია იოსები მოვიდა, მარიამიც მოვიდა, იიშუც მოიყვანეს, ისე გაზდილა, ისე დარბის რომ...

— რაო? — წამოიძახა სალათიელმა, — გესმის, მანასე? კაცო, იოსებ, ნაზარეთელი დურგალი, დაბრუნებულა ეგვიპტიდან. დიდებულო ღმერთო, უკვე დაიღუპა-მეგონა. რაც ძლივს თავი დაღწია მტარვალს და თავს უშველა, მას აქეთ მის მნახველს ვერსად შევხვდი. ნუთუ ცოცხალია ჩემი გულითადი მეგობარი, — აღტაცებით ამბობდა მჭედელი.

— მადლობა უფალს, — თქვა მანასემ.

— კაცს ბედი თუ აქვს, არ დაიკარგება, — ამბობდა კოსიმა.

— მეგობრებო... მაგრამ ჰო, რა უნდა მეთქვა... შვილო მათან, — შიუბრუნდა შვილს ოსტატი, — ახლავე შინ აირბინე და აბა შენ იცი, როგორ დატრიალდები. გვერდთეთრა თიკანი ახლავე ხეზე ჩამოჰკიდე... იოსებს უთხარი, მე ჩქარა მოვალ... მეგობრებო... მანასე, კოსიმ, დღეს პური ერთად გავტეხოთ, ვიმხიარულოთ! ყველასაგან პატივცემული და სასარგებლო შვილი დაუბრუნდა დღეს იუდას... მეგობრებო, გაფიცებთ მაღალ ღმერთს, ნურსად ნუ წა-

ხვალთ... მე მხოლოდ ამ ნიჩაბს მივათავებ. ორი გახურება არ მოუნდება. შვილო იობედ, აბა დაჰბერე, აბა ჩქარა!

ოსტატმა ჩაქუჩი მოიმარჯვა და ქურას გვერდით გაჩერდა. თვალები სიხარულის ცრემლით აევსო.

იობედმა დაჰბერა „ფუ, ფუ, ფუ, ფუ“ იძახდა საბერველი და ნაპერწკალს ნაპერწკალზე ტკაცტკაცუნით ისროდა.

იმასაც შეეშინდა

შიმონ-კეფა აღშფოთებული და დანაღვლიანებული გეთსამანიის ბაღიდან გამოვიდა და პირდაპირ კაიაფა მღვდელმთავრის სასახლისკენ გაემართა.

— მშიშრები, უპირონი, მფრთხალები, — ბუტბუტებდა იგი. — არც ერთი არ წამომყვა, რომ შორიდან მაინც თვალი მოგვეკრა ძვირფას მოძღვრისათვის; შეგვეტყო მაინც, სად წაიყვანენ, რას უზამენ. ფუი ჩვენ საქმეს! ლაჩრები, განა მეტი არა ვყოფილვართ? მაშ რისთვის ვეფიცებოდით მოძღვარს საუკუნო ერთგულებას! რისთვის ვტრაბახობდით, რომ ვითომ მზად ვიყავით მისთვის თავი დაგვედო. ზოგიერთებისა რა გამიკვირდება, იქითაც არიან და აქეთაც, მაგრამ ჩემ ძმა ანდრეასაგან კი ამისთანა სილაჩრეს არ მოველოდი, ის მაინც, თუ არ წამომყვებოდა, ვერ წარმოვიდგენდი... საზიზღრები, ეგდონ იქ მტილოვანში! მე ვთქვი და ვასრულებ კიდეც. რაც მომივა, მომიეიდეს! მივალ და ვიტყვი, ხმამაღლა ვიტყვი: აი, მეც მისი მოწაფე ვარ. ჰა, მოდით, მეც მასთან დამაპატიმრეთ-მეთქი. რას გვიზამენ ვითომ? ბევრს ვერაფერს. მოძღვარი კაცის მკვლელი, ქურდი და ავაზაკი არ არის... თუ გინდა ციხეშიაც დაგვამწყვდიონ, მაინც არ შევდრკები. რა ვუყოთ მერე, დაგვამწყვდიონ. უმოძღვროდ სიცოცხლეც აღარ მინდა.

კეფა თავისი ქცევით და გარდაწყვეტილებით კმაყოფილი იყო და ამით გულის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, ამაყობდა კიდეც.

ქალაქს ეძინა, ქუჩებში ჰაჰანება არ იყო, არც სინათლე მოჩანდა, მთვარეც ჯერ არ ამოსულიყო. მხოლოდ ცის კამარა საიდუმლოდ მოღიმარი ვარსკვლავებით მოჭედილი, ბნელში გახვეულ ქვეყანას დაკაშკაშებდა.

სიბნელის მიუხედავად, შიმონ-კეფა ნაცნობ ქუჩებში გზას ადვილად არკვევდა.

ერთ-ერთ ქუჩის მოსახვევში მის თვალებს ცეცხლის შუქი ეცა. შიმონ ცოტად შეკრთა და დაკვირვებით წინ გაიხედა. „სწორედ კაიაფა არქიელის ეზოშია ეს სინათლე", — გაიფიქრა მან და მუხლებში ოდნავ სისუსტე იგრძნო, წინანდებურად მარჯვედ და თამამად ფეხს ვერ ადგამდა. „არქიელის ეზოში, რომ მოვეკვედე, მაინც შევალ", — ფიქრობდა იგი.

აი მიუახლოვდა კიდეც მღვდელმთავრის ეზოს. უზარმაზარი შენობა, არქიელის სასახლე, ეზოს შიგნით გამოჭიმული, ბნელ სივრცეშიაც გარკვევით იხატებოდა. დიდ ეზოს ირგვლივ ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული და გალავნის შუა ქუჩის პირას დიდი ალაყაფის კარები ჰქონდა ჩატანებული.

ეზოს შიგნით რაღაც გაურკვეველი ხმაურობა მოისმოდა. ალაყაფის კარები ღია იყო, შიმონ-კეფა შეჩერდა, გული აუფანცქალდა. ფეხებში მეტი სისუსტე იგრძნო. დღე რომ ყოფილიყო და ვისმე შეეხედა სახეში, უსათუოდ ეტყოდა: „კაცო, რამ გაგაფითრაო!" ამას შიმონიც გრძნობდა. გალავანს მიეყრდნო, სული მოითქვა, მელოტ თავზე და სახეზე ხელი გადაისვ-გადმოისვა. „მეტისმეტი აღელვებისაგან თუ მომდის, ალბათ, ძლიერ დავიღალე, საღამოს აქეთ დავრბივარ", — თავს იმართლებდა კეფა. „ცოტას შევისვენებ და გადივლის". მაგრამ სადღაც შორს, გულის სიღრმეში მიმალული პირუთვნელი ეპვი სულ სხვა რამეს ეფუჩუნებოდა. „ეკრძალე, კეფა, შენზედაც არ ახდეს მოძღვრის შიში, სული ტკბილია, ეგ ოხერი".

„ის წყეული მეკარეც აქვე იქნება ალბათ ატუზული. შესაძლებელია, არც კი შემიშვას. ძალას ხომ ვერ დავატან", — გაუელვა თავში, მაგრამ, როცა თავს ძალა დაატანა, ერთი ორი ნაბიჯი წინ წარსდგა და ეზოში ხალხი დაინახა, წათამამდა და შესასვლელად გაემართა. ეზოში შუაგულ უშველებელი ცეცხლი ენთო, გარს ხალხი ეხვია და თბებოდა. ცეცხლისაგან ალმაცერად განასროლი სინათლე ალაყაფის კარებსაც ხვდებოდა და შიმონმა კარებთან შეამჩნია ქვის სკამზე მოკუზული მჯდომი მეკარე.

მის დანახვაზე კეფა შეჩერდა და ფეხის გადადგმა ვეღარ გაბედა. „ეს რა მემართება! ასე რამ შემაშინა! მეკარეა, მეკარეა, დიდი ვინმე კია სწორედ, არქიელი ხომ არ არის. რამდენჯერ შემიმჩნევია ეს აქ ატუზული, მაგრამ ყურადღებაც არ მიმიქცევია, არაფრად არ ჩამიგდია, ამდენ ხალხში რატომ მე არ უნდა შემეძლოს

შესვლა", — ფიქრობდა კეფა. მსჯელობა უტყუარი იყო, საუბედუროდ ფეხები წინბიჯის გადასადგომად არ იძროდნენ. მეკარეს, ეტყობოდა სთვლემდა, რადგან შიმონი კარგა ხანს ვერ შეამჩნია, მერე ოდნავ შეინძრა.

კეფამ წინ გადასადგამად განმზადებული ფეხი უკან გადმოდგა.

— ჰა, ჰა, დაგიღია პირი ლოქოსავით, შიგ შემოდი, ალბათ დაბარებულთაგანი იქნები, სად ეხეტებოდი? — ზანტად დაიბუზღუნა მეკარემ, ხალათში მაგრა გამოეხვია და ისევ ჩასთვლიმა.

კეფა საჩქაროდ ეზოში შევიდა.

„აქ საშიში რა იყო, — უსაყვედურა თავის თავს, — აი რამდენი ხალხი მოგროვილა. ვის დაბარებული, რის მობარებული, რა იყო, ის მეკარე რომ ბოდავდა... სიზმარში თუ იყო!"

ცეცხლის ირგვლივ ზოგი დამსხდარიყო, ზოგი დამდგარიყო, ზოგიც აქეთ-იქით დადიოდა და მუსაიფობდა, სასახლის ყველა კარებში კი მოსამსახურეები იდგნენ და ეტყობოდათ ბეჯითად დარაჯობდნენ, რომ შიგ არასასურველი ვინმე არ შეპარულიყო.

„სწორედ შიგ. დარბაზში შეუყვანიათ, როგორც ეტყობა, მოძღვარი", გაიფიქრა კეფამ და ცეცხლის ირგვლივ მოგროვილ ხალხს თვალიერება დაუწყო. ყველა რაღაც ნაყარ ხალხს ჰგავდა, ხეირიანი მოქალაქეთაგანი იშვიათად ერია. გლეხი სოფლიდან, ალბათ, შემთხვევით მოქცეული, გაკოტრებული წვრილი მოვაჭრე, ლოთი ხელოსანი, ქუჩის მაწანწალა და სხვა ამგვარი, აი, ვისგან შესდგებოდა ეს ხალხი. ბევრი ათვალიერა შიმონმა, მაგრამ ნაცნობი ვინმე ვერ შეამჩნია.

— ეს შეშა კი თანდათან იწვის და სხვას კი ვერსად ვხედავ. თუ შეშა არ დაუმატეს, ცუდათაა ჩვენი საქმე. თვალი დაუდგეს, მართლა, სიღარიბეს, თორემ, განა ღირს, რომ ორი დრაკნის გულისათვის კაცი აქ სიცივით გაიფიჩხოს. შეჩვენებული ვიყო, ერთი კარგი ძილი ორ დრაკნად კი არა, ხუთადაც არ მიღირდეს, — ჩაილაპარაკა ერთმა ცეცხლის პირას მჯდომმა პირყვითელმა, დაგლეჯილ ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა.

— შეშა, შვილო, — მიუგო მის გვერდით მჯდომმა კბილებჩაცვინულმა მოხუცმა და ფართოდ დაამთქნარა, — იმ არქიელის მოსამსახურეს ეცოდინება. ახლა აქ არ ტრიალებდა ის ბიჭი? ვიღაცას ათვალიერებდა. ა...ჰა... ჰაია, ჩემი ცოდო, რა ტკბილად მეძინა. ის ხუცესი, ის მუცელგაბერილი, არ მომეშვა, წამოდი და წამოდიო. რა მექნა, ხათრი ვერ გავუტეხე, რომ გამიჭირდება, კი-

დევ ინასთან მივრბივარ... თორემ, აქ მე რაღა საჭირო კაცი ვიყავი. არც კი ვიცი ხეირიანად რისთვის მომათრიეს აქ, ამ შუაღამისას, ტან-ფეხს მოკლებული კაცი. საჩუქარს მიიღებო, ვნახოთ, აბა რას მომცემენ.

— მე ის ვიცი, ჩემო ძმაო, რომ სამი დრაკანი მომცეს, — თქვა ერთმა, — ზოგისთვის, როგორც შევიტყე, ოთხიც მიუციათ. რათაო, შვილოსან, მე რა დამიშავებია... ბაქიბუქი და ყვირილია საჭიროო და აბა მიბრძანონ, ისე ვიყვირო, რომ იერიქოს სახედრები დავაფრთხო.

— მე, ჩემო ივანე, — ცოტა საიდუმლოდ ეუბნებოდა ერთი კაცი მეორეს, შეჯგუფულ ხალხის ცოტა მოშორებით, — რაც ვიცოდი, ის ვთქვი, რაც ჩემი ყურით გამეგონა, ის მოვახსენე უმაღლეს სასამართლოს. გავიგონე კი, იმ წმინდა ტაძარს გეფიცები. რაბი ეიშუ თამამად ამბობდა: დაანგრიეთ ეს ტაძარი და სამ დღეში ავაშენებ. მახსოვს ისიც, დიდმუცელა ჩვენი დეკანოზი, რა ჰქვიან, ჰო, რაბი ზარა, აი ის გამოეკამათა. ჩვენი წინაპარნი ორმოც წელს აშენებდნენ და შენ რა კაცი ხარ ისეთი, რომ სამ დღეში ააშენებო!

— ხომ ყველანი ხართ? იცოდეთ, არსად არ წახვიდეთ, — ხმამაღლა გადმოსძახა სასახლის დერეფნიდან არქიელის მოსამსახურემ.

— შენ კი გენაცვალე მაგ ახალ, ქერა წვერ-ულვაშებში. აბა სად უნდა წავიდე, — დაიძახა ერთმა მუცელგაბერილმა ცეცხლის ახლო შეჯგუფებულ ხალხიდან. ლაპარაკში ეტყობოდა, რომ ეს კაცი ნასვამი იყო.

— შენი ბაიასფერი თმის ჭირიმე... ისეთი კარგი ღვინო დამალევინა... ე... მაგას კი ვენაცვალე... ერთი ხელადა რომ დამიდგა... გადავყლურეე. ახლა, მეორე, უფრო დიდი მომიტანა... ეს ჩვენი მღვდელმთავრის სადღეგრძელო დალიეო... ეი... მაგას კი ვენაცვალე, მაგ გრძელ წვერებში-მეთქი... ისეთი კარგი არქიელი არა გვყოლოდა, იერუსალიმი ხომ დაიქცეოდა... მეორე ხელადაც გადავ...ყლურეე... ახლა, მაგ მამაცხონებულის შვილმა მესამეც მომიტანა... თვალები ყაყაჩოს კოკორივით მიღუოდა, თავში რაღაც მიფუჩუნებდა, გული საკრესავით მივარვარებდა... უარს როგორ ვეტყოდი... ეს ჩემი არქიელი მიცოცხლოს ღმერთმა-მეთქი, მაგის მადლი ნუ მომაკლოს იეღოვა შემოქმედმა-მეთქი... ისიც გადავყლურეე. შენ თუ რამე გკითხონ, იცოდე... რიგიანად ილაპარაკეო... რიგიანს კი არა, შენი გულისთვის, ურიგოსაც არ დაეერიდები-მეთქი...

ასე ეუთხარი... თავი ნუ მომიკვდება... ეიფ, რა წითელი ღვინო იყო... შენ გგონია აქაური იყო?! სრუ...ლებით... არა... დამასკოდან მღვდელმთავრისთვის საგანგებოდ გამოუგზავნია...

— შენ როგორ გგონია! — გააგრძელა მუცელგაბერილმა და ხელი გააქნია. — მე რისთვისა ვარ აქა... აი ახლა... მე უნდა დავამოწმო... რომ... ის... რა ქვიანა?... სჯულს უღალატაო... ხუცები, რომ ტაძრიდან იფრინა... შენ როგორ იტყვი... რომ მომცა, მეოთხე ხელადას დავლევ თუ არა?... მე მოგიკვდე, თუ არ დავლიო...

— შენ მაგისთანებს ხალხში რას როტავ, ტუტუცო, როცა გკითხონ არქიელმა, ან რაბუნებმა, მაშინ ილაპარაკე, — გააწყვეტინა ბეორემ, იმანაც ცოტა ნასვამმა. — ჯერ ჩუმად უნდა იყო... გლეხო, მუცელი რუმბივით რომ გამოგბერვია... ერთს დავლევდი, როგორც მე, ცოტას შევქეიფიანდებოდი, დანარჩენს ხვალ დავლევდი.

— ხვალ დავლევდი! — გააჯავრა მუცელგაბერილმა და თვალები გადმოუკარკლა. — ზეგაც არ ინებებ? აზარფეშით მოგართმევენ, აი, შენ ოღონდ პირი კარგა მოიწმინდე. შენ მასწავლი რაღა... სასახლის ადათებს. ეეხ, შვილოსან, აქ როცა საჭირო ხარ, თავზე ხელს გისვამენ, მაგრამ როცა არ ესაჭიროებით, დამასკურ ღვინოს კი არა, სოდომურ ძმარსაც არ გასუნებინებენ, კაი პანჩურსაც ამოგკრამენ.... ერთ-ორს ბეჭებშიაც წაგითაქებენ და ეზოდანაც სულ ჭენებ-ჭენებით გაგაბრძანებენ...

— ხა, ხა, ხა, — ხარხარებდა ხალხი.

— კარგი, გეყოფა, ბევრს ნუ ყაყანებ, — მოსძახა ვიღამაც, — შე ოხერო, აქ საქმისთვის მოგიყვანეს. შენ კი გამომდგარხარ და რაებს ყაყანებ... იქნებ... უცხო ვინმე... ურევია ამ პატიოსან... საზოგადოებაში... ვინ რას იფიქრებს.

— მე კი არა ვყაყანებ, სწორედ შენ ყაყანებ, თავი ნუ მომიკვდება, — არ ცხრებოდა მუცელგაბერილი.

— შენ რა იცი, ჩემი ცოლი რაად რა ხასიათის ქალია. დღეს დილით ჩვეულებრივ ჩხუბი ამიტეხა: პასექი კარზე მომდგარა და არა მოგვეძევება რაო... წადი, ხელი გაანძრიე... რაიმე იშოვნეო... აბა რა დავმალო, ერთი ორიც მითავაზა... წამოვედი... მოვდიოდი ისე უგზო-უკვლოდ, ხელს კი ბეჯითად ვიქნევდი... მოშეს მადლმა, სულ ვიქნევდი და ვიქნევდი... ერთი ჩემ რაობს აჩვენა, ხელებს როგორ ვიქნევ-მეთქი, ვამბობდი... მალ-მალ ვიხედებოდი ხელებში, მაგრამ შიგ არა ეყარა რა...

— აბა რას ყბედობ, შე ტუტუცო! ხომ გეუბნებიან, გაჩუმდიო.

— ხომ გეუბნებიან, გაჩუმდიო! — გააჯავრა მუცელგაბერილმა.—

თუ არ დაჩუმდები, რას მიზამ, ან შენ, ან სხვა ვინმე... სამი ხელადა ღვინო, შვილო, მუცელში მაქვს, სამი დრაკანი ჯიბეში... ახლა თუ უნდა ყველამ კისერი მოიტეხოს... შენ კი არა, ამ პატიოსან მოხუცს ველაპარაკები, — მიუბრუნდა ნასვამი შიმონ-კეფას.—შენ, მეგობარო, სინიდისის ქვეშ მითხარ, რამდენი დრაკანი მოგცეს? ორი თუ მოგცეს, გიზარალნია, მოუტყუილებიხარ... სამ-სამი ყოფილა თითო კაცზე გადადებული; თუ ოთხი მიიღე, მარჯვედ ყოფილხარ, მეგობარო, ერთი მეტი დაგიძრია... არა უშავს რა, ტაძრის სალაროს ბევრი არ დააკლდება.

კეფა სულგანაბული იყურებოდა. ის გაოცებული იყო ნანახგაგონილით.

— მე კი, სიმართლე გითხრა, — არ ეშვებოდა ნასვამი, — სამ დრაკნის შოვნასაც არ მოველოდი დღეს. მართლა და იეღოვას, ვენაცვალე მის სახელს, ერთი დრაკანიც არ ჩამოუგდია ციდან არასოდეს, დრაკნებს ზარაფხანაში სჭრიან, ქა, ჩვენისთანა ცოდვის შვილები... როგორც გეუბნებოდი, ხელს მაინც ვიქნევდი. ეი, შენ, შეშლილი ხომ არა ხარო, ეშმაკს ხომ არ ეომებიო, მომესმა ხმა. მიმოვიხედე! აი არქიელის სასახლე, აი მისი კარისკაცი. აქ მოდიო. გამიკვირდა კი. აქ ხშირი სტუმარი არ გახლავარ. ოი, მათ თეთრ წვერს ვენაცვალე... სწორედ გულთმისანია ჩემი ცოლი რააბი, ხელი გაანძრიეო, რომ მითხრა... რომ მივალ და ვეტყვი: აი, დედაკაცო, ხელი გავანძრიე და სამი დრაკანი ვიშოვნე-მეთქი, არც კი დამიჯერებს...

— გამოდიან, გამოდიან, სინედრიონის წევრები, რაბუნები გამოდიან, — გაისმა აქა-იქ ხალხში.

დარბაზის კარები გაეღოთ. ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილნი, დაბანილ-დავარცხნილნი, ჩასუქებულ-ჩასქელებულნი, ამაყი გამომეტყველების ფარისევლები და მწიგნობრები ნელ-ნელა გამოდიოდნენ და ფართო დერეფანში იფანტებოდნენ.

„ეს რა ამბავია! — უკვირდა შიმონ-კეფას, — ამდენი დიდებულები ამ შუაღამისას? ამდენი ხალხი დაუქრთამავთ? ვაიმე, რაღაც უბედურებაა კარზე მომდგარი, — ფიქრობდა კეფა და სასახლის დერეფანს თვალს არ აშორებდა.

ორი ფარისეველი სხვებს ცოტა დაშორდა დერეფანში.

— მე მაინც ჩემსას ვიტყვი, პატივცემულო, მატათან, — უთხრა ერთმა მეორეს, — ეს უსამართლობაა, უკანონობაა. ერთი რომ, შუაღამისას ვის გაუგონია დამნაშავის გასამართლება, ამისთვის

ღრის სინათლეა გაჩენილი. მეორე, კაცი რომ სიკვდილით დასაჯო, რამე არგაგონილი დანაშაული უნდა მიუძღოდეს.

— ძე ღვთისა ვარო, რომ თქვა?

— ამას ყველანი ვამბობთ: მეც, შენც, მღვდელმთავარიც.

— ღირსო რაბუნო, ასე თუ ვილაპარაკეთ, ჩვენივე ხელით საფლავს გავითხრით. აქ სასიკვდილ-სასიცოცხლო საქმე წყდება და შენ ზღაპრებს მეუბნები! გინდა, რომ აი, აგერ ეზოში მაწანწალები რომ მოგროვილან დადღლეზილ-დაგლეჯილნი, შენც ისე იარო. თუ რაბი ციშუს ბოლო არ მოუღეთ, უეჭველია, ყველანი ისე გავხდებით. ვისაც ეს არ გაეგება, ის სწორედ მწიგნობარი არაა, გაიგონე, კაცო, რომ მე სრულებით არ მაწუხებს ვისი შვილია მართლაც და რაბი ციშუ? თუ გინდ ზედიზედ ერთის კი არა, ხუთი ღმერთის ძე იყოს. მე მინდა მაწანწალა არ გავხდე. სადილ-ვახშამი კარგი მქონდეს, ტან-ფეხთ მეცვას და თავს მეხუროს. ამის უარს არც შენ იტყვი, ღირსო რაბუნო!

— კი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, კაცი რომ სიკვდილით დასაჯო, რამე თვალსაჩინო საბუთი უნდა გქონდეს ხელში. შენ კი გამოგიყვანია ვიღაც მაწანწალა და ამბობს: ღიაზ, მე გავიგონე: დაანგრიეთ ტაძარი და სამ დღეში ავაშენებ, თქვაო.

— მერე ეს ცოტა საბუთია? შენგან, განსწავლული რაბუნისაგან მიკვირს ეს, თორემ სხვა ვინმემ რომ მითხრას, ყურადღებასაც არ მივაქცევ. კაცო, ამაზე უფრო ჩვენ დამქცევ-დამღუპველს კიდევ იტყვის ვინმე? ერთი ცოტა დაფიქრდი, მამა გიცხონდება! შენც ახლა იმ არიმათიელივით დამიწყებ, მღვდელმთავარს რომ შეეკამათა. სირცხვილია, რაბუნო, კაცი, ჩვენთვის, ჩვენი უფლება-ბატონობის შენარჩუნებისათვის იღწვის და ჩვენ კი ვეკამათებით! შენ გგონია ასე აბუჩად ასაგდებია ის სიტყვები? დაანგრიეთ ტაძარი ესენი, ანგრევენ ყოველთვის, ძველს, ხავსმოდებულს, ნესტიანს, უვარგისს. ჩვენი ტაძარი, როგორც შენობა, წუნდასადები არაა. აქ სულ სხვა ტაძარია ნაგულისხმევი, სახელდობრ, შიგ გამეფებული წესრიგი, ღვთისმსახურება და სხვა. თუ ესენი დაინგრა, გაუქმდა, მაშინ არც მე, არც შენ და ათობით სხვა ჩვენისთანები მკმეველნი და მქადაგებელნი საჭირონი აღარ ვიქნებით. მე სამ დღეში ავაშენებო. თუ ისეთს ააშენებს, როგორიც იყო, დანგრევა უაზრობაა. უეჭველია, სხვანაირს ააშენებს, სადაც მე იონას, შენ მატათას, ზორობაბულს, ილიას და სხვას არავითარი წილი არ გვექნება. ეს არ არის, კაცო, სახიფათო? ჩინებულად მოიქცა მღვდელმთავარი, ღირსი მსჯავრი დასდო. ყველა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ პილატემაც დაამტკი-

ცოს ჩვენი განაჩენი. რომაელებს ჩვეულება აქვთ:—საქმის გადაწყვეტის დროს ხალხს დაეკითხონ ხოლმე. ამ შემთხვევაშიაც ვიცი ის ხალხს მოგვთხოვს. აი სწორედ ამისთვის გვყავს მოგრრვილი ეს ბრბო, აი ხალხი-მეთქი, ვეტყვი.

ამ დროს დარბაზის ბოლო კარები გაიღო და რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა.

— გამოჰყავთ, გამოჰყავთ, — გაისმა ხალხში.

ძველი, დაჟანგული შუბებით და ტუკებით შეიარაღებულმა მღვდელმთავრის მოსამსახურეებმა რაბი იიშუ ხელებშეკრული ეზოში გამოიყვანეს. ეტყობოდა, ბაწარი უჭერდა, რადგან მწუხარე სახეს ჩქარ-ჩქარა იღებდა და საცოდავად მხრებს სწურავდა. ეზოში, სასახლის ერთ-ერთი კუთხის ახლო გააჩერეს და ირგვლივ შემოერტყნენ.

— ხალხთაგანი ახლო ნუ მოხვალთ, მანდ იყავით, შორს, შორს, — იძახდა ერთი მოსამსახურე.

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა, ყველა წინ მოიწევდა, ყველას უნდოდა ენახა, დაეთვალიერებინა.

რამდენიმე ტუკოსანი წინ წარსდგა, ტუკები მოურიდებლად გააქნია და ბრბოს უკან დაახევინა.

— ვაჟო, ეს ხომ რაბი იიშუ, გალილეველი მოძღვარია? — ჰკვირობდა ერთი.

— მაშ ვინ გეგონა, — მიუგო მეორემ.

— აკი ავაზაკს ასამართლებენო!

—აი, სწორედ ეს არის, მეგობარო, ავაზაკი, — გაერია ლაპარაკში ერთი გრძელხალათიანი კაცი. ლაპარაკში ეტყობოდა, უბრალო ვინმე არ იყო.

— რას ბრძანებ, ბატონო, ავაზაკი კი არა, საღმრთო კაცია. ღმერთო, შემეწიე, რა შესმის, ჭკუიდან ხომ არ შევიშალე, — ჰკვირობდა საწყალი კაცი.

— ასე იცით, შვილო, გაუნათლებელმა ხალხმა საქმის გაზვიადება. საღმრთო კაცად სთვლით იმას, ვისაც არა სწამს მოშე და წინასწარმეტყველები და ვინც თქვენი მამა-პაპათა სალოცავის დაქცევას ლამობს, ჩვენ, ჩვენ, შვილო, თქვენმა მაკურთხებლებმა, ღვთისა და მღვდელმთავრის მიერ მადლით მოსილებმა უკეთ არ ვიცით, თუ ვინ არის მართალი და ვინ არის ავაზაკი...?.

— იაკობ, იაკობ, სადა ხარ, აქ მოდი! — დაიძახა ვიღამაც სასახლის დერეფნიდან.

— აგერ, აგერ, — მიუგო, გრძელხალათიანმა, ქადაგება შესწყვიტა და სასახლისკენ გაეჩქარა.

შიმონ-კეფა თითის ფრჩხილებზე დგებოდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა იმ წრეს, სადაც იდგა მოძღვარი, მაგრამ სიძნელისა, სიშორისა და ირგვლივ მდგომ დარაჯთა გამო მოძღვარს კარგად ვერ არჩევდა. ხან მისი ბაწრით შეკრული ხელები უვარდებოდა თვალებში, ხან სახის რომელიმე ნაწილი. ბევრი ეცადა, მაგრამ მთლად მისი სახე ვერ გაარჩია.

— სხვა განაჩენი შეუძლებელი იყო, იეღოვას ვფიცავ, — უთხრა ერთმა რაბუნმა მეორეს. — ნუთუ ჩვენი ათას წლობით განმტკიცებული სჯული და სამართალი იმდენად დაკნინდა, რომ ერთი ვილაც ქარაფშუტა, მოყიალე რაბუნის ალაგმვას და გასამართლებას ვერ შესძლებს!

— მეც ასე მგონია, ღირსო მამაო.

— ორი აზრი აქ შეუძლებელია, ბატონო, ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან რაბი იიშუ. მე მგონია პილატესთან მეტი ხალხი დაგვჭირდება.

— საჭირო კი იყო მეტი.

— ოცდახუთ კაცს კიდევ ველი, — დაიტრაბახა რაბუნმა, — ამისთანა შემთხვევაში ცოტაოდენი ყაირათი და სიძუნწეც, რაც მართლაც და გვჩვევია ღვთის მმოსავ სამღვდელოებას, მისაღები არაა. არავითარ ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ. ჯერ მტერი და შფოთის ამტეხი უნდა დათრგუნო. ხალხი კი, საწყალი ხალხი, სად გაგექცევა, მაინც შენი არ იქნება მისი ბატკნები და ციკნები? მე სწორედ ისე მხურვალედ ვეკიდები ამ საქმეს, რომ ვინიცობაა, თუ მღვდელმთავარმა სალაროდან არ ინება მაგ ოცი კაცის დაკმაყოფილება, მაშინ მე მით ჩემი საკუთარი ჯიბიდან გავუსწორდები.

— პატივცემულნო, იცოდეთ არსად არ წახვიდეთ, ჯერ კიდევ საჭირონი იქნებით...ა... იმ პილატესთან, — ცოტა ფრთხილად, მაგრამ გასაგონად გაიხმაურა ერთმა კაცმა ხალხში.

— მაგ შენ ვარდივით აფერადებულ შუბლს კი ვენაცვალე, ჩემო ბატონო, — მხიარულად ხმამაღლა მიუგო მუცელგაბერილმა, — თუ კიდევ ერთ ხელადას დამალევინებენ მაგ ბროწეულისფერ ღვინოს, გათენებამდი აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, ან რა უნდა გავაკეთო შინ ამ შუალამისას.

ზოგს გაეცინა.

— კაცნო, ეს საიდან გამოუთრევიათ, ერთი უყურეთ რაებს ბოდავს, — შენიშნა ერთმა, ეტყობოდა სასახლის კარის კაცთაგანმა, — ამას წინეთ აქაურობა აიკლო, კინაღამ ქუჩაში მორთო ყო-

ველგვარ უმსგავსო რამეების ყვირილი. მღვდელმთავარმა ხალხთაგანს არავის არ აწყენინოთო, თორემ მე მაგას ვუჩვენებდი. შეიძლება ვინმე რაბი იიშუს მომხრეც ურევია აქ და ყურს უგდებს მის სიტყვებს და მერე რომ წავიდეს და...

— ძლიერ კარგადაც უგდებს ყურს, სჯულის მადლმა, — მიუგო ერთმა პირქოროფლიანმა პატარა კაცუნამ, — აი, ის მელოტი კაცი, რამდენჯერ მინახავს რაბი იიშუსთან ერთად, — მიუთითა კაცუნამ კეფაზე.

შიმონს ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ამღვრეული თვალებით პატარა კაცუნას დაუბღვირა, თითქო ეუბნებაო, გიჟი ხომ არა ხარ, რას მიედ-მოედებიო.

— მეკარედ ვიღაც მაძინია დაუსვამთ, შემოიპარებოდნენ არა სასურველი პირები, რა თქმა უნდა, მეკარედ დღეს გამჭრიახი კაცი იყო საჭირო, ჩირაღდანიც ხელში უნდა მიეცათ, კარგად დაეთვალიერებინა ყველანი და ისე სახის გამომეტყველებით ეცნო არასაიმედონი და არ შემოეშვა, — ჯავრობდა ერთი ზორბა და კარგად ჩაცმული კაცი. — აი, მართლა ეს თითქო მეცნობება, რაბი იიშუს მოწაფესა ჰგავს, — ანიშნა კეფაზე ზორბა კაცმა.

—მე... — წარმოთქვა შიმონმა და სახეზე ალმური აედინა.—მე... სჯულის მადლმა... იმას არც კი ვიცნობ... — ყლაპავდა სიტყვებს კეფა.

— კი, ნანაია, — საიდანღაც გაჩნდა ვიღაც დედაკაცი. — უეჭველია, შვილო, შენც იმისი წრის კაცი უნდა იყო, გალილეველი რომ ხარ, ეს სალაპარაკო არაა. ლაპარაკში გეტყობა ზემოური კილო, განა არ ვიცი, განსვენებული ჩემი მეხუთე ქმარი გალილეველი არ იყო?

— ღმერთი გამიწყრეს, მე თუ მისი მოწაფე ვიყო, — მტკიცედ მიუგო შიმონმა.

— თავი დავანებოთ, ახლა დავიდარაბის ატეხა არა ღირს, საქმე უიმისოდაც, იმედია, კარგად დაბოლოვდება, — ჩაელაპარაკა შამაკაცი დედაკაცს და ორივენი სახლისაკენ გაემართნენ.

— უყურე, უყურე, ჰა, ჰა, — აჩოჩქოლდა ხალხი, — დასცინიან, ემასხრებიან. აქეთ მოიხედე, აგერ, იმ მარმარილოს სვეტთან რაბი იიშუ. ბაწარი მოუხსნიათ, დგას, აბა სად გაექცევა ამდენ მდევივით ბიჭებს, — ამბობდა ვიღაც ხალხში.

შიმონ-კეფა მარმარილოს სვეტს დააცქერდა, თითის ფრჩხილებზე შედგა, ხალხი გასწი-გამოსწია. ახლა მართლა კარგად გაარჩია მოძღვარი, მოწყენილი და დაფიქრებული. მოძღვარმაც

თვალი მოავლო ხალხს, თითქო შიმონიც შეამჩნია და მოსაყვედურე თვალით გადმოხედა.

შიმონი აკანკალდა, სული ყელში მოებჯინა და რომ იქვე არ დაეღრიალა, საჩქაროდ უკან გამობრუნდა.

ყიყლიყო — გაისმა მამლის ყივილი.

— აი ღმერთო, თუ ჩქარა გათენდეს, თორემ მეტი აღარ შემიძ-ლია. ახ, სადმე მისაწოლი ალაგი მაინც იყოს, ამ დედაბუდიანად ამოსაგდებ ოჯახში, — ჩაილაპარაკა ერთმა ცეცხლის პირას მჯდომმა კაცმა.

შიმონი უკვე ქუჩაში გარბოდა და მწარედ ტიროდა.

•

მამეღუკი

I

მდინარე ტეხურის პირას, სოფელ უშაფათის ბოლოს, ორ მთებ შუა, საკმაო ფართე ველია გაჭიმული. ეს ველი ნაყოფია მოუსვენარი მდინარის ათი ათასი წლობით მუშაობისა. უხსოვარი დროიდან ურეცხია მას ნაპირების გაყოლება მარჯვნივ და მარცხნივ ამართული, ხშირი ტყით და მუდამ მწვანე დაფნის ბუჩქებით დაბურული სერები; ეს ხელისგულივით სწორი ველი გაუკეთებია, სილა-დანალექით გაუპოხიერებია და ამნაირად ადამიანისთვის მშვენიერი სახნავ-სათესი ადგილი მოუმზადებია.

ადამიანიც სარგებლობს ბუნების უხვი წყალობით; ხელისგულის ოდენა ადგილს ვერ იპოვნით ამ ველზე დაუმუშავებელს, მოუხნავ-მოუთესავს.

ამ ერთ-ნახევარ საუკუნის წინათაც ამ ველზე სამარგლავი ღომის ჯეჯილი ბიბინებდა. მკათათვე იყო. მოწმენდილ, ფირუზისფერ ცაზე თავისუფლად მისცურავდა დიდებული მნათობი და ქვეყანას უხვად უგზავნიდა მაცოცხლებელ სხივებს. ფართე ველზე აქა-იქ მოჩანდა ზოგან ერთი, ზოგან ორი, სამი და მეტიც, პერანგისამარა, თოხიანი მომუშავე. ველს აქა-იქ საჩრდილობლად დატოვებული, ლამაზად ტოტებგაშლილი ბეოლის, იფნის და სხვა ხეც ამშვენებდა.

ერთ ალაგას სამი კაცი მუშაობდა. ერთი მათგანი მთლად ჭალარა იყო, მეორე დაწვერულვაშებული, ხოლო მესამეს საულვაშე ოდნავ ამწვანებოდა. პირველი მამა იყო, ორნი კი მისი შვილები.

—დაჰკათ, ვაჟებო, დაჰკათ თოხები! სადილობამდე ეს სვე როგორმე გავიტანოთ,—გადასძახა მოხუცმა ახალგაზრდებს,—ღვთის შე-

წევნით, არ ხედავთ, რა ჩინებული დარია? ისე გაუხმეს სინსილასახსენებელი გლეხიკაცის და საქრისტიანოს მაწუხებელს, როგორც დღევანდელ მოქრილ ღვარძლს სამუდამოდ ძირი გაუხმეს. ო...ო... შენი გულისა, რა ალ-ცეცხლს უკიდებს მადლით მოსილი!

— მე კი ვერ გამიგია, ბაბა, — შენიშნა უფროსმა შვილმა გიგომ, — საიდან გაჩნდა ჩვენს ყანაში ამდენი ჭოჭყოტი და დოლოკეტი? მგონია, შარშან ორჯერ გავმარგლეთ ეგ ოხერი, თითქო ღვარძლის ყური არ დაგვიტოვებია და წრეულს, შეხედე, კვალამოსაგდებ თათრის ლაშქარივით დასევია ისევ ჩვენს ყანას!

— კაი დახსომება გცოდნია, — სიტყვა მოუჭრა უმცროსმა ძმამ. მალხაზიამ, — ბიჭო, შარშან ეს კუთხე ერთხელაც არ გაგვიმარგლავს ხეირიანად. აი იქ, ქუჩურა კოპიტის გაყოლება, მართალია, ორჯერ გავმარგლეთ და კიდევაც, თუ სქლად ამოსულ ღომს დავარიგებთ თორემ, მარგვლა არც კი სჭირდება.

— მართალს ამბობ, შვილო, — დაემოწმა მამაც, — ხომ გახსოვს, ბაბაია, ვერ მოვასწარით მაშინ ამ მუხუროს გამარგვლა, არ დაგვაცალეს ღვთისა და კაცის მიერ მოძულებულებმა. მიუხედავად ჩემი ჭალარა წვერისა და ხელ-ფეხის სისუსტისა, მე, იმერეთისკენ სალაშქროდ წავჩანჩალაკდი. ყველა წმინდა ხთიშობელო, — თვალები ზევით აღაპყრო მოხუცმა, — შენ მოუსწრაფე დღე ყველა უთავბოლო შფოთის ამტეხს, ძმათა შორის ხოცვა-ჟლეტის მოსურნეს! ღმერთო, შენ გაუმარჯვე სოლომონ იმერთა მეფეს... ხრეესილთან კი გვარიან კარგა ჩაუკაკუნა იმ ურჯულოებს, ჩაუძაღლებია ის ძმათა მოლალატე ლევან აბაშიაც. ღმერთო, შენ გაუმარჯვე!

— მართლა, მომაგონდა! მაშინ მეც ხომ ორი კვირა გავცდი, სალაშქროდ წამსვლელთა უნაგირების შემკეთებელს ვეხმარებოდი, — ცოტა არ იყოს, დარცხვენით თქვა გიგომ. — ოჰ! რამდენი ვზილე მაშინ აყროლებული ღვედი! დასწყევლის მაგათ ყული და ქიაჩი! ყანა კი გაუმარგლავი მიგვირჩა და ახლა ორკეცი შრომა სჭირია.

სამთავემ მარჯვედ დაჭკრეს თოხი. სილანარევ, მსუქან ნიადაგში ბასრმა რკინამ ჩახაჩუხი გაადინა.

—საცა წონა-სამართალია, სადილობის დროც კია, — თქვა მალხაზიამ.

მოხუცმა შუბლზე ხელი მიიდო და მზეს შეხედა.

— მართლაც და შუადღეს ბევრი არ უკლია, — აუჩქარებლად წარმოთქვა მან, მუშაობა შეწყვიტა და თოხის ტარზე დაეყრდნო,— ბიჭო, ივაკია და ფილუია ხომ წავიდნენ სოფლისკენ მესადილე

დედაკაცების თანამგზავრად. ალბათ, საცაა გამოჩნდებიან. ვერ მოასწრებდნენ საწყლები, ვერ მოასწრებდნენ, ბაბაია. ვაი, ახავაი! როცა ბევრთან გვაქვს საქმე, მუდამ ასეა, დროით თავს ვერ მოუყრი. ზოგს რა უპირს და ზოგს რა. ავადმყოფობაც რომ არ გვასვენებს. ქუჩუს დედა ხომ ლოგინში მწოლიარე ავადმყოფია და წვრილფეხობით ხელფეხშეკრული მისი რძალი მაია დროით ვერ ნოიცლიდა. ბიტას ცოლიც ავად გამხდარა... თორემ საბრალო დედათქვენი? სადილი რა ხანია დამზადებული ექნება, მაგრამ მარტო ხომ ვერ წამოვიდოდა. იძულებული იქნება სხვებს მოუცადოს.

— მოგშივდა, ბიჟო, ბაღანა! — გაეხუმრა გიგო მალხაზიას, — აი, გაიხარე, მოდიან.

მართლაც, მდინარე ტეხურის გაყოლება მიმავალ სასოფლო გზაზე ორი თოფით შეიარაღებული კაცი გამოჩნდა, მათ უკან თხუთმეტიოდე მხარზე კალათგადებული დედაკაცი მოსდევდა.

ქალები ველზე თავიანთ მომუშავეებისაკენ გაიფანტნენ. ჩვენ ნაცნობ მომუშავეთკენაც გამოეშურა ერთი შუახნის, გამხდარ-გამხდარი, მაგრამ მხნე და თამამი გამომეტყველების დედაკაცი. გვერდით შვიდი-რვა წლის ვაჟი მოსდევდა. ბავშვს მხარზე. თუმცა კარგა მოზრდილი დოქი ედგა, მაგრამ მაინც თამამად მოაბიჯებდა, დედას წინ თუ არ უსწრებდა, უკან არა რჩებოდა.

— ეს ვინ მოდის! ეს ვინ მოდის! ჩემი ხვიჩა, ჩემი ბაბაია, ჩემი გულის გამხარებელი? — მიეალერსა შორიდანვე ბავშვს მოხუცი.— ბაბაია, თხები ხომ არ დააბნიე, შენ შემოგევლოს ჩემი თავი?!

— არ დაიჯერა, თოლიგე, საშველი არ მომცა, ყანაში წამიყვანე და წამიყვანეო. რაც თხები, მორეკა, სულ ბუზღუნით თავი მომაბეზრა. მართალი უნდა ვთქვა, ეს დოქი სახლიდან მარტოდმარტო წამოიღო, — სიცილით თქვა ქალმა, ქუჩურა ბჟოლის ძირას კალათი მოიხსნა და ჩითის ჭრელი მანდილით გაოფლიანებული პირისახის წმენდას შეუდგა.

—კარგი, ბაბაია, კარგი, ჩემო გულის გავლავ, თხები კი არ დაბნიო, შენ შემოგევლე, თორემ ყველი და მაწონი, შენ რომ გიყვარს, არ გვექნება, — კვლავ მიეალერსა ბავშვს მოხუცი, მუშაობას თავი დაანება და ქუჩურა ბჟოლისაკენ გაემართა.

ყველანი ბჟოლის ჩრდილქვეშ ჩამოსხდნენ.

დედაკაცმა კალათიდან წაბლისა და წიფლის მწვანე ყვერი ამოალაგა და ფხვიერ მიწაზე სუფრის მაგივრად დააფინა. მაზე ახლად ამოღებული, ჯერ კიდევ თბილი ღომი დააწყო; ღომს შიგადაშიგ

ყველის ნაჭრები ჰქონდა ჩარჭობილი, ერთი მოზრდილი ნაჭერი ცალკეც იდო.

— ჩალამკალამი არ მოიტანე? — დაეკითხა ცოლს მოხუცი. — ბეჩა, რად დაგაგვიანდა! ამ შენმა ვაჟებმა კინაღამ ყელში ბაწარი ჰომიჭირეს, ყმაწვილები არიან, დროზე ჭამა უნდათ, — ხუმრობით ამბობდა მოხუცი... — ჰაი, ჰაი, დედაკაცო, რაც სიბერე შემეპარა, მას აქეთ აღარაფრად მაგდებ... მაგრამ მომიფრთხილდი! ხშირ ვვალვას, ხომ იცი, ჰექა-ჭუხილი და ჟუჟუნა წვიმა მოსდევს!

— უი, თვალიც დაგიდგეს! რაებს ბოდავს ეს ქვესკნელში ჩასაძრომი, — ხუმრობითვე შეუტია ცოლმა და თანაც ტუჩზე მხიარულმა ღიმმა გადაურბინა, — ჩალამკალამს რავა არ მოვიტანდი,— ამბობდა ქალი და კალათაში რაღაცას ეძებდა. — აი ჩალამკალამი! რად დაიგვიანეო? ასეთ ყოფაში ისიც კარგია, ამ დროს მოვაწიეთ. ერთს ავადმყოფი უწევს, მეორეს ბატონის სასახლეში ღომი აქვს საცეხვავი, მესამეს იქვე შალი აქვს საქსოვი. სანამ ყველა თავს მოიყრის, დრო და ხანი გადის. ახლა შეიარაღებულ გამცილებლების მოსვლას უნდა უცადო. ღმერთო, ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა! ვითომ მოვესწრებით ისეთ დროს, სადილი ყანაში უთოფ-უიარაღოდ მიგვქონდეს? ამ ზღვა-მდინარის გამოსვლაც ერთი ჭირია სწორედ! ვარცლის ტოლა ნავში ყველანი ერთბაშად ვერ ჩავეტიეთ. ხელმეორედ უკან დასაბრუნებელი შეიქმნა ნავი და ერთ ხანს დავბანდდით...

— კარგი, კარგი, თოლიგე! ნუ მიაყოლე საბაია დიაკონივით,— ქვლავ გაეხუმრა ცოლს მოხუცი, — მე და შენ, ბეჩა, მოვრიგდებით! ხვიჩა, ბაბაია, ერთი ამ ჩალამკალამში დამისხი ის ძირკურთხეულის მონასხამი. თუ ყელი არ ჩავისველე, ისე ტყუილია, ლუკმას ვერ გადავყლაპავ.

სახით ცქვიტმა, თვალებბრიალა და ნიკაპმოგრძო ბიჭმა დოქს მწვანე ფოთლებისაგან გაკეთებული თავსაცობი მოხადა და ბროწეულის ფერი ღვინო ჩალამკალამში დაასხა.

მოხუცმა სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა, სასოებით ზევით აიხედა და წარმოთქვა:

— ღმერთო, დიდობა მოგეხსენა, ღმერთო, შენ იყავ ჩვენი მფარველი, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დაამყარე, მებატონეთ შორის დაუსრულებელ მტრობა-ქიშპობას ბოლო მოუღე. ურჯულო დაამარცხე, ქრისტიანობა აღამაღლე. გაუმარჯვე და კეთილად წა-

რუმართე ყოველ საქმეში მაფა* სოლომონს. მაგას კი ვენაცვალე. ბრძანება გაუცია, ვაუებო, თურმე, ვინც ოსმალეთში ტყვის გაყიდვას გაბედავს, ერი, ბერი, სულ ერთია, თუნდ ჭყოინდარიც** რომ იყოს, არ დავინდობ, თვალებს დავთხრიო...ო...ოხ! შენ რომ მოგისხა, ინ ბრუნდე ვაზს ვენაცვალე! — აუჩქარებლად წარმოთქვა მოხუცმა, როცა ჩალამკალამი გამოსცალა, წვერ-ულვაშზე ხელი მოისვა და აქა-იქ დავარდნილი ღვინის წინწკლები მოიწმინდა.

დასხდნენ სადილად მაშვრალნი და მადიანად ჭამას შეუდგნენ. პატარა ხვიჩაც გვერდში მოუჯდა მამა-ძმათ და თუმცა შინ უკვე ესადილნა, მაგრამ სხვების წაბაძვით ისე გემრიელად ილუკმებოდა, თითქოს სამი დღე ლუკმა არ გაუღეჭიაო.

— ის ვინ უნდა იყოს, ბაბაია? აბა, შვილო, გიგო, ერთი გაიხედე, იმ შარაგზაზე ცხენოსანი ვინ მიდის? ნეტავ, ვინ უნდა იყოს? ჰეპე გუშა, სადა ხარ დროებავ! როგორ მირბის დრო, თვალსაც დამაკლდა, ეგ სანგარო! ხეზე ჩამოკიდებულ კვერცხს სამოცი ნაბიჯის მანძილზე ტყვიით შუა ვხვრეტდი, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მოხუცმა, — ახლა კი ცხენოსან კაცსაც ვერ ვარჩევ ხეირიანად.

გიგომ და მალხაზიამ ცხენით მიმავალს თვალები დააშტერეს.

— ე...ს... ვინ უნდა იყოს? მურზაყან რევიას ჰგავს, — თქვა გიგომ.

— უეჭველად მურზაყანია, ნაბდის ტარება ზამთარ-ზაფხულ იმან იცის ხოლმე, — კვერი დაუკრა მალხაზიამ.

— მურზა რევიაო? აბა, ქალო, გაქვს თუ არა კიდევ ღომი კალათაში? ყველი გვაქვს? — ხაჩქაროდ დაეკითხა მოხუცი ცოლს.

— ღომი ორი ჩოგანი კიდევ მაქვს, ყველიც მაქვს, მაგრამ ასეთი მცირე რამ როგორ გაებედება, შე დამწვარო, უცხო სტუმარს. იქით! არ გადაირიო, არ მოიპატიჟო, — უშლიდა ცოლი.

— შენ რა იცი, უტვინო დედაკაცმა! აბა, ბაბაია, მურზაყანს ერთი ჩალამი ღვინო უნდა დავალევინო. შევთავაზებ, იმედი მაქვს, არ გამაწბილებს. ე...ხე...ხე ნანაია შური, დავღლილვარ, — ჩაიკვნესა მოხუცმა, მძიმე-მძიმედ ზეზე წამოდგა და გზად მიმავალი ცხენოსნის მისაგებებლად გაემართა.

ერთი ორი წუთის შემდეგ ქუჩურა ბჟოლასთან ბედაურმა ცხენმა ჯირითი მოადინა.

— უკაცრაოდ კი ვარ, ბატონო მურზაყან, კადნიერებისათვის, — ებოდიშებოდა მოხუცი, — მაგრამ ჩვენი გაზრდილი ხარ, იმედი

* მაფა—მეფე. ** ჭყოინდარი—ჭყონდიდელი.

მაქვს ჩვენს ძუძუ-მკერდს არ შეაფურთხებ, პატივს სცემ ჩემს პაღარას და ერთ ჩალამკალამ ღვინოს მიირთმევ.

— დიდი სიამოვნებით, ჩემო ტაგუია, ჩემო მორდუ, ძლიერ მოხარული ვარ, რომ მშვიდობით გბედავ შენი ძვირფას ცოლ-შვილიანად, დიდი მადლობელი ვარ, რომ დამიძახე, — თქვა სტუმარმა და ცხენიდან ჩამოხტა; ნაბადი გადაიძრო და უნაგირზე ღაფარა. — ამ ოხრის დაკეცვაც დამეზარა, მუდამ ზედ ვათრევ, რას იზამ, ჩემისთანა მუდამ მოგზაური კაცისთვის მიუცილებელი საქონელია.

— ჭკუიანი მოსაზრებაა, ჩემი ბატონის დღეგრძელობამ, ხომ გაგიგონია, ბატონო, ჩვენებური არაკი: — თუ ნაბდის ხელით წაღება დაგეზაროს, კავს მოაბი და იმით ათრიეო. მობრძანდი, ჩემო ბატონო! — მოიპატიჟა მოხუცმა.

— სალამი, ჩემო ტაგუია, — თქვა მურზაყანმა და კოხტად გამოიქიმა. კაცი იყო ტანად მაღალი, მხარ-ბეჭა; ზურგზე განდაგან ეკიდა მშვენიერი სტამბოლის თოფი. ერთი დამბაჩა უკან ქამარში ერქო, მეორე წინ ეკიდა. წელზე ხმალი ერტყა, სახის გამომეტყველება მამაცი და მხიარული ჰქონდა.

— შენი თავი არ მომიკვდეს იმის მეტი, — მტკიცედ მიუგო ტაგუიამ.

— შენი ჭირიმე.

— არა, შენ არ მომიკვდე.

— მე გთხრავ!

— არა, ეს სამივე ბაღანა ნუ დამეხოცება.

როგორც იყო, კაი ხნის ხვეწნა-მუდარის და ბოდიშის შემდეგ, მურზაყანი დასთანხმდა სალამის მიცემას, თოფი მოიხსნა და ბეოლის ძირას მიაყუდა. იქვე ორი სხვა თოფი უკვე ეყუდა, ერთი ტაგუიასი, მეორე გიგოსი.

მურზაყანიც მიუჯდა მუშის სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას. თბილი ღომი ლამაზად მოტეხა, მშვენიერი, ახალი სულგუნის ყველი შეატანა და სხვებზე არანაკლებ მადიანად ჩაძმუძნა.

— უკაცრაოდ, ბატონო, ღმერთო მომკალი... დასაპატიჟებლად არა ვღირსვართ შენ თავს და ამ გადაშთერებულმა ყაზახმა სად მომიყვანა შენი თავი, ჩემო ბატონო, — ებოდიშებოდა სტუმარს ტაგუიას ცოლი მზეხაც.

— როგორ გეკადრება, ძიძა, ამისთანა სიტყვები. ამ სუფთად გაკეთებული ბაიასფერ ღომს და თოვლი „ატატია“-სავით თეთრ ყველს მე კი არა, დადიანის შვილი არ დაიწუნებს. ღმერთმა ეს

არ მოგვიშალოს და სხვას ნულარ სწუხარ, ჩემო გამზრდელო ძიძა. ამისთანა ჭამას აქვს გემო, — ამბობდა სტუმარი და ლუკმას ლუკმაზე ანელებდა.

— რომ მცოდნოდა, ქათამს მაინც გავაკეთებდი, ნეტავ გამაჭვავოს...

— ერთი შენც ახლა, დედაკაცო, ქათამი კი არა, კვერცხი არ გინდა! რაც გვაქვს, ის არის, — ამბობდა ტაგუია. — მურზაყანი ჩვენია, არ დაგვძრახავს. ღომი და ყველი კი არა, მარტო ღომის ჭერქის მეტი არაფერი მქონდეს, თუკი ეს ღვთივ კურთხეული მექნება, — მიუთითა ტაგუიამ დოქზე, — კაცის დაპატიჟების სრულებით არ შემრცხვება, თუგინდ უფლისწულიც მომადგეს კარებზე.

— მართალია, მართალი, ჩემო ტაგუია, საცა ღვინოა, იქ ყოველისფერია. ჩინებული ღვინო დაგიყენებია სწორედ. შენ ყოველთვის კარგი ღვინოს დაყენება იცოდი. წმინდა ოჯალეშია განა?

— აბა, მურზაყან, როგორ მოგატყუილო, ბიძიჩემის უტასი და ბიცოლაჩემის თათიას გაზრდილი ხარ. აზნაურიშვილი ხარ, ღვინოს გამოცნობა კარგი იცი. შვილებს გეფიცები, ოჯალეში, მართალია, კი ურევია, მაგრამ დიდად მეტი წილი პანეშია.

— მამიჩემის სულს გეფიცები, ეს ღვინო ოჯალეშს არ დაუვარდება. ღვინოს, მართალს ამბობ, გვარიანად გამოვიცნობ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვინც გინდა მოიყვანე, ამ ღვინოს ოჯალეშად ჩაგდებს.

— შენი ჭირიმე, ა? მურზაყან! — გამხიარულდა, მოხუცი. — წმინდა ოჯალეში სამიქელგაბრიო ლაგვანში* მაქვს ჩასხმული. დაილოცა მისი სახელი! ამ ნამარიობებს მინდა მოვილოცო. მაშინ რომ მეღირსებოდეს შენი თავი, ის იქნება ღვთის წყალობა, თორემ ახლა რაა, მართლაც და ამ ჩვეგერე დედაკაცისა არ იყოს, დასაპატიჟებლად ვინ მაღირსებს შენს თავს და ახლა კი ამ ყვერს მოგიჯდინე. სწორედ თავხედობაა, მაგრამ...

— სწორედ, სწორედ დიდი თავხედობაა, — გააჯავრა სტუმარმა. — კაცო, ეს აფხაზური ბოდიში სად გისწავლია! საქმე კეთილი გულია და არა ბევრი ხორცეულობა და ხის ფართე ტაბაკი. მე კი, მართალს თუ მათქმევინებ, ასეთი გემრიელი საჭმელი ერთი ხანია არ მიჭამია. თქვენ გვაროვნობით მოგდევთ პურმარილიანობა. თქვენ მიერ მითავაზებული მწარე ბოლოკიც გემრიელია... ჩემო ბაბაია, ტაგუია, — თქვა სტუმარმა და ღვინით სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ღმერთმა და წმინდა გიორგი ხორციელ-

* ლაგვანი—ქვევრი.

ვა გიცოცხლოს ჯერ შენი თავი და მერე შენი ცოლ-შვილი. ყოველგვარ ალიანჩალიანს აგაცდინოს... ფო...ფო...ფო!... ამაზე უკეთესი ნამდვილი ოჯალეშიც ღმერთმა დასწყევლოს! ან რა ფერისა დამდგარა, თითქოს გაწურული ბრეწოულიაო. შენ რომ მოგიხა, იმ ვაზის ძირს ვენაცვალე, — თქვა სტუმარმა, როცა ჩალამი დასცალა.

— სწორედ ვენაცვალე, — კვერი დაუკრა ტაგუიამ...

— მოიცა, ტაგუია, ეს პატარა ბიჭიც შენია, არა?

— დიახ, ბატონო, ეს ჩემი ბაბაია გახლავს, — მიუგო ტაგუიამ და მოალერსე თვალებით ბიჭს გადახედა.

— ერთი შეხედეთ ამ ბებრუცანას, რა ჩაუდენია ამ სიბერის დროს! — გაიხუმრა სტუმარმა...

— ეს ბატონო, სულ ამ გლახაკი დედაკაცის ბრალია! ბებერი ხარ, ბებერი ხარო, მაყვედრიდა მუდამ და მეც ვუჩვენე ბებერი ვარ თუ არა! ჰა, ჰა, ჰა!...

— იქით დაიღუპე!.. მიწა მოსაყრელი შენი ენა, — დატუქსა ცოლმა, შეწითლდა და ბეოლის ძირს მოეფარა.

სტუმარი იცინოდა, ვაეებიც იცინოდნენ.

— ჯერ კიდევ დამაცადოს. ჯერ სადაა, ერთი მოვრჩე ამ სამარგლავს, — წახალისდა ტაგუია, — მე შენ გიჩვენებ ბებერი ვარ თუ არა!

— არაფერია, ძიძა, ნუ შეგრცხვებათ! ხუმრობს, თორემ მეტს ველარ გაბედავს, ღვთით ტარიელივით ბიჭები გარს გახვევია, რამე რომ გაგიბედოს, ბადიდ-კაცს ცხვირს მოამტვრევენ. ხი, ხი, ხი!.. — ხითხითებდა სტუმარი.

— იმდენი აღდგომა მაგას გათენებია, — ბუტბუტებდა დედაკაცი.

— სხვას თავი დავანებოთ, ძიძა, პატარა ბიჭიკო დაგიფარავს, ბადიდ-კაცს ფეხზე ბაწარს მოაბამს, არა, ჯიჯი? — ალერსიანად დაეკითხა სტუმარი ხვიჩას.

ბიჭმა მოღიმარი სახით სტუმარს შეხედა, მერე მამას გრძნობით სავსე თვალებით დააცქერდა...

— ჩემი ბაბაია მე არ მიღალატებს, — მიეალერსა მოხუცი ბავშვს და თავზე ხელი გადუსვა.

ყველანი გამხიარულდნენ და ჭამა გააგრძელეს.

— სხვა, ბატონო მურზაყან, შენ ხომ ყველგან დადიხარ, რა ამბავია ქვეყანაზე, ვითომ ცოტა მოგვეშვა? ვითომ ღმერთმა მოგვ-

ხედა? ვენაცვალე მის სახელს, — პირჯვარი გადიწერა მოხუცმა, — ვითომ განმტკიცდა ჩვენი დადიასი და მეფის მეგობრობა?

— ასე მოგახსენებენ და საქმითაც ასე ჩანს ჯერჯერობით, — საქმიანი კილოთი მიუგო სტუმარმა. — ჯერჯერობით, ჩვენი ოტია დადია ერთგულად იქცევა, თუ ეშმაკი არ დააჯდა მხრებზე და არ უღალატა ფიცსა და ნათესაობას. ამდროებით, მართალი უნდა თქვას კაცმა, ძლიერ შველის მეფეს. გურიელიც თითქოს მოლბა, საშიში არაა. მხოლოდ საქმეს აჭირებს ის როსთოია რაჭის ერისთავი. არ ცხრება და არ ცხრება მაგ ურჯულოს თანაზიარი. თუ ისიც დაამარცხა მეფემ, მაშინ, იცოდე, ტაგუია, რომ ჩვენშიაც ისეთი მშვიდობა დამყარდება, როგორიცაა მეფე ელეკრეს სამეფოში, ქართლ-კახეთში.

— ჰო! ელეკრე მეფე? ის არ არის, რომ სიმღერაში იხსენიებენ?

— დიახ, ის არის. სხვანაირად კიდევ პატარა კახს ეძახიან, — განუმარტა მურზაყანმა.

— შენი გულის ჭირიმე! — აღტაცებით ამბობდა მოხუცი. ახალგაზრდებმა ჭამას თავი დაანებეს და სმენად გადაიქცნენ.

— ელეკრე მეფე, ჩემო ტაგუ, რას ამბობ, ბაბა, — დინჯად გაგრძელა სტუმარმა, — ციდან მოვლენილი კაცია. საითკენაც ხელი გაისვა, ყველგან მუსრი გაავლო ურჯულოებს. ლეკები გინდა, ყიზილბაშები, თუ ეს წყეული ოსმალები! ინდოეთში რა ამბები ქმნა თურმე! ამბობენ, ბედაურზე რომ შეჯდება, ქარქაშიდან ლეკურს რხიალს გაადენს, შესძახებს და შეუტევს მტერს, ცოდვილ თვალს არ დაენახვება თურმე. საარაკო რამეაო, მოგახსენებენ.

— ბიჭიც ის ყოფილა და... — წარმოთქვეს ჯეილებმა.

— ღმერთო, შენ გაუმარჯვე, — ამოიოხრა მოხუცმა და ღვინით სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ღმერთო, შენ გაუმარჯვე ყველა ურჯულოთა მებრძოლს, ქვეყანაზე მშვიდობის დამამყარებელს, საწყალი გლეხკაცის გამკითხველს, ქვრივ-ობოლთა შემწეს. ყველას ერთობ, წონა-სამართლის მექონს. ღმერთო, ის დღე მაჩვენე, ისე საფლავში ნუ ჩამიყვან, რომ ყანაზე უთოფოდ მივდიოდე, დედაკაცს სადილი მარტოდმარტო მოჰქონდეს და არაფრის შიში და რიდი არ ჰქონდეს.

— ჰაამინ, ჰაამინ, — მიუგო სტუმარმა.

ტაგუიამ ჩალამი დასცალა და სტუმარს დაულოცა.

— ბატონ მურზაყანს დაულოცავ მრავალ წელს, ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს. შენ სხვა მტაცებელ-ამწიოკებლებს არა ჰგავხარ

და იმიტომ სულით და გულით მიყვარხარ. ღმერთმა დიდი დღე მოგცეს.

— მადლობელი ვარ, ჩემო ტაგუია. ახლაც თუ დავაკვირდებით საქმეს, რაც იყო ამ ხუთიოდ წლის წინათ, ინის შედარებით, ბაბაია, მშვიდობიანობაა. ქალს შენ თავი დაანებე, კაცო, მე თვითონ, რაც გინდა იყოს, გვარიან გამოქნილი და მარჯვე ვაუკაცი ვარ მგონია, მაგრამ ტყუილი რა საჭიროა, უდამბაჩოდ სახლიდან ვერ გამოვიდოდი. ახლა, აქა-იქ, კანტიკუნტად თუ მოხდა რამე, თორემ ისე შიშიანობა არაა. სასტიკი ბრძანებაა გაცემული მეფისაგან ტყვეთა მომტაცებლების წინააღმდეგ.

— ამბობენ, ამბობენ, ბატონო მურზაყან, — სიხარულით წარმოთქვა მოხუცმა.

— ტაგუია, იცოდე, თუ ჩვენმა ოტია დადიამ და იმისმა შვილმა კაციამ არ უღალატა მეფე სოლომონს და თუ გურიელიც დაუმეგობრდა, მე მითქვამს, ამ შინაურ ჩვენ წუწკებს ხომ ალაგმავს და ალაგმავს, ოსმალებსაც განდევნის აქედან. იცოდე, ქუთაისსაც დაიბრუნებს, შეიძლება ფოთიდანაც განდევნოს ურჯულოები. ღმერთმა ნათქვამი შეგვისრულოს, — თქვა სტუმარმა და ჩალამი დასცალა.

— ღმერთმა ქნას, იოსე ქრისტემ ჰაამენი შეგაწიოს, მაშინ ხომ თრევაც აღარ დამჭირდება ყანაში...

— იცოდე, ასე მოხდება, თუ ღმერთმა აცოცხლა სოლომონ მეფე. მე ვიცი, ბაბაია, როგორ არის საქმე. სამჯერ ვიყავი ლაშქრობაში...

— მურზაყან, შენი ჭირიმე, იმ შარშანდელ ხრესილის ბრძოლაში * იყავი? — დაეკითხა მოხუცი.

— ვიყავი. აი ეს თითი იქ დავიშავე, — მიუგო მურზაყანმა და მარცხენა ხელი უჩვენა. სალოკი თითის ალაგას რაღაც პატარა აბორცევებული მოჩანდა.

— ნანა შვილო! — მწარედ წამოიძახა მზეხამ.

— ეს რა არის, ძიძა, ისეთ ადგილას ჩავვარდი, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი, არ მეგონა. ჩვენებმა, ღმერთს მართალი უყვარს, მაშინ სწორედ თავი ისახელეს. ოო, ბაბა ტაგუ, დიდი რამეა ერთი პირი და ერთი გული! საცა ერთი პირი და ერთი გულია, იქ ჯარი უძლეველია. კარგა ხანია იმერლების და მეგრელების ასეთი ერთსულ-გულოვნობა არ უნახავს კაცს და კიდევაც საშინლად დავა-

* ხრესილის ბრძოლა 1755 წელს იყო.

მარცხეთ მტერი. მტერი მარა, რა მტერი, ჩემო ხვანთქარო. ოსმალები ხომ თმის სისქე იყვნენ, ახლა ჩვენიანებიც, თვალდაბნელებულნი, რამდენი გინდა მათ ზურგს უმაგრებდნენ. ბედუკუღმართ ლევან აბაშიას მეთაურობით, მაგრამ, გაქვს ღვთის წყალობა, ჩვენ მაგათ სეირი ვაჩვენეთ. შინაური განხეთქილება ღუპავს, ტაგუ, ჩვენს ქვეყანას, თორემ, მე მაშინ დავრწმუნდი, გარეშე მტერი ერთზე ათიც მოვიდეს, თუ ჩვენ ერთობა გვაქვს, გავუმკლავდებით.

— მერე ვინ არის, მურზაყანის ჭირიმე, განხეთქილების მიზეზი? ისევ დადია, მისი კარისკაცები, თავადები, ჭყონდარი და მაგისთანები, თორემ თაარ ანგილოზს გეფიცები, მე და ოკრიბელი, ჩემსავით მხვნელ-მთესველი, თავის დღეში არ ავიშალოთ და ერთმანეთის მოსაკლავად არ მივიწიოთ. საერთო მტრის წინააღმდეგ კი ერთგვარი ხალისით გავალთ ორთავე. მე ერთი უბრალო ძროხა ყაზახი გეუბნები ამას. შფოთის და დავიდარაბის ამტეხი ყოველთვის დიდკაცობაა, თუგინდ მიწყინე ეს სიტყვა, — ცოტა აპილპილდა ტაგუია.

— მწყინს კი არა, მიხარია, რომ მართალს ამბობ, — აღტაცებით მიუგო სტუმარმა.

— მართალს, მამიჩემის სული ნუ წამიწყდება, — წათამამდა ტაგუია. — ჩვენ, დაბალ ხალხს, არაფერი სამტრო ერთმანეთთან არა გვაქვს. ერთხელ, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მე და ცხონებული ჩვენი კოჩა დავითაია იქით, შორს, ზემო მხარისკენ მოვხვდით. მივედით ერთ საწყალ კაცის სახლში. მტრობა კი არა, ისე გაუხარდა, თითქოს სათათრეთში გაყიდული და უკვალოდ დაკარგული ძმები დაბრუნებოდესო. თავს შემოგვევლო, საბრალო, რაც შეეძლო, პატივი გვცა, მეორე სოფლამდი გამოგვაცილა. მეც ახლა, თავის ქება კიტრად ღირსო, ნათქვამია, მაგრამ ჩვენი შორებელი მოძმე თუ ვნახე ჩემ სახლში, ვუმტრობ კი არა, სხვამ რომ ხელი ახლოს, უსიკვდილოდ არ დავანებებ... ჰაი, მართლა რა გითხრა, ამას წინათ რა მომივიდა, — მხიარულად წარმოთქვა ტაგუიამ.—გავიხედე, კარს მომადგა ორი ცხენოსანი, ისინი სულ იქითური, ქართის * მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. იმათ უნაგირს, მურზაყან, უკან კომპული სულ არა აქვს, ისეა თაღივით გადამრგვალებული.

— კი ვიცი, რამდენი მინახავს, — შენიშნა სტუმარმა...

— აი, მესტუმრნენ. ისეთი გამიხარდა, რომ მამაჩემი ცაკვაია აბედია მოსულიყო საიქიოდან, ისე არ გამიხარდებოდა სწორედ;

* ქართი—თბილისი.

მაგრამ საქმე იმაშია, ვაჟო, რომ ისინი თურმე ღომს არა სჭამენ, სულ პურის ჭამას ჩვეული ხალხია. აი, თოლიგე, შეიძლება რამე მოაგვარო-მეთქი, ვუთხარი დედაკაცს. საბრალოს სადღაც ერთიორი ატარი * იფქლის ფქვილი ჰქონოდა, სალოცავი კვერებისთვის შენახული. საჩქაროდ ხაჭაპური გამოვაცხობინე. სხვა ცოტ-ცოტა, შენი და მიქამ-გარიოს წყალობა, პურით არ ვიყავი ზურგგამაგრებული, თორემ ყოვლისფერი მქონდა. ოჰ! ღმერთმა დასწყევლოს უკეთესი ტაბაკის ხალხი! ისე მოილხინეს, ისე დაგვლოცეს, ისეთი მრავალჟამიერი დასძახეს, თავისებური, მაგათ გრძლად სცოდნიათ, გაჭიანურებული, რომ დიდი და პატარა გაგვამხიარულეს... ეს იმას მოვაყოლე, თორემ რა სალაპარაკოა, ჩხუბს და მტრობას დიდკაცობა სთესავს, თორემ ჩვენ, მხვნელ-მთესველი ხალხი მუდამ კეთილგანწყობილებაში ვიქნებით ერთმანეთთან. მაშ, ეს ღმერთმა შური და მტრობა მოსპოს ჩვენს ქვეყანაში. საერთო მტრის წინააღმდეგ ერთი პირი და ერთი გული მოგვცეს. მაშინ არც ტყვედ გაიყიდება სთამბოლში უბედური ჩვენი კაცის შვილი, — წარმოთქვა მასპინძელმა და სავსე ჩალამი ხელში დაიჭირა. — ოხ, ღმერთმა სწორედ მიცოცხლოს შენი თავი, დღეს გული გამიმსუბუქე მოხუცებულ კაცს. ჩემო ბატონო მურზაყან, შენისთანა ერთი ასი რომ ერიოს ჩვენ თავად-აზნაურებში, მაშინ ჩვენი საქმე სულ სხვანაირად იქნებოდა.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო ტაგუია.

— თაარ ანგილოზი იყოს შენი მფარველი ყოველ შარაგზაზე,— დალოცა სტუმარი მასპინძელმა და ღვინო დალია. — ოო... მართლა გვარიანი ღვინოა, ღმერთმა უკეთ იცოდეს. ბატონ მურზაყანს სიცოცხლე და გამარჯვება.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! ღმერთმა ეს შენი ვაჟები გიცოცხლოს, მათი წითელი გვირგვინი გაჩვენოს! იცოცხლეთ, ბიჭებო, — გადასძახა ჯეილებს.

გიგომ და მალხაზიამ მადლობა მოახსენეს.

სტუმარმა ღვინო დალია და ჩალამი გიგოს გადასცა. გიგომაც და მალხაზიამაც ხელახლა მადლობა მოახსენეს და ღვინო დალიეს.

— იმ ხრესილის ბრძოლაში, ბატონო მურზაყან, შარშან მეც გამიწვიეს. რავა გგონია? წავჩანჩალაკდი ამ ჩემი კუნტა ** თოფით. ხენისწყლამდე მივედით და ამბავიც მოვიდა, მეფეს და დადიას გაემარჯვაო, და უკანვე გამოვბრუნდით.

---

* ატარი—ჯამი. ** კუნტა—მოკლე.

— ოი, შენ რომ სალაშქროდ გაგიწვია, იმას შენი მეტი ჰკუა არა ჰქონია, — შენიშნა მზეხამ...

— ჰა, შე ტვენგერე * დედაკაცო, ერთ ტყვიას ხომ მოვიკავებდი, შეიძლება, ერთიც იქით გამესაღებინა...

— რას ამბობ, ძიძა, ტაგუია ჩინებული მსროლელია, — უთხრა სტუმარმა. — ვო, ტაგუია, მახსოვს, მე რომ პატარა ვიყავი და თქვენ ოჯახში ვიზრდებოდი! მაშინ, აღდგომა დილით ადრე, ნაწირვევს ცაცხვის ქვეშ წიოელ კვერცხს რომ ჩამოკიდებდნენ და იყო ერთი ნიშანში სროლა! შენ რამდენჯერ ჩამოგიგდია...

— იმდენი, შენ არ გწყევლი, და ამ ჩემს ბაღნებს გაუთენდეს აღდგომა, — თქვა მასპინძელმა.

— იმ ხრესილის ბრძოლაშიო, ამბობენ, ხუტუნია შარაშიამ ისახელა თავიო, — მორიდებით შენიშნა გიგომ.

— ჰეშმარიტია, ჰეშმარიტია! — დაადასტურა მურზაყანმა. — ხუტუნია ხომ კაცი კი არა, მდევი იყო სულგანათლებული! რომ შეევარდა, ყმაწვილო, ოსმალოს ჯარში და რომ მოისვა ლეკურზე, თექვსმეტი კაცი ჭარხალივით მიათალა ერთმანეთს და თვითონაც ზვარაკად შეეწირა საერთო საქმეს.

— ღმერთმა ნათელი აღუდგინოს, — სასოებით თქვა მოხუცმა, ჩალამკალამში ღვინო ჩაასხა, მერე ჩალამს თავი გადუწია და რამდენიმე წვეთი ღომის ნამცეცზე დააწვეთა.

ხუტუნიას შესანდობელი ყველამ ლოცვა-მოხსენებით დალია.

— ახლა კი საკმაოა, ბაბა ტაგუია, — თქვა სტუმარმა.

— ერთი კიდევ, შენი ჭირიმე, ბატონო, ჯერ ღვინო კიდევ არის.

— ნურც გამოლიოს ღმერთმა, მაგრამ ჩვენთვის კი მეტი რიგი არაა. ყანაში მუშაობის დროს ესეც გადავაჭარბეთ.

— ყველა წინდა ღვთიშობელი იყოს, ბაბაია, შენი და შენი ოჯახის შემწე, — წარმოთქვა სტუმარმა, ჩალამში ცოტა ღვინო დაასხა, დალია და ზეზე წამოდგა. — დიდად გმადლობ, ბაბაია: ასეთი გემრიელი საუმელი, მგონია, ხშირად არ მიჭამია, ნუ მოაკლოს ღმერთმა ბარაქა შენს ოჯახს.

— მომკლას ნეტავ ღმერთმა, სული ამომხადოს, მოგატყუილეთ, ბატონო, — უანგარიშო ბოდიშს მოჰყვა დიასახლისი.

სტუმარმა ერთხელ კიდევ მადლობა გადაუხადა, თოფი გადიკიდა, ცხენზე შეჯდა და თავის გზას გაუდგა.

---

* ტვენგერე—გამოჩერჩეტებული.

ბზეება და ხვიჩა სხვა მესადილე ქალებთან ერთად ისევ შეიარაღებულ მამაკაცების თანხლებით შინისკენ წავიდნენ.

— აბა, ბიჭო, ხვიჩა, შენ ჭკუიანად იყავი, — დაბარა გიგომ, — მარტო არ გარეკო თხები, არც შორს წახვიდეთ. ბეკოს ნაფუზართან მაღალი ანწლია, იქ ხუთასი თხაც რომ იყოს, გაძღება. ჭკუიანად იყავით. ჩიტის ბუდეს ნუ შლით ხოლმე.

— ჭკუიანად, ჩემო ბაბაია, ჩემი გულის გამხარებელო ბაბაია,— დაბარა მოხუცმაც.

II

ტაგუიამ და მისმა შვილებმა ნასადილევს ჩრდილ ქვეშ ცოტა წაიძინეს. მზე გადიხარა თუ არა, წამოცვივდნენ, დაავლეს თოხს ხელი და მუშაობას შეუდგნენ.

სამხრობის დრომ მოაწია. მწვანე ჯეჯილით აბიბინებულ ველს მოწმენდილ-მოკრიალებული ფირუზის ფერი ცა დაჰყურებდა. არსად ერთი ბეწო ღრუბლის ბულული არ მოიძებნებოდა. თითქოს ჰაერი ერთ ალაგას გაიყინაო, არსაიდან სიო არ ჰქროდა.

— ოჰ, მეტისმეტი ცხელა, ლამის სული შემიგუბდეს. ვო შური საყვარელი, ერთი კაი ბორია ახლა ათას ქისა მარჩილად ღირს, — ინატრა უმცროსმა — მალხაზიამ.

— მაინც რა გადაცემული დღეა ეს დალოცვილი, — დაეთანხმა გიგოც.

— მართალია, ბაბაია, ცხელა, — აუჩქარებლად წარმოთქვა მოხუცმა, — სიცხე ჩვენ გვაწუხებს, მაგრამ ჭირნახულისთვის კი დაუფასებელია. ყველასთვის სასიამოვნო იმ დალოცვილ ღმერთსაც რომ ვერ შესძლებია! ჩვენ გვასიამოვნოს, ჭირნახულს არ ესიამოვნება, ჭირნახულს ასიამოვნოს, ჩვენ არ ვართ კმაყოფილი.

— ჰეპე, რაღა გაეწყობა! — წამოიძახა გიგომ. — გაგვიძლია, კიდევ გავუძლოთ, სხვაფრივ არ იშოვება მაგრად ჩასალუკმებელი. ჰე, ბიჭო! — გადასძახა მალხაზიას და თოხი მარჯვედ მოიქნია. მალხაზია აყვა. არც მოხუცი ჩამორჩა უკან და კვლავ გაისმა თოხის აჩქარებული ჩახაჩუხი.

— ეს სვე. როგორმე, ბიჭებო, და მერე ცოტა შევისვენოთ, არც მაინცდამაინც თავის გადაყოლება ვარგა, — თქვა მოხუცმა.

— სიცხეს კი გავუძლებ, რაც გინდა იყოს, სანგარო, სხვანაი-

რადაც არა ვარ კარგად, რაღაც მთელი ტანი დაბეჟილივით მაქვს, — ჩიოდა გიგო.

— ალბათ, ბელტზე დაწოლილხარ, შვილო, უხერხულად, — მიუგო მამამ.

— არა, დილიდანვე უხასიათოდ ვარ, მთელ ტანში სიმძიმესა ვგრძნობ, ვაითუ ცივება დამიწყოს...

— სუთ, სუთ! — გააწყვეტინა მალხაზიამ. შეჩერდა, თოხის ტარს დაებჯინა და სმენად გადაიქცა.

— რა იყო, ბაბა? — დაეკითხა მამა.

— რაღაც კივილივით მომესმა.

სამივენი შეჩერდნენ და ყური დაუგდეს.

— თითქოს რაღაც მეც მესმის, — თქვა გიგომ.

— ძაღლი ყეფს, მგონია, — შენიშნა ტაგუიამ.

— ძაღლის ყეფაც ისმის, ნამდვილია.

სხვა მომუშავენიც შეჩერდნენ ველზე და ყურს უგდებდნენ.

სოფლიდან რაღაც ხმაურობა მართლა მოისმოდა, ქალების კივილსა ჰგავდა.

— ავავაია! მოკვდა ვიღაცა, — გაუბედავად თქვა მალხაზიამ.

— ვაი, საბრალო, თუ ქუჩუს დედა გარდაიცვალა. ხანში შესული ადამიანი იყო საცოდავი, — შენიშნა ტაგუმ, — მე რომ, ბაბაია, პატარა ბიჭი ვიყავი, იმას მაშინ ხუთი შვილი ქე ყავდა. კაცი, სანგარო, ერთი გუდა სისხლია, რა ბევრი უნდა, რომ მოკვდეს.

— არა, ქუჩუს დედა გუშინწინ ვნახე, სასიკვდილო პირი არა აქვს, — დაფიქრებით თქვა გიგომ. — ალბათ, გარეშე სოფლიდან ვისმე სიკვდილის ამბავი თუ მოიტანეს. უეჭველია ქალების კივილია. ე! უყურე, ხმაურობა თანდათანა ახლოვდება, თითქოს აქეთკენ მოდიანო.

ხმაურობამ იმატა. ახლა ქალების წივილ-კივილი ნათლად მოისმოდა. ერთი ქალი განსაკუთრებით საშინლად გაჰკიოდა.

შვილებმა იცნეს დედის ხმა.

— ეჰე, ჩვენი ცოდვა! რაღაც სახეირო არ არის ჩვენს თავზე,— წამოიძახა გიგომ, თოხი იქვე დააგდო და ქუჩურა ბჟოლასთან მიირბინა, თოფს ხელი დაავლო და სოფლისაკენ გავარდა. ტაგუია და მალხაზიაც იმას მიჰყვნენ. სხვა მომუშავეთაც დაყარეს თოხები და თოფებს მიაშურეს, ზოგი ახალუხს იცვამდა, ზოგი პერანგის ამარა თოფით გარბოდა.

მდინარის გაღმა რამდენიმე თმაგაწეწილი ქალი წივილ-კივილით მორბოდა, მათ შორის მზეხაც გულსაკლავად ღრიალებდა.

— ნანა შვილო, ნანა შვილო, მოგიკვდა დედაშენი, ხვიჩა ნანა! ჭი...შვე...ლეთ...

— რა ამბავია, რა მოუვიდა! ჩემი ბიჭი ახლა აქ ხელში არა მყავდა? — დაიყვირა წყალგამოღმიდან საბრალო ტაგუიამ, მაგრამ მისი ხმა უცებ გაწყდა, ფეხები აუკანკალდა და იქვე ჩაიკეცა.

მუშებმა, საცა მოხვდათ, წყალში შეტოპეს და ერთი კიკინით და ხმაურობით გაემართნენ.

ნახევარი საათის შიგნით მთელი სოფელი ფეხზე იდგა. ქალების წივილ-კივილი, ძაღლების ყეფა, მამაკაცების კიკინა, ერთად შერეული, რაღაც გულშემზარავ ხმაურობას აყენებდა... სოფლის ბოლოდან მოისმა თოფის ხმაც. გავარდა ერთი... ორი... სამი...

* * *

მზის ჩასვლას ცოტაღა აკლდა. დასავლეთიდან სიო საგრძნობლად უბერავდა, ცაზე აქა-იქ ღრუბელიც მოჩანდა. ერთი პაწია სერის კალთაზე მოთავსებული ტაგუია აბედიას კარ-მიდამო ქალით და კაცით სავსე იყო.

მშვარტლისაგან გამურულ ფიცრული სახლის დერეფანში ქალები მოგროვილიყვნენ და ერთი ტირილი და ვაება გაემართათ.

მამაკაცები, თითქმის ყველა მოხუცებული, სახლის წინ, ვაშლის ხის ქვეშ დამსხდარიყვნენ და მოწყენილ-შეშფოთებულნი მსჯელობდნენ.

ტაგუიას ცოლი მზეხა ლოყებდაკაწრული და გასისხლიანებული ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და ცხარედ გაჰკიოდა. სხვა ქალები მას ძლივძლივობით ამაგრებდნენ.

— ხვიჩა ნანა, ხვიჩა ნანა, ჩემი ბიჭი, ჩემი საფლავის გამთხრელი... საით წავიდეს... საით გეძებოს... ვის მიმართოს... სად მოგნახოს... უბედური დედაშენი! — მწარედ მოთქვამდა გამწარებული დედა.

— მზეხა, მზეხა, ცოტა დამშვიდდი, ადამიანო! ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ამბავს მოგვიტანენ, ვისაც თოფის დაპერა შეეძლო ჩვენ სოფელში, ყველანი დაედევნენ. გზა-გზა კიდევ რამდენი მეშველებოდა, ის ვიღაც უღვთო და უსულგულო, კაცია, ალბათ, ცაში ხომ ვერ აფრინდებოდა; უსათუოდ დაეწევიან და დააგდებინებენ, — ანუგეშებდა მზეხას ერთი სხვებზე უკეთ ჩაცმულ-დახურული მანდილოსანი; ეტყობოდა, ვინმე აზნაურის ცოლი უნდა ყოფილიყო.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! ჩემი მოხუცებულობის მანუგეშებელი ბაბა, — მოთქმით ლუღლუღებდა თავშიშველი და გულხელდაკრეფილი ტაგუია და ეზოში უთავბოლოდ დადიოდა.

— ესეც შენი ქვეყნის დამშვიდება და დაწყნარება! ჩვენი საშველი მაინც არ ყოფილა. ქე მაინც ყველანი ერთად ამოვწყდებოდეთ, — ნაღვლიანად ამბობდა ერთი მელოტი, ჭაღარა გლეხი.

— ასეთ გაძაღლებულ ცხოვრებას თუ სიკვდილი არ სჯობდეს, ღმერთი გამიწყრეს, — მიუგო მეორემ.

— კაცო, ქე მაინც არ გვაიმედებდნენ, — თქვა ისევ მელოტმა.— ამას წინეთ ნოქალაქევში ტაია ბატონიშვილის სასახლეში გიახელ. გერიე სახუცესი იქ ბრძანდებოდა. — რა ამბავია, უჩარდია, როგორ ცხოვრობო? — თოლი, რა ცხოვრებაა, ბატონო, ჩვენი ცხოვრებამეთქი, ქათმებივით გვიჭერენ და ოსმალეთში გვყიდიან-მეთქი.

— ეს წინეთ იყო, ჩემო უჩარდია, თორემ ახლა ხომ მშვიდობა�ა. ბარეღამ ოციოდ გლეხი კი ვიყავით. ნუ გეშინიათო, გვიბრძანა გერიე სახუცესმა, კაცის სული კი არა, უსამართლოდ ერთი თიკნის ყურიც არ დაგაკლდებათო. დადიამ და მაფამ ერთი პირი შეკრეს, ჯვარზე და სახარებაზე შეფიცეს ერთმანეთს, რომ სათათრეთში ტყვე არ გაყიდონო. ყველამ პირჯვარი გადავისახეთ, ღმერთს მადლობა შევწირეთ. არხეინად იყავით, ნუ გეშინიათო, ბარემ ხუთჯერ გვითხრა...

— სულ ტყუილიც არ არის, ბატონი ნუ მომიკვდება, — ხრინწიანი ხმით სიტყვა ჩამოართვა მეორე მოხუცმა, — აგერ მეორე აღდგომა გავიდა, რომ ჩვენ სოფელს მართლაც და თიკნის ყურიც არ დაკლებია. რასაკვირველია, ძალით, აბრაგის მოტაცებით, ეს რაღაც ჯიბრის საქმე უნდა იყოს.

— საჯიბრო ვის რა უნდა ჰქონდეს საწყალ ტაგუიასთან! ამისთანა გულკეთილი და მართალი კაცი მეორე არ გვირევია, — წამოიძახეს მოხუცებმა.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა!.. — მოისმოდა ტაგუიას მწუხარე მოთქმა.

— ბატონმა იცის ნეტავ? — იკითხა ერთმა.

— როგორ არა. საშინლად ეწყინა თურმე. ეს ტაგუიას აგდება კი არა, ჩემი აგდებაა, მაგრამ მე თუ ვამეხი ვარ, მაგას არ შევარჩენო, უთქვამს და მაშინათვე თავისი ვაჟი ტარიელი ცხენით დაუდევნებია, — თქვა ერთმა ქოსა მოხუცმა.

— მაშ, ჯერ კიდევ იმედი დაკარგული არაა. ტაგუია, ბაბა, აქ მოდი, — თანაგრძნობით მიმართა მელოტმა მოხუცმა, — არც იხ

ცუდადაა საქმე, როგორც კაცს ეგონება. ტარიელ ბატონიშვილი დასდევნებია, მთელ სოფელში რამედ რომ ვარგა ისეთი, ყველა დაედევნა. მართლაც და ქვესკნელში ხომ არ ჩაძვრება. გული დაიმშვიდე, შე კაცო! შენ სხვა რამდენი გინუგეშებია და თვითონ ასე ჩქარა რამ მოგტეხა, შე ძაბუნო! — ხმამაღლა დაათავა მელოტმა მოხუცმა.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! მოგიკვდეს მამაშენი, — მწარედ წარმოთქვა ტაგუიამ და მსხვილ-მსხვილი ცრემლი გადმოყარა. — ნეტავ, ღმერთო მომკალი, დღეს მაინც ხელში არა მყოლოდა! დიდი დოქი ღვინო მხარზე გადაედო და დედამისთან ერთად ყანაში მოგვიტანა. რომ გენახა, ის რომ ვაუკაცურად ფეხს მიაბიჯებდა, სწორედ გაგიკვირდებოდა, — ტირილით ამბობდა ტაგუია. — მე შავ დღეში გაჩენილს, დღედაღამ მაგის შიში მქონდა, მაგრამ რა მექნა, კაცო, რა მექნა, ქრისტიანებო?! ბავშვს ხულაში ხომ ვერ დავამწყვდევდი? ჭამა გვინდა, სმა გვინდა! რა შიმშილით მოვმკვდარვარ, რა აბრაგს მოუტაცნივარ, სანამდი უნდა ვიმალოთ... ათიოდ თხის გარეკვაში მალხაზია, ვაუკაცი, როგორ გავაცდინო-მეთქი, ვამბობდი და ის ბაღანა ერეკებოდა და მერე რა ჭკუიანად ერეკებოდა... უი... უი... მოგიკვდეს მამაშენი... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... აჰ... დადია მე მწიწკნის, მებატონე მე მწიწკნის, ურჯულო მე მწიწკნის და რჯულიერი... სად არის ღმერთი, სად არის სამართალი! რით უნდა ვინუგეშო თავი მე უბედურმა? უკანასკნელი ყოფილა, შვილო, დღეს ჩვენი ერთმანეთის ნახვა. შეიძლება, შენ კიდევ ბევრ ხანს იცოცხლო, გაიზარდო და ბევრიც მხიარული დღე ნახო... მე კი, სიბერეგაძაღლებული, საფლავში უნდა ჩავიდე! უი ჩემს თავს! უი ჩემს თავს! — ბღავილით ამბობდა ტაგუია და შუბლში ხელს იცემდა.

ყველას ცრემლი მოერია. სანუგეშო სიტყვას ვერავინ პოულობდა. ყველა ერთ ტაფაში იწოდა.

„ვაი, ახავაი, ჩვენი ცოდვა!“ — ისმოდა მწარედ ამოძახილი.

— ღმერთო დიდებულო! რად მოგვიძულე ამ ზომამდე! — მაღლა ხელებაპყრობით წარმოთქვა ერთმა ღრმად მოხუცებულმა გლეხმა კაი ხნის მწუხარე დუმილის შემდეგ, — რა შეგცოდეთ ისეთი, შე სახელკურთხეულო! კვირაში სამი დღე ბატონის სახლში ვმუშაობ. დანარჩენი სამი დღის ნამუშევარსაც, როცა მოესურვებათ, მაშინ წამართმევენ... ცხენს მტაცებენ, ძროხას მტაცებენ, ქათამს მტაცებენ... ჯანდაბას, რა გაეწყობა... ისე მოაწყვე ჩვენი ცხოვრება, რომ შვილი მაინც არ მოგვტაცონ და ურჯულოებში არ

გაგვიყიდონ! კაცნო! — მიუბრუნდა მოხუცი გლეხებს, — ამ ხნის კაცი ვარ, ასი აღდგომა როგორ არ მეხსომება და ერთი წელი არ მახსოვს, რომ შიშიანობა არ ყოფილიყოს. ახლა საღაა, ბაბა, შიშიანობა. შიშიანობა ამ ორმოც-ორმოცდაათი წლის წინათ უნდა გენახა! ლოგინიდან იტაცებდნენ ხალხს. საკვირველებაა, სულ როგორ არ ამოწყდა საწყალი ჩვენი ხალხი?! მხოლოდ ე... განსვენებული მამაჩემი ცაკვაია, ისე, ზღაპარივით იტყოდა: ვაი, ახავაი, სად არის ახლა ან გიორგი ლიპარტია, ან ლევან დადიაო. იმათ დროს ვინ გაბედავდა ტყვის გაყიდვასო! მე კი, რაც გავჩნდი, სულ შიშიანობა მახსოვს.

— ხვიჩა ბაბა! ხვიჩა ბაბა! — მოთქვამდა ისევ მოხუცი...

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ტაგუია, ჯერ იმედს ნუ გადაწყვეტ, — მტკიცედ უთხრა ერთმა გრძელწვერა ჭაღარა, მაგრამ ვაჟკაცური გამომეტყველების გლეხმა, — მე, ბაბაია, პატარაობისას ბარემ ორჯერ მომიტაცეს, მაგრამ, ხომ მხედავ, აქა ვარ და იმედი მაქვს ჩემი ძვლებიც ჩემ წინაპრების საძვალეში დაიმარხება...

— მართლა, სეფანე! შენ ხომ ორჯერ ხარ მონატაცები, — ცოტა არ იყოს, ხალისით წამოიძახეს მოხუცებმა.

— ორჯერ, აბა, რავა გგონია! პირველად რომ მომიტაცეს, აქეთკენ წამათრიეს, აი! — ხელი გაიშვირა დასავლეთისაკენ, — ამ ეკით, საწულეისქირიოთ და თეკლათით...

— ფეხით მიყავდით? — ჰკითხა ვიღაცამ.

— ფეხით, აბა, ცხენით კი არა! კარგა მოჩიტული ბიჭი ვიყავი და ერთი კაცი, ტყუილია, ცხენზე ვერ დამიმაგრებდა. ორ კაცს ვეპირე ხელებით იქით-აქეთ და მიმათრევდნენ, სულ ტყე-ტყე, სულ ტყე-ტყე. სად უფსკრულში რობუ და ჩქოფუში არ ჩამიყვანეს, სად მთის წვერზე არ ამათრიეს, კაცო, რომ გამახსენდება, კაცი ძაღლი ყოფილა-მეთქი, ვამბობ! ან მე როგორ გადავრჩი მაშინ ცოცხალი და ან ისინი! ისინიც რა კაცები იყვნენ, დევები ხომ არ იყვნენ!

სეფანეს არა ერთხელ ეამბნა ეს ამბავი, მაგრამ ყველანი მაინც დიდი სიამოვნებით ყურს უგდებდნენ. ტაგუიამაც თითქმის შესწყვიტა მოთქმა-გოდება და ისიც სულგანაბული ყურს უგდებდა.

— წირვის დადგომის დრო იყო, რომ მომიტაცეს და ისე დაღამდა, რომ არც ლუკმა ჩაგვსვლია პირში და არც მოგვისვენია. მივედით თეკლათში და იქ მდინარე ცივის პირას ვიღაც მოსახლე კაცის სახლში თავი შეაფარეს. მე სხვა არაფერი მახსოვს. იქ მივედით თუ არა, სადღაც დავეგდე და მკვდარივით დამეძინა. გათენებული არ იყო, რომ გამაღვიძეს. რაღაც ორი ლუკმა მაჭა-

ვეს და, მართალი უნდა ვთქვა, ცხენზე შემსვეს, მხოლოდ ფეხები აბჟანდებთან მიმიკრეს, სხვაფრივ, ხელები თავისუფალი მქონდა, ბურთიც ამომაცალეს პირიდან, ან რა საჭირო იყო? იქ რომ მეყვირნა, აბა ვის რას გავაგონებდი.

— მოიცა, ჩვენები იყვნენ, არა? — ჰკითხა ერთმა.

— ჩვენები, კაცო, მაშ თათარი აქ ჩემ სახლში ბავშვის მოსატაცებლად მოსვლას როგორ გაბედავს? თათრები იქა სხედან ციხე-სიმაგრეებში! მეც ხერხი ვიხმარე, იცოდე, ისეთი მხიარული სახე მივიღე, ისე შევეჩვიე , რომ რიონის პირას გამოვედით თუ არა, ფეხებიდანაც მომხსნეს ბაწარი. მხოლოდ ჭალადიდში შემოგვიერთდა ორი ცხენოსანი თათარი. ეტყობოდათ, ვილაც კაი კაცები იყვნენ. ჩემი მომტაცებლები დიდი პატივით ეპყრობოდნენ. ერთ უდაბურ ტყეში დასასვენებლად ჩამოვხტით. ჩვენიანებს მაშინვე დაეძინათ. რა გასაკვირია, კაცო, დაღლილები იყვნენ, ძლივს ქაქანებდნენ. მეც მაშინათვე მივეგდე და ვითომ დავიძინე. ერთმა თათარმაც დაიძინა, მაგრამ იმ მეორემ, გაგონილა?! დიდი ეშმაკი ვინმე უნდა ყოფილიყო მაგ სახეძაღლი! თვალებს დახუჭავს, ვითომ ძინავსო, გაჩერდება, გაჩერდება ასე და მერე უცბად გააღებს და ჩემკენ მოიხედავს. მე კი ვწევარ გატრუნული გოკივით და ხანდისხან ფრთხილად შევხედავ ხოლმე. იმასაც. მართლაც არ ჩაეძინა?! ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ აქედან ჯიხაფერდში გაიგონებდი. მოგეცა ღვთის წყალობა, წამოვხტი და მოვკურცხლე. ჩემ ბედზე ერთი ცხენი ცოტა მოშორებით მიებათ ხეზე. ფრთხილად მოვხსენი, ჯერ ოციოდ ნაბიჯი წინ გავუძეხი, მერე მოსართავები მოვუჭირე, შევჯექი და მოვუსვი, მარა რა მოვუსვი!

— ჰა წიე! — სიცილით წამოიძახეს მოხუცებმა.

— მაშ ცხენიც დაინარჩუნე? — ჰკითხა ერთმა.

—ეხ! რის ცხენი! რა მეცხენებოდა! — მიუგო სეფანემ. — ცხენი ვაჭენე, სანამ ფეხის გადადგმა შეეძლო, მერე მივაგდე იქ და ტყეს შევაფარე თავი. მერე ეშმაკი ვერ დამიჭერდა.

— გამოქნილი ყოფილა ეს მიწაში ჩასაძრომი, — გაიხუმრა ერთმა.

— მეორეჯერ როგორ იყო, სეფანე, მეორეჯერ! — მოსძახეს აქეთ-იქით.

— მეორეჯერ ბევრი არაფერი! მომიტაცეს თუ არა, ჩქარა შეუტყვეს, მთელი სოფელი დაესია და ჩემი თავიც დააგდებინეს.

— ვაი, ახავაი! დღესაც რომ დროზე შეეტყო კაცს, მაშინათვე დააგდებინებდა, — თქვა მელოტმა მოხუცმა.

— ჩემ ბედზე ყოვლისფერი შეიკრა, — მწუხარედ თქვა ტაგუიამ, — სანამ თხები აბნეულად არ უნახავთ ტოტიას სახლის ქვემოთ, ყურადღება არავის მიუქცევია. მერე აუტეხიათ წივილ-კივილი, მარა გვიან იყო. ჩვენ რომ შევუტყვეთ, მაშინ ის კაცი სორტას ჭალას გაცილებული იქნებოდა.

— ვაი, ახავაი, ვაი, ახავაი! — მოწყენით ამბობდნენ მოხუცები.

დაღამდა. მდევრები ჯერ არ მობრუნებულიყვნენ. საქმის არც ავი და არც კარგი სოფელში არავინ იცოდა. მოხუცნი თავიანთ სახლებში წავიდნენ. ტაგუია და მზეხაც გაურკვეველ მომავლის მოლოდინში ჯერჯერობით მიწყნარდნენ.

III

ულრან ტყეში, უშველებელ ფუღურო მუხის გვერდით, მდელოზე, ნაბადი იყო გაშლილი. ზედ წამოწოლილიყო ვიღაც თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცი. თოფის ლულა ფეხებ შუა დაემალა, ხოლო კონდახი მკერდში ჩაეხუტებინა. წელზე შავი რქისტარიანი ხმალი ერტყა, ხელში დამბაჩა ეჭირა. იქვე ახლო ხის ტოტზე მიბმული იყო გიშერივით შავი ბედაური ცხენი. ერთი შეხედვით ნაბადზე მწოლი თითქოს სთვლემდა, მაგრამ ყოველ ფოთლის შრიალზე, ან სხვა რამე გახმაურებაზე ტყეში, ფრთხილად, გველივით თავს მაღლა აიშვერდა, დამბაჩას მოიმარჯვებდა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავდა.

კაცი იყო ტანად ჩასკვნილი, პირად — სახე ოდნავ, დანაოჭებულს, მოყვითალო ფერი დაჰკრავდა. ნიკაპს უფარავდა ნახშირივით შავი, მოკლე, აქა-იქ ჭაღარაშერეული, ქოსა წვერი. მრისხანე გამომეტყველების დიდრონ შავ თვალებს აქეთ-იქით მოუსვენრად აბრიალებდა.

— ფიტ, ფიტ, ფიტ! — გაისმა ტყეში ლარჭემის ხმა. ნაბადზე მწოლი საჩქაროდ წამოდგა, თოფსა და დამბაჩას ფალია გაუსინჯა და სმენად გადაიქცა.

— ფიტ, ფიტ, ფიტ! — ახლა უფრო გარკვევით მოისმა ხმა.

ნაბადზე მჯდომი ზეზე წამოდგა.

— ფიი...ტ, — გაისმა ტყეში ერთხელ კიდევ, მაგრამ გრძლად.— ფიიი...ტ, — გაისმა კვლავ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

კაცმა თოფი ზურგზე გადიკიდა, ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო,

ლერწმის პატარა ნაჭერი ამოიღო, პირზე მიიდო და დაუსტვინა.

„ფიტ!“ მოკლედ და მკაფიოდ გაისმა უღრან ტყეში.

გავიდა დრო. მახლობელი ბუჩქნარი მძლავრად შეიძრა და ტოტების შრიალი მოისმა.

— ქუჩუია! — დაიძახა ხის ქვეშ მდგომმა, მუხას ოდნავ მოეფარა და დამბაჩა წინ გამოიშვირა.

— მე ვარ, ფიქრი ნუ გაქვს, — მოისმა ნაცნობი ხმა.

— სანგარო, რამდენი სიფრთხილეა საჭირო, — ჩაილაპარაკა შავ-შავმა კაცმა, თავისუფლად ამოისუნთქა, დამბაჩა ქამარში ჩაირჭო და მოლოდინში ერთ ალაგას გაჩერდა.

ცოტა ხნის შემდეგ თხილის ბუჩქებში ვიღაც დაბალ-დაბალი, ჩასქელებული, წითური კაცი გამოჩნდა. რა თქმა უნდა, იმასაც ხელში თოფი ეჭირა.

— თენგიზ, მარტო ხარ? — ფრთხილად დაიძახა მან და ხელი რაღაცნაირად გააქნია.

თენგიზმა მარცხენა ხელი პირზე მიიდო და მარჯვენა ხელის სალოკით მუხის ფუღურო უჩვენა.

ახალმოსული ფეხაკრეფით მივიდა და ფუღუროში შეიხედა. ფუღურო დიდი იყო. ავდრის დროს სამი-ოთხი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა შიგ.

— ეჰე! — ჩუმად თქვა ახალმოსულმა და თავი კმაყოფილებით გააქნია.

— სუ, სუ! ძინავს, ძინავს! — ფრთხილად ჩაულაპარაკა თენგიზმა.

ორთავენი მუხის ცოტა მოშორებით ჩამოსხდნენ.

— ნელა ვილაპარაკოთ. ჯერ არ მინდა გაიღვიძოს, საშინლად დაღლილია, — თქვა თენგიზმა.

— წარმომიდგენია, — მიუგო ქუჩუიამ, — კაი ბიჭსა ჰგავს, აი! რამდენი წლისაა, ნეტავ?

— აბა, რა ვიცი, მის დაბადებას არ დავსწრებივარ და ნათლობას. გარეგანი შეხედულებით ასე შვიდი-რვა წლისა უნდა იყოს.

— ბიჭო, ბიჭო, შე ღმერთგამწყრალო, როგორ მოახერხე?! სწორედ რომ ეშმაკი ხარ, ეშმაკი!

— ეხ! ნუ გამახსენებ ქე მაინც! ეშმაკი კი არა, კინაღამ ანგელოზიც დამავიწყდა. მოხერხება კი არა, კინაღამ თავიც ზედ გადავაგე. რასაც ერთხელ დაეჩვევა კაცი, რაშიაც ერთხელ ხელს გაისვრის, მერე მისი მოშლა შეუძლებელი ყოფილა, კაცო, თორემ ამისთანა სახიფათო და აშკარა საშიშ საქმეს კაცი როგორ უნდა ჩადი-

ოდეს. ეს შემთხვევა მაინც სულ სხვა იყო. ჩემ სიცოცხლეში, ქუ-ჩუია, აბა შენც ხომ იცი, რამდენი ბავშვი მე მომიტაცნია. რაღა ბავშვი გინდა, რამდენი გასათხოვარი ქალი! ხომ გახსოვს, ამ ათი წლის წინათ რას ჩავდიოდით, მაგრამ ამდენი შიში და ჯაფა, რაც ახლა გამოვცადე, არ გამომიცდია. მე თვითონ მიკვირს, აქამდის ცოცხალი როგორ მოვაღწიე.

— ვახ! ვახ! — ამბობდა ქუჩუია. — მოტაცებით კი ადვილად მოიტაცე?

— კაცო, უცაბედად შემეხეჩა... მე, მართალი გითხრა, საგანგებოდ სხვაგან მივდიოდი. შევიხედე ერთ ალაგას, საისლეს გვერდით, დაღმართზე, მაღლა ანწლიანში თხების ფრუტუნი მომესმა. იქვე სკვინჩასავით პატარა ბავშვი შევამჩნიე, ხელში პატარა ჯოხი ეჭირა და რაღაცას თამაშობდა. საისლეს გვერდით, დაღმართშივე კვამლი ამოდიოდა. ეტყობოდა, ვიღაცა ესახლა. დედაკაცის ხმაც მომესმა: იქით მიაბრუნეო. ჩემ დანახვაზე ბავშვი სრულებით არ შეშინდა, გამიღიმა კიდეც, ალბათ, ვისმე მიმამსგავსა. მე მაშინვე მარჩილით სავსე ქისა ამოვიღე, დავაყღარუნე და ვუჩვენე, ა, ჯიჯი, შენ გქონდეს-მეთქი. მაშინათვე მოირბინა. მეც, ხომ იცი, პირველი შემთხვევა არაა ჩემთვის ამისთანები, ხელი ვტაცე, ბურთიც პირში მარჯვედ ჩავჩარე და ბაწრით ნაბდის ქვეშ ზურგზე შემოვიკარ. მერე მოვკურცხლე, მაგრამ შენს მტერს, რაც დღე მე დამადგა...

— შეგიტყვეს ჩქარა, ა?...

— რის შეტყობა! შეტყობით გვიანამდე არ შეუტყვიათ. შეტყობა კი არა, ბავშვმა გამიჭირა, კაცო, საქმე. ცხვანტივით * დაიწყო ტრიალი! კინაღამ ბაწრიანად გამიძვრა. საცა ხელი დამავლო, ამ მუშტისტოლა ბავშვმა, ისე მაგრა ჩამჭიდა, რომ ახლაც მტკივა. იმ ზომამდე მივედი, ქუჩუია, რომ, ეხ, ჯანი გავარდეს, დავსცხებ ამ დამბაჩას შუბლში ამ ლაწირაკს და მოვრჩები და მოვისვენებ-მეთქი. არ იქნა, ვაჲ, მისი საშველი! სანამ ღონე სრულებით არ გამოელია, არ მოისვენა. აღმართ-დაღმართი რომ გავიარე და როსთოს ჭალას მოვატანე, თოფის ხმა და კიჟინა მაშინ მომესმა. ისეთი ამბავი იყო, რომ მეგონა, დიდი და პატარა ერთად მომდევს-მეთქი. რომ მომწეოდენ, შენი მტერი, ბოლოკივით ამთლიდნენ, მაგრამ რას გეტყვი, იცი, ქუჩუია, ამ ქვეყანაზე არაფერი არ ინატრო... ინატრე მხოლოდ კარგი ცხენი. კარგი ცხენის ფასს, იცოდე, ენა ვერ გა-

* ცხვანტი—ყველის მატლი. გადატანით მოუსვენარ ადამიანზე იტყვიან.

მოთქვამს. ღმერთმა აკურთხოს ამის გამზრდელი. ეს ის ცხენია, გურიიდან რომ მოვიყვანე შარშან. ეს ცხენი არა მყოლოდა, ახლა ლუკმა-ლუკმა დაკეპილი ვეგდებოდი სადმე. აბაშაში ისე გამოვედი, არ შეუსვენია, მერე ღამემაც მომასწრო და, როგორც არის, ჯერჯერობით სული კბილით გადავარჩინე.

— ახლა როგორ ექნათ? — დაეკითხა ქუჩუია.

— ორპირთან ნავი არის?

— ვითომ ორპირით წახვალ?

— საით ჯობია?

— ორპირისაკენ არ გირჩევ, ძლიერ საშიშია. ყოველ სანაოზე და შარაგზაზე მეფის ყარაულები დგანან. თუ შეგამჩნიეს რამე მაგგვარი და ხელში ჩაგიგდეს?!. ავა ვაია... არავითარ წირვა-ლოცვას არ მოგაშველიებენ. მოკვლით, მართალია არ მოგკლავენ, მაგრამ სიკვდილი ათას წილად მირჩევნია მაგნაირ სიცოცხლეს: თვალებს დაგთხრიან და გაგიშვებენ. იარე, რამდენიც გინდა და საითკენაც გინდა...

— ოჰ! მაგას ცხრაჯერ სიკვდილი მირჩევნია... მაშ საით ჯობია წავიდე? ვითომ სუჯუნისკენ?

— აპაპა! იქ უკვე, ალბათ, მარაგად იქნებიან, გზები ახლა ყველგან შეკრული იქნება. შენ გგონია ჩვენ ჭკუიანები ვართ და სხვები ტუტუცები?

— მაშ როგორ?

— მომითმინე, — აუჩქარებლად მიუგო ქუჩუიამ და შუბლზე ხელი მიიდო... — იცი რა გითხრა?

— ჰო!

— ფართე ჩქონი იცი?

— ვიცი.

— აი იმის პირდაპირ, ახლო, გამოღმა შავი ღელე ერთვის რიონს; მიუვალი ადგილია. ცხენით, ტყუილია, იქ ვერ მივადგებით. ისეთი ჭაობები და პაპანწყვილია, რომ თუ ფეხითაც გავედით, ღმერთს ათჯერ თავი დაუკარი. მე წავალ, სადმე პატარა ნავს მოვიპარავ და ასე შუაღამისთვის იქ დაგხვდები. თუ ამაღამ ნავი ვერ ვიშოვნე, სხვა რა ჩარაა, ხვალ საღამოდეც ტყეში უნდა შევინახოთ თავი.

— მაშ, აბა, შენ იცი, ქუჩუია! როგორმე იშოვნე ნავი. თუ რიონს გავედი, მერე არა მიჭირს რა... ცხენი კი, ქუჩუ... შენი ხელით ყელი არ გამომჭრა და თვალიდან არ მოიშორო ჩემს მოსვლამდე. კაი საბალახოებზე დააბი, ომბალე არ შეყვეს... შენ იცი, აბა, ჩემი საკუთარი თავივით ჩამიბარებია.

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, ქუჩუს მაგისთანების დარიგება არა სჭირია. შენ კი, იცი, რომ მიუახლოვდე ფართე ჩქონს, ორჯერ ზედიზედ დაისტვინე. ხანი გამოუშვი და კიდევ ორჯერ დაისტვინე. თუ პასუხი მიიღო, იცოდე, საქმე გაჩარხულია, თამამად მომიახლოვდი. ახლა კი — ჰა, ეს ცოტა რაღაც მოგიტანე, ჯერჯერობით ეს წაისაუზმე, — თქვა ქუჩუიამ და ჩოხის აკეცილი კალთიდან კვახის ფოთლებში გახვეული რაღაც ამოიღო და თენგიზს გადასცა.— რომ შებინდდება, ერთ დოქ ღვინოსაც მოგიტან და ცხენსაც მაშინ წავიყვან, — დაუმატა მან, ფრთხილად გზას გაუდგა და ხშირ ფოთლებში მიიმალა.

IV

მღვდელმა მარკოზ დაბაძემ ბოსტანში მუშაობა გაათავა, ხელპირი დაიბანა და თავის პატარა, მაგრამ კოპწია ფიცრული სახლის დერეფანში, გრძელ და ფართე სკამზე ჩამოჯდა. ხვალ კვირა იყო და წირვისათვის მომზადებას დღეს საღამოდანვე უნდა შესდგომოდა.

მღვდელი მარზოკი მთელ გურიაში განთქმული იყო, როგორც ღრმად მორწმუნე, სიმართლის მოყვარული, პირში მთქმელი, კადნიერი, ჩინებული მწიგნობარი და ტკბილი მგალობელი. ორი ვაჟი მღვდელი ჰყავდა სხვადასხვა სოფელში, სამი ქალიშვილი გათხოვილი და, ახლა უკვე სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი, სახლში მარტო დარჩენილიყო თავის მეუღლესთან, ყველასაგან პატივცემულ, მისი ჭირის და ლხინის გამყოფ მოხუც მარიკასთან.

მღვდელი მარკოზი აზნაურთაგანი იყო. მამისაგან რამდენიმე მეკომური ყმა ერგო მემკვიდრეობით, მაგრამ იმან ადრიდანვე ცოტაოდენი სასყიდელი აიღო მათგან და ყოველგვარი გადასახადებისა და სამსახურისაგან გაანთავისუფლა. საბლში ჰყავდა მხოლოდ ერთი ნაყმევის ასული ლერწამისა, აწ უკვე ხანში შესული დედაკაცი. ლერწამისა პატარაობითვე მათ ოჯახში იყო აღზრდილი, მერე გათხოვილიყო, მაგრამ ქმარ-შვილი დახოცოდა და სამუდამოდ მღვდელ მარკოზასთან დაბინავებულიყო.

მღვდელი მარკოზისთანა კაცი იმ ჩვენი ქვეყნისთვის ავად სახსენებელ დროს * მართლაც და სანუგეშო მოვლენა იყო. იმ დროს მთელი საქართველო, ამერ-იმერი შინაურ და გარეულ მტრების

* მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი.

მიერ აწიოკებულ-აოხრებული, საზარელ სურათს წარმოადგენდა. მაშინდელი ქართლ-კახეთის მდგომარეობის დასასურათებლად საჭიროა მხოლოდ გავიხსენოთ სახელოვანი მგოსნის დავ. გურამიშვილის სიტყვები:

ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
ერთმა მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან განაწევრი.

უარეს მდგომარეობაში იყო იმერეთის მხარეც. იმერეთის მეფე და მთავრები: გურიისა, ოდიშისა და აფხაზეთისა და მათი მიმყოლი დიდებულები ერთმანეთის მტრობაში, მიხტომ-მოხტომაში და სისხლის ღვრაში ლევდნენ სულს. ეს ვაებატონები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ სისაძაგლეს ჩაიდენდა ერთმანეთის დარბევა-აწიოკების საქმეში. მაგრამ ყველაზე უფრო საზიზღარი ამ ხანაში იყო ტყვეების მოტაცება და ოსმალეთში გაყიდვა. გაქვთ ღვთის წყალობა, მშიერი მგელივით მღრინავი ოსმალეთი ჩინებულად სარგებლობდა ჩვენ მაშინდელ მესვეურთა გრძნობა-გონების დაბნელებით. თითქმის ყველა, ასე თუ ისე გამოსადეგი ციხეები, როგორც ქუთაისი, ფოთი, შორაპანი, ოსმალებს ეჭირათ. ათასობით გზავნიდნენ სტამბოლში ტყვე ქალს ოსმალთა დიდკაცების ჰარამხანების დასამშვენებლად და ტყვე კაცებს მათი სხვადასხვა ჯარების გასაძლიერებლად.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის თავს იჩენს ხოლმე შიში, უნდობლობა, ორპირობა... ამდენი უბედურება ყველაზე მეტად თავს ატყდებოდა საწყალ დაბალ ხალხს, გლეხკაცობას, ამიტომ იგი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ყველა მას წიწკნიდა, ყველა მას სთლიდა, ხოლო შემწე და შემბრალე არავინ იყო.

ასეთ საშინელ პირობებში მღვდელი მარკოზი გამოვიდა უსამართლობის მამხილებლად, ჩაგრულის მფარველად, შურისა და მტრობის ნაცვლად ძმობისა და ერთობის მქადაგებლად. ის არავის ერიდებოდა, არც თავადიშვილებს, არც თვით გურიელს... სასტიკად გმობდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ტყვეთა გამყიდველებს. ვინ იცის, რამდენი ტყვე დაუხსნია, სტამბოლში გასაგზავნად გამზადებული! დაბალი ხალხი „მარკოზ ხუცესს“ აღმერთებდა. დიდებულებს, თუმცა არ უყვარდათ, მაგრამ მის უანგარობას, კაცთმოყვარეობას და სიმტკიცეს ძალაუნებურად პატივსა სცემდნენ. ამასთანავე მარკოზ ხუცესი იშვიათი მუშაკაცი იყო და ქო-

ნებითაც შეძლებულ კაცად ითვლებოდა. მარკოზ ხუცესს არათუ გურიაში, იმერეთ-სამეგრელოშიაც ქება-დიდებით იხსენიებდნენ.

მაგრამ აი, თითქოს ბედმა გაუღიმა ბედკრულ საქართველოს. როგორც საშინელი ჭექა-ქუხილის და წამლეკ ნიაღვრის შემდეგ გამოიდარებს ხოლმე, ბრწყინვალე მზე მოღიმარ სხივებს ისვრის და მილეკილ-მოლეკილ მიდამოს ხელახლა აღორძინების იმედს ჩაუსახავს, ისე გაოხრებულ-დაუძლურებულ აღმოსავლეთ საქართველოს ამ დროს მოევლინა იმედი, სახელოვანი გმირი, პატარა კაზი, მეფე ერეკლე. ერეკლეს „ელვარე ხმალი“ ისე საგრძნობლად გაუმასპინძლდა სულ მტრად გარს მომდგარ თურქ-სპარს-ლეკ-ყიზილ-ბაშებს, რომ ისინი არათუ გარეკა საქართველოდან, თავიანთ სახლშიაც შიშისაგან აძაგძაგა. 1752 წ. მეფე ერეკლემ ათას-ხუთასი კაცით საშინლად დაამარცხა ერევნის ახლო მის წინააღმდეგ ათჯერ უფრო მეტი ჯარით და ზარბაზნებით გამოსული სპარსეთის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანი. ამ გამარჯვებით თავისი ხმალი და ჯარი ახალი შარავანდედით შემოსა და მთელ აზიას დაანახვა, რომ შაჰ-აბაზისაგან აოხრებული და სასიკვდილოდ გამზადებული საქართველო უკვე მოღონიერებული და წელში გამაგრებული, კვლავ აპირებს სიცოცხლის განგრძობასაო.

ამავე დროს ბედმა თითქოს დასავლეთ საქართველოსაც გაუღიმა. სწორედ იმავე წელს, რა წელსაც მეფე ერეკლემ აზატ-ხანზე ასე ბრწყინვალედ გაიმარჯვა, იმერეთში გამეფდა სოლომონ პირველი, მრავალგვარი სიკეთით და სათნოებით აღჭურვილი. ის დაემოყვრა სამეგრელოს მთავარს ოტია დადიანს, დაიმორჩილა ურჩი და თავგასული თავადები. ზოგი მათგანი დასაჯა, ზოგი გააძევა, ზოგს მოეფერა, სასტიკი ბრძანება გასცა ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ. ბრძოლაში რამდენჯერმე საგრძნობლად დაამარცხა ოსმალები და თუმცა სრულებით მათი გაძევება ყველა ციხე-სიმაგრეებიდან ვერ მოახერხა, მაგრამ მათი პარპაში და ბატონობა ძლიერ შეამცირა. საერთოდ მთელი იმერეთის მხარე გამოაფხიზლა, გამოაცოცხლა და განახლების გზაზე დააყენა.

საქმის ასე მოგვარება ვის უნდა გახარებოდა, თუ არ მღვდელ მარკოზ დაბაძეს. ჯერ როცა ერეკლე მეფის გმირობის სახელი გავარდა, მღვდელი მარკოზი სიხარულით ცას ეწია, უსურვა მტრებზე გამარჯვება და დღედაღამ მის საკეთილდღეოდ ლოცულობდა. მაგრამ, როცა იმერეთის მხარესაც მოევლინა ღირსეული მეფე სოლომონი, მღვდელ დაბაძეს გულმა ვერ მოუთმინა და სიხარულით აღსავსემ თვით მეფეს გუმანი მიართვა; მიულოცა მეფობა,

აუწერა იმერეთის საშინელი მდგომარეობა და იმედი გამოთქვა, რომ აღმოსავლეთით ერეკლე და დასავლეთით სოლომონი ერთმანეთს მხარიმხარს მისცემენ და ამჟამად დაუძლურებულ საქართველოს ისევ ძველ ღირსებას და სახელს აღუდგენენო.

მეფე სოლომონს წინათაც გაგონილი ჰქონდა მღვდელი დაბაძის ამბავი და ახლა მის შიერ გამოგზავნილმა გუმანმა ძლიერ ასიამოვნა, მით უფრო, რომ, საუბედუროდ, მაშინდელი სამღვდელოება გონებრივადაც და ზნეობრივადაც სახარბიელო არ იყო. თვით მღვდელმთავრებიც ერივნენ სტამბოლში ტყვეთა გაყიდვის საქმეში და ადვილი წარმოსადგენია დაბალი სამღვდელოება რაღა იქნებოდა.

მეფემ სახლთხუცესს უბრძანა, მადლობის ბარათი მიეწერა მღვდელ მარკოზ დაბაძისათვის, გაემხნევებინა, აღეთქვა მფარველობა და საჩუქრად გაეგზავნა ერთი კაი მაუდის კაბა და ქალაქიდან მოტანილი თბილი ყელიანი ჩუსტები.

ამ ამბავმა მღვდელი მარკოზი და მისი მომხრე საწყალი, გაჭირვებული ხალხი ძლიერ გაამხნევა და გაახარა, მაგრამ მისი მტრები, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის მოტრფიალე თავადები და მათი დამქაშები ძლიერ შეაშფოთა და მარკოზ ხუცესის წინააღმდეგ შურითა და მტრობით აღავსო. პირადად შეხვედრის დროს ძალაუნებურად ანგარიშს უწევდნენ მაღალი მფარველობის ქვეშ მყოფ ხუცესს. პატივით ეპყრობოდნენ, ეფერებოდნენ და თითქოს თანაუგრძნობდნენ. მღვდელი მარკოზი კარგად იცნობდა ყველას და თავის არჩეულ გზას მტკიცედ ადგა. არც არავის ქება-დიდება ასხამდა თავბრუს და არც არავისი მტრობა-მუქარის ეშინოდა.

— მარიკა! — დაუძახა მღვდელმა მარკოზმა ცოლს.

— რა გინდა, — მოისმა სახლიდან ხმა.

— ე მანდ რას აკეთებ?

— ბეჩა, როდის მნახე უსაქმოდ მჯდარი. საჩოხე მატყლს ვწეწავ. განა ვერ დაინახე, რომ პაჭიჭები სულ მთლად გაგცვეთია?.

მღვდელმა პაჭიჭებზე დაიხედა. მართლაც, ერთიც და მეორეც. რამდენიმე ალაგას ამოგლეჯილიყო. მარკოზს სრულებით არ შეუმჩნევია პაჭიჭების გაცვეთა და თუ შეამჩნია, ყურადღება არ მიუქცევია. მუდამ სხვადასხვა ფიქრებში და მუშაობაში გართულ მღვდელს სად ეცალა პაჭიჭებისათვის.

— კაი დაგემართოს, კაი ფიქრი შენ მოგსვლია, — კმაყოფილებით მიუგო მღვდელმა. — მაშ სამარიობოდ ახალი პაჭიჭები მექნება! ლერწამისა სად არის?

— წყალზე წავიდა.

— ჰო, კარგი! მაშ იცი, რა გითხრა, ერთი გაისარჯე და ეფუთი ვომიძებნე, მინდა შევიტყო რა ხნისაა დღეს მთვარე, ამ დღეებში ხეხილის დამყნობას ვაპირობ.

რამდენიმე ხნის შემდეგ კარებში გამოჩნდა სანდომიანი სახის ტანდაბალი მოხუცი დედაკაცი. ერთ ხელში მატყლის ფანტელი ეჭირა, ხოლო მეორეში კარგა მოზრდილი, შავ ყდაში ჩასმული წიგნი. წიგნი მღვდელს მიაწოდა და ისევ თავის საქმეს მიუბრუნდა.

მღვდელმა წიგნი გადაშალ-გადმოშალა:

— იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი... — წარმოთქვა მან,— ნიადაგი და თვის თავი, ზედნადები ოცდასამი... ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

— შენდობა მოძღვარს, — გაისმა ამ დროს ხმა და მის წინ მხარზე მოკლე თოფგადაკიდებული გლეხი გამოჩნდა.

— თედორიკა, რა ამბავია, შვილო, ხომ არა გიჭირს რა? — ჩვეულებრივ ტკბილად მიეგება მღვდელი.

ახალმოსულმა მღვდლისაგან ლოცვა-კურთხევა აიღო.

— არა, მამაო! — ცოტა არეულად მიუგო თედორიკამ.—სასახლიდან გამომგზავნეს. ქალბატონი როდამი უქეიფოდ გახლავთ და გთხოვეს... საზიარებლად მობრძანდითო.

— აჰა, ბიჭო, ქალბატონს რა დამართნია? იქით კვირას წირვაზე ბრძანდებოდა და ისე ყოჩაღად იყო, რომ...

— იქით კვირას კი არა, დღეს დილითაც კარგად გახლდათ და მერე უცბად ცუდი გული შეექმნა.

— ბატონი გიორგი შინა ბრძანდება?

— არ გახლავთ, მამაო, ჯუმათში წაბრძანდა.

— ოო... — გაჭიანურებით წარმოთქვა ხუცესმა და თოვლივით თეთრ და გრძელ წვერზე ხელი მოისვა.

—კარგი, კარგი, შვილო! წავიდეთ, წავიდეთ! — მიუგო მღვდელმა, წიგნი დაკეცა და წასასვლელად მზადებას შეუდგა.

— ჯორი მოგიძებნო, მამაო? — დაეკითხა თედორიკა.

— არა, შვილო, არა, ფეხითაც ავირბენ, მაგის მოძებნა-შეკაზმვაში ბევრი დრო წავა, ხვალ კვირაა, წირვა-ლოცვა მიჭირს, — აუჩქარებლად მიუგო მღვდელმა მარკოზმა, სიწმინდის კოლოფი გულზე გადიკიდა და თედორიკას გაჰყვა.

V

ნიგოითის ერთ-ერთ, ზამთარ-ზაფხულ ამწვანებულ სერზე, თავადი გიორგი ჭორიშვილის სამოსახლო იყო გამოჭიმული. თავადის ეზოს ორასამდე ქცევა ადგილი ეჭირა. ეზოს ერთ მხრივ საუკეთესო, სწორე და ამაღლებულ ალაგას იდგა ყავრით დახურული დიდი ოდა — ბატონების საცხოვრებელი და მახლობელი სტუმრების მისაღები. იქვე მახლობლად იდგა მეორე პატარა ოდა, საზოგადო სასტუმრო. იქვე ცოტა მოშორებით სხვადასხვა ზომის, — ზოგი ფიცრული და ზოგიც დაფაცხული: ისლით დახურული შენობა სამზარეულო, საჯინიბო, საბაზიერო და სხვა. ეზოს მეორე მხრივ დაბლობზე, წყაროს პირას, ოციოდ პატარა სახლი და ფაცხა იყო გაფანტული. იქ მოჯალაბეთა მოსახლეობა იდგა.

მზე უკვე ჩადიოდა, როცა მღვდელი მარკოზი თედორიკას თანხლებით თავადის ეზოში შევიდა. მას მოეგება თავადის ვაჟიშვილი ალექსანდრე და თავაზიანად სახლში შეიპატიჟა, მაგრამ მღვდელმა მარკოზმა ერთი შეხედვითვე შეატყო, რომ მისი მოსვლა ბატონიშვილს არათუ არ ესიამოვნა, ძლიერაც ეწყინა.

მღვდელმა მარკოზმა თავადიშვილს პირდაპირ თვალებში შეხედა და თითქოს ანიშნა: რა ვქნათ, შვილო, ეტყობა, არა გსურდა ჩემი აქ მოსვლა, მაგრამ მე მაინც ეს არის გეახელიო.

— რა დაემართა ნეტავი ქალბატონს? ძლიერ საწყენად დამირჩა, — მიებოდიშა მღვდელი მარკოზი თავად ალექსანდრეს, — ქრისტე მეუფეს ვთხოვ მის ჩქარა განკურნებას.

— გმადლობთ, მამაო, — ზრდილობიანად მიუგო თავადიშვილმა, — რაღაც უქეიფოდ გახდა დღეს, არ ვიცი, აწყინა რამემ, თუ გაცივდა.

გაუბედავი კილო თავადიშვილისა ძალაუნებურად ეჭვს უბადებდა მღვდელს, რომ არც ერთი მიზეზი სწორი არ იყო.

— რა აწყენდა, ბატონიშვილო, ან სად გაცივდებოდა? — სიცილით მიუგო ხუცესმა, — მე შენ გეტყვი და ცივი ღომით საუზმობს, ან კოკით წყალს ეზიდება.

თავად ალექსანდრეს ბრაზით ფერი ეცვალა, მაგრამ თავი შეიკავა, იცოდა მღვდელი მარკოზის მოურიდებლობა ლაპარაკის დროს და ღიმილითვე მიუგო:

— ეხ, მამაო, ცივი ღომის მჭამელი და კოკით წყლის მზიდავი ხშირად უფრო ჯანსაღია, ვიდრე ფუფუნებაში გაზრდილი...

— ეს სწორედ ჭეშმარიტი ბრძანებაა, — კმაყოფილებით მოუსწრო ხუცესმა, — ღმერთი წონა-სამართალია! ღარიბი და დაჩაგრული კაცის ერთადერთი ნუგეში მისი ჯანმრთელობაა, შრომა-გარჯით და ზომიერი ცხოვრებით მოპოვებული. გამჩენს ასე განუწესებია.

— სიმართლე რომ ვთქვათ, მამაო, დედაჩემი, თუმცა ფუფუნებით გაზრდილი ადამიანია, მაგრამ ძლიერ გამრჯელია. დილიდან საღამომდე არ ისვენებს და ხშირად ისეთ საქმეებში ერევა, რაც მას სრულებით არ შეეხება...

— ვიცი, ვიცი, შვილო! განა არ ვიცი! ვიხუმრე, თორემ ქალბატონ როდამს მარტო დღეს ვიცნობ? შენ ქვეყანაზე არც კი არსებობდი, როცა მე მას ვიცნობდი. ჯვარი მე არ დავწერე?.. როგორ მიბრძანებთ, პირდაპირ შეიძლება შევიდეთ?

— უკაცრავად, მამაო, მაგრამ ცოტა უნდა დავიცადოთ, მგონი, ახლახან ჩაეძინა...

— რა საბოდიშოა, შვილო! — გააწყვეტინა ხუცესმა, — იყოსმცა მისთვის ძილი განმკურნებელი. მე მანამდე აქ დერეფანში ჩამოვჯდები. ჯდომას და აქედან ყურებას რა ჯობია. იფ, რა მშვენიერებაა! მთელი რიონის დავაკება, გაღმა-გამოღმა და თითქმის მთელი ოდიში ხელისგულივით მოჩანს. ახ, ცხონებულ ბაბუაშენმა ქაიხოსრომ აირჩია ეს ადგილი სამოსახლოდ... რა წყალი, რა ჰავა! გურიაში ამის ბადალი ალაგი მეორე არ მოიძებნება.

მღვდელი დერეფანში გრძელ სკამზე ჩამოჯდა, თავადი ალექსანდრეც შორიახლო მოუჯდა.

ცოტა ხანს სიჩუმე სუფევდა.

ორთავენი ცოტა უხერხულად გრძნობდნენ თავს. მღვდელი ატყობდა, რომ თავადიშვილს მასთან დარჩენა არ უნდოდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის არ მიდიოდა და თვითონ ხუცესს კი — წადი, მომშორდი, ვერ ეთქვა...

ბოლოს სიჩუმე ისევ თავადმა ალექსანდრემ დაარღვია.

— რას ამბობს, მამაო, შენი ეფუთი? როგორი წელიწადი იქნებაო, როგორი მოსავალი, როგორი სიმრთელე?

— ჰო! — ჩაახველა ხუცესმა. — ეფუთი რაღათ გვინდა, შვილო, — აუჩქარებლად, მაგრამ ჩვეულებრივ მტკიცედ მიუგო მღვდელმა მარკოზმა, — როცა უეფუთ-უკარაბადინოდაც ჩვენი ცხოვრება და მისი ბედ-იღბალი დღესავით ნათელია! თვალით ვხედავთ, ყურით გვესმის, რაც ხდება ირგვლივ. გული კი სწუხს და შფოთავს. მოსავალი კარგი საიდან იქნება, თავადიშვილო, როცა

მხვნელ-მთესველი შიშით თავისუფლად ვერ გამოსულა სამუშაოდ. სიმრთელეს ვინ მიანიჭებს შიმშილით კუჭ გამხმარ ხალხს. ან ეს მიბრძანეთ, თვით ხალხი სად არის? სად არის ხალხი? ან სად იქნება, როცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძენი და ასულნი ასობით და ათასობით შავ ზღვას გაღმა ბატკნებივით და თიკნებივით იყიდებიან. ჭეშმარიტად დიდია სულგრძელობა უფლისა, თორემ, საკვირველია, რატომ აბდენ ხანს არ მოგვივლინა, როგორც საღმრთო წერილში წერია: „ცეცხლი და წუმწუმა და სული ნიავ-ქარისა“ და სრულებით არ აღგავა პირისაგან ქვეყნისა ჩვენი ცოდვილი კუთხე. მე მიკვირს, რატომ ზღვად და პალეასტომად არ გადიქცევა მთლად ჩვენი ქვეყანა, საცა ამდენი შესაზარი უსამართლობა მომხდარა და კიდეც ხდება, საცა... მაგრამ, ჰოი, უფალო შეგცოდე! მაშინათვე ადამიანური სულმოკლეობა მომიტაცებს ხოლმე და სრულებით მავიწყდება, რომ შენ სულგრძელი ხარ და მრავალმოწყალე. არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებ ჩვენ და არცა საქმეთა ჩვენთაებრ გვასწავლი ჩვენ. შენ უკეთ უწყი უმჯობესი... ახლა მგონია არ გაგვწირავ სრულიად, რადგან მოავლინენ ჩვენდა შემწე წმიდით შენით და სიონით გამო ხელი აღგვიპყარ ჩვენ... რამეთუ შენ ერი მდაბალი აცხოვნო და თვალნი ამპარტავანთანი დაამდაბლო. არა, თავადიშვილო, — ხმას დაეშვა ხუცესმა, — ჩემი ეფუთ-კარაბადინი ხელისგულივით ჩვენს წინ გადაშლილი ჩვენი ცხოვრებაა, თუცმა სახარბიელო არაა, მაგრამ არც სულ უნუგეშოა. აწ გულის ხმა ვყავ, რამეთუ აცხოვნა უფალმან ცხებული თვისი... უფალო, აცხოვნე მეფე და ისმინე ჩვენი დღესა მას, რომელსაცა გხადოდეთ შენ... ესენი ეტლებითა და ესენი ჰუნებითა, ხოლო ჩვენ სახელითა უფლისა ღვთისა ჩვენისათა ვხადოდეთ. იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს, ხოლო ჩვენ აღვსდგებით და აღვემართენით.

თავად ალექსანდრეს პირისახეზე ალმური აედინა. ის ძლიერ კარგად მიუხვდა, თუ რა ქარაგმებით უბნობდა მარკოზ ხუცესი. საქმე იმაში იყო, რომ თავადი გიორგი ტყვეთა ყიდვა-გაყიდვაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ყველა წვრილმან მტაცებელს,— გურულს, იმერელს თუ მეგრელს, თავადის სახლში მყუდრო ბინა ჰქონდა, რადგან თავადი დიდი გავლენიანი კაცი იყო და მის სახლში შეჭრას, ან რაიმე პასუხის მოთხოვნას უბრალო ვინმე კი არა, თვით გურიელიც ადვილად ვერ გაბედავდა. თავადი გაცნობილი იყო ფოთის ციხეში მჯდომ ოსმალთ ფაშასთან, ოსმალეთის მდიდარ სოვდაგრებთან. ისინი თავად გიორგის დიდად აფასებდნენ და პატივსა სცემდნენ. ერთი სიტყვით, ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმე

თავადმა ძლიერ კარგად იცოდა და ამით კაიძალ ქონებასაც იძენდა. ვინ იცის, რამდენჯერ მოსვლია უსიამოვნება მარკოზ ხუცესს თავად გიორგისთან ტყვეთა გაყიდვისა გამო. ბევრი უქადაგნია ხუცესს თავადისთვის, ბევრი უხვეწნია, ბევრი უმხილებია აღეკვეთა ეს საზიზღარი საქმე, მაგრამ ვერა გაეწყო რა. თავის მხრივ თავადს მღვდელი მარკოზი, რასაკვირველია, სძულდა, უნდოდა მასთან ყოველივე კავშირი გაეწყვიტა და სახლშიაც არ შემოეშვა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგან ქალბატონი როდამი დიდი პატივისმცემელი იყო მარკოზ ხუცესისა და სხვა მოძღვრის არჩევაზე არასგზით არ თანხმდებოდა. თავადი გიორგიც გულის სიღრმეში, უეჭველია, გრძნობდა ხუცესის პირად ღირსებას და თუმცა არ ესიამოვნებოდა მუდამ მამხილებელი კაცი, მაინც ვიგინდარა ყურმოჭრილ ყმა-მღვდელს ერჩივნა. რას დავეძებ, ილაპარაკოს რამდენიც უნდაო, მე მაინც ჩემსას ვიზამო, ფიქრობდა თავადი, მაგრამ როცა მარკოზ ხუცესი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო თვით მეფე სოლომონმა, საქმე შესამჩნევად შეიცვალა. მღვდელი მარკოზი ახლა ტყვეთა გამყიდთათვის საშიში კაცი შეიქნა. ხუცესს შეეძლო თავის მომხრენი, რომელთ რიცხვი, განსაკუთრებით დაბალ ხალხში, მრავალი იყო, აემხედრებინა, მეფისთვის მიემართნა, ისიც ძალას მოაშველებდა და ტყვეთა გაყიდვის საქმეში მხილებული სასტიკად დაისჯებოდა. თუმცა ხუცესი ჯერჯერობით ჩვეულებრივ ტკბილ სიტყვებს და იგავების თქმას სჯერდებოდა, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო სხვა ღონისათვის მიემართნა და თავადი გიორგისთვის საგრძნობელი უსიამოვნება მიეყენებინა. ამიტომ თავადმა ბოლო დროს ხუცესს მოფერება და უფრო პატივით მოპყრობა დაუწყო, თანაც ეფიცებოდა, რომ ახლა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმეში ჩარევას სრულებით თავი დავანებეო. ერთი მხრივ ეს ტყუილიც არ იყო. აშკარად მოყვანა ტყვეებისა თავადის სახლში, რაც წინათ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რისთვისაც თავადი გიორგი არავის ერიდებოდა, შესამჩნევად შემცირდა.

სხვა დროს თავად ალექსანდრესაც მღვდლის იგავებზე შეიძლება პასუხიც გაეცა, მაგრამ დღეს საუკეთესოდ სცნო გაჩუმებულიყო, ხუცესისადმი უკმაყოფილებას მხოლოდ თვალებით გამოთქვამდა და მით კმაყოფილდებოდა. მღვდელმა კი ძლიერ კარგად შენიშნა, რომ თავადიშვილს მისი სიტყვები არ ესიამოვნა, მაგრამ თითქოს არ შეუმჩნევიაო, კვლავ განაგრძო ლაპარაკი:

— იცოდე, თავადიშვილო, ჩვენ ალვსდგებით და ალვიმართებით?

სძლევს სიკეთე სიბოროტეს, მაგრამ შურს არ იძიებს. ქრისტიანულ სიკეთეს შურისძიება არ უყვარს. რაც იყო, შვილო, იყო! — უკვე პირდაპირ თქვა ხუცესმა, — მას ნუღარ გავიხსენებთ. ყოვლად მოწყალეს ვთხოვოთ შენდობა და დავადგეთ ახალ გზას. მაშინ ნახავ, რომ ცაც დროზე წვიმას მოგვცემს და ქვეყანაც უხვად აღმოაცენებს ნაყოფსა თვისსა, მოსავალიც კარგი იქნება და სიმრთელეც ხალხში სანატრელი.

— ღმერთმა ქნას! ღმერთმა ქნას! — ამბობდა თავადი, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, გულწრფელი არ იყო ეს მისი სურვილი.

— დროა, გონს მოვიდეთ, სიტყვით ნათქვამი საქმითაც შევასრულოთ, ხელი ხელს მივცეთ და წარმოვთქვათ სიტყვა იგი მეზვერისა, — მტკიცედ თქვა მღვდელმა მარკოზმა, მაგრამ სიტყვა ვეღარ დაათავა, ოდნავ შეკრთა და ეზოში რაღაცას დააკვირდა.

ეზოში საჯინიბო სახლისაკენ ვიღაც შავწვერა ჩასქელებული. ყაბალახით თავშეხვეული კაცი მიდიოდა, უკან ქამარში განდაგან დამბაჩა ერჭო და რაღაცნაირი რხევა-ზნექით მიდიოდა. გამოცდილ მღვდელს ეს კაცი მაშინათვე თვალებში ჩაუვარდა.

— ეს კაცი ვერ ვიცანი, ბატონიშვილო! — მიუთითა ხუცესმა ეზოში მიმავალ კაცზე.

თავადმა ალექსანდრემ გაკვირვებით აიხედა, სახე ცოტა გაუფითრდა, მაგრამ შეეცადა სრულებით დამშვიდებული სახე მიეღო.

— ესა? ჰო, ჩვენი მოკეთე კაცია.

— აქაური არ უნდა იყოს.

— არა, ოდიშელია, — მიუგო თავადმა ალექსანდრემ ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ოო!.. — მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ხუცესმა და სასტიკი თვალით თავადს შეხედა.

— მამაო, დედას უკვე გაეღვიძა, — მოიბოდიშა თავადიშვილმა, საჩქაროდ წამოდგა და სახლში შევიდა. სხვა გზა არ იყო, ხუცესის მრისხანე თვალს თვალი ვერ გაუსწორა.

„ოო... ახლა კი მივხვდი! აქ რაღაც საქმეა,—გაიფიქრა მღვდელმა და თეთრ წვერზე ხელი მაგრად მოისვა. — სახეზე ვატყობ იმ შავ-შავ ყაზახს, კეთილი სული არ უნდა იყოს. ვითომ ახლაც გაბედეს და ვინმე უბედური მოიყვანეს? მოიცა, ვნახო ქალბატონი, ყოვლისფერს გამოვააშკარავებ. მაშინ გაუხმეს ხელი მარკოზ ხუცესს, თუ მან ვისმე ზიარება მიაწოდოს, სანამ დაწვრილებით არ შეიტყობს, თუ რაშია საქმე. თავადიშვილს მე არასოდეს გულზე არ ვეხატე. მამის შვილი არაა! მაგრამ დღეს კი რაღაც განსაკუთრე-

ბული არეულობა შევატყვე. ღმერთო, მწეო ჩემო და მფარველო ჩემო, განმისწავლენ გზანი ჩემნი!"—ლოცულობდა გულში ხუცესი. ᲛᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲛᲓᲔ სამზარეულო სახლიდანაც კანტიკუნტად საგულისხმიერო სიტყვებმა მოაღწია. მღვდელს ესეც არ გამოეპარა.

— ვაი, ვაი, დედაი სულო! უღმერთოები, უღმერთოები, — ამბობდა მოხუცი გადია... — მი'ი ცოდო... კაცის გული... და...

რამდენიმე ქალი ერთად ლაპარაკობდა. სამზარეულო სახლიც კარგა მოშორებით იყო და მღვდელმა მარკოზმა დალაგებით ვერ გაიგონა მოხუცი გადიას ნათქვამი, მაგრამ რაც გაიგონა, ისიც საკმარისი იყო, ეპვი აეღო, რომ ამ სახლში რაღაც საიდუმლო საქმე იმალებოდა, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ შავწვერა მეგრელის მოსვლასთან.

— ვითომ რაც თავადმა შემომფიცა, მაგისთანები აღმოვკვეთეო, კიდევ გაბედეს? — თავისთვის წარმოთქვა ხუცესმა. — დამაცადეთ, განკითხვის დღე მოახლოებულია, — იმუქრებოდა მღვდელი მარკოზი.

VI

ქალბატონს გამოეღვიძა. ალექსანდრე არსად ჩანდა. გამოვიდა მოახლე ქალი და მღვდელი სახლში შეიპატიჟა. მღვდელი მარკოზი შევიდა.

ოთახი, სადაც იწვა ქალბატონი, დიდი არ იყო. კედელში გამოჭრილი პატარა ფანჯარა სახლს საკმაოდ ვერ ანთებდა. ერთ-ერთ კედელთან, ტახტზე, ძვირფას აბრეშუმეულობა გადაკრულ ქვეშაგებში იწვა ქალბატონი როდამი. ტახტის წინ ძვირფასი, სტამბოლიდან მოტანილი ხალიჩა ეგო. ავადმყოფის სარეცელთან მაღალი სამფეხა სკამი იდგა, რომელზედაც მხედრულად დაწერილი პატარა დაუჯდომელი და ვერცხლის პატარა შანდალი იდგა. შანდალში შინ ჩამოქნილი ყვითელი თაფლის სანთელი ერჭო. ოთახში, ავადმყოფს გარდა, არავინ იყო.

მღვდელმა მარკოზმა ოთახში ფეხი შედგა თუ არა, მცირე ლოცვა წარმოთქვა და მერე ავადმყოფს აუჩქარებლად მიესალმა.

— იაგუნდისა, — მილეული ხმით დაიძახა ქალბატონმა, — მოძღვარს სკამი მიართვი.

მოახლემ სკამი შემოიტანა. ხუცესი ჩამოჯდა. ოთახს თვალი მოავლო, ერთიც დაუჯდომელს გადახედა და ავადმყოფს თანაგრძნობით დაეკითხა:

— რა დაგმართნია, ქალბატონო? ძლიერ ვწუხვარ, სასო ღვთისმშობელს შევთხოვ შენს ჩქარა განკურნებას.

— გმადლობ, მოძღვარო! ძლიერ ცუდად ვიგრძენი თავი და შეგაწუხე. ვინ იცის, სიკვდილ-სიცოცხლე ხომ ერთი წუთის საქმეა, — ნელ-ნელა წარმოთქვა როდამმა.

მღვდელმა თავისი გამომცდელი თვალებით ახედ-დახედა ავადმყოფს და ტკბილად მიუგო:

— კეთილი, ქალბატონო! მოხარული ვარ, რომ გაჭირვების დროს ღმერთს მიმართავ ხოლმე. და ხმა ჰყოს ჩემდამი და მე ვისმინო მისიო, ბრძანებს უფალი. უეჭველია, შენც გისმენს იგი, თუ კი გულწრფელად მიმართავ მას.

— მოძღვარო, ძლიერ სუსტადა ვარ.

— უფალი განამტკიცებს უძლურთა და დაამხობს ძლიერთა. აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი, — თვალების ზეაპყრობით ამბობდა მღვდელი მარკოზი.

— ეხ! მოძღვარო, უფალსაც მოსწყინდა, ალბათ, ჩვენი ცოდვები... ჩვენი...

— ჩვენი ცოდვები, ქალბატონო, რალა საკითხია... დასამალი არაა, აშკარაა,—გააწყვეტინა ხუცესმა, — მთანი და ბორცვნი, მდინარენი და ველნი, ზღვა და ხმელეთი, უსჯულოთა ბანაკი და ქვრივოხერთა თავშესაფარი ქოხი სულ ჩვენ ცოდვებზე არ ღაღადებენ?

— მოძღვარო, მე ხომ მიცნობ? მრავალჯერ მითქვამს ხომ გულწრფელი აღსარება შენთვის... ჩემი სულიერი ტანჯვა, ჩემი წუხილი... უფალმა ხომ... უწყის... — ქალბატონს ტირილი მოერია და სიტყვა ვეღარ დაათავა.

— მგონი, მეც მიცნობ, ქალბატონო! ორმოცი წელიწადი გავიდა, რაც ჯვარი დაგწერე. კარგად იცი, რამდენი უსიამოვნება შემხვედრია ამ ხნის განმავლობაში, თვით შენ ოჯახშიაც რამდენჯერ ყოფილა ჩემ დასაღუპად შეთქმულობა, მაგრამ პირადად შენი ყოველთვის მადლობელი ვიყავი, რადგან დარწმუნებული ვარ, თუ არ შენ, ბევრი ხნით ადრე ცოცხალთა რიცხვში არ ვიქნებოდი. უფალმან მოგაგოს მაგიერი. მრწამს ისიც, რომ გულწრფელად იტანჯებოდი, როცა ხედავდი აშკარა უღმრთოებას შენ ოჯახშიევ შენს დაახლოებულთა მიერ. მართლაც და დიდი უნდა იყოს ის მწუხარება, რაც უნდა განეცადა პატიოსან ცოლსა და დედას, როცა ხედავდა, რომ მისი ქმარი და შვილი ძმათა მტაცებელს და უსჯულოში გამყიდველს თავშესაფარს აძლევდნენ. მაგრამ დაგვიდგა სხვა დრო.

ღმერთმა ზეცით გარდმოიხედა, მოგვივლინა მხსნელი. ხომ შეიტყვერა სასტიკი ბრძანება გაუცია მეფეს ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ. იმედი მაქვს, ეს ბრძანება არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. კიდევაც ახლავე დაეტყო ამ ხმის ძლიერი გავლენა ჩვენ ქვეყანას. ახლა მთესველი უკვე მხიარულად გამოდის თესვად, ხოლო მტაცებელი თავზარდაცემული იმალება. მე იმედი მქონდა, ასე სანატრელად დროების შეცვლა შენ გაგახარებდა და, აი, საუბედუროდ, ვხედავ, რომ, პირიქით, დაუძლურებულხარ, ტირი და გოდებ. გატყობ, რომ შენი ავადმყოფობა რაღაც სხვანაირია, ასოთა ტკივილისაგან არ არის გამოწვეული. მითხარ, რაშია საქმე, ნუ დამიმალავ!

ქალბატონი მწარედ ქვითინებდა.

— პასუხის მოცემა გეძნელება, ცრემლი ნებას არ გაძლევს? — გულდამშვიდებით გააგრძელა ხუცესმა. — არა უშავს რა, ცრემლი დიდი ნუგეშია, მწუხარე გულის დამამშვიდებელია. შეიძლება, ჩემ შეკითხვას პასუხიც მე მივცე? კარგი, შენ არ შეგაწუხებ, მე თვითონ გიპასუხებ. ხომ იცი, ქალბატონო, ჩემ გამოცდილ თვალებს არაფერი არ გამოეპარება, მაგრამ ერთი მაინც უნდა მიბრძანოთ: ვინა ბრძანდება ის შავწვერა მეგრელი, თქვენს სახლში დღეს სტუმრად რომ არის? უეჭველია, კეთილი სული არ უნდა იყოს!

ქალბატონი ცრემლით სავსე თვალებით მღვდელს დააშტერდა.

— ნუ გიკვირს, ქალბატონო, მე ის უკვე ვნახე! თუმცა შორიდან, მაგრამ მაინც ვნახე და ჩემთვის ესეც საკმარისია. დანარჩენი ხომ ცხადია, მე და შენ მაინც განმარტება აღარ გვჭირია.

— მოძღვარო, ვფიცავ იესო მაცხოვარს... — წამოიძახა ქალბატონმა.

— აბა, შენი ფიცი მე რაღათ მინდა... განა არ ვიცი, რომ მისი სტუმრობა შენც ისე გაგიხარდებოდა, როგორც მე დღეს მისი ნახვა? რას ვამბობ, მე თუმცა არ მესიამოვნა მისი ნახვა, მაგრამ ავად არ გავუხდივარ და იმედი მაქვს, არც გამხდის, შენ კი, აი, სარეცელში წევხარ.

— მოძღვარო, გულთმისანი ხომ არა ხარ? — ისევ წამოიძახა ქალბატონმა.

— გულთმისნობა რაღა საჭიროა! ისედაც მივხვდებით, სირცხვილიცაა მარკოზ ხუცესისთვის, მაგისთანები გამოეპაროს.

— რა ვქნა, მოძღვარო, ორ ცეცხლშუა ვარ ჩავარდნილი, — საცოდავად წარმოთქვა როდამმა და ცრემლი მოიწმინდა. — ერთ-

ბელ დაჩვეულის ერთი მოსმით გადაგდება ძნელი ყოფილა. შენც ბომ იცი, რომ ჩემმა ქმარმა და შვილმა გურიელთან ერთად მეფეს შეფიცეს, რომ ფაშისთვის ტყვეები არ მიეწოდებინათ და, მართალი უნდა ვთქვა, სხვა დროსთან შედარებით, ძლიერაც შეამცირეს ეს საძაგელი ხელობა, ეს შენც იცი, მაგრამ სრულებით მაინც ვერ აღმოკვეთეს. მე ცალკე ქმარს ვეჩხუბე, ცალკე შვილს და მხოლოდ ის მოვახერხე, რომ აქ, ამ ჩემს ოჯახში, ჩემ თვალწინ მაინც არ უნდა მომხდარიყო ეს საზიზღრობა. ორთავემ პატიოსანი სიტყვა მომცეს და, მართლაც, სამი თვე გავიდა, რაც ჩემ ეზოში ტყვე არ შემოუყვანიათ; მოწმე იყოს თვით ქალწული უბიწო! დღეს დილით კი მოეთრია ის ავაზაკი, ის იუდა გამცემლის თანაზიარი, ის დაუნდობელი და ერთი პატარა ყმაწვილი მოიყვანა... ისეთი ლამაზი, ისეთი კარგი, რომ... ვაი დედამისს გამწარებულს, ცეცხლ-გენია მოკიდებულს! მე მაშინათვე ყვირილი მოვრთე, თავი მოვიკალი... ბატონი შინ არ იყო, არც ახლა გახლავთ... ჩემმა შვილმა კი ჩვეულებრივ მანუგეშა, ეს უკანასკნელია. დანაპირი ვართ ფოთის ფაშასთან, სასიკიდელი წინდაწინ გვაქვს მიღებული. მე ეს არ დავიჯერე, გავცოფდი, გადვირიე. ბავშვი გამოვტაცე და ჩემს ერთგულს გადიას და მოსამსახურეებს ჩავაბარე... მერე საშინელი თავის ტკივილი ამივარდა... გონებაც დავკარგე....

— მესმის, მესმის, ქალბატონო, ყოვლისფერი მესმის, დამშვიდდი! შენი სათნოებით და სიყვარულით სავსე გული მეოხ ეყავნ შენ ქმარ-შვილს დღესა მას განკითხვისასა, — თანაგრძნობით მიუგო მოძღვარმა. — არ დაგიმალავ, მე ამას მაშინათვე მივხვდი. თავადიშვილს ალექსანდრეს თვალებში შევატყე, რომ ჩემი ნახვა არ ესიამოვნა. რა ვქნა! მე მაინც ღვთისადმი ვითხოვ მის კეთილ გზაზე დაყენებას. დრო კი არის, ქალბატონო, შენმა ქმარ-შვილმა აღმოკვეთონ ეს საზარელი საქმე. ნუთუ არ კმარა, რაც მდუღარე ცრემლი დაიღვარა უბედურ ჩვენი ქვეყნის დედათაგან მთელი საუკუნის განმავლობაში! დაე, ჩვენი ქვეყნის ტურფა ძენი და ასულნი ჩვენ ქვეყანაშივე დარჩნენ, აქვე დაიზარდნენ, აქვე იშრომონ, აქვე განვლონ დღენი ცხოვრებისა, მოიხადონ მოვალეობა სამშობლოს წინაშე და აქვე მიწას მიებარონ. გარდაეცი ბატონს ჩემ მაგივრად, რომ ფიცი მტკიცედ შეინახოს. ნუ ჰკადრებს თავის ჭაღარას არასაკადრისს, თორემ მოახლოებულია დღე განკითხვისა. ბომ იცის, ისმინა უფალმან ტირილი და გოდება ხალხისა და მოუვლინა მას მფარველი. ეკრძალოს, მე გამიფრთხილებია.

— ახლა როგორ მოვიქცე, მოძღვარო, ბავშვს რა ვუყოთ? — დაეკითხა როდამი.

— ბავშვი ჯერჯერობით მე მომეცი. გავზრდი, შევასწავლი რასმე და მერე პატრონი მოვძებნოთ და ჩავაბაროთ. რა თქმა უნდა, უკეთესია ამ საქმეში ხმა არავინ ამოიღოს. არც შენ და არც ჩემ წინააღმდეგ, თორემ ბოლოს სასინანულოდ დაურჩება. მარკოზ ხუცესი თავმდაბალია, მაგრამ, თუ გაჭირდა, ქუდმაღალზე უარესს ეზამს. შენ კი, ღირსო ადამიანო, უფალმა მოგანიჭოს დღეთა სიგრძე. დამშვიდდი, ზიარება არ გეჭირვება.

VII

დაღამდა. მოღრუბლულ-მოღუშული და საწვიმრად გამზადებული ცა ქვეყანას მრისხანედ დაჰყურებდა. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო და ირგვლივ სიბნელე სუფევდა.

მღვდელი მარკოზი ორი შეიარაღებული კაცის თანხლებით თავად გიორგის სასახლიდან გამოვიდა და თავის სახლისაკენ გაემართა. გვერდით ანაფორის კალთაში გმოხვეული ბავშვი მისდევდა. თუმცა ზაფხული იყო და ცხელოდა კიდეც, მაგრამ ბავშვი მაინც ძაგძაგებდა.

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭიკო, — ალერსიანად უთხრა მღვდელმა, — შინ ჩქარა მივალთ, საჭმელს გაჭმევ, დაგაძინებ... შენი სახელი?

— ხვიჩა, — ტირილით მიუგო ბავშვმა.

მღვდელმა ხელი მაგრა მოხვია და ტანზე მიიკრა.

— უღმერთოები, უსვინდისოები, — ბუტბუტებდა იგი, — ბავშვისთვის პერანგი მაინც ჩაეცვათ ხეირიანი. ან ღმერთს რას ეტყვიან, ან კაცს ეს უსჯულოები!

— ეხ, ეხ, ჩვენი ცოდვა, — ოხრავდნენ მღვდლის მხლებლები.

მარკოზ ხუცესის სახლის კერაზე ხმელი ფიჩხის ცეცხლი კაშკაშებდა და მთელ სახლს საკმაოდ ანათებდა. მარიკა და ლერწამისა კერას აქეთ-იქით შემოსხდომოდნენ და მღვდლის მოლოდინში საჩოხე მატყლს ართავდნენ.

— მარიკა, მარიკა, აბა, გამოიცანი ვინ მოგიყვანე, — სახლს მიუახლოვდა თუ არა, დაიძახა ხუცესმა. მისი ხმის გაგონებაზე ქალებმა თითისტარები განზე გადადეს და ზეზე წამოიჭრნენ. ამასობაში მღვდელი სახლში შევიდა, ანაფორის კალთა გადასწია და თმახუპუპა, შავგვრემანი ბავშვი წინ წამოაყენა. ბავშვი თითქმის ტიტ-

ველი იყო, დაჭერილ მხეცივით შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— ეს ვინ არის? — გაოცდა მარიკა.

— ვინ უნდა იყოს, დედაკაცო, — მშვიდად მიუგო ხუცესმა, — თუ არ ნაყოფი ჩვენი კეთილი გზიდან ცთომისა, ჩვენი გათახსირებისა, გულგაქვავებისა და გონების დაბნელებისა.

მარიკა მიხვდა, შეშინებულ ბავშვს მიუახლოვდა, ნაზად ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

— ნანა, შვილო, ნანა, შვილო, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა...ოი, ნანა, შვილო! რა მწარეა შვილის დაკარგვა... უღმერთოებმა რა იციან, რა მწარეა დედის გულ-მკერდი! ნანა, შვილო, უბედურ მთვარეზე დაბადებული შენი მშობელი დედა... იმას ვინ ანუგეშებს? იმას ვინ გაუმრთელებს დაჭრილ გულს? იმას შენ მაგიერობას ვინ გაუწევს?... საფლავში უნდა ჩაიტანოს უბედურმა შენი სიმწარე, — მოთქმით ამბობდა მარიკა, ბავშვს თავზე ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა და თან ქვითინებდა.

ალერსით და დედის გახსენებით გულაჩვილებული ბავშვი მწარედ ატირდა. ატირდა ლერწამისაც. მღვდელი მარკოზი შორიახლო იდგა და ცოლის ქცევით კმაყოფილი და აღტაცებული, ისიც აცრემლებული, გრძელ წვერზე ხელს ისვამდა.

— კარგი, გეყოფა, დედაკაცო! — უთხრა ბოლოს ხუცესმა. — უიმისოდაც გულჩათუთქულ ბავშვს დედის გახსენებით კიდევ უფრო გულს ნუ უკლავ. აჭამე რამე და დააძინე. შეხედე, რავა ცოცხლად დაუხრჩვიათ მაგ უღმერთოებს.

მარიკა გამოერკვა, ბავშვი კერის პირას დაბალ სკამზე დასვა და ვახშმის თადარიგს შეუდგა.

— აკი ამბობდი, ხუცესო, მაგისთანა სამარცხვინო საქმეები მოისპოო, ამდენ სამადლობელ პარაკლისებს ტყუილად იხდიდი? — ამბობდა მარიკა.

— განა ასე ადვილია, ქალო, ძაღლის კუდის გასწორება? ჯერ კიდევ დროა საჭირო, სანამ ასეთი საძაგელი ჩვეულება სრულებით აღმოიფხვრებოდეს. ყველა ბოროტებაში გასვრილი ხელი ჯერ უნდა სამარეში დაიმარხოს, რომ კაცის შვილთა მოტაცება და გაყიდვა საზღაპრო ამბად გადაიქცეს, მაგრამ ასეთი სამწუხარო მოვლენა იშვიათი რომ გახდა, ესეც დიდი ნუგეშია, ესეც ღირს იმად, რომ სამადლობელი პარაკლისი გადავიხადო და გადავიხდი კიდეც, — მხიარულად მიუგო ხუცესმა.

ნავახშმევს ლერწამისამ სპილენძის ქვაბით წყალი გაათბო. ქალებმა ბავშვი დაბანეს, მარკოზის ერთ-ერთი პერანგი ჩააცვეს და ლოგინში ჩააწვინეს. მერე მღვდლის ძველი კაბა მოსძებნეს და მისგან ბავშვის ჩასაცვამ ახალუხის გამოკერვას შეუდგნენ.

— უღმერთოები, უსულგულოები, დედას შვილს სტაცებენ და უსჯულოებზე ყიდიან! არ აქმევენ, არ აცმევენ... ღმერთო, მიაგე პაგიერი, — ბუტბუტებდა მარიკა და გაჩქარებით კერავდა.

მღვდელმა წმინდა სანთელს მოუკიდა, კუთხეში მიყუდებულ პატარა ხატის წინ წარსდგა და ლოცვას შეუდგა.

— ნანა, შვილო, ნანა, შვილო, ბედდამწვარი შენი მშობელი დედა, — სლოკინით წამოიძახებდა ხოლმე დროგამოშვებით მუშაობაში გართული მარიკა.

— ვითარ განდიდენ სახელი შენი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენო, — ღაღადებდა ხუცესი.

ლერწამისა საჩოხე მატყლს ართავდა, ხოლო პატარა ხვიჩას ლოგინში ტკბილად ეძინა, ოთხი დღე და ღამე გავიდა, რაც მას ასე ტკბილად მოსვენება არ ღირსებია.

* * *

— არა, ღმერთს გეფიცები, თავადო ალექსანდრე, თუ მართლა ვინმე კუდიანია ქვეყანაზე, სწორედ ეს მარკოზ ხუცესი უნდა იყოს, — ამბობდა აზნაური ყარამანი, თავადი გიორგი ჭორიშვილის ძლიერ ერთგული და დაახლოებული პირი.

— კუდიანი კი არა, გულთმისანია მაგ ჩამოსახრჩობი, — მიუგო თავადმა ალექსანდრემ.

— წაგვართვა, მარა რა ბიჭი წაგვართვა, მაგ წვერით ხეზე თხასავით ჩამოსაკიდებელმა, — სწუხდა ჩვენი უკვე ნაცნობი თენგიზი, ხვიჩას მომტაცებელი და თავადის სასახლეში მომყვანი. — რამდენი ტანჯვა და ბრძოლა გამოვიარე იმის აქ მოყვანაში.

სამთავენი კერის პირას ისხდნენ და საუზმის მოლოდინში მუსაიფობდნენ.

— მართალი რომ ვთქვათ, დედაჩემმა წაგვართვა, იმას არ ეთქვა, ხუცესი ასე მაგრად ხელს ვერ ჩაგვჭიდებდა, — ამბობდა თავადი ალექსანდრე, — მაინც, კაცო, დამელაპარაკა თუ არა, მაგ ჩასაძალლებელმა, მაშინვთვე იქვიანი თვალებით აქეთ-იქით ყურება დაიწყო, თითქოს მეძებარია და ნადირს სუნავსო. თენგიზი რომ შეამ-

ბნია ეზოში, მაშინათვე პირში მომახალა უბოდიშოდ: ეს ვილაცაა ყეთილი სული არ უნდა იყოსო.

— ჰა, მაგი ყოფაგაქუცული... — შეაგინა თენგიზმა.

— იმის შეხვედრას ხომ ჭრელი გველის შეხვედრა მირჩევნია,— ვაგრძელა ალექსანდრემ, — მერე, კაცო, მომიყვა სხვადასხვა იგავებს! ეს საღმრთო წერილიო, ეს ესაო, ეს ისაო... დედაჩემი ხომ ხელში ჰყავს, რასაც ეტყვის, იმას აქნევინებს... ის, ალბათ, როგორც გულუბრყვილო დედაკაცი, ყოვლისფერს უამბობდა და, რაკი ერთხელ ყური დაეხვრიტა მენცარს, მერე ხომ არ მოგვეშვა და არ მოგვეშვა, თორემ დედაჩემს მარტო ჩქარა დავამშვიდებდი... ერთი ორი დღე რომ დამცლოდა, ბავშვს ისევ წყნარა გამოვტყუებდი... ახლა კი არ ვიცი, რა პირით დავხვდე ან მამაჩემს, ან ხელცარიელი როგორ ვეახლოთ ფოთის ფაშას. შეიძლება, თენგიზ, შენებურად კიდევ მოაგვარო რამე?

— ვეცდები, ბატონიშვილო, განა ცოტა მომიყვანია, მაგრამ საძნელო კი არის, ოხერი! შეიცვალა დროება, — ნაღვლიანად ამბობდა თენგიზი. — თუ დადიას მოხელეებმა ხელთ მიგდეს, შენი მტერი! თვალებს დამთხრიან. ხალხიც გამაგრდა. ყოველ სოფელში ყარაულები მორიგეობენ.

— კიდეც იმიტომაა, რომ მარკოზ ხუცესმაც ფრთები შეისხა და ახლა მუქარასაც არ ერიდება, — ბრაზით ამბობდა ალექსანდრე.

— ტყუილად დარდობ მაგ ამბავს, ბატონის მზემ, — გაერია ყარამანი. — ერთი მეც მკითხე და, თავადიშვილო, იმ ხუცესმა ბავშვი ხომ თავის სახლში წაიყვანა?

— კი.

— ხომ არ გაყიდის?

— ათასი ქისა მარჩილი რომ მისცე, არ მოგცემს, მაგის ხასიათი კი ვიცი, კერპი ვინმეა.

— მაშ, ყავდეს, ბატონო, ჯერჯერობით ასვას და აქამოს. თვალი გაუტყდეს, აქაურობას გაეჩვიოს. მე ყარამანი არ ვყოფილვარ, ის თუ ბოლოს ისევ ჩვენი არ იქნეს. მერე უფრო მეტი ფასი არ ექნება თუ?

— ერთი შენცა!

— ჩემი თავი მოგიკვდეს, თავადიშვილო, თუ მე ეს არ შეასრულო.

— ეხ, ყარამან! შენ ხუცესს ნუ ეხუმრები. მთელ ქვეყანახ შესძრავს. პირდაპირ მეფესთან წავა. შეიძლება ხალხიც აიჯანყოს.

ერთი რომ დაუძახოს და წინ წაუძღვეს, შენ რავა გგონია, პირველად თვით ჩვენი ყმები ცეცხლს მისცემენ ჩვენ სახლ-კარს.

— შენი მოღალატე ვიყო-მეთქი, ვაჟო, თუ შენ ოჯახზე ვისმე ეჭვიც კი შევატანინო... ისე მოვაწყობ საქმეს, თავი და ბოლო ვერავინ გაუგოს. ჯერ დამაცალე, მიჩქმალდეს ეს საქმე, გავიდეს დრო და ხანი.

— თუ შენ მაგას იზამ, ყარამან, და თუ იმ ხუცესის ჯავრს ამომაყრევინებ, — მიუგო თენგიზმა, — ლეჩაქი დამეხუროს, თუ ერთი კაი ყირიმის თოფი არ მოგიტანო ფეშქაშად.

— იცოცხლე! კარგად იყავი, უფეშქაშოდაც ვიზამ მაგას. შენზე ნაკლებ ჩვენ არ გვიმწარებს სიცოცხლეს მაგ გასატყავებელი. რაც ზარალი მაგას ჩვენთვის მოუცია, ა, თავადიშვილო?

— ოი! სახსენებელ ამოსაგდები! — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

— შენ, თენგიზ, მხოლოდ ის იცოდე, რომ, — გააგრძელა ყარამანმა, — აქ, სასახლეში მეტი არავინ მოიყვანო. აქ ისეა საქმე, რომ ვერ დაიმალება. დიდი იყოს თუ პატარა, თუ ღმერთმა ხელში ჩაგიგდო, ჩემ სახლში მოიყვანე. მე ახლა შავ ღელეს სათავეში დავსახლდი. ირგვლივ უდაბური ტყე მარტყია, კაცის ჭაჭანება იქ არ არის.

— კაი დაგემართოს, ვეცდები, — მოუგო თენგიზმა და ულვაშები გადიგრიხა. — მე მიკვირს, ამდენ ხანს ცოცხალი როგორ ატარეთ მაგ ფეხმოსატეხი. ისეთი ოხერი და ხელისშემშლელი უნდა მოსპო, თორემ, რასაკვირველია, საშველს არ მოგცემს, საქმეს ყოველთვის დაგიხლართავს.

— კარგი, მაგაზე მერე ვიფიქროთ. ახლა ერთი გემრიელად ვისაუზმოთ. აგერ ყაზახს მოაქვს კიდეც შემწვარი ბატკანი, — მადიანად წარმოთქვა თავადმა ალექსანდრემ.

სამთავენი გემრიელ საუზმეს მოუსხდნენ.

* * *

ხვიჩა ჩქარა გაეჩვია მარკოზ ხუცესთან. გულკეთილმა მოპყრობამ და საქმელ-სასმელმა თავისი ქმნა. ბავშვი გამხიარულდა, მოღონიერდა, შვლის ნუკრივით დახტოდა. ხუცესს ძლიერ შეეჩვია. საყდარში დაჰყავდა, საცეცხლურს უბერავდა, სანთლებს უკიდებდა. შინ შეშა-წყალი მოჰქონდა და სხვა წვრილმან რამეებს აკეთებდა. ორ-სამ თვეში ბავშვს სულ სხვა სახე დაედო. ტირილისაგან ჩაცვივნულ-ჩალურჯებული და საშინლად გამომყურე თვალები

დაუმრგვალდა, აუმხიარულდა, ლოყა ამოებორცვა და ვარდისფერი დაედო.

— ხვიჩა! — დაუძახებდა ხოლმე მღვდელი მარკოზი.

— პატონი! — ცქვიტად ეტყოდა ბავშვი.

— ჰა, კიდევ ვერ გამოტეხე! ბატონო-თქვა, ბა...ტონო!

— ბა...ტო...ნო!

— ჰო ასე. აბა გაიქე, ერთი დაათვალიერე, ხბორები ხომ არ გაიქცნენ შემოღობილიდან.

ბავშვი ელვის სისწრაფით გარბოდა.

— აბა, თქვი, ბიჭო: „დიდება შენდა“, — ასწავლიდა მღვდელი ლოცვას.

— დიდობა შენდა, — ამბობდა ბავშვი.

— ჰა? მეგრულ კილოზე ნუ უბნობ, ბიჭო, წმინდა ქართული ილაპარაკე. „დიდება შენდა“.

— დი...დე...ბა შენდა.

— ჰო, ემაგრე.

— წმიდაო ღმერთო.

— წმინდანო ღმერთო.

— კიდევ თავისებურად გადაუხვია! ბიჭო, კარგად გამოხატე!

— წმი...და...ო ღმერ...თო.

— ჰო, ემაგრე, — გულშეუწუხებლად უსწორებდა მღვდელი და ბავშვს ლოცვებს ასწავლიდა.

ლოცვებიდან მღვდელი ანბანზე გადავიდა. ბავშვი საოცარ გულისწყურვილს იჩენდა. ჩქარა დაისწავლა წერა-კითხვა, გალობა; დავითნს, სამოციქულოს კითხულობდა. მღვდლის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, ბავშვს თვალიდან არ იშორებდა და როცა სამრევლოში წავიდოდა, მუდამ თან დაჰყავდა.

VIII

გავიდა წელიწად-ნახევარი. ხვიჩა სრულებით შეეჩვია მარკოზ ხუცესის ოჯახს. მოხუცნი მას საკუთარ შვილებისაგან არ არჩევდნენ. ბავშვი ძლიერ გაიწაფა როგორც ხუცურში, ისე მხედრულ კითხვაში. — ერთი წელიწადი კიდევ და დიაკვნობასაც შესძლებსო, ხუმრობდა მღვდელი.

ერთხელ მღვდელი მარკოზი სამრევლოდან შინ ბრუნდებოდა, ხვიჩაც თან მოსდევდა. მაღალ სერზე მოექცნენ. ამ სერიდან მშვე-

ნიერი გადასახედავი იყო. ირგვლივ დიდ მანძილზე ბევრი ადგილები ჩანდა. დაბლა გაშლილი იყო უშველებელი, ხელისგულივით სწორი, ტყით დაბურული ადგილი, სადაც შუაგულ მისდევდა ფართე, დაკლაკნილი მდინარე. ჩრდილოეთ მხარეს — შორს, შორს, თვალუწვდენელ ტყის ბოლოს, მტრედისფერ ბურუსში გახვეული ბორცვები მოჩანდა და მათ თავზე თოვლით შელესილი ბუმბერაზი მთები დაჰყურებდა.

— აი, ის, ფართე ზოლივით რომ მისდევს, შვილო, დაბლა გაშლილ ხშირ ტყეს, მდინარე რიონია, — აუხსნა ხუცესმა. — იმ მდინარეს რომ ქვევით ჩავყვეთ, თვალუწვდენელ ზღვას მივადგებით. ეს მდინარეც იქ შეწყდება, რადგან ზღვას უერთდება. რიონის ზღვასთან შესართავთან არის ციხე ფოთი. იქ ახლა ურჯულო ფაშა ზის, მაგრამ ღმერთი გაუმარჯვებს ჩვენს მეფეს და იმ საზიზღარს იქიდან განდევნის. მაშინ ქვეყანაზე ნამდვილი მშვიდობა დამყარდება, ავაზაკ-მტაცებლებს საბუდარი მოეშლება.

აი, აქეთ კი, ჩრდილო მხარეს, მტრედისფრად სერები რომ მოჩანან, იმ სერებს შორის შენი სოფელია, შენი დედ-მამა და ძმები იქ ცხოვრობენ. ნუ გეშინია, ცოტა ხანს კიდევ, მივაწყ-მოვაწყობ საქმეებს, შენც მანამდის წიგნში გაიწაფები და მერე უსათუოდ წაგიყვან, — ალერსიანად დასძინა მღვდელმა.

მარკოზ ხუცესის ნათქვამმა ბავშვს ნორჩი გული აუტოკა, შიგ დამალული და გარედან ვითომდა მომთელებული წყლული გაუღვივა. ბავშვმა თვალები გააციალა ბურუსში გახვეულ სერებისაკენ და სიშორის გამო ნაცნობი ადგილები თუმცა კარგად ვერ გაარჩია, მაგრამ გონებაში მაინც ნათლად წარმოუდგა ტყით დაბურული მთები, მათ შუა ფართე ველი და იქვე მოჩუხჩუხე მდინარე ტეხური. მოაგონდა სახლ-კარი. აი მათი ეზო, თითქოს თვალწინ უდგასო. აი დიდი ვაშლის ხე, იმათ სახლის წინ რომ დგას; მერე რამდენი ნაყოფის მოსხმა იცის, ან რა გემრიელი წითელი ვაშლები? აი უზარმაზარი კაკლის ხეც! აი მამა, აი ძმები... აი ისიც... მაგრამ მის გახსენებაზე ბავშვს საშინლად გული დაეწვა, სახე გაუწითლდა, თვალები გაუდიდდა და ძალაუნებურად მდუღარე ცრემლები გადმოყარა... ის ხომ მუდამ ახსოვს, მუდამ თვალწინ უდგას... ოხ! ამ დღეებში რა კარგი სიზმარი ნახა! სიზმარი ნახა?! სიზმარი კი არა, სულ ცხადივით იყო. ვითომ თავიანთ სახლის გვერდით იდგა ის, ხელში რაღაც ეჭირა, მაგრამ ხვიჩას დანახვაზე გადააგდო და მისკენ ხელებგაშლილი გამოექანა. ხვიჩასაც უნდოდა მიგებებოდა და გაშლილ ხელებში ჩავარდნოდა, რაც არა ერთხელ უქნია ხოლმე,

მაგრამ, რაღაც საუბედურობ, ვერ მოახერხა, ადგილიდან ვერ დაიძრა, მთელი ტანი აუთრთოლდა და გამოეღვიძა კიდეც.

— ნანა, ნანა! — მწუხარედ წამოიძახა გულდამწვარმა, მაგრამ „ნანა“ არსად იყო. თვითონ კი, მთლად გაოფლიანებული, ქვეშაგებში იწვა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა და დამძიმებული თავიც თითქოს უტრიალებდა. ჯერ ვერ გამოერკვა, არ იცოდა, თუ სად იყო, შიშის ზარმა აიტანა, მერე ცოტ-ცოტად გონს მოვიდა და ჩუმად ტირილი დაიწყო. ოჰ, რამდენი იტირა! „შეიძლება ახლა ნანა ერთ-ერთ იმ სერიდან აქეთკენ იყურება, მაგრამ მე აქედან ვერ ვამჩნევ. ალბათ, არც მე მამჩნევს“, მოსდიოდა ბავშვს ფიქრი და მწარე ცრემლით იმდუღრებოდა.

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭიკო, — ალერსიანად განიმეორა მარკოზ ხუცესმა, თუმცა ბავშვის ცრემლების მნახველი თვითონაც აღელვებული იყო, — უსათუოდ წაგიყვან შენს სახლში. სხვა ვისმე არ გაგატან, მე თვით წაგიყვან. აი შემოგისვამ ამ ჯორზე და გავსწვეთ. არც იმდენი შორი გეგონოს, დიდი-დიდი ერთი დღის სავალია, დილას ადრე გზას რომ გავუდგეთ, საღამოთი იქ ვიქნებით. მოდი, ახლაც შემომიჯექი ჯორზე.

— არა, მე ფეხით სიარული მირჩევნია, — მიუგო ბავშვმა. ეტყობოდა, ცდილობდა ტირილი შეეწყვიტა და ჩვეულებრივი სახე მიეღო.

მზე უკვე ჩავიდა, ხვიჩა დამშვიდდა. მაღლობიდან დაბლობში ჩამოვიდნენ.

— აბა, თუ მეტყვი, ბიჭო, ამ დაბლობს რა ჰქვიან, ახლა ჩვენ რომ მივდივართ? — მხიარულად დაეკითხა მღვდელი.

— ტახოგანი, — ცქვიტად მიუგო ხვიჩამ.

მღვდელს ძლიერ გაუხარდა.

— ყოჩაღ, გცოდნია. ამას რომ ფერდობი მოსდევს?

— ის გვერდოულია, — სიტყვის გათავება არ დააცალა ბავშვმა.

— ჰა! ჩემო ბიჭიკო, — მხიარულად თქვა მღვდელმა მარკოზმა. — კარგი, გვერდოულს იქით?

— შავი ღელე ჩამოუდის.

— იქით?

— ტყეა...

— ტყეს იქით?

— ვაკე კარი. იმას მოსდევს ხელადგმულას სერი, სადაც საყდარი დგას და იმის იქით ხომ ჩვენი სახლია, — ჩამოთვალა ბავშვმა.

— ეს ადგილები რა კარგად დაგიხსომებია, ჩემო ბიჭიკო, —

კმაყოფილებით ამბობდა ხუცესი. — მაშ ახლა შინ რომ გაგიშვას კაცმა მარტოდმარტო, მიხვალ?

ბავშვი ცოტა შეჩერდა.

— ცოტა უფრო ადრე რომ იყოს, წავიდოდი, — გაუბედავად წარმოთქვა ბავშვმა.

— ხა, ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა მღვდელი.

მარკოზს უფრო ის ახარებდა, რომ ოჯახის მოგონებით გამოწვეული მოწყენა ბავშვს ასე ჩქარა გაუქარდა. მღვდელი შეეცადა, რაც შეიძლებოდა გაემხიარულებინა ბავშვი.

— აბა, შენ თუ კაი ბიჭი ხარ, ბაიობის სამოციქულოსაც მომიყვები, აი, გუშინწინ რომ გაკითხებდი?

— სულ თავიდან დავიწყო? — ცქვიტად დაეკითხა ხვიჩა.

— სულ თავიდან დაიწყე! — აღტაცებით მიუგო ხუცესმა.

— „და სულისაცა შენისა თააააანა“, — გაისმა ბავშვის წკრიალა ხმა ტყეში.

— ჰო, ემაგრე, ემაგრე! — ამხნევებდა ხუცესი.

— „წარდგომა, ფსალმუნი დავითისი: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ“, — წართქმით ამბობდა ბავშვი.

— ნუ ჩქარობ, სიტყვები მკვეთრად გამოტეხე, — ტკბილად ეუბნებოდა მღვდელი მარკოზი.

— „ფილიპელთა... მიმართ ეპისტოლე... წმი...დი...სა...პავლე...მო...ცი...ქუ...ლისა...საკით... ხაააავი“, — ჩააგალობა ბავშვმა.

— ემაგრე, ემაგრე, — ამხნევებდა მღვდელი.

— „ძმაააანორ! გიხა...როდენ... მარა...დის უფლისა მიერ...კვა... ლად გეტყვი გი...ხა...რო დეეენ!“

— ჰო, ასე, ერთი მუხლი დაბლა კილოთი უნდა ჩააგალობო, — შენიშნა ხუცესმა.

— „სიმდაბ...ლე თქვენით ცხად იყავნ ყოველთა კაცთა“, — თამამად გააგრძელა ხვიჩამ.

— ოჰო, ჰო... აქ უნდა მაღალი კილოთი ჩავაგალობოთ, — ვერ მოისვენა ხუცესმა.

— „უფალი ახ... ლოოოოს არს“, — ჩაამღერეს ორთავემ.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო, — აღტაცებით ამბობდა მღვდელი. — აბა, შენ თუ კაი ბიჭი ხარ, შოთას შაირსაც მეტყვი.

— ეგ რომელი? „მაქვს საქონელი“? — მხიარულად დაეკითხა ბავშვი.

— სულ ერთია, თუგინდ „მაქვს საქონელი“ მითხარი.

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები, მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას .მქონები, მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“, — შეუსვენებლად ჩააკაჭკაჭა ბავშვმა.

მარკოზ ხუცესის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, „უღმერთოება არ იყო, საცოდაობა არ იყო, რომ ეს ბავშვი სამშობლო მიწა-წყლისთვის მოეწყვიტათ და ოსმალეთში გაეყიდათ! — ფიქრობდა მღვდელი. — ჰოი, უბედურო, მამულო! განა საკმარისი არ იყო, რაც შენ შვილებს თავი შეუკლავთ გარშემორტყმულ უანგარიშო მტერთათვის, რომ სამშობლოს დაცვისათვის თავდადებულთაგან გადარჩენილნიც, ისევ ჩვენივე გონების დაბნელების წყალობით, ურჯულოთა სათრევი არ გამხდარიყვნენ?“

— აი, შვილო, ეს შაირი ხუთას წელზე მეტი იქნება, რაც გამოთქვა ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა, — გასაგონად თქვა ხუცესმა, — და ჩვენ ანდერძად დაგვიტოვა, მაგრამ, ჩვენდა სამარცხვინოდ, არათუ არ აღვასრულეთ, პირიქით, ამ ანდერძის წინააღმდეგ წავედით. რას იტყოდა ის დიდებული ადამიანი, თავის თვალით რომ ენახა ყველა ის სისაძაგლე, რასაც სჩადიან ჩვენი ვაჟბატონები?! კინაღამ შენც მაგ სიბოროტის მსხვერპლი გახდი, მაგრამ უფალმა შეგვაძლებინა შენი გამოხსნა მტარვალთა ბრჭყალებისაგან, — გულდაწყვეტილად დაათავა მღვდელმა მარკოზმა. მაგრამ ჩქარა ისევ მხიარულად წარმოთქვა: — აბა, ჩემო ბიჭიკო, კიდევ თუ მეტყვი შაირს. მგონია, მეორე შაირიც დაგასწავლე?

—მეორე რომელი? „ვაჰ სოფელო“?—ცქვიტად დაეკითხა ბავშვი.

— კარგი, მითხარი „ვაჰ სოფელო“, — ცქვიტადვე უპასუხა გამხიარულებულმა მღვდელმა.

— „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა! .ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა; სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა, მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“, — ჩააკაჭკაჭა ბავშვმა.

— ესეც კარგად დაგიხსომებია, — მოუწონა ხუცესმა. — ჭეშმარიტად, შვილო, კაცისაგან განაწირს ღმერთი არ გასწირავს. ჩვენც არ გაგვწირავს, იმედი მაქვს. ღმერთო! — ხელი მაღლა აღაპყრო მღვდელმა, — შენ გაუმარჯვე ერეკლე და სოლომონ ბაგრატოვანთ, შეაძლებინე საბოლოოდ დაამხონ მტერი და ძვირის მოქმედი და ადიდონ სახელი შენი! მაგრამ, ეჰ შვილო! — უკმაყოფილოდ თქვა მღვდელმა. — ეს ყოვლისფერი კარგი, მაგრამ ჩვენ კი შუაგზაზე შემოგვიღამდა. მერე რა ბნელი ღამეებია! ნეტავ ახლა სადა ვართ?

— შავ ღელეს ვუახლოვდებით.

— კარგი, შვილო, ტყე ჩქარა გავიარეთ, ნუ გეშინია, ჩქარა ვიქნებით შინა... ეხ, საკვირველია ჩვენი ხალხი! რაც გინდ უბედურება დაატყდეს თავს, რაც გინდ გაჭირვებული იყოს, თუ ღვინო ნახა, ყოველგვარი ჭირ-ვარამი დაავიწყდება. აბა, რა საჭირო იყო, იმდენ ხანს სმა-ჭამა საბრალო ლუკაიას სახლში? ცოლი რომ მოუკვდა, არ ეყოფოდა, აღაპშიაც ამდენი უხეირო ხარჯი არ გაეწია? მეც ხათრი ვერ გავუტეხე, დავრჩი და, აი, შუაღამე სადღაც ტყეში მიხდება ფორთხიალი, — უკმაყოფილოდ თქვა ხუცესმა.

— აი შავი ღელეც, — თქვა ბავშვმა...

— ხედავ, ბიჭო, რასმე? მე კი ვერაფერს ვარჩევ. მაინც რა ეკუნეთი ღამეა! ოი, ძნელია, შვილო, სიბერე! შენ ასაკში მეც ისე ცქვიტად დავხტოდი ყოველგან, თვალი კატასავით მიეჩრიდა, მაგრამ დრომ თავისი ქნა. ეეჰ, სადა ხარ, ახალგაზრდობავ! რამდენი ამბები მახსოვს ამ ღელის პირას. ჰე, შვილო, ყური დამიგდე, რომ გაიზრდები, გაგახსენდება ჩემი ნათქვამი ამბები. მე მაშინ მონასტერში სწავლას ვათავებდი, — ჩვეულებრივ ტკბილად დაიწყო ხუცესმა, — ის იყო სადიაკვნოდ ვემზადებოდი. ახლაც არ არის საბარბიელო დროება და მაშინ ხომ ჯოჯოხეთი იყო. მონასტერში კაცი მოიჭრა: არიქათ, გაიხიზნეთ, ოსმალები საცაა დაგვეცემიანო, მა...

მღვდელმა სიტყვა ვეღარ დაათავა... ერთი დაიკვნესა და ჯორიდან გადმოვარდა. ჯორი გამწარებით ტლინკებს ისროდა. ბავშვმა მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცას მაგარი ხელები მკლავებში ჩაებღაუჭა.

— ჩქარა ბურთი ჩასჩარე და ტომარაში ჩააჯინე, — ყურში მოხვდა ხვიჩას აღელვებით წარმოთქმული ჩურჩული. სხვა რა მოხდა იქა, ვერ გაიგო რა, რადგან შიშისაგან მაშინათვე გონება დაჰკარგა და, როცა გონს მოვიდა, უკვე ცხენზე დაკრული სადღაც უდაბურ ტყეში ვიღაც უცნობებს გაჩქარებით მიჰყავდათ.

მეორე დღეს მთელი სოფელი შეშფოთებული ერთი მეორეს ეკითხებოდა:

— გაიგეთ, რა უბედურება დატრიალებულა? მარკოზ ხუცესი ჯორს გადმოუგდია და მოუკლავსო.

— ვაი ახავაი! ვაი ახავაი! რა კაცი, რა ანგელოზი კაცი, რა საღმრთო კაცი! — ამბობდნენ გულდამწვარი სოფლელები.

IX

შავ ზღვაში აფრააშვებული ხომალდი მისცურავდა. ზღვის ლურჯი, ფაფარაქაფებული ტალღა ტალღაზე მოგორავდა და გემის კედლებს მრისხანედ ეხეთქებოდა — თითქოს დიდებული სტიქონიც უკმაყოფილოა გემით და მისი დანიშნულებით. სურს შეანგრიოს სქელი კედლები და უფსკრულში ჩასძიროს ეს მრავალ ცოდვათა მტვირთველიო, მაგრამ კედლის სიმაგრეს ვერ უძლებდა, უანგარიშო წინწკლებად იყოფოდა და იფანტებოდა, რომ ხელახლა ერთ მტკიცე ძალად შეერთებულს, ახალი იერიში მოეტანა და უფრო მძლავრად სცემოდა. თუმცა ჯერჯერობით ხომალდი რჩებოდა გამარჯვებული, ის უშიშრად აპობდა ტალღებს და თამამად მიდიოდა სტამბოლისაკენ; სრულებით ანგარიშს არ უწევდა ტალღათა შხაპუნს და არჩეული გზიდან არ უხვევდა, მაგრამ არც ტალღა ცხრებოდა; გამოცდილებით იცოდა, რომ მოვიდოდა დრო, ამოვარდებოდა ქარიშხალი, ჩაუნერგავდა მას არაჩვეულებრივ ძალონეს და მაშინ? ფრთხილად, ხომალდო! შავ ზღვას არა ერთი და ორი შენისთანა ამპარტავანი და თეთრ ლეჩაქებით მორთულ-მოკაზმული თავქვე მოუქცევია და სამუდამოდ დაუსამარებია თავის უფსკრულში.

ხომალდის ერთ-ერთი დიდი ოთახი ძვირფას ხალიჩებით და ნოხებით იყო მორთულ-მოფენილი. სკამების მაგივრად ხავერდ-აბრეშუმგადაკრული ბალიშები იყო ჩამწკრივებული. ოთახი კარგად ჩაცმულ-მოკაზმულ ოსმალებით იყო სავსე: ზოგი მათგანი ფეხმოკეცით იჯდა ბალიშზე, ზოგი ყავას მიირთმევდა, ან ყალიონს აბოლებდა, ზოგი წამოწოლილი იყო და სთვლემდა, ზოგიც გემის პატარა ფანჯრიდან თვალუწვდენელ ზღვას გაჰყურებდა.

ერთი მათგანი, სახით გამხდარი, თეთრწვერა მოხუცი, სხვებისგან განირჩეოდა. ის ხნით ყველაზე უფროსი ჩანდა, სხვებზე უფრო მდიდრულად იყო ჩაცმული და წითელ ოსმალურ ქუდს ირგვლივ თეთრი დოლუბანდი ჰქონდა შემოხვეული. მას სხვები მორიდებით და პატივით ეპყრობოდნენ. ამას თვითონ მოხუციც გრძნობდა და, ცოტა არ იყოს, თავი ამაყად ეჭირა, ბალიშზე დაფიქრებული იჯდა და მსხვილ გიშრის კრიალოსანს აუჩქარებლად აჩხაკუნებდა.

— არა, სჯულის მადლმა, სრულებით არა ვარ კმაყოფილი ამ მოგზაურობით, — წყნარად თქვა მოხუცმა და კრიალოსანი დააჩ-

ხაკუნა. — რა ხანია ამ გზაზე დავდივარ და ასეთი ხელნაკლები ჯერ არ წამოვსულვარ. სტამბოლში სირცხვილით თვალს ვერ გავახელ.

სხვებმა მოხუცს ლმობიერად შეხედეს.

— ვაჰ, რას ბრძანებ, პატივცემულო ეფენდი ალი-უსუფ! — მორიდებით მიუგო ბალიშზე წამოწოლილმა, კოხტად ჩაცმულმა ახალგაზრდა ოსმალომ. — შენც რომ წუწუნებ, ჩვენ რაღა გვეთქმის? შენ, პატივცემულო, ორმოცდაათი ტყვე მაინც მოგყავს და ჩვენ ყველას ერთად იმდენი ვერ გვიშოვნია.

— ჰა, მართლაც და ესეც რომ წუწუნებს, — გამოეხმაურა ერთი შუახნის პირმოპარსული, ნაყვავილარი ოსმალო, — ჩვენზე მეტი რომ მოჰყავს, ეს ხომ ცხადია, და შენ ის იკითხე, იბრაჰიმ, რა რჩეული ქალ-ვაჟები მოჰყავს! ერთი ორი გოგონა ისეთი ურევია. რჯულის მადლმა, რომ ფადიშაჰის ჰარამხანაც არ დაიწუნებს.

— ეხ, იმ დღესაც მოვესწარ, რომ რაღაც ორმოცდაათი ტყვეც შურთ ჩემთვის, — დინჯად წარმოთქვა მოხუცმა ალი-უსუფმა, — აბა, ერთი გემის პატრონს ჰკითხე, რამდენი ტყვე წამისხამს მარტო ამ გემით გურჯისტანიდან სტამბოლში... არ მოგიკვდეს იმის მეტი ალი-უსუფი, რომ მისთვის არც ფადიშაჰის ჰარამხანა იყოს მიუწვდომელი. არა ერთი და ორი ჩემ მიერ მოყვანილი გოგო მოხვედრილა იქ. ფაშებზე და ნაზირ-ვეზირებზე ხომ არას ვიტყვი. ისინი ჩემს სტამბოლში დაბრუნებას ისე შეხაროდნენ, როგორც მართლმორწმუნე წმინდა ალიას დღესასწაულს. მერე რა იაფი იყო მაშინ ტყვეები! ახლა მხოლოდ ფოთის ფაშის ხელიდან გამოდის ტყვეები, მაშინ კი ვინ გინდოდა, რომ ტყვეებს არ ყიდდა: თავადი, აზნაური, კერძო პირი... ერთხელ, წმინდა ყურანს ვფიცავ... რა ქვია ე? მაგათ მოლათ-მოლას, თავზე დიდ კოთხოს რომ იხურავს... მგონი, ჭყონდელს ეძახიან... იმას, ყმაწვილო, ერთი ქარვის კრიალოსანი ეუფეშქაშე და ერთი ქალი და ორი ვაჟი გამომიგზავნა. რა იაფობა, რა იაფობა იყო! ალლაჰ, ალლაჰ! განა შენ თვითონ არ გახსოვს, ზაიდოლ, — მიუბრუნდა მოხუცი ჩოფურას, — ერთხელ იმდენი ტყვე წავასხით, რომ ტრაპიზონში, სამსუნში და სტამბოლშიაც, ყავახანებში, ნაღდის მაგივრად, ტყვეებით ვუსწორდებოდით. ახლა რაა? განა ეს ვაჭრობაა? ზარალის მეტი შიგ არა ყრია რა. რაც მიმყავს, ესენი თუ დავასაღე, ეფიქრობ, სულ ხელი ავიღო ამ ხელობაზე.

— შენ კი სულაც ხელი აიღო, არა გიჭირს რა მაჰმადის იმედით, ვაგრამ ჩვენი უნდა იკითხო, — შენიშნა ახალგაზრდა იბრაჰიმმა.

— რათ გამახსენდება მაინც ის წინანდელი დროება! — გულდაწყვეტილად თქვა ჩოფურა ზაიდოლამ. — ორი წელიწადი რომ დამცლოდა, ეფენდი რომ ბრძანებს ისეთი, მეტი მეც არ მინდოდა, ვაი, გაუწყრა ალლაჰი, რა დროს გაფუჭდა საქმე!

— მართლაცდა, რა მიზეზია, მართლმორწმუნენო? — იკითხა ერთმა ბალიშზე წამოწოლილმა, კბილებჩაჟანგებულმა ჭაღარა ოსმალომ. — რათ გაფუჭდა ასე უცბად საქმე? შარშან ხომ იმდენი ტყვეები იყო სტამბოლის მოედანზე, არც კი ეტეოდა. ეს სულ ჩემ ჯინაზე მოხდა, მე რომ წამოვედი სავაჭროდ, ტყვეც გაძვირდა.

— ჰაი, ჰაი, სხვა მიზეზი რომ არა იყოს რა, ამას ჩვენც დავდებდით წამალს, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, შენ ქრთამს მაინც მოგცემდით, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ნამდვილი მიზეზი ძნელი გასაქრობია და! — მოწყენით თქვა ალი-უსუფმა.

— ეს სულ მაგ იმერეთის მეფემ სოლომონმა გაგვიფუჭა საქმე. ჩვენ ჭირად, ღვთის რისხვად გაჩენილა სწორედ ის გიაური, ისა!! — ამბობდა ზაიდოლა.

— ალლაჰ, ალლაჰ, — თავს აქნევდნენ ოსმალები, — ღმერთო, შენ ნუ დააცლი, ღმერთო, შენ ნუ დააცლი!

— ფოთის ფაშა მის სახელის გაგონებაზე ხან ფითრდებოდა, ხან წითლდებოდა. სადღაც ორ-სამ ციხეშია კიდევ მართლმორწმუნეთა ჯარი გამაგრებული, თორემ სხვაგან ისედაც ვერ გაივლიანო, — ბრძანებდა ფაშა...

— ოჰ! შარშანწინ დიდი სირცხვილი აქამა მაგ ჩამოსახრჩობმა ჩვენს მხედრობას, საშინლად დაგვამარცხა და კიდევაც აქედან დაიწყო ტყვეთა სიძვირე, — მოწყენით თქვა ალი-უსუფმა.

— ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, — ამბობდნენ და თავს აქნევდნენ ოსმალები.

— იმას მაინც რა ღმერთი გაუწყრა, იმ ოდიშის მთავარს დადიანს? ის ხომ ჩვენი მეგობარი იყო? ტყვეთა ყიდვას გვიშლიდა კი არა, ხელსაც გვიწყობდა, — გაერია ლაპარაკში ერთი წითური ოსმალო.

— ის ახლა იმ წყეული სოლომონის მოკავშირეა, — მიუგო ზაიდოლამ, — რასაც ის ეტყვის...

— რის მოკავშირე, ყურმოჭრილი ყმაა, — გააწყვეტინა ალი-ეფენდიმ. — ახლა მთელი ქვეყნის, მთელი დასავლეთ გურჯისტანის ბატონი სოლომონია. სანამ ის არ დამარცხდება, ჩვენი საქმე წაგებულია!

— ვაი დედასა, ალლაჰ, ალლაჰ! — ბრაზით თავს აქნევდნენ ოსმალები.

— არა, მომითმინეთ! ჭეშმარიტებას თუ მათქმევინებთ, აქ კიდევ სხვა მიზეზიცაა. წყეულ სოლომონს აღმოსავლეთ გურჯისტანიდანაც აქვს ზურგი გამაგრებული. იქ ხომ ახლა ერეკლე მეფობს. იმან ხომ ლეკთა და ყიზილბაშთა ძალა გაანადგურა, განჯა და ერევანი დახარკა, ტყვეთა გაყიდვა სრულებით აღმოკვეთა და, ღმერთი არ დააცლის, თორემ, თუ ასე მიჰყვა, შენი მოსისხლე მტერი, შენ როგორ გგონია, სრულებით უბოდიშოდ ფადიშაჰის მხედრობის წინააღმდეგაც გამოილაშქრებს.

—ალლაჰი არ დააცლის, ალლაჰი არ დააცლის! — ხმაურობდნენ ოსმალები.

— ასეთ პირობებში რა გასაკვირალია, რომ ტყვე ნაკლებ მოგყავდეს; რაც მოგვყავს, იმაზედაც მადლობა უნდა შევწიროთ დიდებულ ალლაჰს, — თქვა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ.

— კიდევ ღმერთმა აკურთხოს ის ზოგიერთი თავადები, მიუხედავად სიძნელისა და შიშისა, კიდევ ახერხებენ ჩუმ-ჩუმად. თურმე ნუ იტყვით, კაცნო, მაგ გიაური სოლომონი, თუ შეატყო ვისმე ტყვეთა გაყიდვა, დააჭერვინებს და თვალებს დაათხრევინებს ხოლმე! ის აშენებულები თავს მაინც არ ზოგავენ და ცოტ-ცოტად მოჰყავთ ტყვეები ფოთის ფაშასთან და ისიც ჩვენზე ჰყიდის, — თქვა ჩოფურამ.

— ალლაჰმა აკურთხოსთ, ალლაჰმა აკურთხოსთ! საკვირველია, რატომ ისინი მართლმორწმუნეობაზე არ გადმოვლენ! — ამბობდა კბილებჩაჟანგებული.

— ეხ! ალლაჰმა ადღეგრძელოს, რა თქმა უნდა, ფოთის ფაშაც, მაგრამ ძვირად კი ყიდის ტყვეებს! ეს მეტისმეტია, ძმაო! ახლა ჩვენ რომ ჩავალთ, უეჭველია, ფასიც დიდი უნდა დავადვათ. აბა, ისე მუქთად თუ გავყიდეთ, რა გამოვიდა, ვირის მხედნავი ხომ არ ვართ. შენ ნახე, რა ალიაქოთი ატყდეს სტამბოლის ბაზარზე, — წარმოთქვა იბრაჰიმმა.

— ეჰ, რაც არის, არის, მართლმორწმუნენო! — ანუგეშა ყველანი ალი-უსუფმა. — დიდებული წინასწარმეტყველი არ დაგვიწყებს, შეირყევა წესრიგი, დაგვიდგება ისევ ძველებური დრო. მე, აგერ ორმოცი წელიწადი გავიდა, რაც ტყვეთა ყიდვის საქმეში ვარ გართული. თქმა არ უნდა, დიდი გამოცდილება მაქვს მიღებული. მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, ალლაჰს ვფიცავ! კაცნო, ამდენი ტყვე ჩვენ გავზიდეთ გურჯისტანიდან, ამდენი ეხოცებათ ურთიერთ-

ბრძოლაში, ამდენი იელიტება გარეშე მტერთან ბრძოლაში და მაინც რომ არ ამოწყდნენ სრულებით ეგ საერანენი?

— გიაურს რა ამოწყვეტს, გვიმრასავით მრავლდება, — შენიშნა კბილებჩაჟანგებულმა ოსმალომ.

— რას ამბობ, ალლაჰმა უკეთ არ იცის? — მიუგო იბრაჰიმმა.— სრულებით რომ ამოწყდნენ, მაშინ ტყვესაც ვერ ვიშოვნით საყიდლად...

— კიდევ ვიმეორებ, მართლმორწმუნენო! წინასწარმეტყველს მიანდეთ თქვენი საქმე და ის უკეთ წარმართავს, — თქვა ალი-უსუფმა, — მე კი, ჩემი თავი და ჩემი საქმე კვლავაც იმისთვის მი-მინდვია... მან...

— ჰეშმარიტად! ჰეშმარიტად! — კვერი დაუკრეს სხვებმა.

— ახლა კი ერთი თვალი უნდა მოვატყუო, წუხელ ძლიერ ცუ-დად მეძინა. ალმასხან! — მიუბრუნდა ერთ-ერთ ოსმალოს, — წა-დი, თუ ძმა ხარ, და ტყვეები დაათვალიერე. იმ პატარა ბიჭს, ფა-შამ რომ მიფეშქაშა, პური აუტანე, არ მოაშიო. მაინც სულ ტი-რის ის შეჩვენებული! რომ დამშვიდდებოდეს ის წყეული, ფერ და ხორცში მოვა და უეჭველად კაი ფასად გავყიდი. იმას უსათუოდ ეგვიპტელი მამელუკები იყიდიან. ძარღვიანი და მაგარი ბიჭია, ამასთან ისეთი ცქვიტი და მარჯვე, რომ ერთი წამოუძახო, ამ ბაქა-ნიდან ზღვაში გადაფრინდება. ქორივით თვალებს აბრიალებს. ფაშამ მითხრა, კინაღამ ციხიდან გამეპარაო.

— საჭურისად გაყიდე, ეფენდი, კაი ფასს მოგცემენ, — შენიშნა კბილებჟანგიანმა.

— რას ამბობ! საჭურისად კი არა, ბავშვს ნამდვილი მეომარი მამელუკის სახე აქვს. კაცი დავბერდი ამ ხელობაში და ყმაწვილს არ ვცნობ, ვინ სად გამოდგება?—მიუგო ალი-უსუფმა, ბალიში თავ-ქვეშ ამოიდო და მიისვენა.

რამდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ზოგი ყავას მიირთმევდა, ზოგი ყალიონს ეწეოდა, ზოგს ეძინა...

— შესამჩნევად კი გვარწევს, აი, იბრაჰიმ, — მიმართა ჩოფურა ზაიდოლამ და გემის პატარა მრგვალი სარკმლიდან ზღვაში გაიხე-და, — ერთი შეხე, რა დიდი ტალღები ადის და ჩადის!

— არა უშავს რა, — გულდამშვიდებით მიუგო იბრაჰიმმა, — ზღვის ღელვის მეტი რა გამოგვიცდია, რაც გავჩნდით, სულ ზღვაში არ დავცურავთ? ზღვა და ღელვა, მეგობარო, ისეთი განუშორებე-ლია, როგორც ქუხილი და ელვა.

— ეს მეც ვიცი, მაგრამ ამ ცოდნაში სანუგეშო ბევრი არაფერია! მე სრულებით არ მინდა ხელმეორედ გამოვცადო ის, რაც ერთხელ, ამ ხუთიოდ წლის წინათ გამოვცადე სამსუნ ქალაქის ახლო. თუ ეს ზენაქარი არ ჩადგა, შენი მტერი, დღესაც უარესი მოგვივიღეს. საძაგელი ზღვა კი არის ეს პონტის ზღვა.

— შენ ამ სიბერის დროს რაღაც ზღვის შიში ჩაგვარდნია, ზაიდოლ! გინდა ერთი გადაგიყარო სევდა და დარდი? მოდი, ვითამაშოთ ნარდი.

— ყაბული მაქვს, — მიუგო ზაიდოლამ. — რაზე ვითამაშოთ?

— რაზედაც გინდა.

— თითო ყურუში?

— ვა, ყურუში რაღაა! გლახაკები ხომ არა ვართ?

— მა რა გინდა?

— თუ ვითამაშებთ, რამე რიგიანზე ვითამაშოთ.

— მაინც?

— თუ მოგიგე... მხარბეჭა ვაქკაცი რომ გირევია ტყვეებში, ახალციხელი, ის ჩემი იყოს.

— ვა! გაგიჟდი? რას ამბობ, გონზე მოდი! ის ერთადერთი მიმყავს თვალსაჩინო და ისიც ნარდში წავაგო?

— ჯერ გაიგე, და! არ გესმის, რას გეუბნები? თუ მოგიგე-მეთქი. განა არ შეიძლება შენ მომიგო?

— მე თუ მოგიგე, რას მომცემ?

— ჩემი გრძელთმიანი ცირა შენი იყოს.

— პახ, პახ, პახ, — წამოიძახა ჩოფურამ და თვალები გაუღვივდა.

— ჰა? მოგწონს განა? არ არის ბარი-ბარი თუ შენს ახალციხელთან?

— ე... იფ, თუ თვალები დაგთხარე, მოგიგე და ხელში ჩავიგდე! შენი გულისა, როგორც კაცი, არ გავყიდი. მე თვითონ ჩემ ჰარამხანაში წავიყვან, — აღტაცებით ამბობდა ჩოფურა ზაიდოლა, — მაგრამ თუ წავაგე? ვაი, მაშინ ხომ ფუჭად წამივიდა ეს მოგზაურობა... ცუდი საქმე მომივა, სჯულის მადლმა, ზარალ, ზარალ! — საორჭოფოდ თავს აქნევდა ზაიდოლა.

— შენმა მზემ, ერთი ჩემი ზარალიც იკითხე და, თუ წავაგე! ვითომ შენზე ნაკლებ ვიზარალებ? ამ სიძვირეში ცირას ფასი. უკანასკნელი ათასი ყურუშია.

— ეეხ, მოდი, რაც იყოს, იყოს! დავხუჭო თვალები და გავბე-

დო? ახ, ბედო, თუ სადმე? ალლაჰ! — ხელებ ზეაპყრობით წამოიძახა ჩოფურამ.

— ალლაჰ! — შეევედრა იბრაჰიმიც და კამათლები ხელში აიღო.

— ვინ უნდა დაიწყოს?

— ვისაც ნაკლები მოუვიდეს, — იბრაჰიმმა კამათლები გადაგდო.

— აჰ! დუ! — დაიძახა მან.

— ჰოჰ! შაში! — ამბობდა ზაიდოლა. — შენ ნაკლები მოგივიდა. დაწყება შენია.

— კარგი, მოდის! — თქვა იბრაჰიმმა და კამათლები გააგორა,— ჩარუ-ფანჯი, ოო... ეს ჩარუ, ეს ფანჯი.

— შაშ-ბეშ! — იძახდა ზაიდოლა. — ეს შაში, ეს ბეშ!

— დუ-ბარა! ვა, ეს რა ნავსი კამათლები მოდის! — უკმაყოფილოდ თქვა იბრაჰიმმა.

— დუ-შაში! ერთი მოდი და, შე გიაურების სათრევო! — წახალისდა ზაიდოლა და კამათლები გააჩხაკუნა, — ე... ეხ! ფანჯუ-იაქე მომივიდა, ნავსად დასარჩენი, — იმედგაცრუებულად დაუმატა მან.

— ჰაჰ! ერთი შეხედე და, — წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა იბრაჰიმმა. — დუ-შაში! შენ კი გენაცვალე, მაჰმად, სულში!

— ვაჰ, არ უყურებ მაგ ყურუმსაღსა! — შურით წარმოთქვა ჩოფურამ, როცა დარწმუნდა, რომ იბრაჰიმს მართლა დუ-შაში მოსულოდა.

— მოდი, შე ოხერო, რაღა! ჰა! შაშ-ჩარი! ჰო, ამასაც არა უშავს რა, — გული დაიიმედა ზაიდოლამ.

— ვითომ ჩემ ცირაზე ხელი ამაღებინო გინდა რაღა?

—წინასწარმეტყველის იმედით, — სასოებით ამბობდა ჩოფურა.

— წმინდაო ალია, თუ შენ შემეწევი და იმ ახალგაზელს ხელში ჩამიგდებ... — აღთქმას სდებდა იბრაჰიმი.

— ჰა, კარგი, ითამაშე, — აჩქარებდა ზაიდოლა.

— დამაცადე ერთი, არც შენა გაქვს დაკვანწული საქმე, — ჭშვიდად მიუგო იბრაჰიმმა და კამათლები გააგორა.

— შაში-ფანჯი! ეს შაში, ეს... იქ... მოიცა, საშიშია... დამიკეტავს მაგ პირძაღლი... არა, ასე იყოს... აჰა, ესეც ფანჯი!

— ახლა, თუ დუ-შაში მომივიდა, ხომ გამოგიბრიცე თვალები!— აღიზიანებდა ზაიდოლა. — სე-დუ, ღმერთიც გასწყრომია. ვაჰ, მართლაც და, არ მომიგოს მაგ გიაურების სათრევმა!

— მაშ, რა გგონია! თავის ქება ბრძოლის შემდეგ უნდა! ჰა, იფ!

ერთი შეხედე და, დუ-შაში. ალია, შენ კი გენაცვალე სულში, — სიხარულით წამოიძახა იბრაჰიმმა, — ახლა როგორ გინდა? დავ!

— მოვიდეს. შეგიშინდები ბგონია, თუ? — მიუგო ზაიდოლამ.

— რამდენი მოვიდეს?

— რამდენიც გინდა.

— ორმოცი ყურუში!

— ყაბული მაქვს... სე-დუ, ფუ შენს გამომთლელს!

— შაში-ჩარი!

— დუ-შაში? ვააჰ, ალლაჰ, ალლაჰ! — ისე მძლავრად წამოიძახა ჩოფურამ, რომ მძინარე ალი-უსუფი შეინძრა და რაღაც ჩაიწმუკუნა.

— დავბა-სე, გინდა? — დაეკითხა ჩოფურა.

— ზაიდოლ! ძლიერაც ნუ თავხედობ! — გაჩიანურებით შენიშნა იბრაჰიმმა.

— დავბა-სე-მეთქი, — განიმეორა ზაიდოლამ.

— კარ...გი, თამაშობა ხომ ჩემია. ესეც ჩარი-სე.

— ფანჯუ-სე.

— დუ-შაში.

— ჰოი, შე შეჩვენებულო! — წყენით წამოიძახა ჩოფურამ, ერთ-ერთი კამათელი აიღო და ნარდის ფიცარზე დაანარცხა...

— ჯერ რას ცხარობ, ბოლო ვნახოთ, და! — მშვიდად ამბობდა იბრაჰიმი.

— ალი-უსუფ! ზაიდოლ! იბრაჰიმ! — ყვირილით შემოიჭრა ამ დროს გემის უფროსი. — ტყვეები ჩხუბობენ. შენ რომ სქელ-სქელი კაცი მოგყავს, რა ქვიან... ახალციხელია, თუ რა ჯანდაბაა, დიდი შფოთის მოყვარე ვინმე ყოფილა. რატომ მაგისთანებს ხუნდს არ ადებთ, კაცნო!

ყველანი წამოიშალნენ.

— რა მოხდა? რა ამბავია? ესენი ხომ... — ბუტბუტებდა ალი-უსუფი და თვალებს იფშვნეტდა.

— ალი-უსუფ! მიშველე... ტყვეები აჯანყდნენ. — აღელვებით ამბობდა გემის უფროსი.

ყველანი საჩქაროდ გემის ბაქნისაკენ გაემართნენ.

— რა დროს შემიშალეს ხელი მაგ წყეულებმა, უეჭველია, მოვიგებდი, — ფიქრობდა იბრაჰიმი და უკმაყოფილოდ თავს აქნევდა.

— ალლაჰ! ალლაჰ! რანაირად შესცდება კაცი? როგორ ავყევი მაგ ცხოველ ეშმაკს და კინაღამ არ ვიზარალე? სწორედ ბეწვზედ

ქკიდა ჩემი საქმე, ერთი ორი თამაში და მოიგებდა მაგ პირძალ-ლი, — ფიქრობდა ჩოფურა ზაიდოლა. — ყოჩაღ, ჩემო ახალციხე-ლო! რა კაი დროს აუტეხია აურზაური! მე შენ დაგაფასებ, თუ ბიჭი ვარ. ორ-ორ პურს ზედმეტს მოგცემ ყოველდღე.

X

გემის ფართე ბაქანზე ტყვეები უთავბოლოდ ეყარნენ. მათში რამდენიმე ჭაღარაც ერია. უმრავლესობა კი, ქალი თუ კაცი, ახალ-გაზრდობა იყო, ათიდან ოცდაათ წლამდე. ზოგს ფეხზე სრულებით არაფერი ეცვა. ზოგს რაღაც ჭინჭებში ჰქონდა ფეხები შეხვეული, ზოგს ზედატანიც რაღაც ნაფლეთებით ძლივძლივობით ჰქონდა და-ფარული. აქა-იქ, ტყვეებს შორის, წითელქუდიანი ოსმალებიც მო-ჩანდნენ, უშველებელი შოლტით ხელში. ესენი ტყვეთა მეთვალყუ-რენი იყვნენ. თავიანთ შოლტებს ისინი ხშირად ძლიერ მარჯვედ ხმარობდნენ. სულ მცირე რამ მიზეზისათვის, ზოგჯერ ისე, თავშე-საქცევადაც, გადაუტყლაშუნებდნენ ხოლმე უბედურ ტყვეებს ტიტველ მხარ-ბეჭზე.

სიცივისა, შიმშილისა და ხმელ იატაკზე პირუტყვივით გდებით არაქათგამოლეულნი და ბევრი ტირილისაგან თვალებჩალურჯე-ბულნი ეყარნენ თავისთვის, ვინც სად მოხვედრილიყო. დაღვრე-ბილნი, გულმოკლულნი და სასომიხდილნი, დამფრთხალი ნადირივით აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს თავიანთი მდგომარეობა თვითო-ნაც არა სჯერათო... ხანდისხან ზოგიერთთა თვალებში იმედის ნაპერ-წკალიც ანათებდა, ალბათ, ეს იყო ნაყოფი ან მხურვალე ლოცვისა, ან ტკბილი ოცნებისა. მაგრამ დრო მიდიოდა, შველა კი არსა-იდან ჩანდა და მოსალოდნელიც არსაიდან იყო. ირგვლივ პირქუში, მოუსვენარი, წამდაუწუმ ამავალ-დამავალი ზღვა ჩანდა. წინ წყალი, უკან წყალი, მარჯვნივ წყალი და მარცხნივ წყალი...

მაღალი ანძის ძირს ახალგაზრდა ტყვე ქალი იჯდა. ტანთ ეცვა შედარებით სუფთა, შინ მოქსოვილი ბამბის კაბა. თვალებზე ლე-ჩაქი ჩამოეფარა და თითქმის სულ ტიროდა.

ტიროდნენ და მოთქვამდნენ სხვებიც. ოხერი კაცის გული ყო-ველგვარ მდგომარეობას, ყოველგვარ უბედურებას შეეგუებ-შე-ეთვისება. ზოგმა უკვე გამოიტირა თავისი თავი. ინაღვლა, იტირა, თავი ქვას ახალა... ბოლოს ხელი ჩაიქნია და მომავალს გულგრილად დაუწყო ყურება.

განსაკუთრებით ჩქარა შეეჩვივნენ თავიანთ ახალ მდგომარეობას ახალგაზრდები. თავდაპირველად ისინი სხვებზე მეტს წუხდნენ, ბღაოდნენ, ხელებსა და ფეხებს აქნევდნენ; მაგრამ ისევ ჩქარა დაშშვიდდნენ და ჩქარა სიცილ-თამაშიც დაიწყეს, თუმცა ხანდისხან გადაეკვროდა ბინდი მათ პირისახეს, გაახსენდებოდათ მშობლები, სახლ-კარი, სამშობლოს ველ-მინდვრები, აუტოკდებოდათ ახალგაზრდა გული, აემღვრევოდათ თვალები და ცრემლი, ცრემლი, ერთადერთი მათი ნუგეში, კამკამით ჩამოვარდებოდა იმაზ ლოყანიკაპზე.

— ჰასან, რა ვუყოთ, სულ ტირის და ტირის ის წყეული ქალი? მესამე დღეა, რაც ფოთი დავტოვეთ, და კიდევ არა ცხრება ის გიაურის შვილი, — სიცილით უთხრა ერთმა მეთვალყურემ მეორეს,— სჯულის მადლმა, ყურთასმენა წაიღო მაგის მოთქმა-წუწუნმა.

— გინდა დავამშვიდო? მაგის ვაი-ვუი მეც არ მაძლევს მოსვენებას. წუხელ ისეთ დროს გამომაღვიძა მაგის გოდებამ, ისეთი კარგი სიზმარი გამაწყვეტინა, რომ კინაღამ მივედი და გადავუჭირე ეს ჩემი მათრახი.

— ალბათ, ქმარი თუ აგონდება. ო...ხო, ხო, ხო!.. — უშნოდ დაიღრიჯა ოსმალო.

— ჩვენ აქ რა ვართ? ვითომ ჩვენზე უკეთესი ვაჟკაცი იქნებოდა მისი ქმარი? მართლმორწმუნე პირისახით რაც გინდ უშნო იყოს, გიაურს მაინც სჯობიან, — ამაყად წარმოთქვა ჰასან მეთვალყურემ და მტირალ ქალს მიუახლოვდა.

— ეი, შენ, ჰაანუმ! ა, ჰაანუმ! თირილი რა თირილი, გაჩუმდა, გაჩუმდა... შენი არ... ესმის? — დამტვრეული ქართულით მიუბრუნდა ოსმალო მტირალ ქალს.

ფაოცებულმა ქალმა პირისახეზე მიფარებულ ლეჩაქს გადასწია და შავგვრემანი, ცრემლით დანამული თვალებით ოსმალოს შემოხედა.

ვნებათა ღელვით გაბრუებულმა ჰასანმა ერთი ხელი ქალს მხარზე უბოდიშოდ დაადო და მეორე ძუძუებისაკენ წაიღო.

ქალმა შეჰკივლა, მოძალადეს ხელი ხელში სტაცა და ასადგომად შამოიწია, ოსმალომ კი ხელი კისერზე მაგრად შემოჰხვია და საკოცნელად მიიწია, მაგრამ ამ დროს ვიღაცას ხელი ისე მძლავრად მოხვდა ბეჭზე, რომ საჩქაროდ ქალს ხელი უშვა და გაცოფებულმა უკან მოიხედა. მის გვერდით ტყვე იდგა — ასე ოცდაათი წლის კარგა ჩასკვნილი ვაჟკაცი. ტანზე დახეული ჩოხა ეცვა, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა.

— შე ურჯულოვ, შენა! მაგას თავისი მწუხარება და დამცირება არ ეყოფა, რომ შენც ნამუსი არ ახადო? მაგის ლეჩაქი შენთვის დამიხურავს ე მაგისთანა ვაჟკაცობისათვის, — დასცყივლა თვალებანთებულმა ტყვემ.

— ოჰ, გიაურ! ვის უბედავ ხელის მიკარებას, — წამოიძახა ოსმალომ და ქამარში გარჭობილ შოლტისაკენ ხელი წაიღო, მაგრამ ტარზე ხელის მოკიდება და მომარჯვება ვერ მოასწრო, რომ გემის ბაქანზე პირალმა გაშბლართული იწვა.

შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ტყვე ქალებმა წივილ-კივილი ასტეხეს. საჩქაროდ მოცვივდნენ მეთვალყურეები და უწყალოდ მოურთეს შოლტი მოჩხუბარ ტყვეს. გაწყარებულმა ხელი გაიქნია, სწვდა ერთ-ერთ მეთვალყურეს, წაართვა შოლტი და თვითონაც გადუჭირა მარჯვნივ და მარცხნივ. რა თქმა უნდა, ტყვესაც ბევრი მოხვდა, ნახევრად ტიტველი ზურგი ბევრგან ლურჯად აებურცა, მაგრამ ორი-სამი მეთვალყურე მაინც კიდევ მიაწვინა. ამის შემყურე დანარჩენმა ტყვეებმაც ვერ მოითმინეს, წამოიშალნენ, დაავლეს ხელი, რაც მოხვდათ...

ჩქარა გემის უფროსი, ვაჭრები და სხვა შეიარაღებული ბიჭებიც გამოჩნდნენ.

— რა ამბავია? რა მოხდა? დაწყნარდით, დაშოშმინდით! — იძახოდა ალი-უსუფი.

მათ დანახვაზე ტყვეები ცოტ-ცოტად დამშვიდდნენ.

— აი ამან, აი ამან, ეფენდი! — უთითებდა ერთი მეზღვაური ოფლში გაწურულ ზურგ გასისხლიანებულ ტყვეზე, — ამან ასტეხა ჩხუბი, მეთვალყურე ჰასანს სულ ცხვირიდან ძმარი ადინა.

— ეს ხომ ზაიდოლას ახალციხელია! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— უეჭველია, მაგი იქნება ამბოხების თავი... — ყვიროდა იბრაჰიმ. — დაჭკათ მაგას ასი შოლტი!..

— მოიცა, ნუ ჩქარობ, გავიგოთ, რაშია საქმე, — აუჩქარებლად წარმოთქვა ალი-უსუფმა.

— ასი კი არა ორასი უკვე დაურტყამთ... მიზეზი უნდა ვიცოდეთ, — უკმაყოფილოდ ამბობდა ზაიდოლა.

— რაც გინდა იყოს, ასეთი მოვლენა გემზე მოსათმენი არაა! ერთი ორი ჩემი მეზღვაურთაგანიც ნაცემია, — ყვიროდა გემის უფროსი...

— შფოთის ამტეხს და უნამუსოს რატომ ორასიც არ ერგება? — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ერთმა ჭალარა ტყვემ. — ოსმალებო, თავს ნუ ირცხვენთ! უსამართლოდ ნუ ირჯებით! ვეკა-

მარეთ ამდენი დამცირება, თორემ იცოდეთ, ჩვენც დავიღუპებით, მაგრამ თქვენც ამოგაყოფინებთ თავს ამ ზღვის უფსკრულში! სულ ერთია, რაღა დაგვრჩენია ამის მეტი! მაინც დაღუპულნი არა ვართ ღვთისა და კაცისაგან განწირულნი და მოძულებულნი?

ᲞᲐᲦᲐᲠᲐᲡ სხვებიც მიჰყვნენ. ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ თავი წამოჰყო.

— დაე ყველას სათითაოდ ყელი გამოგვჭრან. რა დაგვკარგვია, ამ ქვეყნისა მაინც ხომ აღარა ვართ! — ყვიროდნენ ტყვეები.

— დაჩუმდით! დაწყნარდით! გამაგებინეთ, რაშია საქმე? — იძახდა ალი-უსუფი, მაგრამ არც ისე ადვილი იყო მოთმინებიდან გამოსულ, გაოფორებულ ტყვეთა დაცხრობა. როგორც იყო, ცოტ-ცოტად გამოირკვა შფოთის ატეხის ნამდვილი მიზეზი.

— არც ასე შეიძლება, ალლაჰს ვფიცავ, — დინჯად ამბობდა ალი-უსუფი,—ყოველნაირ საქციელს საზღვარი უნდა ჰქონდეს... ამ შემთხვევაში ჰასანი შემცდარია. დედაკაცს ისე აშკარად, ისიც დღისით, ამგვარად არ უნდა მოპყრობოდა.

— მოპყრობოდა კი არა, ხელითაც არ უნდა მიჰკარებოდა! — ცხარობდა ჩოფურა. — ჰასან ხომ ჩემი მეთვალყურე არ არის! რა უფლების ძალით ერეოდა სხვის საქმეში? მაგრამ ვიცი, ეს სულ იბრაჰიმის ოინებია!

— ერთი ჭკუაზე მოდი და! — წამოჭარხლდა იბრაჰიმი. — ჩემი კი არა, თუ მათქმევინებ, შენი ოინებია. ორი წუთი კიდევ რომ დამცლოდა, შენს ახალციხელს ნარდში მოგიგებდი...

— მე მითხოვნია, შენმა მეთვალყურეებმა ჩემს ტყვეებს ხელი არ ახლონ, — ყვიროდა ზაიდოლა და ქამარში ჩარჭობილ ფიშტოს მალ-მალ სინჯავდა.

— გაგონილა? იწამეთ ალლაჰი! — ცხარობდა თავის მხრივ იბრაჰიმი. — კაცნო, ვერ გამიგია, რა ოინებს მწამებს ეს ადამიანი! ჩვენ ნარდს აი იქ, გემის დარბაზში ვთამაშობდით, ფეხი იქიდან არ მომიცვლია...

— ერთი ახლა თქვენცა... როგორ გეკადრებათ, სოვდაგრებო! — ჩაერია გემის უფროსი. — პირველად მეც ტყუილად ავჩქარდი. სრულებით დამაეიწყდა, რომ ეს გურჯები დაუცხრომელი ხალხია და მათთან სიფრთხილეა საჭირო. ღვთის გულისთვის, დაარიგეთ მეთვალყურეები, თორემ ხუმრობა იქით იყოს და ნუ გავალიზიანებთ, თორემ საშიშია. როგორ გგონიათ? არ ყოფილა მაგალითი, რომ ტყვეებს გემი დაეღუპოთ?

— აი ჭკუა! მაშინ რად არ გახსოვდა, როცა ხალხს ტყვეების

საცემრად იწევდი? — დინჯად შენიშნა ეფენდი ალი-უსუფმა. — შენც ფიცხი კაცი ხარ. იცოდე, არავითარ საქმეში აჩქარება და აღელვება არ ვარგა. რამდენს მეტს იყვირებ და იშფოთებ, იმ-დენს უფრო გააფუჭებ საქმეს. მეთვალყურეებს სასტიკი ბრძანება-უნდა მივცეთ, დედაკაცებთან განსაკუთრებით ძლიერ თავდაჭე-რილად იყვნენ. მივიდეთ, ბატონო, სტამბოლში, ფეხი დავდგათ დედამიწაზე და მერე, ვისაც როგორ მოესურვოს, შენს ტყვეს თუ გინდ სცემე, თუ გინდ ტყავი გააძრე, ვინ გიშლის? იქ ქე მაინც შენ მიერ ჩადენილ საქმეზე შენვე აგებ მარტო პასუხს, აქ კი, შე ოხერო, რას ამბობ, ერთი მრუდედ გადადგმული ნაბიჯით შეიძლე-ბა თავიც დაიღუპო და ამოდენა ხალხიც დაღუპო.

ალი-უსუფმა გემის უფროსთან ერთად ტყვეები დაიარა, ზოგს უსაყვედურა, ზოგს მოეფერა, ზოგს დაემუქრა და ერთი-ორი სა-ათის განმავლობაში ყველანი დაამშვიდა.

XI

თამამად აპობდა ხომალდი ზღვის ტალღებს და წინ მიეჩქარე-ბოდა. მაისის მზემ გამოანათა და ერთნაირი პირუთვნელი ღიმილით მიესალმა ზღვასაც, გემსაც და ბედკრულ ტყვეებსაც.

გუშინ ჰასან მეთვალყურის მიერ შეურაცხყოფილი ქალი ჩვეუ-ლებრივ ანძასთან იჯდა. თავზედ გადაგდებული ლეჩაქი პირისახეს სანახევროდ უფარავდა. დღეს ის არ ტიროდა, მხოლოდ მოწყენი-ლი გაჰყურებდა თვალუწვდენელ ზღვის სივრცეს.

მის გვერდით ათიოდ წლის ბიჭი იჯდა და გამხმარ პურის ქერქს კვნეტავდა. ბავშვს ტირილისაგან თვალები ჩალურჯებოდა, სახე ძლიერ გამხდარი ჰქონდა. თავისებური მოგრძო ცხვირი და ნიკაპი მოგაგონებდათ, რომ ეს ის ხვიჩა იყო, რომელიც ასე ვერაგულად მოიტაცეს უცნობებმა შავი ღელეს პირას და იმავე ღამეს ფოთის ფაშას მიჰგვარეს. ფოთის ფაშამ კი ბავშვი ეფენდი ალი-უსუფს უფეშქაშა. გემზე ასვლისთანავე ბავშვი ქალს მიეჩვია და არ შორ-დებოდა. ალი-უსუფსაც ჯერჯერობით ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა.

— კიდევ გინდა ქერქი? — ალერსიანად დაეკითხა ქალი ხვიჩას.

— ქერქი კი არა, რბილ პურს მივცემ, — გაისმა ხმა და მათ წინ ახალციხელი გამოიჭიმა. ხელში ორი მრგვალი პური ეჭირა.

ქალი შეკრთა, წამოწითლდა და თვალები ძირს დაჰხარა.

— შენ რად სწუხდები... მეც... — არეულად მიუგო ქალმა.

— შესაწუხებელი რა მაქვს. შესაწუხებელი რეზოს გუშინ ჰქონდა, როცა შავი დღე ადგა, თორემ დღეს რა მიშავს. ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ისე მომივიდა, ქალო სალომე, — აღტაცებით ამბობდა რეზო. — გუშინ, მართალია, ცოტა ამიწვეს ზურგის კანი მაგ ძაღლებმა, მაგრამ სამაგიეროდ დღეს ჩემმა ბატონმა, ერთის მაგივრად, ორი პური მომცა. შემდეგშიაც დამპირდა, ყოველ დღე ორ-ორ პურს მოგცემო... ვერ გამიგია! მე დამტუქსავდა მეგონა, ის კი ისე მომეფერა, რომ... გაოცებული ვარ! გამიხმო ცალკე და ყოჩაღ, ყოჩაღო მეუბნებოდა და ხელს მხარზე მიცაცუნებდა... საცა თავისი დაიკვეხონ, იქ ჩემიცა თქვან მაგ წუნკალებმა,— თავისთვის ჩაილაპარაკა რეზომ, პურის კარგა მოზრდილი ყუა მოსტეხა და ბავშვს გაუწოდა.

— ჰა, ხვიჩა, შვილო, ჭამე! — ტკბილად უთხრა მან, — შენ კიდევ არა გიშავს რა, ჯერ პატარა ხარ. ახალ ადგილას, ხალხს და ენას შეეთვისები. ვინ იცის, შვილო, რა კარგი ბედი გიძევს წინ. შეიძლება ისეთი კაცი გახდე, რომ შენ სახლში ისეთი კაცობა სიზმარშიაც არ მოგლანდებოდეს. ჩვენი საქმე უნდა იკითხო, ჩვენ უბედურების! ათასი წელიც რომ ვიცოცხლო, ოქრო-ვერცხლში რომ ვიჯდე, მაინც როგორ დამავიწყდება ჩემი სახლ-კარი, ჩემ მიერ დამყნობილი, ყოველწლივ აუარებელ ნაყოფის მომცემი ხეჩილი... ჩემი პატარა, ერთი ბეწო ნუცა... პატარა დოქით წყალს რომ ამომიტანდა ბაღში და თავისი მოტიკტიკე ენით დამიძახებდა: „მამა, მამა, ტყალი მოგიტანე...“ ვაი, მოგიკვდეს, შვილო, მამაშენი, — მკერდში ხელი ჩაიკრა ვაჟკაცმა და თვალებიდან მსხვილი ცრემლები გადმოუცვივდა...

— ნანა, შვილო, მოგიკვდეს დედაშენი! — მწარედ დაკვნესა ქალმაც.

ხვიჩაც ატირდა. თვალებიდან ლოყებზე ნაკადულად წამოსული ცრემლები ნიკაპთან ერთდებოდა და მსხვილ-მსხვილ წვეთებად პურის ყუას ეცემოდა.

— ე...ეხ! მინდოდა რამე სანუგეშო მეთქვა, — თავშეკავებით თქვა რეზომ, — მაგრამ მაინც სამწუსაროზე გადავედი. ჩვენი მდგომარეობა ისეთი საცოდავია, ისეთი უმწეოა, რომ რაც გინდა გამაგრდე, მაინც საკაეშნოზე უნდა გადახვიდე, მაინც ცრემლით და ტირილით უნდა გაათავო.

— რეზო, ღმერთს გეფიცები, — თან ტირილით, თან ბრაზით წარმოთქვა სალომემ, — პირდაპირ თათრებს მოვეტაკე, იმდენს არ ვინაღვლიდი. გულს ის მიკლავს, კაცო, ის ვერ მომინელებია, რომ

ისევ ჩვენებმა, ჩვენმა ნათელ-მირონებმა მიღალატეს. ყოველად წმინდაო, ნუ მისცემ ნურაფერს სიკეთეს და წარმატებას თავად ალმასხან წვერაძეს და მის ჩამომავალს... ოოხ! შხამად შეარგე მას ჩვენი პურ-მარილი...

— თავადის სახლში თუ მოხვდი, ქალო, რა გამიკვირდება, არ დაგინდობდა, — მიუგო რეზომ, — ჰაი დედასა, მძინარე მომიმწყვდიეს მთაში, თორემ მე მაგათ დედას აუტირებდი, მაგრამ რალა ღროსია! მადლობა ღმერთს, ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა!..

— ეს საცოდავი ბავშვი ორჯერ არის მონატაცები თურმე, — ამბობდა სალომე, — ერთხელ დედ-მამის სახლიდან და სანამ თათრებს ჩაუვარდებოდა ხელში, ვილაც ღვთისნიერ ხუცესს გამოუსყიდნია და თავის სახლში დაუნარჩუნებია. შვილივით ეპყრობოდა თურმე, ზრდიდა, ასწავლიდა, თვალიდან არ იშორებდა, სულ თან ეჰყავდა თურმე. მაგრამ უღმერთოები ღამე გზაზე მიმავალს თავს დასხმიან და ბავშვი მოუტაცნიათ.

— თათრებსა?

— რის თათრებს, ვაჲო, ჩვენებურებს! იქნება იმ ხუცის მეზობლებიც იყვნენ.

— ჰაი დედასა, — თავს იქნეედა რეზო.

— თათრები ახლა, ბოშო, ჩვენში ბევრს ვერაფერს გაბედავენ. ისევ ჩვენიანები იკლებენ ქვეყანას. მელა-ტურასავით დაეხეტებიან ღაუნდობლები და, თუ სადმე მოხერხებულ ალაგას მოიმწყვდიეს ერინმე, შებორკავენ, პირში ბურთს ჩასჩრიან და ოსმალებთან მიჰყავთ. აშკარად ახლა ჩვენებიც ვერაფერს გაბედავენ. მეფემ რომ შეუტყოს, თვალებს დასთხრის.

— სხვა არა მინდა რა, ერთი ეს ვიცოდე... ცოცხალია თუ არა ბარკოზ ხუცესი. — ტირილით თქვა ბავშვმა.

— ბიჭო, შენ რომ მოგიტაცეს, არაფერი დაიძახა?..

—ერთი კი დაიკვნესა და ჯორიდან გადმოვარდა... სხვა არაფერი დაუძახნია... ბნელი ღამე იყო... მე დამიპირეს... სხვა არაფერი მახსოვს.

— მოჰკლავდენ ის უსვინდისოები, — უკმაყოფილოდ თავი ჩაიქნია რეზომ, — კაცი რომ გაბზეცდება, ნადირზე უარესია... ჩვენში კი, ქალო, მეფე ერეკლეს საბრძანებელში, ემავისთანები ვის გაუგონია. ყმის ტყვედ გაყიდვას იქ ვინ გაბედავს. მე სულ შვინთხვევით მოვყევი, გაუწყრა ღმერთი... მე ბორჯომის ხეობიდან ვარ. შარშან ზაფხულ ახალციხის მთებში მოვყევი და იქ სულ უცაბედად უსჯულოთ ხელში ჩაუვარდი... ეეხ! დამშვიდდი, ქალო, — ლ?ობი-

ერად უთხრა რეზომ... — აი ეს პური გაღეკე, ათასიც რომ ვიდარ-
დოთ და თავში ქვა ვიხალოთ, ვერას გავხდებით. ჩვენი საქმე მორ-
ჩომილია.

ქალმა პურის ნატეხი ნელა გამოართვა და რეზოს შეხედა,
რეზო ოდნავ გაფითრებული იყო.

— დიდი მადლობელი ვარ შენი, რეზო, — მორცხვად ჩაილაპა-
რაკა სალომემ, — გუშინ შენ არ ყოფილიყავი... — ქალმა სიტყვა
ვერ დაამთავრა, ტირილი მოერია და ლეჩაქი თვალებზე მიიფარა...

— ნუ გეშინია, ქალო, — მტკიცედ უთხრა რეზომ, — სანამ
პირში სული მიდგა, შენთვის ხელს არავის ვახლებინებ.

ქალმა თავი მაღლა აიღო, ლეჩაქს გადასწია, მათ ერთმანეთს
შეხედეს და ორთავეს სახეზე ღიმმა გადაურბინა.

— ნეტავ როდის მოეღება ბოლო ჩვენს ტანჯვას. ამ საზიზღარ
გემს მაინც მოვშორდებოდეთ როგორმე! ვნახო ქე მაინც ჩემი სა-
ბოლოო ბედი.. ალბათ, სადმე ადამიანებთან ვიქნები... ხეზე ხომ არ
ჩამომკიდებენ... თუგინდ ჩამომკიდონ, დამახრჩონ, ოღონდ ამ დამ-
ცირებას, ამ შეურაცხყოფას, რასაც ამ გემზე გვაყენებენ, მოვ-
შორდე.

— გადავრჩებით, გადავრჩებით, ქალო, — მოწყენით მიუგო რე-
ზომ. — მეზღვაურები ამბობენ: თუ ზღვა ძლიერ არ გაფუქდა,
ორ-სამ დღეში მივალთ სტამბოლშიო. ეეხ. სახარბიელო იქაც არა-
ყრია რა! აქ ჩვენ ენაზე ხმას მაინც ვცემთ ერთმანეთს, იქ კი გა-
გვთიშავენ და სააღდგომო ბატკნებივით თითო-თითოდ დაგვყიდიან.

— ვაიმე, ეს სრულებით არ გამხსენებია! — მწარედ წამოიძახა
ქალმა და რეზოს თვალებში შეაჩერდა, — მერე ისე ვერ მოხერ-
ხდება, რომ ერთმანეთს არ დაგვაშორონ... რეზო?.. — ამბობდა
ქალი და გაფითრებული ვაჟკაცს თვალს არ აშორებდა.

— ვეცდები, თუ გამოვიდა რამე, ჩემი ბატონი, რაც ის წუწკი
აქ გავშოთე, კარგად მიყურებს. მივალ, შევეხვეწები, არ დაგვაშო-
როს ერთმანეთს...

— მეც თქვენთან მინდა ყოფნა, მე თქვენ არ მოგშორდებით! —
წამოიძახა ბავშვმა და იმედით აღსავსე თვალებით რეზოს და სა-
ლომეს შეხედა.

— ხვიჩა, ნანა შვილო, ბედდამწვარი დედაშენი! — მიეალერსა
ქალი და ბავშვი გულში ჩაიკრა. — რეზო! გესმის, რას ამბობს ეს
ჯერ უსუსური ყრმა, ესეც ჩვენსავით უღმერთოთაგან ძალად დაობ-
ლებული და დამცირებული, მეც თქვენთან მინდა ყოფნაო! ჩვენ
ვითომ რა სიკეთეს მოველით, რა ბედნიერ დღეს შევხარით, მაგრამ

ერთადერთი ნუგეში მაინც ერთად ყოფნა დაგვრჩენია, ხედავ, ეს ბავშვიც ამით ნუგეშობს, თურმე... ღმერთო... — ძლივს წარმოთქვა ქალმა, ბოღმა მოაწვა, სული ყელში მოებჯინა და მწარედ აქვითინდა. ატირდა რეზოც, სამთავენი ტიროდნენ.

ირგვლივ კი მრისხანე ზღვა თავისებურად შხუოდა, ფაფარგათეთრებული ტალღა ტალღას მოსდევდა, გემის კედელს ეხეთქებოდა და ზედ აკვდებოდა.

XII

სტამბოლის ტყვეთა მოედანზე ხალხი ირეოდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან გასაყიდად მოყვანილი ტყვეები აქ იყო თავმოყრილი. ვინ გინდოდა აქ რომ არ გენახა, შავკანიანი, წითელკანიანი თუ ყვითელკანიანი. წინა წლებში უმრავლესობას კავკასიიდან მოდენილი ტყვეები შეადგენდნენ: ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩაჩნები... წრეულს კი მათი რიცხვი ძლიერ მცირე იყო, რაც საერთო ყურადღებას და გაკვირვებას იწვევდა.

ზოგი ტყვეები მინდორში ჰყავდათ გამოფენილი, ზოგიც სახელდახელოდ გაკეთებულ ფარდულებში. მყიდველები მოდიოდნენ, ტყვეებს ათვალიერებდნენ, სინჯავდნენ, ზომავდნენ, ანჯღრევდნენ. ტყვეთა პატრონებთან ვაჭრობდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ და, როცა ფასში მორიგდებოდნენ, ნაყიდ ტყვეს კისერში ბაწარს ან ჯაჭვს ხბოსავით აბამდნენ და შინ მიჰყავდათ. ეს ჩვენ დროში წარმოუდგენელი სისაძაგლე მაშინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მდიდარი სოვდაგრები ათობით ყიდულობდნენ ტყვეებს სხვადასხვა საჭიროებისათვის. ზოგს ჯარისკაცად, ზოგს მიწის მომუშავედ, ზოგს ხელზე მოსამსახურედ; ლამაზ ქალებს კი, რა თქმა უნდა, დიდკაცობის გასართობად და სასიამოვნოდ.

— დიდება ალლაჰს, დიდება ალლაჰს, — სასოებით ამბობდა და ნელ-ნელა, დინჯად ფეხს მოაბიჯებდა ჰუსეინ-აღა, მდიდარი სოვდაგარი და განთქმული ტყვეთ მყიდავ-გამყიდავი. ჰუსეინ-აღას მრავალჯერ მოულოცნია არაბეთის წმინდა ადგილები, ნაკითხ კაცად და სჯულის მცოდნედ ითვლებოდა. თავი მუდამ თოვლივით თეთრი დოლბანდით ჰქონდა შემოხვეული. ტანზე ჩინეთიდან მოტანილი ფარჩა ქსოვილის გრძელი ხალათი ეცვა და ხელში ოქროთი მოქედილი ჯოხი ეჭირა. ჰუსეინ-აღას თითქმის მთელი სტამბოლი იცნობდა.

— ჰუსეინ-აღა მოდის, ჰუსეინ-აღა მოდის! — გაისმა აქეთ-იქით ტყვეთა მოედანზე.

სხვათა შორის, ჩვენ ნაცნობ ეფენდი ალი-უსუფსაც აქ მოეყვანა თავისი ქართველი ტყვეები.

— არ ვიცი, რა ვუყო, ეფენდი, რომ არა ცხრება ის შეჩვენებული? ვერაფრით ვერ დავამშვიდე, — მოახსენა ერთ-ერთმა მეთვალყურემ.

— რომელი?

— აი პატარა ბიჭი, ფოთის ფაშამ რომ გიფეშქაშა, ხვიჩა რომ ჰქვიან.

— რის ხვიჩა! — გაჯავრდა ეფენდი, — მე ხომ მაგას მახმუტი დავარქვი, მახმუტი დაუძახე. განა კიდევ ტირის?.. მიფეშქაშა!.. ისე ამდგარა დილა ადრიან ფოთის ფაშის გვერდები, რაც მე იმან რამე მიფეშქაშოს! კარგი ფეშქაშია, შენ არ მომიკვდე... იმის ფასად, რაც მე მაგას საჩუქრები მივართვი, ხუთ ტყვეს ვიყიდიდი... რა მინდაო, ბიჭო, რა ატირებს?

— თავს იკლავს, რატომ ზაიდოლას დედაკაცს არ გამაყოლეთო.

— ვა, გაგიჟდა? ხუმრობს თუ! ერთი მაგ ლაწირაკს უყურე და! ბიჭო, ხომ არ შიან?

— თავზე საყრელს ვაძლევ, ეფენდი, მაგრამ დღეს პურისთვის ზედაც არ შეუხედავს. გემიდან გამოსვლისას, შენც კი უყურებდი, ეფენდი, კინაღამ ზღვაში გადიჩეხა. ამსიმსხო კაცმა ძლივძლივობით დავიმაგრე. ისე ღონივრად გამწია მაგ სარივით წვრილმა ბიჭმა, რომ ჯაფარა არ მომშველებოდა, ორთავენი ტყლაშუნს მოვადენდით წყალში.

— ჰა, შეჩვენებული! ეგ სულ მაგ ზაიდოლას გაღიზიანებულია. მაგის ოინებს ეშმაკიც ვერ გაუგებს თავ-ბოლოს. არ გამიკვირდა? ჯერ კიდევ გზაშივე ჩამაცივდა, ბიჭი მომყიდეო. არ ვყიდი-მეთქი. ორ დიდრონ ტყვეს მოგცემო, კაცო, თავი დამანებე-მეთქი. ის მასწასელის, რომელ ტყვეს რა ფასი აქვს?

— მართლაც და, იმ ზაიდოლას ტყვე დედაკაცს ძლიერ შეეჩვია ბიჭი. გემზე სულ მასთან იყო. ერთმანეთს რომ დავაშორეთ, ის ქალიც საშინლად ატირდა, თითქოს საკუთარ შვილს აშორებენო.

— ეხ! რაღა დროის მაგისთანებია! დალოცვილები, მაგათი გულის ასაყოლად ვისღა სცალია... მაშ, დღეს პური არ უჭამია? ეს სასიამოვნო ამბავი ვერ მითხარი სწორედ... სახეზედაც ძლიერ გამხდარი იქნება.

— არც ისე, მაგრამ...

— სალამ-ალეიქ, სალამ-ალეიქ ჩემს ალი-უსუფს! როგორა ხარ? ·ბე და შენ ხომ მუდამ უნდა ვიცხოვროთ, — გაისმა ჰუსეინ-ალას ხმა, — რა ცოტა ტყვეები ჩამოგიყვანია, ეფენდი, გურჯისტანიდან. რა ამბავია? შარშანწინ, მახსოვს, ამ მოედანზედ არ ეტეოდნენ და წრეულს საგანგებოდ უნდა ეძებო, რომ შეამჩნიო.

— ეხ, აღაჯან! გურჯისტანში არ მიდის საქმე კარგად, ილვიძებენ, მგონია, გიაურები. რაც ჩამოგვიყვანია, ისიც დიდი წვალებით, ·ჯულის მადლმა. მთელ დასავლეთ გურჯისტანში ახლა ერთი კავ-შირია იმერთა, მეფის სოლომონის მეთაურობით. შეიტყობდით, რა სირცხვილი აჭამა მაგ ურჯულომ მაჰმადის სახელს, რა საშინლად დაამარცხა მართლმორწმუნეთა მხედრობა... ისე გაძლიერდა, რომ ყველა მთავრები, ბეგები თუ აღები მისი სახელის გაგონებაზე კან-კალებენ... ტყვეთა გამყიდველებს სასტიკად სდევნის, მოურიდებ-ლად თვალებსა სთხრის...

— სამწუხარო, ძლიერ სამწუხაროა, ფადიშაჰის დღეგრძელო-ბამ, — დარბაისლად თქვა ჰუსეინ-ალამ.

— ლამაზი ქალები ხომ თავის წონა ოქრო გახდა, — განაგრძო ეფენდი-ალიმ.

— ეჰ, მაგ ლამაზი ქალების დავიდარაბას კარგა ხანია თავი დავანებე, ჩემო ეფენდი. ზარალია, სწორედ ზარალი მათი ყიდვა-გაყიდვა. დღეს შეხედავ, ლამაზია, ლოყა ბრეწოულის მარცვალივით ულუის, ახალ გაშლილ ვარდს ჰგავს, ხვალ შეხედავ, მომაკვდავს დამსგავსებია... ზარალია, ზარალი... მე ახლა ქალების დავიდარაბის თავი არა მაქვს... ეხ, ეფენდი, ხათრი, ჯანიც არ არის საიმისო. ყოველ საქმეს თავისი დრო ჰქონია... გული მოდრკა, მოდუნდა, სიბერე შემეპარა... მე ახლა, ჩემო ალი-უსუფ, მიწის მუშები მინდა და, თუ რიგიანი ვიშოვნე, მეომრები... სამწუხაროა, ალლაჰს ვფიცავ, გურჯისტანში ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის საქმე ასე რომ შე-ფერხებულა. წინათაც მქონდა იქაური ამბები გაგონილი...

— რა ვქნათ, აღა, რაც არის, ის არის. ალლაჰის მადლით ცოტ-ცოტა მაინც გვყავს, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც...

— ალლაჰის მადლით, ალლაჰის მადლით!—ამბობდა ჰუსეინ-აღა და ტყვეებს ათვალიერებდა. გაიარ-გამოიარა ტყვეებს შუა, გახედ-გამოხედა, ზოგი გასინჯა, ზოგს დაელაპარაკა. — კარგი, კარგი, ძლიერ კარგი, მაგრამ ძლიერ ცოტაა. ასეთი ქესატობა ჯერ მართ-ლაც და არ მინახავს, — აუჩქარებლივ ამბობდა ჰუსეინ-აღა და ოქროთი თავმოჭედილ ჯოხს მიწაზე ახაკუნებდა.

უეცრად მისი ყურადღება რაღაც ხმაურობამ მიიპყრო,

— გაჩუმდი! გაჩუმდი, შე კისერმოსატეხო, თორემ სულს გაგანთხევინებ! რა მიზეზიანი რამ ყოფილა ეგ ღორის შვილი! — უკაერდებოდა ვიღაც მტირალ ბავშვს.

ჰუსეინ-აღას გამოცდილ ყურებს ეს არ გამოეპარა.

— ეს ვინ ტირის იმ ფარდულში, ეფენდი-ალი? — დაეკითხა ჰუსეინ-აღა. — ის ტყვე ბიჭი იქნება.

— ჰა, კიდევ ტირის მაგ წყეული! — თავისთვის ჩაილაპარაკა ეფენდიმ, — ტყვე ბიჭია, დიახ, კისერმოსატეხი. ხომ მოგეხსენებათ მაგათი ჯინიანობა, აიტეხა რაღაც მიზეზი და არ ცხრება.

— შეიძლება ვნახო?

— აქ მოვაყვანინებ, აღა! აღმოსხით, აქ მოიყვა ეგ გიაურის შვილი. ჰა, კიდევ არ გაჩუმდა?

ბავშვი გამოიყვანეს.

ჰუსეინ-აღას ჭრელი ტანისამოსის და თოვლივით თეთრი დოღუბანდის დანახვაზე ბავშვი მართლაც გაჩუმდა.

— რისთვის ტირი, ბიჭუნია? ტირილი როგორ გეკადრება, — ტკბილად უთხრა აღამ და თავზე ხელი გადუსვა. ბავშვმა გაოცებით შეხედა, ოსმალოთგან ცემისა, გინებისა და ყვირილის გარდა, ასეთი ტკბილი სიტყვა ჯერ არ გაეგონა.

— გურჯია, არა?

— გურჯია. ფოთის ფაშისაგან საგანგებოდ ვიყიდე, — მიუგო ეფენდიმ.

— სახელი რა ჰქვიან?

— მახმუტ!

— მახმუტ? მახმუტ! კარგია, კარგი! — ამბობდა ჰუსეინ-აღა და თავზე ხელს უსვამდა. — ნეტავ რისთვის ტიროდა?

— მისი სისულელე! გზაზე ერთ ტყვე დედაკაცს გადაეკიდა, გინდათ თუ არა, იმას გამაყოლეთო. გიჟია ეგ ოხრის შვილი? ის დედაკაცი ჩოფურა ზაიდოლასი იყო. ჩამოვედი თუ არა გემიდან, ის დედაკაციც და მეორე ტყვეც იმ კაცმა ანდრიანოპოლელ ვაჭარს მიჰყიდა და მყიდველმა ნაყიდი ტყვეები, რა თქმა უნდა, თან წაასხა. ამანაც იმათკენ გაიწია და, რომ არ გავუშვით, დაუღია პირი და ბღავის...

ჰუსეინ-აღა დაფიქრდა.

— კარგი, კარგი! — ჩუმად ჩაილაპარაკა მან. — ეხ, მახმუტ, მახმუტ! შენისთანა ბიჭს როგორ არ გრცხვენია, რომ ტირი. — აღამ აუჩქარებლად ხალათის ჯიბეში ხელი ჩაიყო, მუჭით ჩამიჩი ამოიღო და ბავშვს გაუწოდა.

ბავშვმა საჩქაროდ ორივე მუჭი ერთად გაუშვირა, ნაწილი ჩამიჩი უბეში ჩაიყარა და ჭამას შეუდგა.

ირგვლივ სიცილ-ხარხარი ატყდა.

ჰუსეინ-აღამ ბავშვი გასინჯა — მკლავში ხელი მოუჭირა, პირი გაუღო და კბილებში შეხედა, შეანჯღრ-შემოანჯღრია და სახეზე კმაყოფილების ღიმმა გადაურბინა.

— კაი აგებულობის ბიჭია! წმინდა სამანელუკოა, — უთხრა ეფენდი-ალიმ.

ჰუსეინ-აღამ ცბიერად შეჰხედა და ტუჩები ჩაიკვნიტა.

— საგანგებოდ მომიყვანია სალეკ ეფენდისათვის. საცაა, ალბათ. ისიც გამოჩნდება, — დინჯად ამბობდა ეფენდი-ალი.

ჰუსეინ-აღამ ორაზროვნად გადახედა, თითქოს ეუბნებაო: ხომ იცი, შვილო, ორთავენი ვაჭრობის ძაღლები ვართ, ჩვენ შორის მაინც ტყუილი რაღა საჭიროაო.

— კეთილი, კეთილი, ეფენდი! — დინჯად მიუგო მან და ბავშვი ხელახლა უფრო დაკვირვებით გასინჯა. მერე ცოტა ხანს დაფიქრდა.

— შენ, პაწიავ, ჭიდაობა იცი? — ტკბილად მიუბრუნდა ჰუსეინ-აღა.

ბავშვმა ვერ გაიგო შეკითხვა. სხვებმა გააგებინეს. მაშინ ბავშვმა საჰოიოდ თავი დააქნია.

— კარგი. მაშ, ეფენდი, მოდი, დავჭიდოთ ვისმე.

— რას დავეძებ, — მიუგო ეფენდი-ალიმ. — ვის დავჭიდოთ? ტყვეთაგანს?

— არა, არა, ქეჩის ბიჭს... აბა, გაიქეცით, მომგვარეთ ვინმე, — თქვა აღამ.

მეთვალყურენი აქეთ-იქით ეცნენ და ცოტა ხნის შემდეგ თორმეტ-ცამეტი წლის ოსმალო ბიჭი მოიყვანეს.

— ეს შესაფერი არაა! — ითაკილა ეფენდი-ალიმ. — ეს ხომ დიდია!

— მახმუტ, დაეჭიდები მაგას? — დაეკითხა ჰუსეინ-აღა.

ბავშვმა გაუღიმა და თავი დაუქნია. ეს მისი თითქმის პირველი ღიმილი იყო იმ უბედური ღამის შემდეგ.

— შენ თუ მაგას დასცემ, აი შენი საჩუქარი, — შეაგულიანა აღამ და ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოიღო.

ოსმალოს ბიჭი თუმცა სიმაღლით არა სჭარბობდა, მაგრამ თვალსაჩინოდ უფრო ხნიერი და მსხვილიც იყო.

ოსმალომ მედიდურად გადახედა ტყვე ბიჭს და დაუბღვირა. ტყვეც თავისი მიმინოსებური თვალებით დააჩერდა.

— ჰა, დავჭიდოთ? — წახალისდა მოხუცი აღა...

— თანასწორი ძალა არაა, ჰუსეინ, — ჭოჭმანობდა ალი-უსუფი, — სად ეს თითისტოლა ბიჭი, ზღვაში მოგზაურობით გალახული, და სად ეს ჭაბუკი, ჩამრგვალებულ-ჩასუქებული.

— ბიჭი თანახმაა. ალბათ, თავის იმედი აქვს, ჰ? გაბედე! — აძალებდა ჰუსეინ-აღა.

ეფენდი-ალი დასთანხმდა.

მეტოქენი ერთმანეთს დაეტაკნენ. ოსმალომ სტაცა ხელი მახმუტს და თავისუფლად ზეით ისროლა. ყველას ეგონა, ეს არის ძირს დაანარცხებს და დაამტვრევსო.

— მე ხომ ვთქვი, ბარი-ბარი ჭიდაობა არაა! — უკმაყოფილობას უცხადებდა ეფენდი-ალი უსუფს.

მაგრამ ბავშვი, ყოველი მოლოდინის გარეშე, თუმცა წაბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა, თავი შეიმაგრა, საჩქაროდ გასწორდა და მოპირდაპირემ შემოხედვა ვერ მოასწრო, რომ გულდაგულ ეცა. ხელები ირგვლივ წელზე შემოჰხვია, მოსდო კაჭა და იმსიმსხო ბიჭი მიწაზე გააგორა.

შეიქნა ერთი სიცილ-ხარხარი. ეფენდი-ალის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— კარგი, კარგი! მე ჩემს პირობას შევასრულებ, — ჩვეულებრივის აუჩქარებლობით წარმოთქვა ჰუსეინ-აღამ და ბავშვს ფული გაუწოდა. — ახლა როგორ? — დაეკითხა ეფენდი-ალის და რაღაცნაირად ტუჩები დაჭმუჭნა.

ეფენდი-ალიმ მხრები აიჩეჩა და იმანაც ტუჩებით ანიშნა, თითქოს ეუბნებაო: ხომ ხედავ, რაც არის, რა საჭიროა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, ჩვენ ხომ ორივენი ერთ დარჯაკში ვართ ჩამოყალიბებულნი და რისთვის უნდა ვცადოთ ერთმანეთის მოტყუება, მაინც ხომ არა გამოვა რა.

— ხომ მოგახსენეთ, აღა, რაც დროება დადგა, დღითი დღე მატულობს საქონლის ფასი. სალეკ ეფენდიც...

— ზღაპრებს თავი დაანებე, ალლაჰი ნუ გაგიწყრება, — მოუჭრა ჰუსეინ-აღამ,—შენ ვაჭარი ხარ, მეც, აგერ საქონელი, აგერ ფული!

— სოვდაგარო, იცოდე, უკანასკნელია, — ჩუმად უთხრა ეფენდიმ და თითები უჩვენა.

— ალლაჰ! რას ამბობ? — გაიკვირვა აღამ. — ამდენი ფულით მთელ რაზმს შევადგენ.

— ნება შენია. ქება მეტია. საქონელი ხომ თვალწინაა. ვიცი, ვისთვის გინდა. უკეთესი ძნელი მოსაძებნია.

„მართლადა, ეს რა მომივიდა, რომ ქუჩის ბიჭს დავჭიდე, — ფიქრობდა ჰუსეინ-აღა, — მაგრამ ესეც კარგია, დარწმუნებული მაინც ვარ საქონლის სიკარგეში... ასი და ორასი ყურუში ჯანდაბას!“ — გულს იმაგრებდა აღა.

— ეფენდი-ალი! — მიმართა აღამ და თითები უჩვენა.

— ოო! ყოვლად შეუძლებელია. ჯერ გემის პატრონს რამდენი ფული მივეცი.

— გემით ის ერთი ხომ არ მოგყავდა?

— ყოველ შემთხვევაში...

— მაინც.

— ერთი ყურუში არ დააკლდება.

— ჰა, ესეც.

— რას ბრძანებთ, ჰუსეინ-აღა! მარტო ფოთის ფაშას ფარჩის ქსოვილი რომ ვუფეშქაშე, ორმოცდაათი მეჯიდიე მაინც ღირდა.

ჰუსეინ-აღამ ბავშვი ხელახლა გასინჯა. გაატარ-გამოატარა, ახტუნა, არბენინა...

— კარგია, კარგი! ჩინებული მამელუკი გამოვა! — ამბობდა გულში სოვდაგარი და ოქროთი თავმოქედილ ჯოხს მიწაზე სცემდა. მერე ჰუსეინ-აღამ განზე გაიხმო, მთელი ქისა ოქროები გადასცა და ბავშვი თან წაიყვანა. ბავშვი სიხარულით გაჰყვა.

ჰუსეინ-აღამ სხვა ტყვეებიც ბევრი იყიდა, გემი დაიქირავა და ორი დღის შიგნით ეგვიპტისკენ გზას გაუდგა.

XIII

ალი-ბიი, მამელუკთა სახელოვანი სარდალი, ოქროთ მოვარაყებულ და ლალ-ფირუზით მორთულ ტახტზე ფეხმოკეცით იჯდა, ყალიონის ტარი პირში ჩაედო და ნელ-ნელა აბოლებდა. ღრმა ფიქრებში იყო გართული ალი-ბიი და, ღვთის წინაშე, საფიქრებელიც ბევრი ჰქონდა. მთელი ეგვიპტის უმთავრესი გამგე ახლა ის იყო. მან მიიყოლია მამელუკთა დანარჩენი ოცდასამი ბიი ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეთა მმართველ-გამგებელნი, და სტამბოლის სულთანისა და მის მიერ ეგვიპტის უფროსად დაყენებულ ფაშისაგან თავის თავი სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი ძლიერ საწყენად დაურჩა სტამბოლის სულ-

თანს და მით უფრო ეგვიპტის ფაშას, რადგან მისი უფლება არა-რაობამდე ჩამოვიდა, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერა გააწყო რა. ძალა მამელუკთა ხელში იყო და ძალა ხომ აღმართსა ხნავს.

მამელუკთა რიცხვი იმ დროს * ათი-თორმეტი ათასი იქნებოდა. ისინი გაფანტულნი იყვნენ მთელ ეგვიპტეში, სათავეში უდგნენ მხედრობას, ეპირათ თანამდებობის ადგილები, ერთი სიტყვით, მთელი ქვეყნის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონნი იყვნენ.

„მამელუკი" არაბულად ნაყიდ ტყვეს ნიშნავს. მეცამეტე საუკუნეში ეგვიპტის სულთანმა მალეკ-სალეჰმა მონგოლებისაგან რამდენიმე ათასი ტყვე თურანელები და კავკასიელები იყიდა და იმათგან თავისი მცველი გვარდია ისე გააძლიერა, რომ თვით სულთანისათვის საშიში შეიქმნა. როცა 1250 წელს, ქრისტეს დაბადების შემდეგ, ეგვიპტის სულთანმა თურმან-შაჰმა მათ დაუკითხავად ზავი დასდო ჯვაროსანთა წინამძღოლ ლუდოვიკ მეცხრესთან, მამელუკები საშინლად გაბრაზდნენ, მოჰკლეს თვით თურან-შაჰი, იმის ნაცვლად თვის შორის ამოირჩიეს ვინმე ჰეიბეკი და გააბატონეს. ამ დროიდან დაიწყო მამელუკთა ბატონობა ეგვიპტეში. 1517 წელს თუმცა სულთანმა სელიმ პირველმა დაიპყრო ეგვიპტე და ქვეყნის მთავარ გამგედ ფაშა დაუყენა, მაგრამ იძულებული შეიქნა პროვინციების გამგედ მამელუკთაგან არჩეული ოცდაოთხი ბეი დაენიშნა. ბეიებმა მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩქარა ხელთ იგდეს. ალი ბეის მეთაურობით ხომ სულთან ფაშისაგან სრულებით დამოუკიდებლად გამოაცხადეს თავისი თავი და იმდენად გრძნობდნენ ძალას, რომ არავისი შიში და რიდი არა ჰქონდათ.

თავიანთ მხედრობის შესავსებად ისინი ახლაც სიამით ყიდულობდნენ ახალგაზრდა ჯანსაღ ბიჭებს, ზრდიდნენ და მეომრებად წვრთნიდნენ. უპირატესობას ამ მხრივ კავკასიელებს აძლევდნენ.

შემოვიდა კარისკაცი და ალი-ბეის მძიმედ თავი დაუკრა.

—მბრძანებელო, — მოწიწებით მოახსენა მან, — სოვდაგარი გეახლათ.

ალი-ბეიმ ყალიონის ტარი ტუჩს აუჩქარებლად მოაშორა.

— ჰუსეინ-ალა? ოხ, ჩქარა, აქ დამიძახე! — ბრძანა ალი-ბეიმ. — ის, ალბათ, სტამბოლიდან ჩამოვიდა... ერთი რა ამბები ჩამოიტანა! — ოდნავ გაიღიმა ალი-ბეიმ და ყალიონი განზე გადასდო.

— სალამ ალეიქ, დიდებულო მბრძანებელო! — შემოილაპარაკა

* მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი

ჰუსეინ-აღამ, ხელი გულზე და შუბლზე მიიდო და მძიმედ დაუკრა თავი.

— ოჰ! მობრძანდი, ჩემო ჰუსეინ, ჩემო ძველო მეგობარო! ამ ბოლო დროს რა იშვიათი და სანატრელი გამიხდა შენი ნახვა, აქეთ, ჩემო აღა, ამ ბალიშზე ჩამობრძანდი, — მხიარულად უთხრა ალი-ბიიმ და ძვირფას ხალიჩაზე დაგებულ, ოქრომკედით მოქარგულ ბალიშზე მიუთითა.

ჰუსეინ-აღა ჩამოჯდა.

— სხვა, მეგობარო, სტამბოლში იყავ?

— ეს არის იქიდან გიახელ, მბრძანებელო!

ალი-ბიიმ კოპი ოდნავ შეიკრა.

— რა ამბებია, ჩემო ჰუსეინ? ფადიშაჰი როგორ ბრძანდება? ალბათ, ძლიერ გაჯავრებულია ჩემზე!

ჰუსეინმა თავი საორპოფოდ ჩააქნია და ჩაიცინა.

— რასაკვირველია, მადლობელი არ იქნება. აქ დასამალი რა არის, ქვეყანამ კიდით კიდე იცის.

— რა ვქნათ, აღა, რა ვქნათ! — დინჯად გააგრძელა ალი-ბიიმ.— დრონი მეფობენო, ნათქვამია. ჩვენ ყველანი დროებით ვართ ამ ქვეყანაზე. ჩემი აზრი ასეთია — ან უნდა ვიყვნეთ. როგორც რიგია, ან სულ არ უნდა ვიყვნეთ. თუ ეგვიპტის ბატონ-პატრონი ჩვენა ვართ, ჩვენ უნდა ვიყვნეთ, უგამდლოთ, უხელმძღვანელოთ. მადლობა ალლაჰს, ჰასაკით სრულნი ვართ. თუ ბატონი ფადიშაჰი და მისი ფაშაა, ისინი უნდა ბრძანდებოდნენ, მამელუკები რაღა საჭიროა? შენ კარგად იცი, ჩემო ჰუსეინ, რომ მამელუკს საბოდიშო, პირმოსაფერებელი არავისთან არაფერი აქვს; მისი უტყუარი მეგობარი მისი ბასრი ხმალია, რომელსაც მუდამ თან ატარებს და სწორედ ნამდვილი მამელუკი ისაა, ვინც სისხლით შეღებილი ხმლით ხელში სულს განუტევებს. ამიტომ ჩვენ არავისთან და არც ფადიშაჰთან საბოდიშო არა გვაქვს რა. ვცოცხლობთ, — ვცოცხლობთ, მოვკვდებით, — მოვკვდებით. მე აგერ სამოცდაათი წლის მოხუცი ვარ, თხუთმეტი წლიდან ბრძოლის ველზე ხმალს ვატრიალებ, ახლაც ნაღარის ხმას რომ გავიგონებ, ამიფართხალდება მოხუცი გული. გაქრება ჯან-ღონის სისუსტე, მინდა ტაიჭს მოვახტე და ხმალამოწვდილს მწადიან ჩემ ძმებთან, უშიშარ მამელუკებთან შევანავარდო მკვეთრი მახვილი და, თუ საჭიროა, მათთან სულიც დავლიო, — თანდათან აღტაცებით თქვა მოხუცმა. — სხვა, მეგობარო, როგორი ვაჭრობაა, როგორ იმოგზაურე? — ტკბილად დაეკითხა ალი-ბიი.

— კარგად, მბრძანებელო! უბედურობა არა შეგვხვედრია რა. ზღვა მშვიდობით გავცურეთ. ვაჭრობა კი ძლიერ ნაკლებია. საქონელი არ არის, ბატონო! გურჯისტანიდან ტყვეთა დენა ძლიერ შემცირდა, — მოწყენით დაუმატა ჰუსეინ-აღამ.

— რათაო? — გაიოცა ალი-ბიიმ.

— მოგახსენებენ, მბრძანებელო, რომ გურჯთა მეფეები გაძლიერებულან. არც სპარსელებს აძლევენ თურმე ახლა ხარკს და არც ოსმალებს. შაჰ-აბაზის გალაშქრების შემდეგ გურჯისტანი საუკუნოდ დამარხული ეგონა ყველას და, დახე მათ ბედსა, დამარხვა კი არა, განახლების გზას დასდგომიან. ყიზილბაშები ზედიზედ სასტიკად დაუმარცხებიათ და... ჰოი, ალლაჰ! ოსმალთა მართლმორწმუნე მხედრობაც... — ვერ დაათავა ჰუსეინ-აღამ.

— ძლიერ სამწუხაროა, — წარმოთქვა ალი-ბიიმ და წყენის ნიშნად შუბლზე ხელი დაიკრა. — რა თქმა უნდა, თუ მომჯობინდნენ, ტყვეებს არ გაიმეტებენ. ტყვეების გაყიდვა, ჩემო ჰუსეინ, როგორც შენც კარგად მოგეხსენება, ერის შინაური გახრწნილების, უწესრიგობისა და უმეთაურობის ბრალია, თორემ საცა ხალხს ცოტაოდენი ძალა შესწევს, ერთი მეორეს უჯერებს და საერთო კეთილდღეობის საჭიროების გემო აქვს გაგებული, ის ერი განა ტყვეს მოგვყიდის? რომელი დედა ნახე შვილის გამყიდველი, თუ არ სრულებით ზნეობით დაცემულ-გათახსირებული?.. მაგრამ ჩვენთვის კი სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა, სჯულის მადლმა, — აუჩქარებლად დაუმატა ალი-ბიიმ და ყალიონის ტარს ხელი წაატანა.

— მაგრამ მე შენთან, მბრძანებელო, შენ ამომავალ მზეებრ გაბრწყინვებულ სახესთან, რაც გინდა იყოს, მაინც ხელცარიელი ხომ არ მოვიდოდი: ერთი გურჯის ბიჭი მოგიყვანე.

— პატარა ბიჭი? — მხიარულად დაეკითხა ალი-ბიი და თვალები გაუბრწყინდა.

— დიახ, მბრძანებელო, პატარა ბიჭი, ცხრა-ათი წლისა.

—აბა, სადაა? ყოჩაღ, ჩემო ჰუსეინ, ვიცოდი, რომ ხელცარიელი არ მოხვიდოდი...

— თქვენ საფარეშოში გახლავს.

— ბიჭი საჩქაროდ მომგვარონ აქ, ახლად მოყვანილი ბიჭი, — მოუთმენლად ამბობდა ალი-ბიი.

ცოტა ხნის შემდეგ მდიდრულად მორთულ ოთახის კარებში ჩვენი მახმუტად მონათლული ხვიჩა გამოჩნდა. ბავშვი დაბანილ-დავარცხნილი იყო, ტანზე ჭრელი ხალათი ეცვა და თავზე წითელი

ქუდი ეხურა. რიგიანი მოვლის მეოხებით სახითაც შევსებულ-შელამაზებულიყო და ამ კარგ ტანისამოსში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა.

შემოჰყო თუ არა თავი ოთახში ბავშვმა, ორივე ხელი გულზე დაიჭდო და ალი-ბიის მძიმედ თავი დაუკრა.

— ოო, ჩემო პატარა გურჯო! ყოჩაღ, ყოჩაღ! — დაიძახა ალი-ბიიმ. — გმადლობ, სოვდაგარო, ძვირფასი ძღვნისათვის, გმადლობ იმისათვისაც, რომ ახლავე ჩვენი ზნე-წესები შეგითვისებინებია. ან რა კარგად გამოგიწყვია! სახელი რა ჰქვიან ჩემს პატარა ბიჭს?

— მახმუტ, მბრძანებელო, — მიუგო ჰუსეინ-ალამ.

— მახმუტ! — დაუძახა ალი-ბიიმ.

ბავშვმა ხელები ისევ გულზე დაიჭდო და მძიმედ თავი დაუკრა.

ალი-ბიის აღტაცებას საზღვარი არა ქონდა.

— ერთი შეხედეთ, რა ჩქარა შეუთვისებია ჩვენი წესრიგი! — კვირობდა მოხუცი.

— ეს სულ გზაში ვასწავლე, — მოახსენა ჰუსეინ-ალამ. — მაინც ეს გურჯები, მბრძანებელო, ნიჭიერი ხალხია. ერთს რომ ეტყვი, განმეორება არა სჭირია. ოთხი-ხუთი თვე არ იქნება, რაც ეს ბავშვი თავის ქვეყანას მოშორებია და უკვე კარგად ესმის ჩვენი ენა...

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო აღა, — კმაყოფილებით ამბობდა ალი-ბიი, — შენ სოვდაგარი კი არა, ოსტატი ხარ, ალლაჰის მადლმა! შენ სადმე სასწავლებლის გამგე უნდა იყო... აბა, ჩემო ბიჭიკო, ახლო მოიწი ჩემთან, — ალერსიანად მიმართა ალი-ბიიმ მახმუტს.

ბიჭმა ფეხი მოკრძალებით წინ წადგა. ასე მდიდრულად მორთულ-მოვარაყებული ოთახი თავის დღეში არ ენახა და, ცოტა არ იყოს, ფეხის თამამად გადადგმას ვერა ბედავდა.

ალი-ბიიმ ბავშვი გასინჯა, თავზე ხელი გადაუსვა, შეანჯღრა-შემოანჯღრია. ბავშვი თავისი მიმინოსებური თვალებით პირდაპირ შეჰყურებდა.

—ჰა, სოვდაგარო, მეომარია რაღა, მეომარი! წმინდა მამელუკადაა დაბადებული, — მხიარულად ამბობდა მოხუცი და ბავშვს მკლავებს უსინჯავდა.

— მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, დიდებულო, რომ ბავშვი ძლიერ გალახულია, ბევრი ნათრევ-ნაწამებია. ჩემ ხელში მოჰჯობინდა ცოტა, თორემ ძვალი და ტყავი იყო. არ იციან, მბრძანებელო, ზოგიერთმა ვაჭრებმა ტყვეთა მოვლა. განსაკუთრებით ბავშვებს დიდი ყურადღებით მოპყრობა სჭირია... უკმეხად ექცევიან, სცემენ, რიგიანად არ აჭმევენ, არ აცმევენ. რაც გინდა იყოს, კაცის

შვილი ძროხის შვილისაგან უნდა გაარჩიო, ესეც არ იყოს, პირდა-პირ ანგარიში ითხოვს, ვაჭარმა საქონელი მუშტარს რიგიანი სახით უჩვენოს. ჩვენს ვაჭრებს ესეც არ ესმით!

— სწორია, სწორია, ალლაჰის მადლმა! მე ხომ გითხარი, ოსტატი ხარ-მეთქი, — კმაყოფილებით მიუგო ალი-ბიიმ.

— ცხენზე ჯდომა იცი, ჩემო ბიჭიკო? — დაეკითხა მახმუტს ალი-ბიი.

— ვიცი, — თამამად მიუგო ბავშვმა.

— ისეთ ცხენზე შეგსვა, რომ იმის ბადალი ქვეყანაზე არ იყოს. ძვირფას ხალათს ჩაგაცმევ, საჭმელ-სასმელი ხომ ულევი გექნება. შენ მხოლოდ ჭკვიანი ბიჭი იყავ. დიდად გმადლობთ, სოვდაგარო, სასიამოვნო ძღვნისათვის, — მიუბრუნდა ალას ალი ბიი. — ბიჭი ძლიერ მომწონს. ამას უეჭველად ჩემ სახელობაზე გავზრდი. მამელუკთა მხედრობას ერთი მეომარიც მიემატება. არც შენ დაგრჩები უმადური, მეგობარო, კარგი ძღვნისათვის კარგ საჩუქარსაც მოგართმევ. ბიჭო, მოლარეთ-უხუცესი დამიძახე! ახლა როგორ მირჩევ, ალა? არ სჯობია, რომ ამთავითვე მოლა-ალაფიჯის მივაბარო, რომ მაჰმადის წმიდა მოძღვრებაში გაწრთვნას?

— ჩინებული აზრია, დიდებულო! სამხედრო ვარჯიშობასაც ამთავითვე შეაჩვიოთ, ემჯობინება.

— ეს ხომ ჩვენი ხელობაა, ოსტატო! ხვალვე ჩემს ჯაბადარბაშს ვუბრძანებ, შესაფერი იარაღი მოუმზადონ და მის ტარებასა და ხმარებას შეაჩვიონ. შენ კი, მახმუტ, ძლიერ ფრთხილად უნდა იყო. აქ უშველებელი მდინარე რომ მიდის, ის თქვენებური პატარა მოჩუხჩუხე წყაროები არ გეგონოს. იქ ისეთი ბასრკბილა ნიანგები ბუდობენ, რომ ა... ჰა, ჰა, თუ კბილი დაგავლეს, ჩაგახრამუნებენ.

მოჩუხჩუხე წყაროს გაგონებაზე ბავშვს ზდინარე ტეხური გაახსენდა... გაახსენდა იქაურობა. — „ნეტავ სად არიან ახლა ჩვენი თხები, — გაუელვა ბავშვს თავში. — ნეტავ ვინ ერეკება მათ ახლა?... ნანა და ბაბა როგორ არიან? მე ვახსოვართ თუ არა? მარკოზ ხუცესი ცოცხალი გადარჩა თუ არა?... მარიკა... ლერწამისა...“ ბავშვს თვალწინ წარმოუდგა სამშობლო ქვეყნის მთები, ველ-მინდვრები, ტყეები... გაახსენდა პატარა ნამყენი მსხალი მარკოზ ხუცის სახლში, ეს მსხალი ძლიერ უყვარდა. ყოველ დილით მივიდოდა ნორჩ ხეხილთან და ადამიანივით ემუსაიფებოდა, მიესალმებოდა, გამოეთხოვებოდა ხოლმე. გაახსენდა გემით მოგზაურობაც, სალომე და რეზო, როგორ შვილივით ეფერებოდნენ, უკანასკნელ ლუკმას მას უყოფდნენ... რა მწარე იყო მათთან გაშორება... უჰ, რამდენი

იტირა მაშინ!.. ისეთი სიმწარე, პირველად როცა მოიტაცეს, მაშინაც არ უგრძვნია... წარმოუდგა ბავშვს თვალწინ ყველა ეს და თვალები ცრემლებით აევსო. ალი-ბიიმ ეს შეამჩნია... თითქოს მის სახეზე აღმოიკითხა მისი გულისწუხილიო. ნაზად მიეალერსა და თავზე ხელი გადაუსვა.

ბავშვი კი მწარედ აქვითინდა.

XIV

ქალაქ ქაირის განაპირას, აღმოსავლეთით, მოკატტამის ხრიოკ შთის კალთაზე ამაყად ამართულა სალადინის ციხე თავისი მაღალი კოშკებით და სქელი გალავნებით. გავიდა ოცდაათი წელიწადი ზემოთ მოთხრობილი ამბის შემდეგ. ერთ დღეს სალადინის ციხის გარშემო ფართე მოედანი ხალხით გაივსო. ეგვიპტის ყოველი მხრიდან მოგროვდნენ აქ მამელუკთა საუკეთესო წარმომადგენელნი. იყვნენ ბიიები, ათასისთავები, ასისთავები და რჩეული მხედრობა. შეკრებილნი მოედანზე მიდი-მოდიოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ზოგი ცხარობდა, ზოგი დინჯად მუსაიფობდა... ეტყობოდა, რაღაც მძიმე საქმე ჰქონდათ გადასაწყვეტი.

ციხის ერთ-ერთ კოშკზე მამელუკთა სათაყვანებელი დროშა აიმართა. ამ დროშას იშვიათ შემთხვევის დროს გამოიტანდნენ ხოლმე. დროშის დანახვაზე მთელმა საზოგადოებამ, ნიშნად სიხარულისა, ერთი დაუსრულებელი კიჟინა დასცა. მსჯელობა-კამათი ცოტ-ცოტად მისწყდა და ხალხმა მოედანზე გალავანთან რაზმებად დამწკრივება დაიწყო. შუაგულ ქვეითები დარაზმდნენ, იქით-აქეთ ცხენოსნები. რა თქმა უნდა, ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ.

ბევრი ხანი არ გასულა, რომ ციხის გალავანზე ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ბიიები გამოჩნდნენ და მხედრობას მიესალმნენ. ჯარმა აღტაცებული ყიჟინა დასცა.

მაგრამ აგერ გამოჩნდა მოოქრული ტახტრევანი. ხალხმა სული განაბა. ტახტრევანი გალავანზე მოწიწებით დაასვენეს და ფრთხილად კარი გააღეს. იქიდან აუჩქარებლივ გამოვიდა თეთრწვერა ხმელ-ხმელი მოხუცი. ტანზე სადათ შეკერილი ჭრელი ხალათი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ეხურა და წელზე ოქროთ შეკედილი, ჩვეულებრივ, მოღუნული ხმალი ერტყა. ეს გახლდათ მოლა ომერ-ბი-საიდი, მამელუკთა მეთაური, მთავარი ბიი, ერთხმად არჩეული

ალი-ბიის სიკვდილის შემდეგ *. ომერ-ბიიმ ხელით ანიშნა მოსამსახურეებს ტახტრევანი წაეღოთ, წელზე ხმალი გაისწორა, გალავანზე გადმოდგა და მხედრობას მხიარულად მიესალმა.

— გაუმარჯოს მოლა-საიდს! გაუმარჯოს მამელუკთა უძლეველ მხედრობას! — გრიალებდა ჯარი.

ომერ-ბიის აქეთ-იქით დანარჩენი ბიიები მოუდგნენ. ომერს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გახედა მის წინ დარაზმულ რამდენიმე ათას ცხენოსან და ქვეით მხედრობას. ჭრელ ხალათებში და წითელ ქუდებში გამოწყობილი ჯარი რაღაც საარაკო სანახავი იყო.

— დიდება ალლაჰს, შემოქმედსა და მოწყალესა. — სასოებით წარმოთქვა ომერ-ბიიმ და ხელები მაღლა აღაპყრო. საკმაო მკაფიო და საამო მოსასმენი ხმა ჰქონდა.

— დიდება ალლაჰს! — ბანი მისცა ჯარმაც.

— გაუმარჯოს მამელუკთა მძლეთა მძლე მხედრობას, — დაიძახა ომერ-ბიი-საიდმა და კისერი ამაყად მოიღერა.

ჯარის აღტაცებული ყიჟინა წუთს არ შეწყვეტილა.

ომერ-ბიი მოთმინებით აღიჭურვა და, როცა ყველანი ცოტა-ცოტა დამშვიდდნენ, აუჩქარებლად, რაც შეეძლო, ხმამაღლა წარმოთქვა:

— მამელუკნო! — ხალხმა ხმა გაკმინდა, თითქმის ცხენების ფრუტუნიც აღარ ისმოდა. — დიდებულის წინასწარმეტყველის დროშის ქვეშ შეკრებილა მისი უძლეველი მხედრობა. ბევრს გულს უმღერევს და სულს უშფოთებს მისი გმირობა და მამაცობა. ბევრი მტრობს, არ მეგობრობს... ფადიშაჰიდან მოყოლებული ხართუმის ველურ თემთა მთავრამდე, ყველანი ბრაზით კბილებს აკრაჭუნებენ, მაგრამ ჯერჯერობით არავის არ ეპუება, შესაფერ პასუხს აძლევს ყველას. მისი დროშა თამამად ფრიალებს და, უეჭველია, კვლავ იფრიალებს, თუ არ მოაკლდა ერთსულოვნება, სიმამაცე და ბრძოლის ველზე თავგანწირულება, რაც დღემდე გვჩვევია, ძმანო, საყვარელნო მამელუკნო.

— გაუმარჯოს ომერ-საიდს! გაუმარჯოს მამელუკთა მხედრობას! — დაიგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო! — განაგრძო ომერ-ბიი-საიდმა. — ყველამ ვიცით, საყვარელნო, რომ ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება ალლაჰისა და წინასწარმეტყველის შემდეგ, ჩვენი მარჯვენა და ჩვენი ხმალია.

* 1773 წ.

ისიც გამოცდილებით ვიცით, რომ მაგარი მკლავი და ბასრი ხმალი, მრავალთა უმრავლესიც რომ იყოს, უღონოა და სუსტია, თუ ღირსეული მეთაური წინ არ მიუძღვის და გზას არ უჩვენებს. მამელუკნო, სხვათა შორის, ჩვენს საერთო ღირსებას ის შეადგენდა, რომ ვიცოდით ღირსეული წინამძღოლის არჩევა... ჩვენ სრულებით არა გვჭირია ანგარიში ან ხათრი გავუწიოთ ვინმეს ჩამომავლობას და გვარიშვილობას! პირადი ღირსება: ჭკუა, სიმამაცე და მამელუკთა ერთგულება — აი რას ვეძებთ ჩვენ მეთაურში. მოგეხსენებათ, დღეს გლოვობს მამელუკთა მხედრობა. წინასწარმეტყველმა ინება და სახელოვან სარდალ, თავდადებულ მამელუკს, ფიბის მაზრის გამგეს, ბაგირ-ბიის ზეცად მოუწოდა. ახლა მისი სული იმქვეყნიურ სიტკბოებაშია. მარად ქალწულ გურიებთათანა განიხარებს მისი განახლებული არსება. ჩვენ კი, აქ დარჩენილთ, დიახ გვესაჭიროება მისი მაგიერი სარდალი. მამელუკნო, უნდა ავირჩიოთ განსვენებულის ბაგირ-ბიის მოადგილე. დაასახელეთ, ძმანო, ღირსეული კაცი. იყოსმცა მფარველი ჩვენი დიდებული ალლაჰი და მისი წინასწარმეტყველი, სანამ ეს მუდამ ფირუზისფერი უღრუბლო ცა ეგვიპტეს დაჰყურებს და სიგრძე-სიგანე განუზომელი ნილოსი მასაზრდოებელ ტალღებს უძირო ზღვისაკენ მიაქანებს! დიდება ალლაჰს, მოწყალესა და შემწყალებელსა ჩვენსა! — ისევ ხელების მაღლა აპყრობით დაათავა ომერ-ბიი-საიდმა.

— დიდება ალლაჰს! — დაიგრიალა მხედრობამაც.

ცოტა ხანს ჩუმი ჩოჩქოლი შეიქმნა. „სულ-ერთია... იმან... კარგია... თქვას...“ — ისმოდა კანტი-კუნტად ხალხში.

— მამელუკნო! — გაისმა მკექავი ხმა და ერთი შავტაიეოსანი ჭაღარა მხედარი დაწინაურდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მამელუკნო, ოცი წელიწადი გავიდა მას აქეთ... მაშინ... ეხ! მეც ჯეილი ვიყავ. სეუტელებმა ხარკის მოცემა მოგვისპეს. გამარეები და სხვა შავკანიანთა თემები მოიწვიეს და ჩვენი გამკლავება განიზრახეს. მათ წინააღმდეგ ორი ათასი მხედრობა გაიგზავნა. მეც მათში ვერიე. სეუტის ალყა შემოვარტყით, გვინდოდა ერთი დაკვრით აგვეღო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი შესასრულებელი შეიქმნა, როგორც გვეგონა. ურჯულომ ჩირან-ბეიმ, შუბოსანთა წინამძღოლმა, ჩვენ მარცხენა ფრთას შემოუარა და სეუტის გალავანსა და ოღროჩოღრო კლდეებს შუა მოგვამწყვდია. ჩვენმა ცხენებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, გალავნიდან კი ცეცხლსა და ქვას წვიმასავით გვაყრიდნენ. მწარე გასაჭირი გვადგა. მამელუკნო, ვინ შეახტა მა-

შინ მარჯვედ მტრის გალავანს, მარჯვნივ და მარცხნივ აკაფა მტერი? გმირს სხვებიც უკან მიჰყვნენ, ციხეში შეიჭრნენ, კარი გაგვიღეს და გაგვამარჯვებინეს. იმ მამელუკმა მაშინ ასისთაობა მიიღო. ის ვინ იყო?

— მახ... მუტ! მახ... მუტ! — დაიგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო!—გაისმა ხმა ცხენოსანთა მეორე მხრიდან და ეიღაც წითური, შესაზარი შესახედაობის კაცი დაიძრა. უშველებელი ულაყი ცხენი მხედრის ქვეშ ბორგავდა, თავს აკანტურებდა და საჯირითოდ მიიწევდა. ჯარმა გზა უტია და მხედარი წინ წარსდგა.

— ეგვიპტელნო, ძმებო და თანამოაბჯრენო, მეც მომისმენთ. ეს მშვენიერი, ვიწროდ და გრძლად გაჭიმული წალკოტი ამ ვერან და ხრიოკ უდაბნოს შორის, ვით მწვანე ფირუზი კლდის ნაპრალში გდებული, ეს ძველთაძველი ჩარდახებით, ტაძარ-გალავნებით, უზარმაზარ წოწლოკინა სასაფლაოებით, ეს ვაზით, ფინიკით და ხორბლით გალაღებულ-გაპოხიერებული ქვეყანა — ეგვიპტე, დიდებულმა წინასწარმეტყველმა, ჰოი, მამელუკნო, ჩვენს ხმალს და ჩვენს დროშას დაუმორჩილა! ზლაზვნით მიგორავს ნილოსი, მიაქვს ქვეით ჩვენი ამბები, რომ განუზომელ ზღვას და იქიდან მთელ ქვეყანას ამცნოს და გააგებინოს ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი ერთობა და ჩვენი შეუდრეკელი გამბედაობა. სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა? პაპას ვერ მიქებს დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს! მე არც კი ვიცი, ვინა ვარ, სადაური ვარ, მხოლოდ ვიცი, რომ მამელუკი ვარ! ხმალი ჩემი — დედ-მამაა ჩემი, მკლავი ჩემი — სიმტკიცეა ჩემი, თქვენთან, ძმებო, შეურყეველი კავშირი — გამარჯვებაა ჩემი...

— ვაშა, ვაშა! — გრიალებდა ჯარი.

— სრულებით ვეთანხმები ჩვენს მბრძანებელს, მეთაურს და მასწავლებელს ომერ-ბიის, — გააგრძელა წითურმა კაცმა, — რომ კარგ მეომარს კარგი მეთაური სჭირია. უშიშარი და გამბედავი მეთაური ტოლია მთელი მხედრობისა! მახსოვს და ბევრს თქვენთაგანსაც ახსოვს, სულ ათი წლის საქმეა, ასუანთან მოგვიხდა ბრძოლა. ზანგები ყიჟინით და კბილის კრაჭუნით წამოიშალნენ ჩვენზე. ჩვენც მედიდურად ვეკვეთეთ. ჩვენი ხმალთა ელვა-კაშკაში მზის სხივებს ეცილებოდა. ხელჩართული დიდხანს გაგრძელდა. უთვალავი მტერი, კალიასავით მოზღვავებული, წინ მოდიოდა. ათასი ვძლიეთ, ორი სხვა აღმოჩნდა. ისიც გავანადგურეთ, ხუთი კიდევ მოზღვავდა. დაიქანცა, შედრკა ჩვენი მხედრობა. თითქოს გვღალატობს ბედიო, ოდნავ განზე გადიხარა ჩვენი ამაყად მოფრიალე დროშა. მკლავში

ტკივილი ვიგრძენ, ხმლის ტარს ხელი ვერ მოვუჭირე... ხელისგულზე დავიხედე, წითელი ზოლები შევამჩნიე... ჩვენიანების გულზვიადი ურთიერთის გამხნევება ყურთასმენას არ მიტკბობდა. შევიხედე, ჰოი, თვალები დამიდგეს! მამელუკთა მხედრობის სიამაყე, სწორუპოვარი სარდალი ბათირ-ბიი ზანგის შუბით განგმირული ცხენიდან ჩამოეშვა... შევკრთით, დავძაბუნდით. ერთი წამი და მტრისთვის ზურგი უნდა გვეჩვენებინა. მამელუკნო, გახსოვთ ასისთავი, ხმამაღლა რომ შეჰკივლა? ისეთ ხმას მხოლოდ მაღალი მთის მწვერვალზე მობინადრე არწივები გამოსცემენ ხოლმე. ხმალი შეათამაშა და, ვით შავარდენი მტრედთა გუნდში, მტრის რაზმში შეიჭრა. ჩვენები გამხნევდნენ, შურდულივითი უკან დაედევნენ, მტრის ჯარი შუა გააპეს, სძლიეს და ჩვენი დროშა კვლავ ამაყად აფრიალეს. ვინ იყო ის ასისთავი?

— მახ... მუტ! მახ... მუტ! — იგრიალა ჯარმა.

— მამელუკნო! — გაისმა მესამე ხმა, — ფიბის ნანგრევების კკემოთ ჩვენი რაზმი იდგა. გარს მტერი ერტყა, ატბართა და ჰოტენტოტთა თემები შოას ნეგუსის, ჩვენი დაუძინებელი მტრის ალედით ზურგგამაგრებულნი, ჩვენზე თავხედურ იერიშს ლამობდნენ. ჩვენდა სამარცხვინოდ, აწ უკვე განსვენებულმა სალირ-ბიიმ (ალლაჰ, იქ მაინც ნუ მოაკლებ სახელსა და ხეტარებას), ვერც ერთი მხრივ შეტევა ვერ გაბედა. მტერმა თითქოს იგრძნო ჩვენი გაზურგება, რკალივით შემოგვერტყა და ისე შეგვაეწროვა, რომ გასაქანი არა გვქონდა. ოერში ერთი: ან იარაღი უნდა დაგვეყარა, ან მტერი გაგვერღვია. მაშინ ვინ იყო, მამელუკნო, რომ დაიძახა: ჩემთან, ძმებოო! ტაიჭი გააქანა და ჰოტენტოტთა მეთაურს, გუთხარ-ხათუს ხმალდახვალ ეძგერა და ერთი დაკვრით თავი გააგდებინა?

— მახმუტ! მახ...მუტ! — იგრიალა ჯარმა.

ბოხუცი ომერ-ბიი-საიდი კვლავ გალავნის მოაჯირზე გადმოდგა. თან სხვა ბიიები ახლდნენ.

— დიდება ალლაჰსა, გამჩენსა და მწყალობელსა ჩვენსა,—ხელაპყრობით წარმოთქვა მან. — საქმე გამორკვეულია. ხმა ერისა და ხმა ხვთისა! სურს შენზე მონდობილს მამელუკთა მხედრობას და იქმნას ასე: გვყავს მახმუტ-ბიი, ძმა და თანამოაბჯრე ჩვენი.

ჯარის მხიარულ კიჟინს დასასრული არ უჩანდა. ომერ-საიდმა მოოქრული ხმალი მოიხსნა და ხელში დაიჭირა. დააცადა, სანამ ჯარი დაწყნარდებოდა, და მერე ხმამაღლა დაიძახა:

— მახმუტ-ბიი!

ჯარში ჩუმი ჩოჩქოლი შეიქმნა.

ცოტა ხნის შემდეგ რაზმმა გაიწ-გამოიწია, გზა უტია და გამოჩნდა ერთი ახოვანი, კარგა აჭაღარავებული ვაჟკაცი. ის ოქროსფერ ბედაურზე იჯდა, აბრეშუმის ჭრელი ხალათი ეცვა და თავზე წითელი ქუდი ეხურა. ტიპიური, ოდნავ ხუჭუჭა წვერ-ულვაში, მოგრძო ცხვირი, ზომიერი თუალები და თეთრი პირის კანი ეჭვში თუ შეიყვანდა კაცს, რომ მაღალ ხარისხზე არჩეული მამელუკი შთამომავლობით არც ოსმალო იყო და არც არაბი, თორემ სხვაფრივ წმინდა წყლის მაჰმადიანსა ჰგავდა.

მახმუტს სახეზე აღელვება ეტყობოდა. მან კოხტად მოახტუნა ცხენი და გალავნის ძირს შეჩერდა. ბედაური კი არ ისვენებდა, კიშმიშზე დგებოდა.

— ჰა! — დაიძახა ომერ-საიდმა და ხმალი ისროლა. ყვითლად შეიკაშკაშა მზის სხივებზე ოქროთი მოჭედილმა მრუდე ქარქაშმა.

მახმუტ-ბიიმ ხმალი დაიჭირა.

კვლავ იგრიალა ჯარმა და მახმუტ-ბიის ფუტკარივით გარს შემოეხვია.

XV

ქაირის ფირუზის სასახლეში ყველა ოცდაოთხივე ბიი შეკრებილიყო.

ომერ-ბიი-საიდმა, მეთაურთ-მეთაურმა, დიდად აღელვებულმა და აღშფოთებულმა, კრება გახსნა.

— წარჩინებულნო, წინამძღოლნო! — მიმართა მან ბიიებს. — უკვე გაგონილი გექნებათ, რა მოულოდნელი და არასასიამოვნო ამბავი მოგვივიდა. ალექსანდრიაში უკვე გადმოუსხამს თავისი ლაშქარი ფრანგთა ფაშათ-ფაშას ნაპოლეონ ბონაპარტეს და გაჩქარებით მოდის თურმე ჩვენკენ საომრად. გვიახლოვდება მტერი ძლიერი, მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ-გამოწვრთნილი, მტერი ბრწყინვალე გამარჯვებით გულ-გაზვიადებული და გაამაყებული. რა უნდა გითხრათ, მამელუკნო, სიყრმიდანვე ბრძოლას ჩვეულნო? ძლიერი მტერი მოდის. პასუხი ერთადერთია: გალესილი მახვილი უნდა დავახვედროთ, მამელუკნო! დასამალი რა არის, შინაც არა გვაქვს მტკიცედ საქმე. ფელახებში დიდი მოძრაობაა, თურმე. ზოგნი ფრანგთა ტანმოკლე ფაშათ-ფაშას ჩვენზე გამარჯვებას წინდაწინვე დღესასწაულობენ — იქნებ გვეშველოს და მამელუკთა ბატონობას ბოლო მოეღოსო, ამბობენ, თურმე. მაშ, მსწრაფელი მზადება, მამელუკნო, ჭკვიანი თადარიგი, მედგარი დახვედრა, სახელოვანი სიკვდილი...

ბიეებმა სულგანაბულად მოისმინეს თავიანთი წინამძღოლის სიტყვები. ყველანი გრძნობდნენ საქმის არაჩვეულებრივ სირთულეს.

— ვერ გამიგია, — დაარღვია სიჩუმე ყველაზე უფრო ახალგაზრდა ასლან-ბიიმ, — რისთვის მოდის ტანმოკლე ფაშათ-ფაშა ჩვენზე? რა უნდა ჩვენგან? რა დაგვიშავებია მისთვის? სად ჩვენ და სად საფრანგეთი. მასთან და მის ჯართან თავის დღეში შეტაკება არ მოგვსვლია. საიდან მოგვწვდა ამ სიშორეზე?

— ადვილი ასახსნელია, ჩემო ასლან, — მიუგო სალეკ-ბიიმ, გრძელწვერა, ჭაღარა კაცმა, — ფაშათ-ფაშას ახლომახლო უცხო ტომთა ჯარები დაუძლევია და ახლა უკვე მოხვეჭილი სახელის შარავანდედის მოსაფენად ჩვენკენ გამოილაშქრა. ეს ხომ ყველა გულადი მეომრის თვისებაა.

— რა ვუყოთ, მობრძანდეს, აგერა ვართ, — თქვა ხაირ-ბიიმ, პირმოპარსულმა, შავ-შავმა კაცმა.

— ეს ხომ ასეა, აბა, სად უნდა გავექცეთ? მამელუკს სიკვდილის როდის შეშინებია, მაგრამ საქმე ისაა, ყოველ გალაშქრებას და, მით უფრო, გალაშქრებას ასეთ შორეულ ქვეყანაზე, რაღა პატივსადები მიზეზი უნდა ჰქონდეს. მე მგონია, უმიზეზოდ არც ეს გალაშქრება უნდა იყოს. ხომ მოდიოდა ამბები, მამელუკნო, ნაპოლეონ ფაშათ-ფაშა ინგლისელებზე აპირებს გალაშქრებასაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს მძიმე საქმე იმასაც ვერ გაუბედნია. ინგლისელებს შინ რომ ვერა დააკლეს რა, გარედან სურთ უკბინონ. ჩვენსკენ გამოლაშქრებით უნდათ ვნება მიაყენონ ინგლისელთა ვაჭრობას... მისი, ასე ვთქვათ... ალებ-მიცემობა შეაფერხონ, — ჩაერია ლაპარაკში ქილმა-ბიი, შეახნის თვალტანადი კაცი.

— ადვილი შესაძლებელია, ასეც იყოს, მხოლოდ ამ მიზეზთა გამოკვლევა ჩვენ ბევრს ვერაფერს შეგვძენს. წარმოვიდგინოთ. ამ წუთში გაჩნდა აქ თვით ტანმოკლე ფაშათ-ფაშა და თავისი პარით დაწვრილებით აგვიხსნა და განგვიმარტა, თუ რამ აიძულა. ჩვენსკენ გამოელაშქრა. მე მგონია, ამით საქმის მდგომარეობა ნამცეცისოდენად არ შეიცვლება, ჩვენი მდგომარეობა ამ მიზეზის ცოდნით სრულებით არ გაუმჯობესდება. თავი და თავი მიზეზი, რაც ყველამ უკვე ვიცით, მაინც უცვლელი დარჩება — ბიეი ვარ და მოვდივარ, ბიეები ხართ და დამხვდითო, გვეუბნება ის კაცი, — თქვა მახმუტ-ბიიმ.

— დავხვდებით, — წამოიძახეს ბიეებმა და ოქროთი მოქედილ ალებზე ხელი იტაცეს.

ელვის სისწრაფით მოედო მთელ ეგვიპტეს ფრანგთა შემოსევის

ამბავი. ყოველი მამელუკი, ვისაც ტანის განძრევა შეეძლო, საბრძოლველად მოემზადა. რაც ჯარი ჰყავდათ, სულ საბრძოლველად გაიწვიეს. მამელუკები კარგად გრძნობდნენ, რომ საქმე ჰქონდათ არა იმ ნახევრად ველურ აფრიკელებთან, ვინც უთანასწორო ბრძოლაშიც არა ერთხელ სახელოვნად დაუმარცხებიათ, მათ წინააღმდეგ მოდიოდა მთელ ქვეყანაზე განთქმული, იმ დროის მიხედვით საუკეთესო თოფებით და ზარბაზნებით შეიარაღებული, ევროპის შიშის ზარის დამცემი დიდებული ნაპოლეონ ბონაპარტე. მამელუკებს კი ზარბაზნები თითქმის არ ჰქონდათ. ისინი ნაქები იყვნენ, როგორც ცხენდაცხენ ხმლით მეომრები. სიკვდილის არ ეშინოდათ და ბრძოლაში შეუდარებელ სიმამაცეს იჩენდნენ, მაგრამ ხმალი ზარბაზნის წინააღმდეგ, რაც გინდა მამაც კაცს ეჭიროს ხელში, მაინც სუსტი იარაღია. მამელუკები ძლიერ კარგად გრძნობდნენ, რომ ახლანდელს გამარჯვება-დამარცხებაზე იყო დამოკიდებული მათი ბატონობა ეგვიპტეში და შეიძლება მთლად მათი არსებობაც, ამიტომ გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ძალ-ღონით დახვედროდნენ მოულოდნელ საშიშ მტერს.

ბონაპარტემ გადმოსხა თუ არა ჯარი გემებიდან ქალაქ ალექსანდრიაში, პირდაპირ ქაირისკენ გაემართა.

ქალაქი ქაირი დედაქალაქია ეგვიპტისა. არაბულად მისი სახელია მაზ-ულ-კახირა, რაც ნიშნავს ძლევამოსილს. გაშენებულია მდინარე ნილოსის მარჯვენა ნაპირზე. ქაირი დაარსებულია მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ არაბთა სარდლის ამრუ ფოსტატის მიერ. შემდეგ მეათე საუკუნეში სარდალმა გოჰარმა ძველი ქალაქის მახლობლად ახალი ქალაქი გააშენა. შემდეგ ორივე ქალაქი — ძველი და ახალი — შეერთდა. ქაირის ირგვლივ ძველ ეგვიპტელთა ოდესმე დიდებული და აწ უკვე დამარხული კულტურის ნაშთები ახვევია. ქალაქიდან სამხრეთით ათიქ-თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე მოჩანს ძველ ეგვიპტელთა სატახტო ქალაქის მემფისის ნანგრევები, ჩრდილოეთით კი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ძველ ქალაქის ჰელიოპოლისის ნანგრევებია, ხოლო დასავლეთით, მდინარე ნილოსის გაღმა ათი-თხუთმეტი კილომეტრის მოშორებით, ხრიოკ უდაბნოთა მიჯნაზე, ამართულია სამი უზარმაზარი, თავწოწლოკინა შენობა, ეგრეთ წოდებული პირამიდები, აშენებული ორი ათას ხუთასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე. ამ შენობებს თავისი სიდიადით დღემდე განცვიფრებაში მოჰყავს კაცობრიობა. ყველაზე უფრო დიდს — ქეოპსის პირამიდს, მაგალითად საძირკველთან,

სიგრძე აქვს 227 მეტრი, ამდენივე სიგანე. ხოლო სიმაღლე 137 მეტრი.

სწორედ ამ პირამიდების ცოტა ჩრდილოეთით, პირამიდებისა და მდინარე ნილოსის შუა, დარაზმდნენ საბრძოლველად გამზადებული მამელუკები. ჭრელი ხალათები ჩაიცვეს, ბედაურებზე შესხდნენ, მრუდე ხმლები გალესეს და, გამოჩნდა თუ არა ფრანგთა ჯარი, თავგანწირულად ეკვეთნენ.

მახმუტ-ბიის განკარგულებაში იყო ხუთი ათასი მეომარი. ის სარდლობდა ჯარის მარცხენა ფრთას და ეჭირა ადგილი მდინარე ნილოსის ახლო. მას წილად ხვდა შეტაკება ფრანგთა ცხენოსან ჯართან. ფრანგთა კავალერია პირველად, ცოტა არ იყოს, მოუხეშავად იქცეოდა. მამელუკთა ჭრელი ტანისამოსის დანახვაზე ფრანგთა ცხენები დაფრთხნენ და აირიენენ. ამით ისარგებლა მახმუტ-ბიიმ, ბედაური წინ გააგდო, იშიშვლა ხმალი და ათასი მეომრით ფრანგთა კავალერიის შუაგულში შეიჭრა. მახმუტს განზრახვა ჰქონდა ფრანგები შუა გაერღვია, ერთი ნაწილი როდას კუნძულის ბოლოს, მდინარის მოსახვევთან მოემწყვდია, ახალი ძალები მიესია მათთვის და გაენადგურებინა. ნილოსის ლერწმოვან და ჭაობიან ნაპირებზე ფრანგთა ცხენები, ადგილმდებარეობას უჩვეულო, ფეხს ვერ მოიმაგრებდნენ და საჭირო სიმარდეს ვერ გამოიჩენდნენ. ამ მოსაზრებით შეუტია ასე ცხარედ მახმუტმა.

ფრანგები თითქოს მიუხვდნენ მახმუტ-ბიის განზრახვასაო, ცხარე შეტევაზე ცხარედვე არ უპასუხეს, პირიქით, უკან დაიწიეს; იმავ დროს შეეცადნენ არ არეულიყვნენ, შემტკიცდნენ და თავიანთი მთავარი ჯარისაკენ ალმაცერად გაიწიეს. ფრანგთა შუაგულ ჯარში კი ზარბაზნები ქუხდა და გრგვინავდა.

მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ-გამოჯეჯილმა მახმუტ-ბიიმ პირველ შეტაკებისთანავე შენიშნა, რომ საქმე ჰქონდა ჯერ მისთვის უნახავ და უცნობ წესრიგთან. ფრანგების ყოველ მოძრაობას, ყოველ ფეხის გადადგმას ეტყობოდა მოფიქრება, მდგომარეობის წინდაწინ აწონ-დაწონვა, აუჩქარებლობა და სასტიკი დისციპლინა. მამელუკთა ყოველ შეტაკებაზე ისინი მწყობრად უკან იხევდნენ და მსწრაფლ მოქნეულ ხმლებს აუჩქარებლად, მაგრამ საოცარი ოსტატობით იგერიებდნენ.

— ხასან! — დაუძახა მახმუტ-ბიიმ მის გვერდით მებრძოლს ერთ-ერთს ასისთავს. — ხომ ხედავ, შვილო, რომ ჩვენ წინ ზანგები, ან კორდოფანელები არ არიან! ხომ ხედავ, რა ოსტატურად იგერიებენ ჩვენ შეტევას, როგორ ცოტ-ცოტად გვიტყუებენ თავი-

ანთ მთავარი ძალებისაკენ? აბა, ჩქარა გაიქე ასლან-აღასთან: ათასი კაცით საჩქაროდ ნახიდარისაკენ გავარდეს, გიზეხის ქვემოთ ლერწმოვანთან ჩასაფრდეს და ელოდეს ჩემს განკარგულებას. მე მახმუტი არა ვყოფილვარ, თუ ფრანგებს მათი ეშმაკობა თავზე არ დავატეხე.

ხასანმა ცხენი მოაბრუნა, მათრახი შემოჰკრა და გავარდა.

მახმუტ-ბიიმ ჯარს უკან დახევა უბრძანა. დაიხიეს. ახლა კი ფრანგებმა შემოუტიეს. მათი ცხენებიც მიეჩვივნენ მამელუკთა ჭრელ ტანისამოსს, იმ ზომამდე არ ფრთხებოდნენ, კიშმიშზე აღარ დგებოდნენ. მახმუტმა ჯარს კიდევ უკან დახევა უბრძანა. ფრანგები სქლად მოაწვნენ. მახმუტმა პირი იბრუნა და ჭენებ-ჭენებით უკან დაიხია. ფრანგები დაედევნენ. ორას ნაბიჯამდე გაირბინა მახმუტმა და მერე სწრაფად მოტრიალდა და შეუტია. ფრანგები ამას აღარ მოელოდნენ, თავი ვეღარ შეიმაგრეს და დაიქსაქსნენ. მახმუტმა მედგარი იერიში მიიტანა, ფრანგთა კავალერია გაარღვია, რამდენიმე ასი კაცი დანარჩენ ჯარს მოჰგლიჯა და ნილოსის ნაპირისაკენ გაირეკა. სამხრეთ-აღმოსავლეთით ტრიალი მინდორი მოსჩანდა, მაგრამ ფრანგები იქით გაქცევას მოერიდნენ. ჩრდილოაღმოსავლეთით ბუჩქნარი და ლერწმოვანი იყო. რაღაც მოსაზრებით აქით უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს ფრანგებმა თავის შეფარება და კიდევაც გაქუსლეს ცხენები.

მახმუტ-ბიისაც ეს უნდოდა. სწორედ აქ იყო ჩასაფრებული ასლან-აღა. ასლან-აღა საფარიდან გამოვიდა, ათასი ახალი ჯარისკაცით გაქცეულ ფრანგებს გზა გადაუღობა, უკან კი ფეხდაფეხ მახმუტი მისდევდა.

სწორედ ორ ცეცხლს შუა ჩავარდა ფრანგების რაზმი, მაგრამ არ შედრკა, არ დაიბნა, ორად გაიყო. ერთმა პირი უკან იბრუნა და მახმუტის რაზმს შეუტია, ხოლო მეორე ასლანის რაზმს შეებრძოლა. შეიქმნა საზარელი უთანასწორო ჟლეტა. ფრანგთა მომწყვდეული რაზმი ყოველ წუთობით თხელდებოდა, მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ იდგნენ და თამამად იბრძოდნენ. მახმუტმა ახლა მთელი თავისი ძალა შემოიკრიბა და ფრანგთა მთავარ კავალერიას მიუსია, რომ მომწყვდეულებთან კვლავ შეერთებისათვის ხელი შეეშალა. თქმა არ უნდა, ნახევარ საათს მაინც თუ გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა, ფრანგთა რაზმი უკანასკნელ ჯარისკაცამდე ბრძოლის ველზე დაწვებოდა. მაგრამ აი იგრიალა ზარბაზანმა. უშველებელი ყუმბარა მახმუტ-ბიის შორიახლო გასკდა და რამდენიმე მეჩელუკი იქვე გააგორა.

ტანმოკლე ფაშათ-ფაშას, თურმე, არ ეძინა. მისი არწივისებური თვალები ყველაფერს ხედავდა, მისი გამჭრიახი, არაჩვეულებრივი გონება ყოველგან იყო. კავალერიის ზიანი რომ შეამჩნია, საჩქაროდ ზარბაზნები და ქვეითა ჯარი მიაშველა.

ზედიზედ დაიქუხა ზარბაზანმა და ოციოდ ახალი მსხვერპლი შეიწირა. „რა ყოჩაღად უმიზნებენ ეგ სახეძაღლები", — გაიფიქრა მახმუტ-ბიიმ და თავის მხრივაც შეუტია.

მაგრამ, აი, გაისმა ბარაბნის ხმა და მომწყვდეულთა საშველად წამოსული ხიშტიანი თოფებით შეიარაღებული ქვეითი ჯარიც გამოჩნდა.

ახლა კი მამელუკთა რაზმი შეიქმნა მომწყვდეული, სწორედ ის რაზმი, სადაც თვითონ მახმუტ-ბიი იმყოფებოდა.

— ხასან, ეს ქვეითა ჯარი რა ჯურის ხალხია, მწვანე მაუდის, ყვითელ გრეხილშემოვლებული მოკლე ტანისამოსი რომ აცვიათ, წმინდა წყლის ფრანგებს როგორღაც არ გვანან? — დაეკითხა მახმუტ-ბიი თავის ასისთავს.

— ესენი ვენეციელები უნდა იყვნენ. ვითომ მივცეთ გზა და მერე მათ მარჯვენა ფრთას შევუტიოთ?

— რას ამბობ! ალლაჰმა დაგვიფაროს, ჯერჯერობით, რაც უნდა მოგვივიდეს, უნდა გავმაგრდეთ და მერე ან სიცოცხლე, ან სიკვდილი. ახლა ყოველი ლონე უნდა ვიღონოთ, რომ ქვეითა ჯარი მომწყვდეულ ცხენოსნებს არ შეუერთდეს, თორემ ხომ ტყუილუბრალოდ დაიკარგა ჩვენი შრომა. გავუძლოთ როგორმე, მივცეთ ასლან-აღას შეძლება ის რაზმი გაანადგუროს... სახსოვრად მაინც დარჩება... ყოჩაღ, ასლან-აღა! ჩინებულად იბრძვის! მეოთხედი საათი თუ დასცალდა, იმ პირმოპარსულ, ქუდზე ცხენის ძუა გარეკილ ფრანგებს სათითაოდ ამ ველზე გამოსჭიმავს. ეს თუ მოხერხდა, მერე ასლან-აღაც ჩვენ შემოგვიერთდება და თავგანწირვა... სიკვდილი... ჩემო ხასან!..

ქვეითა ჯარს აქა-იქ ცხენოსნები მოსდევდნენ. ტანსაცმელზე ეტყობოდათ, რომ ისინი ასისთავები უნდა ყოფილიყვნენ. ერთმა მათგანმა, შუახნის ლამაზმა კაცმა ზურგს უკან გადაკიდებული თოფი საჩქაროდ მოიმარჯვა და მახმუტ-ბიის თვალწინ ერთი მამელუკი მიწაზე უსულოდ გააგორა. თოფი საჩქაროდ ისევ ზურგს უკან გადიგდო, მარჯვედ ხმალი იშიშვლა, რაღაც დაიყვირა და საიერიშოდ წამოვიდა.

— ახ, გიაურ, არ შეგარჩენ, იცოდე! — დაიძახა მახმუტ-ბიიმ, მიზანში ეს ასისთავი ამოიღო და პირდაპირ მისკენ მიიწია.

მახმუტ-ბიის ერთი პატარა მათრახი ჰქონდა. ამ მათრახს ხელიდან არ იშორებდა, მუდამ ხმლის ქარქაშზე ეკიდა. ეს მათრახი ხათუმის თებთა ერთ-ერთმა მთავარმა უფეშქაშა. ტარი წმინდა სპილოს ძვლისა ჰქონდა, ხელმოსაკიდი კი ოქროთი მოჭედილი. რასაკვირველია, მახმუტ-ბიი ისეთ ბედაურზე იჯდა, რომ მათრახის დაკვრა არ ესაჭიროებოდა. მათრახს ატარებდა მხოლოდ როგორც სახსოვარს, მეგობრისგან მიძღვნილს. ცხენზე გაქნევ-გამოქნევის დროს, რაღაც მიზეზით, ეს მათრახი ქარქაშს მოშორდა და მიწაზე დავარდა. მახმუტმა ამას თვალი შეასწრო და ძლიერ ეწყინა. ჯანდაბას, რაღა დროს მათრახზე დარდიაო, გაუელვა თავში, მაგრამ გულმა ვერ მოუთმინა, საჩქაროდ ჩამოიწია ცხენიდან, მათრახს დააფრინდა, აიღო და ისევ უნაგირს ზედ მოექცა. აღშფოთებული მამელუკები გარს შემოერტყნენ.

— ვაიმე, მოგკლეს?.. განგგმირეს მაგ...—იძახდნენ მამელუკები...

— რა მოხდა? — გულგრილად დაეკითხა მახმუტ-ბიი.

— განა ტყვია არ მოგხვედრია ახლა? — ხმის კანკალით დაეკითხა ხასანი.

— ჯერ არაფერსა ვგრძნობ.

— როგორ? აქვე შენ უნაგირზე მტრის ტყვიამ გაიზუზუნა, შუა გახვრიტა და ჩამოგაგდო, გვეგონა.

— ჰაიტ! — დაიჭყივლა მახმუტ-ბიიმ. — ბედი ამასა ჰქვიან! ტყუილად კი არ მიყვარს ჩემი მათრახი! ჯერჯერობით ხომ სიკვდილს ამაცდინა... თუმცა სულ ერთია... საბედისწეროა დღევანდელი დღე... მამელუკნო, წინ... მომყევით! — დაიძახა მან და ვენეციელთა რაზმში ხმალამოწვდილი შეიჭრა. მოხდა საშინელი ხელჩართული შეტაკება. ორივე მხარე მშიერი მგლებივით ეძგერნენ ერთმანეთს. ცხენი, ხმალი, ხიშტი, კაცი ერთმანეთში აირია. მახმუტი თავგანწირვით იქნევდა ხმალს მარჯვნივ და მარცხნივ. მისი გამოცდილი ხელი ერთხელაც არ მოცდენილა.

ამ სასიცოცხლო შეტევის დროს მახმუტ-ბიის ისევ ის ვენეციელი ასისთავი მოელანდა. მახმუტმა დამბაჩას ხელი იტაცა, ვენეციელი მიზანში ამოიღო და მისკენ გაექანა. იმანაც შეამჩნია, ცხენი შეაყენა და უკან, თოფისკენ ხელი წაივლო, მაგრამ საჩქაროდ ისევ უშვა, ალბათ გატენილი არ ჰქონდა *, ცხენი მიაბრუნა და გაჰქუსლა. მახმუტ-ბიი გამოუდგა.

---

* მაშინ კაჟიანი თოფებით ომობდნენ.

„თითქოს მეცნობება! სადღაც მინახავს ეს კაცი!“ — ფიქრობდა მახმუტი, მაგრამ ვერ მოეგონა, თუ სად ენახა.

— მოითმინე, ყმაწვილო! შენ ბრძანდებოდი, რომ ჩემ თვალწინ ჯარისკაცი მომიკალ, მე მოგიკვდი, თუ სამაგიერო არ გადაგიხადე! — წაიბუტბუტა მახმუტ-ბიიმ, დამბაჩა გასინჯა და მარჯვე წამს ეძებდა, რომ ვენეციელი ასისთავი ნიშანში ამოეღო. მაგრამ ამ დროს მის ცხვირწინ ხიშტიანი ჯარისკაცი აიტუზა. ხიშტი აიქნია და მახმუტისათვის ბარძაყში უნდა ეთხლიშა. სხვა რა გზა იყო! მახმუტის უკვე ფეხზე შეყენებული დამბაჩა გავარდა და ჯარისკაცი იქვე უსულოდ ჩაიკეცა.

ასისთავმა ეს შენიშნა, საჩქაროდ ცხენი მოაბრუნა, ხმალი იშიშვლა და პირდაპირ მახმუტ-ბიისაკენ წამოვიდა. ორთავემ ანთებული თვალებით გაზომეს ერთმანეთი.

— ჰაიტ, გიაურ! — დაიძახა მახმუტ-ბიიმ და, სანამ ვენეციელი სმალს მოიმარჯვებდა, ელვის სისწრაფით მოქნეული ხმლით მკერდი გაუპო.

— **ვაი, ნანა!** — გარკვევით წამოიძახა მწარე კვნესით, ვენეციელის ხმალი ხელიდან გავარდა და ხის მოკრილი ტოტივით ნელნელა ცხენიდან ჩამოეშვა. ალისფერი სისხლით შეღება მისი მწვანე მაუდის კოხტად შეკერილი და ყვითელი გრეხილებით მორთულ-მოქარგული ტანისამოსი.

XVII

მახმუტ-ბიი გაფითრდა, მთელი ტანი აუცახცახდა. არც კი ახსოვდა, თუ რამდენი კაცი მოეკლა ბრძოლის ველზე ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ უბრალო მოვლენად გადაექცა, მაგრამ ასეთი სულიერი აღშფოთება ჯერ არ განეცადა.

„**ვაი, ნანა!**“ ჩასძახოდა მას ყურში რაღაც ხმა და ეს ხმა გულის სიღრმემდე სწვდებოდა და აშფოთებდა. შეირყა მთლად მისი არსება. იგი თითქოს უცბად მოსწყდა იმ სინამდვილეს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ირგვლივ თოფების ტკაცატკუცი, ხმლების ჩახაჩუხი, ზარბაზანთა გრიალი დედამიწას აზანზარებდა. მახმუტ-ბიის კი არაფერი არ ესმოდა. ის უძრავად, გარინდებული იჯდა ცხენზე და სულგანაბული, სულთმობრძავ ვენეციელს თვალს ვეღარ აშორებდა.

ახლა კი გაახსენდა მახმუტ-ბიის, თუ სად ენახა ასეთი კაცი. ეს თვალები, ეს ცხვირი, ეს შუბლი... ეს ხომ სალომეა! ეს წვერ-ულვაში, ეს ტუჩები ხომ რეზოსია!.. სწორედ ამნაირად, როგორც ახლა ეს მომაკვდავი, კრეჭდა რეზო კბილებს, როცა მას ოსმალები უწყალოდ მათრახს უშენდნენ... „ვაიმე!.. ვითომ ეს მათი შვილია?“.— გაუელვა თავში საშინელმა აზრმა. „შეუძლებელი რა არის?.. ღმერთო, რა საშინელებაა!..“ მახმუტ-ბიის გონებაში ელვის სისწრაფით გადაირბინა მისმა განვლილმა ცხოვრებამ, მოჩუხჩუხე, მუდამ ამწვანებული ტეხურის ნაპირიდან, ფართე, უზარმაზარი ნილოსის ნაპირამდე. გაახსენდა ბავშვობა, გაახსენდა სახლ-კარი, დედ-მამა, ძმები, მარკოზ ხუცესი, სალომე, რეზო... ნუთუ ეს ყოველისფერი ცხადი იყო?.. „ცხადია! ცხადია!“ — ეფუჩუნებოდა ყურში რაღაც ხმა. „დიახ, ცხადია! — სულ ყოველისფერი ცხადია!“ — პასუხს აძლევდა მეორე ხმა. „განა არ გახსოვს, ამ შორეულ ქვეყანაშიაც ბევრჯერ მოგგონებია ისინი! ბევრი ცხარე ცრემლი დაგიღვრია ცხადლივ თუ იდუმალ მათ გახსენებაზე. არ გახსოვს, ერთხელ ვიღაცამ, შენსავით მოტაცებულ-გაყიდულმა, ხელით გიჩვენა, თუ საითკენ უნდა ყოფილიყო შენი საყვარელი, ის შენთვის და შენ მისთვის სამუდამოდ ცოცხლადვე დამარხული სამშობლო. შემდეგში ხომ გულდამწვარი და თვალებაცრემლებული ბევრჯერ იყურებოდი იქით, გულმოდგინედ ათვალიერებდი ნილოსის გაღმა გაწიმულ, თვალუწვდენელ ხრიოკ უდაბნოს? თითქო გსურდა, ოღნავ მაინც გაგერჩია იმ უდაბნოს იქით ტყით შემოსილი სერები და მათ შორის შხუილით ჩამომდინარე ანკარა ტეხური. მაგრამ ამაოდ! ხრიოკი, კვლავ ხრიოკი! უდაბნო, კვლავ უდაბნო, ერთფეროვანი და უსიცოცხლო გზვდებოდა თვალებში! ხომ ბევრჯერ მოგსვლია ჭაბუკობაშიაც ფიქრი. ახ, ნეტავ როგორ ცხოვრობენ იქ, ცოცხალნი არიან თუ არა? სულ ყველანი როგორ დაიხოცებოდნენ... მე ვახსოვართ თუ არა?.. შენ კი გახსოვდა ყველა, გახსოვდა... ადამიანი კი არა, რამდენჯერ გაგხსენებია თქვენი ცხარედ მოყეფარი ძაღლი აშგერია და რქამოღუნული ვაცი ოჩაგა, რომელიც ყველა თხებს ურქენდა და ეჭიდებოდა... მაგრამ მიდიოდა დრო, წელიწადი წელიწადს მისდევდა... შენ შეეჩვიე ახალ ცხოვრებას... ბედმა გაგიღიმა... საუცხოო პირობებში ჩავარდი... არაფერი არ გაკლდა — კარგი გარეგნობა, სიმდიდრე, სახელი, სიამოვნება... ყველანი გაქებდნენ, პატივით გეპყრობოდნენ. ჩაგითრია ცხოვრების ახალმა პირობამ... განელო ბევრმა დრომ და ამ ხნის განმავლობაში ახალი ცხოვრების ტალღის დანალექმა დაჰფარა შენი გული, თუმცა გულის სიღრმეში

ერთი ბეწო რამ მაინც დარჩენილიყო, რაც ვერავითარმა დრომ, ვერავითარმა დანალექმა ვერ დაჰფარა და ვერ გააქვავა. ის „რა-ღაც“ ხანდისხან მოულოდნელად ამოძრავდებოდა, გაგახსენებდა ძველს, დამალულს, დავიწყებულს, საგრძნობლად გიკბენდა და სეფ-დით მოცულს დაგაფიქრებდა.

„ვაი, ნანა!“ ალბათ ჩურჩულებდა მომაკვდავის ოდნავ მოძრავი ტუჩები. ეს ხომ პირწავარდნილი რეზოა?.. ნუთუ? ღმერთო, რად დამსაჯე ამ ზომამდე! განა ჩემი ბრალია!.. ნამდვილი მაინც ვიცო-დე... ვითომ ყურმა მომატყუა? შეუძლებელია! „ვაი, ნანა!..“ — არ ცხრებოდა ხმა.

ვენეციელმა ერთიც გაიწ-გამოიწია, კბილები დააკრაჭუნა და გაშეშდა.

მახმუტ-ბიის თმა აებურძგნა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუა-რა. თავის გასისხლიანებულ ხმალს თვალი მოავლო, ტარს ხელი მოუჭირა და ნელა გადააბრუნ-გადმოაბრუნა. ბასრი რკინა მზის სხივებზე ელვარებდა; სისხლის ერთი პატარა ნაკადული ხმლის ყუის ღარს ჩაჰყოლოდა და ერთ ალაგას შემდგარიყო.

— მახმუტ-ბიი! ალლაჰ! ცოცხალი ხარ? — დაიყვირა ვილაცამ.

მახმუტი გამოერკვა. მის წინ სისხლში ამოსვრილი, ტანისამოს-შემოგლეჯილი მამელუკი იდგა. მისი აქაფებული ცხენი საცოდავად ქშინავდა. ველზე უთავბოლოდ ეყარნენ მკვდარი ცხენები, მამე-ლუკები, ფრანგები. ხმაურობა და ტკაცატკაცი პირამიდების მხრი-დან ისმოდა. მახმუტმა ახალმოსულს შეხედა, იცნო — ეს ათასის-თავი ახმეტი იყო, მაგრამ თავისი თავი კი ვეღარ იცნო. ორმოცი წლის დანალექი მისი გულიდან თითქოს ამ ერთ წამს გადაირეცხა, გასუფთავდა. ის უკვე მამელუკი აღარ იყო.

— მახმუტ-ბიი! — ათრთოლებით განიმეორა მამელუკმა, — რა ვქნა, მოჩვენებაა, თუ სიცხადე? კაცო, ცოცხალი ხარ? აქ ასე გა-ქვავებული რამ გაგაჩერა? ხედავ, გვძლევენ ფრანგები! ას-ლან-აღას რაზმი განადგურდა. შენი რაზმი სადღაა? ომერ-საიდმა შენს საძებნელად გამომგზავნა, საჩქაროდ გვიბარებს, — მოუთმენ-ლად ამბობდა ათასისთავი.

მახმუტ-ბიი თითქოს დამუნჯდაო, გარინდებული იყურებოდა. ათასისთავს უაზროდ შემოხედა და მერე ისევ ვენეციელის გაციე-ბულ გვამს დააჩერდა.

მოისმა ცხენების თქარათქური და ათიოდ მამელუკი მოიჭრა. ზოგი მათგანი ათისთავი იყო, ზოგი ათასისთავი.

— მახმუტ... აქა ხარ?.. ეს რა ამბავია? ახმეტ, აქ რას უდგა-

ხარ?.. დავიღუპეთ! ტანმომცრო ფაშათ-ფაშამ ჩვენი გვარდია გაანადგურა... ომერ-საიდმა გმირულად თავი შესწირა მამელუკთა სახელს! მახმუტ, კაცო, ბიიები შენ გეძებენ, არ იციან რა ქნან, როგორ მოიქცნენ! ფრანგები გარს გვერტყმიან, ყოველ წუთს უბედურობაა მოსალოდნელი! — სხაპასხუპით აყრიდნენ მამელუკები.

მახმუტი სდუმდა. ბიის გონებაში სულ სხვა სახეები, სულ სხვა პირები იხატებოდნენ.

— იქნებ დაკრილია? — შენიშნა ერთმა.

— კაცო, რას გაჩერებულხარ? — მედგრად დაეკითხა ახმეტი.— ვერ გაბიგია, რას დასჩერებიხარ ამ გიაურის ლეშს! ახლა ნახე? ვენეციელი ასისთავია, ვიღაც ძაღლი ძაღლურად ჩაძაღლებულა!

— ვინ არის ვენეციელი? — დაიძახა მახმუტ-ბიიმ და თვალები კაკლის სისხო გაუხდა. მამელუკებმა ერთ-ორი ნაბიჯი უკან დაიხიეს.

— ალლაჰ! ალლაჰ! რა ამბავია, მახმუტ, შენ თავს? — გაოცებით წამოიძახეს მამელუკებმა.

— ეს ისეთი ვენეციელია, როგორც მე არაბი! — ხმას აუწია მახმუტ-ბიიმ.

— ალ...ლაჰ! ალლაჰ! წინასწარმეტყველო, შენ დაგვიფარე! ხომ არ შეშლილა ნეტავ? — ჩაილაპარაკა ერთმა.

— შენს წინასწარმეტყველსაც და შენს ალლაჰსაც... სად არის ან ერთი, ან მეორე?! უსამართლობაა ქვეყნის ალლაჰი და ძალმომრეობა მისი წინასწარმეტყველი! — დაიჭექა მახმუტ-ბიიმ.

შეშფოთებულმა მამელუკებმა კიდევ უკან დაიხიეს.

— მახ... მუტ?! — შეჰყვირა თავის მხრივ ათასისთავმა ახმეტმა, — ეს რა გვესმის? შენ რჯული დაჰგმე?.. მამელუკთა ფიცს ულალატე?!

— თქვენს რჯულსაც და თქვენს ფიცსაც...

— მახ... მუტ?! ეს რა ამბავია... იქნებ ფრანგების მოსყიდულია? შე მოღალატევ, შენა! — დაიძახა ერთმა ათასისთავმა ისმაილმა.

— ადვილი შესაძლებელია, — კვერი დაუკრეს სხვებმა.

— ერა ჰგავს თუ? ამისი რაზმი დაიქსაქსა, ეს კი სრულებით უვნებელი აქ გამოჩენილა...

— მაგრამ, გიაურ. არ შეგარჩენ იცოდე! — დაიყვირა ახმეტ ათასისთავმა და ხმალზე ხელი დაიდო.

მახმუტ-ბიი, თითქოს ამას ელოდებოდაო, ცქვიტად შეტრიალ-შემოტრიალდა უნაგირზე.

— არ იკადრო, ყმაწვილო, — მწარე სიცილით წარმოთქვა და

სანამ ახმეტ ხმალს ქარქაშიდან ამოიღებდა, უკვე შიგ კისერში უთავაზა ბასრი რკინა.

— ჰა, გიაურ! ჰა, მოღალატე! — წამოიძახეს მამელუკებმა და ხმლებზე ხელი მოისვეს.

ერთ ხანს ელავდა მზის სხივებზე სწრაფად მოქნეული ხმლები.

— **ვაი, ნანა!** — გაისმა მწარე კვნესა და სასიკვდილოდ დაჭრილი მახმუტ-ბიი ვენეციელ ასისთავის გვამს ზედ დაეცა.

ზარბაზნების გრიალი და თოფების ტკაცატკუცი ცოტ-ცოტად მიწყდა, სამაგიეროდ ბარაბნის და საყვირის ხმას დასასრული არ უჩანდა.

ფრანგთა ჯარი უზარმაზარ პირამიდის ირგვლივ მოგროვდა და გამარჯვებას დღესასწაულობდა.

საზარელ ბრძოლის ველზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი ერთმანეთს გადაჭდობილი გვამიც ეგდო, ერთს ძვირფასი არაბული ხალათი ეცვა, მეორეს ვენეციელი გვარდიელის მუნდირი.

ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე — ვენეციელი.

ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ.

მღვდელი და ღიაკვანი

(ნანყვეტი მივინყებული მოთხრობიდან)

I

მკათათვის საღამო იყო. ხშირი ტყით დაბურული ხევის დაკლაკნილ ბილიკზე მოწითალო ჯორი მითოხარიკობდა. ჯორზე ახალგაზრდა მღვდელი იჯდა. ახლად შეკერილი ანაფორის კალთები წელზე შემოეკრა, ხოლო ზოლებიანი კაბის კალთები კი ძირს დაეშვა, თავზე შავი მაუდის ქუდი ეხურა, ხელში მათრახს ნებანებაზე ატრიალებდა და თანაც რაღაც სიმღერას თუ გალობას მიღიღინებდა.

ახალგაზრდა პირისახე, ახალი ტანისამოსი და შეკრეჭილი თმაწვერი უმტკიცებდა, რომ მოძღვარი ახალი ნაკურთხი უნდა ყოფილიყო. სადმე უცხოეთში ჯორით მიმავალი მღვდელი, შეიძლება, საარაკო რამედ მოჩვენებოდათ, მაგრამ აქ, შუაგულ ოდიშში, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პირიქით, ადგილობრივ მკვიდრთ ვერც კი წარმოედგინათ, ჯორი უმღვდელოდ და მღვდელი უჯოროდ.

ერთ-ერთ მისახვევში ბილიკი აღმართ-აღმართ აემართა, ტყე შეთხელდა, მწვანე მინდორი გამოჩნდა, ძაღლის ყეფა მოისმა; ეტყობდა, ამ ადგილას ვიღაც მოსახლეობდა. მართლაც, სამხრეთით, აღმართს ოდნავ დაქანებული ვაკე მოსდევდა, და ამ ვაკეზე თხმელის წნელისაგან დაწნული მაღალი ღობე იყო გაყოლებული. ღობეს შიგნით, უკვე დატარული, მაღალი სიმინდი იდგა. სიმინდებ შორის მუვარტლისაგან გამურული ისლის სახურავის კუნჭულიც მოჩანდა.

ძაღლის ყეფაზე ჯორი შეკრთა, ყურები ცქვიტა და ჩვეულებრივი ჯიუტობით გან-განზე გაიწია.

— ჰო! ერთი შენებურად, არ მოიშალო! — გაუჯავრდა მხედარი, აღვირს მაგრა მოსწია, ჯორს დეზები შემოკრა, მათრახიც მიაშველა და ისევ სწორ გზაზე დააყენა.

—ნეტავი მომკლას, ყელი გამომჭრას ვინმემ, — მოისმა ვიღაცას მწარე ჩივილი, — ღობე სამ ალაგას გამოუნგრევიათ მაგ დინგმოსატეხებს. ღმერთო, მომკალი, ჩემი გაჭირვებული ცოლ-შვილი ამის შემყურე იყო, აღდგომის წითელი კვერცხივით მივეხაროდი: აი ახლა, აი ახლა მოგვასწრებს-მეთქი და შეხედე, რა მიყვეს მაგ შეჩვენებულებმა. ახლა რა მეშველება! რაღად მინდა ერთ ადგილას შევაკეთო, მეორე ალაგას უარესად გამოანგრევენ. რაკი ერთხელ იგემეს ჭყლინტი სიმინდი, უკანასკნელ ტარომდე ამიოხრებენ ეგ ჯვაპუს გასაქვაებლები.

ახალგაზრდა მღვდელმა მიიხედა. ღობესთან ჭაღარა შერეული კაცი იდგა, ფეხშიშველი, ძველთა ძველი, ათას ალაგას დაკონკილ ახალუხით, ერთ ხელში მსხვილი წნელი ეჭირა, მეორეში წალდი და წნელს თავს უსწორებდა. მღვდლის დანახვაზე კაცი ოდნავ შეკრთა და ტანზე მორცხვად დაიხედა.

— გამარჯობა შენი, ძმაო, — გრძნობით უთხრა მღვდელმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო, — იყო პასუხი.

— ეტყობა ღორებზე ჯავრობ, მეგობარო, ღობე ალბათ ღორებს გამოუნგრევიათ?.. აი მაგათ, — თქვა მღვდელმა და ჯორი შეაჩერა.

— დასწყევლის ჩემი გამჩენი მაგათ სახსენებელს! ღორი, ბატონო, რამდენად სასარგებლოა, ორი იმდენად მავნებელია, როცა კაცი საიმისოდ მოწყობილი არა ხარ. მაგათ მოსამტვრევ დინგს ფოლადის ღობეც ვერ გაუმაგრდება, მაგრამ დღემდე, როგორც იყო, ვდარაჯობდი. ვიცოდი მაგ წუწკების ხასიათი, რომ ჭყლინტ სიმინდზე სული მისდიოდათ. როგორც თქვენი ბედნიერი თვალით ხედავთ, ბატონო, ასეთი შემოსული სიმინდი ჯერ იშვიათია და მეც ამის იმედით ვიყავი. ხომ მოგეხსენებათ, მარტოხელა, ოჯახის პატრონი კაცის საქმე, მუდამ შიმშილი, მუდამ წყურვილი... და ეს საქმე დღეს არ მომივიდოდა, რომ გუშინ არ მოვეცდინე მაგ ჩემი ცოდვით ავსებულს.

— ვინ გაგაცდინა, მეგობარო? — დაეკითხა მღვდელი.

— ვინ, ბატონო, და, ხომ მოგეხსენებათ, დაბალი ღობე ადვილი გადასახტომია... გუშინწინ კარს მომადგა ჩვენი მამასახლისი. ბარცხენ ღელეზე ბოგირი შესაკეთებელია, პრისტავის მოწერილობა

ბაქვს, ვეეზ ნაჩალიკი მობრძანდება და უსათუოდ უნდა წაბვიდეო. რა ჩვენზე მოიცალე. მარტოხელაზე, სამნი-ოთხნი არიან, რატომ მათ არ ერეკები-მეთქი, ბაგრამ რას გავაწყობდი, ვის შესჩივლებდი, ქომაგი ვინ იყო, ძალა აღმართსა ხნავსო, იტყვიან, დავემორჩილე. წავედი. მთელი გუშინდელი დღე იქ ვიმუშავე, წუხელ შუაღამესას შინ მოვჩანჩალაკდი, დღეს ალიონზე ისევ იქ გავეშურე, გუშინ ვერ მოვათავეთ მაგ ოხრად დასარჩენი და შინ რომ მოვბრუნდი, აი, რა დამხვდა. ნუ გიკვირთ, ბატონო, რომ ასე ვწუხვარ. წრეულს მარტიდან მოყოლებული ჩემი სიცოცხლე შიგ ჩამიტოვებია, რამდენი ოფლი დამიღვრია! დამშეული ცოლ-შვილით ამას შევყურებდი.

— გასაკვირი არ არის, მეგობარო, — თანაგრძნობით უთხრა მღვდელმა, — განა არ ვიცი? შე კაი კაცო, მე სტამბოლელი ხომ არა ვარ... სამწუხაროა, ძლიერ სამწუხაროა, მეგობარო, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენო, რომ ეს შენი ღობე ძლიერ დაძველებულია. შარშანდელი გაკეთებული უნდა იყოს და მეორე წელიწადს მურყნის წნელის ღობე ალალი ბედია, საკვირველიც არაა. ღორის დინგს ვეღარ გაუძლოს.

— ოჰ! თქვენ პირს შაქარი, ბატონო, — მწარე სიცილით მიუგო გლეხმა. — ვინ ოხერს არ უნდა, რომ ქვიტკირის გალავანი ჰქონდეს ეზოს ირგვლივ შემოვლებული. არ იკითხავთ, მე ესეც როგორ მოვახერხე? რამდენი შრომა და ჯაფა გავწიე ამ ფუქსავატ მურყნის წკნელის შოვნაში? მართალია, ჩემი საცოდავი ქოხის და ეზოს ირგვლივ მშვენიერი მუხის და წიფელის ტყე შრიალებს, მაგრამ მე ერთი ტოტის მოჭრა არ შემიძლია. ის სხვისია, ბატონო. მე მხოლოდ ვუყურებ. ეს ეზოც ჩემი საკუთრება რომ იყოს, რაღა მიჭირს. ესეც სხვისია. თხუთმეტი წელიწადი იქნება, რაც აქ ხიზნად დავესახლე. ნაბატონარის მოხელემ ოთხი ქცევა მიწა მომიზომა. ერთი კაი ჯაკელა * ფეშქაშად იმას მივუყვანე მაშინ და ყოველ შობა-აღდგომას კიდევ მოსაკითხი მიმაქვს იმასთან. ბატონის სასარგებლოდ მიწის იჯარის ფული კიდევ სულ სხვაა.

მღვდელმა ვერა მიუგო რა. გლეხის გამხმარ, ჩაყვითლებულ და მწუხარე სახეს თვალი ვერ გაუსწორა და განზე მიიხედა. იქვე ხის ბირას შეამჩნია ორი ბავშვი ქალ-ვაჟი. უმცროსი ვაჟი სამი წლისა იქნებოდა. ტანზე სრულებით არაფერი ეცვა. მზისა და მტვერ-ტალახისაგან კანი თითქმის გაშავებოდა. მკუხე ხილის ჭამით კი მუცელი ძლიერ გამობეროდა. ახლაც ხელში ეჭირა უკვე ჩაკბეჩილი

* ჯაკელა—უშობელი.

ვეებერთელა მსხალი, ალბათ, იქვე მდგომ უშველებელი და ნაყოფით დახუნძლულ ხეხილის მონაწყვეტი.

ქალი ექვსი-შვიდი წლისა იქნებოდა. ტანზე ცალი სახელო ჩამოგლეჯოდა, ჭუჭყიანი პერანგი ეცვა. ორივენი ახალმოსულს დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. მღვდლის მოხედვაზე გოგო შეკრთა და ტიტველი ხელი ხეს მოაფარა.

— ეს ბავშვები შენი იქნება, მეგობარო? — დაეკითხა მღვდელი.

— გახლავთ, ბატონო, მაგრამ გაჭირვებული და დაჩაგრული კაცის არც შვილია სასიამოვნო და არც ცოლი, — ისევ გულმოკლულად მიუგო გლეხმა.

— რათა, ძმაო, საწყალი და დაჩაგრული კაცის ერთადერთი ნუგეში და მისი უფერული ცხოვრების გამამხიარულებელი ცოლშვილია. გაჭირვებულ კაცს თუ ესეც წავართვით, რაღა დარჩება,— რაც შეიძლებოდა თანაგრძნობით უთხრა მღვდელმა.

— ეჰ! ბატონო, ნათქვამია: რომ ვთქვა, მამა მომიკვდებაო, რომ არა ვთქვა, დედა მომიკვდებაო, ისეა ჩვენი საქმეც. დღე არ გავა, რომ რამე გადასახადზე არ მომაკითხონ, ფული თუ არ მივეცი, უკანასკნელ ქათამს გამიყიდიან. მეც პირად, როცა საჭირო ვიქნები, როგორც გუშინ და დღეს, უბოდიშოდ სამუშაოზე მერეკებიან. შემბრალეს და მომხმარეს კი არსაიდან ვხედავ. ვლოცულობ ქუდგადაგლეჯილი: ღმერთო, მიშველე, მომეხმარე-მეთქი, მაგრამ შველა კი არსაიდან არის. მგონი მაგ დალოცვილსაც დავავიწყდით ჩვენ, საწყალი ხალხი.

მღვდელს გული დაეწვა. უნდოდა რათიმე ენუგეშებინა მასთან მოსაუბრე, მაგრამ უცბად ვერა ეთქვა რა.

—გულს ნუ გაიტეხ, მეგობარო, სულ ერთფერობა არ იქნება,— მიუგო მღვდელმა ცოტა სიჩუმის შემდეგ, — ერთხელაც არის საწყალი კაცისკენაც იზამს პირს მზე, დადგება უკეთესი დროება, მხოლოდ ამ უკეთესი დროების შექმნა ისევ ჩვენგან არის დამოკიდებული. ამისთვის საჭიროა შეგნება, ცოდნა, თანხმობით მოქმედება, ურთიერთდახმარება.

— კარგი დაგემართოს, ბატონო, მაგრამ ჩვენ როგორ უნდა შევქმნათ უკეთესი დროება. მე, მაგალითად, ღატაკ და დამშეულ კაცს რა შემიძლია, თუ ისევ ღმერთი იზამს რასმე თორემ, — მიუგო გლეხმა, წნელი ძირს დააგდო, წალდის ტარი ჯოხივით მოიმარჯვა და ცალი ხელით დაებჯინა.

— ღმერთი იზამს, რა თქმა უნდა, ის მფარველობას გაგვიწევს, დაწყებულ საქმეს წარგვიმართავს, ჰაერს კეთილად შეგვიზავებს,

მისცემს სიუხვეს ჩვენს შრომას, მაგრამ თვით შრომა და გარჯა ჩვენგან არის დამოკიდებული. ხომ გაგიგონია, მეგობარო, ჩვენებური ანდაზა: კაცი იხრჩობოდა და ღმერთო, ღმერთო, ყვიროდაო, — ხელი გააქნიე და მეც მოგეშველებიო, გადმოსძახა თურმე ღმერთმა. შენ ამბობ გაჭირვებული ვარო, გეთანხმები. შენისთანა სხვაც ბევრი იქნება ამ თქვენ სოფელში. შეგიძლიათ თუ არა, ვთქვათ, თქვენ, მიუხედავად თქვენი სილარიბისა, გააკეთოთ რამე, საერთოდ თქვენთვისვე სასარგებლო საქმე? მე სულ უბრალო მახლობელ მაგალითს მოგიყვან. თქვენი ბედნიერებით, მე ამ სოფელში პირველად მომიხდა დღეს გავლა. აი აქვე, შენი ეზოს გვერდით გზა აღმართზე ამოდის. ურმის ნაკვალევიც ეტყობა. უეჭველია, ამ გზით ეზიდები შენც და ეზიდება ბევრი შენი მეზობელი ჭირნახულს, შეშას, ფქვილს. წარმომიდგენია, რა ვაი-ვაგლახი სჭირდება დატვირთული ურმის აქ ამოყვანას. ვინ იცის, რამდენი ხარ-კამეჩი მოშლილა ტვირთის ამ აღმართზე ამოთრევით, რამდენი ურემი დამტვრეულა, რამდენი დრო დაკარგულა, რამდენი უყვირნია და უსიამოვნო წუთები გამოუცდია ბევრ შენს მეზობელს და შენც...

— ჰაი, ბატონო, გზა კი არა, ჯოჯოხეთია. შარშანწინ ისეთი კაი ბიჭი მოყვა ურემქვეშ აქა და დაიღუპა, რომ მთელ სოფელში მაგისთანა ყმაწვილი კაცი არ მოიძებნებოდა, — ნაღვლიანად შენიშნა გლეხმა.

— აი, აგაშენოს ღმერთმა, — წახალისდა მღვდელი.—ახლა წარმოიდგინეთ, მოხდა ასეთი საქმე: ერთ მშვენიერ დღეს შეიკრიბეთ ოციოდ მეზობელი, შეიარაღდით ბარ-ნიჩაბ-თოხებით, გადათხარეთ ეს ფერდობი და იმდენად დაავაკეთ, რომ ურემს თავისუფლად შეეძლოს ამოსვლა. დამერწმუნე, აქ შეუძლებელი არა არის რა. ბევრი-ბევრი ორი საქენი მიწის აღებაა საჭირო ათი-თხუთმეტ საქენის სიგრძეზე. შენთვის მარტო ეს დიახ ძნელია, მაგრამ ოცი ორმოცი კაცისათვის არც იმდენი სამძიმოა, როცა გული გულობს, როცა საერთო სურვილი და წადილი არის. დიდი-დიდი დაგეკარგებათ ამ საქმისათვის ერთი კვირა. ახლა წარმოვიდგინოთ რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია მაშინ ამ გზას თქვენთვის. ახლა ერთი ურემი შეშის ამოტანაში რომ დაბანდდები, იმდენ ხანს ორ ურემს ამოიტან, ამნაირად მოზოგვილ დროს სხვა რამე საქმეს მოახმარ, არც შენ შესწუხდები, არც პირუტყვი გაგიფუჭდება და არც ურემი დაგემტვრევა. უეჭველია, ეს საერთო ძალით გაკეთებული საქმე თვალსაჩინო სარგებლობას დატოვებს ერთობ თქვენს სამეზობლოში. აი, დღევანდელი დღე, როცა აქ სახიფათო ამოსასვლელია,

დროებაა, დროება იქნება მაშინაც, როცა ამ გზას გააკეთებთ და ამ ორ დროებაში უკეთესი იქნება სწორედ მეორე, როცა შეგეძლებათ აღმართზე ურმის ამოყვანა თავისუფლად და უშიშრად. ხოლო ამ უკეთესი დროების შემქმნელი ვინ იქნება? — უეჭველია თქვენ თითონვე, თქვენი შეგნება, თქვენი ერთმანეთის მიყოლა, საერთო სასარგებლო საქმის გასაკეთებლად. დამერწმუნე, მეგობარო, რომ სიღარიბე ამ საქმის გაკეთებას ხელს ვერ შეუშლის და გაკეთებული საქმე კი სიღარიბეს ერთ ჩარექ ძალას მაინც წაართმევს.

— კაი დაგემართოს, ბატონო, კაი ეს იყოს, — იმედიანად წარმოთქვა გლეხმა და მღვდელს დააკვირდა.

— ეს ერთი უბრალო მაგალითი მოგიყვანე, მეგობარო, თორემ სხვა რამდენი ათი და ასი სასარგებლო საქმე გაკეთდება თანხმობით და ერთმანეთის მიყოლით. მაგრამ უკაცრავად, მეგობარო, ლაპარაკში გავერთეთ და გაგაცდინე. შეაკეთე, ძმაო, შეაკეთე შენი ღობე. მე კი ერთი გამაგებინე, გზას ხომ არ გადავსცდი. ფერდობანში მივდივარ.

— ეს გზა პირდაპირ მიგიყვანთ, ბატონო, — მხიარულად მიუგო გლეხმა, — მხოლოდ, ბატონო, ამ ბეგს რომ გასცილდებით, ბრუდე მუხასთან, გზა ორად იყოფა; აუხვიეთ მარცხნივ, ივლით სულ ქვიტკირის დუქნამდე, იქ დაღმართისკენ მიმავალ გზას დაჰყვებით და ჩახვალთ პირდაპირ ფერდობანში.

— გმადლობთ, ღმერთმა გაკურთხოს. ეს კი თქვენ, პატარებო, — ალერსიანად წარმოთქვა მღვდელმა. ჯიბიდან თეთრი ორუზალთუნიანი ამოიღო და ბავშვებს გაუწოდა.

ბავშვებმა ერთი გაოცებით შემოხედეს, მაგრამ ადგილიდან არ დაიძვრნენ. ვაჟმა თავი ძირს დაღუნა და ფრჩხილით აწყალებულ მსხალს ფხაჭნა დაუწყო, ქალმა კი თავიც ხეს მოაფარა.

— მოდი, მოდი, გოგონა, ნუ გრცხვენია, გამომართვი, — გაიმეორა მღვდელმა, მაგრამ გოგო სულ მთლად ხეს მოეფარა.

— ნუ სწუხდებით, ბატონო, — მორცხვად შენიშნა გლეხმა და წნელის თავ წასათლელად წალდი მოიმარჯვა.

— რახან ასეა, ჰა, თქვენ თვითონ აიღეთ, — თქვა მღვდელმა, ფული მდელოზე დააგდო, ჯორს დეზი ჰკრა და თავის გზას გაუდგა.

მის ყურამდე კარგა ხანს მოისმოდა ბავშვების აღტაცებული ქივილ-ხივილი.

II

მღვდელი ალექსი ნოზაძე ჯერ ერთი თვეც არ იყო, რაც ეკურთხა; სწავლაც იმ წელს გაათავა, ოცდასამი წლისა ძლივს იქნებოდა.

არასასურველ პირობებში აღიზარდა მღვდელი ნოზაძე. ადრევე დაობლდა. საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი მუდამ აკლდა, მაგრამ რის ვაი-ვაგლახით საშუალო სასწავლებლის კარამდე მაინც მიაღწია. აქ ერთი მხრივ ბედმა გაუღიმა. როგორც ობოლი, საერთო ხარჯზე მიიღეს. მუდამ თვლებიან ქალამნებს ჩვეულს, წაღები ჩაცვეს, ლუკმაპურის სამყოფად მონატრულს, ყოველდღე ორ-ორ თავ საჭმლის ძლევა დაუწყეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ზნეობრივად დიდ სატანჯველში ჩავარდა ყმაწვილი კაცი. სასწავლებლის ბატონ-პატრონნი ყოველ ნაბიჯზე, დილა-საღამოთი, ალაგ-უალაგოთ, შინ თუ გარეთ, სულ მუდამ გაიძახოდნენ, კეთილზნეობაზე, სვინიდისზე, სარწმუნოებაზე, პატიოსნებაზე, ხოლო საქმე მაფი სულ წინააღმდეგის ცხადმყოფელი იყო. ისინი ძლიერ ნაკლებ ფიქრობდნენ მოზარდთა გონებრივ განვითარებაზე, ჭეშმარიტს და ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას მათ ნაკლებად აწვდიდნენ, ხოლო გამოუსადეგარს, გონების დამაბნელებელს და საერთოდ სწავლისადმი გულის ამცრუებელს ჩენჩივით აყრიდნენ, ამას ზედ ერთოდა ერთი ცუდი გარემოება, ვგონებ ყველაზე უფრო მავნებელი და აუტანელი: აღმზრდელთა და მოსწავლეთა შორის არ სუფევდა არავითარი სულიერი კავშირი. მათ არ აერთებდა ენა, ზნე-ჩვეულება, წარსულის მოგონება, აწმყოს შეწონ-შეფასება და მომავლის იმედი.

მიუხედავად ასეთი სამწუხარო პირობებისა, ნოზაძე სრულებით არ გაფუჭდა. ცოდნა თუმცა ძლიერ მცირე შეიძინა, მაგრამ ლტოლვა მის შეძენისადმი და რაღაც საქმიანობისადმი არ ჩაუქრა. სასწავლებელმა არა თუ არ გარდაქმნა-გადააგვარა, რასაც ასეთი მეცადინეობით ელტვოდნენ მისი ბატონ-პატრონნი, პირიქით, ნოზაძე უფრო განმტკიცდა, მის გულში გაღვივდა, დროთა ვითარებისა გამო დაჩაგრულ მოძმეთა სიყვარულის ნაპერწკალი და გადაწყვიტა თავისი მცირე ძალ-ღონე მათ სასარგებლოდ შეეწირა.

ნოზაძე პატარაობითვე კარგად იცნობდა გლეხს, მის ჭირ-ვარამს, მის უმეცრებას, მის ყოველმხრივ დაჩაგვრას, მის ცრუმორწმუნეობას. ყმაწვილ კაცს სწამდა, რომ გულწრფელი ხელმძღვანელის

ბეოხებით შესაძლებელია სოფელშიაც შევიდეს შეგნება, გაიფანტოს უმეცრება და ხალხი წარმატების გზას დაადგეს.

სულით და გულით მოწადინებული იყო ახალგაზრდა კაცი, შეძლებისდაგვარად შებმოდა სოფელში გამეფებულ უმეცრებას და თავის შრომით და მეცადინეობით იქ ცოტაოდენი ნათელი შუქი შეეტანა. ყმაწვილი კაცი აღტაცებული იყო ხალხის სამსახურით და მოუთმენლად მოელოდა იმ წამს, როცა შეძლება მიეცემოდა ხალხის ხელმძღვანელ-დამრიგებელი გამხდარიყო. არსებულ პირობებში ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვან საშუალებად მღვდელობა მიაჩნდა და ამიტომ სასწავლებლის გათავებისთანავე შეუდგა მზადებას და გავიდა რამდენიმე თვე და კიდეც მღვდელი გახდა.

აი, დღეს პირველად მიდიოდა ის თავის სამრევლო ფერდობანში და უახლოვდებოდა რა მომავალ სამოქმედო ასპარეზს, რაღაც სასიამოვნო, ჯერ მის მიერ გამოუცდელ აღელვებას განიცდიდა.

ნატვრა უსრულდებოდა. დგებოდა დრო, როცა ოცნებიდან სინამდვილეში გადადიოდა. ახლა ის უკვე მოძღვარია, — ნდობაუფლებით შემოსილი. შეუძლია დაარიგოს, ასწავლოს, შეასმინოს, უსაყვედუროს არა გულფიცხობით და ამპარტავნობით, არამედ სიყვარულით, თანაგრძნობით და გულწრფელობით.

პატარაობითვე სწამდა მას ყოვლად შემძლებელი ძალა სიყვარულისა და ამ ძალით აღჭურვილი ის სასოებდა, რომ უეჭველად დაასხამდა ვენახს, შემოზღუდავდა ყანას, აღუზრდიდა უფალს სულიერ ცხოვრებას. დღეიდან ალექსი ნოზაძის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა და ამ ძველისა და ახლის შეყრა-გაყრის წამს თავისთავად აგონდებოდა განვლილი დრო და მომავალზე ოცნებობდა.

განვლილ ხანაში სასიამოვნო ბევრი არა ახსოვდა რა. უკვე ცხოვრებაში გამოსულია, უკვე მღვდელია. აი, ამ დღეებში წარუდგება თავის მრევლს, სწირავს მათ წინაშე. ბევრი ხანია ოცნებობს ამ დღეზე. ოცნებობს იმაზედაც, თუ როგორ იტყვის მრევლის წინაშე მისასალმებელ სიტყვას. სრულებით არ ეცდება რამე მჭევრმეტყველობა გამოიჩინოს, სიტყვების რახარუხი ააღინოს და ამით ვისმე თავი მოაწონოს. არც რვეულს დაიჭერს ხელში, აჭრელებულს სხვადასხვა მქადაგებელთა ამონაწერებით. არა, სულ სხვანაირად მოიქცევა. აიღებს სახარებას ტრაპეზიდან, მიუბრუნდება ხალხს, გაშლის წიგნს და წაუკითხავს. წაუკითხავს მარტივად, ბუნებრივად, არა კეთილხმოვანებისათვის, არამედ ადვილი გაგებისათვის. მას სურს ცოცხალი სიტყვა ცოცხალ ხალხს ცოცხლად ამცნოს. მხოლოდ შიგა და შიგ აუხსნის გაუგებარ ადგილებს. ეტყვის,

რომ სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, დათმობა, მოთმინება არის ქვაკუთხედი, რაზედაც დამყარებულია ქრისტეს მოძღვრება. ამ სიყვარულით აღფურვილი წარსდგა იგი მათ წინაშე. შეევედრება, ფიცით ეტყვის, შეიგნონ, შეითვისონ და გულში დაიმარხონ ეს სიწმინდე. და ისინი, უბრალო სოფლელები, უეჭველია მიხვდებიან მის გულწრფელობას, შეისმენენ. ხალხი უსათუოდ გაარჩევს ხელოვნურად შეთხზულ-შეკონკილ სიტყვას გულის სიღრმიდან თავისთავად ამოხეთქილ სიტყვებისაგან. ისინი, თქმა არ უნდა, მოვლენ მასთან, მოძღვართან ცხოველი სიტყვის მოსასმენად. და თუ ერთხელ მოიჩვია ხალხი, თუ პირველ დღიდანვე გაიდო მის და ხალხს შორის სიყვარულის და ნდობის ხიდი, საქმე სამუდამოდ მოგებულია. მაშინ შეძლება მიეცემა სისრულეში მოიყვანოს, ჩამოაყალიბოს ბევრი რამ ხალხის საკეთილდღეოდ განზრახულ-მოფიქრებული.

„ჩვენი ხალხი არ არის, როგორც ზოგს ჰგონია, ხეპრე, შეუსმენელი, გაუტანელი, შეუგნებელი,—ოცნებობდა ახალგაზრდა მღვდელი, — მცირე გამონაკლისი სათვალავში მისაღები არაა; უმრავლესობა უეჭველია გაარჩევს ავს კარგისაგან, ტყუილს სიმართლისაგან, სასარგებლოს უსარგებლოსაგან, თუ დაინახა გულწრფელი ხელმძღვანელი. დაუჯერებელია, გვერდით არ ამოუდგეს, უკან არ გაყვეს. აი ეს გლეხი, ამას წინათ რომ ველაპარაკებოდი, კაცი სიღარიბით და უსამართლობით წელმოწყვეტილი, თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა. რაღაც ორი-სამი სიტყვა ვუთხარი გულწრფელი და კაცი გამოცოცხლდა, სულ სხვა ფერი გადაედო, მის მიმქრალ და დაღონებულ თვალებში რაღაც სასოების ნაპერწკალმა იელვა. წარმომიდგენია, რამდენი მაგისთანა დაჩაგრული და ბედის მომდურავი იქნება ჩემს სამრევლოში და თუ შევძელი მაგათი დაახლოვება, მოვინადირე მაგათი გული, მომყვნენ და დამიჯერეს, ვეცდები შრომა გავწიო და მათ ცხოვრებაში რამე ახალი სასარგებლო ცვლილება შევიტანო. რა კარგი იქნება! რა დაუფასებელი ჯილდო იქნება ჩემთვის, თუ მართლა ასე მოხდა“, — გასაგონად წარმოთქვა მღვდელმა, რაღაც სასიამოვნო გრძნობამ მთელ ტანში დაუარა, შავგვრემანი თვალები აუციალდა, უნაგირზე გაიწ-გამოიწია, მათრახი ჰაერში მძლავრად გააქნია და ჯორს დეზი მაგრა შემოჰკრა.

მხედრის ამ მოულოდნელმა საქციელმა საბრალო ჯორი ძლიერ გააკვირვა. თქმა არ უნდა, თავის მხრივ ჯორიც ოცნებობდა, მაგრამ მისი ოცნების საგანი სულ სხვა იყო, მას სულ სხვა ჭირ-ვარამი

აწუხებდა. „ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ დაუსრულებელ აღ-მართ-დაღმართზე ჩაქჩაქს,—ფიქრობდა ჯორი,—ერთი მივიდეთ და, სადაც მისასვლელია! ერთი დროებით მაინც მომშორდეს ეს საძაგელი კეხი, ეს ბრტყელი მოსართავები, ეს დაუსრულებელი დეზის ჩხვლეტა და მათრახის ტლაშუნი. ერთი გამიშვან თავისუფლად მინდორში! რა სიამოვნებით გავგორდები მწვანე მინდორზე, რა მხიარულად დავიყროყინებ! ეხ! მაგნაირ ცხოვრებასაც რა ვუთხრა! რაც ჩემი თავი მახსოვს, ერთი დღეც არ გამომიცდია, რომ დილა-დან საღამომდე ჩემ ნებაზე მინდორში მენავარდოს. მუდამ უნაგირი, მუდამ მათრახი, მუდამ დეზი“. ჯორსაც თავის სიცოცხლეში ბევრი მწუხარება გამოევლო ბევრი სხვადასხვა მღვდლების ხელში ეწია მძიმე ჯაფა, მაგრამ ყველაზე უფრო ერთი გრძელ-თეთრწვერა მღვდელი აგონდებოდა. მის ხელში ხომ კეხი და უნაგირი მის ზურგს დღედაღამ არ შორდებოდა. სოფელში თუ ქალაქში იმ სიმძიმე კაცს ატარებდა, წელიწადში სამჯერ მისი შვილები სასწავ-ლებელში მიჰყავდა და მოჰყავდა, კვირაში ერთხელ მაინც ორ ვე-ებერთელა ტომარა სიმინდს წისქვილზე ეზიდებოდა. მერე ის წუწ-კი, მღვდლის მოჯამაგირეც არ ინდობდა. არც მას ეყარა ხეირი, მა-საც ჯორზე ნაკლები ჯაფა არ ჰქონდა, მაგრამ მაგ უსინიდისოს სა-კუთარი გამოცდილებით უნდა ცოდნოდა, თუ რა არის აუტანელი შრომა და თავის მხრივ მაინც ჯორისთვის შეღავათი მიეცა.—„აბა, ივაკია, გაეჩქარე წისქვილში,—გადასძახებდა გრძელწვერა მღვდელი მოჯამაგირეს, — დროით დაბრუნდი, ბლაღოჩინთან უნდა გაგგზავ-ნო. მერე შეშა უნდა მოიტანო, მერე წყალი უნდა მოზიდო, ძროხა მოწველო, ვახშამი გააკეთო, გესმის, ემაგრე, ჯორს წინ გაუძეხი, ზედ ნუ შეჯდები, ბარემ რვა ფუთ სიმინდს მიათრევს“.

— კი, ბატონო, — ცქვიტად მოსძახებდა ივაკია მოჯამაგირე, მაგრამ გასცილდებოდა თუ არა მღვდლის ეზოს და საყდრის ქვე-მოთ ტყეში თავს შეაფარებდა, ისკუპებდა და მოურიდებლად ტომ-რებზე არხეინად გადაჯდებოდა. მიათრევდა საბრალო ჯორი ტომ-რებსაც და მოჯამაგირესაც, ზურგი ეწოდა, მუხლი ეკეცებოდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ რა ექნა, ვის შესჩივლებდა, იცოდა, რომ პირუტყვი იყო და არას ამბობდა. მღვდელ ალექსის ხელში თუმცა ბევრი ხანი არ იყო, მაგრამ ცოტათი მოისვენა. მღვდელს მათრახ-დეზის მწვავედ ხმარება არ უყვარდა და ამ უმიზეზოდ და მოულოდნელად შეთავაზებულმა დეზმა საბრალო ჯორი, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა, თუმცა დაქანცული იყო, ძალა მოიკრიფა, კუდი გააქან-გამოაქნია და მარჯვედ გათოხარიკდა.

მზე უკვე ჩასულიყო, როცა მღვდელი ნოზაძე სოფელ ფერდობანში შევიდა.

III

ფერდობანში მღვდლისთვის საეკლესიო სახლი არ იყო. ნაცნობ-მეგობრები მღვდელ ალექსი ნოზაძეს არავინ ჰყავდა. დღეს პირველად იყო ამ სოფელში და ამიტომ გადაწყვიტა, ჩამომხტარიყო დიაკვანთან, დათა ხარაშვილთან.

დიაკვანი დათა ხარაშვილი, ანუ როგორც სოფლელები ეძახდნენ „დათაია დიაკონი", ადგილობრივი მკვიდრი იყო. დათაია დიაკვანს ჰქონდა ოციოდ ქცევა მიწა, ზოგი მის მიერ კეთილშეძენილი, ზოგიც შხამომავლობით გადმოსული, ედგა სოფლის პირობაზე გვარიან კარგი ოთხი თვალი ოდა, ჰყავდა ხარ-ფური, ცხენ-ჯორი, თვითონ იყო გამრჯელი, შრომისმოყვარე, თამამი და ენიანი, ასე რომ, სოფელში ჭკუის საკითხ და გამოცდილ კაცად ითვლებოდა.

დათაია დიაკვანი ქვრივი იყო. ორი ვაჟი სასულიერო სასწავლებელში ეზრდებოდა. შინ ოჯახის მეთვალყურედ და დიასახლისად ჰყავდა დედა, თუმცა მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანსაღი და იშვიათი გამრჯელი ადამიანი.

ახალ მღვდელს დათაია დიაკვანი დიდი აღტაცებით მიეგება. ჯორიდან მოწიწებით ჩამოიყვანა, სახლში მიიწვია, ჯორს უნაგირი მოხსნა და საბალახოდ გაუშვა, ვახშმის თავდარიგი დაიჭირა, ერთი სიტყვით დაფაცურდა.

— დიდად მოხარული ვარ, მამაო, თქვენი მოსვლისა, დიდათაც გმადლობთ, რომ პირველად, აქ, ჩემთან ინებეთ ჩამოხტომა, — მხიარულად უთხრა დათაია დიაკვანმა, როცა ყველაფერი მოაწესრიგა და ვახშმის მოლოდინში სტუმრის შესაქცევად ოთახში შემოვიდა.

— მეც დიდად სასიამოვნოდ მირჩება თქვენი გაცნობა, — მხიარულადვე მიუგო მღვდელმა, — ღმერთმა კეთილჰყოს ჩვენი თანამსახურების დაწყება, სიმშვიდით და სიმართლით, თანხმობით და ერთსულოვნებით შეგვაძლებინოს უფალმა საზოგადო სამსახური, სადიდებლად ღვთისა და სასარგებლოდ მოყვასთა ჩვენთა.

— გმადლობ, მამაო, თქვენი მობრძანების ერთობ მოხარული ვარ, — განიმეორა დიაკვანმა, — მამიჩემის სულს გეფიცები, ეს ორი დღეა თვალი სულ შარაგზისკენ მეჭირა. ვიცოდი, რომ ჩამობრძანდებოდით. გუშინწინ სატირალში გახლდით, აქ ერთი აზნაურიშვილი გარდაიცვალა, დეკანოზიც ბრძანდებოდა და მიბრძანა:

ზვალ ან ზეგ მამა ალექსი უსათუოდ მობრძანდებაო, მართლაც ასე გამოვიდა.

— უკაცრაოდ კი ვარ, დათაია, მაგრამ აქ ჯერ ნაცნობი არავინა მყავს, — მოიბოდიშა მღვდელმა.

— შენ მტერს ღმერთი გაუწყრა, აბა, რა ბრძანებაა, — ითაკილა დიაკვანმა, — ბატონო, ტრაპიზონში ხომ არა ვართ. აბა ვისთან უნდა მისულიყავით, თუ არა ჩემთან. სხვა რა შემიძლია მე საწყალს, თორემ წვიმისაგან კი დაგიფარავთ, მგონია. ამ ჩემს ქოხში, მამაო, ისე იგულეთ თავი, როგორც საკუთარ სახლში. ანაფორა გაიხადეთ, მამაო, ნამგზავრევი ბრძანდებით, წამოწექით.

მღვდელმა ანაფორა გაიხადა, დათაიამ ბალიშ-მუთაქა მიართვა და ალექსი ტახტზე ნება-ნება წამოწვა.

— კაი სოფელი ყოფილა ფერდობანი, ძლიერ მომეწონა. ბუნება ერთობ მდიდარია, ხალხიც მჭიდროდაა ქუჩა-ქუჩა დასახლებული, რაც ჩვენ ქვეყანაში, ამ ოდიშში მაინც, იშვიათია,—თქვა მღვდელმა.

— კარგი სოფელია, ძლიერ კარგი სოფელია, სწორედ არა უშავს რა, — ხმის თანდათან აწევით მიუგო დიაკვანმა, — თუ აქ ერთხელ მაგრა ფეხი მოიკიდეთ, მერწმუნეთ, არ ინაღვლებთ. უკეთესი მრევლი ახლომახლო არ მოიძებნება. ორასი კომლი, ბატონო, აი თუგინდ, აღსარების მთქმელთა სია გასინჯეთ, წმინდა ბინადარი მცხოვრებია, ორი-სამი თუ ურევია აზნაური, თორემ დანარჩენი ყველა მედრამეა. ეს კარგი. ახლა ხაზინიდან ჯამაგირი სამასი მანეთი; მიუმატეთ სხვადასხვა შემოსავალი, რა თქმა უნდა... თუ გაისარჯეთ და მარჯვეთ მოიქეცით, მერწმუნეთ, რომ სასინანულოდ არ დაგრჩეთ ჩვენი სოფლის არჩევა.

— ღმერთმა ქნას. ჩემი მხრივ ვეცდები, რაც შემიძლია შრომა და ჯაფა არ დავზოგო, რომ საზოგადოებას პირნათლად ვემსახურო. ცხოვრებაში, მართალია, ჯერ გამოუცდელი ვარ, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, თანდათან მივეჩვევი...

— მიეჩვევით, მამაო, მი...ე...ჩვევით, — გააგრძელა დათაია დიაკვანმა, — ნათქვამია, ბატონო, თევზს თავიდან დაიჭერენო. ყველაფერ საქმეში ასეა. ყველაფერი საქმე თავიდან უნდა დაიჭირო. ამასთან ხერხი უნდა ყველაფერს, ყოველ საქმეს ხერხი ესაჭიროება. თქვენ, მამაო, მართალია, ნასწავლი კაცი ბრძანდებით, მე კი... ჰა! სადღაც ნამარნევის მონასტერში ერთი ორი ალილუისთვის მომიკრავს ყური, მაგრამ გამოცდილებით, აკი თქვენც მეთანხმებით... ოცდახუთი წელიწადი გავიდა, რაც აქ პრიჩეტნიკად ვარ და რაღა გასაკვირველია, რომ აქაური ამბები მამაო ჩვენოსავით ვიცოდე.

თქვენი მაკურთხებლის წმინდა მარჯვენას გეფიცები, რომ ჩემისთანა სიმართლეს აქ არავინ გეტყვის. არც გასაკვირველია! ჩვენ ორივენი ერთ საქმეს ვემსახურებით... ჩვენი ინტერესები, ბატონო, ა...ასეა,— დიაკვანმა ორივე სალოკი თითი მოკაკვა და ერთმანეთს გადააბა,— მე აქ, მამაო, თვით სატანა რომ ამოიყვანოთ ქვესკნელ-ჯოჯოხეთიდან, ის ვერ გამაცურებს... ოცდახუთი წელიწადი ოცდახუთი დღე არ არის... განსვენებულის თქვენი წინა მოადგილის მამა იოანეს მამის პატიოსანი მღვდლის გაიოზის დროსაც მიმსახურნია. ამიტომაც მოგახსენებთ, რომ ამთავითვე თუ საქმე მტკიცედ და მაგრა დაიჭირეთ, ამთავითვე თუ ხერხიანად შეაყოლეთ საქმე, შემდეგ ცხოვრება წავა და წავა; არც ჩვენ ვიზარალებთ და ხალხშიც არევ-დარევა არ შევა.

ახალგაზრდა მღვდელს დიაკვანის ასეთი გრძელი წინასიტყვაობა, მაშინათვე ანგარიშებზე ლაპარაკის ჩამოგდება და რაღაც უკვე არსებული წესრიგის დაცვა, რაც ჯერჯერობით ქარაგმებით იყო წარმოთქმული, ცოტა არ იყოს, არ მოეწონა და შეეცადა ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ყველაფერს მივეჩვევით, — ანგარიშმიუცემლად მიუგო მღვდელმა,—მითხარ, გეთაყვა. დათა, ეკლესია ამ შენი სახლიდან შორს არის, თუ არა?

— არა, მამაო, აგერ არის, ნახევარი ვერსი არ იქნება.

— ძლიერ კარგი. სხვა, თვით შენობა როგორია?

— ხის შენობის პირობაზე ერთ დროს გვარიანი იყო, მაგრამ ახლა დაძველებულია. ხის შენობა, რაც გინდა იყოს, საშვილიშვილოდ ვერ გამოდგება. საძირკველი გული მუხა ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მაინც დალპა და შიგნით გამოფუღურავდა. ისეთი ვირთაგვები დარბიან შიგ, რომ გოჭები გეგონებათ, ხანდახან, თითქო აქ არაფერიაო უსირცხვილოდ შიგ საყდარშიაც დახტუნავენ მაგ წყეულები. ერთხელ, ერთი უშველებელი ვირთაგვა განსვენებულს მამა იოანეს შიგ საკურთხეველშიაც შეუვარდა... აბა გასაწყვეტი აი ამ სიგრძე კუდს მიათრევდა, თითქო მოქსოვილი მათრახიაო.

— არასასიამოვნო მოვლენაა. — დინჯად შენიშნა მღვდელმა.

— ოღონდაც რომ სასიამოვნო არაა, მაგრამ რას გააწყობ... რამდენჯერ გამოუცხადეს, ბატონო, მრეველს. ორჯერ, სამჯერ ჩვენმა პრისტავმა ბესარიონ ქველიძემაც შეკრიბა მრევლი... კაი დაგემართოს, კაი ბიჭი ის იყო. ახლახან სრული პრისტავობა მიიღო. ერთი ბეწო ბიჭი მინახავს, დახეული ჩუსტებით დადიოდა... ახლა ოქროს

აპილატებით აქვს მხრები გაბრწყინვებული. ბევრი უქადაგა, ღვთის წინაშე, საზოგადოებას ახალი ეკლესიის აშენებაზე, მაგრამ ჯერჯერობით ვერა შეასმინა რა. ზოგი იძახდა: ისევ ეს შევაკეთეთო, ზოგი, — ახლის აშენება იჯარით გადავცეთო. ზოგი, — რა მესაყდარ-მეეკლესიება, სახლში წვიმა ჩამოვდის, ისლით ვერ გადამიხურავსო. მოდი და ასეთ კორიანტელში გაართე თავი... მე, მამაო, ამას წინათ იმიტომაც მოგახსენეთ, ხერხია ამთავითვე საჭირო-მეთქი. სოფელი თავისთავად კარგია, ე. ი. ღარიბი არაა, მაგრამ რომ რიგიანად ისარგებლო, მაგრა უნდა გეჭიროს სადავე, თუ ერთი მოუშვი, შენი მტერი...

— ახალი ეკლესიის აშენება მართლაც და სახუმარო საქმე არაა, — შენიშნა მღვდელმა. — მარტო გამოცხადებით, თუნდ სრული პრისტავმაც გამოაცხადოს, არა გაკეთდება რა. ამისათვის ბევრი შრომაა საჭირო. თავი და თავი კი ნიდაგი უნდა იყოს ამისთვის მომზადებული თვით ხალხში. თვით ხალხი უნდა გრძნობდეს ეკლესიის საჭიროებას, მაშინ ყოველნაირი დაბრკოლება ადვილი დასაძლეველია...

— ე... ეხ! ბატონო, ჩვენ ხალხთან, — სიტყვა მოუჭრა დათაია დიაკვანმა. — ჩვენ ხალხთან კიდევ მუშტით და ტყვიით თუ გაიტანრასმე, თორემ სხვაფრივ ვერას გააწყობ. შენი მაკურთხებელის მარჯვენა არ გამიწყრეს იმის მეტი, ჩვენმა ხალხმა ნებაყოფლობით და თავისი გულკეთილობით ახალი საყდარი არ აგვიშენოს. მაგრამ ამას ჩვენ თავი დავანებოთ... სხვა უბრალო საქმეშიაც მათთან სიმაგრეა საჭირო. ერთხელ თუ მოუმჩატე, ერთხელ თუ მოურბილე, იცოდე, მამაო, წახდა საქმე! აკი ამიტომ მინდოდა თქვენთვის მომეხსენებინა... განსვენებული ივანე მღვდელი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, და... იშვიათი კაცი იყო სწორედ. კაცი კი არა, მამალი მგელი იყო სულ განათლებული. სოფლელების ხერხი იცოდა, ანი და ბანივით იცოდა, მაგრამ იმასაც კბილით ეჭირა მრევლი.

ახალგაზრდა მღვდელმა დიაკვანს გაოცებით შემოხედა.

— აბა როგორ გგონიათ, მამაო, — გააგრძელა დიაკვანმა. — მაშ როგორ გინდათ იცხოვროთ ამ ქვეყანაზე! ქვა უნდა იყოთ, ჩემო ბაბაია, სალი კლდე უნდა გახდეთ მიუდგომელი, ფოლადი უნდა გახდეთ გალესილი, რომ ცხოვრებაში თავი რიგიანად გაიტანოთ, თორემ, მერწმუნეთ, თუ ერთხელ დაგიბრიყვეს, თავზე წამოგაჯდებიან, და თუ წამოგაჯდნენ, გასაქანს არ მოგცემენ. ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ განსვენებული თავის თავს დასაძლევად არავის არ აძლევდა. წინდაწინვე გამოზომილი ჰქონდა, ვისთან როგორ მოქცე-

ულიყო! დაიწყო სამსახური თუ არა, მაშინათვე ერთ გარკვეულ გზას დაადგა და მთელი ოცდაორი წელიწადი არ გადაუხვევია. ცხვირით მიწას ახვნევინებდა, ვინც გინდა ყოფილიყო, და თავის მართებულს უკანასკნელ მარჩილამდე გადაახდევინებდა. ღარიბი, საწყალი და მაგისთანები იმან არ იცოდა. ამ მხრივ მართლაც და ყოჩაღი იყო განსვენებული. სხვაფრივ არ შეიძლება, მამაო! ხალხი? თუ ხალხს ყური უგდე, ავა...ვაია, წასულია ჩვენი საქმე! ხალხი დიდი ქვეშქვეშა რამ არის, სულ მუდამ სიღარიბეზე და გაჭირვებაზე ბუზღუნებს, სულ მუდამ ტირის და გაიხედავ: ამან კაი ცხენი იყიდა, იმან კაი უნაგირი გააკეთებინა, აგერ ამან კაი ხმალ-ხანჯალი მოაჭედინა, აგერ იმან კაი ოდა გამოჭიმა. საერთოდ კი ყველა ტირის, ღარიბნი ვართ, ღატაკნი ვართო. განსვენებულმა იცოდა მაგათი ამბავი, წესრიგის ფულის გულისათვის არავის მოერიდებოდა.

— ამაში ვერ დაგეთანხმები, — გააწყვეტინა მღვდელმა, — ღმერთმა ქნას, რომ ყველას ცხენიც ჰყავდეს და ხარიც, სახლიც კარგი ედგას და ყანაც კარგი ჰქონდეს, მაგრამ საუბედუროდ ამ საერთო ბედნიერებას ჩვენ ქვეყანაში ჯერ ვერ ვხედავთ. მე დღეს ხუთი-ექვსი სოფელი გამოვიარე! გულის წუხილით უნდა აღვნიშნო, რომ სიღარიბე, სიმშილი და ნაკლულევანება უფრო მეჩხირებოდა თვალში, ვიდრე სილაღე და სიუხვე. შეიძლება ეს თქვენი სოფელი გამონაკლისს შეადგენდეს, მე ჯერ აქაურობა არ დამითვალიერებია. ბნელოდა, რომ შემოვედი, მაგრამ არა ვგონებ, უმეტესობა აქაც შეძლებული და უზრუნველყოფილი იყოს. რამდენად გამიგია, აქეთკენ მიწის საშინელი სიძვირეა თურმე. ჩვენი ხალხის ცხოვრების ერთადერთი წყარო ჯერჯერობით ხომ მიწის დამუშავებაა და საცა მიწა ძვირია, იქ, უეჭველია, სიღარიბეც იქნება. განსვენებულზე მე არაფერს ვიტყვი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ხოლო ჩემი აზრით მოძღვარ-მოწაფის დამოკიდებულება მამა-შვილური უნდა იყვეს, რამე სასყიდლის მიცემა ნებაყოფლობითი და ყოველ შემთხვევაში მრევლის ნივთიერ შეძლებასთან უნდა იყოს შეთანხმებული, თორემ რას ამბობ, დათა, მართალია, ჩვენც ცხოვრების სახსარი გვინდა, მაგრამ შემძლებელი და ღარიბი თუ არ გავარჩიეთ, რა გამოვა...

— ოი, მამაო, დამერწმუნე მაგის გარჩევა ჩვენთვის არავის მოუნდვია. უბედურება სწორედ ამნაირად საქმის დაყენებაშია. თუ ასე მოვიქეცით, სიმშილით ამოვიხოცებით. თუ ნებაყოფლობაზე მივაგდეთ საქმე, გროშ გახვრეტილს არავინ მოვგცემს და დავრჩებით ხელცარიელი. ეს საქმე მე, ბატონო, ძლიერ კარგად ვიცი და

ამიტომ მინდოდა თქვენი გაფრთხილება; თქვენ, რა თქმა უნდა, დიდი განათლებული, მაგრამ მე როგორც გამოცდილი, ოცდახუთი წელიწადი აი ამ გასულ თიბათვეში შესრულდა, რაც ამ წმინდა გიორგის ეკლესიასთან პრიჩეტნიკადა ვარ და ვიცი ჩვენი ხალხის ხასიათი, თუ ხელი არ მოუჭირე, ისე ვერაფერს დასძრავ. სიღარიბე — სიღარიბეა, მაგრამ კრებულსაც ხომ ცხოვრება უნდა. სახლი, კარი, კერძი, მოყვარე, ცოლი, შვილი, ამას ყოველისფერს ხომ პასუხის გაცემა უნდა.

— ალბათ, შენ ვერ გაიგე ჩემი ნათქვამი, ან მე ვერ გამოვთქვი გასაგებად, — ცოტა არ იყოს, ხმას აუწია და წამოწითლდა მღვდელი. — კაცო, ცოლ-შვილი, სახლ-კარი და ამისთანები რომ საჭიროა და დასაკმაყოფილებელი თავისთავად ცხადია, ამაზე ვინ რას ამბობს; ჩვენ რომ ცხოვრება გვინდა, ამას მე უარს არ ვყოფ. მე ვამბობ მხოლოდ, რომ მრევლსა და კრებულს შორის თავდაპირველად უნდა სუფევდეს ნდობა და სიყვარული არა მხოლოდ ლიტონი სიტყვით, არამედ მხურვალე გულით, ჭეშმარიტად საგრძნობელად. მაშინ ყოველად წარმოუდგენელია, რომ ორასმა კაცმა, ღარიბებიც რომ იყვნენ, ერთი და ორი კაცი, მათთვის საჭირო და სასარგებლო, სიმშლით ამოხოცოს. მე ვერაფრის გზით ვერ დავიჯერებ, რომ თუ კეთილი, მამაშვილური გრძნობა და მეგობრობა სუფევს მოძღვარსა და მრევლს შორის, იქ საჭირო იყოს წესრიგის ფულის გადახდევინების დროს ძალა, ჩხუბი, ტუკი და მაგისთანები. ყოველგვარი ფულის გადახდა ნებაყოფლობით და თანხმობით უნდა ხდებოდეს. წინაალმდეგ შემთხვევაში მოძღვარმოწაფეობას ადგილი არ ექნება. ეს იქნება რაღაც ძალადობა, ეკზეკუცია, უსამართლობა. კანონითაც რომ გავსინჯოთ საქმე, მღვდელს უფლება არა აქვს წესრიგის ფულის თაობაზე მრევლთან იჩარჩოს და ძალა იხმაროს: სხვა არა იყოს რა, მთავრობის ყურამდე თუ მივიდა, კრებულს დიდი საყვედური მოუვა და შეიძლება საყვედურსაც არ დააჯერონ. ეკლესიური კანონმდებლობა სასტიკად უკრძალავს მღვდელს ჩარჩობა-ვაჭრობას, — მტკიცედ წარმოთქვა ახალგაზრდა მღვდელმა და ზეზე წამოდგა.

IV

დათაია დიაკვანიც ფიცხლავ ზეზე წამოიჭრა, გულზე ხელი მიიდო და აუჩქარებლად შეაყოლა:

— არ გამიწყრეს თქვენი მარჯვენა, მამაო, არავითარი უკალო-

ნობა თავის დღეში ჩვენ არ ჩაგვედინოს. განსვენებული? ღმერთო მომკალი! კალონს ერთ დრამასაც არ გადააცილებდა. მართალია, სემილარია, ღემლაზიაში სწავლა არ მიეღო, მაგრამ თავისი საქმეში? ციდან ჩამოსული ანგელოზი ვერ აჯობებდა. მე შენ გეტყვი და სხვაზე ნაკლებ მიღებული, ან სხვაზე ნაკლებ პატივცემული იყო! სახელგანთქმული და დაჯილდოებული არ იყო თუ? კამილავკა უკვე ჰქონდა, ოქროს ჯვარზე წარდგენილი იყო და, რავა ბგონიათ, სიკვდილს რომ არ ესწრო, არ მოუვიდოდა თუ? ინგურისა და ცხენიწყლის შუა ვისთვის გინდა გეკითხა მღვდელი ივანე ჭარბავა, ყველა სიამით გეტყოდა, სწორედ კაი კაციაო. უკალონო იყო კი არა, ბატონო, მართებლობა ხელისგულზე ყავდა. პრისთავი გინდა, მირონ პოსტონიკი გინდა, ვეზნაჩალიკი გინდა, სულ მასთან მოდიოდნენ, ჭამდნენ და სვამდნენ, თავზე ევლებოდნენ. სხვა რა გინდა, ბატონო, თვით ჭყოინდარს თვალ ნაკაკაზე * არ დაუვარდებოდა, ისე უყვარდა. ღმერთი გამიწყრეს, ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, თუ თვალით ნახული და ჩემი ყურით გაგონილი არ გითხრა.

შარშანწინ, ბატონო, ჭყოინდარი სარევიზიოდ დაბრძანდებოდა. ამ ჩვენი კუთხისაკენ პირი ქნა თუ არა, პირდაპირ მამა ივანეს სახლისკენ გამოეშურა. ესტუმრა. ბარეღამ ოციოდ წარჩინებული პირი ახლდა თან. ჭყოინდარი, თან დიდი კაცის შვილი, ბევრი ვინმე ახლდეს, რა გამიკვირდება. რომ თქვას კაცმა, ჩვენთვის რევიზია არც კი გაუკეთებია. თეოფილე ბერი და თავისი არქიდიაკონი გაგზავნა საეკლესიო დოკუმენტების დასათვალიერებლად.. ისინიც შუა გზიდან უკან გამობრუნდნენ. ამ სიცხეში სად ვეთრიო, ბიჭო, ამსისხო კაციო, — თქვა თეოფილე ბერმა. ხომ ყველაფერი რიგზეაო. — დიახ, ბატონო-მეთქი. ეს იყო და ეს.

დაფაცურდა ცხონებული მამა ივანე, ძალიან პურმარილიანი კაცი იყო. ისეთი დეკეული დაჰკლა, რომ სწორედ ორი თითი სისქე ქონი ზედ ედო. მოხსნა ათკოკიანი საგანგებოდ დაყენებული ღვინო. გაჩაღდა სადილი, მაგრამ რა სადილი! ჩიტის რძეო, რომ იტყვიან, ის არ აკლდა. სუფრაზე ორმოც კაცზე მეტი იჯდა. თამადად, რა თქმა უნდა, ჩვენი თავადი ოთარი აირჩიეს. უკეთესი სათამადო კაცი მთელ დუნიაში არ მოიძებნება; მხიარული, მომღერალი, მოლაპარაკე... ან რამდენ ღვინოსა სვამს ეგ ოჯახქორი, რვა ბოთლ ღვინოს ისე დალევს, თითქო ერთი ჭიქა გადაუკრავსო და საქმე

* თვალის ჩინზე.

ისაა, არ დათვრება, ისე ცოტა შეექეიფიანდება და ისევ თავის კალა-პოტში ჩადგება.

გამხიარულდნენ, შეექცნენ, მოილხინეს, გადაჰკრეს. მე სულ იქვე ვტრიალებდი, ვემსახურებოდი.

მერცხალო მშვენი...ე...ეროო...უ! რომ შეაკრიალა ხმა ჰაერში ოთარმა, იადონო პატიოსანო, რომ მოსძახა გელა ფონიშვილმა, მტრედისფერი და ო...ო...ქრო...ოვანოო... რომ დააგუგუნა ბანი არჩილ ხათრიგურმა, ოცი წლის მიცვალებული რომ განდაგან გა-შოლტილი გდებულიყო იქ, სწორედ თვალს გამოაჭყეტდა,

თვით მათი მეუფებაც გამხიარულდა. კაცნი ვართ, მამაო, ყველანი! მამა ივანეს სადღეგრძელოს მირთმევა ყოვლად სამღვდელომ ვერცხლით მოჭედილ ყანწით ინება. მამა ივანეს პატივსაცემად ყველანი ზეზე წამოიჭრენ. საყვარელო და ძვირფასო შვილოო, მიმართა ჭყონიდარმა მამა ივანეს. — სულით და გულით მოხარული ვარ, რომ ამდენ პატივცემულ პირებთან ერთად, შენ ჭერქვეშ, შემთხვევა მეძლევა შენი სადღეგრძელო დავლიოო. მე შენ გიცნობ, როგორც პატიოსანს, გულკეთილს, საქმის აღმასრულებელს და მტკიცე კაცსაო. ასე უთხრა, ჩემი ორი ბაღანა ნუ დამეხოცება. — შენ სამსახურს, შრომას და ღვაწლს ჯერ ღმერთი არ დაივიწყებს და მეც არ დაგივიწყებ, სახეში მეყოლებიო. მერე ამბობდნენ, ალბათ ყოვლად სამღვდელოს მამა ივანეს გაბლაღოჩინება უნდა. რავა გგონია, მამაო, სიკვდილს რომ არ ესწრო, არ მისცემდა თუ? — აღტაცებით დაუმატა დათაია დიაკვანმა.

— ბიჭო, ბიჭო, რა ამბები გქონიათ, — წამოიძახა დიაკვნის ნათქვამით დაინტერესებულმა მღვდელმა.

— აბა რა გგონია, მამაო! უკალონო, უსამართლო იყო კი არა... სხვა დროსაც, თუ გინდა, მადლობის და ტკბილი სიტყვის მეტი მის ყურს არ სმენია არც მღვდელმთავრისაგან, არც დეკანოზისაგან. თავის საქმეში კი ძლიერ მტკიცე იყო ცხონებული, — თითქო თავის თავს ელაპარაკებაო, გააგრძელა დიაკვანმა ცოტა სიჩუმის შემდეგ. — ვთქვათ, მოვიდნენ ჯვარისსაწერად. ორ თუმანს ეტყოდა. სხვაფრივ ჩვენ ხალხთან არ შეიძლება, ბატონო! დაიწყებოდა ერთი მოციქულობა, ღრიჭინი, აი აქეთ, აი იქით, მაგრამ უმალ მოკვდებოდა საწყალი და თუმანზე ქვევით მაინც არ ჩამოვიდოდა.

მღვდელს სახეზე რაღაც მწუხარება აღებეჭდა, ჩუმად ამოიოხრა, კაბის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და თავდაღუნვით ოთახში გაიარ-გამოიარა.

—განა მარტო ცხონებული იქცეოდა ასე?—ცოტა არ იყოს, გაუბე-

დავად წარმოთქვა დიაკვანმა.—შორს წასვლა რა საჭიროა. ავიღოთ თუ გინდ მამა ბლაღოჩინი. კაცი დეკანოზია, აქედან აქამდის, — ხელი მოისვა დიაკვანმა გულ-მკერდზე, — კაცი ბროწეულივით წითელ ჯვრებითა და მენდლებითაა დახლართული. აბა გაბედოს ვინმეს მასთან ხელცარიელი მისვლა? ჯვრის წერა და მაგისთანებს თავი დაანებე, ისე ტყუილად. როგორ არა! არც ცოცხალს და არც მკვდარს უფულოდ საყდრის ეზოშიაც ცხვირს არ შეაყოფინებს.

„რა რთულია, რა დახლართულია, რა გაუგებარი და მიუწვდომელია საერთოდ ცხოვრება, — ფიქრობდა მღვდელი და თავდაღუნული ოთახში დადიოდა, — რამდენი ცოდნა, გამოცდილება, ხასიათის სიმტკიცე, გულკეთილობა და სხვადასხვა ამისთანებია საჭირო, რომ კაცმა ასეთ პირობებში ნაყოფიერად იშრომო, თანამოსამსახურეებთან თანხმობა შეინარჩუნო, ხალხიც დაიმეგობრო და მათ საკეთილდღეოდ რამე კულტურული მუშაობა დაიწყო. სად არის ცოდნა! რა მასწავლეს ცამეტი წლის განმავლობაში სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი? არაფერი. ცოდნას თავი დაანებე, კარგია, რომ სულით ავადმყოფთა სახლში თავი არ ამოვყავი. ღმერთო, სად დაიღუპა, რამდენი ძვირფასი დრო! სად არის გამოცდილება. ორი თვე არ არის, რაც თავისუფლად ამოვისუნთქე. ვინ არის შემწე, თანამგრძნობი, დამხმარე? არავინ. ხელის შემშლელი, არ თანამგრძნობი? ათასი“. ახალგაზრდა მღვდელს გონებაში წარმოუდგა მთელი გროვა სხვადასხვა ფერის და სახის ტანისამოსში გამოწყობილ პირთა, რომელთ სათავეში ქვეყნიურ შარავანდედით მოსილი ჭყოინდარი იდგა და ბოლოში დათაია დიაკვანი. თავი მაღლა აიღო და დიაკვანს დაეკითხა:

— ეს კარგია, დათა. მითხარ, გეთაყვა, ხალხი, ჩვენი მრევლი, დადის კი ეკლესიაში?

— ხალხი ეკლესიაში? — განიმეორა დათაია დიაკვანმა. — შობას, აღდგომას და აქა-იქ დიდ დღესასწაულებში კი და სხვა დროს, ქუდიც რომ შეუგდო შიგ,, გამოსატანად არ მოგეკარება. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, ბრიყვი ხალხია.

— წირვა-ლოცვას კი უკლებლივ ასრულებდით?

— კი, მამაო, ვასრულებდით. თუმცა განსვენებული უბრალო კვირიაკეებს გამოტოვებდა ხოლმე, მაგრამ რა ექნა, ავადმყოფი კაცი იყო... და ესეც არა... ხალხი არ დადიოდა ეკლესიაში და ქაჯებისათვის ხომ არ უნდა ეწირა. ეე...ხ, მამაო, ისეთი ჯიუტი ხალხია, რომ... თქვენა ბძანეთ, რომ გულკეთილობა, მამაშვილობაო! გულკეთილობა კი არა, რაც დავიდარაბა და თავის ტეხა უნდა მათში

დრამის ფულის მოგროვებას. ვერ წარმოიდგენთ. განვენებელია ბერები და საშეალება აქაც გამოსძებნა, სოფლის მწერალ მიხასთან გააკეთა საქმე. ერთ ხეთმანეთიან ოხარკალიას იმასაც მიეგდებდა. მაგრამ დრამის ფულს კი უკლებლად დროზე ჯიბეში ჩაიდებდა. მიხა მწერალი, ბატონო, კაცი კი არა, თილისმაა. ჩვენ ვამასახლისს და სუდიერებს საით უნდა იქით მოატრიალებს. მამასახლისს ჯამაი ბუგა ყაზახს ბევრსაც არ მოერიდება: აი აქ დასვი ბეჭედიო. ეტყვის და მორჩა და გათავდა. მიხამ თუ მოინდომა, ეკანასკნელ სქ-ბეს (ხელსაფქვავი) გაუყიდის გლეხს და დრამის ფულს ერთ თვეში მოაგროვებს.

— ეს კი მეტისმეტია. კაცო. — ვერ მოითმინა მღვდელმა და. ცოტა არ იყოს. გულმწყრალად წარმოთქვა. — ესლა მაკლია. ვიღაც მწერალს ქრთამი ვაძლიო და დრამის ფულის მოკრეფის დროს ერთელი ავაწიოკებიო.

— ქრთამს არ გავიღებთ და ეშმარეტი. დავრჩებით. ეს! მამაო. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ. ქვეყნის ამბები წიგნებიდან იცით და თვით ცხოვრებაში ჯერ ჩახედული არა ბრძანდებით. იცოცხლეთ და თვითონვე გამოცდით. ახლანდელს დროში. შე დალოცვილო. ქრთამს ვინ არ იღებს, ან ქრთამით საქმეს ვინ არ აკეთებს... ამა როგორ გინდა, როცა სხვაფრივ ცხოვრება შეუძლებელია. ეინ გინდა, ბატონო, ქრთამით საქმეს არ აკეთებდეს. სუდი გინდა თუ ნაჩალიკი. ბლალოჩინი თუ დეკანოზი. ჩვენ შორის დარჩეს. რასაკვირველია, და მოგახსენებენ: კაი ბღვენსა და მოსაკითხსა მათი მეეფეებაც არ იწუნებსო...

— სხვის საქმეში მე არ მინდა გავერიო. — გაიწყვეტინა მღვდელმა. — ან ეს როგორ იქცევა, ან ის, მე სრულებით არ მეკითხება. ჩვენი ხელმძღვანელი უნდა იყოს ჩვენი სიკეთე და სინდისი.

— თვენი მტერი, მამაო, თუ ჩვენ მიხა მწერალი არ მოვიშველიეთ, ისე დრამის ფული დროით ვერ ავიღოთ. — გაიძახოდა მაინც დიაკვანი. — ნახევარზე მეტი დაგვეკარგება, გამოცდილებით ვიცი, მამაო, წირვა-ლოცვის მადლმა. მაგრამ კარგი, ბატონო, ვიცოცხლოთ და როცა თვით თქვენი ბედნიერი თვალით დაინახავთ როგორ მიდის საქმე, დარწმუნებული ვარ, ბრძანებთ: დათაია დიაკვანს ცოდნია და მე არ ვუჯერებდიო.

მღვდელი ისევ ტახტზე წამოწვა. დათაია დიაკვანი ოთახის შუაგულ მდგომ გრძელ მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა.

— კალონისთვის რომ გვეყურა, ბატონო, და იმის სამართლიან

განაჩენის მოლოდინში გულხელდაკრეფილი შინ ვმსხდარვიყავით, ჰო... უ, ეი...ეი! ბატონო ჩემო, ფერდობანის წმინდა გიორგის სამრევლო ახლა გროშ-კაპეიკად არ ეღირებოდა, — მარილიანად დაიწყო დათაია დიაკვანმა ცოტა სიჩუმის შემდეგ. — აი, იქით, მამაო, — ხელი გაიშვირა დათაიამ, — ჩვენი სამრევლოს ერთ-ერთ კუთხეს სახელად რაქას ეძახიან. ისე ცალკე სოფელივით არის გამოყოფილი, ერთ-ერთ დაბალ სერზე მდებარეობს. ოცდაათი კომლი იქნება. კაი გამრჯელი, კაი შემძლებელი ხალხი, სწორედ წუნი არ დაედება. ორი ისეთი ქვიტკირის დუქანია იქ გაშენებული, რომ ნახო, გაგიკვირდება, ქუთაისის მაღაზიებს არ ჩამოუვარდება. რა ფართალი, რა აბრეშუმობა, რა მაუდი გინდა იქ ვერ იშოვნო. რაც ღმერთს, ბატონო, ქვეყანა გაუჩენია და ფერდობანს ფერდობანი დარქმევია, რაქელები წმინდა გიორგის მრევლი ყოფილან. ეს ასი წლობით დაკალონებული, ტყვიავ შედუღებული საქმეა... მაგრამ ამ თუთხმეტიოდ წლის წინათ წამოგვედავენ ვაკეგანელი მღვდლები თევდორე და ანანია. ატყდა საჩივარი. ხომ მოგეხსენებათ, ორპირა და ტრელი ხალხი ყველგან ურევია. მორთეს ძახილი: ვაკეგანი უფრო გვეახლოვება, ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, იქ უნდა მივეწეროთო. სხვები ამბობდნენ: არ შეიძლება, რის ვაკეგანი, ფერდობანის წმინდა გიორგთან დედ-მამა მიმარხია, რაც გინდ შორს იყოს, მათ საფლავს ვერსად ვერ წავუვალო. ატყდა ერთი განგაში, ერთი გამოძიება, ერთი დავიდარაბა. ეს ბლაღოჩინი ვარო, ეს პრისტავი ვარო, ეს ნაჩალიკი ვარო. ეს ჩვენი სოფელი სიგრძესიგანეზე მგონი ცხრაჯერ გაზომეს. ათ წელზე მეტი ირჩეოდა საქმე კანტორაში. მამა ივანე, რაც შეიძლება, ფაცურობდა, მაგრამ თევდორე და ანანიასაც არ ეძინათ. აქეთ, იქით და, რაღა გავაგრძელო, საქმე იქამდე მივიდა, ისე დატრიალდა, რომ ეს-ეს არის, რაქელები ვაკეგანელებისათვის უნდა მიეწერათ. აი შენი კალონიც.

ერთ დღეს, ოი, საწყალი მამა ივანე, რა კაცი იყო ცხონებული, სწორედ მამალი ბიჭი იყო. ვო, დათაიაო, მითხრა განსვენებულმა. ბატონო-მეთქი, მივუგე მე. რომ შევხედე, ვნახე, რომ ეს კაცი ისე დაღონებულა, ისე დაფიქრებულა, სალავათი დაჰკარგვია!

— ეჰე გიდიო, ეს არის რაღა, გაგვეცალენ ხელიდან რაქელებიო, ნელა წარმოთქვა ცხონებულმა. — კისერზე უნდა დამაჯდენ ანანია და თევდორეო? ხომ გახსოვს, დათაია, ბეკო ჯგერინაიას ქვრივმა ასანდამ თავის ქმრის სულის საოხად ლაფშა ცხენი რომ გამოგვიჯვანაო.

— როგორ არ მახსოვს, მამაო, ის ცხენი თავად იოსებ ბაქიბუქა-

ძეს არ მიჰყიდეთ ცხრა თუმნად-მეთქი? ო...ო... კაი დაგემართოს, ეხსომებიაო. ეო, დათაიაო! ბატონო-მეთქი.

— ხო გახსოვს, ტუტურუა მოსიამ ცოლის სულის საოხად დეკეული რომ გვაჩუქაო.

— როგორ დამავიწყდება, მამაო, იმის მოგებული ორი მეწველი ძროხა შენ ახლაცა გყავს და ერთიც მეც მყავს-მეთქი.

— ო...ო... ღმერთმა გაცოცხლოს, არ დაგვიწყებიაო.

— ხომ გახსოვს, ბახვამ ჯვარი დაიწერა და ორი კრიალა წითელი ქაღალდი გადავახდევინეთო.

— რა დამავიწყებს, მაშინ იმ ფულით ჩაგუს რომ ჩექმა შევაკერინე, ახლაც მაქვს-მეთქი.

— აგაშენა ღმერთმა, კაი დამახსოვრება გცოდნიაო.

— გუდულამ რომ ჯვარი დაიწერა?

— თხუთმეტი არ გვალაპარაკა-მეთქი.

— მართალია, მართალიაო.

— გვაძი რომ საიქიოსკენ აპირობს გამგზავრებას, მისი ჯუკა ზარი ვის ერგებაო.

მე შევაჩერდი.

— რას მიყურებ! თევდორე მღვდელი მოავლებს ხელსაო.

— ზაქარა მედუქნე რომ ჯვარს დაიწერს, ოცდახუთიანს ვის მისცემენო?

მე ვსდუმდი.

— რატომ არას ამბობ? ანანია მღვდელი ჩაიჩხრიალებს ჯიბეშიო.

— ტოტია რომ ქალიშვილს, სალომეს, გაათხოვებს, ღერბის ფასს ვის მისცემენო?

— ნუთუ? ვაკებარელ წმინდა თეოდორე ტირონის ეკლესიის ჭრებულს-მეთქი, — წამოვიძახე.

— ნუ გეშინია, სირცხვილით არ დაგეწვებიანო... მაგრამ... ჰაიტ შეე, ძაბუნო შენაო, კაცმა იმედი თავის დღეში არ უნდა ამოიკვეთოს. ხომ გაგიგონია: ჭირსა შინა გამაგრება ეგრე უნდა ვით ქვიტკირსაო.

— იცი რა გითხრაო, — ცქვიტად მითხრა განსვენებულმა, შეეხედე, კაცი გამოცვლილა! ამსისხო თვალებს ატრიალებს, სახეზე ალმური ადის, — ხვალვე დილაადრიანად აღიღე სათხეველი, გასწი ეზისქვილის ქვემოთ, ახსენე ღმერთი და უკუღმა დატრიალებული საქმის წალმა მოსაბრუნებლად გადააგდე წყალში ბადეო. თუ რა-

ბე თვალსაჩინო მოყვა. ჩემსკენ გამოეჩქარე, იმედია, უფალს არ დავვიწყებივართო. რაღაც აზრმა გამიელვა თავში. აბა, შენ იცი.

ამ ღამეს, როგორც თქვენ არ მობრძანებულხართ ამ ჩემ კარავში და არ დაგიძინიათ, მე თვალში ლული არ მოვსულა. იალონზე წამოვხტი. მოვავლე სასროლ ბადეს ხელი და გავწიე. შევხედე, სქელ ბურუსში გახვეულა ეს უშველებელი მდინარე. აფეფებული კისერტეხით მიგორავს და მიგორავს გულმოსული დათვივით, რაღაცას მიდუდუნებს, თითქო თევდორე და ანანიას ემუქრებაო. ავთვალიერ-ჩავთვალიერე ადგილები. პირჯვარი გარდვიწერე; წისქვილს ქვემოთ, ბრუნდე ტირიფის გვერდით, მოვიმარჯვე... მოვიმარჯვე ბადე, ავწიე და გადავაგდე. ჰოი! უფალო იესო! შენ უკეთ იცი, რომ ზღაპარს არ ვამბობ! გადავაგდე და მოვწიე ნელ-ნელა ბადეს, მაგრამ რას მოვწიე?! „წინა“ გიორგის გეფიცები, ახლაც რომ გამახსენდება, სიზმარში ვარ მგონია. ამხნის კაცი გავიზარდე. დაბადებიდან სულ წყალში ვეყუმპალაობ და ამსიდიდე კალმახიც არ მინახავს. სრული ადლი იყო თითქმის სიგრძით, ერთი გოჯიც აკლდა. მოვლენაო. რომ იტყვიან, სწორედ ის მომივიდა.

— ბიჭო, ბიჭო! — წამოიძახა მღვდელმა.

— მერე, რა ლამაზი, ბატონო, თითქო კალმით საგანგებოდ დეუხატავთო, ალისფერი ბეჭდებით აჭრელებული ჰქონდა მთლად ტანი. ოხ! შენი სულის ჭირიმე, რომ ამოვათრიე, გავწი-გამოვწიე ბადეს და ხელი მივაკარე თუ არა!?.. იმსიგრძე კუდით შხლართანმოადინა. შენ კი გენაცვალე, ნუ გამიჯავრდები-მეთქი, დავეყვავილე და იმ წამსვე მამა ივანესთან გავარბენინე.

კაცი სიხარულით ცას დაეწია. იმავ დღესვე თბილისისკენ გავწიეთ. ჩამოვხტით პურ-ღვინოს გასლიცაში. კაი დაგემართოს. კარგი სასტუმრო ის იყოს. რა მოწყობილობა, რა ოთახები. რა ნოსამსახურე ბიჭები. სულ ელი და ვალივით * დასრიალობენ.

დაფაცურდა განსვენებული. დაპატიჟა არხიმანდრიტები, დეკანოზები, ჩილონიკები, სეკლანტრები, რა ვიცი, ვინ და ვინ. გაუმართა სადილი. მე შენ გეტყვი და დაგაკლდება რამე თუ? ენა-პირ შეა რაც გინდა ყოვლისფერს კი იშოვნი იმ დასაქცევში. ეს ჩემი კალმახი ისე მთლად შეეწვათ მაგ ყურუმსაღებს. ვერცხლის ხონჩაზე დაედოთ და ისეთი ფოკუზ-მოკუზები შემოეწყოთ იგვლივ, რომ ვერც კი ვიცანი ხეირიანად.

მოილხინეს მარა, რა მოილხინეს. ისეთი კახური მრავალჟამიერი

* ელვასავით.

დასძახეს, რომ ციდან მარსკვლავს მოგლეჯდა. უკეთესი სმა-ჭამის ხალხი ღმერთმა დასწყეველოს. ბერები კი არა. ჩვენებური ბატონიშვილები არ მინახავს ისეთი ოხუნჯი და მხიარული.

კალმახის ისტორია რომ გაიგეს, ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. საჩქაროდ. რიგს გარეშე. ჩემი სადუეგრძელო დალიეს: ზოგი პეტრე ბოიკოჭულს მადარებდა, გენესარეთის ზღვაზე რომ სასწაულებრივ თევზი დაიჭირა. ზოგი ბღვდლობას მისურვებდა. ზოგი კი ცოლს, ზოგი რას და ზოგი რას.

მეორე დღეს კიდევ გაიარ-გამოიარა ცხონებულმა, ეჰ-იჰ. ასე, ისე და ქისაც საკმაოდ შეათხელა. მაგრამ საქმე კი თითქმის წაგებული მართლაც და წაღმა მოატრიალა. რაქელები სამუდამოდ ჩვენ მოგვაკრეს და დარჩნენ ხელცარიელი თევდორე და ანანია. ახლა გაარჩიე, ბატონო, სად არის კალონი და სად არის უკალონობა.

მე ერთი ყრუ კაცი ვარ, მამაო, მაგრამ დაკვირვებამ და გამოცდილებამ ერთი რამ დამასწავლა. ქვეყნიური ცხოვრების საქე კალონი კი არა, ხერხი და დარდმანღობაა. თუ მოხერხებული კაცი ხარ, ყოველგვარ კალონს, როგორც შენ გინდა, ისე მიატრიალებ.

— მე არ გეთანხმები ამაში, მაგრამ მართლაც რომ ყოჩაღად მოქცეულხართ. ეკვი არაა, — სიცილით უთხრა მღვდელმა. — ახლა ეს მითხარი, ქადაგება და მაგისთანებს ჩვეულია თუ არა ჩვენი მრევლი?

— ეს უნდა უქადაგო, მამაო, როცა ხალხი საყდარს არ ეკარება. შეიხედავ და მოვა წირვაზე სვიმოია შერეკილი, როდაია ქუჩუს ქვრივი და ჩვენი მნათე ბასა. აი ჩვენ წირვაზე მოსიარულე ხალხი.

ამათ თუ გინდ უქადაგე და თუ გინდ არა, მაინც ხელში გვყავს, გალიაში დამწყვდეული შოშიასავით. რომ უქადაგო, რა გამოვა, ქადაგებისას რას გაიგებს ყრუ ხალხი. მაგრამ უკაცრაოდ, მამაო, ლაპარაკით თავი მოგაბეზრეთ და სულ დამავიწყდა მიმეხედნა. მოხუცი დედაკაცი გვიმზადებს რასმე თუ არა.

V

ვაიშაში შემოიტანეს. ჩინებული საჭმელი მოემზადებინა დათიას დედას. ჩახოხბილი ქათამი, შეწვარი გოჭი, ახალი სულგუნი, ხაჭაპური... ყველაფერი სუფთად და შნოიანად გაკეთებული.

მღვდელს ალექსის ჭამის მადა სრულებით არ ჰქონდა, მაგრამ

მასპინძლის პატივისცემისათვის სუფრას მაინც მოუჯდა და შეეცადა გარეგნობით მხიარული სახე მიეღო.

მღვდლის გულში კი ნამდვილი ცეცხლის ალი ტრიალებდა. „ე...ე! — ფიქრობდა მღვდელი, — პირველი შთაბეჭდილება არ არის სახარბიელო, ჩემს აღფრთოვანებას ცოტათი ფრთა შეეკვეცა, პირველი იმედი გამიცრუვდა. ცხადზე უცხადესია, რომ მე და დათაია ერთიმეორის მოწინააღმდეგე წერტილზე ვდგევართ. ჩვენ არა გვაქვს საერთო ნიადაგი და იმავე დროს იძულებული ვიქნებით ერთად ვიმსახუროთ, ერთ საერთო საქმეს ვემსახუროთ. ვერც კი წარმომიდგენია, შეიძლება თუ არა ამ პირობებში თანხმობით სამსახური! რა ამხანაგობა და დახმარება უნდა გამიწიოს იმ კაცმა, ვისაც ჩემი არა გაეგება რა და მე მისი. სად ვეძიო, ვისთან ვეძიო თანაგრძნობა და დახმარება?!“

— მიირთვით, მამაო, მიირთვით, — ეპატიჟებოდა დათაია დიაკვანი, — არაყს სრულიად არ მიირთმევთ? რისთვის, მამაო! შინაური გაკეთებულია, მაგრამ მერწმუნე, ქალაქურს არ ჩამოუვარდება. ოთხჯერ გამოხდილია, წმინდა ჭაჭაა.

— გმადლობთ, ეტყობა ჩინებულია, მაგრამ მე ბუნებით არაყს არ გეახლებით, — ზრდილობიანად მიუგო მღვდელმა.

— მე კი უარაყოდ საქმელი არც კი მეგემება, — თქვა დათაიამ და ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა.

„სად ვეძიო, ვისთან ვეძიო თანაგრძნობა?“ — არ შორდებოდა ფიქრი მღვდელს.

— მამაო, თქვენ რაღაც ფიქრებში გაერთეთ და არაფერს მიირთმევთ, — არ ცხრებოდა დიაკვანი.

— ღმერთო მომკალი, ალბათ არ მოსწონს, ან საიდან მოეწონება ჩვენი სოფლური შეთითხნილი ვახშამი ღოროდში გაზრდილ კაცს, — თავმდაბლა შენიშნა დათაიას დედამ.

— ბატონო, როგორ გეკადრებათ, მე კი არა, ხელმწიფე არ დაიწუნებს ისეთი ვახშამია, დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო, ღირსი არა ვარ ამდენი თქვენი შეწუხებისა. საუბედუროდ, რაღაც დაღლილი ვარ და მართლაც და ჭამის გუნებაზე არა ვარ, — რაც შეიძლებოდა ლმობიერად მიუგო მღვდელმა.

— სწორედ რომ დაღლილობის დროსაა საჭირო ბლომად საქმელ-სასმელი, რომ კაცის სხეული გამაგრდეს, — ამბობდა დიაკვანი და ლაზათიანად შეექცეოდა ჩახოხბილ ქათამს. — ჭამა—ჭამაა და სმა? თუ თქვენ, მამაო, ამის მეტს ღვინოს არა სვამთ, ეჰე გიდი, დავღუპულვართ კაკალი კაცი. ისე წრუპავთ, თითქო ჭაშნიკი გინდათ გასინ-

ჯოთო. თქვენი მაკურთხებლის მადლმა, მამაო, ჩვენში ასე არ შეიძლება. საცა მიხვალ, ლოცვა-კურთხევაც უნდა გადასცეთ და თამადობაც უნდა იკისროთ. უამისობა არ შეიძლება, ხალხი ასეა მიჩვეული და თუ ხათრი გაუტეხე და ხასიათი არ გაუსწორე, ძლიერ საწყენი დაურჩება. დალიეთ, მამაო, ფიქრი ნუ გაქვთ, ნაყიდი ღვინო არ გეგონოთ. ჩემი ხელით დავკრიფე ყურძენი, საგანგებო ავარჩიე, მე თვითონ დავწურე და ჩემი ხელითვე ჩავასხი, ჩემ მიერვე გარეცხილ ჭურში. ტრაბახობაში ნუ ჩამომართმევთ და ჩემისთანა სუფთად ამ ახლომახლო ღვინის დაყენებას, ტყუილია, ვერავინ დაიჩემებს. დალიეთ, მამაო, ყურძნის წმინდა წვენია, მთელი კოკაც დალიოთ, არ გაწყენთ.

— რა სათქმელია, ჩინებული ღვინოა. მართალი გითხრა, მე ასეთი კარგი ღვინო ჩვენში არც კი მინახავს. რას ამბობ, მე ეს ორი ჭიქა ზედიზედ დავლიო, უეჭველია, დამათრობს, — მიუგო მღვდელმა.

— რა ვუყოთ, მამაო, თუ დავთვრებით. ბედნიერად, ჩემო ბატონო. მადლობა ღმერთს გადახურულში ვართ. სახლი ჩემი საკუთარია, მოვალე არ მაწუხებს და მოვახშე, დავთვრებით, დავიძინოთ.

— უჰ! რას ამბობ, სიმთვრალე როგორ შეიძლება, თავდაპირველად ზომიერებაა საჭირო ყოველგვარ საქმეში. ტყუილად არ გვეცინიან ჩვენ საერთოდ ქართველ ხალხს, რომ ყაირათი არ იციანო, — დარიგების კილოთი თქვა მღვდელმა.

— შენ არ გწყეული, და ი ̇ დენი ჩემ ორ ბაღანას ღმერთმა უდროოდ რამე ფათერაკი ნუ შეახვედროს, რამდენი დოქი ღვინო უგზო-უკვლოდ და უთავბოლოდ დაიბარჯოს ჩემ სახლში, მაგრამ ღვთის წყალობა, რაც ჩემ თავს მოვესწარი, ღვინო არ მიყიდია. დალიეთ, მამაო. ეს ღმერთმა გაცოცხლოთ, კაგაბედნიეროთ, ცოლით, ყოველი თქვენი კეთილით, ღმერთმა თქვენი ვაჟიშვილი გვაჩვენოს. შეგაყვაროს ჩვენი სოფელი...

— გმადლობთ, ვ ̇ მადლობთ,—მხიარული სახით მიუგო მღვდელმა და ნახევარი ჭიქა ღვინო დალია.

— ეს როგორ შეიძლება, ეს ერთი მაინც უნდა დასცალო, — გულიანად ამბობდა დათაია დიაკვანი. — მომითმინე, აგერ, თუ ღმერთმა მშვიდობა ქმნა, მაჭარი მოგვასწრებს. გაჩაღებული კერა, ჭყლინტი სიმინდი, ახალი ნიგოზი და გვერდზე დოქით ახალი მაჭარი. ე...იჰ! შენი ჭირიმე, რა კარგი იქნება. დალიეთ, მამაო, სამადლობელო მაინც უნდა გამოცალოთ.

— გმადლობთ, ცოტას კიდევ მოვსვამ და დაცლა, რა მოგახსენო, არ შეშიძლია, ილიერ მაგარი ღვინოა, დამათრობს. მეტი ღვინის სმა ცოდვაა, კანონის წინააღმდეგია, — სიცილით თქვა მღვდელმა.

— ეჰ, მამაო წმიდაო, თქვენ მაინც, თქვენი განათლებული პირით როგორ ბრძანებთ ამისთანა სიტყვებს, — ვითომ და გაოცებით მიუგო დიაკვანმა.—მე ერთმა უსწავლელმა, ტყეში გაზრდილმა კაცმა როგორ უნდა გასწავლოთ ისტორია. რამდენად ცოდვილი, რამდენად ბოროტის მოქმედი უნდა ყოფილიყო, ერთის მხრივ, ის ხალხი, ვიზედაც უფალმა თვისი მართლმსაჯულების უკიდურესი ზომა იხმარა და წარღვნით დასაჯა, ხოლო რამდენად მართალი და ღვთის სათნო ყოფილიყო, მეორეს მხრივ, ის ერთადერთი კაცი, ვინც ამ საერთო ცოდვის მორევის დროს უცოდველი და ღვთის მმოსავი აღმოჩნდა, და წარმოიდგინეთ, რომ ეს უმაგალითო ღვთის სათნო კაცი ღვინოსა სვამდა რომელია, თვრებოდა, მაგრამ უფალი არ უჯავრდებოდა.

— ხა, ხა, ხა, — ჩაიცინა მღვდელმა. — არ გაჯავრებია, მაგრამ არც მოუწონებია ჭარბად ღვინის სმა...

— თქვენი მაკურთხებლის მადლმა, არც დაუძრახავს. პირიქით, ვინც ის დასძრახა, ღმერთმა ის დასაჯა. ეპვი არაა, ღვინის სმა ღვთის მიერ ნაკურთხ-დადასტურებულია, ამიტომ, მამაო, ღმერთმა გიცოცხლოს მშობელი დედა. დედისთანა კაცისათვის ხომ არავინ იქნება ამ ცოდვილ ქვეყანაზე, სხვა ყველა ტყეის, ცოლიც, შვილიც, დაც, ძმაც. გულწრფელი და ნამდვილი გულშემატკივარი მხოლოდ და მხოლოდ დედაა. აი, ეს დედაჩემი, მამაო, სამოცდა ათი წლის მოხუცია, მაგრამ ეს არა მყავდეს, ამდენხანს ათჯერ დავიღუპებოდი.

— გმადლობთ. გმადლობთ, — გრძნობით მიუგო მღვდელმა, — მეც სულით და გულით ვუსურვებ დედათქვენს კიდევ ბევრი ხნის სიცოცხლეს.

— გმადლობთ, ბატონო, დღეგრძელი გამყოფოს მამა ზეციერმა, — თავმდაბლა შენიშნა მოხუცმა და ამოიოხრა.

ნავახშმევს მღვდელ ალექსის სუფთა ქვეშაგები დაუგეს, აბრეშუმის საბანი დახურეს და მოასვენეს.

ახალი ნახულ-გაგონილის გავლენის ქვეშ მღვდელს დიდხანს არ დაეძინა.

„დათაია დიაკვანი თავისთავად ცუდი კაცი არ უნდა იყოს. — ფიქრობდა იგი, — პურ-მარილი, პატივისცემა ჩინებული, მაგრამ

სხვა ბბრივ, როგორც თანაშემწე სამსახურის დროს, როგორც იდეური ამხანაგი, არ ვიცი, რამდენად შევეგუებით ერთმანეთს. იქნებ რამე შევაგნებინო? თუმცა ფუჭი ოცნებაა. კაცს ოცდახუთი წელიწადი უმსახურნია. ამ ხნის განმავლობაში ერთგვარი ფიქრით და აზრით ეყურებს საქმეს და ახლა მისი ახალ გზაზე დაყენება, მგონი, ყოვლად შეუძლებელი შეიქნეს. ყოველ შემთხვევაში, ეცდები ხელი არ შემიშალოს.

არა, უეჭველია, ბევრი დაბრკოლება გადამელობება წინ, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, ჩემი გაინარჯვებს. ყველაფერი ხალხისაგანაა დამოკიდებული. არა ვგონებ, ისეთი იყოს ხალხი, როგორც დათაიას გონია".

VI

— ამ დილა ადრიან რა მოგარბენინებდა, კაცო, ჩიტი ხომ არა ხარ, ხის ტოტზე ხომ არ იჯექი. კაცი წუხელ შუაღამისას მოვიდა, შორი ნგზავრობით დაღლილა, ძინავს და ახლა როგორ უნდა გავაღვიძო. საკვირველია, წაინდა გიორგის მადლმა, კაცს ჯერ ფერდობანში ფეხიც არ შემოუდგამს ხეირიანად და მაჰაჯირებივით უკვე თავს დაეცნენ.

— რა ვქნათ, დათაია, — მოისმა ეცნობი ხმა, — გაჭირვებამ მოგარბენინა. მოხუცი დედაკაცია, მაგრამ ისიც ქრისტიანი სულია, უზიარობ მოკვდეს ცოდოა.

— მოკვდება კი არა, არ გინდა გარდაიცვლება, ბიცოლა შენს რა მოკლავს, მენცარ * ქალს...

— ეხ! დათაია, გვეყოფა, რაც ფერდობანელებმა უმღვდლობით გაჭირვება ვნახეთ! მაგა ივანე ღმერთმა აცხონოს და ვერაფერში ვერ დაგვემდურებოდა; ჩვენ კი, ქუდი რომ დაგვედო და სამართალი მოგვეთხოვა, ბევრ რაბეში ვიყავით გულნატკენი, მაგრამ ნეტავ არ მოკვდარიყო უბედური და ჩვენ კიდევ ავიტანდით, ჩვენ ხელში გაზრდილს არ შევარცხვენდით. ახლა კი ცოტა რიგი და წესი უნდა დამყარდეს ჩვენში. მიწას რომ ვჩიჩქნით სოფელში და მაშინა-დელენებით რომ არ დავბრიგინობთ, იმიტომ სულ ყრუ კი არა ვართ, დათაია.

— ერთი შენცა, დაიწყებ ახლა ისტორიას, — მკვახედ გააწყვეტინა დათაიამ.

* როკაპი, ქუდიანი.

— ისტორიას კი არა, მართალს ვამბობ, მამიჩემის სული ნუ წამიწყდება, — მშვიდად გააგრძელა უცნობმა. — ჭუჭაია უზიაროდ გარდაიცვალა, პეხუ უზიაროდ გარდაიცვალა, ივა, როდამი, აბრამდენი ჩამოვთვალო. არ მოვიდა, ყმაწვილო, სხვა მღვდელი, არა, როცა გაგვიჭირდა და გავიქეცით. თქვე ამოსაწყვეტებო, ანჩხლი რძალ-დედამთილივით ერთმანეთის ჯინი გჭირთ. ანანიასთან რომ მივირბინეთ, ოცდახუთი დაგვიჭყივლა, გიორგი მღვდელთან რომ მივედით ქალაში, კინაღამ ძაღლებით გამოგვეკიდა. გვეყოფა, დათაია, თუ ახალი მღვდელი ჩამობრძანდა, თხოვე, რომ უსათუოდ წამობრძანდეს...

— ჰო, კარგი, კარგი, წამობრძანდება... ამისთანებში კი მარჯვეხარ, მაგრამ მამიშენის სულის საოხად ერთი მოზვერის მეტი არა მოგიცია რა, ამაზე კი რას ამბობ, — არ ცხრებოდა დათაია დიაკვანი.

მღვდელსაც გამოეღვიძა ამ ხმაურობაზე. მიხვდა, რომ საზიარებლად იწვევდნენ.

— მღვიძარე ვარ, არა მძინავს, დათაია, ახლავე გამოვალ, — გასძახა მან ლოგინიდან, წამოხტა და საჩქაროდ ტანთ ჩაცმა დაიწყო.

მოხუცებულები და დეკამერონი

(ცქრიალა გოგონას ნაამბობი)

სასწავლებლიდან რომ შინ მოვდიოდი, ლუდის ქარხნის გვერდით ჩვეულებრივი მუცელგუდა შემხვდა. ამ სახელს მე ვარქმევ, თორემ ნამდვილი მისი სახელი არც კი ვიცი. ხელში ვერცხლით მოქედილი ლამაზი ჯოხი ეჭირა და სწორად გაგებულ საქვეითო ქვაფენილზე რიტმიულად უკაკუნებდა. მე როცა დაუპირდაპირდი, ჯოხი მაღლა ასწია, თითქო ჯარისკაცი თოფს იმარჯვებსო. „მე ხომ არ მაძლევს სამხედრო სალამს-მეთქი“, გავიფიქრე, მაგრამ ჩქარა შევამჩნიე, რომ ქუჩის გაღმა მხარეს, ღია ფანჯარასთან გაშლილ წიგნით ხელში მჯდომ მანდილოსნისაკენ იყო მისი ყურადღება მიქცეული.

— თქვენ კი, ქალბატონო, — არხეინად დაიყვირა მან, თითქო პოლიციელი შოფერს უჯავრდებაო, — მანდ რას იცინით, „დეკამერონს“ ხომ არ კითხულობთ.

— ოჰ, შენა, ძაღლი ახსენეო და ჯოხი მხარზე მოიდევიო, აქ მოეთრიე, — სიცილით მოსძახა მანდილოსანმა და მუცელგუდაც იქითკენ წაჩანჩალდა.

მე ჩემი გზა განვაგრძე, პატჯრა ბაღი გავიარე და წმინდა იოსების საყდრის პირდაპირ საწიგნოებს ჩამოუარე.

— „დეკამერონი“ ხომ არა გაქვთ? — დავეკითხე ერთ-ერთ მე-

წიგნს. ის თავის პატარა დუქნის კარებთან იჯდა და არხეინად ბოლავდა.

ბედუინებმ თვალები ჭყიტა და დაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერა.

—ბგონია სადღაც მაქვს,—ულაზათოდ მომიგო მან და წიგნებში ჩხრეკა დაიწყო. — სრული არა მქონია, ქალიშვილო. აი, თუ გნებავთ ბელორე ტომი. ამაშიაც ბევრი კარგი ამბები წერია.

წიგნი უყდო იყო, სათაური სანახევროდ ჩამოგლეჯილი და საკმაოდ ბეჭყიანი. მე მინდოდა გზა განმეგრძო, მაგრამ შევჩერდი.

— რა უნდა მოგცეთ ბაგაში? — დავეკითხე მე.

— რას მიბრძანებთ, იაფად მოგართმევთ, საბოლოოდ სანტიმად ინებეთ.

წიგნი ვიყიდე და შინისაკენ გამოვსწიე.

— ეგ რა წიგნია, ეს ჭეჭყიანი წიგნი? — თვალი მოჰკრა წიგნს დედაჩემმა, როცა სახლში შემოვიდა,—ვაიმე! შეხე ერთი, დედი,— მიმართა ჩემ დიდედას, რომელიც თავის განშორებულ სავარძელში ჩვეულებრივ. როგორც ის ამბობდა „განისვენებდა“, — შეხედე ლეიზას. „დეკამერონი“ მოუტანია, ძველ საწიგნოში შეუძენია, ეგვი არაა.

— რაო? „დეკამერონიო“? — გაიკვირვა დიდედამ. — ახ, ჩემო გამჩენო! ჯერ ბავშვს თავი არ გადაშრობია და „დეკამერონი“? აქ მოიტა. აქა, ნე მაგას ჩემი სკივრის ფსკერზე მოვაქცევ და საუკუნო ტყვეობას მივუსჯი. ცეცხლში დავწვავდი, მაგრამ აუტო-დაფეს მოწმრე არა ვარ, მე ჰუმანისტურ პანსიონში მიმიღია განათლება.

აბა რას ვიტყოდი. ცოტა წინააღმდეგობის გაწევა დავაპირე, მაგრამ მამაჩემთან დასმენით დამემუქრნენ და მეც ჩავჩუმდი.

— ნეტავ ვიცოდე, თუ რა წიგნია „დეკამერონი“, — ვამბობდი ჩემს გულში.

* * *

კვირა დღეობით, ნასადილევს, ჩემ ბიძაშვილთან მივდიოდი ხოლმე. მისი დეიდა „ხნიერი ბერწი“, როგორც მას ეძახდენ (არა მის გასაგონად) ჩვენთან ერთად ქალაქის ტყეში სასეირნოდ მოდიოდა, მერე ტბის შუაგულ ხელოვნურად გაშენებულ ბალაკს ვინახულებდით და იქ გამართულ ყავახანაში თითო ჭიქა რძეს აუცილებლად დავლევდით. „დეიდა ანა“, როგორც ეძახდენ მამას დეიდას (ამას კი მის გასაგონადაც), გვარწმუნებდა. ბალაკის რძეს

დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა აქვსო, ადამიანს ფერ-ხორცს ბა-ტებსო, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ „დეიდა ანას“, მიუხედავად ამისა, რომ ბევრს სვამდა ჭალაკის რძეს, არა აჩნდა რა.

— ოჰ, ღვთისმშობელო ქალწულო, რა ჯოჯოხეთი, — ჩუმად იტყოდენ ხოლმე ჩვენიანები, როცა „ბნიერ ბერწზე“ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა.

გზა თითქმის სანახევროდ გავიარე და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ჩემი პატარა ხელპარკი თან არ მომქონდა. ერთ ხანს დამეზარა შინ დაბრუნება, მაგრამ უხერხულად ძეჩვენა მთელი დღე უცხვირსაბოცოდ და უფულოდ ყოფნა, საჩქაროდ შემოვტრიალდი და შინისკენ გავეჩქარე. გადავწყვიტე იქითობას ტრამვაი ამეღო და ბიძისას მაინც დანიშნულ დროს მივსულიყავი.

ჩვენი პატარა ბალის კარები შემოვაღე; იქ ჭაკანება არ იყო. სახლში შევავალ დერეფანში ჩემი დედ-მაშის პალტოები და ქუდები არა ჩანდა. ალბათ, ისინი წასულან ავადმყოფი ბიძაშვილის სანახავად, როგორც სადილის დროს ამბობდენ, გავიფიქრე მე. დიდედას სძინავს, ხელს არ შევეშლი, მომივიდა კეთილი აზრი. მაგრამ კარი მაინც ფრთხილად შევაღე. ჩემი პატარა ოთახი დიდედას ოთახს ეკედლებოდა. შემეძლო მეორე მხრივ მოვეარა, მაგრამ დრო ნსურდა მომეგო.

კარი შევაღე და სახტად დავრჩი. დიდედას სავარძელი ცარიელი იყო. თვითონ ის მაგიდასთან სელზე გამოპიმულიყო ყოჩაღად და მაგიდაზე გაშლილ წიგნს გულმოდგინედ კითხულობდა — მის მიერ საუკუნით დაპატიმრებამინსკილს! კარის ნელ ჭრიჭინზე დიდედა არ განძრეულა. ერთბანს ვუყურე. სახეზე ჩუმი ღიმი უჭროდა. ასეთი განსპეტაკებული სახით მე ის თავის დღეში არ მენახა, კარი ჩუმადვე მივკეტე. ხმა არსაიდან მომსმენია, სახლში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. საჩქაროდ მეორე მხრივ შემოვიარე, ფრთხილად ჩემს ოთახში შეველ. ხელპარკი ავიღე და საცდელისკენ გავემართე.

* * *

ტყეში, როცა „ბნიერი ბერწი“ ერთ-ერთ გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ჩვეულებრივ წიგნის კითხვა დაიწყო. მე და მაშამ, იქვე, მახლობელ მწვანეზე ბურთის თამაშობა გავმართეთ. მე, რასაკვირველია, მაშას ყველაფერი ვუამბე „დეკამერონზე“. მაშა ძლიერ დაინტერესდა.

— იცი, ლუიზ,—მითხრა მან,—მოდი შენ ის წიგნი მე მომიტანე და ერთად წავიკითხოთ. მე ჯერ არ წამიკითხავს „დეკამერონი“, მაგრამ კარგი რამ უნდა იყოს, თუკი დიდედაც ამ ზომამდე გაართო.

— საქმეც ის არის, მაშო, რომ დიდედამ მე ის წიგნი წამართვა, თავის სკივრში ყავს დატყვევებული, როგორც ის ამბობს...

— ეს, ლუიზ, — ეშმაკურად მითხრა მან, — ეტყობა არ დაუტყვევებია, ან თუ დაატყვევა, ისევ გაუნთავისუფლებია, თუკი თვითონ კითხულობს, იმას სკივრში არ შეინახავს, იქვე სადმე მაგიდაზე ექნება. იხელთე, როგორმე, მარჯვე დრო და...

შევეცადე ჩვეულებრივ დროზე უფრო ადრე დავბრუნებულვიყავით ტყიდან. ტრამი ავიღე და პირდაპირ სახლისაკენ გავეშურე. დერაფანში სიცარიელემ და სახლში სიჩუმემ გამაგებინა, რომ ჩვენები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და დიდედას ოთახი წყნარად შევაღე. დიდედას სავარძელი ისევ ცარიელი იყო. თვითონ კი მაგიდას ეჯდა, თავი ზედ დაედო და ეძინა. ჩემი „დეკამერონი“, გაშლილი, თითქმის მის ტუჩს ხვდებოდა და დიდედას ტუჩებიც იმგვარად იყო მომარჯვებული, თითქო ვისიმე კოცნას აპირებსო. ერთი წამის დაკარგვა შეუძლებელი იყო. უკეთეს მარჯვე შემთხვევას ძნელად თუ ვიშოვნიდი. ფეხაკრეფით ოთახში შევირბინე. წიგნს დავაფრინდი, ვით ქორი წიწილას და ისევ გამოვირბინე. დიდედა არ განძრეულა. მას ღრმად ეძინა. წიგნი ჩემს ოთახში ძლიერ საიდუმლო ალაგას შევინახე და ისევ ქუჩაში გამოველ. შევუხვიე ჩვენ გვერდით ვიწრო ქუჩისაკენ. დარწმუნებული, რომ იქ ჩვენიანებთაგანის არავინ შემხვდებოდა. ასე ხეტიალში გავატარე თითქმის ერთ საათამდის და ისევ შინ დავბრუნდი. ახლა კი, იმედი მქონდა, რომ შინ ვინმე დამიხვდებოდა.

ჩვენები მართლა დაბრუნებულიყვნენ და სასადილო ოთახში ყავას მიირთმევდენ.

— ფრთხილად, ლუიზ, — მითხრა დედაჩემმა, — დიდედა რაღაც უქეიფოდ არის, შენ ხომ არ გაგიჯავრებია; შენებურად ცელქობით არ შეაწუხო.

— აბა მე რათ, ან როდის გავაჯავრებდი, — ცოტა წყენით მივუგე და მაშინათვე ტკბილად დავუმატე, — ნეტავ რა დამართნია, ცუდად ხომ არ ეძინა?

— აბა როგორ გითხრა, საიმისო არაფერია, მგონია რაღაც ნაწყენი სახით ვნახე, ყავის მირთმევაზე უარი განაცხადა, საზოგადო ფქეიფობას ასახელებს.

• • •

მეორე კვირას, არ მახსოვს რომელ დღეს, მგონი პარასკევი იყო, ჩვენ ყველანი შინ ვიყავით. ჩემი უფროსი ძმა, უკვე ახალგაზრდა ვექილი, ერთ-ერთ მახლობელ ქალაქიდან, სადაც მუშაობდა, საქმეებისა გამო შემთხვევით ჩამოსულიყო და ისიც იქ გახლდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი „დეკამერონი", მართალია, მაშოს მივუტანე, მაგრამ წიგნის კითხვის გეგმის საწინდაწინო რჩევაც ხეირიანი ჯერ ვერ მოგვეხდინა.

ერთიც ვნახოთ, ვიღაცამ ჩვენი სახლის ზარი დააწკარუნა. გავიხედეთ და „ხნიერი ბერწი" შემოვიდა გულმოსული სახით და, ჰოი საშინელებავ, ჩემი „დეკამერონიც" ხელში ეჭირა.

მცირე მისალმების უმალ „დეიდა ანამ" სწორედ რომ ყუმბარასავით იფეთქა და ერთბაშად გადმოანთხია ჩემკენ მომართული საყვედურები. შემდეგ ცოტა სული მოითქვა და პროკურორის ტონზე გადავიდა:

—მე, ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, თუ ფიცხედ დავიწყე, მაგრამ საქმის ვითარება ცხადჰყოფს, რომ ჩემ მხრივ ეს ბუნებრივია. თქვენი ქალიშვილის დამრიგებლობას მე სრულებით არ ვკისრულობ, აქ პირად ჩემი და ჩემი დის ოჯახის კეთილდღეობა გახლავთ სასწორზე დადებული. ჩვენ ოჯახს საშიშროება მოელის და ყველაფრის მიზეზი, აი, ეს წიგნაკი გახლავთ, რაც ჩვენს ოჯახში თქვენი ქალიშვილის მიერ მოტანილი აღმოჩნდა. ეს ჩვენ გავიგეთ აი ამ დღის სამი საათის წინ და იმიტომაცაა, ამ ამბის მიერ გამოწვეული აღელვება ჯერ არ დამცხრომია. კიდევ ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, მაგრამ გთხოვთ მომისმინოთ თავიდან. აი, ბატონებო, საქმე როგორ იყო: ხუთიოდე დღე იქნება, რომ ეს წიგნი მაშოს ხელში უნახეს. როცა ჰკითხეს, საიდან ჩაუვარდა მას ხელში, ვიღაც თავისი ამხანაგი, ჩვენი უცნობი, დაასახელა.

ამ ამბავმა ბიძია თადემდე მიაღწია (ბიძია თადე გახლავთ ჩემი ბიძის ცოლის ბიძა, მოხუცი, უცოლშვილო, მდიდარი, ინდუსტრიელი), ის საშინლად გაჯავრდა:

— ნეტავ ვიცოდე, თუ რა დროებას მოვესწარი. თითისტოლა ჭოგოები „დეკამერონს" კითხულობენ. გოგოები კი არა, ჩვენ, ვა-

ყიშვილები, პოლიტექნიკუმის სტუდენტობის დროსაც ვერ ვბედავდით „დეკამერონის“ კითხვას. „წორე გითხრა, არც კი ვიცოდა, რა ხნის ვიყავი, როცა ის წავიკითხე... — და ამნაირად აპილპილდა ეს კაცი. ასე ჰგონია ოთხმოცდაექვსის წლის მოხუცი კი არა, ოცდახუთმეტის წლის ვაჟკაცია. — აქ მოიტათ, აქ მოიტათ, — თითქმის ყვიროდა იგი. — მე ვიცი მაგას თუ რას ვეუბნებ, მე რომ მკითხო, მაგ სასაძაგლეს ნაფლეთ-ნაფლეთებად ვაქცევდი და ღუმელში შევუძახებდი. მაგრამ მე სრულებით ვიწრო შეხედულების კაცი არა ვარ, პარბაროსობა თავის დღეში არ ჩამიდენია და ისე პატიოსნად, ჩემი შრომით და მუყაითობით ჩემი ცხოვრება ჩამიტარებია. ოცდახუთის წლისას ოცდახუთი ფრანკიც არ მომეძეოდა და შემდეგ. ჩემ ძმასთან ფილიპესთან ერთად, ოთხი ქარხნის პატრონი კი გავხდით. რატომ თორმეტი არ გვექნებოდა, ფილიპე რომ მფლანგველი კაცი არ აღმომჩენოდა. აქ მოიტათ, აქ, ის საზიზღარი, მე ვიცი მაგას სად ვუკრავ თავსა. მას ჩემს საგანგებო ქალაღდების რკინის ყუთში დავმალავ.

ბიძია თადეს აბა სიტყვას ვინ შეუბრუნებდა!

— მერე ამ წიგნაკის გულისთვის ამდენი აურზაური? — მოწყენილი ღიმილით, ფრთხილად შენიშნა დედაჩემმა.

მამაჩემი ბუდამ აუღელვებელი და სულ თავისი მეცნიერულ კითხვებში გართული ჩუმად იჯდა. ჩემი ძმა კი თვალებგაბრწყინვებული პირში ღიმით „ხნიერ ბერწს“ თვალებს არ აშორებდა.

— მოითმინეთ, ბატონებო, აურზაური ჯერ სად არის. აურზაური და საშიში საქმე მერე მოხდა, — გააგრძელა „დეიდა ანამ“. — ვნახოთ, ეს ორი სამი დღეა ჩვენმა ბიძია თადემ თავი უქეიფოდ იგრძნო, რიგიანად საქმელს არ ილებს. დღისით მისი ძილი არ გაგონილა. ეს ორი დღეა სულ თვლემს. სულ ეძინება. „სწორედ რომ საშიში სიმპტომებია, ნეტავ რა დაემართა, ასე უეცრად და უბიზეზოდ“, — შეფიქრიანდა ჩემი სიძე. და მართლაც. ხუმრობა საქმე ნუ გგონიათ, ბატონებო, ჰასაკი ისეთია, რომ ბევრი რამ არაა საჭირო კატასტროფისათვის. თქვენც მოგეხსენებათ, რომ თუ ბიძია თადეს რამე მოუვიდა მოულოდნელად, მაშინ სრულ და ერთადერთ მემკვიდრედ ფილიპე გამოცხადდება. ეგებ ისიც მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ანდერძი ისეა დაწერილი, რომ ვინც უკანასკნელი გადარჩება. ყოველივე უძრავ-მოძრავი მისია, და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბიძია თადეს უძლურებამ ჩვენ ასე დაგვაფრთხო. თუ ფილიპე მემკვიდრე გახდა, ის იმ წამსვე ყველაფერს გაიძვერა ვექილს პეტრეს დაუმტკიცებს.

— ვექილების ლანძღვას მე ვერ მოვითმენ, — ძალდატანებული წყენით შენიშნა ჩემმა ძმამ.

— ბოდიში მომიხდია, — ვითომდა ნაზად წარმოთქვა „დეიდა ანამ“, ნამდვილად კი მისი უშნო სახე კიდევ უფრო დაიმანჭა.

— ახლა კი მაგათ კუდი ეწვით, ფილიპე თუმცა ხნით ორი წლით უმცროსია ბიძია თადეზე, მაგრამ დამეთანხმებით, ოთხმოცდაოთხი წელიც საკმაოა, რომ ერთი ცოტა რამე და სამწუხაროდ საქმე გათავდეს, მით უფრო, როცა კაცი ავადმყოფობს, როგორც ბ-ნი ფილიპე. ძლიერ, ძლიერ ცუდად გრძნობს თურმე თავს ბ-ნი ფილიპე. მაგ... ბ-ნს პეტრეს პარიზიდან ვიღაც ცნობილი დოსტაქარი დაუბარებია, მაგრამ მას დიდი იმედები არ მიუცია. ამნაირად, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ორი მოწინააღმდეგე ბანაკია გაჩაღებული და სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთი-მეორის პირისპირ გაშმაგებულნი დგანან. თუ ღმერთი გაწყრა და ბიძია თადეს რამე შეემთხვა ბ-ნ ფილიპეზე ადრე, ჩვენ წყალწმინდად დაღუპულები ვართ, ერთი სანტიმი ჩვენ არ მოგვეცემა. ამის შემდეგ სრულებით ბუნებრივია ჩემი სიძის შიში და ჩემიც, მეც ხომ მემკვიდრე ვარ, სულ ერთნაირად ხომ არ იქნება, ბატონებო, მეც გარკვეული გზა და ცხოვრება მწყურია. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, ჩემმა თვალმა წუხელის, ღამის სამ საათზე თუ პოზიციები დაზვერა, ე. ი. შეიხედა ბიძია თადეს ოთახში, მოსვენებით სძინავს თუ არაო... და ღმერთო, შენ დამიფარე! რას ხედავს! თურმე ეს კაცი, ბიძია თადე მაგიდასთან გამოჭიმულა ისე მხნედ და ყოჩაღად, როგორც ამ ორმოცი წლის წინეთ თავის მეტალურგიულ ქარხნის „ბიუროში“ და კითხულობს აი ამ „დე-კა-მე-რონს“.

* * *

ყველას სიცილი წასკდა, თითქმის მამაჩემიც ხითხითებდა. მეც ვიცინოდი, მაგრამ უფრო მიბაძვით, ვიდრე გულით და თან ვფიქრობდი: ნეტავ ვიცოდე, თუ რა წიგნია „დეკამერონი“.

— მართალია, ბატონებო, კაცს სასაცილოდ მოეჩვენება, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ამ უბრალო რამეს დიდად სამწუხარო შედეგი მოჰყოლოდა. იმ ღამეს ჩემი სიძე აბა რას ეტყოდა, ჩუმადვე განშორებულიყო ბიძია თადეს ოთახს. დღესაც ანგარიშს ვერ მოსთხოვდა „დეკამერონის“ კითხვის შესახებ. ჩვენ მხოლოდ პატრონის მიერ თავისი წიგნის მოთხოვნა მოვიმი-

ზეზეთ და როგორც იყო წიგნი გამოვართვით. მერე მაშოზე მოვიმიზეზე, მივიტანეთ იერიში, ნამდვილი ეთქვა, თუ ვისი იყო წიგნი, ჯერ გამაგრდა, მერე დიპლომატია გააბა, მაგრამ ჩვენ არ მოვეშვით და იძულებული შეიქნა წყალწმიდად იარაღი დაეყარა და გამოტეხილიყო.

— რა ვქნა, აკი დედამ თავის სკივრში დამალა ეს უბედური წიგნი, — მორიდებით შენიშნა დედაჩემმა.

— რა ვუყოთ, დედი, ეს წიგნი ისეთი მოუსვენარი ვინმე ყოფილა, რომ სკივრიდან კი არა, ზღვის ფსკერიდანაც ამოვიდოდა, — იოხუნჯა ჩემმა ძმამ.

ამ დროს კარები გაიღო და დიდედა ყავარჯენზე დაყრდნობილი კარებში გამოჩნდა.

— ნეტავ რა ხმაურობა იყო, ახ! მადმუაზელ! „დეიდა ანა“, — მიესალმა დიდედა „ხნიერ ბერწს“.

— აა... დიდედამაც მოგვასწრო. დიდი ამბავი მომხდარა, — მხიარულად მიაძახა ჩემმა ძმამ, — ბიძია თადე შეყვარებულა.

— ვისზე ნეტავ, ჩემო პატარავ.

— რა საკითხავია, დიდედი? ვისზე იქნება შეყვარებული, თე არ შენზე, მდიდარი სასიძოა, რა სათქმელია. აი მადმუაზელი ანა შუამავლად გამოუგზავნია და შარნად „დეკამერონი“ გამოუყოლებია.

— უი, თვალიც დამიდგება, სად დავკარგე-მეთქი, რომ ვეძებდი. ერთ დღეს სკივრიდან სხვა ნივთებთან ამომყვა და ჩემს მაგიდაზე მედო, მერე სადღაც გაქრა. ალბათ, ამ ცელქმა მომპარა, — ხელი გაიშვირა ჩემსკენ დიდედამ.

— კარგი დარაჯი არ ყოფილხარ, დიდედი! ასეთი საშიში ტუსაღის აშვება შესაძლებელია? მან ლამის ბიძია თადეს ცოლის თხოვა გააბედია, ვინ წარმოიდგენს ამას, რა შედეგი მოჰყვება, რა დიდი უბედურება დატრიალდება, რამდენი იმედები გაცრუებული დარჩება, რამდენი კეთილი სურვილი დაუკმაყოფილებელი...

— კეთილი, კეთილი, ჩემო პაწაწავ. მაგის უარყოფას ვინ გაბედავს, რომ ბ-ნი თადე იშვიათი სასიძოა. სწორედ მოჯადოებული ვარ ამ საამაყო წინადადებით! მაშ აქ მოიტათ ჩემი შარნა, ხოლო ბ-ნს თადეს გაუგზავნი ნაზ გრძნობას და მოკითხვას.

დეიდა ანამ დიდედას წიგნი გადასცა. ყველა იცინოდა.

— ახლა კი უფრო ფრთხილად ვიქნები, რიგით ამგვარ წიგნს

დაწვა ერგება, აუტო-დაფეს მომხრე არა ვარ, მე ჰუმანისტურ პანსიონში მისწავლია, — გულშეუწუხებლად ამბობდა დიდედა და თავის ოთახისკენ მიდიოდა. ბრძოლის ველი უბრძოლველად მას ეკუთვნოდა. ნეტავ რა წიგნია „დეკამერონი“, ვეუბნებოდი მე ჩემს თავს და იმედს არ ვკარგავდი, რომ ოდესმე მას ისევ ხელთ ვიგდებდი.



ღ ა მ ა ზ ი ა?

სამგლოვიარო განცხადების საშუალებით ყველამ შეიტყო დარია ივანეს ასულის დაქვრივება.

— საწყალი ბეჟან სიმონის ძე, — ამბობდა ერთი.

— საბრალო დარიკოს შველებია, ღმერთმანი შველებია. გადარჩენია ერთ ჭირს და დავიდარაბას, — ამბობდა მეორე.

— ე...ეხ, რაც გინდა იყოს, ადამიანი იყო. უკილო და უცოდველი არავინ არ არის. ავადმყოფი კაცი იყო, ღვინის ჭარბად სმას სხვა ვინ არ გაუფუჭებია, — ბრძნობდა მესამე.

თვითონ დარიკოს კი მოწყენილი სახე ჰქონდა. შავები ეცვა და თავზეც სამგლოვიარო დოლუბანდი ჩამოეფრიალება. მიცვალებულის გასვენების დღეს დარიკო თავჩაღუნული, კუბოს უკან მისდევდა. ერთი ორჯერ მდუღარე ცრემლებით იტირა კიდეც.

გულის სიღრმეში კი სრულიად დამშვიდებული იყო. ხუთი უკანასკნელი წელიწადი, რაც მისი ქმარი ლოთობისათვის სამსახურიდან გამოაგდეს, მისგან არავითარი შემწეობა არ ახსოვდა და ხელს კი დიდად უშლიდა. მუდამ მთვრალი, მუდამ მოჩხუბარი ქმარი სცემდა დარიკოს, ართმევდა ოფლით მოპოებულ ორიოდე გროშს და ღვინის სარდაფისკენ მიჰქონდა. არა ერთხელ ჩავარდნილა საბრალო ქალი სასოწარკვეთილებაში, არა ერთხელ განუზრახავს თავის მოკვლა, მაგრამ მაინც გადაძლია სულმოკლეობას. ყველაფერს ითმენდა უფრო იმიტომ, რომ მარტო არ იყო. ერთი ვაჟი და ორი ქალი — სამივე მცირეწლოვანი ჰყავდა. შრომობდა,

საქმიანობდა დედაკაცი. კერავდა, სხვებს სადილებს აძლევდა და ამით იოლად გამოდიოდა.

ქმრის სიკვდილის შემდეგ ერთიორად უფრო გამხნევდა ქალი. უკანასკნელი გროში ახლა საქმეზე მიდიოდა და ძველებურად მიკიტნის დახლის კერძი არა ხდებოდა. გავიდა ათი წელიწადი. დარიკოს შვილები წამოიზარდნენ. ვაჟმა სახელოსნო სასწავლებელი გაათავა და ერთ-ერთ ქარხანაში მუშაობა დაიწყო.

უფროსმა ქალმა კი საშუალო სასწავლებელში პირდაპირ მეოთხე კლასში მოახერხა შესვლა და თუმცა იქ შვილის ყოლა ხელმოკლე ქალისთვის ძლიერ გასაჭირი იყო, მაგრამ დარიკომ ყოველ დაბრკოლებას სძლია და ქალიშვილს საშუალო სასწავლებელი გაათავებინა.

უმცროსი ქალიშვილიც ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებელში დადიოდა. ამრიგად, ცოტ-ცოტა გზაზე გამოიყვანა დარიკომ თავისი ოჯახი, მაგრამ ერთი მხრივ ქმრის სიცოცხლის დროს გამოვლილმა შავმა დღეებმა და მეორეს მხრივ მოუსვენარმა და ზომაზე გადაჭარბებულმა ჯაფამ ქალს თავისი ბეჭედი დაასვა. ორმოცდახუთი წლის ის სამოც წლისაზე უფრო ღრმა მოხუცი და სახედანაოჭებული ჩანდა. მხოლოდ თვალებიღა შერჩენოდა ძველებური, — სავსე სიმხნევითა, გულადობითა და შრომისმოყვარეობითა.

— ახლა კი ცოტა შვება უნდა მოგცეთ, დედი, — უთხრა უფროსმა ქალიშვილმა ნუცამ, როცა სასწავლებლის გათავების მოწმობა მოიტანა. — ვეცდები სადმე ადგილი ვიშოვნო, თორემ ამდენი ჯაფის ატანას ვერ შესძლებ. როგორმე ბოლო უნდა მოუღოთ სხვისი ჭურჭლის რეცხვას. ერთი თავისუფალი წამი შენც უნდა იგემო ამ წუთისოფელში.

დარიკოს თვალებიდან ცრემლები წასცდა, ქალიშვილი გულში ჩაიკრა და მაგრად გადაჰკოცნა.

ამ დღიდან დარიკოს საფიქრებელი შეიქმნა ნუცასათვის სადმე სამსახურის შოვნა.

— ჰო, მართლა, ნუცა, რატომ ახლაღა გამახსენდა, — უცბად წამოიძახა ერთხელ დარიკომ. — მე, მე საწყალს ტვინი სულ გამომილია ცხოვრების სიდუხჭირემ.

— რა არის, დედა? — დაეკითხა ნუცა.

— აკი იოსებ სქელაძე მამაშენის ნაამხანაგარია. სკოლაში ერთად სწავლობდნენ თურმე. იოსებს ახლა კარგი სამსახური

უპირავს. მასწავლებლების დანიშვნა იმისი საქმეაო. ერთი მივალ, შეეხვეწები, იქნებ შენთვის სადმე ადგილი მიშოვნოს.

ნუცას სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, მორგვალებულ ლოყებზე ალმური აედინა.

— აი ნეტავ, დედი, მეშველებოდეს რამე...

* * *

მეორე დღეს დარიკო ერთ-ერთი უზარმაზარი შენობის კარებთან მივიდა და ელექტრონის ზარის ტარს ხელი დააჭირა.

გამოვიდა მოსამსახურე და, ცოტა არ იყოს, მედიდურად აათვალიერ-ჩაათვალიერა სადად ჩაცმული გამხდარი დედაკაცი.

— დედაშვილობას, იოსებ სქელაძე მინდა ვნახო, შინა ბრძანდება?

— სძინავს.

— როდის შეიძლება ნახვა?

— საათის შვიდზე, თუ საჩქაროდ სადმე არ წავიდა.

მართლაც, შვიდ საათზე ვერ მიუსწრო დარიკომ, მაინც იმედი არ დაჰკარგა და მეორე დღეს როგორც იყო ინახულა.

— ო, ო... ბეჟან სიმონის ძე, მახსოვს, მახსოვს, ერთად ვსწავლობდით, — ამბობდა სქელაძე და ლამაზად გადავარცხნილ თმაზე და ჩასუქებულ პირისახეზე ნელ-ნელა ხელს ისვამდა.

ილაპარაკეს ამ მთისა, იმ მთისა. ბოლოს დარიკომაც ჭოახსენა, თუ რისთვის იყო მოსული.

— აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, თუ ჩემ ქალიშვილს სადმე ადგილი აღმოუჩინოთ, მარადჟამს შენი ბედნიერების მლოცველი ვიქნები! — შეეხვეწა დარიკო.

— გიმნაზია გაათავა?

— დიახ, ბატონო, კარგადაც გაათავა.

— ლამაზია? — რაღაც უშნო ღიმილით დაეკითხა სქელაძე.

დარიკო შეწითლდა.

— ბატონო, ო... უ. — რაღაც გაუგებარი ხმები წამოსცდა დარიკოს და მორცხვად თავი ძირს დახარა.

— ვეცდები, ვეცდები, ბატონო, თუ რამე გამოვიდა, თავს არ დავზოგავ, — გული გაუკეთა სქელაძემ.

დარიკო გახარებული შინ წამოვიდა.

ამ დღიდან დარიკო კვირაში ერთხელ მაინც შეივლიდა სქელაძესთან, ხან შინ მიასწრებდა, ხან არა. სქელაძე კი მუდამ ვეცდები,

ვეცდებით ისტუმრებდა. კვირა კვირას მისდევდა, თვე — თვეს და ნუცასთვის ადგილი კი არსად ჩანდა.

— დედი, მგონია არაფერი გამოდინდება ამ სქელაძის დაპირებისაგან, — უთხრა ერთხელ ნუცამ. — იმის მოლოდინში მეც გულდადებით ვერ გეხმარები საქმეში. შენ კი სხვა ჯაფასთან სქელაძესთან ხეტიალიც ზედ დაგერთო.

— მეც ასე მგონია, შვილო, — ნაღვლიანად წარმოთქვა დარიკომაც.

* * *

— უი, დამიდგეს თვალები! — წამოიძახა ერთხელ დარიკომ. — შენი მამიდაშვილის ტასოს მაზლი, ვასო, რუსეთში თუ სადღაც იქით რომ ისწავლა, უკვე ჩამოსულა და დიდი ჯამაგირიანი ადგილი აქვსო, ინჟელერია, მოდი, ერთი შევეხვეწო, იქნებ რამე იმან გვიშველოს.

— აბა შენ იცი, დედი, — უთხრა ნუცამ.

მეორე დღეს დარიკომ ინჟენერი ვასოც გამოსძებნა, მაგრამ ნახვა კი ვეღარ მოასწრო, ვასოსთან მისვლა არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც დარიკო ფიქრობდა.

ამ სახლში, სადაც ვასო მსახურობდა, კარებში ხიშტიანი ჯარისკაცები იდგნენ დარაჯად. დარაჯებმა დარიკო უსიტყვოდ შეუშვეს, თუმცა დარიკოს კი მათი ძლიერ შეეშინდა. შიგნით კი, ერთხანს ვერა გაიგო რა, ვისაც მიმართა, ყველამ ერთიმეორეზე მიუთითა. ბოლოს ერთ გახუნებულ სერთუკიან კაცს მიადგა, რომელმაც უთხრა, რომ ინჟენერის მნახველი წინდაწინვე უნდა ჩაეწეროსო, დღეს გვიანაა, ხვალ თორმეტ საათამდე უნდა მოხვიდეო.

მესამე დღეს, როგორც იყო, ეღირსა დარიკო ინჟენერ ვასოს ნახვას. ვასომ დარიკო ზრდილობიანად მიიღო მშვენივრად მორთულ კაბინეთში და როცა გაიგო მოსვლის მიზეზი, კიდეე უფრო მოსიყვარულად დაუწყო მუსაიფი.

— თქვენი ჭირიმე, რაკი ღმერთმა თქვენი თავი ახლო ვაჩვენა, იმედი მაქვს უმწეოდ არ დამტოვებთ და ჩემი ნუცასთვის სადმე ადგილს მომიძებნით.

— ვეცდები, ბატონო, ვეცდები. ბევრი მთხოვნელი კია, უნდა მოგახსენო...

— შენი სულის ჭირიმე...

— რაც შემეძლება, ცდას არ დავაკლებ... თქვენ ეს მიბრძანეთ...

ᲰᲝ.... ᲕᲘᲪᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲐᲝ.... ᲙᲐᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ... ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲘᲜᲐᲰᲐᲕᲡ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲒᲝᲒᲝ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲝᲓᲐ.

— ᲰᲛ... ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, — ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲐᲓ ᲛᲘᲣᲒᲝ ᲓᲐᲠᲘᲙᲝᲛ. — ᲩᲔᲛ ᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲕᲐ ᲕᲗᲥᲕᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ... ᲐᲠᲐ ᲓᲐᲒᲔᲫᲠᲐᲮᲔᲑᲐᲗ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲮᲝᲗ.

ᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲐᲡᲝ ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲐ ᲓᲐᲠᲘᲙᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜ ᲕᲔᲔᲑᲔᲠᲗᲔᲚᲐ ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐ ᲜᲣᲪᲐᲡ.

ᲓᲐᲠᲘᲙᲝ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲪᲐᲡ ᲔᲬᲘᲐ. ᲐᲘ ᲩᲐᲘ, ᲐᲘ ᲛᲣᲠᲐᲑᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲖᲝᲒᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲪᲮᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲞᲘᲠᲨᲐᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ. ᲗᲥᲕᲔᲡ ᲐᲛ ᲛᲗᲘᲡᲐ, ᲘᲛ ᲛᲗᲘᲡᲐ. ᲕᲐᲡᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲣᲖᲣᲠᲨᲘ ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲐ ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲛᲐ ᲕᲐᲡᲝᲛ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲣᲪᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲙᲝ ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲓ ᲛᲘᲘᲞᲐᲢᲘᲫᲐ.

— ᲛᲔ ᲠᲐ ᲛᲔᲡᲔᲘᲠᲜᲔᲑᲐ, ᲨᲕᲘᲚᲝ, — ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲐᲓ ᲗᲥᲕᲐ ᲓᲐᲠᲘᲙᲝᲛ, — ᲗᲥᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲯᲔᲔᲚᲔᲑᲘ ᲮᲐᲠᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲒᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐᲗ.

ᲕᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲐ ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲓ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ. ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲐᲡᲝᲛ ᲔᲢᲚᲘᲗ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲜᲣᲪᲐ, ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ.

— ᲣᲰ! ᲠᲐ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ, ᲠᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲓᲔᲓᲐ, ᲕᲐᲡᲝ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲣᲪᲐ. — ᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲛᲑᲝ. ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ... ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲙᲘ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲒᲘᲨᲝᲕᲜᲘᲝ, ᲓᲐᲛᲞᲘᲠᲓᲐ.

— ᲐᲘ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲮᲔᲓᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡᲙᲔᲜ, — ᲡᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲓᲐᲠᲘᲙᲝᲛ.

— ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ, ᲕᲘᲚᲐᲪ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ, ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘᲐ.

— ᲐᲘ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, ᲐᲘ, ᲦᲛᲔᲠᲗᲝ, — ᲚᲝᲪᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐᲠᲘᲙᲝ. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲔᲐᲛᲘ. ᲕᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲐ ᲔᲠᲗᲘ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲬᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲓ. ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲘᲜᲟᲔᲜᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲪᲘᲐᲗ. ᲕᲐᲡᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲐᲠ ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲐᲓ ᲰᲞᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲡᲝ ᲙᲝᲮᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲪᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲛᲘᲘᲞᲐᲢᲘᲫᲐ. ᲜᲣᲪᲐᲪ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲕᲐ.

ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲘᲙᲝᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲡ ᲔᲢᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲐ. ᲓᲐᲠᲘᲙᲝ ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲓ ᲛᲘᲔᲒᲔᲑᲐ. ᲪᲝᲢᲐ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘᲪ ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐ

და უნდოდა ამაღამ ვასო უსათუოდ ვახშამზე მოეწვია, მაგრამ როცა ეტლს მიუახლოვდა, მარტო ნუცა მოეგება, ქალი უსიტყვოდ გადმოვიდა ეტლიდან და ძლივს-ძლივს ქაქანით ოთახში შევიდა.

ორთავე, დედა და შვილი მთელი ღამე ტიროდენ.

— ამას ვერ წარმოვიდგენდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი, ღმერთო, რა გაფუჭებული ყოფილა ქვეყანა, — ხელის ზევით აპყრობით ამბობდა დარიკო.

— კინაღამ მტკვარში გადავვარდი, დედი, მაგრამ შენ გამახსენდი და ისევ თავი მივანებე.

— ღვთისმშობელო, ღვთისმშობელო, სასო გაჭირვებულთაო, — იმეორებდა მოხუცი.

— რომ ისე ოსტატურად არ მოვქცეულვიყავი და ხელიდან არ გავსხლტოდი... ოჰ... დედი, ვირბინე კი ბევრი, კინაღამ გული შემიღონდა... რომ ვასოს თავის მიზნისათვის მიეღწია მე, რა თქმა უნდა, თავს მოვიკლავდი.

— როგორ მოვიფიქრებდი, როგორ მოვიფიქრებდი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. კაცი ნათესავი მეგონა, დანით ყელის გამოსაჭრელად რომ მომადგებოდა, გულში რავა გავივლებდი.

ნუცა მთელი კვირა ამ ამბის შემდეგ ქუჩაშიაც აღარ გასულა. დარიკოსაც არავისთან კონტი არ დაუძრავს. მხოლოდ ახლა უფრო გაფრთხილებული იყო და ზოგიერთი ნაცნობ-მეგობრების ღიმილს და ტკბილად მისალმებას დიდი სიფრთხილით ზომავდა და ერთ რიგ ნაცნობთ შინაც არ მიიპატიჟებდა. და თუ ვინმე თავისიანი მოვიდოდა, თუმცა ზრდილობიანად, მაგრამ ცივად იღებდა და ნუცას იშვიათად თუ გამოაჩენდა.

„მოაზრევნე „ტრილობიტი“

A mon cher maitre, monsieur
le professeur Dauis Dolleo.*

ახალგაზრდა სტუდენტი ლაბორატორიაში მაგიდასთან იჯდა. დილა იყო. ის დღეს ადრე მოვიდა სამუშაოდ; ამ ორ დღეში გამოცდა უნდა ჩაებარებია და ამიტომ გულმოდგინედ ემზადებოდა. მის წინ, მაგიდაზე, რამდენიმე პალეონტოლოგიური ნიმუში, ოდესღაც ყოფილი ცხოველების ნაშთი ეწყო. ერთი ნიმუში მან ხელში აიღო. ეს იყო ტრილობიტი კიბოს მაგვარი — უუძველესი გეოლოგიური ხანის ცხოველის მოლურჯო თიხნარ ქვაზე აღნაბეჭდი. „ეს არის ტრილობიტი,—დაიწყო სტუდენტმა და თან რვეულში იხედებოდა, — ტრილობიტი იმიტომ ჰქვიან, რომ სამ ნაწილად, სამ აბორცვალად იყოფა როგორც სიგრძეზე, ისე განზე. ეს ნაწილებია, სიგრძეზე: თავი, ტანი და ბოლო, ხოლო: ეხ, ღმერთიც დასწყევლის! ამის სწავლაც ერთი ხათაბალა კია... რა უხეირო პროგრამაა... მე, მომავალ ექიმს, ესენი აბა რად მეჭირვება, უამისოდ კი კანონით შეუძლებელია, თუ არ დავისწავლე, გამოცდის დროს ჩავიჭრები... ჩვენი პროფესორი სასტიკი კაცია, ყოველგვარი უმეცრების მიმართ შეუბრალებელი... ეხ! ერთი ჩქარა მოვრჩებოდე აქაურობას“, — ამბობდა გულში ყმაწვილი კაცი და სიხარულის ნაპერწკლებით

* ჩემს ძვირფას მასწავლებელს, ბატონ პროფესორს დუი დოლეოს.—რედ.

თვალები ეწვებოდა. მან თავისთავი უკვე ექიმად წარმოიდგინა... და მერე, როგორ ექიმად, ერთ კარგ ექიმად. აი, ის უკვე ექიმია, სოფელში... არა... რატომ, სოფელში კი არა, ქალაქში... პატარა სამაზრო ქალაქში კი არა, დიდ... სატახტო ქალაქში. მას უკვე ბევრი იცნობს, მასთან ბევრი ავადმყოფი მოდის, ასე გასინჯეთ, შორეული უბნებიდანაც კი მოდიან მასთან, თუმცა ქალაქში ექიმი ქვეშასავით ყრია. მან უკვე რამდენიმე ძლიერ პასუხსაგები ოპერაცია ჩინებულად გააკეთა და დიდი სახელიც მოიხვეჭა... ის უკვე სახელოვანი დოსტაქარია, მას უნივერსიტეტში პროფესორად იწვევენ... კაცი საკმაო ქონების პატრონი უნდა იყოს, რომ ის მოიწვიოს; ეს ფრანკზე ნაკლებს მას ვერ შესთავაზებ...

* * *

„ეშმაკს წაუღია, ოცნებამ გამიტაცა, — გამოერკვა ყმაწვილი კაცი და ისევ ტრილობიტს მიუბრუნდა: — თავის შუა მოგრძოდ აბორცვილს გლაბელი ჰქვიან, ის ხშირად დაღარულია განდაგან. ასე გგონია ნაოჭებიაო... ჰო, მართლაც და ამ ტრილობიტის თავს რომ დაუკვირდეთ, გასაოცარი რამეა... ერთი შეხეთ, რანაირი დანაოჭებული შუბლი აქვს, თითქო ფიქრობსო, თითქო აზროვნობსო. ასე გგონია, დიდი რამ ამოცანის ახსნაში იყო გართული და იმის გადაწყვეტის ფიქრებში საუკუნოდ დაუხეჯავს თვალებიო... ეეხ! ექვსი წელიწადი კიდევ წინ მიდევს გადასაყლაპავი, რამდენი მუშაობა, რამდენი შრომა, რამდენი გამოცდა, რამდენი ძიქვა გაცვდება ამ ხნის განმავლობაში... კარგი ექიმი მაინც გამოვიდოდე ეგ ოხერი... კარგად მოვეწყობოდე, კარგად გავიმართებოდე: ერთი საშუალო, მაგრამ ლამაზი სახლი, კოხტა „ოტო“... მდიდარი და ლამაზი ცოლი... ეს ცოლის არჩევაც ხომ დიდი თავისტეხაა. იქნებ ისეთ ანჩხლს ვისმე წააწყდე, რომ სადოსტაქრო ნესტარის სავარჯიშოდ საკუთარი გულ-მკერდი აგარჩევინოს...

„ეაჰ! ეგ რა მომდის! დღეს სულ ვვოცნებობ“, — უკმაყოფილოდ თავის დაქნევით წაიბუტბუტა სტუდენტმა და ისევ ტრილობიტს მიუბრუნდა.

„თავი, ესე იგი, წინა ნაწილი ტრილობიტს ნახევრად მრგვალი აქვს, ცოტათი ფარს წააგავს. წინა კიდეზე არშია აქვს გამოვლებული. ამ არშიას ლეშბი ჰქვიან... დღეს, ადრე რომ მოვედი ლაბორატორიაში, ეს სწორედ კარგი ვქენი. ჯერ სანამ ჩემი ამხანაგები

არ მოსულან, ტრილობიტები ყველა უნდა გადავსინჯო, თორემ, როცა ყველანი მოგროვდებიან, მაშინ ხომ ერთი ალიაქოთი ატყდება და ბევრს ვერაფერს გავაკეთებ... ტრილობიტები კი არა, მეტი არ იქნება, ბრაკიოპოდებიც რომ განვიმეორო...

ეგ რა მემართება, დღეს ჩემ თავს ვერა ვცნობ, სულ ვოცნებობ, — ჯავრობდა ყმაწვილი კაცი. — არა, ახლა კი ბეჯითად საქმეს უნდა შეუდგე... ტრილობიტს თავის შუა აბორცვილი აქვს, მოგრძო, ამას გლაბელი ჰქვიან, ეს ხომ ვთქვი ერთხელ, აი, ესაა, ასე რომ საუცხოოდ დანაოჭებულია ტვინივით... ჰაი, ღმერთო! ვითომ ნამდვილად ფიქრობდა რასმე ეს ერთი ბეწო ცხოველი? ესეც ვითომ რასმე სწავლობდა? აბა რას ისწავლიდა ზღვის უფსკრულში... მე კი ნამდვილი საქმიანი სწავლა მაშინ დამეწყება, როცა ადამიანის ანატომიის გაცნობას შეუდგები და მკვდრების გაჭრას დავიწყებ. ცოტა არ იყოს, ჭუჭყიანი სამუშაო კია, მაგრამ დიდად საინტერესო... სხვა გზა არაა, თამამად უნდა მოვკიდო ხელი, არ უნდა შემეზიზღოს რამე. ზიზღი რა ექიმის საკადრისია. აკი პროფესორმა გვითხრა: ბუნებაში არც სუფთა არსებობს რამე და არც უსუფთაო, წმინდა და ჭუჭყიანი ეს მხოლოდ ფილოსოფოსების მიერ გამოგონილია, ბუნებაში, ე. ი. სინამდვილეში, მხოლოდ ქიმიური შეცვლა-გამოცვლა და კომბინაციაა.

ფუ! ეშმაკსაც წაუღია, ეს მეტისმეტია, — ბრაზობდა სტუდენტი. — დღეს მე თვითონ ჩემ თავს ვერა ვცნობ, ამდენი ოცნებაც არ გამიგონია. ვა! შუაგულ სახარაში ხომ არა ვარ. ეი, შენ, კაცო? ჩემო თავო, ჯერ იმეცადინე და მერე იოცნებე! კი ბატონო, თუმცა დაღლილი კი ვარ, გულის სიღრმეში რომ ჩავიხედო, წუხელაც ცუდად მეძინა... გლაბელის აქეთ-იქით ყბებია, ყბებს შუა მთავარი ნაწიბური გადის და ყოფს მას ორ ნაწილად. შიგნიდან არის ყბა უძრავი, გარედან მოძრავი. ყბა-ყბის შუა არის აგრეთვე თვალი... ზოგს... არა... აქვს... ზოგს ძლიერ... ალბათ კარგად... ხე...დავ...და".

— ჭეშმარიტად, — კვერი დაუკრა ტრილობიტმა. ერთიც წამოხტა და ისევ დადუმდა. კეფის ნაოჭები უფრო შეიჭმუხა.

ყმაწვილ კაცს ტანში ერუანტელმა გაუარა... „შეხეთ, ღმერთო ჩემო, ტრილობიტი ლაპარაკობს", — გაუელვა მას გულის სიღრმეში.

— ეგ რა ფიქრი მოგდის, რატომაც არ უნდა ვილაპარაკო, რატომაც არ უნდა ვიფიქრო და ვიაზროვნო, — თამამად განიმეორა ტრილობიტმა და მაგიდაზე ახტა და დახტა. — განა გიკვირს? შენ ხომ ლაპარაკობ, ფიქრობ და აზროვნობ.

„როგორ არ მიკვირს, მე თუ ვაზროვნობ, მე ჰომო საპიენსი — ადამიანი ვარ“, — თითქო თავისდა უნებურად გაუელვა ფიქრმა სტუდენტს.

— რაო, რა იფიქრე? ჰომო საპიენსი ვარო? ხა, ხა, ხა, ხა! — ხარხარებდა ტრილობიტი და მაგიდაზე წამდაუწუმ ხტოდა, თითქო ლეკურს უვლისო. — ჰომო საპიენსი, სწორედ დიდი ვინმე ყოფილა? — აქ ტრილობიტი საშინლად გაიბერა, ისე გადიდდა, რომ სტუდენტის პირამდე მოახწია. მერე ისევ დაპატარავდა, შეხტა და შემოტრიალდა.

„ღმერთო ჩემო, გულთმისანი ყოფილა“, — ფიქრობდა ყმაწვილი კაცი და სულს ძლივს იბრუნებდა.

— რაო? გიკვირს, რომ გულთმისანი ვარ, — დინჯად წარმოთქვა ტრილობიტმა, თითქო კარგად მომზადებული პროფესორი თავის კურსს შესავალს უკეთებსო. — არა, ჩემო ბატონო, აქ საკვირველი არა არის რა. თქვენ, შვილოსან, ადამიანებს, ჰომო საპიენსებს, — დაცინვით ხაზი გაუსვა ამ სიტყვას ტრილობიტმა, — სულ ტყუილად, გადაჭარბებულად მოგწონთ თავი. სულ ტყუილად იბერებით ძველი ტიკჭორასავით. ჯველაფერი კარგი, გონიერი და მაღალი თქვენ საკუთარ საქმედ და ნამოქმედრად მიგაჩნიათ. მეტყველება კი თქვენ დამახასიათებელ თვისებად გაქვთ წარმოდგენილი. რა ყოყოჩობაა, რა ტყუილია, რა უმეცრებაა!

* * *

„აკი ადამიანი ბუნების გვირგვინიაო“, — გაუელვა თავში ყმაწვილ კაცს. ოდესღაც გიმნაზიის რეტორიკის კლასში ყოფნის დროს ამონაკითხი ფრაზა მოაგონდა და მაშინათვე შეეცადა ფიქრი შეეჩერებინა, ტრილობიტი უკვე მიუხვდა.

— ბუნების გვირგვინი, ე. ი. დამაგვირგვინებელი. — ისევე დინჯად, სრულებით უკომენტარიოდ გააგრძელა ტრილობიტმა, — ბუნების დაგვირგვინებაზე რა მოგახსენო და ბუნების დანგრევაზე რომ ყოჩაღები ხართ, ეს კი ცხადზე უცხადესია. თქვენი საქმე, ჩემო ბატონო, სხვა არა არის რა, თუ არ ბუნების მშვენიერი ნამოქმედების დაქცევა და დანგრევა. ჩეხავთ, უწყალოდ და უაზროდ ანადგურებთ თვალწარმტაც ფიჭვნარს, ნაძვნარს, იფნარს, ამტვრევთ და ამსხვრევთ ახოვანად ზე აღმყორცნილ კლდეებს, სდევნით და ხოცავთ მაგ კლდეებზე ამაყად მოსიარულე ჯეირნებს და ჯიხვებს. დაოხრებული და განადგურებული ტყე-კლდეების მასალას

ბიათრევთ და შეხანხლავთ რაღაც ტლაკნ ხუხულაკებს, რომელსაც სახლებს და სასახლეებს უწოდებთ და იქ ნახევარ სიბნელეში, მტვერში და სინესტეში ყოფნით იფუჭებთ უიმისოდაც ბუნებით დაზიანებულ ფილტვებს, რომ უდროოდ ჩაბარდეთ პატრონს. ქვეყნის ყველა ცხოველი, ყველა მცენარე და სხვა სიმდიდრე თქვენ საკუთრებად მიგაჩნიათ: მერე რატომ, შვილოსან, რომელი კანონის ძალით. თქვენც ისეთივე ცხოველები ხართ, ისეთივე ბუნების შვილნი, როგორც სხვები. ეს საყოველთაო დარბევის უპირატესობა კი ვინ მოგანიჭათ.

„დალახვრა ღმერთმა, აკი ჩვენ მივაღწიეთ გონიერების უმაღლეს საფეხურამდე... შევიგენით თითქმის ძმობა, ერთობა, თავისუფლება“... — მაინც არ ასვენებდა ფიქრი სტუდენტს, თუმცა გაბედულად პირდაპირ წამოძახებას ტრილობიტის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ველარ ბედავდა.

ტრილობიტი კი მის გულზე ისე კითხულობდა, როგორც გამოცდილი დიაკვანი დავითნს. ახალგაზრდამ მოფიქრებაც ვერ მოასწრო, ხოლო ტრილობიტი უკვე სხაპასხუპით, თუმცა გულდამშვიდებულად პასუხს აძლევდა.

— სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება? — დასცინა ტრილობიტმა. — მე კი ჩემს თავს ნებას მივცემდი მომეხსენებინა პირიქით: სიძულვილი, გაუტანლობა, ეგოიზმი და მონობა, საცოდავი მონობა, აი რა არის, ბატონო, თქვენში ნამდვილად გამეფებული. ბუნებას ყური გამოუჭედეთ ამდენი სიყვარულის ქადაგებით, სინამდვილეში კი ხოცავთ და ჟლეტავთ უმოწყალოდ ერთმანეთს. რისთვის? ხან ღვთის, ხან მეფეების, ხან თავისუფლების სახელით, მაგრამ სახელი, რაც გინდ, ის დაარქვი, სისხლი კი იღვრება. მკვლელობა ყოველთვის მკვლელობაა, სახრჩობელა ყოველთვის სახრჩობელაა, ბრძოლის ველი ყოველთვის ბრძოლის ველია, საზიზღარი, და თქვენ გარდა ყოველი ცოცხალი არსებისთვის დასაგმობი. სულ ერთია, თუ რა იყო ამ ვერაგობის გამომწვევი მიზეზი, შედეგი მაინც საშინელებაა.

თქვენი თავი თავისუფლად მიგაჩნიათ. რა სიბეცეა, უბედურნო, იმასაც კი ვერ ამჩნევთ, რომ თავისუფალი კი არა, უძლურნი, თქვენივე მეზობლის მონები, ყმები ბრძანდებით. შენ უკვე მისდევ თვალახვეულად, ბრმად, შენს მეზობელს, მოუფიქრებლად იწყობ შენს ცხოვრებას ასე, როგორც შენი თანამექეხე, რაგინდ მავნებელი და უხერხული იყოს იგი. სხვანაირად რომ მოიქცე, გეშინია, ჩემზე ცუდად იფიქრებენო, ცუდს იტყვიანო: გულში კი ფიქრობ,

თავს იტყუებ, მე ადამიანი ვარ, თავისუფალი მოქალაქეო. ხა, ხა, ხა, თავისუფალი მოქალაქე, — აჯავრებდა ტრილობიტი და პირფართედ იცინოდა.

„ჰაი, ეშმაკს რამსიდიდე პირი ჰქონია, ჩვენთვის კი პროფესორს ტრილობიტის პირზე არაფერი უთქვამს რა“ — ხეირიანად ვერც კი გაუელვა თავში სტუდენტს, რომ ტრილობიტი უკვე პასუხს აძლევდა.

— სტყუი, ბატონო, როგორ არ უთქვამს. ძალიან კარგადაც გითხრათ ბ-მა პროფესორმა, დაფაზედაც დაგიხატათ, მაგრამ შენ იმ დღეს უნივერსიტეტში არ შეგიხედნია, პარკში ვიღაც კოხტა კაბიანს და ლამაზ, სიფრიფანა წინდებიანს უკან დასდევდი. პირი კი მაქვს, მაგრამ არა თქვენსავით ვაუმაძღარი, — ნაზად დაუმატა ტრილობიტმა.

„ღმერთო, ღმერთო!“ — კანკალებდა სტუდენტი.

— ღმერთი? აი სწორედ სიტყვაზე, ყველაზე უფრო სასაცილოა იმ უბედური თქვენი ღმერთის მდგომარეობა, — გააგრძელა ტრილობიტმა. — ვაი მისი ბრალი! მუხლს იყრით მის წინაშე და ევედრებით, კარისკაცებს ირჩევთ, რომ ღმერთთან საქმე გაჩარხოს, ქრთამს აძლევთ და ფეშქაშები მიგაქვთ, მერე რისთვის, რასა სთხოვთ? იმას, რომ ისეთივე ცხოველი, თქვენი სასიქადულო, ჰომო საპიენსი დასაჯოს, წააგებინოს საქმე თქვენდა სასარგებლოდ, ყოველი მისი ქონება თქვენზე გადმოიტანოს. მაგრამ იმავე დროს ის თქვენ მიერ ათვალისწუნებული ჰომოც ფხიზლადაა, ისიც მუხლს იყრის და ღვთის ქურუმთან ქრთამს ამზადებს, რაც შეიძლება მშევრმეტყველურად გამოხატოს ღვთის წინაშე შენი დაქცევის, დამცირების, ხოლო მისი აშენება-ამაღლების ღაღადისი, და ასე იქცევით, შვილო, არა ერთი და ორი, ათი და ასი, ათასი და ორი ათასი, არამედ ასობით მილიონები. ის კი ერთი, გესმის კარგად, ერთადერთია, ვის გაუგონოს, ვის დაუჯეროს, ვის გაამარჯვებინოს. სწორედ რომ საშინელებაა მისი მდგომარეობა. მე ის სწორედ რომ მეცოდება, მას სრულებით საბუთი არა აქვს, რომ ვისმე დაემდუროს თქვენთაგანს. თუ იტალიელებმა წმინდა პეტრეს დიდებული ტაძარი აღუშენეს, გერმანელებიც არ დამსხდარან გულხელდაკრეფილნი, მათ იმავე ღვთის სადიდებლად კოლნის ტაძარი არა ნაკლებ დიდებული აუგიათ. თუმცა ფრანგებს უღვთოებს ეძახიან, არც იმათ დაუვიწყნიათ ღმერთი, რადგან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი თავს არსად არ დამალავს. ან თქვენი წმინდა გუდული ვითომ რა ცუდია, წარმოიდგინეთ ქართველებსაც, ერთ-ერთ პატა-

რა ერს წინა აზიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მუდამ სხვისი უხეში უღლის სატარებლად გახლავთ გაჩენილი, მაინც სადღაც მოუძებნიათ დრო, მოუკრეფიათ მხნეობა და მცხეთის ტაძარი აუგიათ. მინგრეულ ქოხმახებს შორის კი არა, სადაც ახლა დგას, „ბულვარ ანსპაკზე“ რომ გამოეიმო, მასაც კი დაამშვენებდა. სხვა რამდენი ასი და ათასი გინდა ჩამოგითვალო. ის კი, ღმერთი, ერთია, რა ქნას, ვისი მხარი დაიჭიროს, ვისკენ უფრო გადაიხაროს. ყველა კი ერთიმეორის დაქცევა-დარბევას თხოვს. აი, ასეთია, შვილსან, თქვენი ლოღიკა, რაც ყველა ცოცხალი არსების ლოღიკაზე უფრო შეგნებულ და უფრო მაღალი გგონიათ. მე კი მაგისთანა ლოღიკას, გზაზე რომ მენახა, არ ავიღებდი. საცოდავ ლანგულას მუდამ ზღვის ძირში მიკრულს და უტვინოს, იმასაც არა აქვს ასეთი სუსტი ლოღიკა.

* * *

— ეს მეტისმეტი შეურაცხყოფაა, ბატონო ტრილობიტო, — როგორც იყო მოიკრიბა მოქალაქობრივი მხნეობა სტუდენტმა.

— ოო! მადლობა მომიხსენებია, ახლა მეძახით ბატონ ტრილობიტს, როცა მეტყველება დავიწყე და გულთმისნობა გამოვიჩინე,— ჩქარა მოუჭრა ტრილობიტმა. — წინათ კი, შე კაი კაცო, ზიზღით და სრულებით უბოდიშოდ ხელში მათამაშებდი, როგორც უბრალო ლურჯი ქვის ნაჭერს, რა ხანია, თქვენი ლაბორატორიის ბიჭი ლუიაც შეურაცხყოფას მაყენებს და არც ერთი თქვენთაგანი არ გამომჭომაგებია, რომ მისთვის ეთქვა: „ამხანაგო ლუი, ისიც კმარა, რომ ჩვენ სტუდენტებს უკმეხად გვექცევი“. აი, იმ დღესაც პროფესორმა უბრძანა: ლუი, ამ ტრილობიტს ტუალეტი სჭირია, მეტად გაჭუჭყიანებულა ამდენი ხელდახელ ტარებითო, ქლორის წყალჟანგში გარეცხე და გაასუფთავეო. ჯერ უნდა მოგახსენო, რომ „ტუალეტის“ გაგონებაზე მე სულ მურივით გავშავდი, ე. ი. თქვენებურად, ჰომურად რომ ვთქვათ, გავწითლდი და ეს სრულებით საკვირველი არაა, რადგან გამოვტყდები, რომ იმ დროს, როცა მე ზღვის უფსკრულებში დავცურავდი, დედრობითი სქესისა ვიყავი, ერთი საუკეთესო ქალიშვილის სახელი მქონდა გავარდნილი ტრილობიტთა შორის. რამდენი ღირსეული და გულადი „paradaxydes“-ები შეჯახებიან ერთმანეთს ჩემი გულისთავის და თავიანთი გრძელი ყბის წვერები აუთამაშებიათ. მგონი ნახევარზე მეტი ჩემი

გულისთვის მიაწყდა ერთმანეთს. და აი, ამისთანა ღირსშესანიშნავ ტრილობიტს იმ ტლანქმა ხელი მომავლო და ბუზღუნით წყლით სავსე კასრში გადამისროლა. „მე ხომ ამ ქვის ნატეხის მონად გავჩენილვარ, ბუტბუტებდა ის უხეში ლუი. რაც მე ეს მირეცხია, ბოლო არ უჩანს, გაიქონება მა რა იქნება, მილეთის ხალხი მას ხელში ატრიალებს. ღმერთო, რა დღეს მოვესწარი მე, ჯოფილი პოლიციელი: ბევრი ხანი არაა მას აქეთ, რაც მე თავზე ორმაგად ბრტყელი სირმამოვლებული ქუდი მეხურა და ახლა კი ტრილობიტის მეტუალეტე გავხდი. ჟანგი? ჟანგი კი არა, არ უნდა ფერ-უმარილი? „ტუალეტი“? პორტდანამიურის „კოკოტი“ ხომ არ არის“, ასე ჰამცირებდა ის უხეში და თან მისი დასიებული, დახეთქილი ხელებით მრეცხდა. და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ვგრძნობდი თავს მე ტრილობიტთა შორის თვალწარმტაცი ქალწული.

* * *

— მაშ, ქალიშვილო ტრილობიტო, — მხიარულად და თვალების ანთებული ბრიალით გააწყვეტინა სტუდენტმა და თითონაც ვერ გაეგო, თუ ასეთი სიმხნევე საიდან მოდიოდა.

— ჰო, ახლა შენც არშიყობა დამიწყე, — ნაზად წარმოთქვა ტრილობიტმა და მართლაც გაშავდა, მერე გაწითლდა. სტუდენტი დააჩერდა. ეს ტრილობიტი სრულებით არ იყო, მის წინ მშვენიერი, კოხტად გამოწყობილი ქალიშვილი იდგა. აი სწორედ ის, რომლისთვისაც იმ დღეს იმდენი დრო და გაკვეთილი გააცდინა, მაგრამ მისი ყურადღების ღირსი მაინც ვერ შეიქნა. ახლა კი ქალწული პირდაპირ სახეში შესცქეროდა თავისი დიდრონი, ნაცრისფერი თვალებით. ლმობიერად ეთამაშებოდა.

— შენ დღეს, ჩემო სულიკოვ, ბევრი იმეცადინე, — სიცილით უთხრა ქალმა და წამწამები აათამაშა, — ტრილობიტებიც გაიმეორე და ბრაკოოპოდებიც. უჰ! რამდენი იმეცადინე, შენ კი თავს შემოგევლე, უეჭველია, გამოცდაში გაიმარჯვებ და ბოლოს დიდი ექიმი გამოხვალ. ფულს ბევრს იშოვნი ავადმყოფების მორჩენით, ე. ი. მათი საიქიოს დანიშნულ დროზე ადრე გამგზავრებით, და იმ მოგებულ ფულით მე ბრილიანტებს მიყიდი და ცოლად შემირთავ. რომ იცოდე მერე რა ბედნიერად ვიცხოვრებთ? შენ შემცდარი ხარ, ამას წინათ რომ გაიფიქრე, სააპერაციო ნესტარით თავი არ

მომაკვლევინოსო. არა, ნესტარი რათ გავსვაროთ, უბრალო თოკითაც შეიძლება თავის ჩამოხრჩობა და გარწმუნებ, რომ ეს ძლიერ სუფთა და უტყუარი საშუალებაა სასოწარკვეთილთათვის.

ყმაწვილ კაცს თავი ერთობ დაუმძიმდა, სული შეეხუთა, შიშმა აიტანა, თვალები დახუჭა, ისევ გააღო. მის წინ იგივე ტრილობიტი იდგა თავის წვეტიან „ჰიგიდიუმზე“ დამდგარი და მრისხანედ უყურებდა.

— ქალბატონო ტრილობიტო, — ზრდილობიანად მიმართა სტუდენტმა.

—რას მიბრძანებთ... ვიცი, რაც გინდათ მთხოვოთ, მე ხომ გულთმისანი ვარ. გამოცდამდე, ჩემო ბატონო, ერთი დღეღა დარჩა, თქვენ კი არაფერი გაგიკეთებიათ. ჩემთვის ტრილობიტის დარქმევა არ კმარა. პროფესორი ამას არ დაგჯერდებათ, უფრო მეტი წვრილმანები უნდა იცოდე ჩემზე. ეს რომელი ტრილობიტიაო, პროფესორი რომ გეტყვის, შენი ამბავი რომ ვიცი ფაკოპსად მომნათლავ. ნამდვილად კი მე დალმანაია ვარ, ქვედა სალუზიანისა. ყველა ეს თქვენ ჰომოების მიერ მოგონილი სახელებია, თორემ ნამდვილ ჩემს სახელს თავის დღეში ვერ გაიგებთ, რადგან ჩემი სახელწოდება და დაბადების აღნუსხვა გენეზისის ფიქალზეა აღბეჭდილი და ქვეყნის შუაგულის უფსკრულისაკენაა გადასროლილი. მას შამდეგ სწორედ ას ოცდარვა მილიონი ოთხას სამოცდახუთი ათასი, შვიდას ოცდარვა წელიწადი, შვიდი თვე, სამი დღე, ცხრა საათი და რვა წუთია. ხოლო დანარჩენი რამდენი წუთი გაივლის კიდევ ჩვენ მუსაიფში, ის შენ თვითონ გამოიანგარიშე, საათი ხომ გაქვს, და მიუმატე.

— ქალბატონო ტრილობიტო, — ხვეწნით ამბობდა სტუდენტი. მაგრამ აქ ტრილობიტი ახტა და დახტა, ისე მაღლა ხტებოდა, რომ ყმაწვილ კაცს თითქმის ცერამდე წვდებოდა.

ამავე დროს საშინელი ჭექა და ქუხილი მოისმოდა.

— ხა, ხა, ხა, — ისმოდა საერთო ხარხარი. — კაცნო, თავი დაანებეთ, იძინოს, რას დაეძებთ.

— ხა, ხა, ხა, ტუჩებს როგორ აცმაკუნებს, თითქოს ლოცულობს! — ისმოდა ხმა.

— ალბათ, ესიზმრება რაღაცა!..

— ხა, ხა, ხა, ხა!..

— ოოჰ! — გააზმორა ტრილობიტთან მოსაუბრე სტუდენტს და თვალები ოდნავ გააჭყიტა. — დასწყევლოს ღმერთმა, ტრილობიტი

ლაპარაკობდა, — წაიბუტბუტა მან ჯერ კიდევ ძილისაგან გამოურკვეველმა.

— ტრილობიტი ლაპარაკობდაო? ხა, ხა, ხა, ხა... იცინოდნენ სტუდენტები.

— პატიოსანი სიტყვა, ცხადი იყო მგონია, ღმერთმანი!

გ ე ღ ნ ი ე რ ე ბ ა

A mon cher maitre, mousieur
le professeur Aug. Lameere*.

I

ქალაქგარეთ, სოფლებისკენ მიმავალ, ახალშეკეთებულ საურ-მე გზის პირად რამდენიმე ვერხვის ხე ხარობდა. მათი ისტორია ბნელით იყო მოცული. ზოგის თქმით, ამ ალაგას ერთ დროს ბაღი ყოფილიყო; სხვა ვინმე მდიდარი კაცის ნაფუძარს ასახელებდა; ზოგს კი ხეები, სრულებით ბუნებრივად, თავისით ამოსულად მი-აჩნდა. ვერხვი ყველა ერთი ტანისა არ იყო. ყველაზე უფრო დიდი, ტოტებ ფართოდ გაშლილი, ზედ გზის პირას ამოსულიყო, კლდის გვერდით, დავაკებაზე. თვით კლდე, თუმცა საკმაოდ დაქანებული, მაინც არა ციცაბო, სულ ტიტველი არ იყო. ბალახბულახის გარდა მის ფერდობზე ორი-სამი რაღაც ჯაგი მოჩანდა.

საკმაო მაღალი მდებარეობა, ქვეშ ფართოდ გაშლილი ქალაქის მიდამოები ამ ადგილს შორიდანაც და ახლოდანაც მიმზიდველად ხდიდა. მგზავრი თუ მოსეირნე ამ წერტილს იშვიათად გვერდს აუ-ხვევდა, შეჩერდებოდა, მიდამოს თვალს მოავლებდა და ერთი ორჯერ სუფთა ჰაერს მსუბუქად შეისუნთქავდა.

* ჩემს საყვარელ მასწავლებელს, ბ-ნ პროფესორს აუგ. ლამერს.—რედ.

დიდი ვერხვის მიდამოებში არავითარი ხელოვნური დასაჯდომი არ მოიძებნებოდა, რადგან ქალაქს განაპირა და მოშორებული ადგილებისთვის არ ეცალა. შიგ ქალაქის ეგრეთ წოდებულ ქუჩა-ტროტუარებზე, ალაგ-ალაგ ისეთი ოღროჩოღრო გაჩენილიყო, რომ მოქალაქის მისუსტებულ კანჭებს დღისით, მზისითაც, ყოველ ფეხის გადადგმაზე საფრთხე მოელოდა. ამ პირობებში ვერხვის ხე ვისღა გაახსენდებოდა...

სულ ერთია, ვერხვის ხესთან მოსეირნენი მაინც ამ მხრივ ოლად გამოდიოდნენ. აზიელს (ქალაქი აზიაში იყო) მაინცდამაინც არ უყვარს ცხოვრების მოხერხებულად მოწყობისათვის თავის შეწუხება. მას ოცნება და მუსაიფი უფრო ემარჯვება, ვიდრე სინამდვილეში ჩახედვა და იმისდაგვარად შრომა და გარჯილობა. ის როგორმე ჩამოჯდება, ან წამოწვება, ან სრულიად დაწვება ხან პირაღმა, ხან პირდაღმა, ყველგან: კლდეზე, მწვანეზე, მტვერზე, მხოლოდ საშუალება ჰქონდეს ოცნებოს ან იმუსაიფოს, იმუსაიფოს და ოცნებოს დაუსრულებლად.

სამაგიეროდ, თვით ხეს და კლდეს ეზრუნა ამ ნაკლის გამოსაწორებლად. ვერხვის ხის ერთი დიდი ფესვი, თუმცა უსწორ-მასწორო და მიგრეხილ-მოგრეხილი, გზის მაღალ კიდეზე ისეთნაირად გამოჩხირულიყო, რომ ზედ სავარძელივით ჯდომა შეიძლებოდა. ადამიანსაც ეს არ გამოპაროდა და მართლაც ფესვის ზედაქერქი ხშირი ჯდომისაგან გადახეხილიყო. იქვე, შრეებად დალაგებულა კლდის ერთი კუთხე, დროთა ვითარებისა გამო ჩამონგრეული, ერთგვარ პატარა ტახტს წარმოადგენდა, სადაც ორი ადამიანი, ასე თუ ისე, მოთავსდებოდა. მიუხედავად მუდმივი მტვერ-ტალახისა, ეტყობოდა, მუშტარი ამ ტახტსაც არ აკლდა.

ჩვენ ზემოთ ვთქვით „ახალ შეკეთებულ საურმე გზაზე". ეს მთლად სწორი არ არის. გზა კი არ შეუკეთებიათ, მხოლოდ დიდ ვერხვის ხესთან კლდოვანი მთის ერთ-ერთი კალთა გასჭრეს იმ ზომამდე, რომ ზედ ურემს გასვლა შესძლებოდა. საცალფეხო გზა კი აქ უხსოვარ დროიდან იყო, მხოლოდ ურემი ვერ გაივლიდა: დატვირთული ცხენისთვისაც აქაური გასვლა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენდა. წინათ, ქალაქისკენ მიმავალ, სოფლებიდან სანოვაგით დატვირთულ ურმებს შორიდან უნდა მოეევლოთ, სანამ ქალაქს მიაღწევდენ; ამ კლდის გაჭრამ კი საურმე გზა სამი კილომეტრით მაინც შეამოკლა. სხვაფრივ კი ეს გზა ყოვლად მოუწესრიგებელი, წვიმა-ქარის კეთილ მზრუნველობაზე იყო მიგდებული.

კლდის გაჭრის შემდეგ ვერხვის ხის მიდამოს დიდი გამო-

ცოცხლება დაეტყო. მგზავრებმაც და მოსეირნეებმაც მოუხშირეს აქეთკენ მისვლა-მოსვლა. მათი კვალი ხესაც და მის გვერდით გზის გაჭრის შემდეგ, დიდი ზვინივით ცალკე ამართულ კლდესაც დაეტყო.

ვერხვის ხის ქერქი თანდათან აჭრელდა სხვადასხვა ენაზე დანით ამოჭრილი წარწერებით. ზოგს თავისი სახელ-გვარის დასაწყისი ამოეჭრა, ზოგს სრულად და ზოგს თარიღიც მიემატებინა, რომ მომავლისათვის თავისი ამქვეყნად არსებობის რაც შეიძლებოდა მეტი და სწორი ცნობები მიეწოდებინა. ვიღაც, ალბათ ტრფობის ალმოდებულს, ვერხვის ხის განზე გაშვერილ მსხვილ ტოტამდეც მიეღწია და ზედ ლამაზად ამოეჭრა: „გელოდი, მ.“

გზისთვის გაჭრილი და კედელივით შვეულად დამდგარი კლდე ხომ სულ აჭრელებული იყო წარწერებით, რადგან წერის სიადვილეც და სივრცეც ძლიერ ხელს უწყობდა. აქ მთელი ლიტერატურა იყო წარმოდგენილი. ზოგს უბრალო ფანქრით ევარჯიშნა, ზოგ-ფერადი საღებავიც მოეტანა და ფუნჯით მიეწერა თავისი ვინაობა, ან მისი გულისნადები, რომ დიდხანს უზრუნველეყო მომაკვდავთა შორის თავისი სახელი და სულისკვეთება. საბრალო ადამიანი! ამ-გვარი ფუქსავატი რამითაც გულს იჯერებს და იმკაყოფილებს! შინაარსის მხრივ, რა გინდა რომ აქ არ ყოფილიყო წარმოდგენილი: სიყვარულის გამოცხადება, იმედგაცრუებული მწუხარება, მეტოქის მუქარა და გაბედნიერებულის შვება-სიხარული. ბოლოს ისიც არ აკლდა, რასაც წესიერ ოჯახებში უწმაწურობას ეძახიან და ჩვეულებრივი ბაასის დროს არ გამოთქვამენ ხოლმე. აქ კი მწერალი ამ უწმაწურობასაც არ დარიდებოდა გამოეთქვა თავისი სურვილი და აზრი ისე, როგორც მას თავში დაებადა; ტლანქად, ტიტვლად, უმირონ-ზეთცხებულად.

ღვინობის თვეა. ვერხვის ხის საკმაო ფართო ფოთლებს ოქროს ფერი გადაჰკრავს, კლდეზე ბალახი გახმა, ერთიც და მეორეც რუხად, მოწყენილად გამოიყურება.

„შრ, შრ“, — შეირხა ვერხვის ხე, ფოთლები საუცხოოდ ააფრიალა. ბევრი მათგანი ყუნწს მოსწყდა, ფრიალით ძირს წამოვიდა და კლდეზე გადაეყარა.

— რა მოსაწყენი დრო დადგა, ამხანაგო, — წასჩურჩულა ხემ კლდეს.

— რა ვქნათ, — მიუგო კლდემ და მწყობრად დალაგებულ და ერთ მხრივ ოდნავ დაქანებულ ფენებს შორის ნელი ჰახუნი მოადინა. — შემოდგომაში შევიჭერით, სულ მუდამ ზაფხულ-გაზაფხუ-

ლი ხომ არ იქნება. იმითაც ბედნიერი ვართ, რომ ზაფხული ძლიერ კარგად გავატარეთ. მას აქეთ მაინც, რაც მე გამაცალკევეს და იმ უზარმაზარ, უშნოდ ახრახნილ მთას მომაშორეს და დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალება მომცეს, ერთობ ბევრი ხალხი მოგვაწყდა ყანახავად. ჩვენც უკეთ მორთულ-მოკაზმულნი ვუხვდებით სტუმრებს და ეს ადვილი ასახსნელიცაა. წინათ წვიმის წყალი ჩემში ერთ წუთსაც არ ჩერდებოდა, მაშინათვე, იმ ღორმუცელა გაუმაძღარ მთის ფენებისკენ გაქანდებოდა. ახლა კი, გზის გაჭრის შემდეგ, წვიმამ უამრავი თიხის ნამცეცები ჩამოიტანა, ჩემი მთისკენ დახრილი ფენების ჭუჭრუტანები გაგლისა და ჩემი წყალი მეტ ვრჩება. კიდეც ამიტომაა, რომ წრეულს უფრო მეტი ბალახებითაც დავმწვანდი და აქა-იქ ჩემს ზურგზე ბუჩქებმაც იჩინა თავი. დამაცადე რამდენიმე წელიწადი კიდევ და ჩემს კალთას სქელ ყვავილ-ბალახით და ბუჩქნარით შევამკობ-შევახავერდებ.

— წარმოიდგინე, ამხანაგო, — მიუგო ვერხვმა, — ფოთლები შეაშრიალა და კაი ძალი კლდეს ზედ გადააყარა, — მთის გაჭრის შემდეგ მეც უკეთ ვგრძნობ თავს. ჩემი ფესვები უკეთ წუწნიან სიღრმეს და წყალშიაც მეტი და უფრო ნივთიერი საკვები მასალაა გახსნილი.

— ესეც იგივე მიზეზის შედეგია. ნიადაგი, რომელზედაც შენ ხარობ, ეს ხომ ჩემი ზედაპირიდან წვიმის მიერ ჩამონარეცხი ანდა დავაკებაზე დაგროვილი ჩემივე ნამცეცებია. ნიადაგქვეშ კი ჩემი ფენებია დალაგებული, ასე, რომ შენ ჩემ ხელისგულზე ხარ ამოსული. რამდენად ჩემი ფენები წყლით მდიდარია, იმდენად შენ მეტი საზრდო გაქვს, სიგრძე-სიგანეში გაიწევი და ტოტებ-ფოთლებით დამშვენდები.

— სრულებით გეთანხმები, განა მე თვითონ არ ვატყობ, რომ უფრო ჯანსაღად ვარ, ვიდრე წინათ. მხოლოდ ეს კი არის, რომ მოსეირნე ხალხმა დანით სულ ქურქი დამიფხაჭნა. ზოგი შორს მიდის, ცილამდე მწვდება, დამზადებულ სანოვაგეს — ცილა-შაქარს მიფუჭებს.

— სამწუხაროა, ამხანაგო, ძლიერ სამწუხაროა, მაგრამ სხვა გზა არ არის. ადამიანი ხომ ბუნებით დამნგრევი და დამქცევი არსებაა. მეც ხომ არ მასვენებენ. ხშირად მთელი ხროვა ადამიანი ჩაქუჩებით შეიარაღებული ჩემ ახლო რომ გაივლის, შეჩერდებიან, დამიშენენ სრულიად უმიზეზოდ ჩაქუჩს და გვერდებს ჩამომიმტვრევენ, რათა? რისთვის? ვისთვის რა დამიშავებია? მაგრამ ერთი შეხედე, მოდიან, ეტყობა, დღესაც სტუმრები არ მოგვაკლდება.

ვერხვის ხემ შრიალი შეწყვიტა, მისი მუდამ მოფარფაშე ფოთლები თითქო გაიყინა.

ქალაქისკენ ჩამავალი გზიდან ერთი ქალი და ერთი კაცი ნელ-ნელა ამოდიოდა. ორივენი სუფთად, თითქმის კოხტად იყვნენ ჩაცმულნი. შორიდან ქალი ძლიერ ლამაზი მოჩანდა, ახლო კი საიმისო შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. მიზეზი ის იყო, რომ პირისახე წვრილად დაფქული ბრინჯით სქლად ჰქონდა დაფარული და ტუჩებზედაც რაღაც წითელი, მყვირალა ფერი წაესო. ამის გამო მისი სახე საფრთხობელას უფრო წაგავდა, ვიდრე ადამიანის ნშვენიერი სქესის წარმომადგენელს. ვაჟს წვერები არულებით ჰოეპარსა, ხოლო ულვაშები სანახევროდ. ამგვარად, პირისახის მორთვა ერთმა ორმა დაიწყო, სხვამ წაბაძა და ბოლოს უმრავლესობამ ხშირი განმეორებით ჩვეულებად გახადა.

— ეგ სად ამომიყვანე, კაცო, — თაკილობდა ქალი, როცა ისინი ვერხვის ხეს მიუახლოვდნენ.

— რატომ, განა ცუდი ადგილია? ნუთუ ჯერ აქ არ ყოფილხართ?

— მე? — გაიკვირვა ქალმა.

— ვთქვათ, თქვენც, მაგალითად, რატომაც არა! აქ სათაკილო ალაგი სრულებით არ არის, ყოველ წრიდან მოსეირნეს აქ იპოვნით, განსაკუთრებით ზაფხულობით.

—ვხედავ, ამჩნევია კიდეც. აი, ეს ხის ღერო, როგორ წარწერებიო აუჭრელებიათ, „რე“ და „ტარ“, „გან“ და „ბან“, „სან“ და „ცან“, — ჩუმად კითხულობდა ქალი ხის ქერქზე ამოჭრილ ასოებს.

— გარწმუნებ, ბევრი პატიოსანი ხალხი ამოდის აქ. ჰაერი სუფთაა, გადასახედავი საუცხოო. ამბობენ ჩვენი პოეტები, თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებს აქ ამოსვლის შემდეგ წერენო. ეტყობა, რომ პოეზიის უჩინარი და აუწონავი ნამცეცები (ატომები) ამ ალაგას განსაკუთრებით იყრიან თავსა და რჩეულთა სხეულში, ჰაერის სუნთქვასთან ერთად, შეიჭრებიან ხოლმე, იქ ფესვს გაიდგამენ, გაიზრდებიან და პოეტური ნაწარმოების სახით ქვეყანას მოევლინებიან.

— ჰმ... — უგულოდ ჩაიცინა ქალმა.

— დიახ, დიახ. ეს საქმე პირად მე სრულებით მწამს, მხოლოდ ამჟამად ის მაწუხებს, რომ ადგილი საშინლად მოუწესრიგებელია, აი, აქამდის ამოგიყვანე და დასაჯდომი ალაგი არსად ჩანს.

— ეს კი მართალია. მე კი დავიღალე და არც კი ვიცი, სად ჩამოვჯდე.

— იქნებ ამ ფესვზე ინებოთ..... ესეც ერთგვარ პოეტურად არის გამოშვერილი.

— პოეტურად თუ პროზაიკულად ამაზე რა მოგახსენო. ეტყობა, რომ ბევრი მჯდარა ზედ. მე კი გმადლობთ, მაგრამ ვერ გავბედავ. ჩემი კაბა ძლიერ ნაზი ქსოვილია და იმ ფესვის ჯირკვლებში სულ ერთიანად გაფუჭდება.

— მაშ, ამ კლდეზე მოვახერხოთ როგორმე, — დაფაცურდა ვაჟი, სწორედ ჩამოტეხილ ფენაზე ქვის ნატეხები მიჰყარ-მოჰყარა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ზედ გაფინა.

— აქ კი, შესაძლებელია. — გამხიარულდა ქალი.

— მობრძანდით, ეს ტახტი გახლავთ, ის ფესვი კი სავარძელი.

— ხა, ხა, ხა, ჩინებულია, მხოლოდ მუზათა სამყოფს უკეთესი მოწყობილობა შეშვენის.

ორივენი ჩამოსხდენ. დღე მზიანი და თბილი იყო.

— მართალს ბრძანებთ, დიახ, უკეთესი მოწყობილობა შეშვენის. მე რომ რამე დიდი თანამდებობა მეჭიროს (და თავის დროზე რომ დავიჭერ, უეჭველია), ამ ადგილას ასე ვერანად არ გავუშვებდი. ამ ორ-სამ რაღაც საცოდავ, მრუდე ხეს მოვჭრიდი და მის ალაგას ხეივნებს გავაშენებდი, ასე, ასე და ასე, — ხელით სიგრძე და სიგანეზე გადაზომა კაცმა ვერხვის ხეებიანი დავაკება, — საყვავილოებს გავმართავდი, ლამაზ-ლამაზ ფანჩატურებს დავდგამდი და შიგ ხელოვნად გაკეთებულს და ფერად-ფერად შეღებილ დასაჯდომებს გამოვეჭიმავდი. საყავეს მოვაწყობდი, ტკბილ მოსასმენ მუსიკას ავახმაურებდი. ამასთან სხვა გასართობებსაც არ დავივიწყებდი. ადამიანს სომ გონებასთან გრძნობაც აქვს განვითარებული და ამ გრძნობათ უსათუოდ დაკმაყოფილება სჭირია.....

— ამას იმიტომ ამბობთ, ბატონო, რომ დიდი თანამდებობა არ გიჭირავთ, თორემ, რომ გეჭიროთ, მაშინ ამისთანა მიყრუებული ადგილისთვის აბა სად მოიცლიდით. — სიცილით გააწყვეტინა ქალმა.

— გარწმუნებთ, მოვიცლიდი. სხვა არა იყოს რა, იმიტომაც მაინც, რომ თქვენ დღეს აქ ამობრძანდით და პირადად, ასე ვთქვათ, აკურთხეთ ეს ადგილი.

— ხა, ხა, ხა, ხა, — გადიკისკისა ქალმა. — აი, თურმე რა ყოფილა, მე კი მეგონა, რომ თქვენ უფრო ფართო მოსაზრება გასულდგმულებდათ.

— უეჭველად კი ფართო, ე. ი. საზოგადო მოსაზრებასაც ერთი წუთით არ ვკარგავ გონებიდან.... გადაწყვეტილი მაქვს პირად ჩემი სიამოვნებისათვის ერთი წუთიც არ დავკარგო და სულ საზოგადო, სასარგებლო საქმეებს შევწირო მთელი ჩემი სიცოცხლე. მაგრამ ეს სრულებით ხელს არ უშლის, რომ თქვენს პირადობას დიდად ვაფასებდე და საშუალება რომ მქონდეს, თქვენი აქ ამოსვლის სახსოვრად ეს ადგილი მოვაწესრიგო. ამით ხომ საზოგადო საქმე გაკეთდება და სულ ერთი არაა, თუ რა ედვა მახლობელ სარჩულად ამ საქმის გაკეთებას. მაგრამ ბოდიშს ვიხდი, ვიწროდ ხომ არ ზიხართ?

— ჰო, ცოტად, მაგრამ არა უშავს რა.

— ოხ, ჩემთვის კი, თქვენთან ასე ახლოს ყოფნა მეტისმეტი სასიამოვნოა. სწორედ რომ ბედნიერი ვარ, განუზომელად ბედნიერი, — აღელვებით წარმოთქვა კაცმა და ქალისაკენ უფრო მჭიდროდ მიიწია.

— მამაკაცებმა სულ ასე იცით პირმოფერება და წუთიერი აღელვება.

— განა მე თქვენ სხვა მამაკაცებს მადარებთ?

ქალმა იქვნეულად გადახედა და ტუჩები შეიქმუხნა.

— მე თქვენ დაგიმტკიცებთ, ქალბატონო, რომ მე სხვა მამაკაცებს სრულებით არა ვგავარ. მე ჩემი ნათქვამის სრული ბატონპატრონი ვარ. სიტყვებს წარამარა არ ვისვრი. პოეტს, მაპატიეთ გულახდილობა, სრულებით არ შეშვენის ტრაბახი. მისი სიტყვა უნდა იყოს, როგორც ბეჭედი, მტკიცე და შეურყეველი. მე უკვე მქონდა კადნიერება გამომემეღავნებია თქვენთვის ჩემი მწუხარება, გადამეშალა თქვენთვის ჩემი გულის ტკივილი. მას აქეთ ბევრი ვებრძოლე ჩემს თავს, ბევრი ვითმინე... მაინც არა ეშველა რა. ბოლოს მაინც, ეს არის, გასკდა დაგუბებული ჩიხი... პირდაპირ გითხრათ მირჩევნია... მე თქვენ გაგიჟებით მიყვარხართ. — ამის თქმისთანავე კაცმა ქალის ხელს ხელი სტაცა და ტუჩებით ზედ დაეყრდნო.

— მოიცათ, ნუ ღელავთ, ახ! რა სულმოკლენი ხართ... — დინჯად ამბობდა ქალი და ცდილობდა, ხელი გაეთავისუფლებინა, თუმცა ცოტაოდენი აღელვება მის სახეზედაც იბეჭდებოდა.

— აბა რას ბრძანებთ, აბა რას ბრძანებთ! — ათრთოლებით ამბობდა კაცი, — განა შესაძლებელია ადამიანი თქვენთან ასე ახლოს იყოს და არ აღელდეს, თქვენს მშვენიერებას უყურეს და გულგრილი დარჩეს, თქვენი სიახლოვე იყნოსოს და თავბრუ არ

დაესხას, — და ვაჟმა კვლავ გაშმაგებული კოცნა დაუწყო ქალის ხელს.

ქალის ხელი მართლაც და გამაღიზიანებელ სურნელებას სცემდა. მას ხელზე, და იქნებ სხვაგანაც, კეთილსურნელოვანი ნელსაცხებელი ჰქონდა წასმული, ეს სურნელოვნება ლამაზ შუშაში მოთავსებული, შუშაზე ლამაზი წარწერებით და სურათხატებით მორთული, მას თავის საპირფარეშოში, მაგიდაზე, თვალსაჩინო ალაგას ჰქონდა მოთავსებული. შუშაზე დაკრულ ქაღალდზე ეწერა: „აღმოსავლეთის ია", თუმცა იმ მოყვითალო სითხეში, რაც შუშაში იდგა, იის წვენის ერთი წვეთიც არ ერია, და მხოლოდ ფისისაგან იყო ხელოვნურად გამოხდილი. ქალი ისევ შეეცადა ხელი გაენთავისუფლებინა.

— ღმერთო ჩემო! — უკმაყოფილოდ წარმოთქვა მან, — აქ რომ ვინმე ნაცნობმა მნახოს, სომ ყელი გამომეჭრა!

— რატომ? ნუთუ მე იმ ზომამდე საზიზღარი ადამიანი ვარ!

— ამას ვინ მოგახსენებთ!

— ნუთუ არავითარი კეთილი გრძნობის ნაპერწკალი ჩემდამი არა ღვივის მაგ თქვენს გულში!

— ეს სხვა საქმეა.

— ნუთუ ის ყინულივით ცივია?!.

— ყინულივით ცივი რომ იყოს, მე ამჟამად აქ არ ვიქნებოდი.

— მაშ ნაცნობების რისთვის გერიდებათ. ან თქვენ მიერ მოსარიდებელ ნაცნობებს აქ რა უნდა? დღეს აქ თუ ვინმე მოვიდა, ისიც ჩვენისთანა გაჭირვებული, ტრფობის წყურვილით გაშმაგებული, სამოთხის ნამის პკურების მაძიებელი იქნება და იმის, აბა, რად მოგვერიდება?

— ხუმრობა იქით იყოს. განა თქვენ წელან არა თქვით, რომ აქ ბევრი რიგიანი ხალხი მოდის ყოველ წრიდანაო?!

— დიახ, ბევრი რიგიანი და ურიგოც, იმისდა მიხედვით, თუ ვის როგორ ესმის და ვის როგორ სურს გაიგოს ეს სიტყვა. ეს სულ სხვა საქმეა. ერთია მხოლოდ მართალი, რომ არა ჩვენ დასაზვერავად, არამედ ლამაზი ბუნების თვალგადასავლებად, სულის ასამაღლებლად და წმინდა გრძნობით შეპყრობილი გულის ფართოდ გასაშლელად ამოვა და ასეთი ვინმე კი ჩვენ ხელს არ შეგვიშლის, პირიქით.

ქალს გაეცინა. ორივემ ერთ ხანს იცინეს.

— არა, თუ ღმერთი გწამთ! განა მართალს არ ვამბობ? აბა ერთი გადახედეთ, რა დიადი სანახაობაა! ჯერ ჩვენ ქვევით გაშლილ

ველი, მერე ხშირი ტყე, შემდეგ მთელი რიგი ერთი მეორეზე ამაღლებული მთებისა. პირველ ხაზზე ყველაფერი ნათელია, ცოტა მოშორებით კი ტყეს მტრედისფერი ბურუსი ოდნავ გადაკრავს, კიდევ უფრო შორს მთა მოლურჯოა, ხოლო უკანასკნელ ხაზზე მაღალი მთა სანახევროდ ღრუბლებშია დამალული. ამ სიმშვენიერის მნახველი. აბა რომელი გული არ ატოკტება, თუკი ის ოდნავ მაინც ფეთქავს... ეს ცოტაა. პოეზიის საღერღლის ასაშლელად უკეთესი ადგილი წარმოუდგენელია. უნდა გამოგიტყდეთ, რომ შეც პირველად, ასე ვთქვათ, აქ ვეკურთხე პოეტად.

— თქვენ პოეტი ბრძანებულხართ? დიდად სასიამოვნოა.

— გმადლობთ, მჩვევია ეგ ავადმყოფობაც. მასალა ჯერ ბევრი არ გამომიქვეყნებია. რაღაც ხუთიოდ ჩემი ლექსი დაისტამბა დღემდე. მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ორმოცდაჩვიდმეტი უკვე მაქვს გამოთქმული და ჩაწერილი.

— დიდად სასიამოვნოა, დიდად სასიამოვნო, — ნაზად შენიშნა ქალმა.

— გმადლობთ. ეს ჯერ მხოლოდ დაწყებაა. კრიტიკოსებმა ახლავე შემომიტიეს, მაგრამ კარგად ვიყოთ და მე მათ ჩქარა ჩავაჩუმებ. ერთმა ჩემ ლექსებში გაუგებრობა და უაზრობა აღმოაჩინა... მას ავიწყდება, თუ ადვილი გასაგებია, ეს ხომ საბავშვო მოთხრობა იქნება და არა პოეზია. ნამდვილი პოეზიის თვისება სწორედ რომ ბინდბუნდოვანებაა. ნამდვილი პოეზია უნდა იყოს გასაგებად ძნელი და სანახევროდ ბნელი, ვით იერუსალიმის ტაძარი... მაგრამ, ოხ, ჩემო გამჩენო! სად მოვძებნო უკეთესი პოეზია, თუ არა თქვენი ჟუჟუნა თვალების გამომეტყველება, სად ვიპოვნო უკეთესი ჰარმონია, თუ არა თქვენი ლოყა-ნიკაპ-ტუჩების თანხმობითი მოხაზულობა, სად გავიგონო უკეთესი ზეაღმატებული ჰანგები, თუ არა თქვენი ნაზი სამოთხისებური ხმა, — აღტაცებით წარმოთქვა ვაუმა და ქალის სურნელწასმულ ხელებს კვლავ ტუჩებით დაეწაფა. ცალი ხელი ფრთხილად წელზე მოხვია და ტუჩებზე საკოცნელად წაეტანა.

— რას ჩადიხართ! გონს მოდით! — მთელი ტანის ოდნავ ცახცახით წარმოთქვა ქალმა, ზეზე წამოიჭრა და ფრთხილად ირგვლივ მიმოიხედა. — როგორ შეიძლება ასეთი აჩქარება. დიდი შეცდომა მომივიდა, რომ ამ სიშორეზე და ასეთი უდაბურ ადგილისკენ წამოგყევი... რომ ვინმემ გვნახოს... — გაფანტულად, ნაჭერ-ნაჭერ ისროდა სიტყვებს ქალი.

— თქვენ სულ ერთსა და იმავეს იმეორებთ.... მოვიდეს, გვნა-

ხოს, ვისაც უნდა. ჩვენ ხომ არაბუნებრივ რასმე არ ჩავდივართ. ჩვენ ხომ ქვეყანაზე ხალხს ვერ ამოვწყვეტთ, — გულმტკივნეულად ამბობდა ვაჟი.

— ოჰო! მადლობა მომიხსენებია. ესლა მაკლდა.... მაშ, აბა წავიდეთ!

— სად?

— შინ, რა თქმა უნდა.

— მიბრძანდით, ბატონო.

— მე მარტო? თქვენ კი აქ დარჩებით?

— მე?.... მე.... სულ ერთია გაიგებთ. მე ამ კლდიდან ხევში გადავვარდები, — მოწყენით მიუგო ვაჟმა.

— ხა, ხა, ხა, — მხიარულად გადაიხარხარა ქალმა.

— დამცინეთ, დამცინეთ, ბატონო, — სევდიანად გააგრძელა ვაჟმა. — როცა ჩემს საცოდავ ლეშს, ათასფრად დასახიჩრებულს, და, ვინ იცის, სანახევროდ გახრწნილს ამ ხევიდან ამოათრევენ, საანატომიო თეატრში წაიღებენ და იქ საექიმო დარგის მოსწავლეთა საფხეკ-საძიძგნავად გახდიან, როცა ჩემს უკვე გაცივებულ და დამჭკნარ გულს დოსტაქრის ულმობელი ნეშთერი ათასფრად მისერ-მოსერავს, იქნებ ფიქრშიც არ გაუელეოს იმ საძაგელს, თუ რანაირად თრთოდა და ღელავდა იგი ერთ დროს შენი განუზომელი სიყვარულით აღტაცებული.

ქალი თავჩაღუნული და ოდნავ მოღიმარი სახით ვაჟს ზევიდან დაუურებდა.

— კარგი, გეყოფა ხუმრობა, ახლა წავიდეთ, — ლმობიერად უთხრა მან.

— მე ვხუმრობ? კარგი, ვნახოთ, — მიუგო ვაჟმა, თავი მაღლა ასწია და მოელვარე თვალები ქალს შეანათა. — მე ვხუმრობ? მე უთქვენოდ ცხოვრება არ შემიძლია!

— მართალს ამბობთ? — დინჯად დაეკითხა ქალი.

— ეს ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებაა.

— მაშ მოდი, საქმიანად ვილაპარაკოთ, — თქვა ქალმა და ისევ ჩამოჯდა — თქვენ ამბობთ, მიყვარხართო, გულახდილად გეტყვით, არც მე მძულხართ, მაგრამ ერთი ჩემს მდგომარეობაშიაც უნდა შეხვიდეთ. მეც ადამიანი ვარ, საზოგადოებაში ვცხოვრობ, ერთგვარ წესრიგს ვემორჩილები... ერთგვარი გარკვეული ხაზით მინდა ვიარო ცხოვრებაში. ამიტომ ჩემი თავმოყვარეობა ნებას არ მომცემს, რომ... ერთგვარი სათამაშო გავხდე. ჩვენს დაახლოებას კი, არა-

ხელსაყრელი პირობები წინ ეღობება: თქვენ ცოლიანი კაცი ბრძანდებით... და, როგორც გინდათ თქვით, მაგრამ აჩქარებით ნაბიჯს ვერ გადავდგამ...

— ეჰ! ერთი თქვენცა, რა უბრალო რამეზე ჩივით, — გააწყვეტინა ვაჟმა.

— უბრალო სრულებით არ არის, პირიქით...

— ჩემს მზეს ვფიცავ, უბრალოა. ვითომდა ობერპროკურორის პობედონოსცევის დრო ხომ არა გგონიათ, როცა განქორწინებას სრული ორმოცდაცხრა წელიწადი, თერთმეტი თვე და ოცდარვა დღე უნდებოდა? სულ ერთია, თქვენც რომ არ იყოთ, მე ჩემს ცოლს უნდა გავეყარო... ეს გადაწყვეტილი საქმეა, ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. აგერ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ სახელით ვართ მხოლოდ ცოლ-ქმარნი, ჩვენი ხასიათი ერთიმეორისას სრულებით არ უდგება. მე ალთას ვცემ, ჩემი ცოლი ბალთას და ამისთანა ჯოჯოხეთურ ცხოვრებას — კიდევ გავიყაროთ, ის ემჯობინება. პრინციპში ჩემი ცოლიც არაა ამის წინააღმდეგი.

ქალი სდუმდა, ვაჟმა მოალერსე თვალით გადახედა, ცალი მკლავი ნელა ზურგს შემოავლო და ოდნავ გასაგონად ჩასჩურჩულებდა:

— თავს შემოგევლე, შენ გენაცვალე, მე შენ მიყვარხარ, ჩემო სულის დგმავ. ნუთუ შენი გული იმდენად ცივია, რომ ჩემი ალერსი მას ოდნავად არ ათბობს. მითხარ, თუ ის სრულებით გაყინულია. მითხარ, თუ ის ჩემ სასარგებლოდ ოდნავაც არ ტოკავს, მაშინ სიცოცხლე არ მინდა, მაშინ მე ამ ქვეყნიდან აღვიგვები. ოხ, რა უბედური კაცი ვარ, — აქვითინდა ვაჟი და თავით ქალის მკერდს ჩაეკონა.

ქალი სდუმდა. წინააღმდეგობას არ უწევდა. ვაჟმა მკლავი უფრო მაგრა მოხვია. პირისახე ქალის მკერდში სრულებით დამალა და გაგახარებული ღუღუნებდა:

— ოხ, რა ბედნიერი ვარ, მზად ვარ ამ მდგომარეობაში მოვკვდე კიდეცა.

— მართლა ამ ზომამდე გიყვარვარ? — ჩასჩურჩულა ქალმა.

— ოხ! მიყვარხარ, მე უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია!.. მაგრამ სრული ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა შენც გეყვარები... სამწუხაროდ, ვგრძნობ, რომ შენ არ გიყვარვარ. — ამბობდა და ქალის მკერდს სახით უფრო და უფრო მაგრა ეკვროდა.

— მე არ მიყვარხარ? — ჩუმადვე ჩასჩურჩულა ქალმა და ვაჟს ხელი თავზე დაადო.

ყმაწვილი კაცის სხეულში ელექტრონივით რაღაც მწვავემ გაირბინა.

მათი ტუჩები ერთმანეთს მოხვდენ და ერთიმეორეს მაგრა მიეკვრნენ.

„შრ...შრ...“ — შექანდა ვერხვის ხე და ყვითელი ფოთლები მათ თავზე გადააყარა.

„ბრ...ბრ...ბრ...“—მოისმა უცბად დატვირთული ურმის ქვიდანქვაზე გადახტომით გამოწვეული ბრაგუნი და ამავე დროს მამაკაცის უხეში ყვირილი:

— ეი, შე საყორნევ, შენა, აბა საით სწევ, შე რჯულ... თედო! ეი, ბიჭო, სადა ხარ. ჩქარა იქით სახრე შემოუქნიე, ბორბალი მაგ დიდ ქვაზე არ აისროლოს, თორემ გადაბრუნდება.... მო, მო... შე ტიალო, შენა... ჰა! ცოტას არ გადასცდა, კინაღამ დავიღუპე კაცი!

ქალ-ვაჟმა გასწორება ძლივს მოასწრეს, რომ თივით დატვირთულმა ურემმა მათ ცხვირის წინ გაუარა.

მაღალ-მაღალი, შავულვაშა წვერ გაპარსული, დაგლეჯილი, რაღაც გაურკვეველი ჯურის ტანისამოსში გახვეული კაცი კამეჩებისკენ პირ მობრუნებული ხელნის ბოლოს მაგრა ჩასჭიდებოდა და ზურგით წინ მიბაჯბაჯებდა. შვიდი-რვა წლის ერთი ციდა ბიჭი, თავზე პატარა ნაბდის ქუდით და ხელში გრძელი სახრით, ურემს გვერდით მედგრად მისდევდა და კამეჩს სახრეს უშენდა.

— მო... მო... თედო, კარგი, ეყოფა. ახლა არა გვიჭირს რა, ბედნიერი ვართ... კინაღამ არ გადამიბრუნა ურემი მაგ საყორნემ, მაგანა.... მაგ დალოცვილებმა ეგ გზა რომ გაჭრეს აქა, ძლიერ კარგია, მაგრამ ერთი კარგად გაეჭრათ და! შე კაცო, მადლსა შვრები, ერთი მარილიც მოაყარე და! ნეტავ რისთვის არი, რომ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ყველაფერი სანახევროდ კეთდება?!.

— მო... მო.... ეგ ქალაქის დედაკაცებიც ღმერთმა ადღეგრძელოს და რანაირად ირთვებ-იკაზმებიან, ასე გგონია ყეინობა არისო. კამეჩი ჯი არა, ეშმაკიც დაფრთხება, — ბუტბუტებდა გლეხი და ახლა კი ჩვეულებრივ კამეჩებისკენ ზურგმობრუნებული ურემს წინ მიუძღოდა.

— აბა, ახლა წავიდეთ, — მოუთმენლად ამბობდა ზეზე ამდგარი ქალი.

— მოიცა, რა გაჩქარებს!

— როგორ თუ რა მაჩქარებს... სირცხვილია, ის მუტრუკიც თავზე წამოგვადგა.

— იმას რა ბრალი აქვს, ის თავის გზაზე და საქმეზე მიდის. ჩვენ კიდევ ჩვენი გზით ვიაროთ!

— წავიდეთ, წავიდეთ ჩქარა!

— სად?

— შინისაკენ, რასაკვირველია, მე ძლიერ საჭირო საქმე მაქვს.

— ცოტა ხანს მოითმინეთ, ბატონო, აი ავიაროთ კიდევ ზემოთ, ისეთი ლამაზი ადგილები გიჩვენო, რომ თვალი ვერ მოაშორო.

— არა, არა, წავიდეთ, — ჯიუტობდა ქალი.

— მოითმინე, ბატონო, აი ავიაროთ ცოტა კიდევ ზემოთ და ქალაქში მეორე მხრივ შემოვიდეთ. სეირნობის დროს იმავ გზით შინ დაბრუნება კარგი არაა.

— ეს ვინ გითხრა?!.

— ბებიაჩემისაგან გამიგონია...

ქალს გაეცინა:

— ტყუილი უთქვამს, ნაცნობი გზით უფრო საიმედოა შინ დაბრუნება, ვიდრე უცნობ, სახიფათო გზაზე დადგომა.

— დამიჯერე, ბატონო, აი ცოტა მაინც ავიაროთ. გარწმუნებ, ძლიერ კმაყოფილი დარჩები.

— სხვა დროს, სხვა დროს, ახლა კი, შენი ჭირიმე, შინ წავიდეთ, იქნებ სხვა ვინმე კიდევ მოვიდეს.

— რად გერიდება სხვებისა, დაბრძანდი, დამშვიდდი.

—მხოლოდ ერთი წუთით, სანამ ის მხეცი ცოტას მოგვშორდება.

— მაგ საწყალ კაცს რას ერჩი, ბატონო, ჩვენს საქმეში ის სრულიად უდანაშაულოა. ჩვენთვის მას ყურადღებაც არ მოუქცევია.

— როგორ არ მოუქცევია, აკი კარგად გავიგონე ქალებიო, ეშმაკიო.

— ხა, ხა, ხა, ეს არაფერია.... მე მაინც გირჩევდი ავიაროთ ზემოთ, მანამ ის ურემიც ქალაქს ჩავა.

— არა და არა, სხვა დროს, — ჯიუტობდა ქალი.

ვაჟი ნებას დაყვა.

ვერხვის ხემ კვლავ ტოტები ააშრიალა და მოყვითალო ფოთლები კლდეს გადააყარა.

— როგორ ფიქრობ, ამხანაგო, ეგ მერამდენე ქალია ამ ვაჟს აქ რომ მოჰყავს? — დაეკითხა ვერხვის ხე კლდეს.

— მეთერთმეტე უნდა იყოს, — ააშახუნა ფენები კლდემ.

— მე კი მეთოთხმეტე მგონია, — შესწორება შეიტანა ვერხვ-

მა, — აღსანიშნავია ის, რომ ყველას ეფიცება: მე უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლიანო.

— ამასთანავე ამ ხრამიდან გადავარდნითაც ემუქრება. — დაუმატა კლდემ.

— ზოგიერთებს ჩემი განზე გაწეულ მსხვილ ტოტზე თავის ჩამოხრჩობითაც აშინებს. ერთხელ ხომ ჯიბით ბაწარიც თან მოეტანა.

— ხი, ხი, ხი, — კვლავ შეაპახუნა ფენები კლდემ. ერთი მსხვილი ლოდი კლდეს მოსწყდა და ხრამში ბრახაბრუხი მოადინა.

II

— მოიცა, მიხო! ამ ხის ძირში თუ ცოტა სული არ მოვითქვი, მოვკვდი, მეტი არა ვარ, — ძლივს წარმოთქვა ერთმა შუა ხნის, მაგარი აგებულობის კაცმა და ვერხვის ძირში პირდაპირ მტვერში გაგორდა, სახეზე მას წურწურით ოფლი ჩამოდიოდა.

— ვა, შე კაი კაცო, რაღა დროს აქ მოსვენებაა, ჯობიან ისევ ქალაქს მივაშუროთ, აქ ხალხი ხშირად მიდი-მოდის.... გიგო, ჰა! აბა ადე.

— რაც მოვიდეს, მოვიდეს, ძმაო, და სანამ მე ცოტას არ დავისვენებ, აქედან განძრევა არ შემიძლია. უჰ! ჩემოდენა შენ რომ გერბინა..... მაშინ.... არ მეტყოდი. როცა გაჭირვება მადგა და აღმართზე შველივით მივხტოდი, ამოდენა დაღალვას არ ვგრძნობდი. ახლა კი, ოხ! სული მეხუთება, — ნაჭერ-ნაჭერ ისროდა სიტყვებს პირაღმა გაგორებული კაცი.

— კარგი, შენი ნებაა, — მიუგო მიხომ და ვერხვის ფესვზე ჩამოჯდა.

— ვა, ერთი შეხედე, რა მოხერხებულია და? თითქოს საგანგებოდ ჩემთვის გაუკეთებიათო. ხედავ, კაცო, ამ ხესაც ჭკუა ჰქონია, სავარძელში ვზივარ მგონია.

— ოხ, ვენაცვალე, ვენაცვალე ამ სიოსაც, აი ჭკუა სად არის, როგორ შემომისისინა ამ გახურებულ გულ-მკერდზე, — ამბობდა მიწაზე მწოლიარე გიგო.

მიხომ ფეხი ფეხზე გადაიდო და აუჩქარებლად პაპიროსი ამოიღო.

— ერთი მომე, ერთი მომაწევინე, — მოუთმენლად მიმართა გიგომ.

— კარგი, კაცო, დამშვიდდი, ახლა ხომ გადარჩი. ახლა არა გიშავს რა. აი პაპიროსიც. ახლა ერთი მომიყე, თუ როგორ იყო საქმე. მე რატომ ადრე არ მითხარი? მე დღეს იქ ვყოფილვიყავი, ეს საქმე ასე არ დატრიალდებოდა.

— მეთქვა კი არა, მე შენ გითხრა, მაშინათვე გიპოვნიდი. მთელი გუშინდელი დღე შენ დაგეძებდი, მაგრამ შენ ხანდისხან ისე გადიკარგები, რომ მწევარ-მეძებრითაც ვერ მოგაგნებს კაცი... ახ, მიხო! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი. სწორედ რომ ბედი მქონია. რომ დავეჭირეთ, თქმა არ უნდა, დამხვრეტავდნენ... ახლა კი თანდათან ვსულიერდები... ჩემ ჭკუაზე მოვდივარ.

— შენ რომ ვერა გნახე და ვერა გნახე. ვერც პეტოს, ვერც ზაქარას ვერსად წავაწყდი... ჰოდა... გადავეკიდე იმ ჩერჩეტ ფიდუას. რა მექნა, ვინმე ხომ უნდა გყავდეს, კაცო, გვერდით?

— წავედით! ხალხია, კაცო, ხალხი, აბა რა გითხრა, ზღვა... ბაზრობა ისეთი ჰა, რა გინდა, სულო და გულო. ძველი საქონელი გინდა თუ ახალი, სულ ბღუჯა-ბღუჯა ფული გადადის ხელიდან ხელზე. მერე რა ფული, სულ ლირა და დოლარი. გაწურული ოქროა, რაღა, სინდისს გეფიცები, მარჯვე კაცი ერთი დაკვრით დასცლის ხუთ-ექვსს ჯიბეს.

— აბა, ბიჭო, ფიდუა, — ვეუბნები მაგ ოხერს, — იყავ, ბიჭო, კამეჩივით ცქვიტი, მერცხალივით ზანტი, ბუსავით გამჭრიახი, არწივივით ბეცი, ვირივით მოუსვენარი, ხვლიკივით დინჯი, სოვდაგარივით პატიოსანი, აბა რამდენი ჩამოგითვალო, იყავ, შვილო, ნამდვილი ჯიბგირი. ესა ვთქვი, ვახსენე ღმერთი და გზას გავუდექით. გავუდექით კი არა, ცხრა მთა ხომ არ იყო გადასასვლელი!.. გადავდგით ერთი-ორი ნაბიჯი და ბაზარში ჭიანჭველასავით მოფუსფუსე ხალხის ტალღაში შევერიეთ. დავსუნე, ჩემებურად, აქეთ-იქით: თითი ჩავყავი მარჯვნივ, ხელი ჩავყავი მარცხნივ. ბევრი არაფერი, სულ წვრილმანები — სალაპარაკოდაც არა ღირს, პაპიროსის ფასი, რაღა.... სხვათა შორის ერთ მზარეულ ქალსაც დავუმჩატე ჯიბე. ჯერ არავითარი სანოვაგე არ ჰქონდა ნაყიდი, დიდი კალათა კი, ცარიელი ხელში ეჭირა. ვინმე ჩასუქებული ოჯახის მზარეული უნდა ყოფილიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი „ამხანაგი-ქალბატონი", თავის კოხტად მოწყობილ საპირფარეშო ოთახში გახურებული შანთით თმების დახუქუქებაში გართული, ამ ამბით დიდად ნასიამოვნები არ დარჩებოდა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ დღეს თავს მაინც არ დაიმშვებდა და გემრიელ სადილს არ დაიკლებდა.

სიომ დაბერა, ვერხვის ხემ ფოთლები ააფარფატა. მოყვითალო-ები ძირს ცვიოდნენ.

— ოხ, მიხო, რა კარგია ეს სიო, ეგ დალოცვილი. ახლა უკვე ზოსული ვარ გენებაზე. რა ბედნიერი ვარ, რომ გადავრჩი. დამაცა, უბედური მეც არა ვარ. ისეთი კელაპტარი ავანთო ამ ქესატობა ღროშიაც, რომ შუქურ ვარსკვლავივით ბრწყინავდეს, ისეთი ლოცვა ავაგალობინო, რომ ეშმაკი და ანგელოზი ერთად ბუქნავდეს. ხომ იცი, მიხო, ქრთამი ყველგან და ყოველთვის სჭრის, ყველგან ყარისკაცებია საჭირო. დალოცვილ ღმერთს რომ ფეშქაშები არ ყვარებოდა, კაცი აბა საიდან დაისწავლიდა?!

— ჰო, ბერე, მერე, შენ საქმეზე ილაპარაკე, — გააწყვეტინა მიხომ.

— მერე, ჰა, ავიარ-ჩავიარეთ. სულ წვრილმანები. ავიარე კიდევ, ვხედავ, დადის ერთი კაცი, მაღალ-მაღალი, წელში გამართული, სახე კმაყოფილი, ეჭვი არაა, ან კაი ცოლი ყავს, ან კაი საყვარელი. ტანზე რაღაც გრძელი, წმინდა ინგლისური შალის წამოსასხამი აცვია. უბის ჯიბიდან ერთი ტყავის, ძვირფასი, კობტა, დიდი ოთხკუთხი საფულე ამოიღო, გადაკეცა და შიგ რაღაცის ძებნა დაიწყო. რას ნახავ შიგ, გატენილია რაღა სულ უცხოეთის ფასიანი ქაღალდებით. ისე სავსეა, რომ საქაღალდეს გვერდები გამობერვია. ეს ეგეველია, ვიღაც სტამბოლიდან ახალი ჩამოსული უნდა იყოს. კარგა ხანი ეძება. ბოლოს პატარა ქაღალდის ნაგლეჯი ოთხად გაკეცილი ამოიღო, გახსნა, წაიკითხა, რაღაც უკმაყოფილოდ თავი გააქნია, საფულე ისევ დაკეცა და ჯერ კიდევ ამ ახალი რაღაც ფიქრით გართულმა უბის ჯიბის მაგივრად წამოსასხამის გვერდის ჯიბეში ჩაიდო. სამაგიეროდ იმ ჯიბიდანვე მშვენიერი, ვერცხლის საპაპიროსე ამოიღო, ერთი პაპიროსი პირში ჩაიდო, საპაპიროსე ისევ გვერდის ჯიბისკენ გადისროლა და სხვადასხვა ჯიბეში რაღაცის ძებნა დაიწყო. ხალხიც. ვხედავ, ჯვუფდება. უკეთესი შემთხვევა წარმოუდგენელია. ეშმაკი და ანგელოზი ორივე ერთად შწყალობს რაღა. გული ამიცახცახდა, ამგვარი რამის მნახველს ფულგრილად აბა რა გამჩერებდა?!

რა თქმა უნდა, ვახსენე ღმერთიც და ეშმაკიც. საჭიროების დროს ყოველგვარი ძალა უნდა გამოიყენო. ბოროტს თავს რომ დაუკრავ, კეთილს ქუდი უნდა მოუხადო. ჩუმად, ჩემებურად გავაქანე ორი თითი, ერთი წამიც და თუ ორივე არა, ერთ-ერთი მაინც ჩემ ცოდვილ ჯიბის ფსკერს ეამბორებოდა. საფულე ხომ ყანწით ზიარება იყო, მაგრამ გაჭირვების დროს ვერცხლის საპაპიროსეც

არ იყო დასაწუნი. ჰა... ერთი, ორი... და იმავე წამს კაცმა ხელი ინავ ჯიბეში იკრა. ჩვენი თითები ერთმანეთს შეეჩეხნენ.... ოხ, ნეტავ მომკლას ვინმემ. კაცს ნაცრის ფერმა გადაკრა, მთელი ტანი აუცახცახდა. საფულე საჩქაროდ ამოიღო და გულის ჯიბეში შეინახა.

შეშინებული აქეთ-იქით თვალებს ჭყეტავდა. მე კი ჩემი ცალი ხელი პატიოსნად ჩემ ჯიბეში მედო და მეორე ხელით ვიღაც დედაკაცის მიერ გასასყიდლად გამოტანილ ნაქსოვს ვათვალიერებდი, თუმცა ცალი თვალი მაინც მისკენ მეჭირა. ვერცხლის საპაპიროსეც ამოიღო და სხვაგან შეინახა. თურმე იმ წყეულს ასანთიც იქ ჰქონოდა, ნელა ამოიღო ასანთი, პაპიროსს მოუკიდა და ასანთის კოლოფი იმ წყეულ ჯიბეში უგემურად ჩააგდო, თითქო ნიშნს მიგებს. მობრძანდი, წაიღეო.... დავრჩი პირღია. ხალხიც შეთხელდა, თითქო გიგო ჯიბგირის ასეთი მარცხით უკმაყოფილოაო.

— კაცო, შენ ის მითხარი, თუ რად გამოიქეცი, ვინ მოგსდევდა.. შენ ისეთებს მეუბნები, რაც მე კაი ხანია ვიცი. შენ ის მითხარი, რატომ გიჭერდნენ? — გააწყვეტინა მიხომ.

— დამაცა, შენც მაგ გამოლენჩებულ ფიდუასავით ჩქარობ, ყური დამიგდე, ხომ რიგზე უნდა მოგიყვე!.. — დავრჩი ამრიგად ხახამშრალი. ვამბობ ჩემ გულში: „ჰეი, გიგო, ეს რალაც ცუდი ნიშანია. უეჭველად დაგნავსა ვიღამაც! თავს უფრთხილდი, თორემ...“ ეხ! რა გაეწყობა. ფიდუას თვალი დაუქნიე. წამო, ბიჭო, ცოტა დავნაყრდეთ. გული გავიმაგროთ-მეთქი. ორი არაყი მე გადავკარ, ორიც იმ მკვდარძაღლს ჩავაცეცხლე. ლოყები შეუწითლდა, წამწამები აუთამაშდა. დავბრუნდით. ხალხი? მოდის და მოდის. „ბიჭო, ფიდუა, გამიგონე, მე ხომ დავნავსდი და ახლა შენი ჯერია, აბა, შენ იცი. როგორც მითქვამს, შვილო, იყავ კუსავით სწრაფი, ხვლიკივით ნელი. ხომ გესმის, რაშია საქმე: როცა სხვები, შვილო, ცეტობენ და ბეტობენ, შენ უნდა მინელდე, გაშრე უდაბნოს ნაკადულივით და როცა სხვები მიიძინებენ და ყურებს ჩამოყრიან.. თუნდაც ერთი წამწამის გახამხამებაში, შენ უნდა ბორბალივით დატრიალდე“.

— დავზვერეთ, დავსუნეთ, აქეთ-იქით, ავაგდეთ ერთი „ხოხობი“. საფულე აქვს? ერთი კი არა, სამი. ესეც უცხოელსა ჰგავს. კარგა აპაღარებული კაცია, ტანში მოხრილი, მოწყენილი, იქნებ ცოლთან ეჩვიანობს! სულ კარგ და ძვირფას ნივთებს ათვალიერებს. უშველებელი ოქროს საათი ამოიღო, დახედა. ჯერ ხომ ადრეა, ის სრულებით არ ჩქარობს. თითზე ალმასის თვლებიანი ოქროს ბე-

ბედი აქვს ჩამოცმული. აბა, ფიდო, შე წყალწასაღებო. ხომ ხედავ, რა ლუკმაა, გაბედე-მეთქი. შემოუტრიალა. ეი, ოხერო, — თვალი დაუქნიე, — ბიჭო, არ აჩქარდე, აცალე, ჯერ მჭიდროდ მოგროვილ ხალხში შევიდეს. ჰა, შევიდა კიდეც, დროა! ვა, ტუტუცო, რას შვრები, ერთი წამია საჭირო, დაყოვნება არ შეიძლება! ვაიმე! ეს ბრიყვი კი სულ უვლის და უვლის ლაჩარი ძაღლივით. ჰა, გიორგა, ოხერი! რას შვრება ეგ ღმერთგამწყრალი? კაცი ძლიერ დაფიქრებულია, ქისები, ალბათ არც კი ახსოვს, იქნებ ლამაზი ცოლი ელანდება, ან მისი ჯეილი საყვარელი. ღმერთო! კაცი ლამის არის გაცალკევდეს... ვაი, გაუხმეს თავი ფიდუას, წახდა საქმე, ძვირფასი წამი მოუბრუნებლად დაკარგა. ახლა მოთმენაა საჭირო, მოცდა მეორე ხელსაყრელ წუთამდე. ეგ ვირისთავი კი, შეხედე, მაინც ეტანება, შეიშალა ეგ მკვდარძაღლი?! კაცო, მინდა თვალი თვალს მოვახვედრო, ვანიშნო: ეი, ოხერო, გაეცალე, მიუშვი! სხვა, ეკეთესი წამი მოვძებნოთ-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ წამს გაუწყრა მას წმინდა თელეთი, და ჩაუყო კიდეც უცნობს ჯიბეში ხელი. — ეი, ეი, ხელი ჯიბეში ჩაგიყვესო, მიაძახა ვილაცამ.

— ვხედავ, გენაცვა, გმადლობო, — სრულებით გულშეუშფოთებლად მიუგო ჭაღარამ და ფიდუას ხელი შიგ ჯიბეშივე დაუჭირა და ისე მაგრად მოუჭირა, ეტყობოდა, რომ ფიდუამ მომაკვდავივით გადმოაბრიალა თვალები. ესეც ცოტაა, გაიქნია ჭაღარამ მეორე ხელი და ფიდუას ყბაზე კარგა ლაზათიანად გაწნა. ნეტავ იქვე მოკვდეს მაგისთანა ოხერი! ფიდუამ კი სხვა რამე ღონის მაგიერ ჩემსკენ გამოაშტერა თვალები და მორთო ღრიალი: ვაიმე, გიგო, მიშველეო.

— აი გაგიწყრეს სურფ სარქისი-მეთქი, — გავიფიქრე და საჩქაროდ ვიბრუნე პირი.

—ჰკა შაგას, არ გაუშვათ, ის არის ბელადი, არიქათ, არ გაუშვათო, — ყვიროდა ვილაცა.

ატყდა ერთი ალიაქოთი. მაგრამ, როგორც ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში, ჩვენდა საბედნიეროდ, პოლიცია იმ წამს იქ არ აღმოჩნდა. მე კი გავხტი ჯერანნივით. არ ვიცი, რამდენი კაცი, ქალი, თუ პურჭელი წავაქციე. გარკვეულად ვერაფერს ვხედავდი, ყურში კი კანტიკუნტად მომვარდებოდა ხოლმე: აი დაგწყევლოს, გიორგა ოხერი... აი, ფეხი, სტაცეთ... არა... არ ესროლო, სხვას მოხვდება, იქით გაიქცა... ვა, ეს რა საშინელებაა.

ასე თუ ისე, ზეინკლების გასავალამდე მივაღწიე. ხომ იცი, აქ თუ მშვიდობით გავიდოდი, სულ სხვა მხარეს ამოვყოფდი თავს და

სანამ ჩემ ვინაობას შეიტყობდნენ, მე უკვე კარგა მანძილზე ვიქნებოდი დაშორებული. საეშმაკოდ დამპალი ვაშლი გდებულიყო ზედვე გასავალთან. ზედ დავახტი, ფეხი ქვაფენილზე გამისრიალდა. თავი ველარ შევიმაგრე და სამჯერ მაინც ზედიზედ გადავტრიალდი; რეზინის ბურთივით იმ წამსვე წამოვხტი.

— გიჟია, რა მიარბენინებს, — იძახდა ვიღაც გულდამშვიდებული.

— არ გაუშვათ, ჯიბგირია, — წიოდა ვიღაც. უკან მოშორებით.

ეს გასავალი გავირბინე და სანოვაგით მოვაკრე ხალხში შევიჭერი. აქ უკვე არ მივრბოდი, ფეხაკრეფით მივდიოდი, ეცდილობდი, ვისმეზე რამე ზიანი არ მიმეყენებინა, თორემ აქ რომ ამშლოდა ხალხი, ჩქარა ჩამბღუჯავდნენ; თახაბ-მაგიდებს შორის უსათუოდ გავიჩხირებოდი.

სანოვაგეთა რიგი გავიარე და უფრო სუფთა ქუჩებში ამოვყავი თავი, თითქოს ყოველგვარი ჩემს საწინააღმდეგო ხმაურობა მიწყდა. ყველა თავის თავზე ზრუნავდა და მე ყურადღებას არავინ მაქცევდა. ცოტა მშვიდად ამოვისუნთქე და ნელა გავიარე. კობტად გამოწყობილი, მოსეირნე ხალხი ქუჩაში მიდი-მოდიოდა. ეს არის გადავრჩი, ვფიქრობდი, მაგრამ ერთხელ მაინც უკან მიხედვა მომინდა. მივიხედე და მთელ ტანში ჟრუანტელმა გამიარა. ქუჩის მეორე მხარეს ასიოდ ნაბიჯის სიშორეზე დაბალ-დაბალი პოლიციელი, ისარივით ჩემკენ მოდიოდა. თოფი მომარჯვებული ჰქონდა. ჩვენი თვალები იმ წამსვე ერთმანეთს შეხვდენ.

— ეგ რომელი, ბიჭო? — დაეკითხა მიხო.

— დაბალ-დაბალი, კაცო, შარშან შენ რომ დაგიჭირა ფეხსაცმელების ძირის ქურდობაში.

— ჰო, ისა, შეჩვენებული, დიდი გამოქნილი ვინმეა.

— ამბობენ, როცა პოლიციის სამსახურში შესვლა დააპირა, არ მიიღეს თურმე. პატარა ხარო, პოლიციელი ზორბა, ახოვანი კაცი უნდა იყოსო, რომ ერთი შეხედვით ავი კაცი შეაშინოსო.

— რა კარგი აზრია! მერე რად მიიღეს ის წყეული?

— მიუღიათ დიდი ხვეწნის და თვალტანადი ქალების დახმარებით. ღმერთი გვწყალობს, რომ პოლიციელების ეროი მესამედიც მაგისთანა არ არის, თორემ გასაქანი აღარ გვექნებოდა. სიმშილით სული ამოგვძვრებოდა.

— აი ის! ვიცი, რომ შემნიშნა, მომსდევს. სიტყვა არ დასძრა, არ დაიყვირა, პირიქით, თავი ისე მომაჩვენა, თითქო არც კი დაუნახავვარ. ვხედავ ცუდად არის საქმე. გავები მახეში. აქ თოფის სროლას

ვერ გაბედავს, მაგრამ ცოტა ზემოთ, თითქმის ცარიელ ქუჩაში, თუ გაქცევა გავაპირე, ადვილად შეიძლება, არც კი დამინდოს. ოხ! სურფ კარაპეტ! ვამბობ გულში, მაგრამ რად გინდა, სული მიმდის, რაღა? მაინც მივდივარ, რაც მოსახდენია, მოხდეს, ფეხს ავეჩქარე. გავიხედე, კაცო, მარჯვნივ, რაღაც ერიამულია. ხალხი მოგროვილ:, „პოლიციელი, პოლიციელი!“ იძახიან. ვა, ეგ რა ამბავია, რას ვხედავ? ორი კოხტად გამოწყობილი ქალი დასჭიდებია ერთი მეორეს. ჩაუვლიათ ერთმანეთისთვის თმაში ხელი და ერთი შენი მოწონებული ცემა-ტყეპა გააქვთ. ხალხი სულ გროვდება და გროვდება მათ ირგვლივ. ზოგი იცინის, ზოგიც ჯავრობს: „სად არის ერთი პოლიციელი, ასეთი საქმის ქუჩაში დაშვება ყოველად შეუძლებელია“. — აი, აგერ პოლიციელი, პოლიციელიო. შემოსძახეს მხიარულად. ოხ! სურფ კარაპეტ, შენ მუხლებს შემოვევლე, ვამბობ გულში და მივდივარ.

სანამ ქუჩის ბოლოდი არ მივედი, მოხედვა ვერ გავბედე. მოვიხედე, არავინა ჩანს. მაშინ კი იცოცხლე, მოვკურცხლე და ერთი თვალის დახამხამებაში დანგრეულ სახლთან გავჩნდი. იქ ხომ მრავალი ხვრელები ვიცით, გავძვერი ერთ-ერთში და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე კლდეზე ამოვდიოდი. ახლა კი ამოვისუნთქე თავისუფლად, მიმოვიხედე, სრული სიჩუმე სუფევდა. ცოტა შეეისვენე, მერე დავტოვე გზა და ხევებში გადავეშვი. მოვკურცხლე, გაგიხარიან, სიფრთხილეს ხომ თავი არა ტკივა. ეგ ოხერი ყურში კი ჯერ კიდევ მიზუზუნებდა: არიქათ, არ გაუშვათ, ჯიბგირია, ჯიბგირიაო! ბოლოს ის იყო, დიდ შარაგზაზე გამოვედი, სული მეხუთებოდა, საშინელი დაღალვა ვიგრძენი. ერთი პიხო მაჩვენა ახლამეთქი, გავიფიქრე, და ვხედავ, შენც იქ არ მოდიხარ? ოხ, ღმერთო, ისეთი კელაპტარი დაგინთო, რომ საყდრის გუმბათამდე უწევდეს.

— კარგი, კაცო, შენ, ვხედავ, გადარჩენილხარ. მაგრამ იმ ფიდუას რაღა მოუვიდა.

— დაიჭერდნენ, აბა რას გაუშვებდნენ.

— ვაითუ გაგვცა ყველა?

— შენ ეს მითხარი და.

— მე მაგას სულ ეჭვის თვალით ვუყურებდი. თავის დღეში მისი იმედი არა მქონდა. ბაზარში იმასთან ფეხს როგორ გადავდგამ. მისი საქმე კიდევ დუქნებშია, მარტოდმარტომ წვრილმანები რამე აწკაპოს. ჯიბის საქმეს და ისიც მსხვილი ჯიბის საქმეს მაგისთანა ჩერჩეტს როგორ მივანდობ. ახლა კი დიდი სიფრთხილეა საჭირო, აქედანაც ჩქარა უნდა წავიდეთ.

— მე კი, მიხო, ქალაქში შესვლას დღეს ვერ გავბედავ.

— რატომ, კაცო, ქალაქი დალოცვილია, ქალაქისთანა დასამალი ქვეყნად არ მოიძებნება.

— არა, ძმაო, ის წუწკი პოლიციელი იქ მიცდის, მგონია. არა, მე ავყვები ისევ ამ გზას. გადვივლი სოფლებისაკენ, იქ ქათმებს და კვერცხებს ვიყიდი, ვაჭარი ვარ, რაღა, და როცა იქიდან ჩამოვალ, თუ მშვიდობა იქნა, ერთი მამაპაპურად გადავკრათ ისეთი, რომ ხუთი ზურნა უკრავდეს ერთად.

— მოიცა, მე დამიჯერე, ქეიფი ჯერ ადრეა, აქეთ წამოდი, ჯერ შევიდეთ ქალაქში, ამბავი გავიგოთ და შემდეგ იმისდაგვარად მოვიქცეთ.

— არა ძმაო, „ამან“, „ამან“, — ჯიუტობდა გიგო. — მეშინია, რაც მართალია, მართალია, ხედავ, ვილაცები მოდიან კიდეც, თავს ვუშველო, სჯობია.

— ეგ ქალები მოდიან, კაცო, ქალაქიდან, მოსეირნე ხალხია.

— ქალებიო? რატომ გადაცმული პოლიციელი არაა? ახლანდელ დროში რამე სანდოა? ერთი მოგიახლოვდეს, მაგ კაბის ქვეშიდან მაუზერი ამოაშანშალოს და ცხვირზე მოგადვას, მერე რას მეუბნები?

— შენც ერთი, ახლა სულ ყველგან პოლიციელი გელანდება, წამო-მეთქი, დამიჯერე, — ამბობდა მიხო.

— არა, — თქვა გიგომ, გაჭრილ კლდისაკენ საჩქაროდ აირბინა. მიხაკო ქალაქის გზას გაუდგა.

III

ქალები ვერხვის ხეს მიუახლოვდნენ. ერთი მათგანი ძლიერ აღელვებული ჩანდა, მეორე კი კმაყოფილი და დამშვიდებული. ორივენი სუფთად იყვნენ ჩაცმულნი. თუმცა ბრინჯის ფხვნილით პირისახე ამათაც შეეთეთრებინათ, მაგრამ ტუჩები კი. ბუნებრივ სიწითლეზე მიეშვათ.

— დამშვიდდი, ბაბალე, აი ამ ხის ძირს ცოტა დავისვენოთ. უჰ! რა კარგი გადასახედავია აქედან! რა სუფთა ჰაერია ამ მაღლობზე! აღელვებული ნერვების დასამშვიდებლად უკეთესი ადგილი წარმოუდგენელია, — ტკბილად უთხრა დამშვიდებულმა აღელვებულს.

— სრულებით დამშვიდებული გახლავარ, ჩემო მარო, სრულებით დამშვიდებული. დამშვიდებული კი არა, ჩემს სიცოცხლეში

ასეთი ბედნიერი წუთები არ გამომივლია. აჰა? ვაცხონე სწორედ ჩემი დედ-მამის სული, — კბილების კრაჭუნით და მუშტის მოღერებით მიუგო აღელვებულმა.

მაროს გაეცინა.

— კარგი, ქალო, დამშვიდდი. მე აქეთკენ განგებ წამოგიყვანე, რომ ქალაქის ფილტვების მომშხამველი მტვერისა და გულის დამამძიმებელი ერთიმეორეზე ამართულ ახლახნილი სახლებისათვის რამდენიმე წუთით მაინც მომეშორებინე. გულისმოხვლის დროს გაშლილი ადგილი და სუფთა ჰაერი საუკეთესო დოსტაქარია.

— ვაცხონე მამაჩემის სული. რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი, — გაიძახოდა მაინც ბაბალე. ვერხვის ხის გამოჩხირული ფესვი აათვალიერ-ჩამოათვალიერა, ერთიც ხელი გაუსვ-გამოუსვა, ბარეღამ არ მოეწონა, მაგრამ. მაინც ფრთხილად ჩამოჯდა.

მარომ კი კლდეს მიატანა.

ორივენი შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. მარო საკმაოდ გამხდარი და სუსტი აგებულობისა. თუმცა მას ამჟამად კმაყოფილების ელფერი გადასცემდა სახეზე, მაგრამ მისი თვალების სიღრმეში მაინც რაღაც სევდიანობა იხატებოდა; თითქო ვისმე რაღაცას ეხვეწებაო. ასეთი გამომეტყველება იშვიათი არაა იმ ქალების თვალებში, რომელთაც თავის დროზე, ე. ი. ახალგაზრდობისას გათხოვება არ ღირსებიათ. მაროც სწორედ ოცდაათ წელს გადასული იყო და ჯერ გაუთხოვარი.

ბაბალე კი ჯანმრთელი აგებულების ქალი იყო, არც ძლიერ ჩასუქებული, მაგრამ გამხდარიც არ დაერქმეოდა. თუმცა ამჟამად აღელვებული იყო, მაგრამ მისი თვალები სევდიანად არ ჭვრეტდნენ, არავისაგან არაფერს ითხოვდნენ, ელავდნენ, ცეცხლს აფრქვევდნენ, საომარ გუნებაზე იყვნენ.

ბაბალემ თავი ძირს დახარა. დაფიქრებული, ფეხსაცმლის წვერით მტვერს ხაზავდა, მარო კი — დაკვირვებით მას შეყურებდა. ერთ ხანს ისე იყვნენ. ბოლოს ბაბალემ თავი მაღლა ასწია, მათი თვალები ერთმანეთს მოხვდენ და ორივეს სიცილი წასკდათ.

— რა გაცინებს, ქალო? — დაეკითხა ბაბალე მაროს.

— შენ რა გაცინებს? — დაეკითხა მაროც. — ხუმრობა იქით იყოს და რა ჰქენი, ქალო, — გააგრძელა მარომ, — ახ! ჯერაც ხიზმარში ვარ მგონია.

— არა, სიზმარი სრულებით არ გახლავთ. ყველაფერი ჩავიდინე,

დღისა სიცხადით გულდაჩაგრულმა. — მშრალად მიუგო ბაბალემ.

— მაინც, ქალო, რა საშინელება ვინმე ყოფილხარ? ან რატომ მოეწყო ისე, რომ უსათუოდ მე შევხვდი იქა? რაც გინდა იყოს, ინტელიგენტი ადამიანისათვის ეს მეტისმეტია!

— რაო? მეტისმეტიო? მე კი ცოტაა მგონია. გოგირდის სიმჟავე ხელში მქონოდა, აღარ დავზოგავდი და ორივეს ალაზმასავით ვასხურებდი პირსახეზე. წარმომიდგენია, თუ როგორ დააშვენებდა ლამაზად შეღებილ ტუჩებს.

— ჰა, ჰა, ბაბო, ასე შორს ნუ მიდიხარ, დაწყნარდი.

— დაწყნარებული ვარ, გენაცვა, დაწყნარებული. მაგას კი ვუჩვენებდი ინტელიგენტობას. ინტელიგენტობა აქ რა შუაშია, როცა გარყვნილებასთან გვაქვს საქმე... აქ მეტოქეობაა, აქ ბრძოლაა გაჩაღებული. ბრძოლის დროს ხომ იარაღია საჭირო. ადამიანს კი ბრძოლის დროს ყოველგვარი იარაღი დასაშვებად მიაჩნია. მეც ვიბრძვი, ვიცავ ჩემ პატივს და ღირსებას... ვითომ რაო, თქვი, თუ ღმერთი გწამს, მე, როგორც ქალს, რით მჯობნია ის პირთხუპნია, თვალად, ტანად, ჭკუით, დიასახლისობით?

— არა, ბაბო, საქმე ამაში არაა. ვთქვათ შენ სრულებით მართალი ხარ. მე ორივეს გიცნობთ, ის შენ არაფრით გჯობია. ისიც მართალია, რომ შენ შენი პატივი უნდა დაიცვა, მაგრამ პატივ-ღირსების დაცვის სახე, როგორც დღეს შენ გვაჩვენე, მე, ჩემ თავად, უხეშად, მიუღებლად მიმაჩნია. ეს, ბაბო, დამიჯერე, უკიდურესობაა, — ტკბილად დაუმატა მარომ.

— შეიძლება უკიდურესობა იყოს, მაგრამ მე სხვანაირად არ შემეძლო მოქცევა. ერთობ ბევრი ნაღველი დამიგროვდა გულში, ჩემო მარო! ეს გუშინდელი საქმე როდია? კარგა ხანია, მე რომ მას ეს ოინები შევატყვე, მაგრამ ის რომ სულ უარზე იდგა, ჭორებია, ტყუილებიაო—მარწმუნებდა. დღეს კი, იცოცხლე, ორივენი ერთად დავიჭირე. ხელიხელ გაყრილები არხეინად მიბრძანდებოდნენ. ჩემ არსებობაზე არც კი ფიქრობდნენ, მით უფრო, ჩემი იქ შეხვედრაზე ეჭვიც არა ჰქონდათ. ეტყობა მათ არა ცოდნიათ ჩემი, საკუთარი, საიდუმლო პოლიციის არსებობა და მისი ჩემ სასარგებლოდ მოქმედება. მართალია, ბევრჯერ გამისხლტნენ ხელიდან, მაგრამ დღეს კი დავიჭირე, მოულოდნელად გზა გადავუღობე. „ესეც ჭორია-მეთქი“. მკვახედ მივახალე ჩემ ვაჟბატონს. სანთელივით გაყვითლდა, მაგრამ საჩქაროდ ისევ გონზე მოვიდა, თავი

მაღლა ასწია, თავის მზითუნახავისთვის ხელი არ გაუშვია, ისე მკვახედვე მომაძახა: მერე რა გინდაო?

აქ კი, დამეთანხმები, ყოველგვარი მოთმინების ძაფი გაწყდა ჩემში. მე უკვე ჩემ თავს აღარ ვეკუთვნოდი. არ ვიცოდი რა მექნა, ვის ვცემოდი. ასმა სხვადასხვა, ერთიმეორეზე მოწინააღმდეგე აზრმა ელექტრონის სისწრაფით გამირბინა თავში: თვალში ჩავაფურთხო და გავშორდე? მე შენ გეტყვი და ჯავრით მოკვდებიან; ჩემ ხარჯზე ერთი ორჯერ გადიხარხარებენ და მორჩა. შენ კი, მიწასთან გასწორებულმა, თავი ქვას ახალე. პოლიციას დავეძაბ? ეს სულ თავის აგდება იქნება, უბრალო და თუგინდ უფროსი პოლიციელიც იყოს, რას გიშველის, დიდი-დიდი, რამე სულელური ოქმი შეაყენოს. სწორედ ავშენებულვართ! ხალხს მივმართო და მათზე მიუთითო? თავს გაიმასხარავებ: ზოგი გიჟად ჩაგაგდებს, ზოგი გაიცინებს, თითო-ოროლა თავს უკმაყოფილოდ დაიქნევს. „ვაი, საწყალო“, ჩაიბუტბუტებს და შენ მართლა საწყალი და გული ბოლმით აღსავსე, შენ გზაზე წაჩანჩალაკდები. „არა, შური უნდა იძიო იმით, რომ შენი მეტოქე და მოღალატე ორივე შეაწუხო, ახლავე, ამ წამსვე, ცუდ გუნებაზე დააყენო“, — ჩამძახოდა ვილაცა ყურში. მეც აი ეს მინდა-მეთქი, — მივუგე და დაუყოვნებლივ ვსწვდი ტუჩებშეღებილის, სირაქლემის ფრთით მორთულ ქუდს და წონისებურად კოხტად დაწნულს, ზოგი თავისი და უფრო მეტ სხვის თმებს! გაგიხარიან, რომ საკმაოდ ავაფორიაქე იქაურობა. გაუწყრათ ღმერთი, არ დამაცადეს, ქვეყანა დამესია...

— აი, ბაბო, — წამოიძახა მარომ, — რა იყო, რა სეირი იყო! ხა, ხა, ხა, ხა... მაინც ეს ქუჩა რა გადარეულია. „ბიჭოს, რას ვხედავ, დედაკაცი დედაკაცს დასჭიდებია? ჰა, ალბათ, ქმრის საყვარელი იქნება“, — იძახდა ერთი. „ვა, ქალების ჩხუბი და ისიც ქუჩაში? ღმერთმა სასიკეთოდ ჩაატაროს“, — ოხუნჯობდა მეორე, „პა, პა, პა, რა სეირია, მამა ნუ წამიწყდება, ციხეში უკეთეს სანახაობას ვერ ეღირსები და მერე სრულებით მუქთად“, — ამბობდა მესამე. ბავშვები სიხარულისაგან ხტოდნენ. მე ძლიერ თავს ვარიდებ ხოლმე ქუჩის აყალმაყალს. მინდოდა გზა ამეხვია, მაგრამ ჩემ ირგვლივ ნათქვამ-გაგონილმა იმდენად ცნობისმოყვარეობა ალმიძრა, რომ შეჯგუფებულ ხალხს მეც მივუახლოვდი. ღმერთო ჩემო, რას ვხედავ! თურმე ეს ცირკის მეტოქე ხალხის გართობაში ყოფილხარ შენ, ხა, ხა, ხა, ჩემ თვალს არ ვუჯერებდი. მე მაშინ მივედი სწოტედ, როცა პოლიციელი მოვიდა და შუაში ჩაგიდგათ.

— ეს ასე! — ნიშნის მოგებით თქვა ბაბალემ. — მა რა გეგონა?

ვაცხონე მამაჩემი! ასეთი ბედნიერი ჯერ არ ვყოფილვარ, ამ ზომამდე გამარჯვებას არ მოველოდი!

— ქალო, ეს გამარჯვებად მიგაჩნია?

— მა რა გგონია. შენს მეტოქეს როცა აშკარად ბრძოლას გამოუცხადებ და ამ ბრძოლას შედეგად მოყვება მისი დამცირება, მისი შეწუხება, მისი გულის მოკვლა, აი ამას ჰქვია გამარჯვება. ეს არის ბრძოლის აზრი ყოველთვის, სულ ერთია, ორი კაცი იბრძვის, თუ ორი სახელმწიფო.

— მე მაინც ჩემსას ვიტყვი, ბაბო, ამ ზომამდე დავიდარაბის ქუჩაში გამოტანა ზედმეტად მიმაჩნია. მე მგონია, რომ აქ ორივე მხარეა დამცირებული და, მაშასადამე, საეჭვოა, თუ საითკენაა გამარჯვება გადახრილი. მე ჩემ თავად ამას არ ჩავიდენდი, მგონია, ხხუბს აშკარად არ ავტეხდი, იმიტომ, რომ ჩემი ქმარი ვიღაც ქალს ეარშიყება.

— შენ ახლა ამბობ ამას, თორემ, იყო გათხოვილი და დაინახო შენი ქმარი სხვასთან, მაშინ მინდა გნახო, თუ რა ამბავს მომიყვები, — ფიცხლად გააწყვეტინა ბაბალემ.

— მოითმინე, ნუ ცხარობ. მიზეზიც არის და მიზეზიც. ქუჩაში ერთად სიარულიდან...

— ხელიხელ გაყრილად, — შესწორება შეიტანა ბაბალემ.

— კარგი, ქუჩაში ერთად სიარული, თუგინდ ხელიხელ გაყრილი, კიდევ არ ნიშნავს სრულ ღალატს, მამაკაცის სხეულში არშიყობა, ასე ვთქვათ, ბუნებით ჩანერგილია და ასეთი წვრილმანების ამ ზომამდე გაღვივება, ვიმეორებ, მეტი მგონია, — დინჯად ამბობდა მარო.

— რას ამბობ, ქალო, წვრილმანს ხომ ყოველთვის მსხვილმანი მოყვება. — აპილპილდა ისევ ბაბალე. — ან რას მიქვიან სიყვარულის საქმეში მსხვილმანი და წვრილმანი. მე ამ მხრივ ვერ დაგეთანხმები. მე მინდა სიყვარულის სრული ტაბლა და არა ნასუფრალი. ან ყველაფერი, ან არაფერი. რაკი საქმე ამ ზომამდე მივიდა, ახლა მშვიდობით, ჩვენ შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია.

— მგონია, როგორც ვატყობ, ისიც ძლიერ არ დაგემდუროს, თუ ასეთ სიკეთეს უზამ.

— წავიდეს, მომშორდეს, ისიც მეზიზღება და ყველა მამაკაცი, ყველანი საძაგლები არიან, — ცხარობდა ბაბალე.

— რატომ ყველანი. მამაკაცებშიაც ურევია რიგიანები, ეპვი არაა, როგორც დედაკაცებშიც ურიგოები.

— წავიდეს, მომშორდეს, თავი ქვას ახალოს, — ბრაზობდა ბაბა-

ლე. — მე ჩემი თავის რჩენას ჩემი ხელითვე შევძლებ. შორს, შორს. ყველა მამაკაცი.

— ასედაც ნუ ფიცხობ, — მშვიდად მიუგო მარომ. — მაინცდამაინც სასტიკ განაჩენს ნუ გამოიტან. იქონიე მხედველობაში, რომ მამაკაცი მრავალცოლობის მოტრფიალე ცხოველია. სადღაც წამიკითხავს, მამაკაცი ორანგუტანის ბიძაშვილიაო.

— კაი საპატიო სახელია, ჩემმა მზემ, — მწარე ღიმილით მიუგო ბაბალემ, — ორანგუტანის ბიძაშვილი? ეს რომელ ხარისხს უღრის, კაბერ იუნკრობას, თუ სტატსკი სოვეტნიკობას?

— ორივეს ჯობია, მგონია, — სიცილით თქვა მარომ.

— სრულებით მართალი ხარ. ორივეს ჯობია. ჩინებული შედარებაა, — დინჯად გააგრძელა ბაბალემ. — ორანგუტანი ხომ ერთერთი ადამიანის მაგვარი მაიმუნია, ძლიერი, ჯან-ღონით სავსე. მას, ასე ვთქვათ, თავის ცხოვრებაში განხორციელებული აქვს ერთგვარი ანარქიზმი. ოჯახი არა სწამს, ცხოვრობს მარტოდმარტო. როცა სურვილი აეძრება, წავა, მოსძებნის დედალს, სურვილს დაიკმაყოფილებს და შემდეგ მშვიდობით. შედეგებზე ის სრულებით არ ფიქრობს. მისი დედალთან დაახლოებამ თუ ნაყოფი გამოიღო, ამაზე მამალი ორანგი ნაკლებ ზრუნავს, ამაზე ზრუნვა დედალი ორანგის საქმეა. თვითონ კი, მამალი ახალი ბედნიერი შემთხვევის მოლოდინში თავის ბუნაგს მიაშერებს და მორჩა.

— სწორია. აკი ამას შენვე ამბობ? მაშ რისთვის ჯავრობ? ამით შენ ქმარს შენვე აცლი ბრალდებას, სანახევროდ მაინც.

ბაბალე დაფიქრდა. თავი ძირს დახარა, მისი პირისახე თანდათან მწუხრდებოდა.

— ამ შედარებით, — გააგრძელა მარომ, — თუ მამაკაცი მამალი ორანგის მსგავსია, დედაკაცმა დედალი ორანგის როლი უნდა იკისროს და როცა დუხჭირ ცხოვრების სინამდვილეს დაკვირდები, არა ერთსა და ორს მსგავს მაგალითს შეამჩნევ ადამიანის ცხოვრებაში. რამდენია დედაკაცი, წვრილი შვილების პატრონი, ქმრის მიერ თავმინებებული, ზოგი ქმარი მართლაც მარტო დასაძინებლად მოდის შინ, სხვა დროს სმა-თამაშში და სხვა გართობაში ატარებს. მოდი და ამ შემთხვევაში ორანგის ბიძაშვილობაზე ნუ დაიწყებ მსჯელობას. საკითხი რთულია, ძნელი გადასაწყვეტია, ძნელად მოსაწესრიგებელი და თუ გნებავთ მოუწესრიგებელი, სანამ ძირითადად არ აღმოიფხვრება, არ გარდიქმნება, ორანგის ბიძაშვილის სულიერი მიდრეკილება. ამას კი ვერ გარდაქმნის ვერავითარი კანონმდებლობა, ვერავითარი პარლამენტის განაჩენი და

მკვლევრმეტყველთა ბრტყელი სიტყვები, საჭიროა თვით ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ერთეულის ხასიათის გადატეხა. ეს კი მოხდება? ან როდის? ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ როგორც ყველაფერი ბუნებაში, მამაკაც-დედაკაცის ურთიერთდამოკიდებულებაც ეითარდება და შეუმჩნევლად ახალ სახეს იღებს. შენ ამას წინაც წამოიძახე, წავიდეს, მომშორდეს, ჩემი თავის რჩენას მე თვითონ შევძლებო. დამეთანხმები, რომ ამ სამოციოდ წლის წინათ იშვიათად თუ შეიძლებოდა ამისი მთქმელი ქალი, ახლა კი შენთან ერთად ამას არა ერთი და ორი გაიმეორებს. გავა კიდეე სამოცი წელიწადი და ალბათ ახალი, ჩვენი დროისთვის ვითომდა შეუძლებელი, სურათი გადაგვეშლება თვალწინ.

— და მამაკაცის ბუნებაშიც გარდატეხა მოხდება? — ჩუმად შენიშნა ბაბალემ.

— შეიძლება.

— საუკეთესოდ?

— ესე იგი...

— ორანგის ბიძაშვილობაზე ხელს აიღებს?

— ვინ იცის, იქნებ პირიქით, მის ძმადაც ჩაეწეროს.

ბაბალემ გაიცინა, თავი მაღლა აიღო, წელში გასწორდა და ანთებული თვალებით იქით-აქეთ მიიხედა.

— არა, ჩემო მარო, — მტკიცედ თქვა მან. — მე ახლა ოცდათხუთმეტი წლისა ვარ, დანამდვილებით ვიცი, რომ სამოც წელიწადს კიდევ ვერ ვიცოცხლებ, და რომ ვიცოცხლო და ორანგის ბიძაშვილის სასიკეთოდ გარდაქმნას მოვესწრო, ამ გარდაქმნის ტკბილი ნაყოფის შედეგებით ვერ გავიხარებ. მე ვცხოვრობ დღეს და დღეს ვდგავარ ცხადი სინამდვილის წინაშე. მას ვუყურებ თვალებში და დროის და ადგილისდაგვარად მას ვუსწორებ ანგარიშს. მე ამ წუთში ბედნიერი ვარ.

— ნეტავი შენ, რომ ასეთი ბეჯითი და გულმაგარი ხარ, ბაბალე, — უთხრა მარომ, — მე კი, გამოგიტყდები, სუსტი ვარ. ასეთი ნაბიჯის გადადგმას ვერ გავბედავ. ამიტომაც გეუბნები: ქმარი რომ მყავდეს და შენს მდგომარეობაში ჩავვარდე, მოთმენას ვაჯობინებდი, ვიდრე ასე აშკარა ბრძოლას. სულ სხვაა, გენაცვალე, მსჯელობა, თეორია და სულ სხვაა პრაქტიკა, მოქმედება.

სიომ დაბერა, ვერხვის ხე შეარყია, ფოთლები ააშრიალა და მრავალი ყვითელი ფოთოლი მოსაუბრე ქალებს ზედ გადააყარა.

ზემოდან რაღაც ჩოჩქოლი და ხმაურობა ისმოდა. თითქო რამდენ-ჯერმე თოფის ხმაც გაისმა.

— ბაბალე, შენი ჭირიმე, წავიდეთ აქედან, — თქვა მარომ.

— მოიცა, ქალო, რა გაჩქარებს.

— თოფის ხმა ისმის.

— მერე ჩვენ რა!

— ვინ იცის, რა ამბავია, ათასი თავზეხელაღებული ვინმე დაიარება, — შიშობდა მარო.

— ძლიერ კარგი, ჩვენც ავიღოთ ხელი თავზე.

— შენ დღეს ბრძოლის გუნებაზე ხარ.

— ბრძოლა გადავიხადე და მოვიგე კიდეც. ბედნიერი ვარ, ბედნიერი, — თქვა ბაბალემ და ზეზე წამოდგა.

IV

ქალების წასვლის შემდეგ ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ვერხვის ხეს და კლდეს ახალი სტუმრები მოადგნენ. ზემო გზიდან ორი კაცი ჩამოვიდა. ერთ მათგანს გვერდზე უშველებელი დამბაჩა ეკიდა და ზურგზე თოფიც ჰქონდა გადაკიდებული. ტანისამოსის მიხედვით, მისი გამოცნობა ძნელი არ იყო, ეს გახლდათ ქალაქის პოლიციელი. ხოლო მეორე, იმავ ტანჩაცმულობის მიხედვით სამოქალაქო, წვრილი მოხელე უნდა ყოფილიყო.

პოლიციელი ვერხვის ხესთან შეჩერდა, თოფი ზურგიდან მოახსნა.

— მოიცა, აქ ცოტა დავისვენოთ, — თქვა მან და პირდაპირ მიწაზე გაგორდა.

— მოვისვენოთ, წინააღმდეგი არა ვარ, — მიუგო მეორემ და ვერხვის ფესვს მიატანა.

— ახ, რა დაღლილი ვარ, — ამბობდა პოლიციელი, პირაღმა დაწვა და მთელ სიგრძეზე გაიჭიმა. — ამდენმა შრომამ რომ ასე სასაცილოდ ჩაგიაროს, განა ღვთის რისხვა არ არის?

— შენ რას სწუხარ, კაცო, ჯიბგირი ხომ დაიჭირეს. ისე მაგრა შებოჭილი მიჰყავდათ, რომ კბილებს აკრაჭუნებდა. შენ რა გაფიქრებს, მას ახლა ასე ადვილად აღარ გამოუშვებენ, მით უფრო, რომ ხშირად ყოფილა შენიშნული მაგგვარ საქმეში.

— ერთი შენც ლაპარაკობ, — რაღაც უკმაყოფილოდ მიუგო პოლიციელმა. — ვთქვათ, შენ სანადიროდ წახვედი, კურდღელს მია-

კვლიე. ბუჩქიდან გამოაგდე და აი, ეს არის ხელთ უნდა იგდო, ამ დროს თოფმა გიმტყუნოს და სხვამ უცაბედად შეხვედრილმა მოარტყას, სწორედ ასე დამემართა. თვალს ქვეყანაში ვერ გავახელ სირცხვილით.

— მე, ჩემო ძმაო, ნადირობის კანონების არა ვიცი რა. არც შველ-კურდღლებზე და მით უფრო ქურდ-ბაცაცებზე თავის დღეში არ მინადირნია. ჩემი საქმეა საქმის ქაღალდები დავწერო: „გიგზავნით რა ამასთანავე, ან გაახლებთ ამა და ამ მიწერ-მოწერას. წინადადებას გაძლევთ, ან გთხოვთ (იმისდა მიხედვით, თუ ვის ეგზავნება; უფროსს თუ უმცროსს დაწესებულებას), სათანადო განკარგულებას“, ბეჭედს დავაკრავ, განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე ხელს მოაწერს და ქაღალდი შემოსავალ-გასავლის მაგიდას გადაეცემა, ეს არის და ეს ჩემი საქმე, მაგრამ მე მაინც მინდა ვიცოდე, თუ როგორ იყო თქვენი საქმე! ამბობ, კვალ-დაკვალ მივსდევდით, სხვამ დაიჭირაო, კარგად ვერ გავიგე.

— გამიგონე, კაცო! შენ, ეტყობა, კანცელარიის ქაღალდების გარდა არაფერი გინდა წარმოიდგინო. ახლა გაიგე, რომ არსებობს მთელი ჯგუფი ხალხისა, რომელსაც ხელობად გაუხდა ქურდობა, ჯიბგირობა, რამე ნივთის მოტაცება და სხვა ამგვარები. მათი აღმოფხვრა, რანაირი გინდა წესრიგი შემოიღო, შეუძლებელი ყოფილა. ამგვარ ხალხს ძალაუნებურად ვეცნობებით ჩვენ, პოლიციელები. ბევრი მათგანი არხეინად დასეირნობს ქუჩაში, იცი, რაც შვილი ბრძანდება, მაგრამ უმიზეზოდ ხელს ვერ მოკიდებ. რომ ხელი სტაცო, ზედვე დანაშაულზე უნდა დაიჭირო. თუ ქურდობაზე მიასწარი, მაშინ კი, იცოდე, ერთი-ორსაც წაუთაქებ, სულ უიმისოდაც არ შეიძლება, და თუ გაქცევა დააპირა და საქმეც ასეა, რომ ატყობ, სულ ხელიდან წაგივა, ესვრი კიდეცა.

და აი, ერთი ამისთანა დახელოვნებული ჯიბგირი დღეს გაება ბადეში. ჯერ დანამდვილებით არ ვიცი, თუ როგორ იყო საქმე, მაგრამ, როგორც სახელდახელოდა გავიგე, მთავარი ჯიბგირი კი არ დაუჭერიათ ქურდობაში, არამედ მისი ამხანაგი, ასე ვთქვათ, მისი შაგირდი, რომლის შორიახლო, უეჭველია, ისიც იდგა და ხელმძღვანელობას უწევდა. ნამდვილი ქურდი — ჯიბგირი დაუჭერიათ, გაიგე? და ხელმძღვანელი კი გაქცეულა, და სწორედ, როცა ატყდა ერთი აურზაური, სტვენა, კიჟინა, მე ბაყლების რიგში ვიდექი და თვალი შევასწარი, რომ მირბოდა. მე მას ვიცნობ, ძლიერ დახელოვნებული ჯიბგირია, ძლიერ მოხერხებულად ზეინკლების რიგისაგან გზას იკვლევდა. მე ნელ-ნელა ავედევნე. ახალგაზრდებმა და

გამოუცდელმა ამხანაგებმა ასტეხეს ერთი განგაში: „არიქათ, არ გაუშვათ, არიქათ, დაიჭირეთ“ და სხვა ამგვარი, სრულებით გამოუსადეგარი და უმიზნო ფართიფურთი.

ქურდ-ჯიბგირის გაქცევას არაფერი ისე არ უწყობს ხელს, როგორც ეს ყიჟინა და ჩოჩქოლი. ამის გამო ხალხი გროვდება. ცნობისმოყვარე კაცი თუ ქალი მორბის ყოველ მხრივ და ჯიბგირიც შიგ ითქვიფება და სამშვიდობოს ადვილად აღწევს.

მე აუჩქარებლად ავედევნე. ნავთის საწყობის ბოლოს მას მაინც მოვკარი თვალი. ჯიბგირმა ზეინკლების გასავლისაკენ ქნა პირი და ჩინებულადაც მოისაზრა. იქიდან გამოსული უკვე სხვა ქვეყანაშია. თუ ვინმემ მაშინათვე ხელი არ დასტაცა და რამდენიმე წამი მოიგო, ისეთ ადგილას ჩავარდება, რომ მერე მისი პოვნა ერთობ ძნელი საქმეა. მაგრამ იმან თუ ერთი ხვრელი იცოდა, მე მეორე ვიცოდი და მართლაც ორივენი, თითქმის ერთ და იმავე დროს გამოვედით ფართო და სუფთად ჩაცმულ მოსეირნე ხალხით სავსე ქუჩაში. თვალი შეეასწარი. ის ახლა დინჯად მიდიოდა, თითქო რწყილიც არ აფრენიაო. გამოიხედა. მის გამოცდილ თვალებს, რასაკვირველია, მე შეუმჩნევლად ვერ დავურჩი. ცოტად შექანდა. ცუდ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. თუ მას ფეხები ჰქონდა, მეც მქონდა; გაიქცეოდა, გამოვედევნებოდი, სულ დიდი-დიდი სამოციოდ მეტრი მანძილი გვაშორებდა ერთიმეორესა, ის ქუჩის გაღმა იყო, მე გამოღმა, რაც მე, მდევნელს, დიდ უპირატესობას მაძლევდა, რადგან თვალყურის დევნებას მიადვილებდა. შესახვევი ქუჩა ჩემ მხრივ უფრო ახლო იყო, ვიდრე მის მხრივ და იქითკენ გაქცევას თუ დააპირებდა, ქუჩა განზე უნდა გადაეკრა, რაც ჩვენ კიდევ დაგვაახლოვებდა, მის მხრივ შესახვევი ქუჩა შორს იყო და, ჩემი ანგარიშით, სანამ ის იქამდე მიაღწევდა, მე მას სადამბაჩო მანძილზე მაინც მივუახლოვდებოდი. ერთი სიტყვით, მეც და ისიც ერთგვარ ცოცხალ ჭადრაკს ვთამაშობდით რაღა. ჩემის აზრით, მას გასაქანი უკვე აღარა ჰქონდა, ხუთი წუთი კიდევ და ის უთუოდ ჩემ ხელში იქნებოდა. აი, მივუახლოვდით კიდეც შესახვევ ქუჩას. გული ვერ ითმენდა, აქ მინდოდა ქუჩა გადამეკრა და ჯიბგირს პირდაპირ უკან დავდევნებოდი. ქუჩის განზე გადაკრა დავაპირე კიდეც და ამ დროს მესმის ერთი ყვირილი: „პოლიციელი, პოლიციელი, აი, აგერ პოლიციელი“. „რაშია საქმე, რა ამბავია?“ ვკითხულობ. ვხედავ ხალხი მოგროვდა. „აბა აქ მოდი, კაცო, რა საშინელებაა, ქუჩაში ასეთი საქმე დაუშვებელია. ამ ჩვენ უბანში სულ ასეა,“ — საყვედურობს ხალხი.

— რა მომხდარა?

— რა უნდა მომხდარიყო. მე შენ გეტყვი და ზეციდან ალმასები გადმოცვივდებოდა. ვიღაც ქალს თავისი ქმარი უნახავს მეორე ქალთან მოსეირნე, ეჭვი აუღია და თავის მეტოქეზე პირდაპირ იერიში ნიუტანია. გამართულა ქალების ცემა-ტყეპა შუა ქუჩაში. გული ამემღვრა, ერთი კარგა შევუკურთხე ჩემ გულში მოჩხუბრებსაც და მაყურებლებსაც. სხვა გზა არ იყო, უნდა შევჩერებულ-ვიყავი. ერთი მაინც მივიხედე ჯიბგირისკენ. ის მშვიდობიანად აგრძელებდა თავის გზას, ალბათ, ძლიერ გახარებული. თითქო ეს ქუჩის ერიამული არც კი შეუმჩნევია, აქით-იქეთ არც კი იხედებოდა. „მაინც სად წამიხვალ, ირმის რქის წვერზე რომ აცოცდე, იქ მიგაგნებ-მეთქი, ჩავილაპარაკე და მივედი მოჩხუბრებთან საშინლად გაჯავრებული. გავაშველე. უსაქმო, სეირის მაყურებელი ხალხი პივრეკ-მოვრეკე. ბრბოს მაინც გააქვს ერთი განგაში. ზოგს მე ვგონივარ კანონმდებელიც, აღმასრულებელიც, მდივანიც და ჯალათიც. ვინ რა რჩევას მაძლევს, ვინ რა წინადადებას. იქვიანი ცოლი საქმიდან ლანძღვა-გინებაზე გადავიდა. ათასი არამკითხე საქმეში ერევა. მე ყველას ჩემ გულში ჯანდაბისკენ ვაგზავნი. რას იზამ, სრული ნახევარი საათი გავიდა, სანამ მე განვთავისუფლდებოდი. ამდენ ხანს რომელი ჯიბგირი დაგიცდის ერთ ალაგას. ვიფიქრე საითკენ უნდა წასულიყო? ალბათ სადმე ქალაქგარეთ გავიდოდა. ქალაქის შიგნით ის დღეს შემოსვლას ვერ გაბედავდა, რადგან იცოდა, რომ მრავალი თვალი დარაჯობდა.

წავედი, უფროსს შევატყობინე. ორი კიდევ სხვა ამხანაგი გამომაყოლეს. მოვიაზრეთ, როგორ გვემოქმედნა და სხვადასხვა გზით გავიფანტენით. მე ჩემ მხრივ ბევრი ვეძებე მთელი არემარე, მახლობელ სოფლებამდე გადმოვატრიალე ყოველი კუნჭული, კვალს ვერ მივაგენი, თითქო გაქრა, მიწამ ჩაყლაპა. დავბრუნდი უკან. ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ფეხები მეკეცებოდა. ჯვარედინა გზატკეცილამდე მივაღწიე და იქ ქვაზე ჩამოვჯექი. ქვა გაშლილ ბუმბულად მომეჩვენა. ნელ-ნელა ზურგით კლდეს მივესვენე, თოფი კი ფეხებ შუა ჩავიდევი და ორივე ხელით გულში ჩავიხუტე. ოხ, ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებასა ვგრძნობდი. თურმე მაშინათვე ჩამძინებოდა. რაღაც გაუგებარ სიზმრებში გავები. გამომეღვიძა. დიდი-დიდი ნახევარი საათი მძინებია. შევხედე, დიდება შენდა ღმერთო! აი, ჩემი ჯიბგირთუხუცესი თვალწინ კი არ მიდგას, ორმოციოდ ნაბიჯის მანძილზე, — შუა გზატკეცილზე. თვალებზე ხელი მოვისვი. სიზმრად ხომ არა ვარ-მეთქი. იმანაც შე-

მამჩნია, ერთიც ტანში გააზმორა, მაგრამ, ჰაი გიდი! საჩქაროდ ახტა და მოკურცხლა, პირდაპირ გზატკეცილით, ალბათ, მახლობელ ტყით დაბურულ ხევისკენ. იცოცხლე, იმ წამსვე მეც წამოვხტი და ავედევნე. ჩემი დაღლილობა ერთი დაკვრით სადღაც გაქრა. თოფი მოვიმარჯვე. „გაჩერდი, შე წუწკო, თორემ აქვე დაგაწვენ-მეთქი". არ შეჩერდა. „კარგი, მაშ ასე-მეთქი" და გამოვწიე ჩახმახს, სხვა გზა არ იყო. ხუმრობა საქმე გგონია? ჩვენი მთელი დღის ჭადრაკობიას, ასე თუ ისე, ბოლო უნდა მოღებოდა. „წკაპ",— მოადინა რკინამ და სხვა არაფერი, თოფმა მიმტყუნა. საჩქაროდ ვიშიშვლე დამბაჩა და სამჯერ ზედიზედ დავახალე, მაგრამ ის უკვე შორს იყო, თავგანწირვით მირბოდა. ერთი წუთი თუ დასცლოდა, ტყეში თავს შეაფარებდა და იქ ისეთი ჯურღმულებისკენ გადავარდებოდა, რომ მისი პოვნის იმედი ძლიერ მცირე რჩებოდა. მე კი ანგარიშმიუცემლად ვყვიროდი: „არიქათ, ქურდია, ჯიბგირია, არ გაუშვათ, დაიჭირეთ-მეთქი". და მართლაც რა გგონია, იქვე ოთხი შეიარაღებული ხალხით ავტომობილი გამოჩნდა. ერთ წამს მოიაზრეს, თუ რაში იყო საქმე, რამდენჯერმე თოფი შესაშინებლად დაახალეს და იქვე ცოცხლად დაიჭირეს. გავიხედე და ორი ჩემი ამხანაგიც გამოჩნდა. არაკად რომ იტყვიან: ურემი რომ გადაბრუნდება. გზა მას უკან გამოჩნდებაო, სწორედ ისე მოვიდა.

მე, მართალი გითხრა, ამ უიღბლობამ ისე გული დამწვა, ისე შემრცხვა, რომ მათ თან არ გავყევი ქალაქში. მხოლოდ ის ორი ჩემი ამხანაგი გავაყოლე.

— ეხ, კაცო, გაიგონე და! ხუთი თვეა, ჩემმა მზემ, ქალაქგარეთ ფეხი არ გადამიდგამს. ცოლი მეუბნება, წადი, კაცო, გაიარ-გამოიარე, ამდენი საქმის ქაღალდებში ჩიჩინით ობი მოგეკიდებაო. მეც მოდი, ერთი გავისეირნებ-მეთქი და ავყევი გზატკეცილს. მართლაც რომ კარგია ქალაქგარეთ. ეს იყო ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე და ატყდა ერთი: „ტრახ და ტრუხი", თოფის სროლა. ხომ გაგიგონია, მთვრალს წაჯიკავება არ ეჭირვებაო, უმისოდაც მოგვბეზრდა უკვე ამდენი თოფ-ზარბაზნების ჭახაჭუხი და ახლა კიდევ ასე მოულოდნელმა ხმაურობამ მთლად ამაკანკალა. მადლობა ღმერთს, ჩქარა გამოვერკვიე და შენც იქ დამინახე. კარგი ამბავი კი იყო, მართალი გითხრა, როცა დაიჭირეს ის ჯიბგირი, თვალებიდან სულ ცეცხლსა ყრიდა. განა ის ჯიბგირია, კაცო, მე ეს კაცი ქუჩაში ხშირად შემხვედრია? — თქვა ვერხვის ფესვზე მჯდომარემ.

— ეხ, ჩემო ძმაო, ამ ერთის შებორკვა რას უშველის, როცა ორი და ორმოცი სხვა დათარეშობს, — უკმაყოფილოდ თავის დაქ-

ნევით თქვა პოლიციელმა, წამოჯდა და თოფი ხელთ აიღო. — ერთი ამ საჯანდაბეს უყურე, როგორ შემარცხვინა დღეს. როგორც თოფი, ჩემო ძმაო, ცუდი არ არის, ინგლისური სისტემის უნდა იყოს. მხოლოდ დღესვე, სწორედ, გაჭირვების დროს მიმტყუნა ამ საძაგელმა... ამ უჯიგრომ ამანა. ალბათ გაფუჭებულია, ზეინკალთან უნდა წავიღო, — ამბობდა პოლიციელი და თან თოფის ჩახმახს აქეთ-იქით სწევდა. ამ დროს უცბად იგრიალა თოფმა და ვერხვის ფესვზე მჯდომი კაცი მწარე ყვირილით ზეზე წამოვარდა. პოლიციელი გაშეშდა, გაფითრდა, მაინც თავი არ დაკარგა, საჩქაროდ გამოერკვა და დაჭრილს საშველად მივარდა. ტყვია ბარძაყში მოხვედრილიყო და მეორე მხრივ გასულიყო.

— ოხ, ნუ გეშინია, ძმაო, მოგიკვდეს ჩემი თავი, ძლიერ გტკივა? ძვალს არსად მიკარებული არაა, რა ბედნიერი ხალხი ვყოფილვართ, — ათრთოლებით ამბობდა პოლიციელი და ჭრილობას შინჯავდა. — არაფერია, გენაცვალე, უჰ, რა ბედნიერი ვყოფილვართ, აბა მე გვერდით ამოგებიჯები და ნელ-ნელა წავიდეთ. პირველ სახლშივე ჭრილობას შეგიხვევ.

ვერხვის ხის ძირი კვლავ დაცარიელდა. უკვე საღამო ჟამი იყო. ქარმა საკმაო მძლავრად დაბერა და ვერხვის ტოტები ააშრიალა. ყვითელი ფოთლები აუარებელი ძირს ცვიოდა.

— დღეს სულ ბედნიერი ხალხი მოდის ჩვენთან, — ტოტების შრიალში ჩაატანა ვერხვის ხემ.

— განა უბედურებაზე მომჩივანი ცოტა მოდის, დაე ათას უბედურს ერთი ბედნიერი დღეც გაერიოს, — მიუგო კლდემ.



ნარკვევები
და
წერილები



ᲒᲔᲓᲙᲠᲣᲚᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲒᲐᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲒᲐᲐᲖᲘ

(ᲞᲔᲢᲠ.ᲝᲕᲘᲓᲐᲜ)

ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲓᲐᲔᲩᲥᲐᲠᲔᲗ..

1853 წელს, აგვისტოს შუა რიცხვებში, ქ. მოსკოვს ერთ მიცვალებულს არაჩვეულებრივ ასვენებდნენ. პოლიციის წყვილი გაძვალტყავებული ცხენი უბრალო ჯაგვით ძლივს მიათრევდა საფა კუბოს, რომელსაც უკან აუარებელი, ოცი ათასამდე, მოსკოვის მდაბიო ხალხი და საზოგადოება მისდევდა. ბევრი მათგანი მწარედ ქვითინებდა. კუბოში განისვენებდა პატიმართა ექიმი, თეოდორე პეტრეს ძე გააზი.

თეოდორე პეტრეს ძე მოსკოვის ღვიძლი შვილი იყო. ის დაიბადა და აღიზარდა საზღვარგარეთ, მხოლოდ ბედმა შემთხვევით რუსეთში გადმოასახლა. ერთხელ რუსთ ხელმწიფის კარისკაცი, თავადი რეპნინი, საზღვარგარეთ საექიმოდ წავიდა და იქ, სხვათა შორის, ახალგაზრდა, ოცდაორი წლის ექიმი გააზიც გაიცნო; მისი რჩევა-დარიგება შესამჩნევად მოუხდა და როცა თავადი რუსეთში დაბრუნდა, ექიმი გააზიც თან წამოიყვანა და მოსკოვში მოიყვანა. მოსკოვში გააზს, როგორც ჩინებულ ექიმს, ჩქარა სახელი გაუვარდა; საუკეთესო და მდიდარ სახლებში მიიწვიეს და მცირე ხნის განმავლობაში დიდი ქონებაც შეიძინა. იყიდა სახლი, ადგილ-მამული, მოაწყო საუკეთესო მაუდის საქსოვი ქარხანა; წყვილ-წყვილ ბედაურშებმული ძვირფასი კარეტით დაბრძანდებოდა...

გარეგან შეხედვით ეს კაცი სრულიად კმაყოფილი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. ის იყო ახალგაზრდა, მდიდარი, ნიჭიერი, ყველგან და ყველასაგან მიღებული და პატივცემული. სხვა რაღა უნდოდა? მაგრამ მისი გული მაინც არ იყო კმაყოფილი. ის უფრო ფართო ასპარეზს ეძებდა სიყვარულისათვის, რაც მართლა ჩქარა იპოვა.

როგორც მოგეხსენებათ, ავადმყოფები, მდიდრად მორთულ დარბაზებს გარდა, გაჭუჭყიანებულ, ნესტიან სარდაფებში და მინგრეულ-მონგრეულ ქოხმახებშიც ბლომად მოიპოვებიან. და ექიმმა გააზმაც სწორედ ამ ღატაკ ავადმყოფებს მიაქცია ყურადღება. დანიშნა დრო, როცა ყოველ ღარიბ ავადმყოფს შეეძლო მასთან მისვლა და შემწეობა-დარიგების მიღება უსასყიდლოდ. ღარიბებმაც ბევრი არ დააყოვნეს და დაესივნენ გულკეთილ ექიმს. მათ მისაღებად დანიშნული დრო თავდებოდა და მთელი ჯგუფი ავადმყოფებისა ჯერ კიდევ თავის რიგს უცდიდა. საჭირო შეიქნა, მათი მისაღები დრო მეტი ყოფილიყო. გარდა ამისა, მომსვლელ ავადმყოფებს შინაც ისეთები ჰყავდათ, თურმე, რომ არათუ ექიმთან წასვლა, ტახტიდან წამოდგომა აღარ შეეძლოთ. იმათი ნახვაც საჭირო შეიქნა. ამნაირად ექიმ გააზს მდიდრების მისაღები დრო ძლიერ შეუმცირდა.

ბოლოს ექიმი დაფიქრდა და თავის გუნებაში ამნაირად გადასწყვიტა: „მდიდრები კაი ფასით ექიმს ყოველთვის იშოვნიან და ჩემს ღატაკებს კი, ტყუილი არ არის, მუქთად არავინ ეახლება. საწყლები მე მელოდებიან და მათი უპატრონოდ დატოვება განა შეიძლება?“

გააზმა მართლაც მდიდრებს სულ თავი მიანება და მთლად ღარიბ-ღატაკების მწუხარების შემსუბუქებას შეუდგა. არათუ ავადმყოფების სანახავად მიდიოდა, თან წამალიც მიჰქონდა და ხეირიანი საჭმელის საყიდელ ფულსაც ურიგებდა.

ღარიბი ავადმყოფები, რა თქმა უნდა, მომეტებულ ნაწილად ბინძურ და ნესტიან სადგურებში ცხოვრობდნენ და მათი იქიდგან გამოყვანა აუცილებელი საჭირო იყო. ამისათვის გააზმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ იყო, რომ პოლიციის მახლობლად მისთვის სახლი დაეთმოთ ავადმყოფთა სამკურნალოდ. აქ მან პატარა საავადმყოფო გააკეთა. ხალხმა შემდეგ ამ საავადმყოფოს „გააზის საავადმყოფო“ დაარქვა. ავადმყოფ ტუსაღებსაც ამ საავადმყოფოში აწვენდნენ. ამათ გააზი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა, როგორც სულიერად და ხორციელად უძლურთ. რამდენა-

დაც უახლოვდებოდა, იმდენად მეტ სიყვარულს გრძნობდა მათდამი. ხედავდა, რომ უბედურები ცხოვრებისაგან დატანჯულნი იყვნენ. ყოველივე ადამიანური გრძნობა მიძინებული იყო მათ შორის. გარეშეთა მათდამი გულგრილობას და გულქვაობას უბედურები გაესასტიკებინა. გულკეთილი ექიმი ამჩნევდა, რომ ტუსაღებიც ადამიანები იყვნენ, იმათაც ჰქონდათ სინიდისი, იმათში ჯერ სულ არ გამქრალიყო ღვთის მადლის ნაპერწკალი, მხოლოდ ყოველივე ეს ცხოვრების სიბინძურით სქლად იყო დაფარული, ასე ჰგონია, ღმერთი და ღვთიური რამ მათში თითქოს თავის დღეში არა ყოფილიყოსო! კაცთმოყვარე ექიმს გულწრფელად ეცოდებოდა ისინი და ცდილობდა სიყვარულით, ლმობიერი მოპყრობით და ძმური მზრუნველობით ადამიანური გრძნობა გაეღვიძებინა მათ გულში.

„თუ ექიმისათვის დიდად სასიამოვნოა მომაკვდავი ავადმყოფის მობრუნება და ფეხზე წამოყენებაო, — მსჯელობდა გააზი, — რამდენად მეტად სასიამოვნო უნდა იყოს, სულიერად დაცემული ადამიანის გაცოცხლება, განახლება“.

უნდა ვთქვათ, რომ იმ დროს პატიმრებს მეტად სასტიკად და უდიერად ეპყრობოდნენ; მძიმე ბორკილს ადებდნენ, მათრახებით უწყალოდ სცემდნენ, სასაცილოდ თავს ცალ გვერდზე პარსავდნენ და, ერთი სიტყვით, მათ ადამიანურ ღირსებას ყოველმხრივ ამცირებდნენ.

თვით მაშინდელი საპყრობილე ერთგვარი ჯოჯოხეთი იყო, სადაც ტუსაღები საშინლად იტანჯებოდნენ. მხეცური მოპყრობით ისინიც გამხეცებულნი იყვნენ. განსაკუთრებით მძიმე იყო კატორღაში გასაგზავნ პატიმართა მდგომარეობა. ერთ რკინის გრძელ ჯოხზე ბორკილით მიაბამდნენ ათიოდე ტუსაღს და ვირებივით წინ გაირეკავდნენ. ამნაირად ვირებივით ერთ ჯოხზე მიბმულთ უნდა ევლოთ მთელი უშველებელი გზა მოსკოვიდან ციმბირამდე. სუსტი და უძლურიც ჯანსაღს უნდა დამხარდამხარებოდა, სხვა გზა არ იყო, ეს კიდევ ცოტაა, ძნელი ის იყო, რომ რკინის ბორკილის რგოლებს პირდაპირ შიშველ ტანზე აცვამდნენ. რგოლის მუდმივი ხახუნი კანს გადააფხრეწდა, ძვლამდი ჩაღრღნიდა და ამით გაჩენილ იარას, ციმბირის საშინელ სიცივეში, რკინაც ზედვე მიეყინებოდა. საუბედუროდ, ამ დაუჯერებელ სიმკაცრეს ყველანი ისე მიჩვეოდნენ, რომ მისი მოსპობა შეუძლებლად მიაჩნდათ, თითქო ბუნებით ასე უნდა ყოფილიყო.

ბედკრულთა მეგობარმა ექიმმა გააზმა ეს რომ გაიგო, კინალამ

ელდა ეცა. მაშინათვე წევრად ჩაეწერა იმ დროებით ახლად დადაარსებულ საპყრობილეთა მზრუნველ კომიტეტში. ყოველთვის, როცა ტუსაღებს ციმბირს გაგზავნას უპირებდნენ, ესწრებოდა და დაჟინებით თხოულობდა, რომ პატიმართა რკინის ჯოხზე მიბმა მოესპოთ.

— თქვე კაი კაცებო, ისედაც ხომ რკინის ბორკილგაყრილნი არიან და კიდევ რკინის ჯოხზე მიბმა ნეტავ რაღაააო! — ამბობდა გაკვირვებული ექიმი. — ზედმეტი მათი შეწუხება ვის რა სარგებლობას მოუტანსო?!

მისმა მუდარამ გასჭრა. რკინის ჯოხი გააუქმეს.

თევდორე პეტრეს ძემ ახლა ახალი შუამდგომლობა აღძრა. თხოულობდა, რომ ბორკილებს შიგნიდან ტყავის სარჩული ჰქონოდა, რომ რკინას პირდაპირ კანი არ ეხეხა. ესეც შეუსრულეს. ექიმი ამასაც არ დასჯერდა, რკინის ბორკილის სიმძიმის შემცირებაც მოითხოვა. მაშინდელი როგორც ხელის, ისე ფეხის ბორკილი ცალ-ცალკე 5-6 გირვანქას იწონიდა. თორმეტი გირვანქა რკინის ტარება ხელ-ფეხით ქვეითი ტუსაღისათვის დიაღ რომ მეტად ძნელი იყო. ბედკრულთ მოსარჩლე კი თხოულობდა, რომ თითო ბორკილი სამ-სამი გირვანქა ყოფილიყო.

მრსი მუდამ ამნაირი შუამდგომლობა კომიტეტს თანდათან თავს აბეზრებდა.

— თქვენ, თევდორე პეტრეს ძევ, კატორღა გადაწყვეტილ პატიმრებს პატარა ბავშვებივით ელოლიავებით. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი ბოროტმოქმედებისათვის დასჯილი დამნაშავენი არიან, — ეუბნებოდნენ გააზს.

— მაგათი განკითხვა თქვენი საქმე სრულებით არ გახლავთ, — პასუხს აძლევდა ექიმი. — ისინი უკვე გასამართლებულნი არიან. თქვენი საქმეა, გახსოვდეთ მხოლოდ, რომ ისინიც თქვენსაებრ ადამიანები არიან. იმათაც თქვენსაებრ მდუღარე ცრემლები აქვთ. ისინიც ხომ ჩვენი უმცროსი ძმებია და მათი დახმარება ჩვენი მოვალეობაა. შეიძლება, ბევრი ბოროტება ჩაედინოთ, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ: სიკეთეს ვინ, ან როდის ასწავლიდა? ვთქვათ, რომ ბოროტნი და დამნაშავენი არიან, მაგრამ რა ნება გვაქვს მოვთხოვოთ კეთილი მოქმედება, როცა ჩვენ თვითონ მათდამი არავითარ გულკეთილობა-შებრალებას არ ვიჩენთ. დამნაშავენი არიან, მაგრამ კანონისა და არა ჩვენ წინაშე. ისინი მხოლოდ ჩვენი გაუბედურებული ძმებია.

ასეთი სიტყვები კომიტეტს არ მოსწონდა. კომიტეტის ზოგი-

ერთი წევრი უკმაყოფილოდ ამბობდა, რომ გააზმა გადამეტებული გულკეთილობით ტუსაღები გააფუჭა, ნებივრობას მიაჩვიაო. მაინც მისი შუამდგომლობა ბორკილების სიმძიმის შემცირებისათვის შეწყნარებულ იქნა. იმ დროს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად ბრძანდებოდა თავადი გოლიცინი, კაცი გულკეთილი და პატიოსანი. კომიტეტის მეორე დღეს თვითონ მივიდა ექიმ გააზთან, გაიარა ერთი ოთახი და მეორეს რომ მიუახლოვდა, რაღაც უცნაური ტლიკინი და ჟღარუნი მოესმა. შეაღო კარები და სახტად დარჩა! თურმე გააზს თვითონ ხელ-ფეხზე გაეყარა ბორკილები, გაფითრებული და დატანჯული, ოთახს გარშემო უვლიდა და თან რაღაცას ჩუმ-ჩუმად თვლიდა.

— თევდორე პეტრეს ძევ, რას ჩადიხართ? — ჰკითხა გაოცებულმა თავადმა.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ! — მიუგო გააზმა. — უკვე გამოვიანგარიშე: რამდენჯერ უნდა შემოუარო ამ ჩემს ოთახს, რომ იმდენი მანძილი გამოვიდეს, რამდენსაც რიგით გაგზავნილი ტუსაღები ერთ დღეს გაივლიან ხოლმე. ახლა მინდა გამოვცადო: რამდენად ძნელია ექვსგირვანქიანი ბორკილებით ამ მანძილის გავლა.

თავადს ამ სანახაობამ გული აუჩვილა და ცრემლები მოერია. ბორკილების სიმძიმე დაუყოვნებლივ შეამცირეს. ახალ ბორკილებს ტუსაღებმა „გააზის ბორკილები“ დაარქვეს.

თევდორე პეტრეს ძეს სურდა, პატიმრებს, რაც შეიძლებოდა, მეტად დაახლოებოდა. ამიტომ იმდენს ეცადა, რომ მოსკოვის საპყრობილის უფროსი ექიმობა მიიღო. ახლა კი არც ერთი ჯგუფი ტუსაღებისა კატორღაში ისე არ გაიგზავნებოდა, რომ მათთვის ექიმ გააზს რაიმე მეგობრული მზრუნველობა და დახმარება არ გაეწია. მთელი რუსეთის ტუსაღობა იცნობდა გააზს. ჩვენი ექიმიაო, ამბობდნენ სადმე სმოლენსკში, ან კიდევ კურსკში, გამოთხოვების დროს, ტუსაღები ჯერ მოსკოვისკენ წასაყვან საციმბირო ამხანაგებს ასე ანუგეშებდნენ ხოლმე:

— ყოჩაღად იყავ, ნუ გეშინია! ჯერ ხომ მოსკოვში მიგიყვანენ, იქ „ჩვენი“ ექიმი დაგეხმარება.

ექიმი გააზი ტუსაღის ყოველ სულის მოძრაობას უკვირდებოდა, მთელი საათობით მათთან მუსაიფობდა და მცირეოდენ სინანულის ნაპერწკალს მათ გულში მოუთმენლად დარაჯობდა. დანაღვლიანებულებს ანუგეშებდა, სულით დაცემულებს ამხნევებდა, თავს არ დაზოგავდა, მხოლოდ კი ცოტაოდენი ნათელი შუქი შეეტანა ამ ბედ-

კრულთა უკუნეთს სამეფოში. ცოტა რამ უქეიფოდ გახდებოდა ვინმე, ან შინაურებზე დარდს დაიწყებდა, მაშინვე საავადმყოფოში დააწვენდა: უხაროდა, რომ რამდენისამე დღით მაინც შეეძლო მისთვის ბორკილი მოეხსნა. სატუსაღოს უფროსებში კი ამნაირი მისი ქცევა ხშირად უსიამოვნებას იწვევდა. ესაყვედურებოდნენ: ეს როგორ შეიძლება! ტუსაღების გაგზავნას აჭიანურებ, რიგს და წესს არღვევო და სხვ. მის მზრუნველობას ტუსაღებისადმი სამასხაროდ იგდებდნენ, „მავნებელ სათუთობად“ მიაჩნდათ. თვითონ იმასაც დასცინოდნენ: უცნაურ კაცს — „ჩუდაკს“ ეძახდნენ! უსიამოვნო, აბეზარ კაცად სახავდნენ. ექიმი კი არავის ყურადღებას არ აქცევდა და სიმართლის გზაზე უშიშრად წინ მიდიოდა.

ერთხელ ციმბირისკენ უნდა გაეგზავნათ სხვა პატიმრებთან ერთად ორი გასათხოვარი და, სავალალოდ, ერთი მათგანი ავად გახდა და იძულებულნი შეიქნენ დაეტოვებინათ, მაგრამ ავადმყოფი მარტო არ იცდიდა. მეორე დამ ითხოვა, ავადმყოფის მომვლელად დაეტოვებინათ, მაგრამ ცივი უარი უთხრეს. გასაგზავნთა სიაში ჩაწერილი ხარ და უსათუოდ უნდა წახვიდეო. მაშინ ავადმყოფმა გადაწყვიტა, რაც გინდ დამართოდა, თუნდ რომ დაუყოვნებლივ მომკვდარიყო, მაინც დას გაჰყოლოდა. ექიმი გააზი ამ საქმეშიაც გაერია და მოითხოვა, რომ ორივე დები დაეტოვებიათ.

— ავადმყოფის გაგზავნა ხომ შეუძლებელია, — ამბობდა ექიმი, — მომაკვდავი ქალისათვის დის უკანასკნელი ალერსის მოკლება ხომ უღვთოობაზე უღვთოობაა.

— თავი დაანებეთ მაგეებს, თუ ღმერთი გწამთ! აქ კატეხიზმოს ქადაგება სრულიად უადგილოა და არც საჭირო გახლავთ, სია უკვე შედგენილია და ვიღაც პატიმარ დედაკაცის გულისათვის ახლა ისევ ხომ ვერ შეცვლიან, — მოუჭრეს სიტყვა ექიმს.

გააზი შეელაპარაკა ამის მთქმელს:

— ყოველ შემთხვევაში, — თქვა მან, — ადამიანობაა საჭირო და არა მხეცობა. რაც შეეხება სიას, მე მგონია ზეცაშიაც უნდა იყოს სია, სადაც პატიმართა დანაშაულთან მათი უფროსების მხეცური ქცევაც აღინიშნება.

დები, როგორც იყო, დაარჩინეს, მაგრამ უფროსები კი გადაემტერენ ექიმს, დაუწყეს დასმენა და თითქმის პირდაპირ ხელმწიფესთანაც უჩივლეს.

ერთხელ იმპერატორი ნიკოლოზ პირველი მოსკოვში ბრძანდებოდა და საპყრობილეც ინახულა. გააზის მტრებმა ხელმწიფეს წარუდგინეს ერთი 70 წლის ღრმა მოხუცი ტუსაღი, რომელსაც განა-

ჩენით ციმბირი გადაწყვეტილი ჰქონდა. ექიმი გააზი საავადმყოფოდან არ უშვებდა. ექიმი იქვე იდგა. ხელმწიფე პირად იცნობდა. შეხედა და მრისხანედ დაეკითხა:

— ეს რა ამბავია?

თევდორე პეტრეს ძემ დაიჩოქა და თავი დაბლა დაუკრა.

— მაპატიეთ, ხელმწიფეო, — შეეხვეწა გააზი.

ხელმწიფე შეშფოთდა.

— ადექ, მე არა ვჯავრობ, ადექ, თევდორე პეტროვიჩ!

— ხელმწიფეო! გთხოვთ მოხუცს აპატიოთ, — ამბობდა დაჩოქილი ექიმი. — მცირედი ხნის სიცოცხლეღა დარჩენია. უბედური გამოქცეულთაგანია. მთელ სიცოცხლეში დასდევდნენ, მგელივით ეტევებოდნენ, საპატიმროდან საპატიმროში დაათრევდნენ. თქვენო უდიდებულესობავ! ნება დართეთ, რომ აქ, საავადმყოფოში მაინც ამოხდეს სული.

— კარგი, შენს სინიდისზე მომინდვია, — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ უბრძანა იმპერატორმა.

ექიმი გააზი არავითარი დაბრკოლების წინ არ შეჩერდებოდა, ოღონდ კი უბედურთ ხვედრი ცოტად მაინც როგორმე შეემსუბუქებინა. შუამდგომლობდა, სთხოვდა, უარს თუ ეტყოდნენ, გულგრილად ითმენდა, ისევ თხოულობდა და მანამდე არ მოეშვებოდა მთავრობას და არ დამშვიდდებოდა, სანამ არ დააკმაყოფილებდნენ. ერთხელ ტუსაღების გულისათვის ძლავრ და სახელგანთქმულ მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტთანაც მოუხდა დიდი და საშიში შეჯახება. მიტროპოლიტიც კომიტეტის კრებას ესწრებოდა და გააზის დაუსრულებელი ხვეწნა-მუდარა უდანაშაულოდ გასამართლებულებისათვის, ალბათ, იმასაც მობეზრდა. მიტროპოლიტმა უბრძანა:

— რა დაგემართა, თევდორე პეტრეს ძევ! რა უდანაშაულოდ გასამართლებულები გაგიჩნდათ. უდანაშაულოდ გასამართლებული ვინ გაიგონა! თუ კაცი გაასამართლეს, მაშ დამნაშავეც ყოფილა და ეს არის!..

ბუნებით ფიცხი გააზი პილპილივით აენთო და საშინლად გულნატკენმა ხრინწიანი ხმით საჩქაროდ მოუჭრა სიტყვა მღვდელმთავარს:

— ქრისტე მაცხოვარი დაგავიწყდათ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო?!. ისიც ხომ გაასამართლეს, მაშ, ისიც დამნაშავე ყოფილა?!.

ყველანი შეშფოთდნენ. მიტროპოლიტმა თავი ძირს დახარა. ყველანი შეწუხებულ-შეშფოთებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ **და**

ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. გავიდა რამდენიმე საშინელი, სევდისმომგვრელი წამი. ბოლოს წარჩინებული მიტროპოლიტი წამოდგა და მშვიდად წარმოთქვა:

—არა, თევდორე პეტრეს ძევ! ქრისტე კი არ დამვიწყებია, როცა უგუნური ლაპარაკი დავიწყე, თვითონ ქრისტე განივლტო ჩემგან.

ამნაირად, დრო მიდიოდა, წელიწადი წელიწადს მისდევდა და ექიმი გააზიც ბედკრულთა და მოძულებულთათვის თავგანწირულად შრომობდა. და ამ შრომას მისი ძალ-ღონე და ქონებაც თანდათან უკან მიჰყვებოდა. ცხოვრობდა გააზი ძლიერ ხელმოკლედ. თავისთავზე კაპეიკობით ხარჯავდა. მისი სახლი და მაუდის ქარხანა სადღაც გაჰქრა, კარეტაც გაიყიდა. შერჩა მხოლოდ ორი დავარდნილი ძვალტყავად გამხდარი ცხენი, ერთი გაპარტახებული დროჟკა და ძველებური, გახუნებული ტანისამოსი. ჩაჯდებოდა ხოლმე თავის დამტვრეულ დროჟკაში და მიალახლახებდა მოსკოვის ქუჩებში ვორობიოვის მთებისაკენ, სადაც საპატიმროები იყო გაშენებული. ხანდისხან მძიმე კალათებს და სხვადასხვა ბოხჩებს თან მიათრევდა; შიგ იყო სხვადასხვა ტკბილეულობა, ქადა-ნაზუქი, ხილი და სხვა სანოვაგე. მისი მრავალი ნაცნობ-მეგობრები და მდიდარი ნაავადმყოფარნი უგზავნიდნენ სხვადასხვა სანოვაგეს. ის კი ყოველსავე აგროვებდა და ტუსაღებთან ან „თავის უბედურებთან“ მიჰქონდა. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ექიმმა გააზმა ამ უბედურებს შესწირა.

სხვაგანაც სადმე თუ შეხვდებოდა გაჭირვებულს და თუ რამენაირად მისი ხვედრის შემსუბუქება შეეძლო, სწორედ თავს არ დაზოგავდა. ერთხელ სიკვდილის წინ რამდენისამე ხნით, შემთხვევით, მოსკოვის ერთ საავადმყოფოში შეიხედა და ერთი იშვიათი ავადმყოფი, საბრალო თერთმეტი წლის გოგო შეამჩნია. საცოდავს პირისახეზე საშინელი უკურნებელი სატკივარი, „წყლის კუ“ (водяной рак) გასჩენოდა. სენი ისეთი სისწრაფით მოსდებოდა, რომ ოთხი დღის განმავლობაში პირისახე ნახევრად მეტი შეეჭამა. უბედური აუტანელ ტკივილებს გრძნობდა და ცოცხლად დამპალ პირიდან ისეთი მყრალი სუნი ამოსდიოდა, არათუ ექიმი, ფერშალი და მოსამსახურე ქალი, თვით მწუხარებით გულმოკლულ ავადმყოფის მშობელი დედაც ორ-სამ წუთს ვერ სძლებდა იმ ოთახში, საცა ავადმყოფი იწვა. ახლო მისვლას, ან მის გვერდით ჯდომას კი ვინ შეძლებდა? ექიმმა თევდორე გააზმა შეუძლებელიც შეძლო! ყოველდღე შედიოდა ამ ავადმყოფთან, გვერდით მოუჯდებოდა, თავზე

ხელს უსვამდა, ჰკოცნიდა და სამი-ოთხი საათი ამრიგად ანუგეშებდა.

1853 წელს ექიმი გააზი გარდაიცვალა. მან სული დალია სიღატაკეში და პოლიციის ხარჯზე გაასვენეს. აუარებელი სამკვიდრო დარჩა. ეს გახლავთ სამკვიდრო სიკეთისა და ყოველ უბედურთ და გაჭირვებულთადმი ულეველი სიყვარულისა.

კეთილ საქმეს დაეჩქარეთო, — ანდერძად დატოვა გააზმა. — იცოდეთ მიტევება, გსურდეთ შერიგება, ბოროტი სიკეთით დაძლიეთო. მცირე წვლილისა ნუ შეგრცხვებათ, თუნდაც ჭიქა წყალი იყოსო. მეგობრული მიგებება, სიტყვიერი ნუგეში, თანაგრძნობა, შებრალება, ესეც ბევრი რამეაო. ეცადეთ, დაცემული აღადგინოთ, გაბოროტებული დააცხროთ, დაამშვიდოთ. არ არის ისეთი ადამიანი, ვის გულშიაც სიყვარული და შებრალება არ სუფევდესო. მე არათუ არა მსურს, ვერც მოვიფიქრებია, რომ ადამიანს ადამიანის ტანჯვა განგებ უნდოდესო. ალბათ, არ იციან რასა იქმანო. სპეტაკი და გულს მოსახვედრი სიტყვები ერთს დანაშაულს უმსუბუქებს, მეორეს ნუგეშს სცემსო... ამიტომაც, უწინარეს ყოელისა, შებრალებაა საჭიროო. მიდრეკილება შებრალებისადმი სათნოება კი არ არის, უბრალო სამართლიანობაა.

ექიმი გააზის გულწრფელი და ღრმა სიყვარულით შეზავებული სიტყვები ბედკრულთა შორის ძლიერ მოქმედებდა და თითქმის თავზარდამცემ ავაზაკთაც იმორჩილებდა. ექიმ გააზის საპყრობილეში მისვლა შიგ მცხოვრებთათვის ზეციდან ანგელოზის ჩამოფრენა იყო. მისი ნათელი სახე ტუსაღთ არათუ იქ, მოსკოვში ყოფნის დროს ანუგეშებდა, მისი სახის გახსენება შორეულ ციმბირის მადნებში მუშაობის დროსაც გულს უსპეტაკებდა. ქ. ნერჩინსკის კატორღის საპყრობილეში, როცა გააზის სიკვდილის ამბავი მივიდა, კატორღელებმა გვირაბებში ტანჯვით ნაშოვნი გროშები მოაგროვეს და მათ, „მფარველ ექიმის“ სახსოვრად, წმინდა თეოდორე ტიხონის ხატი იყიდეს და დაასვენეს. იმ ხატის წინ იმავ ტანჯვით ნაშოვნი ფულით განუქრობელი ლამპარი აანთეს.

ამგვარსავე განუქრობელ ლამპრად ანათოს ყოველი რუსის — და ჩვენ მიუმატოთ — ყოველი ადამიანის ხსოვნაში თევდორე გააზის ნათელმა სახელმა, იმ ადამიანის ხსოვნამ, ვინც თავისი ნიჭი, ძალა, ცოდნა და მთლად სიცოცხლეც ბედკრულთ და მოძულებულთ თავს შემოავლო და მოახმარა. ასეთი ადამიანის ხსოვნა მართლა რომ განუქრობელი ლამპარივით უნდა იქნას დაცული. ეს ხსოვნაღა იქნება ერთადერთი ჯილდო მისი თავგანწირული უანგარო შრომისა.

ეს სხვა მოღვაწესაც გაამხნევებს და ცხოვრების მწარე წუთის გამოცდის დროს, ვინიცობაა, თვით სიმართლე-სიკეთის ამქვეყნად არსებობაზე იჭვი შეეპარა, გონს მოიყვანს და დამძიმებულ გულს შეუმსუბუქებსო, — ამბობს ა. ფ. კონი, რომელმაც მშვენიერი წიგნი დაწერა გააზზე. გააზის მსგავსი ადამიანები გზის მანათობელნი ვარსკვლავნი არიან; მათ კვალდაკვალ სიარული ჩვენც თანდათან დაგვიახლოებს სინათლისა, სიყვარულისა და სიკეთის სამეფოს.

ტფილისიდან ჯულფამდე

ერთი თვალის გადავლებით

(მგზავრის წერილები)

ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი დაიძრა და ქშინვა-კვნესით ნელ-ნელა განშორდა ტფილისის სადგურს. ვაგონის ბაქანზე ვიდექ. ჩემ წინ მთელი ქალაქი გაშლილიყო.

აი. კრწანისის ველიც — უკანასკნელი სცენა საქართველოს დიდი ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედებისა. მშვენიერი მზიანი დარი იდგა. კრწანისის ველს რაღაც თხელი მოლურჯო ბუღი გადაჰფენოდა. უნებლიეთ გამახსენდა პოეტის სიტყვები კრწანისის ბრძოლაში დახოცილ გმირებზე თქმული: „ბევრთ ქართველ ყრმათა, ნუგეშთა ქართლის, დასდვეს აქ თავი მამულისათვის. სადღა არიან აწ ესე კაცნი, ჰაერში გაჰქრა მათი სახელი“. მეც ჰაერს დავაჩერდი, თითქო იქ უნდა დამენახა გმირთა, თავდადებულთა სახეები. მაგრამ ამაოდ. ჩემ თვალს მხოლოდ იგივე თხელი ბუღი ხვდებოდა. ყურებშიაც ქალაქის ხმაურობისაგან ავარდნილი საერთო გუგუნი მესმოდა. გამახსენდა, რომ ხვალ დიდი დღესასწაული იყო, დახოცილ გმირთათვის არავის ცხელოდა. დღეს ყველას დახოცილი ინდაური და გოჭი აინტერესებს, რომ ხვალ ჩვეულებას არ უღალატოს და სუფრაზე, რაც შეიძლება, მეტი სანოვაგე დაალაგოს. თავდადებულთა სანუგეშოდ იმავე პოეტის სიტყვებმა გამიელვა: „ქარ-

თლი თქვენ სახელს არ დაივიწყებს, აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს“.

„დიახ ასე, დიახ ასე, სწორედ, სწორედაო“, — გამომებანა მატარებელიც ბორბლების ჭახაჭუხით და ორთქლმავალმაც დაიკივლა. მატარებელმა თანდათან ფეხი აიდგა და ბრიგინ-ბრიგინით გაგვაქანა.

გავცილდით ნავთლუღს. ტფილისის დიდრონი სახლები დაპატარავდნენ. მამადავითი არწივის ბუდესავით მოჩანდა, კრწანისიც მიგვეფარა. მატარებელმა მარჯვნივ, სამხრეთისკენ იბრუნა პირი. გავედით მტკვარზე, იქ, სადაც თავდება უკანასკნელი კალთა თრიალეთის მთებისა და მივადექით სადგურ სოღანლუღს. ჩვენ თვალწინ გაიშალა თვალუწვდენელი ფართო ველი, რომლის შუაგულზე ხშირ ტოტებად დაშლილი მიიკლაკნება მტკვარი. ეს გაშლილი ველი, ეს ღია კარი ორი ათასი წლის განმავლობაში თავისუფლად უშვებდა აზიის უანგარიშო ურდოებს ტურფა საქართველოს ასაკლებ-ასაოხრებლად. ამ ღია კარმა გაუადვილა საქართველოს უკანასკნელ აშკარა მტერს აღა-მაჰმად-ხანს პირდაპირ ტფილისს მოსდგომოდა და შინ და გარეთ ღალატით მოშხამული მოხუცი გმირი — პატარა კახი დაემარცხებინა. ამ მიდამოების ერთი გადახედვა დაარწმუნებს კაცს, რომ ტფილისის აშენებას მარტო გორგასლანის ქორ-ხოხობის ლეგენდა არ ედო სარჩულად. აღმოსავლეთით საქართველოზე მოსულ მტერს ბუნებრივ სიმაგრედ პირველად ტფილისი უხვდება, და ერს, რომელიც ასე თუ ისე მომწიფებულია პოლიტიკურად, უსათუოდ მტკიცედ უნდა გაემაგრებინა ხელოვნური ციხითაც ეს მტრის შემოსასვლელი კარი. ეს მხარე რომ გეოგრაფიულად სხვანაირად ყოფილიყო მოწყობილი, საქართველოს ბედიც, ალბათ, სულ სხვა იქნებოდა.

სოღანლუღიდან მატარებელმა სამხრეთ-დასავლეთით იბრუნა პირი. შავნაბადა, რომელიც ასე ლამაზად წამოჭიმულა თრიალეთის მთის კალთაზე, ქალაქიდან რომ უყურებ, მთის სწორ ზეგანზე გგონია აშენებული. ნამდვილად კი შავნაბადა შაქრის თავივით წოწლოკინა პატარა გორაკზეა გაშენებული. ეს გორაკი ძუძუსავით ამობურთულა მთის ზურგზე. ახლა ჩვენგან იგი ჩრდილოეთისაკენ იყო. აქედან მართლაც და საუცხოო სანახავია. ადვილად შესაძლებელია, რომ ეს კონუსის მსგავსი პატარა მთა ვულკანი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს მოქმედებაც დაიწყოს...

გავიარეთ რამდენიმე ვერსი და ჩვენ წინ გაიშალა კუმისის ტბა. კუმისის ანუ სხვანაირად კოდის ტბა გვარიანად მოზრდილია,

ეერს-ნახევარი იქნება სიგრძე-სიგანით. წყლით ეტყობა მდიდარია. ვახუშტი ამბობს: „ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, ქვალად ერთვის კოჟრისა და გუდელისის ხევის წყალი“ *. ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ეს ხევები ვერ შევამჩნიე. ალბათ, მატარებლის სიჩქარისა და ტბის დასავლეთი ნაწილის ხიშორისა გამო ვერ დავინახე. ტბას ნაპირები სუფთა და მშრალი აქვს და ამიტომ ადვილად მისასვლელია. სამხრეთის ერთ-ერთ კუთხეში ორი პაწია კუნძულიც შევამჩნიე. ქარი საშინლად ქროდა და ეს ერთი ბეწო ტბაც თავის წესზე ღელავდა. ზვირთს ზვირთზე ნაზად აგორებდა. მისი ტალღები მზის სხივებზე ზოგან ლურჯად, ზოგან მტრედისფრად და ზოგან კიდევ მწვანედ მოჩანდა. წყალს სამკურნალო თვისება აქვსო, მითხრეს.

განათლებულ უცხოეთში ასეთი დიდი ქალაქის მახლობლად (ტფილისიდან 20 ვერსია), ალბათ, ასე არ გაუშვებდნენ ამ ტბას: ირგვლივ აგარაკები და ბაღები გაშენდებოდა და ტბაზე ლამაზი ნავებით მოსეირნეთა მხიარული კისკისი არემარეს გააღვიძებდა, მაგრამ ჩვენში ქალაქგარეთ ნავით სეირნობა კი არა, შუაგულ ქალაქში, ალექსანდრეს ბაღშიაც აკრძალულია თავისუფლად სეირნობა. მითხრეს, ვილაც ექიმი აპირებს ამ ტბასთან სამკურნალო აბანოების გამართვასაო. ვნახოთ.

ამ ტბიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე გახლავთ ცნობილი თელეთის საყდარი.

კუმისის ტბიდან პირდაპირ სამხრეთით ვიბრუნეთ პირი და მიუახლოვდით სადგურ სანდარას. ამ ალაგას ჩამოდის მდ. ალგეთი.

მდ. ალგეთი ქსნის ტოლა არ იქნება. გამოდის შუა თრიალეთიდან, მანგლისის დასავლეთით. იმის სათავის მახლობლად გაშენებულ იქნა კლდეკარის ციხე ლიპარიტ ორბელიანის მიერ მეთერთმეტე საუკუნეში. ალგეთი ჯერ დასავლეთით მიმდინარეობს, ჩამოუვლის მანგლისს, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით იკვლევს გზას, სანამ ბარად არ ჩამოვა და პირდაპირ მტკვარს არ შეუერთდება რკინიგზის ხიდიდან რამდენიმე ვერსს ქვემოთ, ს. მუღანლოში. ალგეთის სიგრძეზე ძველად ბევრი მაგარი ციხე-სიმაგრე და ეკლესია იყო აშენებული.

სადგურ სანდარს აქებენ ღვინის სიაფით. დამარწმუნეს, კაი ღვინო ვედრო მანეთი და ექვსი აბაზი ღირსო. მართლაც, გაჩერდა თუ არა მატარებელი, ზოგი მგზავრი ბოთლით ხელში მახლობელ

* ვახუშტი, „საქართველოს გეოგრაფია“, გვ 63.

დუქნებისკენ გაეშურა. ბოთლებით ორ-ორ შაურად ეყიდათ. ტფილისიდან სანდარამდე 34 ვერსია.

ტფილისიდან სანდარამდე ბუნება ერთფეროვანი და მოსაწყენია. სულ მინდვრები და ალაგ-ალაგ ხრიოკი კლდეები. სანდარიდან ბუნებას სხვა ელფერი ედება. მინდორი უფრო მწვანეა, ბალახიც უფრო მაღალია. აქა-იქ ბაღებიც მოჩანს.

გავიარეთ მდ. ხრამი, რომელიც ლიახვის ტოლა იქნება. მდ. ხრამი გამოდის ყარაკაიას მთის ძირში, ს. ციხისჯვრის მახლობლად. სიტყვა ხრამი საზოგადო სახელი უნდა იყოს. ამ მდინარეს ვახუშტი უწოდებს ქციის ხრამს, მაშასადამე, სხვა ხრამიც ყოფილა. ქციის სათავესთან ძველად იყო მოდიმნახის ციხე. არ ვიცი, თუ რა მოსაზრებით, ვახუშტი ამბობს: „ახალქალაქიდან დის ქცია სამხრეთით დაბის ქციისამდე". ნამდვილად კი ქცია ანუ ხრამი სათავიდანვე აღმოსავლეთით მიმდინარეობს. ახალქალაქი კი ძევს ქციის სათავიდან სამხრეთით დაახლოებით 25-30 ვერსის მანძილზე. ხრამის სათავე თითქმის ბორჯომის მერიდიანზეა. ბორჯომიდან ხრამის სათავემდე რომ სწორი ხაზი გავატაროთ, ოც ვერსზე მეტი არ იქნება. ხრამი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს თავკიდელის და კენჭიკარის მთების გვერდ-გვერდ. თავკიდელის მთის ბოლოს ს. რეხანთან მაგარი კლდეები ეღობებიან წინ და იძულებულია სამხრეთისკენ იბრუნოს პირი. წალკის დასავლეთით ისევ აღმოსავლეთისკენ ბრუნდება, ჩამოდის წალკაზე. წალკის ბოლოს ხალეკის მთის ფერდობები უხვდება და პირს ისევ სამხრეთით იბრუნებს, მაგრამ პირველ მარჯვე ალაგას ისევ აღმოსავლეთით ბრუნდება, ნახევარ წრედ უვლის ხალეკის მთას და პირდაპირ აღმოსავლეთისკენ მიემართება, ათ-თორმეტ ვერსს ვერ გაივლის, რომ ლისას მთა სოლივით გაეჩხირება განდაგან და აიძულებს ისევ სამხრეთით მობრუნდეს. ჩამოივლის ს. დიდგომარეთის აღმოსავლეთით, ლისას მთასაც ნახევარ წრედ შემოევლება; მაინც თავისას არ იშლის და ისევ აღმოსავლეთით იკვლევს გზას, ჩამოდის ციხე სამშვილდეზე, რომელსაც წინათ ორბეთი ეწოდებოდა, აღბულახის (ბელი კლიუჩი) მახლობლად ხრამი მედგრად ებრძვის ღრე-კლდეებს, ჩადის ბარად და უერთდება მტკვარს ალგეთის შესართავს ცოტა ქვემოთ.

ხრამის შესართავთან იყო ქართლოსის მიერ აშენებული მტკვრის ციხე, რომელსაც შემდეგ ხუნანი დაერქვა, ხოლო როცა იმის არემარეში მაჰმადიანები გაბატონდნენ, ყიზ-ყალა (ქალის ციხე) დაარქვეს. ეს ერთი შესანიშნავი ადგილთაგანი იყო მთელ საქართველოში. ტფილისზე მიმავალი მტერი ჯერ ხუნანს მიადგებო–

და და თავისთავად ცხადია, რომ ტფილისის წინ, აოხრება-დარბევას ჯერ ხუნანი იგემებდა. მეფე ფარნავაზმა საერისთაოდ გახადა. როსტომ მეფეს აქ ქვიტკირის ხიდი გაუდვია. ვახუშტი ასე აწერს ამ ხიდს: „დიდ მშვენიერი, რომელსა სვეტსა შინა არს სახლი მშვენიერი, მჭვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა ათი მხარი“ *.

მდინარე ხრამს საერთოდ მიმდინარეობა აქვს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სათავედან ხალეკის მთამდე უტყეო ადგილებზე მიდის, ხალეკის მთიდან სამშვილდემდე ტყით დაფარულ ადგილებში მიმდინარეობს. ამ ადგილებში ხრამი საშინლად დაკლაკნილია. სამშვილდეს შემდეგ შესართავამდე ისევ ტიტველა ადგილებში უხდება დენა. მდ. ხრამის ხეობაშიაც ბევრი შესანიშნავი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტერი იყო აშენებული. სხვათა შორის, აქ იყო შესანიშნავი ფიტარეთის მონასტერი სოფელ ბომარეთის მახლობლად, აგებული საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს, მეთხუთმეტე საუკუნეში. იმის მოხატულობას და ჩუქურთმას ახლაც განცვიფრებაში მოჰყავს თურმე მნახველი. ზემოხსენებული ორბეთი ანუ სამშვილდეც ერთი შესანიშნავი ადგილთაგანი იყო. სამშვილდე ქართლოსმა აღაშენა. ფარნავაზმა ქალაქად გახადა და სვიმონ მეფემდე (1558-1600) ქალაქი ეწოდებოდა. ხრამი, როგორც ვიცით, მდიდარია თევზით. სიტყვა ხრამული აქედან წარმოსდგა.

ხრამგაღმა, ერთ მწვანე სერის ძირას, რკინიგზის სადგური აშაგა-სერალია გაშენებული. აქედან ძლიერ ახლოა დაბა შულავერი და ამიტომ შულავერში მიმავალი მგზავრები, რომელნიც ჩვენ მატარებელშიაც საკმაოდ აღმოჩნდნენ, აქ ჩამოხტნენ. ეტლებიც ბლომად დაუხვდათ. მგზავრები საჩქაროდ ეტლებში გადასხდნენ და ჩვენი მატარებელი ჯერ დაძრული არ იყო, რომ მათ ეტლება ცხენები მძიმე-მძიმედ მიათრევდნენ სერის კალთაზე გაყვანილ უხეირო სასოფლო გზაზე. ტფილისიდან აშაგა-სერალამდე 47 ვერსია, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან კასპამდეა.

ტფილისიდან აშაგა-სერალამდე, როგორც ვთქვით, ტყე არ არის, მაგრამ საძოვრები და სახნავ-სათესი ბევრგან ძლიერ კარგია. აქედან კი სურათი იცვლება. ახლო ჰორიზონტში ტყით დაბურული მთა გელანდება. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ხშირად გვხვდება მწვანე წალკოტებში ჩაფლული სოფლები. აქაც-იქ მდიდარ მემა-

* ვახუშტი, „გეოგრაფია“.

მულეთა ორსართულიანი და ფართო, ბაღ-ვენახებით მორთულ-მოკაზმულ ეზოებსაც ამჩნევ. ალაგ-ალაგ პატარა ქართული ეკლესიების ნანგრევებიც გვხვდება თვალში, ეს უსმო მოწმენი ერთ დროს საქართველოს სიცოცხლით სავსე მაჯის ცემისა ამ მხარეში. ცხვრის ფარა გროვა-გროვა დგას და აქა-იქ სერზე მწვანე ნორჩი ბალახით პირს იტკბარუნებს. მათ წინა დგას გრძელი კომბლით ხელში მწყემსი თათარი. ამ მხარეში მეტი წილი სომხობა და თათრობა სახლობს. ქართველობა მცირეა.

გზა სულ სამხრეთით მიდის. მივუახლოვდით სადგურ სადახლოს და მდინარე დებედას ჩუხჩუხი მოგვესმა. მდ. დებედა ერთვის ხრამს 12-14 ვერსით დაშორებით მტკვრის შესართავთან, სიდიდით დებედა მე უფრო დიდად და მრავალწყლოვნად მომეჩვენა, ვიდრე ხრამი. ქართლის საზღვრად ძველად ეს მდინარე ითვლებოდა და ურიგო არ იქნება, მაზე ცოტა შევჩერდეთ.

მდ. დებედას ძველად სამი სახელი ერქვა: ბედრუჯი, საგიმი და დებედა. პირველ სახელწოდებას ვახუშტი ხსნის დაბა ბედრიკით, ხოლო უკანასკნელს „დაბადა"-თი. „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი"-ო *, შაჰ-აბაზმა ამ მდინარის მიდამოებში მაჰმადიანთა ბორჩალოს ტომის ხალხი დაასახლა და მის გამო ამ მდინარეს მეოთხე სახელიც დაერქვა — ბორჩალა. ეს სახელი მთელ კუთხეზე გადავიდა.

ბედრუჯა ანუ დებედა გამოდის (ვახუშტით აბოცის მთებიდან) თოფარავანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15-20 ვერსის მანძილზე. ამ მთაგრეხილს ახლა მცირე კავკასიის ქედს უწოდებენ. ეს ქედი უკვე ჩვენ მიერ ნახსენებ ქციის სათავედან პირდაპირ სამხრეთით მიემართება. წინათ ეს ქედი საზღვრავდა ქართლს სამცხე-საათაბაგოსაგან. ეს ქედი თავიდან ბოლომდე ტიტველია, მასზე ტყის ჭაჭანება არ არის. მდ. ბედრუჯა ჯერ აღმოსავლეთისკენ მიმდინარეობს. იმის ზემო წელს და უთვალავ პატარ-პატარა შენაკადებს ახლა რუსულ-თათრული სახელები ჰქვია, როგორც მაგალითად კამენკა, კოტურ-ჩაი და სხვ. იმის ნაპირას გაშენებულია რუსთა სოფელი ვორონცოვკა. მარჯვნივ ბედრუჯას ანუ დებედას უერთდება მდ. ბამბაკი, რომელიც წყლის სიუხვით სჭარბობს დებედასა. გეოგრაფიულის სამართლით უპირველესობა ბამბაკს უნდა მისცემოდა. ბამბაკის სათავე ბედრუჯის სათავიდან მაინცდამაინც შორს არ არის. ბამბაკი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს კარა-

* ვახუშტი, „გეოგრაფია", გვ 40.

კლისამდე, კარაკლისიდან ჩრდილოეთით უხვევს და ერთვის ბედრუჯას. ბედრუჯ-ბამბაკის შესართავთან ძველად იყო ციხე ლორი, რომელსაც, როგორც საზღვარზე აშენებულს, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ვახუშტით ეს ციხე აშენებული იყო ორ მდინარეს შუა, კლდესა ქარაფოვანსა. დასავლეთით კლდოვანი მინდორი უძევს და ამ მხრივ ბევრჯერ აუღიათ მტრებსაო. ლორის ციხიდან დებედა ჩრდილოეთით მიმდინარეობს. სანაინთან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ ბრუნდება და მიდის სულ ასე, სანამ ხრამს შეუერთდება.

მდ. ბედრუჯის ხეობა ერთი საუკეთესო ადგილთაგანია მთელ საქართველოში. როგორც სიმშვენიერით, ისე ბუნების სიმდიდრით, მაგრამ ახლა ქართველობისა არათუ. სახრავი, სახელიც აღარ დარჩა მას. ორივე მდინარის ქვემო წელი გაშლილია და ყანებით, ბაღ-ვენახებით და ხშირი სოფლებითაა მოფენილი.

დავშორდით სადახლოს და შევედით ბედრუჯის ხეობაში. ავყევით მდინარეს. ბუნება საუცხოვოა. თავი ძირულის მიდამოებში მეგონა. ტყეს სცვლის მწვანე სერი, სერს მინდორი, მინდორს ჩირგვნარი, ჩირგვნარს ისევ ტყე და მათ შორის ვეებერთელა ფიქალი კლდეები, ზოგი ბუნებით ჩამორეცხილი და ათასფრად დაღარულ-დასერილი და ზოგიც ხელოვნურად ჩამონგრეულ-ჩამომტვრეული რკინიგზის გაყვანის დროს.

ბუნება მდიდარია, თქმა არ უნდა, მაგრამ იმერეთის მცენარეთა სიუხვე მაინც არ არის. აქაური ტყე ხელოვნურად დარგული გგონია. იმერული ტყე კი თითქო გეუბნება: რა ვქნა, ამოვდივარ, მაგრამ ადგილი აღარ მყოფნისო. სათავედან სადახლომდე დებედას სულ ვიწრო ხეობაში უხდება დენა. იმისი ხეობა უფრო ვიწროა, ვიდრე ჩხერიმელას ხეობა.

ავყვეთ ხეობას. შეჰყურებ ამ კლდე-ღრეებს, სხვადასხვა ზომის, სისქის, ფერის და მოყვანილობის ქვებს, უთავბოლოდ გადახლართულს თიხასთან, ქვიშასთან, კენჭებთან და ძალაუნებურად კითხულობ მათ ამგვარად გარდაქმნის დიდად შორეულ ისტორიას.

აი, სალი კლდე, რომლის ფიქალ კედელსაც თავს ატეხს აქაფებული დებედა. კლდეს ზემოთ ერთი არშინის სისქეზე კენჭთა გროვა ფართო ნაკეცადაა მოთავსებული, ისე სწორად, თითქო კალატოზების გაკეთებულიაო. იმის ზემოთ სხვადასხვა ზომის ქვა და თიხა ერთმანეთში არეულა, უფრო ზევით კიდევ წმინდა თიხა მოჩანს, სქლად ნაკეცად გადასხმული, ზემოთ კი, შორს მაღლა, რაღაც შავი გელანდება ზოლივით — ეს არის ნიადაგი, რომელზედაც

მცენარეა ამოსული. ალაგ-ალაგ ძირიდან კენწერომდე სულ სალი კლდეა აპართული.

შეჰყურებ ამათ და ფიქრით შორს გარბიხარ. გადადიხარ იმ დროში, როცა მდ. დებედას ხსენებაც არ იყო. არც ეს მწვანით მოსილი მთები იყვნენ აქ აყუდებულნი. აბობოქრებული ლურჯ-ფეროვანი ზღვა ჰქუხდა და ღელავდა ამ ადგილებში. აი იქ, მთის შუა სისქეზე, სადაც კენჭთა ნაკეცი მოჩანს, ზღვის ტალღა შხუილით გადი-გადმოდიოდა და თევზთა გროვა ბოლოს ნაზი ქნევით ზედ დასრიალებდა. მერე როდის იყო ეს? რა ვიცი. მაშინ დროს არ ანგარიშობდნენ, რადგან მოანგარიშე არავინ იყო, თუმცა მზე ამოდიოდა და ჩადიოდა ისე, როგორც ახლა, მთვარეც ღამ-ღამ ანათებდა და ვარსკვლავებიც ციმციმებდნენ. მხოლოდ ადამიანი არსადა ჩანდა. მას შემდეგ გავიდა ასი ათასი წლები. ზღვა ცოტ-ცოტად დაშრა. კენჭზე ზღვის ტალღამ ქვიშა დაჰყარა და ისე მჭიდროდ მიამაგრა ერთმანეთს, რომ სალ კლდედ გადააქცია. ბოლოს ზღვა სულ დაშრა და ზღვის ძირზე კუს ზურგივით ამობურთული ზეგანი გაჩნდა. მოვიდა წვიმა, თოვლი, გაჩნდა უანგარიშო ნაკადული და ათასფერად დაღარა ჩვენი ახლად გაჩენილი ზეგანი. ნაკადულმა ცოტ-ცოტად კლდე ჩამორეცხა, გაჩნდა ნიადაგი, თავი ამოჰყო მცენარემ. ამ ნაკადულთა შეერთებისაგან გაჩნდა ჩვენი დებედა მდინარეც და იმ დღიდან შეუდგა თავის დამქცევ მუშაობას. რაც ზღვამ თავისი მრისხანე ტალღის ცემით ააშენა, იმას დებედამ თაგუნასავით ცოტ-ცოტად ხრა დაუწყო. ნელ-ნელა გააპო ზღვის მიერ გაშენებული კლდე და იმ ადგილამდი ჩაქლიბა, რა ადგილსაც ახლა ვხედავთ. მისი ურიცხვი შენაკადებიც ასევე მოქმედებდნენ და მათმა დაუღალავმა და ასი ათას წლობით შეუწყვეტელმა მუშაობამ შეჰქმნა ის უანგარიშო სხვადასხვა ზომის და სახის მთა, რასაც ვხედავთ ამ არემარეში. ადამიანი, საბრალო ადამიანი კი გაჩნდა მაშინ, როცა დებედა თითქმის ახლანდელ დონეზე მიდიოდა. ის დრო, რაც ადამიანმა თვლა ისწავლა და დროთა აღრიცხვა დაიწყო, იმ დროსთან შედარებით, როცა მდ. დებედა მუშაობას შეუდგა, სასაცილოზე სასაცილო გამოვა...

ავყევით დობრუჯას. წყვილი ორთქლმავალი ამ აღმართ-აღმართ ჭაპანწყვეტით მიათრევს რამდენსამე მოძრავ სახლს, ვაგონებად წოდებულს. გავიარეთ პატარა სადგური აირუმი. სადგური დობრუჯის პირას პატარა ვაკეზეა გაშენებული. იმ ერთბეწო ვაკეზედაც ბაობი გაჩენილა. რომელიც, როგორც გადმომცეს, ზაფხულობით საშინელ ციებ-ცხელებას აჩენს თურმე. ამბობენ, რკინიგზის ვერც ერთი მოხელე ერთ წელიწადს ვერ გასძლებს აქა: ან საიქიოს გაე-

ვგზავრება, ან საუკუნოდ დასნეულდებაო. ვგონებ იმ პატარა ქაობის ამოშრობას არც ისეთი ბევრი რამ უნდა. ჰოლანდიელები ხომ ზიუდერზეს ამოშრობას ფიქრობენ.

სად. აირუმს მოსდევს ახტალა. სადგურ ახტალიდან ორ-სამ ვერსის მანძილზეა ახტალის მონასტერი. ვახუშტი ახტალას აგარაკის ეკლესიას უწოდებს. ამ ეკლესიაში გორგასლანს დაუსვამს ეპისკოპოსი, რომელსაც შემდეგში მიტროპოლიტის ხარისხი მიუღია. ვახუშტის დროს იქ მხოლოდ ერთი მღვდელი ყოფილა. ახლა იქ რუსის ბერები ცხოვრობენ. ახტალის ტაძარს, როგორც ხუროთმოძღვრების ნაშთს, განცვიფრებაში მოჰყავს რუსის ისტორიკოსი მურავიოვი: არ იცი, როგორ დასტკბე მისის ცქერითაო. ამბობს ოგი *.

სად. ახტალას მოსდევს ახპატი, ხოლო ახპატს სანაინი. ვახუშტი ორივე ადგილს იხსენიებს: „ხოლო არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი, ეკკლესიანი გუმბათიანნი... გარნა აწ სხენან სომეხნი. არამედ მეფე ქართლისა დასვამს ეპისკოპოზსა მიწერითა ოქიკატერისათა (სომხის ქათალიკოზი) **“.

ადგილმდებარეობა ორივე სადგურს საუცხოო აქვს. სანაინი მოზრდილი სადგურია. ტფილისში შებმული ორთქლმავალი სანაინს იქით არ მიდის, ამიტომ აქ არის დეპო — ორთქლმავლის გამოსაცვლელი ადგილი, ამიტომ მატარებელიც კაი ხანს ჩერდება. კარგა ხანი ვუყურე დებედის ამწვანებულ და ალაგ-ალაგ ჩამოგლეჯილ ნაპირებს. შემდეგ დასავლეთით მივბრუნდი. ჩემ წინ ტყით და ბუჩქნარით დაბურული ლამაზი გორაკი აყუდებულიყო. მატარებლიდან ჩამოვედი, ამ გორაკისკენ გასეირნება განვიძრახე, მაგრამ წინ ხიშტიანი ჯარისკაცი შემეჩეხა და, სიმართლე უნდა თქვას კაცმა, ზრდილობიანად მითხრა: აქეთ სიარული არ შეიძლებაო. რატომ-მეთქი, დავეკითხე, — ამ მხრივ არავის უშვებენო. მიშოვიხედე. ლიანდაგის გასწვრივ ოცი-ორმოცი ნაბიჯის მანძილზე შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ. სულ არ გამხსენებია, რომ აქაც სამხედრო წესებია. მე კი ქალაქს რომ თავი დავაღწიე, ჩემი თავი თავისუფალ ქვეყანაში მეგონა. ბოდიში მოვიხადე, ისევ მეორე მხარეს გადავედი და დებედას შხუილს მიუპყარ ყური.

ტფილისიდან სანაინამდე 103 ვერსია, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან ხაშურამდე.

სადგურ სანაინში მშვენიერ ადუღებულ რძეს ჰყიდიან. ტფილი-

* მურავიოვი, „Грузия и Армения“. ** ვახუშტი, „გეოგრაფია“, გვ. 41.

სის წყალნარევი და ცივი ბორშჩით გამოკვებილი ძროხის რძის ნაჩვევმა, რაღა გასაკვირველია, რომ სანაინის რძის მირთმევის დროს სულ სხვა გემო იგრძნო. სამ-სამი ჭიქა ზედიზედ გადავხუხეთ მე და ჩემმა თანამგზავრმა და გზას გავუდექით.

ახლად შებმულმა ორთქლმავალმაც ახალი ძალით გასწია მატარებელს და სრიალ-სრიალით გაირბინა ბედრუჯის დაკლაკნული ნაპირები.

— კაცო, ეს რა ციხეა? — მეკითხება თანამგზავრი.

— სად არის ციხე?

— აი, ამ მთის გაყოლებაზე.

— ეს, ჩემო კარგო, ციხე კი არა, ბუნებრივი კლდეა. ამ სიგრძეზე გაჭიმული ციხე აქ კი არა, ნინევიაშიაც არ იქნებოდა.

— რას ამბობ! — მაინც არა სჯეროდა ჩემს თანამგზავრს, — განა ეს ხელით გაკეთებული ციხე არ არის?

მართლაც, ერთი შეხედვით ბედრუჯის მარცხენა ნაპირის ქედზე გაყოლებული ბუნებრივი კლდე ხელით გაკეთებულ გალავანს მოგაგონებს. სიმაღლე, სიმეტრია სულ გალავანს მიუგავს. ალაგ-ალაგ ასე გეგონება, თითქო კოშკებია ამართულიო, იმ სახით ამოჩხირულან ციცაბო კლდის ნაწილები.

სად. სანაინის შემდეგ სადგური კალაგერანია. მათ შუა 15 ვერსი მანძილია. ბუნებას თანდათან სხვადასხვაობა და მცენარეთა სიუხვე ეტყობა. განსაკუთრებით მდიდარია ბედრუჯის მარჯვენა ნაპირი. მარცხენა ნაპირი უფრო მწირია. აქ ბევრგან შეხვდებით სალ კლდეებს და მინდვრებს, ტყეც თხელია, სამაგიეროდ ამ მხარეზე ორგან-სამგან შევნიშნე მშვენივრად გაშენებული ვენახწალკოტი. აქაურ მინდვრებზე ბევრი ჯანსაღი საქონელია გაშლილი საძოვრად. კალაგერანის მახლობლად, იქით მიმავალი, ბედრუჯას მარჯვნივ ტოვებს. ის აქ ათასფრად დასერილ ოღრო-ჩოღროებში იკარგება და რკინიგზის ლიანდაგი ბამბაკის ნაპირებს მისდევს. აქ ზედიზედ რამდენიმე გვირაბია გათხრილი, ბამბაკის კალაპოტი ვეებერთელა ლოდებითაა სავსე, რომელზედაც მდინარე აქაფებული, საშინელი შხუილით გადადის. მისი შხუილი მატარებლის ხმაურობასაც აყრუებს და ვაგონშიაც მკაფიოდ ისმის. ბამბაკი თითქო ნიშნს გვიგებს: ათასი მანქანა მოიგონოთ, ამ მხარეში მაინც მე ვარ ბატონიო.

ლიანდაგი თანდათან მაღლდება, უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება, როგორც ჩხერიმელას ნაპირზე, მხოლოდ აქ ხევი უფრო ვიწროა და ამიტომ უფსკრულიც კაცს უფრო ღრმად და საში-

შრად ეჩვენება. აი ჩვენმა მატარებელმაც სიარულს მოუშვა, ნელ-ნელა მიიზლაზნება, თითქო კამეჩებშებმული ურემიაო. ხიფათის დროს, შენი მტერი, რა მოგივა: წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა უბედურება დატრიალდება. გზა ზედ ციცაბო კლდის პირასაა გაყვანილი, რომლის ძირში 50 — 60 საჟენის სიღრმეზე ბამბაკი დულს და გადადის. მშვიდობით გავიარეთ ეს ადგილი, ციცაბო ნაპირი ფერდობად შეიცვალა, ლიანდაგ ქვეშ ნიადაგი უფრო მკვიდრი გახდა და მატარებელიც აჩქარდა: დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ, დუ... იძახის ორთქლმავალი და უფრო ცქვიტად აბრუნებს ვეებერთელა ბორბლებს.

კალაგერანს მოსდევს შაგალი. აქ თავდება ტფილისის გუბერნია და, მაშასადამე, საქართველოც. ის მთის ქედი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ და რომელიც საზღვარი იყო ძველად ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს შუა, ბედრუჯის სათავესთან აღმოსავლეთით უხვევს. ამ ქედს აქ სხვადასხვა სახელი ჰქვიან — აგლაგანი, ავარდახი, ლობანი და სხვა. ბამბაკამდე ეს ქედი შეუწყვეტელია. აქ კი იძულებულია ცოტა ადგილი ბამბაკს დაუთმოს, შემდეგ ისევ გრძელდება და რამდენიმე მანძილის შემდეგ ორ ტოტად იყოფა, ჩრდილოეთისას ჰქვიან დაშკაში და სამხრეთისას ახარზამანი. ეს ქედი საზღვარია, ჩრდილოეთით ტფილისის გუბერნია, სამხრეთით ერევნისა.

შაგალს მოსდევს კარაკლისი. ამ ორ სადგურს შუა ბუნება როგორც სიმშვენიერით, ისე სიმდიდრით საუცხოვოა. ბამბაკის მარცხენა ნაპირზე ამართული მთები მთლად დაბურულია ტყით. აქა-იქ ხშირ ტყეს ნაძვნარიც ურევია, რომელიც ალაგ-ალაგ ზოლივით არის ჩატანებული დანარჩენ ტყეში, თითქო ხელოვნურად დაურგავთ და შორიდან თვალწარმტაცი შესახედავია. ამ ვიწრო ხეობაშიაც მოუხერხებია ბამბაკს საკმაოდ ჩამოერეცხა მთის ფერდები და აქა-იქ ერთი ბეწო ჭალებიც გაუკეთებია. მადლიერ ადამიანსაც შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია, მოუხნავა და იმ პატარა მუხუროზე რაღაც მწვანე ჯეჯილიც მოჩანს. წყლის პირადვე ორგანსამგან საუცხოვო საფუტკრეები შევნიშნე. მთელი დღიური ფერდობი ხეხილით იყო დამშვენებული და ხეების ძირას ასობით მოჩანდა ლამაზად გაკეთებული დადანის სისტემის სკა. მეფუტკრეობისთვის ეს ადგილი მართლაც და ხელსაყრელი უნდა იყოს. ბამბაკის მარცხენა ნაპირი შედარებით აქაც უფრო მწირია და თუმცა ტყეც გაცილებით თხელია, მაგრამ სამაგიეროდ ხეები უფრო დიდრონებია, ვიდრე მარჯვენა ნაპირებზე.

რაც უფრო ზევით ვიწევდით, ბამბაკი მით უფრო ჩქარი ხდებოდა. ერთ ალაგას ჩანჩქერად ვარდება ორ-სამ საჟენის სიმაღლიდან.

აი, უახლოვდებით კარაკლისს და სურათიც მთლად იცვლება. ბამბაკის მარცხენა ნაპირი სულ ტიტველი ხდება, მარჯვენა ჯერ კიდევ დაბურულია ტყით, მაგრამ თვალი უკვე ამჩნევს ადგილს, სადაც ტყე თავდება და იმ მხრივაც ტიტველი მინდვრები იწყება.

კარაკლისი მოზრდილი დაბაა. არის საკმაო დუქნები, ლამაზი სააგარაკო სახლები. ორი გუმბათიანი ეკლესია და მოკირწყლული ქუჩები. ერთ დროს ეს დაბა ქალაქობასაც მოინდომებს. კარაკლისი სწორედ იმ ადგილასაა, სადაც ბამბაკი ჩრდილოეთისკენ უხვევს. ეს დაბა რკინიგზის გაყვანამდისაც მნიშვნელოვანი იყო. ამაზე გადის გზატკეცილი, რომელიც ტფილისიდან ჯერ მტკვრის გაყოლებაზე მიდის მდ. აქსტაფამდე. აქსტაფის გაღმა ეს გზატკეცილი ორად იყოფა, ერთი მიდის განჯაში, მეორე უხვევს სამხრეთით და მდ. აქსტაფის ნაპირს მისდევს დელეჟნამდის. აქაც გზატკეცილი ორად იყოფა: ერთი მიდის ერევნისაკენ, ხოლო მეორე ბრუნდება დასავლეთით და კარაკლის-გუმბრით მიიმართება ყარსისაკენ. კარაკლისის შემდეგ რკინიგზის ლიანდაგიც გვერდით მისდევს ამ გზატკეცილს.

კარაკლისი ერთი საუკეთესო ალაგთაგანია და ზაფხულობით აქ ბევრი ხალხი იკრიბება. ტფილისიდანაც ბევრი მოდის. უფრო მეტიც მოვიდოდა, ცოტა ახლო რომ იყოს. ტფილისიდან კარაკლისამდე 141 ვერსია, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ტფილისიდან მარელისამდე. კარაკლისის ახლომახლო სამკურნალო მეავე წყლებსაც ამბობენ. ბამბაკში ბევრ კალმახს იჭერენ. კარაკლისი კაცს დაბლობზე მოეჩვენება, ნამდვილად კი ზღვის ზედაპირიდან 614 საჟენის სიმაღლეზეა, ე. ი. თითქმის კოჯრის სიმაღლეზე.

კარაკლისთან მდ. ბამბაკი, როგორცა ვთქვით, აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით უხვევს. გასცდები თუ არა კარაკლისს, ბუნება იცვლება: ტყე ჰქრება, ხეობა ფართოვდება. მდ. ბამბაკი, რომელიც ერთი კისერტეხით გადადიოდა ლოდიდან ლოდზე და შხუილით აყრუებდა არეს, ახლა დინჯად მისრიალებს. ხევი ველად იქცა, რომელიც თანდათან ფართოვდება და ალაგ-ალაგ მისი სიგანე რამდენიმე ვერსამდე უწევს. ეს ველი სახით ძირმომრგვალო ნავსა ჰგავს. გაგრძელებულია კარაკლისიდან დასავლეთით მცირე კავკასიის გადასავალამდე 41 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით და სამ-

ხრეთით შეზღუდულია საკმაოდ დიდრონი მთებით, რომელიც თავის კალთებით თანდათან უერთდება ამ ველს. ამ ფერდობებზე ნახევარი წლის განმავლობაში თოვლი ძევს, მიუხედავად ამისა, ნიადაგი მეტად ნაყოფიერია და ხვნა-თესვას ძლიერ მისდევენ. მითხრეს, მათ-სის დამლევსაც ალაგ-ალაგ ვერ მოასწრებს თოვლი დადნობასაო. ერთგან რომ მწვანე ჯეჯილი ბიბინებს თურმე, მეორეგან იქვე გვერდზე გრძელ ნაჭრად თოვლი ძევს ხოლმე.

ამ ველზე მცირე კავკასიის გადასავალამდე ორი სადგურია და ორიც ნახევარსადგური. კარაკლისს მოსდევს ამამლი. კარაკლისი-დან ამამლამდე 18 ვერსია. ამამლის სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან 711 საჟენია, ე. ი. 96 საჟენით უფრო მაღალია, ვიდრე კარაკლისი. მიუხედავად ამისა, ბამბაკი საკმაოდ მდორედ მიდის. ამამლის ახ-ლომახლო უდაბნო ხრიოკი ადგილებიც არის. ხე-ტყის ხსენება ხომ სულ არ არის, მაგრამ სადგურთან მშვენიერი ბაღი გაუშენებიათ და მცენარეს კარგადაც გაუხარია. ალუბალი საკმაოდ გაზრდილია და მისი თეთრად გაშლილი ყვავილი არეს ამშვენებს.

ამამლისთან გამოვეთხოვეთ მდ. ბამბაკს, რომელიც ჩრდილო-ეთით რჩება. გავიარეთ პატარა ხევი ხრიოკმთებიანი და ველი ძალე გაფართოვდა. აქა-იქ ჭალებიცაა ატეხილი. ჯერ თოვლი სულ ვერ აუღია. მაგრამ ზაფხულში ჩინებული საძოვრები უნდა იყოს აქ. მინდორი, საცა თოვლი დამდნარია, ნაზი მდელოთი გადახავერდე-ბულა და ზედ მრავალი ცხვრის ფარა სძოვს. აგერ პატარა ბატკნე-ბიც ხარბად დასწაფებიან ნორჩ მდელოს. ერთ სასაცილო სცენასაც მოვკარი თვალი. რკინიგზის ლიანდაგის შორიახლო ერთ მწყემსს ოციოდე გვარიანად წამოჩიტებული ბატკანი შეეყოლებინა საბა-ლაზოდ. მატარებლის მიახლოებაზე ბატკნები დაფრთხნენ და გა-რეტიანებულები სქლად შეჯგუფდნენ და მატარებლისკენ გამოე-ქანნენ. მწყემსს, ზორბა ბიჭს, ალბათ კარგად სცოდნოდა, რა ჭკუის პატრონ პირუტყვებთან ჰქონდა საქმე და მსხვილი მათრახი წინ-დაწინვე დაემზადებინა. მარჯვედ გადაეღობა წინ გროვად მომავალ პირუტყვებს, თან ცალი ხელით იჭერდა და თან მეორეთი რაც ძა-ლი და ღონე ჰქონდა ბატკნებს მათრახს ცხვირ-პირში სთავაზობდა. მიუხედავად ამისა, ბატკნები მაინც თავისას არ იშლიდნენ, მთელი ძალ-ღონით ერთმანეთს აწვებოდნენ და მატარებლისაკენ მიეშუ-რებოდნენ. მწყემსს მთელი თავისი ძალ-ღონე დასჭირდა, რომ უგუნური პირუტყვები აუცილებელ დაღუპვისაგან გადაერჩინა.

ველი ძლიერ გაფართოვდა. შუაში რაღაც პატარა ღელეც მო-ჩანს. მივდივართ თანდათან მაღლა. ამამლიდან 18 ვერსის მანძილ-

ზეა სად. კალტიხჩი. ამაზე მაღლა არც ერთი სადგური არ არის ტფილის-ჯულფას გზაზე. კალტიხჩი ზღვის ზედაპირიდან 833 საჟენის სიმაღლეზე მდებარეობს. ბაღი აქაც გაუშენებიათ. ირგვლივ მდიდარი საყანე და საბალახე ადგილებია. ჩვენ წინ უკვე მოჩანს მცირე კავკასიის ქედი, რომლის ქვეშაც დიდი გვირაბია გაყვანილი.

კალტახჩიდან დავიძარით. უახლოვდებით დიდ გვირაბს. მთის ფერდობებიდან აქა-იქ ანკარა წყაროები მოწანწკარებენ. საათი მოვიმარჯვე, ერთი წამიც და გვირაბში შევყავი თავი. გვირაბი საკმაოდ დიდია. ოთხ-ნახევარი წუთი მოუნდა ჩვენი მატარებელი იმის გავლას. მცირე კავკასიის ეს მთა წყლის გასაყოფელია მტკვრისა და არეზს შუა. ამ მთის აღმოსავლეთით ყველა წყალი მტკვარში ჩადის, ხოლო დასავლეთით არეზში, მაშასადამე, ტფილის-ჯულფის გზის უმაღლესი წერტილია ამ გვირაბის შუაგული, რომელიც დაახლოებით 840 საჟენის სიმაღლეზე იქნება შავი ზღვის ზედაპირიდან.

მთა, რომლის ქვეშაც გაყვანილია დიდი გვირაბი, ვაინცადამაინც მაღალი არ არის. მაისის დამდეგს მთა თავისუფალია თოვლისაგანაო, მითხრეს. გზატკეცილი მიხვევ-მოხვევით ზედ ამ მთაზე გადადის. ეს მთა უღელტეხილივით ძევს ორ დიდ მწვერვალ შუა, ჩრდილოეთით არის მწვერვალი მუღატენექი და სამხრეთით კაპანაკი. მათ შორის ოც ვერსამდე იქნება. კაპანაკი საკმაოდ მაღალი მთაა. იმის მწვერვალზე თოვლი ზაფხულშიაც არა დნება.

გავიარეთ დიდი გვირაბი და ჩვენ თვალწინ გაიშალა ფართო ზეგანი, რომლის აღმოსავლეთითაც კაპანაკია ამართული, ჩრდილოეთით ტიშტაპის მთის გაგრძელება, სამხრეთით და დასავლეთით უთვალავ პატარ-პატარა უთავბოლოდ მიყრილ-მოყრილი სერ-გორაკები. ზეგანი საკმაოდ სწორია. რასაც თვალი უწვდება, ხე-ტყის ჭაჭანება არ არის, თუმცა ყველგან საშინელი ერთფეროვნებაა, მაგრამ ამ ერთფეროვნებასაც თავისი მიმზიდველობა აქვს და სიამოვნებით შეჰყურებ ამ ფართოდ გაშლილ არემარეს. ზეგანზე ბევრი დიდი სოფელია გაფანტული. თუგინდ თითზე ჩამოთვლი ყველას, ისე ნათლად ჩანან აქედან. ზეგანის შუა გულში კი ქალაქი გუმბრი (ალექსანდროპოლი) * გაჭიმულა, რომელიც დიდი გვირაბიდანვე კარგად ჩანს. დიდ გვირაბიდან გუმბრამდე ერთი სადგურია, — ჯაჯური, რომელიც გვირაბის მახლობლადაა, და მეორე პატარა სადგური — ორთაილისა. ამ პატარა სადგურიდან გუმბრამდე სულ

* ახლა ლენინაკანი.—რედ.

9 ვერსია. გვირაბის შემდეგ გზა დაღმართია. ჩვენმა მატარებელმაც იდროვა. სანაინიდან აღმართ-აღმართ იკვნესა, ახლა კი სამაგიეროდ ცქვიტად გაქანდა და თა-თა-თა, ა-თა-თა-თა-ს ძახილით გუმბრისკენ გაგვაქანა.

გუმბრი მოზრდილი ქალაქია, ოცდაათი ათასზე მეტი მცხოვრები იქნება. შორიდან საკმაოდ ლამაზი მოჩანს, აქა-იქ გუმბათიანი ეკლესიაც ამშვენებს ქალაქს, მაგრამ ახლო რომ მიხვალ, ხელში შეგრჩება მოუკირწყლავი ქუჩები, სადაც წვიმის დროს გაუვალი ტალახი ჩნდება თურმე, და ქოხმახები. ათიოდ გვარიანი სახლი საერთო სურათს, რასაკვირველია, ვერა სცვლის. რკინიგზის სადგური და სხვა მისი შენობანი კარგად და რიგიანადაც არის მოწყობილი.

გუმბრი შეუერთდა რუსეთს 1828 წელს თურქმენჩაის ხელშეკრულებით, ხოლო 1829 წელს, ანდრიანოპოლში დადებული ზავის შემდეგ, გუმბრში გადმოსახლდნენ ოსმალეთიდან სომხები. 1837 წელს რუსებმა აქ გააშენეს ციხე, რომელსაც ალექსანდროპოლი დაარქვეს და მას შემდეგ ეს სახელი ოფიციალურად მთელ ქალაქზე გადავიდა. თავდაპირველად გუმბრი „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიის სამაზრო ქალაქი იყო და მხოლოდ 1850 წელს ერევნის გუბერნიას შეუერთეს.

გუმბრის ირგვლივ, როგორც ვთქვით, ხელისგულივით ტიტველი მინდვრებია, მშვენიერი საძოვრები და საბნავ-სათესი. ამიტომ რძე აქ იაფია და კარგი თვისებისაც. გუმბრს დასავლეთით ჩაუდის მდ. არფაჩაი, რომელიც გამოდის არფაღელის ტბიდან. არფაღელეში ირგვლივ მდებარე მთებიდან ბევრი ნაკადული ჩამორბის. არფაჩაი ჯერ აღმოსავლეთით მიმდინარეობს, შემდეგ სამხრეთით ბრუნდება და ჩამოდის გუმბრზე. გუმბრიდან არფაღელის ტბამდე, პირდაპირ რომ გავზომოთ, 40-45 ვერსი იქნება.

არფაღელის ტბა დიდი არ არის, რამდენიმე ვერსი იქნება სიგრძე-სიგანით. იმის დასავლეთით საკმაო დიდი მთებია, რომლის მეორე მხარესაც გაშლილია მოზრდილი ტბა პალაკაციო, რომელსაც ოც ვერსამდე სიგრძე ექნება ჩრდილოეთის მხრივ და ათ ვერსამდე სიგანე. სამხრეთით კი ტბა თანდათან ვიწროვდება. ამ ტბას ახლა ჩალდირგელს ეძახიან.

ამ ორ ტბის ირგვლივ არემარეს ძველად აბოცი ერქვა და შეადგენდა ჯავახეთის სამხრეთ კუთხეს. აბოცის აღმოსავლეთის საზღვარს შეადგენდა ის მთა, რომელშიაც ახლა დიდი გვირაბია გაყვანილი და რომელსაც ძველად ირჯანის მთა ანუ ყარაღაჯი ეწოდებო-

და. ამ მთის აღმოსავლეთით, როგორც წინათ მოვიხსენიეთ, ბამბაკის საკმაო ფართო და დასახლებული ხეობაა გაჭიმული. ამ ხეობას ძველად ტაშირი ერქვა. ესეც უკანასკნელი კუთხე იყო ქართლის მიჯნაზე.

ეს ორი პროვინცია, აბოცი და ტაშირი, ვახუშტს საქართველოს ნაწილად მიაჩნია. იგი ამბობს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართულის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა ზნითა ქართულითა“ *.

სწორედ ამ ორ, პურითა და პირუტყვით საკმაოდ მდიდარ, პროვინციის სამხრეთით გასასვლელ კართან იყო გაშენებული გუმბრი და, უეჭველია, ძველიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი იქნებოდა როგორც სავაჭროდ, ისე სტრატეგიული მხრივ. გუმბრს დღეს უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გუმბრიდან ჯერ მდ. ბამბაკის და შემდეგ ბედრუჯის ხეობით ადვილი გასასვლელია ქართლ-კახეთში, ხოლო არფაჩაის ხეობით ჯავახეთის მდინარის ხეობამდე და იქიდან ახალქალაქით მტკვრამდე, შემდეგ ახალციხემდე და ბორჯომამდე. გუმბრიდან სამხრეთ-დასავლეთით გზა მიდის ყარსისკენ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ერევნის და ჯულფისაკენ. ამნაირად გუმბრი შესაყრელი გზაა ტფილის-ყარსის, ტფილის-ერევნის, ერევან-ახალციხეს და ყარს-ახალციხეს შორის. ტფილისა, ბორჯომსა და გუმბრს შუა სწორი ხაზი რომ გავატაროთ, მივიღებთ წოწლოკინა, გვერდებ სწორ სამკუთხედს. თავში გუმბრი იქნება, ძირს, იქით-აქეთ, ტფილისი და ბორჯომი. ტყუილად კი არ ამბობენ, რომ მთავრობა ბორჯომიდან გუმბრამდე რკინიგზის გაყვანას აპირებსო. მაშინ ორის მხრივ შესაძლებელი იქნება ერთსა და იმავე დროს გუმბრში ჯარის ჩაყვანა. ამჟამად გუმბრში საკმაო ჯარი დგას, როგორც კავალერია და არტილერია, ისე ქვეითი.

დავიძარით გუმბრიდან. ყარსისა და ერევნის გზები ჯერ ტყუპად მიიმართებიან. გავიარეთ რამდენიმე ვერსი და ყარსის გზამ მარჯვნივ მოუხვია, ჩვენ კი არფაჩაის ნაპირებს გავყევით, ირგვლივ არემარე მწვანე ჯეჯილითაა გადაბიბინებული. მივაღწიეთ იმ ადგილამდის, სადაც ყარსჩაი და არფაჩაი ერთდებიან და ბუნებასაც შესამჩნევი ცვლილება დაეტყო. გაჰქრა მწვანე ველ-მინდვრები, სამაგიეროდ გაჩნდნენ ხრიოკი მთა-გორები. გუმბრს მისდევს სადგური აგინი, რომელიც ზღვის ზედაპირიდან 674 საჟენის სიმაღლეზეა, ცოტად მაღალია კარაკლისზე; მაგრამ გუმბრზე 37 საჟენით

* ვახუშტი, „გეოგრაფია“ გვ. 46.

დაბალია. ამ ადგილამდი სოფლებიც ხშირია, მიწაც დამუშავებული, აქა-იქ სოფლებში პატარა ხეებსაც მოჰკრავ თვალსა. მაგრამ ქვემოთ კი ზედიზედ სამი სადგური: ანი, ალაგეზი და ყარამურუნი სადგურ არაქსამდე, 65 ვერსის მანძილი... ღმერთმა დაიფაროს! არა მგონია, სადმე კიდევ მოიძებნებოდეს ამ ადგილზე უფრო მწირი და მოსაწყენი რამ. უნდა შევნიშნოთ, რომ კარაკლისიდან აგანამდე თითქმის სულ სომხობა სახლობს, აქედან კი ეს ხრიოკი და ვერანი ადგილები ქურთებს დაუჭერიათ.

ტფილისში ხშირად შემხვედრიან მეეზოვე ქურთები. მიკვირდა მათი აშკარა ჩამორჩენა და უხალისობა წინმსვლელობისადმი. ერთმა, როდესაც უთხარი — წერა-კითხვას გასწავლი-მეთქი, გადაჭრით მითხრა: არა, არ მინდა, წერა-კითხვა რა საჭიროაო. მაშინ მიკვირდა, მაგრამ როცა თვალი მოვავლე იმ ადგილებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, დავრწმუნდი, რომ აქ დაბადებულ და გაზდილ კაცს მეტს ვერაფერს მოსთხოვ. მაღლა აიხედავ — მზე, თუ მზიანი დარია, დაბლა დაიხედავ — ქვა, განზე გაიხედავ — კლდე, მარჯვნივ — ქვა, მარცხნივ — ქვა, ახლო — ქვა და შორს — ქვა... ალაგ-ალაგ ხავსივით რაღაც ჯაგრის მსგავსი, გამხმარი ბალახი ამოჩხირული გულსაკლავად ლოდებს შუა. მცენარე ხომ არ არის და არ არის. ეძებ თვალით სადმე ან წყაროს, ან მდინარეს — შენც ნუ მომიკვდები. მაგრამ აი, რაღაც ხიდივით მოჩანს. მართლაც ხიდია, მკვიდრად და ლამაზად გაკეთებული. გიხარიან, წყალს დავინახავთ და თვალებს სჭუეტავ, მაგრამ იმედი გიცრუვდება: ხიდზე მართლა გადიხარ, მაგრამ წყალს კი ხიდქვეშ წამლად რომ გინდოდეს, ერთს წვეთსაც ვერ იპოვნი. აქ წყალი მხოლოდ ნიაღვრის დროს მიდის და ერთი-ორი საათით, სხვა დროს მდინარის მაგივრად მშრალი ქალაპოტია პირდაღებული. უწყლო მდინარე ხომ იგივეა, რაც უფულო ქისა...

ეჭვს გარეშეა, ამ ადგილებში, როგორც სხვაგან კავკასიაში, ერთ დროს წყალი იდგა. ალაგ-ალაგ აქ შეხვდები საინტერესო სხვადასხვა ზომის, ქვაბივით ჩაღრმავებულს ადგილს; ზოგს რამდენიმე ვერსი სიგრძე-სიგანე აქვს, ზოგსაც რამდენიმე ათეული საჟენი. ეს ჩაღრმავებული ადგილები სხვადასხვა ზომის ქვებითაა ამოხორგილი, რაც ნათლად ამტკიცებს, რომ ეს ადგილები დამშრალი ტბის ძირებია. კარგად რომ დაუკვირდები მათ მიდამოს და მოხაზულობას, ასე გეგონება, ახლახან იდგა აქ წყალიო. ქვებიც შორიდან ჯერ კიდევ სველი მოგეჩვენება. ნამდვილად კი, ადვილად შესაძლებელია, მილიონი წელიწადი გავიდა მის შემდეგ, რაც აქ წყა-

ლი იდგა. მხოლოდ სხვადასხვა მიზეზისა გამო ნიადაგი და მცენარეულობა ვერ გაჩენილა და ასე ხრიოკად დარჩენილა. მიუხედავად ალაგ-ალაგ საკმაო მაღალ, რა თქმა უნდა, მიწის და ხრიოკ მთებისა, ეს ადგილები გაგრძელებაა გუმბრის ზეგანისა. ზეგანი თანდათან დახრილია სამხრეთისაკენ. სადგური ანი, მაგალითად, 662 საჟენის სიმაღლეზეა ზღვის ზედაპირიდან. ალაგეზი — 587-ზე, კარაბურუნი — 510, ხოლო არაქსი — 422-ზე.

მივდივართ. შევყურებ ამ ერთფეროვან მოსაწყინარ ბუნებას, ამ მშრალ ქვებს და ასე მგონია, მთვარეზე ვარ-მეთქი. ვიცი კი, რომ ამ არემარეშიაც ცხოვრობს ადამიანი. თვალს მოჰკრავ ადამიანების ქოხმახებს ზოგან შორს რკინიგზის ლიანდაგიდან, ზოგან ახლო. ვხედავ ამას და უნებურად ვეკითხები ჩემ თავს. უეჭველია, ამ კუთხეში ცხოვრობს ადამიანი, კბილები და კუჭიც, დარწმუნებული ვარ, ექნება, მერე ნეტავ, თავს რითი ირჩენს? არა მგონია, რომ ამ შავი ქვების ჩახრამუნებით იმტკბარუნებდეს პირს. მაგრამ ქვეყანა განგებას არც ისე უპატრონოდ მიუგდია. აი მარჯვნივ ქვებით ჩახორგილი ჩაღრმავებულია. იმის გვერდით საკმაოდ მოზრდილი ფერდობი ჩანს. ქვა აქაც საკმაოა, მაგრამ რაღაც ბალახის მსგავსიც ამოჩხირულა აქა-იქ. ამას აქ თამამად მინდორი დაერქვა. თუმცა გელისამრევი რუხი ფერი ადევს ამ მინდორს, მაგრამ ამ ერთი ბეწო ცვლილებამაც ცოტაოდენად წამახალისა, სახეზე ღიმმა გადამირბინა და მინდორს დავაცქერდი. შორს მოთეთრო წერტილები გავარჩიე. ეჰ! დალახვრა ღმერთმა, იქაც ქვები ყოფილა, გამიელვა თავში. მაგრამ ამ წერტილებს მოძრაობა შეეტყო. ბედზე ლიანდაგმაც იქითკენ გაუხვია, წერტილები გადიდნენ და ჩქარა ჩემ თვალწინ გაიშალა მშვენიერი ცხვრის ფარა, რომელსაც დაგლეჯილ ტანისამოსში შემოსილი მწყემსი დარაჯობდა. მწყემსის და ცხვრების ყურადღებას ახლა ჩვენი ჭექა-ქუხილით მიმქროლავი მატარებელი იქცევდა. ყველანი ჩვენ შემოგვჩერებოდნენ, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური ცხვრები უფრო ჭკვიანები გამოდგნენ, ვიდრე ტაშირის მათი ამხანაგები და მწყემსსაც მათი ასალაგმავი მათრახი არ გააჩნდა. აი თურმე რა არჩენს აქაურ კაცს. გამახსენდა, რომ ცხვარს ასეთ ხრიოკზე ამოსული ბალახი ძლიერ უყვარს. მოგახსენებენ, რომ კასტილიის ზეგანიც, ესპანიაში, ასეთი ხრიოკებისაგან შესდგება, მაგრამ იგი ძვირფას მატყლოვან მერინოსის ჯიშის ცხვრის სამშობლოდ ითვლებოდა.

ამ ზეგანის აღმოსავლეთით თოვლით შელესილი ალაგებია ამართული.

აი მივაღწიეთ სადგურ არაქსს, და ბუნებას ისევ ცვლილება დაეტყო. თვალწინ გადაიშალა უზარმაზარი ველი, მდინარე არეზის ნაპირზე გაჭიმული. ამ დაბლობს სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე დაახლოებით 160 ვერსი ექნება, ხოლო სიგანე მაქსიმუმი ეჯმიაწინთან 50 ვერსი და მინიმუმი რუსეთ-სპარსეთის საზღვართან, არარატის აღმოსავლეთით, ათი ვერსი. ზოგან კი, როგორც მაგალითად ნახჭევნის ჩრდილოეთით, მთის კალთების ნაწყვეტები არეზის მარცხენა ნაპირამდისაც კი შეჭრილა, მაგრამ ეს გორაკები ერთი რომ მაღალი არ არის და მეორეც, ისეა დასერილი ხევ-ველებით, რომ ჩვენც საერთო დაბლობს ვაკუთვნებთ.

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი განვლილ ადგილებს. კუმისიდან (ტფილისის მახლობლად) დაწყებული ადგილი თანდათან მაღლდება დიდი გვირაბის შუაგულამდე 160 ვერსის მანძილზე. კუმისი, მაგალითად, 229 საჟენის სიმაღლეზეა ზღვის ზედაპირიდან, ხოლო დიდი გვირაბი, ყარაღაჯის მთის ქვეშ, როგორც ვთქვით, 840 საჟენის სიმაღლეზე. მაშასადამე, დიდი გვირაბი კუმისზე 611 საჟენით მაღალია, თითქმის სამჯერ მეტი. ეს ორი სიმაღლე ერთ ადგილას რომ ავმართოთ, განსაცვიფრებელი უფსკრული წარმოგვიდგება ერთიდან მეორემდე, მაგრამ 160 ვერსი სიგრძე ისე ათანდათანებს ამ განსხვავებას, რომ ორთქლმავალს, თუმცა კვნესით, მაგრამ მაინც თავისუფლად მიაქვს ათობით ბარგი, საქონლით და ადამიანით დატვირთული მოძრავი სახლები და მიაქვს საათში 25 ვერსის სიჩქარით. გვირაბის შუაგულიდან კი, როგორც ვთქვით, დაღმართთან გვაქვს საქმე. და 840 საჟენი სადგურ არაქსთან 422 საჟენამდე ეშვება. გვირაბიდან არაქსამდე კი 114 ვერსია.

ამრიგად, საერთოდ იმ ამობურთულს, რომელიც მცირე კავკასს უკირავს და რომელიც ათასფრად არის დასერილი სხვადასხვა ზომის, სიმაღლის, სახის და აღმონაცემის მთით, განი 274 ვერსამდე ექნება.

მდინარე არეზს რუსები, როგორც ვიცით, არაქსს ეძახიან. სადგურისათვის არაქსი იმიტომ დაურქმევიათ, რომ ამ ადგილიდან სწორედ არეზის სამფლობელო იწყება, ხრიოკი ადგილები წყლის და კარგ ნიადაგის შემწეობით მწვანე მინდვრებად და ბაღ-წალკოტებად იცვლება. თვით მდინარე არეზი სადგურიდან ჯერ კიდევ შორს არის. მდ. არეზამდე აქედან თუთხმეტ-ოც ვერსამდე იქნება. ასევეა სადგურები ალაგეზი, ანი, ეჯმიაწინი, არარატი. არც ერთი ჩამოთვლილი ადგილები სადგურის მახლობლად არ არის.

არეზის ზემოხსენებული ველი ყოველმხრივ შემოზღუდული

მაღალი მთებით. ეს ველი ერთ საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს მთელ ერევნის გუბერნიაში. ნიადაგს მოთეთრო, ფერფლისფერი ადევს და საკვირველიც არ არის, რადგან სწორედ ფერფლი უნდა იყოს. ამ დაბლობის ნიადაგი უნდა შემზადებულიყო იმ დროს, როცა ჩრდილოეთით ალაგეზი, ხოლო სამხრეთით არარატი უხვად აფრქვევდნენ ფერფლს და ერთ მშვენიერ დღეს იქნება კიდევ გაიმეორონ კარგა ხნით მივიწყებული მოქმედება. მაშასადამე, არეზის ველის ნიადაგი ვულკანისაგან ამონაფრქვევი ფერფლია და რაღა გასაკვირველია, რომ ძლიერ ნაყოფიერი იყოს. მართლაც, მთლად ეს ველი ერთ განუწყვეტელ ბაღ-წალკოტს და სახნავ-სათესს მინდორს წარმოადგენს. აგერ სქლად ბიბინებს თვალუწვდენელ სივრცეზე ფირუზივით მწვანე ხორბლის ჯეჯილი, იქ რაღაც ათასფრად დაღარული, სუფთად გადაფარცხული ადგილი მოჩანს, ზოგან დაღარულ ნახნავზე სარწყავი წყალი მიუშვიათ და მთლად წყლით დაუფარავთ. ეს გახლავთ ბრინჯის სათესად გამზადებული ნიადაგი. ბევრი შრომა სჭირდება ამ ბრინჯს. აგერ წყალში ჩამდგარა მუხლამდე ფეხშიშველა ჭაღარა გლეხი და რწყავს მინდორსა. არა ვგონებ, ამ მარტის დამლევს მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას გრძნობდეს ამ ძალაუნებურ ჰყუმპალაობით, მაგრამ სხვა გზა არ არის, ასე რომ არ მოიქცეს, ფლავსაც ვერ მიირთმევს.

აქაურ ნიადაგს ძლიერ ხელს უწყობს წყლის სიუხვე. ჯერ ველის შუაგულში მიიზლაზნება თვით არეზი. ყარადაგის მთებით შეკიწროებული აქ ფართოდ იშლება და უანგარიშო არხებია გაყვანილი აქეთ-იქით მინდვრების მოსარწყავად. ჩრდილოეთიდან ჩამორბის მდინარე ავარანსუ, რომელიც ეჯმიაწინს დასავლეთით ჩაუდის. ავარანსუს შესართავიდან შვიდი-რვა ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით, არეზს ერთვის ზანგა. ზანგა გამოდის გელაქუნის ტბიდან. ეს ის ზედმეტი წყალია, რაც გოქჩის ანუ გელაქუნის ტბაში არ ეტევა და მდინარე ზანგის სახით ტბიდან გადადის. ერევნის ქვემოთ მდინარე დინჯდება. აქედანაც ბევრი სარწყავი არხია გაყვანილი ზანგის შესართავიდან აღმოსავლეთით 6-7 ვერსის მანძილზე. არეზს ერთვის გიარნიჩაი, რომელიც გამოდის ახალ ბაიაზეთის დასავლეთით ხრიოკ მთებიდან.

სამივე ჩამოთვლილი მდინარე წყლით საკმაოდ უხვია. ავარანსუ და გიარნიჩაი ლიახვს არ ჩამოუვარდებიან, ზანგა თითქმის არაგვსაც დაეტოლება. ამ ჩამოთვლილ მდინარეთაგან გაყვანილი არხები და არეზის არხები ერთმანეთშია თითქმის შერეული და ამიტომ მთლად ეს მიდამო ერთ ვრცელ არხთა ბადეს წარმოადგენს.

ამიტომაც მთელ ერევნის გუბერნიაში ყველაზე უფრო სქლად ეს ადგილია დასახლებული. აქ დიდი სოფლები ზედიზედ მისდევენ ერთმანეთს. ბუნებრივი ტყე აქ არის მხოლოდ. აქა-იქ მოჩანს ხელოვნურად გაშენებული ალვის და ვერხვის ტყესავით რაღაცა. სამაგიეროდ, სოფლები შემორტყმულია მშვენიერი ბაღ-წალკოტებით და ზვრებით. აქაური ხილი ხომ განთქმულია. რკინიგზის შემწეობით აქაურ ატამს ქალაქშიაც ვგემობთ.

აქაური ზვრები თავისებურია. ვაზი მიწაზეა გაშლილი, ვის გაუგონია ან ჰიგო, ან სარი. მაღლარისა ხომ ხსენებაც არ არის. ვენახს ეტყობა ძლიერ უვლიან. ყოველი ძირი სუფთად გასხლილი ცალკე ოთხკუთხედ, დაბარულ, გათოხნილ და მწვანილის სათეს დაღდაგივით გაბზადებულ ალაგზეა გაწოლილი. სიმართლე უნდა თქვას კაცმა, საითაც კი მიიხედავ, ყველგან დამუშავებულ ადგილს ხედავ. ერთ ნაჭერს ვერ იპოვნი, რომ კაცის ნაოფლარი არ ეტყობოდეს, კაცი შრომას არ ზოგავს, სამაგიეროდ ბუნებაც, როგორც ეტყობა, ერთი ორად აჯილდოებს. ვიმეორებ, ამ ველის მობიბინე საღი ჯეჯილი ახლაც თვალწინ მიდგა.

ამ ადგილებში ერთი ხალხი არა ცხოვრობს, აქ ერთმანეთში არიან არეულნი ქურთები, სომხები, თათრები. ამიტომაც ერთგან რომ სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი (აღდგომა იყო) საყდრისკენ მიეშურებოდა, იქვე ქურთი ან თათარი, ხელ-ფეხ წაკაპიწებული, ან ბრინჯს რწყავდა, ან უღელ კამეჩშებმულ იმერულ კავის მსგავს სახნისით დიკა პურის ადგილს ხნავდა. მაგრამ ერთი დიდი ნაკლი კი აქვს ამ დიდ ველს, ნიადაგი ნოტიო და ციებ-ცხელებიანია, თუმცა ერთი წერტილიც არ მოიძებნება აქ, რომ ტფილისზე ასი საჟენით მაინც უფრო მაღალი არ იყოს. არხები და ბრინჯის ყანები ხელს უწყობენ ციებ-ცხელებას.

დავიძარით სად. არაქსიდან. ფანჯარას არა ვშორდები. მარჯვნივ კარგი სანახავებია, მარცხნივ კიდეე უკეთესი. ზოგან ისე რიგზეა ჩამორიგული ალვის ხეები და ისე ხშირად, რომ ჩემი თავი სამეგრელოს სოფელ ხორგაში მეგონა, მხოლოდ ხორგას ირგვლივ უდაბური ტყე არტყავს, აქაურ სოფლებს კი ირგვლივ თვალუწვდენელი ველი შემორტყმია. ზოგან სოფლებში კარგ სახლებს შეხვდებით. არჩევ ფანჯარას, ბუხარს. მომეტებულ ნაწილად კი ქოხმახებია, ჭიანჭველის ბუდესავით ერთმანეთზე მიყრილი. სომხებისა და თათრების სოფლებს შორიდანვე გაარჩევ. რამდენადაც პირველი სუფთა და შნოიანია, იმდენად მეორე უშნო და უსუფთაოა. საშენ მასალად აქ თიხას ხმარობენ, კედლებიც თიხისაა, სა-

ხურავიც, გალავანიც, სადაც მიიხედავ, სულ თიხაა. მოსაწყენი ერთფეროვანებაა. სოფელში ბევრგან ნახავ თიხისაგან აშენებულ კოშკის მსგავს რაღაცას. მისი მნიშვნელობა დანამდვილებით ვერავინ ამიხსნა. ზოგმა მითხრა საბძელიაო, ზოგმა საყარაულო, ზოგმა კიდევ ჰარამხანაო და სხვა. ზოგ დიდ სოფელში ათობით დათვლით ამისთანა კოშკს. ზოგი საკმაო მაღალია. ორი-სამი სართულიცა აქვს.

მივდივართ. არეზ გაღმა შორს თოვლით შეკვლესილი მთები მოჩანს. ვიცი, რომ იმ მთებს იქით ოსმალეთია. მაგრამ ეს რაღაა სამხრეთისკენ ვეებერთელა თეთრად რომ ამართულა? ეს გახლავთ ნოეს კიდობნის მტვირთველი, დიდებული არარატი. ჯერ კიდევ შორსა ვართ, მაგრამ მისი უზარმაზარი ძირი ისევ მკაფიოდ მოჩანს სხვა მეზობელ მთებში, რომ ახლო გეგონება, ძირი მოჩანს, შუაწელიც, მაგრამ ზემო ნაწილი ბურუსშია გახვეული. ბევრი ვაკვირდეთ, თვალები, მაგრამ ამაოდ: არარატმა თავისი საუცხოვო მწვერვალი არ მაჩვენა. თავზე ლილასავით ლურჯი ცა დაგვყურებდა, იქ კი მტრედისფერი ღრუბელი მოგროვილიყო.

პატარა არარატი კი ასე გგონია, შაქრის ვეებერთელა თავიაო, ლარივით სწორად ამართული, თეთრად ლაპლაპებს მზის სხივებზე. მხოლოდ ჯულფიდან რომ გამოვედით, რამდენიმე წუთით თვალი მოვკარ დიდი არარატის მწვერვალს. მაგრამ ჯერ ერთი, მეტად შორს იყო და მეორე, მაშინ მე მის აღმოსავლეთის ნაწილს ვუყურებდი და მოჩანდა მხოლოდ პატარა არარატი, დიდზე მიყუდებული.

არარატის მთა ჩვენი ძველი ნაცნობია. შორიდან დიდი ხანია ვიცნობთ. შვიდი წლიდანვე გვასწავლიან, რომ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდაო. მე აქ, რასაკვირველია, არ გამოუდგები ამ ზღაპრის ამბავს, მაგრამ ვიტყვი კი, რომ კარგი იქნება, ლეგენდის ნაცვლად არარატზე რამე ნამდვილი ამბავი მოგვითხრონ ხოლმე. ეს ბუმბერაზი ბევრი მხრივ არის საინტერესო და შესანიშნავი.

არარატს სომხები მაზოის ეძახიან, რაიც ნიშნავს დიდებულს, ხოლო სპარსელები კუგი-ნუხს, — ნოეს მთას. არარატს უჭირავს ძირში 1020 ოთხკუთხი კილომეტრი და სხვა მთებისაგან განცალკევებითაა ამართული, ე. ი. სხვა მთებისაგან ღრმა ხევებით იყოფა. არარატს აქვს ორი შაქრის თავის მსგავსი მწვერვალი. დასავლეთისას ჰქვიან დიდი არარატი, აღმოსავლეთისას — პატარა. მათ შორის საკმაოდ მაღალი ქედია, რომელსაც ვერს-ნახევრამდე სიმაღლე ექნება, სიგრძე კი ათ ვერსამდეა. დიდ მწვერვალზე თოვლი ზამთარ-

ზაფხულ არა დნება, პატარა კი ზაფხულობით თოვლისაგან თავისუფალია.

არარატი ტიპიური ვულკანია და თუმცა ამ დროებით არ მოქმედობს, მაგრამ მისი ერთ დროს მოქმედების კვალი კი ძლიერ ბევრია მიდამოში. ისტორიულ ხანაში არარატის მოქმედებაზე ძლიერ ცოტა ცნობა მოიპოვება.

ედესის ეპისკოპოსის წმ. ეფრემის სიტყვით, 341 წელს ქრისტეს შემდეგ სომხეთში დიდი მიწისძვრა მოხდა. მთები ჯერ განშორდნენ ერთმანეთს, მერე მიუახლოვდნენ საშინელი ჭახუნით და მათი გულიდან ბოლი და ალი ამოვიდაო. უეჭველია, ამ შემთხვევაში არარატი მეორეხარისხოვან როლს არ ითამაშებდა. 1319 წელსაც მოხდა დიდი მიწისძვრა. არარატის არემარეში ბევრი სოფელი და ქალაქი დაიქცა. სხვათა შორის, მაშინ დაიქცა დიდი ქალაქი ანი. არარატმა თავი მოკლე დროშიაც არ დაავიწყა ქვეყანას. 1840 წელს მოხდა საშინელი მიწისძვრა. არარატს მოსძვრა უზარმაზარი ზვავი თოვლისა და ქვისა და მთის ძირში მდებარე სოფლები გაანადგურა. მორ ვაგნერს (სწავლული მოგზაური, გარდაიცვალა 1887 წ.), რომელმაც ინახულა არარატის მიდამოები, ამ უბედურების შემდეგ ეს შემთხვევა წმინდა ვულკანურ მოვლენად მიაჩნია. აი როგორ ასწერს ამ მოვლენას ვაგნერი:

„1840 წელს 20 თიბათვეს მზის ჩასვლის წინ, თითქმის მთელი სომხეთი შეაშინა საშინელმა ქუხილის მსგავსმა გრგვინვამ. გრგვინვა ყველაზე უფრო საგრძნობელი იყო დიდი არარატის მახლობლად. თითქმის ორი საათი ქანაობდა ტალღასავით დედამიწა. დიდი უბედურება დატრიალდა, განსაკუთრებით შარურისა და ნახიჭევნის მაზრებში. წმ. იაკობის ველის ბოლოს, არგურიდან 6 ვერსის მანძილზე, გაჩნდა დიდი ნაპრალი, საიდანაც ორთქლი და გაზი ამოდიოდა. თან ქვებსა და მიწას ისროდა. ორთქლი არარატის წვერამდი უწევდა. ამოდიოდა თუ არა ნაპრალიდან ცეცხლის ალი, დანამდვილებით ვერ შევიტყვე. თვალით მნახველებმა ამაზე გადაჭრილი პასუხი ვერ მომცეს. მიწის ქვეშიდან საშინელი ჭახუნი და გრიალი ისმოდა. დიდი ქვები იქვე ვარდებოდნენ, პატარები შორს მიგორავდნენ. როცა ორთქლის დენა შეესწყდა და ქვის წვიმამაც გადიღო, ადამიანის თვალს საშინელი სურათი წარმოუდგა. არსად ჩანდა არც დიდი სოფელი არგური, არც დიდებული მონასტერი, არც მინდვრები, არც ბაღები. არარატის მიერ ამონასროლ ქვის ქვეშ დაიღუპენ მცხოვრებნიც. მთელ დიდ სოფელში დარჩა ცოცხალი მხოლოდ 114 სული. ნახიჭევნის, შარურის და ორდუბათის მაზრებ-

ში მიწისძვრამ მაშინ დააქცია 6.000 სახლზე მეტი. გავიდა ოთხი დღე არარატის ამ საშინელ ამოხეთქის შემდეგ და დატრიალდა მეორე უბედურება. იმ ადგილას, სადაც გაჩნდა დიდი ნაპრალი და საიდანაც ორთქლმა და ქვამ ამოხეთქა, გაკეთდა დიდი და ღრმა ამოქვაბული, რომელიც დამდნარ თოვლისა და წვიმის წყლით აივსო და ამნაირად გაჩნდა ტბა. შიგ ჩარეცხილ ქვისა და თიხისაგან საკმაო მაგარი ზღუდე გაკეთდა, რომელიც კარგა ხანი იმაგრებდა მეტ წყალს, მაგრამ ახალ-ახალ მოწოლილ წყლის ძალას ვერ გაუძლო და ზღუდე გაირღვა. ტალახნარევმა წყალმა და თხელმა ტალახმა გადმოხეთქა მთის ფერდობებზე, ქვემოთ დაეშვა, მდ. კარასუს შეუერთდა და ალაგ-ალაგ გაგუბა კიდეც ეს მდინარე. გზაზე რაც შეხვდა ამ თავისებურ ნიაღვარს, ყველაფერი გაანადგურა. თან მიჰქონდა ხეები, დამხრჩვალი ადამიანები, ქვები... ამ არემარეში ბევრ ხანს გაევლა ვერავის შეეძლო: ტალახისაგან დიდ მანძილზე გაკეთდა ღრმა და გაუვალი ჭაობი. თითქმის პირველ ჟამს ფრინველებიც ახლო ვერ ეკარებოდნენ ამ ადგილს, სანამ ცოტ-ცოტად ჭაობი არ გამაგრდა და თანდათან არ გახმა".

ასეთი საქმე ჰქნა არარატმა თითქმის ახლახან და ჩვენ კი არარატი მხოლოდ ნოეს მყუდრო ნავსაყუდელი გვგონია. მომავალშიაც არ დაივიწყებს ალბათ ქვეყანას მისი აბობოქრებული გული. უფრო გულსაკლავი და დამაღონებელი ის არის, რომ ამნაირ მოვლენასთან ადამიანი ყოვლად უძლური და უმწეო არსებაა. ნოეს კი არა, მათუსალასაც რომ მოუწოდო, ვერ გააჩერებს მის აბობოქრებულ გულს, ერთხელ თუ აიშალა.

გავიარეთ სადგური ეჯმიაწინი, საიდანაც თვით მონასტერი შაშვის თავის ოდენა ძლივს მოჩანს (12 ვერსია) და მივედით ულუხანლუში. არაქსიდან ულუხანლუმდე 42 ვერსია.

სადგური ულუხანლუ ისეთ როლს თამაშობს ჯულფის გზაზე, როგორსაც რიონი ფოთის გზაზე. აქაც ერევანს ის მოსვლია, რაც ქუთაისს მოუვიდა. რამდენიმე კერძო პირის ინტერესმა და გავლენამ რკინიგზის გაყვანის დროს ქუთაისი განზე დასტოვა, მიუხედავად იმისა, რომ გზა უფრო გამრუდდა. აქაც იმნაირი ისტორია განმეორებულა. და უფრო უარესიც, როგორც გადმომცეს.

ულუხანლუდან შტო მიდის ერევნამდე, მაგრამ ერევანი იმ ერევნობას ვეღარ გასწევს, რასაც მაშინ გასწევდა, როცა ტფილისჯულფის გზა პირდაპირ მასზე გაივლიდა. ულუხანულში სხვა მატარებელში გადავსხედით და ერევნისაკენ გავსწიეთ. ულუხანლუდან ერევნამდე 13 ვერსია. ულუხანლუ გზატკეცილობის დროსაც ფოს-

ტის სადგური იყო. ზევითაც მოვიხსენიეთ, რომ ის გზატკეცილი, რომელიც თბილისიდან ყარსამდე მიდის, დელეჯანთან ორად იყოფა. ერთი შტო ყარაკლისით და გუმბრით ყარსში მიდის, ხოლო მეორე გელაქნურის გზისკენ. სოფ. ელენოვკასთან (ტბასთანაა) გზატკეცილს ახალ ბაიაზეთისკენ მიმავალი შტო გამოეყოფა, ხოლო მთავარი გზატკეცილი ერევნისაკენ გრძელდება.

ერევანი გაშენებულია იქ, საცა ჩვენ მიერ მოთხრობილი ველი ყურეს მსგავსად სოლივით შეჭრილია მთებში, მდ. ზანგას ნაპირზე, ასე რომ, ერევანი აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საკმაო მაღალ მთებითაა შეზღუდული, დასავლეთითაც გორაკები აქვს აფარებული, ხოლო სამხრეთით ხელისგულივით გაშლილი ადგილია...

მივედით ერევანში. სადგური და რკინიგზის შენობები აქაც კარგია, განსაკუთრებით მოსამსახურეთათვის სადგომი თეთრი სახლები, ლამაზი და ფართო ეზოებით. ქალაქიდან სადგური კარგა მოშორებითაა, ორ ვერსამდე იქნება. მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად ტრამვაია გაყვანილი, თუმცა ტრამვაიც არის და ტრამვაიც. სადღაც უშოვნიათ დაძველებული გაფხეკილ-გადაზნექილი ვაგონები, დაუგიათ მიღრანჯულ-მოღრანჯული რელსები, შეუბამთ ცალთლახი ცხენები და ტრამვაი დაურქმევიათ. მისვლისთანავე ამგვარი ტრამვაით სარგებლობის ღირსიც ვერ გავხდით, რადგან დღესასწაულებისა გამო, დილით ტრამვაი არ მუშაობდა, ტრამვაით ჩვენ ვისარგებლეთ საღამოთი, უკან დაბრუნების დროს. ერთი შენიშვნაც ტრამვაიზე. ბევრ ქალაქში მინახავს ტრამვაი, მაგრამ მარტო აქ შევხვდი, რომ კონდუქტორი „ნაჩაის“ ფულს თხოულობდა და ძლიერაც გამიკვირდა. ღვთის წინაშე, გადაკრულში კი იყო.

სადგურიდან ფეხით გავწიეთ. ქუჩა ფართოა, მაგრამ მოუკირწყლავი და ზედ ნახევარი არშინის სისქე მტვერი იყო. მტვრის მეტი რა მინახავს, მაგრამ ამსისქე და ასე უხვად არსად შევხვედრივარ. ფეხსაცმელი მტვერში ისე იფლობოდა, როგორც თოვლში. რაც აქ წვიმის დროს იქნება, ადვილი წარმოსადგენია. ჩემი თანამგზავრი აქ ერთხელ ყოფილიყო წინათაც. ავდარი შეხვედროდა, მაშინ ტრამვაი გაყვანილი არ იყოო და მაშინდელ აქაურ გასეირნებას ხმის ყანკალით იგონებდა. ქუჩის იქით-აქეთ ხან ნახევრად დანგრეული თიხით შეთითხნილი სახლი გვხვდება, ხან თიხისავე მაღალი გალავანი. ეს თიხის გალავნები კი საინტერესოა. უტყეობას აქ ადამიანი თიხის რიგიანად მომზადებისათვის მიუჩვევია. თიხას, ალბათ, ზელავენ და ისე აშენებენ კედელს. ზოგ გალავანს ორ საჟენამდე სიმაღლე აქვს. მერე ისეთი მაგარია, რომ ყუმბარა ვერ გაატანს. გა-

კეთება მართლა ბევრ შრომას და დროს თხოულობს. სამაგიეროდ, თუ რიგიანად გააკეთა კაცმა, მთელი სიცოცხლე ღობე მოსაგონებლად არ ექნება. ათასში ერთხელ ცოტა შეკეთება სახსენებელი არაა. დასწყევლა ღმერთმა, იმერეთში მარტო ცარიელი თიხის და ისიც სამი-ოთხი არშინი სიმაღლე გალავანი კაცს შეუძლებელი ეგონება. მამაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე ღობე-მესერს და ჯებირებს გადაალია და მაინც არ იქნა, ბოსტან-ყანას ღორი ვერ გადააჩვია; იმათ დინგს მაინც ვერ გაუძლო ვერც წნელმა და ვერც მუხის როკმა. აქაური თიხის გალავანზე კი ჩიტი თუ გადაფრინდება, თორემ ღორი რას გააწყობს!

აი, შეეედით ქალაქში. პირველი, რაც კაცს თვალში ეჩხირება, უსუფთაობაა. საითაც მიიხედავ, ნაგავი და ტალახია. ჯერ ასეთი უსუფთაო ქალაქი არ მინახავს. ერთი კი არის, აქაური ნიადაგი მეტისმეტი ნესტიანია, თლილი ქვაც სველია სინესტისაგან. სინესტე თავისთავად ძლიერ ხელს უწყობს და თითქმის აჩენს უსუფთაობას და ამისთანა ალაგს სისუფთავის დასაცველად კარგი თანხა და შეგნებაცაა საჭირო.

ქალაქის შუაგულ ოთხკუთხი ფართო მოედანია, მოედნის შუაგულ ვეებერთელა თლილი ქვის სვეტებზე აგებული ფარდული, სადაც დიდი ყაფნებია მოთავსებული. ალაგ-ალაგ ლამაზი თლილი მოწითალო ქვის ორ-სამ სართულიანი სახლიცა დგას, მაგრამ ამათ გვერდით და უმეტესობა ისეთი ქოხმახებია, რომ გული აგერევა. ეზოების სისუფთავეზე ხომ ნურას იტყვი. შუა მოედნის გვერდით დიდებული ხუთთავიანი საკრებულო ტაძარია ამართული. ტაძარი შავი თლილი ქვისგანაა აგებული, ძლიერ მაღალია და რაღაც მტკიცე შთაბეჭდილებას ახდენს. კარგი თვალი ამ საყდარს ულუხანლუდანაც გაარჩევს. ეს საყდარი რუსებს თავიანთ სახელისთვის უფრო აუშენებიათ ალბათ, ვიდრე საჭიროებისთვის, რადგან აქ რუსობა მხოლოდ მოხელეობაა და ისე მცხოვრები ბინადარი მოქალაქე არა ვგონებ ბევრი იყოს. საყდრის გვერდით ბაღია, მოუწესრიგებელი. უბეირო გზებით და ღარიბი მცენარეულობით. თუმცა ზოგიერთი ხის ახოვნობა ამტკიცებს, რომ ბუნება აქ ხეს გაზრდის და უფრო ნაყოფიერი შრომა საუცხოვო სასეირნო ბაღს გააშენებს. არის ერთი ქუჩა, ხილკოვის ქუჩას ეძახიან, რომელიც ელექტრონითაა განათებული. საერთოდ ერევანმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ადგილმდებარეობაც სრულებით არ უვარგა.

ერევანი ერთი ძველი ქალაქთაგანია. მეშვიდე საუკუნეში, არაბების შემოსევის დროს, ერევანი ქალაქად იხსენიება. 1582 წელს

მდ. ზანგას ნაპირზე ოსმალებმა ციხე ააშენეს. 1604 წელს ციხეში სპარსელები ბატონობდნენ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ქართლ-კახეთის მეფე და სრულიად საქართველოს მეთაური ერეკლე II დიღი მოგერიებიდან იერიშზე გადავიდა. რამდენჯერმე ბრწყინვალედ დაამარცხა სპარსელ-ოსმალები, არა ერთხელ მიესალმა მისი ელვარე ხმალი თეთრჩაფხუტა არარატსა და ერევანიც ერეკლეს მობარკე გახდა. შემდეგ ისევ სპარსელები გაბატონდნენ ერევანში. 1828 წელს რუსმა გენერალმა პასკევიჩმა ერევნის ციხეზე იერიში მიიტანა და წაართვა სპარსელებს. ეს ციხე მიუვალად ითვლებოდა და იმის დაპყრობისათვის პასკევიჩის გვარს „ერევნელი" მიუმატეს. ამ ციხის გალავანი ახლაც არის. ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერ გავიგე, რა უნდა ყოფილიყო იქ მიუვალი. დასავლეთით, მართალია, ციხეს ჩაუდის მდ. ზანგა, რომელსაც ღრმად ჩაუქლიბავს ფიქალი კლდეები და ძლივსძლივობით გზა გაუკვლევია, მაგრამ ხეობა ისეთი ვიწროა, რომ წყლის გაღმიდან უბრალო ზამბურაკიც მტვრად გადააქცევს რაღაც საცოდავად შეთითხნილს დაბალ გალავანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ გალავანი უფრო მაღალი და შნოიანი იქნებოდა და თოფ-ზარბაზნებითაც გამაგრებული, თუმცა მიუვალი ადგილის ნაკვთს მაინც არა ჰგავს აქაურობა. ნაციხარის ერთ კუთხეში ჩრდილოეთის მხრივ რაღაც მკვიდრი და მაღალი, შავი, თლილი ქვისაგან აგებული სამსართულიანი სახლი შევამჩნიე. ეს სახლი სწორედ რომ ბატონობს იმ არემარეს. დავინტერესდი, ახლო მივედი. კარებზე მსხვილ მოვარაყებულ ასოებით ეწერა: Шустов и К°. შუსტოვს, როგორც ეტყობა, მაგრა მოუკალათნია აქ, იმას უფრო მტკიცე საძირკველი ჩაუყრია, ვიდრე ძველი ციხის ამშენებელს. შუსტოვის ვეებერთელა შენობა ამაყად გადაჰყურებს ღრმა ხეევში შხუილით მიმავალ ზანგას ნაპირებს და თამამადაც შეუძლია დაიკვეხოს: მე ვარ და ჩემი არაყი დამათრობელი ხალხისაო. ამბობენ ერევანში ციებ-ცხელება ხშირიაო, მე კი მიკვირს, რაც იქ უსუფთაობაა, რატომ შავი ჭირიც არ გაჩნდება.

ერევანში ბევრ ხანს არ გავჩერებულვარ. ბევრი ხანია, რაც მწყუროდა ეჯმიაწინის ნახვა და რაკი ასე ახლო გავლის შემთხვევა მომეცა, გადავწყვიტე, ერთი საათით მაინც შემეარა და იმისთვისაც თვალი გადამეევლო. მითხრეს, მისვლა-მოსვლა ერევან-ეჯმიაწინს შუა ადვილია, სულ ექვსი შაური ან ორი აბაზი ღირს დილიჟანითაო, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ, დღესასწაულის გამო დილიჟანი არ მუშაობდა. მოვძებნე ერთი მეეტლე, მაგრამ იმან საქმე მეტისმეტად გააჭირა. ძალიან ბევრი გვთხოვა. მივმართეთ ფოსტის სადგურს და

საფოსტო ეტლი დავიქირავეთ. ეჯმიაწინი ერევნის დასავლეთითაა 18 ვერსის მანძილზე. მათ შუა საკმაო კარგი გზატკეცილია, მაგრამ საფოსტო ეტლზე კი რა მოგახსენოთ. იქაურ ეტლს საჯდომად მხოლოდ დაბანდული ბაწარი აქვს. სად არის ან ბალიში, ან თივა მაინც. თქვენს მტერს, რაც ჩვენ გამოვცადეთ 18 ვერსის მოგზაურობის დროს. ეჯმიაწინის გზა სწორედ შუსტოვის არყის ქარხნის გვერდით მიდის. ზანგაზე ქვის მკვიდრი ხიდია გადებული. მდინარის გაღმა სწორი ზეგანია, რომელიც მთლად ბაღებითაა მოფენილი. ბაღებს თიხის გალავანი არტყია. იმ დროს ხეხილი ახლად ჰყვაოდა და მთლად არემარე თეთრ-ნათლად იყო გადაპენტილი. ბაღები სარწყავია, წყალი ბევრგან მოჩუხჩუხებს. ზეგანი საკმაო დახრილ ფერდობს წარმოადგენს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. რამდენიმე ვერსი სულ გალავნებშუა მიდიხარ. მარჯვნივ და მარცხნივ სულ ბაღებია. ცხენის მაგივრობას აქ, ეტყობა, აქლემი ასრულებს. წამდაუწუმ გეხვდება წინ სხვადასხვა სანოვაგით დატვირთული აქლემი. აუშვერია მაღლა თავისი უშნო თავი და მიბაჯბაჯებს უშნოდ.

გავიარეთ რამდენიმე ვერსი, ბაღებიც გათავდა, და დაღმართს მივადექით. ჩვენგან სამხრეთით გაიშალა უკვე ნაცნობი თვალუწვდენელი ველი. ბაღებიდან გამოსული წყალი შხუილით მირბოდა დაღმართზე, გზატკეცილის გვერდით, დაბლობზე, მარცხნივ უხვევდა და ხშირ ჭალაში იკარგებოდა. წყალი საკმაო იყო, ორ თვალ წისქვილს თამამად დააბრუნებდა. ამ დაბლობზე ჩრდილოეთით საკმაო ფართო, ხელისგულივით სწორი ველი ძევს, ირგვლივ ხრიოკი გორაკებით შემოზღუდული. ეს ველი ამომშრალი ტბის ძირი უნდა იყოს. საშინლად მწირი ადგილია, სულ პატარა კენჭებითაა მოფენილი და თუმცა აქა-იქ ბალახი ამოსულა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალი არსად ჩანს. ვერსად ვერ მოვკარი თვალი ვერც ცხვარს, ვერც რამე შენობას.

— კაცო, აქ რატომ არა თესია რამე, არც მოსახლეობაა? — დავეკითხეთ მეეტლეს.

— წყალი არ არის! — მოგვიგო დამტვრეული რუსულით დაღვრემილმა და ბუნებით უხალისო მეეტლემ.

გავიარეთ კიდევ რამდენიმე ვერსი და მივადექით საკმაო დიდ სოფელს პარაკარს. აქ სურათი ისევ გამოიცვალა. ამ სოფელში ბაღებიც არის, წისქვილიც. ხშირად ორ-ორ სართულიანი თლილ ქვის სახლსაც შეხვდები. სოფელში უმრავლესობა სომხობაა, თუმცა თათრებიც არიან. ერთ ალაგას შევნიშნე პატარა, მაგრამ სუფთა შენობა — სოფლის სასამართლო. იმის მახლობლად შევამჩნიე თუმ-

ცა ძველი, მაგრამ საკმაოდ დიდი ქვის შენობა, — ეს იყო სამინისტრო სასწავლებელი. სოფელი ბაღ-წალკოტებშია ჩაფლული. გზატკეცილი სოფლის შუა გულზე გადის. დღესასწაულის გამო ხალხი ქუჩაში იყო გამოფენილი. ზოგს გვარიანად სუფთად ეცვა, მაგრამ საერთოდ ეტყობა მაინცდამაინც ჩაცმა-დახურვას არ მისდევენ. სახეზე ყველას რაღაც მოწყენა ეტყობოდა. არც სიმხიარულე, არც ცეკვა-თამაში. ისხდნენ ისე, ჯგუფ-ჯგუფად, თითქოს ეს არის სასაფლაოდან დაბრუნებულან მიცვალებულის გასვენების შემდეგაო. წარმოიდგინეთ, ბავშვებიც კი არა ცელქობდნენ. ამ სოფლიდან გზა ვაკეზე მიდის. მე სულ დაკვირვებით წინ ვიყურებოდი. სულ იმას ვაკვირდებოდი, მოჩანდა თუ არა ეჯმიაწინი, მაგრამ ვერაფერს ვარჩევდი. ჩემ წარმოდგენაში ეჯმიაწინი მაღლობზე უნდა ყოფილიყო და ამიტომ უფრო ჩრდილოეთისკენ, საიდანაც მტრედისფერი გორაკები მოჩანდა, მეჭირა თვალი.

— ამდენი გავიარეთ და მაინც არა ჩანს, სად არის ეჯმიაწინი? — ვუთხარი მეეტლეს.

— ვაჰარშაპატ? — აუჩქარებლად წარმოთქვა მეეტლემ და ხელი წინ გაიშვირა.

დავაკვირდი. ჩემ თვალწინ, სივრცეში, ტრიალი მინდვრის ბოლოს რაღაც კოშკივით შევამჩნიე, ცოტა მოშორებით, დასავლეთის მხრივ ალვის ხეები და რაღაც შენობანი, მათ შორის მოწითალო გუმბათიც მოჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეჯმიაწინს მივუახლოვდით.

ეჯმიაწინი სამაზრო ქალაქად ითვლება. დიდი არ არის, სულ ერთი-ორი ქუჩაა. აქა-იქ ორსართულიანი საკმაოდ ლამაზი სახლებიცა დგას. არის მაღაზიებიც, წიგნების სავაჭროც, სამაზრო დაწესებულებანი. მაგრამ შესანიშნავი ეჯმიაწინში საპატრიარქო მონასტერია, სადაც ცხოვრობს სრულიად სომეხთა კათალიკოსი. ჩვენ, რამდენადაც დრო ხელს გვიწყობდა, მხოლოდ ეს მონასტერი დავათვალიერეთ და ამიტომ საერთოდ ეჯმიაწინზე ბევრს ვერას ვიტყვი.

ეჯმიაწინი გაშენებულია ხელისგულივით სწორ ვაკეზე. როგორც წინათაც მოვიხსენიე, ეჯმიაწინს დასავლეთით ჩაუდის მოზრდილი მდინარე არავანსუ. ნიადაგი ნაყოფიერია, ხე მაღალი იზრდება, განსაკუთრებით ვერხვი და ალვის ხე, მაგრამ სინესტე საშინელია. სიტყვა ეჯმიაწინი, ჩვენებურად რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს ძე-ღვთის გამოცხადებას. იქ, სადაც ეჯმიაწინის ტაძარია, გრიგოლ განმანათლებელს ძილში მაცხოვარი გამოეცხადაო, ამიხ-

სნეს იქაური აკადემიის სტუდენტებმა, შემდეგ იქ ტაძარი ააშენეს და ეს ადგილი სომხებისათვის მთავარ სიწმინდედ გადაიქცაო. თვით ქალაქს და განსაკუთრებით ახლანდელ ოფიციალურ დაბა ეჯმიაწინის ახლო მდებარე ძველთაძველ სოფელს სომხები ვაჰარშაპათა ეძახიან.

ჩამოვხტით თუ არა ეტლიდან, მაშინვე მონასტრისაკენ გავეჩქარეთ. მონასტერს საკმაო დიდი ადგილი უჭირავს. ირგვლივ შემოზღუდულია ოთხი-ხუთი არშინის სიმაღლე კარგად შენახული ქვიტკირის გალავნით. შესავალი კარი აქვს დასავლეთის მხრივ. აქ, მარჯვნივ, გალავნის ერთსართულიანი მოწითალო, თლილი ქვისაგან აგებული, ლამაზი პატარა შენობა შევამჩნიე. სახლის წინ თუნუქის ფართო ფიცარზე დიდი მოვარაყებული ასოებით ეწერა რუსულად და სომხურად „ეჯმიაწინის სომეხ გრიგორიანთა სინოდი“. რა დიდი სახელი და რა ერთი ბეწო სახლია-მეთქი, გასაგონად წამოვიძახე. ეს შენობა სულ რამდენიმე ოთახისაგან შედგება. ფანჯრის მინის შემწეობით შორიდანვე გავარჩიე მაგიდაზე დადგმული „ზერცალო“, ეს აუცილებელი საგანი ყოველგვარ ოფიციალურ დაწესებულებისა რუსეთის იმპერიაში. გავიარეთ ძველებური ბჭეკარი და შევედით ტაძრის ეზოში. ბჭეკართან გარეთ ელექტრონის შუშა შევნიშნე. მთლად მონასტერი და აკადემია ელექტრონითაა განათებული. საკუთარი საელექტრონო სადგური აქვთ.

ეჯმიაწინის ტაძარი, მთავარი სიწმინდე სომხებისა, მოწითალო თლილი ქვისაგანაა აგებული, თუმცა ძლიერ ძველი უნდა იყოს, მაგრამ კედლები გარედან საკმაოდ კარგად შენახულა. სიგრძე-სიგანით მცხეთის ტაძრის ტოლა არ არის, თუმცა ბევრად არ ჩამოუვარდება, სიმაღლე კი დიდი არა აქვს. თითქმის დაბალია. საზოგადოდ, სომხებს, როგორც ეტყობა, მაღალი ეკლესიების შენება არა ჰყვარებიათ. ტაძარს ერთი დიდი გუმბათი, ჩვეულებრივ ქართულ-სომხურ ტიპისა, შუაში აქვს და ამგვარი ოთხი პატარა კუთხეებში. დასავლეთის მხრივ სამრეკლოსთვის პატარა გუმბათია ცალკე აყვანილი და ლამაზ გრეხილ ჩუქურთმებით მორთული. შედარებით პატარა ზარები ჰკიდია.

შევედით ტაძარში. აღდგომა დღის წირვა გამოდიოდა.* ეკლესიას შიგნით ოთხი საკურთხეველი აქვს, ერთი უმთავრესი, ჩვეულებრივ ალაგას, ორი აქეთ-იქით ჩრდილოეთ-სამხრეთით კედლებზე და ერთიც ტაძრის შუაგულ. აქ შუაგულ ოთხ სვეტზე გამაგრე-

* აღდგომა დღეს სომხები დღისით სწირავენ და არა ღამე, როგორც ჩვენები.

ბულია პატარა გუმბათი და შიგ ტრაპეზია გამართული. ეს არის მთავარი სიწმინდე სომხებისა. როგორც მითხრეს, ამ ალაგას სძინებია წმ. გრიგოლს და აქ გამოცხადებია მაცხოვარი. მაშ ნამდვილი ეჯმიაწინი სწორედ ეს საყდრის შუაგულში აშენებული საკურთხეველია. აქ მხოლოდ დიდ დღესასწაულებში სწირავენ ხოლმე. დღესაც ერთი ჭაღარა ეპისკოპოსი იდგა ამ საკურთხეველზე შემოსილი და ხალხისკენ პირმობრუნებული რაღაც ლოცვას კითხულობდა. ალბათ, ჩამოლოცვა იყო, რადგან ერთი-ორი წუთიც და წირვა გათავდა. ხალხი საყდარში არც მაინცდამაინც ისე ბევრი იყო. მიმოვიხედე. აბა ჩემი ნაცნობი იქ ვინ იქნებოდა. ვარაუდად მივმართე ერთ ევროპიულად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს და ვთხოვე აქაურობის დასათვალიერებლად ჩემთვის პატარა „პროტექცია“ გაეკეთებინა. საუცხოო არჩევანი მომივიდა. ეს კაცი აღმოჩნდა აქაური ფოტოგრაფი, ძლიერ ახლო ნაცნობი ბერ-ეპისკოპოსებისა, მაშინვე წავიდა ეპისკოპოსთან, მოელაპარაკა და ორი-სამი წუთის შემდეგ ეჯმიაწინის სალაროში ვიდექით მე და ჩემი თანამგზავრი და იქაურობას ვათვალიერებდით. ფოტოგრაფიც ჩვენთან დარჩა და თარჯიმნობას გვიწევდა. ნივთებს გვაჩვენებდა მთავარდიაკვანი, ოდნავ ჭაღარა, გრძელწვერა, სანდომიანი სახის კაცი. ის მწირველი ყოფილიყო. სტიხარის და ოლარის გახდაც ვერ მოესწრო. მთავარდიაკვანმა წინდაწინვე ბოდიში მოიხადა: უხერხულ დროს მოგიხდათ მოსვლა. დღეს ყველანი შინ ვეჩქარებით. ბევრი რამ დაკეტილია და თქვენ ცნობისმოყვარეობას აქაურობის ნახვით სავსებით ვერ დაიკმაყოფილებთო.

სალაროში საეკლესიო სამკაული და შესამოსელი ეწყო. თავდაპირველად ჩემი ყურადღება მიიქცია საიაზმეს მსგავსად გაკეთებულმა, უშველებელმა, ვერცხლითა და ოქროთი დაფერილმა ქვაბმა. ეს ქვაბი მირონის სახარშავია. ქვაბი იმდენად დიდია, რომ მოსული ვაჟკაცი შიგ რომ ჩაჯდეს, მოთავსდება. ძლიერ ლამაზადაც არის გაკეთებული. წონით, თავსახურავიანად რამდენიმე ფუთი იქნება. ამბობენ, რომ ეს ქვაბი მირონის ხარშვის დროს თავისით დუღსო. ჩემთვის კი ამ ზღაპარზე სიტყვა არ ჩამოუგდიათ. მხოლოდ მითხრეს, რომ ეს ქვაბი ნახიჩევნელმა ვაჭრებმა შემოსწირეს და სამოცდაორი ათასი მანეთი დაუჯდათ ამის გაკეთებაო. ეს კი მართალი იქნება.

მიჩვენეს ერთი ხელი შესამოსელი, ოლარი, ფილონი და საეპისკოპოსო ომოფორი: სამივე ერთ ყაიდაზე და, ალბათ, ერთ ხელოსნის მიერ უნდა იყოს გაკეთებული. შესამოსელი სულ ერთიანად

ამოქარგულია აბრეშუმის ფერად ღაზლისაგან. სარჩულადაც წმინდა აბრეშუმი უდევს. ოლარზე ამოქარგულია ისააკის მსხვერპლად შეწირვა, ფილონზე ხარება, სამება და ოთხი მახარობელი, ომოფორზე იაკობის მიერ იდუმალი კიბის ხილვა. გინდ შორიდან უყურე და გინდ ახლოს, სანამ ხელს არ მოჰკიდებ, ვერ დაიჯერებ, რომ ამოქარგულთან და არა მხატვრის მიერ წამლებით დახატულთან გაქვს საქმე, იმდენად სისწორით და ხელოვნურად არის გაკეთებული. სამივე შესამოსელი გუშინდელ გაკეთებულსა ჰგავს, სულ ახალთახალია. ნამდვილად კი ოლარზე მშვენიერი თანამედროვე დეკადენტური ხელით აწერია 1250 და მერე რაღაცები სომხურად. რა თქმა უნდა, რიცხვი და სიტყვებიც ამოქარგულია. ჩემს გაოცებაზე მითხრეს: საქმეც ის არის, ამდენი ხნისაა და გუშინდელსა ჰგავსო. ამ შესამოსლების ისტორია მოკლედ ასე გადმომცეს. როგორც წარწერა ამბობს, გაკეთებულია ჩინეთში მეცამეტე საუკუნეში მდიდარი სომხის ისააკ მურადიანის საფასით არქიმანდრიტის ვართანესა აშტარასკისთვისაო. ვართანესა ჩინეთში მისიონერობდა და იქ სავაჭროდ წასულ სომხებსაც მწყსიდაო. ისაკას ჯერ მისთვის ოლარი და ფილონი უძღვნია და როცა ვართანესა ეპისკოპოსად უკურთხებიათ, ომოფორიც მიურთმევიაო.

ეჭვი არაა, რომ სომხები ძველ დროიდანვე, როგორც ვაჭარი ხალხი, იცნობდნენ ინდოეთ-ჩინეთს. მეცამეტე საუკუნეც ჩინეთში ლიბერალური ხანა იყო. მაშინ იქ სონების გვარეულობის (960 — 1280 ქრ. შემდეგ) მეფეები ბატონობდნენ, რომელთაც ჩინური კარდახშულობა გაარღვიეს და უცხოელებს ნება მისცეს ჩინეთში მოგზაურობისა და მისვლა-მოსვლისა. ევროპამაც დაახლოებით ამ ხანებში გაიცნო ჩინეთი. შესანიშნავი მოგზაური და გეოგრაფი ვენეციელი მარკო პოლოც ამ დროს იყო იქ და დაწვრილებით აღწერა იქაურობა. მე მაინც გულახდილად უნდა ვთქვა: ვეჭვობ, რომ ის შესამოსელი შვიდასის წლის წინათ გაკეთებული იყოს; არაბული ასოები ხმარებაში კი იყო მაშინ, მაგრამ არა მგონია, რომ ქორონიკონი და წელთა აღრიცხვა იმ დროს არაბული რიცხვებით ეწეროთ. უკანასკნელი სიტყვა ამ საქმეში სპეციალისტებისათვის მიმინდვია.

— ახალი იმიტომ არის, რომ ჩქარ-ჩქარა ვამზეურებთ, რიგიანად ვინახავთ, წელიწადში ერთხელ ვაცმევთ ეპისკოპოსსო. აი დღეს, აღდგომის გულისთვის ამოვიღეთ, თორემ სხვა დროს შენახული გვაქვსო.

მაჩვენეს სახარება, 1253 წელს გადაწერილი, ძვირფას ვერცხ-

ლის ყდაში ჩასმული; ჯვარი, ენქერი, მოქსოვილი 1776 წელს. ენქერზე ამაღლებაა ამოქარგული, მიტრა ძვირფასი ქვებითაა მორთული.

ვნახე ძველი დროშა; რომელზედაც გამოხატულია მეფე თრდატი, გრიგოლ განმანათლებელი და წმ. მოწამე რიფსიმე. დროშა 8-9 საუკუნეს ეკუთვნის (ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს, ამას მისი გარეგნობა ამტკიცებს). ამ დროშას დიდი როლი უთამაშია ძველად. ვის ხელშიაც ეს დროშა იყო, სომხეთის ბატონიც ის იყოო, მითხრეს. ამიტომ ამ დროშის გულისთვის სომხის მეფე-მთავრები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენო.

მაჩვენეს პატრიარქ-ქათალიკოსის და ეპისკოპოსების ხელში დასაკერი კვერთხები, ზოგი ვერცხლისა, ზოგი სპილოს ძვლისა, ზოგიც ხისა, ჩუქურთმა-სახეებით მორთული.

მაგრამ განსაკუთრებით ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ხელთნაწერმა სახარებამ. სახარება შედარებით სულ ახლახან გადაწერილია, სახელდობრ 1872 წელს. სიდიდით ყოველკვირეული გაზეთის „ფასკუნჯის" ფორმატისა იქნება, დაწერილია მსხვილად, საუკეთესო სქელ მოყვითალო ქაღალდზე. როგორც გადმომცეს, გადუწერია ვიღაც ქალს, მარგარიტა ალექსიანცის ასულს შუშაში. ხუთი წელიწადი წერდა თურმე... უნდა ვაღიარო, რომ ხელთნაწერი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთ ლამაზ და გარკვეულ დაწერილს არ შევხვედრივარ. დაწერილი კი არა, ასეთი სუფთა და ლამაზი დაბეჭდილიც არ მინახავს. ვუყურებდი, ვათვალთვალებდი და არა მჯეროდა, რომ ხელთნაწერი იყო. მხოლოდ დიდი დაკვირვების შემდეგ ვამჩნევდი სავარცხლით ოდნავ გატარებულ ხაზებს სტრიქონებისათვის. თავში იმავე ხელით აქვს შესავალიეთ წარწერა სომხურად, რუსულად და ფრანგულად, სადაც მოხსენებულია,—სად, ვისგან და როდის გადიწერა ეს სახარება. უნდა შევნიშნო, რომ რუსულ-ფრანგულ წერაშიაც გადამწერს ისეთივე ოსტატობა გამოუჩენია, როგორიც სომხურში. კარგადაც ინახავენ, ღვთის წინაშე, ამ არაჩვეულებრივ კალიგრაფიულ ნაშთს. წიგნი ძვირფას ვერცხლის მოოქრულ ყდაშია ჩასმული და ინახება შიგნით ამოხაერდებულ კაკლის ყუთში.

თვალი მოვავლე ტაძარს შიგნით. კედლის მხატვრობა ცოტაღა დარჩენილა. ეჯმიაწინის ტაძრის კედლები, როგორც მცხეთისა, ნახევარზე მეტი გათეთრებულია. გუმბათში და აქა-იქ კიდევ დარჩენილა ძველი მხატვრობა, მაგრამ, არ ვიცი კი რა მიზეზით, და წმიდანების გამოხატულება ბევრი თავის დღეში არა ყოფილა იქა.

გუმბათში, მაგალითად, მხოლოდ არშია გრეხილებია, ხოლო ქრისტეს, ან მამა ღმერთის გამოხატულება არ არის. ასეა მომეტებულ ნაწილ კედლებზედაც.

ტაძრის გარეთ, კარიბჭის ახლომახლო, რამდენიმე საფლავია ბოლო დროინდელ ქათალიკოსებისა. აქვეა დამარხული ქათალიკოსი გეურქ (1803 — 1882 წწ.), რომელმაც დააარსა ეჯმიაწინის აკადემია. აქვე გვაჩვენეს მკრტიჩ პირველის საფლავი. ჯერ არავითარი ძეგლი არ აძევს.

მთავარდიაკვანს და ფოტოგრაფს გამოვემშვიდობეთ. ბოდიში მოვიხადეთ, რომ დღესასწაულ დღეს გავაჩერეთ, ალბათ, მათ შინ ელოდებოდნენ. მე და ჩემი თანამგზავრი აკადემიისაკენ გავეშურეთ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ კარიბჭიდან დასავლეთით გალავნის კედელთან ერთი ძველი უშნო შენობაა. ეს ქათალიკოსის სასახლეაო, გვითხრეს, ხოლო ტაძრის აღმოსავლეთით, ცოტა მოშორებით, დგას ორსართულიანი მშვენიერი მოწითალო თლილი ქვისაგან აგებული შენობა. ეს ბერების სენაკებია თურმე. თითო ბერს აქვს ორი ოთახი და სამზარეულო. თითო ბინას საკუთარი რკინის მოაჯირი აქვს. ეს სახლი გარეგნობით სასახლეს უფრო მოგაგონებს, ვიდრე დაბალ მოღვაწე ბერების სენაკს.

როგორც წინათაც მოვიხსენეთ, ეჯმიაწინის მონასტერს ირგვლივ საერთო გალავანი აქვს. შიგნით კი იყოფა ქვიტკირის გალავნით რამდენსამე ეზოდ. სხვათა შორის, ტაძრის აღმოსავლეთით, ბერების სადგომის იქით, არის გალავანი და ფართო ალაყაფის კარები, რომელსაც აკადემიის ეზო აკრავს. აკადემიის ეზო საკმაოდ დიდია. რამდენიმე დღიური იქნება. გზის ახლო გაშენებულია მთავარი შენობა, მთავარ შენობის ახლომახლო მოთავსებულია სხვა შენობანი. მთავარ შენობის უკან კი ბაღია გაშენებული.

ჩვენ ტაძრიდან ბაღში მოვხვედით. ბაღს საკმაო ადგილი უჭირავს, თუმცა მოუწესრიგებელია. არის ხეხილიც, ყვავილებიც, მაგრამ თავმინებებულს უფრო ჰგავს, ვიდრე მოზარდ თაობის გასართობად და დასასვენებლად გაკეთებულ წალკოტს.

მიუხედავად დღესასწაულისა, რამდენიმე ყმაწვილი სკამზე იჯდა ხეებ ქვეშ, წიგნები გაეშალათ და გულმოდგინედ კითხულობდნენ. ჩვენც პირველ შეხვედრილ ორ ჭაბუკს მივუახლოვდით და მივესალმეთ. ისინი საჩქაროდ ფეხზე წამოხტნენ და სიამოვნებით გამოგველაპარაკნენ. რუსულად გვარიანად კარგა ლაპარაკობდნენ, თუმც წამდაუწუმ ბოდიშს იხდიდნენ, პრაქტიკა არა გჯქვს დ•

კარგად ვერ ვახერხებთ რუსულ ლაპარაკსაო. ჩემდა სასირცხვილოდ, მეც არ შემეძლო სომხურად დალაპარაკება. რამდენჯერ მოვიწადინე შემესწავლა ცოტა მაინც სომხური, მაგრამ ცხოვრების ულმობელმა პირობებმა და დღედაღამ ლუკმა პურისთვის სირბილმა ყოველთვის ხელი შემიშალა. ბევრი რამ სხვადასხვა წარწერა ვნახე, მწყურდა წამეკითხა მაინც, მაგრამ, საუბედუროდ, ამ შემთხვევაშიაც ბრმა ვიყავი.

ჩვენ მიერ ახალგაცნობილები ორივენი ოსმალეთიდან იყვნენ. შეიტყვეს თუ არა ჩვენი სურვილი, რომ აკადემიის დათვალიერება ვესურდა, ორივემ საჩქაროდ წიგნები დაკეცა და წინ გაგვიძღვნენ.

ჯერ შეგვიყვანეს მთავარ შენობაში. მთავარი შენობა გრძელი, ორსართულიანი სახლია. წინა და უკანა პირი თითქმის ერთნაირი აქვს. შუაგულ გუმბათია ამოყვანილი, სადაც სააქტო დარბაზია მოთავსებული. მთელი შენობის გასწვრივ შუაზე დერეფანი მიდის, როგორც ქვემო, ისე ზემო სართულში და იქით-აქეთ ოთახებია გამართული. სწორედ რომ ვთქვათ, ეჯმიაწინის აკადემია მარტო აკადემია როდია. აქ შეერთებულია ერთად სემინარია და აკადემია, სულ ცხრა კლასია. ექვსი სემინარიული და სამი სპეციალური, აკადემიური. ჩვენი ჩიჩერონეები ერთი მეხუთეკლასელი იყო, ხოლო მეორე მეექვსელი. ქვედა სართულის ერთ ნახევარში საკლასო ოთახებია მოთავსებული. აქ არის პირველი ოთხი კლასი. ოთახები საშუალოა, თითქმის პატარა ზომისაა. საკმაოდ ნათელი. ორ სამოსწავლო მაგიდაზე თითო ასაწევ-დასაწევი ელექტრონის ბურთი მოდის. თვით მაგიდები კი ძველი და დაფხაჭნილია. სურათები თუ რამე სასწავლო სახელმძღვანელოები, ნაკლებად შევამჩნიე. აქა-იქ ჰკიდია გეოგრაფიული რუკა, ზოგი ფრანგული და ზოგიც რუსული, უშნო ძველი გამოცემა. სომხური რუკა ხელით დახატული მაინც ვერა ვნახე. შეკითხვაზე, არა გვაქვსო, მიპასუხეს.

ქვედა სართულშიევა მოთავსებული საწოლი ოთახები. საწოლები რკინისაა, მაგრამ ადამის დროისა. გამახსენდა ჩვენი სემინარია და იქაური საწოლები. ლოგინი საკმაოდ სუფთაა.

როგორც მოვიხსენეთ, ეჯმიაწინი საერთოდ ნესტიანი ადგილია და ვერ გამიგია საწოლი ოთახები ამ ძირს რად მოუთავსებიათ, სადაც სინესტის სუნი საგრძნობელია. წინათ სინესტეს სიცივეც ზედ ერთოდა თურმე უხეირო ბუხრების გამო. ამ ბოლო წლებში მშვენიერი „კაფელები" დაუდგამთ და სინესტის ძალა ამით მაინც რაღენადმე დაუცარავთ.

საძილო ოთახების გვერდით პირსაბანია მოთავსებული. ეს კი,

ცოდვა გამომჟღავნებული სჯობს, ძლიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული. მილიდან წყლის ნაჟურს კედელი ისე დაუსველებია, რომ სოკო მოჰკიდებია. ცემენტის იატაკი ჩანგრეულა. სიფრთხილეა საჭირო, რომ კაცმა ფეხი არ მოიტეხოს. როგორი სინესტის სუნი უნდა იყოს იქ, მკითხველმა თვითონ გასაჯოს...

ზემო სართულში მოთავსებულია სემინარიის უფროსი და საეკლესიო კლასები. სააკადემიო კლასები პატარ-პატარა ოთახებშია მოქცეული. იქ სულ რამდენიმე სასწავლო მაგიდა დგას ძველი დ> დაფხაჭნილი, აქვეა ბიბლიოთეკა. წიგნები უფრო სომხურია. მითხრეს — რუსული, გერმანული და ფრანგულიცა გვაქვსო. ბიბლიოთეკას საკმაო დიდი ოთახი უჭირავს და კაი ძალი წიგნებიცაა. იქ, მაგრამ ვფიქრობ, რომ აკადემიისთვის ცოტაა. თბილისის სემინარიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში ორჯერ მეტი წიგნია. დიდ-დიდი ტომები და ფოლიანტები ვერსად შევამჩნიე, მაგრამ რაც არის, სუფთად და ლამაზად აქვთ შენახული და, რაც უმთავრესია, წიგნებით სარგებლობა გაადვილებულია. იქვე მოუწყვიათ მაგიდები, საწერ-კალამი, ქაღალდი, ელექტრონი. როცა გინდა შედი, რომელი გინდა წიგნი აიღე, იკითხე, ამოსწერე, იმეცადინე. მიუხედავად აღდგომა დღისა, რამდენიმე სტუდენტი წიგნებით გარშემოხერგული ცხარედ მუშაობდა. ძალაუნებურად გამახსენდა ჩვენი სემინარიის ბიბლიოთეკა. ახლა არ ვიცი რა ამბებია და ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ველური წესრიგი იყო. წიგნები, როგორც ვთქვით, ბლომად იყო, მაგრამ რად გინდა!.. მელისა და ყურძნისა არ იყოს, თვალი ხედავდა, მაგრამ კბილებში კი არა ვარდებოდა რა. ბიბლიოთეკა ებარა ერთ დამთხვეულ მასწავლებელს, რომელიც ბიბლიოთეკას აღებდა მესამე და მეოთხე გაკვეთილებს შუა, ხუთი წუთით. ამ ხუთ წუთში ვინ რას მოასწრებდა, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც ბიბლიოთეკის გამგე მთვრალი, დედ-მამას ოგინებოდა და რამე საინტერესო წიგნს არც კი მოგცემდა. მახსოვს, მეხუთე კლასში ვიყავი, უკვე დაწვერულვაშებული, ტოლსტოის „ვოინა ი მირი“-ს წაკითხვა განვიზრახე. ჯერ ორი თვე ვუდარაჯე, სანამ ბიბლიოთეკას ღიას ვნახავდი. როგორც იყო, მოვესწარ ბიბლიოთეკის გაღებას. მივედი. არათუ წიგნი არ მომცა, საშინლად გამიჯავრდა. განვიზრახე უფროსისთვის მიემართნა. იმასაც ერთი თვე ვდიე, სანამ მოსალაპარაკებლად ვნახავდი, მერე ისევ ბიბლიოთეკის გამგეს; ამასობაში გამოცდამ მოაღწია და „ვოინა ი მირზე“ ვინ მოგაცლევინებდა? ამ მხრივ ქების მეტი არა ეთქმის რა ეჯმიაწინის აკადემიის ხელმძღვანელთ.

ვნახე სააქტო დარბაზიც. როგორც უკვე მოვიხსენე, სააქტო დარბაზი შენობის შუაგულ ამართულ გუმბათშია მოთავსებული. დარბაზი წრესავით მრგვალია. დიდი არ არის. შესავალ კარების პირდაპირ მეორე კედელთან საკარძელია ქათალიკოსისათვის, შუა კათედრა რეფერატის ან სხვა რისამე საკითხავად. ოთხ წყებად კედლიდან შუაგულისკენ სამოსწავლო მაგიდის მსგავსი სკამებია დადგმული, ისე კი, რომ სიგრძე სკამებისა თანდათან პატარავდება, ასე რომ, წინა სკამზე მხოლოდ ორი კაცი . დაეტევა, როცა სულ უკანაზე ექვსიც მოთავსდება. შუაში კი კათედრის ირგვლივ თავისუფალი ადგილია.

დარბაზის კედლებს რამდენიმე კარგი სურათი ამშვენებს, სხვათა შორის აკადემიის დამაარსებლის გეურქ ქათალიკოსისა და ამას წინათ გარდაცვლილის მკრტიჩ პირველისა. საზოგადოდ, კედლები სულ აჭრელებულია მოსწავლეთა ნახატებით. რა გინდა აქ არ იყოს: უბრალო თაბაშირიდან დაწყებული პეიზაჟებამდე. არის ნახატები ფანქრით, წამლით, მელნით.

1905 წლიდან ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაშიო, მითხრეს სტუდენტებმა. წინათ ყველას ანაფორა ეცვა, ახლა საზოგადო სტუდენტური ფორმა აცვიათ. წინათ რექტორად არქიმანდრიტი ჰყოლიათ, რომელიც მუდამ დღე ეკლესიაში ერეკებოდა მოწაფეებს თურმე, ახლა ერისკაცია და თავის საქმის კარგადაც მცოდნე, როგორც გადმომცეს. ზემო სართულშივე სააქტო დარბაზის ახლო მათთვის პატარა თეატრიც მოუწყვიათ. ჯეილებმაც დიდი აღტაცებით მითხრეს, თეატრი გვაქვსო, და სირბილ-სირბილით გამიძღვნენ, რომ ეჩვენებინათ. საუბედუროდ, დღესასწაულის გამო, დარაჯი, რომელსაც გასაღები ებარა, სხვაგან წასულიყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ამაოდ, დარაჯი ვერ იპოვეს. ეტყობა, ეს მათი საყვარელი გასართობი ადგილია, და ძლიერ დაღონდნენ, რომ ვერ მაჩვენეს. მე კი, მათ შემყურეს, მიხაროდა მათი ასეთი აღტაცება.

ვნახე მათი სასადილო ოთახიც, რომელიც ცალკე ერთსართულიან სახლშია მოთავსებული. ავეჯეულობა სუფთა და წუნდაუდებელია, მხოლოდ წყლის დასალევად მინის გრაფინების მაგივრად, თუნუქის ვმალგადასხმული თუნგები ედგათ. ნუთუ აკადემიელები ისეთი ცელქები არიან, რომ მინის გრაფინებს ჩქარ-ჩქარა ამტვრევენ?

ვნახე საავადმყოფო. ცალკე სახლშია ისიც მოთავსებული. საუბედუროდ, საავადმყოფო ვერც სისუფთავეს და ვერც მოწყობილობას ვერ დაიკვეხებს. მთავარი შენობის გარდა სხვა შენობები

აკადემიასთან ხელდახელ გაკეთებული ან ძველი და უხერხულია.

აკადემიის მთავარი შენობის წინ ძეგლია ამართული პოეტის ქამას ქათიბისა, რომელიც დაიბადა 1838 წ., ხოლო გარდაიცვალა 1892 წ. დღესასწაულის გამო სტამბა დაკეტილი იყო და ვერ დავათვალიერე. გარეგნობით კი სტამბა კარგ, თლილი ქვის შენობაშია მოთავსებული. უკანასკნელ ქათალიკოსის მათეოს მეორის არჩევანი ამ შენობაში მომხდარა. ვერ დავათვალიერე აგრეთვე იმავ მიზეზით მუზეუმი, რაც მეტად მეინტერესებოდა.

გამოვბრუნდით ისევ მთავარ ტაძრის ეზოში, აქედან სამხრეთით შევუხვიეთ. ჩვენ თვალწინ ჰორიზონტზე არარატი იყო ამართული. თითქო ორი ვერსია იქამდისაო. ისე ნათლად ჩანდა, თავი კი ჩვეულებრივ დაბურული ჰქონდა.

— გუშინ უნდა გენახათ აქედან ურენტი, — მითხრა ერთმა სტუდენტმა. — სწორედ დიდებული სანახავი იყო. ერთი ბეწო ღრუბელი თავზე არ დასცურავდა.

— დღეს რა ღმერთი გაუწყრა, ჩემი ხომ არა რცხვენია-მეთქი, — შევნიშნე.

სტუდენტებს გაეცინათ.

— არა, ხუმრობის გარეშე, აქაურმა ქალებმა არარატისაგან ხომ არ გადიღეს პირის სახის დაბურვა? — ვთქვი მე.

— შეიძლება ასეც იყოს.

მართლაც და იშვიათად გამოაჩენს თავს ეს ჩვენი ბუმბერაზი.

მთავარ ტაძრიდან გავიარეთ სამხრეთისკენ ერთი-ორი ეზო. აქ მარცხნივ საკმაო სუფთა შენობაა.

— ეს არის სასტუმრო. თუ ღამე დარჩებით, მიმართეთ და საჭირო განკარგულებას მოახდენენო.

ჩვენ მხოლოდ შადლობა ვუთხარით, რადგან ერთი საათი დრო იყო კიდევ ჩვენს განკარგულებაში. სასტუმროს სამხრეთით ხელოვნური ტბაა ამოთხრილი. სიგრძე ორასი საჟენი ექნება, სიგანე — 80. ტბაში წყალი პატარა ხელოვნურად გადმოყვანილ ნაკადულიადან შედის. გვითხრეს, რომ ტბას სიღრმე ათი საჟენი აქვსო, რაც მე არა მჯერა. ათი საჟენი წყალი ინგლისურ საუკეთესო ჯავშნოსანს მოიტივტივებს და ორას საჟენიან ტბისთვის ასეთი სიღრმე უაზროა. სტუდენტებმა გვიამბეს, — ეს აუზი შიმშილობის დროს ამოთხარეს, რომ დამშეულ ხალხისთვის სამუშაო მიეცათო. აუზი ოთხკუთხია, ნაპირები თლილი ქვითა აქვს ამოკეთებული. მართლაც და მშვენიერი სანახავია. წყალი წმინდაა. თევზები კი ცოტა

ჰყავთ შიგ. ხელოვნურად კი ბლომად შეიძლებოდა შიგ თევზების გამრავლება. ნავიც არა აქვთ. უბედურებაც ხდება თურმე ხანდიხან. ახლახან ერთი გიმნაზიელი ერევნიდან ველოსიპედით წამოსულა სასეირნოდ. აუზთან თავი ვერ შეუმაგრებია და შიგ ჩავარდნილა. საბედნიეროდ, დროზე მიშველებიან და გადაურჩენიათ. რამდენიმე მაგალითი ყოფილა კაცის დახრჩობისა. ნავი, ან ირგვლივ მოაჯირი, ძლიერ საჭიროა ამ აუზისათვის.

აუზიდან მოვბრუნდით. სტუდენტებს მადლობა გადაუხადეთ და საეტლო სადგურისაკენ გავეშურეთ, რომ ეტლი დაგვეჭირა და ერევანში დროით ჩავსულიყავით.

ორივე ჩვენი ჩიჩერონე სტუდენტი მეტისმეტ ზრდილობიანად და მოყვარულად გვეპყრობოდნენ, რაც მათ ბუნებით გულკეთილობას და კეთილ აღზრდას უნდა მიეწეროს. მათი ჩვენდამი გულწრფელი დამოკიდებულება სრულიად ძალდაუტანებელი იყო, რადგან ჩვენი თითქმის მწირი ჩაცმულობა მათ არავითარ საბუთს არ აძლევდა რამე პირმოთნეულ აზრით ესიამოვნებინათ ჩვენთვის.

ჩავსხედით ისევ იმგვარსავე საფოსტო ეტლში და გამოვეშურეთ ერევნისაკენ. კაცი. ეტყობა, ყველაფერს შეეჩვევა. აქეთობისაც დაბანდულ თოკზე ვისხედით, მაგრამ იმდენი არ გვიგრძვნია, რამდენიც იქითობას. ეჯმიაწინიდან ერთი ვერსის მოშორებით ცალკე დგას გაიანეს მონასტერი. საყდარი მოწითალო თლილი ქვისაგან არის აგებული და გარეგნობით თბილისის სამხედრო საკრებულო ტაძარს წააგავს ცოტად, დრო არა გვქონდა, რომ შიგნით დაგვეთვალიერებინა.

გვანჯღრევდა გზა-გზა ჩვეულებრივ ჩვენი ეტლი და მიგვაქანებდა ერევნისაკენ. ეჯმიაწინი კი თანდათან თვალიდან გვეკარგებოდა. ჯერ კიდევ ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. რა არის ეჯმიაწინი, რა მნიშვნელობა აქვს? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ამასთანავე მაგონდებოდა აქა-იქ გაგონილი ამბები. ეჯმიაწინში უთვალავი სიმდიდრეა მოგროვილიო. შეიძლება იყოს, მაგრამ ჩემ მიერ ნანახს მატერიალური სიმდიდრისა არა ეტყობოდა რა. რაც შეეხება აკადემიას, იქ თითქმის სიღარიბეც გამოსჭვივის. შეიძლება შიგ მადლი ტრიალებდეს დიდი, მაგრამ ეს მადლი არა ვგონებ, რომ გულწრფელად ახლანდელ დროში ვისმე სწამდეს. ამაზე სიტყვის გაგრძელება მეტად მიმაჩნია. ეჯმიაწინი სხვაფრივ არის შესანიშნავი. იმან თავისი როლი აგერ ორი ათასი წლის განმავლობაში ჩინებულად შეასრულა და ჯერ კიდევ დიდხანს ითამაშებს. ეჯმიაწინი ის ღერძია, რომელიც აერთებს ყველა სომეხს, სადაც უნდა იყოს

იგი, ინდოეთში თუ ამერიკაში, მცირე აზიაში თუ რუსეთში. ის ერთებს ყველას — მდიდარსა და ღარიბს, სწავლულს და უსწავლელს. რა მიმართულების და რწმენისაც უნდა იყოს სომეხი, ყოვლად შეუძლებელია, რომ სიტყვა ეჯმიაწინმა გული არ აუტოკოს. სომეხმა ადვილად შეიძლება ენაც დაჰკარგოს, მაგრამ ის მაინც ეჯმიაწინისაა. ერთი ფესვი მაინც იმ გულთან აქვს და რაკი ერთი ფესვი ცოცხალია, მცენარეც არ არის მკვდარი. გაჩნდება ნიადაგი, ფესვი ფესვს მოისხამს და სხეულიც გაღონიერდება. რასაკვირველია, ეჯმიაწინის მნიშვნელობა არ შეუქმნია იმ თლილ ქვას, რომლითაც აშენებულია ტაძარი და არც იმის კედლებზე გამოყვანილ ჩუქურთმებს. ეს მნიშვნელობა შეჰქმნა შორსმჭვრეტელობამ და წინდახედულობამ, რომელიც გამოიჩინეს სომხებმა ჯერ კიდევ ამ ორი ათასი წლის წინათ და რაც, საუბედუროდ, ვერ გამოიჩინეს მათ მეზობლად მცხოვრებმა ჩვენმა წინაპრებმა. თუმცა ამასაც თავისი პატივსადები მიზეზები აქვს. ეს მიზეზები თვით სომხისა და ქართველის ხასიათშია. სომეხი ანგარიშით აკეთებს საქმეს, ქართველი გრძნობით. სომეხი არ აჩქარდება, ჩაუკვირდება საქმეს, გამოიანგარიშებს და თუ სახეიროდ ცნო, მაგრა ჩაებღაუჭება; ქართველი კი ჩქარა იფეთქებს და, საუბედუროდ, ჩქარადვე დასცხრება. სომეხს ოცჯერაც რომ დაუფიცო, არ დაგიჯერებს, თუ თვითონ არ დარწმუნდა საქმის ხეირში, ქართველს ერთი რომ მოეფერო, საეკუნო სიყვარულს შემოგფიცავს. ამ თავისებურმა გონებაჭარბმა ხასიათმა შექმნა ეჯმიაწინი და შეუბღალავად მოიყვანა დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ შვიდასი წელიწადია, რაც სომხებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგეს და თითქოს მთელ დედამიწაზე გაიფანტნენ.

სომხებმა ქრისტიანობა პირველ საუკუნეებშივე მიიღეს, მაგრამ მაშინვე ეს ახალი სჯული თავისებურად ჩამოაყალიბეს. მათ ძლიერ ჩქარა გაზომეს და ასწონ-დასწონეს ბიზანტიელები. ბრიყვულად არ ენდნენ მათ. ეპვი შეეპარათ ბერძნების წმინდანობაში და თავიანთ საბედნიეროდ ჩქარაც აეშალნენ მათ. სომხებმა მეოთხე მსოფლიო კრებასვე შეაქციეს ზურგი. სხვაფრივ შეუძლებელიც იყო: მსოფლიო კრებებზე ესა თუ ის საკითხი ხმის უმეტესობით წყდებოდა. უმეტესი ხმა კი იმათ ჰქონდა, ვისაც ბიზანტიის სასახლის კამარილია ჰქომაგობდა. განაჩენზე დიდი რიხით აწერდნენ: სულიწმინდას ასე მოესურვა საქმის გადაწყვეტაო. სომხები ადრევე მიუხვდნენ და, როგორც ვხედავთ, არც უზარალნიათ. ჩვენ ხალხს კი ბერძნები დღესაც რაღაც წმინდად მიაჩნია. თუმცა ჩვენი წინაპ-

რები ბევრჯერ მოტყუებულან მათგან და ბევრს ჩვენ სასულიერო მოღვაწეს, ჯერ კიდევ ძველ დროშივე, გასცრუებია მათში იმედი. განა მარტო ბერძნებში ბოვტყუვდით? განა სომხებს არა სწამთ ქრისტე? მათ არა აქვთ სახარება? მათ არა აქვთ ჯვარი? არსებითად რა განსხვავებაა მათ და ეგრეთ წოდებულ მართლმადიდებელთ შორის? არავითარი. ჭკუიან გლეხს რომ აუხსნა რა განსხვავებაა სომხის და ჩვენ რჯულს შორის, სიცილი მოერევა. მიუხედავად ამისა, ამ განსხვავებამ დაიცვა ისინი დღემდე, ამ განსხვავებამ ცოცხლად მოიყვანა ერი დღემდე, თუმცა დაჰკარგა ტერიტორია, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ზოგან თითქმის ენა და ზნე-ჩვეულებაც. და ესა ჰქნა ეჯმიაწინმა.

— შენ რაღაც ოცნებაში ხარ! — წამკრა მუჯლუგუნი ჩემმა თანამგზავრმა.

— ჰო! — გამოვერკვე და უკან მივიხედე. ეჯმიაწინი ჰორიზონტზე ოდნავ მოჩანდა.

დავბრუნდით ისევ ერევანში. ტფილისიდან დაგვაბარეს: კაი ქიშმიში და ლაბლაბო ხომ ერევანშია და თქვენ იცით, თუ მოიტანთო. ჩვენც გადავწყვიტეთ სახსოვრად წაგვეღო აქაური ნაქები ქიშმიში და ლაბლაბო. მოედანზე აქა-იქ შევამჩნიეთ ხმელი ხილის სავაჭროები. მივედით, დავათვალიერეთ. თუმცა ხმელი ხილის სიავკარგის ბევრი არა გამეგება რა, მაგრამ რაღაც თვალში არ მომეწონა. ჩემი თანამგზავრი ჩემზე უფრო უვიცი აღმოჩნდა ამ საქმეში. ვნახეთ სხვაგან, იქაც უარესი. ალბათ, ასე მეჩვენება, თორემ კარგისა უნდა იყოს-მეთქი, ვაჯერებდი ჩემ თანამგზავრს. არ მოგვწონდა, ჭაშნიკად მაინც წამოვიღეთ რამდენიმე გირვანქა. მაგრამ შინ რომ მოვიტანეთ, სიცილი დაგვაყარეს. ჩვენ გვერდით მეწვრილმანე ცამეტ კაპეიკად გაცილებით უკეთეს ქიშმიშს ჰყიდდა თურმე, ვიდრე ჩვენ მიერ ერევნიდან სამ-სამ შაურად მოტანილი იყო. ესეც შენი ერევანი.

ჩავსხედით მატარებელში და გავემგზავრეთ ულუხანლუსაკენ, აქ გადავსხედით სხვა მატარებელში და ჯულფისკენ გზას გავუდექით. ულუხანლუს შემდეგი სადგური კამარლიუა, რომელიც ულუხანლუდან 16 ვერსის მანძილზეა. კამარლიუ თითქმის ჩაფლულია ბაღ-წალკოტებში. აქედან დიდძალი ღვინო იგზავნება ყველგან და იაფიც არისო, ამბობენ. სადგურთან საკმაო დუქნებია, იქვე ახლო ბაზარი. სახლები ევროპიული ტიპისაა, ასე რომ, ახლო მომავალში აქ კარგი დაბა გაჩნდებაა.

კამარლიუდან რკინიგზის ლიანდაგი მდ. არეზს აუხლოვდება და

ისე მიდის ჯულფამდე. სად. კამარლიუს მოსდევს სად. არარატი. ეს სადგური არარატის მთის აღმოსავლეთითაა. სადგურიდან არარატის ძირამდე ოცი-ოცდახუთი ვერსი იქნება. კამარლიუდან არარატამდე 17 ვერსია. როგორც წინათაც ვთქვი, აქ არეზის დაბლობს შესამჩნევად ავიწროვებს ერთის მხრივ არარატის მთა და მეორის მხრით გლანლუს მთა, მაგრამ ნიადაგი მეტად ნაყოფიერია, თუმცა ალაგ-ალაგ ჭაობებიც არის და საერთოდ ადგილი ციებ-ცხელებიანი უნდა იყოს. ამ ადგილებში ხშირად გვხვდება შეკაზ-მული აქლემები. შეუსვამს თათარს ერთ აქლემზე რამდენიმე ქალი, ალბათ მთლად მისი ჰარამხანა, მეორეზე თვითონ შემჯდარა. თან უკან ვაჟიშვილი მოუსვამს და სადღაც მიეჩქარება. აქლემსაც აუშვერია მაღლა კისერი და თითქო ეჯიბრება ჩვენს მატარებელ-საო, მითოხარიკობს. ამ ადგილებშიაც ერთი რომელიმე ერი არა ცხოვრობს, სომხობა და თათრობა ერთმანეთშია არეული. არეზი ზოგან საკმაოდ განიერია, ალაგ-ალაგ შუაში მაღალი ლერწმით და-ბურული კუნძულებიც მოჩანს. სად. არარატი 378 საჟენზეა ზღვის ზედაპირიდან.

არარატის შემდეგ რამდენიმე პატარა სადგურია შახტახტამდე, მაგრამ შესანიშნავი არა არის რა, მხოლოდ სად. არარატის ცოტა ქვემოთ რუსეთ-სპარსეთის საზღვარია. შახტახტი მოზრდილი სო-ფელია. აქ არის საყარაულო და დამოჟნა. სპარსეთის მხარესაც მოჩანს სახლები. არეზზე დიდი ბორანია, რომლის შემწეობით არის მისვლა-მოსვლა და ალბათ სავაჭრო საქონლის გაცვლა-გამოცვლა რუსეთ-სპარსეთს შორის. ამიტომ ამ სადგურზე შესამჩნევი მოძრა-ობაა. რამდენიმე სავაჭრო დუქანიც არის. სხვათა შორის ერთხ გარეთ ქართული გვარი ეწერა და დახლშიაც ჩვენებური ზორბა ვაჟკაცი გამოჭიმულიყო, წინ თეთრ ტილოაფარებული. არარატი-დან შახტახტამდე ორმოცი ვერსია.

შახტახტს მოსდევს ნახჭევანი. სადგური ქალაქიდან ერთი, ერთ-ნახევარი ვერსითაა დაშორებული. შორიდან ნახჭევანი ერევანზე უფრო ლამაზი შესახედავია, შიგნით კი მოუწყობლობა-უსუფ-თაობას იქაც საარაკოს ამბობენ. ქალაქის შუაგულ რაღაც ვეებერ-თელა ოთხკუთხი კოშკია ამართული. ვერ გავიგე ეკლესიაა თუ მეჩეთი. ნახჭევანი ერთი უძველეს ქალაქთაგანია. აშენებულია მე-ექვსე საუკუნეში, სომხეთის მეფის ტიგრან პირველის დროს. ახლა ნახჭევანი ერთი საუკეთესო სავაჭრო ქალაქია აღმოსავლეთ კავკასიაში, რადგან სპარსეთიდან ამიერკავკასიაში შემოსასვლელ გზაზეა. ნახჭევნიდან დაწყებული მთები თანდათან უახლოვდება

მდ. არეზს. გავიარეთ რამდენიმე მანძილი ნახჭევანიდან, გავედით მდ. ნახჭევან-ჩაის და მივადექით ტურუდაგის მთას. აქ გაშლილ და ფართოდ მომდინარე არეზს ფრთები ეკვეცება, აკვანივით იმწყვდევა მთებს შუა და იმდენად ვიწროვდება, რომ კაცს ეგონება — ვისკუპებ და გაღმა გადავხტებიო. რკინიგზის ლიანდაგი ზედ მდინარეს მისდევს და ისეა ათასფრად დაკლაკნილი, როგორც მდინარე. ჩვენ მიერ ნაცნობი აბიბინებული დაბლობი თავდება და შევდივართ ისევ ხრიოკთა სამეფოში. საითაც გაიხედავ, მოწითალო ვეებერთელა ლოდთაგან შემდგარი კლდეებია. არც ტყე, არც ბალახი. სულ ასეთი ერთფეროვანი, მოსაწყენი, მაგრამ თავის სიდიადით დიდებული ბუნებაა ჯულფამდის.

აი მიუახლოვდით ჯულფას. ჯულფის ახლო არეზს ერთვის აღეჯი-ჩაი, რომელიც ქსნის ტოლა იქნება. ისიც უზარმაზარ კლდეებში ძლივს იკვლევს გზას. მატარებელმა დაიკივლა და სიარულს უკლო, გამოჩნდა მეორე, მესამე სათადარიგო ლიანდაგი და მიუახლოვდა სადგურს. მოვედით ჯულფაში. ამ ხრიოკ მთებ შუა ერთ ალაგას საკმაო ფართო ველი გაჩენილა. აქ არეზიც ფართოდ იშლება, ბუნებასაც ცოტაოდენი სიცოცხლე ეტყობა. ამ ველს ორ ვერსამდე სიგრძე-სიგანე ექნება. ეს ველი გახლავთ ჯულფა. გაღმა აზერბაიჯანია, სპარსეთის საბრძანებელი, ხოლო გამოღმა რუსეთის საბრძანებელი. აქეთა ნაპირზე რუსებს გაუშენებიათ დამოქნა და საჭირო შენობანი, იქითა ნაპირზე სპარსელებს. დიდი ბორნის შემწეობით სწარმოებს მისვლა-მოსვლა ამ ორ ნაპირს შორის. ჯულფის ქვემოთ ორ ვერსზე არეზზე გადებულია მშვენიერი რკინის ხიდი, მაგრამ ამ ხიდზე ჯერ არავის უშვებენ. ეს ხიდი რკინიგზის გაყვანის დროისთვის არის მომარაგებული. ჯულფის რკინიგზის სადგური საკმაოდ დიდი შენობაა აღმოსავლეთის გეგმაზე. შიგნით სუფთაა და მოხერხებულად მოწყობილი.

ქართულ ლაპარაკს ჯულფის სადგურზე უფრო ხშირად გაიგონებ, ვიდრე ტფილისში. რკინიგზის მოხელეები ბევრია ქართველი. ბუფეტიც ქართველს უჭირავს. გამოველაპარაკე მებუფეტეს. მითხრა, ჩვენებურები ბევრნი მიდიან სპარსეთის მხარესაო.

— მერე როგორ ახერხებენ-მეთქი.

— მაგაზე ადვილი რა არის: ერთი ორი მანეთია საჭირო, რომ გაღმა ამოგაყოფინონ თავიო... ეს, ბატონო, ჯულფა, ჯულფაო. იძახიან, — განაგრძო მებუფეტემ, — სახელი დიდია და სახრავი კი შიგ არა ჰყრია რაო. ბუფეტი ვერა ხეირობს. მოგება აქვს იმაზე, ვისაც სასტუმრო აქვს.

— სასტუმრო რანაირად მოიგებს, აქ არც სახლები ჩანს, არც რამე სავაჭრო.

— ჭამა-სმაში კი არ იგებენ. ფულს ქალებით იგებენ: თათრებს სხვა არა უნდათ რა. ქერა, ევროპიულად გამოწყობილი ქალი აჩვენე და პერანგსაც დააგირავებსო. ან რა უჭირთ დასაგირავებელი! შეხედავ, გახუნებული პალტო აცვია, ჯიბეში კი ათასობით უწყვია.

ამას მეუბნებოდა მებუფეტე გულუბრყვილოდ. მე კი ყურებამდე ვწითლდებოდი. „ესეც კულტურა, — გამიელვა თავში, — ესეც შენი ევროპასთან დაახლოება!“

სადგურს გავშორდი. ირგვლივ მთებ-მთებ შუა ტრიალი მინდორი, კლდეებზე რამდენიმე სახლი, — აი მთელი ჯულფა. მიუახლოვდი მდ. არეზს და დავდექ იმის ნაპირზე დაფიქრებული. გაღმა ერთმა მთამ მიიქცია ჩემი ყურადღება. მთა საკმაოდ მაღალია, კოჯრის სიმაღლე იქნება. და პირამიდის მსგავსად არის ამართული. ძლიერა ჰგავს ინგურის ხეობის ერთ მთას, სოფელ ჯვარის ზემოთ, იმ მთას წულიშის მთა ჰქვია. წულიშს ერთის მხრივ ინგური ჩამოუდის, მეორე მხრივ მდინარე მაგანა. ორივე ჩქარი და მოუსვენარი, სავსე გემრიელ კალმახითა. მაგრამ ამ ორ მთას გარეგან მოყვანილობით მსგავსებასთან ბევრი განსხვავებაცა აქვს. რამდენად მწირი და ხრიოკია ჯულფის მახლობელი მთა, იმდენად ბუნებით მდიდარი და ნაირ-ნაირ მცენარეულობით დაბურულია წულიში. მის წვერზე თვალუწვდენელი ფიჭვი და ნაძვი ხარობს, ფერდობზე წაბლი, დაფნა, წიფელა და სხვა ხეები და ბუჩქები ერთმანეთშია გადახლართული. მაგრამ წულიშის ახლო ხეირიანი საცალფეხო გზაც არ არის და მთელი იქაური აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე უქმადა ძევს. აქ კი, ამ გატრუსულ ხრიოკის მახლობლად რკინიგზაა გაყვანილი.

ვიდექ არეზის პირად. ფიქრმა შორს გამიტაცა, წულიშის მსგავსმა მთამ გადაიარა, გაყვა თავრიზის გზატკეცილს * და შიგ თავრიზში ამოჰყო თავი. იქიდან თვალის დახამხამებაზე მთელი სპარსეთი შემოირბინა. თვალწინ წარმომიდგა შედარებით მცირე გუნდი თავგანწირულ მებრძოლთა, წესიერების, კანონიერების და მართლმსაჯულების დამყარებისათვის და უამრავი ხალხი, დატანჯული მტარვალ მთავრობისაგან. „საწყალი ხალხი, უბედური ხალხი“, — წავიბუტბუტე.

* თავრიზის გზატკეცილი რუსების მიერ არის გაყვანილი. (ავტორის შენ.)

„შენ სწორედ ანდაზასაებრ მოგდის: კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდაო, — გამიელვა აზრმა, — სპარსელებს რომ ჰგლოვობ, ერთი შენ გარშემო მიმოიხედე. ირგელივ მინდორი ქაჩალა ბალახბულახით, შუა საურმე, მოუკირწყლავი გზა. აგერ იქ, რამდენიმე სახლი სასტუმროდ წოდებული, რომლეს პატრონი როსკიპ ქალებისაგან მოელის გამდიდრებას". ფიქრი გაჰყვა ჩრდილოეთის მხარეს. ბევრი მთა, მინდორი, ქალაქი და სოფელი გადაირბინა, მაგრამ სანუგეშო ვერსად ვერა ნახა რა. ყველგან შიმშილი, ტანჯვა და წამება, ყველგან ჩაგვრა და უსამართლობა. აქაც სიბნელე და უმეცრებაა გამეფებული.

ვიდექ არეზის პირად. ჩემ თვალწინ რაღაც მოშაო ფრთოსანმა დაიფრთხიალა, ფრთა ფრთას შემოჰკრა, თავისუფლად გააპო ჰაერი და მდინარე არეზი გადასჭრა. ერთ წამს ისევ უკან მობრუნდა, თითქო რაღაცას ეძებსო, გამოღმა ნაპირზე ხან აქ დააფრინდებოდა, ხან იქ, მერე ისევ აფრინდა, ისარივით დაეშვა გაღმისკენ და ცის სივრცეში ნელ-ნელა დაიკარგა. „რა დიდი განსხვავებაა ჩემს და ამ პატარა ფრინველს შორის ამ წუთში, — უნებლიეთ მომდიოდა ფიქრი. — მე გამოღმა დგომისაც მეშინია, ყოველ წამს მოველი, აი მოვა ვინმე და მეტყვის: „აქ რას უდგეხარ, ვინა ხარ. აბა შენი პასპორტი, აქ დგომა აკრძალულია, წადი აქედან. კიდევ კარგი, თუ ამას დაგაჯერა, ხელი არ გტაცა და ვირის აბანოში თავი არ ამოგაყოფინა. ჩიტუნა კი უშიშრად გ-ღმაც გაფრინდა, როცა მოუნდება გამოღმაც გადმოფრინდება".

ვიდექ არეზის პირად. მდინარე ჩვეულებრივ მიდუდუნებდა. მისი ამღვრეული ტალღა ერთგვარად სცემდა ორივე ნაპირს, გაღმაც და გამოღმაც. ბუნებით არავითარი განსხვავება არ იყო ამ ორ ნაპირს შორის, მაგრამ ძალის მქონე ადამიანს კი ხელოვნურად, საზღვრად გაუხდია იგი, აქეთ ნაპირზე დარაჯები დაუყენებია, ჩემს უნებურად გაღმა გასვლა არავინ გაბედოსო. რატომ, რა განსხვავებაა გაღმა-გამოღმას შორის? იქაც შარიათი, აქაც შარიათი, თვისუფალი მიმოსვლა რად არ უნდა იყოს?

— ჰერიჰა! შენ საით წამოსულხარ! — მომესმა ჩემი თანამგზავრის ხმა, — კაცო, საცაა მატარებელი დაიძვის, შენ კი აქ ოცნებობ!

— გაღმაც შარიათი, გამოღმაც შარიათი! — მივუგე მე.

— ვა! ხომ არ შეიშალე, საცაა მეორეს დარეკენ, ჩქარა წამო! — წავედით სადგურისკენ.

მსოფლიო გამოფენა ქ. განში

(გენტი, ბელგია)

ერთი თვალის გადაკვლევით

კულტურულ ნაწარმოებთა გამოფენა ერთგვარი ბარომეტრია, დამახასიათებელი ამა თუ იმ ერის ზრდა-განვითარებისა. პატარა, მაგრამ კულტურულად საოცრად განვითარებული ბელგია* არა თუ კერძო, მსოფლიო გამოფენასაც ხშირად მართავს ხოლმე. სამი წელიწადი ჯრაა მას აქეთ, რაც ბრიუსელში იყო მსოფლიო გამოფენა და აი წლეულსაც, აპრილის დამლევს გაიხსნა გამოფენა ქ. განში.

როგორც იყო, მოვიცალე ერთ კვირა დღეს და დილით ადრე გავსწიე ბრიუსელის ეგრეთ წოდებულ ჩრდილოეთის სადგურისაკენ. თუმცა აუარებელი ხალხი იყო წამსვლელი, მაგრამ იმდენი მატარებელიც არის დანიშნული, რომ ჩვენში ჩვეულ სივიწროვეს მატარებელში აქ ადგილი არა ჰქონდა.

დაიძრა მატარებელი და ერთი საათის განმავლობაში უკვე განში ვიყავით. გამოფენა ახლოა სახალხო მატარებლების სადგურთან და მეც დაუყოვნებლივ იქითკენ გავეშურე. შევედი ეგრეთ წოდებულ entrée principale-ში (მთავარი შესასვლელი). უზარმაზარი, მაღალი და ფართო გუმბათიანი შენობის წინ გაჭ-

* ახლადა მაქვს შემდეგ ვრცლად გავაცნო ქართველ საზოგადოებას ბელგია და ბელგიელები.

ჩულია ფართო, ნაირ-ნაირი ყვავილებით შემკული ეზო. შენობის წინ ამართულია ძროხების, ხარებისა და სხვა შინაური ცხოველების დიდროვანი ქანდაკებანი. შიგნით ეზოს განი ექნება ოცდაათი საჟენი, ხოლო სიგრძე ორასზე მეტი. შიგ სამ ალაგას გამართულია სხვადასხვა ქანდაკებით მორთული დიდი აუზები და თვალამჭრელებელი ყვავილებით შემოხავერდებული. ერთ-ერთ აუზთან, მაგალითად, აღმართულია ყალხზე შემდგარი რაში. ზურგზე ოთხი ტიტველი ვაჟკაცი აზის; ერთს მშვილდ-ისარი მოუჭიდავს. მეორეს ნაჯახი მოუმარჯვნია, მესამეს—შურდული, ხოლო მეოთხეს—ლახვარი. ცხენ ქვეშ ორი დაჭრილი კაცი გდია. ამ ეზოს ირგვლივ აღმართულია ერთი წყება საგამოფენო უზარმაზარი სახლებისა. თავში მარჯვნივ და მარცხნივ ბელგიის განყოფილებაა, დაახლოებით უჭირავს 12 ქცევა ადგილი. ბელგიისას მარცხნივ მისდევს ინგლისი, უჭირავს რვა ქცევამდე ადგილი, ხოლო მარჯვნივ ოცამდე ქცევა ადგილზე გაჭიმულია საფრანგეთი. ამ ეზოს ბოლოში განდაგან სამხატვრო განყოფილებაა. ესეც რვა ქცევამდეა. მის გვერდით 200 ოთხკუთხ საჟენზე სპარსეთია მოთავსებული. სპარსეთის გვერდით დეკორაციული მხატვრობაა, ორი სპარსეთის ტოლა იქნება, შემდეგ იტალია, ოთხი სპარსეთის ტოლა. შემდეგ გადავდიგართ მეორე უშველებელ ეზოში მარჯვნივ. აქ არის მოთავსებული: ჰოლანდია, ბელგიელების მანქანათა განყოფილება, საელექტრონო სასახლე, გერმანია, საერთაშორისო განყოფილება, კანადა, კონგო ბელგიელებისა, რკინიგზის მოწყობილობათა სასახლე და სხვადასხვა წვრილმანობა. საერთოდ გამოფენას ექნება ორი ვერსი განი და ერთიც სიგრძე. ეს თითქმის მთელი ქალაქია და მისი გულდასმით დათვალიერებას ერთი თვეც არ ეყოფა. მე კი დრო ძლიერ ცოტა მქონდა. ამიტომ, როგორც სათაურში მოვიხსენიე, ჩემ მიერ გამოფენის დათვალიერება ერთი თვალის გადაგლებითია.

შევედი პირველად ბელგიის განყოფილებაში. მარჯვნივ, კარებში ლამაზ ფორმით გამოწყობილი კაცი იდგა. თუმცა ზრდილობიანად, მაგრამ ყველას სიგარა-პაპიროსებს იქვე მომზადებულ, წყლით სავსე ფაიფურის ჭურჭელში აგდებინებდა. პირველად ავტომობილების, კარეტა-ეტლებისა და ველოსიპედების განყოფილებაში მოგხვდი. რა და რა ზომის და ჯურის ავტომობილები და კარეტები ან ველოსიპედები გინდა, რომ აქ არ იყოს გამოფენილი. ამას მოჰყვა სასტამბო განყოფილება. სხვადასხვა ზომის კლიშეები, ხელოვნურად ამოკრილი ხეზე, თითბერზე, თუნუქზე. საბეჭდავი

მანქანები სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციისა. მექანიკური ასოთასაწყობი და ზედვე მობმული საბეჭდავი მანქანა, ადგილი სულ ცოტა უკავია. ამას მისდევს სხვადასხვა ოპტიური აპარატები. შემდეგ აუარებელი რელიეფები ქუჩებისა, ფაბრიკებისა, სახელოსნოებისა; ქანდაკებანი ხელოსნებისა, იქვე აუარებელი გაუმჯობესებული სახელოსნო იარაღები.

ამათ მოჰყვა სოციალურ-ეკონომიური განყოფილება. სხვათა შორის თვალი მოვკარ: 1903 წელს ბელგიელებს გაუყიდიათ ქვანახშირი 4,706,033 ფრანკისა. 1912 წ. კი 6,794,876 ფ-სა. სოციალისტების კოოპერატიულ ამხანაგობას უვაჭრნია 1904 წელს 26 მილონი ფრანკისა, 1911 წელს კი 47 მილიონისა. 1904 წელს კოოპერაციას მოუგია 3,140,000 ფრანკი; 1911 წელს კი 5,124,000 ფრანკი. მასვე ჰქონია უძრავი ქონება 1904 წელს 10,300,000 ფრანკისა. 1911 წელს კი 19,135,000 ფრანკისა. მათვე ჰქონიათ შენახული კაპიტალი 1904 წელს 1,406,000 ფრანკი, ხოლო 1911 წელს 1,900,000 ფრანკი. ამ ციფრებს მგონი განმარტება არა სჭირია.

გამოფენილია ძველებური გეოგრაფიული რუკები, ერთიც ძველი ჩინური თუ იაპონური რუკა ქვეყნიერებისა. მოხაზულობა თუმცა ორიგინალურია და სიცილის გამომწვევია, მაგრამ გვარიან კარგადაა მიმსგავსებული. აქვეა ბევრი ახალი რუკა და „გიპსომეტრიული“ რელიეფები. ეს უკანასკნელი ძლიერ საინტერესოა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი ტექნიკურად გაკეთება გაადვილდება, მაშასადამე, გაიაფდება, მთელ ქვეყანას მოეფინება და დაბალი სასწავლებლებიდან მაინც განდევნის ახლანდელ ბავშვის ნორჩი გონებრივის სრულებით გაუგებარ გეოგრაფიულ რუკებს.

გამოფენილია საექიმო, სააფთიაქო ჭრილობათა შესახვევი ნივთები, ხელოვნური ხელები, ფეხები და სხვ. მრავალგვარი ლამაზად და მტკიცედ გაკეთებული. ვნახე საშენი მასალების განყოფილება; აგურები, კრამიტები, ფილაქნები, იქვე საძირკველ-ჩაყრილი, სანახევროდ აშენებული სახლი. შევიხედე ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. თვალი გადავავლე ბელგია-საფრანგეთის ვაჭრობას. 1865 წელს გაუტანიათ ბელგიიდან საფრანგეთში 300 მილიონი ფრანკის საქონელი, ხოლო საფრანგეთიდან შემოუტანიათ 258 მილიონისა. 1912 წელს კი ბელგიიდან გაუტანიათ 520 მილიონისა და შემოუტანიათ 1130 მილიონისა. გამოფენილია სამხატვრო სკოლა ქ. განში. მოსწავლეთა მიერ

გაკეთებული ქანდაკებანი, დახატული სურათები, ხელოვნურად გამოჩუქურთმებული ნივთები ხისაგან, მარმარილოსაგან, სხვადასხვა ლითონისაგან.

ამას მოსდევს დგამების განყოფილება. უთვალავი ოთახები, სხვადასხვა გემოვნებაზე მოწყობილი, სადა გინდა თუ ჩუქურთმიანი, გალაქული თუ მოვარაყებული. გასათბობი და გასანათებელი მოწყობილობა გაზით, ქვანახშირით თუ ელექტრონით. შემდეგ ტკბილეულობა, ამას ხომ ბოლო არ უჩანს! ქადების საცხობი. აქვე ხალხის თვალწინ ზელენ, აქვე აცხობენ, ჰყიდიან და სჭამენ. სისუფთავე-სისპეტაკე აუწერელია, გემო საუცხოო და შედარებით იაფი. წარმოდგენილია შოკოლადის მთელი ფაბრიკა. გაცხელებული მუშაობაა. მანქანების ჭახაჭუხისაგან ყურთასმენა აღარ არის. აქვე ამზადებენ და აქვე ჰყიდიან. რა თქმა უნდა, აუარებელ გამოფენილ ნივთების მეათასედიც ვერ დავათვალიერე და გავედი ეზოს გაღმა ბელგიისავე მეორე განყოფილებაში.

აქ პირველად მდიდართა განყოფილებაში მოვყევი. რა მოვარაყებული დგამები. ან რანაირად მორთული ოთახები! აქვე უნდა შევნიშნო, რომ როგორც ხელოვნური ნაწარმოები, ესენი შეიძლება კარგიც იყოს, მაგრამ ცხოვრებაში სახმარად კი მეტისმეტია. ჩემ თავად საშუალებაც რომ მქონდეს, თავის დღეში ჩემ თავს ნებას არ მივცემდი, რომ ასეთ მორთულ სახლში მეცხოვრა. ამათ მოჰყვა ძვირფასი თვლები. გაკუთხული და გაუკუთხავი ალმასები, მათი გასაკუთხი იარაღები. აქვე ჰკუთხავენ. მარგალიტები სხვადასხვა სიდიდისა. მარგალიტები ლოკოკინაში ისე, როგორც ამოუტანიათ ზღვის ძირიდან. გამოფენილია უთვალავი ვერცხლეულობა, წვრილმანი ნივთები, შესაკრავები, ყელსაბამები, სამაჯურები და სხვა პიჭუპაჭუ. დასევია ხალხი და ჰყიდულობს.

მომეწონა ალიუმინისაგან გაკეთებული ჭურჭლები: ქვაბები, ჭიქები, ტაფები, საყავეები. ეს ლითონი მომავალში, ალბათ, დიდ ადგილს დაიჭერს ცხოვრებაში. იგი არ ჟანგდება, ვერცხლივით თეთრია, ძლიერ მაგარია და ორჯერ უფრო მჩატეა, ვიდრე სპილენძი. ალიუმინი აღმოაჩინეს 1854 წ. პირველად ღირდა კილო (2½ გირვ.) 3000 ფრ. 1863 წ. უკვე 140 ფრანკამდე ჩამოვიდა; 1898 წელს კი 2 ფრ. 75 სანტ. ფასობდა.

ამას მოჰყვა სახელი და დიდება ბელგიისა: სხვადასხვა ქსოვილი და ძვირფასი სახეები, რა სიკოხტავე-სინაზე და მასთან სიმტკიცე და სიმაგრე საქონლისა, რა ბევრი და რა იაფი. მე, მართალი გითხრათ, ამ კრუქევებისაც არა მრწამს რა. აქ, ბრუსელშიაც,

ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალწინ მეჩხირება და საჩქაროდ გზა აუხვიე. აი შეკერილი ტანისამოსები. რა გინდა, სულო და გულო! გამოფენილია დაუსრულებელი გროვა ხელოვნურად გაკეთებული, ჩაცმული მამაკაცებისა და დედაკაცებისა. ტანისამოსის სიიაფე ბელგიაში ხომ საარაკოა.

წავაწყდი საეკლესიო განყოფილებასაც. თუმცა დასავლეთმა ევროპამ კარგა ხანია სინიდისი განითავისუფლა და ვატიკანის უცოდველობა უარჰყო, მაგრამ კათოლიკე სამღვდელოება ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენს აქ, ბელგიაში, ასე ვთქვათ, ბატონობს კიდეც. გამოფენაშიც თავი არ შეურცხვენიათ, თუ შეეხედავთ, რა თქმა უნდა, საქმეს ხელოვნურ-ესტეტიური მხრივ. გამოფენილია სამღვდელო ძვირფასი შესამოსლები, სხვადასხვა საეკლესიო და სამონასტრო ნივთები. დედათა მონასტრის (აქ მონასტრები უთვალავია) ნაწარმოები ხელსაქმეები. ამ განყოფილებაში მონაზვნები ბატონობენ. თავზე გახამებული, თოვლივით თეთრი, ფართო ფრთებიანი ქუდები ჰხურავთ, შავი კაბები აცვიათ და წელზე მსხვილი მძივებიანი კრიალოსანი არტყიათ, კრძალვით და მოწიწებით დადიან და გამოფენილ ნივთებს უთვალთვალებენ. კრიალოსანი ძირს ფეხებამდე სცემს და ბოლოს მობმული ლითონისაგან ჩამოსხმული ჯვარცმა ყოველ ფეხის გადადგმაზე ხან წაღმა შემოტრიალდება და ხან უკუღმა.

აქვე თვალი მოვკარ ერთ უშველებელ, ტყავზე დაწერილ წიგნს. წიგნი ძვირფას ყდაშია ჩასმული და საგანგებოდ მისთვის გაკეთებულ ხელოვნურად ჩაჩუქურთმებულ ანალოღიაზეა დასვენებული. გვერდზე ვერცხლის ფიცარზე აწერია: „დაწერილია ლათინურად 1608 ქ. ნორიაში (იტალია)“. გამახსენდა ჩვენი მიქელ მოდრეკილი, ამ წიგნზე შვიდასი წლით ადრე დაწერილი, ან ურბნისის ოთხთავი, ამ წიგნზე ათასი წლით ადრე დაწერილი და ერთიც ამოვიოხრე.

გავედი საათების განყოფილებაში. ვერცხლის გინდა თუ ოქროსი, კედლის თუ ჯიბის, დიდი თუ პატარა, ფასი ძლიერ იაფი.

თვალი მოვკარ ფართლეულობას. ამან დამაინტერესა და ცოტა ხნით შევჩერდი. ჯერ წარმოდგენილია პრიმიტიული ქსოვა. ხელოვნურად გაკეთებულია ახალგაზრდა ქალი, ფეხებზე ხის ქალამნები (საბო) აცვია, თითის ტარზე ძაფს ართავს, პირზე ღიმი უკრთის. იქვე პრიმიტიული საქსოვი. შემდეგ როგორ თანდათან განვითარდა ეს ხელოვნება. წარმოდგენილია ტიკინებით და ცოცხალი მხატვრობით, თუ როგორ მოჰყავთ ბამბა აფრიკაში, როგორ

გამოაქვთ გემებით ბელგიაში, როგორ ართავენ, როგორ ქსოვენ და გააქვთ გასაყიდად. ამას მისდევს მთელი მთა დამზადებული ფართლეულობისა.

ბევრი რამ იყო საინტერესო კიდევ, მაგრამ დრო ნებას არ მაძლევდა და ინგლისის განყოფილებისაკენ გავეჩქარე.

ინგლისი

როგორც გულწრფელად მორწმუნე მოწიწებით შედგამს ფეხს სასწაულმოქმედებით განთქმულ ხატის ეკლესიაში, ისე კრძალვით მივადექი ინგლისურ განყოფილებას. გულის ფანცქალით მოველოდი, თუ რას ვნახავდი იქ! თუ რას მიჩვენებდა ქვეყნიერების კიდითკიდემდე დიდებულ, თავის ღირსება-პატივის მედგრად დამცველი, მაგრამ იმავე დროს სხვისი უფლებისა და ღირსებისაც არ დამვიწყებელი ინგლისი. შევედი, ერთ ხანს შევჩერდი და შორიდან დავუწყე თვალიერება. ინგლისი არა ბზინავს და არა ბრწყინავს. ოქროს ვარაყს აქ ვერ ნახავ. ის მუქია, მოქუშულ-მოღრუბლულია, როგორც მთაზე დამყურე მუდამ ნისლ-ბურუსიანი ცისა კამარა. ის არ ცდილობს აათამაშოს შენი გრძნობა, არც კრიალოსანზე მიბმულ ჯვარცმას წაღმა-უკუღმა ატრიალებს. ის შოკოლადით არ გიმასპინძლდება, არც იმას ცდილობს, რომ ყალბი თუ ნამდვილი ოქრო-ვერცხლეულობის ზიზილპიპილი მოგაჩეჩოს. ის მოქმედობს ჭკუა-გონებაზე, მას სახეში ჰყავს არა ერთი და ორი, ან ზოგიერთი რჩეული, არამედ ყველა, მთელი კაცობრიობა. ის ცდილობს საერთოდ ცხოვრების გაადვილებას და გაუმჯობესებას. ამიტომ ყველა მის მიერ გამოფენილ ნივთს პრაქტიკულ ცხოვრებაში უსაჭიროესობის ბეჭედი აკრავს.

პირველად მას გახსენებია ის, ვინც სხვას დავიწყებია, როგორც აქ გამოფენაში, ისე, სამწუხაროდ, ხშირად გამოფენის გარდაც. მას გახსენებია პატივაყრილი, სულით და ხორცით შევიწროებული, ხშირად უმართლოდ დასჯილი ტუსაღი, პატიმარი. ამნაირად ინგლისელების პირველი განყოფილება პატიმართა განყოფილება აღმოჩნდა. გამოფენილია ნიმუშებით საპატიმროები და მთლად პატიმართა ცხოვრება როგორც თვით ინგლისში, ისე მათ უთვალავ ახალშენებში. რა თქმა უნდა, რუსულ საპატიმროებთან მათ საერთო არა აქვთ რა. მთავარ ყურადღებას იპყრობს სახლები პატიმართათვის; ერთსართულიანი, მრავალ ოთახებად დაყოფილი, ირგვლივ ფარ-

თო მწვანე ეზოთი. სხვადასხვა სახელოსნო პატიმართათვის, — სამკედლო, საზეინკლო, სადურგლო, სახარაზო და სხვ. და სხვ. სტამბა პატიმართათვის, ბიბლიოთეკები, სამკითხველო, ბაღი და სხვ. ერთი შეხედვით ინგლისური საპატიმრო ავადმყოფთა თავშესაფარი გეგონება და არა სასჯელის მოსახდელი დაწესებულება. და მართლაც, როგორც ჩანს, ინგლისელი პატიმარს და საზოგადოდ დანაშაულის ჩამდენს ისე უყურებს, როგორც ავადმყოფს და ამიტომ უფრო მის გასწორებას აქცევს ყურადღებას და არა მის დასჯა-შეწუხებას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინგლისში ჩვენში ძლიერ განვითარებული ეგრეთ წოდებული პოლიტიკური დანაშაული არ არსებობს, ადვილი წარმოსადგენია, თუ ვის ატუსაღებენ იქ. რა თქმა უნდა, ქურდს, მოჩხუბარს, კაცის მკვლელს და ამისთანებს. მაგრამ ყველა ეს ძლიერ რთული ფსიქოლოგიური მოვლენაა. მათი მიზეზის გადაჭრა არც ისე ადვილია, ხოლო მათი აღმოფხვრა მსხვილი ბორკილებით, ჭუჭყიან სახლებში დამწყვდევით და თოფის კონდახის ცემით შეუძლებელია. და აი კიდეც ინგლისელს სხვა საშუალებისთვის მიუმართავს. იგი დამნაშავეს აპატიმრებს, ე. ი. აშორებს დანარჩენ საზოგადოებას, მაგრამ ხელფეხს კი არ უკრავს. პირიქით, აძლევს საშუალებას ისუნთქოს წმინდა ჰაერით, აჭმევს კარგად, აძლევს სახსარს ავარჯიშოს თავისი ხელი, ჭკუა და გონება, რომ გასწორებული, მშრომელი და მშვიდობიანი მოქალაქე კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოებას.

პატიმართა განყოფილებას მისდევს ჰიგიენური განყოფილება. გამოფენილია კაცის სხეულის სხვადასხვა ნაწილი, ზოგი ნამდვილი, სპირტში, ზოგი ხელოვნურად გაკეთებული, დაზიანებული სხვადასხვა სნეულებით. ნათლად წარმოდგენილია, თუ როგორ იბადება რომელიმე სნეულება ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილში, როგორ თანდათან ვითარდება, ვრცელდება სხვა ნაწილებში, აზიანებს სხეულს და ბოლოს სიცოცხლესაც უსპობს. აქვეა ელექტრონით მომართული მრავალი მიკროსკოპი, სადაც ყველა მსურველს შეუძლია დაათვალიეროს სხვადასხვა სენის მიკრობების სახე, როგორც ხოლერისა, ჭლექისა, ათაშანგისა, შავი ჭირისა და სხვ. გამოფენილია ცხოველები, შინაური და გარეული ფრინველები, რომელთაც გადააქვთ სხვადასხვა სენი ერთი ადგილიდან მეორეზე და მათი ამოსაწყვეტი საშუალებანი.

ხელოვნურად წარმოდგენილია, თუ როგორი უნდა იყოს ჰიგიენური სამოსახლო. გაკეთებულია ფართო რელიეფი. აქ არის ფერდობიც, სწორი ადგილიც, ნესტიანიც, ტყიანიც, წყლიანი და უწყლო.

აი აგერ მდიდრის სასახლე, ორსართულიანი დიდი შენობა მშვენიერი ბაღით და სხვა საჭირო შენობებით; აგერ კიდევ დიდი, მაგრამ ერთსართულიანი შენობა ეზოთი და ყოველგვარი მოწყობილობით, იქ კიდევ უფრო მდარე მოსახლეობა, კიდევ უფრო მდარე და აი საწყალი კაცის ჩალით დახურული ქოხი. ეს სამოსახლოები სიმდიდრით და მოწყობილობით, რა თქმა უნდა, ძლიერ განირჩევა ერთმანეთისაგან, მაგრამ, როცა დააკვირდები, შეამჩნევ, რომ მათ შორის მსგავსებაც არის. ყველგან, მდიდრის სასახლეა ის თუ ღარიბის ქოხი, ოთხს რამეზეა მიქცეული ყურადღება. სახელდობრ, თუ სად უნდა იდგეს ეზოში საცხოვრებელი სახლი, სად უნდა იყოს ფეხისალაგი, ჭა და ნაგავის გადასაყრელი ორმო. ეს ოთხი უსაჭიროესი რამ ცხოვრებაში ყოველგან ერთ გეგმაზეა მოწყობილი. უნდა შევნიშნო, რომ ინგლისური იდეალური მოსახლეობა ჩვენებურ იმერულს ძლიერ წააგავს. სახლი ეზოს შუაგულ, ფეხისალაგი უკან ერთ-ერთ კუთხეში. იმ მხრივ, საითკენაც უფრო დაბლობია, ეზოში უფრო ამაღლებულ ადგილზე ჭა და სხვ.

ამას მოსდევს გემების განყოფილება. გამოფენილია გემების უთვალავი ნიმუშები. გემების სიმრავლე-სიკარგით ინგლისს ხომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება მთელი დედამიწის ზურგზე და გასაკვირველიც არაა, რომ ნიმუშებიც კარგი იყოს, მაგრამ ერთი ნიმუში ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. მისთვის ცალკე ადგილია მომზადებული მაღლობზე, რამდენიმე ალაგას ყიბეებია მიდგმული, შეგიძლია ახვიდე და ახლო დაათვალიერო. გემის ნიმუში სიგრძით ოთხი საჟენი იქნება. იგი შვიდსართულიანია, სამი ჭახრაკი აქვს და ზედ ბაქანზე ორმოცდაათი დიდი ნავია მოთავსებული. ეს გემი კი არა, პირდაპირ მოძრავი ქალაქია. კიდევ ბევრი რამ იყო იქ ახლომახლო საინტერესო, მაგრამ სამწუხაროდ დრო ნებას არ მაძლევდა შევჩერებულიყავი, რადგან აუარებელი მრჩებოდა კიდევ თვალგადასავლებელი, თან ამოძრავებული მანქანების ჭახაჭუხი თავისკენ მიწევედა.

შევდგი ფეხი ინგლისელების სამანქანო განყოფილებაში. აბა როგორ ვთქვა! პირველ წუთს არ ვიცოდი საითკენ წავსულიყავი და რომლისთვის შემეხედნა. საითკენაც მივიხედე, თვალს ყველგან ელვის სისწრაფით მოტრიალე სხვადასხვა სიდიდის ბორბლები ხვდებოდა. აი, აგერ უშველებელი, ოთხკუთხად გარანდული რკინა, სწორედ მუხის დიდ კუნძსა ჰგავს, ფართო ურემზეა დამაგრებული და წამდაუწუმ გადის და გამოდის, ზედ პატარა, მოკაუჭებული, გარეგანი შეხედვით სრულებით უმნიშვნელო დანა აწვება და ისე

ხთლის, თითქო ნედლი თხილის საჩიჩილაკე ხე იყოს. აგერ კიდევ ბურღი, სისქით ექვს გოჯიან რკინას თვალის დახამხამებაში ხვრეტს. აგერ კიდევ ხის სახერხი მანქანები. არავითარი მსგავსება არა აქვს ჩვენში ხის სახერხ მანქანებად წოდებულებთან.

გავიარე მთელი ამოძრავებული ტყე სხვადასხვა მანქანისა და აი ჩემ თვალწინ დიდი, ფარჩის საქსოვი მანქანა. ზედ აწერია: „ბროტჰერს მანჩესტერი". მანქანა ამოძრავებულია. ფერადფერადს, ყვავილებგამოხატულ ფარჩასა ქსოვს და ამ უზარმაზარ რთულ მანქანას მხოლოდ ერთ-ერთი პირხმელი და პირმოპარსული ინგლისელი ხელმძღვანელობს. ის ხან აქ დააჭერს ხელს, ხან იქ, ხან ამ ბორბლის მოძრაობა შეჩერდება, ხან იმისა, ხან მაღლა ავა, რომ ქსოვილისთვის სხვადასხვა სახის მიმცემი ფორმა გაასწოროს. უთვალავი ბორბალი მოძრაობს, რკინის სავარძელს ტკაცუნი გაუდის და ყაითნით სავსე მაქო ხტის და გამოხტის.

აქვეა აუარებელი საფეიქრო მანქანა მაუდებისა თუ ხავერდისა. ყველა ამოძრავებულია.

გამოფენილია ინგლისური საყდარი სრული მოწყობილობით და საკურთხევლით. როგორც თავიანთი ტიბიკონით ინგლისელები განირჩევიან ეგრეთ წოდებულ მართლმადიდებლისაგან, კათოლიკებისაგან და ლუთერანებისაგან, ისე მათი საყდარიც და მისი მოწყობილებაც განირჩევა, ის თითქო ყველას მოგაგონებს და იმავ დროს არც ერთს არა ჰგავს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ნივთებიც არ ბრწყინავს და არ ბზინავს; იქ ყველაფერი სადაა, მაგრამ მკვიდრი და ხუფთა.

გამოფენილია სხვადასხვა ჭურჭლეულობა და უანგარიშო სხვა რამ, მაგრამ მე უკვე კარებისკენ მივემართები.

საფრანგეთი

ინგლისიდან საფრანგეთის განყოფილებაში გავემართე. აქ სულ სხვა ქვეყანაა. აქ ყველაფერი იცინის, ყოველი ნივთი ბზინავს და ბრწყინავს, თითქო ყოველი საგანი გეარშიყება. საითკენაც მიიხედავ, ყველგან სინაზე და სიკოხტავე, შნო, მოხდენილობა, სიკეკლუცე... აგერ მაღალი, მოვარაყებული ბროლის და ფაიფურის ვაზები. არ იცი, რომელს დააკვირდე, ყველა წერწეტი, ყველა საუცხოვოა. აგერ უთვალავი წვრილმანი ნივთი, რქისა, ხისა თუ ლითონის. დაუსრულებელი წყება მორთული ოთახებისა და დარბაზებისა. აქ ამ გემოვნების მორთულობა, იქ იმ გემოვნების.

ყველგან ოქრო, ვერცხლი, ხავერდი და აბრეშუმი. მორთულ დარბაზებში ხელოვნურად გაკეთებული მორთულ-მოკაზმული ადამიანები სხედან: აქ ბანქოს თამაშობენ, იქ სტუმრობაა, აქ არაშიყობაა გაცხარებული, იქ მღერიან, აქ ცეკვავენ, იქ დინჯად მსჯელობენ და ყველა ეს იმდენად ცოცხლადაა გაკეთებული, რომ სანამ კარგად არ დავაკვირდი, მართლაც ცოცხალი ადამიანები მეგონა და ახლო მისვლას და გასინჯვას მოვერიდე. ღმერთო ჩემო, რა ძვირფასი და შნოიანადაა შეკერილი ტანსაცმელები როგორც მამაკაცებისა, ისე ქალებისა! ამაებს გვერდით კარიკატურული სურათების განყოფილებაა, აუცილებლად ნახევრად ტიტველი, ან სულ ტიტველი ქალებით, შემდეგ მისდევს ტყავეულობა, უნაგირები და მისი მოწყობილობა. საოცარია, როგორ გაუუმჯობესებია ამ ხალხს ტყავის მომზადება. უყურებ და არა გჯერა, რომ ეს მშვენიერება ღორის ტყავია.

გავიარე მთელი ქუჩა პირამდე სავსე საფართლო მაღაზიებისა, ტილო, ხავერდი, აბრეშუმი, შემდეგ თევზის საჭერი იარაღები და მისი სხვადასხვა მოწყობილობა. თოფები, ხმლები, დამბაჩები. წაღების მექანიკური საკერავი მანქანები. აქ ტყავები აწყვია: პირველი მანქანა საწაღო სახესა სჭრის, მეორე კალაპოტში აგდებს, მესამე სჭიმავს და ასე მთელი რიგი მუშაობის შემდეგ სრულებით დამზადებული პრიალა ფეხსაცმელი გამოდის.

გამოფენილია სამზარეულო და მისი მოწყობილობა. ამაში ფრანგებს ხომ ბადალი არა ჰყავთ. რა და რანაირი ჭურჭლეულობაა, რა სისუფთავე, ან მოწყობილობა.

შემდეგ ხე-ტყე — დამუშავებული თუ დაუმუშავებელი. აგერ სტამბა და წიგნების გამოცემის საქმე, უანგარიშო და დაუსრულებელი. აგერ გემების განყოფილებაც. მრავალი ნიმუში წყალქვეშ მავალი გემებიაა, დამხრჩვალთა საშველი იარაღები და ნავები. წყალქვეშ მავალი კაცები (ხელოვნურად გაკეთებული), სრული მათი ჩაცმულობით და რეზინის სასუნთქი მილებით. აგერ რკინეულობა, მრავალი მოტორები და სხვადასხვა მანქანა, ყველა მოხდენილი, ლამაზი და პრიალა. აგერ ხილეულობა და ბოსტნეულობა. ამაშიაც ხომ ფრანგებს ვერავინ შეედრება. აგერ პურეულობა; ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, რა ლამაზად შეკრულია ძნები, ან სათავთავები. აი, ვენახები პანორამებით: ვაზი, მისი წამლობა, ღვინის მოყვანა და მთელი რიგი დარბაზებისა ბოთლებით გაჭედილი. მაგრამ აი, დიდება და სახელი საფრანგეთისა თანამედროვე ცხოვრებაში, მისი საფრენი მანქანები — ჰაეროპლანები. გამოფენილია

ნიშუშები კი არა, ნამდვილი ჰაეროპლანები თავიანთი სიგრძე-სიგანით. ყველა საუცხოოა, არ იცი რომელს დააკვირდე, ან რომელი დაათვალიერო. თვალი მოვკარ ერთ სტატისტიკასაც: „1909 წლის რეკორდი. ლატამი აფრინდა 453 მეტრის სიმაღლემდე. 1913 წელს კი პერეფონი 5.880 მეტრის სიმაღლემდე". აქ ხომ სინამდვილე ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს...

მაგრამ კმარა, თვალი დაიღალა, ნერვები აღმეძრა ამდენი ლამაზი სანახაობით. აქ რასაც უნდა შეხედო, ყველაფერი ლამაზი და შნოიანია. თუმცა მეათე ათასედიც ვერ დამითვალიერებია, მაგრამ მინდა ჩქარა მოვშორდე აქაურობას. ვერ მომინელებია, მახრჩობს ამდენი მშვენიერების სანახაობა.

ქუჩაში გამოვედი და თავისუფლად ამოვისუნთქე. ცოტა დავისვენე, ნერვები დავიმშვიდე და სამხატვრო პავილიონში შევედი. უთვალავი სურათებია გამოფენილი, ძველი თუ ახალი. უფრო კი თანამედროვე, დეკადენტურია, აქ თავთავიანთი სპეციალური განყოფილება აქვს ბელგიას, გერმანიას, საფრანგეთს და სხვათა, ოთახები ლაბირინტივითაა დაწყობილი და ისე დავიბენი შიგ, რომ გარეთ გამოსასვლელი გზა სამჯერ შემექნა საკითხავი.

სპარსეთი

აქედან სპარსელებს ვესტუმრე. სხვებთან შედარებით პატარა, მაგრამ ლამაზი პავილიონია. კარებთან ბრუდე ხმალ-ხანჯალიანი სპარსელი იდგა. სწორედ რომ ტიპიური, უშნო პირისახის კაცი. შევედი შიგ. არა უშავს რა. კულტურულ ნაწარმოების მიხედვით სპარსეთი არც ისეთი ფეხწასაკრავი ყოფილა, როგორც ზოგს შეიძლება ჰგონია. სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა რომ ხელ-ფეხს არ უკრავდეს, ის, უეჭველია, ჩქარა მოღონიერდება და ცოტ-ცოტად ჩამოიშორებს მის კარებზე მიმდგარ დაუპატიჟებელ ოპეკუნებს. უმთავრეს ყურადღებას, რა თქმა უნდა, ხალიჩები იპყრობს. გამოფენილია უშველებელი ხალიჩები ათი და თუთხმეტი საჟენისა სიგრძე-განით. ხალიჩების გარდა არის კარგა ბლომად ნაქსოვები, აბრეშუმეულობა, ხმელი ხილი, მარცვლეულობა, ღვინოები. თურმე სპარსელებიც ამზადებენ ყურძნის ღვინოს!

იტალია

სპარსეთიდან იტალიაში გადავედი. აქ უმთავრეს ყურადღებას ქანდაკება იპყრობს. სამი მეოთხედი გამოფენილი ნივთებისა სულ

ქანდაკებაა. ამ მხრივ იტალიელებს, ეტყობა, ვერავინ შეედრება. რანაირი ქანდაკება გინდა, რომ აქ არ იყოს გამოფენილი. შენ წინ მთელი ტყეა სულშთაბერილი თიხისა და მარმარილოსი. სიხარული, სიყვარული, სიძულვილი, ძლიერება, შიში, მწუხარება, მოწონება, დაფიქრება, სიუხვე, სიძუნწე... ერთი სიტყვით, ყოველგვარი სულიერი მოძრაობა მხატვრის ნიჭიერ ხელს ცივი ქვასათვის ცოცხლად გადაუცია. საზოგადოებასაც ძლიერ მოსწონს, ეტყობა იტალიური ხელოვნება, რადგან ხშირი იყო წარწერა: „ესა და ეს გაყიდულია". საყურადღებოა აგრეთვე იტალიური ღვინო. აქვე გაემართათ სასაუზმე, იყო ერთი ფაციფუცი: ხრაკავდნენ, სწვავდნენ, სჭამდნენ და სჭამდნენ. ამ მხრივ იტალიელებსა და ჩვენ, ქართველებს შორის დიდი მსგავსებაა, მხოლოდ აკლდა ჩვენებური მხიარული თამადა და მრავალჟამიერი. კარგი იყო აგრეთვე წვრილმანი ვერცხლეულობა, საეკლესიო ნივთები და შესამოსები. იტალია ხომ კათოლიკობის ქვაკუთხედია.

ბელგიელთა სხვადასხვა მანქანის განყოფილება

იტალიელების პავილიონის გვერდით ბელგიელების მანქანათა განყოფილებაა. ეს საგამოფენოდ აშენებული სახლი კი არა, აქ რაღაც მუდმივი დიდი ქარხანა უნდა იყოს. გამოფენილია უმთავრესად მანქანები რკინიგზის საჭიროებისათვის სახმარი. ყველა ამოძრავებულია. მათი სიდიადე და რთული მოხაზულობა და მათი ხმაურობა, რაც გინდ მაგარი ნერვების პატრონი იყოს კაცი, არ შეიძლება, რომ პირველ ხანს არ შეაშინოს. სხვათა შორის გამოფენილია უზარმაზარი რკინის ბორბალი, ღერძგაუყრელი, წონით 5000 კილოგრამი (300 ფუთამდე), ისეა მოწყობილი, რომ ქვეშ გაკეთებული პატარა სახელურის შემწეობით შვიდი წლის ბავშვი თავისუფლად დაატრიალებს.

ჰოლანდია

აქედან ჰოლანდიაში შევიხედე. საყურადღებოა თავისებურობით პავილიონის გარეგანი არქიტექტურა. მაღალი, თანდათან წოწლოკინა და წვრილი გუმბათით დამთავრებული. ერთი შეხედვით საყდარი გეგონებათ. შელებილია წითლად და აშკარად ირჩევა სხვა პავილიონებისაგან. შესავალთან გამოფენილია სულის ჩასაბერი საკრავი იარაღები, თეთრი, მოვერცხლილი თუ ნიკელ-

გადაკრული. ეს, ეტყობა, მათი სპეციალობაა. იმდენია გამოფენილი, რომ ეს დარგი ხელოვნებისა იქ ძლიერ უნდა იყოს განვითარებული. ჰოლანდიის პავილიონში რომ შეხვალ, ერთი ზეზეური თვალის გადავლება საკმარისია, რომ ბელგია-ინგლის-საფრანგეთის შემდეგ რაღაც სულ სხვა ქვეყანაში იგრძნო თავი. ზედვე ეტყობა, რომ ეს ქვეყანა ქვანახშირით ღარიბია, რადგან მანქანების ჭახაჭუხი აქ ნერვებს არ გიშლის, არც უთვალავი რკინის ბორბლები თვალს გელანდება, არც საარშიყო ზიზილპიპილებს ხედავ. ამჩნევ, რომ საქმე გაქვს პრაქტიკულ, იშვიათ შრომის მოყვარე ხალხთან. გამოფენილია ნივთები ადამიანის ცხოვრებაში ფრიად საჭირო. ბლომადაა სხვადასხვა ჯურის თაფლი, ზეთეულობა, ბრინჯი, ხორბლეულობა, სიმინდი, სიმინდის ფქვილი და სხვადასხვა სასმელი სიმინდისაგან გამოხდილი. სიმინდის ფქვილმა გამომზარდა, მაგრამ წარწერა რომ არ ყოფილიყო, თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიმინდისაგან ამგვარი ფქვილის მიღება შეიძლებოდა. უსათუოდ წმინდა ხორბლის ან კარტოფილის ფქვილად ჩავაგდებდი.

ჰოლანდია, როგორც ვიცით, ევროპაში პატარა სახელმწიფოა. ბულგარეთზე ცოტა დიდია, მაგრამ მას აქვს მდიდარი და ვრცელი ახალშენები, ეგრეთ წოდებული ზონდის კუნძულები: სუმატრა, იავა, ბორნეო და სხვ. იმ ქვეყნებში ხარობს ბევრი შაქრის ლერწამი, თამბაქო, რეზინის ხე, მიხაკ-დარიჩინი, ვანილი და სხვადასხვაგვარი ტროპიკული კაკალი. ამ მცენარეების დამუშავება, როგორც ჩანს, ჩინებულადა აქვთ დაყენებული და მთელ ქვეყნიერებაში გააქვთ გასაყიდად. განცვიფრებაში მომიყვანა კაცის თავის სისხო კაკლებმა. თვით ჰოლანდიაში, რაციონალური ხვნა-თესვის გარდა, ძლიერ განვითარებულია მერძეობა და ყველის გაკეთება. გამოფენილია ყველეულობა.

საგულისხმო იყო წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სტატისტიკა ფართოდ კედელზე ჩამოწერილ-გამოხატული, მაგრამ წარწერა მხოლოდ ჰოლანდიური იყო და სამწუხაროდ ზეზეური შეხედვით ვერა გავუგე რა. გამოფენილია საუცხოო ხელოვნებით დაჩუქურთმებული ხის საკურთხეველი და სხვა ძვირფასი საეკლესიო ნივთები და შესამოსლები. „აქაც ოლარი და ფილონი? საეეცხლური და საკმეველი? აქაც არა მშორდება? ვა, საშველი მაინც. არ ყოფილა“. — გავიხუმრე ჩემთვის და კარებისაკენ გავემართე.

გერმანია

გერმანიას, როგორც ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისებური ადგილი უკავია, ისე გამოფენაშიც ორიგინალური ადგილი დაუკერია. მისი პავილიონი სხვებისას არ ეკედლება და არ ემეზობლება, ის განცალკევებულია და გარეგნულადაც სხვებისაგან ძლიერ განირჩევა. მაღალ ციხე-კოშკის მსგავსი ოთხკუთხი შენობა რუხად გალესილი, სადა და სწორი, არსად რაიმე ჩუქურთმა ან რაიმე დამამშვენებელი.

შედიხარ ჯერ ფართო და მაღალ ვესტიბიულში. შუაში ტიტველი ჩასკვნილი კაცია გამოქანდაკებული. ორივე მუშტი მოუკუმშავს, კოპი შეუკრავს და მრისხანე სახისას თვალები გაუშტერებია, თითქო საჩხუბრად იწევსო, თითქო ყველას ეუბნება: „აბა, ვისაც გული გერჩის, გამოდით. თუ კაი ბიჭი ხართ". ეს ქანდაკება თვით გერმანიის სიმბოლო უნდა იყოს. ვესტიბიულის იქით გამოფენაში შესასვლელ კარების ზემოთ გამოქანდაკებულია იმპერატორის ვილჰელმ II-ის ბიუსტი, ჩვეულებრივი ნახევარ მრისხანე სახით და აწკეპილი ულვაშებით. ქვეშ აწერია: „25 წელიწადია, რაც ევროპაში მშვიდობიანობას იცავს".

შიგნით გამოფენილია ჯერ სურათები და ქანდაკებანი. აქაც ვილჰელმის დიდი ქანდაკება. შემდეგ ჭურჭლეულობა; რა თქმა უნდა, ლამაზი, მოვარაყებული, მოჩუქურთმებული, მაგრამ ფრანგული სინაზე მაინც აკლია. აქ ყველა ნივთი რაღაც მოლუშული, წარბშეკრულია, როგორც თვით გერმანელი. ჭურჭლეულობას მისდევს სხვადასხვა ღვინოები და მაგარი სასმელები; ლუდი, მისი მომზადება. ეტყობა სასმელის კეთების საქმე ძლიერ კარგადაა აქ დაყენებული. ლუდის გამოხდაში მათ ხომ ვერავინ შეედრება. გამოფენილია ძლიერ საინტერესო მანქანა, რომელიც ჯერ ბოთლს რეცხავს, მერე შიგ ლუდს ასხამს, ავსებს, თავსაცობს უკეთებს და სრულიად დამზადებულს ცალკე დგამს და ყველაფერი ეს სწრაფად, როგორც ერთი, ორი, სამი... გამოფენილია უთვალავი ვერცხლეულობა, მოოქრული თუ მოსევადებული; პაპიროსის გილზების საკეთებელი მანქანა, სამზარეულოს მოწყობილობა. თეთრეულის სარეცხი მანქანა ძლიერ საინტერესოა, ადგილი ცოტა უჭირავს და თეთრეულსაც ჩქარა რეცხავს. ძლიერ საინტერესოა აგრეთვე ტკბილეულობის საბეჭდი მანქანა, საკონფეტო მასალა დამზადებულია ფქვილად, ფქვილი ერთ-ერთ ამოლრმავებულში

ცვივა, მას ზემოდან ფოლადის ბეჭედი ეცემა და ყოველ თვალის დახამხამებაში ორ კაპიკიანის ტოლა თეთრი კონფეტი განზე ვარდება... გამოფენილია აგრეთვე ფართლეულობის საქსოვი ბევრი მანქანა.

ამათ მოსდევს სამხედრო განყოფილება. სხვადასხვა ჯურის თოფები, ხიშტები, ტყვიისმფრქვეველები, ზარბაზნები: მთელი უშველებელი სვეტებია ამართული პატრონებისა. სამხედრო ურმები, მათი მომზადება. ურმის თვალის მექანიკურად გასაკეთებელი მანქანა და სხვადასხვა ნივთები სამხედრო საჭიროებისა.

საერთაშორისო განყოფიღება

გერმანელების შორიახლოს უზარმაზარი შენობაა აგებული. ეს დანიშნულია იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც კერძო პავილიონები არა აქვთ.

გავემართე იქითკენ. შევდგი თუ არა ფეხი, გრამაფონის ხმა შემომესმა. მივხვდი, რომ ედისონის სამშობლოში ვიყავი, ამნაირად აქ პირველად ჩ რ დ ი ლ ო-ა მ ე რ ი კ ი ს შ ე ე რ თ ე ბ უ ლ შ ტ ა ტ ე ბ შ ი მოვხვდი. აქ მთავარ ყურადღებას იპყრობს საელექტრონო, სატელეგრაფო და სატელეფონო მოწყობილობანი. ამაში ხომ ამერიკელებს ვერავინ შეედრება. გამოფენილია უთვალავი გრამაფონები. ყველა ნივთი შნოიანია, მკვიდრი, მოხერხებული და ამასთან გასაოცარი იაფი. აქაც გამოეფინათ წვრილმანი ზიზილპიპილობა და ტკბილეულობა. ხალხი ბუზივით დასევია.

შეერთებული შტატებიდან ი ა პ ო ნ ი ა შ ი გადავედი, გრძნობ, რომ მაღალი კულტურის მქონე ხალხთან გაქვს საქმე. მათი გემების ნიმუშები ინგლისელების გვერდით რომ იყოს, თავს არ შეირცხვენს. მათი მინის ვაზები, აბრეშუმეულობა და ფაიფურის ჭურჭლეულობა ნაირნაირობით, სიმტკიცით თუ სილამაზით საფრანგეთისას არ ჩამოუვარდება. აქვეა მათი სამზარეულო, ორიგინალური საჭმელებით. მართალი უნდა ვთქვა, ერთი სახით ძლიერ უშნო იაპონელი გაფაციცებით ერთგვარი ქადების გამოცხობაში იყო გართული. ათი პაწია ტაფა, მარწუხივით გრძელტარიანი დასაკეცი და გასაღები ჩარიგებული ჰქონდა გაზის ცეცხლზე. გამოცხობის დრო იმგვარად იყო გამოზომილი, რომ როცა უკანასკნელ მეათე ტაფაში თხელ ცომს დაასხამდა და შესდგამდა, პირველი უკვე მზათ იყო და ასე რიგრიგობით. ასე რომ, ქადის მცხო-

ბელს, ერთი რა არის, მოსვენება არა ჰქონდა. სწორედ რომ მანქანასავით მუშაობდა და ამიტომ ცოცხალი ავტომატი დავარქვი. ქადებს იქვე ჰყიდდენ ოთხ წყვილს ათ სანტიმად (4 კაპ.). არა უშავდა რა, გემო კარგი ჰქონდა.

გავიარე ცოტა იქით და აი რუსეთის განყოფილებაც. რუსეთისთვის მთავარი ადგილი დაეთმოთ, ქუჩის პირას, გარედან მსხვილი წარწერებით, მაგრამ რათ გინდა, შიგნით ხეირიანი წვრილმანიც არ მოიძებნებოდა რა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უშველებელ, უკანა ტორზე შემდგარ თეთრ დათვს (არა ცოცხალს, რა თქმა უნდა). დათვის ირგვლივ იატაკზე დალაგებული ცოტაოდენი ქურქეულობა, აგრეთვე ორი-სამი ნაჭერი ტილოს ქსოვილი, კიდევ რაღაც უფერული წვრილმანობა და აი უზარმაზარი რუსეთიც. მდიდრულად მორთულ სახლიდან ყველა კარგ ნივთს რომ გაიტანენ და აქა-იქ ხარახურა რაიმე რომ დარჩება, სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ზღვა გამოფენილთა შორის რუსეთის განყოფილება. ამბობენ რუსეთი ოფიციალურად არ იღებს მონაწილეობასაო, მაგრამ კიდევაც რომ მიეღო, მეეჭვება, რომ ფრანგ-ინგლისელ-გერმანელებთან რაიმე გამოეფინა, ბევრი სახარბიელო ვერა იქნებოდა რა. თვალსაჩინო კულტურას ქმნის თავისუფალი მოქალაქე და არა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი რუსეთის ქვეშევრდომი.

სხვათა შორის ჩვენებური ლეკებიც ჩამოსულიყვნენ. ჩამოეტანათ მათრახები, ჯოხები, კალმისტარები და სხვა მოსევადებული ნივთები. ისინი, უეჭველია, რუსეთის განყოფილებაში მოთავსდებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, იქ ვერ უხეირნიათ და რუმინელებს მიკედლებიან. მე ისინი რუმინელების განყოფილებაში ვნახე. ძლიერ გამიხარდა ჩოხიანი კაცების ნახვა. გამოველაპარაკე, შემომჩივლეს: ძლიერ ნაკლები ვაჭრობა გვაქვსო. თავიანთი საქმის წარსამატებლად ორიგინალური ხერხისათვის მიემართნათ: ბელგიელებისაგან ეყიდათ იაფფასიანი ხის ჩიბუხები და იქვე ხალხის თვალწინ ასევადებდნენ. ხალხს ამათი მუშაობა, მართალია, აინტერესებდა და გარს ბევრი ეხვია, მაგრამ გაყიდვით მაინც ჩიბუხებსაც ბევრს ვერ ჰყიდდნენ. „ოჰ, არ არიან ევროპელები კაი ხალხი“, — შემომჩივლა ისევ ლეკმა. იქნებ თავისებურად თავის გასამართლებელი ლეკებსაც ჰქონდეთ რაიმე, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ავტომობილებისა და ელექტრონის ქვეყანაში მათრახები ვერ გაიყიდოს. ხოლო ბელგიელი არც იმდენად უპკუოა, რომ ერთ

ფრანკიან ჩიბუხში ხუთი მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქა-იქ მის თვალწინ ლითონის პაწაწა ნაჭრები ჩაუსვეს.

ყოველ შემთხვევაში კარგია, რომ ისინი მაინც წამოსულან, რაიმე მაინც ჩამოუტანიათ, ეს უეჭველია, მოსაწონია. ხოლო რაკი ამ სიშორეზე წამოვიდნენ, უკეთესი იქნებოდა, თუ არა მდიდრულად, სუფთად მაინც ჩაეცვათ, თორემ დაგლეჯილი ჩოხა-ახალუხით და ჭუჭყიანი ფაფახით ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდნენ.

რუმინიის განყოფილებაში, რუსეთის მეზობლად, გამოფენილთა შორის თვალსაჩინოა სხვადასხვა ნაქარგი, ხისგან გაკეთებული წვრილმანი ნივთები და ხორბლეულობა.

ავსტრიისაში ჭურჭლეულობა და ვაზები. არ ვიცი ფრანგული და არ ვიცი ესენი, რომელი სჯობია მათში.

პანამას გამოუფენია ძვირფასი ხილეულობა, განსაკუთრებით ჩინებული ფორთოხალი.

დანიაში, როგორც ვიცით, ძლიერ განვითარებულია მეურნეობა, კოოპერატიული ამხანაგობა, სწორედ ის, რის განვითარებაც არა თუ საჭიროა, ერთადერთი მხსნელია ჩვენი, ამიტომ ძლიერ მეინტერესებოდა მათი ცხოვრების გაცნობა და გადავწყვიტე, რაც შეიძლებოდა დაწვრილებით დამეთვალიერებია მათი განყოფილება, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მხოლოდ ჭურჭლის მაღაზიაში ამოვყავ თავი. ჭურჭლეულობა მართლა მოსაწონია. სადა, უვარაყო, ლურჯავარიანი, თავისებური სახისა, მაგრამ დანიელებთან ჭურჭლების გარდა სხვა ვერაფერი ჟნახე რა.

იქიდან გვატემალაში გადავედი. გვატემალის რესპუბლიკა შუაგულ ამერიკაშია, მექსიკის გვერდით. სივრცით ოთხი საქართველოს ტოლა იქნება. გამოფენილია: შესანიშნავი ხორბლეულობა, კაკაო, ყავა, საინტერესო ხილეულობა როგორც ნედლი, ისე შაქარწყალში შენახული. ამ მხრივ მის მიერ გამოფენილ ნიმუშებს პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ მთელს გამოფენაში.

არა უშავს რა ესპანიის განყოფილებასაც. გამოფენილია მრავალნაირი ღვინო. საყურადღებოა მათი ხელოვნურად მოსევადებული ვერცხლეულობა. უფრო წვრილმანი ნივთებია გამოფენილი, კაკვები, შესაკრავები, ქინძისთავები და სხვ. ამგვარად, ეტყობა ევროპაში ძლიერ მოსწონთ ესპანური ხელოვნება, რადგან დიდი ვაჭრობა აქვთ.. .

კანადა

ბევრი დამრჩა კიდევ უნახავი, მაგრამ სხვა ღონე არ იყო, გამოვედი საერთაშორისო განყოფილებიდან და კანადისაკენ გავეშურე. კანადას ცალკე პავილიონი აქვს, ლამაზი, ორიგინალური გარეგნობით, მაგრამ უფრო ორიგინალური შიგნით და ამიტომაც აუარებელი ხალხი დასევია. კარებთან ინგლისის მეფე-დედოფლის სურათია გაკოფენილი. შიგნით ორივე მხრივ ასე ოცოდ საჟენის სიგრძეზე საუცხოო პანორამაა გაკეთებული სურათებისა და ნივთებისა, იმდენად ხელოვნურად, რომ სინამდვილის ილუზიას ჰქმნის.

აგერ შენს წინ თვალუწვდენელი ველია გაშიშვლული, შემოსული პურით გადაყვითლებული. ზოგან მოუმკიათ და ძნებად შეკრული აწყვია, ზოგან კი ქალი თუ კაცი დასევია და გაცხელებული მკაა. ზოგან ნამგლებით მკიან, ზოგან კიდევ სამკალი მანქანით. აქა-იქ ყანებშიაც სოფლები მოჩანს, ლამაზი, ორ-სამსართულიანი. კრამიტით დახურული სახლებით. მომკილ მინდვრებზე საქონელი სძოვს, მსუქანი, ჩასკვნილი ხარ-ძროხები და ცხენები. ცოტა მოშორებით ტყით დაბურული სერები მოჩანს. კვლავ სოფლები, კვლავ ყანები და ასე სულ ამომავალი თუ ჩასავალი მზის სხივებით გაწითლებული ცის კამარის ბოლომდე. ყანებით გადაბურულ მინდვრებშუა რკინიგზა მიიკლაკნება. აი კიდეც მოშხუის მატარებელი. იგი მიუახლოვდა ამწვანებულ მთის ქვეშ გაჭრილ გვირაბს, დაიკივლა და ნელ-ნელა შიგ დაიმალა. გავა ხანი, კვლავ გაისმის კივილი და ახლა იგივე მატარებელი მეორე მხრივ გაკეთებული გვირაბიდან გამოჰყოფს თავს და ველებს შუა გაემართება...

ეს პირველი პანორამა, ასე ვთქვათ კულტურული პანორამაა. იქ ხედავთ დედამიწის ზედაპირს, ადამიანის მიერ თავის სურვილის და საჭიროებისდაგვარად გარდაქმნილს. ხოლო პანორამა მეორე მხრივ წარმოადგენს ბუნებას ისე, როგორც თვით ბუნების ძალას შეუქმნია. აქაც არის ველ-მინდვრები, მაგრამ პურის მაგივრად მაღალი ბალახბულახით თუ ეკალ-ბუჩქნარით დაბურული. იქ ირმები, შვლები, ჯიხვები და სხვა გარეული ნადირები თარეშობენ, ზოგი ჯოგებად, ზოგიც თითო-თითოდ. მოჩანს დიდრონი მთები, ჩანჩქერები, მდინარეები, გაუვალი ტყეები და სხვ.

შენობის შუაგულ გამოფენილია აუარებელი სხვადასხვა ნაწარმოები. განსაკუთრებით მარცვლეულობა, ზოგი სრულებით უცნო-

ბი ჩვენში, ფქვილეულობა, მინის ქილებში მშვენიერად შენახული ბოსტნეულობა.

მართალი გითხრათ, .ძლიერ დაღლილობასა ვგრძნობდი და ხალხიც იმდენი ირეოდა იქა, რომ გარეთ გამოსვლა დავაპირე, მაგრამ აი, თითქო ყოველგვარი დაღლილობა დამავიწყდა. სხვაგან არ მინახავს მადნეულობა. ეს მაინც როგორ გამომეპარებოდა!

გამოფენილია საუცხოო ნიმუშები სხვადასხვა საშენებელი ქვებისა, ლითონისა და მადნეულობისა. აი მშვენიერი ნიმუში ასბესტისა ანუ ამიანტისა. ის ბამბასავით რბილია და იწეწება და ერთი შეხედვით მცენარეულობა გეგონება. ნამდვილად კი ამიანტი ძლიერ რთული არაორგანული მინერალია, კაჟიც ურევია შიგ. ის ცეცხლში არ იწვის. ეს მადანი ჩვენში, სვანეთის მთებში უნდა იყოს და უეჭველია მას ქართული სახელწოდებაც ექნება. აი უკეთესი ნიმუშები გრანიტისა, ფელდსპატისა, უბრალო და ფასიანი კორუნდონისა. კორუნდონი ძლიერ საინტერესო მინერალია. იგი შედგება ლითონის ალუმინიისაგან და მჟავბადისაგან და გარეგნობით მაგარ ქვასა ჰგავს. მაგრამ ბუნება, ეს შეუდარებელი ხელოსანი, თუმცა იშვიათად, კორინდონს ფერად-ფერადსა და გაკუთხულს ამზადებს ხოლმე. წმინდა, უფერული, ბუნებით გაკუთხული კორუნდონი ალმასზე უფრო ძვირია. წითელი ფერისას ლალი ჰქვია, ყვითელს — იაგუნდი, ლურჯს — ფირუზი, მწვანეს — ზურმუხტი, გამოფენილია უბრალო კორუნდონიც და ძვირფასებიც. უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, ყოველ შემთხვევისათვის, შუშაბანდშია მოთავსებული, რადგან ზოგი ადამიანის სუსტი ბუნება ყველგან მოიკოჭლებს და თუ რამე სახეირო დაიმარტოხელა, ადვილად წაეტანება ხოლმე.

ამათ მოსდევს იშვიათი ნიმუშები — ეგრეთ წოდებული „მიკასი“, მიკაც ძლიერ რთული მინერალია, თუმცა გარეგნობით ერთგვარი რამ გეგონება, რუსები მას слюда-ს ეძახიან. ის მინასავით გამჭვირვალეა, ერთმანეთს ადვილად მოსაშორებელ ფოთლებად აწყვია, თავისუფლად ილუნება და არა ტყდება. მისი პატარა ნატეხები ნაძალადევის სერებზე ბევრი შემხვედრია და უეჭველად ქართულადაც უნდა იყოს მისი სახელწოდება. მაგრამ აქ გამოფენილი მიკას ნიმუშები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. წარმოიდგინეთ თითქმის ერთი არშინი სიგრძე-სიგანე საწერ ქაღალდის სისქე შუშასავით გამჭვირვალე ნივთიერება და, ერთი და ორი კი არა, ამისთანა ასობით და ათასობით ერთი მეორეზე დაწყობილი.

გამოფენილია აუარებელი ნიმუში რკინის და ნიკელის მადნებისა. აი, უზარმაზარი ნიმუში გალენისა (გოგირდნარევი ტყვია), აი მთელი წყება ქვანახშირისა, ვერცხლისა და კობალტის მადნებისა, აი სპილენძი, პირიტი (გოგირდნარევი რკინა), კალკოპირიტი (სპილენძი, რკინა და გოგირდი ერთად), სპატფლუორი, ბირიტი, შავი ქვა და სხვა და სხვა. გამოფენილია აგრეთვე ბევრი ღვინო და თამბაქო.

კანადა, როგორც ვიცით, ინგლისელების ახალშენია ჩრდილო ამერიკაში, მას აქვს საკუთარი ავტონომიური მართველობა, როგორც ავსტრალიას და ახალ ზელანდიას. სივრცით კანადა დიდია, ევროპის რუსეთს გადააჭარბებს და ჯერ ძლიერ თხლად არის დასახლებული, რაღაც ხუთ მილიონამდე მცხოვრები იქნება. ეტყობა, ის უკვე მაგრად ჩაბმულა კულტურულ ფერხულში და თუ ახლა ძლიერ კარგად დამუშავებულ მცენარეულობასთან დაუმუშავებელი მადნეულობა გამოჰფინა, უეჭველია, ახლო მომავალში იმათაც დამუშავებულს წარმოადგენს. კანადა ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რამდენად სახეიროა ხალხის წარმატებისათვის, როცა მისი ბედი მონურად არ არის შეკავშირებული მეორე ხალხთან, როცა მას უფლება აქვს მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება თავის საჭიროებისდა გვარად. კანადის პავილიონი ცალკე, პირამდე საკსე თავისუფლება მინიჭებული ერის ნაშრომ-ნაღვაწით, არა თუ არ ქსაქსავს და არ ამცირებს ინგლისის სახელს, პირიქით, ეს შარავანდედით მოსავს და ამაღლებს მას.

კანადამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. აქ თითქო დავისვენე კიდეცა და როცა გარეთ გამოვედი, თავს უფრო კარგად ვგრძნობდი, ვიდრე შესვლის წინათ.

კონგო

კანადიდან კონგოში გადავედი. კონგო ბელგიელების ახალშენია აფრიკაში. ეს ერთადერთი მათი ახალშენია აქ მოკლე დროში შეძენილი. სივრცით კონგო ბელგიაზე ოცდაათჯერ მეტი იქნება. იგი ცხელი ქვეყანაა: ეკვატორი კონგოს შუა გადის.

ბელგიელებს მისთვის უზარმაზარი ფართო გუმბათიანი პავილიონი აუშენებიათ. შესავალ კარებს აქაც მეფე-დედოფლის ქანდაკება ამშვენებს. შიგ წარმოდგენილია კონგოს ცხოვრება, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური. კულტურული ნაწარმოები თვით კონგოელებისაა და ისიც, რაც ბელგიელებმა შეიტანეს. აქაც

არის გაკეთებული პატარ-პატარა პანორამები. აი კონგოელის ქოხი ჩალით დახურული. ქოხის წინ შავკანიანი ცოლით და შვილით; საბივენი თითქმის დედიშობილა. აგერ ტყე ტროპიკული მცენარეებით, მაღალი კოკო—ბავშვის თავის ტოლა კაკლით. კაუჩუკის (რეზინი) ხე. წარმოდგენილია, თუ როგორ იღებენ რძეს კაუჩუკის ხისაგან, როგორ მზადდება ამ რძისაგან ერთგვარი მუქ-ყვითელი ნივთიერება, ლავაშივით ერთმანეთზე დაწყობილი. გარეგანი შეხედვით ჩვენებურ ტყემლის ტყლაპსა ჰგავს. მერე როგორ ასუფთავებენ თანდათან, სანამ არ დადგება ნამდვილი რეზინი. იქვე აწყვია მთელი გროვა დაუმუშავებელ და დამუშავებულ რეზინისა.

კონგოლების ადგილობრივი კულტურაც არ არის ინტერესს მოკლებული. რკინის ჭედვა მათაც სცოდნიათ. გამოფენილია მათი დანები, ხმლები, მშვილდ-ისრები, ორიგინალური საკრავი იარაღები თარ-ჩონგურის მსგავსი. იმერული საწნახელივით გამოფუღუროებული ხე. ეს მათი ბარაბანია თურმე, ზოგიერთი წვრილმანი ნივთი ისე ოსტატურადაა გაკეთებული, რომ კარგ ხელოსანსაც დააფიქრებს.

ეტყობა კონგო მდიდარია ხე-ტყით და მადნეულობით. ერთიც და მეორეც ბევრია გამოფენილი.

წარმოდგენილია ხელოვნურად გაკეთებული ტიკინებით სხვადასხვა სცენები კონგოს ცხოვრებიდან. აი, მაგალითად, ბელგიელი ექიმი ახალ დაბადებულ შავკანიან ბავშვს სინჯავს. იქვე მეორე ბავშვი თავისებურად გამოწყობილ კათოლიკე მონაზონს გაპრიალებულ ზეწარგადაფენილ საბანში ჩაუწვენია და ეალერსება. მათი დედ-მამაც იქვე შორიახლო დგანან და ექიმს და მონაზონს სანდომიანი თვალით შეჰყურებენ. მათ უკვე ტანისამოსი აცვიათ.

ბელგიელების სასახელოდ უნდა ვთქვათ, რომ ისინი შეესევიან კონგოს არა როგორც წურბელები და კრაზანები, არამედ როგორც ფუტკრები და ჭიანჭველები. გაუყვანიათ რკინიგზები, მოუწყვიათ მდ. კონგოზე გემით მიმოსვლა. ახლაც აშენებენ და განზრახული აქვთ მთელი რიგი გრძელი რკინიგზებისა.

წარმოდგენილია რელიეფებით ახლად გაშენებული ქალაქები. ქალაქები ჯერ პატარებია, მაგრამ კულტურული და მშრომელი ხელი ბელგიელისა ახლავე ეტყობა. აგერ ერთ-ერთი პატარა ქალაქიდან მთებისაკენ მშვენიერი გზატკეცილი მიიმართება, აგერ რკინიგზის სადგურიც. ქალაქს შიგნით ჯვარედინად ელექტრონის ტრამვაია გაყვანილი. აგერ წყალსადენი, ლამაზი და მკვიდრი ხი-

დები, პარკები, ბაღები, დამუშავებული მინდვრები და იქით დავაკებულზე, მდინარის პირას ქარხნის მაღალი მილიც მოჩანს.

პავილიონის ერთი ნაწილი პირამდე სავსეა სხვადასხვა სამეურნეო თუ სახელოსნო იარაღებით, ტანსაცმელ-ფეხსაცმელებით და ფართლეულობით. ამ განყოფილებას მსხვილი ასოებით აწერია: „ჩვენი ახალშენისათვის საჭირო ნივთები". ნივთები და იარაღები ზედ შეწონილია აქაურ ბუნებასთან, ჰავასთან, თავისებურ ცხოვრებასთან და დამზადებულია სპეციალურად ამ მიზნით დაარსებულ ქარხნებში. გამოფენილია თავისებური კონსტრუქციის ორთქლმავალი (ნიმუში კი არა, ნამდვილი, უზარმაზარი) კონგოს რკინიგზებისათვის სახმარი და რკინიგზების სხვა მოწყობილობა.

კონგოდან გამოვედი, უკვე საღამო ჟამი იყო. დაღლილ-დაქანცული ვიყავი. გავიარე და ბაღის პირას ერთ-ერთ სკამზე ჩამოვჯექი. ჩემ წინ ზღვა ხალხი ირეოდა: ბელგიელი, ფრანგი, ინგლისელი, ესპანელი, ჰოლანდიელი, შორეული ამერიკელი და კიდევ უფრო შორეული იაპონელი. მთელი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლებს აქ მოეყარათ თავი და საჯაროდ გამოეტანათ მათი ჭკუისა და ხელის ნავარჯიშევი, ნაყოფი მათი შრომისა და გარჯისა.

არაჩვეულებრივ სულიერ მდგომარეობას განვიცდიდი ასე ზეზეურად ამდენი აუარებელი სანახაობის შემდეგ. რაღაც მამძიმებდა, თავიც მტკიოდა.

დავისვენე. შთაბეჭდილება ცოტ-ცოტად დამილაგდა. „აი, მთელი ქვეყნიერება, აბა გამოიცან, რომელი ხალხი სჯობია კულტურა-ხელოვნებით", გამიელვა ფიქრმა. კითხვა საინტერესოა, მაგრამ პასუხი არც ისე ადვილი. ჩემს გონებაში უანგარიშო ნანახი ნივთების სახე-სურათი უთავბოლოდ ირეოდა.

მაინც გამოფენილი ნივთების მიხედვით მგონია, რომ მთელი ქვეყნიერების კულტურის, ასე ვთქვათ, ტონის მომცემი სამი ხალხია: ფრანგები, ინგლისელები და გერმანელები. ბელგია იგივე საფრანგეთია თავის ნაწარმოების მიხედვით. ეს ერთი ბეწო ქვეყანა საფრანგეთს კვალდაკვალ მისდევს კულტურულად. მას ცოტაა ვუწოდოთ „პატარა საფრანგეთი", იგი, ასე ვთქვათ, „საფრანგეთის უმცროსი დაა". შეერთებული შტატები იგივე ინგლისია სულით და გულით, ჰოლანდია ძლიერ ჰგავს გერმანიას. ხოლო დანარჩენთ თითოეულს აქვს, რასაკვირველია, თავისებურება კულტურაში, მაგრამ მათი ნაწარმოები ან ამ სამი ბუმბერაზის კარგი წაბაძვაა, ან მათი ორიგინალური ნივთები მეორეხარისხოვანია და არა პირველხარისხოვანი კულტურულ ცხოვრებაში. გა-

მოფენილი ნივთების სიმრავლე სხვადასხვაობით აქ ყველას საფრანგეთი აჯობებს.

ფიქრმა გამიტაცა. წაველ შორს, შორს, აღმოსავლეთით, თოვლით შელესილ მაღალ მთებისაკენ, სუნნელოვან დაფნით დაბურულ სერებისაკენ, ამწვანებულ ველ-მინდვრებისაკენ, მრისხანედ მოშხუილე მდინარეებისაკენ და კამკამა ანკარა წყაროებისაკენ... წაველ შორს, შორს... საყვარელ სამშობლოს მიდამოებისაკენ. გულზე ბოლმა მომაწვა, თვალები ამიცრემლდა (არა გულჩვილობით, ეს ხანა უკვე ბევრი ხანია გამოვიარე), შურმა გამიტაცა, „რატომ ის არსადა ჩანს, რატომ იმის სახელიც არ იხსენება, რატომ ისიც არ არის ჩაბმული ამ საქვეყნო ფერხულში". ვეკითხებოდი ჩემს თავს. განა იქ უარესი ველ-მინდვრებია, ვიდრე კანადაში? როგორ დავიჯერო, რომ იმ მთებშიაც არ იყოს მადნეულობა, განა ელექტრონი იქაც იმ ბუნების კანონს არ ემორჩილება, რასაც ამერიკაში: ინგურის, ტეხურის, ცხენისწყლის, რიონის, მტკვრის, არაგვის და ალაზნის მუქთი ძალა ხომ მთელ ქვეყანას ელექტრონით გაანათებდა და რკინის ლიანდაგით მოჰფენდა. სხვა არა იყოს რა, ნუთუ იქაური სიმინდი ისე არ დაიფქვევა, როგორც აქ ჰოლანდიელებს დაუფქვავთ. ან იქაური აქაურებზე ნაკლებ თვალტანადები არიან, რად არ ჩანან, რად იმალებიან?! მაგრამ აქ როგორღაც გამახსენდა უკან ტორებზე შემდგარი, მჭრელი კბილებით მომუქრე თეთრი დათვი, გამეცინა და ზეზე წამოვდექი.

გამოფენიდან გამოსვლის წინ გულმა ვერ მომითმინა, რომ ერთხელ კიდევ თვალი არ მომეკრა ინგლისელების ფარჩის საქსოვ მანქანისათვის. შევედი. ძლივს გავატანე. ხალხით გაჭედილი იყო იქაურობა. პირხმელი ინგლისელი ჩვეულებრივ აუჩქარებლად, ბეჯითად და დაუღალავად ყოველ მეორე წუთს ადიოდა მანქანის ზემო ნაწილში და ჩამოდიოდა. „სწორედ ამ ბეჯითობა-აუჩქარებლობა-დაუღალავობაშია ამ ხალხის დაწინაურების საიდუმლოება", — გავიფიქრე და გამოვბრუნდი.

საღამოს ცხრა საათი იყო, როდესაც მატარებელი ბრიუსელისკენ მიგვაქროლებდა. გამოფენა კი ელექტრონის ცეცხლში ცურავდა.

შეშლილთა სამეფოში

(წერილი ბრიუსელიდან)

ბრიუსელის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფსიქოლოგიის პროფესორის ბ. ლეის (Lay) ხელმძღვანელობით მოეწყო ექსკურსია ს. ლიერნეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარის დასათვალიერებლად. ბ. ლეი ექიმი ფსიქიატრია, იგი დირექტორია ბრიუსელის გვერდით, ფორ-ჟაკოში არსებულ სულით ავადმყოფთა სანატორიუმისა. სიხარულით ჩავეწერე ექსკურსიაში, რადგან ასეთი იშვიათი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ მინდოდა. ძლიერ საინტერესო იყო თავშესაფარის დათვალიერება, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო იყო ქვეყნის გაცნობაც.

შაბათს, 3 მაისს, (ახ. სტილი), დილის თერთმეტის ნახევარზე ყველანი უკვე ბრიუსელის „ჩრდილოეთის" სადგურზე ვიყავით. სტუდენტების გარდა მოდიოდნენ: პროფესორი ბ. ლეი თავისი მეუღლით და მოზარდი ქალ-ვაჟით და ერთიც მათი ნათესავი მასწავლებელი ქალი. ჩავსხედით ქ. ლიეჟისაკენ მიმავალ მატარებელში და გავსწიეთ. ეს მატარებელი წინდაწინვე იყო არჩეული, რადგან ბევრი ჩვენთვის ხელსაყრელი თვისება ჰქონდა: იგი იყო სწრაფი (ბრიუსელი და ლიეჟს შუა ასი კილომეტრის მანძილზე მარტო ერთ ალაგას გაჩერდა ხუთი წუთით) და მესამე კლასის ვაგონიც ჰქონდა მობმული.

ბრიუსელიდან ლიეჟამდე აღმოსავლეთით მივემართებოდით. ეს გზა ერთფეროვანია. ადგილმდებარეობა ვაკე, ალაგ-ალაგ აბორც-

ვილი. ეს ეგრეთ წოდებული შუა ბელგიაა. ნიადაგი ბუნებით უნაყოფოა, ქვიშნარ-თიხნარი, მაგრამ გონიერ შრომას და მეცადინეობას სამოთხედ გადაუქცევია. ირგვლივ ყველგან საამური ჯეჯილი ბიბინებს. დარგული ხეივნებით ათასფრად აჭრელებულია არემარე. გზაზე გვხვდება მრავალი სოფელი ორ-სამსართულიანი სახლებით და ფაბრიკა-ქარხნებით.

პირველის ნახევარზე უკვე ლიეჟში ვიყავით. აქ უნდა გამოგვეცვალა მატარებელი, რომ სამხრეთისაკენ გავმგზავრებულიყავით. ლიეჟი (ლიუტიხი) დიდი ქალაქია, სიდიდით მესამეა ბელგიაში, ბრიუსელის და ანვერსის (ანტვერპენის) შემდეგ. ჩვენ თბილისზე ცოტა დიდი იქნება. ქალაქში აღებ-მიცემობა და მოძრაობა დიდია. ძლიერ განვითარებულია რკინეულობის ინდუსტრია, რადგან ახლომახლო რკინის მადნებიც ბლომად არის და ქვანახშირიც. არის აგრეთვე ცნობილი უნივერსიტეტი. დავნაყრდით და გავსწიეთ ახლა სამხრეთით. ქ. ლიეჟს შუა გადის საკმაოდ დიდი გემთსავლელი მდინარე მეესი. ის მომდინარეობს სამხრეთ-დასავლეთით საფრანგეთიდან და მიმდინარეობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ლიეჟთან ახლო მეესს ერთვის მდ. ურტი. ჩვენ ჯერ ამ ურტის ნაპირებს ავყევით ზემოთ, რამდენიმე ხნის შემდეგ ურტი მარჯვნივ დავტოვეთ და მის შემაერთს მდ. ამბლევის ნაპირებზე გადავედით. ურტი არაგვის ტოლა იქნება, ამბლევი — ძირულისა. ლიეჟიდან სანახაობა იცვლება. ეს მხარე მთაგორიანია. ძლიერ წააგავს ზემო იმერეთს. ლიეჟი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ზესტაფონი, ხოლო ჩვენი გზა ჯერ როგორც ყვირილის და მერე ძირულის ხეობა. თუმცა აქ მთები ზემო იმერეთისაზე შედარებით ცოტა დაბალია, მაგრამ სილამაზით არ ჩამოუვარდება. ირგვლივ არემარე ამწვანებულია. ნაძვნარი სცვლის მუხნარს, ნაძვნარს დამუშავებული ველი, დამუშავებულ ველს ფიქვნარი, ფიქვნარს წიფნარი. აქა-იქ უზარმაზარი სალი კლდეებიც მოჩანს: საითაც უნდა მიიხედო, სულ ერთია, მთაა თუ ვაკე, რაღაც თეთრი ზოლები გხვდება თვალში, ხან ათასფერად დაკლაკნილი, ხან ისარივით სწორი. ეს გზატკეცილებია. მე ბელგიელებისა არაფერი ისე არ მეხარბება, როგორც ეს გზატკეცილები. რკინიგზებით მთელი ქვეყანა ხომ ბადესავით დახლართულია, მაგრამ ამასთანავე გზატკეცილებსაც ანგარიში არა აქვს. საცა რკინიგზაა, იქ უსათუოდ გვერდით გზატკეცილიც ახლავს, ხან ორი აქეთ-იქით. საცა რკინიგზა ცოტა დაშორებულია, იქ ხომ სათვალავი არა აქვს. მერე რა მკვიდრად და ლამაზად გაკეთებული გზები. მატარებლიდან რომ უყუ-

რებ, ისე გხიბლავს, რომ გინდა გადმოხტე და ერთი ზედ გაირბინო. კარგი გზების გაყვანა ბელგიელების ერთგვარი სნეულებაა. ამ საქმეში ისინი თავიანთ ქვეყანასაც გასცილდენ. აკი ჩვენ კურთხეულ ტფილისში და რუსეთის ბევრ დიდ ქალაქებში ტრამვაი ბელგიელების მიერ არის გაყვანილი. ამ გზატკეცილების შემყურეს გამახსენდა ახლახან ჩვენ გაზეთში ამონაკითხი, რომ მთავრობის განკარგულებით კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ სიღნაღ-ტფილისის გზატკეცილი უნდა გაუქმონ. ბელგიელები ამისთანა შემთხვევაში არსებული გზის გაუქმების მაგიერ მეორე გზატკეცილის გაყვანას შეუდგებოდენ იმ მოსაზრებით, რომ რაკი რკინიგზა გავიდა, მოძრაობა იმატებს და ერთი გზა საკმარისი არ იქნებაო. რას უზამ, ყველგან თავისებური მსჯელობაა.

ნაშუადღევის ოთხ საათზე მივედით ს. ტრუაპონში (სამი ხიდი), წინდაწინვე გვქონდა განზრახული, რომ ღამე აქ გაგვეთენებინა და მეორე დღეს კვირას, დილით ადრე გავმგზავრებულიყავით, ფეხით გადაგვევლო მთა ტრუაპონისა და ლიერნესშიც თუთხმეტი კილომეტრი და ათ საათზე მივსულიყავით თავშესაფარში, სადაც უკვე მიგველოდენ. შეგვეძლო მგზავრობა გაგვეგრძო რკინიგზით ვიელ-სალმამდე და იქიდან ვიწრო ლიანდაგიანი გზით პირდაპირ ლიერნეში მივსულიყავით, მაგრამ მუდამ ერთფეროვან ქალაქერ ცხოვრებას თავმობეზრებულებმა ცოტა ფეხით გასეირნებაც მოვიწადინეთ.

ტრუაპონი მოზრდილი სოფელია, ადგილმდებარეობა სრულებით ძირულას მიუგავს. აქაც ორი მდინარე ერთდება: ამბლევი და სალმი. რადგან ამბლევი უფრო დიდია, ქვევით სახელწოდებაც იმისა რჩება. სიდიდითაც ერთიც და მეორეც ძირულ-ჩხერიმელას მოგაგონებს. აქაც, როგორც სხვაგან ბელგიაში, ორ-სამსართულიანი ლამაზი ქვითკირის სახლებია, მოკირწყლული ქუჩებით, ტროტუარებით და განათებით. ს. ტრუაპონი. რუსულ ერთ რიგ ქალაქს აჯობებს.

ხელბარგი მივაბარეთ ერთ-ერთ სასტუმროში და წავედით არემარის დასათვალიერებლად... პროფესორი მიგვიძღოდა. ტრუაპონის ქვემოთ ორი კილომეტრის მანძილზე მშვენიერი ჩახრიალაა. ეს მატარებლიდანვე შევამჩნიეთ. მდ. ამბლევი ვარდება ათი მეტრის სიმაღლიდან. მივედით და ერთ ხანს ვტკბებოდით დიადი სანახაობით, თუ როგორ თავგანწირვით ეხეთქებოდა უფსკრულში ქაფადქცეული მდინარე. შემდეგ ავყევით ტყით დაბურულ ციცაბო მთას საცალფეხო გზით. მთიდან თვალწარმტაცი სურათი გადაგვე-

შალა. ეს მეორე მდინარე რომელია-მეთქი, წამოვიძახე. ეს მეორე კი არა, იგივე ამბლევიაო, მითხრა პროფესორმა. თურმე ნუ იტყვით, ეს ჩახრიალა ხელოვნურად გაკეთებული ყოფილა. როგორც ვიცით, მდინარე ნიადაგის სხვადასხვაობისა გამო დაკლაკნილად მიდის, კლდიან ადგილებს გზას უქცევს და ფხვიერ ნიადაგისაკენ იკვლევს გზას. ამბლევსაც ამ ალაგას მაგარი კლდე დახვედრია, გზა აუქცევია და შემოუვლია კარგა მოზრდილი, რამდენიმე კილომეტრი წრე და მოსულა დაბლა ისევ, სწორედ თითქმის იმ კლდის ძირამდე, საიდანაც ზემოთ გზა აუხვია. ამ მოსახვევთან ვიწროდ (ოთხიოდ საჟენი) გადუტეხიათ კლდე და მდინარე გადაუგდიათ, ახლა მდინარის მომეტებული ნაწილი ამ ახალი გზით ჩახრიალებს. ხოლო მეორე მცირე ნაწილი მიდის ისევ ძველი გზით და ორივე ისევ ერთდება ჩახრიალას ქვემო 60-100 საჟენის მანძილზე. ამრიგად ნახევარკუნძულის ალაგას გამართულა კარგა მოზრდილი კუნძული, აღმოსავლეთით საკმაოდ აწეული, ნაძვნარფიჭვნარით დაბურული, ხოლო დასავლეთით დავაკებული, სადაც ერთი პატარა კოპწია სოფელიცაა გაშენებული, ჩინებულად დამუშავებული ველ-მინდვრებით გარშემორტყმული.

გადავიარეთ მთა და ჩავედით სოფელ სტაველომდე. ეს სოფელი თითქმის ბელგია-პრუსიის საზღვარზეა. აქედან პრუსიის საზღვრამდე ათი კილომეტრი თუ იქნება. სტაველოელები გერმანულად ლაპარაკობენ, ამიტომ მათი სოფლის. რკინიგზის სადგურზე წარწერები გერმანულია. გადავჭერით რკინიგზის ლიანდაგი, ჩავედით ქვემო გზატკეცილამდე და გამოვბრუნდით ტრუაპონისაკენ, რომ ადრე გვევახშმა, დაგვესვენა და მეორე დღეს დროით გავმგზავრებულიყავით.

ჩვენი სასტუმრო საუკეთესო აღმოჩნდა იმ სოფელში. კოპწია, ზედ მდ. სალმის ნაპირზე, ხიდის ყურთან. სახლის პატრონს სასტუმროც აქვს გამართული, კაფეც და საფართლოც, რა თქმა უნდა, სახლის სხვადასხვა განყოფილებაში, ვახშამსაც არა უშავდა რა. საზოგადოდ ბელგიაში მოგზაურობა ადვილი და ხელსაყრელია. აქ არ გჭირია ლოგინის და ბარგი-ბარხანის ზიდვა. საცა გინდა მიხვიდე, ყველგან იშოვნი მოწყობილ ოთახს ღამის გასათევად და საჭმელ-სასმელს და მერე იმნაირადაა მოწყობილი, თითქო ვინმე მეგობართან ოჯახში მისულიყვე სტუმრად. აქაური სასტუმრო დუქნურ შთაბეჭდილებას არ ახდენს. ამასთანავე არც ძვირია. ტრუაპონში, მაგალითად, ჩვენ გვიანგარიშეს სულზე ოთხი ფრანკი (მანეთ-ნახევარი): ვახშამი, ორი თავი ხორცი, ბოსტნეულობა, ჭიქა

ლუდი, პური ბლომად, ტკბილეული. ღამე მორთული ოთახი, გაპრიალებული ქვეშაგებით და საპონ-პირსახოცით, დილით საუზმე: ყავა, რძე, კარაქი, ყველი, პური და მურაბა. იმნაირად მოწყობილ ოთახს ჩვენ სამაზრო ქალაქებში სანთლით ვერ მოსძებნი. სისუფთაველზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

ნავახშმევს ბიჭებმა ცოტა გასეირნება მოიწადინეს, უპროფესოროდ, რასაკვირველია. მეც ხათრი არ გავუტეხე, თან მეინტერესებოდა გამეცნო აქაური ცხოვრება. ბელგიელები საერთოდ კარგი საამხანაგო ხალხია. ეროვნული კარჩაკეტილობა, რაც ასე ხშირია ბევრგან, მათში არ არსებობს, ისინი სიხარულით იღებენ უცხოელს ყოველგვარ თავიანთ წრეში და გულწრფელად უმეგობრდებიან. შევედით ერთ წმინდა წყლის სამიკიტნოში, აქაურულად — კაბარეში. ხალხი საკმაო იყო. სვამდნენ ლუდს. ლუდი ხომ აქაური ღმერთია. შკაფივით მაღალი ავტომატური არღანი საცეკვავს უკრავდა და ერთი ვიღაც მუშურად გამოწყობილი კაცი და ერთი გვარიანი კარგი თვალტანადი ქალი ცეკვავდნენ. შეჩერდა მუსიკა. მოცეკვავე კაცი ლუდს მიუბრუნდა, ხოლო ქალი უკანა კარებისაკენ გაემართა. ახლა ადგა მეორე მუშა, კარგა აპაღარებული, პირის სახე დაღმეპილი, ამოიღო ათასანტიმიანი ფული და ავტომატში ჩააგდო. აკრიჭინდა არღანი. მუშამ დაჰკრა ქუსლი იატაკზე და დაიწყო ცეკვა, ჩქარა გაჩნდა ისევ ის ქალი, ჯერ კიდევ სახე გაწითლებული წინანდელი ცეკვით. მუშამ ხელი მოჰხვია, გოგომაც მარცხენა ტუჩით ჩაუცინა და მარჯვენა თვალი სანდომიანად მიანათა, ხოლო მარჯვენა ტუჩი ზიზღით მოკუმა და მარცხენა თვალი სევდიანად შორს, შორს სივრცეში გააცილა. „რიტ, რატ, რიტ, რატ“, იძახდა მუსიკა, მუშა ჩექმების ქუსლს აბაკუნებდა და თან ვნებით სავსე თვალებს ქალს აშტერებდა. ჩვენც მოვითხოვეთ ლუდი. ღვთის წინაშე მწყუროდა კიდეც. დავადე ჭიქას ტუჩები, მაგრამ შენი მტერი, ეს ლუდი კი არა, ლუდის ძმარი იყო. ჯერ ლუდი რა არის, და მისი ძმარი რა უნდა იყოს! საოცარია, ნუთუ აქაც ამ მხრივ უკანტროლოა ქვეყანა და შესაძლებელია ასეთი საწამლავის გაყიდვა? დახლში მიკიტნის ცოლი იდგა, როგორც ჩვეულებაა ბელგიაში, და გვერდით დამხმარედ 13-14 წლის ვაჟი ედგა. უკანა კარებისაკენ მივიხედე. ღია კარებიდან მოჩანდა კარგად მორთული ოთახი. ოთახის შუა გულში იდგა და ჩვენსკენ იყურებოდა სახლის პატრონი, კარგად ჩაცმული, პირმოპარსული, თმა ლამაზად გადავარცხნილი, პირში მრუდეტარიანი ჩიბუხი ედო, ცალი ხელი ძიქვის ჯიბეში დაემალა, ხოლო მეორეს გრძელ ულვა-

შებზე ნელ-ნელა ისვამდა. ეტყობოდა ჩვენი მისვლით ძლიერ კმაყოფილი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ავიშალენით და წასასვლელად კარებისაკენ გავემართეთ. შემოვიდა ერთი ძალზე ჩასუქებული ტუჩებ გადმოვარდნილი კაცი. ჩვენ უკვე ქუჩაში ვიყავით, რომ შემომესმა ისევ „რიტ რატ, რიტ რატ". ალბათ იმ მსხვილტუჩამ თუ აახმაურა ხელახლა მუსიკა. წარმომიდგა ლოყაწითელი ქალი, თუ როგორ მიუახლოვდა ტუჩას, მორჩილებით დაუშვირა წელი ხელმოსახვევად, ტუჩამაც მოხვია და ათ სანტიმად ნაყიდი სიამოვნებით დამტკბარმა მძიმედ ააყოლა მუსიკის ხმაზე თავისი დასივებული ფეხები. ქუჩაში თავისუფლად ამოვისუნთქე. ცეკვისაგან და თამბაქოს ბოლისაგან სამიკიტნოში საშინელი ჰაერი იყო.

გავიარეთ კიდევ აქეთ-იქით და როცა სასტუმროში დავბრუნდით, ჩვენს დიასახლისსაც თავის კაფეში გვარიანი ვაჭრობა ჰქონდა. ხელში კონიაკის ბოთლი ეჭირა და ბარძიმივით მაღალფეხიან ჭიქაში კონიაკს ასხამდა.

— ქალბატონო, ამ თქვენ სოფელში თითო ოჯახზე მგონი ორი სამიკიტნო მოდის-მეთქი, გავეხუმრე.

— დიახ, ბატონო, — სიცილით მომიგო და კონიაკით სავსე ჭიქა მის წინ მდგომ ერთ-ერთ მუშტარს მიაწოდა.

იმანაც მოწიწებით გამოართვა, თითქო მართლა ზიარება იყოსო, ერთი აქეთ-იქით მიიხედა, თითქო შენდობას ითხოვსო, იწაფა და გადაყლურჯა. „შეგარგოს ღმერთმა"-მეთქი, ჩავილაპარაკე ქართულად და სასტუმროს დარბაზისკენ გავემართე. „როგორც გინდა ისე ილაპარაკე, ბიძია, და იმ სამიკიტნოს პატრონს, პირველად რომ ვიყავით, თავის სამიკიტნოშივე ჩინებულად შეუსწავლია ადამიანის ფსიქოლოგია. — მომდიოდა ფიქრი. — შეუსწავლია და კარგადაც გამოუყენებია. ის მგონი ცეკვით უფრო მეტს ვაჭრობს, ვიდრე ძმარ-ძმარა ლუდით. ქალს დღისით იმსახურებს. საღამოობით აცეკვებს სტუმრებთან. ნელ-ნელა, მაგრამ შეუწყვეტლივ გადადის ათსანტიმიანები საჭრიტინებელში, წითელლოყა ქალი ცეკვავს, სტუმრები სიამოვნებით გაბრუებულები ვერც კი ამჩნევენ დაძმარებულ ლუდს, მიკიტანი კი მაძღარი კმაყოფილებით ულვაშებზე ხელს ისვამს.

მიუხედავად კულტურული დაწინაურებისა, სმა ძლიერ განვითარებულია ბელგიაში. არ ვამბობ ლოთობა, რადგან ლოთობა იმ ზომამდე და სახით, როგორც რუსეთშია, აქ არ არის. აქ სვამენ მომეტებულ ნაწილად ლუდს და ეს ყოველ შემთხვევაში ისე ვერ მოქმედებს, როგორც რუსული ვოდკა, ან ჩვენი კახურ-სვირული.

მაგარ სასმელებში კონიაკია ძლიერ გავრცელებული. საერთოდ ეს სენი მაინც შესამჩნევია. მხოლოდ ერთი კია, რომ ბელგიელმა საზოგადოდ დაუსრულებელი უზომო ქეიფი არ იცის. ის გაპრჯელია, საქმიანია, ამასთან ყაირათიანი, ცოტას წაიქეიფებს და საქმისკენ გაეშურება. კონიაკის სასმელად პაწია ჭიქებია ხმარებაში და ეტყობა ეს პაწია ჭიქები რაღაც დაკანონებულივითაა. მაგალითად, ერთ-ერთ კაფეში შემოვიდა ერთი კაცი და კონიაკი მოითხოვა, დახლში მდგომმა 15-16 წლის გოგომ პატარა ჭიქა მოიმარჯვა. ეს არა, აი, ისო, მიუთითა მეშტარმა მეორე ჭიქაზე, ის ოცი სანტიმი ღირსო, გაოცებულად მიუგო გოგომ. ეტყობა იმ ოცსანტიმიანი ჭიქის დაცლა ხშირი მოვლენა არაა. მაგრამ ათსანტიმიანის განმეორება ხშირი უნდა იყოს და ჯამი მაინც ერთი და იგივე გამოდის. გარდა ამისა, კაფეებში ქალებიც არბეინად ქეიფობენ და ბავშვებიც თანა ჰყავთ ძუძუმწოვრიდან მოყოლებული, რაც ჩვენ კაცს აქ მაშინათვე თვალებში საოცრად ჩაუვარდება ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, არ შემიძლია ამას უარყოფითი მხარე არ დავარქვა. ერთმა რუსმა მწერალმა (გვარი არ მახსოვს) ერთ-ერთ მოხდენილად დაწერილ მოთხრობაში ლოთობას სრულიად რუსეთის მწუხარება დაარქვა (всероссийское горе). მგონია, რომ მსოფლიო უბედურება დაერქმია უფრო სწორი იქნებოდა.

მეორე დღის დილის ექვს საათზე წასასვლელად მზად ვიყავით. ავყევით ნელ-ნელა მთას სამხრეთ-დასავლეთით. თუმცა ტრუაპონიდან ლიერნამდე გზატკეცილიც მიდის, მაგრამ უფრო პირდაპირი საცალფეხო გზით ვარჩიეთ სიარული. დარიც რომ ხელს გვიწყობდა. საზოგადოდ ბელგიაში დარი ძლიერ ცვალებადია, ძლიერ ხშირია წვიმა, მაგრამ ეს დღე თითქო საგანგებოდ ჩვენთვის იყო გაქედილი. ლაქვარდი ცა, არსად ერთი ბეწო ღრუბელი. და მაისის მოცინარე მზე ზემოდან დაგვყურებდა. არ ციოდა, თუმცა აქ ადგილი საკმაო მაღალია, 500-600 მეტრი ზღვის ზედაპირიდან, არც ცხელოდა, ასე რომ ერთი წვეთი ოფლი არ მოგვდენია. სწორედ რომ იშვიათი ადამიანია პროფესორი ბ. ლეი. იგი ჯერ კაცია, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, და მერე რაც გინდა: ექიმი, პროფესორი და სხვა. ის ცდილობს ადამიანში აღზარდოს ნამდვილი ადამიანი: თავისუფალი მოქალაქე, ყოველგვარ ვიწრო დოგმას და დახავსებულ აზროვნებას მოკლებული. მის ლექციებზე ხშირად გავიწყდება, რომ აუდიტორიაში ხარ. ასე გგონია, თითქო სადმე სტუმრად იყო და ვინმე კაი მარილიანი მომუსაიფესაგან საინტერესო ახალ ამბავს ისმენდე. თუ ის ასეთია

აუდიტორიაში, აქ მინდვრად, თავისუფალ ჰაერზე რაღა იქნებოდა, და მართლაც, ჩვენ არც კი გვიგრძვნია, თუ როგორ გავიარეთ თუთხმეტი კილომეტრი, გადავლახეთ საკმაო მაღალი მთა და პატარა მდ. ლიარის ნაპირებს მივადექით. აქედან ბრიუსელამდე ჩვენ მიერ გამოვლილი გზით ას სამოცდაათი ვერსი იქნება. სოფელი ლიერნე გაშენებულია ამ მდინარის მარცხენა საკმაო მაღალ ფერდობზე, ფერდობის იქით დიდი ზეგანია გაჭიმული, ეს ერთ-ერთი მაღალი ადგილთაგანია მთელ ბელგიაში. აქ ბელგიის არდენის მთების თითქმის შუაგულია. ლიერნეს ადგილ-მდებარეობა ზედგამოჭრილი საჩხერეა. არ ვიცი, რომელია უფრო ლამაზი! მხოლოდ აქ ვერ ხარობს ვაზი, ატამი და სხვა ზოგიერთი ხილი, რაც ასე უხვადაა ჩვენი დიდებული მგოსნის სამშობლო კუთხეში.

სოფლის თავში დირექტორმა ფერშალი დაგვახვედრა და აქედან პირდაპირ თავშესაფარისაკენ გავემგზავრეთ.

აქ მინდა გაკვრით შევეხო თვით სულით ავადმყოფობას. სულით ავადმყოფობა ანუ შეშლილობა, საუბედუროდ, არც ისე იშვიათია, იგი არ ინდობს არც ნასწავლს, არც უსწავლელს, არც მდიდარს და არც ღარიბს. როგორც ზღაპრული გადმოცემა, ისე ისტორიაც მოწმობს, რომ შეშლილობა უხსოვარ დროიდან იყო გავრცელებული ადამიანთა შორის. დიდხანს არ იყო ნათლად გარკვეული სულით ავადმყოფობის მიზეზი. ამასაც, როგორც სხვა ბევრს, ცოდვა-მადლს აწერდნენ, ამიტომ შეშლილის მორჩენას ლოცვა-ვედრებით და შესაწირავებით ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ამ ყალბი აზრის მიმდევარი დღესაც ბევრია. მოიძებნება ზოგიერთი მღვდელიც, ვინც შეშლილის მორჩენას ჩემობს, მაგრამ მეეჭვება, რომ იმ საშუალებით (ჯაჭვით დაბმით და ჯოხის ცემით) ვინმემ შეშლილი მოარჩინოს. ჩვენ-დროში ნათლად გარკვეულია, რომ შეშლილობის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ტვინის დაზიანებაა, როგორც ვიცით, ყოველ ჩვენ სულიერ და ხორციელ ცხოვრებას, გრძნობა-გონებას თუ მოძრაობას განაგებს ტვინი. ტვინშია მოთავსებული მთელი სიცოცხლის ძალა. კიდეც იმიტომაა იგი გარემოცული მაგარი ძვლებით, როგორც საუცხოო მზეთუნახავი მიუვალ კოშკში. მაგრამ ტვინი თავში უთავბოლოდ როდი ყრია, იგი გარეგანი შეხედვითაც განიყოფება მრავალ, სასტიკად განსაზღვრულ ნაწილებად, ხოლო მიკროსკოპის ქვეშ მილიონჯერ მილიონი სხვადასხვა ნაწილი მოჩანს. ტვინიდან გამოსული უანგარიშო ძაფები (ნერვები) გაფანტულია მთელ სხეულში და მათი საშუალებით სწარმოებს ის, რასაც სიცოცხლე ჰქვია. ტვინს ამსგავსებენ თა-

ნამედროვე დიდი ქალაქების ტელეფონის სადგურს, ხოლო ნერვებს, ცენტრალური სადგურიდან გაყვანილ მავთულებს და ეს მსგავსებაც საუცხოოა. ბევრი ხანი არაა, რაც ტვინის შესწავლას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. ანტიურ დროში ტვინზე ყალბი წარმოდგენა ჰქონდათ. დიდებულ არისტოტელესაც ტვინზე ყალბი წარმოდგენა ჰქონდა. ჩვენ დროში კი ბევრი მეცნიერია, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს მარტო ტვინის შესწავლას ანდომებს. რაც დრო გადის, ტვინის შესწავლა უფრო და უფრო საინტერესო ხდება და ამასთანავე საქმეც უფრო რთულდება. ბოლო დროს ტვინის შესწავლაც ნაწილებად დაიყო. ზოგი მეცნიერი ტვინის რომელიმე ნაწილს ირჩევს შესასწავლად და მთელი თავის სიცოცხლეს იმის შესწავლას ანდომებს.

ამ დაუღალავმა და ბეჯითმა შრომამ აღმოაჩინა, რომ ყოველ ჩვენ სულიერ და ხორციელ, სულ უუმცირეს მოძრაობასაც ტვინში თავისი საკუთარი პაწია კუნჭული აქვს. არის მაგალითად ზოგიერთი კაცი, ვინც ხმას „ხ“ ან „კ“ ვერ გამოთქვამს. ესმის ძლიერ კარგად, შეიძლება ძლიერ ჭკვიანი და ნიჭიერი იყოს, მაგრამ ამ ხმებს მაინც ვერ გამოთქვამს. ერთი შეხედვით კაცს გაუკვირდება, მაგრამ აქ საკვირველი არა არის რა. სწორედ ტვინში ის პაწია კუნჭული მოშლილია, ან განუვითარებელი, ან სრულებით აკლია, რაც ზემოხსენებულ ხმებს განაგებს და ათასიც რომ ეწვალო, ასეთ პირს იმ ხმებს ვერ გამოათქმევინებ. აბა რანაირად დაელაპარაკები ცენტრალურ სადგურს, თუ სახლში ტელეფონი გაყავნილი არა გაქვს?

ამას წინათ ბ. ლეისავე ხელმძღვანელობით ვიყავით ფიზიოლოგიის პროფესორის ბ. ლეჟეს ლაბორატორიაში. პროფესორმა ლეჟემ გვაჩვენა მტრედი გარეგნობით სრულებით საღი, იდგა მხოლოდ ერთ ალაგას უძრავად. პროფესორმა აუქშია, მაგრამ მტრედი არც კი შეინძრა. წინ საკენკი ეყარა. მტრედი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. პროფესორმა თავში ხელი მოავლო, ნისკარტი საკენკთან მიუტანა, მაგრამ მტრედი მარცვლის მაგივრად თითქო ქვას შეეხოო. საქმე ის იყო, რომ ამ მტრედს ხელოვნურად ამოღებული ჰქონდა ტვინის ის ნაწილი, რომელიც განაგებს მოძრაობას და საჭმელის არჩევას. მაგრამ როცა პროფესორმა აიღო ერთი მარცვალი, მტრედს ნისკარტი გაუღო და პირში ჩაუგდო, მტრედმა სიამოვნებით გადაყლაპა, რადგან გემოვნების და ჭამის გამგე ნერვები მთელი ჰქონდა. მეორე მტრედს, სრულიად საღს, ჩვენ თვალწინ ნემსით ცოტა უჩხვლიტა თავში, სწორედ ტვინის

იმ ნაწილის პირდაპირ, რაც განაგებს ფეხზე დგომის და სიარულის სისწორეს. მტრედმა მაშინათვე საცოდავად ფართხალი დაიწყო. სხვაფრივ არა უჭირდა რა, მხოლოდ ფეხზე ვეღარ დგებოდა. ახლა ადვილი მისახვედრია, თუ რისთვისაა, რომ მთვრალი კაცი გზაზე სწორად ვერ მიდის, ხოლო ძლიერ მთვრალი სრულებით ფეხზე ვეღარ დგება ხოლმე. ეტყობა ალკოჰოლი მოქმედობს განსაკუთრებით ტვინის იმ კუნჭულზე, რომელიც სიარულის სისწორეს და ფეხზე სწორე დგომას განაგებს.

ყოველგვარი შეშლილობაც ტვინის ამა თუ იმ ნაწილის მოშლაა, თუ სად, ან რა ზომამდე უზიანდება ადამიანს ტვინი, იმისდაგვარად და ივ ზომამდე იჩენს თავს შეშლილობა. მაშ ცხადია, რომ შეშლილის მოსარჩენად ყოველგვარი შელოცვა, ზვარაკები და შესაწირავები სრულებით უნაყოფოა, თითქმის უნაყოფოა სხვადასხვა ბალახბულახისაგან შეზავებული წამლები, ხოლო შეშლილის გაღიზიანება, ცემა და დაბმა ხომ ბარბაროსობაა. ერთადერთი გონივრული საშუალება შეშლილის მოსარჩენად, ჯერ შესწავლაა მისი ავადმყოფობისა, თუ რა ადგილი, ან რა ზომამდე აქვს ტვინი დაზიანებული და მერე იმისდაგვარად მოვლა-პატრონობა. თუ იმდენად დაზიანებულია ტვინი, რომ მისი სრულებით გამთელება შეუძლებელია, გონიერი მოვლით ავადმყოფის სამწუხარო ხვედრის შემსუბუქება მაინც შეიძლება.

მაგრამ აი უკვე შევედით თავშესაფარში.

თავშესაფარი გაშენებულია სოფლის შუაგულ მაღლობზე. მთავარი შენობა დიდია, სამსართულიანი. ეზოში ბაღია გაშენებული დიდი აუზით, სადაც ვარსკვლავის მსგავსად სჩქეფს შადრევანი. ვესტიბიულში დაგვხვდა თავშესაფარის დირექტორი — ცნობილი ფსიქიატრი ბ. მასსო, ექიმებით და მოსამსახურეებით. ჩვენი პროფესორი მასსოს კაი მეგობარია. გაცნობის და სალამქალამის შემდეგ ჩვენ მიგვიწვიეს ერთ დიდ დარბაზში, სადაც ჩვენთვის სკამები უკვე დაემზადებინათ. ჩქარა შემოვიდა დირექტორიც და თან შემოიტანა დიდი რვეულები. თითოეულ ავადმყოფზე ცალკე რვეულია შედგენილი. იქ არის აწერილი მთელი თავგადასავალი ავადმყოფობისა, მთელი მისი ცხოვრება და ექიმების დაკვირვება. ამ მხრივ დიდი მასალა უნდა იყოს მოგროვილი ლიერნეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარის არქივში. მართალია, სამხიარულოს და სასიამოვნოს აქ ვერაფერს ნახავთო, მოგვმართა დირექტორმა, — სამწუხაროს კი ბევრსა, რა ვქნათ, შეუძლებელს ვერ შეეძლებთ, მაგრამ შეძლებისადაგვარად მაინც ვცდილობთ მათი მწა-

რე ხვედრი შევამსუბუქოთო. შემდეგ გაგვიმარტა სულით ავადმყოფობა, მისი მიზეზი, გაგვაცნო სხვადასხვა დარგი შეშლილობისა. სულით ავადმყოფებს საზოგადოდ ორ დიდ ნაწილად ჰყოფენ. ერთი, ვინც დაბადებითვე ჭკუანაკლებია, ხოლო მეორე, ვინც დაბადებით სრულებით საღი იყო, მაგრამ შემდეგ სხვადასხვა მიზეზისა გამო შეიშალა. ერთიც და მეორეც იყოფა მრავალ დარგებად, იმისდაგვარად, თუ ვის რა ზომამდე აკლია ჭკუა-გონება, ან ვინ რა ზომამდე შეშლილა. იმის გამოსარკვევად, ვის რა ზომამდე აკლია ჭკუა-გონება, სხვადასხვა საშუალებას ხმარობენ. ჯერ გამორკვეულია გამოცდილებით, რა თქმა უნდა, თუ როგორი უნდა იყოს საღი ადამიანი საშუალოდ. გამოკვლეულია, მაგალითად, თუ რა და რა უნდა იცოდეს გონებით საღმა სამი წლის ბავშვმა, ხუთი წლისამ, ათისამ, თხუთმეტისამ და სხვა. საეკვო პირს დაუსვამენ სხვადასხვა კითხვებს, უჩვენებენ სხვადასხვა ნახატებს და მიღებული პასუხისდაგვარად სჯიან, ნორმალურია თუ არანორმალური და რა ზომამდე.

ლიერნეს თავშესაფარში ამჟამად ექვსას სამოცი სულით ავადმყოფი ირიცხება თურმე. თავშესაფარს ინახავს ლიეჟის პროვინცია (სივრცით ჩვენებური ერთ-ერთ მაზრაზე დიდი არ იქნება) და უჯდება წლიურად დაახლოებით სამას ათას ფრანკზე მეტი. შეშლილები ყველანი არ ცხოვრობენ თავშესაფარში. დღე და ღამეს იქ ატარებენ მხოლოდ ისეთები, ვისაც განსაკუთრებული მოვლა სჭირია და ვინც იმდენად დაუძლურებულია, რომ იძულებულია მომეტებული დრო სარეცელში ატაროს, ხოლო დიდი უმრავლესობა სოფელშია განაწილებული მდგმურებად. სოფლელები სიამოვნებით კისრულობენ მათ მოვლას და სამსახურს. ეს მათთვის ხელსაყრელია, რადგან ამაში სასყიდელს იღებენ. სამას ათასი ფრანკი წლიურად სოფელს კი არა, ერთ რიგ ქალაქსაც ხელს არ დასწვავს. ცხოვრობენ შეშლილები სოფლელებთან სრულებით თავისუფლად, როგორც მდგმურები. თითოეულს აქვს საკუთარი მოწყობილი ოთახი. თავშესაფარს მთავრობა შორიდან ადევნებს თვალყურს და ხშირ-ხშირად ნახულობს მათ ბინებს, ეს უფრო იმიტომ, რომ საზრდო და ჯეროვანი მოვლა არ მოაკლდეთ. ეს ახალი მეთოდია შეშლილთა წამლობისა და, როგორც ამბობენ, შედეგიც სანუგეშო მოაქვს. ესენი თავშესაფარში მხოლოდ დროგამოშვებით იკრიბებიან და რატომ იკრიბებიან, ამას ქვემოთ ვნახავთ. დაარსებულია თავშესაფარი 1885 წელს.

სულით ავადმყოფობაზე საუბრის შემდეგ დირექტორმა თითოთითოდ შემოაყვანინა და გვიჩვენა ზოგიერთი ავადმყოფი.

პირველად გვიჩვენა დაბადებიდან „იდიოტი“. ის 40-45 წლის კაცი იქნება. ცოტა წვერ-ულვაში აქვს. საინტერესოა მისი თავის ქალის მოყვანილობა: წვრილი, წოწლოკინა, სახის გამომეტყველება სულელური. აქვს. თავისი სახელი კი იცის, წლოვანება არა. სულ უბრალო კითხვებზედაც ვერა მიუგო რა. ლაპარაკობს ძლიერ ცუდად, თითქმის გაუგებრად. დადის კი კარგად. ცხოვრობს ბინაზე. მეორე ქალია, შუახნისა, შავგვრემანი, ესეც დაბადებიდან „იდიოტია“, სახე და თავის მოყვანილობა ჩვეულებრივი აქვს, ლაპარაკობს გვარიან კარგად, მაგრამ ულმერთოთ ტყუის. თექვსმეტი წლისა ვარო, ქმარი მყავსო. დირექტორმა ათასანტიმიანი რომ უჩვენა, აღტაცებით წაეტანა. რა თქმა უნდა, მიიღო საჩუქრად. თვლა არ იცის. ერთს კი იტყვის და ორს კი ვერა სწვდება მისი გონება. ჩვენი პროფესორი რომ დაეკითხა, მიცნობ თუ არაო? — როგორ არაო, მხიარულად მიუგო. შემდეგი ხელურემით შემოიყვანეს, რადგან დაბადებიდან მკელობელია. მოხუცია, კბილები სრულებით არა აქვს. სახე აქვს ძლიერ გრძელი, ანორმალური, ლაპარაკი არ შეუძლია, მხოლოდ რაღაც ხმებს ისვრის, ალბათ, ჩვენი თუ შეეშინდა, ტირილი დაიწყო და დირექტორს შეაჩერდა. იმან რომ დაუყვავა და თავზე ხელი გადაუსვა, სიცილზე გადავიდა. ეს უპატრონოდ, ღვთის ანაბარად რომ იყოს მიგდებული, შენი მტერი, რაღაც ენით გამოუთქმელი საშინელება იქნებოდა, მაგრამ რაკი დაბანილ-დავარცხნილია, სუფთად აცვია და საზრდოც დროით და საკმაოდ აქვს, არც იმდენ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. შემდეგ შემოვიდა ვაჟკაცი, ასე 35 წლისა, სუფთად აცვია, გახამებული პერანგი ყელსახვევით, როგორც მიღებულია დასავლეთ ევროპაში, საათიც ჰკიდია თავისი ძეწკვით. ლაპარაკობს სრულებით ნორმალურად. სკოლაში ვიყავიო, მაგრამ ავად გავხდიო და ამიტომ სწავლას თავი დავანებეო. თვლა იცის ფლამანურად, ეროვნებით ვალონიკია. ფლამანური ლაპარაკიც იცის. ბუნებით ჩქარი და ცქვიტი ბიჭია, მაგრამ, საუბედუროდ, ესეც დაბადებითვე ჭკუა ნაკლებია. თავის ქალის შუაგულ რაღაც წყლული აქვს. აი მიშელი. 30 წლის იქნება. ეს მხიარულია. იცინის, ოხუნჯობს. გუშინ რა გააკეთეო, დაეკითხა დირექტორი, — ვისიამოვნეო, მიუგო. — რის სურვილი გაქვსო. — ერთი გომბიო გოგო მინდაო. მიშელს, ეტყობა, პოლიტიკა აინტერესებს. წასვლისას „oi bois la calotte“-ო (აბა ლა კალოტ — ძირს კამილავკა), დაიძახა. ეს ბელ-

გიელ მემარცხენეების მიერ კლერიკალების წინააღმდეგ წამოსაძახებელია. ამას მღერიან კიდეც. შემდეგ შემოვიდა ახალგაზრდა, ასე 25 წლის ქალი. ჩვენი პროფესორი იცნო. თურმე ერთ დროს მის სანატორიუმშიაც ყოფილიყო. ამას მუშაობაც შეუძლია ცოტ-ცოტა. პროფესორის მეუღლე და შვილებიც იცნო, მათ სახელები უწოდა. უცბად ტირილი წასქდა, საჩქაროდ ისევ გაიცინა. აი ახალგაზრდა 17-18 წლის ბიჭიც. ბავშვური ნაზი გამომეტყველება აქვს. ერთ დროს სკოლაშიაც ყოფილა. წერა-კითხვა იცის. შემდეგ მეჩექმისთვის მიუბარებიათ და იქ შეუმჩნევიათ, რომ ჭკუა ნაკლებია და იქიდან აქ ამოუყვია თავი. შვიდჯერ ათი რამდენი იქნებაო, რომ დაეკითხა პროფესორი, გამოიყვანა, მაგრამ შვიდჯერ თორმეტზე კი ვერა უპასუხა რა.

ახლა ჯერი მიდგა მეორე ჯურის ავადმყოფებზე, ე. ი. ისეთებზე, ვინც დაბადებით სალნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ შეიშალნენ. ზოგს მეხსიერება ღალატობს, ზოგს ზნეობა-უზნეობის უნარი აქვს დაკარგული, ზოგი გაკოტრებული ვაჭარია, ზოგი გალიუცინაციით არის შეპყრობილი, ზოგს თავი დიდ კაცად აქვს წარმოდგენილი, აი მაგალითად, შემოვიდა მოხუცი, სახელი და გვარი სწორად თქვა, წლოვანება კი აერია. მდიდარი ხარო? — დაეკითხეს. — ძლიერ მდიდარი ვარო. — აქ რას აკეთებო? — თავს ვირჩენო. ეს წინათ მადნის სადნობ ქარხანაში მსახურობდა თურმე. აგერ 40 — 45 წლის ქალი. წლოვანება არ ახსოვს. რა დღეაო, რომ დაეკითხენ, მიუგო, კვირაა. სადაურია, რომელი სოფლისა არ ახსოვს. შენ კი კარგად გიცნობო, უთხრა დირექტორს, ამათ კი ვერაო, თქვა ჩვენზე. წასვლისას ყველას ზრდილობიანად თავი დაგვიკრა. აი ერთი წარმოსადეგი ვაჟკაცი. ეს ეპილეპტიკია. ხშირად თავის თავს ედავება რაღაცებზე, თავის თავი დიდ მათემატიკოსად ჰყავს წარმოდგენილი. ეს ოცდაცხრა სამად გაყო. ქრისტეს დაბადების ქრონიკონზე კი ვერა მიუგო რა. აგერ ერთი ქალიც შუა ხნისა. ბევრს უბედობს. გალიუცინაციით არის შეპყრობილი, რაღაცები ელანდება. იცინის, მერე დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო, ფრანგულს გერმანული მიაყოლა. აი მოხუცი, მშვიდი, წყნარი. სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო, თქვა საბრალომ, რადგან მუცელში თაგვები დამიბუდნენ და მოსვენებას არ მაძლევენო. ეს გალიუცინაციით შეპყრობილია.

სანამ აქ ეს ამბავი იყო, ფანჯრიდან ეზოში გავიხედე. შეშლილებით სავსე იყო იქაურობა, ზოგი წყნარად იჯდა და მზეზე თბებოდა, ზოგი ჩიბუხს აბოლებდა. ზოგი აქეთ-იქით დადიოდა, ხე-

ლებს აქნევდა და თავის თავს ელაპარაკებოდა, მაგრამ სხვას კი არაფერს არ ერჩოდა. აგერ ერთი ყმაწვილი კაცი, ხის ძირში სკამზე ჩამომჯდარა, გაზეთი გაუშლია და კითხულობს, ხშირ-ხშირად რაღაცნაირ აღტაცებაში მოდის და მის გვერდით მჯდომ ამხანაგს წანაკითხს მხურვალედ უხსნის.

გავიარეთ ეზოში. შეშლილები ბუზებივით ირეოდნენ, მაგრამ საერთო წესრიგი საუცხოო სუფევდა. აქაც დირექტორი მიგვიძღოდა. დირექტორი ბ. მასსუ (Massou) შუა ხნის კაცია, სანდომიანი სახისა, შავგვრემანი, დინჯი, წყნარი, უშფოთველი, აუღელვებელი, პირის სახეზე მუდამ ღიმი უკრთის, ის ტიპიური ფსიქიატრია. შევედით მწოლარეთა განყოფილებაში. უმეტესობა მოხუცებულია. ერთმა მოხუცმა შეკითხვაზე, ორი წლისა ვარო, — მიუგო. თვალი მოვავლე ერთ ღრმა მოხუცს, საბრალო, ცრემლმორეული შემოგვყურებდა. ვინ იცის, რა გააახსენა ჩვენმა ნახვამ? იქნებ ერთი წუთით დაუბრუნდა სულიერი სიმშვიდე, მოაგონდა წარსული, მხიარული წამი თავის ცხოვრებისა და გული აუჩვილდა. იქნებ ჩვენ სრულებით ვერ გვამჩნევდა და არ არსებული, რამე საშინელება ელანდებოდა. გული დამეწო, მზად ვიყავი მეც მეტირნა.

აქედან ქალების განყოფილებაში შევედით. დირექტორმა მიგვითითა ერთ რუმბივით ჩამრგვალებულ, პირაღმა მწოლარე ქალზე. ორმა მოსამსახურე გოგომ ძლივსძლივობით წამოაყენა. ეს ქალი შეშლილია გათხოვების მოლოდინში. შეუთხზავს მშვენიერი სიტყვა თავის ჯვრისწერის სამზადისის შესახებ. დირექტორმა თხოვა, რომ ჩვენთვის ეთქვა ეს სიტყვა. ჯერ გაინაზა: ბევრი რამ დამავიწყდაო, მაგრამ მაინც დაიწყო: „mesdames, messieurs“, თქვა მშვენიერი კრიალა ხმით და კარგი ფრანგულით. მიჰყვა და მიჰყვა. მაგრამ მისი სიტყვის შინაარსის გადმოცემაზე რა მოგახსენო. სიცილი მახრჩობდა და თავის შეკავებაში ვიყავი გართული, ხან ქუდით პირს ვიტენავდი, ხან ამხანაგებს ზურგს ვეფარებოდი. თვალად ამ ქალს არა უშავს რა და მიკვირს, რად არ გათხოვილა, როცა, როგორც ეტყობა, სურვილიც დიდი ჰქონია. ალბათ, დიდი წუნია ვინმე უნდა ყოფილიყო და ახირებულს ვისმე არ იკადრებდა, დიდებს ეძებდა დალოცვილი. აკი თავის სიტყვაშიაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პუანკარე და მისი მეუღლე მოიხსენია.

ჯერ ახალგაზრდა 16-17 წლის, ლამაზი, ვარდივით გაფურჩქვნილი ქალი წყნარად წევს ლოგინში და იცინის, ესეც ნაადრევი

ბიყვარულის მსხვერპლია თურმე. მაგრამ აი, დიახ, სამწუხარო სცენა. ერთი ახოვანი ქალი, ოჯახის დედა შეშლილი. ქმარი სანახავად მოსულა და ეალერსება. ქალი კი ტირის. და აი უფრო სამწუხარო სცენაც, ერთი ქალი მომაკვდავი. მისი სარეცელი კუთხეში გადაუტანიათ და ფარდა მიუფარებიათ. მშვიდად განუტევებდა ტანჯულ სულს უბედური.

საბედნიეროდ, ეს მოვლენა ხშირი არ არის, გვითხრა დირექტორმა.

შემდეგ შევედით ქალების საერთო დარბაზში. აქ მოგროვილიყვნენ თავისუფლად მოსიარულე შეშლილები. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, საღი ადამიანები გეგონებოდა. ზოგი წყნარად მუსაიფობდა, ზოგი სეირნობდა. დირექტორი გაჩერდა ერთი ქალის წინ — როგორა ხარო, დაეკითხა. გვარიანად, მაგრამ სული მოსვენებას არ მაძლევსო. ჩიტის სახით მოდის და თავში მიძვრებაო. ნეტავ რა უნდაო? ფულები უნდა მომტაცოსო. გუშინ ჯოხს რად იქნევდიო? მინდოდა მეცემნაო. მერე, მოგშორდაო? დიახაც მომშორდა, ჯოხი რომ დავარტყი, დაიმალაო. ღმერთო ჩემო! ნეტავ ვის რა დავუშავე, რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან, თავის დღეში არავისთვის სიკეთის მეტი ცუდი არ მიქნიაო. ესეც გალიუცინაციით შეპყრობილია. მეორე ქალი, ხშირად თავის თავს ეკამათება. ერთი ახოვანი შავგვრემანი ქალი დარბაზს ნელ-ნელა წრეს უვლიდა და თან რაღაც სიმღერასაც ჩუმად ღიღინებდა. ჩვენი მისვლა, ეტყობოდა, ძლიერ გაუკვირდა, ყველანი ყურადღებით აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. მგონი არც ერთი არ მოვეწონეთ, რადგან ჩქარა თავი დაგვანება და ისევ თავის სეირნობა-სიმღერას მიუბრუნდა.

უკვე ნაშუადღევის პირველი საათი იყო, სასადილოდ წავედით სასტუმროში. ჩვენი პროფესორიც ჩვენთან იყო. ჩქარა უნდა დავბრუნდეთ ისევ თავშესაფარში, სეანსი იქნებაო. — რა სეანსი იქნებაო, დავეკითხეთ. გაიცინა, — ნახავთო. ამან ყველანი დიდად დაგვაინტერესა. ერთი საათის შემდეგ ისევ თავშესაფარის ეზოში ვიყავით. მიგვიწვიეს ისევ იმ დარბაზში, სადაც ამას წინათ ვიყავით. დარბაზის ერთი მხარე, სიგრძეზე, შეშლილებით იყო გაჭედილი. მეორე მხარე ჩვენთვის დაეტოვებინათ. იმერული მაყრებივით მიუსხედით ერთმანეთს პირდაპირ. დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მაგიდაზე უშველებელი ვრამოფონი იყო მოთავსებული. იქვე შორიახლო სკამზე იჯდა კარგად ჩაცმული, ახოვანი კაცი. ეს დირექტორმა ეზოში შორიდან გვაჩვენა. წინათ ჩითის საქსოვ

ფაბრიკაში მსახურობდა თურმე. მას წინ პატარა მაგიდა ედგა და ზედ რაღაც ქაღალდები და საწერ-კალამი ელაგა. მის ცოტა მოშორებით მეორე მაგიდა იყო გამართული და ზედ წიგნები და დავთრები დალაგებული. იქ იჯდა ერთი გამხდარ-გამხდარი კაცი და იქვე მის გვერდით ახალგაზრდა მეჩექმე. საბრალო, პატარძალივით ნაზად გამოიყურებოდა. შემოვიდა ჩვენი ნაცნობი ფერშალი. ის სული და გულია იქაური ცხოვრებისა. როგორც მითხრა, უკვე თორმეტი წელიწადია, რაც იქ მსახურობს და შეშლილთა ხასიათი ანი და ბანივით იცის.

ახოვანმა კაცმა მომართა გრამოფონი. დაუკრა რაღაც მარში თუ ჰიმნი. შემდეგ წამოდგა ფერშალი და წარმოთქვა მშვენიერი სიტყვა. განმარტა ლოთობის მავნებლობა საზოგადო ცხოვრებაში და განსაკუთრებით სულით ავადმყოფობაში. სხვათა შორის თქვა, რომ ლიერნეს სიფხიზლის საზოგადოება (კოლონია), აგერ ბევრი ხანია, რაც ებრძვის ამ სენს და ამ ბრძოლასაც ნაყოფი კეთილი მოაქვსო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ლიერნეში მაგარი სასმელების ხმარება უკვე მოსპობილია და თუ იხმარება, მხოლოდ ლუდი და ისიც ძლიერ მცირე, ძლიერ განსაზღვრული ზომითაო. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს აღვნიშნო ეს ამ უცხო სტუმრების წინაშე, და ახლა კი სიტყვა თავმჯდომარეს ეკუთვნისო. წამოდგა გრამოფონთან მჯდომი კაცი და იმანაც წაიკითხა თავის მიერ დაწერილი სიტყვა ლოთობის წინააღმდეგ. რა ვიცი, შეშლილობა არც შინაარსს ეტყობოდა და არც წაკითხვას. ახლა კი მივხვდი, თუ რაში იყო საქმე. თურმე ნუ იტყვით, თავშესაფარი წარმოდგენილია, როგორც სიფხიზლის კოლონია. სულით ავადმყოფები შთაგონებულები არიან, რომ ისინი სიფხიზლის საზოგადოების წევრები არიან. ჰყავთ არჩეული თავმჯდომარე, მდივანი, საქმის მწარმოებელი, აქვთ წიგნები, დავთრები, იკრიბებიან, ბჭობენ, ოქმებს ადგენენ და სხვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც რომელიმე კულტურულ საზოგადოებაში. ამასთან ყველაფერს თვით შეშლილები განაგებენ და აწარმოებენ. თავშესაფარის მთავრობა საქმეში არ ერევა, მხოლოდ შორიდან ხელმძღვანელობს, და თუ ვინიცობაა, საჭე ძლიერ განზე მიბრუნდა, მაშინ შეეცდება შეუმჩნევლად ისევ სწორ გზაზე დააყენოს. ფერშალმა იმ დღეს, მგონი, ილაპარაკა უფრო იმიტომ, რომ ჩვენ გაგვეგო, თუ რაში იყო საქმე. ის ლაპარაკობდა სრულებით დინჯად, საქმიან კილოთი, მხოლოდ ხანდახან ჩვენსკენ რომ გადმოიხედავდა, ტუჩებზე ოდნავ შესამჩნევი ღიმი გადურბენდა ხოლმე.

შემდეგ მდივანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი, რომელიც საზოგადოებამ მიიღო და თავმჯდომარემ ხელი მოაწერა. დაადგინეს, რომ მომავალ კვირისათვის ექსკურსია მოეწყოთ ერთ მახლობელ სოფელში წასასვლელად. ამგვარი ექსკურსია ხშირად იმართება ხოლმე. ექსკურსიას, რა თქმა უნდა, ფერშალიც მიჰყვება. მერე როგორ უჭირავთ თავი სეირნობის დროს-მეთქი, ვკითხე შემდეგ ფერშალს.

— ჩინებულადო, — მიპასუხა. — მე ორმოც შეშლილთან ვარ-ჩევ საექსკურსიოდ წასვლას, ვიდრე ორმოც ჭკუიანთანაო, რადგან ამათთან დარწმუნებული ვარ, საღამოთი ყველანი შინ მშვიდობით დავბრუნდებით, ხოლო ჭკუიანებთან ამის სიტყვას ვერ მოგცემო. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ ამბავს. ექსკურსიაზე დადგენილების შემდეგ, ერთ-ერთმა შეშლილმა დაუკრა, ხელგარმონზე, არა უშავდა რა, კარგად უკრავდა. შემდეგ წინ წამოდგა ერთი პირხმელი, წვერ-ულვაშ მოპარსული ვაჟკაცი, ტანისამოსი, ცოტა არ ოყოს, მოძველებული ეცვა. თუ არ ვცდები, ეს სწორედ ის უნდა ყოფილიყო, ვინც დილით ეზოში გაზეთს აღტაცებით კითხულობდა. წინ წამოდგა, თამამი პოზა დაიჭირა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! გოგოლის შეშლილის წერილები თუ წაგიკითხავთ, სწორედ რაღაც იმის მსგავსი, მაგრამ გოგოლის წერილები ხომ ხელოვნურად მწერლის მიერ კაბინეტშია შეთხზული, აქ თვით შეშლილი ლაპარაკობდა და მერე სულ რითმიან ლექსად. ამანაც გოგოლის გმირივით მეფეებიდან დაიწყო, მაგრამ ესპანიის მეფის ფერდინანდ კათოლიკის მაგივრად საფრანგეთის მეფე ლუი მეცამეტე ახსენა პირველად. ჯერ კარგად გალექსა ბურბონების გვარეულობა და მხოლოდ შემდეგ გადავიდა ესპანიაში, იქაური მთავრობაც დაამშვენა იამბიკოებით და მერე ისტორიას გეოგრაფია მიაყოლა. მშვიდობით გაიარა გიბრალტარის სრუტე და ხმელთაშუა ზღვით აღმოსავლეთით გაემართა. ამავე დროს მარჯვნივ და მარცხნივ ჩენ-ჩივით აყრიდა საოხუნჯო იამბიკოებს, ხან აფრიკას და ხან ევროპას... მაგრამ რად გინდა, მე კი გავთავდი კაცი, სიცილის შეკავება მოვინდომე, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. შევხედე ჩემს ამხანაგებს, ყველანი ფართოდ იცინოდნენ, შევხედე პროფესორს, ვერც იმას შეეკავებინა თავი, მაშინ მეც აღვაღე პირი ჩემი. ის კი მიდიოდა და მიდიოდა წინ სხაპასხუპით. საბერძნეთს რომ მიატანა, გულმა ვერ მოუთმინა, რომ ძველი დიდებული გმირები და ფილოსოფოსები არ ეხსენებია. მცირე აზიაო, ოხ! რა მწარე შეცდომაა, ამბობდა მგოსანი, აზია მცირე კი არა, ხმელეთის ყველა

ნაწილებზე უფრო დიდიაო, მაგრამ თუ მართალს მათქმევინებთ, აზია სრულებით არ არსებობსო. ელვის სისწრაფით გადაირბინა შუა აზია, ჩინეთი, იაპონია, დიდი ოკეანე, გადალახა ამერიკა, ატლანტიდან და შავარდენივით შემოაფრინდა საფრანგეთის დასავლეთის ნაპირებს, საიდანაც პირველად გაინავარდა. აქ ჩახრუხაული: „თამარ წყნარი, შესაწყნარი"-ვით, შვიდი, რვა, ცხრა რითმა ზედიზედ ერთმანეთს დააყარა და გაჩერდა. ატყდა ტაში, მაგრამ რა ტაში! სულელი და ბრძენი თითქმის ყირამალას გადადიოდა. იცოცხლე, რომ მეც არ დავზოგე ჩემი ხელები. შემდეგ ახალგაზრდა მეჩექმემ სია ამოიკითხა. თავიანთი გვარის გაგონებაზე თითოეული იძახდა: აქა ვარო.

ჩვენმა პროფესორმა სიტყვით მიმართა სიფხიზლის საზოგადოებას, უსურვა წარმატება და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში მხნეობა და გამარჯვება. ერთ-ერთმა ჩვენმა ამხანაგმა, ცქვიტმა და მუდამ მხიარულმა დელნერმაც (Delner) სტუდენტების სახელით სიტყვა წარმოთქვა და აღნიშნა ის საუცხოო წესრიგი, რაც სუფევს თავშესაფარში საზოგადოდ და კერძოდ სიფხიზლის საზოგადოებაში. მართლაც, რომ თავი ყველას საუცხოოდ ეპირა.

სეანსის გათავების შემდეგ თავმჯდომარემ ჩვენ პროფესორს ფერშლის ხელით სადარბაზო ბარათი გამოუგზავნა. აქეთობას, გზაზე, პროფესორმა გვაჩვენა ეს ბარათი. ზედ ბარონი ეწერა: (ესა და ეს სახელი და გვარი) სიფხიზლის „კოლონიის" დამაარსებელიაო. იმას თავი ბარონად და „კოლონიის" დამაარსებლად აქვს წარმოდგენილი და ამას ყველანი ადასტურებენ.

გამოვედით ეზოში. აქ დირექტორი დაგვხვდა. — რა ამბავი, როგორ ისიამოვნეთო? ჩვენ ჩვენი აღტაცება გამოვუცხადეთ.

შემდეგ გაგვიძღვენ: დირექტორი, ექიმი, ფერშალი და დავათვალიერეთ სოფელში რამდენიმე ბინა, სადაც შეშლილები ცხოვრობენ.

საზოგადოდ ს. ლიერნე ჩვენებურ სამაზრო ქალაქს ბევრად სჯობია. ბელგიელი ვერ წარმოიდგენს იმ ორღობეებს და ტლაპოებს, რაც ასე უხვია რუსეთში და ჩვენში. ქუჩები ოთხკუთხი ქვით არის დაგებული (ამას ხომ თბილისიც ნატრობს), არის კანალიზაცია, მთიდან მილით გამოყვანილია წყაროები. ს. ლიერნეში ფაბრიკა-ქარხნები არაა, რაც ასე ხშირია ბელგიაში. აქაური მცხოვრებლები მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევენ და სულით ავადმყოფებს უვლიან. ეს ადგილი ერთი მაღალ ადგილთაგანია მთელ ბელგიაში. ცნობილია თავისი საღი ჰაერით და კიდეც იმიტომაა აქ გამართული სულით ავადმყოფთა თავშესაფარი.

ბელგიელს ორ-სამსართულიანი სახლის აშენება უფრო ემარჯვება. ეს ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ მიწა აქ ძლიერ ძვირია და ამიტომ ცდილობენ შენობას რაც შეიძლება მცირე ადგილი გააცდენინონ. გავიხსენოთ, რომ მთლად ბელგია ქუთაისის გუბერნიაზე დიდი არ იქნება სივრცით, ხოლო შიგ რვა მილიონი სული ცხოვრობს.

ს. ლიერნეში ქუჩებისა და სახლების გარდა ხელისგულის ტოლა ადგილს ვერ იპოვნი დაუმუშავებელს, ყველგან ან ყანაა, ან ბოსტანი, ან ბაღი.

ბელგიელის სახლის შიგნით მორთულობა ბევრი ჩვენი სამაზრო ქალაქისას ჰგავს, მხოლოდ აქ ავეჯეულობა უფრო ბევრია და უფრო სხვადასხვანაირი. სისუფთავე ხომ საკითხი არაა.

ვნახეთ სულით ავადმყოფთა ბინები. სუფთად და ლამაზად მორთული პატარა ოთახები. მომეტებულად ზემო სართულში. მივედით იმ ქალის ბინაზედაც, ვინც დილით თავშესაფარში ჩიოდა: სული ჩიტის მსგავსად თავში მიძვრება და ფულებს მტაცებსო. აქაც იგივე განიმეორა საცოდავმა.

საინტერესო იყო ერთ-ერთი სულით ავადმყოფი და მისი ბინა. იგი ქალია, უკვე ხანში შესული, მაგრამ ახოვანი და ჯანმრთელი. თავის დროზე კაი თვალ-ტანადი უნდა ყოფილიყო. მას თავისი თავი დედოფლად ჰყავს წარმოდგენილი და ყველანი დედოფალს ეძახიან, დირექტორიც ასე მიესალმა. მისი ტანსაცმელიც ეთანხმება მის სულიერ წარმოდგენას. ტანთ აცვია შავი ხავერდის, რალაც ეპისკოპოსის ბისსონასავით, გრეხილებით და ბუზმენტებით უთავბოლოდ დახლართული, კისერზე „დედოფალს“ გიშრის თუ მინის მძივების მთელი მთა აქვს შემოხვეული. უანგარიშო, იაფფასიანი ლითონის ნაჭრები აქა-იქ უთავბოლოდ ჰკიდია ტანისამოსზე. ერთი სათამაშო დამბაჩა წინ ჰკიდია, მეორე უკან. ეტყობა, „დედოფალი“ მილიტარიზმის მომხრეა. თავზე ჰხურავს მაღალი კონიკური მოყვანილობის შლიაპა, ისიც უანგარიშო ზიზილპიპილებით მორთულია. როცა ჩვენ მივედით, „დედოფალი“ ქვემო სართულში ბრძანდებოდა დიასახლისთან. ყველას მოწყალებით მოგვესალმა. თავი ღირსებით უჭირავს. ამას მეორე შლიაპაც აქვსო, თქვა დირექტორმა. გავემართეთ ზემო სართულისაკენ მეორე შლიაპის სანახავად. შევედით „დედოფლის“ ოთახში. მისი ოთახიც განირჩევა სხვა მსგავსთა ოთახებისაგან. ოთახი შედარებით დიდია და უკეთესად მორთული. კედლები აჭრელებულია სხვადასხვა ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათებით. შლიაპა ორი კი არა, ხუ-

თიც ჰქონია დედოფალს, მაგრამ აი საუკეთესო, ასე ვთქვათ ვითომ გვირგვინი. ის მოწიწებით ასვენია მაგიდაზე. გაკეთებულია შავი ხავერდისაგან. ძლიერ მაღალია და ფართე, მორთულია უანგარიშო ძეწკვებით, თუ ბუზმენტებით, თუ ლითონის ნაკრებით, შუაგულ ჩატანებული აქვს ორი მუქის სისხო მინის ბუშტი, ეს ძვირფასი ბრილიანტის მაგივრობას უნდა ასრულებდეს, რაც ასე აუცილებელია დედოფალთა გვირგვინების დასამშვენებლად. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა, ახლო მივედი. — აბა ასწიეო, მითხრა დირექტორმა. ავწიე, ერთი ოყა მაინც გამოვიდოდა სიმძიმით. ამასობაში „დედოფალიც“ შემობრძანდა. დირექტორმა თხოვა ეს დიდი შლიაპა დაეხურა.

— ეს ცოტა მძიმეა, — ნაზი ღიმილით ჩაილაპარაკა მან. მაგრამ თხოვნა მაინც შეასრულა. აუჩქარებლად მოიხადა ერთი და აუჩქარებლადვე ეს მეორე დაიხურა. ჩვენ სიცილს ძლივს ვიმაგრებდით. რა თქმა უნდა, ძლიერ მოუწონეთ.

— ვისაც შევხვდები ამ სოფელში, ყველა შეშლილი მგონიამეთქი, — ვუთხარი ფერშალს ქუჩაში.

— ვინც აქ მოვა, ყველანი მაგრე ლაპარაკობენ. აი მაგალითად, ის ქალი შეშლილია, — მიმითითა ერთ-ერთ ახალგაზრდა კარგად გამოწყობილ ქალზე, რომელიც ქოლგით ხელში ნება-ნებაზე მისეირნობდა.

— აი ესეც-მეთქი, — მივუთითე ერთ უშნოდ ჩაცმულ, თმა აბურძგვნილ დედაკაცზე.

— არა, ეს ჭკვიანია.

დავათვალიერეთ კიდევ რამდენიმე ბინა და წასვლის დროც მოახლოვდა.

დირექტორმა, ექიმმა და ფერშალმა სადგურამდე მიგვაცილეს და მეგობრულად გამოგვემშვიდობნენ. პროფესორმა ჩვენი მხრივ მხურვალე მადლობა გადაუხადა სამივეს.

საღამოს შვიდ საათზე უკვე ლიეჟში ვიყავით. აქ მატარებელი უნდა გამოგვეცვალა. ჩქარი მატარებელიც მზად იყო ბრიუსელისკენ მიმავალი, მაგრამ ამ მატარებელს მესამე კლასის ვაგონი მობმული არ ჰქონდა. მივგზავნეთ სადგურის უფროსთან ჩვენი ცქვიტი დელნერი, რათა მეორე კლასში ჩაჯდომის ნება მიეცათ. სადგურის უფროსმა მაშინვე ნება დაგვრთო. რუსეთის რკინიგზაზე ამისთანა შემთხვევაში კომისია იქნებოდა მოსაწვევი. არხეინად გამოვიჭიმეთ მეორე კლასში, დასძახეს ბიჭებმა სიმღერა და ცხრა საათზე უკვე ბრიუსელში ვიყავით.

ნელ-ნელა მივემართებოდი ნაცნობი ქუჩებით ჩემი ბინისაკენ. არაჩვეულებრივი დარის მეოხებით მთელი ბრიუსელი ქუჩაში ირეოდა. კაფეებში ხომ ტევა არ იყო. გავიარე პარკი, ჩავუარე მეფის სასახლეს და მივატანე ერთ-ერთ მოედანს, საიდანაც მუსიკის ხმა და არაჩვეულებრივი ყივილ-ხივილი მომესმა. თურმე კერმესი ყოფილიყო. კერმესი ერთგვარი დღესასწაულია, წელიწადში ორჯერ იმართება. მოედანზე მოეწყოთ უზარმაზარი კარუსელები, მოტორის ძალით დასატრიალებელი, საქანებლები, ნიშანში სასროლები, ლოტარიები და სხვ. მოედნის ირგვლივ კაფეებში ხომ კაცი კაცზე იჯდა. ქალი თუ ვაჟი, დიდი თუ პატარა სვამდა, ცეკვავდა, მღეროდა, ხმაურობდა. დავდექი ერთ ალაგას და დავუწყე თვალიერება. უნებლიეთ წარმომიდგა ორი ქვეყანა, ერთი იქ, ს. ლიერნეში, მეორე აქ, ქ. ბრიუსელში. იქ შეშლილები, აქ ჭკვიანები, იქ შეშლილები სიფხიზლის საზოგადოებას აარსებენ, აქ ჭკვიანები ლოთობას ეწევიან. იქ შეშლილთა შორის საუცხოო წესრიგია, სიჩუმე-სიწყნარეა, აქ ჭკუიანთა შორის ყურთა სმენა აღარ არის. ძაღლი პატრონს ვერა სცნობს. აგერ, ერთი კაცი კარუსელში ჩამჯდარა, კარუსელი ტრიალებს. კაცი ფართოდ შლის ხელებს და რაც ძალი და ღონე აქვს ღრიალებს. აგერ, მთელი გროვა ქალ-ვაჟებისა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ცეკვა-ხტუნვით მოდიან და თან „მარგარიტა, მარგარიტას"-ს მღერიან. აგერ ერთი სადად ჩაცმული დედაკაცი, ერთ კაცს, ალბათ, ქმარს, შინისაკენ ეზიდება და თან „Ferdinand, assez, assez"-ო (ფერდინანდო, კმარა, კმარაო) ეუბნება, მაგრამ ის შეზარხოშებული, ჯიუტი მოზვერივით თავს ძირს ღუნავს და კაფესკენ მიიწევს, რომ ერთი ჭიქა ლუდი კიდევ გადაყლაპოს. „სად არის უფრო შეშლილი ხალხი, ლიერნეში თუ აქა?" ვეკითხებოდი ჩემს თავს. ან ეს ქალების მორთულობა, ეს ნაირ-ნაირი შლიაპები, სრულიად უდანაშაულო ფრინველების ბურტყლით, ფრთებით თუ ბოლოთი მორთულები. რით განირჩევა ლიერნელი „დედოფლის" ტანსაცმელ-შლიაპის მორთულობისაგან? ცოტას თუ დაფიქრდებით, უეჭველია, თქვენც დამეთანხმებით, რომ განსხვავება მხოლოდ ფორმაშია, ხოლო შინაარსი იქაც და აქაც ერთი და იგივეა. სწორედ რომ გაუგებარია ცხოვრება. „სადაა უფრო შეშლილი ხალხი, ლიერნეში თუ აქა?" „სადა არს ბრძენი, სადა არს მწიგნობარი, ანუ გამომძიებელი ამა სოფლისა" (I კორ. I, 19 — 20). ვეკითხებოდი ჩემს თავს და შინისკენ მივეჩქარებოდი.



ბრიუსელიდან საქართველომდე

ერთი თვალის გადავლებით

მდგომარე წლის ოცდაოთხ აპრილს საღამოს ცხრა საათზე ბრიუსელის ჩრდილოეთის სადგურს ვუახლოვდებოდი. აი, ის მოედანი, სადაც ამ ათი წლის წინათ პირველად ჩამოვხტი თბილისიდან ლტოლვილი. მაშინ ეს ქვეყანა და ხალხი სრულიად უცნობი იყო ჩემთვის. რამდენი ცვლილება მოხდა მას შემდეგ როგორც საერთაშორისო ცხოვრებაში, ისე კერძოდ, პირად ჩემს მდგომარეობაში! ახლა კი ეს მხარე ჩემი მეორე სამშობლო გახდა. აქ ბევრი რამ გამოვცადე ამ ხნის განმავლობაში, ავიც და კარგიც. მსოფლიო ომის სიდუხჭირის მოწმეც ვიყავი. სულიერად განვახლდი. შევეჩვიე აქაურობას, მაგრამ დრო იყო უკან დავბრუნებულიყავი, კვლავ მენახა ჩემი პირველი სამშობლო, ჩემი ტურფა საქართველო. მეგობრებმა გამაცილეს. მატარებელი დაიძრა და გერმანიის საზღვრისაკენ გაგვაქანა. რკინიგზის მიმოსვლა აქ სრულიად წესიერია. ვისაც ახსოვს 1918 წლის დამლევს ამ ქვეყნის მდგომარეობა, მას არ შეიძლება არ გაუკვირდეს, თუ რა ჩქარა მოღონიერდა ეს მშრომელი ხალხი და კვლავ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

მაგრამ გერმანელებისადმი შიში კი ამ ხალხს ავადმყოფობად გადაექცა. ერთი ამისი ცოცხალი ნიმუში მე თვითონვე გამოვცადე სწორედ ამ მოგზაურობის დაწყებისთანავე. ჩემთან კუპეში იჯდა რამდენიმე ბელგიელი კაცი და ქალი და ერთი შვეიცარიელი. მატარებელი დაიძრა თუ არა, რკინიგზების რუკა ამოვიღე და და-

თვალიერება დავუწყე. ერთიც ენახოთ, ვილაც ერთი კაცი, მართალია, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ცოტად ნასვამი, კარებში აიტუზა და უკმეხად მკითხა: ეს რა რუკაა? შენ ხელახლა გინდა ომების ამბები მოაწყო, აქაურობა დაზვერო და სხვა. მე ჯერ მეგონა შეშლილთან მქონდა საქმე. ის კი გაიძახოდა: მე შენ ძლიერ კარგად გიცნობ, შენ გერმანელი უნტეროფიცერი ხარ, ტყვეობის დროს მე სასტიკად მეპყრობოდიო და სხვა. მე კი ჯერ არ მინდოდა ყურადღება მიმექცია, მაგრამ რაკი თავს გავიდა და მუქარით ჩემსკენ მოიწევდა, იძულებული ვიყავი მიმემართა ვისდამი ჯერ იყო. ის უბედური კი, როცა თავის შეცდომაში დარწმუნდა, სირცხვილით სადღაც მიიმალა.

ნაშუალამევს აახენში (Aix - la - chapelle) მივედით. უკვე გერმანიაა, მაგრამ დროებით ბელგიელების ჯარს უჭირავს ეს ქალაქი. მოვიდა გერმანელი საბაჟოს მოხელე. ბარგი კაი ძალი მომქონდა როგორც ჩემთან ვაგონში, ისე საბარგო განყოფილებაში. საბაჟოს მოხელე საქმის სიტყვიერი ახსნით დაკმაყოფილდა, გაჩხრეკით არაფერი არ გაუჩხრეკავს. უკვე კარგა გათენებული იყო, რომ კელნში მივედით.

გაჩერდა თუ არა მატარებელი, ორ ნომრიან მებარგეს თითი დავუქნიე. მოვიდნენ, ჩემი ბარგი გადმოალაგეს, საბარგო ვაგონში მიცემულის ბარათი გამომართვეს, ბილეთი გერმანია-ავსტრიის საზღვარ პასსაუმდე მიყიდეს. ბარგი მიმიცეს. კვაერკტისკენ მიმავალი მატარებლის წასვლის წინ ათი წუთით მოვალთო, მითხრეს, სწორედ მოვიდნენ. ბარგი ლამაზად ჩამოალაგეს; ორმოცი მარკა ვაჩუქე, სამჯერ თავი დამიკრეს და გამშორდნენ. დამიჯდა სულ კელნიდან პასსაუმდე ბილეთი და ასი კილო ბარგი 540 მარკა, ე. ი. 27 ფრანკი, ხოლო ბრიუსელიდან კელნამდე ზემოთქმული მანძილის ერთი მესამედი დამიჯდა—45 ფრანკი. გავწიეთ ფრანკფურტისკენ. მივსდევთ აღმა რაინის მარცხენა ნაპირებს. ჩქარა შევედით ვიწრო ხეობაში. არც ძლიერ მაღალი, მაგრამ ხრიოკ თუ მცირე ბუჩქნარით დაფარულ მთებშიც რაინი ძლივს იკელევს გზას. გეოლოგიურად ეს ადგილი ბელგიის არდენის გაგრძელებაა და კიდევაც შევამჩნიე ნაცნობი ფენები ქვემო დევანაანის „შისტი“ და „პსამატი“. გერმანია განაგრძობს მშვიდობიან მუშაობას. გარეგნობით თითქო არაფერიც არ მომხდარიყოს. ომის დროს მის ქარხანა-ფაბრიკებს თუ სოფელ-ქალაქებს ერთი აგურიც არ მოჰკლებია და ამიტომაც ყველგან ფაცაფუცი და მედგარი მუშაობაა.

აუარებელი ქარხნების მილებიდან წყნარად ამოდის კვამლი და ჰაერში იფანტება. ვიწრო ხეობის აქით ხრიოკები უფრო და უფრო გულსაკლავი ხდება. უარესი, ვიდრე ჩვენი შიომღვიმის მიდამოები. მაგრამ ამას რას ვხედავთ!.. ეს საშინლად დაქანებულ ხრიოკებზე ოთხკუთხიანი, სახლის დასადგამი ადგილის ტოლა მიწებია მოსწორებული და ზედ რაღაცა რიგზე დარგული. აი, მივუახლოვდით ერთ-ერთ მათგანს, თურმე ნუ იტყვით, ვაზია ზედ დარგული. და ესე ხელოვნურად საშინელ ხრიოკზე გაშენებული ვაზი არა ერთი და ორი დღიურია, არამედ ასობით და ათასობით. შევყურებ გაოცებული ამ წარმოუდგენელ შრომას, რაც დაწყებულია ომის შემდეგ და შეუჩერებლად გრძელდება, და ვეკითხები ჩემ თავს, თუ რა ხალხია გერმანელები (გერმანელები არ მიყვარს). გონებას ვეკითხები! მსაჯულად რომ დამსვან, ერთადერთი განაჩენი უნდა გამოვიტანო. ამ ხრიოკების გამასწორებლების, გერმანელების დამარცხება ყოვლად შეუძლებელია.

მგზავრები ძლიერ ცოტაა. მესამე კლასის კუპეში კონდუქტორი შემოვიდა. ჩემ ბარგს თვალი მოავლო. ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ სხვა არა დაუმატა რა და თავის გზას გაუდგა. შუა დღეა. ფრანკფურტს ვუახლოვდებით.

ფრანკფურტში მატარებელი გამოვიცვალეთ და ნაშუადღევის ორ საათზე გავწიეთ ნიურნბერგისაკენ. მაგრამ მატარებელში კი ნურას უკაცრავად, წინანდელი ხალვათობა არაა. არათუ ცარიელი კუპე, დერეფანში ძლივს ვიშოვნე ადგილი ჩემი ბარგი-ბარხანით. თუმცა ჩემი ნივთები აქა-იქ გაფანტულად ყრია, მაგრამ რისამე დაკარგვის ნუ გეშინია. ავყევით რაღაც უღელტეხილს. უკვე ბოვარიაში ვართ. მთები მაღალი არაა, საკმაოდ ტყით დაფარული. ფრანკფურტში 0-ზე დაყენებული ჩემი ბარომეტრი უკვე 120 მეტრს სიმაღლეს მიჩვენებს. მაინც სულ ზევით და ზევით მივდივართ რაღაც ერთი ბეწო მდინარის გაყოლება. აქ ბევრი საინტერესო ფენები ჩანს წითელი ფერისა, ჩემთვის უცნობი, ვფიქრობ, ტრასის სისტემის უნდა იყოს. ახლა მთის მეორე გვერდით დავეშვით და საღამო ჟამს ნიურნბერგში მივაღწიეთ. აქ სხვა მატარებელზე უნდა გადავსხდეთ, რადგან ჩვენი მატარებელი მიუნხენს მიდის. სამწუხაროდ, ამ საკმაოდ დიდ სადგურზე არც ერთი მებარგე არ აღმოჩნდა თავისუფალი. უშველოს ღმერთმა, თვით მგზავრებმა გაითვალისწინეს ჩემი უმწეო მდგომარეობა და ბარგი თითო-თითოდ მომაწოდეს. ყველა ნივთი გადავალაგე. მაგრამ იქაც დერე-

ფანში მომიხდა ყოფნა, რადგან შიგ ვაგონში ტევა არ იყო. აქ გავიცანი ერთი ახალგაზრდა გერმანელი აგრონომი, რომელიც კელნიდან სავაში მიდიოდა თავისი ცოლით და პატარა ძუძუმწოვარი ბავშვით. უადგილობისა გამო ისიც დერეფანში მოთავსებულიყო. ბოვარიაში ფაბრიკა-ქარხნები ისეთი ხშირი არაა, როგორც რკინიგზის გაყოლებაზე. სოფელ-ქალაქებსაც შუა საუკუნის ელფერი ადევს. სახნავ-სათესი ბევრი არაა, მაგრამ რაც არის ჩინებულადაა დამუშავებული. პაგრის ყანები ბელგიის ჰესბაიეს მინდვრებს არ ჩამოუვარდება. უკვე ნაშუაღამევის ორი საათი იყო, რომ პასსაუში მივედით. აქ მებარგეების მაგიერ მოვიდა ერთი კაცი, ვაგონს ახლო მოაყენა ერთი უზარმაზარი ხელურემი, ყველა ჩვენი ბარგი ზედ დააწყო, ჩვენც ეუშველეთ და სადგურის დიდ დარბაზამდე მივაგორეთ და იქ კი, სადაც მოგვხვდა, მივეგდენით.

პასსაუ საზღვარია გერმანია-ავსტრიისა, მათ ყოფს მდ. დუნაი, რომელიც სადგურს ერთი ასეული მეტრის სიახლოვეს ჩაუდის. დილით ადრე ავდექი, ხალხი იმდენი ირეოდა, რომ ბილეთის აღება და ბარგის მიცემა არც ადვილი საქმე იყო. აქ სცენაზე ავსტრიული ფული — კრონა უნდა გამოსულიყო, რაც ბრიუსელიდანვე დამზადებული მქონდა. ავსტრიული ფული ძლიერ დაცემულია.

ჩემმა გაცნობილმა გერმანელმა დიდი სამსახური გამიწია. ბილეთიც მიყიდა და ბარგიც მიმიცა ვენამდე, გერმანელმა მებარგეებმა კი ადგილი გვიშოვნეს ვაგონში და გავსწიეთ.

დავტოვეთ გერმანია, გადავედით ავსტრიაში. ერთი თვალის მოვლება კმარა ირგვლივ, რომ სხვა რაღაც თავისებური კულტურა შეამჩნიო. სახლები სხვანაირი გეგმისაა. ეკლესიების სამრეკლოები სრულებით თავისებურია. მინდოდა ერთ-ერთი სოფელი გადამეღო და ფოტოგრაფიული აპარატი მოვიმარჯვე, მაგრამ ისევ გადავიფიქრე, რომ რამე სხვაფრივ არ მიეღოთ.

ხასიათით ავსტრიელები უფრო მხიარული ხალხია, ვიდრე გერმანელები. მუსაიფი გაჩაღდა. მე ახალი ევპორის რუკა გავხსენი. ავსტრიელებმა გულმტკივნეულად გადახედეს თავიანთ ყოველმხრივ ფრთაშეკვეცილ იმპერიას. თუმცა იხტიბარს არ იტეხდნენ და ხშირად იძახდნენ: ჩვენ მშვენიერ ვენაში მივდივართო...

— ბევრი კამათი საჭირო არ არის, — თქვა ერთმა მეგობარმა და ევროპის რუკა ფართოდ გახსნა. — ეს სულ ერთი სახელმწიფო უნდა იყოს, — წრე შემოავლო მთელ ევროპას, — ხოლო სატაბტო

ქალაქი აქ უნდა იყოს. — ხელი დაადო ბერლინს. ზოგს გაეცინა, ზოგს კი მოწონება გამოესახა პირისახეზე.

მინდვრები ავსტრიაში კარგადაა დამუშავებული, მაგრამ ბელგიისას ვერ შეედრება. ბოლოს, შუადღისას მართლა გამოჩნდა მშვენიერი ვენა. მართლაც და მშვენიერი ყოფილა ერთ დროს, მაგრამ დღეს კი სატირალ მდგომარეობაშია. მსოფლიო ომის დაწყების აქეთ იქ არაფერი კაცს არ შეუკეთებია. ქუჩებში ოღროჩოღროებს უჩენია თავი. უზარმაზარი ექვსსართულიანი სახლები გაძიძგნილ-გაწიწკნულია. ქალაქში საშინელი სიძვირეა, ფული მათი დღითი-ღღე ეცემა.

ვენაში ჩამოვხტით ჩრდილოეთის სადგურზე. სერბიისაკენ მიმავალი მატარებელი კი სამხრეთის სადგურიდან გადიოდა. ეს სადგური ქალაქის მეორე კიდეზე მდებარეობს. სხვა გზა არ იყო, ვიქირავეთ ორი ეტლი მე და ჩემმა ნაცნობმა გერმანელმა. მეეტლემ თითოს გადაგვახდევინა. ექვსას-ექვსასი გერმანული მარკა, ე. ი. უფრო მეტი, ვიდრე რკინიგზა კელნიდან პასსაუმდე. ვენელმა მეეტლემ ავსტრიულ ფულს არც კი შეხედა: „ნიხტ, ნიხტ!" — ამბობდა. ვენის სამხრეთის სადგური უზარმაზარი შენობაა. სიდიდით ანტვერპენისას არ ჩამოუვარდება. ერთ დროს ლამაზიც ყოფილა, მაგრამ ახლა ჩამოგლეჯილ-ჩამოფხეკილია. როგორც შიგ მოსამსახურეებს, ისე სადგურის კედლებსაც მოწყენილი ელფერი ადევს. შევიტყვე, რომ ბილეთის ყიდვა ბოსნიის (სერბია) ქალაქ ზაგრებამდე შეიძლებოდა და მეც შესაფერ თავდარიგს შევუდექი. ჩემი თანამგზავრი გერმანელის ცოლი და ბავშვი ძლიერ დაღლილნი აღმოჩნდნენ და ერთი დღით ვენაში დასვენება გადაწყვიტეს. იშოვეს სადგურის ახლო ერთი ოთახი, ოდესღაც კარგ სასტუმროში (ახლა კი გაფხეკილა, მეკარესაც ტანისამოსი ჩამოგლეჯია) ძლიერ ძვირად და იქ დაბინავდნენ. ცოლ-შვილის დაბინავების შემდეგ ის მაინც მოვიდა სადგურზე და ჩემს დახმარებას შეუდგა. ჯერ ფული იყო დასახურდავებელი. ერთ ფრანგულ ასფრანკიან ქაღალდში ოცდათორმეტი ათასი კრონა დაგვითვალეს. ახლად დაბეჭდილი, ლავაშივით ფართო ბჭყვრიალა ქაღალდები. ფული და მისი ანგარიშობა მე ფიზიკურად მეჯავრება. და ეს ამოდენა ქაღალდებმა სულ გონება ამირია. მივყევი და საბილეთო თუ საბარგო სალაროში, ან კიდევ მებარგეებში ვარიგე და ვარიგე გულუბრყვილოდ, უანგარიშოდ. ვენამდე მარტო ორ ცალ ბარგს ვაძლევდი ფასგადახდილად. ვენელი მოხელეები უფრო სასტიკები აღმოჩნდნენ, იმათ

ორი სხვაც მიმაცემინეს. როგორც იყო დავიძარით. ვაგონში კი დავძლიე ჩემი სიზარმაცე და ფულის ანგარიშს შევუდექი. გამოვიდა, რომ ოთხი ათასი სადღაც გადამიყოლებია. შუაღამე იქნებოდა, რომ ახალი სერბიის საზღვრამდე მივედით. შემოვიდა პოლიცია და საბაჟოს მოხელენი. ჯერ ჩვენი ქაღალდები დაათვალიერეს და მერე ბარგების ჩხრეკას შეუდგნენ. ჩემი ბარგისთვის არც კი მიუხედნიათ, მაგრამ იქვე ახლომახლო დაბა-ქალაქებში მიმავლები კი რიგიანად გაჩხრიკეს. სწორედ რომ ააფორიაქეს იქაურობა და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება: აქ რაღაც აბრეშუმის ქსოვილს ამოაყოფინეს თავი, იქ ვერცხლეულობას და მიჰყვა და მიჰყვა. ატყდა ერთი კამათი და ცხარე ბაასი. ლაპარაკიც მეტია, რომ სერბიულ მებაჟეებს თავიანთი საქმე ძლიერ კარგად სცოდნიათ. ახლანდელი ავსტრიის საზღვარს ხორვატების ქვეყანა უძევს. მათი ენა თითქმის იგივე სერბიულია. ძლიერ ჰგავს რუსულს. ყურს უგდებ, თითქო გესმის და იმავე დროს არა გესმის რა. უკვე დილაა. ქალაქ ზაგრებს ვუახლოვდებით.

ზაგრები ხორვატების, ასე ვთქვათ, დედაქალაქია. აქ არის პოლიტექნიკუმი, ავსტრიელების ბატონობის დროს დაარსებული, ეტყობა ვაჭრობა, აღებ-მიცემაც არის, მაგრამ უკვე ეტყობა, რომ დასავლეთ ევროპიდან სლავიანების ქვეყანაში გადადიხარ. ხარაზურა სახლები, ქუჩებში წუმპები და საერთოდ დაუდევრობა ძალაუნებურად თვალში გეცემა.

ბილეთის ყიდვა და ბარგის მიცემა ბევრი არ გამჭირვებია. სერბიელი „დინარი“ გაცილებით უფრო მეტი ღირს, ვიდრე გერმანული „მარკა“. მოვიდა მატარებელი ბელგრადისკენ მიმავალი, მაგრამ, შენი მტერი, ადგილი არათუ მესამე კლასში, მეორეშიაც ვერ ვიშოვნე, მხოლოდ სადღაც მეორეკლასის ვაგონის დერეფნის ერთ-ერთ კუნჭულში ძლივს მოვთავსდი. მოვიდა კონდუქტორი. შევჩივლე უადგილობა. მართალი ხარო, მითხრა ზრდილობიანად ფრანგულად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს მეორე კლასიაო. ამოიღო ჯიბიდან წიგნაკი, ბარათი ამომიწერა და ზრდილობიანადვე ას ოცდახუთი დინარი ზედმეტი გადამახდევინა. ჩვენი მატარებელი მაინცადამაინც არ ჩქარობდა და მთელი დღე და ღამე მოანდომა ბელგრადამდე მისვლას. ვენიდან ზაგრებამდე ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოვდიოდით, ახლა კი ზაგრებიდან ბელგრადამდე დასავლეთიდან აღმოსავლეთით მივდივართ მდინარე სავას გაყოლებით. სავას ნაპირები საკმაოდ ნაყოფიერია, მაგრამ ჯეროვნად არ

არის დამუშავებული, ბელგიის საყანე მინდვრების მიჩვეულ თვალს მაინც არ მოეწონება. უკვე გათენდა, 29 აპრილია და ბელგრადშიაც მივედით.

ბელგრადში გაჩერებას არ ვაპირებდი და ჩამოვხტი თუ არა, ცარებორდისკენ მიმავალი მატარებლის ბილეთი ვიყიდე (ცარებროდი სერბია-ბულგარიის საზღვარია) და ჩემი ბარგი მოვიკითხე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბარგი მე რომ მოვედი იმ მატარებლით არ გამოეგზავნათ და ამნაირად ძალაუნებურად მეორე დღემდე ვრჩებოდი. ამავე დროს ნაყიდი ბილეთიც ხელში მრჩებოდა. საჭირო იყო ბილეთზე შესაფერი აღნიშვნა, რომ მეორე დღესაც გამომდგარიყო. აქეთ ვეცი, იქით ვეცი რკინიგზის მოხელეებს. ერთმა მეორესთან მგზავნა, მეორემ მესამესთან და ამრიგად მთელი სადგური შემოვიარე, პოლიციაშიაც ვიყავი და ბოლოს ჩემი ბილეთით ხელში ქუჩაში ამოვყავი თავი, სრულებით დაუკმაყოფილებელი. გასაოცარია ბელგრადის რკინიგზის მოხელეების მიერ თავიანთი საქმის უცოდინარობა, მოვიკრიბე ძალა და დავუარე ხელმეორედ. აქა-იქ იერიშიც დამჭირდა და როგორც იყო, ბილეთზე ბეჭედი დავაკვრევინე. ამრიგად მთელი დღე თავისუფალი მქონდა და ქალაქის დასათვალიერებლად წავედი.

ბელგრადი მდ. დუნაის მარჯვენა ამაღლებულ ნაპირზეა გაშენებული. ამ დროებით თავისთავად როგორც ქალაქი, ბევრს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ თუ ახლანდელი იუგოსლავია განმტკიცდა, მომავალი კარგი მოელის. ნუ დაგავიწყდებათ, ამ რამდენიმე წლის წინათ თუთხმეტი მილიონი ხალხის სატახტო ქალაქად გარდაიქცა. წინათ მდინარის გაღმა ჩრდილოეთით უკვე ავსტრო-უნგრეთის სამფლობელო იყო. ახლა კი გაღმაც კაი ძალი მათია. გავიარე მთავარ ქუჩაზე. წიგნის კარგი მაღაზიები ბევრია. ფრანგული გაზეთები თითქმის ყველა მოდის.

ბელგრადის სასტუმროებში (თუ ასეთი სახელი დაერქმევა), ერთ ოთახს ცალკე ვერ იშოვნი. ყველგან ორი, სამი და მეტიც ლოგინია. თუ მარტო გინდა იყო, ყველას ფასი უნდა გადაიხადო.

სოფლების მდებარეობას არა უშავს რა, მაგრამ სახლები კი პატარა და ღარიბულია. გათენებამდე ბევრი არ აკლდა, რომ ცარებროდში მივედით.

გზაზე ერთი ბულგარელი აგრონომი გავიცანი. ეს იყო ბერლინ-

ში სწავლა გაეთავებინა და შინ ბრუნდებოდა; წინათ რუსეთში ესწავლა და რუსულად ძლიერ კარგად ლაპარაკობდა.

ძლიერ გაჯავრებული იყო სერბიელებზე. სერბიის, ხორვატთა და სლოვენთა სამეფოს სამასხაროდ იგდებდა. „იუგოსლოვაკია" კარგი შერჩეული სიტყვაა. ხოლო ამ სამ ხალხთა ჩამოთვლა საჭირო. დავაცადოთ, ნახავთ მათ სეირს, ჯერ ახლაც შეეტყოთ უკვე უთანხმოებაო. სოფიაში დილით გვარიან ადრე ჩამოვედით, მაგრამ კვირა დღე იყო და ძალაუნებურად მეორე დღემდე უნდა დავრჩენილიყავი.

დავისვენე და შემდეგ ქალაქი დავათვალიერე. სოფია შნოით თუ მოწყობილობით არც ერთ ევროპულ ქალაქს არ დაუვარდება, მაგრამ ცოტას რომ გასცილდები შუა გულსა მტვერი თუ ტალახი, ხარახურა სახლები და სხვა სიბინძურე არ მოგაკლდება.

მეორე დღეს ორშაბათს პირველი მაისი იყო, დიდ მანიფესტაციას მოელოდენ მუშების მხრივ.

ნაშუადღევს მართლაც დაიძრა მუშების მანიფესტაცია. მშვენიერი სანახავი იყო. სულ ცოტა რომ ვთქვათ, ოცდაათიათას (30.000) კაცამდე კი იღებდა მონაწილეობას. მოდიოდენ მწყობრად, აუარებელი დროშებით, სიმღერით და მუსიკით. რიგებში ქალებიც ბევრი ერია. იყვნენ მუსულმანებიც. მთავრობასაც თავდარიგი დაეჭირა და ცხენოსანი პოლიციელები გამოეგზავნა: ისინი იდგნენ აქა-იქ ჯგუფად ხუთი-ექვსი კაცი და მხოლოდ სეირს უყურებდნენ, ცხენებზე ტომრებივით ეგდენ და ცხენებიც ისეთი მკლე და პატარები იყვნენ, რომ ალბ გეგონებოდა, აი საცაა ჩაიკეცებიან ამ რუმბივით მსხვილი პოლიციელების სიმძიმის ქვეშაო. ბედზე ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თორემ საჭიროებას რომ მოეთხოვა, დიდად ვეჭვობ, რომ ტაიჭებს ან მათ მხედრებს რამე თვალსაჩინო ვაჟკაცობა გამოეჩინათ.

საღამოთი მატარებელი არ იყო და დავრჩი სამშაბათ დილამდე.

შემდეგი სადგური ჩემი მოგზაურობისა სვილენგრადი საზღვარია ბულგარია—ოსმალეთისა, ან, თუ გნებავთ, ბულგარია—საბერძნეთისა, რადგან ახლა აქ ბერძნების ჯარი დგას. მოსვლისთანავე ბილეთი ვიყიდე სტამბოლამდე. აქ უკვე თურქული ლირა გამოდის სცენაზე და მიმოსვლის ფასი საშინელი ძვირია. სვილენგრადიდან სტამბოლამდე რაღაც ასამდე კილომეტრია და ეს გზა უფრო ძვირი დამიჯდა, ვიდრე მთელი გერმანია კელნიდან პასსაუმდე. ერთ-ერთ სად-

გურზე ჩვენ ვაგონში შემოვიდა ერთი გრძელწვერა ჭაღარა, ძლიერ ახოვანი და ლამაზი კაცი. იმ კაცმა რაღაცნაირად შეიტყო ჩემი ვინაობა, წვერზე ხელი მოისვა და „ჩერქეზ, ჩერქეზო“ მითხრა. თურმე ჩერქეზი ყოფილიყო ანაპიდან, — როცა ოსმალეთში გადმოვსახლდით, ათი წლისა ვიყავიო. საწყალს თვალები ცრემლებით აევსო. ის აქ ცხოვრობს 1878 წლიდან და კავკასიის მთაგრეხილი ჯერ კიდევ არ დავიწყებია. შუადღე გადასული იყო, როცა სტამბოლში მოვედით.

ჩამოვხტი თუ არა სტამბოლის სადგურზე, შევუდექი ჩემი პატარა ბარგის ძებნას. საბარგო განყოფილებიდან სადღაც საბაჟოში გამგზავნეს, იქიდან ისევ საბარგო განყოფილებაში გამაგზავნეს. შევატყვე, რომ საქმე ცუდად იყო.

თორმეტი დღე ველოდე ჩემს ბარგს სტამბოლში. ეს დრო სულ უბრალოდ დავკარგე ამ ქალაქში, სადაც ცხოვრება ძალიან ძვირია. ეს თორმეტი დღე ძალაუნებურად გავეცანი სტამბოლს.

მისი მდებარეობა საუცხოოა, მაგრამ ქალაქი საშინლად მოუწესრიგებელია. ქუჩები ვიწროა და ცუდად დაფენილი; ყველგან ჭუჭყი და ტალახ-მტვერი. სახლები აქა-იქ დიდი და მდიდარი მასალით არის აგებული, მაგრამ უმრავლესობა უშნო, ახმახი, ან წარმოუდგენელი ხარახურაა. დიდად უარესი, ვიდრე ჩვენი ავლაბარი.

ვინახულე ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. წინამძღვარმა, მამა შიო ბათმანაშვილმა ძლიერ მეგობრულად მიმიღო და მთელი შენობა დამატარა. დავათვალიერე წიგნთსაცავი, სადაც მოთავსებულია ყველა დღემდე დაბეჭდილი საეკლესიო თუ საერო წიგნი, აგრეთვე რამდენიმე ხელნაწერი. ქართველ კათოლიკეთა მონასტერი სტამბოლში მოსაწონია. აქ სუფევს თანხმობა, დისციპლინა. შრომობენ, ისე რომ წარმოიდგენ რა ყოფილა იგი ამ სამოცი წლის წინათ, როცა დაუარსებია ცნობილ ქართველ კათოლიკეს პეტრე ხარისჭარაშვილს და რაც არის ახლა. ცხადია, რომ ამ ხალხს მოქმედების უნარი ჰქონია და ცხადად ეტყობა, რომ ახლაც აქვთ. პეტრე ხარისჭარაშვილის გული კი გარდაცვალების შემდეგ ამოუჭრიათ და აკლდამაში ჩაუდვიათ. მას დღესაც ინახავენ ერთ დიდ შუშაში, საგანგებოდ მისთვის განმზადებულ მაგიდაზე, წიგნთსაცავის ერთ-ერთ კუთხეში.

რა ჯურის, მიმართულების თუ ეროვნების ხალხი გინდა, რომ სტამბოლში ბუზივით არ ირეოდეს. განსაკუთრებით ბევრია რუ-

ობა. ძველი ჩინოვნიკობა და ოფიცრობა აქ გადმოხვეწილა. საკვირველია, რუსი ოფიცრობის ფსიქოლოგია. ისინი არასგზით თავიანთ პაგონებს არ იშორებენ. ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით გენერალს, კაპიტანს, პრაპორშჩიკს და სხვა. ზოგს ტანისამოსი თითქმის შემოხევია, გახუნებული, სანახევროდ დაგლეჯილი პაგონი მაინც აკერია მხრებზე. ზოგს სულ რომ დახევია, აუღია მაუდის ნაჭერი, პაგონივით გამოუჭრია და ჩამოუკერებია. წოდების შესაფერი ხაზები თუ ზოლებიც თან მიუყოლებია.

რა ვუყოთ, ვისაც როგორ მოსწონს. ბარგი მივიღე თუ არა, ბათუმისკენ წამსვლელი გემის შოვნის თადარიგს შევუდექი. ზღვის პირას გალატაში ვნახე ერთი კონტრაგენტი. ბილეთი მომყიდა, თუმცა გემი რამდენიმე დღის შემდეგ მიდის, მაგრამ დღესვე შეგიძლიათ იქ გადახვიდეთო. გემი ნაპირას მოშორებით იდგა. სასტუმროდან გადმოვზიდე ჩემი ბარგი, კონტრაგენტმა მომცა ერთი კაცი და ერთი ნავი, ჩავეწყვეთ შიგ და გავწიეთ. გავიარეთ ხიდ ქვეშ და კაი ხნის შემდეგ მივედით. ავედი კიბეზე ერთი პატარა ხელბარგით ხელში, კაპიტანის თანაშემწე დამხვდა და ძალიან გაუკვირდა ჩემი ნახვა: ბილეთი ვუჩვენე. გემის წასვლის დღე არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე დღე არ წავა და მაშინ მოდითო. მე თქვენმა კონტრაგენტებმა გამომგზავნა-მეთქი. ის ჩვენი კონტრაგენტი არ არისო. ბილეთი? — დაუყვირე. ბილეთი კი ჩვენიაო. მაშ, ეს როგორ მოხდა, რომ თქვენ ბილეთს არა თქვენი აგენტი ყიდის-მეთქი. რაღა გავაგრძელო, აგვიტყდა ჩხუბი. ფრანგულად დავიწყეთ და რუსულად ერთმანეთის ლამაზად გამოლანძღვით დავაბოლოვეთ. სხვა გზა არ იყო, უკანვე გამოვბრუნდი იმავე ნავითა. ახლა კი მენავე სულ სხვა ნაპირზე მიადგა. აქ კი დამესია ცალკე ბარგის გადამტანთა ბრბო, ცალკე საბაჟოს მოხელეები. კონტრაბანდა მოგაქვსო. ცოტას გადავურჩი, ყველა ბარგი ხელახლა გამიჩხრიკეს. ბარგის გადამტანების თავგასულობის წინააღმდეგ კი ჯოხის მოქნევაც დამჭირდა. როგორც იყო დავბინავდი ისევ ერთ-ერთ ჭუჭყიან სასტუმროში, ზედვე ზღვის პირად, მეორე დღეს იტალიელების გემი „ადრიან“ მოვიდა და იქ გადავიტანე ჩემი ბარგი. სამი დღე და ღამის მოგზაურობის შემდეგ ბათუმს ვუახლოვდებით. კვლავ მეღირსა მენახა ჩემი მრავალტანჯული საქართველო.



ქართული ენისათვის

ქართულ ენას აქვს, რასაკვირველია, ნაკლულოვანება, როგორც ყოველ სხვა ენას და სხვასაც ყველაფერს ბუნებაში, მაგრამ მას აქვს აგრეთვე ბევრი უტყუარი და თვალსაჩინო ღირსებაც.

ბევრსა ჰგონია და მეც მრავალთაგან გამიგონია, რომ ქართული ენა არის მცირერიცხოვანი ერის ენა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და არ ღირს მისთვის თავგამოდება და მისი გამაგრება!

ეს ფრიად შემცდარი აზრია. ვინც ასე მსჯელობს, ის ხედავს მხოლოდ აწინდელს, სხვათა და სხვათა გამანადგურებელი შემოსევების გამო კავკასიონის კალთებზე მიჭყლეტილ პატარა საქართველოს. წინათ კი ამ ხალხის წინაპარს თითქმის მთელი წინააზია ეჭირა. ის ხალხი იყო მრავალრიცხოვანი და მათი მოდგმის მრავალთემთაგან ხმარებულ კილოკავებისაგან, როგორც ნედლი მასალისაგან, შეისკვნა და გაიჭედა თავისებური, — სხვა ენათა შორის განმარტოებული, — ჩვენი ქართული ენა.

წარმოიდგინეთ ხმელეთის დიდი ნაჭერი, სავსე მდიდარი მცენარეულობითა და ცხოველებითა. მოხდეს კატასტროფა, ხმელეთში ზღვა შემოიჭრას და დააქუცმაცოს (სინამდვილეში ბევრჯერ მომხდარა ასეთი რამ და, უეჭველია, მოხდება კიდეც, მაგ. ინდოეთის ოკეანე — ყოფილი დიდი ხმელეთია) და მხოლოდ ერთი პატარა კუნძულიღა დარჩეს, მაგრამ ისე, რომ ამ კუნძულზე ყოფილი დიდი ხმელეთის მდიდარი ფლორა-ფაუნის ყველა წარმომადგენელი შერჩეს. სწორედ ასეთია აწინდელი საქართველო, ქართველი ხალ-

ბი და მისი ენა თავისი ყოველნაირი თავისებურობით, ყოველ-ზხრივ უცხო თესლებით, ვით მძლავრი და მრისხანე ტალღებით, გარშემორტყმული.

მართლაც და საინტერესოა გადახედოთ კავკასიის ეთნოგრაფიულ რუკას, თუნდაც მიკერძოებით შედგენილს, როგორც ამას ჩადიოდენ ჩვენი ბატონ-პატრონნი წარსულში, რუკას, სადაც სხვადასხვა ფერადებით წარმოდგენილია სხვადასხვა ერები. თქვენ თვალწინ ბრძოლის ველისთვის მომზადებული საომარი გეგმა გადიშლება. დაჰყურებ ამ რუკას და ასე გგონია. მთავარი შტაბის მიერ შედგენილი საომარი გეგმა გიდევს წინა. მებრძოლთა ერთი მხარე შუაში მოქცეულა. ეს საქართველოა, რუკაზე მწვანე ფერადით გამოყვანილი.

ახლა სინამდვილეს რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ საქართველოს უბრძოლია და იბრძოლებს თავისი არსებობის, თავისი თავისებურობის შესანარჩუნებლად. ეს ცხადია, სრულებით ბუნებრივი მოვლენაა. ვინც რა უნდა თქვას.

მაგრამ კითხვა იბადება: რით და როგორ უნდა იბრძოლოს მან? ხმლით და ხანჯლით? ხმალ-ხანჯალი უბრალო სამკაული გახდა.

იქნებ არც ისე შორს იყოს ის დრო, როცა დიდი ზარბაზნები მუზეუმების სამკაულებად გახდებიან. და კიდევაც რომ გასტანოს დიდხანს მათი ბრძოლის იარაღად ხმარებამ, საქართველოს ის თავის დღეში ვერ ექნება საკმაო ყველა მაზე მოსული მტრების მოსაგერიებლად.

დაგვრჩენია სხვანაირი ბრძოლა, ბრძოლა კულტურული, სწავლის შეძენა და მისი საქმეში გამოყენება თანხმობით. მჭიდროდ და ერთად მოქმედება, წინდაწინ გათვალისწინებული გზით სიარული... გარკვეული პრინციპი.

და ყველა ამათი მისაღწევი მკვეთრი და შეუდრეკელი იარაღი, ვით მაგარი კარი ციხის კედლის ქვების ერთმანეთთან შემადუღებელი, არის ქართული ენა.

თუკი დღემდე არსებობს საქართველო, თუკი მისი საერთო ბანაკის შევიწროებული შუა გული არ გარღვეულა, ეს მხოლოდ ქართული ენის, რუსთაველ-აკაკის თარზე დასაკვრელი ენის წყალობით. თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენს გულჩვილობას (გულუბრყვილობამდე მისულს), ჩვენს ბედოვლათობას, ჩვენს სიზარმაცეს და დაუდევრობას, საქართველოს ხსენება დღეს არ იქნებოდა. ქართული ენა რომ არ იყოს.

ებრაელი მოაშორეს მის საყვარელ სიონს, ის შორს, შორს, ციგ პოლონეთის ტყეშია გადახვეწილი. აბრაამის ენა მას დიდი ხანია დაეკარგა და გერმანულ კილოკავზე დაიწყო საუბარი, მაგრამ ის მაინც ებრაელი დარჩა. სომეხი მოშორდა ეჯმიაწინს, მან ატლანტიდა გადასცურა და ნიუ-იორკის თორმეტსართულიან ხახლში მოაწყო სავაჭრო მაღაზია, მას სომხური დაავიწყდა, ლედების და მილედების ენაზე ლაპარაკობს. ის მაინც სომეხია. ვთქვათ, ქართველმა არ იცის ქართული ენა, ის თქვენ აქვე, ქვაშვეთის საყდრის გვერდით ქვაფენილზე შემოგეყარათ. ბოდიშს იხდის, რომ ქართულად ვერ ლაპარაკობს, რა ქნას, სხვაგან გაზრდილია. დანარჩენი სხვა რომელი ენაც გინდა, სანსკრიტულიც იცის. გეფიცებათ კი, რომ ის გულით წმინდა ქართველია. ნურაფერი ნუ გჯერათ მისი! მე მისი არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირვებს!

ვინც ქართული არ იცის, ის ქართველი არ არის. ჩემი დასკვნა ასეთია.

საკვირველია, რომ იმათაც, ვინც იცის ქართული ენა, ზოგს ლაპარაკი არ ემარჯვება, ზოგი ორ წინადადებას ქართულად რომ გეტყვის, სამს სხვას, უცხოს მოგახლის. ფიქრობ და გადაჭრით ვერ გიპასუხნია, თუ რა უნდა იყოს ამის მიზეზი?!

ჩვენ გვგონია, რომ ჯერ ის, ვინც ქართველობს, საქართველოში ცხოვრობს და ქართულად ვერ ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევაში, გაურკვეველი პირია. შემდეგ ის, ვინც იცის, მაგრამ ლაპარაკი არ ემარჯვება, იმას ან ვერ ჩაუხედია საკმაოდ ქართული ენის შნო და ძალაში, ან ეშვი აქვს მის ღირსებაში, ან ჯერ ვერ განთავისუფლებულა იმ ფსიქოლოგიური სენისაგან, რომლის ძალით ყმას თავისი ბატონისა ყველაფერი კარგი და საუკეთესო ჰგონია. ძნელი ყოფილა, ალბათ, ასი წლის, და ისიც უხეში ულელი, რომ მისი დანაჰერი წყლული ასე ჩქარა გადიწმინდოს. ეს უკანასკნელი მგონი სიმართლესთან უფრო ახლოა. ბატონის მიბაძვა მას შემდეგაც, როცა ბატონი გადავარდება, ისტორიაშიაც ხშირია. როგორც ცნობილია, გლეხი პუგაჩოვი აუჯანყდა ეკატერინე მეორეს, მომხრეები საკმაო იშოვნა, რამდენიმე პროვინცია ჩამოაცალა მაშინდელ რუსეთს და იქ გაბატონდა. მან მეფური სახლ-კარიც მოაწყო, თუმცა კარიკატურული, მაგრამ ეკატერინეს ყაიდაზე ზედგამოჭრილი. საგულისხმოა ის, რომ კარისკაცებს შორის ზოგს დაარქვა „პოტიომკინი“, ზოგს „ზუბოვი“ და სხვა, თუმცა პოტიომკინ-ზუბოვები „კერძო, განსაკუთრებულ“ მონდობილობას ახრულებდნენ დიდ

დედოფალთან და ემელიანე პუგაჩოვს ისინი ამ მხრივ სრულებით არ ეპირვებოდა. ის მაინც ბაძავდა თავის ნაბატონარს, რადგან მისი უღელი კისრიდან გადააგდო, მაგრამ გონებიდან ჯერ კიდევ ვერ წაეშალა.

იქნებ იგივე მიზეზია, რომ ქართულად მოლაპარაკე კაცი „დვადცატ-პიატ-ტისიაჩ"-ს გაურევს, თითქო „ოცდახუთი ათასი" უფრო ძნელი გამოსათქმელი იყოს. ნამდვილად კი გააგონე ის პირველი ფრაზა დასავლეთ ევროპიელს და ნახავ როგორ ქუდმოგლეჯილი გარბოდეს და თან უკან იხედებოდეს: ეს რაღაც საშინელება აქაც არ მომსდევდესო.

ასეა თუ ისე, ნათქვამიდან ორი დასკვნა შეუძლებელია. ვინც ქართველობს, სწამს ქართველობა, იმას აუცილებლად უნდა სწამდეს ქართული ენაც. იკითხოს, ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, პირუთვნელად ჩაუკვირდეს მას და ნახავს, რომ ის სხვა, მაზე უკეთ პატენტაღებულ ენას არც სალაპარაკოდ, არც სამეცნიეროდ და არც სასიმღეროდ არ ჩამოუვარდება. ხოლო ჩვენ კი ყველას გვმართებს ამ მხრივ სწორი და გარკვეული პრინციპი: დავიცვათ ქართული ენა, გავამაგროთ, გავალამაზოთ და წინ წავწიოთ იგი, რადგან ჩვენი ენა არის ის უხილავი გენია, რომელიც თან ატარებს ქართველი ერის არსებობას.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

უიარაღოს თხზულებათა შეკრებისა და გამოცემის აზრი მაშინ დაბადა, როცა მისი საკმაოდ მდიდარი არქივი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, გადაეცა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს. ხელნაწერთა კოლექციებში შეჭონახული მონახაზები, ესკიზები, ფრაგმენტები და შავები მოწმობდა, რომ მათი ავტორი მხატვრული სიტყვის დარბაზში დროებითი სტუმარი არ იყო. საჭირო იყო მასალის შესწავლა. საჭირო იყო დაგვედგინა ამ საარქივო მასალათაგან რომელი იყო ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებული და რომელი არა. სიმართლეს მოკლებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გარდა „მამელუკისა" და გაცილებით გვიან, ავტორის გარდაცვალების შემდეგ „მნათობში" (1940 წ. № 10, 11, 12, 1941 წ. № 3, 4, 5, 6) გამოქვეყნებული „მაძიებელნისა", უიარაღოს სხვა მოთხრობები მკითხველისათვის ცნობილი არ იყო. ამ მოთხრობების შეკრებას კი ერთი მძიმედ გადასალახი დაბრკოლება ეღობებოდა, — 1900-1920 წლების ქართული პერიოდული პრესის სიმრავლე და ის, რომ ეს ზღვა პრესა დღემდე არ არის ბიბლიოგრაფირებული. საჭირო შეიქნა 20-25 წლის განმავლობაში გამოცემული ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთის კომპლექტების გადასინჯვა.

ხანგრძლივი ძიების შედეგად მოხერხდა დასახელებული პერიოდიკის გადახვდა და უიარაღოს ნაწერების შეკრება. თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ ეს შეკრება სრული იყოს და მიუკვლეველი რამე არ დარჩენილიყოს სადმე. შეკრებილმა მასალამ, რომელსაც რამდენიმე გამოუქვეყნებელი მოთხრობაც ემატება, ორი მოზრდილი ტომი შეადგინა. პირველ ტომში შესულ მასალათა ბიბლიოგრაფიული შენიშვნები ამგვარ სურათს იძლევა:

„მ შ ვ ი დ ო ბ ი თ!"—სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან (გვ. 1—142). გამოქვეყნებული იყო 1895 წელს ჟურნალ „მოამბის" № 8, 9, 10, 11-ში, ფსევდონიმით თ-ლი. ეს არის მწერლის პირველი ნაწარმოები, რომელსაც 20 წლის სემინარიელი ბურსაში მალულად წერდა და სხვაგან, ნათესავის ოჯახში ინახავდა, რომ ინსპექტორს არ ჩავარდნოდა ხელში.

ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია" (1895 წ., № 283) ამ მოთხრობის გამოქვეყნებას სიამოვნებით მიესალმა და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ცხოვრება გვაქვს დაწერილებით აღწერილი და სამეგრელოს ცხოვრებას კი არაფინ შეხებია, რაც ამ მშვენიერი ნაწარმოებით იწყებოდ. მოთხრობა ჰქ იბეჭდება „ძოამბეში" გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ჩ ე მ ი რ ა ბ რ ა ლ ი ა?" (გვ. 143—152) პირველად დაიბეჭდა 1896 წ. ჟურნალ „ეოამბეში", № 2, ფსევდონიმით თ-ლი. ავტორის არქივში დაცულია ამ მოთხრო-

ბის შავი. ხელნაწერზე გაკეთებული მინაწერი გვამცნობს, რომ ესეც ჰაბუკობის-დროინდელი ნაწარმოებია. იქ აეტორის მიერ აღნიშნულია: „ჯერ კიდევ სემინარიის მე-4 კლასის მოსწავლე, ინსპექტორის თანაშემწისა და გაკვეთილების მოუმზადებლობის შიშით აკანკალებული, სადმე კუთხეში მიმალული ვბღაჯნიდი ორ-სამ სტრიქონს“ (ლიტ. მუზეუმი, ხ — 10701). მოთხრობა აქ იბეჭდება „მოამბეში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ბ ე დ ა ბ ი ძ ა ჩ ე მ ი“ (გვ. 153—159) გადმოკეთებულია ფრანგულიდან. პირველად დაიბეჭდა 1896 წელს საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ № 10-ში, ფსევდონიმით კ. თ-ლი. აქ იბეჭდება „ჯეჯილში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ჩ ა ი ზ ე“ (გვ. 159 — 177) პირველად გამოქვეყნდა 1903 წ. ჟურნალ „კვალის“ № 2, 3 და 4-ში, ფსევდონიმით „კოდრა პატრია“. აქ იბეჭდება „კვალში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„უ ს ი ა მ ო ვ ნ ო შ ე ხ ვ ე დ რ ა“ (გვ. 178 — 184) გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“, 1903 წ., № 72-ში, ფსევდონიმით „კოდრა პატრია“. აქ იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„რ ა ბ ი ი ი შ უ“ (გვ. 185—194). პირველად გამოქვეყნდა 1906 წ. გაზეთ „მეგობარის“ № 75-ში, ფსევდონიმით „უიარაღო“. ეს არის პირველი ნაწარმოები მის მოთხრობათა სერიიდან „ბიბლიურ ჰანგზე“. როგორც კონდრატე თათარიშვილის ბიოგრაფიიდან ვიცით, ამ მოთხრობამ დაბადა ავტორის ახალი და საკმაოდ უცნაური ფსევდონიმი „უიარაღო“, რომელიც შემდეგ პოპულარული გახდა. აღნიშნულ სერიას განეკუთვნება 13 ნოველა. „რაბი ییშუ“ აქ იბეჭდება გაზეთ „მეგობარში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ე რ თ ი მ რ ა ვ ა ლ თ ა გ ა ნ ი“ (გვ. 195 — 199). ესკიზი. დაბეჭდილია 1906 წ. გაზეთ „სიტყვაში“, № 1, ფსევდონიმით „კონი“. ამაზე მიმითითა ცნობილმა წიგნების გამომცემელმა, კონდრატე თათარიშვილის უახლოესმა მეგობარმა ვ ა ს ი ლ გ ა დ ი ლ ი ა მ. აქ იბეჭდება „სიტყვაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„დ რ უ ნ ჩ ა ს ი ზ მ ა რ ი“ (გვ. 200—202). საახალწლო ესკიზი. გამოქვეყნდა 1907 წელს გაზეთ „მეგობარში“, № 1 (13), „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „მეგობარში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„რ ე ა ქ ც ი ა“ (გვ. 203—206). 1907 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ისარში“, № 160, ფსევდონიმით „უიარაღო“. აქ იბეჭდება „ისარში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„შ ო ლ ტ ი“ (გვ. 207—214). გამოქვეყნდა 1907 წლის გაზეთ „ისარში“, № 285, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „ისარში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„მ ე ფ ე“ (გვ. 215—225). გამოქვეყნდა 1908 წელს გაზეთი „დროების“ № 32-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა“ (გვ. 226—233). გამოქვეყნებულია 1908 წლის გაზ. „ამირანის“ №35-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „ამირანში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„პ რ ო ტ ე ქ ც ი ა“ (გვ. 234—237). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გაზეთი „დროების“ № 1-ში „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ბ ი რ უ თ ვ ნ ე ლ ი დ ა ფ ა ს ე ბ ა“ (გვ. 238—243). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გა-

ზეთი „დროების“ № 1-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ფ ა რ ი ს ე ვ ლ ე ბ ი“ (გვ. 244—248). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ № 4, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„უ დ ა ბ ნ ო ში“ (გვ. 249—253). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ № 47, 48, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„გ ე თ ს ა მ ა ნ ი ა“ (გვ. 254—260). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ № 69, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ი“ (გვ. 261—173). დაბეჭდილი იყო 1909 წლის გაზეთ „დროებაში“ № 288, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„შ ი ში“ (გვ. 274—281). პირველად გამოქვეყნდა 1910 წ. გაზეთ „დროების“ № 86-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„გ ა ც რ უ ე ბ უ ლ ი ი მ ე დ ი“ (გვ. 282—292). დაბეჭდილი იყო 1910 წ. „სახალხო გაზეთში“, № 193, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„წ ე ს დ ე ბ ა“ (გვ. 293—306). გამოქვეყნდა 1910 წ. გაზ. „დროების“ სურათებიან დამატებაში, № 10, 11, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ე რ თ გ უ ლ ი“ (გვ. 307—313). დაიბეჭდა 1911 წ. „სახალხო გაზეთის“ № 276, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ს ა მ კ ე დ ლ ო ში“ (გვ. 314—324). პირველად დაიბეჭდა 1911 წ. „სახალხო გაზეთის“ № 485-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„მ ა მ ე ლ უ კ ი“ (გვ. 336—429). პირველად გამოქვეყნდა 1912 წელს „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ ლიტერატურულ ალმანახ „გრდემლის“ I I წიგნში, თარიღით 1912 წლის 4 აპრილი. გარდა უიარაღოს „მამელუკისა“ რომელსაც რიგით მესამე ადგილი უკავია ალმანახში, მასში მოთავსებულია ქართული მწერლობის მაშინდელი საუკეთესო ძალების: ვ. ბარნოვის, ა. შანშიაშვილის, ა. აბაშელის, ჯ. ჯორჯიკიას, ი. ევდოშვილის, ა. პაპავას, ი. გრიშაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, კიკნა-ფშაველას, ა. ჭუმბაძის, მ. უზნაძის, ეკ. გაბაშვილის, გ. ტაბიძის, დუტუ მეგრელის, კ. აბაშისპირელის (კ. გამსახურდიას ფსევდ.) და ნინო ნაკაშიძის მოთხრობები, პოემები, ლექსები, პიესები და სხვ.

ამ ალმანახში მოთავსებულ მხატვრულ ქმნილებებს შორის მაშინდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ განსაკუთრებული თვალით შეხედა „მამელუკს“ და ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონს“. ისინი აღიარებული იქნენ ქართული ლიტერატურის ახალ მიღწევებად, მაღალი ღირსების მხატვრულ ქმნილებებად. ამიტომ „მამელუკი“ რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად. პირველად იგი გამოიცა 1935 წელს გამომცემლობა „ფედერაციის“ მიერ პოეტ ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ი ს რედაქციით და წინასიტყვით.

„მამელუკი“ მეორედ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“ 1947 წელს მწერალ დ ე მ ნ ა შ ე ნ გ ე ლ ა ი ა ს რედაქციით. მესამედ „მამელუკი“ სახელგამმა გამოსცა 1954 წელს. ჩვენი წინასიტყვაობით. ავტოგრაფთან შეჯერებაზე და დადგენადაზუსტებაზე საკმაო შრომა გასწია სახელგამის რედაქტორმა პ ლ. ბ ე ბ ი ა ვ. მოთხრობა ამ ტომში თავსდება ამ უკანასკნელი გამოცემის ტექსტის მიხედვით, მისი მეცხრამეტე ოდენი შესწორებით დედანთან შედარების საფუძველზე. მოთხრობის ავტოგრაფული ტექსტის შავები და ვარიანტები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში (იხ. ხ—19990, 10698, 10699), აქვეა დაცული მოგვიანო წლებში ავტორის მიერ პიესად და სცენარად გადაკეთებული „მამელუკის“ ტექსტი. ზოგი მათგანი მანქანაზეც არის გადაბეჭდილი. ეტყობა, ავტორი მათ საზოგადოებაში გამოტანას ვარაუდობდა.

„მ ღ ვ დ ე ლ ი დ ა დ ი ა კ ე ა ნ ი“ (გვ. 430 — 458). პირველად დაიბეჭდა 1913 წელს „სახალხო გაზეთის“ სურათებიან დამატებაში, № 186, 187 და 188-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ე ბ ი დ ა დ ე კ ა მ ე რ ო ნ ი“ (გვ. 459 — 467). დათარიღებულია 1917 წლის 17 ოქტომბრით, ე. ი. დაწერილია ბრიუსელში ცხოვრების პერიოდში. პირველად გამოქვეყნდა 1923 წლის ჟურნალ „ილიონში“, № 3, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „ილიონში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ლ ა მ ა ზ ი ა“? (გვ. 468—473) ესკიზი. იბეჭდება პირველად. ავტოგრაფული ტექსტი დაცულია საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმში (ხ — 10718).

„მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე ტ რ ი ლ ო ბ ი ტ ი“ (გვ. 474—483). პირველად გამოქვეყნდა 1923 წელს ჟურნ. „ილიონში“, № 4, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „ილიონში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა“ (გვ. 484—518). მოთხრობა ქალაქის ცხოვრებიდან. ავტორის მიერ დათარიღებულია 1924 წლით. ქვეყნდება პირველად. მისი ავტოგრაფული ტექსტი დაცულია საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმში (ხ —10712).

„ბ ე დ კ რ უ ლ თ ა მ ე გ ობ ა რ ი ე ქ ი მ ი გ ა ა ზ ი“ (გვ. 519 — 528). გადმოკეთებულია რუსულიდან პეტროვის ნარკვევიდან „**Друг несчастных доктор Гаас**“. ნარკვევი პირველად გამოქვეყნებული იყო 1903 წ. გაზეთ „ივერიის“ № 184-ში, „კოდრა პატრიას“ ხელმოწერით. აქ იბეჭდება „ივერიაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„თ ბ ი ლ ი ს ი დ ა ნ ჯ უ ლ ფ ა მ დ ე“ (გვ. 529 — 573) მგზავრის წერილები. გაზეთი „დროების“ რედაქციის მივლინებით 1909 წელს ავტორს უმოგზაურნია თბილისიდან ჯულფამდე და ერთი თვალის გადავლებით მიღებული შთაბეჭდილებანი დაკვირვებულად და ობიექტურად აუღწერია ამ მშვენიერ ნარკვევში. ნარკვევი მთლიანად გამოქვეყნებულია 1909 წლის გაზეთი „დროების“ № 107, 116, 127, 128, 145, 146 და 148-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „დროებაში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„მ ს ო ფ ლ ი ო გ ა მ ო ფ ე ნ ა ქ. გ ა ნ შ ი“. (გვ. 574 — 596). წერილი ბელგიიდან. პირველად დაიბეჭდა 1913 წ. „სახალხო გაზეთის“ № 978, 979, 984, 986-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. ნარკვევი აგვიწერს 1913 წ. ბელგიაში, ქ. განში გახსნილ მსოფლიო გამოფენას. ავტორს დიდი ინტერესით დაუთვალიერებია ვამოფენა, როგორც კი შეეძლო აუწერია ის და „სახალხო გაზეთისათვის“ გადა-

უგზავნია, რომ მაშინდელი ქართველი მკითხველი გასცნობოდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას. აქ იბეჭდება „სახალხო გაზეთში“-გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით

„შ ე შ ლ ი ლ თ ა ს ა მ ე ფ ო შ ი“ (გვ. 597—617). წერილი ბრიუსელიდან. ნარკვევში აღწერილია ს. ლიერნეს მიერ გამართული სელით ავადმყოფთა თავშესაფარი ფორ-ეაკოში (ბელგია). პირველად დაიბეჭდა 1914 წელს „სახალხო გაზეთის“ № 1195, 1198-სა და იმავე წლის „სახალხო ფურცლის“ № 3-ში, უიარაღოს ფსევდონიმით. აქ იბეჭდება ზემოდასახელებულ გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ბ რ ი უ ს ე ლ ი დ ა ნ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მ დ ე“ (გვ. 618 — 627). ნარკვევი ეხება ავტორის მოგზაურობას, როცა ის ბრიუსელის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გეოლოგიის დოქტორის ხარისხმიღებული სამშობლოსაკენ მოეშურებოდა 1922 წლის გაზაფხულზე. პირველად დაიბეჭდა 1922 წ. გაზეთ „ლომისის“ № 1-ში, „უიარაღოს“ ფსევდონიმით. აქ იბეჭდება „ლომისში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

„ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ა თ ვ ი ს“ (გვ. 628). საგაზეთო სტატიაა მშობლიური ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე. პირველად დაბეჭდილი იყო 1923 წ. გაზეთ „ლომისში“ (№ 31). აქ იბეჭდება „ლომისში“ გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

ასეთია მოკლედ პირველ ტომში მოთავსებული მასალის ბიბლიოგრაფია და შენიშვნები. მოყვანილ ბიბლიოგრაფიულ ცნობებიდან ირკვევა კონკრეტე თათარიშვილის შემდეგი ფსევდონიმები: თ-ლი, კოდრა პატრია, კონი, და სპოლოდ განმტკიცებული უიარაღო. რაც შეეხება კიდევ ორ მის ფსევდონიმს: მისანი და ო.. რომელზედაც ვასო გადილია მიგვითითებს, ავტორს გამოყენებული ჰქონდა პუბლიცისტურ და მამხილებელ საგაზეთო სტატიებისათვის. მაგ. 1906 წელს გაზეთ „სიტყვაში“ (№ 2, 3, 5, 6, 11, 15) ფსევდონიმით „მისანი“, მოთავსებულია მისი რევოლუციური ხასიათის პუბლიცისტური სტატიები საერთო სათაურით „ნაცნობი სურათები“, რომლის ქვეშ მოქცეულია სრული და ენამახვილური დასათაურებანი სადღესასწაულო საკითხებზე დაწერილი სტატიებისა. ხოლო ო-ს ხელმოწერით იმავე წლის დასახელებულ გაზეთ „სიტყვაში“ (№ 1) მოთავსებულია თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული მთავრობის „საგმირო საქმეების“ მამხილებელი, მეტად მწვავე ტონით დაწერილი სტატია.

უიარაღოს თხზულებათა წინამღებარე ტომში შესული მასალები, როგორც ვნახეთ, გარდა ორი მოთხრობისა, სხვადასხვა დროს იყო გამოქვეყნებული პერიოდულ პრესაში. ამიტომ ნაწარმოებთა უმეტესობის ტექსტს საფუძვლად დაედო დასახელებულ გამოცემებში დაბეჭდილი ტექსტები. ავტორის სტილი და წერის მანერა ყველგან დაცულია. რედაქტორის კალამი მოხვდა მხოლოდ აქა-იქ მოკარბებულ პროვინციალიზმებს და ისიც პროვინციის ცხოვრების ამსახველ მოთხრობებში. სხვა შემთხვევაში ავტორს პროვინციალიზმები თითქმის არც კი აქვს. მკითხველს რომ ტექსტის ზოგიერთი ადგილის გაგება გაადვილებოდა, აქა-იქ კოლორიტისათვის გამოყენებული მეგრული სიტყვები, გამოთქმები და ლექსები ეთარგმნეთ და შენიშვნის სახით სქოლიოში ჩავიტანეთ. უიარაღოს მეორე ტომში შევა: რომანი „მაძიებელნი“, რამდენიმე გამოუქვეყნებელი მოთხრობა მწერლის არქივიდან და პუბლიცისტური ხასიათის სტატიებისა და ნარკვევების **შერჩეული ჯგუფი.**

ხთლომონ ცაიშვილი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფიარალო (კონდრატე თათარიშვილი) შესავალი წერილი ს. ცაიშვილისა V

მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

შშვიდობით! . . . 3
ჩემი რა ბრალია? . . . 143
მე და ბიძაჩემი . . . 153
ჩაიხე.. . . . 159
უსიამოვნო შეხვედრა . . . 178
რაბი იიშუ . . . 185
ერთი მრავალთაგანი . . . 195
დრუნჩას სიხმარი . . . 200
რეაქცია . . . 203
შოლტი . . . 206
მეფე . . . 215
ქრისტე აღსდგა! . . . 226
პროტექცია . . . 234
პირუთვნელი დაფასება . . . 238
ფარისევლები . . . 242
უდაბნოში . . . 246
გეთსამანია . . . 254
გასამართლება . . . 261
შიში . . . 274
გაცრუებული იმედი . . . 282
წეადება . . . 293
ერთგული . . . 307
სამკვედლოში . . . 314
იმასაც შეეშინდა . . . 325
მამელუკი . . . 336
მლვდელი და დიაკვანი . . . 450
მოხუცებულები და დეკამერონი . . . 459
ლამახია? . . . 468
მოახროვნე ტრილობიტი . . . 474
ბედნიერება . . . 484

ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი დ ა წ ე რ ი ლ ე ბ ი

ბედკრულთა მეგობარი ექიმი გაახი . . . 519
ტფილისიდან ჯულფამდე . . . 529
მსოფლიო გამოფენა ქ. განში . . . 574
შეშლილთა სამეფოში . . . 597
ბრიუსელიდან საქართველომდე . . . 618
ქართული ენისათვის . . . 628
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები—სოლ. ცაიშვილისა . . . 633